

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

წიგნი III

ვალდებულებითი სამართლის
ზოგადი ნაწილი

რედაქტორი ლადო ქანტურია

ავტორები:

გიორგი ვაშაკიძე (მუხ. 316-318, 390-405)

სამართლის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ირმა გელაშვილი (მუხ. 319-326)

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი

ეკატერინე ბალიშვილი (მუხ. 327-341)

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

გიორგი რუსიაშვილი (მუხ. 342-360, 408-415)

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ასისტენტი: ირაკლი შათირიშვილი

აკაკი ალადაშვილი (მუხ. 342-351)

სამართლის დოქტორი

ქეთევან მესხიშვილი (მუხ. 361-389)

სამართლის დოქტორი, თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი

ნატალია მონონელიძე (მუხ. 406, 407)

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ბათლიძე (ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, მუხ. 409-411)

სამართლის მაგისტრი, თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მონვეული ლექტორი, ადვოკატი

სერგი ჯორბენაძე (მუხ. 416-420)

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით, ადვოკატი
ასისტენტები: სოფიკო ხიდემელი, ნინო ლეჟავა, ანი გრიგალავა, ბაკურ ჯაფარიძე

აკაკი განერელია (მუხ. 416, 421-426)

სამართლის დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით
ასისტენტები: ნინო ლეჟავა, მარიამ ლაბარტყავა

გიორგი სვანაძე (მუხ. 427-454)

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

ირაკლი რობაქიძე (მუხ. 455-476)

სამართლის დოქტორი, ადვოკატი

წინამდებარე კომენტარი შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

წინამდებარე კომენტარი შეიქმნა ამერიკის ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. კომენტარის შინაარსისათვის პასუხისმგებლები არიან ავტორები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH



USAID ამერიკელი ხალხისათვის

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



მთავარი სამეცნიერო რედაქტორი
ლადო ჭანტურია

რედაქტორი
გიორგი რუსიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი
დავით მაისურაძე

ენობრივი რედაქტორი
თამარ გაბელაია



ISBN 978-9941-8-1812-7

- © შესაბამისი კომენტარის ავტორები, 2019;
- © ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019;
- © გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019;
- © ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID);
- © აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EMWI).

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge
კომენტარის განახლებადი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.civilcode.ge
კომენტარის ციტირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ავტორი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი, ველის ნომერი.

წინათქმა

სამოქალაქო კოდექსის კომენტარის წინამდებარე წიგნი ეძღვნება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს. კომენტარების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მასში გამოკვლეული და გადმოცემულია ზოგადი ვალდებულებითი სამართლის ყველა ფუძემდებლური საკითხი. ჩატარებული კვლევა, ანალიზი და ნორმათა განმარტებები ეყრდნობა დიდხალ სასამართლო პრაქტიკას, რაც, უდავოდ, ზრდის ამ ფუნდამენტური ნაშრომის ღირებულებას სამართლის პრაქტიკისა თუ მეცნიერებისათვის.

კერძო სამართლის ბუნება ყველაზე კარგად ჩანს ვალდებულებით სამართალში. ურთიერთობის მონაწილეთათვის მინიჭებული კერძო ავტონომია სამართლებრივ გამოხატულებას სწორედ ფარდობით ვალდებულებით ურთიერთობებში პოვებს. თავისუფლება და პასუხისმგებლობა კონცენტრირებულად ვალდებულებით სამართალში არსებობს და ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობის წინაპირობად გვევლინება. სახელმწიფოს ამოცანაა, აღიაროს და დაიცვას კერძო პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და დარღვევის შემთხვევაში ამ პირებს მიანიჭოს თავდაცვის ეფექტური საშუალებები. ამ ამოცანას ემსახურება ვალდებულებითი სამართალი, რომლის ზოგადი ნაწილი ვალდებულებითი ურთიერთობების საფუძვლებს, პრინციპებსა და ზოგად ჩარჩო პირობებს განსაზღვრავს.

სამოსამართლო სამართლისა და სამართლის მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით კომენტარში განხილულია ვალდებულებითი სამართლის პრინციპები, როგორებიცაა კეთილსინდისიერების, ხელშეკრულების თავისუფლების, ბრალეული პასუხისმგებლობის, ხელშეკრულების ერთგულებისა და სრული ანაზღაურების პრინციპები. ეს ყოველივე ნათელს ხდის ამ პრინციპების დიდ პრაქტიკულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

ვალდებულებითი სამართლის გულს სახელშეკრულებო სამართალი წარმოადგენს. მართალია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების როლი და მნიშვნელობა საგულისხმოა, მაგრამ ზოგადი ვალდებულებითი სამართლის ნორმების დიდი ნაწილი, უპირატესად, სახელშეკრულებო სამართლისთვისაა რელევანტური. აქედან გამომდინარე, არ არის შემთხვევითი, რომ კომენტარის ავტორები ვრცლად განიხილავენ სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელშეკრულებო სამართლის ნორმე-

ბის დიდი ნაწილი ასევე გამოიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობების მიმართ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კომენტარი, რომელიც შედარებითსამართლებრივი ანალიზისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, ქართულ სამართალში პირველად და ვრცლად მიმოიხილავს ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დებულებების სამართლებრივ ბუნებასა და პრაქტიკულ დანიშნულებას. ამ გადმოსახედიდან კომენტარი ხელს შეუწყობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უკეთესად გაგებასა და პრაქტიკაში მათ გამოყენებას.

კომენტარში განხილულია ზოგადი ვალდებულებითი სამართლის თითქმის ყველა საკითხი, რაც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს, იპოვოს პასუხი პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან და რელევანტურ მრავალ კითხვაზე. შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართველი იურისტების ბიბლიოთეკაში.

კომენტარის პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI-PROLoG) – ფინანსური და საექსპერტო მხარდაჭერის გარეშე. მისასალმებელია ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კომენტარის პროექტში მონაწილეობა და მის განხორციელებაზე ხელმძღვანელობის აღება, რამაც კომენტარის ტექსტის მუდმივი განახლება და შემდგომი ტომების გამოცემა უნდა უზრუნველყოს.

ლადო ქანტურია,

2019 წლის 8 სექტემბერი

წინათქმა

მოხარული ვართ, რომ მკითხველს, ამჯერად, უკვე „სამოქალაქო კოდექსის კომენტარის“ მესამე წიგნს (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი) წარვუდგინო. შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, უკვე გამოიცა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის, სანივთო სამართლის და ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარები და გამოცემისთვის ემზადება ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის კომენტარი.

„სამოქალაქო კოდექსის კომენტარის“ მესამე წიგნის გამოცემა დაკავშირებულია ასევე სიახლესთან, რომელიც განხორციელდა კომენტარის პროექტის მართვაში. ადგილობრივი აკადემიური ინსტიტუტების წახალისების მიზნით, პროექტის დამფინანსებლებმა გადაწყვიტეს მისი შევსების, განახლებისა და გამოცემის უფლება დაეთმოთ ქართული აკადემიური ინსტიტუტის სასარგებლოდ, რომელიც უზრუნველყოფდა, როგორც დარჩენილი წიგნების გამოცემას, ისე ბეჭდური და ონლაინ კომენტარის მუდმივ განახლებას. 2018 წელს ჩატარებული ღია კონკურსის შედეგებზე დაყრდნობით ეს უფლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს გადაეცა.

ამ გადაწყვეტილების პირველი შედეგი დღეს უკვე სახეზეა. ჩვენ მოხარული ვართ, რომ სამოქალაქო კოდექსის კომენტარის სარედაქციო ჯგუფი და ავტორები სტაბილურ ტემპს ინარჩუნებენ და ყოველ წელს თითო წიგნით ავსებენ სამოქალაქო კოდექსის კომენტარის სერიას. სარედაქციო ჯგუფის არსებული განრიგით უახლოეს მომავალში სამოქალაქო კოდექსის კომენტარის დარჩენილი წიგნებიც გამოიცემა. ასე, რომ 2020 წლის ბოლოს ქართულ იურიდიულ საზოგადოებას სამოქალაქო კოდექსის სრული კომენტარი ექნება.

დოქ. შალვა პაპუაშვილი,

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის
საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის
საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი

გიორგი ჩხეიძე

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების
სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული
აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის
(EWMU) პროგრამის - „კანონის უზენაესობის
მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) -
ხელმძღვანელი

წინასიტყვაობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ორგანიზებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარი მისი ელექტრონულად გამოცემის დღიდანვე იქცა ამ დარგის მთავარ ტექსტად, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც პრაქტიკოს იურისტთა და მეცნიერ-მკვლევართათვის, ისე საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში. 2019 წლიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, რომელიც საქართველოში წარმოადგენს ყველაზე დიდი ისტორიისა და ადამიანური თუ ორგანიზაციული რესურსების მქონე სასწავლო-კვლევით ინსტიტუციას, გადაიბარა ეს პროექტი და მომავალში უზრუნველყოფს კომენტარის დასრულებას, უკვე დასრულებული ნაწილების თავდაპირველი სტანდარტის დაცვით გამოცემას, მოგვიანებით კი ყველა ამ ნაწილის მუდმივ განახლება-გადახალისებას და სასამართლო პრაქტიკასა თუ სამართლის მეცნიერებაში არსებულ ტენდენციებთან შესაბამისობაში მოყვანას იმგვარად, რომ კომენტარმა სამომავლოდაც შეინარჩუნოს მონივნავე პოზიცია ქართულ ბაზარზე არსებული იურიდიული ლიტერატურის ნუსხაში. ამ მიზნით იურიდიული ფაკულტეტი ხანგძლივ პერსპექტივაში გეგმავს ასევე სამოქალაქო კოდექსის დარჩენილი წიგნების (საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი) კომენტარის ორგანიზებასა და თანმდევ გამოცემას, რათა ამგვარად უზრუნველყოს მისი ერთიან და სრულქმნილ ტექსტობრივ კორპუსად ჩამოყალიბება, რომელიც იქცევა ამ დარგის ქრესტომათიულ ნაშრომად და პრაქტიკული თუ სამეცნიერო დისკურსის განუყოფელ ნაწილად.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ფლობს პროექტის დასრულებისათვის, შემდგომი მართვისა და მუდმივი აქტუალობის შენარჩუნებისათვის ყველა აუცილებელ რესურსს. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები უმრავლესობით არიან წარმოდგენილი პროექტის სამეცნიერო ნაწილში (ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული, ბესარიონ ზოიძე, თამარ ზამბახიძე, მარიამ ცისკაძე, ზურა ძლიერიშვილი, ეკა ზარნაძე, ლია შატბერაშვილი, გიორგი ცერცვაძე, გიორგი სვანაძე, დემეტრე ეგნატაშვილი, გიორგი მახარობლიშვილი, სერგი ჯორბენაძე, ნუნუ კვანტალიანი, აკაკი განერელია, გიორგი რუსიაშვილი, ნატალია მოწონელიძე, სოფიო ჩაჩავა, თამარ ზარანდია) და კომენტარის ტექსტის უმთავრესი ნაწილიც მათი შესრულებულია. ეს წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ეს გუნდი მომავალშიც შეძლებს შეინარჩუნოს ის მაღალი სამეცნიერო სტანდარტი, რაც გამოარჩევს მოცემულ კომენტარს ქართულ ბაზარზე არსებული ყველა სხვა მსგავსი ტიპის ლიტერატურისაგან და მუდმივად იზრუნოს მის სრულყოფაზე.

პროექტის გადაბარების შემდგომ ფაკულტეტი რჩება ორგანიზატორთა ხედვისა და კონცეფციის ერთგული. შეეცდება, კიდევ უფრო მეტად შეუსაბამოს კომენტარი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ დოგმატურ პრობლემებსა და დარჩენილი ნაწილების კომენტირებისას ფართოდ გაითვალისწინოს ეს სასამართლო პრაქტიკა. შეეცდება, შეიმუშავოს თეორიული ბაზისი გერმანული დოქტრინის წიაღში შექმნილი სამართლებრივი ფიგურების გადმოღებისათვის, რომლებიც, მართალია, საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირებულია, თუმცა ჯერჯერობით ვერ მიაღწია სასამართლო პრაქტიკამდე. მოცემული კომენტარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის სისტემური ურთიერთკავშირის გამოკვეთა, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში. კომენტარი უკვე ქცეულია საუნივერსიტეტო კურიკულუმის განუყოფელ ნაწილად. ფაკულტეტი შეინარჩუნებს ამ მონაპოვარს და შეეცდება კომენტარის მუდმივ პოპულარიზაციას სტუდენტურ და სამეცნიერო წრეებში.

პროფესორი დოქ. **თამარ ზარანდია**

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

აბრევიატურების საძიებელი

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
დის.	დისერტაცია
იხ.	იხილეთ
კომენტ.	კომენტარი
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სკ	სამოქალაქო კოდექსი
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
შდრ.	შეადარეთ
Art.	Artikel, article
AT	Allgemeiner Teil
Aufl.	Auflage
Bd.	Band
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen
BVerfG	Bundesverfassungsgericht
BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts
Diss.	Dissertation
ed.	editor
f.	folgende
ff.	fortfolgende
HGB	Handelsgesetzbuch
Hrsg.	Herausgeber
Komm.	Kommentar
LG	Landesgericht
MüKo	Münchener Kommentar
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NJW-RR	Neue Juristische Wochenschrift – Rechtsprechungs-Report
OLG	Oberlandesgericht
p.	page
pp.	pages
S.	Seite
Rn.	Randnummer
usw.	und so weiter
Vol.	Volume
WM	Wertpapiermitteilungen (Zeitschrift)
ZPO	Zivilprozessordnung
C.	Страница

სარჩევი

წინათქმა.....	V
წინათქმა.....	VII
წინასიტყვაობა	VIII
აბრევიატურების საძიებელი.....	X

შესავალი ვალდებულებით სამართალში	1
მუხლი 316. ცნება	16
მუხლი 317. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები.....	31
მუხლი 318. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.....	52
მუხლი 319. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება	54
მუხლი 320. მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ბათილობა	67
მუხლი 321. ხელშეკრულება ქონების გადაცემის შესახებ	70
მუხლი 322. სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა.....	72
მუხლი 323. უძრავი ნივთის გასხვისების წესი.....	74
მუხლი 324. ნივთის დატვირთვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლები	79
მუხლი 325. ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე.....	81
მუხლი 326. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ წესების გამოყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ..	86

თავი მეორე

ხელშეკრულების დადება

მუხლი 327. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე	90
მუხლი 328. ხელშეკრულების ფორმა.....	99
მუხლი 329. ოფერტის გაკეთება	108
მუხლი 330. თანმყოფი და არათანმყოფი პირებისათვის გაკეთებული ოფერტი	116

მუხლი 331. აქცეპტი	121
მუხლი 332. დაგვიანებული აქცეპტი	126
მუხლი 333. ახალი ოფერტი	129
მუხლი 334. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი	133
მუხლი 335. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა	137
მუხლი 336. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება	143
მუხლი 337. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება ..	150
მუხლი 338. ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში	155
მუხლი 339. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები	158
მუხლი 340. შერეული ხელშეკრულებების განმარტება	166
მუხლი 341. ვალის არსებობის აღიარება	173

თავი მესამე

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

მუხლი 342. ცნება	181
მუხლი 343. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად	194
მუხლი 344. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი	202
მუხლი 345. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ	219
მუხლი 346. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო პირობათა ბათილობა	226
მუხლი 347. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა	243
მუხლი 348. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები	255

თავი მეოთხე**მესამე პირთა სასარგებლოდ
დადებული ხელშეკრულება**

- მუხლი 349.** ცნება 270
- მუხლი 350.** მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების
განმარტება 285
- მუხლი 351.** მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შექმნილ უფლებაზე 292

თავი მესამე**ხელშეკრულებიდან გასვლა**

- მუხლი 352.** ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 294
- მუხლი 353.** მოვალის ვალდებულება საგნის სათანადო გამოყენების
წესების დარღვევის გამო სარგებლის მიუღებლობისას 310
- მუხლი 354.** ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილ
ვალდებულებათა შესრულება 316
- მუხლი 355.** შეტყობინების ვალდებულება. ხელშეკრულებიდან გასვლისას
ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე
მხარისათვის შეტყობინებით 319
- მუხლი 356.** ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა 324
- მუხლი 357.** ხელშეკრულებიდან გასვლა რამდენიმე პირის მიერ 327
- მუხლი 358.** ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა 332
- მუხლი 359.** კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე 335
- მუხლი 360.** შეცდომა მორიგების საფუძვლებში 340
- მუხლი 361.** ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია 354
- მუხლი 362.** ვალდებულების შესრულების ადგილი 368
- მუხლი 363.** მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფლის შეცვლა 380
- მუხლი 364.** ვალდებულების შესრულება ვადამდე 383
- მუხლი 365.** ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის
განსაზღვრული ვადის არარსებობისას 388
- მუხლი 366.** ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის
დაუშვებლობა 404
- მუხლი 367.** ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის
უფლება 408

მუხლი 368.	ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას.....	413
მუხლი 369.	უარი ვალდებულების შესრულებაზე.....	422
მუხლი 370.	სამომხმარებლო კრედიტი	431
მუხლი 371.	ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ.....	439
მუხლი 372.	კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ.....	447
მუხლი 373.	ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ	453
მუხლი 374.	ალტერნატიული ვალდებულებანი	460
მუხლი 375.	შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევა.....	467
მუხლი 376.	ალტერნატიულ ვალდებულებათა არჩევის წესი	472
მუხლი 377.	ორზე მეტი შესასრულებელი ვალდებულების არჩევა	477
მუხლი 378.	ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება.....	478
მუხლი 379.	კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე	487
მუხლი 380.	ვალდებულების შესრულების ხარისხი.....	494
მუხლი 381.	ვალდებულების შესრულება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის არსებობისას.....	502
მუხლი 382.	ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას.....	507

თავი მეორე

ფულადი ვალდებულების შესრულება

მუხლი 383.	ცნება	513
მუხლი 385.	ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი	524
მუხლი 386.	ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი	534
მუხლი 387.	ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა.....	540
მუხლი 388.	სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი.....	545
მუხლი 389.	ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას	548

თავი მასამ**კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება**

მუხლი 390.	ცნება	561
მუხლი 391.	კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	571
მუხლი 392.	მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას.....	574
მუხლი 393.	კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები	578

კარი მასამ**ვალდებულების დარღვევა****თავი პირველი****ზოგადი დებულებანი**

მუხლი 394.	ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას	581
მუხლი 395.	ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ წინასწარი შეთანხმების დაუშვებლობა	597
მუხლი 396.	მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის	609
მუხლი 397.	მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას.....	614
მუხლი 398.	ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი	616
მუხლი 399.	უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე	625

თავი მეორე**მოვალის მიერ ვადის გადაცილება**

მუხლი 400.	ცნება	629
მუხლი 401.	ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა	637
მუხლი 402.	მოვალის პასუხისმგებლობა	644
მუხლი 403.	პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას.....	646
მუხლი 404.	კრედიტორის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე	653

თავი მესამე

**ვალდებულების დარღვევა ორმხრივი
ხელშეკრულების დროს**

- მუხლი 405.** დამატებითი ვადის დანესება ვალდებულების დარღვევისას..656
მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება.....675
მუხლი 407. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას680

პარი მეთხე

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

- მუხლი 408.** პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა..... 695
მუხლი 409. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა 712
მუხლი 410. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე
წინასწარ უარის თქმა 718
მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის..... 723
მუხლი 412. ზიანი, რომელზედაც ვრცელდება
ანაზღაურების მოვალეობა..... 733
744
მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის..... 745
მუხლი 414. ზიანის ოდენობის განსაზღვრა 753
მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში 766

პარი მესხთე

**მითხოვნის უზრუნველყოფის
დამატებითი საშუალებანი**

- მუხლი 416.** ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით
საშუალებათა სახეები..... 779

თავი პირველი

პირგასამტეხლო

- მუხლი 417.** ცნება 780
მუხლი 418. პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა 792

- მუხლი 419.** პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნის დაუშვებლობა 796
- მუხლი 420.** პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ.....800

თავი მეორე

ბე

- მუხლი 421.** ცნება 813
- მუხლი 422.** ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში..... 819
- მუხლი 423.** ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში..... 821

თავი მესამე

მოვალის გარანტია

- მუხლი 424.** ცნება 823
- მუხლი 425.** გარანტიის ნამდვილობა 828
- მუხლი 426.** გარანტიის ფორმა..... 831

კარი მეთექვსე

ვალდებულების შეწყვეტა

თავი პირველი

ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

- მუხლი 427.** ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ 832
- მუხლი 428.** ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით 842
- მუხლი 429.** ვალდებულების შესრულების მიღება 846
- მუხლი 430.** შესრულების მიღების დოკუმენტების რეკვიზიტები 850
- მუხლი 431.** სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება..... 852
- მუხლი 432.** შესრულების შესახებ დოკუმენტების გაცემის ხარჯების ანაზღაურება 855
- მუხლი 433.** უარი შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო 856

თავი მეორე

ვალდებულების შეწყვეტა დავონირებით

მუხლი 434. ცნება 858

მუხლი 435. დეკონირებული ქონების გადაცემა კრედიტორისათვის 862

მუხლი 436. დეკონირებაუნარიანი საგნები 863

მუხლი 437. შენახვის ადგილი 864

მუხლი 438. კრედიტორისაგან საგნის მიღების მოთხოვნა 865

მუხლი 439. შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება 866

მუხლი 440. შენახული საგნის უკან გამოთხოვა მოვალის მიერ 867

მუხლი 441. შესრულების საგნის შენახვის ვადა 871

თავი მესამე

**ვალდებულების შეწყვეტა
ურთიერთმოთხოვნათა ბაჰვიით**

მუხლი 442. ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობა 872

მუხლი 443. გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას 882

მუხლი 444. გასაქვითი მოთხოვნები 884

მუხლი 445. რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა 885

მუხლი 446. ვალდებულებათა გაქვითვა შესრულების სხვადასხვა ადგილის
არსებობისას 887

მუხლი 447. მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობა 889

თავი მეოთხე

ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით

მუხლი 448. ცნება 893

მუხლი 449. ვალის პატივების შედეგები სხვა სოლიდარული
მოვალეებისათვის 901

მუხლი 450. ძირითადი მოვალისათვის ვალის პატივების შედეგები 903

მუხლი 451. ორმხრივ ხელშეკრულებებში მოთხოვნაზე უარის თქმის
შედეგები 905

თავი მესუთა

ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

- მუხლი 452.** ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება 907
- მუხლი 453.** ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო 909
- მუხლი 454.** ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო 911

კარი მუხვიდა

კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში

თავი პირველი

სოლიდარული კრედიტორები

- მუხლი 455.** სოლიდარული უფლებამოსილება 913
- მუხლი 456.** სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები 920
- მუხლი 457.** ვალდებულების შესრულება ნებისმიერი კრედიტორის წინაშე 927
- მუხლი 458.** ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი კრედიტორისათვის ... 932
- მუხლი 459.** ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის უარის თქმის შედეგები 939
- მუხლი 460.** სხვა კრედიტორთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების დაუშვებლობა 944
- მუხლი 461.** სოლიდარული კრედიტორის მემკვიდრეთა უფლებები 950
- მუხლი 462.** სოლიდარული კრედიტორის მოვალეობა დანარჩენი სოლიდარული კრედიტორების წინაშე 954

თავი მეორე

სოლიდარული მოვალეები

- მუხლი 463.** სოლიდარული ვალდებულება 961
- მუხლი 464.** სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები 967

მუხლი 465. კრედიტორის უფლება მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისაგან.....	974
მუხლი 466. სოლიდარული მოვალის შესაგებელი კრედიტორის მიმართ.....	979
მუხლი 467. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შედეგები	982
მუხლი 468. სხვა სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტების ...	987
მუხლი 469. სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ.....	993
მუხლი 470. შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები	998
მუხლი 471. სოლიდარული მოვალის მემკვიდრეთა უფლებები	1004
მუხლი 472. კრედიტორის მოთხოვნის გაერთიანება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან	1009
მუხლი 473. უკუმოთხოვნის უფლება ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებისას	1013
მუხლი 474. სოლიდარული მოვალის ვალაუვალობის შედეგები	1022
მუხლი 475. სოლიდარული მოვალის კომპენსაცია.....	1026
მუხლი 476. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები	1030

შესავალი ვალდებულებით სამართალში

- I. ვალდებულებითი სამართალი და მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში 1
 - 1. ვალდებულებითი სამართლის ადგილისამოქალაქო კოდექსის სისტემაში 1
 - 2. ვალდებულებითი სამართლის რეგულირების საგანი 2
 - 3. ევროპული კოდიფიკაციების გავლენა ქართულ ვალდებულებით სამართალზე 3
- II. ვალდებულებითი სამართლის თავისებურებანი 6
 - 1. ვალდებულებითი სამართლის პრინციპები 6
 - 2. ვალდებულებითი ურთიერთობის ცნება 10
 - 3. ვალდებულებითი ურთიერთობის ფარდობითი ბუნება 10
 - ა. არსი 10
 - ბ. გამონაკლისები 11
 - 4. სამართლებრივი ბოჭვის სურვილი და ყოფითი ურთიერთობები 11
 - 5. არასრულყოფილი ვალდებულებები 14
 - 6. ფაკულტატიური ვალდებულება 15

I. ვალდებულებითი სამართალი და მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში

1. ვალდებულებითი სამართლის ადგილისამოქალაქო კოდექსის სისტემაში

ვალდებულებითი სამართალი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის შესამე ნიგნში. ის შედგება ზოგადი (316-476) და კერძო ნაწილებისაგან (477-1016), მოიცავს 700-ამდე მუხლს და არის კოდექსის სისტემაში შემავალი ყველაზე მოცულობითი და იმავდროულად ყველაზე დინამიკური ინსტიტუტი. ზოგადი ნაწილი არეგულირებს ვალდებულების წარმოშობასთან, შესრულებასთან, შეუსრულებლობასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. კერძო ნაწილში დარეგულირებულია ვალდებულებით ურთიერთობათა სპეციალური შემთხვევები, რომელთაც კოდექსი, მათი წარმოშობის თავისებურებათა გათვალისწინებით (იხ. 317I), სახელშეკრულებო (477-952) და კანონისმიერ ვალდებულებებად (953-1016) ყოფს.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი მოიცავს უზოგადეს დებულებებს ვალდებულებათა შესახებ და შედგება 7 კარისა და 162 მუხლისაგან. მისი უდიდესი ნაწილი ეთმობა სახელშეკრულებო ვალდებულებებს, თუმცა, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ეს უკანასკნელი ასევე გამოიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მოსაწესრიგებლად (იხ. 326).

ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის პირველი კარი ეთმობა **სახელშეკრულებო ურთიერთობებს**. ამ კარში დარეგულირებულია ხელშეკრულებათა საკმაოდ ფართო სპექტრი. გარდა ტრადიციული, ტიპური

სახელშეკრულებო ურთიერთობებისა, სამოქალაქო კოდექსი იცნობს ე.წ. ატიპურ და სიმბიოტიკურ სახელშეკრულებო ურთიერთობებს, როგორებიცაა, მაგ., ფრენშიაიზინგი (607 და მომდევნო მუხლები) და ლიზინგი (576 და მომდევნო მუხლები). ამასთანავე, გაფორმებად ხელშეკრულებათა წრე ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის კატალოგით არ შემოიფარგლება და, სანივთო სამართლისგან განსხვავებით, **არ იზღუდება სახელშეკრულებო ტიპების numerus clausus-ით**, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში (იხ. 319 I 2) მხარეებს უფლება აქვთ, დადონ ისეთი ატიპური და შერეული ხელშეკრულებები, რომლებიც კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

- 4 ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მეორე კარში მონესრიგებულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები შემდეგი თანმიმდევრობით: საზიარო უფლებები (953-968), დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (969-975), უსაფუძვლო გამდიდრება (976-991) და დელიქტური ვალდებულებანი (992-1016).
- 5 სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნი არ არის ყოვლისმომცველი და როგორც სახელშეკრულებო ასევე კანონისმიერ ვალდებულებათა გარკვეული საკითხები გამოტანილია დარგობრივ კოდიფიკაციებში (შრომითი ხელშეკრულებები, საბანკო საქმიანობა, დაზღვევის ხელშეკრულება, დისკრიმინაცია, გადახდისუუნარობის საქმეები), ან მიმოზნეულია სამოქალაქო კოდექსის სხვა წიგნებში, რაც მათი სისტემური კუთვნილებით აიხსნება (მაგ., საქორწინო კონტრაქტი).
- 6 სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება **სპეციალურობის პრინციპს**, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადი ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური, უფრო კონკრეტული ნორმა (ზოგადი ნორმების სუბსიდიური მოქმედება).¹ შესაბამისად, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის ნორმები (477-1016) ზოგადი ნაწილის ნორმებთან მიმართებით, როგორც წესი, სპეციალური ნორმის (*lex specialis*) უპირატესობით სარგებლობენ (იხ. 2 II). კერძო ნაწილის ნორმები, თავის მხრივ, ზოგადია იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის მიღმა, სპეციალური კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

2. ვალდებულებითი სამართლის რეგულირების საგანი

- 7 ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობებს. ვალდებულებითია ურთიერთობა, რომლის საფუძველზე ერთ მხარეს (კრედიტორს) შეუძლია, მოსთხოვოს მეორე მხარეს (მოვალეს) ამა თუ იმ ქმედების **შესრულება** (316 I). ამავდროულად, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, როგორც კრედიტორს, ასევე მოვალეს შეიძლება ეკისრებოდეს ერთმანეთის ქონებისა და ინტერესებისადმი განსაკუთრებული **გულისხმიერება**, ანუ კრედიტორის კანონით დაცულ სიკეთეთა ორგანული სიმრთელის შენარჩუნებაზე ზრუნვა (316 II).

ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალე ვალდებულია, შეასრულოს

¹ ბიოლინგი/ლუტრინგვაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 21.

(316 I), კოდექსის მესამე წიგნს მიღმაც გვხვდება. ასეთ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, მაგ., გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოვალეობა (79 II 1), ზიანის ანაზღაურების მოვალეობა იმ ქმედებისათვის, რომელიც ხელს უშლის ვალდებულების შესრულებას გარკვეული პირობის დადგომის შემთხვევაში (95 II), ცრუ წარმომადგენლის პასუხისმგებლობა (113), საქორწინო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობა (1172 და მომდევნო მუხლები), რჩენის მოვალეობა (1182 და მომდევნო მუხლები), სავალდებულო წილიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობანი ანდერძითა და კანონით მემკვიდრეებს შორის (1371 და მომდევნო მუხლები), ვალდებულებითი ურთიერთობა ლეგატსა და ბენეფიციარს შორის (1383 და მომდევნო მუხლები),² ვალდებულებითი ურთიერთობანი ნივთის მპოვნელსა და დამკარგავს შორის (191), ვალდებულებითი ურთიერთობანი მესაკუთრესა და უზუფრუქტუარს შორის (245), ვალდებულებითი ურთიერთობანი მესაკუთრესა და გირავნობის კრედიტორს შორის (261). თუ მათი ბუნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ეს ურთიერთობები სუბსიდიურად რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის ნორმებით. რაც შეეხება სხვა სანივთოსამართლებრივ მოთხოვნებს, ისინი თვისებრივად არ მიეკუთვნებიან ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნებს და მათზე პირდაპირ არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის მუხლები. თუმცა, თუ ეს სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის არსს არ ეწინააღმდეგება, შესაძლებელია, ვალდებულებითი სამართლის ნორმები ანალოგიით სანივთოსამართლებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად იქნეს გამოყენებული.

3. ევროპული კოდიფიკაციების გავლენა ქართულ ვალდებულებით სამართალზე

კოდექსის მესამე წიგნზე მუშაობისას, ძირითადად, **გერმანული სამართლის მდიდარი გამოცდილება იქნა გათვალისწინებული**, თუმცა მასში ასევე აისახა საერთაშორისო უნიფიცირებული აქტებისა და ფრანგული, შვეიცარიული და ჰოლანდიური კოდიფიკაციების მიღწევები.³ ყველაფერი ეს ქართველი კანონმდებლის ევროპული ორიენტაციის გამოძახილი იყო და ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოებას ისახავდა მიზნად.⁴ კოდიფიკაციის პროცესში ცალკეულ საკანონმდებლო აქტებთან ერთად გათვალისწინებულ იქნა ზემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი სისტემების დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკაც. ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1997 წლისათვის სამოქალაქო კოდექსი კოდიფიცირებული ფორმით იცნობდა იმ ინსტიტუტებს, რომლებიც გერმანიაში 2002 წლამდე სამოსამართლო სამართლის სახით მოქმედებდა, ან ჯერ კიდევ უცხო იყო სხვა ევროპული კოდიფიკაციებისთვის.⁵ ამ გარე-

2 ასევე იხ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 7.

3 Chanturia, Das neue Zivilgesetzbuch Georgiens, Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 2001, S. 900; Zoidze, The System and Principles of the Law of Obligations of Georgia, 2001, p. 1102.

4 ჯორბენაძე, საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 1994, გვ. 142.

5 კეთილსინდისიერების პრინციპის მაგალითისათვის იხ.: ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქა-

მოებათა გამო სამოქალაქო კოდექსში აისახა თანამედროვე კერძო სამართლის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრინციპი,⁶ თუმცა მათი რესურსი სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არ არის სრულად რეალიზებული. სხვა ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ეს შესაძლოა, აიხსნას კოდექსისთვის დამახასიათებელი საკანონმდებლო ხარვეზებით,⁷ ტერმინოლოგიური და მთარგმნელობითი უზუსტობებით,⁸ წყაროთა სიმწირით, ხანაც კი სიახლის სიუცხოვითა და კომპლექსურობით.

9 კანონმდებლის სწრაფვა – შეექმნა ევროპულ პრინციპებზე დაფუძნებული კერძო სამართლის სისტემა – გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა განმარტებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლის მიზანი, შეექმნა ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი კანონმდებლობა, ქალაქდზე დარჩება და პრაქტიკულად არ განხორციელდება (*law in books vs. law in action*). ამ მიზნის მისაღწევად, ცალკეულ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს **შედარებითსამართლებრივი მეთოდი**, თუ ეს კონკრეტული ნორმის არსის დასადგენად აუცილებელია. ეს ტენდენცია შეინიშნება სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგ., ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლის განმარტების მიზნით, ამ ნორმის გერმანული ანალოგი და შესაბამისი დოქტრინა მოიშველია, რის მეშვეობითაც დააზუსტა სადავო ნორმის შინაარსი, რაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით ვერ ზუსტდებოდა.⁹ მსგავსი ტენდენცია ვლინდება ზედა ინსტანციის სასამართლოთა ბოლო პერიოდის სხვა გადაწყვეტილებებშიც.¹⁰

10 სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შედარებითი მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კანონებთან მიმართებით, რომელთა მიღებაც ასოცირების შესახებ შეთანხმების¹¹ ფარგლებში ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰა-

რთველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14 და შემდგომი.

6 საილუსტრაციოდ შეიძლება ქორწინების განმავლობაში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების (სკ. 133), წინასახელშეკრულებო ბრალისა (სკ. 317, II) და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტების დასახელება (სკ. 398).

7 იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 355-357 პარაგრაფები, რომლებიც ქართველმა კანონმდებელმა სრულფასოვნად არ გაითვალისწინა. გერმანულ სამართალში ამ ნორმათა მნიშვნელობაზე იხ.: *Reiner, Der verbraucherschützende Widerruf im Recht der Willenserklärungen*, AcP 203, 2003, S. 1–45.

8 ცალკეული მაგალითებისათვის იხ.: *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 112 და შემდგომი.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 მარტის № ას-1058-1325-09 გადაწყვეტილება (ასვეე იხ. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

10 მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის № ას-1224-1149-2015 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის № ას-898-848-2015 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის № ას-857-821-2014 გადაწყვეტილება.

11 საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი 200/42, 27/06/2014, გამოქვეყნების თარიღი 11/09/2014, სარეგისტრაციო კოდი 480610000.03.030.016275. გასათვალისწინებელია, რომ ასოცირების შეთანხმებას ხელი მოწერა 2014 წლის 27 ივნისს. შესაბამისად, შეთანხმების გარკვეული ნაწილი (მათ შორის დანართები) ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან და დაინფო მისი აღსრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ასოცირების შეთანხმების დანართებით გათვალისწინებული ვალდე-

რმონიზაციის საზღვრებში ხდება. ამ კანონების განმარტებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ჰარმონიზაციის მიზანი, რეცეფციის პირველწყარო და განმარტების ურთიერთგამომრიცხავ შედეგთა შორის უპირატესობა მიენიჭოს იმ შედეგს, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს დგას ამ მიზანთან.¹² ასოცირების შესახებ შეთანხმების დებულებები და, მათ შორის, ჰარმონიზაციის კომპონენტი, შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოსთვის.¹³ საქართველომ შესაბამის ვადებში უნდა მოახდინოს შეთანხმებით გათვალისწინებული აქტების ტრანსფორმაცია ეროვნულ კანონმდებლობაში, რის შემდეგაც ეს აქტები ასიმილირდება ქართულ კანონმდებლობაში და მის ინტეგრირებულ ნაწილად იქცევა. *acquis communautaire*-ის ტრანსფორმაციის შემდეგ მნიშვნელოვანი იქნება, რომ ევროპულ საწყისებზე რეფორმირებული კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამისი აქტებისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის კონტექსტში განიმარტოს.¹⁴ ეს პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ორი ფაქტორის გათვალისწინებით: პირველი ფაქტორი ისაა, რომ ასოცირების შეთანხმებით მიღწეული ინტეგრაციის ხარისხი ევროკავშირის შიდაინტეგრაციის ანალოგიური არ არის და, განსხვავებით ევროკავშირის ხელშეკრულებებისა, ასოცირების შეთანხმებით ჩამოყალიბებული ურთიერთობა კლასიკური საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის მხარეებიც თანაბარუფლებიანი სუბიექტები არიან. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმება არ გულისხმობს საქართველოს მიერ ევროკავშირზე სუვერენიტეტის გადაცემას ან საქართველოს ევროკავშირის ორგანოთა გადანყვეტილებებით უშუალოდ ბოჭყვას; მეორე გასათვალისწინებელი ფაქტორია ის, რომ საქართველო იბოჭება ასოცირების შეთანხმებით და მისი მიზნებით, როგორც საერთაშორისო სამართლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ასოცირების შეთანხმებით დადგენილი საერთა-

ბულებების შესრულების ვადაც აითვლება სწორედ 2014 წლიდან და არა 2016 წლის 1 ივლისიდან. იხ. ევროკავშირის საბჭოს გადანყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმების გარკვეული ნაწილების ამოქმედებას შეთანხმების ძალაში შესვლამდე, Council Decision of 16 June 2014 on the signing, on behalf of the European Union, and provisional application of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (2014/494/EU).

- 12 იხ. ECJ case, *von Colson and Kamann v Land Nordrhein-Westfalen*, R-14/83, 10 Apr 1984: „Although the third paragraph of article 189 of the treaty leaves member states free to choose the ways and means of ensuring that the directive is implemented, that freedom does not affect the obligation, imposed on all the member states to which the directive is addressed, to adopt, within the framework of their national legal systems, all the measures necessary to ensure that the Directive is fully effective, in accordance with the objective which it pursues {...} It follows that, in applying national law and in particular the provisions of a national law specifically introduced in order to implement a directive, the national court is required to interpret its national law in the light of the wording and the purpose of the directive in order to achieve the result referred to in the third paragraph of article“
- 13 იხ. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენციის (ქ. ვენა, 1969 წლის 23 მაისი, საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 08/07/1995, სარეგისტრაციო კოდი 480610000.03.030.016300) 26-ე მუხლი: „ყოველი ძალაში მყოფი ხელშეკრულება სავალდებულოა მისი მხარეებისთვის და მათ მიერ კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს.“ საერთაშორისო სამართალში *pacta sunt servanda* პრინციპის შინაარსსა და მის ფარგლებთან დაკავშირებით იხ. *Binder, Die Grenzen der Vertragstreue*, 2013.
- 14 *Zahorka, European Fundamental Standards – a Challenge for Georgian Lawyers from the View of the European Union*, „სამართალი და მსოფლიო“, 3/2015, გვ. 8.

შორისო სამართლებრივი ვალდებულება¹⁵ საკმარისი საფუძველია, რათა *acquis communautaire*-ის ტრანსფორმაციის საფუძველზე განახლებული/შექმნილი კანონმდებლობა ევროპულ წყაროთა ჭრილში განიმარტოს და ამით ხელი შეეწყოს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და თანმიმდევრული ევროინტეგრაციის პროცესს. ამგვარი მიდგომის აუცილებლობაზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლიც, რომლის თანახმად, „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. შესაბამისად, ეროვნულმა მართლმსაჯულების სისტემამ უნდა განავითაროს იმგვარი მიდგომა, რომელიც მას საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს მართლმსაჯულებითი სუვერენიტეტი, თუმცა, ამასთანავე, ხელი შეუწყოს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტურ შესრულებას (*effet utile*¹⁶) და თავისი წვლილი შეიტანოს იმ მიზნის მიღწევაში, რომელსაც ასოცირების შეთანხმება ემსახურება.¹⁷

II. ვალდებულებითი სამართლის თავისებურებანი

1. ვალდებულებითი სამართლის პრინციპები

11 ვალდებულებითი სამართალი ეფუძნება გარკვეულ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც სამართლის ამ ინსტიტუტის ღირებულებათა სისტემას და მის სოციალურ-პოლიტიკურ არქიტექტურას ქმნიან. ეს პრინციპები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სამოქალაქო კოდექსის განმარტებისა და მასში საკანონმდებლო ხარვეზების შევსების პროცესში.

12 ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **კეთილსინდისიერების პრინციპი**. ამ პრინციპზე დაფუძნებულია მთელი სამოქალაქო მართლწესრიგი.¹⁸ კეთილსინდისიერების პრინციპი არის ადამიანის უფლებათა გარანტიების კერძო სამართალში რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი.¹⁹ კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო

15 „საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXIX დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.“ (მუხლი 347). ასევე იხ. მუხლი 354.

16 იგივე principle of effectiveness („ut res magis valeat quam pereat“). საერთაშორისო ხელშეკრულებათა ამ მეთოდით განმარტებასთან დაკავშირებით იხ. *Linderfalk, On The Interpretation of Treaties*, 2007, p. 218; *Seyr, Der effet utile in der Rechtssprechung des ECJ*, 2008; *Oettingen, Effet utile und individuelle Rechte im Recht der Europaeischen Union*, 2010; *Kullmann, The Principle of Effet Utile and Its Impact on National Methods for Enforcing the Rights of Posted Workers*, 3, 29/2013, pp. 283–303; *Šadl, The role of effet utile in preserving the continuity and authority of European Union law*, 2015, pp. 18–45.

17 *მაისურაძე/ულხანიშვილი/ვაშაკიძე*, ევროკავშირის კერძო სამართალი I, 2018, გვ. 25 და შემდგომში.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

19 *ჩაჩანიძე*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2010, გვ. 22, 24.

სამართლის უმთავრესი²⁰ და ზოგადსავალდებულო პრინციპია, რომელიც არ შემოიფარგლება ვალდებულების შესრულების სეგმენტით (იხ. 8 III, 361 II).²¹ კეთილსინდისიერი ქცევა ევალება ვალდებულებითი ურთიერთობის ნებისმიერ მონაწილეს და არ ექვემდებარება ხელშეკრულებით შეზღუდვას ან გამორიცხვას.²² კეთილსინდისიერების პრინციპიდან იწარმოება, ივსება ან მას ეფუძნება ვალდებულებითი სამართლის ისეთი ცენტრალური ნორმები, როგორებიცაა, მაგ.: 115, 316 II, 361 II, 398, 399 მუხლები. ამ ნორმების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სახეზეა კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტების მაგალითები, შესაბამისად ნორმის განმარტების შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ პრინციპის არსთან;²³ საეჭვოობისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ განმარტებას, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპთან უფრო ახლოს დგას. კეთილსინდისიერების პრინციპი აქტუალურია ხელშეკრულებათა მომზადების (317 II, 318), განმარტებისა (52, 337-340)²⁴ და შესრულების (115, 316 II, 361 II)²⁵ ეტაპებზე. ცალკეულ შემთხვევებში, იგი ასევე მოქმედებს და გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგაც.²⁶

მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულებით სამართალს, **ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპია**.²⁷ ეს პრინციპი ნაწარმოებია კერძო ავტონომიის ცნებიდან და მისი

13

20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

21 ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 38 და შემდგომი.

22 ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 38; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

23 ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 58.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება; ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14, 54 და შემდგომი.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

26 ეს ისეთი შემთხვევებია, როცა ვალდებულების ხასიათიდან ხელშეკრულების შედეგების მიმართ განგრძობითი ლოიალურობის ვალდებულება გამომდინარეობს (*culpa post contractum finitum*). მაგ. თუ სანარმოს გასხვისებასთან ერთად ხდება კლიენტთა პორტფელების გასხვისებაც, რაც ორივე მხარისათვის ცნობილია და ხელშეკრულების ერთ-ერთ საფუძველსაც წარმოადგენს, გამყიდველი ვალდებულია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავი შეიკავოს მყიდველის მიმართ კონკურენტული ქმედებებისაგან და არ მოახდინოს კლიენტურის გადაბირება. ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბ-

სატელიტია ვალდებულებით სამართალში. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, დადონ ან არ დადონ ხელშეკრულება, კანონის ფარგლებში შეუზღუდავად განსაზღვრონ მისი ფორმა, შინაარსი და სამართლებრივი შედეგები (319 I).²⁸ ამ თავისუფლებას კანონმდებელი მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ზღუდავს (მაგ., 319 II, III). ეს შეზღუდვები შესაძლოა, იცავდეს მხარეებს აჩქარების (მაგ., სავალდებულო ფორმის მოთხოვნა) ან დისკრიმინაციისაგან (319 II, 346-348), ან საჯარო წესრიგისა და მორალის განმტკიცების მიზანს ემსახურებოდეს.

14 გერმანული სამართლის ოჯახის სხვა წევრების მსგავსად, სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება **ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს** (395, 992).²⁹ ამ პრინციპის თანახმად, პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის ან სამართლით დაცული სიკეთის ხელყოფისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მიუხედავად მთელი რიგი გამონაკლისებისა, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ჯერ კიდევ დომინანტ მდგომარეობას ინარჩუნებს როგორც სახელმეკრულებო, ასევე დელიქტურ სამართალში (იხ. 395-ე მუხლის კომენტ.).

15 ვალდებულებითი სამართლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია **ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპი**, რომელიც დოქტრინასა და პრაქტიკაში ლათინური ფრაზეოლოგიზმით – *pacta sunt servanda* – არის დამკვიდრებული.³⁰ ეს კონტინენტური სამართლის პრინციპი ქართულ სამართალში გერმანული სამართლის გავლენით შემოვიდა. ვინც დებს ხელშეკრულებას, იბოჭება ამ ხელშეკრულებით, მაშინაც კი, თუ მას ხელშეკრულების მიმართ თავდაპირველი ინტერესი აღარ ამოძრავებს (სახელმეკრულებო თვითბოჭვა³¹). ეს წესი თანაბარნილად ვრცელდება როგორც მოვალეზე, ისე კრედიტორზე. მოვალემ უნდა შეასრულოს ხელშეკრულება, ხოლო კრედიტორი უნდა დარჩეს სახელმეკრულებო ურთიერთობაში, თუ სახეზე არ არის კანონით დადგენილი წინაპირობები, რომლებიც მას

რის № ას-233-225-2013 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის N ას-579-545-2010 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება); ასევე იხ. *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 105.

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის № ას-382-691-05 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 93.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის № ას-494-463-2010 გადაწყვეტილება.

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ას-1434-1449-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ას-1434-1449-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციო გასაჩივრებული გადაწყვეტილება); ასევე იხ. *ჭანტურია*, სკის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 45; *ბეგიაშვილი*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/2011, გვ. 9.

31 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 91.

ამ „ტირთისგან“ ათავისუფლებს (მაგ.: 398, 399, 405). ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა ე.წ. დამატებითი ვადის ინსტიტუტი (*Nachfrist*). ეს ინსტიტუტი კრედიტორს არათუ უფლებას აძლევს, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (დამატებითი) შესრულება მოითხოვოს, არამედ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აიძულებს მას, ასე მოიქცეს (394 II, III, 405 I).³² ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის არგანსაზღვრის შემთხვევაში, კრედიტორი შეზღუდულია, გამოიყენოს სხვა მეორეული მოთხოვნები, მაგალითად, ის ვერ შეძლებს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და/ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ბუნებრივია, რომ *pacta sunt servanda*-ს პრინციპის დაცვა არ სრულდება მატერიალური სამართლის ეტაპზე და იგი პროცესუალურადაც გამყარებულია. შედეგად, კრედიტორს, რომლის მოთხოვნასაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს, უფლება აქვს, მიკუთვნებითი სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოახდინოს აღსრულება *in forma specifica*, თუ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ვალდებულებითი სამართლის კიდევ ერთ ფუნდამენტურ პრინციპად შეიძლება მივიჩნიოთ **სრული ანაზღაურების პრინციპი** (*Prinzip der Totalreparation*), რომელიც სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლშია ინკორპორირებული. ამ პრინციპის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება სრული ზიანი და იმ პირმა, რომელიც მოვალეა, აანაზღაუროს ზიანი, უნდა შექმნას ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ზიანის გამომწვევი ქმედება. დაზიანებული ინტერესის მიხედვით ეს შეიძლება ითვალისწინებდეს იმ *status quo*-ს აღდგენას, რომელიც არსებობდა ზიანის მიყენებამდე ან/და იმ სტატუსის მიღწევას, რომელიც იარსებებდა, რომ არა ზიანის გამომწვევი ქმედება (*status ad quem*). იმ შემთხვევაში, თუ ნატურით რესტიტუცია (სრულად) შეუძლებელია ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, მოვალე ნატურით რესტიტუციას ანაცვლებს/ავსებს ფულადი კომპენსაციით და ამგვარად ახდენს მეორე მხარის ხელყოფილი ინტერესის ანაზღაურებას (ს.კ. 409).

16

32 ამ პრინციპიდან ცალმხრივად გადახვევის საშუალება კრედიტორს მაშინაც არ ეძლევა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლით მეორე მხარის ინტერესები არ დაზარალდება, ხოლო კრედიტორი უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, ვიდრე ხელშეკრულებაში დარჩენის შემთხვევაში ნახავდა (ე.წ. *efficient breach of contract doctrine*). მაგ. „ა“ (გამყიდველი) და „ბ“ (მყიდველი) დადებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას რაიმე ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ საგანზე, რომლის მყიდველისათვის გადაცემა მოგვიანებით უნდა მოხდეს. საგნის საბაზრო ღირებულება 100 დოლარია. „ა“-ს პოზიტიური ინტერესი ტრანზაქციაში 20 დოლარი, რადგან მას ეს საგანი 20 დოლარით იაფად აქვს შეძენილი, ხოლო „ბ“-ს დაინტერესება ტრანზაქციაში 10 დოლარია, რადგან ბაზარზე მსგავსი საგნის შეძენა 110 დოლარად არის შესაძლებელი. მოულოდნელად „ა“-ს გამოუჩნდება ახალი მყიდველი, რომელიც მზად არის ეს საგანი შეიძინოს 130 დოლარად. სამოქალაქო კოდექსი „ა“-ს არ აძლევს უფლებას, თავი დააღწიოს ძველ ხელშეკრულებას და მიჰყიდოს საგანი ახალ მყიდველს, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მონაწილისათვის ეს შედეგი ეკონომიურად სარგებლიანი იქნება („ა“-ს მოგება მეორე ხელშეკრულებიდან 50 დოლარი იქნებოდა, საიდანაც იგი „ბ“-ს ზიანის სახით აუნაზღაურებდა 10 დოლარს, რითაც ეს უკანასკნელი ბაზარზე მსგავსი თვისებების მქონე სხვა საგანს შეიძენდა).

2. ვალდებულებითი ურთიერთობის ცნება

- 17 ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობებს. ვალდებულებითი ურთიერთობა – ესაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ფარდობითი ხასიათის ურთიერთობა, რომელიც სხვა უფლებებთან ერთად მოიცავს კრედიტორის უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს გარკვეული მოქმედების განხორციელება ან ასეთისგან თავის შეკავება (შესრულება), და გულისხმობს ორივე მხარის მოვალეობას, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინონ ერთმანეთის ქონებისა და ინტერესებისადმი.
- 18 ვალდებულების სინონიმად კოდექსი ხშირად იყენებს მოვალეობის ცნებას (მაგ., იხ. 477 I). მსგავსი ტენდენციები შეიმჩნევა პრაქტიკასა და ლიტერატურაშიც. ცნებათა კონსოლიდაციის მიზნით *de lege ferenda* სასურველია, არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე გაკეთდეს ან მოხდეს მათი ცალსახა გამიჯვნა.

3. ვალდებულებითი ურთიერთობის ფარდობითი ბუნება

ა. არსი

- 19 ხელშეკრულება არ წარმოშობს ვალდებულებებს მესამე პირთათვის.³³ კრედიტორს შეუძლია მხოლოდ მოვალეს, და არა მესამე პირს, მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება (იხ. 316 I),³⁴ ხოლო მის მოთხოვნას არ შეიძლება დაუპირისპირდეს შესაგებელი, რომელიც ეფუძნება მესამე პირის ხელთ არსებულ მოთხოვნებს ან უფლებებს (*exceptio ex iure tertii non datur*).³⁵
- 20 ვალდებულების ფარდობითი ბუნება გამომდინარეობს კერძო ავტონომიის ნეგატიური ფუნქციიდან, რაც გულისხმობს შემდეგს: პირი უფლებამოსილია, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს არა მხოლოდ ის, თუ როდის, ვისთან და რა პირობებით დადებს ხელშეკრულებას, არამედ ისიც – დადებს თუ არა საერთოდ ხელშეკრულებას და იკისრებს თუ არა რაიმე ვალდებულებას (ამ წესის შეზღუდვა იხ. 319 II). ვალდებულებითი სამართლის ფარდობითი ბუნება მკაფიოდ ვლინდება ხელშეკრულების შესრულებასთან მიმართებითაც. 373-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს უშუალოდ კრედიტორის მიმართ, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.³⁶ ეს

33 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 25 და შემდგომი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის № 2ბ/5180-14 გადაწყვეტილება.

34 თუნდაც ეს მესამე პირი იყოს ის, ვის სასარგებლოდაც წარმოიშვა თავდაპირველი ვალდებულება (სკ-ის 349-ე მუხლი). ასევე იხ. კრედიტორის სამოქ. საქმეებზე 2001, სუსგ № 3პ/338, გვ. 422; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის № ას-985-1230-04 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის № ას-810-1097-09 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის № ას-951-989-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 მაისის № ას-1247-1176-2012 გადაწყვეტილება; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 25.

35 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 41.

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის № ას-951-989-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 მაისის № ას-1247-1176-2012

ნესი მოქმედების მაშინაც, როცა კრედიტორი შესრულებით არაპირდაპირ სარგებელს იღებს.³⁷ ფარდობით და აბსოლუტურ უფლებებს შორის სხვაობა ასევე აისახება მხარეთა ნების ავტონომიის მასშტაბებსა და უფლებათა ხანდაზმულობის საკითხზეც.³⁸

ბ. გამონაკლისები

სამოქალაქო კოდექსი იცნობს გამონაკლისებსაც ვალდებულების რელატიური ბუნებიდან – მაგ. სკ-ის 566-ის თანახმად, გამქირავებელს შეუძლია, მესამე პირს მოთხოვოს ნივთის დაბრუნება, რომელიც მას სარგებლობაში მოქირავნის მიერ გადაეცა. ეს ნესი ანალოგიით გამოიყენება ლიზინგისა (580) და იჯარის (581 II) ურთიერთობათა მიმართაც. ამ ნორმის ძალით, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირს და გამქირავებელს ერთმანეთთან უშუალო სამართლებრივი შეხება არ ჰქონიათ, გამქირავებელს ენიჭება უფლება, ვალდებულებითსამართლებრივი ნესით მესამე პირისგან გამოითხოვოს მისი კუთვნილი ნივთი. ვალდებულებითი სამართლის ფარდობითი ბუნების გამონაკლისად შეიძლება დასახელდეს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებაც, რომლითაც ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი ან ექსკლუზიური მოთხოვნის უფლება ენიჭება (იხ. 351). თუმცაღა, ამ შემთხვევაშიც, მესამე პირი მხოლოდ კრედიტორის სტატუსს მოიპოვებს და იგი არ ხდება მოვალე, ანუ იღებს პრივილეგიას და არა ტვირთს. უფრო მეტიც, მესამე პირის მიერ, მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით, კრედიტორის სტატუსის მოპოვება დამოკიდებულია მის ნებაზე და 351-ის საფუძველზე მესამე პირს შეუძლია, უარი თქვას მისთვის მინიჭებულ სარგებელზე – კრედიტორის სტატუსზე.

21

ფარდობითი ბუნების გამონაკლისად ვერ ჩაითვლება მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის ან დამხმარე პირის ქმედებისათვის (396, 997) და კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ (372). ორივე შემთხვევაში ვალდებულების სუბიექტთა კონფიგურაცია შენარჩუნებულია და ურთიერთობა არ კარგავს ფარდობით ხასიათს.

22

4. სამართლებრივი ბოჭვის სურვილი და ყოფითი ურთიერთობები

ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა, რომელიც იდება ორი, ერთმანეთზე მიმართული და თანმხვედრი ნების გამოვლენის შედეგად. იგი ერთ-ერთი მხარისათვის მაინც წარმოშობს მოვალეობას, რომელსაც მეორე მხარის მოთხოვნა უპირისპირდება. ამ მოთხოვნას აღიარებს და იცავს კანონი, მათ შორის, იძულებითი მექანიზმით – სასამართლო ნესით. ამასთან, ყოველგვარი მოვალეობა, რომელსაც მხარე ნებაყოფლობით

23

გადაწყვეტილება.

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის № ას-951-989-2011 გადაწყვეტილება; შდრ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 42 და შემდგომი.

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის № ას-662-629-2013 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის № ას-160-150-2015 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის № ას-957-915-2013 გადაწყვეტილება.

იკისრებს, არ არის ხელშეკრულება.³⁹ ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან იმიჯნება სახელშეკრულებო და სოციალური, მორალური მოვალეობები. მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის მიზნისა, დაარეგულიროს „პირადი“ ურთიერთობანი (1),⁴⁰ სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს **წმინდა ყოფით კონტაქტებს**.⁴¹ ხელშეკრულებისგან განსხვავებით, მსგავსი კონტაქტები არ წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს.⁴² ყოფითი ურთიერთობების პირობებში ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რა კატეგორიის ვალდებულებასთან გვაქვს საქმე, ან გვაქვს თუ არა საქმე საერთოდ ვალდებულებასთან. ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი სამოქალაქო კოდექსში არ მოიძებნება და გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა ნების განმარტებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთობის უსასყიდლო ხასიათი ავტომატურად არ გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობას და არ არის ყოფითი კონტაქტის უპირობო ინდიკატორი.⁴³ სამოქალაქო კოდექსი იცნობს უსასყიდლო ხელშეკრულებებსაც (მაგ., თხოვნისა და ჩუქების ხელშეკრულებები). გარდა ამისა, *in concreto* უსასყიდლო შესაძლოა, იყოს ისეთი ხელშეკრულებაც, რომელიც ზოგადად სასყიდლიანია (მაგ., მომსახურების ხელშეკრულება).

24 **სერიოზულობის ინდიკატორები** (*Seriositätsindizien*⁴⁴), რომლებითაც ყოფითი კონტაქტი ხელშეკრულებისგან შეიძლება გაიმიჯნოს, არის: საგნის ღირებულება, ურთიერთობის ეკონომიკური მხარე, მხარეთა ინტერესები შესრულებაში, სოციალური კონტაქტის ინტენსივობა და შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც შეცნობადი იყო შემსრულებლისათვის.⁴⁵

25 ხელშეკრულებისაგან განსხვავდება ასევე ე.წ. ურთიერთგაგების მემორანდუმი, **ჯენტლმენური შეთანხმება** და **განზრახულობათა ოქმი**, რომლებიც პრაქტიკაში აპრობირებულია როგორც მბოჭავი ძალის არმქონე, მხარეთა კეთილი ნებისა და განზრახულობათა ამსახველი აქტები. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ მათ შეიძინონ სავალდებულო ხასიათი, თუ მხარეთა ნების განმარტებით და ფაქტობრივი გარემოებების შეფერებით დასტურდება, რომ მხარეებმა ამ დოკუმენტით იკისრეს სამართლებრივად რელევანტური ვალდებულებები.⁴⁶ გავრცელებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ხელშეკრულების განმარტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის შინაარსს და არა ხელშეკრულების „დასათაურებას“.⁴⁷

39 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 24.

40 ამ ტერმინოლოგიის კრიტიკისთვის იხ. *კერესელიძე*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1, გვ. 4, 8.

41 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Pallmann*, Rechtsfolgen aus Gefälligkeitsverhältnissen, Diss., 1971, S. 3 ff.; *Gernhuber*, Schuldverhältnis, 1989, §7 I 1.

42 *ცერცვაძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 58.

43 BGH, NJW 1956, 1313.

44 *Zweigert*, Seriositätsindizien, JZ 1964, 349 ff.

45 BGH, NJW 1956, 1313.

46 *ცერცვაძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 63 და შემდგომი.

47 სამოქ. საქმეების კრებული 2001/1, სუსგ №3კ/150, გვ. 212.

ეს წესი მოქმედებს ურთიერთგაგების მემორანდუმის, ჯენტლმენური შეთანხმებისა და განზრახულობათა ოქმის შემთხვევებშიც.⁴⁸

ურთიერთგაგების მემორანდუმისგან, ჯენტლმენური შეთანხმებისა და განზრახულობათა ოქმისგან პრაქტიკაში ფუნქციურად განსხვავდება **წინარე ხელშეკრულება**, რომელსაც კოდექსის 327 III მუხლი ანესრიგებს.⁴⁹ წინარე ხელშეკრულების მიზანი სამომავლო, ძირითადი ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფაა. ასეთი ხელშეკრულება სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონეა და მისი შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას ზოგადი წესებით (394)⁵⁰. ამასთან, ამ შემთხვევაში, გამოიყენება 317 III მუხლი, რომლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება წინასახელშეკრულებო ურთიერთობები და არა – წინარე ხელშეკრულება⁵¹. საგულისხმოა, რომ წინარე ხელშეკრულება, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან განსხვავებით, არის ხელშეკრულება; ამასთან, ის ფაქტი, რომ წინარე ხელშეკრულება ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებს ადგენს, არ აქცევს მას ძირითად ხელშეკრულებად.⁵² პირიქით, რაც უფრო დეტალურად არის განსაზღვრული ძირითადი ხელშეკრულების პირობები წინარე ხელშეკრულებაში, მით უფრო ეფექტიანია იგი სამომავლო შეთანხმების მიღწევის, ძირითადი ხელშეკრულების დადებისა და შესაბამის მოთხოვნათა აღსრულების თვალსაზრისით.

სახელშეკრულებო ბოჭვის ინდიკატორებს ასევე მიეკუთვნება **ბე**, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად⁵³ ხელშეკრულების დადების დადასტურების ფუნქციაც აქვს (იხ. 421).⁵⁴ ბე შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი თანხა.⁵⁵ ბე ფუნქციურად განსხვავდება ავანსისგან,⁵⁶ თუმცა შესაძლოა, ჩათვლილ იქნეს ავანსის ანგარიშშიც. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ასევე წინარე ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად ან მისი უზრუნველყოფის საშუალებად.⁵⁷ ბესთვის კანონი

48 *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 63 და შემდგომი.

49 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის № ას-1288-1308-2011 გადაწყვეტილება.

50 სამოქ. საქმეების კრებული 2001/1, სუსგ 3კ/338-01, გვ. 422; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

51 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 81 და შემდგომი; შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 317, გვ. 48 და შემდგომი.

52 ამ თვალსაზრისით საკამათოა მოსაზრება, რომლითაც ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობათა შემცველი წინარე ხელშეკრულება ძირითად ხელშეკრულებად არის მიჩნეული: იხ. *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 63.

53 ბეს ფუნქციებთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 248 და შემდგომი.

54 მაგ. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 მაისის № 2ბ/339-14 განჩინება; თუმცა იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 თებერვლის № ას-53-50-2012 გადაწყვეტილება.

55 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 მაისის № 2ბ/339-14 განჩინება.

56 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 მაისის № 2ბ/339-14 განჩინება.

57 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის № ას-255-247-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

26

27

სავალდებულო ფორმას არ ითვალისწინებს, მათ შორის არც იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება, რომლის დასადასტურებლადაც ბე თანხმდება, წერილობით ფორმას ან სხვა, უფრო რთულ ფორმას მოითხოვს. ხელშეკრულების დადების დადასტურების ფუნქციას ბე, ძირითადად, ზეპირ ხელშეკრულებებში ასრულებს. წერილობით ხელშეკრულებებში ეს ფუნქცია ნიველირდება, რადგან ხელშეკრულების არსებობა წერილობითი ხელშეკრულებით დასტურდება. ამასთანავე, ბე არ არის ფორმის სუროგატი ან ფორმადაუცველი შეთანხმების ნამდვილობის უზრუნველყოფის საშუალება. თუ ხელშეკრულების სავალდებულო ფორმა არ არის დაცული, ხელშეკრულება ითვლება ბათილად, ისევე როგორც ბათილად ითვლება ბესთან დაკავშირებული შეთანხმება, იმიტომ, რომ არ არსებობს ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ის შეთანხმდა (და არა იმიტომ, რომ არ იქნა დაცული ბეს ფორმა). ასეთ შემთხვევაში ბე ექვემდებარება უკან დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების წესებით.⁵⁸ ბეს ფუნქციითა კუმულაციას კანონი არ მოითხოვს. მისი სამი ძირითადი ფუნქციიდან (მტკიცების ფუნქცია, ვალდებულების უზრუნველყოფის ფუნქცია⁵⁹ და საგადამხდელო ფუნქცია) ერთადერთი ფუნქცია, რომელსაც ბე ყოველთვის უნდა ასრულებდეს, არის ვალდებულების უზრუნველყოფის ფუნქცია. ეს გამომდინარეობს ამ ინსტიტუტის ტელეოლოგიური და სისტემური განმარტებიდან („ბე მონესრიგებულია კარში, რომელსაც ეწოდება „მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი“). კონკრეტულ შემთხვევაში დანარჩენ ორ ფუნქციას ბე შეიძლება ასრულებდეს ან არ ასრულებდეს. თუ მხარეები დადებენ ხელშეკრულებას ამისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმით, ხოლო ბეს შეთანხმებენ ზეპირად, ასეთ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა ბეს გაბათილება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ არის დადებული იმ ფორმით, რა ფორმითაც უნდა დადებულიყო ის ხელშეკრულება, რომლის მოთხოვნასაც უზრუნველყოფს ბე. ასევე მცდარი იქნებოდა ბეს გაბათილება იმ მოტივით, რომ ის არ ასრულებს საგადამხდელო ფუნქციას. მით უმეტეს, რომ კანონი თავად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბე არ იქნეს ჩათვლილი შესრულების ანგარიშში (იხ. სკ-ის 422).

5. არასრულყოფილი ვალდებულებები

- 28 ვალდებულების საფუძველზე კრედიტორს შეუძლია, მოვალეს მოსთხოვოს რაიმე მოქმედების განხორციელება ან მსგავსი მოქმედებისაგან თავის შეკავება. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს უფლება აქვს, მისი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს და აიძულოს მოვალე, შეასრულოს ვალდებულება. ეს არის სრულყოფილი ვალდებულების სურათი. თუმცა არსებობს ე.წ. „არასრულყოფილი ვალდებულებებიც“⁶⁰, რომლებზეც მოთხოვნა-შესრულების ეს კლასიკური სქემა არ ვრცელდება. ასეთ ვალდებულებებს მიეკუთვნება თამაში და სანაძ-

58 მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის № ას-1172-1038-2010 გადაწყვეტილება (იხ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

59 აღნიშნულ ფუნქციასთან დაკავშირებით იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 421, გვ. 499.

60 *Reuss*, Die Intensitätsstufen der Abreden und die Gentlemen-Agreements, AcP 154, 1955, S. 500 ff.; *Schreiber*, Unvollkommene Verbindlichkeiten, Jura 1998, S. 270 ff.

ლევო. 951-ე მუხლის თანახმად, არც თამაში და არც სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. ასევე არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას სესხი ან ავანსი, რომელიც განზრახ გაიცა სანაძლეოს უზრუნველსაყოფად.⁶¹

მიუხედავად იმისა, რომ თამაში და სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს, ეს ინსტიტუტები მაინც ინარჩუნებს ვალდებულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციურ ელემენტს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მათ, თუმცა არასრულყოფილი, მაგრამ მაინც მოთხოვნა ვუნდოთ. კერძოდ, ამ ვალდებულებათა საფუძველზე განხორციელებული შესრულება სამართლებრივად ნამდვილია და შესრულების უკან გამოთხოვა არ შეიძლება (951 II).⁶² ამრიგად, ეს ვალდებულებანი ქმნიან *causa*-ს მიღებული შესრულების შესანარჩუნებლად.

თამაშისა და სანაძლეოს მსგავსად, ასევე ხანდაზმული ვალდებულებებიც არასრულყოფილი ვალდებულებების რიგს მიეკუთვნება (იხ. 128 და მომდევნო მუხლები). ხანდაზმული ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოა, სანამ მოვალე არ წარადგენს ხანდაზმულობის შესაგებელს. შესაბამისად, თუ ხანდაზმული ვალდებულება შესრულდა, ხოლო შესაგებელი მოგვიანებით იქნა წარდგენილი, კრედიტორი, რომელმაც მიიღო შესრულება, არ არის ვალდებული, დააბრუნოს შესრულება.

29

6. ფაკულტატიური ვალდებულება

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან ტერმინოლოგიურად არ მიჯნავს ნამდვილ ვალდებულებას და ე.წ. ფაკულტატიურ ვალდებულებას (დაბალი ინტენსივობის ვალდებულება, თვითსასარგებლო ვალდებულება, *Obliegenheit*), თუმცა მნიშვნელოვანია მათი გამიჯვნა პრაქტიკაში. ფაკულტატიური ვალდებულების მაგალითებია: დაუყოვნებლივი შეტყობინება დაგვიანებული აქცივტის შემთხვევაში (332); კრედიტორის მიერ შესრულების დროულად მიღება (390); დაზარალებულის მიერ ზიანის შემცირებაზე ზრუნვა (415), მენარმე მყიდველის მიერ ნივთის გონივრულ ვადაში შემოწმების მოვალეობა (495 I) და ა.შ. ნამდვილი ვალდებულებისაგან განსხვავებით, ფაკულტატიური ვალდებულების შესრულება ვერ იქნება მოთხოვნის საგანი, სარჩელის საფუძველი ან იძულებითი აღსრულების საგანი. ფაკულტატიური ვალდებულების შეუსრულებლობა არ იწვევს ვალდებულების დარღვევას და მისი სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ფაკულტატიური ვალდებულების მატარებელი პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებით ვლინდება.

30

61 თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ გამოირიცხება დელიქტური პასუხისმგებლობისა და/ან უსაფუძვლო გამდიდრების წესების ამოქმედების შესაძლებლობა.

62 იმ პირობით, რომ თავად სანაძლეო ან შესრულება არ ეწინააღმდეგება სკ 54-ის მოთხოვნებს.

მუხლი 316. ცნება

1. ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

- I. ნორმის მიმოხილვა17
 - 1. 316-ე მუხლის მოქმედების სფერო17
- II. ძირითადი ცნებები.....17
 - 1. ვალდებულება.....17
 - ა. ვალდებულება როგორც მოთხოვნის წინაპირობა17
 - ბ. ვალდებულების სუბიექტები17
 - ა.ა კრედიტორი და მოვალე.....17
 - ბ.ბ მესამე პირი ვალდებულებაში18
 - გ.გ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში.....18
 - 2. მოთხოვნის უფლება.....19
 - 3. შესრულება (316 I)21
 - ა. შესრულების ვალდებულების ცნება21
 - ბ. შესრულების ვალდებულების შინაარსი.....22
 - ა.ა შესრულების ძირითადი და დამატებითი, პირველადი და მეორეული ვალდებულებები22
 - ბ.ბ პასიური ვალდებულებები.....23
 - გ.გ ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებები23
 - 4. გულისხმიერების ვალდებულება24
 - ა. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი24
 - ა.ა ძირითადი ელემენტები24
 - ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულებათა მოქმედება დროში25
 - ბ. გულისხმიერების ვალდებულების გამიჯვნა კეთილსინდისიერი შესრულებისა და სხვა დამატებითი შესრულების ვალდებულებებისაგან26
 - ა.ა გულისხმიერების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ურთიერთმიმართება26
 - ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულებათა გამიჯვნა შესრულების ვალდებულებებისაგან27
 - გ. გულისხმიერების ვალდებულებათა ტიპოლოგია28
 - ა.ა ინფორმაციის გაცემის ვალდებულება28
 - ბ.ბ კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულება28
 - გ.გ ლოიალურობის ვალდებულება29
 - დ. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები.....30

I. ნორმის მიმოხილვა

1. 316-ე მუხლის მოქმედების სფერო

316-ე მუხლი დეფინიციური ხასიათისაა. ეს დანაწესი შეიცავს ვალდებულებითი ურთიერთობის რამდენიმე საკვანძო ცნებას, ესენია: ვალდებულება, მოთხოვნა, მოვალე, კრედიტორი. ამავე ნორმიდან ირკვევა, რომ ვალდებულება ორი ტიპის შეიძლება იყოს – ვალდებულება, რომ შეასრულო და ვალდებულება, რომ მოექცე მეორე მხარის ინტერესებს გულისხმიერად. ეს ორივე ელემენტი შეადგენს **ვალდებულების ანუ (ვინრო გაგებით) ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსს.**

ფართო გაგებით ვალდებულებითი ურთიერთობა ვალდებულებასა და მის საპირწონე მოთხოვნასთან ერთად სხვა სამართლებრივ მექანიზმებსაც მოიაზრებს. სხვა სამართლებრივ მექანიზმებში იგულისხმება ის უფლებები, რომლებიც ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოიშობა. ესენია: თვითრეგულაციური უფლებები, რომლებიც, მოთხოვნებისგან განსხვავებით, მხარეების მიერ ცალმხრივად ხორციელდება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგიც მეორე მხარის თანამონაწილეობის გარეშე დგება (მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომლის გამოყენებითაც სახელშეკრულებო ურთიერთობა ავტომატურად გადადის უკუქცევის რეჟიმში, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს მეორე მხარეს, იხ. 355, 352).¹

II. ძირითადი ცნებები

1. ვალდებულება

ა. ვალდებულება როგორც მოთხოვნის წინაპირობა

316-ე მუხლი მოქმედებს იქ, სადაც „ვალდებულების ძალით“ ერთი პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება, ხოლო მეორე პირი ვალდებულებით შეასრულოს, ანუ მხარეებს შორის უკვე არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა.

ბ. ვალდებულების სუბიექტები

ა.ა კრედიტორი და მოვალე

ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობაა **განსაზღვრულობა**. ეს წინაპირობა ვალდებულების რელატიურ ბუნებას უკავშირდება.² განსაზღვრულობა გულისხმობს იმას, რომ ვალდებულებითი ურთიერთობიდან უნდა ირკვეოდეს, თუ ვის აკისრია ვალდებულება და ვინ ფლობს შესაბამისი მოთხოვნის უფლებას, ანუ ვინ არის მოვალე და ვინ კრედიტორი. თუ მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრული არ არის, საკმარისია მისი განსაზღვრის შესაძლებლობა (მაგ. 349). ერთი

1 მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზება ანუ მასში მოაზრებული სამართლებრივი შედეგის მიღწევა, განსხვავებით მოთხოვნისაგან, არ საჭიროებს მეორე მხარის თანაქმედებას. დასახული სამართლებრივი შედეგი მიიღწევა ცალმხრივი აქტით – მოვალის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გაკეთებული შეტყობინებით.

2 შეად. *Bachmann*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 241, Rn. 1.

და იგივე პირი ვერ იქნება მოთხოვნის მპყრობელიც და ადრესატიც. კონფუზიის შემთხვევაში ვალდებულება წყდება *per se* (452).³ იგივე წესი მოქმედებს პერსონალური მოვალის გარდაცვალებისა (453)⁴ და იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევებში (454).⁵

- 5 ვალდებულებით ურთიერთობაში ერთდროულად შეიძლება ფიგურირებდეს რამდენიმე მოვალე და/ან რამდენიმე კრედიტორი (მხარეთა სიმრავლე ვალდებულებაში). როგორც მოთხოვნა, ასევე ვალდებულება შეიძლება დანაწილებულ იქნეს მხარეთა შორის, ან არ იყოს დანაწილებული და თითოეული მათგანი იყოს სოლიდარული კრედიტორი ან სოლიდარული მოვალე.

ბ.ბ მესამე პირი ვალდებულებაში

- 6 კანონი ითვალისწინებს მესამე პირთა ჩართვის შესაძლებლობას ვალდებულებაში (349), ანუ მხარეებს უფლება აქვთ, დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელთა მოსარგებლე (ბენეფიციარი) მესამე პირი იქნება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, შესაძლოა, არ ანიჭებდეს ან ანიჭებდეს ამ პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებას. უკანასკნელ შემთხვევაში, მესამე პირი ვალდებულებით ურთიერთობაში შედის სოლიდარული ან ექსკლუზიური კრედიტორის სტატუსით (იხ. კომ. 349).

გ.გ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში

- 7 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებების დადებისას ეს უკანასკნელი არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 651 I მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო გამოდის როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ქმედებები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით (სზაკ 651 II მუხლი). ეს დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 8 II, 24 III, IV მუხლებითაც. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დაიშვას მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით (8 II). ასეთ შემთხვევებში, კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებული წესები. მსგავსი შერეული რეგულირების მაგალითები გვხვდება, მაგ., სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

- 8 ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენცია არ არის შეუზღუდავი. ეს საკითხი განსაკუთრებულ პრაქტიკულ დატვირთვას ატარებს საჯარო

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 8 ივნისის №3კ/312-01 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის №ას-1166-1186-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის №ას-90-85-10 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის №ას-55-54-2010 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ) მიმართებით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სამოქალაქო ბრუნვაში. სსიპ-ებს აქვთ არა საერთო, არამედ **სპეციალური უფლებაუნარიანობა** (ისევე როგორც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, იხ. სზაკ-ის 66 I).⁶ სსიპ-ი უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ კანონით, პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული საქმიანობა (სამოქალაქო კოდექსის 25 I და სსიპ-ის კანონის 3 I, II). შესაბამისად, ბათილია სსიპ-ის მიერ მისი სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთ – *ultra vires* – დადებული გარიგება (სსიპ-ის კანონის 3 IV 1). ამასთანავე, უფლებაუნარიანობის ხარვეზის გამო ბათილი გარიგების მეორე მხარეს არ შეუძლია, მიუთითოს, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის ნაკლი (სსიპ-ის კანონის 3 IV 2). კონტრაქტის კეთილსინდისიერების პირობებშიც ბათილი გარიგება დარჩება ბათილად, თუმცა მეორე მხარეს შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია, სსიპ-ისგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით.

2. მოთხოვნის უფლება

კრედიტორს უნდა ჰქონდეს **ნამდვილი, ამოუწურავი და უპრეტენზიო მოთხოვნა** მოვალის მიმართ, რათა მოახდინოს მისი რეალიზება.⁷ 9

მოთხოვნის უფლება ნამდვილია, თუ არსებობს ის სამართლებრივი გარემოება, რომელსაც ეს მოთხოვნა ეფუძნება. დელიქტური ვალდებულების შემთხვევაში ეს გარემოებაა სხვისი ჯანმრთელობის, საკუთრების ან კანონით დაცული სხვა სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ფაქტი, ხოლო სახელშეკრულებო მოთხოვნის შემთხვევაში – ხელშეკრულება. შესაბამისად, თუ ხელშეკრულება ბათილია, ან იგი მოგვიანებით გაბათილდება, კრედიტორს არ წარმოეშობა შესრულების მოთხოვნის უფლება ამ ხელშეკრულებიდან. 10

მოთხოვნის დაყენების მომენტისათვის **მოთხოვნის უფლება უნდა იყოს შეუწყვეტილი და გაუქარწყლებელი.** მოვალე არ არის ვალდებული, განახორციელოს შესრულება იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც შეწყვეტილია (მაგ., შესრულების ვალდებულება წყდება, როგორც კი კრედიტორი შეასრულებს ვალდებულებას (421)), ან ქარწყლდება (მაგ., შესრულების ვალდებულება ქარწყლდება, როცა სახეზეა შეუძლებლობა). შესაბამისად, წყდება/ქარწყლდება მეორე მხარის მოთხოვნის უფლებაც. 11

მოთხოვნა შეიძლება იყოს ნამდვილი და გაუქარწყლებელი, თუმცა კრედიტორს არ შეეძლოს მისი რეალიზება, თუ მოვალე კრედიტორის მოთხოვნას უპირისპირებს დასაბუთებულ შესაგებელს. შესაბამისად, **მოთხოვნა** 12

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 თებერვლის №ბს-1189-764(კ-05) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის №ბს-197-186 (კ-07) გადაწყვეტილება.

7 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 34 და შემდგომი.

უნდა იყოს უცილო (არაშეცილებადი) ანუ განხორციელებადი, რათა მოხდეს მისი სრულყოფილი რეალიზება (იხ., მაგ., 369).

- 13 ქრონოლოგიურად მოთხოვნის უფლების შემონახვა შემდეგი სქემით უნდა მოხდეს: 1) **უფლების წარმოშობის შემაფერხებელი გარემოებები** (მაგ.: ქმედუნარიანობა (25 I, II, III, IV, 58 I, 63 და მომდევნო მუხლები), ნების გამოვლენის ნაკლი (53, 58 II, III, 81, 85), კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა (59 I), წინააღმდეგობა კანონთან, საჯარო წესრიგსა და მორალთან (54), ბათილობა ხელშეკრულების კაბალურ პირობათა გამო და მევახშეობა (55), გარიგების ბათილობის სხვა საფუძვლები (56, 57)); 2) **მოთხოვნის ან უფლების შემწყვეტი გამაქარწყლებელი გარემოებები** (მაგ.: ხელშეკრულების მოშლა (399 III), ხელშეკრულებიდან გასვლა (მუხ. 352 და მომდევნო მუხლები), ვალდებულების შესრულება (427 და მომდევნო მუხლები), შესრულება დეპონირებით (434 და მომდევნო მუხლები), მოთხოვნათა გაქვითვა (442 და მომდევნო მუხლები), ვალის პატიება (მუხ. 448 და მომდევნო მუხლები), კონფუზია (452)), შეუძლებლობა (განსაკუთრებით კანონისმიერი შეუძლებლობა)); 3) **მოთხოვნის ანუ უფლების რეალიზების შემაფერხებელი გარემოებები, რომლებზეც უთითებს მოვალე** (მაგ.: ხანდაზმულობა (128 და მომდევნო მუხლები), საპირისპირო ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორის მიერ (369), შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დასაბუთებული მოთხოვნა (398)).
- 14 ამ ქრონოლოგიის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან თუ სახეზე იქნება პირველი რიგის დამაბრკოლებელი გარემოება, შემდეგი რიგის დამაბრკოლებელ გარემოებათა გადამონმება ზედმეტია. მაგ., არასწორი იქნებოდა იმის შემონახვა, ხომ არ გაქარწყლდა მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად, მაშინ, როცა სახეზეა ბათილი ხელშეკრულება ქმედუნარობის გამო. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა საერთოდ არ წარმოშობილა, რის გამოც იგი ვერც შეწყდებოდა და ვერც გაქარწყლდებოდა.
- 15 ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნები, როგორც წესი, ექვემდებარება ხანდაზმულობას (გამონაკლისია, მაგ., 968). ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულებაზე (144 I). ასეთ შემთხვევაშიც კრედიტორი კარგავს მოთხოვნის უფლებას (*nudum ius*). ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს (128 III). სახელშეკრულებო და დელიქტიდან მომდინარე მოთხოვნებზე ვრცელდება სპეციალური ვადები (129, 1008). ცალკეულ შემთხვევაში კანონი ასევე ადგენს საგამონაკლისო სპეციალურ ვადებს (მაგ.: 514, 573, 655).

3. შესრულება (316 I)

ა. შესრულების ვალდებულების ცნება

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (361 II). ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ მოვალე დაპირებულ ქმედებას ასრულებს და შეთანხმებულ შედეგს იწვევს, ხოლო კეთილსინდისიერად, როცა მოვალის ქცევა კრედიტორის გონივრულ მოლოდინსა და ბრუნვის ნეს-ჩვეულებებს შეესაბამება.⁸ 16

შესრულების ვალდებულება 316 I-ის მნიშვნელობით უფრო ფართო ცნებაა (Leistung), ვიდრე ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება (Vertragserfüllung). ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 316-ე მუხლში საუბარია ვალდებულებაზე ზოგადად. შესაბამისად, 316 I მუხლის მნიშვნელობით შესრულების ვალდებულება მოიაზრებს არა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებას (მაგ., მყიდველისათვის საქონლის გადაცემას) ან ნაკლის გამოსწორებას (დამატებითი შესრულება), არამედ მეორეული მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებებსაც (მაგ., ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების დარღვევისათვის), ან იმ შესრულების ვალდებულებებს, რომლებიც მიმართულია, მაგ., დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სახეზეა შესრულების ვალდებულება, რომელიც კრედიტორს უფლებას აძლევს, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (მაგ. „ა“-მ დააზიანა „ბ“-ს ავტომანქანა. „ა“ ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი ნატურით ან ფულადი კომპენსაციით (ესეც შესრულებაა 316 I-ის მნიშვნელობით). 17

შესრულების ვალდებულების აუცილებელი თვისებაა მისი განსაზღვრულობა, რამეთუ ვალდებულება არ შეიძლება არსებობდეს აბსტრაქტულად. ამრიგად, შესრულების შინაარსი უნდა იყოს განსაზღვრული ან განსაზღვრადი, რათა შესაძლებელი გახდეს მისი აღქმა ვალდებულების საგნად.⁹ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესრულების საგანი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო კანონისმიერში – კანონის საფუძველზე. 18

შესრულების მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაცვას.¹⁰ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კრედიტორს შეუძლია, მიმა- 19

8 ბრუნვის ნეს-ჩვეულებაში იგულისხმება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, ბრუნვის ნეს-ჩვეულებად შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პროფესიული ან ბიზნესსტანდარტები. მაგ. უზენაესმა სასამართლომ სკ. 731-ში მოცემული კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერების დათქმის დასაზუსტებლად გამოიყენა საერთაშორისო ავიაგადაზიდვების სტანდარტული წესები (IATA: <http://www.iata.org/Pages/default.aspx>) და განმარტა: „სკ. 731-ის მოთხოვნების და საერთაშორისო ავიაგადაზიდვების წესების გათვალისწინებით პალატა თვლის, რომ ექსპედიტორმა კონსულტაციები უნდა გაუწიოს გამოუცდელ შემკვეთს იმ პირობების შესახებ, რომლებითაც იგი თავის საქმიანობას ახორციელებს... სასამართლოს მიაჩნია, რომ ექსპედიტორის მოქმედება, რომლის დახმარებითაც მოხდა ზედდებულის შევსება, არ შეესაბამება გონივრულ მოთხოვნებს, ეს მოქმედება ვერ ჩაითვლება გულისხმიერებად და გამგზავნის ინტერესების დაცვად (სამოქ. საქმეთა კრებული 2001/1, სუსგ №33/855, 918).

9 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 28.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 39.

რთოს სასამართლოს აღიარებითი სარჩელით ან მოითხოვოს შესრულება იძულებითი აღსრულების წესით (მიკუთვნებითი სარჩელი).

ბ. შესრულების ვალდებულების შინაარსი

ა.ა შესრულების ძირითადი და დამატებითი, პირველადი და მეორეული ვალდებულებები

- 20 ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ მხარეები, სულ მცირე, **შესრულების ძირითად ვალდებულებაზე** შეთანხმდნენ (327 I, კანონისმიერი *essentialia negotii*).¹¹ ძირითადი ვალდებულება ხელშეკრულების *de jure* არსებითი პირობაა და ხელშეკრულების ტიპის განმსაზღვრელია. გარდა კანონისმიერი არსებითი პირობებისა, მხარეებს შეუძლიათ, დაადგინონ სხვა არსებითი პირობებიც (327 II).
- 21 ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება იკისრონ **შესრულების დამატებითი ვალდებულებები**.¹² შესრულების დამატებითი ვალდებულება, როგორც წესი, ხელშეკრულების სრულყოფილი შესრულებისკენ არის მიმართული და მას ავსებს.¹³ ამიტომ იგი ძირითად ვალდებულებაზეა აქცესორულად მიბმული¹⁴ და მასთან მიზნობრივად დაკავშირებული (*accidentalia negotii*).¹⁵ შესრულების დამატებით ვალდებულებად ითვლება, მაგ., გაყიდული ნივთის შეფუთვა, აწონვა, დაფასოება, გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება, სესხზე პროცენტის გადახდა¹⁶ და ა.შ. ვალდებულება, რომელიც ერთ ხელშეკრულებაში შესრულების დამატებით ვალდებულებად არის გათვალისწინებული, სხვა ხელშეკრულებაში შეიძლება ძირითად ვალდებულებად იქნეს ჩართული (მაგ., კარადის აწყობა ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაძლოა, იყოს დამატებითი ვალდებულება, ხოლო ნარდობის ხელშეკრულებაში ძირითად ვალდებულებად ფიგურირებდეს). დამატებითი ვალდებულება, როგორც წესი, შეთანხმების საგანია, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში მისი არსებობა პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით (მაგ., იხ. 477 I¹⁷). შესრულების დამატებითი ვალდებულება, შესაძლოა, ასევე გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერების (8 III, 361 II) პრინციპიდან, ისე, რომ მხარეთა დამატებით შეთანხმებას არ საჭიროებდეს.¹⁸

11 მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულების ძალით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრება ნივთზე და მიაწოდოს ნივთი (იხ. სკ 477).

12 ზოგიერთი ავტორი ამავე მნიშვნელობით ასევე იყენებს დამოკიდებული შესრულების ცნებას, იხ. *ცერცვაძე*, წიგნი: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 34 და მომდევნო.

13 *Canaris*, Ansprüche wegen „positiver Vertragsverletzung“ und „Schutzwirkung für Dritte“ bei nichtigen Verträgen, JZ 1965, S. 475, 477.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის №ას-1705-1689-2011 გადაწყვეტილება; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 34.

15 *Mansel*, in: Jauernig BGB, § 241, Rn. 9.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-1705-1689-2011 გადაწყვეტილება.

17 მაგ. კანონის ეს ნორმა პირდაპირ ავალდებულებს გამყიდველს, მიაწოდოს მყიდველს საქონელთან დაკავშირებული საბუთებიც.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

შესრულების დამატებითი ვალდებულებისგან უნდა გაიმიჯნოს ე.წ. **აქცესორული ვალდებულებები**. იმ აქცესორულ ვალდებულებათა დარღვევისათვის, რომელთაც კისრულობს არა მოვალე, არამედ მესამე პირი (მაგ., თავდებობა), მოვალეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სახელშეკრულებო ურთიერთობათა კონტექსტში ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შესრულების პირველადი და მეორეული ვალდებულებები. **შესრულების პირველადი ვალდებულება** (*primäre Leistungspflichten*) ის ვალდებულებაა, რომლის წარმოშობაზეც მიმართულია ხელშეკრულება. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წარმოიშობა **შესრულების მეორეული (ნაწარმოები¹⁹) ვალდებულებები** (*sekundäre Leistungspflichten*), რომლებიც შესაძლოა, შესრულების პირველადი ვალდებულების გვერდით ამოქმედდეს (მაგ., იხ. 404) ან ჩაანაცვლოს ის (მაგ., 394 II 2). მეორეული ვალდებულების მაგალითია სკ-ის 394 I 1 მუხლი. ამ ნორმის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ამით კანონი მოვალეს აკისრებს შესრულების ახალ, რესტიტუციულ ვალდებულებას. ცალკეულ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ნატურით რესტიტუცია და/ან კომპენსაცია (408, 409).

22

ბ.ბ პასიური ვალდებულებები

316-ე მუხლის მნიშვნელობით, შესრულების ვალდებულება (*Leistungspflicht*) შეიძლება მოიაზრებდეს როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას. შესრულების ვალდებულებას, რომელიც უმოქმედობას მოითხოვს, **პასიური ვალდებულება** ეწოდება (მაგ., 182). პასიური ვალდებულების ერთ-ერთი გამოვლინებაა თმენის ვალდებულება (მაგ., 540). პასიური ვალდებულება შესაძლოა, გამომდინარეობდეს კანონიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან. მაგ., მეზობლები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ არც ერთი მათგანი არ ააშენებს გარკვეულ სიმაღლეზე უფრო მაღალ ნაგებობას, რათა ერთმანეთს ხედი არ დაუჩრდილონ.²⁰ პასიური ვალდებულება ასევე შესაძლოა, გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალემ არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შესრულებას ან შესრულების შედეგს.

23

გ.გ ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებები

როგორც წესი, ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როცა მოვალე აღწევს იმ შედეგს, რომელიც ნაკისრი ვალდებულებითაა გათვალისწინებული (*obligation de resultat*). თუმცა თავისი არსით ან შეთანხმების ძალით ვალდებულება შესაძლოა, ორიენტირებული იყოს არა შედეგზე, არამედ ქმედებაზე. ასეთ შემთხვევაში შესრულების ვალდებულება ამ ქმედებით

24

19 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 31.

20 BGH NJW 1975, 344.

ამოიწერება (ქმედებაზე ორიენტირებული ვალდებულება – *obligation de moyens*).²¹ ამ დიფერენციაციას პრაქტიკული მნიშვნელობა ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგენისას აქვს.²² ის, თუ რა ტიპის შესრულებაა შეთანხმებული, უნდა დადგინდეს ხელშეკრულების განმარტებით. სხვაობა **ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებულ ვალდებულებებს შორის** კარგად ჩანს მგზავრთა გადაყვანისა და მომსახურების ხელშეკრულებებში. მაგ., ექიმის მოვალეობა, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, კონკრეტული მომსახურებით – პაციენტის მკურნალობით – და მკურნალობისას გამოვლენილი შესაბამისი სტანდარტით შემოიფარგლება. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი ვერ გამოჯანმრთელდება, მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებასაც მისგან სამედიცინო სტანდარტი მოითხოვდა, ექიმს ვალდებულება შესრულებულად ჩაეთვლება. ექიმისგან განსხვავებით, ტაქსის მძღოლის ვალდებულება შედეგზეა ორიენტირებული – იგი ვალდებულია, მიიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილას და თუ იგი ამ შედეგს ვერ მიაღწევს, ვალდებულება დარღვეულად ჩაითვლება (სხვა საკითხია, თუ რამდენად დაეკისრება ტაქსის მძღოლს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, იხ. 395).

25 პასიური ვალდებულება შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებაა (*Unterlassungspflichten*), რამდენადაც იგი მიმართულია კონკრეტული შედეგის თავიდან აცილებაზე.²³

4. გულისხმიერების ვალდებულება

ა. გულისხმიერების ვალდებულების შინაარსი

ა.ა ძირითადი ელემენტები

26 316 II მუხლი არ შეიცავს გულისხმიერების ვალდებულებათა ჩამონათვალს და არ აზუსტებს მის შინაარსს. კანონმდებელი მხოლოდ ამ ვალდებულების აუცილებელ ნიშან-თვისებებზე მითითებით შემოიფარგლება: 1) გულისხმიერების ვალდებულება გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არ მასზე მხარეები (*naturalia negotii*); 2) გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია მოვალის ქონებრივ და არაქონებრივ *status quo*-ს შენარჩუნებაზე (განსხვავებით შესრულების ვალდებულებისგან, რომელიც *status quo*-ს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად); 3) გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორს.

27 316 II მუხლში კანონმდებელი განმარტავს, რომ ზოგ შემთხვევაში მხარეს შესაძლოა, იმაზე მეტი ვალდებულება ეკისრებოდეს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი.²⁴ ამით მითითება კეთდება იმაზე, რომ გულისხმიერების ვალდებულება ბუნებრივი ვალდებულება და კეთილსინდისიერი

21 ასევე იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 27 და შემდგომი.

22 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 39 და შემდგომი.

23 *Fritzsche*, *Unterlassungsanspruch und Unterlassungsklage*, 2000, S. 50 ff.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის №ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

ქცევის ბუნებრივი სტანდარტია.²⁵ შესაბამისად, ის თავისთავად მოიზრება ყველა იმ ვალდებულებით ურთიერთობაში, სადაც მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვთ.²⁶ **გულისხმიერი ქცევის სტანდარტის სიმკაცრე, თავის მხრივ, დამოკიდებულია ვალდებულების ხასიათზე.** იგი მით უფრო მკაცრია, **1) რაც უფრო ასიმეტრიულია მხარეთა ინფორმაციული მარაგი; 2) მალაღია დაინტერესებული მხარის ობიექტური ნდობის ხარისხი კონტრაქტთან მიმართებით;**²⁷ და **3) მალაღია დაინტერესებული მხარის ეკონომიკური და სამართლებრივი რისკები.**²⁸ ინფორმაციული ასიმეტრია სახეზეა, როცა კრედიტორი შედარებით გამოუცდელია გარკვეულ სფეროში, მაშინ, როცა მისი კონტრაქტის ამ სფეროში სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას ფლობს. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ამ სახის ურთიერთობებში მოვალეს, როგორც უფრო „ძლიერ კონტრაქტანტს“, გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულება მოეთხოვება.²⁹ რაც შეეხება ობიექტურ ნდობას, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია გრძელვადიან ურთიერთობებში,³⁰ საბანკო,³¹ სადაზღვევო³² და გადაზიდვა-გადაყვანის ურთიერთობებში, სადაც კრედიტორის არჩევანი განპირობებულია მისი კონტრაქტის კომპეტენციით.

გულისხმიერი ქცევის ვალდებულება ეკისრება არა მხოლოდ მოვალეს, არამედ კრედიტორს,³³ მათ შორის, უსასყიდლო სახელშეკრულებო ურთიერთობის კრედიტორსაც. მაგ. თხოვების ხელშეკრულების კრედიტორი განათხოვრებული ნივთის გადმოტვირთვისას ვალდებულია, გულისხმიერებით მოეპყროს მოვალის ავტომანქანას, რომლის მეშვეობითაც მას დაუბრუნეს ეს ნივთი, და არ დააზიანოს იგი.

28

ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულებათა მოქმედება დროში

დროში მოქმედების თვალსაზრისით, გულისხმიერების ვალდებულება შესრულების ვალდებულებაზე ინტენსიურია. როგორც 317 II მუხლის მითითება ცხადყოფს, გულისხმიერების ვალდებულება შესაძლოა, წარმოიშვას ხელშეკრულების დადებამდეც (იხ. 317-ე მუხლის კომენტარი). გულისხმიერების ვალდებულებამ შესაძლოა, ასევე არსებობა გააგრძელოს ხელშეკრულების შესრულების ან სახელშეკრულებო ურთიერთობათა

29

25 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 68.

26 BGH NJW-RR 95, 1244.

27 მაგ. იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 92.

28 *Bachmann*, in *MüKof/BGB*, 7. Aufl., 2016, §241, Rn. 51.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

30 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 32.

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის №ას-772-1045-05 გადაწყვეტილება („სეიფი 79“).

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

დასრულების შემდეგაც (*culpa post contractum finitum*).³⁴ მაგალითად, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა ამაზე მხარეები, ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობების ბუნებიდან გამომდინარე, მხარეები ვალდებული არიან, არ დაუშვან იმ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ეს ვალდებულება მოქმედებს ხელშეკრულების შემდეგაც, თუ ამ ინფორმაციის გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს კონტრაქტს. იგივე შეიძლება ითქვას კონკურენციის შეზღუდვის ვალდებულებაზეც.

**ბ. გულისხმიერების ვალდებულების გამიჯვნა
კეთილსინდისიერი შესრულებისა და სხვა დამატებითი
შესრულების ვალდებულებებისაგან**

- 30 გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია კრედიტორის ინტეგრალური ინტერესების დაცვაზე. გამონაკლისი შემთხვევების გარდა,³⁵ ეს ვალდებულება არ სრულდება (იხ. ქვემოთ), **იგი შეიძლება მხოლოდ დაირღვეს**. კლიენტი ვერ უჩივლებს დალაქს, რათა ამ უკანასკნელმა მისი ჯანმრთელობა არ დააზიანოს, სანამ ეს უკანასკნელი მის ჯანმრთელობას რეალურად არ დააზიანებს. ამიტომ, მცირე გამონაკლისების გარდა, **დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ვალდებულების დარღვევა და არა მისი შესრულება**.

**ა.ა გულისხმიერების ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების
პრინციპის ურთიერთმიმართება**

- 31 გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპიდან არის ნაწარმოები. როგორც გულისხმიერი ქცევის, ასევე კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება ბუნებრივი ვალდებულებებია. ისინი გამომდინარეობენ ვალდებულების ხასიათიდან და მათი არსებობა არ არის დამოკიდებული შეთანხმებაზე. მიუხედავად გენეტიკური კავშირისა, 316 II და 361 I მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ეს მიჯნა, ძირითადად, მათი დაცვის ობიექტში ვლინდება. გულისხმიერების ვალდებულება მხარის ინტერესთა სიმრთელის, ანუ *status quo*-ს დაცვაზეა მიმართული. ინტეგრალური ინტერესი გულისხმობს პირის ინტერესს, უცვლელად შეინარჩუნოს მისი ქონებრივი თუ არაქონებრივი სტატუსი, რომელიც კავშირში არ არის შესრულებასთან და არ განიცადოს მასზე ნეგატიური, მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედება. ამით გულისხმიერების ვალდებულება იცავს კრედიტორს იმ ნეგატიური შედეგისგან, რომელიც არ დადგებოდა, მას ხელშეკრულება საერთოდ რომ არ დაედო (ნეგატიური ინტე-

34 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 38.

35 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

რესი). კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება კი პირიქით, არა არსებული სტატუსის შენარჩუნებაზე, არამედ იმ სამომავლო ინტერესის უზრუნველყოფაზეა მიმართული, რომელიც ხელშეკრულების სათანადოდ შესრულებას გულისხმობს (*status ad quem*). ამ თვალსაზრისით, იგი არის შესრულების დამატებითი ვალდებულება და 316 I მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა. მაგ., თუ გამყიდველმა იცის, რომ საქონლის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია შესაბამისი შეფუთვა, მან უნდა უზრუნველყოს ეს შეფუთვა, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა ამაზე მხარეები. ეს გამყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან გამომდინარეობს და შესრულების საიმედოობაზეა მიმართული. თუ ეს ვალდებულება დაირღვევა, მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა შესრულების ვალდებულების დარღვევისათვის. ხოლო, თუ ამ ვალდებულების დარღვევა ასევე იწვევს მყიდველის ქონების დაზიანებას და ხელყოფს მის ინტერესს, რომელიც ამ ხელშეკრულების შესრულებასთან უშუალო კავშირში არ არის (მაგ., არასათანადოდ შეფუთული საქონელი დაღუპება და გააფუჭებს მასთან ერთად დასაწყობებულ სხვა საქონელს), მაშინ სახეზე იქნება ასევე გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა.

ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულებათა გამიჯვნა შესრულების ვალდებულებებისაგან

კონკრეტული ვალდებულება, რომელიც გულისხმიერი ქცევის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, შესაძლოა ხელშეკრულებით პირდაპირ იქნეს გათვალისწინებული შესრულების დამატებით ვალდებულებად. მსგავს ვითარებაში აუცილებელია დიფერენცირება, რათა სწორად მოხდეს შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის ლოკალიზება. დიფერენციაციის ამოსავალი ნერტილი აქაც ის ინტერესია, რომლის დაცვაზეც ესა თუ ის ვალდებულებაა მიმართული. ეს ინტერესი პირობითად შეიძლება დაიყოს პოზიტიურ და ნეგატიურ (ინტეგრალურ) ინტერესად (ასევე იხ. ზემოთ ბ.ა.). პოზიტიური ინტერესი გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც ხელშეკრულებამ კრედიტორს უნდა მოუტანოს. შესაბამისად, თუ ხელშეკრულება არ სრულდება ან არაჯეროვნად/არაკეთილსინდისიერად სრულდება, ზარალდება კრედიტორის პოზიტიური ინტერესი. ნეგატიური ინტერესი, პირიქით, გულისხმობს იმ შედეგს, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ხელშეკრულება. გულისხმიერებისა და შესრულების ძირითად ვალდებულებათა გამიჯვნა განსაკუთრებულ სირთულეებს არ უკავშირდება, რადგან ამ უკანასკნელს ცალსახად გამოკვეთილი ადგილი უკავია სახელშეკრულებო ვალდებულებათა პროგრამაში. შედარებით რთულია გულისხმიერების ვალდებულებათა გამიჯვნა იმ შესრულების დამატებით ვალდებულებათაგან, რომლებიც კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან *ex lege* გამომდინარეობს.³⁶ ეს ვალდებულებები შინაარსობრივად ხშირად იდენტურია. მაგ., საქონლის მოხმარების ინსტრუქცია ორმაგი ფუნქციის მატარებელია. იგი, ერთი მხრივ, მყიდველის ნეგატიური ინტერესების

32

³⁶ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 69.

დაცვას ემსახურება (საქონლის არასწორმა მოხმარებამ შესაძლოა დააზიანოს მყიდველის ჯანმრთელობა ან ქონება), მაგრამ იმავდროულად შესრულების დამატებითი ვალდებულებაცაა და მიმართულია შესრულების შედეგის უზრუნველყოფაზე (საქონლის მოხმარების გამარტივებაზე). შესაბამისად, აქაც ჩნდება კითხვა, თუ რომელ ვალდებულებას არღვევს მოვალე, თუ იგი კრედიტორს მსგავს ინსტრუქციას არ მიაწვდის. პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ინტერესი ირღვევა კონკრეტულ შემთხვევაში. თუ ინსტრუქციის მიუწოდებლობის გამო მყიდველი ვერ სარგებლობს შექნილი საქონლით, მას ერღვევა შესრულების მიმართ არსებული პოზიტიური ინტერესი. ამით სახეზეა შესრულების დამატებითი ვალდებულების დარღვევა, რაც კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს ეწინააღმდეგება (361 II). თავის მხრივ, თუ, ინსტრუქციის არარსებობის გამო, მყიდველი არასწორად მოახდენს საგნის ექსპლუატაციას, რის შედეგადაც მის ჯანმრთელობას ან ქონებას (ანუ ნეგატიურ ინტერესს) ზიანი მიაღებება, სახეზე იქნება გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა.³⁷

გ. გულისხმიერების ვალდებულებათა ტიპოლოგია

33 გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება პირობითად დაიყოს ინფორმაციის გაცემის, კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის და უსაფრთხოებისა და სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებებად.

ა.ა ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

34 იხ. 318-ე მუხლის კომენტარი

ბ.ბ კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულება

35 კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის და უსაფრთხოების ვალდებულების მიზანია, ყოველმა მხარემ უზრუნველყოს მეორე მხარის იმ ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვა, რომელზეც მას ხელი მიუწვდება და რომელთა დაცვაც შესრულების ვალდებულების მიღმაა: მაგალითი №1 – „ა“-მ მანქანა სამრეცხაოში მიიყვანა. მას შემდეგ, რაც მანქანა გაირეცხა, სამრეცხაოს ერთ-ერთი თანამშრომლის უყურადღებობის გამო დაზიანდა მანქანის მარცხენა კარი. მიუხედავად იმისა, რომ მრეცხავებმა მათი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულეს, – გარეცხეს მანქანა, – მათ არ გამოიჩინეს გულისხმიერება მათთვის მიზარებული ქონების მიმართ და დააზიანეს იგი; მაგალითი №2 – იმის გამო, რომ კომპანიას სათანადოდ არ ჰქონდა დაცული კლიენტთა კომერციული ინფორმაცია, ეს ინფორმაცია ხელში ჩაუვარდათ მესამე პირებს, რომელთაც ბოროტად გამოიყენეს იგი.

36 განხილულ კომპონენტში გულისხმიერების ვალდებულება, როგორც წესი, კონკურირებს დელიქტურ მოთხოვნებთან და რომ არა სკ-ის 316 II,

37 *Madaus*, Die Abgrenzung der leistungsbezogenen von den nicht leistungsbezogenen Nebenpflichten im neuen Schuldrecht, Jura 2004, S. 289, 291.

უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებული მხარის ინტერესთა დაცვა შესაძლებელი იქნებოდა დელიქტების მარეგულირებელი ნორმებით. მიუხედავად ამისა, მეორე მხარის განსაკუთრებული ინტერესების დაცვის ვალდებულების ინტეგრირება სახელშეკრულებო ვალდებულებათა კონტექსტში მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს უკავშირდება. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს გზავსება სახელშეკრულებო მექანიზმების მთელი რიგისაკენ, რომლებიც მისთვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა დელიქტური გზით. მაგ., სკ-ის 394 I 2 ბრალეულობის მტკიცების ტვირთს აბრუნებს დაზარალებული მხარის სასარგებლოდ („ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.“). გარდა ამისა, გულისხმიერების ვალდებულების უხეშად ან მრავალჯერადად დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან და სკ-ის 407-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვოს შესაბამისი ზიანის ანაზღაურება (იხ. 405 III ბ).

გ.გ ლოიალურობის ვალდებულება

ლოიალურობის პრინციპი თითოეულ მხარეს ავალდებულებს, თავიდან აიცილონ ან არ დაუშვან გარემოებები, რომელთაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან ხელშეკრულების დადებას, მის ნამდვილობას, ან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ხელშეკრულებით დადგენილი მიზნის მიღწევა.³⁸ მაგ., მოვალე ვალდებულია, მიანოდოს კრედიტორს ის დოკუმენტაცია, რაც ამ უკანასკნელს ესაჭიროება ამა თუ იმ ნებართვის ასაღებად ან მოქმედების განსახორციელებლად (მაგ., საბაჟო დოკუმენტაცია), თუკი მის ინტერესებს ამით ზიანი არ მიადგება. მაგ., საბანკო დანესებულება ვალდებულია, მიანოდოს მოვალეს ინფორმაცია დავალიანების თაობაზე და ასევე გასცეს ინფორმაცია სხვა ბანკზე, რომ კრედიტის სრულად რეფინანსირების შემთხვევაში უზრუნველყოფილ ქონებას იპოთეკა მოეხსნება.³⁹

37

სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულება ცალკეულ შემთხვევაში არაა გულისხმიერების ვალდებულებიდან, არამედ კეთილსინდისიერი შესრულების პირობიდან გამომდინარეობს (სკ-ის 361 II). ეს ის შემთხვევებია, როცა სახელშეკრულებო ლოიალურობა მიმართულია შესრულების უზრუნველყოფაზე. მაგ., მოვალე ვალდებულია, საქონელი შეფუთოს იმგვარად, რომ ეს საქონელი არ დაზიანდეს არა მხოლოდ მყიდველზე რისკის გადასვლამდე, არამედ რისკის გადასვლის შემდეგაც.⁴⁰

38

სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულება არსებობას წყვეტს იქ, სადაც ბრუნვის წეს-ჩვეულებათა გათვალისწინებით თანამშრომლობის გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, ანუ საკითხი ერთმნიშვნელოვნად მეორე მხარის რისკის სფეროში ხვდება.⁴¹

39

38 მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის №ას-1388-1224-10 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულვებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 65.

39 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

40 LG Frankfurt NJW-RR 1986, 967.

41 BGH NJW 1983, 998 f.

**დ. გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის
სამართლებრივი შედეგები**

- 40 ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ვალდებულების დარღვევა, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაც ანიჭებს კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.⁴² ამგვარად, თუ სახეზეა კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, გულისხმიერების ვალდებულებით გამოწვეული ზიანი უნდა ანაზღაურდეს 394 I მუხლით. შესაბამისი გარემოებების არსებობისას გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი (იხ. 405 III ბ).

42 შეად. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 35 და შემდგომი.

მუხლი 317. ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

1. ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

2. 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას.

3. მოლაპარაკების მონაწილეს შეუძლია მეორე მონაწილეს მოსთხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა.

I. მუხლის მიზანი და სტრუქტურა	32
II. ვალდებულების წარმოშობა (317 I)	32
1. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების საფუძველზე.....	32
ა. ვალდებულებით და განკარგვით ხელშეკრულებებს შორის განსხვავება	33
ბ. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია	34
ა.ა ზოგადი კლასიფიკაცია	34
ბ.ბ ატიპური და შერეული ხელშეკრულებები.....	37
გ.გ ადმინისტრაციული ხელშეკრულებები.....	39
გ. ცალმხრივი ნების მნიშვნელობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში.....	42
დ. სახელშეკრულებო ურთიერთობათა შეცვლა/შენეგება ხელშეკრულების საფუძველზე	42
2. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	44
3. მომიჯნავე შემთხვევები	44
ა. სამართლებრივი ბოჭვის სურვილი და ყოფითი კონტაქტები (Gefälligkeitsverhältnisse)	44
ბ. არასრულყოფილი ვალდებულებები	44
გ. ფაკულტატიური ვალდებულებები.....	44
III. წინასახელშეკრულებო ბრალი (317 II, III)	44
1. 317 II მუხლის დანიშნულება	44
2. წინასახელშეკრულებო ბრალის შინაარსი	46
ა. წინასახელშეკრულებო ეტაპი.....	46
ბ. წინასახელშეკრულებო ბრალის შესაძლო ვარიაციები (ზოგადი მიმოხილვა).....	46
გ. დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა დარღვევა	47
დ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებათა დარღვევა.....	47
ე. სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებათა დარღვევა და სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა უსაფუძვლო მოშლა	47
ვ. წინასახელშეკრულებო ბრალი შრომით ურთიერთობებში	48
ზ. პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ბრალისათვის (317 III) ...	49

ა.ა 317 III მუხლის წინაპირობები.....49
 ბ.ბ ზოგადი შედეგები.....50
 გ.გ. სანქციები წინასახელშეკრულებო ბრალის იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც 317 III მუხლის მოქმედების სფეროს მიღმაა50
 დ.დ წინასახელშეკრულებო ბრალის პრინციპის მოქმედება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ) მიმართებით51

I. მუხლის მიზანი და სტრუქტურა

1 სკ-ის 317 I მუხლით კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან ან კანონიდან. უშვებს რა წინასახელშეკრულებო ეტაპზე გულისხმიერების ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას, 317 II მუხლი სამოქალაქო კოდექსში ამკვიდრებს ვალდებულების წარმოშობის *sui generis* წყაროს ე.წ. წინასახელშეკრულებო ბრალის ანუ *culpa in contrahendo*-ს სახით. *culpa in contrahendo*-ს კონცეფციის თანახმად, არა მხოლოდ ხელშეკრულება, არამედ თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მომზადების პროცესიც შესაძლოა, ორივე მხარეს აკისრებდეს ერთმანეთის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. 317 III მუხლი ადგენს სანქციას წინასახელშეკრულებო ბრალის კონკრეტული შემთხვევისათვის, კერძოდ სახელშეკრულებო ლოიალობის ვალდებულების დარღვევისათვის.

II. ვალდებულების წარმოშობა (317 I)

1. ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულების საფუძველზე

2 ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საშუალებაა (317 I). ხელშეკრულება იდება 329-ე-335-ე მუხლებით დადგენილი წესით. ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (*consensus ad idem*), ხოლო გამონაკლის შემთხვევებში ამ შეთანხმების გაფორმება კანონით დადგენილი წესით (იხ. 327). ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ყველა სხვა საფუძველზე უფრო მშვიდობიანი და დინამიკურია. მშვიდობიანია, რამეთუ იგი მხარეთა კონსენსუსს ეფუძნება და მისი მიზანი ორმხრივი სარგებლის, ეკონომიკური ინტერესისა და კერძო დოვლათის ზრდაზეა მიმართული; დინამიკურია, რამდენადაც მისი არსებობა დაკავშირებულია არა ერთ კონკრეტულ სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტთან ან ქმედებასთან, არამედ მსგავს ქმედებათა კომპლექსთან, რომელთა შინაარსიც შესაძლოა, დინამიკურად იცვლებოდეს.

3 სახელშეკრულებო სამართალი ეფუძნება **ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს**.¹ ეს პრინციპი გულისხმობს, რომ მხარეებს აქვთ უფლება, თავად გადაწყვიტონ, თუ ვისთან (კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლება) და რა პირობებით დადონ ხელშეკრულება (პირობების გან-

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის №ას1300-1320-2011 გადაწყვეტილება.

საზღვრის თავისუფლება), თავად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი (შინაარსის თავისუფლება), ფორმა (ფორმის თავისუფლება) და სამართლებრივი ეფექტი *inter partes* (ბოჭვის თავისუფლება). ამავე თავისუფლებას ეფუძნება მხარეებზე სახელშეკრულებო რისკების განაწილება – ყველა დამოუკიდებლად ირჩევს კონტრაქტს და დამოუკიდებლად განსაზღვრავს ხელშეკრულების შინაარსს, რის გამოც თავად ატარებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკებს.² ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისებიც (იხ. კომ. 319), თუმცა ეს გამონაკლისები ხელშეკრულების თავისუფლების ზოგად წესს განამტკიცებენ და არ ცვლიან მას. მათი ზოგადი მიზანია ამ თავისუფლების კორექტირება ბრუნვის წეს-ჩვეულებათა და უსაფრთხოების მოთხოვნათა დასაცავად.

ა. ვალდებულებით და განკარგვით ხელშეკრულებებს შორის განსხვავება

სახელშეკრულებო ურთიერთობა ხშირად იმაზე კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები დებენ სამ გარიგებას, მაშინაც კი როცა სამივე გარიგება ერთი ტრანსაქციის ფარგლებში შეიძლება იყოს მოქცეული.³ პირველი გარიგებით მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების არსებით პირობებზე და დებენ ხელშეკრულებას (**მავალდებულებელი გარიგება**). ეს გარიგება წარმოშობს ვალდებულებას 316-ე მუხლის მნიშვნელობით, თუმცა მავალდებულებელი გარიგების ძალით მყიდველი *per se* არ მოიპოვებს საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე (**გამიჯვნის პრინციპი**⁴). ამისათვის აუცილებელია, გამყიდველმა ვალდებულება შეასრულოს და „*გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე... და მიანოდოს საქონელი*“ (სკ. 477). საკუთრების გადაცემის ვალდებულების შესრულება ამ შემთხვევაში **სანივთო გარიგების მეშვეობით ხდება**,⁵ რაც უბრალო რეალაქტზე მეტია.⁶ წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებლისათვის საკმარისი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს საქონელი, რომელიც ვალდებულებითი ხელშეკრულების ძალით უკვე ამ უკანასკნელის საკუთრებაა. ამრიგად, კანონი სამართლებრივად ერთმანეთისაგან მიჯნავს, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების განკარგვის შესახებ ვალდებულებას და, მეორე მხრივ, საკუთრების უფლების უშუალოდ განკარგვას.⁷ ამას ადასტურებს 323-ე და 186-ე მუხლებს შორის სხვაობაც.

4

2 *Stadler*, in: *Jauernig BGB*, §311, Rn. 3.

3 ხელშეკრულების ფართო გაგებას ემხრობა უზენაესი სასამართლოც: „ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს წარმოეშობათ სამოქალაქო უფლება-მოვალეობები“ (კრებული 2001/1, სუსგ 3კ/364-01, გვ. 828).

4 *დანელია*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 31 და შემდგომში.

5 მესამე გარიგებაც სანივთოსამართლებრივი ხასიათისაა და ის უკავშირდება ნასყიდობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებას.

6 ასევე იხ. *დანელია*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 31, 42 და შემდგომში.

7 *დანელია*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის

იმისათვის, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ვალდებულება წარმოიშვას, საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმით დადებული გარიგება, ხოლო იმისათვის, რომ უძრავ ქონებაზე მესაკუთრე შეიცვალოს, კანონი ითხოვს წერილობით ფორმას და საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.⁸

5 მავალდებულებელი და სანივთო გარიგებები აღსრულების თვალსაზრისით დამოუკიდებელი გარიგებებია, თუმცა ისინი ერთმანეთთან სამართლებრივად დაკავშირებულია. მავალდებულებელი გარიგება არის **კაუზა ანუ სამართლებრივი საფუძველი** განკარგვითი ხელშეკრულებისათვის (იხ. კომ. 186), რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი აბსტრაქციის პრინციპი ქართული სამართლისათვის უცხოა.⁹ შედეგად, თუ მავალდებულებელი გარიგება ბათილია, ბათილია მის საფუძველზე შესრულებული განკარგვითი გარიგებაც.

6 სანივთო სამართლებრივი გარიგებები განკარგვითი ხასიათის გარიგებებია. განკარგვითი გარიგებებით ხდება სამართლებრივი რეჟიმის მართვა – მისი შეცვლა, დატვირთვა, შეწყვეტა ან მესამე პირებზე გადატანა. განკარგვითი გარიგებები, ძირითადად, დამახასიათებელია სანივთო სამართლისათვის (მაგ.: 183, 186, 198¹⁰), თუმცა მსგავსი გარიგებები ვალდებულებით სამართალშიც გვხვდება. განკარგვითი გარიგება შეიძლება იყოს ორმხრივი (მაგ., შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ) ან ცალმხრივი (მაგ., ვალდებულების გაქვითვა (442 I), ვალის პატიება (448)).

ბ. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია

ა.ა ზოგადი კლასიფიკაცია

7 ხელშეკრულება შესაძლოა, იყოს **სასყიდლიანი (causa onerosa) ან უსასყიდლო (causa gratuita)**. ხელშეკრულების სასყიდლიანი ხასიათი არ გულისხმობს მაინცდამაინც ფულად ვალდებულებას. სასყიდლიანად ითვლება ისეთი ხელშეკრულებაც, რომელშიც არც ერთ მხარეს არ ეკისრება ფულადი ვალდებულება, თუმცა ორივე მხარე კისრულობს შემხვედრ ვალდებულებას (მაგ., გაცვლა).

8 მხარეებზე ვალდებულებათა განაწილების თვალსაზრისით, ხელშეკრულება შესაძლოა, იყოს **ორმხრივი ან ცალმხრივი**. ორმხრივი ხელშეკრულება, თავის მხრივ, შესაძლოა, იყოს **სრულყოფილად ან არასრულყოფილად ორმხრივი**. სრულყოფილად ორმხრივი ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანი¹¹ და სინალაგმატურია, რაც ურთიერთსასარგებლო შესრულებათა გაცვლით ვლინდება (*do ut des*). მაგ., ქირავნობის

მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 31, 42 და შემდგომი.

8 ამ თვალსაზრისით სადავოა უზენაეს სასამართლოს პოზიცია 2012 წლის 24 ივლისის № ას-221-213-2012 გადაწყვეტილებაში; უფრო დამაჯერებლად გამოიყურება სააპელაციო სასამართლოს მიდგომა ამავე გადაწყვეტილებაში.

9 ასევე იხ. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 31, 42 და შემდგომი.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის №ას-528-501-2015 გადაწყვეტილება.

11 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 106.

ხელშეკრულებით გამჭირავებელი მოვალეა, დამჭირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით – დამჭირავებელი კი მოვალეა, გამჭირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა (531). ამ დროს ერთი მხარის ეკონომიკური ქცევა განპირობებულია მეორე მხარის ადეკვატური ეკონომიკური ქცევით (*quid pro quo*). შესაბამისად, სრულყოფილად ორმხრივი ხელშეკრულების მხარეები ერთდროულად კრედიტორებიც არიან და მოვალეებიც.¹² **არასრულყოფილად ორმხრივ ხელშეკრულებას არ ახასიათებს სინალაგმატური და სასყიდლიანი ხასიათი.** ასეთ ხელშეკრულებებში მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს ეკისრება ძირითადი ვალდებულება, მაშინ, როცა მეორე მხარე მხოლოდ მეორეული მნიშვნელობის ვალდებულებას ასრულებს, რომელიც არ არის ძირითადი ვალდებულების სასყიდელი (მაგ., თხოვების ხელშეკრულება (615)).¹³ **ცალმხრივ ხელშეკრულებაში ვალდებულება მხოლოდ ერთ მხარეს აკისრია** (მაგ.: ჩუქების დაპირება, ვალის აღიარება¹⁴)¹⁵. ცალმხრივ ხელშეკრულებად შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ტიპური სასყიდლიანი, ორმხრივი ხელშეკრულებაც, თუ უფლებამოსილი მხარე უარს ამბობს საპასუხო შესრულების მოთხოვნაზე ან ხელშეკრულების განმარტებით დგინდება, რომ მხარეები სასყიდელზე არ შეთანხმებულან (მაგ., უსასყიდლო დავალების ხელშეკრულება). ჩვეულებრივ, სასყიდლიანი ხელშეკრულების უსასყიდლო ხელშეკრულებად გარდაქმნისათვის გადამწყვეტია, რომ სასყიდელი არ იყოს ხელშეკრულების ბუნების განმსაზღვრელი კრიტერიუმი, მისი კანონისმიერი *essentialia negotii* (რაც სახეზეა, მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში).¹⁶

ხელშეკრულებების კლასიფიკაცია ასევე შესაძლებელია ქონების განკარგვით, სარგებლობის უფლების გადაცემის, მომსახურების მიწოდების, ერთობლივი საქმიანობის, რისკებისა და მოთხოვნათა მართვის ხელშეკრულებებად. **ქონების განკარგვითი ხელშეკრულებით** ხდება ქონებაზე უფლების განკარგვა ანუ მასზე საკუთრების უფლების დათმობა სხვა პირის სასარგებლოდ. ქონების განკარგვითი ხელშეკრულებებია, მაგ.: ნასყიდობა, გაცვლა და ჩუქება.¹⁷ **დროებითი სარგებლობის უფლე-**

9

12 *ჭანტურია*, სკის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 316, გვ. 30.

13 ასევე იხ. *სვანაძე*, ნიგნი: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 97.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის №ას-699-658-2011 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 თებერვლის №ას-1837-1810-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); ასევე იხ. *მესხიშვილი*, ვალის აღიარება, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V, 2016, გვ. 52 და შემდგომში.

15 სასამართლო პრაქტიკაში ცალმხრივ ხელშეკრულებად ასევე დაკვალიფიცირებულია უპროცენტო სესხის ხელშეკრულება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის №ას-1294-1314-2011 გადაწყვეტილება), რაც სადავოა. უპროცენტო სესხის ხელშეკრულება არა ცალმხრივი, არამედ (არასრულყოფილად) ორმხრივი ხელშეკრულებაა, რადგან მასში ორივე მხარეს ეკისრება შესრულების ვალდებულება (გამსესხებელი გასცემს სესხს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხი).

16 წინააღმდეგ შემთხვევაში სასყიდლიანი ხელშეკრულების უსასყიდლო ხელშეკრულებად გარდაქმნა გამოიწვევს მისი ტიპის ცვლილებას (მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულება გარდაიქმნება ჩუქების ხელშეკრულებად).

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის №ას-221-213-2012 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №ას-750-718-2014 გადაწყვეტილება.

ბის გადაცემის ხელშეკრულებების საფუძველზე ხდება არა საკუთრების უფლების, არამედ სარგებლობის უფლების გადაცემა გარკვეული დროით (მაგ.: თხოვნა, ქირავნობა და იჯარა). **მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებების** შემთხვევაში ვალდებულების არსი არა საკუთრების ან სარგებლობის გადაცემაშია, არამედ კონკრეტული მომსახურების განწესებაში, მაგ.: მიზარება, გადაზიდვა-გადაყვანა და ა.შ. **ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით** პირები თანხმდებიან, ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად (მაგ.: ამხანაგობა, პარტნიორთა შეთანხმება). **რისკების მართვის ხელშეკრულებები** მიმართულია გარკვეული რისკების მართვაზე (მაგ.: საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულება, დაზღვევის ხელშეკრულება). **მოთხოვნათა მართვაზე მიმართული ხელშეკრულებები** ემსახურება მოთხოვნათა წარმოშობის, შეცვლის ან მათი სამართლებრივი გამყარების მიზანს (მაგ.: ვალის გადაკისრება, ვალის აღიარება).

10 ხელშეკრულებები შესაძლოა, ასევე დაიყოს **ფორმასავალდებულო** და **ფორმათავისუფალ** ხელშეკრულებებად. ზოგადად, ხელშეკრულების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული რაიმე ფორმის დაცვაზე (**ფორმის თავისუფლების პრინციპი**). ხელშეკრულება კონსენსუალური აქტია, ხოლო კონსენსუსი შესაძლოა, შედგეს ზეპირადაც (*nudum pactum*). თუმცა კანონით გათვალისწინებულია არცთუ იშვიათი გამონაკლისები ამ წესიდან (მაგ. იხ.: 321, 323, 341 I, 418 II, 426, 506 I, 563). ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია კანონით დადგენილი ფორმის დაცვაზე, რაც შესაძლოა, ითვალისწინებდეს მარტივ წერილობით, სანოტარო ან სარეგისტრაციო ფორმებს. გამონაკლისები ფორმის თავისუფლების პრინციპიდან ემსახურება კონკრეტულ მიზანს ან მიზანთა ერთობლიობას, ეს შეიძლება იყოს: მხარეთა აჩქარებისაგან დაცვის მიზანი, მტკიცების გააძვირების მიზანი და ა.შ.¹⁸ სავალდებულო ფორმა ასევე შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შეთანხმებით. ასეთ შემთხვევაშიც ფორმის დაცვა სავალდებულოა, ხოლო მისი დაუცველობა ინვესტ გარიგების ბათილობას (328). გამონაკლისი ფორმის სავალდებულობის წესიდან შეიძლება დაიშვას იმ შემთხვევაში, როცა ფორმის მოთხოვნაზე აპელირება წინააღმდეგობაში მოდის კეთილსინდისიერების პრინციპთან და ფორმის მოთხოვნის დაცვა არ არის აუცილებელი საჯარო ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების ან სახელშეკრულებო ურთიერთობათა სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.¹⁹

11 ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს **კონსენსუალური** და **რეალური** ხელშეკრულებები. კონსენსუალური ხელშეკრულება ვალდებულებას წარმოშობს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მაშინ, როცა რეალური ხელშეკრულება შეთანხმებას უკავშირებს შესრულებას (შეთანხმების საგნის გადაცემას). ეს განსხვავება სათავეს იღებს რომის სამართლიდან და თანამედროვე კოდიფიკაციებში ის იშვიათად გვხვდება. უფრო მეტიც,

18 ასევე იხ. სვანაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 88 და შემდგომში.

19 სვანაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 93 და მომდევნო. ასევე იხ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.

რეალური ხელშეკრულება თავისი ბუნებით ასისტემურია და ეწინააღმდეგება 327 I მუხლით გამყარებულ კონსენსუალიზმის პრინციპს, რომლითაც სახელშეკრულებო ბოჭვის თვითკმარ საფუძვლად შეთანხმებაა გათვალისწინებული („ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ“). რეალური ხელშეკრულების ერთ-ერთი მაგალითია ჩუქება (524, 525 I, II). 525 I მუხლი ადგენს, რომ მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, ანუ მხარეები არათუ უნდა შეთანხმდნენ ჩუქებაზე, არამედ უშუალოდ უნდა განკარგონ ქონება, რათა ჩუქების ხელშეკრულება ჩაითვალოს დადებულად. პრაქტიკაში ამ წინაპირობამ შესაძლოა გარკვეული გართულებები გამოიწვიოს, როცა მხარეები, მართალია, თანხმდებიან უძრავი ნივთის ჩუქებაზე, თუმცა შეთანხმებისთანავე არ ხდება ქონების საკუთრებაში გადაცემა. მსგავსი გარიგება ცალკეულ შემხვევებში შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს ჩუქების დაპირებად, თუმცა ამისთვის კანონი დამატებით ფორმალურ მოთხოვნებს ითვალისწინებს (იხ. 525). ასევე რეალურ ხასიათს ატარებს სესხის ხელშეკრულებაც (623),²⁰ რომლის დადებაც სესხების მომენტს უკავშირდება. ამ საკითხშიც კანონმდებლის მიდგომა არქაულია და ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებს. ამასთანავე, სახეზე არ არის ხელშესახები არგუმენტები იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ უნდა იყოს სესხის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულება, მაშინ, როცა იგივე საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შესაძლოა იყოს კონსენსუალური (867)²¹.

ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია შესაძლებელია გრძელ- და მოკლევადიან ხელშეკრულებებად, ისევე როგორც სამომხმარებლო (B2C) და არასამომხმარებლო ხელშეკრულებებად (B2B, C2C). ამ კლასიფიკაციას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელშეკრულებათა ცალკეული კატეგორიებისთვის, მაგ., სამომხმარებლო და გრძელვადიანი ხელშეკრულებებისთვის, კანონმდებელი სპეციალურ რეგულაციებს ითვალისწინებს.²²

ბ.ბ ატიპური და შერეული ხელშეკრულებები

სამოქალაქო კოდექსი სახელშეკრულებო ტიპებს *numerus clausus*-ის პრინციპით არ ზღუდავს. 319 I 2 მუხლის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის (ატიპური ხელშეკრულებები²³). ამით კანონმდებელი მიუთითებს იმაზე, რომ სამოქალაქო კოდექსით

20 იხ. განსხვავებული მოსაზრებისათვის *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 21.

21 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის №ას-1280-1300-2011 გადაწყვეტილება.

22 მაგ. 347-ე და 348-ე მუხლები *verba legis* გამოიყენება მხოლოდ სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ (რაც, თავის მხრივ, სადავოა), ხოლო გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტისათვის კანონმდებელი ადგენს სპეციალურ ნორმებს (მაგ. იხ. 399).

23 ლიტერატურაში ასეთ ხელშეკრულებებს ასევე ეწოდებათ არასახელდებული ხელშეკრულებები, მაშინ როცა ტიპური ხელშეკრულებები მოხსენებულია როგორც სახელდებული ხელშეკრულება, იხ. *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 105.

გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა სახეები ამომწურავი არ არის და მხარეებს ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში შეუძლიათ, დადონ მათთვის სასურველი შინაარსის მქონე, კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებები.²⁴ მსგავს ხელშეკრულებათა მიმართ გამოიყენება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიახლოებულ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების, სამართლის ანალოგიის (იხ. 5) ან სავაჭრო ჩვეულებათა (მაგ. იხ. 339) გამოყენებაც. იმისათვის, რომ ხელშეკრულება ჩაითვალოს ატიპურ ხელშეკრულებად ან ვალდებულება ატიპურ ვალდებულებად, იგი არ უნდა შეესაბამებოდეს არცერთ კოდიფიცირებულ სახელშეკრულებო ან ვალდებულების ტიპს. ხელშეკრულების ტიპისა და მისი სისტემური კუთვნილების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულების სახელწოდებას.²⁵ გადამწყვეტია ხელშეკრულების შინაარსი და ის უფლებამოვალეობები, რომელთაც მხარეები ამ ხელშეკრულებით იძენენ.²⁶

14 ატიპურ ხელშეკრულებათაგან განსხვავდება **კომბინირებული ხელშეკრულება**, რომელიც რამდენიმე სახელშეკრულებო ვალდებულების ტიპს ერთ ხელშეკრულებაში აერთიანებს. მაგ., ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება კლიენტს შეიძლება სთავაზობდეს ტურისტულ პაკეტს, რომელიც მოიცავს კვებას, სასტუმროში განთავსებას, სატრანსპორტო მომსახურებას და სხვა ვალდებულებებს (657 II). თითოეულ ამ ვალდებულებას კანონმდებელი განიხილავს როგორც ერთიანი ხელშეკრულების ნაწილს და მათ ტურისტული მომსახურების ცნებაში აერთიანებს.

15 კომბინირებული ხელშეკრულებისაგან განსხვავდება **ტიპური ხელშეკრულება არადამახასიათებელი დამატებითი ვალდებულებით**. ეს არის ტიპური ხელშეკრულება კონკრეტული ძირითადი ვალდებულებით, რომელიც დამატებით ითვალისწინებს დამხმარე ხასიათის ვალდებულებას, რაც, ჩვეულებრივ, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებისათვის არ არის დამახასიათებელი (მაგ.: ნასყიდობა მონტაჟის ვალდებულებით, ოთახის გაქირავება დალაგების სერვისით).²⁷ ასეთ შემთხვევაში, მაგ., თუ გამყიდველი არასწორად ააწყობს კარადას, სახეზე იქნება ნასყიდობის საგნის ნაკლი და დარღვეულად ჩაითვლება ნასყიდობის და არა ნარდობის ხელშეკრულება (ასეთი ხელშეკრულება მხარეებს შორის არც დადებულია). ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, კარადის არასწორი მონტაჟი შეფასდეს ნასყიდობის მარეგულირებელი წესებით (აბსორბციის პრინციპი).

16 შერეულ ხელშეკრულებათა განმარტების წესი მოცემულია 340-ე მუხლში. ამ ნორმის თანახმად, „შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის №ას1300-1320-2011 გადაწყვეტილება.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 13 სექტემბრის №ას-587-552-2010 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის №ას-147-141-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს შესაბამისი გადაწყვეტილება); თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის №2/6092-11 გადაწყვეტილება.

27 *Gehrlein/Sutchet*, in: Beck OK BGB, 41. Aufl., § 311, Rn. 21.

მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.“ თავის მხრივ, განმარტების საგანია, თუ რას მოიაზრებს კანონმდებელი „შესრულების არსის“ ცნებაში – ძირითად ვალდებულებას თუ კონკრეტულ სადავო ვალდებულებას. აქ დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. მაგ., ხელშეკრულება თეატრალური წარმოდგენის ორგანიზების შესახებ შეიძლება მოიცავდეს იჯარის, ნარდობისა და მომსახურების ხელშეკრულებათა კომბინაციას, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ერთ ვალდებულებას. ამ შემთხვევაში ყოველი ვალდებულება ძირითადი ვალდებულებაა და ყოველი მათგანი შეიძლება განიმარტოს შესაბამისი ვალდებულების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე (კომბინაციის პრინციპი). თავის მხრივ, ამ მიდგომის უპირობოდ გამოყენებამ პრაქტიკაში შესაძლოა, გართულებები გამოიწვიოს, რადგან ერთი ხელშეკრულება სხვადასხვა ხელშეკრულების მარეგულირებელი, ურთიერთგამომრიცხავი წესების გავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს.

გ.გ ადმინისტრაციული ხელშეკრულებები

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, ისე ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო პირს შორის (სზაკ-ის 2 | ზ). ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ისევე როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი გარიგება (იხ. კომ. 316), ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალურ უფლებაუნარიანობაზეა დამოკიდებული (სზაკ-ის 66 |). მას შეუძლია, ადმინისტრაციული ხელშეკრულება დადოს მხოლოდ მისი კომპეტენციის ფარგლებში (სზაკ-ის 65 | 1). გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით (სზაკ-ის 65 | 2). მართალია, სზაკ-ის 2 | „ზ“ მუხლში ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია როგორც სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ყველა სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება, იმავდროულად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ არის და არც ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ არის სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება თავისი არსით. სზაკ-ის 65 | მუხლით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება იდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (სზაკ-ის 2 | ზ-ე *acta iure imperii*), რაც სახეზე არ არის იმავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას (*acta iure gestionis*). ამით კანონმდებელი იზიარებს ე.წ. სპეციალური ურთიერთობის თეორიას,²⁸ რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ

28 ამ თეორიასთან დაკავშირებით იხ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 12 და შემდგომში.

დადებული ხელშეკრულება საჯაროსამართლებრივია მხოლოდ იმ სპეცი-
ალურ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო მოქმედებს მისი საჯაროსამა-
რთლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში (მაგ., სახელმწიფო ქონების
გასხვისებისას²⁹). ხოლო თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს რო-
გორც კერძო სამართლის სუბიექტი და ახორციელებს მხოლოდ კერძო-
სამართლებრივ უფლებამოსილებას, – იმ უფლებამოსილებას, რომელსაც
ზოგადად, ნებისმიერი სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბი-
ექტიც განახორციელებდა, – სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა ად-
მინისტრაციული ხელშეკრულება (8 II). სწორედ საჯაროსამართლებრივი
უფლებამოსილების განხორციელება არის ის გადამწყვეტი ნიშანი, რომე-
ლიც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განასხვავებს ადმინისტრაციუ-
ლი ორგანოების მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულე-
ბებისგან.³⁰

- 18 ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია შესაძლებელია
რამდენიმე ჯგუფად. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს **კოორდინაციული
ხასიათის ხელშეკრულება**, რომელიც იდება ადმინისტრაციულ ორგანო-
ებს შორის და **სუბორდინაციული ხასიათის ხელშეკრულება**, რომელ-
საც ადმინისტრაციული ორგანო დებს კერძო პირთან ან ადმინისტრაციუ-
ლი ორგანო დებს მისადმი დაქვემდებარებულ სამართლის სუბიექტთან.³¹
- 19 მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცალკე-
ული საკითხები პირდაპირ (მაგ.: ხელშეკრულების დადება – სზაკ-ის 65 II;
ბათილობა – სზაკ-ის 70 I; შესაბამისობა კოდექსის იმპერატიულ ნორმებ-
თან – სზაკ-ის 66 II), ხოლო მთელი რიგი საკითხებისა ანალოგიით სამოქა-
ლაქო კოდექსით რეგულირდება,³² ადმინისტრაციასა და კერძო პირს შო-
რის დადებული ხელშეკრულება ავტონომიურობის ხარისხით და მხარეთა
პარიტეტით ვერ გაუტოლდება წმინდა კერძოსამართლებრივი ხასიათის
ხელშეკრულებებს. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც წესი,
**უფლებრივად შეზღუდულ, სუბორდინაციულ დამოკიდებულებას აყა-
ლიბებს**. ამით ადმინისტრაციული ხელშეკრულება იკავებს შუალედურ
ადგილს ადმინისტრაციულ აქტსა და კერძოსამართლებრივი ხასიათის
ხელშეკრულებას შორის.
- 20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეზღუდული, სუბორდინაციული
ხასიათი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციულ ორგანოს

29 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის №ას-890-852-2014 გა-
დანყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-292-
279-2015 გადანყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის
№ას-559-530-2015.

30 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №2ბ/4365-14 განჩინება.

31 *კოპალეიშვილი*, წიგნში: *ადემივილი/ვარდიაშვილი და სხვ. ზოგადი ადმინისტრაციული სამა-
რთლის სახელმძღვანელო*, 2005, გვ. 206.

32 მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ამაზე პირდაპირ არ მიუთი-
თებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, თუ ეს კანონს და ამ ხელშეკრულების არსს არ
ენინააღმდეგება, ანალოგიით რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.
ადმინისტრაციული ხელშეკრულების კერძოსამართლებრივი ბუნების გამოხატულებად უნდა
ჩაითვალოს სზაკ 69 I-ე მუხლის დათქმა, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ხელშეკრუ-
ლება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას,
ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის
შემდეგ.

აქვს მხოლოდ სპეციალური და არა ზოგადი უფლებაუნარიანობა. სპეციალური უფლებაუნარიანობა, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ხელშეკრულების თავისუფლებით სრულად ვერ სარგებლობს. მას არა აქვს უფლება, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გაითვალისწინოს ის პირობები, რომელთა გათვალისწინება მის კომპეტენციას სცდება.³³ გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას დადებს ერთ კერძო პირთან, ვალდებულია, იმავე პირობებში მსგავსი შინაარსის ადმინისტრაციული ხელშეკრულება დადოს სხვა კერძო პირთანაც, თუ უარი ხელშეკრულების დადებაზე გამოიწვევდა მეორე მხარის დისკრიმინაციას (იხ. სზაკ-ის 4 II). ამასთანავე, მართალია, უშუალოდ ადმინისტრაციული ხელშეკრულება მხარეთა კონსენსუსის პროდუქტია და უფლება-მოვალეობათა ვერტიკალი მხარეთა შეთანხმების და არა სუბორდინაციის შედეგია, თუმცა ეს პარიტეტი პირობითია, რადგან მოლაპარაკების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო მის კონტრაპენტთან მიმართებით, როგორც წესი, ფლობს სახელშეკრულებო უპირატესობას, რაც მისი საჯაროსამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს.

სზაკ-ის 71 I მუხლის თანახმად, გარემოებათა არსებითად შეცვლისას, 21 რაც ზიანს აყენებს მხარეს ან საზოგადოებრივ ინტერესს, ერთი მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარეს მოსთხოვოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლა, ხოლო თუ ცვლილება ხელშეკრულებაში არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება (სზაკ-ის 71 II). ამით სზაკ-ის 71-ე მუხლი ადგენს სპეციალურ რეგულაციას 398-ე და 399-ე მუხლებთან მიმართებით, რაც არ გამოორიცხავს ამ ნორმათა გამოყენებას სზაკ-ის 71-ე მუხლის შევსების ან განმარტების მიზნით. ძირითადი სხვაობა სზაკ-ის 71-ე და 398-ე, 399-ე მუხლებს შორის ისაა, რომ შეცვლილი გარემოებები ზიანს აყენებს არა მხოლოდ კერძო, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებს და ხელშეკრულება უნდა მიესადაგოს შეცვლილ გარემოებებს, ან შეწყდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ გარემოებათა ცვლილება მოსალოდნელი იყო იმ მხარისათვის, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების მისადაგებას. საზოგადოებრივი ინტერესები ამ შემთხვევაში მხარეთა ინტერესებზე მაღლა დგება. რა თქმა უნდა, თუ გარემოებათა ცვლილება ადმინისტრაციული ორგანოს რისკის სფეროს მიეკუთვნება ან მას უნდა განეჭვრიტა ეს ცვლილებები, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იქნება, ატაროს ხელშეკრულების მისადაგების რისკი ან აანაზღაუროს ზიანი ხელშეკრულების მიუსადაგებლობის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (სზაკ-ის 69). რაც შეეხება ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ისინი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება. თუმცა იმ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ანაცვლებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს სზაკ-ის 53-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის მოთხოვნა.³⁴ 22

33 Busche, in: MüKo BGB, Vorb. zum BGB, 7. Aufl., Rn. 50.

34 კოპალეიშვილი, ნიგნში: ადვიშვილი/ვარდიაშვილი და სხვ, ზოგადი ადმინისტრაციული სამა-

გ. ცალმხრივი ნების მნიშვნელობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში

- 23 სუბიექტთა მიხედვით, ხელშეკრულება ორმხრივია, მაშინაც კი, როცა ვალდებულებათა ბალანსი ცალმხრივია. ნებისმიერ ხელშეკრულებას უნდა ჰყავდეს კრედიტორი და მოვალე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა ყოველთვის ორმხრივი გარიგების შედეგია. კანონი იცნობს გამონაკლისებსაც, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობები **ცალმხრივი ნების გამოვლენით** წარმოიშობა. მაგალითად ჯილდოს საჯაროდ დაპირების საფუძველზე პირს, რომელმაც ჯილდოს წინაპირობები შეასრულა, წარმოეშობა ჯილდოს მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მან ჯილდოს შესახებ (755).
- 24 ცალმხრივი ნების გამოვლენით შესაძლოა, ასევე ხდებოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობათა ცვლილება ან გაუქმება. ეს მიიღწევა **აღმჭურველ უფლებათა** მეშვეობით (*Gestaltungsrecht*). აღმჭურველი უფლების მაგალითია ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებიდან გასვლა და გარიგების გაბათილება. ყველა ეს უფლება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ შეტყობინებით, რომელიც ამ შემთხვევაში არა გარიგება, არამედ **გარიგებისმაგვარი ქმედებაა** (*factum conditionale*). ეს უკანასკნელი ცალმხრივი გარიგებისგან იმით განსხვავდება, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომელსაც მას კანონმდებელი უკავშირებს, იმის მიუხედავად დგება, სურდა თუ არა ეს ნების გამომვლენ მხარეს. მაგ., მოვალის გაფრთხილება ვადის გადაცილების და შესაბამისი შედეგების თაობაზე ინვესტ მუ-400 მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არ კრედიტორს ამ შედეგის დადგომა. ამასთანავე, მე-400 მუხლის საფუძველზე განხორციელებული გაფრთხილების სამართლებრივ შედეგს შეცდომის მოტივითაც ვერ გავაბათილებთ. ეს იქნება სამართლებრივი შეცდომა, რომელსაც კანონი საპატიოდ არ მიიჩნევს. შესაბამისად, შესრულება გაფრთხილებისთანავე ავტომატურად ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, მიუხედავად იმისა, გამფრთხილებელი მიზნად ისახავდა თუ არა ამ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს.

დ. სახელშეკრულებო ურთიერთობათა შეცვლა/შენწყვეტა ხელშეკრულების საფუძველზე

- 25 თუ ეს კანონს არ ეწინააღმდეგება (მაგ. იხ. 577 V), მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, **შეცვალონ მოქმედი ხელშეკრულების პირობები**. ცვლილება შეიძლება შეეხოს ნებისმიერ საკითხს, მათ შორის შესრულების ვადებს (მაგ., მორატორიუმი ვალდებულებათა შესრულებაზე), შესრულების პირობებსა და სანქციებს. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ, შეიტანონ ნებისმიერი ცვლილება მიმდინარე ხელშეკრულებაში. თუ კანონიდან ან ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით. თუ ხელშეკრულების ცალმხრივად შეცვლის უფლება გათვალისწინებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, ეს პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს 347 დ-ე და 348 ა-ე მუხლებს. გარდა

რთლის სახელმძღვანელო, 2005, გვ. 207.

ამისა, თუ ხელშეკრულების შეცვლის უფლება მხოლოდ ერთ მხარეს ან მესამე პირს აქვს მინიჭებული, ახალი „პირობების განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე“ (325).

ხელშეკრულების შეცვლა შესაძლოა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი ხელშეკრულებისათვის წერილობით ფორმას ითხოვს ან ხელშეკრულების შეცვლისათვის გათვალისწინებულია სავალდებულო წერილობითი ფორმა. მარტო ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით, აპრიორი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ხელშეკრულების ესა თუ ის დანაწესი შეიცვალოს ზეპირი ფორმით.³⁵ 328 I მუხლის ვრცელი განმარტება ქმნის პრეზუმფციას, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, იგი უნდა შეიცვალოს ამავე ფორმით. თუმცა ეს პრეზუმფცია გაბათილებადია (*praesumptio iuris*) და მისი საპირისპირო შესაძლოა დასაბუთდეს, თუ მხარეები ზეპირსიტყვიერად ან კონკლუდენტური ქმედებით განსხვავებულ პრაქტიკას დაამკვიდრებენ და ამით ერთმანეთში დანერგავენ ნდობას სახელშეკრულებო ურთიერთობის სხვა პირობებით გაგრძელების თაობაზე. ამასთანავე, სასამართლომ შესაძლოა, მიზანშეწონილად მიიჩნიოს ფორმის მოთხოვნის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წესიდან გადახვევა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმის დაუცველობაზე მკაცრად აპელირება ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს³⁶ და ფორმის მოთხოვნის დაცვა არ არის აუცილებელი მხარეთა სამართლიანი ინტერესების, საჯარო ინტერესების ან მესამე პირთა ინტერესების დასაცავად, ანდა სახეზეა უმნიშვნელო ცვლილებები.

ხელშეკრულება შესაძლოა ნებისმიერ დროს შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტას შეიძლება გაუთანაბრდეს ვალის პატიება, თუ ხელშეკრულება მხოლოდ ამ ვალდებულებაზე იდგა (448).

ხელშეკრულების საფუძველზე ასევე შესაძლებელია კანონისმიერი ვალდებულებით, ურთიერთობიდან წარმოშობილი უფლება-მოვალეობების მოდიფიკაცია ან შეწყვეტა. მაგ., მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით დაადგინონ დელიქტიდან წარმოშობილი მოთხოვნის ფარგლები (მაგ., ვალის აღიარებით), მათ შორის, *ex post*, შეამცირონ ან სხვა სახის შესრულებით შეცვალონ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე (გესტორული) მოთხოვნის ფარგლები, თუ ეს კანონით არ იზღუდება. ხელშეკრულების საფუძველზე ასევე შესაძლებელია კანონის-

35 განსხვავებული პოზიციით იხ. საქართველოს უზენესი სასამართლოს 2006 წლის 30 ივნისის №ას-1260-1501-05 გადაწყვეტილება: „სკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნაა, რომ თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. ამ ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა ამავე ფორმით უნდა მოხდეს.“ ასევე შეად. *Globe Motors Inc v TRW Lucasvarity Electric Steering Ltd* [2016] EWCA Civ 396.

36 მაგ., მოვალემ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დანერგა ნდობა, რომ იგი ამა თუ იმ ქმედებას განახორციელებდა. ამ ნდობის საფუძველზე კრედიტორმა იმოქმედა და გარკვეული ხარჯი გასწია. მოვალე ეყრდნობა ფორმის მოთხოვნებს და არაკეთილსინდისიერად უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე (*venire contra factum proprium non concluduntur*).

მიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა გაქვითვა (442) ან პატიება (448).

- 29 ხელშეკრულების შეცვლა/შენწყვეტის ერთგვარი ფორმაა **ნოვაცია**, რაც გულისხმობს ძველი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტას და მის ბაზაზე ახალი სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ფორმით, თუკი კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ამისათვის სხვა ფორმა არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულების შეწყვეტა მოქმედებს *ex nunc* ეფექტით, თუმცა მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულება უკუქცევითი ეფექტითაც.³⁷

2. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

- 30 სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან განსხვავებით, კანონისმიერი ვალდებულებები წარმოიშობა არა შეთანხმების, არამედ კანონის ძალით. ვალდებულებითი სამართალი შემდეგი სახის კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს არეგულირებს: საზიარო უფლებები (953-968), დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (969-975), უსაფუძვლო გამდიდრება (976-991), დელიქტური ვალდებულებანი (992-1016). ეს ვალდებულებები ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება წარმოიშვას სახელშეკრულებო ვალდებულებათა პარალელურად და მოთხოვნის ნაწილში კონკურირებდნენ მათთან (მაგ., დელიქტური ვალდებულებები).

- 31 წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე კანონისმიერ ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (326).

3. მომიჯნავე შემთხვევები

ა. სამართლებრივი ბოჭვის სურვილი და ყოფითი კონტაქტები (Gefälligkeitsverhältnisse)

- 32 იხ. ვალდებულებითი სამართლის შესავალი.

ბ. არასრულყოფილი ვალდებულებები

- 33 იხ. ვალდებულებითი სამართლის შესავალი

გ. ფაკულტატიური ვალდებულებები

- 34 იხ. ვალდებულებითი სამართლის შესავალი

III. წინასახელშეკრულებო ბრალი (317 II, III)

1. 317 II მუხლის დანიშნულება

- 35 317 II მუხლის მიზანია სახელშეკრულებო გულისხმიერების ვალდებულებათა განვრცობა წინასახელშეკრულებო ეტაპზე. 316-ე მუხლზე გაკეთებული მითითება მოიცავს მხოლოდ 316 II მუხლს და არა მთლიანად 316-ე მუხლს.³⁸ აქვე უნდა განიმარტოს, რომ 317 II და III მუხლი არ არეგუ-

³⁷ Emmerich, in: MüKo BGB, 7. Aufl., 2016, §311, Rn. 20.

³⁸ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 81 და შემდგომი.

ლირებს წინარე ხელშეკრულებას.³⁹ წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა შესრულების ვალდებულება. ეს ცალსახად გამომდინარეობს 317 I და 327 III მუხლებიდან. გარდა ამისა, წინარე ხელშეკრულების დარღვევა წარმოიშობს პოზიტიური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (უნდა ანაზღაურდეს ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ხელშეკრულების მიმართ ჰქონდა),⁴⁰ მაშინ, როცა 317 III მუხლი მოლაპარაკების მონაწილეს მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, რომ მან განზილებული ნდობით გამონწვეული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს (ნეგატიური ინტერესი).⁴¹

317 II მუხლი არ უნდა იქნეს გაგებული როგორც გამონაკლისი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან. წინასახელშეკრულებო ბრალი არ გულისხმობს კონტრაჰირების იძულებას⁴² ან ხელშეკრულების ფიქციას, თუნდაც რომელიმე მხარეს იმის საფუძველიანი ნდობა გაეჩინა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა. ამ ინსტიტუტის სხვაგვარი აღქმა წინააღმდეგობაში მოვიდოდა 317 II მუხლის არსსა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან.⁴³ არაკეთილსინდისიერი მხარე პასუხს აგებს არა იმიტომ, რომ მან არ დადო ხელშეკრულება, არამედ იმიტომ, რომ გააჩინა ნდობა, რომელიც არ გაამართლა.⁴⁴ მხარეებს ეკისრებათ ნდობის დაცვის, და არა ხელშეკრულების დადების, ვალდებულება.⁴⁵ ამ მექანიზმის არსებობა აუცილებელია წინასახელშეკრულებო ეტაპზე მხარეთა ინტერესების ბალანსის უზრუნველსაყოფად.⁴⁶ მოვალის ვალდებულება რომ ხელშეკრულების დადება ყოფილიყო, მაშინ სანქციაც ხელშეკრულების დადების იძულება ან პოზიტიური ინტერესის ანაზღაურების ვალდებულება იქნებოდა, რასაც 317 III მუხლი არ ითვალისწინებს. თავის მხრივ, დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ეს პოზიცია გაზიარებულია ბოლო პერიოდის სასამართლო პრაქტიკაშიც.⁴⁷

36

39 იხ.: *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 81 და შემდგომი; ასევე *სტურუა*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 233, 266.

40 სამოქალაქო საქმეთა კრებული 2001, სუსგ №33/338-01, გვ. 424.

41 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 81 და შემდგომი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის №ას-1039-974-2012 გადაწყვეტილება (იხ. თბ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

42 იხ. ამავე კომენტარში მე-800 მუხლის კომენტ., ველი 2.

43 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის №ას-1039-974-2012 გადაწყვეტილება (იხ. თბ. სააპელაციოს გადაწყვეტილება). ადრეული განსხვავებული პრაქტიკისათვის იხ.: 2003 წლის 21 მარტის №3კ-1156-02 გადაწყვეტილება.

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 გადაწყვეტილება.

45 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის №ას-1039-974-2012 გადაწყვეტილება. (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება). ამ მხრივ სადაოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის №3კ-1156-02 გადაწყვეტილება: „სკ-ს 317-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოპასუხეს ხელშეკრულების დადება...“

46 *სტურუა*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 239 და შემდგომი.

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის №ას-1039-974-2012 გადაწყვეტილება (იხ. თბ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 გადაწყვეტილება; ამ მხრივ სადაოა 2003 წლის 21 მარტის №3კ-1156-02 გადაწყვეტილება.

2. წინასახელშეკრულებო ბრალის შინაარსი

ა. წინასახელშეკრულებო ეტაპი

- 37 *culpa in contrahendo* წინასახელშეკრულებო ინსტიტუტია. 317 II მუხლი ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების „მომზადების“ ეტაპზე. ხელშეკრულების მომზადების ცნება არ უნდა იქნეს გაგებული ვინრო მნიშვნელობით. იმისათვის, რომ მხარეთა შორის გულისხმიერების ვალდებულება წარმოიშვას, არ არის აუცილებელი, ისინი უშუალოდ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებში იყვნენ ჩართული.⁴⁸ ხელშეკრულების მომზადებად ჩაითვლება ყველა ის შემთხვევა, როცა მხარეები ერთმანეთის ქონებასა და უფლებებზე გარკვეულ გავლენას მოიპოვებენ, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან, ან მის მომზადებასთან. მაღაზიაში შესული პირი, თუ იგი მაღაზიაში საქონლის დასათვალიერებლად ან მის სხვა საქონელთან შედარების მიზნით შედის, უკვე, გარკვეულწილად, „ამზადებს“ ხელშეკრულებას. ამასთანავე, მისი ჯანმრთელობა და ქონება ექცევა მაღაზიის მეპატრონის გავლენის სფეროში, რომლის მიერ მაღაზიაში ტექნიკური უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფამ შესაძლოა, ამ პიროვნების ჯანმრთელობა ან კანონით დაცული სხვა სიკეთე ხელყოს.⁴⁹ სწორედ ამიტომ ხელშეკრულების მომზადების ცნება უნდა განიმარტოს ვრცლად და მასში მოაზრებულ იქნეს ყველა ის ქმედება, რომლებიც ხელშეკრულების დადებისკენ არის მიმართული. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულების მომზადებად ვერ ჩაითვლება მაღაზიაში თავის შეფარება წვიმისგან თავის დასაცავად,⁵⁰ ან მაღაზიაში შესვლა ქურდობისა თუ ძარცვის მიზნით.⁵¹

ბ. წინასახელშეკრულებო ბრალის შესაძლო ვარიაციები (ზოგადი მიმოხილვა)

- 38 გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა წინასახელშეკრულებო ეტაპზე შემდეგ შემთხვევებში არის სახეზე: 1. სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე არღვევს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებას, რის შედეგადაც პოტენციური კონტრაჰენტის ჯანმრთელობას ან მის საკუთრებას ადგება ზიანი (მაგ., ავტომობილის შექენამდე საცდელი გასეირნებისას კლიენტი ახდენს ავტოავარიას, რის შედეგადაც ზიანდება გამყიდველის ჯანმრთელობა და ავტომანქანა⁵²); 2. სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე არღვევს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, როცა არ აწვდის, მცდარად ან არასრულად აწვდის მეორე მხარეს

48 ეს წესი მოქმედებს წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებშიც. თუმცა ცალკეული ავტორები წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობათა დაწყებას უკავშირებენ მოლაპარაკებების დაწყების ფაქტს, იხ. სტურუა, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 233, 238, მიზანშეწონილია წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობათა დასაწყისად მივიჩნიოთ არა უშუალოდ მოლაპარაკების პერიოდი, არამედ ის პერიოდი, როცა მხარეები ერთმანეთთან პირველად შედიან კონტაქტში.

49 ასევე იხ. ზარანდია, სასაქონლო სანყოფში მიზარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები, „მართლმსაჯულება და კანონი“, 5/2015, გვ. 20, 30.

50 Grüneberg, in: Beck OK BGB, §311, Rn. 53. შდრ. Emmerich, in: MüKo BGB, §311, Rn. 64.

51 Emmerich, in: MüKo BGB, §311, Rn. 64.

52 OLG Karlsruhe VersR 1971, 1049.

იმ ინფორმაციას, რომელიც ხელშეკრულების ფორმირების პროცესში მისთვის არსებითი და მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო და კონტრაქტის შექმნა ამ ინფორმაციის გაცემა თავისი ინტერესების შელახვის გარეშე; 3. სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე აფერხებს ხელშეკრულების დადების პროცესს, როცა შეგნებულად ან გაუფრთხილებლად ინვესტს ისეთ გარემოებებს, ან თავიდან არ იცილებს ასეთ გარემოებათა წარმოშობას, რომელთაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ხელშეკრულების დადებას, ან სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე საპატიო მიზეზის გარეშე შლის სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს, რის შედეგადაც მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების მომზადებაზე განეული დანახარჯები ამაო ხდება (ლოიალობის ვალდებულება).

გ. დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა დარღვევა

გულისხმიერების პრინციპი ქართულ სამართალში გერმანული დოქტრინის გავლენით იქნა ინკორპორირებული.⁵³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ამ პრინციპის ევოლუცია, ძირითადად, გამონვეული იყო იმ გარემოებით, რომ დელიქტური სამართლის დამცავი ფუნქცია არაადეკვატურად სუსტი იყო წინასახელშეკრულებო ეტაპისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ გერმანული დელიქტური სამართლისათვის დამახასიათებელი „სისუსტეები“ ქართულ დელიქტურ სამართალს ნაკლებად ახასიათებს, გასარკვევი ხდება, თუ რამდენად შეიძლება ყოფილიყო კანონმდებლის მიზანი მეორე მხარის უფლებებისა და ქონების დაცვის ვალდებულებათა ინტეგრირება 317 II მუხლის კონტექსტში (ამ ვალდებულებათა არსთან დაკავშირებით იხ. კომ., სკ-ის 316). საკითხს ამწვავებს ის გარემოებაც, რომ 317 III მუხლი (რომელიც 317 II მუხლთან ერთად სისტემურ ერთიანობას ქმნის) მხოლოდ ნდობის ინტერესს იცავს და არაადეკვატური სანქციაა დაცვის ვალდებულებათა დარღვევისათვის;⁵⁴ მეორე მხრივ, 317 II მუხლის ზოგადი მითითება 316 II-ზე იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ ნორმის ქვეშ გულისხმიერების ვალდებულებათა სრული სპექტრი და, შესაბამისად, დაცვის ვალდებულებებიც მოვიაზროთ და მათი დარღვევა ზოგადი წესით ვმართოთ (394 I). ამ თვალსაზრისით, 317 II მუხლის ვრცელი განმარტება და მასში უსაფრთხოებისა და დაცვის ვალდებულებათა ინტეგრირება უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.⁵⁵

დ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებათა დარღვევა

იხ. 318-ე მუხლის კომენტარი. 40

ე. სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებათა დარღვევა და სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა უსაფუძვლო მოშლა

მხარეები ვალდებული არიან, თავიდან აიცილონ ხელშეკრულების ან ცალკეულ შეთანხმებათა ბათილობა. ეს ვალდებულება დარღვეულად 41

53 იხ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 88 და შემდგომში.

54 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 88 და შემდგომში.

55 ამით ავტორი ემიჯნება საკუთარ პოზიციას, იხ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 88 და შემდგომში.

ითვლება, როცა მხარე ისეთ გარემოებებსა და პირობებს ქმნის, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, აზრი ეკარგება ხელშეკრულების დადებას ან შეუძლებელი ხდება მისი შესრულება (მაგ., საჭირო ლიცენზიის მოუპოვებლობა ან დაკარგვა); მხარეები ასევე პასუხს აგებენ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა უსაფუძვლო მოშლისათვის, თუ მათ დანერგეს ნდობა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა.⁵⁶ ორივე შემთხვევაში მხარეები არღვევენ სახელშეკრულებო ლოიალობის ვალდებულებას.⁵⁷

ვ. წინასახელშეკრულებო ბრალი შრომით ურთიერთობებში

- 42 წინასახელშეკრულებობრალთან მიმართებით ყურადღებას იმსახურებს შრომის კოდექსის 5 VIII მუხლი, რომლის თანახმად, დამსაქმებელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.⁵⁸ ეს დანაწესი არ უნდა იქნეს გაგებულნი როგორც გამონაკლისი 317 III მუხლიდან. ზოგადად, არა თუ დამსაქმებელი, არამედ სამოქალაქო ბრუნვის არც ერთი მონაწილე არ არის ვალდებული, დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილება ხელშეკრულების არდადების თაობაზე (გამონაკლ. იხ. 319). ეს აქსიომა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარეობს და ამ თვალსაზრისით შრომის კოდექსის 5 VIII მუხლი ახალს არაფერს გვეუბნება. ეს ნორმა მხოლოდ ზოგად დოგმას განამტკიცებს – დამსაქმებელი თავისუფალია არჩევანში და მას არ სჭირდება არჩევანის დასაბუთება, თუკი არჩევანი დისკრიმინაციული მოტივებით არ არის ნაკარნახევი. ამრიგად, დამსაქმებელი დამოუკიდებლად წყვეტს, თუ ვის დაასაქმებს და დაასაქმებს თუ არა საერთოდ. თუმცა სულ სხვა სურათია სახეზე, როცა დამსაქმებელი აჩენს საფუძვლიან მოლოდინს, რომ იგი ასაქმებს და მერე ბრალეულად და უსაფუძვლოდ ანბილებს ამ მოლოდინს. მაგ., თუ დამსაქმებელი თანხმობას განუცხადებს კანდიდატს დასაქმებაზე, კანდიდატი ამ ნდობით იმოქმედებს და გადავა იმ ქალაქში საცხოვრებლად, სადაც მისი მომავალი სამუშაო ადგილი მდებარეობს და გასწევს შესაბამის ხარჯებს, დამსაქმებელს შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა 317 III მუხლის საფუძველზე, თუკი ამის შემდეგ დამსაქმებელი უსაფუძვლოდ განაცხადებს უარს ხელშეკრულების დადებაზე. 317 II, III მუხლის მიზანი კეთილსინდისიერებაზე დამყარებული სამოქალაქო ბრუნვის ხელშეწყობაა და ამ მიზანს შრომის კანონმდებლობაც ემორჩილება. ეს ნორმები მიმართულია არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენციისაკენ. კეთილსინდისიერი ქცევისა და გულისხმიერების ვალდებულებები ისევე მოქმედებს წინასახელშეკრულებო შრომით ურთიერთობებში, როგორც ნებისმიერ სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში.⁵⁹

56 იხ. *ცერცვაძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 38.

57 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 გადაწყვეტილება.

58 ამ ნორმის კრიტიკისთვის იხ. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, შენიშვნები და რეკომენდაციები შრომის კოდექსის კანონპროექტზე, გვ. 4, რესურსი წვდომადია: http://www.economists.ge/doc/Labour%20Code_AYEG%20Comments%20and%20Rec.pdf.

59 *სტურუა*, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 233, 237.

ზ. პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ბრალისათვის (317 III)

ა.ა 317 III მუხლის წინაპირობები

317 III მუხლი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ლოიალობის ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევებს. შესაბამისად, 317 III მუხლის საფუძველზე წინასახელშეკრულებო ბრალის შერაცხვისათვის აუცილებელია ოთხი წინასახელშეკრულებო ელემენტის არსებობა: (1) მოვალის ქმედება წინასახელშეკრულებო ეტაპზე, (2) რომელმაც კრედიტორში აღძრა საფუძვლიანი ნდობა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა, (3) კრედიტორის ქმედება ამ ნდობის საფუძველზე, (4) და მოვალის საპირისპირო ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ნდობას.⁶⁰

თუ მეორე მხარის ბრალით ხელშეკრულება არ დაიდო, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან ხელშეკრულების დადების მოლოდინით, გონივრული ნდობის ფარგლებში გასწია (**ნდობის ინტერესი**).⁶¹ ნდობის ინტერესის ანაზღაურება გულისხმობს მხოლოდ რეალურ ზიანს და არა ხელშეკრულების შესრულების მიმართ არსებულ პოზიტიურ ინტერესს (ის, რასაც მხარე მიიღებდა, ხელშეკრულება რომ დადებულყო).⁶² ნდობის ინტერესი შესაძლოა, ასევე მოიცავდეს არშემდგარი ალტერნატიული გარიგებიდან მიუღებელ შემოსავალსაც (411).⁶³ კერძოდ, თუ ხელშეკრულების დადების საფუძვლიანი ნდობით ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის სხვა გარიგებაზე და ამით დაკარგავს ამ გარიგების დადების შესაძლებლობას, მას შეუძლია, მოითხოვოს არშემდგარი გარიგებიდან გამომდინარე ინტერესის ანაზღაურება.

მაგ. „ა“ ნერგავს „ბ“-ში გონივრულ მოლოდინს, რომ მათ შორის დაიდება ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამის საფუძველზე, „ბ“ უარს ეუბნება „გ“-ს ამავე ბინის მიყიდვაზე, მაშინ, როცა „გ“ მზად იყო „ბ“-სგან შეეძინა ბინა უფრო მაღალ ფასად. „გ“-სთან დადებული გარიგებიდან „ბ“-ს მოგება (პოზიტიური ინტერესი) ბინის საბაზრო ფასის გათვალისწინებით 10 000 ლარი იქნებოდა. მოულოდნელად „ა“ უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე, რითაც არღვევს 317 II, III მუხლის მოთხოვნებს. „ა“ ვალდებულია, აუნაზღაუროს „ბ“-ს 10 000 ლარი მიუღებელი შემოსავლის სახით.

317 III მუხლის თანახმად, იმისათვის, რათა წინასახელშეკრულებო ბრალის საკითხი სადავოდ იქცეს, ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს, ბათილი იყოს, ან უნდა გაბათილდეს. ხელშეკრულების არდადებას უთანაბრდება მეორე მხარისათვის იმგვარი პირობების შეთავაზება, რომლებიც ეწინააღმდეგება დანერგილ ნდობას და მეორე მხარის გონივრულ მოლოდინს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების დადებაზე უარი შესაძლოა, თავად

60 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ.86 და შემდგომი.

61 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 86 და შემდგომი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 გადაწყვეტილება.

62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ოქტომბრის №ას-1039-974-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება); ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის №ას-898-848-2015 გადაწყვეტილება.

63 შდრ. BGH NJW 88, 2236.

კრედიტორმა განაცხადოს, რადგან მისთვის, შესაძლებელია, მიუღებელი იყოს შეცვლილი პირობები. ასეთ შემთხვევაშიც ხელშეკრულების არდადება, როგორც წინასახელშეკრულებო ბრალი, მეორე მხარეს შეეცხება.

47 *culpa in contrahendo*-ს საფუძველზე **პასუხისმგებლობა დადება მხოლოდ ბრალეული ქმედების არსებობის შემთხვევაში** და მოვალე არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ზიანი, თუ მოლაპარაკებათა ჩაშლა მისი ბრალით არ არის გამოწვეული.

48 **წინასახელშეკრულებო ბრალისათვის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მიზეზობრივ კავშირზე** ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.⁶⁴ ზიანი ასევე უნდა იყოს სავარაუდო მეორე მხარისათვის (იხ. 412).

ბ.ბ ზოგადი შედეგები

49 წინასახელშეკრულებო ბრალიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ზოგადი ხანდაზმულობის ვადები (129 I).

გ.გ სანქციები წინასახელშეკრულებო ბრალის იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც 317 III მუხლის მოქმედების სფეროს მიღმაა

50 გამომდინარე იქიდან, რომ 317 III მუხლში ცალსახად არშემდგარ ხელშეკრულებაზეა საუბარი, ეს ნორმა არ გამოიყენება ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევისა და არასწორი ინფორმაციის გაცემის შემთხვევებში, თუ, მიუხედავად ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისა, ხელშეკრულება დაიდო. იმის მიხედვით, თუ რა სახის ზიანი მიადგა კრედიტორს, ამ ვალდებულებათა დარღვევა შესაძლოა, გახდეს გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების (317 II, 394 I და 317 II, 405 III, ბ *per analogiem*) ან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი (317 II, 405 III, ბ). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი დაამტკიცებს, რომ ინფორმაციის ვალდებულების შესრულების შემთხვევაში მისთვის უფრო ხელსაყრელი ხელშეკრულება დაიდებოდა (იგი ვერ მოითხოვს ამ ხელშეკრულების შესრულებას, რადგან ასეთი ხელშეკრულება არ დადებულა), შესრულების სანაცვლოდ მას შეუძლია, მოითხოვოს იმ პოზიტიური ინტერესის ანაზღაურება, რომელსაც იგი ამ ხელსაყრელი ხელშეკრულებიდან მიიღებდა⁶⁵ (317 II, 394 I, 405 III ბ *per analogiem*). რაც შეეხება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლებას, ეს უფლება ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში არ წარმოიშობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში სახეზე არ არის გარემოებათა ობიექტური ცვლა (იხ. 398). 81 II მუხლის წინაპირობათა არსებობისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება.⁶⁶

64 სტურუა, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 233, 237.

65 შდრ. BGH NJW 2001, 2875; BGH NJW 2006, 3139.

66 ასეთ შემთხვევაშიც იგი ნდობის ინტერესის ანაზღაურებას უნდა დასჯერდეს.

დ.დ წინასახელშეკრულებო ბრალის პრინციპის მოქმედება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ) მიმართებით

სახელმწიფო და მის მიერ დაფუძნებული სსიპ-ები ისევე მონაწილეობენ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები (8 II, 24 III, IV). ისინი პასუხს აგებენ წინასახელშეკრულებო ბრალისთვისაც. მათი წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა, დადგეს იმ ხელშეკრულებებთან მიმართებითაც, რომელთა დადების უფლებაც მათ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ აქვთ (*ultra vires*), თუ სახეზეა 317 II-ის წინაპირობები. 51

სახელმწიფოსა და სსიპ-ების წინასახელშეკრულებო ბრალის საკითხი განსაკუთრებით რელევანტურია სახელმწიფო შესყიდვების კონტექსტში. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ან სსიპ-ის მიერ ტენდერის გამოცხადება არ აკისრებს სახელმწიფოს ან შესაბამის სსიპ-ს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ტენდერი გულისხმობს მონვევას ოფერტზე და არა ოფერტს. თუმცა თავად ტენდერი ხელშეკრულების „მომზადების“ ეტაპია 317 II მუხლის მნიშვნელობით და სატენდერო კონკურსის მთელი პროცესი ამ მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა. შესაბამისად, ტენდერის განმახორციელებელ ორგანიზაციას ეკისრება გულისხმიერების ვალდებულება ტენდერში მონაწილე კონკურსანტების მიმართ. თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ეს ვალდებულება დარღვეულად, ცალკეული შემთხვევის შეფასების საკითხია. მაგ., წინასახელშეკრულებო ბრალი შეიძლება არსებობდეს, თუ: ტენდერის განმახორციელებელი ორგანიზაცია გაახმაურებს ტენდერის მონაწილის კომერციულ ინფორმაციას; გამოაქვეყნებს არასწორ საკვალიფიკაციო მონაცემებს და შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რის გამოც ხელშეკრულება არ დაიდება; უსაფუძვლოდ შეწყვეტს შესყიდვის პროცედურას (იხ. შესყიდვების შესახებ კანონის⁶⁷ (სმკ) 7 I გ1 და ე პუნქტები); დაარღვევს ტენდერის ჩატარების პროცედურებს, რაც გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს ან გამარჯვებულად გამოვლინდება ის პირი, რომელიც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა ტენდერის გამარჯვებული; ან შეცდომით გამოაცხადებს „გამარჯვებულ ელექტრონულ ტენდერს“⁶⁸, როცა კანონით ვალდებული იყო, გამოეცხადებინა „ელექტრონული ტენდერი“^{69, 70}.

67 საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (სსმ, 22, 18/05/2005).

68 საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხ. 3 I რ.

69 საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხ. 3 I უ.

70 *Emmerich*, in: *MüKo BGB*, §311, Rn. 59 ff.

მუხლი 318. ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება. ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაშინ, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის და კონტრაჰენტს შეუძლია, საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის გაცემის ხარჯები ვალდებულ პირს უნდა აუნაზღაუროს მისმა მიმღებმა.

I. ზოგადად.....52

II. ძირითადი ცნებები.....52

 1. ინფორმაციის გაცემის ვალდებულების შინაარსი.....52

 2. ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევის შედეგები.....53

III. მუხლის გამოყენება პროცესში.....53

I. ზოგადად

- 1 318-ე მუხლი ადგენს ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას, როცა მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის. ეს დანაწესი კეთილსინდისიერების პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა (იხ. 8 III) და ის ვრცელდება ყველა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებაზე. ამასთანავე, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, როგორც ბუნებრივი ვალდებულება, წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მხარეებს ის არ შეუთანხმებიათ, თუკი ეს განპირობებულია ვალდებულების ხასიათით და კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტით. ეს ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას როგორც წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ასევე ხელშეკრულების პერიოდში.
- 2 ინფორმაციის მიზანი შესაძლოა იყოს არა ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა, არამედ მეორე მხარის ჯანმრთელობის, ქონებისა და კანონით დაცული სხვა ინტერესების დაცვა. ინფორმაციის ამ კატეგორიაზე 318-ე მუხლი არ ვრცელდება. ამგვარი ინფორმაციის გაცემის ვალდებულების საკითხი წესრიგდება სკ-ის 316 II მუხლით.

II. ძირითადი ცნებები

1. ინფორმაციის გაცემის ვალდებულების შინაარსი

- 3 ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ორ კუმულაციურ წინაპირობას უკავშირდება: 1) ინფორმაცია მნიშვნელოვანი უნდა იყოს მეორე მხარისათვის, რათა მან ვალდებულების შინაარსი განსაზღვროს (ინფორმაციის მიმღები) და 2) მეორე მხარეს უნდა შეეძლოს, საკუთარი უფლების შელახვის გარეშე გასცეს ეს ინფორმაცია (ინფორმაციის გამცემი).
- 4 ინფორმაცია მნიშვნელოვანი უნდა იყოს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისთვის. ტერმინი ვალდებულება უნდა გავიგოთ მისი ფართო მნიშვნელობით, ანუ მასში უნდა მოვიაზროთ უფლება-მოვალეობათა ის სპექტრი, რომელიც მხარეებს ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან კავშირში წარმოეშობათ. შესაბამისად, ინფორმაციის გამცემმა უნდა გა-

სცეს ინფორმაცია არა მხოლოდ მაშინ, როცა ის მნიშვნელოვანია მეორე მხარისათვის მისი მოვალეობათა შინაარსის განსაზღვრისათვის, არამედ მაშინაც, როცა ის მნიშვნელოვანია მისთვის საკუთარ უფლებათა შინაარსის განსაზღვრისათვის.

კანონი არ აკონკრეტებს იმას, არის თუ არა ინფორმაციის გამცემი ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით, თუ მას ეს ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეორე მხარე ამ ინფორმაციას ითხოვს. კანონის ტექსტში საუბარია „ინფორმაციის მიღების უფლებაზე“ და ამ ინფორმაციის „გაცემის უზრუნველყოფაზე“. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და ინფორმაციის გაცემის ვალდებულების ინტენსივობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე (იხ., მაგ., კომენტარი 336).

ინფორმაციის გამცემს შეუძლია, უარი თქვას ინფორმაციის გაცემაზე, თუკი ინფორმაციის გაცემა მისი „უფლების შელახვის გარეშე“ შეუძლებელია. თუ რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება მოხვდეს ამ კატეგორიაში, სასამართლოს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. ცალსახაა, რომ ამ კატეგორიაში არ ხვდება ინფორმაცია, რომლის გაცემაც გათვალისწინებულია სპეციალური კანონით.

ინფორმაციის მიმღები პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო ხარჯები.

2. ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევის შედეგები

ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მხარეს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. გამონაკლის შემთხვევებში სკ-ის 318-ის დარღვევამ შესაძლოა, გაამართლოს ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლებაც.

III. მუხლის გამოყენება პროცესში

სამოქალაქო პროცესში ინფორმაციის მიმღებმა ან ამ ინფორმაციაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა ამტკიცოს, რომ მას ჰქონდა ინფორმაციის მიღების უფლება და/ან მას არ მიუღია სრულყოფილი ან სწორი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ 318-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მტკიცებულებათა კატეგორიაში ხვდება, ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით (სსკ-ის 103 II).

მუხლი 319. ხელშეკრულების თავისუფლება. ხელშეკრულების დადების ვალდებულება

1. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.

2. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.

3. იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

- I. ზოგადი დებულებანი 55
- II. ხელშეკრულების თავისუფლება 55
 - 1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება 55
 - 2. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება 56
 - 3. ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება 57
- III. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა 58
 - 1. ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვა 59
 - ა. სახელმწიფოს ნებართვა ხელშეკრულების დადებისას 59
 - ბ. კონტრაჰირების იძულება 60
 - ბ.ა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირის იძულება ხელშეკრულების დადებაზე 61
 - ბ.ბ მენარმე პირის იძულება ხელშეკრულების დადებაზე 62
 - 2. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვა 63
 - ა მართლწინააღმდეგობა, როგორც ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი 63
 - ბ სამართლიანობა და კეთილსინდისიერება, როგორც ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი 64

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მე-16 მუხლი) კერძო სამართალში ნების ავტონომიის აღიარებით ვლინდება. 10 II მუხლით განმტკიცებული უფლება, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებმა განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, დადონ ხელშეკრულებები, არის ხელშეკრულების თავისუფლების¹ 1-ლი პრინციპის საფუძველი. მისი არსი იმით გამოიხატება, რომ მხარეებმა საკუთარი ინტერესების ფორმირება თავისუფლად, თავიანთსავე ნებაზე დაფუძნებულ სახელშეკრულებო პირობებში გამოხატონ. ხელშეკრულების თავისუფლება უზრუნველყოფს მხარეთა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და პირთა შესაძლებლობას, აირჩიონ ხელშეკრულების მხარე, ხელშეკრულების ყველაზე ხელსაყრელი სახე და ამგვარად გადაანაწილონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი (იხ. ხელშეკრულების თავისუფლების შინაარსთან დაკავშირებით 317-ე მუხლის კომენტარი).

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში. სახელმწიფოს ვალდებულება, ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას (30-ე მუხლი), წარმოუდგენელია მხარეთათვის თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფის გარეშე. ეკონომიკური წინსვლა და პროგრესი სწორედ ისეთ გარემოშია მიღწევადი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ინდივიდებს, დადონ მათთვის მოგებიანი და სასარგებლო გარიგებები. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლება გამართლებულია როგორც ინდივიდთა ავტონომიის, ისე საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

ხელშეკრულების თავისუფლება გამოიხატება ხელშეკრულების დადების თავისუფლებასა (რომელიც მოიცავს კონტრაჰენტის არჩევის თავისუფლებასაც) და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებაში, რაც გულისხმობს მხარეებისათვის სასურველი ხელშეკრულების ტიპის არჩევას, მათ შორის, კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებისა და შერეული ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. ხელშეკრულების თავისუფლებაში მოიაზრება ფორმის არჩევის თავისუფლებაც, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება ურთიერთობათა გამარტივებასა და მოქნილობას.

II. ხელშეკრულების თავისუფლება

1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია, იგი გულისხმობს უფლებას, სუბიექტმა საკუთარი ინტერესის მიხედვით დადოს ხელშეკრულება: განახორციელოს მოწვევა ოფერტზე, ოფერტი (329-ე მუხლი) ან აქცეპტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის უმოქმედობასაც მოიცავს,

¹ ტერმინოლოგიურ განსხვავებებზე იხ. *ჯორბენაძე*, სახელშეკრულებო სამართლის ტერმინოლოგიის პრობლემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, „ადვოკატი“, 1/2016, გვ. 92.

უფლებას – არ დადოს ხელშეკრულება, ამიტომ მას ხელშეკრულების დადების ნეგატიურ თავისუფლებასაც უწოდებენ.²

- 5 ხელშეკრულების დადების თავისუფლების მეორე გამოვლინება კი კონტრაქტის არჩევის თავისუფლებაა. საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და კონკურენციის პირობებში ხელშეკრულების მხარის არჩევის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა (კონტრაქტების იძულება), ხელშეკრულების დადების თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს. როდესაც სახეზე არ არის 319-ე მუხლის II და III ნაწილებით გათვალისწინებული კონტრაქტების იძულების წინაპირობები (პირის დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე ან სამენარმეო საქმიანობა), მოწვევა ოფერტზე ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში თავსდება.
- 6 ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ასევე, მოიცავს პირის უფლებას, უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებაზეც, თუმცა მან უნდა დაიცვას ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი წესი. ეს წესი შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონით ან მხარეთა შეთანხმებით (მაგალითად, 555-ე მუხლი ითვალისწინებს დამქირავებლის ინიციატივით საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოსაშლელად ერთი თვით ადრე შეტყობინებისა და დამქირავებლისათვის მისალბი დამქირავებლის შეთავაზების ვალდებულებას).

2. შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება

- 7 კანონი დეტალურად ვერ მოაწესრიგებს ყველა ხელშეკრულების შინაარსს, მას შეუძლია, დაადგინოს თავისუფლების ფარგლები და არა თავისუფლების გამოვლენის ყველა დეტალი,³ ამიტომ შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება ანიჭებს მხარეებს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად განსაზღვრონ უფლება-მოვალეობები, კერძოდ, აირჩიონ სასურველი ხელშეკრულების ტიპი და მისი პირობები. ამასთან, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ კოდექსით გათვალისწინებული დისპოზიციური ნორმისგან განსხვავებულ შინაარსზეც, მაგალითად, შეცვალონ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთობის მონესრიგება სხვაგვარად პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით (მაგალითად, 479-ე მუხლით, უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან).
- 8 მართალია, სამოქალაქო კოდექსი მოიცავს თითქმის ყველა გავრცელებული ტიპის ხელშეკრულებას, თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კანონით აუკრძალავი მოქმედების განხორციელების უფლება (10 II მუხლი) კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადებასაც გულისხმობს. 319 I მუხლით განმტკიცებული ხელშეკრულების თავისუფლე-

² ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 184.

³ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 285.

ბის პრინციპი მხარეებს ანიჭებს უფლებას, კანონის ფარგლებში დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსში. საკუთარი ნებისა და ინტერესების მიხედვით, ინდივიდებს შეუძლიათ, განსაზღვრონ იმგვარი სახელშეკრულებო პირობები, რომელთა ანალოგს სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. ეს ე.წ. არატიპური ხელშეკრულებებია,⁴ რომლებიც თავიანთი შინაარსით არ მიეკუთვნებიან კონკრეტული ხელშეკრულების ტიპს, თუმცა, თუ შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, იგი წარმოშობს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში სწორედ ამგვარად წარმოიშვა ფრენშაიზინგის, ლიზინგისა და სხვა ხელშეკრულებები.

მაგალითი: თანამშრომლები თანხმდებიან, რომ თითოეული მათგანი დადგენილი რიგითობით მიიღებს მათივე შეთანხმებით განსაზღვრულ, ხელფასიდან შეკრებილ შესაბამის თანხას (ე.წ. „ლატარია“) 9

შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება მოიცავს მხარეთა უფლებას, დადონ შერეული ხელშეკრულებებიც (იხ. 340-ე მუხლის კომენტარი), აგრეთვე, შესაძლებლობას, მხარეებმა განახორციელონ შეთანხმებული პირობების მოდიფიცირება სხვა სახელშეკრულებო პირობებით. 10

მაგალითი: ა-სა და ბ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ა-მ ბ-სგან ისესხა 10 000 დოლარი და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა უძრავი ნივთი. მსესხებელმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება დამატებითი ვადის დაწესების მიუხედავად. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ნივთი გადაეცემოდა გამსესხებელს, რათა უფრო იოლად მომხდარიყო დაუტვირთავი ქონების გასხვისება, ხოლო მიღებული საფასურიდან დაიფარებოდა სესხი; იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი ვერ გაიყიდებოდა, იგი გაიქვითებოდა დავალიანებაში. ამასთან, ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ მსესხებლის მიერ ვალის გადახდის შემთხვევაში ბ ა-ს გადასცემდა (დაუბრუნებდა) საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე. 11

ამ შემთხვევაში სახეზეა სესხის, ნასყიდობისა და გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ელემენტები.⁵ 12

3. ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება

ხელშეკრულების თავისუფლება **ფორმის თავისუფლებასაც** მოიცავს (იხ. 68-ე მუხლის კომენტარი). 68-ე მუხლით დადგენილი წესი, რომ მხარეებს შეუძლიათ, თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმა, თუ მისი ნამდვილობისათვის არ არის საჭირო კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, ფაქტობრივად, ფორმის თავისუფლების არაპირდაპირი აღიარებაა. გარიგებისათვის სპეციალურ ფორმას კანონი უმეტესწილად უძრავ ნივთებთან მიმართებით, აგრეთვე საოჯახო-მემკვიდრეობით სამართალში ადგენს. 13

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 340, გვ. 171.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 დეკემბრის № ას-881-831-2015 განჩინება.

ფორმის მიზანი, ასეთ შემთხვევებში, გარიგების ნამდვილობას უკავშირდება, ამიტომ ეს ნორმები იმპერატიულია და მხარეებს მათი შეცვლა არ შეუძლიათ. შესაბამისად, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება 59-ე მუხლის თანახმად, ბათილია.

- 14 ფორმის თავისუფლება გულისხმობს ფორმის მოდიფიცირების შესაძლებლობასაც. 69 II მუხლის მიხედვით, გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით, ხოლო 328 I მუხლი მხარეთა მიერ ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრისას ხელშეკრულების ძალაში შესვლას სწორედ ამ ფორმის დაცვას უკავშირებს. მიუხედავად ამ წესისა, ფორმის თავისუფლებიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ, შეცვალონ თავიანთივე განსაზღვრული ფორმა სხვა ფორმით, მათ შორის კონკლუდენტური მოქმედებით. თუკი ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით არ არსებობს დავა და დაცულია ფორმის მიზანი – სიცხადე და მტკიცება, გარიგების ფორმის დაუცველობა მის ბათილობას არ გამოიწვევს.⁶

III. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა

- 15 სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს, თუმცა ეს თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური – იგი არსებობს დადგენილი წესრიგის ფარგლებში. შეუზღუდავმა თავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა თვითნებობა. მხარემ, რომელსაც მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს, შეიძლება, აიძულოს მომავალი კონტრაქტის, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას პასიური როლი შეასრულოს და მხოლოდ შეთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს დასთანხმდეს, ამით კი შემთავაზებელი სახელშეკრულებო უპირატესობას მოიპოვებს, რაც არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს,⁷ შედეგად კი მივიღებთ სახელშეკრულებო უსამართლობას. ამავდროულად, მხარეთა შეუზღუდავი თავისუფლება საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ინტერესებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანია საჯარო ინტერესის დაცვა, სუსტი მხარის მინიმალური დაცვა, თავისუფალი საქმიანობის სტაბილური და უსაფრთხო უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევა.

- 16 ხელშეკრულების შეზღუდვა ვრცელდება არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ, არამედ მთლიანად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგ., შრომით ურთიერთობებზეც, რაც შრომის თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული. ეს შეზღუდვა კი ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ბათილობით, სახელმწიფო ნებართვის აუცილებლობის დანესებით, სავალდებულო ფორმის დადგენით,

6 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 287.

7 *ჩაჩანიძე*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2010, გვ. 26.

კონტრაპიზების იძულებითა და მომხმარებელთათვის თანაბარი პირობების შეთავაზების დანერგვით.

მითითებული მიზნების მისაღწევად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის შეზღუდვის საფუძვლებს. 17

1. ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვა

ა. სახელმწიფოს ნებართვა ხელშეკრულების დადებისას

319 | 3 მუხლის მიხედვით, თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესის დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფო ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მონესრიგდეს ცალკე კანონით. კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების თავისუფლებაში სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა გამართლებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მისი საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად, რაც მოიცავს სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის სფეროსაც. 18

ამასთან, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, ხომ არ არის ერთი მხარე კეთილსინდისიერი მეორე მხარის მიერ შესაბამისი გარიგების დასაადებად სავალდებულო წინაპირობების შესრულების მიმართ, ვინაიდან ამან შეიძლება განაპირობოს განსხვავებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, შიდა ურთიერთობაში შეზღუდვამ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მეორე მხარისა და მესამე პირის მიმართ.⁸ მაგ.: სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება კლინიკასთან, რომელსაც არა აქვს შესაბამისი მიმართულებით სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია, ბათილია, ვინაიდან ნებართვის მიზანი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა; ასევე, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, ძეგლის გასხვისების შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია, წინასწარ აცნობოს სამინისტროს, ხოლო ძეგლის შემძენს წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ძეგლის სტატუსის შესახებ. ამ იმპერატიული ნორმის დარღვევის შემთხვევაშიც სახელმწიფოს, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ექნება უფლება, მოითხოვოს მისი ნებართვის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა. თუკი ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობისათვის საკმარისია სალიცენზიო ან სა-ნებართვო პირობების დარღვევა, სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნებართვის მიზანსა და მომხმარებლისა თუ სახელმწიფო ინტერესების დაცვას. 19

მართალია, ლიცენზია ნებართვის სახეობაა, მაგრამ, 319 | 3 და 59 | მუხლების გაგებით, უნდა გაიმიჯნოს ლიცენზია იმგვარი ნებართვისაგან, რომელიც საჭიროა არა კონკრეტული გარიგების ნამდვილობისათვის, არამედ, ზოგადად, ბაზარზე ამ ტიპის საქმიანობის განხორციელებისათვის და რომლის გარეშეც გარიგება კანონსაწინააღმდეგოების გამო არ არის ნამდვილი. ლიცენზიისა და ნებართვის რეგულირებულ სფეროს, 20

⁸ კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 302.

ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს განსაზღვრავს „ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ლიცენზირებადი სფეროს ცალკეულ შემთხვევებს კი ანესრიგებენ სპეციალური კანონები, რომელთა მოთხოვნების დარღვევასაც შეიძლება მოჰყვეს გარიგების ბათილობა. თუ პირი ლიცენზიის გარეშე საქმიანობს, ასეთი გარიგება შეიძლება იყოს არანამდვილი, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება, თუ ეს შეესაბამება ლიცენზიის მიზანს, მაგრამ ლიცენზია ყოველთვის არ გულისხმობს ნებართვას 59 I მუხლის გაგებით, – ნებართვასავალდებულობა 59 I მუხლის გაგებით სახეზეა მაშინ, თუ კანონში იქნებოდა განერილი, პირობითად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გასხვისებისათვის სახელმწიფო ნებართვა (იხ. ზემოთ). მაგალითად, „ლატარიების, აზარტული და მოგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, სამორინეში დამონტაჟებული უნდა იყოს არანაკლებ 7 მაგიდი-სა. ამგვარი პირობების დარღვევის გამო ლიცენზიის შეჩერება, ცხადია, გავლენას ვერ მოახდენს მოთამაშის მიერ მოგებული და მისთვის უკვე გადახდილი თანხის შენარჩუნების უფლებაზე (951 II). ამის საპირისპიროდ, 319 I 3 მუხლში საქმე ეხება ნებართვას, რომელიც გარიგების დადებისათვის არის აუცილებელი, და არა, ზოგადად, კაზინოს გახსნის ნებართვას.

- 21 სახელმწიფო ნებართვის გარეშე ან ამ ნებართვის დარღვევით გარიგების დადება გამოიწვევს თუ არა მის ბათილობას, უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნებართვის მიზნის, მომხმარებელთა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით.

ბ. კონტრაპირების იძულება

- 22 კონტრაპირების იძულება გულისხმობს კოდექსით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში პირის იძულებას, დადოს ხელშეკრულება ნების არარსებობის შემთხვევაშიც. 319-ე მუხლი ამგვარ იძულებას ბაზარზე პირის დომინირებულ მდგომარეობას და მის სამეწარმეო საქმიანობას უკავშირებს. კანონმდებლის მიზანი სუსტი მხარის – მომხმარებლის დაცვაა, რომლის ინტერესები შეიძლება არსებითად შეილახოს, ამით კი ნორმა სამართლის სოციალურ ფუნქციას ეხმიანება. საყურადღებოა, რომ უზენაესმა სასამართლომ კონტრაპირების იძულებად შეაფასა 604-ე მუხლით გათვალისწინებული მეიჯარის ვალდებულებაც, მოიჯარის მოთხოვნის საფუძველზე გააგრძელოს იჯარის ხელშეკრულება.⁹ თუმცა ამ შემთხვევაში ტერმინოლოგიური დაზუსტება იქნებოდა უპრიანი: კონტრაპირების იძულებად მხოლოდ ხელშეკრულების დადების იძულება მოიხსენიება, თუ უკვე არსებული ურთიერთობის გაგრძელებას ეხება საქმე, რაც, ჩვეულებრივ, „სახელშეკრულებო ბოჭვის შენარჩუნების/გაგრძელების იძულების“ ცნებით აღინიშნება.¹⁰

- 23 ხელშეკრულების დადების ან გაუქმების შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს, ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის № ას-221-213-2012 გადაწყვეტილება.

10 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 95.

შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესებით. მაგალითად, დაუშვებელია, თუნდაც, არამენარმე სუბიექტის საჯარო შეთავაზება, რომ ყიდის სახლს მხოლოდ თეთრკანიანზე.

ა.ა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირის იძულება ხელშეკრულების დადებაზე

319 II მუხლი წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის თვალსაჩინო გამოვლინებას. ეს დანაწესი ავალდებულებს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე პირს საქმიანობის ამ სფეროში ხელშეკრულების დადებას. მას ეკრძალება კონტრაჰენტისთვის უსაფუძვლოდ ხელშეკრულების არათანაბარი პირობების შეთავაზება. 24

მაშასადამე, იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ხელშეკრულების დადების ვალდებულება, სახეზე უნდა იყოს შემდეგი პირობები: 25

ა) მას უნდა ეკავოს დომინირებული, გაბატონებული მდგომარეობა ბაზარზე, რაც გულისხმობს შესაბამის ბაზარზე პირის ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს: იმოქმედოს დამოუკიდებლად, მოახდინოს არსებითი გავლენა ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია. როგორც წესი, ასეთად მიიჩნევა 40%-ზე მეტი წილის მქონე ეკონომიკური აგენტი.¹¹

ბ) პირი ვალდებულია, მხოლოდ ბაზარზე გაბატონებული საქმიანობის სფეროში დადოს გარიგება თავისუფალი არჩევანის გარეშე. მაგალითად, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი კომპანია ვალდებულია, შესაბამისი ლიცენზიის ფარგლებში ყველა მსურველთან დადოს ბუნებრივი გაზის მიწოდების ხელშეკრულება, თუმცა დაუშვებელია მისი იძულება სხვა სფეროში ხელშეკრულების დადებაზე (მაგ., ინვენტარის შექმნისას კომპანია მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების საფუძველზე). 26

გ) დომინირებული მდგომარეობის მქონე პირმა ხელშეკრულება უნდა დადოს ყველასთან თანაბარი პირობებით, სამართლიანობაზე დაყრდნობით; დისკრიმინაციის გარეშე, მას არ აქვს უფლება, მომხმარებელს შესთავაზოს არათანაბარი პირობები, იგი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობები სამართლიანად განსაზღვროს და ბოროტად არ გამოიყენოს ძალაუფლება.¹² არათანაბარ პირობებში იგულისხმება, მაგალითად, მომსახურებისა თუ პროდუქტის შეუსაბამოდ მაღალი ფასი, ვალდებულების შესრულების შეუსაბამოდ მოკლე ვადა და ა.შ. ამასთან, თუ არსებობს დასაბუთებული არგუმენტი, საპატიო მიზეზი, შესაძლებელია, უარი ეთქვას ოფერენტს ხელშეკრულების დადებაზე. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის მიერ ტექნიკურად შეუძლებელია ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთება. 27

ბ.ბ მენარმე პირის იძულება ხელშეკრულების დადებაზე

319 III მუხლი, ასევე, წარმოადგენს კონტრაპირების იძულების გამოვლინებას. იგი ავალდებულებს სუბიექტს, თავისი სამენარმეო საქმიანო- 28

11 საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“, მუხლი 3.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის № ას-505-889-06 განჩინება.

ბის ფარგლებში დადოს ხელშეკრულება იმ პირებთან, რომლებიც არასამენარმეო ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით. ამ ნორმის მიხედვით, 319 II მუხლისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, პირს ეკავოს დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, არამედ საკმარისია, იგი ეწეოდეს სამენარმეო საქმიანობას. ამავდროულად, არ უნდა დაირღვეს ბალანსი იძულებასა და თავისუფლებას შორის. ხელშეკრულების დადების ვალდებულება არ ნიშნავს იმას, რომ მენარმე ვალდებულია, დადოს მისი ინტერესებისათვის საზიანო ხელშეკრულება (მოითხოვოს იმაზე ნაკლების გადახდა, რასაც სხვებისგან ითხოვს).¹³

29 319 III მუხლით კონტრაპირების იძულება მოქმედებს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არასამენარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებით. აუცილებელია მკაფიოდ გამიჯვნა იმისა, რომ ხელშეკრულების დადების ვალდებულება ეკისრება მენარმეს მომხმარებლის წინაშე და არა იმ პირებთან, რომლებიც სამენარმეო მიზნით იძენენ ან სარგებლობენ პროდუქციით. ამასთან, მენარმე სუბიექტს შეუძლია, დაადგინოს გარკვეული შეზღუდვებიც მომხმარებლისათვის. მაგალითად, ჰიპერმარკეტი აცხადებს აქციას – ფასდაკლებას კონკრეტულ პროდუქტზე და განსაზღვრავს თითოეულ მომხმარებელზე შესაძენი პროდუქციის ოდენობას. ეს პირობაც სხვა მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარეა გამართლებული.

30 **მენარმეს არა აქვს უფლება, დაუსაბუთებლად უთხრას უარი მომხმარებელს ხელშეკრულების დადებაზე.** უარი უნდა იყოს გამართლებული, ობიექტურად დასაბუთებული. მაგალითად, კინოთეატრში ბილეთის შეძენაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს 12 წლამდე პირთათვის ფილმის ჩვენების აკრძალვა. ასევე, თუ სასტუმროს მესაკუთრე, მენარმე პირი უარს ეუბნება შავკანიან სტუმრებს ხელშეკრულების დადებაზე, უარი გამართლებული იქნება, თუ ყველა ოთახი დაჯავშნილია, ხოლო უარის თქმა დაუშვებელია კანის ფერის გამო დისკრიმინაციის საფუძველზე. ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმისას განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ უარი ობიექტურად და გონივრულად გამართლებულია და ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, მაგალითად, ქალთა სილამაზის სალონში მამაკაცთა მომსახურებაზე უარის თქმა.

2. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვა

ა. მართლწინააღმდეგობა, როგორც ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

31 ხელშეკრულების თავისუფლებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მხარეთა თანმხვედრი ნება, აუცილებელია, ეს ნება იყოს მართლზომიერი და არ ეწინააღმდეგებოდეს დადგენილ მართლწესრიგს.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 12 ივლისის № 3კ/311 გადაწყვეტილება.

იმისათვის, რომ ხელშეკრულების თავისუფლებამ რეალიზაცია პოვოს, აუცილებელია მისი კანონის ფარგლებში მოქცევა. 54-ე მუხლი შეიცავს გარიგების შინაარსის კონტროლის ძირითად ნორმას, რომლის თანახმად, ბათილად მიიჩნევა კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებები. კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების საწინააღმდეგო გარიგებებში იგულისხმება არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი, არამედ საჯარო სამართლით აკრძალული ქმედების განხორციელებაც. ამასთან, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგო გარიგება აკრძალვის საწინააღმდეგო გარიგებისგან.¹⁴

მართალია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტირების პრინციპი მოქმედებს, თუმცა შეიძლება გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებული ქცევის სტანდარტს“, ამორალურად იქნეს მიჩნეული, რაც მის ბათილობას იწვევს, ვინაიდან 54-ე მუხლის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გარიგებები, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა თავისი არსით საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.¹⁵ 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების (საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი №3315) მიხედვით, 625-ე მუხლით განისაზღვრა პროცენტი სესხისათვის, რომლის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50 %-ს, თუმცა მანამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმებით პროცენტის განსაზღვრის შესაძლებლობას (საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი №1864). მართალია, პირგასამტეხლოსგან განსხვავებით, კოდექსი პირდაპირ არ ადგენდა შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის სასამართლოს მიერ შემცირების უფლებას, თუმცა სასამართლომ მხარეთა შეთანხმება შეუსაბამოდ მაღალ პროცენტზე ხელშეკრულების თავისუფლების მიუხედავად, ამორალურობის გამო ბათილად მიიჩნია.¹⁶ გარიგების ბათილობის მიზანი მძიმე მდგომარეობაში მყოფი, სუსტი პირის ინტერესების დაცვაა. (იხ. მორალის ნორმებიდან გამომდინარე ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით 54-ე მუხლის კომენტარი).

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის თვალსაჩინო მაგალითია, ასევე, 55-ე მუხლიც, რომელიც ბათილად მიიჩნევს ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით დადებულ გარიგებას, როცა მათი ურთიერთობა დამოკიდებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ექიმსა და პაციენტს, მღვდელსა და აღმსარებელს შორის, აგრეთვე კლიენტსა და მის ადვოკატს შორის დადებული გარიგებები.¹⁷ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის მიზანი ამ შემთხვევაშიც სუსტი მხარის დაცვაა. გარდა მითითებულისა, სამოქალაქო კო-

14 იხ. 54-ე მუხლის კომენტარი, ასევე, *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 272 და შემდგომში.

15 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის № 2ბ/4686-13 გადაწყვეტილება.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის № ას-663-629-2015 განჩინება.

17 *Zweigert/Kötz, An Introduction to Comparative Law, Third Edition, 1998, p. 330.*

დექსი არაერთ შემთხვევაში ითვალისწინებს ხელშეკრულების შინაარსის შეზღუდვას, მაგ., 625-ე მუხლი ადგენს როგორც უზრუნველყოფილი, ისე არაუზრუნველყოფილი სესხისათვის პროცენტის ზღვრულ ოდენობას.

- 34 მაშასადამე, მხარეთა შესაძლებლობა, თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, იზღუდება, თუ ხელშეკრულება ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას და ხელყოფს სამართლებრივი წესრიგისათვის ფუნდამენტურ ფასეულობებს.

ბ. სამართლიანობა და კეთილსინდისიერება, როგორც ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

- 35 მხარეთა ინტერესების დაბალანსების უზრუნველსაყოფად, სახელშეკრულებო უსამართლობის თავიდან ასაცილებლად კოდექსი მხარეებს არ აძლევს თვითნებობის უფლებას, ამიტომ მხარეთა თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, რაც თანასწორობის დამყარებას ემსახურება. სხვა შემთხვევაში, თუ თავისუფლება ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი (ყველასათვის თანასწორი) არ იქნება, მისი არსი გაუფასურდება.¹⁸ სწორედ თანაბარი უფლებების არსებობა მიაწინებს სახელშეკრულებო სამართლიანობაზე (იგულისხმება ფორმალური, არაფაქტობრივი თანასწორობა)¹⁹ და ამ თანაფარდობის დარღვევა კი პირიქით, ყოველთვის ბაძებს გარიგების მონაწილეებზე სხვადასხვაგვარი ზეგავლენის, შეცდომაში შეყვანის ან სხვაგვარი ზემოქმედების ვარაუდს.²⁰ სახელშეკრულებო სამართლიანობა არის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანმდევი პრინციპი,²¹ რომელიც არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონტრაქტები თანაბარი უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ.²²

- 36 სამოქალაქო კოდექსი სამართლიანობაზე რამდენიმე ადგილას პირდაპირ მიუთითებს: 5 II მუხლი ითვალისწინებს კანონის ანალოგიის გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ურთიერთობის სამართლიანობის საფუძველზე მონესრიგებას, 325-ე მუხლით, ვალდებულების შესრულების პირობების ცალმხრივად დადგენისას მათი განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს, 868 II მუხლი ითვალისწინებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრას კრედიტის მიმცემის მიერ სამართლიანობის საფუძველზე, 957-ე მუხლი მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საზიარო საგნის მართვის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტაზე მიუთითებს.

- 37 გარდა მითითებული მუხლებისა, ცალკეული ინსტიტუტები სწორედ სამართლიანობას ეფუძნება. მაგ., 395 II მუხლი: „დაუშვებელია მხარეთა

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის № 1/3534 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულიშვილ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

19 ხუბუა, სამართლის თეორია, 2004, გვ. 76.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის № 22/4259-14 განჩინება.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის № ას-7-362-07 გადაწყვეტილება.

22 ჩაჩანაძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2010, გვ. 23.

წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახვი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.“ 417-ე მუხლის მიხედვით, მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ ვალდებულების დარღვევისათვის ფულად თანხას – პირგასამტეხლოს. მიუხედავად იმისა, რომ პირგასამტეხლო ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია, მისი მოქმედების არეალი კანონითაა დადგენილი და 420-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა, სასამართლომ შეამციროს **შეუსაბამოდ** მაღალი პირგასამტეხლო, ხელშეკრულების შინაარსში სწორედ სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ჩარევის თვალსაჩინო მაგალითია. სახელშეკრულებო თავისუფლებაში კანონმდებლის ამგვარი ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა პირგასამტეხლო სცდება გონივრულ ჩარჩოებს და მიზნად ისახავს იმ სუსტი მხარის დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებდა პირგასამტეხლოს შინაარსს, მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს.²³

სახელშეკრულებო უსამართლობის თავიდან ასაცილებლად, ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს და ერევა სახელშეკრულებო თავისუფლებაში აუცილებელი მოთხოვნის საქონელზე/მომსახურებაზე ფასის განსაზღვრის თვალსაზრისით. მაგ., საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს ბუნებრივი გაზის, ელექტროენერჯისა თუ წყლის მოხმარების ტარიფებს, რა დროსაც „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოხმარებელთა რეალური გადახდისუნარიანობა, რაც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა იქნება.“²⁴

სამართლიანობის პრინციპთან ერთად, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს ადგენს კეთილსინდისიერების პრინციპიც. კეთილსინდისიერება კერძო სამართალში უნივერსალური და ზოგადსავალდებულო პრინციპია, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულების შესრულების სეგმენტით,²⁵ არამედ იგი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს და სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაა იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.²⁶

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისაგან განსხვავებით, რომელიც პირდაპირ ადგენს, რომ „მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად დადონ ხელშეკრულება, განსაზღვრონ ფორმა და შინაარსი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, თუ ხელშეკრულება „ევროპულ სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში“ მოცემულ იმპერატიულ ნორმებს არ ეწინააღმდეგება“ (1:102 მუხლი), 319-

23 მესხიშვილი, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), http://www.library.court.ge/upload/pirgasamtekhl_o_k.meskhishvili.pdf (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის № 1/3/136 გადაწყვეტილება.

25 ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14.

26 კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.

ე მუხლი ამგვარ პირდაპირ დათქმას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, 8 III მუხლით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულება, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლების შეზღუდვის საფუძველია. ამ პრინციპის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობის კორექტირება თუ ბათილობა. ამავდროულად, სტანდარტული პირობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი სპეციალური ნორმით, 346-ე მუხლით ადგენს ნდობისა და კეთილსინდისიერების სანინაალმდეგო პირობის ბათილობას.

41

მაგ.: შსს-ს საზღვრის დაცვის პოლიციის ინსპექტორი გარდაიცვალა სასაზღვრო პოლიციის მონაკვეთზე მიოკარდიუმის ინფარქტით. გარდაცვლილის მეუღლემ სადაზღვევო კომპანიისაგან მოითხოვა სადაზღვევო თანხის ანაზღაურება სიცოცხლის დაზღვევისათვის, რაზეც მზღვეველმა უარი განაცხადა იმ დასაბუთებით, რომ, ხელშეკრულების თანახმად, სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდებოდა შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფი დაზღვეულის მიერ სამსახურებრივი მომსახურების შესრულების დროს მომხდარ შემთხვევებზე. სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ხელშეკრულებაში ამგვარი დათქმის გათვალისწინებით ხდებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და გამოვლენისათვის კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების უგულებელყოფა და, ამასთანავე, მხარის ინტერესების საზიანოდ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა. ამგვარი დათქმის არსებობის პირობებში, მხარის ინტერესების საზიანოდ, მზღვეველს ეძლეოდა შესაძლებლობა, იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დაზღვეული გარდაიცვალა სამსახურში და არა შვებულებაში ყოფნის დროს, გაემართლებინა მის მიერ სადაზღვევო თანხის გაცემის შესახებ ვალდებულების შეუსრულებლობა.²⁷ სააპელაციო სასამართლომ კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ დაზღვეულის გარდაცვალება უნდა შეფასებულიყო სადაზღვევო შემთხვევად, რაც იყო მზღვეველის მიერ მემკვიდრეზე სადაზღვევო თანხის გაცემის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების კონტექსტში ცალკე უნდა გამოიყოს სამომხმარებლო სამართლის დანაწესები – მენარმე, მომხმარებლისაგან განსხვავებით, გაცილებით შეზღუდულია გარიგების შინაარსის ჩამოყალიბებისას ისევე, როგორც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში დაუშვებელია მთელი რიგი დებულებებისა, რაც დასაშვებია ინდივიდუალური შეთანხმების ფარგლებში (იხ. 342-ე და მომდევნო მუხლების კომენტარები).

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის № ას-755-2011 განჩინება.

მუხლი 320. მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ბათილობა

ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე.

- I. ნორმის მიზანი.....67
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობა67
- III. სამართლებრივი შედეგი.....68

I. ნორმის მიზანი

320-ე მუხლი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამონაკლისს, უფრო კონკრეტულად, ითვალისწინებს შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების შეზღუდვას. ამ დანაწესით კანონმდებელი მიზნად ისახავს, დაიცვას პირის მოქმედების თავისუფლება და თავიდან აიცილოს ისეთი ვალდებულების წარმოშობა, რომლის შედეგად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე დაკარგავს ინტერესს, გაზარდოს მომავალი ქონება, რამდენადაც ყველაფერი, რაც მომავალში მისი უნდა ყოფილიყო, სხვას უნდა გადასცეს. ეკონომიკური თავისუფლების ამგვარი შეზღუდვით კი, შესაძლოა, პირი ფაქტობრივად ქონებაუუნარო აღმოჩნდეს. ვინაიდან ასეთი საფრთხე არ არსებობს ანდერძის შემთხვევაში, 1329-ე მუხლი განსაზღვრავს მამკვიდრებლის უფლებას, ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენისას მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა, თუმცა სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ასეთი ქონება მისი საკუთრება იქნება.

320-ე მუხლი, იმავდროულად, იცავს მეორე მხარესაც, რომელიც მომავალი ქონების მოლოდინში საკმაოდ გაურკვეველ სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობა

320-ე მუხლში განმტკიცებული ნორმა იმ იმპერატიულ ნორმებს განეკუთვნება, რომლებიც შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას ზღუდავენ.

ევროპული კოდიფიკაციებიდან პირველად ფრანგულმა სამართალმა აკრძალა მომავალი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგვა, მოგვიანებით კი გერმანულმა სამოქალაქო კოდექსმა გააფართოვა მისი მოქმედება და უზუფრუქტზეც გაავრცელა.¹ ქართულ სამართალში ეს წესი სწორედ გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად დამკვიდრდა.

¹ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 320, გვ. 67.

- 5 მომავალ ქონებაზე ან მის ნაწილზე გარიგების დადების აკრძალვა ვრცელდება როგორც სასყიდლიან, ისე უსასყიდლო ხელშეკრულებებზე. მაგალითად, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი კისრულობს, მთელი მომავალი ქონება ან მისი ნაწილი აჩუქოს სხვას ან გასცეს იჯარით. დაუშვებელია, თავდებობის ხელშეკრულებით თავდებმა იკისროს პასუხისმგებლობა მთელი მომავალი ქონების ან ამ ქონების ნაწილის ფარგლებში. ბათილად მიიჩნევა ჯილდოს საჯაროდ დაპირება მთელ სამომავლო ქონებაზე ან/და მის ნაწილზეც.
- 6 სამოქალაქო კოდექსი ქონებას რამდენიმე გაგებით იყენებს: თუ 147-ე მუხლით იგულისხმება კონკრეტული ქონებრივი ობიექტები, 320-ე მუხლში მოიაზრება ქონებრივ სიკეთეთა ერთობლიობა, რომელიც დაზუსტებასა და დაკონკრეტებას საჭიროებს.² გრამატიკული განმარტებით, ეს მუხლი ეხება მხოლოდ მომავალ ქონებას, თუმცა იგი მოიცავს გარიგების დადების მომენტში შემპირებლის ხელთ არსებულ იმ ქონებასაც, რომელიც ვალდებულების შესრულებისას მომავალი ქონების ნაწილი იქნება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ქონება გაიზარდა თუ არა – 320-ე მუხლი მაშინაც გამოიყენება, თუ რეალურად შემპირებლის ქონება არ გაზრდილა.
- 7 მითითებული ნორმა კრძალავს მთელ მომავალ ქონებაზე ან მის ნაწილზე ხელშეკრულების დადებას. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ შეთანხმება, რომლითაც პირი კისრულობს, მაგალითად, მომავალი ქონების ნახევარი ან 30% გადასცეს სხვას, ან უზუფრუქტით დატვირთოს იგი. 320-ე მუხლი ამით ზღუდავს აბსტრაქტულ ვალდებულებებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ვალდებულება არა მთელ სამომავლო ქონებას, არამედ მის ნაწილს ეხება.
- 8 სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობიდან გამომდინარე, მაშინ, როცა არ არსებობს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე და ვალდებულებაც დაკონკრეტებულია, დასაშვებია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე გარიგების დადება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს კონტრაჰენტს ის კონკრეტული ნივთი თუ უფლება, რასაც მომავალში შეიძენს. მაგალითად, ბაბუა წერილობით ჰპირდება შვილიშვილს, რომ აჩუქებს ცნობილი მხატვრის ძვირადღირებულ ტილოს. ეს უკანასკნელი კი ნივთის გადაცემამდე მუზეუმთან დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას ამ ნივთზე.

III. სამართლებრივი შედეგი

- 9 ვინაიდან 320-ე მუხლი თავისი შინაარსით იმპერატიულია, მისი დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას. შესაბამისად, არ წარმოიშობა მომავალი ქონების/მისი ნაწილის გადაცემის ვალდებულება, ხოლო უკვე გადაცემულის, როგორც „მომავალი ქონების“ ნაწილის, დაბრუნების უფლება კრედიტორს ენიჭება საერთო წესით უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე.

² ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 158.

მხარეებს არ შეუძლიათ, არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა გადაარჩინონ მომავალ ქონებაზე დადებული ბათილი გარიგების დადასტურების გზით 61 III–IV მუხლის შესაბამისად, რაც გარიგების ხელახლა დადებად განიხილება. 61 III მუხლს ამ შემთხვევაში ვერ გამოვიყენებთ, რადგან თავიდანვე ბათილ და არა საცილო გარიგებას ეხება საქმე. ამ გარიგების დადასტურება შეუძლებელია, ასევე, 61 IV მუხლის მიხედვით. თუ მხარეები კონკრეტულად ჩამოწერენ გადასაცემ ობიექტებს, ეს იქნება უკვე სხვა შინაარსის გარიგება, რადგან ავტომატურად გამოირიცხება ის ნივთები (თუ უფლებები), რომლებიც არ არის სავარაუდო, რომ სამომავლოდ ვალდებული პირის ქონებაში მოხვდება. იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ქონებას ან წილზე დადებული გარიგებით ეს ნივთებიც დაკონკრეტდება, მთლიანი გარიგების შინაარსი იცვლება და აუცილებელი იქნება ამ ახალი შინაარსით გარიგების თავიდან დადება. 61 IV მუხლის მიხედვით, დადასტურებად ვერ ჩაითვლება ვერც ვალდებულების სამომავლოდ არსებული ქონების წილზე პროექცირება, რაც შეიძლება იყოს ნამდვილი 321-ე მუხლის მიხედვით, თუმცა ასევე არის გარიგების შინაარსის ცვლილება.

მუხლი 321. ხელშეკრულება ქონების გადაცემის შესახებ

ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელი ქონების ცალკეულ ნივთებზე.

საქართველოს 2006 წლის 8 დეკემბრის კანონი N3879 – სსმ I, N48, 22.12.2006 წ., მუხ. 321.

I. ნორმის მიზანი.....	70
II. ნორმის შემადგენლობა.....	70
III. სამართლებრივი შედეგი.....	71

I. ნორმის მიზანი

- 1 320-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს მომავალ ქონებაზე ან მის ნაწილზე გარიგების დადებას, 321-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ამჟამინდელი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებას ან/და უზუფრუქტით დატვირთვას. თუ მომავალ ქონებაზე ან მის ნაწილზე გარიგების დადებით პირის ქონებაუნარიანობას ექმნება საფრთხე და ამიტომ იკრძალება ამგვარი გარიგება, ამჟამინდელი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებით პირმა შეიძლება დაკარგოს მთლიანი ამჟამინდელი ქონება, თუმცა არა მომავალში ქონების მოპოვების შანსი. სწორედ ამიტომ კანონი შეზღუდვას მხოლოდ ფორმასთან მიმართებით ითვალისწინებს. წესი, რომ ამგვარი გარიგება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ემსახურება პირის დაცვას აჩქარებისაგან. აღსანიშნავია, რომ კოდექსის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა ამჟამინდელი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისების სანოტარო წესით დამონმების სავალდებულოობას, თუმცა 2006 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებით (კანონი 3879) სანოტარო დამონმების ფაკულტატიური დატვირთვა მითითებულ ნორმაზეც გავრცელდა.

II. ნორმის შემადგენლობა

- 2 სამოქალაქო კოდექსი ქონებას რამდენიმე გაგებით იყენებს: თუ 147-ე მუხლით იგულისხმება კონკრეტული ქონებრივი ობიექტები, 321-ე მუხლში მოიაზრება ქონებრივ სიკეთეთა ერთობლიობა, რომელიც დაზუსტებასა და დაკონკრეტებას მოითხოვს.¹ ამგვარად, მითითებულ ნორმაში „ქონება“ კრებითი მნიშვნელობით გამოიყენება და მოიცავს ცალკეულ ნივთებსა თუ ქონებრივ უფლებებს.
- 3 321-ე მუხლი ვალდებულებითსამართლებრივია, რომელიც გარიგების ნამდვილობისათვის მოითხოვს წერილობით ფორმას, ხოლო საკუთრების უფლების გადაცემა შემძენზე ხდება ქონებაში შემავალ ცალკეულ ქონებ-

1 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 158.

რივ ობიექტებზე შესაბამისი უფლების გადაცემისათვის დადგენილი წესის მიხედვით.²

321-ე მუხლი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზეც, როცა მხარეები თანხმდებიან კონკრეტული ნივთის გამორიცხვით მთელი ქონების ან მისი ნაწილის გადაცემაზეც, მაგალითად, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს ყველაფერი, რაც გააჩნია, გარდა მშობლის ნაჩუქარი ნივთისა. 4

ამჟამინდელ ქონებაზე შეიძლება დაიდოს როგორც ცალმხრივად მავალდებულებელი, ისე ორმხრივი ხელშეკრულება, უსასყიდლო და სასყიდლიანი გარიგება. 5

III. სამართლებრივი შედეგი

მხარეთა ზეპირი შეთანხმება ამჟამინდელი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისებაზე არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს და როგორც ფორმალური ცველი გარიგება, 59 I მუხლის შესაბამისად, ბათილია. თუმცა მხარეებს შეუძლიათ, ბათილი გარიგება დაადასტურონ 61 IV მუხლის მიხედვით. 6

² იქვე, გვ. 160.

მუხლი 322. სამკვიდრო ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულების ბათილობა

პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ბათილია. იგივე წესი გამოიყენება პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან/და საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ.

ამ მუხლის პირველი ნაწილის წესი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე.

- I. ზოგადი დებულებანი72
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობა72
- III. . სამართლებრივი შედეგი.....73

I. ზოგადი დებულებანი

- 1 ცოცხალი ადამიანის ქონებით მისი პოტენციური მემკვიდრეების მიერ ვაჭრობას სამართალი ზნეობის საწინააღმდეგოდ აფასებს. ჯერ კიდევ რომის სამართალი მიიჩნევდა ბათილად პირის სიცოცხლეში მის ქონებაზე დადებულ გარიგებებს. იუსტიციანებმა თავის კოდიფიკაციებში ამგვარი ხელშეკრულებები დასაშვებად მიიჩნია მხოლოდ იმ პირობით, თუ მამკვიდრებელი განაცხადებდა თანხმობას, რომლის გამოთხოვის უფლებაც მას ნებისმიერ დროს ჰქონდა.³
- 2 ქართულმა სამართალმა პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე ხელშეკრულების დადება აკრძალა, რაც განპირობებულია მამკვიდრებლის ინტერესების დაცვით, ვინაიდან იზღუდება მისი მოქმედების თავისუფლება; ამასთან, მითითებული ნორმა იცავს მეორე მხარის ინტერესებსაც, ვინაიდან სამკვიდროს შემცირების შემთხვევაში იგი საკმაოდ გაურკვეველ სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობა

- 3 322 I მუხლი ბათილად მიიჩნევს პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირთა მიერ დადებულ გარიგებას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მამკვიდრებელი მოიწონებს თუ არა ამ გარიგებას. სხვა პირებში იგულისხმება ის შემთხვევაც, როცა ხელშეკრულება იდება მემკვიდრესა და მესამე პირს შორის.
- 4 სამოქალაქო კოდექსი პირის სიცოცხლეში მის სამკვიდროზე მხოლოდ მომავალ მემკვიდრეთა შორის სამემკვიდრეო თუ სავალდებულო წილის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებას მიიჩნევს დასაშვებად. ამგვარი ხელშეკრულების დადების მიზანი შეიძლება იყოს ერთ-ერთი მომავალი მემკვიდრის მიერ მომავლის დაგეგმვა და სხვა მომავალი მემკვიდრის დაკ-

³ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 322, გვ. 71.

მაცოფილება იმ მიზნით, რომ სამკვიდრო დარჩეს თვითონ, დროულად გააუმჯობესოს და ისარგებლოს ქონებით.

322 II იმპერატიულად ადგენს, რომ ორივე მხარე უნდა იყოს კანონით მემკვიდრე და არა ანდერძის საფუძველზე. პრობლემატურია საკითხი იმის შესახებ, კანონით მემკვიდრეებს შორის იგულისხმება ფართო გაგებით ყველა რიგის კანონით მემკვიდრე თუ ერთი და იმავე რიგის ის მემკვიდრეები, რომელთა არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, კანონით მემკვიდრეებში იგულისხმება 1336-ე მუხლში ჩამოთვლილი ხუთივე რიგის მემკვიდრეები და ამ გაგებით ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, მამკვიდრებლის ძმასა და შვილს შორის დადებული გარიგება სამკვიდრო წილზე, თუმცა ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტების საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სამკვიდრო წილზე გარიგების დადება დასაშვებია ერთი და იმავე რიგის იმ მემკვიდრეებს შორის, რომლებიც მოწვეული იქნებიან სამკვიდროს მისაღებად და გახდებიან საზიარო უფლების მონილეები. ხელშეკრულება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს მაშინაც, როცა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ის მემკვიდრე, რომლის სასარგებლოდაც, 1439-ე მუხლის შესაბამისად, უარი თქვა მემკვიდრე მემკვიდროზე.

5

მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის დადებული გარიგება, ერთი შეხედვით, ჰგავს პირობით გარიგებას, როცა მისი შესრულების გადადება უკავშირდება პირობის დადგომას – მამკვიდრებლის გარდაცვალებას, თუმცა, ვინაიდან მოვლენა უეჭველად დადგება და უცნობი მხოლოდ მოვლენის დადგომის დროა, ამიტომ ამ შემთხვევაში სახეზეა გარიგება ვადის დათქმით.⁴ ამასთან, შესაძლებელია, ერთ-ერთმა მხარემ წინასწარ შეასრულოს ვალდებულება, მაგალითად, მყიდველმა გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური, ხოლო გამყიდველის მიერ საკუთრების გადაცემა სამკვიდროს მიღების შემდეგ განხორციელდეს.

6

მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის გარიგება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი ობიექტი – როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთი და ქონებრივი უფლება.

7

III. . სამართლებრივი შედეგი

რამდენადაც 322 I მუხლის მიხედვით, პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე დადებული გარიგება ბათილია, იგი არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას, ხოლო ამ ნორმის საწინააღმდეგოდ გადაცემულის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით.

8

იმ შემთხვევაში, თუ მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების სამემკვიდრეო და სავალდებულო წილის თაობაზე გარიგება არ აკმაყოფილებს გარიგების ნამდვილობის პირობებს, მათ შორის არ არის დაცული შესაბამისი ტიპის ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმა, გამოიყენება გარიგების ბათილობის შესაბამისი ნორმები.

9

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, 90-ე მუხლი, გვ. 530.

მუხლი 323. უძრავი ნივთის გასხვისების წესი

ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას.

საქართველოს 2006 წლის 8 დეკემბრის კანონი N3879 – სსმ I, N48, 22.12.2006 წ., მუხ. 321.

- I. ზოგადი დებულებანი 74
- II. ნორმის შინაარსი..... 75
 - 1. გარიგების ნამდვილობის პირობა და მიმართება საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან..... 75
 - 2. განსხვავებული პრაქტიკა..... 77
- III. ფორმის დაუცველობის შედეგი 78

I. ზოგადი დებულებანი

- 1 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ბუნებრივია, მიწაზე არსებული მცენარეებისა და შენობა-ნაგებობების განხილვა შეიძლება არა დამოუკიდებელ უძრავად ნივთებად, არამედ იმ მიწის ნაკვეთის შემადგენელ არსებით ნაწილად, რომელთანაც არიან დაკავშირებული და ექცევიან შესაბამისი ნაკვეთის მიმართ მოქმედ სამართლებრივ რეჟიმში.¹ ამგვარად, უძრავ ნივთად მიიჩნევა მიწის ნაკვეთი, რომელიც სივრცობრივად გამოყოფილია, აზომილია საკადასტრო წესით და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სპეციალური აღნიშვნით.
- 2 კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალში აღიარებულია გარიგების ფორმის თავისუფლება, თუმცა 68 II მუხლი განამტკიცებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წერილობითი ფორმის სავალდებულოობას, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობას. მიწის ნაკვეთის ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი ადგენს უძრავი ნივთის გასხვისების სპეციალურ წესს, კერძოდ, 323-ე მუხლი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმოსაშობად მოითხოვს წერილობით ფორმას. ვინაიდან ფორმის ფუნქცია ამ შემთხვევაში მხარეთა ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაგან დაცვა და ინფორმირებაა (იხ. 68 მე-3 ველი), ამიტომ მითითებული ნორმა იმპერატიულია და მხარეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ.
- 3 აღსანიშნავია, რომ ნორმის თავდაპირველი რედაქცია უძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად ითვალისწინებდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონშებას. უძრავი ნივთის გასხვისების ამ ზოგადი წესის შესაბამისად, სპეციალური ნორმებიც, მაგალითად: ნასყიდობის (479-ე მუხლი),

¹ *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 194.

ჩუქების (525-ე მუხლი) და ა.შ. ხელშეკრულებებიც განამტკიცებდნენ სანოტარო წესით დამონმების სავალდებულო წესს, თუმცა 2006 წლის 8 დეკემბრის ცვლილების შედეგად (კანონი № 3879) სანოტარო დამონმება ფაკულტატიურად იქნა მიჩნეული. მოქმედი რეგულაციით, უძრავ ნივთზე გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისად ითვლება მარტივი წერილობითი ფორმის დაცვა. გამონაკლისია 942-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უძრავ ნივთზე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დასადებად მის დამონმებას სანოტარო წესით.

ამ კონტექსტში ცალკე აღნიშვნის ღირსია შერეული ხელშეკრულებები და არაფორმასავალდებულო ხელშეკრულებები, რომლებიც მხოლოდ ერთი პირობის გამოა ხოლმე ფორმასავალდებულო, მაგ., ქირავნობა შესყიდვის უფლებით.

ფორმასავალდებულოობა ვრცელდება არა მხოლოდ *essentialia negotii*-ზე, არამედ, ასევე, *accidentalia negotii*-ზეც. ამ დამატებითი პირობისათვის ფორმის დაუცველობა იწვევს 62-ე მუხლის მიხედვით მთლიანი გარიგების ბათილობას. ფორმის დაცვით დადებული ხელშეკრულების ცვლილებისა და გაუქმების ხელშეკრულებაც ფორმასავალდებულოა.

II. ნორმის შინაარსი

1. გარიგების ნამდვილობის პირობა და მიმართება საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან

უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილად მიჩნევისათვის აუცილებელია მხარეთა ნამდვილი ნება, შეთანხმება არსებით პირობებზე და გარიგების წერილობითი ფორმით შედგენა, რომელზეც იქნება ორივე მხარის ხელმოწერა ისე, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რა საშუალებით იქნება დოკუმენტი შედგენილი. ამგვარად, ცალმხრივი ხელწერილი არ ჩაითვალება უძრავი ნივთის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ფორმის დაცვად (იხ. 69-ე მუხლის კომენტარი).²

323-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავ ნივთზე ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობის პირობას, თუმცა სანივთო უფლების წარმოსამობად – საკუთრების უფლების შესაძენად სპეციალური 183-ე მუხლი განამტკიცებს, წერილობით ფორმასთან ერთად, შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობას.

უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულება ნამდვილია არსებით პირობებზე წერილობით შეთანხმების მომენტიდან, თუმცა შემძენი ვერ ჩაითვლება უძრავი ნივთის მესაკუთრედ, თუ უფლება მის სახელზე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ეს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და, უპირველეს ყოვლისა, მესამე პირთა დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება. ფაქტობრივად, საჯარო რეესტრში

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 სექტემბრის № 3კ/841-02 გადაწყვეტილება; ასევე იხ. 69-ე მუხლის კომენტარი.

4

5

6

7

8

რეგისტრაცია არის რეალაქტი, ისევე, როგორც მოძრავი ნივთის გადაცემა შემძენისათვის (იხ. 59-ე მუხლის კომენტ., ველი 20).

- 9 მაშასადამე, 323-ე მუხლის დაცვით დადებული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა იგი საჯარო რეესტრში, წარმოშობს შესაბამისი ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ამ გარიგებით შემძენი იძენს უფლებას, მოსთხოვოს გამსხვისებელს საჯარო რეესტრში მისი უფლების კონსტატაცია,³ ხოლო გამსხვისებელი ვალდებულია, დაარეგისტრიროს უძრავი ქონების შემძენი მესაკუთრედ საჯარო რეესტრში.
- 10 სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის წესსაც: 3111 | მუხლის მიხედვით, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება. მაშასადამე, 311-ე მუხლი აკონკრეტებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარსადგენ წერილობით ხელშეკრულებებს და იგი არ უნდა იქნეს მოაზრებული ფორმის ელემენტად. ცხადია, მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებას რეესტრი, თუ უფლებამოსილი პირის წინაშე არ ხორციელდება ხელმოწერის დამოწმება, არ დაარეგისტრირებს, ვინაიდან არ გააჩნია ნების ნამდვილობის გადამოწმების სხვა ბერკეტი, თუმცა ამის გამო გარიგება ბათილად არ უნდა ჩაითვალოს, არამედ რეგისტრაციისათვის წარდგენილი მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში პირს რჩება შესაძლებლობა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება დაიცვას სასამართლოს მეშვეობით.
- 11 უძრავი ქონების გასხვისების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტის დანიშნულება აქვს, რომ შემძენი მესამე პირების წინაშე მესაკუთრის სტატუსით აღიჭურვება, ვინაიდან უძრავი ქონების შემძენის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციამდე ერთადერთ მესაკუთრედ ითვლება გამსხვისებელი (312-ე მუხლი).
- 12 მაშასადამე, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არის არა უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულების ფორმა, არამედ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელი წინაპირობა. შესაბამისად, მისი დაუცველობა იწვევს არა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არამედ

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის № ას-221-213-2012 გადაწყვეტილება.

იმას, რომ შემძენი არ მიიჩნევა შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ და კარგავს ამ ქონების კეთილსინდისიერ შემძენთან შედავების უფლებას (185-ე მუხლი).⁴

2. განსხვავებული პრაქტიკა

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს განსხვავებული პრაქტიკა უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ფორმასა და ამ გარიგებით წარმოშობილი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, „მართალია, უძრავი ქონების თაობაზე საკმარისია ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმით დადება, თუმცა მხოლოდ ეს ვერ გახდება საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი, ვინაიდან მარეგისტრირებელ ორგანოში გამყიდველის ნება უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით, თუ, რა თქმა უნდა, გარიგება ამავე ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით არ დაიდო. სამოქალაქო კოდექსის 3111 მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი არ ცვლის უძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, არ აწესებს გარიგების სანოტარო წესით დადასტურების ვალდებულებას. 3111 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება ემსახურება უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას, რათა არ გაყალბდეს გამსხვისებლის ხელმოწერა, გასხვისების ნების ერთგვარი სიმულაცია და ა.შ. ამიტომ საჯარო რეესტრში სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერის წარდგენის ვალდებულება გარიგების ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნა კი არ არის, არამედ კანონმდებლის მიერ დაწესებული სიფრთხილის ერთგვარი სტანდარტია, რათა მესაკუთრის ნების წინააღმდეგ საკუთრების უფლება სხვა პირზე არ გადავიდეს. ამ მსჯელობის ნათელყოფის მიზნებისათვის პალატამ ყურადღება გაამახვილა 3111 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც ხელმოწერების სანოტარო წესით დადასტურების ვალდებულება არ არსებობს, თუ გარიგება საჯარო რეესტრში ფორმდება უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.“⁵

მართალია, მითითებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მარტივი წერილობითი ფორმა საკმარისია ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, თუმცა გარიგების ნამდვილობისათვის არსებულ მოთხოვნებზე (ვალდებულებით გარიგებაზე) დამატებით გაავრცელა სანივთო გარიგების წესი – საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის დადგენილი მოთხოვნები და ამით ხელშეკრულების დადების მომენტი საკუთრების გადასვლასთან გააიგივა, რაც თვისებრივად სხვადასხვა ინსტიტუტია და, აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის № ას-523-496-2014 გადაწყვეტილება.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის № ას-221-213-2012 გადაწყვეტილება.

- 15 323-ე მუხლით განსაზღვრული წერილობითი ფორმის სავალდებულო წესი ვრცელდება უძრავ ნივთთან დაკავშირებულ წინარე ხელშეკრულებასა და ბეს მიმართაც.

III. ფორმის დაუცველობის შედეგი

- 16 როგორც აღინიშნა, 323-ე მუხლი იმპერატიულია, უძრავი ნივთის გასხვისების თაობაზე ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და ამ დანაწესის შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ. 59-ე მუხლით, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. შესაბამისად, თუ მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ უძრავი ნივთის გასხვისებაზე, ეს შეთანხმება არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს. იმ შემთხვევაში, თუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შესრულება მაინც განხორციელდა, 976 I ნაწილით მხარეს ექნება კონდიქციური მოთხოვნა ვითომ კრედიტორისაგან უსაფუძვლო გამდიდრების უკან დაბრუნების თაობაზე. ანალოგიურად წყდება საკითხი უძრავ ნივთზე ზეპირად წინარე ხელშეკრულების დადებისას, აგრეთვე, ბეს შესახებ ზეპირად შეთანხმებისას. გერმანულ სამართალში ფართოდ აღიარებული ფორმის ნაკლის „მორჩენა“ რეალური შესრულებით ჯერჯერობით ვერ დამკვიდრდა ქართულ სამართალში, რაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი ნორმატიული დასაყრდენის არარსებობით არის განპირობებული.
- 17 ფორმასავალდებულო გარიგებებზე დასაშვებია *falsa demonstratio*-ს პრინციპის გამოყენება (იხ. *falsa demonstratio*-სთან დაკავშირებით 73-ე მუხლი, ველი მე-18 და მომდევნო ველები), როდესაც მხარეები ზეპირად თანხმდებიან ერთზე, ხოლო წერილობით დოკუმენტში სხვა შინაარსს ითვალისწინებენ.⁶ ტრაფარეტული მაგალითია შემთხვევა, როდესაც მხარეები მიწის ნასყიდობის ხელშეკრულებაში არასწორ მიწის ნაკვეთს მოიხსენიებენ.⁷ აქ, მიუხედავად ამ არასწორი სახელდებისა, ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია.⁸ თუმცა, რაც შეეხება საკუთრების გადაცემას მიწის ნაკვეთზე, „არასწორ“ ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არ იწვევს „სწორ“ ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარმოშობას. რეგისტრაციის შედეგად წარმოშობილი რეესტრის ჩანაწერი „არასწორად“ ითვლება.⁹ თუ მხარეები ფორმის დაცვით დადებულ ხელშეკრულებაში შეგნებულად აფიქსირებენ არასწორ მონაცემებს, გარიგება არანამდვილია, როგორც მოჩვენებითი გარიგება.¹⁰

6 Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, S. 306.

7 RGZ 60, 338; RGZ 61, 264; RGZ 109, 334.

8 Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, S. 306.

9 RGZ 60, 338; RGZ 61, 264.

10 რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ. 162 და შემდგომი.

მუხლი 324. ნივთის დატვირთვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლები

თუ პირი იღებს ვალდებულებას, გაასხვისოს ან დატვირთოს თავისი ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნებელზეც, თუკი ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

I. ზოგადი დებულებანი	79
II. ნორმის შემადგენლობა.....	80
III. სამართლებრივი შედეგი.....	80

I. ზოგადი დებულებანი

საკუთვნებელი მთავარ ნივთთან დაკავშირებული ისეთი მოძრავი ნივთია, რომლის ფუნქცია მთავარი ნივთის სამსახურია და ამიტომაც არის დაკავშირებული მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით (151-ე მუხლი). საკუთვნებელი არ არის მხოლოდ მთავარი ნივთის სარგებლობის უკიდურესი აუცილებლობა, არამედ ნებისმიერი ნივთია, რომელიც ხელს უწყობს მთავარი ნივთის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებას.¹ განსხვავებით ნივთის შემადგენელი ნაწილისაგან, საკუთვნებელი დამოუკიდებელი ნივთია და მთავარ ნივთთან ერთად არ ქმნის რაიმე ნივთობრივ ერთობას.² საკუთვნებელი მხოლოდ საერთო მიზნით არის (და არა ფიზიკურად, თუმცა გარკვეული სივრცობრივი კავშირი მაინც აუცილებელია) დაკავშირებული მთავარ ნივთთან, ამიტომაც „საკუთვნებლის“ ცნების ფორმირების სამართლებრივი მნიშვნელობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ ნებისმიერი განკარგვა, მიმართული შესაბამის ქონებაზე, როგორც წესი, მოიცავს მის საკუთვნებელსაც.³

1

წესი, რომ საკუთვნებელი იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს, ასახულია კოდექსის რამდენიმე მუხლში. სპეციალური 511-ე მუხლი დამატებით ადგენს გამოსყიდვის უფლების განხორციელებისას მყიდველის ვალდებულებას, ნაყიდი ნივთი დააბრუნოს საკუთვნებელთან ერთად, ხოლო 194-ე მუხლი კი განსაზღვრავს მთავარი ნივთის შემძენის მიერ საკუთვნებელზე საკუთრების უფლების მოპოვებას, საწინააღმდეგოს მტკიცებამდე კი მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრეცაა მიიჩნევა.⁴ ამის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება, რომ საკუთვნებელი, არის რა დამოუკიდებელი ნივთი, არ ქმნის სანივთო-სამართლებრივ ერთობას (განსხვავებით ვალდებულებითსამართლებრივისაგან) მთავარ ნივთთან ერთად,⁵ რის გამოც ვინდიკაცია და კონდიქცია არ ვრცელდება საკუთვნებელზე, თუ, რა თქმა უნდა, ვინდიკანტი არ არის, იმავდროულად, საკუთვნებლის მესაკუთრეც ან მისი უსაფუძვლოდ გა-

2

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის № ას-586-561-2016 განჩინება.
 2 *ზონდი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი II, მუხ. 151, გვ. 30.
 3 *კერესელდი*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 211.
 4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის № ა204-197-2013 გადაწყვეტილება.
 5 *Heinrichs/Ellenberger*, in Palandt BGB Kommentar, 63. Aufl., § 97, Rn. 1.

მცემი პირი. გამონაკლისია სანივთო უფლებების (მაგ., უზუფრუქტის ან იპოთეკის) გავრცელება საკუთვნიებელზე.

II. ნორმის შემადგენლობა

- 3 324-ე მუხლი ვალდებულებითსამართლებრივი ზოგადი ნორმაა, რომელიც ითვალისწინებს ნივთის გასხვისებისა თუ დატვირთვისას პირის ვალდებულების გავრცელებას საკუთვნიებელზეც, მაშასადამე, არა აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის ხელშეკრულება იდება, – სასყიდლიანი თუ უსასყიდლო, ცალმხრივად თუ ორმხრივად მავალდებულებელი, ქონების საკუთრებაში გადაცემის, სარგებლობის უფლებით გადაცემისა და მომსახურების ხელშეკრულება, თუ ხორციელდება მთავარი ნივთის შეზღუდული უფლებით დატვირთვა (გირავნობა, იპოთეკა და სხვ.), – დამატებითი შეთანხმების გარეშე ივარაუდება, რომ საკუთვნიებელი მიჰყვება მთავარ ნივთს.
- 4 324-ე მუხლში განმტკიცებული ნორმა დისპოზიციურია, საკუთვნიებელი მაშინ იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს, თუ ურთიერთობის მონაწილეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. მაგალითად, რესტორნის იჯარის შემთხვევაში მოიჯარეს უნდა გადაეცეს ინვენტარი, მაგალითად, გაზქურა და ლუმელიც, როგორც საკუთვნიებელი, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ნივთის ღირებულების შემცირებაზე საკუთვნიებლის გამოკლების ხარჯზე ან მთავარი ნივთისა და საკუთვნიებლის ფასის ცალ-ცალკე განსაზღვრაზე.⁶

III. სამართლებრივი შედეგი

- 5 რამდენადაც 324-ე მუხლი განსაზღვრავს პირის ვალდებულებას, ნივთის გასხვისების ან დატვირთვისას ეს ვალდებულება გაავრცელოს საკუთვნიებელზეც, მისი შეუსრულებლობა განიხილება ვალდებულების დარღვევად და იწვევს იმ შედეგებს, რასაც კოდექსი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ითვალისწინებს.
- 6 შესაბამისად, ნივთის გასხვისების ან დატვირთვისას საკუთვნიებლის გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოიყენება მეორეული მოთხოვნები: დამატებითი შესრულება, ფასის შემცირება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურება.

⁶ შოთაძე, სანივთო სამართალი, 2014, გვ. 72.

მუხლი 325. ვალდებულების პირობათა განსაზღვრა სამართლიანობის საფუძველზე

თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა წინაურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

- I. ნორმის მიზანი.....81
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობა81
- III. ურთიერთკავშირი სხვა ნორმებთან.....83
- IV. სამართლებრივი შედეგი.....84

I. ნორმის მიზანი

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი კერძო სამართლის ფუნდამენტია და 319-ე მუხლი განამტკიცებს კიდევ შესაძლებლობას, ურთიერთობის მონაწილეებმა თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მათი შინაარსი. თუმცა სახელშეკრულებო თავისუფლების არსებობა მხოლოდ სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი.¹ ამ ფასეულობათა სისტემაში სამართლიანობა უზენაეს ღირებულებადაა მიჩნეული. სწორედ სახელშეკრულებო სამართლიანობა ზღუდავს კერძო ავტონომიას, რათა მინიმალურად მაინც უზრუნველყოს მხარეთა ინტერესების დაცვა. სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის დამყარება სოციალურ ფუნქციას ემსახურება და იგი გულისხმობს ვალდებულების შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობის ბოროტად გამოყენებისაგან შედარებით სუსტი მხარის დაცვასაც, რაც არის კიდევ 325-ე მუხლის მიზანი.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობა

სიტყვასიტყვითი გაგებით, 325-ე მუხლი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ხელშეკრულება დადებულია და მხარეთა შორის არ მომხდარა შეთანხმება ხელშეკრულების რომელიმე პირობაზე, არსებობს ბუნდოვანება ამ საკითხთან დაკავშირებით, ან მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესრულების პირობას მოგვიანებით განსაზღვრავდა ერთ-ერთი მხარე ან მესამე პირი. ამით განსხვავდება ეს წესი ხელშეკრულების დასადებად გათვალისწინებული არასამართლიანი წინაპირობისაგან, მაგალითად, როცა საბანკო დაწესებულება კლიენტს სთხოვს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დასადებად ქმრის თანხმობას.

ამ ნორმის დისპოზიციით, შესრულების პირობა უნდა განისაზღვროს სამართლიანად, პირობის დამდგენი მხარე უნდა ითვალისწინებდეს სხვა

1 ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 273.

პირის ინტერესებსა და მდგომარეობას, ნდობის ხარისხს. სისტემური განმარტებით, 325-ე მუხლი ვრცელდება მხარეთა შორის ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობებზე. სუსტი მხარის დასაცავად, როცა მრავალჯერადი გამოყენების მიზნით წინასწარ ფორმულირებულ სახელშეკრულებო პირობებს ცალმხრივად ადგენს შემთავაზებელი, სამოქალაქო კოდექსი დამატებით ითვალისწინებს სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლებს. მიუხედავად ამისა, სამართლიანობის საფუძველზე შესრულების პირობის დადგენა ზოგად წესად მიიჩნევა და ფართოდ გამოიყენება ვალდებულებით სამართალში.

- 4 სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულება, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი (მე-8 მუხლი) ყველაზე მეტად სამართლიანობისა და თანასწორობის (*aequitas*) ერთიან პრინციპში რეალიზდება.² სახელშეკრულებო სამართლიანობა სახელშეკრულებო თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა და გულისხმობს შესრულების ეკვივალენტურობას, თუმცა ეს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ შესრულების ღირებულებათა იდენტურობად.³ სახელშეკრულებო სამართლიანობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებასა და ანაზღაურებას შორის არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა, ხელშეკრულების მხარემ არ უნდა გამოიყენოს საბაზრო ძალაუფლება და მეორე მხარის მძიმე მდგომარეობა თუ გამოუცდელობა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსხვავებული ინტერესებიც.
- 5 ვალდებულების შესრულება გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას. თუმცა მითითებული წესი პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად ნაწარმოები შესრულების ვალდებულებაზეც ვრცელდება. ამდენად, ვალდებულების შესრულების არასამართლიანი პირობა მოიცავს როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულების პირობების (ადგილი, დრო, ხარისხი და ა.შ.), ისე მეორეული მოთხოვნების (დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურება) შესრულების პირობების სამართლიანად დადგენასაც.
- 6 **ძირითადი ვალდებულების შესრულების არასამართლიანი პირობა** – მაგალითი: ა ცნობილი ინტერნეტგვერდის საშუალებით აუქციონის წესით იძენს გარკვეულ საქონელს, რომლის ტრანსპორტირება უნდა მოახდინოს გადამზიდავმა კომპანიამ, თუმცა ელექტრონულად შეკვეთის მიცემისას ა-სთვის ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ტრანსპორტირების საფასური განისაზღვრება ნაყიდი ნივთის წონის მიხედვით. ადგილზე ტრანსპორტირების შემდეგ გადამზიდავი ითხოვს ა-სგან შეუსაბამოდ მაღალ/არასამართლიან საფასურს გადაზიდვის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით. იგივე შეიძლება ითქვას გადაზიდვის ვადაზეც, როცა გადამზიდავი არასამართლიანად აჭიანურებს ტრანსპორტირების ვადას გადაზიდვის საშუალებაზე აპელირებით.

2 ვაშაქიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 56.

3 ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 295.

ნაწარმოები ვალდებულების შესრულების არასამართლიანი პირობა – მაგალითი: ა-მ ავტომობილი დააზღვია სადაზღვევო კომპანიაში. სხვა ავტომობილის ზემოქმედების შედეგად დაზიანდა ა-ს ავტომობილი, რის გამოც ეს უკანასკნელი, ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო კომპანიისაგან ითხოვს დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ავტომანქანის აღსადგენად საჭირო ახალი ავტონაწილების ღირებულის მიხედვით განსაზღვრულ ფულად თანხას. სადაზღვევო კომპანია თანახმაა, ანაზღაუროს ზიანი მეორეული ნაწილების ღირებულების მიხედვით, თუმცა ამ შემთხვევაში ბაზარზე არ არსებობს მითითებული საქონელი და, ამდენად, შემოთავაზებული შესრულებით ა-ს უფლების აღდგენა არ მოხდება. შესაბამისად, შესრულების ეს პირობა არასამართლიანად შეფასდება, ვინაიდან ეწინააღმდეგება როგორც სამართლიანობის, ისე კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს.⁴

7

შესაძლებელია, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფასი ან შესრულების სხვა პირობა დადგინდეს მესამე პირის მიერ, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა, იმყოფებოდეს ერთ-ერთ მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მაგალითად, მხარეებმა დადეს ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მენარდის შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა შეეფასებინა შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ექსპერტს. მიუხედავად ამ დათქმისა, მესამე პირი უნდა იყოს მიუკერძოებელი, რომელიც ობიექტურად, კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობაზე დაყრდნობით განსაზღვრავს ფასსა თუ შესრულების სხვა პირობას. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ მესამე პირის მიერ შესრულების პირობის განსაზღვრის სტანდარტზეც.

8

III. ურთიერთკავშირი სხვა ნორმებთან

325-ე მუხლი სისტემურად სახელშეკრულებო სამართლის თავშია მოცემული. შინაარსიდან გამომდინარე, მას არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე ვერ გამოვიყენებთ, რადგან არასახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსს მხარეები თავად არ განსაზღვრავენ – ეს კანონიდან გამომდინარეობს.

9

მაგალითად, ა-სა და შპს „მანგანუმს“ შორის დაიდო გამოგონების – პატენტის გამოყენების თაობაზე ხელშეკრულება, რომლითაც შპს „მანგანუმმა“ იკისრა ვალდებულება, ესარგებლა ა-ს კუთვნილი პატენტით და ყოველი ტონა რეალიზებული (და არა წარმოებული) სპეცპროდუქტის სანაცვლოდ გადაეხადა შესაბამისი საფასური. შპს „მანგანუმმა“ წილი გაასხვისა, ხოლო შემდგომ შპს „ნავთობმა“, რომელიც არ იყო შპს „მანგანუმის“ უფლებამონაცვლე, პატენტის გამოყენება დაიწყო უნებართვოდ. ა-მ მოსთხოვა შპს „ნავთობს“ მისი თანხმობის გარეშე პატენტის სარგებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურება, ხოლო ზიანის ოდენობა განსაზღვრა ყოველი ტონა წარმოებული (და არა რეალიზებული) სპეცპროდუქტის შესაბამისად.

10

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 დეკემბრის № ას-698-668-2014 განჩინება.

- 11 შპს „ნავთობი“ უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ვინაიდან ა-ს სამართლებრივი სიკეთით – პატენტით მისი თანხმობის გარეშე ისარგებლა და, სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის მიხედვით, მოვალეა, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს მისი ქონების ხელყოფით მოპოვებული. უზენაესმა სასამართლომ ეს შემთხვევა 325-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა და მიიჩნია, რომ სამართლიანი იქნება, შპს „ნავთობის“ ვალდებულება ა-ს მიმართ განისაზღვროს ყოველი რეალიზებული (და არა წარმოებული) ტონა სპეცპროდუქტიდან შესაბამისი თანხის გადახდით, ანალოგიურად, როგორც ეს შპს „მანგანუმთან“ დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.⁵ მიუხედავად ამისა, ეს შემთხვევა საკმაოდ საეჭვო ღირებულები-საა ამ კონტექსტში. ის, რომ მხარემ მოითხოვა უფრო მეტი, ვიდრე მას ხელყოფის კონდიქციით ან პატენტზე უფლების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების სახით ეკუთვნოდა, არ შეიძლება, ჩაითვალოს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრად მისი მხრიდან. ამ ღირებულებისა თუ ზიანის ანაზღაურების შინაარსი გამომდინარეობს შესაბამისი ნორმებიდან და არ განისაზღვრება მხარეთა მიერ.

IV. სამართლებრივი შედეგი

- 12 **325 II მუხლით, თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.**
- 13 მას შემდეგ, რაც მხარე სადავოდ გახდის შესრულების პირობის სამართლიანობას, სასამართლოს შესაბამისი განმარტების საფუძველზე, ამგვარი პირობა აღარ ჩაითვლება მბოჭავად, არამედ მოხდება სამართლიანი პირობის განსაზღვრა – პირობის მოდიფიცირება, კორექტირება თუ სრულიად ახალი წესის დადგენა.
- 14 მაგალითი: მხარეთა შორის დაიდო ავტომობილის დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი, თუ დაზღვეული ავტომანქანის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეულის ავტომობილი, ხოლო დაზღვეულმა მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. დამზღვევმა მოითხოვა დამდგარი ზიანის ანაზღაურება, რაზეც სადაზღვევო კომპანიამ უარი თქვა იმ საფუძველზე, რომ, ხელშეკრულების შესაბამისად, დამზღვევს უნდა წარმოედგინა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სადაზღვევო შემთხვევის დროს მისი სიფხიზლის ფაქტს, რაც არ მომხდარა. სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია მტკიცების ტვირთის დამზღვევზე გადაკისრება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოქმნილი ვითარების გათვალისწინებით; მტკიცებულების წარდგენის ვალდებულების შესახებ სახელშეკრულებო პირობა არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვით სახელშეკრულებო სამართლიანობაზე დაყრდნობით, ვინაიდან ამ შემ-

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის № ას-1340-1358-2011 განჩინება.

თხვევაში არ იყო გამონაკლისი დაწესებული დამზღვევის მიმართ მტკიცების ტვირთის შემსუბუქებასთან მიმართებით, ანუ დამზღვევს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარმოედგინა იმ გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იგი ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამგვარი ვალდებულების განსაზღვრა დამზღვევისათვის უპირობოდ, ყოველგვარ შემთხვევაში, სცდებოდა გონივრული განსჯისა და კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს, რადგან შესაძლოა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას პირი იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელია ამგვარი მტკიცებულების შექმნა. ამდენად, ხელშეკრულებაში არსებული მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ ჩანაწერი სწორედ სამართლიანობის საფუძველზე უნდა განიმარტოს, რაც გამოიწვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებასა და სადაზღვევო კომპანიისათვის მის გადაკისრებას.⁶

მაშასადამე, მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო, 15
სამართლიანობაზე დაყრდნობის მასშტაბის მიხედვით, აცხადებს უსამართლო პირობას ბათილად ან შესაბამისი განმარტებით ახდენს შედეგის შერბილებასა და/ან კორექტირებას, ამასთან, ხშირად აყალიბებს ქცევის ახალ წესებსა და სტანდარტს.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 ივლისის № ას-592-563-2013 განჩინება.

მუხლი 326. სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესახებ წესების გამოყენება არასახელმწიფოებო ვალდებულებათა მიმართ

წესები სახელმწიფოებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელმწიფოებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

- I. სახელმწიფოებო წესების კანონისმიერ ვალდებულებებზე გავრცელება86
- II. სახელმწიფოებო წესების კანონისმიერ ვალდებულებებზე გავრცელების დაუშვებლობა.....87

I. სახელმწიფოებო წესების კანონისმიერ ვალდებულებებზე გავრცელება

- 1 ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული, არამედ ყველა იმ ხელმწიფოებოების მიმართ, რომლებიც კერძო ავტონომიისა და პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება.¹ ამასთან, ზოგადი ნაწილის პრაქტიკული მნიშვნელობა იმით ვლინდება, რომ იგი შეიცავს ისეთ დებულებებსაც, რომელთა გავრცელება შესაძლებელია არასახელმწიფოებო ვალდებულებებზეც: საზიარო უფლებებზე, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებაზე, უსაფუძვლო გამდიდრებასა და დელიქტურ ვალდებულებებზეც, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ასეთ წესებს კი შეიძლება მივაკუთვნოთ ზიანის ანაზღაურების, ვალდებულების შესრულების, სოლიდარული ვალდებულებების მომწესრიგებელი და სხვა ნორმები.
- 2 მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, 408-ე-415-ე მუხლები თანაბრად მოქმედებს როგორც დელიქტურ, ისე სახელმწიფოებო ზიანის ანაზღაურებაზე.
- 3 **მაგალითად**, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი ადგენს ზიანის ნატურით ანაზღაურების წესს, კერძოდ: „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ეს წესი ეხება არა მხოლოდ ხელმწიფოებოების დარღვევით დამდგარი ზიანის ანაზღაურების წესს, არამედ ვრცელდება დელიქტიდან წარმოშობილ ვალდებულებებზეც.
- 4 სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მითითებული ნორმა სისტემურად, მართალია, მოთავსებულია ორმხრივი ხელმწიფოებოებიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურების თავში, თუმცა, ცხადია,

¹ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 47.

მისი გამოყენება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეულია დელიქტითაც. **მაგალითად**, თუ ა-მ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად ბ-ს დაუზიანა ავტომანქანა და ჯანმრთელობა, ამ უკანასკნელს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 999 და 413 II მუხლების შესაბამისად, ექნება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შერეული ბრალის შემთხვევაზეც – „თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული“.

შესაძლებელია, ურთიერთმოთხოვნათა გაქვეითვის ნორმები გავრცელდეს არასახელმეკრულებო ვალდებულების შეწყვეტაზეც. 5

მაგალითი: ა ვალდებულია, ბ-ს დაუბრუნოს ამ უკანასკნელის მიერ მისთვის შეცდომით ჩარიცხული ფულადი თანხა, თუმცა ბ, იმავდროულად, მოვალეა, აუნაზღაუროს ა-ს შენობიდან ნივთის გადმოგდებით მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში ბ-ს უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი (კონდიქციური) მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 442-ე I მუხლით გაიქვეითება ა-ს დელიქტურ მოთხოვნაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ა-ს სხეული ან ჯანმრთელობა დაუზიანდა, რა დროსაც გაქვეითვა დაუშვებელია 447 გ მუხლის მიხედვით). 6

ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დანაწესები, რომლებიც, ზოგადად, ვალდებულებებს ეხება, თანაბრად მოქმედებს როგორც სახელმეკრულებო, ისე არასახელმეკრულებო ვალდებულებებზე და ყოველგვარი მითითება 326-ე მუხლზე ზედმეტია. ამ მსჯელობით, ყველა ზემოხსენებულ მაგალითში მოყვანილი დანაწესები კანონისმიერ ვალდებულებებზე ვრცელდება ავტომატურად და არა 326-ე მუხლის ძალით, ხოლო 326-ე მუხლი ეხება მხოლოდ ხელმეკრულებისათვის მოქმედი წესების გავრცელებას არასახელმეკრულებო ურთიერთობებზეც. 7

II. სახელმეკრულებო წესების კანონისმიერ ვალდებულებებზე გავრცელების დაუშვებლობა

სახელმეკრულებო ნორმები ვერ იქნება გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ თავისი არსით ეს ნორმები მხოლოდ ხელმეკრულებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ხელმეკრულების თავისუფლების პრინციპიდან მოყოლებული – ხელმეკრულების დადებას, გარიგების ფორმას, აგრეთვე მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ გარიგებებს. მაგალითად, 329-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოფერტი (წინადადება ხელმეკრულების დადებაზე) მხოლოდ სახელმეკრულებო ურთიერთობას ახასიათებს და, ცხადია, ვერ იქნება გამოყენებული არასახელმეკრულებო ურთიერთო- 8

ბებზეც. ასევე, ვერ გამოვიყენებთ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებსაც კანონისმიერ ვალდებულებებზე, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ან უსაფუძვლო გამდიდრების უკან დაბრუნების მოთხოვნისას კრედიტორი ვერ მოითხოვს პირგასამტეხლოს, ვინაიდან სკ-ის 417-ე მუხლით პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ის ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ ვალდებულების დარღვევისას უნდა გადაიხადოს. ანალოგიურად, ბე და მოვალის გარანტიაც მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოიყენება; ასევე, 370-ე მუხლით განსაზღვრული სამომხმარებლო კრედიტი სპეციალური ნორმაა და, თავისი შემადგენლობიდან გამომდინარე, არათუ კანონისმიერ, არამედ სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებზეც ვერ გავრცელდება.

- 9 არასახელშეკრულებო ვალდებულებაზე სახელშეკრულებო წესის გავრცელება უნდა მოხდეს არა სისტემურად შესაბამის თავზე მსჯელობით, არამედ კონკრეტული ნორმის შინაარსის გათვალისწინებით. მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა ან სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი სხვა მეორეული მოთხოვნები (ნაკლის გამოსწორება), ცხადია, დელიქტზე ვერ გავრცელდება.

თავი მეორე ხელშეკრულების დადება

წინამდებარე თავის (327-341) დებულებები ადგენენ ხელშეკრულების დადების ზოგად წესებს, რასაც არა აქვს ამომწურავი ხასიათი. ეს გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების დადების სამართლებრივი რეგულამენტაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლებით. მის მიმართ ასევე მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები გარიგებების შესახებ (50-ე და მომდევნო მუხლები, რომლებიც აწესრიგებენ ნების გამოვლენის ნამდვილობას, განმარტებას, გარიგების ფორმას და ა.შ.) და სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავებში გაბნეული ნორმები (მაგ.: 506 – განვადებით ნასყიდობის ფორმა; 525 – ჩუქების დადება, საჩუქრის დაპირება; 611 – ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ფორმა; 628 – სესხის დაპირება და სხვ.), რომლებიც დამატებით მოთხოვნებს აწესებენ კონკრეტული ხელშეკრულების ფორმასა თუ მისი დადების თავისებურებებთან დაკავშირებით. ცალკეული ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ სპეციალური ნორმების დადგენა შესაძლოა, განპირობებული იყოს მოსაწესრიგებელი ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების სპეციფიკითა და თავისებურებებით. ასეთ დროს უფრო გონივრული და სამართლიანი ხდება ურთიერთობის მოწესრიგება ზოგადი წესებისგან განსხვავებული, ურთიერთობისადმი უფრო მისადაგებული ნორმებით. ამდენად, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით დადგენილია ზოგადისაგან განსხვავებული წესი, გამოიყენება ეს უკანასკნელი.

ხელშეკრულების დადების თავი მოიცავს 15 მუხლს. 327-ე-328-ე მუხლები ეხება ხელშეკრულების დადების მომენტს, არსებითი პირობის არსს, მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, ხელშეკრულების ფორმას; 329-ე-335-ე მუხლები აწესრიგებს ხელშეკრულების დადებისკენ მიმართულ მხარეთა ნების გამოვლენასთან (ოფერტი და აქცეპტი) დაკავშირებულ საკითხებს; 336-ე-340-ე მუხლები ეხება ხელშეკრულების განმარტებას, მათ შორის სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მნიშვნელობას განმარტებისას; და ბოლო 341-ე მუხლი აწესრიგებს ვალდებულების წარმოშობის სპეციფიკურ სახელშეკრულებო საფუძველს – ვალის არსებობის აღიარებას.

მუხლი 327. შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე

1. ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

2. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

3. ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც.

- I. ხელშეკრულების დადების არსი და მნიშვნელობა90
- II. ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები91
 - 1. არსებითი პირობა..... 91
 - 2. ფორმის დაცვა93
- III. წინასახელშეკრულებო შეთანხმებები93
 - 1. ზოგადი მიმოხილვა.....93
 - 2. წინარე ხელშეკრულება.....94
 - 3. სხვა წინასახელშეკრულებო შეთანხმებები97

I. ხელშეკრულების დადების არსი და მნიშვნელობა

1 ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმების შედეგია.¹ შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თანხმდებრივ ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი მიზნის მიღწევისკენ.² ხელშეკრულების დახასიათებისას მნიშვნელოვანია ის, რომ სამართლებრივი შედეგი,

1 ტერმინ „ხელშეკრულება“ თანამედროვე ევროპულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ ტექსტებში იყენებენ მინიმუმ სამი კონტექსტით: პირველი გამოხატავს მხარეთა შეთანხმებას, რომლის მიზანია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა (შეცვლა ან შეწყვეტა); მეორე მიუთითებს სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებიდან, როგორც შეთანხმებიდან; და მესამე, თვით დოკუმენტზე, სადაც ხელშეკრულების პირობებია განვლილი. ამ სამართლებრივი ტექსტების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ ხელშეკრულების არსის წარმოჩენისას შეთანხმების იდეას უკავია მთავარი ადგილი. *Bar/Clive (ed.)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009, p. 125.

2 ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებაა სწორედ სამართლებრივი შედეგის დადგომის მიზნით. ამით განსხვავდება ის წმინდა საზოგადოებრივი (სოციალური) ხასიათის ან სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილი შეთანხმებებისგან. შესაძლოა, თვით მხარეებმა გახადონ ნათელი, ისინი მოქმედებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თუ უბრალო შეთანხმებიდან, რომელსაც არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგი. *Bar/Clive (ed.)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009, p. 264-265. ხელშეკრულება არ ჩაითვლება ე.წ. ჯენტლმენური ან მეგობრული შეთანხმებები, რადგან მხარეებს არ სურთ მათთვის სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის მინიჭება. ასეთი შეთანხმებებით განსაზღვრულ მოქმედებებს ისინი ასრულებენ ურთიერთპატივისცემიდან, მეგობრობიდან, კოლეგიალობიდან და ა.შ. გამომდინარე. ასეთ დროს არ არსებობს სახელშეკრულებო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ნებისმიერ შემთხვევაში შეთანხმების განმარტების გზით უნდა დადგინდეს, რა არის სახეზე: ჯენტლმენური ან მეგობრული შეთანხმება თუ ხელშეკრულება. იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 327, გვ. 87-88.

რომლის მიღწევასაც მხარეები ცდილობენ, შესაძლოა, მხოლოდ კონსენსუსის შედეგად დადგეს. სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოიაზრებდეს როგორც ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას მხარეებს შორის, ისე არსებული უფლება-მოვალეობების შეცვლას ან შეწყვეტას.

ხელშეკრულების დადება, როგორც წესი, ხორციელდება ორი თანმხვედრი ნების გამოვლენის – ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით. სწორედ ოფერტის აქცეპტირება ანუ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების გაკეთება და მეორე მხარის მიერ მისი მიღება არის ხელშეკრულების დადების ჩვეულებრივი მოდელი. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მხარეები სხვაგვარად გამოხატავენ თანხმობას და, გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ხელშეკრულების დადების პროცესის ოფერტ-აქცეპტამდე დაყვანა.³ ამდენად, მხარეთა ნების გამოვლენათა კონსენსუსი შესაძლოა, მიღწეულ იქნეს როგორც ოფერტისა და აქცეპტის, ისე სხვაგვარი მოქმედების მეშვეობითაც.⁴

სახელშეკრულებო სამართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშობათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით.

II. ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები

327 I მუხლის თანახმად, „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“

მუხლის ეს ნაწილი ადგენს ხელშეკრულების ნამდვილობის მხოლოდ ორ პირობას – მხარეთა შეთანხმებას არსებით პირობებზე და მოთხოვნილი ფორმის დაცვას.⁵ პრაქტიკაში სწორედ ამ ორი, ორმხრივი გარიგების იურიდიული თავისებურების გამომხატველი პირობის ნაკლს მიჰყავს ხელშეკრულება ბათილობასთან.

იმისათვის, რომ ხელშეკრულების ესა თუ ის პირობა შეთანხმებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, მასზე შედგეს კონსენსუსი, თუმცა თავად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისია, თუ მხარეები მის არსებით პირობებზე შეთანხმდებიან (327 I).

1. არსებითი პირობა

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რას მოიაზრებს არსებითი პირობა. 327 II მუხლის თანახმად, არსებითად მიჩნეულია პირობები „რომ-

3 მაგ. ოფერტი და აქცეპტის გამოყენება შეუძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახორციელებენ მოლაპარაკებებს, გამუდმებით სთავაზობენ ერთმანეთს „წინადადებებს“ და „კონტრწინადადებებს“ და, საბოლოოდ, აღწევენ შეთანხმებას ან, როდესაც, ნოტარიუსის მიერ შედგენილ ხელშეკრულებას აწერენ ხელს. იხ., *Цвайгерт/Кетц, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 1998, С. 51.*

4 იხ. *ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 327, გვ. 86.*

5 რადგან ნებისმიერი ხელშეკრულება არის გარიგება, მის დასადებად ასევე აუცილებელია ყველა იმ სამართლებრივი წინაპირობის არსებობაც, რომლებიც უზრუნველყოფენ გარიგების ნამდვილობას (მხარეთა ქმედუნარიანობა, გარიგების კანონთან შესაბამისობა და სხვ.).

ლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“.

- 8 კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა.⁶ თუმცა თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომელსაც ქმნიან ის პირობები (მაგ., ნასყიდობისას: მხარეები, საგანი, ფასი), რომლებზე შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება (ე.წ. *essentialia negotii*). მხარეებს შეუძლიათ, კონკრეტული გარიგების კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“ შეავსონ დამატებითი პირობებით, ზოგადად არაარსებითი პირობებისთვის (*accidentalia negotii*) 327 II მუხლის გაგებით არსებითი ხასიათის მინიჭებით. აუცილებელია, რომ ამ პირობებთან დაკავშირებით მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, სხვაგვარად ხელშეკრულება არ დაიდება.
- 9 ჩვეულებრივ, არსებითად მოიაზრება პირობები, რომლებიც გამოხატავენ შესაბამისი ხელშეკრულების ბუნებას. ტრადიციულად, როგორც დოქტრინის, ისე პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბდა საკითხთა წრე, რომელზეც მხარეთა შეთანხმება აუცილებლადაა მიჩნეული, – საგანი, ფასი და ხელშეკრულების ვადა, – თუმცა ესენი ვერ იქნება გამოყენებული ყველა ტიპის ხელშეკრულების მიმართ. მაგ., ფასი ყველა ხელშეკრულებისთვის ვერ იქნება არსებითი პირობა, რადგან არსებობს ე.წ. უსასყიდლო ხელშეკრულებებიც.
- 10 იმავდროულად, სასყიდლიან ხელშეკრულებებში შესაძლებელია, ფასი პირდაპირ არ იყოს მითითებული და ეს არ გახდეს ხელშეკრულების დადების ხელშემშლელი გარემოება, თუ გათვალისწინებულია მისი განსაზღვრის წესი.⁷ ასეთ დროს საკმარისია, ხელშეკრულება შეიცავდეს ფასის განსაზღვრის მეთოდს, რაც შეიძლება, გამოიხატოს მაგ., განსაზღვრულ დროს არსებულ საბაზრო ფასებზე მითითებით, კონკრეტული ექსპერტის მიერ ფასის განსაზღვრის მინდობით და სხვ.⁸
- 11 ზემოთ აღნიშნული პირობებიდან **ხელშეკრულების საგანი**, როგორც ჩანს, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და მასზე, პირველ ყოვლისა, უნდა განხორციელდეს შეთანხმება. ხელშეკრულებები, უპირველეს ყოვლისა, საგნის მიხედვით განირჩევიან, და სწორედ საგანია ხელშეკრულებათა გამიჯვნის ყველაზე საიმედო საშუალება.
- 12 გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარემ შესაძლოა, ისეთ პირობაზე მიუთითოს, როგორც მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეზე, რომელიც საერთოდ სცდება ამ პირობათა წუსხას. ანუ პირობა,

6 იშვიათ შემთხვევაში ის შესაძლოა, მითითებული იყოს კანონში კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში. მაგ., მითითება წერილობით ხელშეკრულებაში აუცილებლად გასათვალისწინებელ პირობებზე. თუმცა შესაძლებელია, ზოგიერთი ხელშეკრულება ასეთი პირობების საკმაო ჩამონათვალს მოიცავდეს. ასეთ შემთხვევაში, მათი შინაარსიდან და აზრიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, ისინი არსებითად თანაბარმნიშვნელოვანია თუ არა. ამოსავალი ნერტილი ასეთი კვალიფიკაციისას არის ის, თუ რამდენად დააყენებდა ეჭვქვეშ ხელშეკრულების ნამდვილობას მათი გაუთვალისწინებლობა.

7 იხ. 1980 წლის გაეროს კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“, მ. 14 (1); საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 477 (3).

8 *Schlechtriem, Uniform Sales Law – The Experience with Uniform Sales Laws in the Federal Republic of Germany, Juridisk Tidskrift, 1991/92, pp. 1-28.*

რომელიც ჩვეულებრივ არაა მიჩნეული არსებითად, შესაძლოა, გახდეს ასეთი, თუ მხარის მოთხოვნით მასზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს შეთანხმება. შესაბამისად, ის ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარ დასახელებული იყო როგორც არსებითი. ჩვეულებრივ, ასეთი პირობა დამოკიდებულია ხელშეკრულების სახეზე, ერთ-ერთი მხარის განზრახვაზე. ამ ჯგუფის პირობები, პირველ რიგში, მოიცავს უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს (გირაო, თავდებობა, დაზღვევა), ასევე ორმხრივი ვალდებულებების შესრულების თავისებურებებს. როგორც წესი, მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისი ხელშეკრულების არსით და მისადმი დამახასიათებელი თავისებურებებით. თუმცა, როგორც აღინიშნა, მხარემ შესაძლოა, ისეთ პირობაზე მოითხოვოს შეთანხმება, რომელიც სცდება კონკრეტული ხელშეკრულებისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი პირობების ნუსხას და ამით ეს პირობა არსებითი მნიშვნელობისა გახადოს ხელშეკრულების დასადებად.

2. ფორმის დაცვა

იმისათვის, რომ ხელშეკრულების არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებამ ხელშეკრულების დადება გამოიწვიოს, შეთანხმება უნდა მოხდეს „სამისოდ გათვალისწინებული ფორმით“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა ხელშეკრულება დადებულიად. ფორმა შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს კანონით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებათა უმრავლესობაში ფორმა თვით მხარეების მიერ განისაზღვრება (დანვრილებით იხ. 328-ე მუხლის კომენტ.). გარიგების ფორმის დანესებას შესაძლოა, სხვადასხვა მიზანი და ფუნქცია ჰქონდეს, მაგ.: გაფრთხილების (რაც გარიგების დადებისას მხარეთა ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან დაცვას გულისხმობს); სიცხადისა და მტკიცების (რაც შესაძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ რა სახით და შინაარსით დაიდო გარიგება); იდენტიფიცირებისა და ნამდვილობის (შესაძლებელს ხდის ნების გამოვლენის იდენტიფიცირებას, ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენას); ინფორმირებისა და რჩევის (უზრუნველყოფს მხარისადმი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას მის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით (მაგ., სამომხმარებლო ხელშეკრულებებში); ასევე, სანოტარო ფორმისას (ნოტარიუსის მიერ მხარეთათვის სამართლებრივი რჩევის მიწოდებას ხელშეკრულებასა და მის შედეგებთან მიმართებით). (ფორმის ფუნქციებთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. 68-ე მუხლის კომენტ.).

13

III. წინასახელშეკრულებო შეთანხმებები

1. ზოგადი მიმოხილვა

პრაქტიკაში ხელშეკრულების დადებას სშირად წინ უძღვის ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესი, რაც მოიცავს მხარეთა მიერ სახელშეკრულებო პირობათა შეთანხმების რთულ პროცედურას. ამ სტადიაზე მხარეები სშირად აფორმებენ წინასახელშეკრულებო შეთანხმებებს, რომლებითაც აფიქსირებენ მიღწეულ შეთანხმებებს, განსაზღვრავენ ხელშეკრულების

14

ტექსტის შუალედურ ვერსიებს და ა.შ. არ იმყოფებიან რა საბოლოო ხელშეკრულების ფორმატში, მხარეები თავიდან იცილებენ გარკვეულ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება მათ შორის ურთიერთობის ჯერ კიდევ არამკაფიოდ განსაზღვრულ რეჟიმს.

- 15 „ნინასახელშეკრულებო შეთანხმებაში“ მოიაზრება ყველა ის შეთანხმება, რომლებსაც მხარეები დებენ სახელშეკრულებო მოლაპარაკების სტადიაზე, საბოლოო ხელშეკრულების დადებამდე, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი იურიდიული ძალა. ეს შეთანხმებები პრაქტიკაში სხვადასხვა სახელწოდებით ფორმდება: ნინარე ხელშეკრულება, ურთიერთგაგების მემორანდუმი, განზრახულობათა ოქმი, ოფცია, ჩარჩო შეთანხმება და სხვ. ამ კატეგორიის შეთანხმებებიდან ნაწილი რეგულირდება ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, თუმცა მთლიანობაში ისინი არასრულად ან საერთოდ არ არის მონესრიგებული ქვეყანათა უმეტესობაში.
- 16 როგორც აღინიშნა, ეს შეთანხმებები განსხვავდებიან იურიდიული ბუნებით, იმავდროულად, შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე შეთანხმებას განსხვავებული იურიდიული ძალა ჰქონდეს. მხარეთა მიერ თვით დოკუმენტის დასახელებას არა აქვს მნიშვნელობა. მათ მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტის არსი შესაძლოა, დადგინდეს მხოლოდ მისი შინაარსით და განმარტებით. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს საქმისა და მხარეთა ურთიერთობის ყველა ფაქტორი, საიდანაც არც ერთს არ აქვს ნინასწარ დადგენილი გადამწყვეტი მნიშვნელობა.⁹

2. ნინარე ხელშეკრულება

- 17 327 III მუხლი ითვალისწინებს ე.წ. ნინარე ხელშეკრულების ინსტიტუტს – „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება“.
- 18 ნინარე ხელშეკრულება არის ვალდებულებითსამართლებრივი გარჩევა, რომლითაც მხარეები კისრულობენ სხვა ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ანუ მხარეები სამართლებრივად იბოჭავენ თავს მომავალში ე.წ. ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებით. ძირითად სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის ასეთი გადადების მიზეზი შესაძლოა, იყოს როგორც ტექნიკური (მაგ.: ფასების ცვალებადობა, მინოდების ადგილის განუსაზღვრელობა), ასევე სამართლებრივი ხასიათის (მაგ., საქმიანობისთვის აუცილებელი ლიცენზიის არქონა იმ მომენტისათვის) გარემოებები, იმის დაშვებით, რომ ეს ღია საკითხები ან განსაზღვრული ან განსაზღვრადია, საჭიროების შემთხვევაში, კეთილსინდისიერების და სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით ხელშეკრულების განმარტების გზით¹⁰
- 19 პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნინარე ხელშეკრულების გამიჯვნას სხვა სახელშეკრულებო კონსტრუქციებისგან:

9 Farnsworth, Allan Farnsworth, Precontractual Liability and Preliminary Agreements, Columbia Law Review, Vol. 87, No. 2, 1987, pp. 259-60.

10 Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution, 1997, p. 60.

20 თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს შესრულების გადადებას გარკვეული ვადით, ან უკავშირებს შესრულების განხორციელებას მომავალში რაიმე უცნობი მოვლენის დადგომას (პირობითი გარიგება), ასეთ დროს სახეზეა შესრულების გადადება სამომავლოდ და არა ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.

21 წინარე ხელშეკრულებისგან უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ოფციის ინსტიტუტი (509-515). ოფცია მხარეთა ისეთი შეთანხმებაა, რომლის ძალითაც ერთ მხარეს ეძლევა საშუალება, მომავალში ცალმხრივი ნების გამოვლენით დადოს ხელშეკრულება. ორივე მათგანი მბოჭავი ხელშეკრულებაა, თუმცა წინარე ხელშეკრულების დროს ორივე მხარისთვის სავალდებულო ძალა აქვს მომავალში ხელშეკრულების დადებას, ოფციის დროს კი ასეთი ვალდებულება მხოლოდ ერთ მხარეს წარმოეშობა, თუ მეორე მხარე გამოიყენებს თავის უფლებას, ანუ ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის ნებაზე.

22 წინარე შეთანხმება ხელს უწყობს რა სახელშეკრულებო ურთიერთობის გამყარებას, იმყოფება განსაზღვრული მიმართებით ე.წ. **ძირითად ხელშეკრულებასთან**, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია კონკრეტული ეკონომიკური შედეგის მიღწევისკენ¹¹ მაშინ, როდესაც წინარე ხელშეკრულებით, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ხელშეკრულებას, მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მომავალში დადებენ გარიგებას წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. წინარე ხელშეკრულებაში მხარეებმა ნათლად უნდა განსაზღვრონ, თუ რა არსებითი პირობებით აპირებენ ისინი მომავალში ძირითადი ხელშეკრულების დადებას.¹²

23 იმავდროულად, წინარე ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირობას საგნისა და ვადის თაობაზე, რომელშიც მხარეები კისრულობენ ძირითადი ხელშეკრულების დადებას. წინარე ხელშეკრულების საგანი სხვა უნდა იყოს და ძირითადისა – სხვა.¹³ წინარე ხელშეკრულების საგანი არის მხარის ვალდებულება, დადოს ხელშეკრულება, ანუ იკისროს მომავალში რაიმე ვალდებულება, მაშინ, როცა ძირითადი ხელშეკრულებით ეს ვალდებულება უშუალოდ წარმოიშობა. თუმცა მხარეები ყველა არსებით პირობაზე თუ შეთანხმდნენ, ხელშეკრულების „წინარედ“ მოხსენიების მიუხედავად, განმარტების მეშვეობით, ის მაინც მთავარ ხელშეკრულებად ითვლება.¹⁴

წინარე ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა და მის მიმართ ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც ხელშეკრულებების მიმართ.

24 წინარე ხელშეკრულება უნდა დაიდოს იმ ფორმით, რაც ძირითადი ხელშეკრულებისთვის კანონითაა გათვალისწინებული. მაგალითად, თუ ძირითადი ხელშეკრულებისთვის კანონი წერილობით ფორმას ითვალისწინებს, მხარეებმა წინარე ხელშეკრულებაც წერილობით უნდა გაა-

11 როგორც წესი, ამ კონსტრუქციაში ძირითადი ხელშეკრულებებია ხელშეკრულებები საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების განევის შესახებ, სადაც დგება კონკრეტული ეკონომიკური შედეგი.

12 იხ. სვანაძე, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 112, მით. BGHZ 102, 384, 388.

13 იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 327. გვ. 96.

14 BGH NJW 1962, 1812, 1813.

ფორმონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიჩნეულ იქნება ფორმის დაცვის გარეშე დადებულად და, შესაბამისად, სახეზე არ იქნება სახელშეკრულებო კონტრაქტების სამართლებრივი საფუძველი. მაგრამ, თუ ძირითადი ხელშეკრულებისთვის წერილობითი ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა, რისი მიზანიც ჩვეულებრივ მტკიცების გაადვილებაა, მაშინ წინარე ხელშეკრულებისთვის ამ ფორმის დაცვა აუცილებელი არაა.¹⁵

- 25 წინარე ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით მსჯელობისას აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს, რას მოიაზრებს ხელშეკრულების ფორმის ელემენტები. როდესაც საქმე ეხება ხელშეკრულებებს, რომლებითაც ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა ან გასხვისება, კანონი ითვალისწინებს მარტივ წერილობით ფორმას (323). შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არ გულისხმობს გარიგების ფორმის ელემენტს. ასეთი ხელშეკრულება ნამდვილია წერილობით მისი გაფორმების მომენტიდან და მხარეები იბოჭებიან იმ ვალდებულებებით, რაც განსაზღვრეს ხელშეკრულებაში. ამდენად, წინარე ხელშეკრულებისთვისაც საკმარისია მარტივი წერილობითი ფორმის დაცვა. ეს ასევე გამოხატულია სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც მითითებულია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს უძრავ ნივთზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას.¹⁶
- 26 ასეთი ფორმალური მოთხოვნების დანიშნულება როგორც მტკიცების გაადვილება, ისე მხარეთა მიერ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან დაცვაა.
- 27 იმ შემთხვევაში, თუ წინარე ხელშეკრულება ნამდვილია (ის მოიცავს ძირითადი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და ფორმაც დაცულია), თუმცა მხარე არ ასრულებს მისგან გამომდინარე ვალდებულებას და თავს არიდებს ძირითადი ხელშეკრულების დადებას, გამოიყენება ნორმები სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შესახებ. კერძოდ, ასეთ დროს, მხარეს შეუძლია, მოსთხოვოს მეორე მხარეს შესრულება (ანუ ხელშეკრულების დადება), ან გავიდეს ხელშეკრულებიდან ან/და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ არსებობს ამისთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. მაგრამ, თუ წინარე ხელშეკრულება არ ადგენს ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებს, ამ შემთხვევაში მისი ამ ფორმით აღსრულება ვერ მოხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს რჩება სამი გზა: (1) თქვას, რომ წინარე ხელშეკრულება ბათილია, რადგან იგი არ მოიცავს ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებს, (2) თქვას, რომ მხარეები ვალდებულნი არიან, მოილაპარაკონ ძირითად პირობებზე კეთილსინდისიერად და ეცადონ, შეთანხმდნენ ძირითად ხელშეკრულებაზე; ეს მიდგომა, ძირითადად, მისაღებია, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება პრაქტიკაში რთული აღსასრულებელი იქნება და, შესაძლოა, გახდეს

15 იხ. 68-ე მუხლის კომენტარი, ველი 7.

16 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მაისის N 28/339-14 გადაწყვეტილება.

დავის სასამართლოში მიბრუნების მიზეზი (ან პირიქით – დავის იმავე სასამართლოში მორიგებით დასრულების მიზეზი); ან (3) თავად შეავსოს ძირითადი ხელშეკრულების არსებითი პირობები 325-ე მუხლზე დაყრდნობით, თუმცა პრაქტიკულ სირთულეებთან ერთად, ეს, შესაძლოა, ზედმეტი ჩარევაც აღმოჩნდეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპში.

3. სხვა წინასახელშეკრულებო შეთანხმებები

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების ეტაპზე მიღწეული შეთანხმებების დაფიქსირების საშუალებებია, ასევე, ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა: განზრახულობათა ოქმი (*letter of intent*), ურთიერთგაგების მემორანდუმი (*memorandum of understanding*), ჩარჩო შეთანხმება. ისინი მოიცავენ სხვადასხვა ინფორმაციას მომავალი ხელშეკრულების თაობაზე, მათ შორის: გარკვეული თუ გასარკვევი საკითხების აღნუსხვას, მომავლის სამოქმედო გეგმის დასახვას,¹⁷ რაც განსაკუთრებით აქტუალურია ხანგრძლივი და რთული სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას. ზოგადი წესის თანახმად, ისინი უნდა ჩაითვალოს მომავალი ხელშეკრულების დადების მომზადების სტადიად, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, რაიმე სამართლებრივ ვალდებულებებს მხარეთათვის არ წარმოშობენ, რითაც განსხვავდებიან წინარე ხელშეკრულებისგან. როგორც აღინიშნა, ამ დოკუმენტებში მხარეები აფიქსირებენ, თუ რა მოქმედებების განხორციელებას აპირებენ დასახული მიზნის მისაღწევად. რადგან კანონმდებლობა მათ პირდაპირ არ ითვალისწინებს, ამიტომ ფორმა და შინაარსი, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თვით მხარეთა მიერ განისაზღვრება. როგორც წესი, ისინი მოიცავენ მხარეთა დასახელებას, მათ მიერ დეკლარირებულ მიზნებს, იმ მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც საჭიროა მხარეთა მიერ დასახული მიზნის მისაღწევად. დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

28

როგორც აღინიშნა, ასეთ დოკუმენტებს, ზოგადი წესის თანახმად, არა აქვთ იურიდიული ძალა, ანუ კონტრაჰენტის მიერ ქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე ვერ მოითხოვს სასამართლო გზით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუმცა, შესაძლოა, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ამ დოკუმენტებს მიეცეს სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეთანხმების შინაარსი, მხარეთა მიერ სამართლებრივი ტერმინოლოგიის გამოყენება და შეთანხმების ენის სიახლოვე ფორმალურ, სახელშეკრულებო ენასთან, მხარეთა ქცევა შემდგომი მოლაპარაკებების დროს, ასევე, მათი განცხადებები დასადავებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

29

მხარეებმა ასევე შესაძლოა, პირდაპირ მიუთითონ, რომ ამ შეთანხმებას ისინი უსაფუძვლოდ არ უარყოფენ, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები იმავე სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევენ, რასაც წინარე ხელშეკრულება.

30

17 იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 327, გვ. 102. მით. *Larenz/Wolf*, AT, 23 Rn 106.

- 31 ამრიგად, დოკუმენტის დასახელებას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მისი იურიდიული ძალა დგინდება შინაარსის დადგენის გზით. მაგ., საქმეზე – *Richie Co., LLP vs Lyndon Insurance Group, Inc*¹⁸ – მხარეებმა გააფორმეს შეთანხმება მომავალში მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე, რაც არ განხორციელდა. საქმის განხილვისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი არ იყო მავალდებულებელი ძალის, რადგან მხარეებს ჰქონდათ გაკეთებული მითითება იმის თაობაზე, რომ ის არ იყო საბოლოო და ცალკე დოკუმენტი მოგვიანებით დაიდებოდა. გარდა ამისა, არ იყო განსაზღვრული მომავალი ხელშეკრულების არსებითი პირობები. სასამართლომ ის განმარტა როგორც შუალედური შედეგის მქონე დოკუმენტი. თუმცა სხვა საქმეზე სასამართლოს მიერ განზრახულობათა ოქმი სავალდებულო ძალის მქონედ იქნა აღიარებული.¹⁹
- 32 ამ დოკუმენტებში შესული დებულებების განმარტებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა ნამდვილი ნების დასადგენად, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პირობა არ აისახება საბოლოო ხელშეკრულებაში.
- 33 წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების სტადიაზე მხარეებს, როგორც წესი, უნევთ გარკვეული ხარჯების განევა, და ხელშეკრულების არდადებაშ შესაძლოა, გამოიწვიოს ქონებრივი დანაკლისი (ზიანი), რაც დაკავშირებულია მომავალი ხელშეკრულების შესრულებისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან, რომლებიც გახდა გამოუსადეგარი. მართალია, ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რადგან მხარეთა შორის წინარე ხელშეკრულება არ დადებულა, თუმცა არაკეთილსინდისიერ მხარეს, რომლის დაუსაბუთებელმა უარმა ხელშეკრულებაზე გამოიწვია მეორე მხარისთვის ქონებრივი ზიანის მიყენება, 317 III მუხლის საფუძველზე შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ, რა თქმა უნდა, სახეზეა ამ მუხლის გამოყენების წინაპირობები (*cupla in contrahendo*).

18 United States District Court, D. Minnesota. Civil No. 00-2031(DSD/SRN) (D. Minn. Dec 05, 2001), Decided December 5, 2001; United States Court of Appeals for the eighth circuit. – No 02/1071, 09.01.2003.

19 იხ. საქმე *Copeland v. Baskin Robbins U.S.A.*, No. B149851. Second Dist., Div. Seven. Mar. 19, 2002. <http://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/4th/96/1251.html> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

მუხლი 328. ხელშეკრულების ფორმა

1. თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

2. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.

- I. არსი და მნიშვნელობა99
- II. ფორმა, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის პირობა102
 - 1. კანონით განსაზღვრული ფორმა104
 - 2. მხარეთა მიერ განსაზღვრული ფორმა105
- III. ხელშეკრულების წერილობითი ფორმის უზრუნველმყოფი ინსტრუმენტები106

I. არსი და მნიშვნელობა

რადგან ხელშეკრულება გარიგებაა, მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები გარიგების ფორმის შესახებ (68-71), თუ კონკრეტული ხელშეკრულებისთვის კანონი არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ფორმას. 328-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებით წესებს, რომლებიც ხელშეკრულების, როგორც გარიგების ნაირსახეობის, თავისებურებებს ასახავენ. 1

ხელშეკრულების ფორმა მხარეთა მიერ შეთანხმებული ნების გარეგნული გამოხატვის საშუალებაა. გარიგებათა ზოგიერთი სახე მხოლოდ მაშინ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, როცა დადებულია განსაზღვრული ფორმით. თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფორმის დაცვის თაობაზე მოთხოვნა არის გამონაკლისი თავისუფალი ფორმის ზოგადი პრინციპიდან, რომელიც,¹ თავის მხრივ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოხატულებაა. 2

69-ე მუხლის თანახმად, გარიგებები იდება ზეპირად ან წერილობითი ფორმით (მარტივი ან სანოტარო). რადგან ხელშეკრულება გარიგებაა, ის შესაძლოა, დაიდოს გარიგების დასადებად გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. *ნებისმიერი ფორმა* გულისხმობს, რომ ხელშეკრულება შესაძლოა, დაიდოს ზეპირად, მარტივი წერილობით ფორმით, რთული წერილობითი ფორმით, კონკლუდენტური მოქმედებით (აქვე მოიაზრება ის გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ღუმელს ნების გამოვლენის მნიშვნელობა ენიჭება), ანუ გარიგების დადების ნება შესაძლოა, გამოიხატოს შემდეგი გზებით: ა. პირდაპირი ნების გამოვლენით, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს ზეპირი ან წერილობითი სახე (მარტივი წერილობითი 3

1 *Цвайгерт/Кетц*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Т. 2, 1998, С. 61.

ან სანოტარო); ბ. კონკლუდენტური ნების გამოვლენით, ანუ პირის ქცევით, საიდანაც აშკარად იკვეთება მისი ნება, დადოს ხელშეკრულება (მაგ., პროდუქტის ძენა სპეციალური აპარატის მეშვეობით); გ. დუმილით, სადაც დუმილი კვალიფიცირდება როგორც გარიგების დადების ნება კანონით ან მხარეთა მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგ., 335 I).

- 4 ზეპირი გარიგებები იდება ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების და მისი მიღების სიტყვიერი გამოხატვით, რაც ნების გამოვლენის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ზეპირი ფორმით შესაძლოა, დაიდოს ყველა ის ხელშეკრულება, რომელთათვისაც კანონი არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას. ზეპირი გარიგება შესაძლოა, დაიდოს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შორის. ზეპირი ფორმა, როგორც წესი, მიღებულია იმ გარიგებებისთვის, რომელთა შესრულებაც მისი დადებისთანავე ხდება, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა.²
- 5 69 I მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმისას გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ეს გულისხმობს გარიგებისთვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე მხარეთა ხელმოწერას.³ იმავდროულად, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა საშუალებების გამოყენებით არის ეს დოკუმენტი შედგენილი (დანვრილებით იხ. 69-ე მუხლის კომენტ.).
- 6 რაც შეეხება რთულ წერილობით ფორმას – აქ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მხარეთა ხელმოწერა არაა საკმარისი, დამატებით საჭიროა ნოტარიუსის მიერ მისი დამონმება (მაგ., 942-ე მუხლის მეორე წინადადება).
- 7 69 V მუხლი ერთმანეთისგან მიჯნავს გარიგების დამონმებას და გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამონმებას (ეს უკანასკნელი მოიაზრებს დადასტურებას).
- 8 ხელშეკრულების დამონმებისას ნოტარიუსი ამონმებს მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობას, უზრუნველყოფს გარიგების კანონთან შესაბამისობას, მხარეთა ნების ადეკვატურ ასახვას გარიგებაში, განმარტავს გარიგების შინაარსს, აცნობებს მხარეებს მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების თაობაზე (იხ. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია, მუხ. 15). იმავდროულად, ნოტარიუსმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დოკუმენტში არ იყოს შეცდომები და არ შეილახოს გამოუცდელი მხარის უფლებები.⁴
- 9 აღნიშნულ გამიჯვნას იზიარებს ასევე ნოტარიატის შესახებ საქართველოს 2009 წლის კანონი, თუმცა 38-ე მუხლით, სადაც განსაზღვრულია სანოტარო მოქმედებები, გარკვეული ტერმინოლოგიური აღრევაა შეტა-

² *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი I, 2002, მუხ. 69, გვ. 214.

³ იხ. იქვე, გვ. 216.

⁴ იხ. *Цвайгерт/Кетц*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 1998, С. 62, 64.

ნილი სანოტარო დამონმებისა და დადასტურების ინსტიტუტებში.⁵ 38 I ა მუხლი ადგენს, რომ ნოტარიუსი კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს, ხოლო 38 I ზ მუხლი კი უთითებს, რომ ნოტარიუსი ამონმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას. შესაბამისად, ნოტარიუსის ის მოქმედება, რომლითაც გარიგების კანონიერების და მოქმედ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენა ხდება, ამ კანონით დადასტურებას გულისხმობს, ხოლო დამონმება მხოლოდ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებას ემსახურება. ამ შეუსაბამობიდან გამომდინარე, პრობლემების თავიდან აცილებისა და სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია განმარტავს შესაბამისი სანოტარო მოქმედებების არსს. კერძოდ, მე-15 მუხლი, რომელიც მიჯნავს საჯარო და კერძო აქტებით განსახორციელებელ მოქმედებებს, პირველი ნაწილით უთითებს, რომ „იმ აქტის დასამონმებლად (გარიგების, მონმობის და სხვ.), რომლის ნამდვილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სანოტარო ფორმის დაცვა, ნოტარიუსი ვალდებულია, შეამონმოს: მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსისა და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა“ (საჯარო აქტი). 15 VI მუხლი კი ადგენს, რომ გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამონმებისას ნოტარიუსი ვალდებულია, შეამონმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამონმოს ხელმოწერა პირთა ხელმოწერების ნამდვილობა (კერძო აქტი).

სამოქალაქო კანონმდებლობა, გარკვეულ შემთხვევებში, სანოტარო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურავს „კანონით გათვალისწინებულ სხვა პირებს“ (69 V). მათში მოიაზრება ნოტარიატის შესახებ კანონის 42-ე, 43-ე მუხლებით განსაზღვრული პირები, რომლებზეც ნოტარიუსის ფუნქცია მუდმივად (მაგ., დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირები) ან ერთჯერადად (მაგ. ექსპედიციის უფროსი) არის დელეგირებული.

ხელშეკრულების მიმართ დანესებული ფორმალური მოთხოვნების ფუნქცია, ძირითადად, მტკიცების გაიოლება და განზრახვის სერიოზულობის დადასტურებაა.⁶ თანამედროვე გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ითქვას, რომ ფორმის მიმართ მოთხოვნის დადგენას მტკიცებითი ფუნქცია მაშინაც აქვს, როდესაც მხარეებს არ ამოძრავებთ არაკეთილსინდისიერი განზრახვა. ასეთ დროს ფორმის დაცვა აადვილებს მტკიცებას არა მარტო ხელშეკრულების დადების ფაქტთან, არამედ მის

5 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 345.

6 ფორმის განსაზღვრის მიზნებისა და მისი ფუნქციის თაობაზე დანვრილებით იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 285-288; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 336-338.

შინაარსთან მიმართებით, რადგან წერილობითი დოკუმენტის დახმარებით, რომლის მტკიცებულებითი წონა საკმაოდ მაღალია, ყალიბდება პრეზუმფცია, რომ ყველა შეთანხმებული პირობა მასში მთლიანად და კანონის დაცვითაა ჩართული. იმავდროულად, როგორც აღინიშნა, ძალიან ხშირად ასეთი ნორმები ასრულებენ მხარეთა განზრახვის სერიოზულობის მტკიცების ფუნქციას, ანუ იცავენ გამოუცდელ პირებს სწრაფი და უცაბედი გადაწყვეტილების მიღებისგან. ასეთი დანაწესების დანიშნულება არის ის, რომ მათ მიეცეთ საკმარისი დრო მოფიქრებისთვის.

II. ფორმა, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის პირობა

- 12 328 I მუხლი ადგენს: „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ“.
- 13 ამ კონსტრუქციაში სიტყვა თუ-ს არსებობით შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ, როგორც ზოგადი წესი, ხელშეკრულება ფორმის თვალსაზრისით თავისუფალია, ანუ, ზოგადად, კანონი მასთან მიმართებით არ აწესებს რაიმე მოთხოვნებს და ასეთი მოთხოვნა, მხოლოდ როგორც გამონაკლისი, ისე შეიძლება არსებობდეს კანონში, ან მხარეებმა თვითონ დააწესონ ის. ასეთ დროს მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოთხოვნილი ფორმის დაუცველობამ შესაძლოა, გამოიწვიოს ხელშეკრულების ბათილობა.
- 14 59 I მუხლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. შესაბამისად, ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, დაიცვეს თუ არა მხარეებმა გათვალისწინებული ფორმა. კანონის ეს ნორმა იმპერატიულია და მხარეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ.
- 15 სავალდებულო ფორმის დადგენის მიზანი, ჩვეულებრივ, მხარეთა ინტერესების დაცვაა, რამეთუ მისი საშუალებით უნდა მოხდეს სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ მიმართული ნების გამოვლენის სწორი ფორმირების უზრუნველყოფა. თუმცა, შესაძლოა, ფორმის დაუცველობის გამო გარიგების ბათილობამ სწორედ ის მხარე აზარალოს, რომლის დაცვისკენაც არის მიმართული ფორმის თაობაზე მოთხოვნა, და პირიქით, სარგებლობდეს ის მხარე, რომელიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ აპელირებს ფორმის დაუცველობაზე. ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში, მაგ., როდესაც ფორმის დადგენის მიზანი მხარეთა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან დაცვაა, შეიძლება, გაუმართლებელი აღმოჩნდეს ფორმის დაცვის გარეშე დადებული გარიგების ავტომატურად გაბათილება. სამართლიანია დოქტრინაში არსებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ასეთ დროს ლოგიკური იქნება, პირს მიენიჭოს შეცილების უფლება და მიეცეს შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს, მისი დაცვის მიზნით შემუშავებული ნორმა მართლაც უზრუნველყოფს მის დაცვას, თუ არის ის შემთხვევა, როდესაც კანონმდებლის

ნება დასაზუსტებელია მხარის რეალურად არსებულ ინტერესთან შესაბამისობის კუთხით.⁷

სასამართლომ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა, უგულბებლყოფს ფორმის მოთხოვნა, თუმცა ფორმის დაცვის სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა მხოლოდ სასამართლოს შეფასებით უნდა იყოს გამონაკლისი შემთხვევა და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. 16

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა ასევე იცნობს შემთხვევებს, როდესაც ფორმის დარღვევით დადებული გარიგებები ძალაში დარჩენილა. მაგ., როდესაც მხარეები ცდებოდნენ ფორმის დარღვევის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, ან იცოდნენ მათ თაობაზე, თუმცა სარგებლობდნენ ერთმანეთის ნდობით და შეგნებულად დგამდნენ ამ ნაბიჯს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოების მიერ გადაწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მხარეთა ნდობით ურთიერთობას მინიჭებია.⁸ ეს ე.წ. „ჯენტილმენური შეთანხმება“, – როდესაც ერთმანეთის პატიოსან სიტყვას მინდობილი მხარეები ფორმის დაცვას ივინწყებენ, – ჩვეულებრივ, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც ერთმა მხარემ საკუთარი ეკონომიკური, თუ სოციალური ძალაუფლების გამოყენებით აიძულა მეორე, – „სუსტი მხარე“, – უარი ეთქვა ფორმის დაცვაზე.⁹ 17

ფორმადაუცველი გარიგების ბათილობის კუთხით ყურადღებას იმსახურებს ფორმასავალდებულო შრომითი ხელშეკრულებები. შრომის კოდექსის 6 I (1) მუხლი სამ თვეზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებისთვის ითვალისწინებს სავალდებულო წერილობით ფორმას. ეს დანაწესი დასაქმებულთა ინტერესების დაცვას ემსახურება, რამეთუ მისი მიზანია ბუნდოვანი, არასრულყოფილად განსაზღვრული პირობებისგან მათი დაცვა. შესაძლოა, პრაქტიკაში დადგეს ისეთი შემთხვევა, როცა დასაქმებულმა (გამომდინარე თავისი უპირატესი მდგომარეობიდან) ხელშეკრულების დადებისას არ გამოიყენოს დადგენილი ფორმა, რათა შემდგომ მიუთითოს მის ბათილობაზე, ამ დროს კი შრომითი ურთიერთობების ფარგლებში სრულდებოდა გარკვეული სამუშაო შესაბამისი ანაზღაურებით. მართალია, შრომის კანონმდებლობა 59-ე მუხლთან მიმართებით რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებს, თუმცა შრომის ხელშეკრულებების მიმართ მისი გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის სამართლის პრინციპები და დაცვითი ფუნქცია და შრომის ხელშეკრულების შესაძლო ბათილობის საკითხის გადაწყვეტისას ამ უკანასკნელს მიენიჭოს პრიორიტეტი.¹⁰ 18

ნებისმიერ შემთხვევაში, 59 II მუხლი უნდა განიმარტოს შრომის სამართლის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, რადგან დასაქმებულის ინტერესების საზიანო განმარტება ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის 19

7 კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 287.
8 იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 328, გვ. 116-117.
9 Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, S. 279; BGHZ 48, 396; BGHZ 23, 249.
10 აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით იხ. ხაჭომია, შრომის ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, 2014, გვ. 27-48.

მიზნებს. ანუ, თუ ფორმალურ ცვლადს გამოიწვია გარიგების ბათილობა, უნდა შეიზღუდოს 59 II მუხლის მოქმედება (სამართლებრივი შედეგების დადგომა გარიგების დადების მომენტიდან) შრომის სამართალში აღიარებული პრინციპით, რაც გულისხმობს შრომის ხელშეკრულებების მიმართ ბათილობის საფუძვლის მხოლოდ *ex nunc* მოქმედებას.

- 20 სამუშაოს შესრულების დაწყებამდე ბათილობა დასაშვებია საერთო წესების შესაბამისად; სამუშაოს შესრულების დაწყების შემდეგ ბათილობის შედეგები გამოიყენება შეზღუდულად,¹¹ ანუ, თუ არსებობს ფაქტობრივი შრომითი ურთიერთობა და შესრულება დაწყებულია, ბათილობის შედეგები არ უნდა გავრცელდეს გასულ პერიოდზე და დაქირავებულს მიეცეს განუყოფელი სამუშაოს სანაცვლოდ ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლება.
- 21 უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ფორმის ნაკლმა შესაძლოა, არ გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. კერძოდ, ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგ., სკ-ის 563-ე მუხლი ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობით ფორმას. თუ მხარეებმა არ დაიცვეს ეს მოთხოვნა და, ფაქტობრივად, შეწყვიტეს ხელშეკრულება, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი.¹²
- 22 მიუხედავად არსებული გამონაკლისებისა, ხელშეკრულებების შესრულება ყოველთვის არ იწვევს ფორმის ნაკლის გამოსწორებას, რამეთუ ასეთი მიდგომა სრულიად დააკნინებდა ფორმის მნიშვნელობას. ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, როდესაც ამის თაობაზე კანონი პირდაპირ უთითებს, ან, ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას.¹³

1. კანონით განსაზღვრული ფორმა

- 23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარკვეული ხელშეკრულებებისთვის აწესებს წერილობით ფორმას. ასეთი ხელშეკრულებები ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის დაცვისას.
- 24 კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში აუცილებელია რთული წერილობითი ფორმის დაცვა, რაც გულისხმობს ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების დამონშებას,¹⁴ ასეთია, მაგ., საქორწინო ხელშეკრულება (1174), სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, როდესაც ხდება უძრავი ქონების გადაცემა (942).

11 იხ. იქვე, მითითება *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. Neubearbeitete Aufl., 2004. S § 611. Rn 22.

12 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.

13 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 349.

14 კოდექსის შესაბამის მუხლში მითითებულია ტერმინი დადასტურება, თუმცა სანოტარო მოქმედება ამ შემთხვევაში არის დამონშება. ამ არსებული ტერმინოლოგიური აღრევის თაობაზე იხ. 35-ე-37-ე ველები.

არსებობს ხელშეკრულებები, რომელთათვისაც სავალდებულო ფორმის დაცვის შემდგომ დამატებით აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია (მაგ., ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე ხდება უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენა). ქართული სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა რეგისტრაცია გარიგების ფორმის ელემენტი. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება.¹⁵ აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ უძრავი ნივთის ჩუქების წინარე ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, იმ საფუძველით, რომ იგი კანონით დადგენილ ფორმას არ შეესაბამებოდა – არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, გარიგება არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს. სადავო შეთანხმების ჩუქების წინარე ხელშეკრულებად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, იგი აკმაყოფილებდა ამ ტიპის გარიგებისათვის კანონით დადგენილ ფორმას.

25

გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლებში. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი, ხოლო წერილობითი გარიგება, თავის მხრივ, შეიძლება, იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას.¹⁶

26

სამოქალაქო კოდექსი ზოგიერთი ხელშეკრულებისთვის ითვალისწინებს მარტივ წერილობით ფორმას. მაგ.: განვადებით ნასყიდობა (506), საკუთრების მინდობა (727), ფრენშაიზინგი (611), სესხის შეპირება (628) და სხვ. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, რომ მხარეებმა თავისი ნება წერილობით გამოავლინონ.

27

2. მხარეთა მიერ განსაზღვრული ფორმა

თუ კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ ფორმას ხელშეკრულებისთვის, ის აუცილებლად უნდა იყოს დაცული. მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ, გაართულონ კანონის მიერ დაწესებული ფორმა შეთანხმებით, მაგ., შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, თუმცა კანონი ასეთ ფორმას არ ითხოვდა, ან შეთანხმდნენ სანოტარო ფორმაზე, როცა კანონით საკმარისი იყო მხოლოდ მარტივი წერილობითი ფორმის დაცვა. მაგრამ მხარეები ვერ გაამარტივებენ იმ მოთხოვნას, რასაც კანონი აწესებს. მაგ.: თუ კანონი ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმას, მხარეები ვერ შეთანხმდებიან მარტივ წერილობითზე; თუ კანონი ითვალისწინებს მარტივ წერილობით ფორმას, მხარეები ვერ შეთანხმდებიან ზეპირზე.

28

¹⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის Nას-1529-1443-2012 გადაწყვეტილება.

¹⁶ იხ. იქვე.

- 29 მართალია, როგორც 328 I მუხლი, ისევე როგორც 59 I მუხლი, ითვალისწინებს ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დაცვას, პრაქტიკაში მან შესაძლოა, ყოველთვის არ გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნით აირჩიეს ეს ფორმა მხარეებმა: როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა თუ გარიგებიდან გამომდინარე უფლებების თვალსაჩინოებისთვის, ან მათ მტკიცებულებად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგების ფორმის დაუცველობამ არ უნდა გამოიწვიოს მისი ბათილობა. ყოველივე აღნიშნული კი უნდა დადგინდეს მხარეთა შეთანხმების განმარტებით.¹⁷

III. ხელშეკრულების წერილობითი ფორმის უზრუნველყოფი ინსტრუმენტები

- 30 წერილობითი ხელშეკრულებები იდება: ა. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ბ. რამდენიმე წერილობითი დოკუმენტის გაცვლით.
- 31 „ერთი დოკუმენტი“ გაგებულ უნდა იქნეს როგორც ერთიანი დოკუმენტის შედგენა. იგი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაფორმების ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ხერხია. მისი არსი ისაა, რომ მხარეები ხელს აწერენ დოკუმენტს, რომელშიც გადმოცემულია მათი ურთიერთდამფარავი ნების გამოვლენა, ანუ ოფერტი და აქცეპტი გამოიხატება მხარეთა მიერ ერთსა და იმავე დოკუმენტზე ხელმოწერით. დოკუმენტი შესაძლოა, შედგებოდეს რამდენიმე ფურცლისგან, რა დროსაც სავალდებულოა, რომ ისინი ქმნიდნენ ერთიანობის განცდას.¹⁸ როგორც წესი, ასეთი დოკუმენტი დგება რამდენიმე ეგზემპლარად, თითოეული მათგანი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 32 ზოგ შემთხვევაში, კანონი უფრო რთულად აყალიბებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. მაგ., 327 III მუხლი წინარე ხელშეკრულებისთვის ითვალისწინებს იმ ფორმას, რაც ძირითადი ხელშეკრულებისთვისაა გათვალისწინებული. ანუ ამ შემთხვევაში კანონი ერთი ხელშეკრულების ფორმას უქვემდებარებს სხვა ხელშეკრულების ფორმას.
- 33 328 II მუხლი უთითებს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული წერილობითი ფორმის უზრუნველსაყოფად საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა. ჩამოთვლილი ტექნიკური საშუალებები არ უნდა იქნეს ამომწურავად მიჩნეული და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების განვითარების გათვალისწინებით, წერილობით დოკუმენტებში უნდა მოიაზრებოდეს ასევე ელექტრონული ციფრული ტექნიკის საშუალებით შედგენილი და ხელმოწერილი სხვა დოკუმენტებიც. შესაბამისად, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანერებული დოკუმენტის მიმოგზავნით და ა.შ. დადებულმა ხელშეკრულებამ შესაძლოა, ჩაანაცვლოს მხარეთა მიერ შეთანხმებული წერილობითი ფორმა (და არა კანონით დადგენილი). ასეთ დროს მთავარია, ტექსტში

17 ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 349.

18 დანწრილებით იხ. 69-ე მუხლის კომენტარი.

იკითხებოდეს მისი შემდგენელი, ანუ იძლეოდეს იმ ფაქტის განსაზღვრის უტყუარ საშუალებას, რომ ეს დოკუმენტი მომდინარეობს ხელშეკრულების მხარიდან¹⁹

კანონით დადგენილი წერილობითი ფორმის ალტერნატივად შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის თანამედროვე პრაქტიკას მისთვის დამახასიათებელი ყველა ელემენტით, მათ შორის კვალიფიციურ ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას. ეს უკანასკნელი ადასტურებს როგორც ელექტრონული გზით გადაცემული ინფორმაციის სანდოობას, ისე მონუმობს იმას, რომ დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილია სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ. 34

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს ანესრიგებს საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ.²⁰ კანონი პირდაპირ უთითებს, რომ ელექტრონული დოკუმენტი ისეთივე იურიდიული ძალისაა, როგორც მატერიალური დოკუმენტი (4.2) და კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერასაც აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა (3.1). 35

ამ კანონის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებებს აქვთ იურიდიული ძალა და აკმაყოფილებენ იმ ფორმალურ მოთხოვნებს, რაც დადგენილია მარტივი წერილობითი ხელშეკრულებების მიმართ. 36

მხარეთა მიერ შეთანხმებული წერილობითი ფორმის ხელშეკრულების დასადავად აუცილებელია ამ დოკუმენტების გაცვლა. ამდენად, 328 II მუხლის ბოლო წინადადებაში – **ფორმის უზრუნველსაყოფად საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა** – სატელეგრაფო შეტყობინება და ტელეასლი არ გულისხმობს მხოლოდ ერთი მხარის მიერ ამ დოკუმენტის გაგზავნას. არის შემთხვევები, როცა მხარე იღებს ტელეგრამას, ფაქსს, ეთანხმება მას, თუმცა არ იტვირთავს თავს საპასუხო შეტყობინების გაგზავნით, სადაც სათანადო რეკვიზიტები იქნება განერილი. მხარემ უნდა განახორციელოს საპასუხო დოკუმენტის გაგზავნა კონტრაჰენტისადმი, რათა მოთხოვნა მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის თაობაზე დაცულად ჩაითვალოს. 37

19 შდრ. იქვე.

20 კანონი ძალაში შევიდა 2017 წელს.

მუხლი 329. ოფერტის გაკეთება

1. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა, შეასრულოს თავისი წინადადება.

2. წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.

I. ცნება და მნიშვნელობა	108
II. ოფერტის ნიშნები.....	109
1. კონკრეტული პირისადმი ან პირთა განსაზღვრული წრისადმი მიმართვა.....	109
2. ოფერტის განსაზღვრულობა.....	109
3. ბოჭვის ნება.....	111
III. მოწვევა ოფერტზე.....	111

I. ცნება და მნიშვნელობა

- 1 ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით ხელშეკრულების დადება არის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის ჩვეულებრივი მოდელი.¹
- 2 ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების შეთავაზება არის ოფერტი. პირი, რომელიც აკეთებს ასეთ წინადადებას, იწოდება **ოფერენტიად**. ოფერტის ადრესატის თანხმობა, მიიღოს ეს წინადადება და დადოს ხელშეკრულება, არის აქცეპტი, ხოლო თანხმობის გამომხატველი პირი იწოდება **აქცეპტანტიად**.
- 3 ოფერტი არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა (იხ. 51-ე მუხლი). ეს გულისხმობს, რომ ნების გამოვლენა ნამდვილია მაშინ, როდესაც ის მიდის მის ადრესატთან. სწორედ ამ მომენტში იბოჭება ოფერენტი მის მიერ შეთავაზებული ოფერტის პირობებით. ოფერტი თავისთავად გარიგებას არ წარმოადგენს, რადგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. სამართლებრივი შედეგი ოფერტს მხოლოდ მაშინ მოჰყვება, როდესაც ოფერტის ადრესატი – აქცეპტანტი ამ ნებას მიიღებს და დათანხმდება ხელშეკრულების დადებაზე.² აქცეპტიც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილია აქცეპტის ადრესატთან (ოფერენტთან) მისვლის მომენტში. სწორედ ამ მომენტში იდება მხარეებს შორის ხელშეკრულება და ისინი იბოჭებიან ნაკისრი ვალდებულებებით.

1 ევროპის გაერთიანების ყველა სამართლებრივ სისტემაში ოფერტ-აქცეპტის მოდელი ხელშეკრულების დადების პროტოტიპი იყო. ის ასევე ძირითადი მოდელია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციაში, ასევე უნიდროას პრინციპებში. Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), 2000, p. 161.

2 იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 329, გვ. 118-119.

არაა აუცილებელი, რომ წინადადება ხელშეკრულების დადების თაობაზე გაკეთდეს წერილობითი ფორმით, ის შესაძლოა, ასევე განხორციელდეს ზეპირად. 4

II. ოფერტის ნიშნები

329 I მუხლი წარმოაჩენს ოფერტის მახასიათებელ ნიშნებს. კერძოდ, ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების ოფერტად დაკვალიფიცირებისთვის ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 5

- მიმართული იყოს კონკრეტული პირისადმი ან პირთა განსაზღვრული წრისადმი;
- ჰქონდეს საკმარისად განსაზღვრული ხასიათი;
- ნათლად მოიცავდეს ბოჭვის ნებას, ანუ წინადადების მიმცემის (ოფერენტის) მზადყოფნას, აქცეპტის (თანხმობის) შემთხვევაში შეიბოჭოს თავი ხელშეკრულების პირობებით (ხელშეკრულების დადების განზრახვა).

ამგვარად, ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოხატვა, რომელიც შეიცავს ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და იმგვარად სთავაზობს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებას, რომ დადებისათვის მეორე მხარის მხოლოდ მარტივი და უპირობო თანხმობაა საჭირო; ოფერტის მიღება შესაძლებელი უნდა იყოს მარტივი „დიახ“-პასუხის მეშვეობით. 6

1. კონკრეტული პირისადმი ან პირთა განსაზღვრული წრისადმი მიმართვა

ოფერტი შესაძლოა, მიმართული იყოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე პირისადმი. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში აქ საუბარია განსაზღვრულ პირებზე, ანუ თვით ოფერტში ისინი უნდა იყვნენ იდენტიფიცირებული, ანუ ოფერტიდან ნათლად და ცალსახად უნდა ჩანდეს, რომ ოფერენტმა წინადადება გაუკეთა სწორედ ამ კონკრეტულ პიროვნებას (ან პირთა წრეს) და არა სხვა ვინმეს. 7

2. ოფერტის განსაზღვრულობა

ოფერტი უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული. ეს, როგორც წესი, იმას გულისხმობს, რომ ოფერტი უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების არსებით პირობებს, ანუ ოფერტის ადრესატისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ მას სთავაზობენ ხელშეკრულების დადებას გარკვეული პირობებით და მას შეუძლია, ისინი მიიღოს ან არ მიიღოს. 8

ეს მუხლი პირდაპირ არ უთითებს არსებით პირობებზე, თუმცა 327 I მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა მხარეები შეთანხმდებიან ყველა არსებით პირობაზე. ამდენად, იმისათვის, რომ წინადადება ოფერტად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია მასში არსებითი პირობების ჩამოყალიბება, რათა მისი მიმღების მიერ ამ პირობებზე მარტივად გამოხატული თანხმობით შესაძლებელი გახდეს ხელშეკრულების დადება. 9

- 10 იმავდროულად, დასაშვებად არის მიჩნეული ისეთი სიტუაციაც, როდესაც ოფერტი დეტალურად არ მოიცავს ყველა არსებით პირობას, რადგან მისი განსაზღვრა მხარეებმა სამომავლოდ მოიტოვეს. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაძლოა, ფასი პირდაპირ არ იყოს მითითებული და დაფიქსირდეს მოგვიანებით, თუ მისი განსაზღვრის საშუალება ოფერტში თავიდანვე გათვალისწინებულია (იხ. 477 III).³
- 11 მეტიც, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალი იცნობს მიდგომას, რომლის თანახმად, ოფერტში ისეთი არსებითი პირობების განუსაზღვრელად დატოვებამ, როგორცაა მისაწოდებელი საქონლის ან გასაწევი მომსახურების აღწერა, ფასი,⁴ შესრულების ადგილი, დრო და სხვ., შესაძლოა, თვით ოფერტი არ გახადოს განუსაზღვრელი. ეს იმაზეა დამოკიდებული, სურთ თუ არა მხარეებს მხოლოდ ურთიერთობაში შესვლა. შესაძლოა, პირობები განისაზღვროს შეთანხმების ტექსტის განმარტებით, უფრო მეტიც, განუსაზღვრელობა გადაილახოს მხარეთა შორის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე ან ჩვეულებებზე მითითებით. მაგ., მხარეები წლების განმავლობაში აახლებდნენ ხელშეკრულებას კომპიუტერული მომსახურების შესახებ. ახალი ბიუროს გახსნისას ერთმა მხარემ მოითხოვა იქ არსებული კომპიუტერებისთვისაც ანალოგიური მომსახურების განევა, რასაც მეორე მხარე დასთანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფერტში არ იყო მითითებული ყველა არსებითი პირობა, ხელშეკრულება დაიდო, რადგან ეს პირობები შეივსო მანამდე დადებული ხელშეკრულებებიდან, რაც, თავის მხრივ, მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკის ნაწილია.⁵
- 12 იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადება ხელშეკრულების დადების თაობაზე მოიცავს მრავალ გვერდს, მისი ოფერტად კვალიფიცირება, როგორც წესი, დასაშვებია, თუ ის შესაძლოა, გადაიზარდოს ხელშეკრულებაში ადრესატის მიერ მარტივად ჩამოყალიბებული პასუხით: „კი“, ან „ვიღებ“.
- 13 პრაქტიკაში საკითხი უფრო გაიოლებულია, როცა ხშირად გამოყენებადი ხელშეკრულებები იდება (მაგ.: ნასყიდობა, ქირავნობა), სადაც რაიმე საპირისპირო ნების გამოვლენის არარსებობისას იგულისხმება, რომ მხარეები თავიანთი ხელშეკრულების დეტალებს ტოვებენ სამართლის შესაბამისი დისპოზიციური ნორმების რეგულაციაში.⁶ მაგ., თუ პირი მაღაზიაში იღებს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, რომელიც მიაქვს გასასვლელ დახლთან, ყიდვის ფასად მიჩნეულ უნდა იქნეს იარლიყზე მითითებული

3 იხ. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980, Art. 14; შდრ. კონვენციის მე-14 და 55-ე მუხლები. ამ ორი მუხლის ურთიერთიმართლებასთან და არსებული წინააღმდეგობის მიზეზებთან დაკავშირებით იხ. *Jorge Oviedo Albán, Commentary on the manner in which the UNIDROIT Principles may be used to interpret or supplement CISG Article 14, 2005*, <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/principles/uni14.html> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

4 საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენციის 55-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ნამდვილად ითვლება მაშინაც, თუ ფასი არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდანაა შესაძლებელი მისი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, თუ გარემოებები საპირისპიროზე არ უთითებენ, მხარეებმა იგულისხმეს იმ ფასით ხელშეკრულების დადება, რაც, ჩვეულებრივ, ასეთი ტიპის საქონელზე იყო ხელშეკრულების დადების მომენტში. United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980, Art. 55.

5 იხ. *Kleinheisterkamp*, in: *Vogenaue/Kleinheisterkamp* (ed.), *Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts*, 2009, Art. 2.1.2, pp. 217-313; *Comment on Arts 2.1.2*.

6 *Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution*, 1997.

ფასი, ხოლო ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობა (ნაკლის შემთხვევაში მყიდველის უფლებები და სხვ.) მონესრიგდება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმებით, ისე, რომ მხარეებს არ სჭირდებათ გარიგების დადების პროცესში ამის თაობაზე შეთანხმება.

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში ასეთ მიდგომას განაპირობებს დისპოზიციური ნორმების არსებობა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ კონტრაქტები გაცილებით ნაკლები მოცულობის იყოს დოკუმენტურად, ვიდრე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც მხარეები ერთმანეთთან განიხილავენ და ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ თითოეულ დეტალს, თითოეულ შემთხვევას, რაც შესაძლოა, მათ შორის მომავალში წარმოიშვას.

3. ბოჭვის ნება

შემდეგი კრიტერიუმი, რითაც უნდა გაიმიჯნოს, მხარემ ხელშეკრულების დასადავად ოფერტი გააკეთა, თუ, უბრალოდ, სახელშეკრულებო მოლაპარაკებები დაიწყო, არის ოფერტში გამოხატული ბოჭვის ნება. ოფერენტი იბოჭება მის მიერ გაკეთებული ოფერტით, რაც გულისხმობს, რომ ოფერტის ადრესატის თანხმობის შემთხვევაში, ოფერენტი ავტომატურად ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარე და იბოჭება იმ სახელშეკრულებო პირობებით, რაც მან ოფერტში განსაზღვრა. შესაბამისად, თუ ის არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მას დააწევება პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისთვის (394-ე-407-ე მუხლების მიხედვით). თუ ოფერენტის წინადადებაში არ არის ასეთი ნება გამოხატული, მაშინ ეს იქნება არა ოფერტი, არამედ მონვევა სახელშეკრულებო მოლაპარაკებისკენ, მონვევა ოფერტზე.⁷

ბოჭვის ნება იშვიათადაა გამოხატული აშკარად, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ის უნდა გამოიკვეთოს, დადგინდეს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან. ის, თუ რა გზით წარმოაჩინეს მხარე წინადადებას (მაგ., წინადადების პირდაპირ ოფერტად მოხსენიება), არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი მითითება სავარაუდო განზრახვის თაობაზე. უფრო მეტი დატვირთვა შესაძლოა, ჰქონდეს წინადადების შინაარსს და ადრესატებს, ანუ, რაც უფრო დეტალური და განსაზღვრულია წინადადება, უფრო მეტად მიუთითებს იმაზე, რომ ის არის ოფერტი. ანალოგიურად, ერთი ან მეტი განსაზღვრული პირობის მიმართ გაკეთებული წინადადებაც უფრო სავარაუდოა, რომ ოფერტი იყოს, ვიდრე, ზოგადად, საზოგადოების მიმართ.⁸

III. მონვევა ოფერტზე

ძალიან მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ორი, ერთმანეთთან ახლოს მდგომი ინსტიტუტი – ოფერტი და **მონვევა ოფერტზე**. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი ნიშნების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა, მათი არასწორი კვალიფიკაცია გამოიწვიოს.

⁷ იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 329, გვ. 122.

⁸ *Kleinheisterkamp*, in: *Vogenauer/Kleinheisterkamp* (ed.), *Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts*, 2009, Art. 2.1.2, pp. 217-313.

14

15

16

17

- 18 ბოჭვის ნება – ეს არის გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი, რითაც ოფერტი განსხვავდება ოფერტზე მონვევისაგან. ცალკეულ შემთხვევებში გამიჯვნა განმარტების საკითხია, რაც დგინდება ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით.⁹
- 19 მონვევა ოფერტზე, ჩვეულებრივ, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: ის ყოველთვის მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი; შესაძლოა, შეიცავდეს ალტერნატიულ წინადადებებსაც, რომლებიც შესაძლოა, არც იყოს დაკონკრეტებული; მის პირობებს არა აქვს იმპერატიული ხასიათი, ადრესატს შეუძლია სხვა პირობების შეთავაზებაც; არ ბოჭავს მონვევის გამკეთებელს.
- 20 329 II მუხლის თანახმად, **თუ წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ კეთდება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, ეს არის მონვევა ოფერტზე, თუ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.**
- 21 მართალია, ეს ნაწილი აპელირებს პირთა განუსაზღვრელ წრეზე, მაგრამ ეს კრიტერიუმი არ არის გადამწყვეტი ფაქტორი იმისთვის, რომ წინადადება დაკვალიფიცირდეს ოფერტზე მონვევად. ყველა სამართლებრივი სისტემა აღიარებს, რომ არსებობს გარკვეული სიტუაციები, როდესაც საზოგადოების მიმართ გაკეთებული წინადადება განიხილება, როგორც ოფერტი.
- 22 მიჩნეულია, რომ რეკლამა, ასევე ნებისმიერი სხვა წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და მოიცავს საქონლის, მომსახურების თუ პირთა სამუშაოს აღწერას, მაგ.: საგაზეთო განცხადებები, პროსპექტუსები, სავაჭრო კატალოგები, მაღაზიის გარე ვიტრინების გაფორმება და სხვა, არის მონვევა ოფერტზე.¹⁰ ეს პოზიცია განსაკუთრებით მხარდაჭერილია გერმანულ სამართლებრივ სისტემაში.¹¹ ამ პოზიციის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, ანუ მას არ ჰყავს კონკრეტული ადრესატი და გაკეთებულია ისეთ პირობებში, რომ შეუძლია, გამოიწვიოს განუსაზღვრელი რაოდენობის გამოხმაურება, არ აკისრებს რაიმე პასუხისმგებლობას იმ პირს, რომელმაც ის გააკეთა¹² – ასეთ მონვევას შესაძლოა, მოჰყვეს სხვადასხვაგვარი გამოხმაურებები, რაც არ ჩაითვლება აქცეპტად. საწინააღმდეგოს დაშვებისას შემთავაზებელი აღმოჩნდებოდა ძალიან რთულ ვითარებაში ხელშეკრულებათა გადაჭარბებული რაოდენობის შემთხვევაში. პირი, რომელიც გამოეხმაურება მონვევას, თვითონ აკეთებს ოფერტს და, საბოლოოდ, ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია მომწვევეზე, ანუ ის ხდება ასეთ შემთხვევაში აქცეპტანტი.

9 იხ. კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 71.

10 იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 329, გვ.123-125.

11 *Markesinis/Lorenz/Dannemann*, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution, 1997; ასევე იხ. კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 71.

12 იმ პირს, ვინც აკეთებს მონვევას ოფერტზე, ვერ აიძულებ, დადოს ხელშეკრულება, თუმცა შესაძლოა, მას დაეკისროს პასუხისმგებლობა არაკეთილსინდისიერი რეკლამის წარმოებისთვის.

23 თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომაც, მაგ., შვეიცარიის ვალდებულებითი კოდექსის 7 III მუხლი მკაფიოდ ადგენს, რომ საქონლის წარმოდგენა მასზე ფასის მითითებით, ჩვეულებრივ, ითვლება ოფერტად.¹³

24 საინტერესოა ამ კუთხით კერძო სამართლის უნიფიკაციის აქტებში განვითარებული მიდგომა. წინადადებები, რომლებიც არაა გაკეთებული ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული პირისადმი (განცხადებები, პოსტერები, ვიტრინები, სატენდერო განცხადებები და სხვ.), ჩვეულებრივ, მიიჩნევიან ოფერტად, თუ მათში გამოხატულია ბოჭვის ნება აქცეპტის განხორციელების შემთხვევაში.¹⁴ მაგრამ, თუ წინადადება გაკეთებულია ისეთ გარემოებებში, სადაც, სავარაუდოდ, მეორე მხარის პიროვნული მახასიათებლები მნიშვნელოვანია, ასეთი წინადადება, ჩვეულებრივ, მიჩნეულია მოწვევად. მაგ., განცხადება დასაქმების თაობაზე არ ავალდებულებს განმცხადებელს, დაასაქმოს პირი, რომელიც სთავაზობს თავის მომსახურებას და შეესაბამება ნაყენებულ მოთხოვნებს. ასევე ოფერტზე მოწვევად მიჩნეულია აუქციონზე საქონლის შეთავაზება (მოწვევა ფასის შეთავაზებაზე). აუქციონისტს შეუძლია, არ მიიღოს წინადადება და გამოიწვიოს საქონელი, თუ ყველაზე მაღალი ღირებულების შეთავაზება არის ძალიან მცირე. ფასის შეთავაზება არის ოფერტი, რომელიც მიღებულია, თუ მოხდა ჩაქურჩის დარტყმა.¹⁵

25 სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში არ არის ერთგვაროვანი მიდგომა იმასთან მიმართებით, თუ რა არის თვითმომსახურების მაღაზიის დახლებსა და თაროებზე საქონლის განთავსება. ნებისმიერ შემთხვევაში ეს წინადადება მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ის არის ოფერტი.¹⁶ რადგან ის ოფერტია, ფასის გადახდის შემთხვევაში, მყიდველს გამყიდველისგან აქვს საქონლის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება. თუმცა გერმანულ სამართალში გაბატონებული მოსაზრება ასეთ მიდგომას არ იზიარებს და მსგავს წინადადებებს, ჩვეულებრივად, ოფერტზე მოწვევად მიიჩნევს¹⁷. ასეთი მიდგომა, გარკვეულწილად, ანგლოამერიკულ სამართალში განვითარებული შეხედულებების¹⁸ მხარდაჭერაა, რა შემთხვევაშიც ამოსავალია არა სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური გადანყვეტილება. კერძოდ, მიზანი იმ შედეგების თავიდან აცილებაა, რაც, შესაძლოა, მოჰყვეს საპირის-

13 Art 7(3), Federal Act of the Amendment of Swiss Civil Code. Part Five: The Code of Obligation, of 30 March 1911 (Status as of 11 July 2014).

14 *Bar/Clive* (ed.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009*, p. 117; გარდა ტერმინთა ერთიანი ჩარჩო პროექტისა, მსგავს მიდგომას ავითარებს ასევე ევროპის სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები, ასევე უნიდროას პრინციპები.

15 იქვე, გვ. 117.

16 *Kramer*, in: *MüKo BGB*, § 145, Rn. 10 იხ. *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, Second edition, 2006, p. 62.

17 მაგ. *Dietrich*, *Der Kauf im Selbstbedienungsladen*, DB 1972, S. 957; იხ. *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, Second edition, 2006, p. 62.

18 იხ. *Beatson*, *Anson's law of contract*, 28th edition, 2002, p. 33; ასევე საქმე: *Pharmaceutical Society of Great Britain v Boots* (1953) 1 QB 401 <http://www.bailii.org/ew/cases/EWCA/Civ/1953/6.html> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

პირო გადაწყვეტილების მიღებას, მაგ., თუ ასეთი წინადადება ოფერტად ჩაითვლებოდა, რა მოხდებოდა, თუ პოტენციურ გამყიდველს გაუთავდებოდა ის საქონელი, რის გაყიდვასაც სთავაზობდა. რეალურად, პრაქტიკაში ასეთი შედეგები აცილებული იქნება, თუ სიტუაცია იცვლება ისე, რომ წინადადების ოფერტად კვალიფიცირება დამოკიდებული იქნება საქონლის მარაგის არსებობაზე. სწორედ ამაზე აპელირებს ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების 2:201 მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ პროფესიონალი მიმწოდებლის მიერ საჯარო განცხადებაში (რეკლამაში), კატალოგში ან საქონლის ვიტრინაზე, დახლზე გაკეთებული წინადადებები განსაზღვრულ ფასად საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის თაობაზე, ივარაუდება ოფერტად მანამ, სანამ საქონლის მარაგი ან მიმწოდებლის შესაძლებლობა, მიაწოდოს მომსახურება, არ არის ამოწურული.¹⁹ თითქმის ანალოგიურ, მცირედი სხვაობით რეგულაციას ითვალისწინებს რეფერენციების (რეკომენდაციების) ერთიანი ჩარჩო პროექტი; თითქმის ანალოგიური ეფექტი აქვს ასევე უნიდროას პრინციპებით გათვალისწინებულ რეგულაციასაც.²⁰

26 329 II მუხლში განმტკიცებული დეფინიცია იძლევა იმის საშუალებას, რომ წინადადება, რომელიც პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართაა გაკეთებული (იქნება ეს განცხადებები, პოსტერები, მაღაზიის გარე თუ შიდა ვიტრინებში, ასევე თაროებზე საქონლის გამოფენა), დაკვალიფიცირდეს როგორც მოწვევა ოფერტზე, მაშინაც კი, როდესაც წინადადება მოიცავს არსებით პირობებს და მასში, გარკვეულწილად, ბოჭვის ნებაცაა გამოხატული, სხვაგვარი გადაწყვეტა შემთავაზებელს რთულ მდგომარეობაში ჩააყენებდა იმ შემთხვევაში, თუ ხელმეკრულების დადების მსურველთა რაოდენობა გადაჭარბებული აღმოჩნდებოდა.

27 პირთა განუსაზღვრელი წრისადმი გაკეთებული წინადადება შესაძლოა მხოლოდ მაშინ იქნეს მიჩნეული ოფერტად, თუ მასში აშკარად იკვეთება თითოეულთან ხელმეკრულების დადების სურვილი. შესაძლოა, ოფერტი ფორმულირებული იყოს ისე, რომ ხელმეკრულების დადების მზაობა ექვემდებარებოდეს საქონლის მარაგის არსებობას. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს 329 II მუხლის მეორე წინადადება – *თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული*. ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს წინადადების ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობები. არგუმენტები, რომლებიც ოფერტსა და მოწვევას შორის მიჯნის დადების საფუძველია, შემთავა-

19 Principles of European Contract Law (PECL), 1998, Art. 2:201 (3); საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და სხვა ქვეყნებში, მაგ., ნივთის ფასთან ერთად განთავსება ვიტრინაში და თვითმომსახურების დახლებზე განიხილება როგორც ოფერტი. დანიაში მხარდაჭერილია მოსაზრება, რომ განცხადებები (რეკლამები) ინტერაქტიულ მედიაში, როგორცაა ინტერნეტი, არის მბოჭავი ოფერტები. რაც შეეხება ინგლისს, გერმანიას, ესტონეთს, შვედეთს – ამ ქვეყნებში, როგორც წესი, ასეთი საქონლის განთავსება მიჩნეულია მოწვევად ოფერტზე. იხ. *Landa/Beale* (eds.), *Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised)*, p. 162.

20 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DFRC), 4:2013 (3); UNIDROIT Principles of International Commercial Contracts., <http://unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsimid=109294> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

ზებლის დაცვის მიზანში ერთიანდება. პირს, რომელიც საკუთარ შეთავაზებას განუსაზღვრელ პირთა წრისაკენ მიმართავს, უნდა ჰქონდეს საბოლოო ინიციატივის საკუთარ ხელში შენარჩუნების უფლება („საბოლოო სიტყვა“ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით), რათა გადაამოწმოს: 1. მეორე მხარის პიროვნება (მისაღებია თუ არა მისთვის); 2. მისი გადახდისუნარიანობა; 3. საკუთარი მარაგი (შემთხვევით ხომ არ „შემორჩა“ უკვე გაყიდული ნივთი ვიტრინაში). ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე ინტერნეტაუქციონებისა და სასაქონლო ავტომატების შემთხვევაში უნდა დაიშვას გამონაკლისი 329 II მუხლიდან, რადგან აქ შემთავაზებლის ზემოთ მოყვანილი სამი ტიპის ინტერესი თავისთავად დაცულია. ეს ორივე შეთავაზება თავიდანვე მბოჭავ ოფერტად უნდა ჩაითვალოს.²¹

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ცალკე აწესრიგებს საჯარო ოფერტს, როგორც ოფერტის განსაკუთრებულ სახესხვაობას. საჯარო ოფერტად მიჩნეულია წინადადება, რომელიც შეთავაზებულია ყველას და თითოეულის მიმართ და მას აქვს ოფერტის ძალა, თუ თითოეულ მოცემულ მომენტში ის შესაძლოა, აქცეპტირებულ იქნეს მხოლოდ რომელიმე ერთი პირის მიერ და თუ შესაძლოა, ის ნებისმიერ მომენტში იყოს მოხსნილი ახალი აქცეპტის შემოსვლამდე. საჯარო ოფერტს აქვს თავისი ნიშნები: პირველ რიგში, ის უნდა იყოს წინადადება, საიდანაც იკვეთება, რომ მისი შემთავაზებლის განზრახვაა, დადოს ხელშეკრულება; შემდგომ უნდა შეიცავდეს ყველა იმ პირობას, რომლებიც კანონის მიერ მიჩნეულია არსებითად ან ასეთად მიჩნეულია თვით ამ ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე; და ბოლოს, წინადადებიდან ნათელი უნდა იყოს მზაობა ხელშეკრულების დადებისა ყველასთან, ვინც გამოეხმაურება მას. საჯარო ოფერტი, მონვევისგან განსხვავებით, იწვევს სახელშეკრულებოსამართლებრივი ხასიათის შედეგებს, ის ბოჭავს წინადადების შეთავაზებელს. აქცეპტის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება და თუ არ განხორციელდება შესრულება, დგება პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის.²²

28

21 რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ. 17, 24 და შემდგომში.

22 *Садиков*, Комментарий к ГК РФ. части первой, Статья 437, 2005.

მუხლი 330. თანმყოფი და არათანმყოფი პირებისათვის გაკეთებული ოფერტი

1. თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული.

2. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს.

- I. ნების გამოვლენის – ოფერტის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი მბოჭავი ძალა.....116
- II. ნების გამოვლენა თანმყოფი პირის წინაშე.....118
- III. ნების გამოვლენა არათანმყოფ პირებს შორის118

I. ნების გამოვლენის – ოფერტის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი მბოჭავი ძალა

- 1 ხელშეკრულება მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებათა შეთანხმების შედეგია, ანუ ნების გამოვლენა – ოფერტი, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების დადებისკენ, უნდა იქნეს მიღებული მისი ადრესატის მიერ.
- 2 ოფერტის სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხი უნდა გაშუქდეს იმ ნორმათა ქრილში, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი მომენტიდან წარმოშობს ოფერტი იურიდიულ შედეგებს ხელშეკრულების დადების პროცესში მონაწილე მხარეთათვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მასთანაა დაკავშირებული ოფერტის ბოჭვა, რასაც, თავის მხრივ, უკავშირდება საკითხი ოფერტის გამოთხოვის თაობაზე.
- 3 ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ საკითხი ოფერტის გამოთხოვადი ბუნების შესახებ ეჭვს არ იწვევდა და, შესაბამისად, უდავოც იყო. «ეჭვგარეშეა, რომ რომანული სამართლის პრინციპების მიხედვით, ოფერტს არ შეიძლება მიკუთვნებოდა მბოჭავი ძალა.¹ გამოუთხოვადობა მიჩნეული იყო ვალდებულებად, ვალდებულება კი არ არსებობდა მანამ, სანამ ხელშეკრულება არ დაიდებოდა. «იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინადადების მიმცემი პირობას დებდა, რომ არ გამოითხოვდა ოფერტს, ვალდებულება მაინც არ წარმოიშობოდა, რადგან პირობა გამოუთხოვადობაზე არ იყო გამყარებული საპასუხო დაკმაყოფილებით ან განხორციელებული აქცეპტით.²»
- 4 კონტინენტური ევროპის სამართალმა მოგვიანებით გააცნობიერა, რომ, თუ წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ შეიცავს პირობას გამოუთხოვადობაზე, ასეთი პირობა წარმოშობს ადრესატის მხრიდან მისადმი ნდობას. შესაბამისად, ასეთი პირობა საფუძველია ისეთი ვალდებულების წარმოშობისა, რომელიც არ არის დამოკიდებული აქცეპტის განხორციელებაზე.³

1 Nussbaum, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law Review, Vol. 36, p. 920.

2 Sacco, Formation of Contracts, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Perron, Towards a European Civil Code, 2nd edition, 1998, p. 197.

3 Nussbaum, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law

ოფერტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. სკ-ის 51 I მუხლის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ის მეორე მხარეს მიუვა.⁴ შესაბამისად, ოფერტი ძალაში შედის მაშინ, როცა ის მიდის მის ადრესატთან. ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება ოფერტის მისვლაში.

ოფერტი შესაძლოა, განხორციელდეს როგორც თანმყოფ, ისე არათანმყოფ პირებს შორის. 51 I მუხლი მხოლოდ არათანმყოფ პირთა შორის ნების გამოვლენას ანესრიგებს. ამ დროს ოფერტი ნამდვილია მისვლის, ანუ ძალაუფლების სფეროში მოხვედრისა და გაცნობის შესაძლებლობის მომენტიდან., მაგ. ოფერტი მიწოდებულ იქნა ან პირადად ადრესატისთვის, ან მისი საწარმოს ადგილსამყოფელზე, ან საფოსტო მისამართზე. არ არის აუცილებელი შეტყობინების მოხვედრა უშუალოდ ადრესატის ხელში. საკმარისია მისი მიწოდება იმ თანამშრომლისათვის, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს შეტყობინება ან შეტყობინების მოთავსება ადრესატის საფოსტო ყუთში, ასევე ადრესატის კომპიუტერით, ფაქსით ან ტელექსით მისი მიღება.⁵

თანმყოფთა შორის გაკეთებული სხეულებრივი ოფერტი ნამდვილია აქცეპტანტისათვის გადაცემის მომენტიდან, ხოლო არასხეულებრივი ოფერტი (ზეპირი თუ კონკლუდენტური) აქცეპტანტის მიერ მისი რეალურად გაგების მომენტიდან, საიდანაც დაიშვება გამონაკლისი.

ოფერტი, რომელიც მისულია ადრესატთან, ბოჭავს ოფერენტს გარკვეული დროის განმავლობაში. დროის ეს პერიოდი შეიძლება დადგინდეს ოფერენტის მიერ. თუ ის არ არის დადგენილი, მაშინ ეს პერიოდი ამოინურება იმ მომენტისთვის, როცა ოფერენტმა ჩვეულებრივი გარემოებების გათვალისწინებით პასუხი უნდა მიიღოს. ეს კი ნიშნავს, რომ დროის ამ პერიოდის გასვლამდე ოფერენტს არ შეუძლია, გამოითხოვოს თავისი წინადადება და თუ მაინც მოხდა მის მიერ ოფერტის გამოთხოვა, მას არ ექნება იურიდიული ძალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ოფერენტი წინადადებაში უთითებს მისი გამოთხოვადობის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით: „გამოთხოვადი“ ან „ვალდებულების გარეშე“, ასეთ შემთხვევაში ის უკვე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოწვევა ოფერტზე და არა ოფერტი.⁶ ამის საფუძველს კი ის გარემოება იძლევა, რომ ოფერტის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი სწორედ ბოჭვის ნებაა, შესაბამისად, შეტყობინება, რომელიც არ შეიცავს ასეთ ნებას, იურიდიული თვალსაზრისით, ითვლება არა ოფერტად, არამედ მოწვევად ოფერტზე. ოფე-

Review, Vol. 36, p. 920.

4 დანვრილებით იხ. 51-ე მუხლის კომენტარი.

5 იხ. Unidroit Principles of International Commercial Contracts with Official Commentary (1994), www.jus.uio.no/lm/unidroit.international.commercial.contracts.principles.1994.commented (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

6 Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), 2000, p. 167.

რტი ასეთ შემთხვევაში იქნება ადრესატის პასუხი, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს აქცეპტი.

- 10 ეს მუხლი განასხვავებს თანმყოფ და არათანმყოფ პირებს შორის ნების გამოვლენის შემთხვევებს.

II. ნების გამოვლენა თანმყოფი პირის წინაშე

- 11 თანმყოფ პირებში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკურად ერთმანეთის გვერდით მყოფი პირები, არამედ პირები, რომელთაც ერთმანეთთან სასაუბრო კონტაქტის დამყარება შეუძლიათ.⁷ შესაბამისად, თანმყოფ პირებს შორის ოფერტის გაკეთებაში მოიაზრება არა მარტო ის, რომ ოფერენტი იმყოფება იმავე ადგილას, სადაც მისი ადრესატი, არამედ ის შემთხვევაც, როცა ოფერენტი იყენებს მყისიერი კომუნიკაციის საშუალებებს (მაგ., ტელეფონს), რომლებიც ნების გამოვლენის მყისიერ მისვლას უზრუნველყოფენ. ასეთ დროს ოფერტი მიღებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, და თუ ეს არ მოხდება, როგორც წესი, ხელშეკრულება არ იდება.

- 12 როდესაც ხელშეკრულება იდება თანმყოფ პირებს შორის, ოფერენტის მიერ გამოვლენილი ნების მიღება ადრესატის მიერ იმავდროულად ხდება, შესაბამისად, საკითხი ოფერენტის ბოჭვისა და მის მიერ ოფერტის გამოთხოვის თაობაზე საერთოდ არ დგება. ოფერტი, რომელიც კეთდება თანმყოფ პირთან, როგორც წესი, არ შეიცავს ვადაზე მითითებას, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს აქცეპტი. ამდენად, ის ბოჭავს ოფერენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტი დაუყოვნებლივ განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულად ითვლება და მხარეები ხდებიან სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების მატარებელნი. თუ ოფერტს არ მოჰყვა დაუყოვნებლივ აქცეპტი, მაშინ ასეთი ოფერტი არ ბოჭავს ოფერენტს.

III. ნების გამოვლენა არათანმყოფ პირებს შორის

- 13 სხვაგვარადაა საქმე, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება არათანმყოფ პირებს შორის. ასეთ დროს ნების გამოვლენიდან ადრესატთან მის მისვლამდე არსებობს დროის გარკვეული შუალედი. სწორედ დროში არსებული ეს სხვაობა განაპირობებს ხელშეკრულების დადებისას ცალკეულ სტადიათა იურიდიულ მნიშვნელობას და მათი დეტალური რეგლამენტაციის აუცილებლობას.

- 14 არათანმყოფ პირებს შორის ხელშეკრულების დადებისას წამოიჭრება საკითხები, რომელთა განხილვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, კერძოდ: რა მომენტიდან იბოჭება ოფერენტი თავისი წინადადებით; რა პირობებში და რა დროის განმავლობაში შეუძლია ოფერენტს ოფერტის გამოთხოვა.

- 15 ამ დროის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ მომენტიდან შეუძლია ოფერტის ადრესატს აქცეპტის განხორციელება, რის შემთხვევაშიც ოფერენტი, საბოლოოდ, შეიბოჭება თავისი წინადადებით.

⁷ იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 330, გვ. 128.

აქცეპტის განხორციელებამდე უნდა გამოიყოს დროის ორი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელთა განმავლობაში ოფერენტის მიერ განხორციელებულ ქმედებებს განსხვავებული შედეგები მოჰყვება: 1. ოფერენტის გაგზავნიდან ადრესატთან მის მისვლამდე, 2. ადრესატთან მისვლიდან აქცეპტის განხორციელებამდე. ამ ორი ქმედების მიმართ კერძო სამართლის უნიფიკაციის აქტები ოპერირებენ ორი ტერმინით: ოფერენტის „უკან წაღება“ და ოფერენტის „გამოთხოვა“.⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოფერტი ძალაში შედის ადრესატთან მისვლის მომენტიდან, ე. ი. ამ მომენტამდე მას არა აქვს იურიდიული ძალა და, შესაბამისად, არ ბოჭავს ოფერენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოფერტის გაგზავნიდან ადრესატთან მის მისვლამდე ოფერენტი სრულიად თავისუფალია თავის ქმედებებში. კერძოდ, მას შეუძლია, საერთოდ გადაიფიქროს ხელშეკრულების დადება, რასაც იგი განახორციელებს ოფერტის უკან წაღებით, ან შეცვალოს თავდაპირველი ოფერტი ახლით. ერთადერთი პირობა არის ის, რომ ოფერტის უკან წაღება უნდა მოხდეს ნების გამოვლენის მისვლამდე ან თანადროულად.⁹ ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიმღები რეალურად ჯერ გამოხმობის წერილს ეცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ – მანამდე მისულ ოფერტს.¹⁰ იმ მომენტის მკაცრად განსაზღვრა, რომლის შემდეგაც ნება იქნება გამოუხმობადი, აუცილებელია სამართლებრივი სტაბილურობისათვის. ასეთ მომენტად ოფერტის მიმღების ძალაუფლების სფეროში მოხვედრასთან ერთად მის შესახებ შეტყობის სავარაუდო მომენტის მიჩნევა სამართლიანად ანაწილებს ნების ნამდვილობასთან დაკავშირებულ რისკებს – უზღუდავს რა ოფერენტს გამოხმობის საშუალებას, უზღუდავს ასევე მიმღებს იმაზე მითითების საშუალებას, რომ ოფერტის (ან აქცეპტის) შესახებ რეალურად მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო და ის მხოლოდ ამ მომენტიდან უნდა იყოს ნამდვილი. შესაბამისად, დაუშვებელია, მიმღებს შევუზღუდოთ ოფერტის სავარაუდო შეტყობის მომენტიდან მის ნამდვილობაზე მითითების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც ოფერტის შესახებ რეალურად მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ოფერტი გამოუთხოვადია, შეიძლება უკან იქნეს წაღებული ოფერენტის მიერ მანამ, სანამ ადრესატს მიუვა.

საკითხი ოფერტის გამოთხოვადობის შესახებ დგება ოფერტის მისვლიდან ადრესატის მიერ აქცეპტის განხორციელებამდე დროის მონაკვეთში. ამ მომენტიდან ოფერენტი შეზღუდულია თავის ქმედებებში და მან უნდა გაიაზროს, რომ ოფერტის გამოთხოვის შემთხვევაში შეიძლება მისთვის არასასურველი შედეგები დადგეს.

რა შედეგი დგება, თუ, მიუხედავად ოფერტის გამოუთხოვადი ხასიათისა, ოფერენტი მაინც გამოითხოვს მას? ამ გამოთხოვას ძალა არ ექ-

8 ბალიშვილი, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 94.

9 ნების გამოვლენი პირისადმი ამ უფლების მინიჭება გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 130 I პარაგრაფით, ვენის კონვენციის 15 II მუხლით, უნიდროას პრინციპების 2.1.3 II მუხლით.

10 შდრ. რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ. 37, 39, 47.

ნება, ანუ ის იქნება ბათილი. შესაბამისად, აქცეპტის განხორციელების შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულიად ჩაითვლება. ხოლო ოფერენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

- 21 როდესაც არათანყოფ პირებს შორის ხდება ოფერტის გაკეთება, ოფერენტი იბოჭება გარკვეული დროის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ბოჭვის ვალდებულება ქრება. ეს დრო ან პირდაპირ განისაზღვრება ოფერენტის მიერ ოფერტში (იხ. 331-ე მუხლის კომენტარი), ან, თუ ოფერტი არ განსაზღვრავს, ეს არის დრო, რომელიც გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნევა გონივრულად. 330 II მუხლით დადგენილი რეგულაციის მიზანი ოფერენტის ინტერესების დაცვაა. „ოფერტი ვალდებული არაა, უსასრულოდ ელოდოს პასუხს და ამის გამო დაზარალდეს. მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა, თუკი წინადადების ადრესატი დროულად არ გამოეხმაურება მას“.¹¹
- 22 კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს დროის კონკრეტულ ვადებს ოფერენტის ბოჭვისთვის, რადგან ყველა ურთიერთობა ინდივიდუალურია და არასამართლიანი და ხისტი გადანყვეტა იქნებოდა ყველასთვის ერთიანი რეგულაციის შემოღება.
- 23 გონივრულად საჭირო დრო, ანუ დრო, რომლის განმავლობაშიც ოფერენტს შეუძლია, „ჩვეულებრივ, დაელოდოს პასუხს“, შეფასებითი კატეგორიაა და ამ დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ოფერენტის მოლოდინი, რაც გამომდინარეობს შემდეგი ფაქტორებიდან: ა. დროიდან, რომელიც სჭირდება ოფერტს, რათა მივიდეს ადრესატამდე. ამ დროს მხედველობაში მიიღება მანძილი მხარეებს შორის, და კავშირგაბმულობის შესაბამისი საშუალებით კორესპონდენციის ერთი ბოლოდან მეორეში მისვლისა და უკან დაბრუნებისთვის საჭირო დადგენილი დრო. შესაბამისად, ჩვეულებრივ, საჭირო დრო, მნიშვნელოვანწილად, არის დამოკიდებული კავშირის იმ საშუალებებზე, რომელთაც ირჩევს ოფერენტი; ბ. დროიდან, რომელიც სჭირდება ადრესატს, რათა გააკეთოს აქცეპტი, ანუ მიიღოს გადანყვეტილება ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. აღნიშნულს განაპირობებს მომავალი ხელშეკრულების ხასიათი (მაგ., აქცეპტის განხორციელებამდე საჭიროა რთული გამოთვლები, კვლევები, კითხვების დასმა, დატესტვა-გამოცდა და შესაბამისი პასუხის მომზადება). მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში ოთხი კვირის განმავლობაში გაგზავნილი აქცეპტი ჯერ კიდევ დროულია;¹² ზინის ნასყიდობის შემთხვევაში – 6 კვირა;¹³ დაზღვევის ხელშეკრულებაში ცვლილებისათვის – 27 დღე.¹⁴ მხედველობაში მიიღება ასევე აქცეპტის გამოგზავნის ხელშემშლელი გარემოებები, რომლებიც ცნობილია ოფერენტისთვის (მაგ.: შვებულებაში ყოფნა, მკურნალობა სტაციონარში და სხვ.)

11 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 330, გვ. 132.

12 AG Pfaffenhofen VersR 07, 1113.

13 Dresd BauR 05, 599.

14 Ffm NJW-RR 86, 329.

მუხლი 331. აქცეპტი

თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში.

- I. ზოგადი.....121
- II. აქცეპტი.....121
 - 1. აქცეპტის ნამდვილობა.....121
 - 2. აქცეპტის ფორმები.....122
 - 3. აქცეპტი მოქმედებით.....122
 - 4. აქცეპტი დუმილით123
- III. აქცეპტისთვის ვადის მითითება და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა.....124

I. ზოგადი

ეს მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ოფერენტის მიერ ოფერტში აქცეპტისთვის ვადაა განსაზღვრული. განსხვავებით 330 II მუხლისგან, სადაც ოფერენტს გონივრული ვადის განმავლობაში ეკისრება ლოდინი, ამ უკანასკნელ შემთხვევაში აქცეპტანტის პასუხზე ლოდინის დრო ოფერენტის მიერვე არის განსაზღვრული ოფერტში. 1

II. აქცეპტი

1. აქცეპტის ნამდვილობა

აქცეპტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომლის შინაარსია ოფერტის ადრესატის მიერ ოფერტზე უპირობო თანხმობა. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ უთითებს იმაზე, თუ რა მომენტიდან ხდება აქცეპტი ნამდვილი, თუმცა იგი, როგორც მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, ექცევა 51-ე მუხლის მოქმედების სფეროში და ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც მიღის მის ადრესატთან, რაც გულისხმობს კონტრაქტის გავლენის სფეროში აქცეპტის მოქცევას.¹ 2

სწორედ იმ მომენტში, როდესაც აქცეპტი ნამდვილი ხდება, ანუ როდესაც ის ექცევა ოფერენტის გავლენის სფეროში, მხარეებს შორის იდება ხელშეკრულება.² აქცეპტიც (მსგავსად ოფერტისა) შესაძლოა, უკან იყოს 3

1 აღნიშნულით მიიღწევა იმ რისკების სამართლიანი გადანაწილება, რაც უკავშირდება ოფერტსა და აქცეპტს შორის არსებულ დროის შუალედს. ის, ვინც გზავნის ოფერტს და კარნახობს, თუ სად და როდის უნდა იქნეს პასუხი გაგზავნილი, კისრულობს აქედან გამომდინარე რისკების ტვირთს. კონტრაქტენტი კი, თავის მხრივ, საკუთარ თავზე იღებს იმ რისკებს, რაც მისი გავლენის სფეროშია. ამას კარგად წარმოაჩენს კლასიკური სასწავლო მაგალითი: თუ ჩიტების მოყვარული პირი არ იღებს კორესპონდენციას საფოსტო ყუთიდან იმიტომ, რომ იქ ბუდე გაიკეთა ჩიტმა, მისთვის გაგზავნილი ოფერტი მაინც ჩაითვლება მიღებულად. იხ. *Цвайзерт/Кети, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 2000, С. 57.*

2 ამ მომენტს უკავშირებენ ხელშეკრულების დადებას კერძო სამართლის უნიფიკაციის აქტებიც. მაგ., საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ გაეროს კონვენციის 23-ე მუხლი უთითებს, რომ „ხელშეკრულება დადებულიად ითვლება იმ მომენტში, როდესაც ოფერტის აქცეპტი შედის ძალაში, ხოლო 18 II მუხლის თანახმად, ოფერტის აქცეპტი შედის ძალაში, როდესაც ის მიღებულია ოფერენტის მიერ. United Nations Convention on Contracts for the International

წაღებული, ანუ არ გახდეს ნამდვილი, თუ აქცეპტანტი მას ოფერენტთან მისვლამდე, ან თანადროულად გაინვესტს უკან. ხელშეკრულების დადების მომენტიდან თითოეული მხარე იბოჭება სახელშეკრულებო პირობებით და ვალდებულია, შეასრულოს ის, რაც მან ხელშეკრულებით იკისრა.

2. აქცეპტის ფორმები

- 4 აქცეპტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირმა მიიღო ოფერტი. ის შესაძლოა, გამოიხატოს სიტყვიერად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით, ზოგჯერ დუმილითაც (იხ. 335 I). აქცეპტი გამოხატავს აქცეპტანტის მიერ ოფერტის პირობებზე თანხმობას. პასუხი ხელშეკრულების დადებაზე უნდა იყოს საკმაოდ განსაზღვრული, მისგან ნათლად უნდა გამომდინარეობდეს პირის განზრახვა, დადოს ხელშეკრულება ოფერტში მითითებული პირობებით. იმავდროულად, აქცეპტი უნდა იყოს სრული, ანუ სრულად ეთანხმებოდეს ოფერტს.
- 5 ჩვეულებრივ, აქცეპტის ფორმას განაპირობებს ოფერტის ფორმა. ანუ, თუ ოფერტი განხორციელდა წერილობით, აქცეპტიც წერილობით ხორციელდება. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ აქცეპტი ყოველთვის იმავე ფორმით განხორციელდეს, როგორცაა ოფერტი გაკეთდა. წერილობითი ოფერტი შესაძლოა, აქცეპტირებულ იქნეს, მაგ., ტელეფონით ანუ ზეპირად. მთავარია, მხარის განზრახვა მხოჭავი ხასიათის ურთიერთობაში შესვლისა ნათლად დგინდებოდეს მისი განცხადებიდან ან ქმედებიდან და გონივრულად იყოს აღქმადი მეორე მხარის მიერ.³
- 6 თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების წერილობითი ფორმაა გათვალისწინებული, მაშინ წერილობით ოფერტზე ზეპირად ან კონკლუდენტური მოქმედებით განხორციელებული აქცეპტის შემთხვევაში ფორმა დაცულად არ მიიჩნევა.

3. აქცეპტი მოქმედებით

- 7 ეს მუხლი არ აკონკრეტებს იმ შემთხვევას, როცა აქცეპტი ხორციელდება კონკლუდენტური მოქმედებით. პრაქტიკაში ხშირად წარმოიშობა ისეთი სიტუაცია, როდესაც პირი ოფერტის პასუხად იწყებს გარკვეული მოქმედების შესრულებას. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, არის თუ არა ეს მოქმედება აქცეპტი და თუ არის, რა მომენტში იდება ხელშეკრულება. ამ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია უნიფიცირებულ სახელშეკრულებო სამართალში დამკვიდრებული მიდგომების განხილვა.
- 8 თუ კანონი ან თვით ოფერტი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, კონკლუდენტური მოქმედება უნდა ჩაითვალოს აქცეპტად.⁴ მთავარია, ეს მოქმედება მოხდეს აქცეპტისთვის დადგენილი დროის გასვლამდე. იმა-

Sale of Goods, 1980. www.jus.uio.no/lm/un.contracts.international.sale.goods.convention.1980/doc.html (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

3 იხ. *Bar/Clive* (ed.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I*, 2009, p. 121.

4 იხ. *Principles of International Commercial Contracts (Unidroit Principles)*, Art. 2.1.6.(1); *The Principles of European Contract Law*, Art.2:204 (1); *Draft Common Frame of Reference (DFRC)*, art. 4:204(1).

ვდროულად, არაა აუცილებელი, ის მთლიანად შესრულდეს ამ ვადაში, საკმარისია, რომ ოფერტის ადრესატმა დაიწყო ამ ვადაში იმ მოქმედების განხორციელება, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. განსაზღვრული მოქმედების აქცეპტად კვალიფიცირებისთვის აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს კონკრეტული საქმის გარემოებები.

იმ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი ოფერტის მიმღები მხარე აქცეპტისთვის დადგენილ დროში იწყებს ხელშეკრულების შესასრულებელ მოქმედებას (მაგ.: დაიწყო იმ საქონლის მიწოდება ან წარმოება, რაც ოფერენტმა შეუკვეთა; ოფერტის პირობების შესაბამისად გადმოტვირთა პროდუქცია, შეასრულა სამუშაო, გადაიხადა ფული და ა.შ.), ის ვალდებულია, შეატყობინოს ამის თაობაზე ოფერენტს. ხელშეკრულება დადებულია ითვლება სწორედ იმ მომენტში, როდესაც ოფერენტი იგებს ამ მოქმედებების შესახებ, ანუ როდესაც შეტყობინება ექცევა მისი გავლენის სფეროში.

თუ შეტყობინება მოქმედების თაობაზე არ მიდის ოფერენტთან აქცეპტისთვის დაწესებული ვადის განმავლობაში, მაშინ აუცილებელია, აქცეპტანტის ნათლად, აშკარად გამოხატული თანხმობა. შესრულების დაწყება არის აქცეპტანტის რისკზე.⁵

თუ ოფერტიდან ან მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკიდან თუ ჩვეულებიდან გამომდინარეობს, რომ ოფერტის ადრესატს შეუძლია, აქცეპტი განახორციელოს მოქმედების დაწყებით ისე, რომ არ შეატყობინოს ამის თაობაზე ოფერენტს, მაშინ ხელშეკრულება დადებულია ითვლება იმ მომენტში, როდესაც იწყება მოქმედების შესრულება.⁶

4. აქცეპტი დუმილით

დუმილი ან უმოქმედობა იმ მხარის მხრიდან, რომელმაც მიიღო ოფერტი, როგორც წესი, არ წარმოადგენს აქცეპტს. თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები ამ წესიდან. სსკ ითვალისწინებს საქმიან ურთიერთობებში (334-ე მუხლი), ასევე მენარმეთა შორის (335-ე მუხლი) დუმილით ხელშეკრულების დადებას. დანვრილებით იხილეთ შესაბამისი მუხლების კომენტარები).

თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის როგორც თეორიის, ასევე პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს სხვა შემთხვევებიც, როცა აქცეპტი დუმილით ხორციელდება. არ არის საჭირო აქცეპტის გაკეთება, როდესაც ის გამომდინარეობს ოფერტის ადრესატის მიერ მანამდე გაკეთებული განცხადებიდან, მაგ., ოფერტზე მონვევიდან; ან, როდესაც მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკიდან თუ საქმიანი ბრუნვის ჩვეულებიდან გამომდინარე, შესაძლოა, დუმილი მიჩნეულ იქნეს აქცეპტად; შესაძლოა, მხარეთა ჩარჩო შეთანხმებიდან გამომდინარეობდეს ის, რომ მხარის დუმილი მისადმი გაკეთებულ ოფერტზე ჩაითვლება აქცეპტად.⁷ ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც წინარე მოლაპარაკების ფარგლებში ზუსტად შეთანხმეს ოფერტის პირობები და, ზოგადად, თუ ეს გამომდინარეობს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან.

5 იხ. *Bar/Clive* (ed.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009*, p. 124.

6 იხ. იქვე.

7 *Bar/Clive* (ed.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009*, p. 122.

- 14 დაუშვებელია ანალოგიური შედეგის დადგომა იმ სიტუაციაში, როდესაც ოფერენტი თავის ოფერტში უთითებს, რომ ადრესატის დუმილს ჩათვლის თანხმობად. ასეთი ცალმხრივი განაცხადი არ იწვევს ხელშეკრულების დადებას, რადგან ოფერტის ადრესატი სრულიად თავისუფალია თავის ქმედებებში, რაც იმას მოიაზრებს, რომ მას არა მარტო შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ოფერტი, არამედ საერთოდ იგნორირება გაუკეთოს მას.⁸ შეუკვეთავი პროდუქციის დაგზავნისას მიმღების დუმილი ასევე არ ჩაითვლება აქცეპტად.
- 15 დუმილით აქცეპტის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც აღინიშნა, შეიძლება კანონიდან გამომდინარეობდეს. სსკ-ის 605-ე მუხლის თანახმად, სამ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, თუ ერთი მხარის წინადადებაზე – გაგრძელდეს საიჯარო ურთიერთობა, მეორე მხარე უარს არ იტყვის სამი თვის განმავლობაში.
- 16 დუმილით აქცეპტისაგან უნდა გაიმიჯნოს ის შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება დადებულად ითვლება ოფერტზე აქცეპტის გაკეთებით ისე, რომ აუცილებელი არ არის, ოფერენტს შეატყობინონ აქცეპტის შესახებ, თუ ასეთი განცხადება არ არის მოსალოდნელი სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე, ან ოფერენტმა უარი თქვა მასზე (§ 151 გსკ). აქ ხელშეკრულება იდება არა დუმილით, არამედ აქცეპტის მისვლის (და არა გამოხატვის) გარეშე.

III. აქცეპტისთვის ვადის მითითება და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა

- 17 პირი, რომელმაც გააკეთა წინადადება, სადაც მიუთითა პასუხისთვის დრო, შეზღუდულია მთელი ამ დროის განმავლობაში. ამ დროის ამონურვამდე მას არ შეუძლია, გამოითხოვოს ან შეცვალოს თავისი ოფერტი.
- 18 ოფერტში დროის დაწესება ასევე მნიშვნელოვანი გზავნილია ოფერტის ადრესატისთვის, რომელმაც იცის, რომ მხოლოდ ამ დროში განხორციელებულ აქცეპტს ექნება ძალა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.
- 19 თუ ოფერენტი იღებს ამ ვადაში აქცეპტს, ხელშეკრულება იდება. თუ არ მიიღებს, წყდება ოფერტის მბოჭავი ძალა და ოფერენტი თავისუფლდება იმ ვალდებულებიდან, რომელიც მან იკისრა თავისი წინადადებით.
- 20 ოფერენტის მიერ ვადის განსაზღვრა შესაძლოა, მოხდეს როგორც კონკრეტული თარიღის ან დღის, ასევე დღის გარკვეული პერიოდის მითითებით. აქცეპტში შესაძლოა, ასევე მიეთითოს დღის გარკვეული მონაკვეთიც. მაგ.: „დღის ბოლომდე“, „დღის პირველ ნახევარში“. ვადების გამოთვლისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 122-ე-127-ე მუხლები.

⁸ იხ. Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments. <http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294>, Art 2.1.6 (1), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DFRC)., prepared by Study Group on a European Civil Code and the Research Group on the Existing EC Private Law (Acquis Group)., Christian von Bar/Eric Clive/Hans Schulte-Nolke and Hugh Beale/Johnny Herre/Jérôme Huet/ Peter Schlechtriem/ Matthias Storme/Stephen/Swann/Paul Varul/Anna Veneziano /Fryderyk Zoll (eds), 4:204 (2).

მაგ., თუ დღეების მიხედვით განსაზღვრულ ვადაში ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ბოლო დღედ უნდა ჩაითვალოს მომდევნო სამუშაო დღე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვადა დროის გარკვეული პერიოდით განისაზღვრება, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, თუ როდიდან იწყებს ეს ვადა ათვლას. კანონი არ მიუთითებს ამის თაობაზე. იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული შეხედულების თანახმად, საექვოობისას, ვადის ათვლა იწყება ოფერენტის მიერ ნების გამოვლენის მომენტიდან, რომელიც, როგორც წესი, განცხადების ტექსტში მითითებული ვადიდან ათვლდება და არა ოფერენტის ნამდვილობის მომენტიდან. ასეთი მიდგომა ოფერენტის ინტერესების დაცვიდან უნდა გამომდინარეობდეს.⁹

უნიდროას პრინციპები პირდაპირ უთითებს, რომ ოფერტში აქცეპტის განხორციელებისთვის მითითებული ვადა დენას იწყებს ოფერტის გაგზავნის მომენტიდან. გაგზავნის მომენტად კი მიიჩნევა თარიღი (დრო), რომელიც მითითებულია ოფერტში, თუ გარემოებები სხვა რამეზე არ უთითებენ.¹⁰ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ვადის დენა ათვლას იწყებს იმ მომენტში, როდესაც ოფერტი ტოვებს ოფერენტის გავლენის სფეროს. მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გაგზავნის მომენტი არის ოფერტში მითითებული თარიღი. მაგ.: წერილის შემთხვევაში ეს არის წერილზე მითითებული თარიღი; ელექტრონული მიმონერისას – ოფერენტის სერვერის მიერ მითითებული გაგზავნის დრო. მაგრამ ეს პრეზუმფცია შესაძლოა გაბათილდეს, თუ გარემოებები სხვა რამეზე მიუთითებენ. მაგ.: თუ ფაქსით გაგზავნილ წერილზე მითითებული თარიღი უფრო ადრინდელია, ვიდრე ფაქსის აპარატის მიერ მითითებული გაგზავნის თარიღი. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წერილში მითითებულ თარიღს.¹¹

როდესაც ოფერტში აქცეპტისთვის ვადაა დაწესებული, ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იდება, თუ აქცეპტი ამ ვადაში განხორციელდება. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება არა აქცეპტის გამოგზავნის თარიღს, არამედ ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღების თარიღს. ამიტომ ოფერტის ადრესატმა, თუ მას სურს ხელშეკრულების დადება, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ აქცეპტი გარკვეული დროით ადრე ისეთი გათვლით გააგზავნოს, რომ მან მიაღწიოს ოფერენტამდე იმ ვადის ფარგლებში, რომელიც ოფერტითაა დაწესებული.

თუ ამ ვადაში ოფერენტი აქცეპტს არ მიიღებს, ოფერტი ქარწყლდება. ოფერენტი უკვე არ იბოჭება თავისი წინადადებით. ვადის გასვლის შემდეგ მიღებული თანხმობა იქნება ახალი ოფერტი (იხ. 332-ე და 333-ე მუხლები შესაბამისი კომენტარით).

9 იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 331, გვ. 135, მით. Staudinger/Bork, 148, Rn 3. MunchKomm – Kramer, § 148, Rn. 3.

10 იხ. პრინციპების 2.1.8 მუხლი, Unidroit Principles of International Commercial Contracts with Official Commentary (1994).

11 Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments. <http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsid=109294> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

მუხლი 332. დაგვიანებული აქცეპტი

თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა, აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, აქცეპტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად, თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ.

- I. რეგულაციის მიზანი. დაგვიანებით მიღებული აქცეპტით ხელშეკრულების დადება – გამონაკლისი ზოგადი წესიდან126
- II . გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები.....126
- III. დაგვიანებით მისული აქცეპტის სამართლებრივი შედეგები.....127

I. რეგულაციის მიზანი. დაგვიანებით მიღებული აქცეპტით ხელშეკრულების დადება – გამონაკლისი ზოგადი წესიდან

- 1 იმისათვის, რომ აქცეპტი ნამდვილი იყოს და, შესაბამისად, ხელშეკრულება დაიდოს, აუცილებელია, აქცეპტი ოფერენტთან მივიდეს ოფერტში ფიქსირებული დროის, ხოლო ასეთის არარსებობისას, გონივრული დროის განმავლობაში. ზოგადი წესის თანახმად, დაგვიანებით მიღებული აქცეპტი არ არის იურიდიული ძალის მქონე და, შესაბამისად, არ იწვევს ხელშეკრულების დადებას.
- 2 თუმცა ამ წესის ყველა შემთხვევის მიმართ გამოყენება, საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინების გარეშე, არასამართლიან შედეგს დააყენებს ოფერტის ადრესატისთვის. შესაძლოა, დადგეს ისეთი შემთხვევა, როცა აქცეპტი დროულად არის გაგზავნილი, თუმცა აქცეპტანტისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაგვიანებით აღწევს ოფერენტთან. დამოუკიდებელ მიზეზებში მოიაზრება აქცეპტის მინოდებასთან დაკავშირებული მოულოდნელი შეფერხებები. ასეთ შემთხვევაში ოფერტის ადრესატის ნდობა აქცეპტის დროულად მისვლისადმი იმსახურებს სამართლებრივ დაცვას.¹
- 3 332-ე მუხლი ადგენს სწორედ ამ გამონაკლისის ზოგადი წესიდან და დაგვიანებით მისული აქცეპტის სამართლებრივ შედეგებს უქვემდებარებს აქცეპტის დროულად გაგზავნის ფაქტს. ხელშეკრულების დადების ეს წესი, როგორც აღინიშნა, მიზნად ისახავს იმ პირის ინტერესის დაცვას, რომლის მიმართაც განხორციელდა ოფერტი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, 331-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა.

II . გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები

- 4 332-ე მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია შემდეგი ორი წინაპირობის არსებობა: 1. დაგვიანება უნდა იყოს გამოწვეული ისეთი გარემოებებით, რომლებიც ეხება მესამე პირთა საქმიანობის სფეროს (ფოსტა, ტე-

1 Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments, Art 2.1.9 (2), <http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

ლეგრაფი და ა.შ.);² 2. აქცეპტიდან უნდა ირკვეოდეს, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, ე.ი. ოფერენტს აქცეპტის მიღებისას ხელთ უნდა ჰქონდეს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ იგი გონივრულ დროს იყო გამოგზავნილი (მაგ., კონვერტზე არსებული შტამპი) და რომ არა გარეშე ხარვეზი (მაგ., ფოსტის გაუმართავი მუშაობა, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილის დაყოვნება რომელიმე სერვერზე და ა.შ.), დროულად მივიდოდა ადრესატამდე. ოფერენტისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ აქცეპტი გამოგზავნა კეთილსინდისიერმა პირმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ხელშეკრულება დადებულიყო.

III. დაგვიანებით მისული აქცეპტის სამართლებრივი შედეგები

დაგვიანებული აქცეპტი მანამ ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, სანამ ოფერენტი დაუყოვნებლივ არ აცნობებს მეორე მხარეს აქცეპტის დაგვიანებით მისვლის თაობაზე. ოფერენტის დუმილი გულისხმობს იმას, რომ მან პასუხი ვადაში მიიღო, ასეთი დაგვიანებული აქცეპტი ძალის მქონედ, ანუ ნამდვილ აქცეპტად ითვლება და ხელშეკრულება დადებულიად მიიჩნევა. ეს რეგულაცია სრულიად გამართლებულია აქცეპტანტის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელმაც, როგორც წესი, არ იცის პასუხის დაგვიანებით მისვლის შესახებ და, შესაბამისად, კეთილსინდისიერად სჯერა, რომ ხელშეკრულება დადებულია.

მაგალითი:

ნინო ოფერტში უთითებს, რომ აქცეპტის განხორციელების ბოლო დღეა 15 ოქტომბერი. ოფერტის ადრესატმა მაიამ იცის, რომ წერილის მიწოდებას ფოსტით სჭირდება სამი დღე, ამიტომ ის აგზავნის აქცეპტს 9 ოქტომბერს. ფოსტაში მომხდარი გაფიცვის გამო წერილი, რომლის კონვერტზეც აწერია 9 ოქტომბერი, მიდის ნინოსთან 18 ოქტომბერს. აქცეპტი ნამდვილია, თუ ნინო (ოფერენტი) დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს მაიას (აქცეპტანტს) აქცეპტის დაგვიანების თაობაზე. ნინოს დუმილის შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულია.

იმავდროულად, ოფერენტის ინტერესებიც საჭიროებს სამართლებრივ დაცვას. კანონი ვერ დაავალდებულებს ოფერენტს დადოს ხელშეკრულება აქცეპტის დაგვიანებით მისვლისას, თუ ეს მის ინტერესებში უკვე არ შედის. ამდენად, მიუხედავად აქცეპტანტის ბრალის არარსებობისა, ოფერენტს შეუძლია, დაუყოვნებლივ აცნობოს მას აქცეპტის დაგვიანებით მისვლის თაობაზე, რა დროსაც აქცეპტი დაკვალიფიცირდება დაგვიანებულად (შესაბამისად, ახალ ოფერტად, 333 I მუხლი) და ხელშეკრულება არ დაიდება. თუმცა შესაძლოა, მაინც დაიდოს, თუ ამ ახალ ოფერტს მოჰყვება აქცეპტი.

2 ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დაგვიანება არ უნდა იყოს გამოწვეული პასუხის გადაცემის მიზნით აქცეპტანტის მიერ შემთხვევით გამოყენებული პირების ბრალით (ნაცნობები, ბავშვები და ა.შ.). იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 132, გვ. 139, მით. Soergel/Wolf, 149, Rn. 3.

მაგალითი:

- 8 ფაქტები იგივეა, რაც წინა მაგალითში. რადგან მითითებულ ვადაში პასუხს არ იღებს, წინა 16 ოქტომბერს ოფერტს სხვა პირს უკეთებს, რომელთანაც მეორე დღესვე იღება ხელშეკრულება. 18 ოქტომბერს იღებს რა პასუხს მაიასაგან, წინა დაუყოვნებლივ ატყობინებს მას აქცეპტის დაგვიანების თაობაზე. შესაბამისად, მათ შორის ხელშეკრულება არ იდება.
- 9 თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს (შეტყობინება არის ცალმხრივი არამიღებასავალდებულო გარიგებისდარი მოქმედება) მეორე მხარეს, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება და იგი ვალდებული იქნება, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას დაეკისრება ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
- 10 რაც შეეხება დაუყოვნებლივ შეტყობინებას, ეს უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე (გათვალისწინებული უნდა იყოს ოფერენტის საქმისწარმოების ორგანიზაცია, დასვენების დღეები და ა.შ.). იმავედროულად, სანამ საპირისპირო არ დადასტურდება, ითვლება, რომ ოფერენტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა, ანუ დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ აქცეპტანტს.
- 11 შესაძლოა, დადგეს ისეთი შემთხვევა, როდესაც აქცეპტი დროულად არის გამოგზავნილი, თუმცა დაგვიანებით მიდის ოფერენტთან იმის გამო, რომ აქცეპტანტმა არასწორად მიუთითა ოფერენტის მისამართი. მიუხედავად იმისა, ფიგურირებს თუ არა აქცეპტანტის ბრალი ამ შეცდომაში, მას აწვევა უარყოფითი შედეგების რისკი და, ამდენად, ასეთი შემთხვევა ვერ მოექცევა 332-ე მუხლის რეგულაციის ქვეშ და ის უნდა გადაწყდეს 333-ე მუხლის შესაბამისად. მაგრამ თუ აქცეპტანტის მიერ მისამართის არასწორი მითითება ოფერენტის ბრალით იყო გამოწვეული (მან მიანოდა არასწორი მისამართი), ასეთ შემთხვევაში დაგვიანებით მიღებული აქცეპტით უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადება.
- 12 საინტერესოა ასევე სიტუაცია, როდესაც აქცეპტანტი იყენებს კომუნიკაციის სხვა საშუალებას და არა იმას, რითაც ოფერტი განხორციელდა. მაგ., ოფერტი იყო გაგზავნილი ფოსტით, ხოლო პასუხის გაცემა მოხდა სხვა საშუალებით, კერძოდ, ელექტრონული ფოსტით. მიუხედავად იმისა, რომ პასუხი დროულად გაიგზავნა, სერვერზე არსებული ხარვეზის გამო დაყოვნდა მისი დროული მისვლა. მიზანშეწონილია, რომ ეს შემთხვევაც მოექცეს 332-ე მუხლის რეგულაციის ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფერენტმა პირდაპირ მიუთითა, რომ პასუხს კომუნიკაციის იმავე საშუალებებით დაელოდებოდა. კომუნიკაციის საშუალების შეცვლამ არ უნდა დააყენოს აქცეპტანტის ინტერესებისთვის საზიანო შედეგები, თუ ის კეთილსინდისიერად იმედოვნებდა, რომ ამ საშუალებით პასუხის დროულ მიწოდებას არაფერი დააყოვნებდა. რა თქმა უნდა, მტკიცების ტვირთი არის მასზე.

მუხლი 333. ახალი ოფერტი

1. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად.

2. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, – ახალ წინადადებად

- I. ახალი ოფერტის არსი, მნიშვნელობა.....129
- II. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული პასუხი (ახალი ოფერტი).....129
- III მოდიფიცირებული აქცეპტი131

I. ახალი ოფერტის არსი, მნიშვნელობა

ეს მუხლი ითვალისწინებს ორ შემთხვევას – როდესაც ოფერტზე პასუხი ტრანსფორმირდება ახალ ოფერტად და მხარეები ცვლიან ადგილებს: ერთ შემთხვევაში, ეს ხდება მაშინ, როდესაც ოფერტი დაგვიანებით მიდის ოფერენტთან; მეორე შემთხვევაში მაშინ, როდესაც ოფერტის ადრესატი გამოთქვამს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე, მხოლოდ სხვა პირობებით. რეგულაციის მიზანი არის მხარეთა კერძო ავტონომიის დაცვა. 1

II. ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული პასუხი (ახალი ოფერტი)

თუ აქცეპტი ოფერენტს მისდის დაგვიანებით და ეს ხდება აქცეპტანტის ბრალით, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება არ იდება. 2

დაგვიანების მიზეზს ამ დროს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, რომ უკვე გავიდა ის დრო, რომლის განმავლობაშიც ოფერენტი ელოდებოდა პასუხს.¹ ოფერენტის ბოჭვა გრძელდება მხოლოდ ამ დროის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ ოფერტი ქარწყლდება და, შესაბამისად, წყდება მისი მბოჭავი ძალაც. 3

დაგვიანებული აქცეპტი განიხილება, როგორც ახალი ოფერტი (აქცეპტანტი ხდება ოფერენტი) და, საბოლოოდ, ხელშეკრულების დადება დამოკიდებული ხდება ყოფილი ოფერენტის, ამჟამად უკვე პოტენციური აქცეპტანტის, ნებაზე. ამ უკანასკნელის მიერ ახალ ოფერტზე თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში იდება ხელშეკრულება.² 4

1 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 333, გვ. 140.

2 სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოქმედ უნიფიკაციის აქტებშიც განმტკიცებულია პრინციპი, რომლის თანახმად, დაგვიანებულ აქცეპტს არ აქვს ძალა და არ იწვევს ხელშეკრულების დადებას. თუმცა ოფერენტს შეუძლია, ასეთი დაგვიანებული აქცეპტი მიიჩნიოს დროულად და, შესაბამისად, ნამდვილად, თუ ის დაუყოვნებლივ შეატყობინებს აქცეპტანტს ამ განზრახვის თაობაზე. თუ ოფერენტი იღებს უპირატესობას ამ შესაძლებლობიდან, მაშინ ხელშეკრულება დადებულია ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაგვიანებული აქცეპტი მასთან აღწევს, და არა იმ მომენტიდან, როდესაც ოფერენტი ატყობინებს მეორე მხარეს დაგვიანებული აქცეპტის ნამდვილად მიჩნევის თაობაზე. იხ. Draft Common Frame of Reference (DFRC), 4:207 (1); United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, 1980, Art.

- 5 **მაგალითი:** დავითი ნინოს ჩვეულებრივი ფოსტით უგზავნის ოფერტს და სთხოვს, რომ პასუხი შეატყობინოს 31 იანვრამდე. ნინომ იცის, რომ ფოსტით ადრესატამდე წერილის მისვლას სჭირდება სამი დღე, მიუხედავად ამისა, ის პასუხს გზავნის 30 იანვარს, რომელიც ადრესატთან მიდის 2 თებერვალს. ამ შემთხვევაში ოფერტს მბოჭავი ძალა ჰქონდა მხოლოდ 31 იანვრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ოფერტი გაქარწყლდა. 2 თებერვალს მისული ანუ დაგვიანებული აქცეპტი არ ინვეს ხელშეკრულების დადებას. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ოფერენტის სურვილის შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია ხელშეკრულების დადება. ამ ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული აქცეპტი უკვე არის ახალი ოფერტი და ხელშეკრულების დადება ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებული ხდება უკვე დავითის თანხმობაზე. ანუ, ნინო ხდება ოფერენტი, ხოლო დავითი აქცეპტანტი.
- 6 ჩვეულებრივ, აქცეპტი გამოიხატება ოფერტის პირობებზე მარტივი თანხმობის განცხადებით. არ აქვს მნიშვნელობა, დროული იყო იგი თუ დაგვიანებული. ამიტომ, როდესაც საუბარია დაგვიანებულ აქცეპტზე, როგორც ახალ ოფერტზე, ჩნდება კითხვა – ეს მარტივი თანხმობა რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ოფერტად, არის თუ არა ის იმდენად განსაზღვრული, რომ ხელშეკრულების დასადებად საკმარისი იყოს ყოფილი ოფერენტის (ამჯერად აქცეპტანტის) მარტივად განხორციელებული თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, თავდაპირველი ოფერტის პირობებს განიხილავენ ახალი ოფერტის შინაარსის შემადგენელ ნაწილად.³

III მოდიფიცირებული აქცეპტი

- 7 ხელშეკრულება იდება, თუ პასუხი ოფერტზე გამოხატავს ზუსტ თანხმობას მასში არსებულ პირობებზე. თუ პასუხში გამოთქმულია თანხმობა, ოღონდ სხვა პირობებით, ეს უკვე არის არა აქცეპტი, არამედ უარი ოფერტზე და, იმავდროულად, ახალი წინადადება.
- 8 მუხლის ეს ნაწილი მოიაზრებს შემდეგ შემთხვევებს: მხარე, რომელიც არის წინადადების (ოფერტის) ადრესატი, სთავაზობს: ა. ხელშეკრულებაში ახალი პირობების შეტანას; ბ. ხელშეკრულებიდან გარკვეული პირობების ამოღებას, ან/და გ. თავდაპირველად შეთავაზებული პირობების ფორმულირების შეცვლას. მომსახურების პირობების გაუმჯობესებისა თუ აქცეპტის ვადის გადანევის თხოვნა არ ექცევა ამ ნაწილის მოქმედების სფეროში, თუ ნათელია მხარის ნება, უკიდურეს შემთხვევაში თავდაპირველი პირობებითაც დადოს ხელშეკრულება, ან ოფერტის მიღების ვადის გასვლამდე კიდევ ერთხელ დაფიქრდეს შემოთავაზებაზე.
- 9 აქცეპტის მოდიფიკაციისას მხარეები ცვლიან ადგილებს: მხარე, რომელიც აგზავნის წინადადებას ახალი პირობებით ხელშეკრულების დადების შესახებ, ხდება ოფერენტი, ხოლო ყოფილი ოფერენტი იკავებს აქცეპტანტის

21(1); UNIDROIT Principles of International Commercial Contracts., Art. 2.1.9(1); უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარია სწორედ იმ შემთხვევაზე, როდესაც დაგვიანება ხდება აქცეპტანტის ბრალით.

3 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 333, გვ. 141.

ნტის ადგილს და უკვე მასზეა დამოკიდებული, დაიდება თუ არა ხელშეკრულება. შესაბამისად, ასეთი პასუხი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ პირობას, რაც ოფერტს სჭირდება. რადგან ასეთი პასუხი შეიცავს არსებით პირობებს და ხელშეკრულების დადების ნებას ამ ახალი პირობებით, იგი მიიჩნევა ახალ ოფერტად.

აქცეპტანტის მიერ შეცვლილი პირობები შესაძლოა, ეხებოდეს: ხელშეკრულების საგანს, მისანოდებელი საქონლის, მომსახურების ან შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას და ფასს, შესრულების დროსა და ადგილს, პასუხისმგებლობის ფარგლებს, დავის გადაწყვეტას და ა.შ.⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუხლის ამ ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი დგება, მიუხედავად იმისა, ცვლილება ეხება *essentialia negotii*-ს თუ *accidentalialia negotii*-ს. ანუ, ოფერტის ნებისმიერი პირობის ცვლილება ინვეს აქცეპტის გარდაქმნას ახალ ოფერტად. თუ ოფერენტი დებს კონკრეტულ პირობას ოფერტში და ეს ნამდვილად პირობაა და არა მხოლოდ განმარტება ან არჩევანის შეთავაზება (მაგ., შემძღვია მოგანოდო 10-იდან 15 ტონამდე პროდუქცია), ის 327 II მუხლიდან გამომდინარე, არსებითი პირობაა და ოფერენტს სურს, მასზე შეთანხმება იქნეს მიღებული. შესაბამისად, ასეთი პირობის ცვლილება უნდა ინვეს აქცეპტის მოდიფიკაციას. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარეობს 330 II მუხლის რეგულაცია.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ აქცეპტანტი ახორციელებს არარსებით, უმნიშვნელო ცვლილებებს ან დამატებებს. ამ რეგულაციით (333 II მუხლი) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგისთვის არ აქვს მნიშვნელობა განხორციელებული ცვლილების მოცულობას, ხარისხს. რაც არ უნდა არაარსებითი ხასიათის იყოს ცვლილება, ის მაინც უშლის ხელს ხელშეკრულების დადებას.⁵ 327 I, II მუხლის მიხედვით, პირობა, რომელსაც ოფერენტი ოფერტში დებს, ისე, რომ არ ანიჭებს მას მხოლოდ „სარეკომენდაციო“, „არამოქაჯ“ და ა. შ. ხასიათს, არსებითია. 333 II მუხლი უნარჩუნებს მას უფლებას, თავად გადაწყვიტოს, უარი თქვას თუ არა ამ პირობაზე იმგვარად, რომ ამ პირობის ცვლილება ჩაითვალოს ახალ ოფერტად და უკვე ყოფილი ოფერენტის გადასაწყვეტი იყოს, მიიღებს თუ არა მას. ამ გადაწყვეტის შეტრიალება იმგვარად, რომ 327 I, II მუხლისაგან დამოუკიდებლად, რაიმე სხვა კრიტერიუმით, გადაწყვიტოთ, თუ რა ჩაითვლება არსებითად და არაარსებითად, ამ არარსებითი პირობის მიუხედავად,

4 საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ გაეროს კონვენციის 19(3) მუხლი აკეთებს იმ პირობათა ჩამონათვალს, რომელთა ცვლილებაც მიიჩნევა არსებითად. მათ შორისაა საქონლის ფასი, გადახდის ფორმატი, ხარისხი და რაოდენობა, მიწოდების დრო და ადგილი, მხარის პასუხისმგებლობის ფარგლები, დავის გადაწყვეტის წესი. აღნიშნულ ტექნიკას არ ითვალისწინებს უნიდროას პრინციპები, რეფერენციათა ერთიანი ჩარჩო პროექტი, ევროპის სახელმწიქროლებო სამართლის პრინციპები. მათი რეგულაციის სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე გაეროს კონვენციისა. ხელშეკრულებათა სახეებისა და ფაქტობრივი გარემოებების ასეთი მრავალფეროვნებისას მსგავს ჩამონათვალს ექნებოდა მხოლოდ ილუსტრაციის სახე. *Bar/Clive* (ed.), *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I*, 2009, p. 129.

5 აღნიშნულით სკ იზიარებს ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში (მაგ.: გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი) დადგენილ ე.წ. სარკის წესის ანუ სრული შეთანხმების პრინციპს.

აქცეპტი მაინც აქცეპტად ჩაითვალოს და ოფერენტი დავავალდებულოთ, უარყოს ის, თუ არ სურს ხელშეკრულების დადება, არასწორია. გარდა ამისა, ეს გადანყვეტა არასწორი იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ, თუ ამ ე.წ. „არარსებითი“ პირობით მოდიფიცირებული თანხმობა აქცეპტია, გარიგება იდება და ოფერენტს აღარ უნდა ჰქონდეს მისი უარყოფის შესაძლებლობა.

- 13 შესაძლოა, მოდიფიკაცია მოქმედებით განხორციელდეს, ანუ აქცეპტი მოქმედებით შესაძლოა, შეიცავდეს შეცვლილ ან დამატებით პირობებს. მაგ., აქცეპტანტი აგზავნის გაცილებით ნაკლები ოდენობის საქონელს, ვიდრე ოფერტში იყო მითითებული. ასეთ შემთხვევაში ოფერენტზე არის დამოკიდებული, მიიღებს თუ არა ასეთ მოქმედებას (ახალ ოფერტს). ამ შემთხვევაში ყოფილი ოფერენტის (უკვე აქცეპტანტის) თანხმობა შესაძლოა, განხორციელდეს მის მიერ ამ ნაკლები ოდენობის საქონლის მიღებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება დაიდო.
- 14 როგორც აღინიშნა, აქცეპტანტის მიერ სახელშეკრულებო პირობების შეცვლისას ხელშეკრულების დადება დამოკიდებული ხდება ყოფილი ოფერენტის თანხმობაზე, რომელიც შესაძლოა, გამოიხატოს მოქმედებითაც.
- 15 მაგალითი: „ქვანახშირი“ ოფერტს უკეთებს „გემთმშენებელს“, რომლის მიხედვითაც მას სთავაზობს 30 ტონა ქვანახშირის შეძენას, განსაზღვრულ ფასად და ნაწილ-ნაწილ მიწოდებით. კონტრაქტის ერთი პუნქტი განსაზღვრავს სასამართლო იურისდიქციას. „გემთმშენებელი“ აბრუნებს კონტრაქტს, სადაც ამოღებულია პუნქტი დავის სასამართლოს გზით მონესრიგების თაობაზე და მის ნაცვლად მითითებულია არბიტრაჟი. ამ მოდიფიცირებული პასუხის მიღების შემდეგ „ქვანახშირი“ იწყებს პირველი პარტიის მიწოდებას, რომელსაც „გემთმშენებელი“ იღებს. მეორე პარტიის მიწოდების დაწყებამდე ხდება ქვანახშირის საბაზრო ფასის მკვეთრი აწევა, რის გამოც „ქვანახშირს“ სურს, თავი აარიდოს ხელშეკრულების შესრულებას იმაზე მითითებით, რომ მას არასოდეს მოუხდენია „გემთმშენებლის“ მიერ მოდიფიცირებულ აქცეპტზე თანხმობა. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება დადებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ნათელია, რომ „ქვანახშირმა“ აქცეპტი სწორედ მოქმედებით, კერძოდ, პირველი პარტიის მიწოდებით განახორციელა.

მუხლი 334. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი

თუ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა, ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინვე არ განაცხადებს უარს.

- I. მოქმედების სფერო134
- II. გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები.....134
 - 1. მხარეთა შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა134
 - 2. აქცეპტანტის ვარაუდი ოფერენტის თანხმობის თაობაზე135
 - 3. ოფერენტის დუმილი.....136

I. მოქმედების სფერო

ეს მუხლი არის გამონაკლისი 333 II მუხლით დადგენილი ზოგადი წესიდან, რომლის თანახმად, მოდიფიცირებული აქცეპტი არ ინვესტს ხელშეკრულების დადებას, რამეთუ აქცეპტი უნდა გამოხატავდეს ზუსტ თანხმობას ოფერენტის პირობებზე. 1

334-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი კი ითვალისწინებს შეცვლილი პირობებით ხელშეკრულების დადებას. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები იმყოფებიან საქმიან ურთიერთობებში. მხარეთა შორის დამკვიდრებული საქმიანი კონტაქტები, რომლებიც, გარკვეულწილად, ურთიერთობის მათ შორის ჩამოყალიბებულ პრაქტიკას ემყარება, იძლევა იმის საშუალებას, რომ აქცეპტი ოფერენტისგან განსხვავებულ პირობებს ადგენდეს და, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება დაიდოს. წესი მოქმედებს მხოლოდ არათანმყოფ პირთა შორის ტექსტობრივი ფორმით გაკეთებული მოდიფიცირებული აქცეპტის შემთხვევაში. თანმყოფ პირთა შორის ის, რა თქმა უნდა, არ მოქმედებს. 2

II. გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები

მუხლი ადგენს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია შეცვლილი პირობებით ხელშეკრულების დადება. რეგულაციის მიზანია აქცეპტანტის კეთილსინდისიერი მოლოდინის, ასევე მხარეების დაცვა ზედმეტი ფორმლობებისგან, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივეს. 3

1. მხარეთა შორის არსებული საქმიანი ურთიერთობა

საქმიანი ურთიერთობა პირთა შორის კონტაქტების განვითარების მრავალმხრივ პროცესს მოიაზრებს. ასეთი ურთიერთობის მონაწილე მხარეები უმეტეს შემთხვევაში მენარმეები არიან და გარიგებებიც კომერციულ ხასიათს ატარებს, თუმცა შესაძლოა, მხარე არ იყოს მენარმე და ურთიერთობა ეხებოდეს ეკონომიკური გარიგებების სხვა ტიპებს, როგორებიცაა მაგ.: საკონცესიო შეთანხმებები, პროფესიული მომსახურების განვითარების ხელშეკრულებები და სხვა. 4

- 5 ეს ურთიერთობები ჩვეულებრივისგან იმით განსხვავდება, რომ ის წარმოიშობა საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში და მოიცავს ურთიერთკავშირისა და ზემოქმედების განგრძობად, ხანგრძლივ პროცესს, რომლის მიზანია გარკვეული რეზულტატის მიღწევა. საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ ურთიერთობის გარკვეული ტრადიცია.
- 6 სწორედ ამიტომ გარიგების დადება მხოლოდ ერთხელ ვერ იქნება მიჩნეული საქმიან ურთიერთობად. ანალოგიურ მიდგომას ავითარებს უზენაესი სასამართლო, რომელიც თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „მხარეთა შორის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი საიჯარო ხელშეკრულება. 334-ე მუხლი კი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა არსებობს, ანუ მათ შორის რამდენჯერმე უკვე იყო დადებული ხელშეკრულება მსგავს ურთიერთობებზე და ბოლო ხელშეკრულება იდება განსხვავებული (შეცვლილი) პირობებით აქცეპტანტის მხრიდან და ამას მეორე მხარე (ოფერენტი) ეთანხმება იმგვარად, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს უარს.“¹
- 7 თუმცა საქმიანი ურთიერთობისთვის საკმარისი არაა ამ ტიპის ხელშეკრულების რამდენჯერმე დადება, აუცილებელია, რომ მხარეები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს კონკრეტულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და, სულ მცირე, ოფერტი უკვე გაკეთებული იყოს, რომლის უმნიშვნელო მოდიფიცირებასაც აკეთებს აქცეპტანტი დაუყოვნებლივ გაგზავნილ მოდიფიცირებულ აქცეპტში, ანუ, ამ დანაწესის გაგებით, საქმიანი ურთიერთობები, პირველ რიგში, გულისხმობს ამ კონკრეტული ხელშეკრულების მომზადებას.

2. აქცეპტანტის ვარაუდი ოფერენტის თანხმობის თაობაზე

- 8 აქცეპტანტს საფუძველი უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ ივარაუდოს ოფერენტის მზაობა ხელშეკრულების შეცვლილი პირობებით დადებისადმი. რას შეიძლება ეფუძნებოდეს ასეთი ვარაუდი? მთავარი ინდიკატორი ასეთი ვარაუდისა არის მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკა. „მხარეთა შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებული ურთიერთობა აძლევს აქცეპტანტს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ოფერენტი მიიღებს ამ პირობას“,² მაგ., ხშირად ყოფილა მსგავსი ცვლილებები განხორციელებული, თუმცა იგი ოფერენტს არ გაუპროტესტებია.
- 9 საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები (უნიდროას პრინციპები) პირდაპირ უთითებენ იმის თაობაზე, რომ მხარეები იბოჭებიან იმ პრაქტიკით, რაც მათ დაადგინეს თავის ურთიერთობებში, ანუ ასეთი პრაქტიკა მათ ავტომატურად ბოჭავს, თუ პირდაპირ არ გამოუყრის მისი გამოყენება. შესაძლოა თუ არა, ესა თუ ის პრაქტიკა მიჩნეულ იქნეს „დადგენილად“, ჩვეულებრივ დამოკიდებულია კონკრეტულ

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის № ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილება.

2 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 334, გვ. 145.

გარემოებებზე და მხოლოდ ერთი წინა გარიგების შემთხვევაში განხორციელებული ქცევა, როგორც წესი, არაა ამისთვის საკმარისი.³

აქცეპტანტის ვარაუდს ოფერენტის თანხმობის თაობაზე, შესაძლოა, სხვა გარემოებებიც განაპირობებდნენ, მაგ.: ცვლილებით ან დამატებით ისეთი რეგულაცია შემოაქვს აქცეპტანტს, რაც საქმიანობის ამ სფეროში ზოგადად არის სტანდარტული პრაქტიკა და რაც შეიძლება, იმავდროულად, მხარეთა შორის წინარე მოლაპარაკებისა და ოფერტის გათვალისწინებით იყოს სავარაუდო (აქცეპტანტი ამატებს პუნქტს დავის საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე, რაც საქმიანობის ამ სფეროში ფართოდ დამკვიდრებული პრაქტიკაა); ცვლილება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის რაიმე მატერიალური ზიანის ან გართულების გამომწვევი ვერ იქნება ოფერენტისთვის; ცვლილება ემყარება ობიექტურ წინაპირობებს, რაც ოფერენტისთვის ცნობილია (მაგ., საქონელზე საბაზრო ფასების მატება) და ა.შ.

10

საინტერესოა, მხოლოდ ამ გარემოებების არსებობა (მაგ., ობიექტური წინაპირობის) არის თუ არა საკმარისი იმისთვის, რომ ვარაუდი საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული, თუ მხარეთა შორის ურთიერთობაში ასეთი გამოცდილება მანამდე არ ყოფილა. მხოლოდ ამ გარემოების არსებობა თავისთავად არ უნდა იძლეოდეს 334-ე მუხლის გამოყენების საფუძველს, თუ აღნიშნული არაა გამყარებული სხვა ფაქტორებით. თითოეული საქმის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და სათანადოდ შეფასებული ფაქტორივი გარემოებები და, შესაბამისად, დადგინდეს, საფუძვლიანი იყო თუ არა აქცეპტანტის ვარაუდი. საკმაოდ მაღალი უნდა იყოს ასეთი ვარაუდის ხარისხი, რომლის განსაზღვრისას, როგორც აღინიშნა, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სუბიექტური ფაქტორები, უპირველესად კი მხარის კეთილსინდისიერება.

11

3. ოფერენტის დუმილი

როდესაც შეცვლილი პირობებით იდება ხელშეკრულება, ეს გულისხმობს იმას, რომ ოფერენტი თანახმაა, აღიაროს მოდიფიცირებული აქცეპტი ნამდვილ აქცეპტად, რასაც მოჰყვება ხელშეკრულების დადება. ანუ ასეთ შემთხვევაში ოფერენტის დუმილი სწორედ იმის აღმნიშვნელია, რომ ის განიხილავს შეცვლილ პირობებს თავისი ოფერტის შემადგენელ ნაწილად და ამით ნამდვილს ხდის მოდიფიცირებულ აქცეპტს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას სხვაგვარი მოქცევის უფლება არ აქვს. თუ მას არ სურს შეცვლილი პირობებით ხელშეკრულების დადება, მაშინვე უნდა განაცხადოს უარი ამის თაობაზე.

12

მაგალითი: ნისქვილკომბინატსა და ხორბლის მიმწოდებელ კომპანიას შორის არსებობდა საქმიანი შეთანხმება, რომლის თანახმად, კომპანია ხორბლით ამარაგებდა ნისქვილკომბინატს, ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული ოფერტის საფუძველზე, სადაც მითითებული იყო ხორბლის ხარისხი, ოდენობა, ფასი, მიწოდების თარიღი. კომბინატმა შეუკვეთა

13

3 Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments, Art 1.9 (1), <http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

კომპანიას განსაზღვრული ოდენობის ხორბალი იმ ფასად, რაც მიღებულ იყო მათ შორის. კომპანიამ თანხმობა განაცხადა, თუმცა ბაზარზე ხორბლის ფასის გაზრდის გამო შეცვალა ფასი და მიუთითა გაზრდილი ღირებულება. რადგან ნისქვილკომბინატს უარი არ განუცხადებია, ხორბლის კომპანიამ შესაბამის დროში მოახდინა პროდუქციის მიწოდება. ნისქვილკომბინატმა ფასის გადახდაზე უარი განაცხადა, რადგან მას თანხმობა არ გამოუთქვამს შეცვლილი პირობით ხელშეკრულების დადებაზე.

- 14 ჰქონდა თუ არა ნისქვილკომბინატს ფასის გადახდაზე უარის თქმის უფლება?
- 15 ამ სიტუაციაში ოფერტს აკეთებს ნისქვილკომბინატი. ხორბლის კომპანიის მიერ ხდება პირობის შეცვლა, და პროდუქციის გაგზავნა. რა არის ეს მოქმედება? ზოგადი წესის თანახმად, მოდიფიცირებული აქცეპტით ხელშეკრულება არ იდება. ჩვეულებრივ ვითარებაში, ასეთი აქცეპტი განიხილება როგორც ახალი ოფერტი და ხელშეკრულების ბედი, საბოლოო ჯამში, დამოკიდებული ხდება პირველი ოფერენტის – ნისქვილკომბინატის თანხმობაზე.
- 16 მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში მხარეები საქმიან ურთიერთობებში იმყოფებიან და 334-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება. ამ სიტუაციაში აქცეპტანტის მიერ განხორციელებული ცვლილება ემყარება ობიექტურ გარემოებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ობიექტური წინაპირობის არსებობა არ იძლევა საკმარის საფუძველს ასეთი ვარაუდისთვის. თუ მხარეთა შორის ადრეც არსებობდა მსგავსი სიტუაცია, ოფერენტს კი არ გაუპროტესტებია გაზრდილი ფასი, და თუ ამ ხელშეკრულების მომზადებისას აქცეპტანტისთვის ცნობილი იყო ოფერენტის ზოგადი დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებით, მაშინ მას შეუძლია, ივარაუდოს და გონივრულადაც მიიჩნიოს ოფერენტის თანხმობა. ამდენად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, და ოფერენტს წარმოეშობა გაზრდილი ფასის გადახდის ვალდებულება.

მუხლი 335. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა

1. თუ მენარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია, გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მენარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.

2. იმ შემთხვევაშიც, თუ მენარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია, ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს.

- I. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში138
- II. დუმილით ხელშეკრულების დადება სსკ-ის 335 მუხლის თანახმად139
 - 1. რეგულაციის მიზანი139
 - 2. გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები139
 - ა. მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა139
 - ბ. საქმიანი ოპერაციების შესრულება140
 - გ. საქმიანი კავშირი140
 - დ. ამგვარი საქმეები141
 - ე. მენარმის მიერ შეკვეთების მოთხოვნა ამგვარი საქმეების შესრულებაზე141
- III. მენარმის ვალდებულება ოფერტის უარყოფისას142
- IV. 335-ე მუხლის გამოყენება ანალოგიით143

I. დუმილი, როგორც აქცეპტის ფორმა, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში

1 ოფერტზე თანხმობა შესაძლოა, გამოვლინდეს ნებისმიერი ფორმის განცხადებით ან მოქმედებით. მთავარია, რომ მხარის განზრახვა მბოჭავი ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისა ნათლად ჩანდეს მის განცხადებასა თუ მოქმედებაში და გონივრულად აღქმადი იყოს მეორე მხარისთვის. იმ შემთხვევაში, როცა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სავალდებულო ფორმა, აქცეპტი მხოლოდ ამ ფორმის დაცვით უნდა გაკეთდეს.

2 დუმილი და უმოქმედობა, როგორც წესი, არ არის მიჩნეული აქცეპტად. „ზოგადი და დამკვიდრებული წესის მიხედვით დუმილი ნების გამოვლენას არ წარმოადგენს. ამიტომ იგი არ შეიძლება შეფასდეს როგორც თანხმობა“.¹ შესაბამისად, თუ ოფერტის ადრესატი ნებას არ ავლენს ოფერენტის მიმართ, ხელშეკრულება ვერ დაიდება. თუმცა არსებობს გარკვეული გამონაკლისები ამ წესიდან. (იხ. 331-ე მუხლის კომენტარი).

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 335, გვ. 146.

- 3 თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში აღიარებულია, რომ დუმილით შესაძლოა, დაიდოს ხელშეკრულება. ეს ხდება მაშინ, როდესაც მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ დუმილი თანხმობის აღმნიშვნელი იქნება. ასევე მაშინ, როდესაც მხარეთა შორის დამკვიდრებული საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკიდან გამომდინარე დუმილს ენიჭება მხოლოდ ერთი მხარის მიერ.²
- 4 მაგალითი: ტექნიკური მომსახურების საწარმოსა და ლუდის მწარმოებელ ქარხანას შორის დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის თანახმად, საწარმო უგზავნის ქარხანას შეტყობინებას იმ კონკრეტული დღის მითითებით, როდესაც ის განახორციელებს ქარხანაში არსებული დანადგარების შეკეთება-გარემონტებას. თუ ქარხანას ამ დროს არ სურს მომსახურების მიღება, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე საწარმოს. მისი დუმილი გულისხმობს თანხმობას. შესაბამისად, ოფერტი ავალდებულებს საწარმოს, რომ გამოგზავნოს თავისი სპეციალისტები ფიქსირებულ დროს. ქარხანაც ვალდებულია, მიიღოს მისი მომსახურება.

II. დუმილით ხელშეკრულების დადება სსკ-ის 335 მუხლის თანახმად

1. რეგულაციის მიზანი

- 5 335-ე მუხლი ითვალისწინებს ერთ-ერთს იმ გამონაკლისი შემთხვევებიდან, როდესაც დუმილით ხდება ხელშეკრულების დადება. კერძოდ, იგი ადგენს აქცეპტის ფიქციას კონკრეტული ხასიათის სავაჭრო ურთიერთობებისთვის. ამ მუხლის მიზანია, კონტრაქტების პროცესში დაიცვას ის ნდობა, რომელიც კონკრეტული კატეგორიის სავაჭრო ურთიერთობის მონაწილეს გონივრულად უჩნდება მეორე მხარის პოზიციების მიმართ.

2. გამონაკლისის გამოყენების წინაპირობები

ა. მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა

- 6 მუხლის თანახმად, ოფერტის მიმღები არის *მენარმე*, რომელიც ასრულებს *სხვა პირთა* საქმიან ოპერაციებს. ტერმინის – „სხვა პირთა“ – გამოყენება იმაზე მიუთითებს, რომ არაა აუცილებელი, ოფერენტიც მენარმე იყოს, ანუ შესაძლოა, ის იყოს არამენარმე სუბიექტიც.
- 7 კანონმდებელი ოფერტის მიმღებად მენარმეს მოიხსენიებს. ქართულ სამართალში მენარმე ორი მნიშვნელობით გამოიყენება: მენარმეთა შესახებ კანონის გაგებით და სამომხმარებლო სამართლის გაგებით. ამ მუხლის მიზნიდან გამომდინარე, ტერმინი „მენარმე“ მხოლოდ მენარმეთა შესახებ კანონის გაგებით უნდა განიმარტოს და ამ კატეგორიაში არ უნდა

2 იხ. Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments. <http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294>, Art 2.1.6 (1)., Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DFRC)., prepared by Study Group on a European Civil Code and the Research Group on the Existing EC Private Law (Acquis Group)., Christian von Bar/Eric Clive/Hans Schulte-Nolke and Hugh Beale/Johnny Herre/Jérôme Huet/ Peter Schlechtriem/Matthias Storrer/Stephen/Swann/Paul Varul/Anna Veneziano /Fryderyk Zoll (eds)., 4:204 (2).

მოხდენენ ის სუბიექტები, რომლებიც სხვა პირთა საქმიან ოპერაციებს ასრულებენ ისე, რომ არ ახორციელებენ სამენარმეო საქმიანობას ან არ არიან დარეგისტრირებული მენარმეებად. 335 I მუხლი განპირობებულია იმ წინდახედულებიდან გამომდინარე, რომელიც ეკისრება მენარმეს და რასაც ავტომატურად ვერ გავავრცელებთ არამენარმეებზე, მაშინაც კი, როდესაც ისინი სხვისთვის საქმიან ოპერაციებს ასრულებენ. აქ გადამწყვეტია არა საქმიანობის ტიპი, არამედ სუბიექტის სტატუსი. ამ განმარტებით ნაიშლებოდა ზღვარი მენარმესა და არამენარმეს შორის და დაუშვებლად გავართოვდებოდა მუხლის გამოყენების სფერო. გარდა ამისა, ამ დანაწესის ამგვარი გაგება სისტემურ წინააღმდეგობაში მოვიდოდა 334-ე მუხლთან, რომელიც „უფრო ნაკლების“, კერძოდ, მოდიფიცირებული აქცეპტის დუმილით მისაღებად დამატებით წინაპირობებს აწესებს („საქმიანი ურთიერთობები“; „თანხმობის ვარაუდი“), აქ კი ოფერტის მიღება მოხდება ამ წინაპირობის გარეშე. საუბარი შეიძლებოდა ამ დანაწესის გავრცელებაზე სამომხმარებლო სამართლის გაგებით მენარმეზე, თუმცა, საბოლოო ჯამში, ესეც არასწორი ჩანს.

ბ. საქმიანი ოპერაციების შესრულება

„საქმიანი ოპერაციების შესრულება“, ძირითადად, შუამავლობას ან სხვებისთვის ხელშეკრულების დამოუკიდებლად დადებას მოიაზრებს (მაგ.: სატრანსპორტო ექსპედიცია, კომისია), ის ასევე ფარავს ისეთი კატეგორიის ხელშეკრულებებს, როგორებიცაა: გადაზიდვა, ასევე საბანკო მომსახურება, რომელიც უკავშირდება გადარიცხვებს ან კლიენტის აქტივების მართვას. 8

ასეთ მენარმეებს აქვთ ვალდებულება, დაყოვნების გარეშე უპასუხონ ოფერტს, რომელიც კეთდება მათთან საქმიან კავშირში მყოფი პირებისგან და ეხება ამ მომსახურებას. 9

გ. საქმიანი კავშირი

საქმიან კავშირში ყოფნა გულისხმობს, რომ შეთავაზების გაკეთების მომენტამდე მხარეებს ჰქონდათ მსგავს ურთიერთობებში ხელშეკრულებების დადების გამოცდილება. თუმცა 334-ე მუხლში მითითებული „საქმიანი ურთიერთობისგან“ განსხვავებით (საქმიანი ურთიერთობის არსის თაობაზე იხ. 334-ე მუხლის კომენტ.), „საქმიანი კავშირის“ დადგენისთვის არაა აუცილებელი მხარეთა შორის ურთიერთობისა და ქცევების დამკვიდრებული პრაქტიკის არსებობა. 10

334-ე მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი ოფერენტისა საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, რამეთუ ის ეხება ხელშეკრულების არსებითი პირობების ცვლილებებით აქცეპტის განხორციელებას, რაც, ოფერენტის ნებისგან გადახვევის მიუხედავად, ხელშეკრულების დადებას გულისხმობს, როცა 335-ე მუხლი აწესრიგებს თანხმობის ვარაუდს ჩვეულებრივ გაკეთებულ ოფერტზე. ასეთ დროს, როგორც აღინიშნა, დუმილის თანხმობად კვალიფიკაციისთვის არაა აუცილებელი წარსულში მსგავსი შემთხვევებისა თუ ქცევის არსებობა. 11

- 12 მაგალითი: საექსპედიტორო კომპანიასა და კომპიუტერული ტექნიკით მოვაჭრე სანარმო „ალფას“ შორის არსებობს საქმიანი კავშირი, რაც გამოიხატება ექსპედიტორის მიერ „ალფას“ კომპიუტერული ტექნიკის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებით. თუ საექსპედიტორო კომპანია შემკვეთისგან („ალფასგან“) იღებს ოფერტს განსაზღვრული კომპიუტერული ტექნიკის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელების თაობაზე, იგი ვალდებულია, გონივრულ ვადაში უპასუხოს მას. კომპანიის დუმილი ასეთ შემთხვევაში კვალიფიცირდება როგორც აქცეპტი.

დ. ამგვარი საქმეები

- 13 ოფერტი უნდა განეკუთვნებოდეს იმ საქმიან ოპერაციას ტიპს, რითაც არის მენარმე პროფესიულად დაკავებული (მაგ., თუ გადამზიდველია, უნდა ეხებოდეს გადაზიდვას და ა.შ.). ეს წინაპირობა კანონში დაფიქსირებულია „ამგვარი საქმეების“ ხსენებით.

ე. მენარმის მიერ შეკვეთების მოთხოვნა ამგვარი საქმეების შესრულებაზე

- 14 ანალოგიური შედეგი დგება იმ სიტუაციაშიც, როდესაც მენარმე იღებს ოფერტს იმ პირისგან, რომლისგანაც ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად (553 I მუხლის ბოლო წინადადება). განსხვავება მუხლის იმავე ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრული შემთხვევისგან ისაა, რომ აქ არაა აუცილებელი წინაპირობა მხარეთა შორის საქმიანი კავშირის არსებობა, არამედ განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ მენარმე ამ პირს მოუწოდებდა ოფერტის გაკეთებისკენ, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი აკეთებდა მონვევას ოფერტზე. შესაბამისად, არ არის აუცილებელი თანხმობის განხორციელება, როდესაც ის მოჰყვება ოფერტის ადრესატის მიერ უფრო ადრე განხორციელებულ განაცხადს, ამ შემთხვევაში მონვევას ოფერტზე.

- 15 აქ მონვევა ოფერტზე უნდა იყოს დაკონკრეტებული, ანუ ეხებოდეს კონკრეტულად შემთავაზებელს ან პირთა განსაზღვრულ წრეს, რომელშიც შემთავაზებელიც მოიაზრება. შესაბამისად, ეს დანაწესი არ ფარავს რეკლამის, ბუკლეტებისა და სხვა მსგავსი საშუალებების მეშვეობით განხორციელებულ საჯარო შეთავაზებებს.

- 16 მაგალითი: იმავე სიტუაციაში სატრანსპორტო ექსპედიტორული კომპანია თვითონ სთხოვს კომპიუტერული ტექნიკით მოვაჭრე სანარმოს, რომ მას მიმართონ გადაზიდვისთვის საჭირო ოპერაციების განსახორციელებლად, ანუ უკეთებს მონვევას ოფერტზე, რასაც მოჰყვება სანარმოს ოფერტი. ასეთ შემთხვევაში, კომპანიის დუმილი უნდა დაკვალიფიცირდეს აქცეპტად.

- 17 როგორც აღინიშნა, ყველა მენარმეს არა აქვს ოფერტზე გონივრულ ვადაში პასუხის ვალდებულება, არამედ იმათ, რომელთაც აქვთ მსგავსი ტიპის ურთიერთობა კლიენტთან, ან რომელიც ასეთ მომსახურებას სთა-

ვაზობდა მათ. ამ მუხლის მოქმედების სფეროში ექცევა ოფერტები აქცეპტისთვის ვადის მითითების გარეშე. რადგან, თუ ოფერენტი ვადას განსაზღვრავს აქცეპტისთვის, მისი კანონიერი მოლოდინი სწორედ ამ ვადაში აქცეპტანტის მიერ აშკარად გამოხატული ნების არსებობას გულისხმობს და უმოქმედობა, მიუხედავად 335-ე მუხლის წინაპირობების არსებობისა, ვერ ჩაითვლება აქცეპტად.

როდესაც აქცეპტანტი დუმს, ანუ „არ პასუხობს“, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ვადის „პასუხის“ ვადა. ეს არის გონივრული ვადა, რომელიც უნდა განისაზღვროს საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, შემთხვევათა მთელ რიგში მენარმე ვალდებულია, იმავე დღესვე უპასუხოს ოფერენტს. 18

III. მენარმის ვალდებულება ოფერტის უარყოფისას

შესაძლოა, დადგეს ისეთი სიტუაცია, როდესაც მენარმე უარყოფს ოფერტს, თუმცა საქონელი უკვე გამოგზავნილია. ზიანის თავიდან აცილების მიზნით, მენარმე ვალდებულია, ოფერენტის ხარჯზე დროებით თავისთან შეინახოს საქონელი ისე, რომ მას ამით არ მიადგეს ზიანი. 19

მაგალითი: სადისტრიბუციო კომპანიას საქმიანი ურთიერთობა აქვს თმის მოვლის საშუალებების მწარმოებელ კომპანია „ლუქსთან“, რომლის საქონლითაც სადისტრიბუციო კომპანია ნლების განმავლობაში ამარაგებს სილამაზის სალონებს. ის იღებს ახალი პროდუქციის შექმნის თაობაზე ოფერტს „ლუქსისგან“ და რადგან ამჯერად არ სურს ხელშეკრულების დადება, გონივრულ ვადაში უარყოფს მას, თუმცა „ლუქსს“ უკვე გამოგზავნილი აქვს საქონელი. ასეთ შემთხვევაში დისტრიბუტორი ვალდებულია, გამოგზავნილი საქონელი დროებით თავისთან შეინახოს ოფერენტის ხარჯზე. 20

შენახვა ისე უნდა მოხდეს, რომ არ იყოს ზიანის მომტანი მენარმისთვის. შესაძლოა, მას არ ჰქონდეს საქონლის შესანახად საჭირო პირობები (მაგ., სათანადო ფართი), ამიტომ „თავისთან შენახვა“ ფართოდ უნდა განიმარტოს და მოიაზრებდეს არა მარტო საკუთარ საწარმოში, არამედ მიბარების ხელშეკრულების საფუძველზე, საქონლის სხვასთან შენახვას. 21

როგორც ზემოთ აღინიშნა, 335-ე მუხლის მოქმედება გამოირიცხება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებულია კონკრეტული ფორმა. ასეთ დროს დუმილი, როგორც თანხმობის ფიქცია, ვერ ჩაანაცვლებს სავალდებულო ფორმას. შემთავაზებლის ნდობის დაცვის ერთადერთ მექანიზმად ასეთ დროს რჩება 317 II, III მუხლი. 22

VI. 335-ე მუხლის გამოყენება ანალოგიით

- 23 335-ე მუხლი ითვალისწინებს დუმილით ხელშეკრულების დადების კონკრეტულ შემთხვევას.
- 24 რა შედეგი დგება მაშინ, როდესაც მხარე მენარმეა, საქმიან ურთიერთობაში იმყოფება სხვა მენარმესთან, თუმცა მისი საქმიანობა არ გულისხმობს სხვისი საქმიანი ოპერაციების შესრულებას? მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს ნორმას, რომელიც შესაძლებელს ხდის საქმიან ურთიერთობაში მყოფ მენარმეებს შორის დუმილით ხელშეკრულების დადებას, თუნდაც ასეთი პრაქტიკა მათ შორის დამკვიდრებული ყოფილიყო. შესაძლოა თუ არა, ამ დროს გამოყენებული იყოს ანალოგიით 335-ე მუხლი? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს, რადგან ნორმა საგამონაკლისოა და 5 III მუხლი არ იძლევა მისი ანალოგიით გამოყენების საშუალებას. კარგი იქნებოდა, რომ შემოთავაზებული რეგულაცია უფრო მოქნილი ყოფილიყო და მოეცვა ასევე სხვა გამონაკლისებიც. ამ მიდგომის გონივრულობა ეჭვქვეშ არ დგას და, როგორც აღინიშნა, ის დღეს ფართოდ არის აღიარებული სახელშეკრულებო სამართლის სფეროში მოქმედი თანამედროვე უნიფიკაციის აქტებით.

მუხლი 336. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება

მომხმარებელსა და საკუთარი სარენის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე.

- I. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების არსი.
რეგულაციის მიზანი.....144
- II. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მახასიათებლები145
 - 1. მხარეები: მომხმარებელი და მოვაჭრე145
 - ა. მომხმარებელი145
 - ბ. მოვაჭრე146
 - 2. ხელშეკრულების დადების ადგილი147
 - 3. ხელშეკრულებაზე უარი.....148

**I. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების არსი.
რეგულაციის მიზანი**

336-ე მუხლით განმტკიცებული რეგულაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ბერკეტია. მუხლი ანესრიგებს ე.წ. „კომივოიაჟერული“ ტიპის ხელშეკრულებას, რომელიც მოძრავი ნივთის მიწოდების ან მომსახურების განევის თაობაზე დადებული გარიგებაა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირსა (მოვაჭრეს) და მომხმარებელს შორის. ამ ხელშეკრულების მახასიათებელი არის ის, რომ მოვაჭრის მიერ ოფერტის შეთავაზება და ხელშეკრულების დადება ხდება მისი ბიზნეს-საქმიანობის ადგილის გარეთ. ჩვეულებრივ, ასეთ ადგილებად მიჩნეულია: მომხმარებლის საცხოვრებელი სახლი, სამსახური ან მათი სიახლოვე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ქუჩა და მსგავსი ადგილები, სადაც მომხმარებელი არ ელის ხელშეკრულების დადებას.

ასეთი სახის კომერციული საქმიანობა, უმრავლეს შემთხვევაში, მოიცავს აგრესიულ მეთოდებს, რაც გამოიხატება მონვევის გარეშე უცხო ადამიანთა სახლებში, სამსახურებში მისვლით, გასაყიდი პროდუქციის არასრული ინფორმაციის საფუძველზე რეკლამირებით და სხვ. ამ დროს მომხმარებელს არ აქვს კარგად დაფიქრებისა და გონივრული გადანყვეტილების მიღების საშუალება, არ ფლობს სათანადო ინფორმაციას პროდუქციისა და მომსახურების ხარისხისა და საბაზრო ფასების შესახებ.¹ ყოველივე ეს ზრდის იმის ალბათობას, რომ მომხმარებელს ხელშეკრულების მეორე მხარემ თავს მოახვიოს მისთვის არასასურველი პირობები.

მოვაჭრის მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებისას უნდა გამოირიცხოს საშუალო სტატისტიკური მომხმარებლის მიზანმიმართუ-

¹ იხ. ქარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 134.

ლად გაუგებრობაში შეყვანა. მომხმარებლის სისუსტე ამ ტიპის ხელშეკრულებაში იმას გულისხმობს, რომ იგი არ იმყოფება „ფსიქოლოგიური მზაობის“ მდგომარეობაში მოვაჭრის მოულოდნელი მარკეტინგული სვლების წინაშე.

- 4 რეგულაციის მიზანია სუსტი მხარის ინტერესების დაცვა, კერძოდ, იმ მომხმარებლების, რომლებმაც მოვაჭრეთა ფსიქოლოგიური ზენოლის შედეგად, მშვიდი მოფიქრების საშუალების გარეშე, დადეს მათთვის არასასურველი გარიგება.
- 5 შესაძლოა, გამოიყოს მომხმარებელთა უფლებების ორ ჯგუფი: ქონებრივი და ინფორმაციული. ამ უფლებების ნაწილი საერთოა ნებისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მხარისთვის, როცა ნაწილი შემუშავებულია მხოლოდ სპეციალური კომერციული პრაქტიკისთვის (ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები, დისტანციური ხელშეკრულებები, ელექტრონული კომერცია).
- 6 336-ე მუხლით განმტკიცებული მომხმარებლის ქონებრივი უფლება – უარი თქვას ხელშეკრულების ძალაში შესვლაზე – სწორედ სპეციალური კომერციული პრაქტიკისთვის გათვალისწინებული უფლებაა. (კანონპროექტზე მსჯელობა არ მიმართავს მართებულად, მითუმეტეს, მეორე მოსმენის შემდეგ უამრავ მუხლში ვარაუდობენ ცვლილებებს!).

II. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მახასიათებლები

1. მხარეები: მომხმარებელი და მოვაჭრე

ა. მომხმარებელი

- 7 ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არის აღნიშნული ტერმინის უნივერსალური განსაზღვრება. თუმცა არსებობს სხვადასხვა სფეროში მოქმედი რეგულაციები, რომლებიც, შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე, განმარტავენ მომხმარებლის არსს.² თუმცა, მომხმარებლის ცნება სამომხმარებლო სამართლის გაგებით და ამ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიხედვით, ყოველთვის იდენტური არ არის. ზოგ შემთხვევაში ამ სპეციალური კანონებით მომხმარებელში იურიდიული პირიც მოიაზრება, რაც შეუსაბამოა სამომხმარებლო სამართლის მიზნებთან.
- 8 ევროკავშირის დირექტივებში მომხმარებლის სტატუსი მინიჭებული აქვს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც პირადი, საოჯახო და ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით დებენ ხელშეკრულებას (განსხვავებით პროფესიული ან კომერციული მიზნებით მოქმედი ფიზიკური პირებისგან). იურიდიული პირი ინტერესის ობიექტი არაა, გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევისა.

2 იხ. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი, მ.2 (39), 02.06.2005, რეგლამენტი ეროვნული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. მ.3(1)(ლ), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №3, 2006 წლის 17 მარტი, თბილისი; კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი, მ.2 (ა), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04, 2011 წლის 13 მაისი.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროპარლამენტისა და ევრო-საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივის³ თანახმად, მომხმარებელია ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დირექტივით მონესრიგებულ ხელშეკრულებაში მოქმედებს ისეთი მიზნებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მის სავაჭრო, ბიზნეს-, სახელობო თუ პროფესიულ საქმიანობასთან. იდენტური შინაარსის განმარტებებია სხვა დირექტივებშიც.

შესაბამისად, მომხმარებლად შესაძლოა, მივიჩნიოთ ფიზიკური პირი, რომელიც იძენს ქონებას ან მომსახურებას საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის (პირადი და არასამეწარმეო მიზნებისათვის).

მართალია, იურიდიულმა პირმაც შესაძლოა, შეიძინოს ქონება ან მომსახურება ისე, რომ მისი შემდგომი გასხვისება მიზნად არ ჰქონდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მისი სამეწარმეო და პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად ხდება. სანარმოს სამეწარმეო და „პირადი“ მიზანი ერთი და იგივეა, რადგან სანარმოს სხვა მიზანი, გარდა სამეწარმეოსი, არ გააჩნია.⁴

ბ. მოვაჭრე

ხელშეკრულების მეორე მხარე, ანუ მომხმარებლის კონტრაჰენტი, არის მოვაჭრე.⁵ მუხლი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ის მოქმედებს „საკუთარი სარენის ფარგლებში“. „საკუთარი სარენი“ ამ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს როგორც მოვაჭრის საქმიანობის ჩვეულებრივი ადგილი. ნორმის შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, „საკუთარი სარენის ფარგლებში“ ვაჭრობა იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტი მოქმედებს თავისი პროფესიული, კომერციული და საქმიანი მიზნებიდან გამომდინარე, ანუ ფუნქციურად ეწევა თავის ბიზნესსაქმიანობას, იმყოფება თავისი მოვალეობების განხორციელების პროცესში.

მოვაჭრე შესაძლოა იყოს როგორც იურიდიული, ასევე ის ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა.

3 ეს დირექტივა მოცავს როგორც დისტანციური, ისე ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების (off-premises contracts) რეგულირებას. Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights. <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0064:0088:en:PDF> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019). ამ დირექტივით გაუქმდა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების შესახებ ევროსაბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა (Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises), OJ L 372. აღსანიშნავია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ამ დირექტივის იმპლემენტაციას ქართულ სამართალში (იხ. მ. 347; დანართი XXIX),

4 იხ. ცერცვაძე, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 194.

5 ევროკავშირის სამომხმარებლო დირექტივებში მომხმარებლის კონტრაჰენტი სხვადასხვა ტერმინით არის გადმოცემული, იმის მიხედვით, თუ რომელი სამომხმარებლო გარიგება დაიდო. თუმცა მათი შინაარსობრივი დატვირთვა იდენტურია და შეიძლება გაერთიანდნენ და მოთავსდნენ ტერმინში – „მოვაჭრე“ (trader), რამეთუ მომხმარებლის კონტრაჰენტი, როგორც სამომხმარებლო ხელშეკრულების სუბიექტი, ინტერესის ობიექტია მაშინ, როცა ის გარიგების ფარგლებში მომხმარებელზე ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. იხ. ქარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 148.

- 14 ტერმინი „მოვაჭრე“ განმარტებულია მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივაში, რომლის მიხედვით, ის გულისხმობს „ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, მიუხედავად მისი კერძო თუ საჯარო სამართლებრივი კუთვნილებისა, რომელიც მოქმედებს დირექტივით მონესრიგებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათ შორის მისი სახელით ან მისი დავალებით მოქმედი სხვა პირის საშუალებით, ისეთი მიზნებით, რაც უკავშირდება მის სავაჭრო, კომერციულ, სახელობო თუ პროფესიულ საქმიანობას“.⁶

2. ხელშეკრულების დადების ადგილი

- 15 უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ამ ხელშეკრულებისა არის ის, რომ მოვაჭრის მიერ ოფერტის გაკეთება ხდება მისი ბიზნესის ადგილის გარეთ, ანუ იგი ფიზიკურად იმყოფება მისი ბიზნესსაქმიანობის ადგილის გარეთ, თუმცა ამ საქმიანობის განხორციელების პროცესში. ასეთი ადგილი შესაძლოა, იყოს მომხმარებლის სახლი, სამუშაო, ქუჩა და მსგავსი ადგილები. 306-ე მუხლით გათვალისწინებულ „მსგავს ადგილებში“ შესაძლოა, მოიაზრებოდეს: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ტრანსპორტი, საგანმანათლებლო, სამკურნალო დაწესებულებები, ე.ი., ნებისმიერი ის ადგილი, რომელიც უჩვეულოა კომერციული საქმიანობის განხორციელებისათვის. მთავარი ასპექტი აქ არის მომხმარებლის განწყობა შეთავაზებული გარიგებისადმი. ასეთი შეთავაზება მისთვის მოულოდნელია ამ ადგილას, რადგან არ არსებობს მომხმარებლის წინასწარი განზრახვა პროდუქციის შექენისა თუ მომსახურების მიღების თაობაზე, ამდენად, იგი მოუმზადებელია გარიგების დასადავად და შესაძლოა, მიიღოს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ოფერტი კეთდება მოვაჭრის მიერ, ხოლო აქცეპტანტია მომხმარებელი.
- 16 „ქუჩა“ 336-ე მუხლის მიზნებისათვის უნდა განიმარტოს ადგილად, სადაც მოვაჭრეს არა აქვს დაფუძნებული თავისი საქმიანობის სივრცე და ის აქ დროებით იმყოფება. ამ ადგილას ყოფნისას ან გავლისას მომხმარებელს აზრად არ მოსდის, რომ შესაძლებელია, აქ მიიღოს რაიმე სავაჭრო შემოთავაზება. შესაბამისად, ქუჩაში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში სავაჭრო ან სხვაგვარი სარენის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები არ დაკვალიფიცირდება 336-ე მუხლით.⁷
- 17 გარკვეულ შემთხვევებში მოვაჭრე სპეციალურად აწყობს სადამოს, ექსკურსიას ან მსგავს ღონისძიებას გარკვეული წრისთვის პროდუქციის პრეზენტაციისა და მიყიდვის მიზნით. ასეთ დროს მომხმარებელი თავად აკეთებს ოფერტს, იმავდროულად, გარკვეული მზაობაც არსებობს, რადგან ამ ღონისძიების მიზანი მისთვის ცნობილია. ასეთი შემთხვევებიც არ უნდა მოექცეს 336-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის სფეროში.⁸

6 Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights. Art. 2(2) <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0064:0088:en:PDF> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

7 იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 336, გვ. 153.

8 დირექტივა თავისი რეგულაციის ქვეშ ასეთ შემთხვევებსაც აერთიანებს. ეს მიდგომა განმტკიცებულია მოსაზრებით, რომ მომხმარებელს არ აქვს სათანადო და სრულყოფილი ინფორმაცია

3. ხელშეკრულებაზე უარი

როგორც აღინიშნა, რეგულაციის მიზანი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რაც გამოიხატება ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგის თავიდან აცილებით. 18

ამიტომ მომხმარებელი სარგებლობს დამატებითი უფლებით, კერძოდ: მას შეუძლია, უარყოს ხელშეკრულება წერილობით ერთი კვირის განმავლობაში. ხელშეკრულება ნამდვილია დადების მომენტიდან, თუმცა მომხმარებელს აქვს უარის თქმის უფლება, რაც არის გასვლის უფლების სპეციალური ნაირსახეობა. მომხმარებლის უფლება – ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულების ძალაში შესვლაზე, არის ამ ხელშეკრულების არსებითი მახასიათებელი.⁹ 19

მაგალითი: სამსახურიდან შინ მიმავალ ნუგზარს გზად ახალგაზრდა ყმანვილი შემოხვდა, რომელიც მას გაეცნო საყოფაცხოვრებო ტექნიკით მოვაჭრე კომპანიის წარმომადგენლად. მან ნუგზარს აუხსნა, რომ კომპანიას გაყიდვაში ჰქონდა ყავის მოსამზადებელი მაღალი ხარისხის აპარატები ძალიან შეღავათიან ფასად, სამ დღეში სახლში მიტანით. ყავის აპარატის მონაცემების გაცნობის შემდეგ ნუგზარს მხოლოდ ხელი უნდა მოენერა ხელშეკრულებაზე, ხოლო თანხას გადაიხდიდა მას შემდეგ, რაც აპარატს სახლში მიანოდებდნენ. ნუგზარს ბევრი არ უფიქრია, რადგან სწორედ ამ დღეებში იუბილარი მეგობრისთვის აპირებდა საჩუქრის ყიდვას. მან მოანერა ხელი ხელშეკრულებას. თუმცა სახლში მისულმა გაარკვია, რომ მსგავსი ყავის აპარატების შეძენა გაცილებით იაფადაც იყო შესაძლებელი. 20

მართალია, ხელშეკრულება დაიდო და ვალდებულება უნდა შესრულდეს, თუმცა 336-ე მუხლი ნუგზარს აძლევს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რისთვისაც აუცილებელია, რომ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით უარყოს ის. 21

336-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია უარის თქმის უფლების გამოყენებას მხოლოდ მაშინ იძლევა, როდესაც შესრულება ხდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, ანუ მომხმარებელს ეს უფლება ერთმევა მაშინ, როდესაც შესრულება ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე. ეს რეგულაცია, გარკვეულწილად, ეჭვქვეშ აყენებს იმ მიზნის მიღწევადობას, რისთვისაც ეს ინსტიტუტი, ზოგადად, არის მოწოდებული. როგორც წესი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, სწორედ რომ დადებისთანავე ხდება შესრულება. ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც 22

ცია გასაყიდი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ, მოკლებულია არჩევანის საშუალებას, ვერ ახერხებს შეთავაზებული პროდუქციის შედარებას სხვა, მაგრამ იმავე ტიპისა და დანიშნულების მქონე პროდუქციასთან, ვერ იგებს პროდუქციის საბაზრო ღირებულებას და ა.შ., რისი საშუალებაც ყოველთვის არის ჩვეულებრივ სავაჭრო ადგილებში, სადაც შედარების საფუძველზე კეთდება არჩევანი. იხ. ქარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 134.

9 იხ. იქვე, გვ. 153.

ხელშეკრულების დადებისას მხარეები თანხმდებიან ნაკისრი ვალდებულების მოგვიანებით შესრულებაზე. თუმცა არ არის გამორიცხული ასეთი შემთხვევის არსებობაც.

- 23 შესრულების ადგილზე, ხელშეკრულების დადებისთანავე განხორციელების შემთხვევაში, მომხმარებელი ვერ იღებს ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ დაცვას და მისი, როგორც ქუჩაში დადებული ხელშეკრულების, კვალიფიკაცია აზრს კარგავს.
- 24 იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულება ხდება დადების შემდეგ, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ როდიდან იწყებს ათვლას უარის თქმის 7-დღიანი ვადა. აღნიშნულის თაობაზე კოდექსი დუმს. დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ვადის ათვლა უნდა მოხდეს არა ხელშეკრულების დადების, არამედ შესრულების მომენტიდან.¹⁰ ეს მოსაზრება სრულიად გამართლებულია მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. რადგან რეგულაცია მომხმარებლის ინტერესების დაცვას ემსახურება, ნებისმიერი ბუნდოვანი საკითხი სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განიმარტოს. შესაბამისად, ნივთის ნასყიდობის დროს ვადა ათვლას იწყებს იმ დღიდან, როდესაც მყიდველს ნივთი გადაეცემა. რაც შეეხება მომსახურების განევას, ვინაიდან მიღებული მომსახურების დაბრუნება შეუძლებელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვადა ათვლდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან.¹¹ თუ მომსახურების მიღება განხორციელდა ამ ვადის გასვლამდე, მაშინ მომხმარებელი კარგავს უარის თქმის უფლებას. ამკარაა, რომ მომსახურების შემდენი მომხმარებელი ნაკლებად სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება საქონლის შემდენთან შედარებით, რომელმაც ჯერ საქონელი მიიღო და ამის შემდეგ დაიწყო შეცილების ვადის ათვლა.
- 25 მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა ასევე ადგენს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისადმი დეტალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ხელშეკრულების პირობებთან, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.¹² ქონებრივი და ინფორმაციული ხასიათის უფლებათა ასეთი შეჯერება მომხმარებელთა სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია.
- 26 336-ე მუხლი არაფერს ამბობს მომხმარებლის ინფორმაციული ხასიათის უფლებებზე. მართალია, დავის შემთხვევაში შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს 318-ე მუხლი (რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების უფლებას) და მის საფუძველზე მოხდეს მომხმარებელთა დაცვა, თუმცა სპეციალური რეგლამენტაციის არსებობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მოვაჭრის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის კონკრეტული სამართლებრივი შედეგები, გაცილებით უკეთ უზრუნვე-

10 იხ. ცერცვაძე, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 197.

11 ანალოგიურს ითვალისწინებს დირექტივის 9(ა)(ბ) მუხლიც. იხ. Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on Consumer Rights. <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0064:0088:en:PDF> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

12 იხ. იქვე, 7(1), 6(1), 10 მუხლები.

ლყოფდა იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც ეს სამართლებრივი ინსტიტუტი არის მონოდებული. გარდა ამისა, 336-ე მუხლი არ ეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმით გამონვეული შედეგების რეგულირებას, ანუ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პროდუქციის დაბრუნება და მოვაჭრის მიერ მისი მიღება, გადახდილი ღირებულების უკან დაბრუნება, განეული ხარჯების ანაზღაურება და სხვ. რა თქმა უნდა, ზოგადად, ხელშეკრულების მოშლის შედეგები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, თუმცა სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან, კერძოდ, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, საკითხი ცალკე მონესრიგების ობიექტი უნდა გახდეს.

მუხლი 337. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება

თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი.

- I. ხელშეკრულების განმარტების მნიშვნელობა.....151
- II. ნების გამოვლენის განმარტება.....152
 - 1. განმარტების სუბიექტური და ობიექტური თეორიები.....152
- III. ბალანსი სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს შორის
 - თანამედროვე მიდგომა.....153

I. ხელშეკრულების განმარტების მნიშვნელობა

- 1 ხელშეკრულების განმარტება მისი შინაარსის დადგენის მიზნით ხდება. განმარტების აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ წარმოიშობა, როდესაც ხელშეკრულება შეიცავს ორაზროვან, ბუნდოვან, განუსაზღვრელ პირობებს. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მხარეებმა ხელშეკრულებაში გამოიყენეს გამონათქვამები (ტერმინები), რომელთაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ, რამაც არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საფრთხე დააყენა; კანონის ენა, რომლის დებულებებიც მხარეებმა შეიტანეს ხელშეკრულებაში, არ დაემთხვა ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო პირობებში გამოყენებულ ენას; მხარეთა უყურადღებობიდან ან არასათანადო ცოდნიდან გამომდინარე, გაიპარა გრამატიკული შეცდომები, რამაც შეცვალა ტექსტის არსი და ა.შ.
- 2 განმარტება აუცილებელია მაშინაც, როდესაც პირობები თუმცა საკმაოდ ნათელია, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო.
- 3 ეს მუხლი ეხება ხელშეკრულების განმარტების წესს ცალკეულ გამონათქვამებთან მიმართებით და აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როცა გამონათქვამების მრავალმნიშვნელოვნების გამო მათი აზრი და შინაარსი სადავო ხდება მხარეთათვის.
- 4 მუხლის მიზნიდან გამომდინარე, „ცალკეულ გამონათქვამებში“ მოაზრებულ უნდა იქნეს არა მარტო სიტყვათა წყობა, არამედ ცალკეული სიტყვებიც, თუ მათი მნიშვნელობა განსხვავებულად აღიქმება მხარეთა მიერ.
- 5 337-ე-339-ე მუხლების გამოყენების სფერო 52-ე მუხლისაგან უნდა გაიმიჯნოს შემდეგი ნიშნით: 52-ე მუხლი უპირატესობას არ ანიჭებს არც ნების გამოვლენის და არც ნების მიმღების შემეცნების (გაგების, აღქმის) შესაძლებლობას და შეფასების საზომად „გონივრულ განსჯას“ ადგენს, რის გამოც ეს არის ზოგადად ნების გამოხატვის და არა მხოლოდ მიღებასავალდებულო ნების გამოხატვის წესი. ამისაგან განსხვავებით, 337-ე-339-ე მუხლები (საბოლოო ჯამში, ასევე 345) კი არის მიღებასავა-

ლდებულო ნების გამოხატვის წესი და ამიტომაც ობიექტური მიმღების თვალსაზრისიდან განმარტებისაკენ იხრებიან. ამ მუხლებში მოცემულია ამ ობიექტური მიმღების თვალსაზრისიდან განმარტების კრიტერიუმები, რის გამოც 52-ე და 337-ე-339-ე მუხლები ერთმანეთს ავსებენ.

II. ნების გამოვლენის განმარტება

1. განმარტების სუბიექტური და ობიექტური თეორიები

ხელშეკრულება მინიმუმ ორი მხარის მიერ იდება. მისი შინაარსის დადგენის ფუნდამენტური მიზანი მხარეთა ნამდვილი ნების განსაზღვრაა, ანუ იმის დადგენა, თუ რა იყო თითოეული მხარის განზრახვა ხელშეკრულების დადებისას. მხოლოდ ერთი მხარის განზრახვას არ შეუძლია, თავისთავად ჩამოაყალიბოს ავტორიტეტული კრიტერიუმი კონტრაქტის განმარტებისთვის, რამეთუ ის მოიცავს წმინდად ფსიქოლოგიურ შინაგან მდგომარეობას და, როგორც ასეთი, არ არის აღქმადი მეორე მხარისთვის. ამდენად, შინაგანი ნებისადმი მიმართვა არასწორია, თუ მისი ადრესატის მიერ ეს ნების გამოხატვა განსხვავებულად იქნა აღქმული.¹

ხელშეკრულების განმარტებისადმი მიდგომა ისტორიულად ორი საპირისპირო პოზიციით გამოიხატა.² დაპირისპირების არსი ისაა, თუ რომელს მინიჭებოდა უპირატესობა იმ შემთხვევაში, როდესაც შინაგანი და გამოვლენილი ნება არ მოდიოდა ერთმანეთთან თანხვედრაში. ერთი პოზიციის თანახმად, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა ნების გამოვლენის სუბიექტურ მხარეს (ნების თეორია, სუბიექტური თეორია), როგორც ერთადერთსა და მნიშვნელოვანს. ამ თეორიის თანახმად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ნება აღქმადი იყო, ხოლო მისი ნამდვილი აზრის დადგენა შემდგომში შესაძლებელი, დავისას სწორედ მას უნდა განეოდა ანგარიში, ანუ განმარტება მხარეთა ნამდვილ ნებას დაფუძნებოდა; მეორე შეხედულების თანახმად, უპირატესობა ნების გარეგან გამოვლენას უნდა მინიჭებოდა, იგი მიმართული იყო ნებულობითი აქტის გარეგნული ნიშნებისკენ (ნების გამოვლენის თეორია, ობიექტური თეორია). ამ უკანასკნელის თანახმად, თუ ნება სათანადოდ არ იყო გამოვლენილი, მის შინაარსზე მსჯელობა არ შეიძლებოდა. სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ნების გამოვლენის შინაგან მხარეს იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ის არ გამოდიოდა იმ სამართლებრივი მნიშვნელობის ფარგლებიდან, რასაც ანიჭებდა თავის ნების გამოვლენას გონიერი ადამიანი.³

ისტორიულად განმარტების ამოსავალი წერტილი ობიექტური მიდგომა იყო თითოეული სიტყვის ზუსტი, ზედმიწევნითი მნიშვნელობის დადგე-

1 *Canaris/Grigoleit*, Interpretations of Contracts, in: Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004, pp. 445-470.

2 იხ. ბალიშვილი, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 106.

3 *Цвайгерт/Кетц*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 2000, С. 105.

ნით. ასეთმა მკაცრმა ფორმალიზმმა და სახელშეკრულებო პირობების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისადმი განსაკუთრებული დატვირთვის მინიჭებამ შედეგად ის გამოიწვია, რომ მხარეები იზოჭებოდნენ კონტრაქტის პირობებით მაშინაც, როცა მათ შეცდომით ჩამოაყალიბეს (გამოხატეს) ისინი.

- 9 მოგვიანებით ლიტერატურასა და პრაქტიკაში გაბატონებული პოზიცია სუბიექტურმა თეორიამ დაიმკვიდრა, რომლის თანახმად, მხარის მიერ ხელშეკრულებაში შეცდომით, არაზუსტად ჩამოყალიბებული პირობა სასამართლოს მიერ მხედველობაში არ უნდა მიღებულიყო. მისი უპირატესობა დასაბუთებული იყო იმით, რომ, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის შესაბამისად, მხარეთა ბოჭვა მოჰყვებოდა მხოლოდ თავისუფლად გამოხატულ ნებას.⁴
- 10 მართალია, დავამ ამ ორ თეორიას შორის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მით უმეტეს კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მაგრამ დღეს მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ხელშეკრულების განმარტების პრობლემის გადაწყვეტაში, ფაქტობრივად, უმნიშვნელოა.
- 11 განსხვავებებს მხარის განზრახვასა და მისი ნების გამოვლენის ობიექტურ მნიშვნელობას შორის შესაძლოა ჰქონდეს პრაქტიკული გავლენა მხოლოდ კითხვაზე – არის თუ არა ხელშეკრულება ნამდვილი. დავა სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს შორის რელევანტური ხდება მხოლოდ ცალმხრივი შეცდომის დოქტრინაში და არ ზღუდავს ინტერპრეტაციის საკითხებს.⁵

III. ბალანსი სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს შორის – თანამედროვე მიდგომა

- 12 ევროპული სამართლებრივი სისტემების უმეტესობა ცდილობს, დაამყაროს სამართლიანი ბალანსი ინტერპრეტაციის სუბიექტურ და ობიექტურ მიდგომებს შორის.⁶
- 13 მართალია, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, გარკვეულწილად, პრევალირებს ობიექტური განმარტება, თუმცა ის ასრულებს განსხვავებულ ფუნქციას. იგი მოიაზრებს ფორმალობას არა იმ გაგებით, რომ მხარე მკაცრად იზოჭება პირობების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ იძლევა სხვა კრიტერიუმების გათვალისწინების საშუალებასაც, გარდა სიტყვის ზუსტი მნიშვნელობისა.
- 14 52-ე მუხლი, რომელიც ადგენს, ზოგადად, ნების გამოვლენის განმარტებას (ეს ნესი სრულად ვრცელდება ხელშეკრულების განმარტებაზეც), უთითებს, რომ ნება მარტოდენ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ დგინდება. ძირითადად, ტერმინთა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გადახვევა შესაძლებელი უნდა იყოს მაშინ, როდესაც ტერმინი ბუნდოვანია.

4 Savigny, System des heutigen Römischen Rechts, Band 3, 1840, S. 258; იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 337, გვ. 155.

5 Canaris/Grigoleit, Interpretations of Contracts, in: Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004, p. 447.

6 ანალოგიურ მიდგომას ავითარებენ სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციის აქტებიც. იხ. Principles of International Commercial Contracts, Chapter 4: Interpretation; Principles of European Contract Law, Chapter 5 – Interpretation; Draft Common Frame of Reference, Chapter 8 – Interpretation.

ასეთ შემთხვევაში ზუსტი მნიშვნელობა დგინდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. გონივრული განსჯა, რომელზეც მიუთითებს 52-ე მუხლი, მიზნად ისახავს მხარეთა ნების დადგენას.⁷ ეს უკანასკნელი, ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების იმ ნაწილის ანალიზით, რომელიც პირდაპირ ეხება მიზანს ან ხელშეკრულების საგანს. იმავდროულად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეთა წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები, მიმონერა, ურთიერთობების პრაქტიკა, საქმიანი ბრუნვის ჩვეულებები, მხარეთა ქცევა ხელშეკრულების დადების შემდეგ და სხვ. ამდენად, ხელშეკრულების განმარტების მიზანი არის იმის დადგენა, თუ რა იყო მასში ნამდვილად გამოხატული.

სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა გულისხმობს ე.წ. ფილოლოგიური (გრამატიკული) განმარტების მეთოდს, რა დროსაც აუცილებელია, დადგინდეს ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების, გამონათქვამების ზუსტი მნიშვნელობა. ეს მეთოდი არა მარტო თითოეული ტერმინის, არამედ სიტყვათა ნაწილის მნიშვნელობის დადგენას ემსახურება.

სიტყვათა ფორმულირების ანალიზი აუცილებელი საწყისი ეტაპია განმარტებისას. მას კონკრეტული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ის არის მხარის განზრახვის გამოვლინება. თუ მხარეთა ნება ემთხვევა, მაგრამ განსხვავდება მათ მიერ გამოთქმულ სიტყვათა ჩვეულებრივი მნიშვნელობისგან, ანუ ნება სხვა იყო და სხვა გამოავლინეს, ასეთ დროს მხარეთა თანმხვედრ ნებას პრიორიტეტი ენიჭება გამოვლენილი ნების ჩვეულებრივ თუ სწორ მნიშვნელობასთან შედარებით. ეს პრიორიტეტი ეფუძნება ვარაუდს, რომ ინტერპრეტაციისას არ არსებობს მხოლოდ წმინდად ობიექტური მიდგომა. მნიშვნელოვანია ნების გამოვლენის ადრესატის აზრი, რომელიც ყალიბდება არა მხოლოდ განცხადებიდან, გამოვლენიდან, არამედ ყველა იმ გარემოებიდან, რომლებიც იძლევა მეორე მხარის ნამდვილი ნების თაობაზე დასკვნის გამოტანის საშუალებას.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა მხარეებმა ერთი და იგივე მნიშვნელობა მიანიჭეს გარკვეულ გამონათქვამს, რომელსაც შეიძლება, ზოგადად, სხვა მნიშვნელობა აქვს, პრობლემა არ წარმოიშობა და ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება ხდება სწორედ მათი საერთო ნების მიხედვით, და არა იმის შესაბამისად, თუ რა ტერმინი იქნა გამოყენებული.⁸

მაგრამ, როდესაც მხარეთა შორის წარმოიშობა დავა ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების თაობაზე, ანუ ისინი გამონათქვამებში სხვადასხვა მნიშვნელობას დებენ, 337-ე მუხლის თანახმად, **უპირატესობა**

7 ნების გამოვლენის განმარტებაზე იხ. უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N28/1151-16 გადაწყვეტილება; 2015 წლის 23 თებერვლის N ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილება.

8 აღნიშნული მიდგომა ფართოდაა დამკვიდრებული თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. მაგ., უნიდროს პრინციპები 4.1 მუხლში ადგენს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების თანახმად, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს ნება დადგინდება, ხოლო ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები 5.101 მუხლში უთითებს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების თანახმად, მაშინაც კი, როცა ეს ნება განსხვავდება მათ მიერ გამოთქმულ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობისგან. იხ. Unidroit Principles of International Commercial Contracts with Official Commentary (1994), www.jus.uio.no/lm/unidroit.international.commercial.contracts.principles.1994.commented, Principles of European Contract Law; <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/index.html>.

უნდა მიენიჭოს გამონათქვამის იმ მნიშვნელობას, რომელიც დამკვიდრებულია მხარეთა საცხოვრებელ ადგილას. მხარეთა საცხოვრებელი სწორედ ის ადგილია, სადაც ისინი, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად შედიან საზოგადოებრივ ურთიერთობებში და გამონათქვამისადმი იმ მნიშვნელობის მინიჭება, რაც ამ ადგილას, ჩვეულებრივ, მიღებულია, სრულიად გამართლებულია მხარეთა კანონიერი მოლოდინის ფარგლებში. ამოსავალი აქ არის ის, თუ იმავე ადგილას მცხოვრები კეთილგონიერი ადამიანი იმავე გარემოებებში რა მნიშვნელობას მიანიჭებდა ამ გამონათქვამს, ანუ როგორ აღიქვამდა ამ ნების გამოვლენას გონივრულობის ფარგლებში ის ადამიანი, რომელიც შედის აქ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ფლობს იმავე ენობრივ ცოდნას, ტექნიკურ უნარებს, საქმიან გამოცდილებას და სხვ.

- 19 იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განსხვავებული საცხოვრებელი ადგილი აქვთ, 337-ე მუხლი პრიორიტეტს აქცევტანტის საცხოვრებელს ანიჭებს. გადამწყვეტი მნიშვნელობისა ხდება ის, თუ რა აზრს ჩადებდა ამ გამონათქვამში აქცევტანტის ადგილას მყოფი გონიერი ადამიანი საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.⁹
- 20 იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც ხელშეკრულების პირობა ჩამოაყალიბა, შესაძლოა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდეს გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, მაშინ, როცა დამტკიცდება, რომ ეს პირობა ნამდვილად იყო ერთაზროვნად და ნათლად ფორმულირებული. ობიექტური ინტერპრეტაციის დროს მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ ხდება გამოხატული ნების აღქმა. თითოეული ნების გამოვლენის შინაარსი, არსი განისაზღვრება დამოუკიდებლად და მასთან მიმართებით დგინდება ადრესატის აზრი. ნების გამოვლენის შინაარსი უნდა განისაზღვროს ობიექტურად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადრესატს შეეძლო, გონივრულად დაყრდნობოდა ენის „ნორმალურ“ გამოყენებას, გარკვეულ ქცევათა „ჩვეულებრივ“ მნიშვნელობას.
- 21 აქცევტანტის მხარისადმი უპირატესობის მინიჭება გამართლებულია იმით, რომ პირი, რომელსაც სურს, მისი ნება გათვალისწინებულ იქნეს და აკეთებს წინადადებას ხელშეკრულების დასადებად, ვალდებულია, ისე ჩამოაყალიბოს სახელშეკრულებო პირობები, რომ ადრესატისთვის ნათელი, გასაგები და არაორაზროვანი იყოს, რამეთუ სწორედ მათზე დაყრდნობით ახორციელებს ადრესატი გარკვეულ მოქმედებებს. შესაბამისად, ოფერენტი არ შეიძლება იმსახურებდეს განსაკუთრებულ სამართლებრივ დაცვას, თუ მან ისე დადო ხელშეკრულება, რომ არ დარწმუნებულა მის მიერ ფორმულირებული ტერმინების, გამონათქვამების მკაფიოობასა და ერთგვაროვანი გამოყენების შესაძლებლობაში. ობიექტური განმარტება მხედველობაში იღებს იმას, რომ ნების გამომვლენმა მხარემ არასათანადოდ გამოხატა თავისი ნება და ამიტომ მის ადრესატს არ შეუძლია, გონივრულად მიიჩნიოს ნამდვილი ნება ხელშეკრულების განმარტებისათვის რელევანტურად.

⁹ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის №28/3079-12 გადაწყვეტილება.

მუხლი 338. ურთიერთგამომრიცხველი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში

ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

- I. ნორმის გამოყენების წინაპირობა და მნიშვნელობა155
- II. ხელშეკრულების სისტემური განმარტების არსი.....156

I. ნორმის გამოყენების წინაპირობა და მნიშვნელობა

ხელშეკრულების განმარტების¹ აუცილებლობა დგება არა მარტო მაშინ, როდესაც მხარეები ცალკეულ გამონათქვამებს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ, არამედ მაშინაც, როდესაც ხელშეკრულებაში არსებული დებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, ან, ურთიერთობის კონტექსტიდან გამომდინარე, მათ, შესაძლოა, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.

ეს ნორმა აზუსტებს 52-ე მუხლს, ანუ მისი ფორმულირება ემსახურება „გონივრული განსჯით“ (ამ შემთხვევაში ხელშეკრულების სისტემისა და კონტექსტის გათვალისწინებით) მხარეთა ნების დადგენას.²

ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების ბუნების, მისი შინაარსის დადგენას, საიდანაც, საბოლოო ჯამში, გამომდინარეობს მხარეთა ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები.

338-ე მუხლით განსაზღვრული წესი ადგენს სისტემური განმარტების მეთოდს. მის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს. ხელშეკრულების შინაარსს ქმნის მხარეთა უფლება-მოვალეობების ერთობლიობა. შესაბამისად, გამონათქვამის განმარტებისას უნდა მოხდეს მისი შედარება ხელშეკრულების სხვა პირობებთან, მის მთლიან არსთან, ბუნებასა და მიზანთან, რამეთუ კონტექსტის გათვალისწინებამ შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მხარეთა სავარაუდო განზრახვის დადგენისას, ვიდრე ცალკეული დებულების იზოლირებულად განხილვამ.³

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ დებულებათა ურთიერთგამომრიცხვაობა არ იწვევს დისენსუსს (327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა მხარეები აღწევენ კონსენსუსს მის არსებით პირობებზე). შესაბამისად, თუ 52-ე და ამ ნორმის კომბინირებით ვერ დგინდება მხარეთა ნამდვილი ნება, ანუ ის ნება, რომელსაც ორივე მხარე გონივრული განსჯის შედეგად შესაბამის

1 ხელშეკრულების განმარტების მნიშვნელობაზე იხ. 337-ე მუხლის კომენტარი.
 2 სსკ 52-ე მუხლთან დაკავშირებით იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 252-253.
 3 იხ. *ბაჩიაშვილი*, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2013, გვ. 20-21.

ფორმულირებაში ამოიკითხავდა, სახეზეა დისენსუსი და ხელშეკრულება (თუ დისენსუსი ეხება მის არსებით პირობებს) ან კონკრეტული დათქმა (თუ დისენსუსი ეხება არაარსებით პირობას) ბათილია.⁴

II. ხელშეკრულების სისტემური განმარტების არსი

- 6 როდესაც ხელშეკრულება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან მრავალმნიშვნელოვან გამონათქვამებს თუ სიტყვებს, მათი განმარტება მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში უნდა მოხდეს. თითოეული სიტყვა თუ გამონათქვამი ხელშეკრულების, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელია და მისი საერთო კონტექსტიდან ამოღება და დამოუკიდებლად შეფასება არ დააყენებს გონივრულ, მხარეთა კანონიერი მოლოდინის შესაბამის შედეგებს, რამეთუ მხარეთა მიზანი, როდესაც ისინი ფორმულირებას უკეთებდნენ თავიანთი ნების გამოვლენას კონკრეტული გამონათქვამების სახით, ნამდვილად არ იქნებოდა მათი იზოლირებულად გამოყენება. ამდენად, ასეთ დროს სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმ გამონათქვამს (ან სიტყვას) და მის იმ მნიშვნელობას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ხელშეკრულების მთლიან შინაარსს, მის არსს.
- 7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ხელშეკრულების ბუნდოვანი გამონათქვამების განმარტებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაა. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობა მაშინ ხდება, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დაობენ. გამონათქვამების შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავენ.⁵
- 8 სისტემურ მეთოდს არც სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციები ტოვებენ ყურადღების მიღმა. უნიდროას პრინციპების 4.4 მუხლის თანახმად, „პირობები და გამონათქვამები უნდა განიმარტოს მთლიანი ხელშეკრულების ან განცხადებების ჭრილში, სადაც ისინი ჩნდებიან“; ანალოგიურ დანაწესს აყალიბებს „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“, რომლის 5:105 მუხლის თანახმად, პირობები განიმარტება იმ მთლიანი ხელშეკრულების კონტექსტში, რომელშიც ისინი არიან ჩართული. ანალოგიური მიდგომა აქვს ტერმინთა ერთიან ჩარჩო პროექტს.⁶

4 იხ. სსკ 53-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგს იმ შემთხვევაში, როცა განმარტების მეთოდების გამოყენების შემდეგაც ზუსტად ვერ დგინდება გარიგების შინაარსი. დანვრლებით იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 254.

5 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №2 ას-1144-1090-2014 გადაწყვეტილება.

6 იხ. Principles of International Commercial Contracts 2010, art. 4.4 <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010>; Principles of European Contract Law 2002, art. 5:105 <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>; Draft Common Frame of Reference (DCFR), II-8:105.

- ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპების ავტორები უთითებენ: გონივრულია იმის დაშვება, რომ მხარეების სურვილი ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი აზრების გამოხატვა იყო. ამდენად, აუცილებელია ხელშეკრულების, როგორც ერთი მთლიანის, განმარტება, სადაც არ მოხდება ერთი პირობის მეორისგან განცალკევება ერთიანი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.⁷ 9
- როდესაც მხარეები ხელშეკრულების დადებისას აყალიბებენ კონკრეტულ პირობას, ისინი ითვალისწინებენ არა მარტო მიზანს, რომლის მიღწევისკენაც არის მიმართული მათი საერთო ნება, არამედ სხვა პირობებსაც, რომლებიც იმავე მიზნის მიღწევას ემსახურება. ამდენად, ხელშეკრულების როგორც მიზანი, ასევე მისი შინაარსი (სხვა პირობები) მნიშვნელოვნად მონაწილეობს იმაზე, თუ რა აზრი დევს სადავო პირობაში. 10
- დოქტრინაში მოყვანილია მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც სადავო პირობის განმარტება სწორედ სხვა პირობებთან შედარების ჭრილში მოხდა: 11
- მომღერალი ქალბატონი, რომელსაც მანამდე არ ჰქონდა სცენაზე მუშაობის გამოცდილება, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით აყვანილ იქნა კაბარე „Champs-Élysées“-ის მენეჯერის მიერ. ხელშეკრულება შეიცავდა პირობას, რომლის თანახმად, მენეჯერს უფლება ჰქონდა, მოეშალა ხელშეკრულება მომღერლის პირველი სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ხელშეკრულების სხვა პირობის თანახმად, თითოეულ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარისთვის უნდა გადაეხადა ჯარიმა. მომღერალი გაშვებულ იქნა სამსახურიდან პირველივე დღის შემდეგ, რის შემდეგაც მან შეიტანა სარჩელი და მოითხოვა ჯარიმის გადახდა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯარიმის თაობაზე პირობის განმარტება მოხდა იმ პირობის ჭრილში, რომელიც მხარეს აძლევდა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას სამი დღის განმავლობაში, რაც გამოსაცდელ პერიოდს წარმოადგენდა.⁸ 12
- ამ მაგალითში, ჯარიმის თაობაზე პირობის სხვა პირობებთან შედარებიდან, ასევე მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში მისი განხილვიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ პირობის დანესება ემსახურებოდა გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ მხარეთა ინტერესების დაცვას. ამდენად, ამ შემთხვევაში იმ პირის მიმართ ჯარიმის გამოყენება, რომელმაც შეწყვიტა ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, შეუსაბამო იქნებოდა ხელშეკრულების მთლიან არსთან. 13
- სისტემური მეთოდის გამოყენებისას ასევე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სადავო პირობის ადგილი ხელშეკრულებაში, ასევე იმ ნაწილის დასახელება, რომელშიც ის არის განთავსებული. 14

7 Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), 2000, p. 360.

8 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DCFR). Full Edition/ Chr. von Bar, E. Clive. Vol. I. P.568.

მუხლი 339. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები

ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

I. საგანი და მიზანი.....	158
II. 339-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან	159
III. ძირითადი ცნებები.....	160
1. სავაჭრო ჩვეულებები	160
ა. სავაჭრო ჩვეულების ცნება	160
ბ. ცალკეული სავაჭრო ჩვეულებები	161
2. სავაჭრო ტრადიციები.....	163
IV. 339-ის მოქმედების წინაპირობები.....	164
1. სავაჭრო ჩვეულების რელევანტურობა	164
2. სავაჭრო ტრადიციის რელევანტურობა	164
V. ნორმის დატვირთვა პროცესში.....	165
1. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენების ფარგლები.....	165
2. მტკიცების ტვირთი.....	165

I. საგანი და მიზანი

- 339-ე მუხლი გზას უხსნის სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს ხელშეკრულებათა განმარტებისა და მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის პროცესში.
- 339-ე მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ეს ტერმინოლოგიური სხვაობა შინაარსობრივ სხვაობასაც გულისხმობს – სავაჭრო ჩვეულებებში მოიაზრება ზოგადი ქცევის წესი, რომელიც დამკვიდრებულია ვაჭრობაში და ფართოდ გამოიყენება სავაჭრო ნრეებში (*usage*), ხოლო ტრადიცია უშუალოდ ურთიერთობის მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკაა (*practice*).¹
- 339-ე მუხლი მიუთითებს სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებზე, როგორც ხელშეკრულების განმარტებისა და შევსების წყაროებზე. ამ თვალსაზრისით და 339-ე მუხლის მნიშვნელობით, სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები ასრულებენ ორმაგ ფუნქციას – ისინი, ერთი მხრივ, შეიძლება, სასამართლომ გამოიყენოს, როგორც ხელშეკრულების განმარტების წყარო, ხოლო მეორე მხრივ მათგან ანარმოს მხარეთა უფლებები და მოვალეობები. პირველ შემთხვევაში სასამართლო ეყრდნობა სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს მხარეთა ქმედებებისა და გამონათქვამების განმარტების მიზნით, ხოლო მეორე შემთხვევაში, სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, სასამართლო ავსებს ხელშეკრულებას და აზუსტებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

1 *Graffi, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011, p. 275.*

II. 339-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

სავაჭრო ჩვეულებები წარმოადგენენ სავაჭრო ბრუნვის ნეს-ჩვეულებებს. ისინი ადგენდნენ „გონივრულობის“ სტანდარტს სავაჭრო ურთიერთობებში და ამგვარად ავსებენ და აკონკრეტებდნენ 52-ე მუხლს. სწორედ ამიტომ, თუ კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობა ამა თუ იმ სავაჭრო ჩვეულების მოქმედების სფეროში ხვდება, მხარეთა ქცევის ან გამონათქვამების შეფასებისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს შესაბამის სავაჭრო ჩვეულებას. იგივე შეიძლება ითქვას 8 III, 361 II მუხლებისა და 339-ე მუხლის ურთიერთქმედებაზე. 8 III მუხლის საფუძველზე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, ისევე როგორც 361 II მუხლის საფუძველზე კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულების შეფასებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სავაჭრო ჩვეულებები და კეთილსინდისიერი კომერსანტის ქცევის სტანდარტი.

კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპს ეფუძნება ასევე სავაჭრო ტრადიციებით მხარეთა ბოჭვაც. შესაბამისად, მათი გამოყენებაც არა იზოლირებულად, არამედ 8 III, 52 და 361 II მუხლებთან კავშირში უნდა მოხდეს და მათ ფარგლებში უნდა დასაბუთდეს.

სავაჭრო ჩვეულებებზე მითითებას ასევე შეიცავს 69 IV, 684 V და 878 მუხლები. 69 IV მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენას, განმეორებას ან აღბეჭდვას, „იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის, ფასიან ქალაქებზე ხელის მოწერისას.“ სიტყვა „იქ“ ამ ნორმის მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ ტერიტორიულ ერთეულზე მინიშნებად, იგი ასევე მოიაზრებს ცალკეულ სავაჭრო წრეებს ან ტრანსაქციათა ცალკეულ კატეგორიებს, რაზეც ფასიან ქალაქებზე გაკეთებული მინიშნებაც მიუთითებს. რაც შეეხება 684 V მუხლს, ეს საკოლიზიო ნორმა ეფუძნება ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულებათა შესახებ 1956 წლის კონვენციის (CMR²) 16 V მუხლს, რომელიც გადამზიდველის მიერ გადასაზიდი საქონლის გაყიდვისას იმ ქვეყანაში დამკვიდრებულ სავაჭრო ჩვეულებებსა და მოქმედ კანონებზე მიუთითებს, სადაც გამოსყიდვის მომენტში იმყოფება ტვირთი. 878-ე მუხლი სავაჭრო ჩვეულებების ნორმატივიზაციის კლასიკური მაგალითია. ნაცვლად დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი ჩვეულებების კანონში ინკორპორაციისა, კანონმდებელი მიუთითებს მათზე. კანონმდებლის ეს მიდგომა ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ტექნიკური ხასიათის ჩვეულებები პერიოდულად იცვლება და განახლდება, რის მიდევნებაც კანონში ინკორპორაციის შემთხვევაში გართულდებოდა.

მხარეთა ნებას აქვს უპირატესობა 339-ე მუხლთან მიმართებით. თუ მხარეებმა ხელშეკრულებით გამორიცხეს ამა თუ იმ სავაჭრო ჩვეულების ან ტრადიციის მოქმედება, სასამართლო მათ ვერ გამოიყენებს. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები, თუ მხარეები მათ გამოყენებაზე შეთანხმდებიან.

2 საქართველო მიუერთდა 1999 წელს (პარლამენტის 1999 წლის 22 ივლისის № 2289 დადგენილება).

III. ძირითადი ცნებები

1. სავაჭრო ჩვეულებები

ა. სავაჭრო ჩვეულების ცნება

- 8 სავაჭრო ჩვეულება არის სავაჭრო ურთიერთობებში დამკვიდრებული ერთგვაროვანი ქცევის წესი, რომელსაც აღიარებს, ნებაყოფლობით იყენებს და ცნობს შესაბამისი სავაჭრო წრე.³ სავაჭრო ჩვეულება, ამ თვალსაზრისით, სოციალური ნორმაა, თუმცა იგი არ არის სამართლის ნორმა.⁴ შესაბამისი ლეგიტიმაციის გარეშე მისი მოქმედება ფაქტობრივია და არა ფორმალური. მისი ნიშანი არის ის, რომ იქნეს ძალას სახელმწიფოს სანქციით. მაგრამ ასეთი სანქციის საგანი ჩვეულება, როგორც კონკრეტული ქცევის წესი, კი არაა, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობა განსაზღვრული საკითხების მიმართ და განსაზღვრული წესით. სწორედ ამიტომ სავაჭრო ჩვეულებათა სამართლის სისტემაში „დაშვება“ ეფუძნება შესაბამის მითითებით ნორმას, რომელსაც ამ შემთხვევაში 339-ე მუხლი წარმოადგენს (ასევე იხ. 684 V და 878-ე მუხლები).
- 9 ის გარემოება, რომ ჩვეულების გამოყენების შესაძლებლობა კანონით იქმნება, არ გადააქცევს მას კანონად. სამართლებრივი რეგულაციების იერარქიაში მას ბოლო ადგილი უკავია. ის ყოველთვის მოსდევს ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ჩვეულების პარალიზება შეიძლება ხელშეკრულებით, თუ ამ უკანასკნელის პირობა არ ეწინააღმდეგება კანონს.
- 10 მეორე გზა, რომლითაც სავაჭრო ჩვეულება შეიძლება სამართლის სისტემაში შემოვიდეს და მხარეთათვის სავალდებულო გახდეს, არის სახელშეკრულებო გზა. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეებს უფლება აქვთ, შეიბოჭონ თავი ამა თუ იმ სავაჭრო ჩვეულებით ან პირიქით (როგორც ზემოთ აღინიშნა), გამორიცხონ ასეთის მოქმედება.
- 11 სავაჭრო ჩვეულების მოქმედების სფერო შესაძლოა, იზღუდებოდეს როგორც ტერიტორიული, ასევე საგნობრივი ნიშნით. ტერიტორიული თვალსაზრისით, სავაჭრო ჩვეულება შესაძლოა, ატარებდეს ადგილობრივ, რეგიონალურ ხასიათს, ან იყოს საერთაშორისო. საგნობრივი თვალსაზრისით, სავაჭრო ჩვეულება შეიძლება მიეკუთვნებოდეს კონკრეტულ სავაჭრო წრეს, ან იყოს უნივერსალური.
- 12 სავაჭრო ჩვეულება, ეტიმოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით, არის ვაჭართა შორის დამკვიდრებული ჩვეულება. ვაჭრის ცნება აქ ვრცლად უნდა იქნეს განმარტებული. მასში მოიაზრება არა მხოლოდ მენარმეთა შესახებ კანონით დარეგულირებული მენარმე სუბიექტები, არამედ თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებიც. სავაჭრო ჩვეულებები ვრცელდება ყველა სუბიექტზე, რომლებიც ეწევა კანონით აუკ-

3 სავაჭრო ჩვეულების ცნების თაობაზე უფრო დანვრილებით იხ.: *Landa/Beale* (eds.), *Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised)*, 2000, p. 104; *Honnold*, *Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention*, 2nd ed., 1991, p. 146; *Bonell*, in: *Bianca / Bonell* (ed.), *Commentary on the international sales law: the 1980 Vienna sales convention*, 1987, p. 106; *Junge*, in: *Schlechtriem* (ed.), *Commentary on UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 2nd edition (translated), p. 78.

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 339, გვ. 167.

რძალავ, მოგებაზე ორიენტირებულ, არაერთჯერად სამენარმოო საქმიანობას. რაც შეეხება სავაჭრო ჩვეულებების გამოყენებას იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც არ ატარებენ „მოვაჭრის“ სტატუსს (უპირველეს ყოვლისა, მომხმარებელი), მათზე სავაჭრო ჩვეულებები, როგორც წესი, არ ვრცელდება. თუმცა ცალკეული სავაჭრო ჩვეულებები შესაძლოა, ასევე, დამკვიდრდეს მენარმეთა და მომხმარებელთა შორის ურთიერთობებშიც. ასეთი ჩვეულებები ბრუნვის წეს-ჩვეულებებია და მათ ითვალისწინებს სასამართლო 8 III,⁵ 361 II და 52-ე მუხლების ფარგლებში.

იმისათვის, რომ ესა თუ ის სავაჭრო პრაქტიკა სავაჭრო ჩვეულებად იქცეს, იგი უნდა გამოიყენებოდეს გარკვეული დროის განმავლობაში.⁶ ეს დრო შეიძლება ხანგრძლივი იყოს და საუკუნეებს ითვლიდეს,⁷ ან ხანმოკლე იყოს და გარკვეულ მოვლენას უკავშირდებოდეს (მაგ., სავალუტო კრიზისი⁸ ან ომი⁹). ყველა შემთხვევაში ეს ჩვეულება უნდა იყოს ერთგვაროვანი და უცვლელი, ანუ დამკვიდრებული. ჩვეულების გამოყენების სიხშირეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა გამოყენების სიხშირე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის ჩვეულებად დამკვიდრებაზე.¹⁰

სავაჭრო პრაქტიკის სავაჭრო ჩვეულებად დამკვიდრებისათვის ასევე აუცილებელია შესაბამის ვაჭართა წრეში მისი აღიარება.¹¹ აღიარება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სავაჭრო ჩვეულების აღქმას მოქმედ სამართლად (*Opinio juris sive necessitatis*). ამ თვალსაზრისით, სავაჭრო ჩვეულება განსხვავდება ჩვეულებითი სამართლისგან,¹² რომელიც სამართალია და რომლის გამოყენებაც, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ არის დამოკიდებული 339-ე მუხლზე. სავაჭრო ჩვეულების აღიარება, მეტადრე, გამოიხატება იმით, რომ სავაჭრო წრეები მას თვლიან მისაღებ, კეთილგონივრულ პრაქტიკად და მისი მრავალჯერადი გამოყენების გათვალისწინებით გონივრულად მოელოან, რომ იგი მომავალშიც იქნება გამოყენებული და კონტრაქტები მას გაითვალისწინებენ.¹³ სწორედ ამ მოლოდინის დაცვას ემსახურება 339-ე მუხლი.

ბ. ცალკეული სავაჭრო ჩვეულებები

სამოქალაქო კოდექსის გადმოსახედიდან სავაჭრო ჩვეულებად შეიძლება ჩაითვალოს დოკუმენტური აკრედიტივის მარეგულირებელი

5 ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 54-56.

6 Honnold, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., 1991, p. 146.

7 ჩვეულების, როგორც ხანგრძლივად და მრავალჯერადად გამოყენებადი ქცევის წესის ავტორიტეტი ეფუძნება შემდეგ ფორმულას: „ასე იქცეოდა ყველა და ყოველთვის“. იხ. *Брагинский/Витрянский, Договорное Право, Книга первая, Изд 2-е, М. 1999, С. 63.*

8 RGZ 118, 139, 140.

9 RG LZ 1920, 439, 440.

10 Schmidt, in: *MüKo HGB, 2. Aufl., 2009, § 346, Rn. 13.*

11 BGH NJW 1952, 257.

12 დანვრილებით იხ. ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 40.

13 Honnold, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., 1991, p. 146

ერთგვაროვანი ჩვეულებები და პრაქტიკა (*Uniform Customs and Practice for Documentary Credits (UCP)*),¹⁴ რასაც 878-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს.

- 16 კოდიფიცირებული სავაჭრო ჩვეულებების ფართოდ აღიარებული წყაროა INCOTERMS-ი¹⁵ – საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე გავრცელებული ცნებების სანიმუშო განმარტებები, რომელიც შედგენილი და პერიოდულად განახლებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ.¹⁶ INCOTERMS-ის გამოყენება ხელს უწყობს ერთგვაროვნებას საერთაშორისო ვაჭრობაში იმით, რომ ამცირებს იმ გაურკვეველობებს, რაც შესაძლოა, მოჰყვეს სხვადასხვა იურისდიქციაში საერთაშორისო სავაჭრო ცნებების არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას.¹⁷ როგორც წესი, ის მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარეები თანხმდებიან და რთავენ მას თავის ხელშეკრულებაში. თუმცა თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში ასევე აღიარებულია, რომ სავაჭრო ცნებების განმარტებისას INCOTERMS-ის წესები მაშინაც უნდა იქნეს გამოყენებული, როცა მხარეები არ უთითებენ მის შესახებ.¹⁸ ეს მიდგომა, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ამართლებს. ხელშეკრულების განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა საერთო ნება უნდა დადგინდეს. შესაძლოა, მხარეთა ნება სულაც არ გულისხმობდა INCOTERMS-ის გამოყენებას ხელშეკრულებაში არსებული კონკრეტული აბრევიატურის მიმართ (რადგან მათ არ მიუთითეს მის შესახებ), არამედ მხარეებმა თავიანთი ურთიერთობის პრაქტიკა დაამკვიდრეს, სადაც შესაბამის სავაჭრო ცნებას ადგილობრივი, განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.¹⁹

საქმიანი პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში დამკვიდრებული სავაჭრო ჩვეულებაა დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლა საქონლის ან მომსახურების ფასში. მაგ., თუ მხარეები თანხმდებიან ნასყიდობის ფასზე – 100 ლარზე, იგულისხმება, რომ 100 ლარი შეიცავს დღგ-საც. ეს მიდგომა გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც. ამ მიდგომას დასაბუთების მიზნით უზენაესი სასამართლო, ძირითადად, ეყრდნობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 12 XIV (დღევანდელი რედაქციით 8 III მუხლი) მუხლს, რომლის თანახმადაც, დღგ არის საქონლის ან/და განეული მომსახურების ფასზე დანამატი, რომელ-

14 *Schmidt*, in: *MüKo HGB*, 2. Aufl., 2009, § 346, Rn. 29.

15 საერთაშორისო სავაჭრო ცნებები (*International Commercial Terms*).

16 ICC Official Rules for the Interpretation of Trade Terms., <http://www.iccwbo.org/products-and-services/trade-facilitation/incoterms-2010/> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

17 *Graffi*, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, *Journal of Law and Commerce*, Vol. 29:273, 2011, p. 283.

18 იხ. *St. Paul Guardian Ins. Co. v. Neuromed Med. Sys. & Support*, No. 00 CIV. 9344 (SHS) (S.D.N.Y. Mar. 26, 2002); *BP Oil Int'l, Ltd. v. Empresa Estatal Petroleos de Ecuador*, 332 F.3d 333 (5th Cir. 2003); *Tribunal Cantonal [Higher Cantonal Court] du Valais (Switzerland)*, 28 Jan. 2009.

19 მაგ. სხვადასხვა ქვეყანაში ისეთ აბრევიაციებს, როგორებიცაა: *Fob*, *Cif* და სხვ., ყოველთვის არ აქვს იგივე მნიშვნელობა, რასაც INCOTERMS-ი ითვალისწინებს. იხ. *Ferrari*, *Trade Usage and Practices Established between the Parties under the CISG*, 2003 INT'L BUS. L.J. 571, 576.

საც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას. შესაბამისად, თუ ხელშეკრულებიდან და საქმის ვითარებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, იგულისხმება, რომ შეთანხმებული ფასი ასევე მოიცავს დღგ-ს.²⁰

ცალკეულ შემთხვევებში სავაჭრო ჩვეულება, შესაძლოა, აისახოს კანონშიც. სავაჭრო ჩვეულების კოდიფიკაციის მაგალითია 335-ე მუხლი. 18

2. სავაჭრო ტრადიციები

სავაჭრო ტრადიცია გულისხმობს მხარეთა შორის დამკვიდრებულ საქმიან პრაქტიკას. ეს ტრადიცია შესაძლოა, შეესაბამებოდეს სავაჭრო ჩვეულებას, ან არა – გადამწყვეტია, რომ მხარეები მას მიიჩნევენ საკუთარ საქმიან ტრადიციად და ასეთად ამკვიდრებდნენ. 19

იმისათვის, რომ ურთიერთობის პრაქტიკა დამკვიდრებულად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს მრავალჯერადი და მუდმივი.²¹ მხარეთა შორის ერთი ნინა გარიგებიდან გამომდინარე ქცევა, როგორც წესი, არ არის საკმარისი ასეთი პრაქტიკის დამკვიდრებისთვის.²² საქმიანი ურთიერთობა მხარეთა შორის უნდა ხორციელდებოდეს განსაზღვრული დროის განმავლობაში და კონკრეტული ქცევა უნდა მეორედებოდეს მათ შორის დადებულ გარიგებებში. სასამართლო პრაქტიკაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მხოლოდ ორი გარიგება არაა საკმარისი ასეთი პრაქტიკის აღიარებისთვის.²³ პრაქტიკა რომ მუდმივად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს განგრძობადი და უწყვეტი,²⁴ რათა ორივე მხარეს გაუჩნდეს გონივრული მოლოდინი, რომ ყოველი შემდეგი საქმიანი კონტაქტი კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკას დაეყრდნობა.²⁵ 20

რადგან სავაჭრო ტრადიციები გონივრულობისა და ნდობის პრინციპს ეფუძნება, მათგან გადახვევა ითვლება არაკეთილსინდისიერ ქმედებად. შესაბამისად, მხარე, რომელიც მოქმედებს დამკვიდრებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, ვერ მიაღწევს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელიც ამ პრაქტიკას ეწინააღმდეგება (*venire contra factum proprium*). მაგ., თუ, სახელშეკრულებო დათქმის თანახმად, მხარეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 10 დღეში და იგი ამ ვალდებულებას ყოველთვის 10 სამუშაო დღეში ასრულებდა, რაზეც მეორე მხარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს, 21

20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის № ას-592-974-06 გადაწყვეტილება.

21 *Graffi*, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, *Journal of Law and Commerce*, Vol. 29:273, 2011, p. 279.

22 იხ. *Unidroit Principles of International Commercial Contracts 2010*, p. 25-26. <http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2010/integralversionprinciples2010-e.pdf> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

23 *Switzerland 3 December 1997 Civil Court Basel (White urea case)*, იხ. <http://cisgw3.law.pace.edu/cases/971203s2.html> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

24 საქმეზე – (*Pizza cartons*) *Germany 13 April 2000 Lower Court Duisburg* – სასამართლომ აღნიშნა, რომ განგრძობადობა და უწყვეტობა არ იქმნება მხოლოდ ორი გარიგების შემთხვევაში. იხ. <http://cisgw3.law.pace.edu/cases/000413g1.html> (ბოლოს ნანახია: 27.04.2019).

25 *Pamboukis, The Concept and Function of Usages in the United Nations Convention on the International Sale of Goods, Journal of Law and Commerce, Vol. 25:107, 2005–06, p. 107, 113.*

მეორე მხარე ვერ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას 10 კალენდარულ დღეში.²⁶

- 22 339-ე მუხლი მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებს მოიცავს. იგი პირდაპირ არ ვრცელდება მომხმარებელსა და მენარმეს შორის არსებულ ურთიერთობებზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მომხმარებელსა და მენარმეს შორის ურთიერთობებში არ შეიძლება დამკვიდრდეს საქმიანი პრაქტიკა. ასეთ შემთხვევაში დამკვიდრებული ტრადიციების დაცვა 8 III მუხლის საფუძველზე მოხდება.

IV. 339-ის მოქმედების ნინაპირობები

1. სავაჭრო ჩვეულების რელევანტურობა

- 23 სახეზე უნდა იყოს შესაბამისი სავაჭრო ჩვეულება, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული იმ გეოგრაფიულ საზღვრებში (ტერიტორიული მოქმედება) და იმ ვაჭრობის სფეროში (საგნობრივი მოქმედება), რომელშიც მხარეები საქმიანობენ, ან რომლის ფარგლებშიც ისინი დებენ ხელშეკრულებას.
- 24 თუ მხარეები სხვადასხვა ვაჭართა წრეს მიეკუთვნებიან, მათ, ზოგადად, არ მოეთხოვებათ ერთმანეთის სპეციფიკური ჩვეულებების ცოდნა და დაცვა. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, 339-ე მუხლი მოიაზრებს მხოლოდ იმ სავაჭრო ჩვეულებებს, რომლებიც ორივე მხარისათვის ნაცნობია ან ნაცნობი უნდა იყოს.²⁷
- 25 339-ე მუხლის მეშვეობით ხდება სავაჭრო ჩვეულებების ნორმატივიზაცია.²⁸ ამა თუ იმ სავაჭრო წრის წევრობა თავისთავად გულისხმობს შესაბამის სავაჭრო ჩვეულებებს დაქვემდებარებას. სწორედ ამიტომ სასამართლომ კონკრეტული სავაჭრო ჩვეულება მაშინაც უნდა გაითვალისწინოს, როცა ერთ-ერთი მხარისათვის ამ სავაჭრო ჩვეულების მოქმედება იყო მოულოდნელი (მან არ იცოდა ამ ჩვეულების შესახებ, ან შეცდომით თვლიდა, რომ ეს ჩვეულება ამ შემთხვევაში არ გამოიყენებოდა).²⁹ თუ მხარეებს არ სურთ სავაჭრო ჩვეულების მოქმედება, მათ ეს უნდა დათქვან ხელშეკრულებაში.

2. სავაჭრო ტრადიციის რელევანტურობა

- 26 სავაჭრო ტრადიცია რელევანტურია, თუ მხარეთა შორის არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ისინი ასეთი ტრადიციით იბოჭებიან. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სავაჭრო პრაქტიკის არსებობა, რომელიც მსგავს ურთიერთობებში უკვე გამოიყენება. რაც შეეხება გონივრული მოლოდინის საკითხს, მისი დადგენის წესს 339-ე მუხლი არ ითვალისწინებს, რადგან ეს უკანასკნელი ტექნიკური, მითითებითი ხასიათის ნორმაა. თუმცა გონივრულ მოლოდინს, ზოგადად, იცავს სამოქალა-

²⁶ Schmidt-Kessel, in: Schlechtriem/Schwenzer, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., Art. 8.

²⁷ Schmidt, in: MüKo HGB, 2. Aufl., 2009, § 346, Rn. 34.

²⁸ Hopt, in: Baumbach/Hopt, HGB, 35. Aufl., 2012, § 346, Rn. 8.

²⁹ BGH NJW 1993, 1788, 1789.

ქო კოდექსი და იგი სახელმწიფოებო სამართლის ამოსავალი პრინციპია. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, 339-ე მუხლი ნაკითხულ იქნეს 8 III, 52 და 361 II მუხლებთან მჭიდრო კავშირში.

V. ნორმის დატვირთვა პროცესში

1. სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენების ფარგლები

339-ე მუხლის თანახმად, სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები „შეიძლება“ იქნეს მიღებული მხედველობაში. ეს ფორმულირება არ უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს დისკრეციად. 339-ის მიზანია, მოახდინოს სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების ნორმატივიზაცია და ამით შესაძლებელი გახადოს მათი პროცესში გამოყენება. ამის გათვალისწინებით, მოსამართლის მიერ სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენებლობა შესაძლოა, გახდეს გადანყვეტილების გასაჩივრების საფუძველი, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ არსებობს შესაბამისი სავაჭრო ჩვეულება, რომელიც რელევანტური იყო ამ შემთხვევაში, ან არსებობს სავაჭრო ტრადიცია, რომლის გამოყენებაც უნდა მომხდარიყო 8 III, 52 და 361 II მუხლების გათვალისწინებით. 27

2. მტკიცების ტვირთი

სავაჭრო ჩვეულება არ არის სამართლის წყარო, ამიტომ იგი მტკიცების საგანია – როგორც ფაქტი.³⁰ იგივე უნდა ითქვას სავაჭრო ტრადიციებზეც. მხარე, რომელიც ეყრდნობა ერთს ან მეორეს, ვალდებულია, დამტკიცოს მათი არსებობა და შინაარსი.³¹ მტკიცების მიზნით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კანონით დაშვებული საშუალება, მათ შორის ექსპერტის დასკვნა. როგორც ფაქტობრივი გარემოება, სავაჭრო ჩვეულებისა და ტრადიციის არსებობის ფაქტი ან მისი შინაარსი არ არის საკასაციო საჩივრის საგანი, თუმცა საკასაციო საჩივრის საგანი შესაძლოა გახდეს სავაჭრო ჩვეულების ან ტრადიციის ცნებათა არასწორი განმარტება, ან მტკიცებულებათა დაშვებისა და განხილვის პროცესში არსებული დარღვევები. 28

30 BGH NJW 1991, 1292, 1293; NJW 2001, 2464, 2465; NJW-RR 2004, 555.

31 Schmidt, in: MüKo HGB, 2. Aufl., 2009, § 346, Rn. 25.

მუხლი 340. შერეული ხელშეკრულებების განმარტება

შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.

- I. შერეული ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა166
- II. შერეული ხელშეკრულებების გამიჯვნა სხვა ტიპის ხელშეკრულებებისგან167
- III. შერეულ ხელშეკრულებათა განმარტება და რეგულირების მეთოდები168
- IV. შერეული ხელშეკრულების განმარტება და რეგულირება 340-ე მუხლით170

I. შერეული ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა

- 1 მხარეთა უფლება, დადონ ნებისმიერი შინაარსის ხელშეკრულება და ჩართონ მასში ნებისმიერი პირობა, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება, არის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება. მხარეებს შეუძლიათ, დადონ არა მარტო სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული, არამედ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებები (319 I).
- 2 კანონით გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებებში მოიაზრება არა მარტო ისეთი სახელშეკრულებო კონსტრუქციები, რომელთა ანალოგიც სამოქალაქო კანონმდებლობაში არ გვხვდება¹, არამედ ისეთებიც, რომლებიც მოიცავენ კანონით გათვალისწინებულ² ერთზე მეტი ხელშეკრულების პირობებს (შერეული ხელშეკრულებები). ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ ასეთი სახელშეკრულებო კონსტრუქციები მოიცავენ რამდენიმე ხელშეკრულების ელემენტებს.
- 3 თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა მოხდეს შერეული ხელშეკრულების კონსტრუქციის შემოფარგვლა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებებით და მან ასევე უნდა მოიცვას კანონით გაუთვალისწინებელი სახელშეკრულებო მოდელებიც. თუმცა კონკრეტული კონსტრუქციის შერეულ ხელშეკრულებად დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია, რომ მასში შემავალი, მინიმუმ, ერთი ხელშეკრულება მაინც კანონით იყოს გათვალისწინებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ატიპური და არა შერეული ხელშეკრულება.
- 4 სამოქალაქო ბრუნვის განვითარება დღის წესრიგში აყენებს მხარეთა მიერ უფრო რთული სახელშეკრულებო კონსტრუქციების შედგენის

1 ე.წ. არატიპური ხელშეკრულებები. იხ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 340, გვ. 171.

2 სსკ-ის 340-ე მუხლი არ ადგენს შერეული ხელშეკრულების ცნებას. იმ ქვეყნების კანონმდებლობები, რომლებშიც ეს დეფინიცია მოცემულია, „კანონით გათვალისწინებულ“ ხელშეკრულებათა ერთობლიობაზე აპელირებენ (მაგ. იხ. ნიდერლანდის სამოქალაქო კოდექსი, მ. 6:215, ესტონეთის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ, მ.1(2)).

აუცილებლობას, რითაც მათ საშუალება ეძლევათ, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მოაწესრიგონ ერთმანეთს შორის არსებული სხვადასხვა ურთიერთობა და თავი აარიდონ ზედმეტ ფორმალობებს.

II. შერეული ხელშეკრულებების გამიჯვნა სხვა ტიპის ხელშეკრულებებისგან

შერეული ხელშეკრულება უნდა გაიმიჯნოს ე.წ. ატიპური ხელშეკრულებისგან. მართალია, ორივე მათგანი კანონით გაუთვალისწინებელ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, თუმცა, განსხვავებით შერეულისგან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა, მათ შორის, კანონით გათვალისწინებული, მინიმუმ, ერთი ხელშეკრულების ელემენტებს, ატიპური ქმნის სრულიად ახალ, დამოუკიდებელ, კანონისთვის უცნობ კონსტრუქციას, რომლის მიმართაც გამოიყენება კანონით გათვალისწინებული ყველაზე ახლოს მდგომი ხელშეკრულების ნორმები. 5

როგორც აღინიშნა, შერეული ხელშეკრულება მოიცავს სხვადასხვა ხელშეკრულების ელემენტებს. ასეთ ელემენტებად მოიაზრება ხელშეკრულების საგანი და ის არსებითი პირობები, რაც ამ კონსტრუქციაში შემავალი ხელშეკრულებებისთვისაა დამახასიათებელი. ეს ელემენტები ცალ-ცალკე, იზოლირებულად არსებულ უფლება-მოვალეობებს არ მოიაზრებენ. შერეული ხელშეკრულების ელემენტების სამართლებრივ კავშირს განაპირობებს ის ერთიანი მიზანი, რისთვისაც ასეთი ხელშეკრულება იდება. ამ ურთიერთობების ურთიერთკავშირი, მათ შორის მიზეზშედეგობრივი, იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გაიმიჯნოს ისეთი ხელშეკრულებისგან, რომელიც მოიცავს დამოუკიდებელ ხელშეკრულებებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცალკეული ელემენტების შერევა კი არ ხდება, არამედ მთლიანი, ცალკეული შეთანხმებები არის ერთ დოკუმენტში გაერთიანებული. შესაბამისად, თითოეული ამ ხელშეკრულების მიმართ დამოუკიდებლად გამოიყენება მათი მომწესრიგებელი ნორმები. 6

ამა თუ იმ კონსტრუქციის შერეულ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისთვის ასევე აუცილებელია, რომ მასში შემავალი ხელშეკრულებების პირობები ეხებოდეს ერთსა და იმავე პირებს. ამდენად, შერეულად არ მოიაზრება ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი მხარის ვალდებულებას, დადოს სხვა ხელშეკრულებები ძირითადი ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით (მაგ.: გამყიდველის მიერ ტვირთის გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებების დადება, რითაც ამ მესამე პირების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება დაზღვეული საქონლის მიწოდება მყიდველისათვის). 7

სამოქალაქო სამართალში არსებობს ე.წ. კომპლექსური (რთული, მრავალკომპონენტური) ხელშეკრულებები. ასეთ კონსტრუქციებს პირდაპირ ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა, ანუ ის აიგება ნორმატიული ნების საფუძველზე (მაგ., ლიზინგი). რაც შეეხება შერეულ ხელშეკრულებებს, აქ თავად მხარეები, თავისი ნების შესაბამისად, აგებენ მათთვის სასურველი სახელშეკრულებო ელემენტებისგან შემდგარ კონსტრუქციას. 8

- 9 შერეული ხელშეკრულების კვალიფიკაციისას მნიშვნელოვანია, დადგინდეს, საქმე ეხება რამდენიმე ხელშეკრულების კომბინაციას, თუ ერთ ძირითად ვალდებულებას და მის სამსახურში მდგომ დამატებით ვალდებულებებს. მაგ., თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა იკისრა მინოდებული ნივთის დამონტაჟების ვალდებულება, თუმცა ამისთვის არ მოითხოვა დამატებითი საზღაური, სახეზე არ იქნება შერეული ხელშეკრულება. ეს დაკვალიფიცირდება დამატებით ვალდებულებად და მის მიმართ გამოყენებულ იქნება ნასყიდობის ნორმები.³

III. შერეულ ხელშეკრულებათა განმარტება და რეგულირების მეთოდები

- 10 ქვეყნების მხოლოდ მცირე ნაწილი შეიცავს თავის კანონმდებლობაში სპეციალურ ნორმებს შერეულ ხელშეკრულებათა შესახებ. ამ ქვეყნებში არსებული რეგულაცია მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია და შერეული ხელშეკრულება გააზრებულია როგორც კანონით მოწესრიგებული ორი ან მეტი ხელშეკრულების ელემენტების ერთობლიობა. კანონმდებელი ამ ელემენტებს განიხილავს როგორც თანაბარმნიშვნელოვანს და ორიენტირებულია მათი ერთობლივი გამოყენებისკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს შეუძლებელია ხელშეკრულების ბუნებიდან და მიზნიდან გამომდინარე.⁴
- 11 ქვეყანათა უმეტესობაში ეს საკითხი საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა რჩება. შესაბამისად, შერეულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად განსაკუთრებულ როლს იძენს სასამართლოს პრაქტიკა, თუმცა ისიც არ გამოირჩევა ერთგვაროვნებით, თუნდაც ერთი სამართლებრივი სისტემის შიგნით.
- 12 არსებული პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლოა, გამოიყოს შერეული ხელშეკრულების მოწესრიგების ორი მთავარი მეთოდი:
- 13 პირველი მეთოდის თანახმად, რომელიც ცნობილია „უპირატესი მიზნის“ სახელწოდებით⁵, სასამართლოები შერეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრავენ დომინანტ მოდელს (ტიპს) და მთელ ხელშეკრულებას მის სამართლებრივ რეჟიმს უქვემდებარებენ. ეს მეთოდი განსაკუთრებით გავრცელდა ინგლისსა და აშშ-ში.⁶
- 14 მაგ., გამყიდველი კისრულობს საქონლის მინოდებისა და გაყიდული საქონლის ინსტალაციის ვალდებულებას. სასამართლო ადგენს, თუ რა არის გარიგების უპირატესი მიზანი – საქონლის გაყიდვა თუ მომსახურების გაწევა. ამ პროცესში სასამართლო იკვლევს ბევრ ფაქტორს, მათ შორის ხელშეკრულების ტერმინოლოგიას, მხარეთა მიზნებს (განზრახვას),

3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 340, გვ. 173-174.

4 იხ. ნიდერლანდის სამოქალაქო კოდექსის 6:215 მუხლი, ესტონეთის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ მ.1(2).

5 “Predominant purpose” rule.

6 იხ. საქმეები: *Advent Systems Ltd. v. Unisys Corp.*, 925 F.2d 670 (3d Cir. 1991); *Care Display, Inc. v. Didde-Glaser, Inc.*, 589 P.2d 599 (Kan. 1979).

საქონლის ღირებულების მიმართებას მთლიანად ხელშეკრულების საგნის ღირებულებასთან, მიმწოდებლის ბიზნესის ბუნებას და სხვ.

მთლიანი ხელშეკრულების მიმართ ერთი სახელშეკრულებო რეჟიმის მოქმედება თავიდანვე გამოორიცხავს სხვადასხვა ხელშეკრულების წესებს შორის კოლიზიის პრობლემას, რაც მოწმობს ასეთი მეთოდის გონივრულობაზე. თუმცა სასამართლოებს ყოველთვის არ აქვთ დომინანტი ელემენტის განსაზღვრის მკაფიოდ გამოკვეთილი კრიტერიუმები, რაც ინვესს გადაწყვეტილებათა არაპროგნოზირებადობას. ანუ მხარეთათვის წინასწარ არ არის ნათელი, თუ რომელი ნორმების გამოყენება მოხდება მათი ხელშეკრულების მიმართ.

მეორე მეთოდის თანახმად, რომელიც ცნობილია ე.წ. კომბინაციის პრინციპის სახელწოდებით, სასამართლოები შერეულ ხელშეკრულებას ყოფენ ცალკეულ ნაწილებად (სახელშეკრულებო მოდელებად) და თითოეულის მიმართ იყენებენ ამ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელ ნორმებს. როგორც აღინიშნა, ეს მეთოდი საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებულია, მაგ., ნიდერლანდის, ესტონეთის კანონმდებლობებში, ასევე გვხვდება გერმანიისა და საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში.

ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ მას მკაფიოდ განსაზღვრული ხასიათი აქვს და მხარეთათვის თავიდანვე განჭვრეტადია გამოყენებას დაქვემდებარებული ნორმები. თუმცა მასაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე. კერძოდ, ერთდროულად გამოყენებადი ნორმები შესაძლოა, ერთმანეთთან კოლიზიაში მოვიდნენ, რაც გაართულებს საკითხის გადაწყვეტას. ასევე, შესაძლოა, ამკარად გამოიკვეთოს ერთ-ერთი ხელშეკრულების უპირატესი როლი, რისი გაუთვალისწინებლობა მთლიანი ხელშეკრულების მომწესრიგების დროს არ იქნებოდა გონივრული.

არსებული მიდგომები და მათთან დაკავშირებული დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილება გააზრებული იყო ტერმინთა ერთიანი ჩარჩო პროექტის შემუშავებისას, რასაც შედეგად მოჰყვა ამ აქტივი საკითხის მაქსიმალურად მოქნილი და გონივრული რეგლამენტაციის ფორმულირება.⁷ აქ მოქმედი ძირითადი წესის მიხედვით, მხარეთა უფლება-მოვალეობების მიმართ შესაბამის ნაწილებში გამოიყენება შესაბამისი ხელშეკრულების წესები აუცილებელი ადაპტაციით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ბუნებასა და მიზანს. ამ წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებისთვის, როცა (1) ამ პროექტის ნორმა პირდაპირ უთითებს, რომ ხელშეკრულება დაექვემდებარება მხოლოდ ერთ სახელშეკრულებო ტიპს, ან (2) არ არის შესაბამისი დანაწესი, თუმცა შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაწილი იმდენად უპირატესია, რომ მიზანშეწონილია ხელშეკრულების დაკვალიფიცირება ერთის ფარგლებში. მაგალითად მოყვანილია სასტუმრო მომსახურების ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ ის მოიცავს განსაზღვრული ქონების ქირავნობის

7 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DFRC), 1:107; http://ec.europa.eu/justice/policies/civil/docs/dcfr_outline_edition_en.pdf (ბოლოს ნახია: 27.04.2019).

ელემენტებს (მაგ.: სკამის, მაგიდის, სანოლის, კარადისა და სხვ.), გონივრულია მისი განხილვა მომსახურების ტიპის ხელშეკრულებად.

- 19 ეს რეგლამენტაცია ადგენს კომბინაციის პრინციპს, თუმცა, იმავდროულად, მხედველობაში იღებს ხელშეკრულების მიზანს და, გარკვეულ შემთხვევებში, არ გამოორიცხავს დომინირებული ხელშეკრულების რეჟიმის გავრცელებას მთელი ხელშეკრულების მიმართ, თუ ასეთი გადაწყვეტილების გონივრულობა ეჭვქვეშ არ დგება.

IV. შერეული ხელშეკრულების განმარტება და რეგულირება 340-ე მუხლით

- 20 შერეულ ხელშეკრულებათა განმარტებისა და რეგულირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს 340-ე მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმაში კანონმდებელი მხოლოდ განმარტებაზე საუბრობს, იგი ასევე გამოიყენება ხელშეკრულებათა რეგულირების მიზნითაც. ხელშეკრულების განმარტებისა და რეგულირების პროცესი იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ აუცილებელია მათი ერთგვაროვანი სტანდარტებით მონესრიგება. შესაბამისად, იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი სპეციალური იმპერატიული ნორმებით უნდა დარეგულირდეს შერეული ხელშეკრულება და რომელი სპეციალური დისპოზიციური ნორმებით უნდა შეივსოს იგი, უნდა დავეყრდნოთ 340-ე მუხლს.
- 21 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის სპეციალური ნორმები, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან. შესრულება შესაძლოა, ეხებოდეს როგორც მთლიანად შერეული ხელშეკრულებით დასახული მიზნის მისაღწევად ნაკისრ შესრულებას, ასევე ცალკეულ ხელშეკრულებებს. მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ შერეული ხელშეკრულების განმარტებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც უპირატესი მიზნის, ასევე კომბინაციის მეთოდი.⁸
- 22 კერძოდ, ამ ფორმულირებიდან შერეულ ხელშეკრულებათა რეგულირების შემდეგი საფეხურები შეიძლება გამოიყოს: კანონმდებლის აქცენტი შესრულების არსზე ცალსახა ინდიკატორია იმისა, რომ პირველი, რაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მხარეთა ნებაა. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ რა იყო ხელშეკრულების არსი და მიზანი. თუ ხელშეკრულებაში არ მოიძებნება შესაბამისი დათქმა, გამოკვლეულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა მხარეებისათვის ხელშეკრულების დარეგულირება ამა თუ იმ სახელშეკრულებო ვალდებულების მარეგულირებელი ნორმებით.
- 23 თუ სასამართლო დაადგენს, რომ მხარეებმა შექმნეს ერთგვარად დამოუკიდებელი, *sui generis* სახელშეკრულებო რეჟიმი, რომლის დარეგულირება კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების მარეგულირებელი

⁸ შდრ. ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 340, გვ. 173.

ნორმებით გაუმართლებელი იქნებოდა, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარეთა ჰიპოთეზური ნება და დაარეგულიროს ურთიერთობა სამართლის ზოგადი პრინციპებისა (სკ-ის 5 II) და სამართლიანობის საფუძველზე (სკ. 325).

სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს ე.წ. კომბინაციის მეთოდი, რომლის მიხედვითაც კონკრეტული პრობლემური ვალდებულების მიმართ შესაბამის ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმები გამოიყენება. მაგ., ღონისძიების მოწყობის შესახებ ხელშეკრულება შესაძლოა, გულისხმობდეს რამდენიმე კატეგორიის შესრულებას – ქირავნობას, ნასყიდობას, ნარდობას, მომსახურებას და გადაზიდვა-გადაყვანას. კომბინაციის მეთოდით გამოყენებული იქნებოდა ის ნორმა ან ნორმათა ჯგუფი, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ პრობლემურ შემთხვევას. თუ კომბინირებული მიდგომა არაეფექტურია, ან იგი ეწინააღმდეგება მხარეთა ნებას, სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს იმ სახელშეკრულებო ვალდებულებათა მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ხელშეკრულების ძირითად ვალდებულებას შეადგენს.

შერეული ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის საქმის გარემოებები შემდეგი იყო: მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავდა ნასყიდობის, გადაზიდვისა და ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს. ხელშეკრულების თანახმად, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისთვის დაწესებული იყო პირგასამტეხლო. მხარემ საქონელი მიაწოდა განსაზღვრულ დროში, თუმცა ამ ვადაში არ მომხდარა მისი ინსტალაცია და სწავლება, რომელთა ვალდებულებაც მას ასევე ჰქონდა. შესაბამისად, მოთხოვნილი იყო პირგასამტეხლო შესრულების ვადის გადაცილებისთვის. სადავო იყო საკითხი იმის თაობაზე, იგულისხმებოდა თუ არა საქონლის მიწოდებაში ასევე მისი ინსტალაცია და სწავლება. პალატამ მიიჩნია, რომ ამ საკითხის გარკვევისთვის, პირველ რიგში, უნდა დადგენილიყო, თუ რა მიზანს ისახავდნენ მხარეები და რამდენად იქნებოდა ეს მიზანი მიღწეული საქონლის მხოლოდ ადგილამდე მიტანით; რა იგულისხმებოდა ტერმინ „მიწოდებაში“, რომელიც ერთ შემთხვევაში შესაძლოა, ყოფილიყო შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთი ელემენტი, ხოლო სხვა შემთხვევაში შესრულების ის ხარისხი, რომელიც ითვალისწინებდა სისტემის მიწოდებას, მონტაჟსა და სწავლებას. „...ხელშეკრულების ცალკეული ელემენტების განმარტებისათვის აუცილებელია, მთელი ხელშეკრულების შინაარსი იქნეს გააზრებული, დადგინდეს მხარეთა ნება, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ ამ ხელშეკრულებით, რა იურიდიულ და ეკონომიკურ ინტერესს გულისხმობდნენ მხარეები ვალდებულების შესრულებაში და, კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი ვალდებულების შეუსრულებლობაზე დავობენ მხარეები. განსახილველი ნორმის (340) თანახმად, მოცემულია შერეული ხელშეკრულების განმარტების წესი, რომლის მიხედვით, მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან

და მას შეესაბამებიან (მაგალითად: ნივთი დაზიანდა გადაზიდვის დროს ან არასწორად იქნა დამონტაჟებული, ან მიმწოდებელმა არ განახორციელა ხარისხიანი სწავლება, ან მთლიანად არ შეასრულა ვალდებულება). ეს ნიშნავს იმას, რომ ვალდებულების შესრულების არსი ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთ ან რამდენიმე ელემენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში მთლიანობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ შერეული ხელშეკრულებით მხარეები ითვალისწინებენ ერთი საერთო მიზნის მიღწევას და ამ ხელშეკრულებაში შემავალი ხელშეკრულებები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შერეული ხელშეკრულების ელემენტები. ამდენად, შერეული ხელშეკრულების სტრუქტურის გათვალისწინებით ის წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა ხელშეკრულებების სხვადასხვა პირობები, მაგრამ ეს პირობები წარმოადგენენ ერთი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს.⁹

26 სრულიად მართებულია სასამართლოს მსჯელობა ვალდებულების შესრულების არსზე, რომელიც „ერთ შემთხვევაში შეიძლება ეხებოდეს შერეული ხელშეკრულების ერთ-ერთ ან რამდენიმე ელემენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში მთლიანობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო მიზნის მისაღწევად მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას“. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ ტერმინი „მიწოდება“ სწორედ ხელშეკრულების საბოლოო მიზნიდან გამომდინარე განმარტა და მასში ჩადო შესრულების ის ხარისხი, რომელიც ითვალისწინებდა სისტემის მიწოდებას, მონტაჟსა და სწავლებას და არა საქონლის მხოლოდ ადგილამდე მიტანას (რითაც მხარეთა მიერ დასახული მიზანი მიუღწეველი იქნებოდა).

27 შერეული ხელშეკრულების რეგულირებისას აუცილებელია, განისაზღვროს, რა სამართლებრივი შედეგი დგება მაშინ, როდესაც მისი ერთ-ერთი ნაწილი არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნას (მაგ., ფორმის დაუცველობა). იწვევს თუ არა ეს შერეული ხელშეკრულების ბათილობას? სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე. შესაბამისად, შერეული ხელშეკრულების ნაწილის გაბათილება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას, როდესაც მიზანი, რისთვისაც ეს ხელშეკრულება დაიდო, მიუღწეველი იქნება გაბათილებული ნაწილის გარეშე.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის № ას-1244-1503-09 გადაწყვეტილება.

მუხლი 341. ვალის არსებობის აღიარება

1. იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებული იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

2. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

- I. ვალის არსებობის აღიარების არსი და მნიშვნელობა.....173
- II. ვალის კონსტიტუციური (აბსტრაქტული) აღიარების სამართლებრივი ბუნება და ფორმა.....175
- III. სამართლებრივი შედეგები.....176
- IV. ვალის აბსტრაქტული აღიარება და სხვა ინსტიტუტები176
 - 1. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება.....176
 - 2. ფაქტის აღიარება.....178
- IV. ვალის აღიარება ანგარიშსწორების გზით და მორიგების საფუძველზე179

I. ვალის არსებობის აღიარების არსი და მნიშვნელობა

ქონებრივი უფლებები კონკრეტული ეკონომიკური მიზნის განხორციელების საშუალებებია. ვალდებულებით ურთიერთობებში მიზნის განხორციელება, უპირველესად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებული, თუმცა მასზე შესაძლოა, სხვა ფაქტორებმაც იმოქმედონ. შესრულდება თუ არა ვალდებულება, მეტ-ნაკლებად ყოველთვის უცნობი მოცემულობაა. 1

თუ მოვალე გამოიყენებს ყველა იმ შესაგებელს, რომელთა წაყენებაც მას შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ, ანუ დაეყრდნობა მის სასარგებლოდ არსებულ ყველა საეჭვო გარემოებას, რა თქმა უნდა, კრედიტორის მიერ ამ ქონებრივი უფლების რეალიზაცია ბევრად გართულდება; და პირიქით, თუ მოვალე განახორციელებს აღიარებას კრედიტორის სასარგებლოდ ამა თუ იმ ბუნდოვან საკითხთან მიმართებით, ეს, საბოლოო ჯამში, გაუადვილებს კრედიტორს თავისი უფლების რეალიზაციას. 2

ახორციელებს რა აღიარებას, მოვალემ შეიძლება, ამით მხოლოდ თავისი დამოკიდებულება (დასტური) გამოხატოს კონკრეტული ფაქტის არსებობის მიმართ. ამ შემთხვევაში სახეზე არაა ვალის აღიარება. მართალია, კრედიტორს შეუძლია, ის სასამართლოში წარადგინოს, როგორც მტკიცებულება, მაგრამ მოვალისთვის ყოველთვის რჩება იმის საშუალება, რომ შეასუსტოს ამ მტკიცებულების ძალა სხვა, მისი საპირისპირო მტკიცებულების წარმოდგენით. 3

- 4 გაცილებით უკეთაა შესაძლებელი კრედიტორის ინტერესების რეალიზაცია მაშინ, როდესაც მოვალის აღიარება მოიცავს მის მიერ არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტის არსებობის დადასტურებას, არამედ მოვალის ნების გამოვლენას იმის თაობაზე, რომ მას სურს, იყოს ვალდებული ისევე, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა, როცა გარემოება, რომლის აღიარებაც უნდა მომხდარიყო, ნამდვილად იარსებებდა. ანუ, მოვალის ნება მიმართულია იქითკენ, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს მაშინაც კი, როცა მისი ნამდვილობა შესაძლოა, ეჭვქვეშ იდგეს.
- 5 ვალის აღიარება საკმაოდ რთული და კომპლექსური ინსტიტუტია. იგი მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენას მოიაზრებს, რაც მიზნად ისახავს გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას. სამართლებრივად რელევანტური ნება შესაძლოა, მიმართული იყოს როგორც არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისკენ (ვალის დეკლარაციული აღიარება), ისე ახალი ურთიერთობის წარმოშობისკენ (ვალის კონსტიტუციური აღიარება). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს, ვალის აღიარების რომელ სახესთან გვაქვს საქმე, რამეთუ თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და განსხვავებული სამართლებრივი შედეგები აქვს.
- 6 341-ე მუხლი განამტკიცებს ე.წ. კონსტიტუციურ (აბსტრაქტულ) ვალის აღიარებას, სადაც მხარეთა ნება მიმართულია ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისკენ. ამ ხელშეკრულებით მოვალე აღიარებს გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, თუმცა ამ ურთიერთობისგან დამოუკიდებლად კისრულობს კრედიტორის წინაშე გარკვეული შესრულების განხორციელებას. ანუ დგინდება ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, რომელიც არ არის დამოკიდებული ძველი სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობაზე. ახალი ხელშეკრულება დამოუკიდებელია მისი სამართლებრივი საფუძვლისგან და მისი მიზანი არ არის ე.წ. ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა. ახალი ხელშეკრულების ძალით ვალდებულება შესრულებას მაშინაც ექვემდებარება, როცა ძველი ურთიერთობის არსებობა სადავო არის მხარეთათვის.
- 7 ამ მუხლით განმტკიცებული წესები რეცეფცირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 781-ე მუხლიდან და სიტყვასიტყვით იმეორებს მას. გერმანული რეგულაცია ვალის აღიარების გვერდით ასევე განამტკიცებს ვალის შეპირების სამართლებრივ ინსტიტუტს (780), თუმცა ამ უკანასკნელის რეცეფცია საქართველოში არ განხორციელებულა.¹
- 8 მაშინ როდესაც ვალდებულება, რომლის საფუძველზეც მოხდა აღიარება, შესაძლოა, სადავო იყოს, ან მოთხოვნა ხანდაზმული, აღიარებით

¹ გერმანულ დოქტრინაში არაორაზროვნადაა მითითებული, რომ ამ ორ ინსტიტუტს იდენტური შინაარსი და სამართლებრივი შედეგები ახასიათებს, განსხვავებულია მხოლოდ გამოხატვის ფორმა. იხ. *მესხიშვილი Esser/Weyers*, ვალის აღიარება, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2016, უთითებს *Esser/Weyers, Schuldrecht II, Besonderer Teil, C.F. Müller, 1991, S. 358.*

ხდება შესრულების უზრუნველყოფა მხარეთა ინტერესების შესაბამისად, შემდგომი გაუგებრობების თავიდან აცილება, სასამართლოში საქმის განხილვის გაადვილება.

II. ვალის კონსტიტუტიური (აბსტრაქტული) აღიარების სამართლებრივი ბუნება და ფორმა

ვალის არსებობის აღიარება ცალმხრივი ხელშეკრულებაა, რომლის ძალითაც პირს, რომელმაც აღიარა ვალის არსებობა, წარმოეშობა შესრულების ვალდებულება, ხოლო იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა აღიარება, აქვს მოთხოვნის უფლება.² ასეთი აღიარება უნდა ქმნიდეს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, რომ ის დაკვალიფიცირდეს კონსტიტუტიურ (აბსტრაქტულ) აღიარებად და მოექცეს 341-ე მუხლის რეგულირების ქვეშ. მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძვლის არსებობა აღიარების შინაარსიდან უნდა დადგინდეს.³

ვალის არსებობის აღიარება აბსტრაქტული ხელშეკრულებაა, მისი ნამდვილობა არაა დამოკიდებული იმ სამართალურთიერთობის ნამდვილობაზე, რომლის აღიარებაც მოხდა ამ უკანასკნელით. როგორც წესი, ვალის ასეთ აღიარებაში არ ხდება მითითება იმის თაობაზე, თუ საიდან წარმოეშვა მოვალეს ეს ვალდებულება, ანუ მანამდე არსებულმა რა ურთიერთობამ განაპირობა ამ ვალდებულების წარმოშობა. თუმცა შესაძლოა, ვალის კონსტიტუციურ აღიარებაში პირდაპირ იკვეთებოდეს იმ ვალდებულებითი ურთიერთობის შესახებ, რომელმაც განაპირობა მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ ვალის აღიარება. ხელშეკრულების განმარტებიდან უნდა დადგინდეს, რამდენად ფორმალური ხასიათი აქვს ასეთ მითითებას. თავისთავად ასეთი მითითება კონსტიტუციურ აღიარებას ვერ გადააქცევს დეკლარაციულად, თუ ნათელია, რომ კრედიტორის მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობს ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან და არა მანამდე არსებული ვალდებულებითი ურთიერთობიდან.

ვალის აღიარება ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ მხარეთა შორის არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ასეთი აღიარება. ვალის აბსტრაქტული აღიარების მნიშვნელობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ მოთხოვნა მაშინაც არის ნამდვილი, როცა მის საფუძველად არსებული ურთიერთობა სადავოა (მაგ.: მოთხოვნა ხანდაზმულია, ვალდებულება სადავოა).

ვალის არსებობის აღიარება, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის პირობებს. იგი ფორმალურად ვალდებულ გარიგებაა, კანონი მისი ნამდვილობისთვის აწესებს მარტივ წერილობით ფორმას. ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს მისთვის მახასიათებელი ყველა არსებითი პირობა: კრედიტორისა და მოვალის მონაცემები, მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულება და მომავალში მისი შესრულების განზრახ-

² ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 341, გვ. 176.

³ მესხიშვილი, ვალის აღიარება (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 2015, უთითებს Esser/Weyers, Schuldrecht II, Besonderer Teil, C.F. Muller, 1991, S. 358.

ვა.⁴ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, როცა მხარეები ხელს მოანერგენ ვალის აღიარების ერთ დოკუმენტს, ან გაცვლიან ცალმხრივად ხელმოწერილ დოკუმენტებს.

- 13 თუ აღიარების საფუძველად არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის ნამდვილობისთვის სხვა, უფრო რთული ფორმაა გათვალისწინებული, მაშინ აღიარებაც ამ ფორმით უნდა მოხდეს (341 I). მაგ., თუ კანონი კონკრეტული ხელშეკრულების ნამდვილობისთვის ითვალისწინებს სანოტარო ფორმას, აღიარებაც ამ ფორმას უნდა დაექვემდებაროს.
- 14 მსგავსი მოთხოვნის დაწესების მიზანი მხარეთა ინტერესების დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს. აღიარებით ხდება ახალი ვალდებულების წარმოშობა და მასში არაფერი უნდა იყოს საექვო.⁵

III. სამართლებრივი შედეგები

- 15 ვალის აღიარების აბსტრაქტული ბუნება არ გულისხმობს მის საფუძველზე მიღებულის სამუდამოდ შენარჩუნების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილია გარიგება, რომელმაც განაპირობა ვალის აღიარება. მაგალითად, თუ გამყიდველმა მიიღო მყიდველისაგან აბსტრაქტული ვალის აღიარება ნასყიდობის ფასთან დაკავშირებით, მართალია, ის იძენს ნამდვილ მოთხოვნას და შეუძლია, უჩივლოს მას მხოლოდ ამ აღიარების საფუძველზე ისე, რომ პროცესზე არ მოუწიოს ნასყიდობის წინაპირობების მტკიცება (ვალის აღიარების აბსტრაქტულობა), თუმცა ნასყიდობა მაინც არის სამართლებრივი საფუძველი (კონდიქციური სამართლის გაგებით) აღიარებისათვის. თუ მყიდველი მოახერხებს ნასყიდობის არანამდვილობის დამტკიცებას, მაშინ შეუძლია, ვალის აღიარება მთლიანად უკან გამოითხოვოს შესრულების კონდიქციით, როგორც შესრულება. ვალის აღიარების აბსტრაქტულობა გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ მისი ნამდვილობა არ არის დამოკიდებული საფუძველად მდებარე გარიგებაზე, თუმცა, თუ ეს გარიგება არანამდვილია, შეიძლება ვალის აღიარების, როგორც უსაფუძვლო შესრულების, გამოთხოვა. ამის გამო ვალის აღიარების ფუნქცია, საბოლოოდ, მხოლოდ მტკიცების ტვირთის შეტრიალებაა – გამყიდველს აღარ უწევს პროცესზე ნასყიდობის ნამდვილობის მტკიცება, მყიდველმა უნდა ამტკიცოს მისი არანამდვილობა.

IV. ვალის აბსტრაქტული აღიარება და სხვა ინსტიტუტები

1. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება

- 16 აუცილებელია 341 I მუხლით გათვალისწინებული აბსტრაქტული ვალის აღიარების გამიჯვნა კაუზალური აღიარებისგან. დეკლარაციულ (კაუზალურ) ვალის აღიარებას არ აქვს დამდგენი ხასიათი. იგი მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებულ ვალს, ანუ მიმართულია ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისკენ და არა ახალი

4 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის № 23/6904-14 გადაწყვეტილება; ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ოქტომბრის № ას-839-890-2011 გადაწყვეტილება.

5 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 341, გვ. 179.

ურთიერთობის დადგენისკენ.⁶ ამის საჭიროებას, ჩვეულებრივ, განაპირობებს მხარეთა შორის არსებული უთანხმოება ან გაურკვეველობა ვალდებულების არსებობის თაობაზე. არსებული ხელშეკრულებით მხარეებს სურთ არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარება, ისე, რომ კრედიტორს არ დასჭირდეს ახალი მოთხოვნის უფლების საფუძვლის მითითება. დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია, ვალდებულებითსამართლებრივმა ურთიერთობამ მთლიანად ან განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოს დავისა თუ გაურკვეველობის თავიდან აცილება,⁷ ხოლო დავის შემთხვევაში გაამარტივოს მტკიცების პროცესი.

დეკლარაციული აღიარების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია 17 შეთანხმების შინაარსზე და საჭიროებისამებრ დგინდება განმარტების მეშვეობით.⁸

კაუზალური ვალის აღიარება ბათილია, თუ ის ეხება იმ სამართლებრივ 18 ურთიერთობას, რომელიც, თავის მხრივ, ბათილია.

ვალის დეკლარაციული აღიარება შესაძლოა სახეზე იყოს როგორც 19 ცალმხრივი ნების გამოვლენის⁹ (მოვალის მიერ განხორციელებული ესა თუ ის მოქმედება, მაგ., ხელწერილი, სადაც გამოხატულია შეპირება გარკვეულ დროში ვალის გადახდაზე, თანხის ნაწილის გადახდა და სხვ.), ასევე ხელშეკრულების სახით.¹⁰ ის არაა ფორმასავალდებულო გარჩევა. მისი სამართლებრივი შედეგი მხოლოდ არსებული ურთიერთობის დადასტურებაა.

დეკლარაციული ვალის აღიარების გავრცელებული ფორმებია: მოვალის შეპირება იმის თაობაზე, რომ ვალს მალე გადაიხდის, ბუღალტრული აქტი, ურთიერთშედარების აქტი,¹¹ მხარის განცხადება დარჩენილი ვალდებულების განაწილვადების თაობაზე და სხვ.¹² 20

მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ის შედეგები, რაც უკავშირდება ხანდაზმულობის ვადებს. ვალის კონსტიტუტიური აღიარების დროს ახალი მოთხოვნა წარმოიშობა, რაც გულისხმობს ახალი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძველი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმულია, ახალი ვადა მაინც იწყებს ათვლას. 21

6 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის №2ბ/4400-14 გადაწყვეტილება.

7 კროპოპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014.

8 ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 94.

9 იხ. მუხ. 137, რომელიც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, როცა მოვალე უფლებამოსილი პირის წინაშე „სხვაგვარად“ აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

10 შდრ. მესხიშვილი, ვალის აღიარება, 2015, გვ. 5; იხ. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის №2ბ/4587-14 განჩინება.

11 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის №2ბ/4400-14 განჩინება.

12 მესხიშვილი, ვალის აღიარება, 2015, გვ. 6.

- 22 შესაძლოა, დადგეს ისეთი სიტუაცია, როცა მანამდე არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა არ იყოს ხანდაზმული. ვალის აღიარების ხელშეკრულების დადება არ იწვევს მანამდე არსებული სამართალურთიერთობის შეწყვეტას. სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლად არ მოიაზრებს მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ ახალი ვალდებულების ტვირთვას.¹³
- 23 შესაბამისად, ორივე ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის პარალელურად არსებობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, ახალ ხელშეკრულებაში მიეთითოს იმის თაობაზე, რომ კრედიტორი უარს ამბობს მანამდე არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნაზე.
- 24 რაც შეეხება დეკლარაციულ ვალის აღიარებას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დროს არ წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, ახალი ვადა თავისთავად არ იწყება. სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდის, გარანტიის მიცემის ან სხვაგვარად მოთხოვნის არსებობას აღიარებს.¹⁴ შესაბამისად, ამ მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დეკლარაციული აღიარება იწვევს ხანდაზმულობის არსებული, მიმდინარე ვადის შეწყვეტას, მაშინ, როდესაც, კონსტიტუციურის თანახმად, ახალი ვადა იწყებს ათვლას, თუნდაც ძველი მოთხოვნის ვადა გასული იყოს.

2. ფაქტის აღიარება

- 25 ვალის არსებობის აღიარება უნდა გაიმთავროს იმ შემთხვევისგან, როდესაც პირი აღიარებს ამა თუ იმ ფაქტის არსებობას, რადგან თავისთავად ფაქტის დადგომა არ გულისხმობს იმას, რომ პირს წარმოეშობა ვალდებულება. მაგ., შესაძლოა, გამყიდველმა დაადასტურა, რომ მყიდველმა მისგან შეიძინა პროდუქტი, რომელმაც მის ჯანმრთელობას ზიანი მიაყენა. ეს არ გულისხმობს იმას, რომ გამყიდველი კისრულობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რადგან ამისთვის მხოლოდ ხელშეკრულების არსებობის ფაქტი არაა განმსაზღვრელი, არამედ სახეზე უნდა იყოს ზიანის ანაზღაურების წინაპირობები (ვალდებულების დარღვევა, ზიანი, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი).
- 26 დოქტრინაში ასევე ხაზგასმულია, რომ ვალის აღიარებას არ გულისხმობს, ასევე, მოვალის განმარტება იმის თაობაზე, რომ მან სესხის საფუძველზე თანხა მიიღო. ასეთი განაცხადი არ გულისხმობს მისი დაბრუნების ვალდებულების აღიარებას. ასეთი თანხა შესაძლოა, არ დაექვემდებაროს დაბრუნებას, თუ მოთხოვნა ხანდაზმულია, ან თუ მოხდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, რამაც გამოიწვია ვალდებულების შე-

13 შდრ. სსკ-ის 428-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც მოვალე კონკრეტული ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად ახორციელებს სხვა შესრულებას. მაგ., იმავე ხარისხის, ოღონდ სხვა პროდუქციის მიწოდებას (ნოვაცია).

14 იხ. თბოლისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №22ბ/6800-13 განჩინება, პალატა მსჯელობს 137-ე მუხლით გათვალისწინებული „სხვაგვარი აღიარების“ არსზე.

წყვეტა და სხვ.¹⁵ ასეთი განაცხადი ერთ-ერთი გარემოებაა, რომელმაც ვალის არსებობის დადასტურებას უნდა შეუწყოს ხელი სხვა მტკიცებულებებთან ერთად, განსხვავებით ვალის დეკლარაციული აღიარებისგან, რომელიც ვალის არსებობას თავისთავად ადასტურებს.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში მოხდეს იმის დადგენა, თუ რასთან გვაქვს საქმე. ხშირად ეს საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, სწორედ მხარეთა ნების და ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს, სურდათ თუ არა მხარეებს არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ახალი ვალდებულების წარმოშობა. 27

IV. ვალის აღიარება ანგარიშსწორების გზით და მორიგების საფუძველზე

341 II მუხლი ითვალისწინებს ვალის არსებობის აღიარების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა ანგარიშსწორება (გადახდა) და მორიგება. 28

ვალის აღიარება ანგარიშსწორების საფუძველზე გულისხმობს მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ განხორციელებულ შესრულებას ანგარიშსწორების ანუ გადახდის ფორმით. როდესაც სახეზეა ანგარიშსწორების ფაქტი, მოქმედებს ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია. 29

მორიგების მიზანი მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში მშვიდობის მიღწევა, დავისგან თავის არიდებაა. მორიგება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები ადგენენ თავიანთ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს არსებული ან არსებულად მიჩნეული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ანუ ის გულისხმობს ისეთ გარემოებას, როცა მხარეებს შორის არსებობს ერთგვარი გაურკვევლობა (მაგ.: პირობებთან, შედეგებთან დაკავშირებით და ა.შ.), სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, და ორმხრივი დათმობის გზით ისინი ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. 30

მორიგებისას სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, ჩვეულებრივ, ძალაში რჩება, უბრალოდ, დგინდება ახალი, შეთანხმებული სტატუსი. შესაბამისად, სამართალურთიერთობა იმ შეცვლილი თუ დაზუსტებული გარემოებების ფარგლებში უნდა გაგრძელდეს, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ.¹⁶ თუმცა, შესაძლოა, ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაც წარმოიშვას მხარეთა შორის, თუ მათ ეს სურდათ. ამ დროს ხდება არსებული ვალდებულების შეცვლა, მისი ახლებურად ჩამოყალიბება. 31

341 II მუხლის მიზნებისთვის მორიგების ქვეშ მოაზრებულ უნდა იქნეს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადგენილი (სასამართლოს მიერ ცნობილი) მორიგება. 32

¹⁵ მესხიშვილი, ვალის აღიარება, 2015, გვ. 5.
¹⁶ მესხიშვილი, ვალის აღიარება, 2015, გვ. 17.

- 33 მორიგება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს როგორც დეკლარაციულ,¹⁷ ისე აბსტრაქტულ აღიარებად. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მორიგების შინაარსის მიხედვით უნდა დადგინდეს, თუ რომელ მათგანთან გვაქვს საქმე.
- 34 როგორც ანგარიშსწორების, ისე მორიგების ფორმა თავისუფალია. ანგარიშსწორებისას მხარეთათვის არსებული შესრულების პირობებში ფორმალური წინაპირობების დაცვა არაა სავალდებულო, რადგან აქცენტი გადატანილია მტკიცების ტვირთზე, რომელიც უკვე განხორციელებული შესრულების შემთხვევაში შესაძლოა, დადასტურებულ გარემოებად ჩაითვალოს.¹⁸
- 35 სასამართლო და საარბიტრაჟო (სასამართლოს მიერ ცნობილი) გადანყვეტილება, რომლითაც დამტკიცებული იყო მორიგების აქტი, თავისთავად უზრუნველყოფს ნერილობით ფორმას და, იურიდიული ძალისა თუ სანდოობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ასეთი მორიგება ნამდვილია მაშინაც, როდესაც დადგენილ ფორმას არ შეესაბამება. მაგ., მორიგების აქტი მოიცავს შეთანხმებას ისეთ საკითხზე, რომლისთვისაც კანონი აწესებს რთულ ნერილობით ფორმას. 341 II მუხლის თანახმად, ასეთი მორიგება ნამდვილი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სანოტარო ფორმა არაა დაცული.

17 *მესხიშვილი*, ვალის აღიარება, 2015, გვ. 6, მითითებ. *Habersack*, Munchener Commentar, BGB, art.781, Rn. 3.

18 იხ. *ცერცვაძე*, ნიგნში: *დღიურიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელმეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 201.

თავი მისამი

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

მუხლი 342. ცნება

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვსები წესების დადგენა.

თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად.

უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

I. ზოგადი დებულებები	182
1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების მიზნები	182
2. 342-ე და მომდევნო მუხლების მიზანი და სისტემატიკა	183
II. გამოყენების წინაპირობები	184
1. სტანდარტული პირობები, როგორც ხელშეკრულების პირობები.....	184
2. სტანდარტული პირობები, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები.....	184
3. სტანდარტული პირობები, როგორც მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები.....	185
4. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობის წაყენება	185
5. სტანდარტული პირობის ფორმა და მოცულობა	186
6. სტანდარტული პირობები, როგორც კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემკვსები წესები.....	187
III. მხარეების მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობები.....	187
IV. ინდივიდუალური პირობების უპირატესობა სტანდარტული პირობების წინაშე	189
1. ზოგადი.....	189
2. „ფუნქციური რანგობრივი მიმართება“	189
3. წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და სტანდარტულ პირობებს შორის	190
4. ცალკეული შემთხვევები	190
V. მტკიცების ტვირთი	193

I. ზოგადი დებულებები

1 თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მხარეები, ხელშეკრულების რთული და მასშტაბური პირობების განსაზღვრისა და ამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების თავიდან აცილების მიზნით, ხშირად სარგებლობენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებით.¹ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გულისხმობს ერთგვაროვანი შინაარსის მქონე პირობებს, რომელთა გამოყენებაც ხდება მრავალჯერადად. ისინი გამოიყენება ყველგან, სადაც არსებობს მრავალრიცხოვან კლიენტთან საქმიანი ურთიერთობა.²

1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენების მიზნები

2 ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს (კლიენტს) და ის შემდეგ მიზნებს ემსახურება:³

3 1. სამოქალაქო ბრუნვის რაციონალიზებას – სტანდარტული პირობების გამოყენება ამარტივებს ხელშეკრულების დადებასა და განხორციელებას. ისინი ითვალისწინებენ შეთავაზებული საქონლის/მომსახურების თავისებურებებსა და ნათელს ჰფენენ იმ საკამათო საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა კანონის ნორმების გამოყენებისას. მცირდება დროის დანახარჯი, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თითოეული დეტალის შესათანხმებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსაქციის ხარჯებს.

4 2. რეგულაციური ვაკუუმის აღმოფხვრას – სამოქალაქო კოდექსით მოუწესრიგებელი ხელშეკრულებები (მაგ., ფაქტორინგი), ისევე როგორც ატიპური თუ შერეული ხელშეკრულებების რეგულაციური ბირთვი იქმნება და ვითარდება სტანდარტული პირობების მეშვეობით;

5 3. სამართლის განვითარებას – სამოქალაქო კოდექსის დანანესებს, რომლებიც მოძველებული თუ არამიზანშემონილია, სტანდარტული პირობები ანაცვლებენ უფრო მოქნილი რეგულაციებით, რომლებიც უკეთესად გამოსატყვევენ მხარის ინტერესებს.⁴

1 იხ. სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებით *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, გვ. 181 და შემდგომნი; *ხუნაშვილი*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, „სამართლის ჟურნალი“, 1/2013, გვ. 270 და შემდგომნი; *კერესელიძე*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, კრებულში: შრომის სამართალი II (2013), გვ. 45 და შემდგომნი; *ზაქარაიშვილი*, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, „სამართალი და მსოფლიო“, 9/2018, გვ. 126 და შემდგომნი; *ზაქარაიშვილი*, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა, „სამართალი და მსოფლიო“, 5/2016, გვ. 112 და შემდგომნი.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 181.

3 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Vor §§ 305 ff., Rn. 3-6.

4 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Vor §§ 305 ff., Rn. 5.

4. **რისკის გადაკისრებას** – მეორე მხარისათვის რისკის გადაკისრება არის სტანდარტული პირობის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. პრაქტიკულად ყოველი სტანდარტული პირობა სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება იმ მიზნით, რომ გაამყაროს მისი შემთავაზებლის პოზიციები მეორე მხარის პოზიციების ხარჯზე. რისკის ამ დაუბალანსებელი გადანაწილების მიუხედავად, შემთავაზებელი, როგორც წესი, უპრობლემოდ ახერხებს სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევას, რადგან კლიენტი, ჩვეულებრივ, იღებს სტანდარტულ პირობას ისე, რომ არ ეცნობა მას. ის ან ვერ აცნობიერებს სტანდარტული პირობების რეალურ შინაარსსა და მნიშვნელობას, ან თავს იმით იმშვიდებს, რომ ამ პირობების ამოქმედება ნაკლებსავარაუდოა და თავიდან იცილებს ჩამნაცვლებელი რეგულაციების შექმნასთან დაკავშირებულ (დროისა თუ ფულად) ხარჯებს (სტანდარტული პირობების დეტალურად ნაკითხვა, სხვა პირობებთან შედარება, სამართლებრივი კონსულტაციის მიღება, საწინააღმდეგო პირობების ჩამოყალიბება და ა.შ.).⁵ კლიენტი ყოველთვის ორიენტირებულია ფასზე და არა სტანდარტულ პირობებზე, მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი იაფ შემთავაზებას შეიძლება გაცილებით უფრო არახელსაყრელს ხდიდეს ძვირადღირებულ შემთავაზებასთან შედარებით.

2. 342-ე და მომდევნო მუხლების მიზანი და სისტემატიკა

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ შემთავაზებლის სამართლებრივი პოზიცია მეორე მხარესთან შედარებით არაპროპორციულად გაძლიერდება და, ფაქტობრივად, შეილახება მეორე მხარის უფლება, კანონის ფარგლებში **თავისუფლად დადოს ხელშეკრულებები და განსაზღვროს ამ ხელშეკრულებათა შინაარსი (319 I 1).**⁶ ამ დისბალანსის რეგულირებისა და შესაბამისი რისკების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა 344-ე, 345-ე, 346-ე, 347-ე, 348-ე მუხლები, რაც არის სოციალური სახელმწიფოს ფუნქციის განხორციელება, სტანდარტული პირობების მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაშიც შესაბამისი ხარისხით უზრუნველყოს სახელშეკრულებო სამართლიანობა.⁷

342-348 მუხლებში განერილი რეგულაციური კომპლექსის ცენტრალური დანაწესებია სტანდარტული პირობის **შინაარსის კონტროლის** ნორმები, რაც შედგება გენერალური დათქმისა (346) და აკრძალული სტანდარტული პირობების კატალოგისაგან (347, 348). ამ ცენტრალური დანაწესების გარდა, დაუშვებელი სტანდარტული პირობებისაგან კლიენტის დაცვას ემსახურება პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევის კონტროლი (343), ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობის დათქმა (342 III) და დანაწესები უჩვეულო დებულებებისა (344) თუ ბუნდოვანი პირობის განმარტების (345) შესახებ.

5 Basedow, in MükO BGB, 7. Aufl. 2016, § 305, Rn. 5.

6 BGHZ 51, 73; BGHZ 70, 310, BGHZ 126, 332.

7 Heinrichs, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Vor §§ 305 ff., Rn. 5.

II. გამოყენების წინაპირობები

1. სტანდარტული პირობები, როგორც ხელშეკრულების პირობები

- 9 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიზანია ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა. ამ პირობების მოქმედება განპირობებულია ხელშეკრულების ნაწილად ქცევით და მათი გამოყენება არის შემთავაზებლის კერძო ავტონომიის ნაწილი.⁸ მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტული პირობები რეალურად სამართლის ნორმის სოციალურ ფუნქციას ასრულებენ, ისინი მაინც არ წარმოადგენენ სამართლის ნორმებს.⁹
- 10 სტანდარტული პირობა, პირველ რიგში, არის სახელშეკრულებო პირობა, ანუ მიმართულია ხელშეკრულების შინაარსის მონესრიგებისაკენ – შეიცავს წესს, რომლის მიხედვითაც ხდება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის კონსტრუირება. აქედან გამომდინარე, სტანდარტულ პირობად ვერ ჩაითვლება მხოლოდ თხოვნა,¹⁰ შეკვეთის დადასტურება¹¹ ან ჯანმრთელობის კითხვარი.¹²
- 11 სტანდარტული პირობის შინაარსი შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის რეგულაცია.¹³ ისინი შეიძლება მოიცავდნენ როგორც ხელშეკრულების დამატებით, ასევე მის ძირითად ვალდებულებებს. ისინი შეიძლება განსაზღვრავდნენ, ასევე, თვითონ ხელშეკრულების დადების პირობებს.¹⁴ სტანდარტული პირობები შეიძლება შეიცავდნენ არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებულ რეგულაციას, არამედ, ასევე, კანონისმიერი ურთიერთობის მონესრიგებას,¹⁵ პროცესუალურ საკითხს,¹⁶ ცალმხრივ გარიგებებს¹⁷ (მაგ.: მინდობილობის მონიჭება,¹⁸ თანხმობა ოპერაციისას¹⁹) და ა. შ.

2. სტანდარტული პირობები, როგორც წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები

- 12 პირობები ითვლება წინასწარ ჩამოყალიბებულად, თუ ისინი მრავალჯერადი გამოყენებისათვის წერილობითი ფორმით ან სხვაგვარად (მაგ., ვიდეო- ან აუდიოჩანაწერი) არის ფიქსირებული.²⁰ თუმცა სტანდარტული

8 *Canaris*, Gesamtunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff, 1990, S. 548.

9 BGH 9, 3.

10 BGHZ 124, 45.

11 BGHZ 99, 381.

12 Brem VersR 96, 317.

13 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, § 305, Rn. 5.

14 BGHZ 104, 99.

15 BGHZ 100, 157; BGH NJW 1986 2757.

16 BGH NJW 2002, 138.

17 BGHZ 98, 28.

18 BGH NJW 1999, 1864.

19 *Gounalakis*, Formularmäßige ärztliche Aufklärung im Lichte des AGB-Gesetzes, NJW 1990, S. 753.

20 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, § 305, Rn. 8; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის № ას-755-811-2011 განჩინება.

პირობა ჩაითვლება, ასევე, წინასწარ ჩამოყალიბებულად, როდესაც შემთავაზებლის მიერ მისი ჩამოყალიბება მოხდება ზეპირად²¹ – საკმარისია, თუ ხელშეკრულების პირობები შემთავაზებლის თავშია დაფიქსირებული.²² სტანდარტული ხელშეკრულების ფორმულარები, ხშირ შემთხვევაში, მოიცავენ ცარიელ გრაფებსაც, რომლებიც შევსებას საჭიროებენ. თუ ამ გრაფის შევსება მოხდა (ხელით ან სხვა მექანიკური საშუალებით) იმ პირობით, რომლის არაერთჯერად გამოყენებასაც გეგმავს მისი წამყენებელი მხარე, სახეზეა სტანდარტული პირობა, მაშინაც კი, როდესაც ეს პირობა მანამდე წერილობით დაფიქსირებული არ ყოფილა.²³ უმნიშვნელო ცვლილება ფორმულირებაში, თუ შინაარსობრივი ბირთვი უცვლელი რჩება, არ უშლის ხელს პირობის სტანდარტულად დაკვალიფიცირებას.²⁴

3. სტანდარტული პირობები, როგორც მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები.

სტანდარტული პირობები არის **მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები**. პირობა გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის, თუ შემთავაზებელი მის გამოყენებას სულ მცირე **სამჯერ** მაინც აპირებს.²⁵ მხოლოდ ამ დროს იკვეთება შემთავაზებლის განზრახვაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობის მრავალჯერ გამოყენების მიზანი. სტანდარტული პირობა მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულად რომ მივიჩნიოთ, საკმარისია, შემთავაზებელს ჰქონდეს **განზრახვა**, გამოიყენოს ესა თუ ის სტანდარტული პირობა მრავალჯერადად, თუნდაც ის სტანდარტულ პირობებს პირველად იყენებდეს. პირობა სტანდარტულად ჩაითვლება მრავალჯერადად გამოყენების განზრახვის გარეშეც, თუ შემთავაზებელი იყენებს სხვის მიერ ამ განზრახვით ფორმულირებულ პირობას²⁶ (მაგ., გამქირავებელი გაქირავებისას იყენებს ქირავნობის ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმულარს). საკმარისია შემთავაზებლის განზრახვა, მრავალჯერ გამოიყენოს სტანდარტული პირობები **ერთსა და იმავე კლიენტთან**.²⁷

13

4. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობის წაყენება

აუცილებელია, რომ შემთავაზებელმა ან მისმა დამხმარემ კლიენტს **წაუყენოს** და მოსთხოვოს წინასწარ ჩამოყალიბებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება. მხარეთა მოლაპარაკების შედეგად განსაზღვრული პირობები არ ჩაითვლება წინასწარ ჩამოყალიბებულ (სტანდარტულ) პირობად. წაყენება გულისხმობს წინასწარ ჩამოყალიბებული პირობის ხელშეკრულებაში ჩართვის მოთხოვნას, ანუ კონკრეტული

14

21 BGH NJW, 2001, 2636.

22 BGH NJW 1988, 410; BGH NJW 2001, 2635.

23 Heinrichs, in Palandt BGB Komm., 70. Aufl. 2011, Art. 305 Rn. 8.

24 OLG Düsseldorf NZG 1998, 353.

25 BGH NJW, 2002, 138.

26 BGH NJW 1991, 843; BGH ZIP 2005 1604.

27 BGH NJW, 2004, 1454.

შეთავაზების გაკეთებას ამ ჩართვასთან დაკავშირებით.²⁸ არ არის აუცილებელი, რომ წამყენებელს ეკავოს გაბატონებული მდგომარეობა ბაზარზე. სტანდარტული პირობების შემთავაზებელი შეიძლება იყოს როგორც მენარმე, ასევე მომხმარებელი.²⁹

- 15 წაყენება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც კონტრაჰენტს არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საშუალება შეცვალოს ან რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსზე. შინაარსობრივად შემთავაზებლის მიერ წარდგენილი პირობა შეიძლება კლიენტისათვის სარგებლის მომტანიც კი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან ზეგავლენა მოახდინა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის განსაზღვრაზე.³⁰ „წაყენებას“ არ გამოორიცხავს შემთავაზებლის მიერ კლიენტისათვის მინიჭებული არჩევანი სხვადასხვა რეგულაციას შორის, ან ფორმულარიდან ცალკეული პირობის ამოშლის შესაძლებლობა.³¹ ამგვარი შემთხვევა სახეზე გვაქვს, მაგ., მაშინ, როდესაც შემთავაზებელი კლიენტს ხელშეკრულების ხანგრძლივობის მხოლოდ შეზღუდულ, რამდენიმე ალტერნატივას სთავაზობს.³² მესამე პირის, ნოტარიუსის ან მაკლერის მიერ წამოყენებული პირობისას 342 I მუხლის წინაპირობა სახეზე არ არის.³³ სხვაგვარად არის საქმე, თუ ხელშეკრულების ფორმულარი ნოტარიუსმა სპეციალურად შეიმუშავა მხარის მოთხოვნით, ან ეყრდნობა მხარის მიერ მუდმივად წამოყენებულ პირობას.³⁴

5. სტანდარტული პირობის ფორმა და მოცულობა

- 16 პირობის სტანდარტულად დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა არა აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების ფორმას. როგორც წესი, ისინი აისახებიან ხელშეკრულების ტექსტში, ისინი ასევე შეიძლება აისახონ ხელშეკრულების დანართში. ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გამოკრულია ამა თუ იმ დანესებულების თვალსაჩინო ადგილას, მაგალითად: თეატრის გარდერობთან („პასუხისმგებლობას არ ვიღებთ ჩაბარებულ ნივთზე“), მაღაზიის აბრაზე („გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება“), რესტორანში და სხვ.
- 17 ასევე უმნიშვნელოა პირობის მოცულობა. მაგ., ინდივიდუალურად შეთანხმებული გარიგების მხოლოდ ერთი პირობაც შეიძლება იყოს სტანდარტული, ან ბლანკზე გაკეთებული რაიმე დათქმა.³⁵ არა აქვს მნიშვნელობა არც თავად ხელშეკრულების ფორმას. 342-ე და მომდევნო მუხლები ძალაშია ასევე სანოტარო ხელშეკრულებების შემთხვევაში.³⁶

28 BGHZ 130, 57.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ნოემბრის განწყვეტილება № ას-1225-1245-2011.

30 BGHZ 130, 57.

31 BGH NJW 1987, 2011.

32 BGH NJW, 1998, 1066.

33 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Art. 305, Rn. 10.

34 OLG VersR 2000, 730.

35 BGHZ 75, 21.

36 BGHZ 1974, 209.

6. სტანდარტული პირობები, როგორც კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესები

სტანდარტული პირობები, როგორც კანონით დადგენილი ნორმის ალტერნატიული ან მათი შემვსები წესები, შეიცავს პირობებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე კანონით გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავენ.³⁷ აქ საუბარია, რა თქმა უნდა, კანონის **დისპოზიციურ ნორმებზე. იმპერატიული ნორმების** შეცვლა დაუშვებელია და ასეთი პირობა იქნება **ბათილი**. სტანდარტული პირობა მხოლოდ მაშინ ექცევა 345-ე მუხლისა და მისი მომდევნო მუხლების კონტროლქვეშ, თუ იგი კანონის დისპოზიციურ ნორმებს ავრცობს ან ცვლის. თუ სტანდარტული პირობა კანონის ნორმებს იმეორებს, იგი სასამართლოს მხრიდან შინაარსობრივ კონტროლს აღარ ექვემდებარება.

III. მხარეების მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული პირობები

342 II მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ **დეტალურად არის განსაზღვრული (ინდივიდუალური პირობა)**, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად. ხელშეკრულების პირობების დეტალურად განსაზღვრისათვის აუცილებელია, რომ შემთავაზებელმა კლიენტს მისცეს რეალური შესაძლებლობა, შეცვალოს მის მიერ ერთპიროვნულად განსაზღვრული და წინასწარ ჩამოყალიბებული სტანდარტული პირობები. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ მოლაპარაკების შედეგად დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ აღარ არსებობს სტანდარტული პირობებისათვის დამახასიათებელი ერთი აუცილებელი ნიშანი, კერძოდ, მრავალჯერადი გამოყენების მიზანი.³⁸

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ინდივიდუალურად არ აქცევს შემთავაზებლის მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა, რომ იგი მზად იყო სტანდარტული პირობების შინაარსის შესაცვლელად ან კლიენტის ხელმოწერა ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ქვეშ, რომლის მიხედვითაც ეს პირობები მხარეების მიერ ერთობლივად იქნა განსაზღვრული, მაშინ, როდესაც კლიენტს ამგვარი შესაძლებლობა რეალურად არ ჰქონია,³⁹ ისევე, როგორც ფორმულარის ტექსტზე გაკეთებული დათქმა, რომელიც მეორე მხარეს მისი ცალკეული ნაწილების შეცვლის ან ამოშლის უფლებას ანიჭებს.⁴⁰ მოლაპარაკებიდან გამომდინარე, შემთავაზებელი რეალურად უნდა იყოს **მზად** სტანდარტული პირობების **შესაცვლელად** და უნდა შეატყობინოს ამის შესახებ კლიენტს⁴¹ – მთლიანი პირობა მეორე მხარის განსჯის საგნად აქციოს.⁴² მხოლოდ ის ფაქტი,

37 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 184.

38 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 185.

39 BGH NJW 1977, 432.

40 BGHZ 1998, 28.

41 BGHZ 143, 112.

42 BGH NZM 2016, 408.

რომ კლიენტს დეტალურად განემარტა ცალკეული სტანდარტული პირობის არსი, ამისათვის საკმარისი არ არის.⁴³ 342 II მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირობის **განსაზღვრა რეალურად** მოხდა ინდივიდუალურად, რისთვისაც არასაკმარისია მხოლოდ მოსაზრებების გაცვლა პირობასთან დაკავშირებით. „განსაზღვრისათვის“ აუცილებელია, რომ შემთავაზებელმა კანონის შინაარსისაგან განსხვავებული პირობის რეგულაციური ბირთვი აქციოს მოლაპარაკების საგნად და მეორე მხარეს მიანიჭოს მისი გარდაქმნის რეალური შესაძლებლობა.⁴⁴ ამ დროს გასათვალისწინებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებები, განსაკუთრებით მონაწილე მხარეთა ინტელექტუალური შესაძლებლობები და პროფესიული მდგომარეობა, ისევე, როგორც ერთ-ერთი მხარის მიერ ეკონომიკური ძალაუფლების განცდა თუ მისი არარსებობა.⁴⁵ პირგასამტეხლოს დათქმისათვის არ არის აუცილებელი, რომ შემთავაზებელმა მთლიანი პირობა, ანუ მისი არსებობა-არარსებობა აქციოს მოლაპარაკების საგნად; საკმარისია, ასეთად აქციოს პირობის მხოლოდ ის შინაარსი, რომელსაც დამატებითი (კანონით გაუთვალისწინებელი რეგულაცია) შემოაქვს, მაგ., ბრალის გარეშე ვალდებულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდა.⁴⁶ დათქმა, რომელიც სამაკლერო პროვიზიას ითვალისწინებს შედეგისაგან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურ პირობად არ გარდაიქმნება მხოლოდ იმის გამო, რომ პროვიზიის კონკრეტული ოდენობა მხარეთა მოლაპარაკების შედეგად უნდა დადგინდეს.

- 21 **მენარმეთა შორის** საქმიან ურთიერთობებში 342 II მუხლის მოთხოვნები ნაკლებ მკაცრად უნდა იქნეს დაცული, ვიდრე მენარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში. 342 II მუხლის გამოყენებისათვის საკმარისია, თუ ერთი მხარე (შემთავაზებელი) მეორის წინაშე გამოთქვამს მზადყოფნას, დაიწყოს მოლაპარაკება პირობის შეცვლასთან დაკავშირებით და მეორეს აქვს რეალური შესაძლებლობა, მიიღოს მასში მონაწილეობა.⁴⁷
- 22 ჩვეულებრივ, მოლაპარაკების შედეგი გამოიხატება წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების შინაარსის ცვლილებაში, თუმცა გამონაკლისის სახით, თუ კლიენტს **რეალურად ჰქონდა შესაძლებლობა**, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩამოყალიბებისას მიეღო მონაწილეობა მათ განსაზღვრაში და შეეცვალა ისინი, მაგრამ გადაიფიქრა ეს, რადგან შინაარსობრივი ანალიზის შედეგად დარწმუნდა მათ მიზანშეწონილობაში, პირობა მაინც ჩაითვლება ინდივიდუალურად.⁴⁸
- 23 **ცალკეული პირობის** ცვლილების მიუხედავად, დანარჩენი პირობები სტანდარტულ პირობებად რჩება.⁴⁹ სახელშეკრულებო ფორმულარში

43 BGHZ 1974, 209; BGH NJW 1984, 171; BGHZ 1992, 2759.

44 BGHZ 85, 308; BGHZ 104 236; BGH NJW 1992, 1107.

45 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Art. 305, Rn. 21.

46 BGH NJW 1998, 3488.

47 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, 70. Aufl., 2011, Art. 305, Rn. 22.

48 BGHZ 84, 111.

49 BGHZ 97, 215.

636-ე მუხლიდან წარმომდგარი მოშლის უფლების გამორიცხვა არ იქცევა ინდივიდუალურ პირობად მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეები ხელშეკრულების მიმდინარეობის ვადას მოლაპარაკების საგნად ხდიან.⁵⁰

IV. ინდივიდუალური პირობების უპირატესობა სტანდარტული პირობების წინაშე

1. ზოგადი

მხარეთა შეთანხმება, ჩვეულებრივ, არის ინდივიდუალური და სახელშეკრულებო ფორმულარში დაფიქსირებული წესების კომბინაცია. 342 III მუხლის თანახმად, უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს (ინდივიდუალური პირობა) უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით. იხ. ინდივიდუალური პირობის ცნებასთან დაკავშირებით მე-8 და მომდევნო ველებზე. ამ გაგებით ეს დანაწესი თავისთავად ქვემარტებას იმეორებს: შემთავაზებელმა, რომელმაც ინდივიდუალურად, კლიენტთან ერთად, შეათანხმა შესრულების შინაარსი და განასხეულა ის კონკრეტულ სახელშეკრულებო დათქმებში, „წვრილი შრიფტის მეშვეობით“ „უკანა კარიდან“ ვერ უნდა შეძლოს მათი გაუქმება.⁵¹ გარდა ამისა, ეს ნორმა არის ზოგადი პრინციპის გამოხატულება, რომლის მიხედვითაც სპეციალური წესები განდევნის ზოგადს.

24

2. „ფუნქციური რანგობრივი მიმართება“

342 III მუხლი, სწორი მოსაზრების⁵² თანახმად, არ არის არც სტანდარტული პირობის ხელშეკრულებაში ჩართვისა და არც ხელშეკრულების განმარტების (რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური პირობის უპირატესობა სტანდარტულთან შედარებით მხარეთა ნებიდან გამომდინარეობს) წესი, არამედ აწესრიგებს ფუნქციურ რანგობრივ მიმართებას ინდივიდუალურ და სტანდარტულ პირობებს შორის – ურთიერთწინააღმდეგობა ინდივიდუალურ შეთანხმებასა და სტანდარტულ პირობას შორის არ იწვევს ამ უკანასკნელის ბათილობას, არამედ ნამდვილი ინდივიდუალური პირობა განდევნის თავისთავად ასევე ნამდვილ პირობას სახელშეკრულებო ფორმულარიდან.⁵³

25

342 III მუხლის ამგვარად გაგებისას მარტივად წყდება საკითხი, თუ რა წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდვილია ინდივიდუალური პირობა, რომელთანაც კოლიდირებს სტანდარტული დათქმა. ამ დროს პირველი რანგის რეგულაციის (ინდივიდუალური შეთანხმების) გაბათილების შემდეგ დგება მეორე რიგის რეგულაციის (სტანდარტული პირობის) ჯერი.⁵⁴ ამის საპირისპიროდ, თუ, 342 III მუხლის მიხედვით, სტა-

26

50 BGH WM 1982, 872.

51 Knops, Die „weite“ Sicherungszweckerklärung des persönlich schuldenden Eigentümers in der AGB-Kontrolle, ZIP 2006, S. 1965.

52 BAG NJW 2009, 318; Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305b, Rn. 2.

53 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 11.

54 მხოლოდ ინდივიდუალურ პირობასთან კოლიზია არ კმარა იმისათვის, რათა სტანდარტული პირობა არ იქცეს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად (Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl.,

ნდარტული პირობა ინდივიდუალურთან კოლიზიისას ბათილად იქნებოდა ცნობილი, ინდივიდუალური შეთანხმების არანამდვილობისას მის ადგილს კანონისმიერი წესები დაიკავებდნენ, რაც არასწორია.

3. წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და სტანდარტულ პირობებს შორის

27 342 III მუხლი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდუალური და სტანდარტული პირობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ კოლიზიისას ეს უკანასკნელი უკან იხევს ინდივიდუალურთან მიმართებით. წინააღმდეგობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც სტანდარტული პირობა უზვევს ინდივიდუალურში დაფიქსირებული წესიდან სიტყვასიტყვითი მნიშვნელობითა თუ განმარტების შედეგად დადგენადი შინაარსის მიხედვით და ამგვარად ზღუდავს ინდივიდუალური შეთანხმების მოქმედებას ან საერთოდ აუქმებს მას.⁵⁵

28 წინააღმდეგობა, ჩვეულებრივ, გამოწვეულია შემთავაზებლის ვალდებულებითი ტვირთის გამარტივება-შემსუბუქებით ან მისი კონტრაჰენტის სამართლებრივი პოზიციების შემცირებით. თუმცა წინააღმდეგობა შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე ხელშეკრულების სხვა წესებიდანაც, მაგ., ხელშეკრულების მოქმედების დროიდან, როდესაც ინდივიდუალური დათქმა ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით უქმდება სტანდარტულ პირობებში დაფიქსირებული საპირისპირო წესის საფუძველზე.

4. ცალკეული შემთხვევები

29 დაუშვებელია ინდივიდუალური შეთანხმებით დადგენილი მხარეთა უფლებრივი პოზიციების მოდიფიცირება ან გაუქმება სტანდარტული პირობის საფუძველზე. მაგ., პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნების შემზღუდავი დათქმა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ შეთანხმებას, თუ ამ შეთანხმებით გაცხადებულად ან კონკლუდენტურად მოხდა ნასყიდობის საგნის თვისებების დადგენა (488 I 1) და ის ამგვარად გამყიდველის (შესრულების) ვალდებულების ნაწილია (477 I).⁵⁶ ამ დროს 342 III მუხლი შემთავაზებელს ართმევს თვისებასთან დაკავშირებული შეთანხმებისაგან თავის დახსნის შესაძლებლობას სტანდარტული პირობის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც გამყიდველის მითითებები საგანთან დაკავშირებით არ წარმოადგენენ მის თვისებებს ან პასუხისმგებლობა ნაკლისთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ან ზოგადად გამორიცხული უნდა იყოს.⁵⁷ მით უფრო მოქმედებს ეს წესი გარანტიის შემთხვევაში 496-ე მუხლის მიხედვით. ზემოთ თქმული ძალაშია ასევე 488 I 2, ვარ. 1 მუხლის მიხედვით თვისების ინდივიდუალურად განსაზღვრისას, რადგან ამ შემთხვევაში მხარეები ათანხმებენ

2016, § 305b Rn. 2), შდრ. ამის საპირისპიროდ *Stoffels*, AGB-Recht, 2. Aufl., 2009, Rn. 346.

55 OLG Düsseldorf BeckRS 2014, 00211.

56 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

57 BGH NJW 2007, 1346.

ნივთის მიზნობრივ გამოსადეგობას.⁵⁸ თვისების ინდივიდუალურად შეთანხმების შემთხვევაში, 342 III მუხლის მიხედვით, არ მოქმედებს ასევე დათქმა, რომელიც შემთავაზებელს ე.წ. **ტოლერანტობის სივრცეს** ანიჭებს, რომლის მიხედვითაც შეთანხმებული თვისებიდან გადახრა (488 II მუხლის მიხედვით მას განეკუთვნება ასევე რაოდენობა⁵⁹) გარკვეულ ზღვრამდე უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს.⁶⁰ ამის საპირისპიროდ, თუ სარეკლამო განცხადება უნდა გახდეს ნივთის თვისება 488 I მუხლის გაგებით, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის სტანდარტულ პირობაში ამის გამორიცხვას 342 III მუხლი, ჩვეულებრივ, ხელს არ უშლის; ამ დროს თვისება არ არის მხარეთა მიერ ინდივიდუალურად შეთანხმებული.⁶¹

ავტომანქანის შეკეთების ხელშეკრულების ფორმულარში გაკეთებული დათქმა, რომ მენარდეს აქვს უფლება, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი სამუშაოს განევის შესახებ⁶² (მაშინაც კი, როდესაც ამ დამატებითი სამუშაოს ღირებულება პროცენტულად ბევრად ჩამოუვარდება თავდაპირველად შეთანხმებულისას), წინააღმდეგობაში მოდის 342 III მუხლთან და, ამგვარად, არ მოქმედებს.⁶³ როდესაც კლიენტი მენარდეს უკვე თავს მანქანის შეკეთებას კონკრეტული ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, ეს იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ კლიენტს, ზოგადად, არ სურს სხვა სამუშაოების ჩატარება. ამ შეთანხმებით მენარდე მაშინაც კი შებოჭილია, როდესაც მის მიერ დამატებით დაგეგმილი სამუშაო რეალურად აუცილებელია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მენარდე უნდა ეცადოს, შეკვეთის ფარგლების გაფართოების უფლება მოიპოვოს კონკრეტულ კლიენტთან კონკრეტული შეთანხმების საფუძველზე; სტანდარტული დათქმით, ზოგადად, ყველა შემთხვევისათვის ამის გაკეთება აზრს აკარგვინებს კლიენტთან მიღწეულ ინდივიდუალურ შეთანხმებას შესრულების ფარგლებთან დაკავშირებით.⁶⁴

ინდივიდუალური რეგულაციები შესრულების **განხორციელების მოდალიტეტთან** დაკავშირებით სტანდარტული პირობებით არ შეიძლება შეიცვალოს.⁶⁵ ლიზინგის ხელშეკრულებაში ჩადებული სტანდარტული დათქმა ხელშეკრულების ვადის ავტომატურ გაგრძელებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის ხელშეკრულებით დადგენილ ინდივიდუალურ ვადასთან და, გამომდინარე აქედან, შემთავაზებელი მასზე ვერ მიუთითებს.⁶⁶

58 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

59 ამ დანაწესის შერბილებას ისახავს მიზნად ე. წ. „დაახლოებით“-დათქმები – „გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს დაახლოებით 20 ტონა“, *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

60 OLG München BeckRS 2015, 03555.

61 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

62 მაგალითად: „... მენარდე იტოვებს უფლებას საჭიროებისამებრ გასწიოს მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებული სხვა, თავდაპირველად დაუგეგმავი მომსახურება.“

63 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

64 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 12.

65 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 13

66 OLG Saarbrücken BB 2008, 2650.

30

31

- 32 სტანდარტულ პირობებში ხშირია ხოლმე დათქმები, რომელთა მიხედვითაც ინდივიდუალურად შეთანხმებული ფასი უნდა შეიცვალოს შემთავაზებლის შესრულების ან საპირისპირო შესრულების მიხედვით, ან, ზოგადად, მეორე მხარის შესრულებაზე იყოს დამოკიდებული, ისევე, როგორც დათქმა ფორმულარში, რომელიც ნივთის (სუფთა) ღირებულებას ამატებს ცალკეული დამატებითი შესრულების ფასს (მაგ., ტრანსპორტის ან შეფუთვის ხარჯები); დათქმა, რომლის მიხედვითაც დღე ემატება თავდაპირველად მითითებულ ფასს; გარდა ამისა, არცთუ ისე იშვიათია დათქმა ფასის მისადაგებასთან დაკავშირებით, როდესაც ხელშეკრულების დადებასა და მის შესრულებას შორის გარკვეული დროითი შუალედია. ყველა ამ შემთხვევაში საზღაურთან დაკავშირებული ინდივიდუალური შეთანხმების განმარტებით უნდა დადგინდეს მისი ფარგლები. ფასის განსაზღვრა ყოველთვის არ წარმოადგენს საზღაურთან დაკავშირებულ ამომწურავ და ყოვლისმომცველ რეგულაციას. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევებში რჩება 342 III მუხლის მიხედვით საზღაურის გაზრდასთან დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი სტანდარტული პირობა უმოქმედოდ.⁶⁷
- 33 მაგ., საშენი მასალით ვაჭრობისას, თუ მითითებულია მხოლოდ მასალის ღირებულება, მყიდველს 52-ე მუხლის მიხედვით არ აქვს უფლება, ივარაუდოს, რომ გამყიდველის მიერ აუცილებლად ან ჩვეულებრივ განსახორციელებელი ტრანსპორტირების ღირებულებაზე ამ თავდაპირველი ფასითაა მოცული.⁶⁸ ამის საპირისპიროდ: თუ პირი ათანხმებს მყარ ფასს, არ უნდა ელოდოს მის კორექტირებას. ამგვარი კორექტირება სტანდარტული პირობის მეშვეობით უშედეგოა 342 III მუხლის მიხედვით. გარდა ამისა, თუ ინდივიდუალური შეთანხმებით ნივთის ფასთან დაკავშირებით მოცულია ასევე ტრანსპორტის ხარჯებიც, ამ ინდივიდუალურ შეთანხმებასთან წინააღმდეგობაში მოდის ე.წ. მინიმალური ოდენობის დათქმა – „ტრანსპორტირება უფასოა მხოლოდ გარკვეული ოდენობის საქონლის შექენის შემთხვევაში“.⁶⁹
- 34 კლიენტს უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ ფასი ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადსაც მოიცავს. დათქმა სტანდარტულ პირობაში, რომელიც კლიენტის წინაშე გაცხადებულ ფასს ნეტო ღირებულებად „გარდაქმნის“, კლიენტი განმარტების შედეგად დადგენად ინდივიდუალურად დათქმულ ფასთან და არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს – რეალურ გარდაქმნას.⁷⁰ გარდა ამისა, ეს პირობა უჩვეულოა 344-ე მუხლის მიხედვით. მიუხედავად ამისა, მისი მხოლოდ 344-ე მუხლის მეშვეობით გაბათილება შეიცავს იმ საფრთხეს, რომ შემთავაზებელი მასზე ცალსახად მითითების (მაგ.: ცალკე გამოყოფილი ტექსტი, მუქი შრიფტი და ა. შ., იხ. მუხ. 344, მე-19 ველი) მეშვეობით თავს აარიდებს 344-ე მუხლის აკრძალვას, მაშინ, როდესაც 342 III მუხლის გაგებით კოლიზია მაინც ძალაში რჩება.⁷¹

67 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 14.

68 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 14.

69 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 15.

70 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305b, Rn. 19.

71 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305b, Rn. 16.

საანაბრე პროცენტის ინდივიდუალურად შეთანხმებას უპირატესობა ენიჭება საკრედიტო ინსტიტუტის სტანდარტულ პირობებში დაფიქსირებულ პროცენტებთან შედარებით.⁷² 35

V. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთს იმასთან დაკავშირებით, რომ პირობა არის სტანდარტული 342 I მუხლის მიხედვით, ზოგადად, მეორე მხარე ატარებს, ანუ პირი, რომელსაც სურს 342-ე და მომდევნო მუხლებში განერილი დაცვითი მექანიზმების ამოქმედება.⁷³ ჩვეულებრივ, საკმარისია გარეგნულ ფორმაზე მითითება, რადგან დაბეჭდილი ან სხვაგვარად გამრავლებული სახელშეკრულებო შაბლონი, პირველი შთაბეჭდილების თანახმად, სტანდარტულ პირობად ითვლება.⁷⁴ ამ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად არ კმარა იმ გარემოებაზე აპელირება, რომ ხელშეკრულება ნაწილობრივ ინდივიდუალური რეგულაციებისაგანაც შედგება,⁷⁵ თუმცა ეს პრეზუმფცია არ მოქმედებს ადვოკატის მიერ ხელშეკრულების მომზადებისას; საადვოკატო მომსახურების გამოყენება არ მიანიშნებს სხვის მიერ გარიგების ფორმირების ნების თავზე მოხვევაზე.⁷⁶ 36

თუ პირობის გამოყენება მოხდა სამჯერ ან მეტჯერ, ივარაუდება (რისი გაქარწყლებაც შესაძლებელია), რომ ის შექმნილია მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ამ პრეზუმფციის უკუსაგდებად არ არის საკმარისი იმის დამტკიცება, რომ სამომავლო კონტრაქტთა წრე წინასწარვე დადგენილია.⁷⁷ თუ შემთავაზებელი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ პირობა დეტალურად განსაზღვრულ, ანუ ინდივიდუალურ პირობას წარმოადგენს, ის ატარებს ამის მტკიცების ტვირთს.⁷⁸ „ინდივიდუალურად განსაზღვრას“ მკაცრი წინაპირობები წაეყენება.⁷⁹ მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პირობა შემთავაზებლისათვის დეტალურად განსაზღვრაუნარიანი იყო, არის ის გარემოება, რომ ეს პირობა შეიცვალა ყველა სხვა მსგავს ხელშეკრულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ცვლილება/მეცხების მიუხედავად პირობის რეგულაციური შინაარსი იდენტური დარჩა. 37

72 OLG Hamburg BeckRS 2015, 19446.

73 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 38.

74 BGHZ 118, 238; OLG Dresden WM 2001, 2167.

75 BGH NJW 2004, 503; BGH NJW 1992, 2160.

76 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 38.

77 BGH NJW 2002, 138.

78 BGH NJW 1987, 2011; BGH 1998, 2600.

79 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 40.

მუხლი 343. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა:

ა. შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე

და

ბ. ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები.

2. თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მენარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა.

I. ზოგადი.....	194
II სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევის წინაპირობები.....	195
1. მითითება, 343 I ა).....	195
ა. მითითების თვალსაჩინოება.....	196
ბ. მითითება წარწერის მეშვეობით.....	197
2. სტანდარტული პირობის გაცნობის შესაძლებლობა, 343 I ბ), ვარ. 1.....	198
3. უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობა.....	198
4. ხელშეკრულების დადებისას.....	199
5. თანხმობა სტანდარტული პირობის მოქმედებასთან დაკავშირებით, 343 I ბ), ვარ. 2.....	200
III. სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მენარმეებს შორის ურთიერთობისას.....	200

I. ზოგადი

1 სტანდარტული პირობების შემუშავების ძირითადი მიზანია, ეს პირობები შემდგომში ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდეს, რათა მხარეებმა ურთიერთობა ამ პირობების შესაბამისად მოინწესრიგონ.¹ 342-ე მუხლის გაგებით სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, თუ მოხდა მხარეთა მიერ მათი ხელშეკრულებაში ჩართვა – „იქცა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად“. ამ ხელშეკრულების ნაწილად ქცევის გარეშე შემთავაზებელი ვერ მიუთითებს სტანდარტულ პირობებზე. ხელშეკრულება დანარჩენ ნაწილში (კანონისმიერი პირობებით) ნამდვილი რჩება.²

1 ქანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 343, გვ. 187.
 2 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 41.

სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევა გულისხმობს, რომ შემთავაზებლის კონტრაჰენტი თანახმაა ამ პირობების მოქმედებასთან დაკავშირებით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხარეები შეთანხმდნენ სტანდარტული პირობების შინაარსზე: სტანდარტული პირობის შინაარსი ცალმხრივად არის წამოყენებული შემთავაზებლის მიერ (და არა მოლაპარაკებების შედეგად ფორმირებული, რადგან ამ შემთხვევაში სტანდარტული პირობა არ იქნება სახეზე). კლიენტს შეუძლია მხოლოდ გადანყვიტოს, საერთოდ ამოქმედდება თუ არა სტანდარტული პირობები იმით, რომ დაეთანხმოს მათ ჩართვას ხელშეკრულებაში.³

სახელშეკრულებო ფორმულარის მეშვეობით ხელშეკრულების დადებისას სტანდარტული პირობა ყოველთვის იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. კლიენტი საკუთარი ხელის მოწერით ნათელყოფს, რომ გაეცნო სტანდარტული პირობების შინაარსს და თანახმაა მასზე.⁴ აქედან გამომდინარე, 343-ე მუხლი არ გამოიყენება **სახელშეკრულებო ფორმულარში** დაფიქსირებულ სტანდარტულ პირობებზე.⁵

343 I მუხლით განსაზღვრული წინაპირობები არის **კუმულაციური**. 343 I მუხლის ა) და ბ) ქვეპუნქტები ერთმანეთს „და“ კავშირით უკავშირდება, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტს უნდა ჰქონდეს ამ წარწერის როგორც დანახვის, ისე მისი გაცნობისა და მასზე თანხმობის ან უარის გაცხადების შესაძლებლობა.

იხ. სტანდარტული პირობის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად არქცევის შედეგებთან დაკავშირებით მუხ. 344 21-ე და მომდევნო ველები.

II სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევის წინაპირობები

სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ ხდება ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილი, როდესაც შემთავაზებელი კონტრაჰენტს ხელშეკრულების დადებისას ცალსახად მიუთითებს სტანდარტულ პირობებზე (343 I ა), მისცემს მას შესაძლებლობას, გაეცნოს ამ პირობების შინაარსს (343 I ბ), ვარ. 1) და კლიენტი გამოთქვამს თანხმობას მათ მოქმედებასთან დაკავშირებით (343 I ბ), ვარ. 2).

ამ წინაპირობების არსებობა არ არის სავალდებულო მენარმისათვის წაყენებული სტანდარტული პირობების შემთხვევაში (343 II).

1. მითითება, 343 I ა)

343 I ა) მუხლის მიხედვით, სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას **თვალსაჩინო წარწერას** გააკეთებს და **მიუთითებს ამ პირობებზე**. ამ დანაწესის ფორმულირება ძალზე ვიწრო და არაზუსტია. სტანდარტული პირობის ხელშეკრულებაში ჩართვის

3 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 42.

4 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 43.

5 BGH NJW 1988, 2465; BGH NJW 1995, 190.

ერთადერთ (და არც მთავარ) გზას არ წარმოადგენს წარწერის (აბრის) გაკეთება, არამედ მითითება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა ფორმით (მაგ.: ჩანაწერი ხელშეკრულების ტექსტში, ზეპირი თუ აუდიო- და ვიდეო-ჩანაწერის მეშვეობით მითითება და ა. შ.).

ა. მითითების თვალსაჩინოება

- 9 წარწერა ან მითითება უნდა იყოს თვალსაჩინო და გაკეთდეს ხელშეკრულების ენაზე (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ მე-10 და მომდევნო ველები, ასევე 23-ე ველი). თვალსაჩინოება გულისხმობს იმას, რომ ის რეალურად უნდა განხორციელდეს; კონკლუდენტური ქცევა მხოლოდ გამონაკლისის სახით არის საკმარისი, კერძოდ, როდესაც ის ცალსახად შეცნობადია.⁶ გარდა ამისა, კონტრაჰენტს უნდა შეეძლოს, ყოველგვარი სირთულეებისა და წინაღობების გარეშე გაეცნოს მას. სტანდარტულ პირობებზე მითითება ისე უნდა იყოს მიწოდებული, რომ კლიენტს შეეძლოს ოდნავი ყურადღების მოკრების შემთხვევაში მისი აღქმა თვალის მხოლოდ ერთი შევლებით,⁷ რათა მიიღოს გადაწყვეტილება, დადოს თუ არა ხელშეკრულება ამ პირობებით. წარწერა უნდა იყოს ხელშეკრულების დადების ადგილას განთავსებული და კლიენტისათვის აღქმადი. ტექსტის გამოყოფა/ხაზგასმა ბეჭდვითი ტექნიკის მეშვეობით აუცილებელი არ არის,⁸ თუმცა ამის საპირისპიროდ მისი აღბეჭდვა ხელშეკრულების ტექსტის უკანა გვერდზე ან მხოლოდ კატალოგში არასაკმარისია.⁹ სტანდარტულ პირობებზე მითითება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებისას, ანუ შემდგომი მითითება, მაგ., ანგარიშზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე, ვერ აკმაყოფილებს 342-ე მუხლის წინაპირობებს (იხ. მე-16 და 24-ე ველები).
- 10 მითითება შეიძლება მოხდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირად.¹⁰ თუ ხელშეკრულება წერილობით ან ნოტარიულ ფორმას მოითხოვს, ეს ფორმასავალდებულოობა ვრცელდება ასევე მითითებაზეც. სხვა შემთხვევაში მითითების ფორმა დამოუკიდებელია მხარეთა მიერ არჩეული ფორმისაგან.¹¹
- 11 მითითება უნდა იყოს ცალსახა, მთლიანობაში აღქმადი და წაკითხვადი ისე, რომ მისი შინაარსი ეჭვს არ ბადებდეს.¹² ნათელი უნდა იყოს, თუ რომელი დათქმა ხდება ხელშეკრულების პირობა. ამიტომაც მითითება უკანა გვერდზე აღბეჭდილ სტანდარტულ პირობებზე მოიცავს ამ უკანა ნაწილის მხოლოდ იმ ტექსტს, რომელიც სათაურის – „სტანდარტული პირობების“ – ქვეშაა მოთავსებული.¹³

6 Pfeiffer, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305, Rn. 76.
 7 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 343, გვ. 188; BGH NJW 2007, 2989; OLG Brandenburg BeckRS 2009, 9204.
 8 OLG Brandenburg BeckRS 2009, 9204.
 9 LG Münster VersR 1980, 100; LG Berlin MDR 1980, 404; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 305, Rn. 29.
 10 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 46.
 11 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 46.
 12 Pfeiffer, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305, Rn. 69; BGH NJW-RR 1987, 112.
 13 BGH NJW 1987, 2431.

წერილობითი ხელშეკრულებების შემთხვევაში შემთავაზებელი მისთვის დაკისრებული მითითების (ფაკულტატიურ) ვალდებულებას ასრულებს, მაგ., ველზე დატანილი მითითებით შეკვეთის ფორმულარში, ან ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული შეკვეთისას „ყიდვის“ ლილაკზე გაკეთებული მინიშნებით.¹⁴ ონლაინგარიგებების შემთხვევაში საკმარისია, თუ შემკვეთს ხაზგასმული და კარგად აღქმადი „სტანდარტული პირობების“ ლინკის მეშვეობით შეუძლია მათი გამოხმობა და ჩამოტვირთვა.¹⁵

ბ. მითითება წარწერის მეშვეობით

თუ თვალსაჩინო მითითება ხელშეკრულების დადების ფორმის გამო არათანაზომიერ სირთულეებს უკავშირდება, მაშინ ის ზედმეტია და შეიძლება ჩანაცვლდეს ხელშეკრულების დადების ადგილზე გაკეთებული მკაფიო წარწერით.

ეს გამარტივებული მითითების შესაძლებლობა შემთავაზებელს შეუძლია გამოიყენოს განსაკუთრებით კონკლუდენტურად დადებული **მასობრივი გარიგებების** შემთხვევაში, მაგ.: ტაქსით გადაყვანის ხელშეკრულება, ან აეროპორტსა თუ რკინიგზის სადგურში სათავსოს გამოყენება,¹⁶ ისევე როგორც ავტოსადგომით სარგებლობა.¹⁷ ასევე ამ ტიპის სხვა გარიგებების დროს (სხვადასხვა ღონისძიებაზე ბილეთის შეძენა, სუპერმარკეტში ნასყიდობის დადება და ა. შ.¹⁸), რომელთა დადების ფორმიდან გამომდინარე თვალსაჩინო მითითება თითქმის შეუძლებელია, მაგ., აუქციონი.¹⁹ ამ შემთხვევებში ცალსახა მითითება არათანაზომიერად გართულებდა გარიგების განხორციელებას.²⁰

წარწერა უნდა იყოს გამოსაჩენ ადგილას გამოკრული, ანუ იმგვარად, რომ თვალში მოხვდეს კლიენტს და შეუძლებელი იყოს მისი ვერშემჩნევა.²¹ მაღაზიაში წარწერა არ უნდა იყოს განთავსებული კარს უკან ან კედელზე, რომელიც არ არის თვალთახედვის არეში. ის უნდა იყოს განთავსებული სალაროსთან, სადაც რეალურად ხდება ხელშეკრულების დადება. გარდა ამისა, თავად წარწერის შინაარსიც არ უნდა იყოს მრავალმნიშვნელოვანი და სხვადასხვაგვარად განმარტებადი.²² ტექსტი უნდა იყოს ცხადად ფორულირებული, მარტივად აღქმადი და ნაკითხვადი.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ წარწერა განთავსებული იყოს ხელშეკრულების დადების ადგილას, მაგ.: მაღაზიაში, თეატრის სალაროსთან ან სასტუმროს მიმღებში. არ არის საკმარისი, მისი მოთავსება შესრულე-

14 LG Essen NJW-RR 2003, 1207.

15 BGH NJW 2006, 2977.

16 LG Essen VersR 1995, 1198.

17 LG Frankfurt a. M. NJW-RR 1988, 955.

18 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 50.

19 BGH NJW 1985, 850.

20 BGH NJW 1985, 850.

21 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 51.

22 OLG Celle BeckRS 2010, 30094.

ბის ადგილზე, მაგ., კინოთეატრის დარბაზში ან სასტუმროს ნომერში,²³ რადგან ამ შემთხვევაში მითითება ხდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაც უკვე დაგვიანებულია.

2. სტანდარტული პირობის გაცნობის შესაძლებლობა, 343 | ბ), ვარ. 1

- 17 343 | ბ) მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები. სტანდარტული პირობა უნდა მოხვდეს კლიენტის ძალაუფლების სფეროში, იქნება ეს გაგზავნის (მაგალითად ფოსტით ან ელექტრონულ მისამართზე), სტანდარტული პირობების პირადად გადაცემის, ელექტრონული ვერსიის ინტერნეტსივრცეიდან ჩამოტვირთვისა თუ სხვა საშუალებით. შემთავაზებელმა კონტრაჰენტს უნდა შეუქმნას უკლებლივ ყველა სახელშეკრულებო პირობის გაცნობის შესაძლებლობა. მხოლოდ ამონარედი ცალკეული პირობებისა და დანარჩენ პირობებზე მხოლოდ მითითება, რომლებიც არ არიან აღბეჭდილი კლიენტისათვის გადაცემულ ტექსტში, ჩვეულებრივ, არასაკმარისია ხელშეკრულებაში მათი ჩართვისათვის.²⁴
- 18 კონტრაჰენტს ყოველთვის აქვს გაცნობის შესაძლებლობა, თუ მას გადაეცემა ან გადაეგზავნება სტანდარტული პირობების მთლიანი ტექსტი.²⁵ საკმარისია, თუ სტანდარტული პირობები აღბეჭდილია კატალოგში, რომელიც ეგზავნება კლიენტს ხელშეკრულების დადებისას.²⁶
- 19 არ არის აუცილებელი, რომ კლიენტმა სტანდარტული პირობები, რომლებიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებას, რეალურად წაიკითხოს.²⁷ პირობების გაცნობა უნდა იყოს მხოლოდ **შესაძლებელი**. თუ კლიენტს აქვს გაცნობის შესაძლებლობა, ეს არის, მისი რისკისა და პასუხისმგებლობის სფეროში რეალურად გაეცნობა თუ არა ის მათ შინაარსს.

3. უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობა

- 20 კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობა და მას მოეთხოვებოდეს ამის გაკეთება. გაცნობის შესაძლებლობა უნდა იყოს მარტივი როგორც მისი ფორმიდან, ისე სტანდარტული პირობების წაკითხვადობისა და ფორმულირებიდან გამომდინარე.
- 21 გაცნობის **ფორმიდან გამომდინარე**, კლიენტს მოეთხოვება ამის გაკეთება, თუ სტანდარტული პირობები მოხვდება მისი ძალაუფლების სფეროში იმგვარად, რომ მათი გაცნობისათვის მისი მხრიდან დამატებითი ძალისხმევა საჭირო აღარ არის. ეს, ჩვეულებრივ, სახეზეა, როდესაც სტანდარტული პირობები კლიენტს სხეულებრივი ფორმით გადაეცემა

23 Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305, Rn. 64; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 305, Rn. 31.

24 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 53.

25 BGH NJW 1988, 2108.

26 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 54.

27 BGH NJW 2002, 372.

ან ინტერნეტგარიგებების შემთხვევაში მათი დათვალიერება შესაბამის ჰიპერბმულზე მაუსის დანკაპუნებითაა შესაძლებელი,²⁸ ისევე, როგორც მისი გამოსმობა საბეჭდად გამზადებული სახით.²⁹ ელექტრონული ვაჭრობისას მენარმე ვალდებულია, კლიენტს მიანიჭოს სტანდარტული პირობების შემდგომში გამოსმობადი ფორმით შენახვის შესაძლებლობა. თუ კლიენტი თავად უნდა გააქტიურდეს, რათა მოიპოვოს სტანდარტული პირობები, მას, ჩვეულებრივ, აღარ შეიძლება მოეთხოვოს მათი გაცნობა. მითითება ხელშეკრულებაში, რომ კონტრაჰენტს, სურვილის შემთხვევაში, უფასოდ გაეგზავნება სტანდარტული პირობების ტექსტი, ვერ აქცევს მათ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.³⁰

უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობას განეკუთვნება ის გარემოება, რომ სტანდარტული პირობები საშუალო მონაცემების კლიენტისათვის ზედმეტი ძალისხმევის გარეშე იყოს ნაკითხვადი, შინაარსობრივად მარტივად აღქმადად ჩამოყალიბებული და დანაწევრებული.³¹ ცალკეული დათქმების შრიფტის ზომა არ უნდა იყოს ისე მცირე, რომ მათი ნაკითხვა კლიენტის მხრიდან მხოლოდ განსაკუთრებული დაძაბვის შედეგად იყოს შესაძლებელი.³²

შემთავაზებელი, ზოგადად, არ არის ვალდებული, უცხოელს შესთავაზოს სტანდარტული პირობების თარგმანი: თუ ქართული არის მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების ენა, კონტრაჰენტს მოეთხოვება, მიიღოს ქართულენოვანი სტანდარტული პირობები, მაშინაც კი, როდესაც თავად უნდა იზრუნოს მათ თარგმანზე.³³ თუ მოლაპარაკებების საერთო ენა არ არსებობს, ამ დროს სტანდარტული პირობები კლიენტს უნდა გადაეცეს მშობლიურ ან სხვა მისთვის უპრობლემოდ გასაგებ ენაზე.³⁴ ამასთან, ინგლისური ენის ცოდნა ვერ ჩაითვლება, ზოგადად, სავალდებულოდ.³⁵ ეს წესი მოქმედებს როგორც ავიაგადაყვანისას, ისე სხვა ტრანსპორტის შემთხვევაში.³⁶

4. ხელშეკრულების დადებისას

შემთავაზებლის კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების დადებისას ნაყენებული სტანდარტული პირობების უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობა, რათა შეაფასოს მათთან დაკავშირებული რისკები, სამართლებრივი ტვირთი და მიიღოს გადაწყვეტილება მათი ხელშეკრულებაში ჩართვასთან დაკავშირებით. მოგვიანებით მიწოდებული ცნობა სტანდარტული პირობების შესახებ ვერ აკმაყოფილებს 343-ე მუხლის წინაპირო-

28 BGH NJW 2006, 2976 Rn. 16.

29 OLG Hamburg ZUM 2002, 833.

30 Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305, Rn. 66; BGH MDR 1999, 1061.

31 BGH NJW 1983, 816; BGH NJW 1983, 2773.

32 BGH NJW-RR 1986, 1311; OLG Saarbrücken NJW-RR 2009, 989; ხელშეკრულების ნაწილად ვერ იქცევა პირობა, რომლის ნაკითხვაც მხოლოდ ლუპით და ისიც ძლივძლივობით არის შესაძლებელი.

33 შდრ. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში: BGH NJW 1983, 1489; BGH NJW 1995, 190.

34 Pfeiffer, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305, Rn. 89; OLG Frankfurt NJW-RR 2003, 706.

35 LG Berlin BeckRS 2014, 10679.

36 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 61.

ბებს. ასევე ხელშეკრულების დადების მომენტში გაცნობა არ გვაქვს სახეზე, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება დისტანციური მყისიერი კომუნიკაციის საშუალებით ან შემთავაზებლის კონტრაჰენტის წერილობითი ოფერტის საფუძველზე და ამგვარად კლიენტი სტანდარტულ პირობებს მხოლოდ შეკვეთის დადასტურებასთან (აქცეპტთან) ერთად იღებს, ანუ უკვე ხელშეკრულების დადების შემდეგ.³⁷

- 25 ხელშეკრულების მხარეებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ, **მოგვიანებით აქციონ** სტანდარტული პირობები ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილად. ესეც უნდა მოხდეს 343-ე მუხლის წინაპირობების დაცვით, ანუ კლიენტი ცალსახად უნდა დაეთანხმოს ხელშეკრულების ცვლილებას;³⁸ კლიენტის დუმილი ვერ ჩაითვლება მოგვიანებით ჩართვასთან დაკავშირებულ თანხმობად.³⁹

5. თანხმობა სტანდარტული პირობის მოქმედებასთან დაკავშირებით, 343 I ბ), ვარ. 2

- 26 კლიენტი თანახმა უნდა იყოს სტანდარტული პირობების მოქმედებასთან დაკავშირებით. მისი თანხმობა, ჩვეულებრივ, სახეზეა, თუ მას უპრობლემოდ შეეძლო, გასცნობოდა პირობების შინაარსს და ხელშეკრულება დაიდო.⁴⁰ არ არის აუცილებელი, რომ კლიენტმა გაცხადებულად დააფიქსიროს ეს თანხმობა.⁴¹ მის მიერ თანხმობის გამოხატვა სტანდარტული პირობების მიღებაზე შესაძლებელია, მოხდეს კონკლუდენტურადაც, ისევე როგორც ყოველგვარი სხვა **ნების გამოვლენისას** (თუკი კანონით ან ხელშეკრულებით არ არის აუცილებელი გარკვეული ფორმის დაცვა).

III. სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მენარმეებს შორის ურთიერთობისას

- 27 ჩვეულებრივი მომხმარებლისგან განსხვავებით, მენარმეებს უფრო მეტი წინდახედულობა მართებთ გარიგების დადებისას.⁴² ამიტომ კანონი მათგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს სტანდარტული პირობების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას. 343 II მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მენარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როდესაც მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა. ამგვარად, სტანდარტული პირობების მენარმის წინაშე გამოყენების შემთხვევაში მისი ხელშეკრულების ნაწილად ქცევისათვის არ არის აუცილებელი 343 I ა) და ბ) მუხლის

37 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 64.

38 BGH NJW 1984, 1112; BGH VersR 2010, 1501.

39 *Basedow*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305, Rn. 65.

40 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 66.

41 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 305, Rn. 43.

42 შდრ. ზოგადად იმ განსხვავებულ სტანდარტთან დაკავშირებით რასაც სასამართლო უყენებს მენარმისა და მომხმარებლის მიერ წაყენებულ პირობებს – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება № ას-1225-1245-2011, თუმცა შდრ. ამ გადაწყვეტილების კრიტიკისათვის მუხ. 346 სქ. 21-ე ველი.

წინაპირობების დაკმაყოფილება. მიუხედავად ამისა, მენარმეთა შორის ვაჭრობისას სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევისათვის მაინც საჭიროა **გარიგებისმიერი შეთანხმება** მათი ხელშეკრულებაში **ჩართვასთან** დაკავშირებით, თუმცა ეს შეთანხმება ამ დროს გაცილებით მარტივად შეიძლება შედგეს.⁴³ მაგ., სტანდარტული პირობების ჩართვისათვის საკმარისია დუმილით მიღწეული კონსენსუსი ხელშეკრულების მხარეებს შორის ან კონკლუდენტური ქცევა.⁴⁴

გარიგებისმიერი „ჩართვის შეთანხმება“ ზედმეტია (და სწორედ ამ შემთხვევას ეხება 343 II მუხლი), თუ კონკრეტულ მენარმეებს შორის არსებობს საქმიანი ჩვეულება სტანდარტული პირობების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.⁴⁵ თუმცა აუცილებელია, ერთმა მხარემ ნათელყოფის ფაქტი, რომ ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების გარდა ხელშეკრულების ნაწილი უნდა გახდეს ასევე განსაზღვრული სტანდარტული პირობებიც.⁴⁶ ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ ტიპის სტანდარტული დათქმები ჩვეულებრივი მოვლენაა კონკრეტულ სავაჭრო სფეროში, არასაკმარისია, რადგან აქედან ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რომ შემთავაზებული ხელშეკრულებას სწორედ ამ სტანდარტულ პირობებს უდებს საფუძვლად.⁴⁷ იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარე (მენარმე) ფლობს მხოლოდ ზოგად ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ შემთავაზებული, ჩვეულებრივ, საკუთარ ხელშეკრულებებში სტანდარტულ პირობებს რთავს.⁴⁸

28

43 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 80.

44 BGH NJW 1985, 1839; BGH NJW 1992, 1232.

45 BGH NJW 1992, 1232.

46 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 80.

47 BGH BeckRS 2014, 03240 Rn. 17.

48 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305, Rn. 80.

მუხლი 344. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებანი

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

I. ზოგადი დებულებები	203
1. ნორმის მიზანი	203
2. გამოყენების სფერო	204
ა. ხელშეკრულებაში ჩართვის კონტროლი	204
ბ. განმარტება	205
გ. ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობა	205
დ. შინაარსის კონტროლი	206
II. წინაპირობები	206
1. ობიექტურად უჩვეულო	207
ა. ობიექტურად უჩვეულო კლიენტის თვალსაწიერიდან	207
ბ. ცალკეული შემთხვევები	208
გ. უჩვეულო დებულების მოულოდნელობა	210
ა.ა მოულოდნელობის მომენტი	210
ბ.ბ მოულოდნელობის მომენტის გაქარწყლება	211
III. სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებების სამართლებრივი შედეგი	212
1. ზოგადი	212
ა. იმპერატიული წესი	212
ბ. მთავარი ვალდებულების არანამდვილობა	213
2. ჩამნაცვლებელი სამართალი	213
3. შემავსებელი განმარტება	214
4. პირობის ჩანაცვლების შეზღუდვა	215
ა. დანაწევრებადი პირობის ძალაში დატოვება და მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია	215
ა.ა მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია	216
ბ.ბ დამოუკიდებელი ნაწილობრივი რეგულაცია	216
ბ. სალვატორული დათქმა	217
5. მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა, როგორც გამონაკლისი	218

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

1 ხშირად კლიენტი არასაკმარისი ყურადღებით ან საერთოდ არ ეცნობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. მიუხედავად ამისა, დაცვას საჭიროებს ის ნდობა, რომელიც მას წარმოეშობა შემთავაზებლის მიერ ცალმხრივად წაყენებული პირობების მიმართ. ამიტომაც, დამოუკიდებლად იმისა, გაეცნო თუ არა კლიენტი ამ პირობებს, პირობები, რომლებიც საშუალო კლიენტის მოლოდინის ჩარჩოში სრულად ვერ ჯდება, არ უნდა გახდეს ხელშეკრულების ნაწილი.

2 მაშინ, როდესაც ინდივიდუალურად გაცხადებული ნების გამოხატვის შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი: „ვინც არ კითხულობს, მას არც ეშლება“¹ და პირს არ შეუძლია მიუთითოს იმასთან დაკავშირებით მცდარ წარმოდგენაზე, რაც არ ნაუკითხავს და განაცხადოს ამ საფუძვლით შეცდომა,² სხვა წესი მოქმედებს სტანდარტული პირობების შემთხვევაში: „პატარა შრიფტით დაბეჭდილი“ (შეგნებულად) ყურადღების მიღმა დატოვება არ არის არაგულისხმიერი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის საგამონაკლისო ქცევა, ეს კონტრაჰენტის საკმაოდ მოსალოდნელი რეაქციაა იმ შემთავაზებლის გადაწყვეტილებაზე, რომელმაც სტანდარტული პირობების წაყენებით ნათელყო, რომ არ აპირებდა მეორე მხარესთან მოლაპარაკებას ამ პირობებთან დაკავშირებით.³ ეს წესი თანაბრად მოქმედებს როგორც მომხმარებლის, ისე მენარმისათვის წაყენებული სტანდარტული პირობების შემთხვევაში, რადგან მენარმესაც არ ეკისრება (ფაკულტატიური) ვალდებულება სტანდარტული პირობების სრულად წაკითხვისა თუ ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებისა.⁴ ამ პრინციპის საკანონმდებლო დონეზე გაფორმება კანონმდებლის გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ნაწილი არ ხდება ის დათქმები, რომლებიც იმდენად აცდენილია ხელშეკრულების კონტექსტს, რომ მეორე მხარეს მათი მხედველობაში მიღება, ჩვეულებრივ, არ შეიძლება მოეთხოვოს.⁵ ამ შედეგის მისაღწევად 344-ე მუხლი აღმართავს ე.წ. მეორეულ ბარიერს სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად ქცევის გზაზე: პირობები, რომლებმაც გადალახეს 343-ე მუხლით დადგენილი ბარიერი („ხელშეკრულებაში ჩართვის კონტროლის“ პირველი ეტაპი), მაინც ვერ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, თუ ვერ დააკმაყოფილებენ 344-ე მუხლის წინაპირობებს. აქ საქმე ეხება არა იმ გარემოებას, რომ კონკრეტული რეგულაციის შინაარსი უსამართლოა, არამედ იმას, რომ პირობის ხელშეკრულებაში ჩართვის შეთანხმებით არ არის მოცული დათქმა, რომელიც „იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე

1 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 2.

2 RGZ 134, 31.

3 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 2.

4 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 2.

5 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 2.

მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება“.⁶ ამით შემთავაზებლის კონტრაქტის უჩვეულო და მოულოდნელი პირობებისაგან დაცვის მიზნით შექმნილია ე. წ. **ნეგატიური ჩართვის წინაპირობა**⁷ – პირობა არ უნდა იყოს უჩვეულო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გახდება ხელშეკრულების ნაწილი. იმდენად, რამდენადაც ეს რეგულაცია ემსახურება მიზანს, არ დაუშვას სახელშეკრულებო პირობებში რთულად აღსაქმელი პირობის ჩართვა, 344-ე მუხლი გვევლინება სტანდარტული პირობების სამართალში მოქმედი **სიცხადის პრინციპის** (იხ. მუხ. 346-ე 23-ე და მომდევნო ველები) ერთ-ერთ გამოხატულებად.⁸

2. გამოყენების სფერო

- 3 344-ე მუხლს აქვს საკმაოდ **ფართო გამოყენების** სფერო. ის **პიროვნული კუთხით** მოქმედებს როგორც მენარმისათვის, ისე მომხმარებლისათვის წაყენებული პირობის შემთხვევაში. გერმანულ სამართალში აღიარებული მოსაზრებით,⁹ 344-ე მუხლი გამოიყენება ასევე მომხმარებლის მიმართ გაკეთებული **ერთჯერადი დათქმის** დროსაც, თუმცა ამ გადაწყვეტის მექანიკური გადმოტანა, მისი დოქტრინული გააზრების გარეშე, შეუძლებელია. შინაარსის კონტროლისაგან განსხვავებით (346-348), ეს ნორმა მოქმედებს ასევე **დეკლარატორული დათქმების** შემთხვევაშიც (მდრ. მუხ. 346, მე-7 ველი).¹⁰

ა. ხელშეკრულებაში ჩართვის კონტროლი

- 4 იმ გარემოების შემონმება, საერთოდ სახეზეა თუ არა სტანდარტული პირობა (342) და, ამის დადასტურების შემთხვევაში, ხდება თუ არა ის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი (343), სისტემურად წინ უსწრებს 344-ე მუხლის შემონმებას. 344-ე მუხლის მიხედვით, კონტროლი არის „ხელშეკრულებაში ჩართვის ნეგატიური კონტროლი“¹¹ და, შესაბამისად, იმ შედეგის კორექტირება, რომლის მიხედვითაც პირობა „თავისთავად“ იქნებოდა ძალაში, უჩვეულო რომ არ ყოფილიყო.¹²
- 5 მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების შეზღუდული რესურსების ეკონომიურად გამოყენების პრინციპიდან გამომდინარე, მოქმედებს შემდეგი წესი: თუ ცალსახაა, რომ პირობა სტანდარტულია და ამასთან უჩვეულო, მაშინ შესაძლებელია, გვერდზე გადავდოთ ის საკითხი, გახდა თუ არა პირობა ხელშეკრულების ნაწილი, როდესაც ამის დადგენა და უარყოფა უფრო რთულია. თუ სამართლის შემფარდებელი უკვე პოზიტიური, „ხელ-

6 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 2.

7 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 4.

8 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 15.

9 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 310, Rn. 18; *Heinrichs*, Das Gesetz zur Änderung des AGB-Gesetzes Umsetzung der EG-Richtlinie über mißbräuchliche Klauseln in Verbraucherverträgen durch den Bundesgesetzgeber, NJW 1996, S. 2190; *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 6 და იქ მითითებული ლიტერატურა.

10 BGH NJW 1995, 2638; BGH NJW 1995, 2554.

11 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 4.

12 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 9.

შეკრულებაში ჩართვის კონტროლის“ ეტაპზე მივა იმ შედეგამდე, რომ სტანდარტული პირობა არ ხდება ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, 344-ე მუხლის შემონმება ზედმეტია.¹³

ბ. განმარტება

პირობის შინაარსი შეიძლება იყოს ორაზროვანი და ის ამ შემთხვევაშიც განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს.¹⁴ განმარტებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემთხვევაში 344-ე მუხლი მოქმედებს იმგვარად, რომ მის მიხედვით შემონმებას საფუძვლად უნდა დაედოს განმარტების ის შედეგი, რომელიც შემთავაზებლისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია (345). აქ, ისევე როგორც შინაარსის კონტროლის შემთხვევაში, ზოგადად დაუშვებლად არის მიჩნეული ე.წ. მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია (იხ. 32-ე ველი), რომელიც „ჯერ კიდევ“ გადაარჩენს პირობას 344-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულების ნაწილად არქცევისაგან (იხ. მუხ. 21-ე და მომდევნო ველები).

გ. ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობა

სწორი მოსაზრების¹⁵ თანახმად, 342 III მუხლის მიხედვით, ურთიერთინააღმდეგობა ინდივიდუალურ შეთანხმებასა და სტანდარტულ პირობას შორის არ იწვევს ამ უკანასკნელის ბათილობას, არამედ ნამდვილი ინდივიდუალური პირობა განდევნის (თავისთავად, ასევე,) ნამდვილ პირობას სახელშეკრულებო ფორმულარიდან (იხ. მუხ. 342 24-ე ველი).¹⁶ აქედან გამომდინარე, 342 III მუხლი არ არის რა სტანდარტული პირობის ხელშეკრულებაში ჩართვის რეგულაცია, მისი და 344-ე მუხლის მოქმედების სფეროები ერთმანეთს არ ფარავს: სტანდარტული პირობა, რომელიც ინდივიდუალურ შეთანხმებას ეწინააღმდეგება, მხოლოდ ამის გამო ვერ ჩაითვლება უჩვეულოდ. თუმცა უჩვეულობის მომენტი შეიძლება განპირობებული იყოს შემთავაზებლის (წინარე) სახელშეკრულებო განცხადებიდან.¹⁷ ამ შემთხვევებში დათქმის არანამდვილობა გამომდინარეობს 344-ე მუხლიდან, თუ შემთავაზებელი არ გააქარწყლებს მოულოდნელობის ეფექტს კვალიფიციური მითითების მეშვეობით (შდრ. მე-19 ველი). ამ მითითების განუხორციელებლობის შემთხვევაში 342 III მუხლი აღარ გამოიყენება, რადგან ამ დროს აღარ არსებობს კოლიზიური გადაკვეთა ინდივიდუალურ და (ხელშეკრულებაში ჩართულ) ნამდვილ სტანდარტულ რეგულაციას შორის: სტანდარტული პირობა ვერ მოქმედებს უკვე 344-ე მუხლის გამო. შემთავაზებლის მიერ მითითების გაკეთების შემთხვევაში ჩვეულებრივ მოქმედებს 342 III მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეთანხმების უპირატესობის წესი.¹⁸

13 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 9.

14 BGH NJW 2010, 672.

15 BAG NJW 2009, 318; *Basedow*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305b, Rn. 2.

16 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 11.

17 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 11.

18 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 11.

დ. შინაარსის კონტროლი

- 8 ერთი მხრივ, 344-ე და, მეორე მხრივ, 346-349 მუხლების (ჩართვის ნეგატიური კონტროლი და შინაარსის კონტროლი) წინაპირობების შემომწმება შეიძლება მოხდეს **პარალელურად**, თუმცა ეს აუცილებელი არ არის.¹⁹ არა ყოველი პირობა, რომელიც უჩვეულოა, არის, იმავდროულად (და **მხოლოდ ამის გამო**), შინაარსობრივად დაუშვებელი, და პირიქით.²⁰ სამართლებრივი შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტურია: ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი რჩება ძალაში და უჩვეულო თუ შინაარსობრივად დაუშვებელ პირობას ანაცვლებს კანონისმიერი დისპოზიციური დანაწესები. გარკვეულწილად, „ლოგიკურია“ ჩართვის კონტროლის შინაარსის კონტროლამდე განხორციელება – არანამდვილი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირობა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილი გახდა.²¹ თუმცა არ ღირს ამ ლოგიკური თანმიმდევრობისათვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება და უმჯობესია სამართლებრივი შედეგების ხან ერთი და ხან მეორე დანაწესიდან გამოყვანა.²² იმისათვის, რათა შემთავაზებელი არ ჩავარდეს ცდუნებაში და 344-ე მუხლის გვერდის ავლით ან, კონკრეტულ შემთხვევაში უჩვეულო პირობის გაბათილების მიუხედავად, სხვა შემთხვევაში მაინც გამოიყენოს შინაარსობრივად დაუშვებელი პირობა, გამართლებული ჩანს შინაარსის კონტროლისათვის „გარკვეული უპირატესობის“ მინიჭებაც კი და 344-ე მუხლის გვერდით 346-349 მუხლების მოშველიება, თუ მათი წინაპირობები ერთმნიშვნელოვნად არის სახეზე.²³

II. წინაპირობები

- 9 უჩვეულოდ ჩაითვლება სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც კლიენტს, მისთვის მოულოდნელად, დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ან შეთანხმებულ შესრულებას არსებითად ცვლის²⁴ და კლიენტს მათი გათვალისწინება არ შეეძლო. შემთავაზებელს არ უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ კონტრაჰენტის თანხმობით მოცული იქნება ასევე ის სტანდარტული პირობები, რომლებიც ობიექტური კუთხით უჩვეულოა, სუბიექტური თვალსაზრისით კი მოულოდნელი.²⁵ ამგვარად, 344-ე მუხლის შემომწმების სქემა ორსაფეხურიანია (სულ მცირე, თეორიული წინამძღვრების თანახმად).²⁶ მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა²⁷ ყოველთვის მკაცრად არ მიჯნავს ხოლმე ამ ორ წინაპირობას.

19 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 12.

20 *OLG Oldenburg NJOZ* 2007, 5942; *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 6.

21 შდრ. ამ გადაწყვეტასთან დაკავშირებული კრიტიკისათვის *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 6.

22 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 12.

23 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 12.

24 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 344, გვ. 190.

25 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 12.

26 *Stoffels*, *AGB-Recht*, 2. Aufl., 2009, Rn. 334.

27 *BGH NJW-RR* 2004, 781; *BGH NJW-RR* 2006, 751; *BGH NJW* 2007, 3424.

1. ობიექტურად უჩვეულო

იმის დასადგენად, უჩვეულოა თუ არა დებულება, გამოიყენება ობიექტური საზომი. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკეული ხელშეკრულების დადების თანმხლები გარემოებები.²⁸ არ არის აუცილებელი და არც საკმარისი პირობის უსამართლო ხასიათი.²⁹ უჩვეულო დებულება შეიძლება გამოიხატოს/გამოვლინდეს ხელშეკრულების გარეგან ფორმაში, მაგ., მნიშვნელოვანი პირობის „დამალვა“: ხელშეკრულების უკანა გვერდზე დართულია პირობა, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება კიდევ ერთი წლით, თუ კლიენტი შემთავაზებელს არ შეატყობინებს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; ყავის აპარატის მყიდველი ვალდებულია იღებს, შეიძინოს ამავე მაღაზიაში გარკვეული რაოდენობის ყავა ერთი წლის განმავლობაში. თუმცა კანონში დაფიქსირებული სახელშეკრულებო ჩარჩოსთან პირობის შეუსაბამობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ და არა გადამწყვეტ ნიშანს მისი უჩვეულობისას.³⁰

10

ა. ობიექტურად უჩვეულო კლიენტის თვალსაწიერიდან

იმის დასადგენად, თუ რა ჩაითვლება, ხელშეკრულების დადების კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, უჩვეულოდ, აუცილებელია შედარება „ჩვეულ“ რეგულაციასთან, რაც წამოჭრის საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი თვალსაწიერიდან უნდა განისაზღვროს ის, რა ჩაითვლება „ჩვეულ“ წესად. აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ნების გამოხატვის შინაარსის დადგენისას, გადამწყვეტია არა გამომხატველის (შემთავაზებლის), არამედ მიმღების (**კლიენტის**) **თვალსაწიერი**.³¹ ანუ მნიშვნელობა ენიჭება არა კონკრეტული კლიენტის სუბიექტურ დამოკიდებულებას, არამედ კლიენტთა გარკვეულ წრეში კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მოლოდინს. ზოგადად, გადამწყვეტია კლიენტთა ის წრე, რომელიც, ჩვეულებრივ, დებს ხოლმე **მოცემული ტიპის ხელშეკრულებებს**.³² ამ წრიდანაც მნიშვნელოვანია მხოლოდ **საშუალო სტატისტიკური** კლიენტის მოლოდინი.³³ თუმცა, თუ შემთავაზებელი ცალკეულ შემთხვევაში აძლევს თავის კლიენტს რაიმე „განსაკუთრებულის“ იმედს, რომელსაც შემდეგ უცრუებს სტანდარტულ პირობებში ჩადებული დათქმით, მაშინ გადამწყვეტია ამ ინდივიდუალური შეთანხმებიდან გამომდინარე **კონკრეტული** კლიენტის სუბიექტური მოლოდინი.³⁴ რა თქმა უნდა, ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც პირობის „უჩვეულობა“ განპირობებულია კლიენტის მხრიდან მისი ვე-

11

28 BAG NJW, 2000, 3300.

29 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 14.

30 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 14.

31 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 14.

32 BGH NJW-RR 2001, 440; BGH NJW 1994, 2145; Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c Rn. 27.

33 BGH NJW 1995, 2638; Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305c, Rn. 6.

34 BGH NJW 1981, 117.

რგაგებით.³⁵ ამ დროსაც გადამწყვეტია, თუ როგორ უნდა გაეგო კლიენტს პირობის მნიშვნელობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულების გათვალისწინებით.³⁶

- 12 ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოლოდინი კონტრაჰენტის მხრიდან შეიძლება გამომდინარეობდეს **ზოგადი და კონკრეტული** გარემოებებიდან.³⁷ ზოგად გარემოებებში მოიაზრება: პირველ რიგში, სახელშეკრულებო მოდელი, რომელიც განპირობებულია დისპოზიციური კანონისმიერი სამართლით ან იმ შინაარსით, რომელიც ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ, ახასიათებს.³⁸ ამ კონტექსტში სახსენებელია ის პირობები, რომლებიც კონტრაჰენტს **დამატებით ვალდებულებებს** აკისრებენ, ისეთს, როგორიც ამ ტიპის ხელშეკრულებისათვის არ არის დამახასიათებელი, ან აფართოებენ მისთვის **დამახასიათებელი ვალდებულების** ფარგლებს.³⁹

ბ. ცალკეული შემთხვევები

- 13 უჩვეულოა, მაგ., დათქმა,⁴⁰ რომელიც ნასყიდობისათვის დამახასიათებელი (მყიდველის) ჩაბარების ვალდებულებას (477 II) ავრცელებს დამატებით პროდუქტებზე⁴¹ ან ხელსაწყოების შემთხვევაში მათ მოვლა-გარემონტებაზე;⁴² ასევე უჩვეულოა დათქმა, რომელიც მყიდველს ავალდებულებს ნასყიდობის ფასის პროცენტის მომტანად დაბანდებას მისი გადახდის ვალდებულების ვადის დადგომამდე.⁴³ დებულების უჩვეულობა შეიძლება გამომდინარეობდეს წინა სახელშეკრულებო მოლაპარაკების შედეგთან შეუსაბამობიდანაც – თავდები თავდებობის ხელშეკრულების დადებამდე ნათლად აცხადებს, რომ მას მოვალის მხოლოდ ერთი კონკრეტული ვალდებულებისათვის სურს თავდებობა და, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თანახმად, თავდებობა მაინც მოიცავს ყველა სხვა ვალდებულებასაც.⁴⁴
- 14 გერმანულმა სასამართლომ უჩვეულოდ **არ ჩათვალა** ქირავნობის სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვითაც გამქირავებლის მიერ ჯერ კიდევ მოსაწყობი ქირავნობის ფართის ქირა მისი ბრუტო ფართობის მიხედვით განისაზღვრა. ქირის ასეთი წესით გამოთვლა, რის შედეგადაც

35 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 14.
 36 *BGH NJW* 1987, 2011; *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 14.
 37 *BGH NJW* 2001, 1416.
 38 *BGH NJW* 2001, 1416; *BGH NJW* 1988, 560.
 39 *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 29; *Basedow*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 305c, Rn. 11.
 40 *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 29.
 41 მიყიდული საგნის ჩაბარებასთან ერთად მყიდველი კისრულობს ვალდებულებას შეიძინოს ასევე მასთან დაკავშირებული სხვა პროდუქტებიც (მაგ. კომპიუტერის პროცესორის შემთხვევაში დამატებითი აქსესუარები).
 42 კლიენტი ვალდებული ხდება ნასყიდობის საგანთან ერთად მიიღოს მოცემული კომპანიისაგან შესაბამისი სარემონტო მომსახურება.
 43 *BGH NJW* 1986, 1805.
 44 *BGH NJW*, 1994, 1657.

დამქირავებელს უწევდა ქირის გადახდა ასევე იმ ფართისათვისაც, რომელითაც რეალურად ვერ ისარგებლებდა, ჩაითვალა კომპენსაციად იმისათვის, რომ გამქირავებელმა ეს ფართი მისი მოთხოვნის შესაბამისად მოაწყო.⁴⁵

ასევე ის დათქმები, რომლებიც **ავინრობენ შემთავაზებლის ვალდებულებათა წრეს** კანონის დისპოზიციური ნორმებით განპირობებულ ჩარჩოსთან შედარებით, შეიძლება ჩაითვალოს უჩვეულოდ.⁴⁶ კონკრეტული **სავაჭრო სფეროსათვის** დამახასიათებელი ჩვეულება⁴⁷ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მნიშვნელოვნად, თუ ორივე მხარე ამ სავაჭრო წრეს განეკუთვნება. გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ გადამწყვეტია არა შემთავაზებლის, არამედ მისი კონტრაჰენტის თვალსაზრისი, ცალკეულ სავაჭრო წრეში აღიარება ვერ იქნება სტანდარტული პირობის „უჩვეულობის“ შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი, თუ ამ წრის წარმომადგენელი შემთავაზებელი ხელშეკრულებას დებს იმ პირობით, რომელიც ამ წრის მიღმაა.⁴⁸ სტანდარტული დათქმის ხშირად გამოყენება და მისი **ფართოდ გავრცელებულობა** არ აქცევს მას „ჩვეულ“ პირობად.⁴⁹ იქ, სადაც ინდივიდუალური გარემოებები განსაზღვრავენ მეორე მხარის მოლოდინს, სავაჭრო წრის ჩვეულება თუ ფართოდ გავრცელებულობა, როგორც „უჩვეულობის“ განსაზღვრის კრიტერიუმი, უკანა პლანზე გადადის.⁵⁰

ინდივიდუალურ მომენტად, რომელიც განსაზღვრავს კონტრაჰენტის სახელშეკრულებო მოლოდინს, ითვლება ხელშეკრულების გარეგანი გაფორმება, როგორც მოლოდინის განმაპირობებელი.⁵¹ მაგ., პირობა ხელშეკრულების ფარგლებში ჩაითვლება უჩვეულოდ, თუ ის განთავსებულია ტექსტის არასავარაუდო ნაწილში (შინაგანი სტრუქტურის დარღვევით)⁵² და იქაც თითქოს „მიმაღულია“⁵³ ან კლიენტი ამ ტიპის დათქმას საერთოდ არ უნდა ელოდეს სახელშეკრულებო ფორმულარში. მაგ., მიწის ნაკვეთის ნოტარიულ ხელშეკრულებებში არცთუ ისე იშვიათია მაკლერთან დაკავშირებული დათქმა, თუმცა მისთვის „ხელშეკრულებიდან გასვლასთან“ დაკავშირებულ რეგულაციებში ადგილის მიჩენა მას უჩვეულოდ აქცევს.⁵⁴ მაგ., უჩვეულოდ (და ასევე მოულოდნელად) ითვლება საბითუმო ნასყიდობის ფორმულარში არბიტრაჟის შესახებ კანონზე მითითებით სარჩელის მინიმალური ღირებულების შეთანხმება, მაშინ, როდესაც ნათელია, რომ კონკრეტული ხელშეკრულების საგანი ამ მინიმალური ღირებულების 10 %-საც ვერ აღწევს.⁵⁵

45 BGH NJW-RR 2001, 439.

46 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 16.

47 BGH NJW 1987, 2228; BGH NJW 1988, 560.

48 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 27.

49 BGH NJW 1994, 2145.

50 BGH NJW 1988, 560; Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 25.

51 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c Rn. 17.

52 BGH BeckRS 2014, 14310; BGH N LG Flensburg NJOZ 2011, 1173 JW 2010, 3153.

53 BGH NJW-RR 2012, 1216.

54 KG NJW-RR 2002, 490.

55 LG Dortmund NJW-RR 2008, 441.

15

16

17 მოლოდინის განმაპირობებელი შეიძლება იყოს წინარე მოლაპარაკებების ფარგლებში გაკეთებული **განცხადებები**,⁵⁶ სხვადასხვა (ზეპირი) გამონათქვამები თუ შეთანხმებები (რაც თავისთავად უპირატესია 342 III მუხლის მიხედვით) წინასახელშეკრულებო სტადიაზე⁵⁷ ან თავად **ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ინფორმაცია**, როდესაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული. მაგ., სპეციალურად გამოკვეთილი მითითება ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით განაპირობებს მოლოდინს და უჩვეულოდ აქცევს სტანდარტულ პირობას ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, როდესაც ეს პირობა სხვა მხრივ დასაშვებია.⁵⁸ სხვა პირის მიერ აღებული **სესხის უზრუნველყოფისას** მისი ოდენობა განაპირობებს უზრუნველყოფის მოლოდინს უზრუნველყოფის ოდენობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხელშეკრულების ფორმულარში უზრუნველყოფის მიზნის გაფართოება და გავრცელება მთავარი მოვალის ყველა ვალდებულებაზე არის უჩვეულო პირობა და არის ამგვარად მოულოდნელი.⁵⁹ ფორმულარში დაფიქსირებული უზრუნველყოფის მიზნის შემთხვევაში, მოლოდინის განმაპირობებლად ჩაითვალა ასევე წინა სასესხო ურთიერთობა იმდენად, რამდენადაც ისინი საგნობრივ და დროით კავშირში იყვნენ აქტუალურ სესხთან.⁶⁰ წინა სასესხო ურთიერთობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უფრო და უფრო სავარაუდო ხდება უზრუნველყოფის მიზნის ცვლილება და მცირდება მოულოდნელობის ეფექტი.⁶¹

გ. უჩვეულო დებულების მოულოდნელობა

ა.ა მოულოდნელობის მომენტი

18 სტანდარტული პირობის უჩვეულო ხასიათი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი წინაპირობაა 344-ე მუხლის ამოქმედებისათვის. ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უჩვეულო დებულება უნდა იყოს იმავდროულად **მოულოდნელი**, ანუ უნდა ჰქონდეს ე. წ. **„მოუმზადებლად თავზე დატყდომის ან გაცურების ეფექტი“**.⁶² მოულოდნელობის ეფექტის დასადგენად ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია არა კონკრეტული კლიენტის ან იურისტის აღქმა, არამედ საშუალო დონის კონტრაქტის შეხედულება, რომელიც ანალოგიურ ხელშეკრულებებს დებს,⁶³ თუმცა აქვე, ისევე როგორც პირობის უჩვეულობის დადგენისას, გასათვალისწინებელია გარემოებები, რომლებშიც იდება ცალკეული ხელშეკრულება, შემთავაზებლის ქცევის ჩათვლით.⁶⁴ ქირავნობის ხელშეკრულებაში ქვესათავურის – „ქირავნობის საგნის მოვლა, კოსმეტიკური რემონტი“ – ქვემ დამქირავებლის ვალდებულების დაფიქსირება, რომლის თანახმადაც მან უნდა დადოს

56 BAG DB 2008, 133.
 57 BGH NJW 2009, 3296.
 58 BGH NJW 1989, 2255.
 59 შდრ. BGH NJW 1995, 2554; BGH NJW 1995, 1674; BGH NJW 1994, 2145; BGH NJW 1995, 2555.
 60 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 17.
 61 BGH NJW 2001, 1417; BGH NJW 2001, 1416; BGH NJW 1995, 1674.
 62 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 18.
 63 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 344, გვ. 190.
 64 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 18.

ცალკეული დაზღვევის ხელშეკრულებები, არის მოულოდნელი, ისევე როგორც გამქირავებლის მიერ (ქირავნობის დადების შემდეგ) დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ხარჯების საკუთარ თავზე აღების ვალდებულება.⁶⁵ ავტომანქანის ქირავნობისას არანამდვილია ფრაიზლისტში სტანდარტული პირობის სახით გაკეთებული დათქმა მინიმალურ ასაკთან (25 წელი) დაკავშირებით.⁶⁶

ბ.ბ მოულოდნელობის მომენტის გაქარწყლება

შემთავაზებელს აქვს შესაძლებლობა, გააქარწყლოს სტანდარტული პირობის მოულოდნელობის ეფექტი.⁶⁷ ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია **მკაფიო მითითება** ხელშეკრულების სტანდარტული პირობის უჩვეულო დებულებაზე.⁶⁸ თუმცა ამ ეფექტის გასაქარწყლებლად უჩვეულო პირობაზე მხოლოდ მკაფიო მითითება **საკმარისი არ არის**, აუცილებელია პირობის რეგულაციური შინაარსის ახსნა ან კანონისმიერი თუ ტიპური სახელშეკრულებო ალტერნატიული რეგულაციის აღწერა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია კონტრაქტს, გაცნობიერებულად მიიღოს გადაწყვეტილება, უღირს თუ არა პირობის ხელშეკრულებაში ჩართვა.⁶⁹ მოულოდნელობის მომენტი არ არის სახეზე, თუ მხარეებმა უჩვეულო დებულება ხელშეკრულების დადებამდე ჯერ დეტალურად განიხილეს და ის ფასის დაკლების საფუძველი გახდა.⁷⁰ უჩვეულო სტანდარტული პირობის მოულოდნელობის ეფექტის გასაქარწყლებლად **არ კმარა** შემთავაზებლის მიერ მისი მეორე მხარისათვის **ხმამალა წაკითხვა**.⁷¹ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნოტარიულად დამონმებული გარიგებისას ნოტარიუსს განმარტების ვალდებულება ეკისრება,⁷² არ გამორიცხავს კლიენტის მიერ 344-ე მუხლზე მითითების შესაძლებლობას, თუ ნოტარიუსმა მას მხოლოდ წაკითხვა და რეალურად არ განუმარტა პირობის მნიშვნელობა.⁷³ აქარწყლებს თუ არა სტანდარტული პირობის მოულოდნელობის ეფექტს მისი **მუქად გამოყოფა** (სხვაგვარი ხაზგასმა) ბეჭდვითი ტექნიკის მეშვეობით შესაბამის კონტექსტში თუ გამოცალკევებით, კონკრეტულ შემთხვევაზე დამოკიდებული. მაგ., არასაკმარისია მუქად დაბეჭდილი მითითება თავდებობის ფარგლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, თუ ხელშეკრულება წარმოადგენდა წინა თავდებობის გაგრძელების შეთანხმების ნაწილს და ეს წინა თავდებობა ამგვარ შეზღუდვას არ შეიცავდა. აქ აუცილებელი იყო ინდივიდუალური მითითება უზრუნველყოფის შეცვლილ ფარგლებთან დაკავშირებით.⁷⁴

65 KG GE 2008, 122.

66 LG Köln EWIR 2004, 837.

67 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 19.

68 BGH NJW 1992, 746; OLG Celle MDR 2008, 757.

69 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 19.

70 OLG Bremen BeckRS 2009, 17483.

71 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 19.

72 ნოტარიატის შესახებ კანონის 49-ე მუხლი.

73 BGH NJW-RR 2001, 1420; KG NJW-RR 2002, 491; *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 19; შდრ. ამის საპირისპიროდ *Basedow*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305c, Rn. 8; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 305c, Rn. 4.

74 BGH NJW-RR 2002, 485; v. Westphalen, Die Entwicklung des AGB-Rechts im Jahr 2001, NJW 2002, 1690.

- 20 მკაფიო მითითებისა და განმარტების ვალდებულება აქვს შემთავაზებელს და არცერთ შემთხვევაში – კლიენტს. ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული, გაერკვეს პირობის ბუნდოვან ფორმულირებაში მისი სხვადასხვა სპეციალურ ლიტერატურაში მოძიებისა თუ სხვა წყაროდან მის შესახებ ცნობის მოპოვების გზით.⁷⁵

III. სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებების სამართლებრივი შედეგი

1. ზოგადი

- 21 როგორც უჩვეულო და მოულოდნელი სტანდარტული პირობის ხელშეკრულების ნაწილად არქცევის, ისე 346-348 მუხლების მიხედვით არანამდვილი პირობის შემთხვევაში, დგება იდენტური შედეგი: **ხელშეკრულება იდება და ნამდვილია** ამ პირობის გარეშე.⁷⁶ ის რეგულაციური ვაკუუმი, რასაც წარმოშობს სტანდარტული პირობის ხელშეკრულებაში არჩართვა, უნდა ამოივსოს კანონის **დისპოზიციური ნორმებით**.⁷⁷ თუ სტანდარტული პირობები მთლიან ხელშეკრულებას ამორალურ ხასიათს სძენს, მათი 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის მიხედვით გაბათილებისას იგივე წესი მოქმედებს: ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი ძალაში რჩება.⁷⁸
- 22 გამონაკლისის სახით არანამდვილია მთლიანი ხელშეკრულება, თუ სტანდარტული პირობების გარეშე მისი ძალაში დატოვება **აუტანელ ტვირთად** დაანვება ერთ ან მეორე მხარეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სპეციალური დანაწესის არარსებობის გამო⁷⁹ ეს გადაწყვეტა ისევე 62-ე მუხლს უნდა დაეფუძნოს.

ა. იმპერატიული წესი

- 23 ზემოთ აღწერილი გადაწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის გამყარებული ერთ კონკრეტულ ნორმაში, მაინც იმპერატიულია⁸⁰ და დაუშვებელია მისი **შეცვლა სტანდარტული პირობების** მეშვეობით.⁸¹ ეს იმპერატიულობა გამომდინარეობს 343-349 მუხლების მიზნიდან (პირველ რიგში – კლიენტის დაცვა), რომელიც ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ სტანდარტული პირობის ბათილობას ყოველთვის ან მეტწილად მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა მოჰყვება; ასევე ხსენებული ნორმების სიტყვასიტყვითი გაგებიდან – მათში საუბარია მხოლოდ კონკრეტული პირობის ბათილობის ან ხელშეკრულების ნაწილად არქცევის და არა მთლიანი ხელშეკრულების ბათილობის შესახებ.

75 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 19.

76 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 344, გვ. 192.

77 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 344, გვ. 192.

78 *Grüneberg*, in Palandt BGB Komm., 77. Aufl., 2017, § 306, Rn. 1.

79 შდრ. ამის საპირისპიროდ გსკ-ის 306-ე პარაგრაფი.

80 *Basedow*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 306, Rn. 9; *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 13.

81 მაგალითად, ბათილია სტანდარტული პირობა, რომელიც ითვალისწინებს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას ერთ-ერთი სტანდარტული პირობის გაბათილების შემთხვევაში.

ამავე მიზეზით შემთავაზებელს **სტანდარტული პირობის** ბათილობის 24 (ან ხელშეკრულებაში არჩართვის) შემთხვევაში არა აქვს შეცდომის საბაზით შეცლილების უფლება⁸² იმ არგუმენტით, რომ ის გეგმავდა ხელშეკრულების დადებას სტანდარტული პირობებით და შეცდომით დადო ხელშეკრულება მათ გარეშე.

ბ. მთავარი ვალდებულების არანამდვილობა

თუ სტანდარტული პირობებით განსაზღვრული მთავარი ვალდებულება ან **ფასთან დაკავშირებული** პირობა არანამდვილია (მაგ., 344-ე მუხლის ან სიცხადის მოთხოვნის (იხ. მუხ. 346-ე 23-ე და მომდევნო ველები) დარღვევის გამო), ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილი ნამდვილი რჩება.⁸³ თუმცა ამ დარჩენილი ნაწილის ძალაში დატოვებისათვის აუცილებელია, რომ სტანდარტული დათქმის ელიმინაციისა და მისი კანონის ნორმებით ჩანაცვლების შემთხვევაში ჯერ კიდევ სახეზე იყოს ხელშეკრულების „მონარჩენი“, როგორც მხარეთა კერძოავტონომიური შეთანხმების თვითკმარი შემადგენელი. მაგ., ნარდობისას საზღაურის გაბათილებული სტანდარტული პირობის 630 II მუხლით ჩანაცვლებისას ან ისეთი ტიპის მომსახურების შემთხვევაში, რომლისათვისაც არსებობს კანონით დადგენილი ნიხრი. სხვა შემთხვევებში კი 325-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლის მიერ ფასის განსაზღვრას, რაც მხარეთა კერძოავტონომიის საგრძნობ ხელყოფას წარმოადგენს, მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა სჯობს.⁸⁴

2. ჩამნაცვლებელი სამართალი

ხელშეკრულების მიღმა დარჩენილ სტანდარტულ პირობას ანაცვლებენ **კანონის დისპოზიციური ნორმები**. ამას შეიძლება ჰქონდეს ორგვარი გამოხატულება: ერთი მხრივ, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა, ხელშეკრულების მეორე მხარისათვის უფრო ხელსაყრელ რეგულაციას, ვიდრე ეს სტანდარტულ პირობებში იყო განწერილი. ამის ყველაზე მარტივი მაგალითია პასუხისმგებლობის გამომრიცხავი სტანდარტული პირობის (348 დ) ჩანაცვლება პასუხისმგებლობის კანონისმიერი მასშტაბით, რომელიც პასუხისმგებლობას უკვე მსუბუქი გაუფრთხილებლებისათვის ითვალისწინებს;⁸⁵ მეორე მხრივ, კანონისმიერი ჩამნაცვლებელი რეგულაცია შეიძლება საერთოდ არ აწესრიგებდეს სტანდარტულ პირობებში განწერილ პუნქტს. ამ შემთხვევაში წარმოიშობა სახელშეკრულებო რეგულაციური ვაკუუმი, რომელსაც კანონი სწორედაც რომ ვერ ავსებს და შესაბამისი სტანდარტული პირობა უკვალოდ იშლება.⁸⁶

82 Pfeiffer, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305 Rn. 98.

83 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 306, Rn. 3.

84 იქვე.

85 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 11.

86 Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 306, Rn. 11; Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 14.

- 27 ჩამნაცვლებელი „კანონისმიერი რეგულაცია“ ფართოდ უნდა განიზარტოს. პირველ რიგში, ეს არის შესაბამისი ტიპის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, გარდა ამისა, ზოგადი სახელშეკრულებო და ვალდებულებითი სამართალი, მისი სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტების ჩათვლით, ისევე, როგორც ცალკეული დანაწესების ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობით.⁸⁷ ჩამნაცვლებელ სამართალს არ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული და მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებისათვის ფართოდ გამოყენებადი სტანდარტული პირობების ნიმუშები.⁸⁸

3. შემავსებელი განმარტება

- 28 დისპოზიციური ნორმების არარსებობის შემთხვევაში, როდესაც სტანდარტული პირობის გაბათილების შედეგად წარმოშობილი ვაკუუმი არ შეიძლება დარჩეს შეუვსებელი, ეს ხარვეზი ხელშეკრულების განმარტების გზით უნდა შეივსოს.⁸⁹ ამ კონტექსტში პარადიგმატულად არის მიჩნეული გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება:⁹⁰ ახალი ავტომანქანის ნასყიდობა, მართალია, შეიცავდა კატალოგში დაფიქსირებულ ფასს, თუმცა, თუ მანქანის მიწოდება მოხდებოდა ხელშეკრულების დადებიდან ორ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, სტანდარტული პირობების საფუძველზე გადამწყვეტი იყო მანქანის ფასი მიწოდების მომენტისათვის. ამ პირობის არანამდვილობამ წარმოშვა ვაკუუმი, რომლის ამოვსებაც არ შეიძლება არც თავდაპირველ (დადების მომენტში) საკატალოგე ფასზე მითითებით – მხარეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ განხორციელებული მიწოდების შემთხვევაში ეს თავდაპირველი ფასი სწორედ რომ არ უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი – და არც (დისპოზიციური) ნორმების მოშველიებით.⁹¹ ამიტომაც სასამართლომ ხელშეკრულების ღიად დარჩენილი პუნქტი შეავსო განმარტების შედეგად მიღებული შემდეგი წესით: მყიდველი ვალდებული იყო, გადაეხადა მანქანის მიწოდების მომენტისათვის დადგენილი ფასი, თუ ის შეესატყვისებოდა კეთილსინდისიერი გამყიდველის მიერ სამართლიანად განსაზღვრულ ფასს, თუმცა მას უნდა ჰქონოდა ასევე გასვლის უფლება, თუ ფასის ზრდა მნიშვნელოვნად აჭარბებდა ამ შუალედში მომხდარ სამომხმარებლო ფასების ზრდას.⁹²

- 29 გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო პრაქტიკის⁹³ მიხედვით, სასამართლომ ხელშეკრულების შემავსებელი განმარტება (როგორც სამართლებრივი შეფასების შედეგი) თავად უნდა განახორციელოს და არ

87 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 14.

88 შდრ. BGH NJW 1999, 3261; OLG Koblenz BeckRS 2012, 16301; ამის საპირისპიროდ LG München I BeckRS 2012, 17041.

89 BGH NJW 2017, 662; BGH NJW 2016, 3593; OLG Karlsruhe WM 2009, 1742; OLG Hamm NJOZ 2013, 1177.

90 BGH NJW 1984, 1177.

91 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 12.

92 BGH NJW 1984, 1177.

93 BGH NJW-RR 2017, 942.

უნდა შემოიფარგლოს მხარეთათვის ექსპერტის მიერ დადგენილი შედეგის პრეზენტაციით. აუცილებელია, რომ სასამართლომ მხარეებს გასაგებად აუხსნას ის პარამეტრები, რომელთა საფუძველზეც ქმნის ხელშეკრულების შემავსებელ წესს.⁹⁴

უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაწესებულია საკმაოდ მაღალი თამასა პირობის გაბათილების (ან ხელშეკრულებაში არჩართვის) შედეგად დატოვებული სიცარიელის განმარტების მეშვეობით შესავსებად.⁹⁵ ამისათვის აუცილებელია არა მარტო ამ ვაკუუმის ამოვსების შეუძლებლობა დისპოზიციური სამართლის მეშვეობით, არამედ დამატებით, ასევე, ის გარემოებაც, რომ ამოუვსებლად დატოვება უნდა იწვევდეს შედეგს, „რომელიც უკვე სრულებით მიუღებელია ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით და სახელშეკრულებო კონსტრუქტს მხოლოდ კლიენტის პოზიციების დამცავ მექანიზმად აქცევს“.⁹⁶

4. პირობის ჩანაცვლების შეზღუდვა

ა. დანაწევრებადი პირობის ძალაში დატოვება და მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია

პირობის ხელშეკრულებაში ჩართვის ნეგატიური კონტროლი (344) და შინაარსის კონტროლი (346-348), ორივე, მიზნად ისახავს, დაიცვას ხელშეკრულების კონტრაჰენტი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შინაარსის ცალმხრივად განსაზღვრისაგან. ცალმხრივად ფორმულირებული პირობის მიხედვით, ხელშეკრულების გამართვაზე პასუხისმგებელია მხოლოდ შემთავაზებელი. ის ატარებს იმ რისკს, რომ მის მიერ ფორმულირებული პირობა ვერ გაუძლებს მოსამართლის მხრიდან (344, 346-348) მუხლების საფუძველზე) შემონმებას და ის ამ რისკისაგან არ უნდა გათავისუფლდეს. მას არ უნდა ჰქონდეს უფლება, საგრძნობი უარყოფითი შედეგების გარეშე გადააბიჯოს სახელშეკრულებო თავისუფლებისა და კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ინტერესთა მორიგების ჩარჩოებს.⁹⁷ თუმცა, მეორე მხრივ, მოსამართლე არ არის „ხელშეკრულების არქიტექტორი“, რომელმაც სტანდარტული პირობის „უვარგისობის“ საბაბით თავად უნდა მისცეს მას ახალი და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი სახე. ამგვარად, თითქმის ერთხმად აღიარებული მოსაზრების თანახმად,⁹⁸ დაუშვებელია ე.წ. (პირობის) მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია.

94 BGH NJW-RR 2017, 942.

95 BGH NJW 2015, 1167.

96 BGH EnWZ 2017, 23; BGH NJW 2009, 578; BGH WM 2014, 380.

97 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 16.

98 BGH NJW 1982, 2310; BGH NJW 2017, 1301; BGH NJW 2012, 2501; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 306, Rn. 6; Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 31; Stoffels, AGB-Recht, 2. Aufl., 2009, Rn. 595.

ა.ა მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია

- 32 მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია არის **განმარტების** ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება პირობის დაუშვებელი შინაარსის დასაშვებ მასშტაბამდე დაყვანა და მისი ამ ფორმით შემნარჩუნება. მაგ., თუ შემთავაზებელი ავეჯის მიწოდების ვადად განსაზღვრავს ხელშეკრულების დადებიდან ექვს თვეს, ხოლო მაქსიმალურ დასაშვებ ვადად სამი კვირა ითვლება, ამ პირობის მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია იქნებოდა ვადის ამ დასაშვებ სამ კვირამდე დაყვანა – ექვსთვიანი ვადის განსაზღვრით შემთავაზებელი იტოვებს, სულ მცირე, სამკვირიან ვადას მიწოდებისათვის. თუმცა ეს ასე არ ხდება. დაუშვებელი პირობა ბათილია მთელი თავისი შინაარსით და მას კანონის დისპოზიციური დანაწესი ანაცვლებს,⁹⁹ ამიტომაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში გამყიდველს ეკისრება დაუყოვნებლივი მიწოდების ვალდებულება (365). ამ გადაწყვეტის უკან დგას შემდეგი მოსაზრება: შემთავაზებელი უკვე თავისთავად ამძიმებს მეორე მხარის მდგომარეობას იმით, რომ ცალმხრივად უყენებს მას წინასწარმოფიქრებულ პირობას. ამ სიტუაციიდან შემთავაზებელმა მხოლოდ მაშინ უნდა ნახოს სარგებელი, თუ პირობა დასაშვებ ხასიათს ატარებს. მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქციით დაუშვებელი პირობის დასაშვებ ფარგლებამდე დავიწროება შემთავაზებელს საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინა ექსტრემალური დათქმები და გაეკეთებინა ეს ყოველგვარი რისკის გარეშე. მას ექნებოდა გარანტია იმისა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებდა კანონით მინიჭებულ მაქსიმუმს, რაც, პირველ რიგში, ეწინააღმდეგება მეორე მხარის დაზარალების აკრძალვას (იხ. მუხ. 346, მე-11 და მომდევნო ველები) და ასევე სიცხადის მოთხოვნას, რადგან კონტრაქტს არ აქვს იმის გაცნობიერების საშუალება, თუ რა დათქმა გახდა ხელშეკრულების ნაწილი.¹⁰⁰

ბ.ბ დამოუკიდებელი ნაწილობრივი რეგულაცია

- 33 ზემოთ ხსენებულის საპირისპიროდ დასაშვებად არის მიჩნეული, რომ გარეგნულად ერთიანი დათქმა ნაწილობრივ ძალაში დარჩეს, თუ ის შეიცავს დანაწევრებად და ერთმანეთისაგან გამიჯვნად რეგულაციებს¹⁰¹ და თითოეულ მათგანს სხვებისაგან იზოლირებულად აქვს დამოუკიდებელი რეგულაციური შინაარსი, მაშინაც კი, როდესაც პირობის დანარჩენი ნაწილი ჩამოაკლდება (ე.წ. *blue-pencil-Test*).¹⁰² მაგ., ჯანმრთელობის მზღვეველი სტანდარტული პირობით აკისრებდა დაზღვეულს ვალდებულებას, დაზღვევის მთლიანი პერიოდის განმავლობაში მიეწოდებინა მისთვის სრული ინფორმაცია ნებისმიერი ტიპის მკურნალობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის

99 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, vor § 307, Rn. 8.

100 BGH NJW 1982, 2309.

101 მაგ. პიროვნული კუთხით – სტანდარტული პირობა მოქმედებს როგორც მომხმარებლის, ისე მენარმის მიმართ, თუმცა მისი გამოყენება მხოლოდ მენარმის მიმართ არის შესაძლებელი, ან შემთავაზებელი პირობას იყენებს სხვადასხვა გარიგების შემთხვევაში და მისი ნამდვილობა მხოლოდ ამ გარიგებების ნაწილის შემთხვევაშია შესაძლებელი.

102 BGH NJW 2016, 1875; BGH NJW 2014, 141; BGH NJW 2014, 456; BGH NJW 2004, 2587; 2003, 2899; BAG NZG 2009, 1236; *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 40.

რეობის ცვლილებისა და ასევე სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ. სასამართლომ შრომით საქმიანობასა და მკურნალობასთან დაკავშირებული პუნქტების გაბათილების შემდეგ ძალაში დატოვა ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებული პუნქტი, როგორც დამოუკიდებელი და ამ დანარჩენი ორი პუნქტისაგან გამიჯვნადი რეგულაცია.¹⁰³

ბ. სალვატორული დათქმა

ენ. სალვატორული¹⁰⁴ (გადამრჩენელი) დათქმა არის შემთავაზებლის მცდელობა, გვერდი აუაროს პირობის ბათილობას ან მის ხელშეკრულების მიღმა დატოვებას. თუ ეს დათქმა ისეა ფორმულირებული, რომ ითვალისწინებს დაუშვებელი პირობის იმგვარ **განმარტებას ან კონვერსიას**, რომ მაინც მიაღწიოს ამ პირობის გამოყენებით დასახულ საბოლოო მიზანს, ასეთი სალვატორული დათქმა თავადაც ბათილია, როგორც ზემოთ მოცემული იმპერატიული ნესების გვერდის ამვლელი პირობა.¹⁰⁵ 34

უფრო გავრცელებულია სალვატორული დათქმა, როგორც **ჩამნაცვლებელი პირობა**, შემდეგი ორი ფორმით, რომლებიც იკვეთებიან შედეგის მხრივ, თუმცა განსხვავდებიან ჩანაცვლების პროცესის მიხედვით: ერთი მხრივ, დათქმა, რომელიც შემთავაზებელს ცალმხრივ გარდაქმნით უფლებას ანიჭებს – ჩანაცვლოს არანამდვილი დათქმა ნამდვილით („გარდაქმნის უფლების მოდელი“),¹⁰⁶ მეორე მხრივ, რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს კონტრაჰენტის ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს ჩამნაცვლებელი სახელშეკრულებო რეგულაციის შექმნაში, რომელიც ყველაზე ახლოსაა გაუქმებულ რეგულაციასთან („მოთხოვნის მოდელი“).¹⁰⁷ სალვატორული დათქმის ეს ორივე ფორმა არანამდვილია;¹⁰⁸ კონტრაჰენტი არ არის ვალდებული, არანამდვილი სტანდარტული პირობის შეთავაზებისას საკუთარ თავზე აიღოს მისი შემცვლელი პირობის ფორმულირების პასუხისმგებლობა და, გარდა ამისა, იყოს ვალდებული, შეინარჩუნოს არანამდვილი პირობა, მართალია, სახეცვლილი, თუმცა, საბოლოო ჯამში, იმავე რეგულაციური შინაარსის მქონე ფორმით.¹⁰⁹ 35

მხოლოდ მოჩვენებითად შეესაბამება კანონის დანაწესებს სალვატორული დათქმა, რომლის მიხედვითაც „სტანდარტული პირობები მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შესაბამისობაშია კანონის იმპერატიულ მოთხოვნებთან“. გარდა ამისა, რომ ის თავისთავად ცხად გარემოებას გადმოსცემს,¹¹⁰ შემთავაზებელი ამ დათქმით მიზნად ისახავს, „შეაპაროს“ კონტრაჰენტს მოქმედების შემნარჩუნებელი რედუქცია როგორც საკუთარ პოზიციებზე ნებაყოფლობითი უარის თქმა, რაც დაუშვებელია.¹¹¹ 36

103 OLG Düsseldorf VersR 2001, 48.

104 ლათინური salvatorius-იდან „შენახვა“, „გადარჩენა“.

105 BAG NZA 2013, 14199; BGH NJW 2017, 3145; BGH NZBau 2015, 359; BGH NJW 2002, 894; BAG NZA 2013, 1419.

106 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 19.

107 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 306, Rn. 47.

108 BGH NJW 2016, 401; BGH NJW 2015, 1952; BGH NJW 2007, 3568; BGH ZIP 2002, 166.

109 OLG Jena BeckRS 2015, 05352.

110 BGH NJW-RR 1993, 520.

111 BGH NJW-RR 2015, 738 Rn. 17; BGH NJW 2015, 2412.

5. მთლიანი ხელშეკრულების ბათილობა, როგორც გამონაკლისი

- 37 თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მოთხოვნის ნაყენების მომენტში ამ ხელშეკრულების ძალაში დატოვება, რომელიც „გაინმინდა“ დაუშვებელი სტანდარტული პირობებისაგან, არის „აუტანელი ტვირთი“, გამონაკლისის სახით ბათილია მთლიანი ხელშეკრულება.¹¹² სპეციალური ნორმის¹¹³ არარსებობის გამო ეს გადაწყვეტა 62-ე მუხლს უნდა დაეფუძნოს. ჩვეულებრივ, კლიენტისათვის საზიანო პირობის გაქარწყლება და მისი ჩანაცვლება ზემოთ აღწერილი წესების მიხედვით, ამძიმებს მხოლოდ შემთავაზებლის მდგომარეობას და ხელშეკრულების ძალაში დატოვებაც მხოლოდ ამ უკანასკნელს ანვება აუტანელ ტვირთად. თუმცა, გამონაკლისის სახით, შეიძლება, მთლიანი ხელშეკრულების გაბათილება ასევე კლიენტის ინტერესებშიც შედიოდეს, როდესაც სიცხადის მოთხოვნის დარღვევის გამო მთავარ შესრულებასთან დაკავშირებული სტანდარტული პირობის ბათილობა და მისი ჩანაცვლება ხელშეკრულების საგნის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს.¹¹⁴
- 38 მთლიანი ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობაა ერთი ან მეორე მხარისათვის **აუტანელი ტვირთის** დადგენა ხელშეკრულების შენარჩუნების შემთხვევაში.¹¹⁵ მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც მხარემ გამოიყენა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დათქმა, რომელიც მანამდე სასამართლო პრაქტიკის მიერ დასაშვებად იყო ცნობილი, თუმცა ეს პრაქტიკა შეიცვალა და უზენაესი სასამართლოს მიერ მოცემული დათქმა ბათილ სტანდარტულ პირობად გამოცხადდა. თუ ამ სიტუაციაში შემთავაზებელი სასამართლოს მიერ მოწონებულ პირობას მიენდობა და ამის გამო თავს არ დაიზღვევს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, მოგვიანებით მისთვის (კანონისმიერი მასშტაბით) შეუზღუდავი პასუხისმგებლობის დაკისრებამ შეიძლება მისი გაკოტრება გამოიწვიოს. ამ დროს ხელშეკრულების შენარჩუნება უკვე ვეღარ იქნება სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპით გამართლებული.¹¹⁶

112 *Stoffels*, AGB-Recht, 2. Aufl., 2009, Rn. 632.

113 შდრ. გსკ-ის 306 II პარაგრაფი.

114 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 22.

115 BGH NJW-RR 2003, 1060; BGH NJW 1996, 2094.

116 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 306, Rn. 23.

მუხლი 345. ბუნდოვანი ტექსტის განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ

თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ტექსტი ბუნდოვანია, მაშინ იგი განმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

- I. ზოგადი219
 - 1. „ბუნდოვანების წესი“219
 - 2. მიმართება სტანდარტული პირობების სამართლის სხვა დანაწესებთან220
- II. სტანდარტული პირობების განმარტება220
 - 1. სიტყვასიტყვითი განმარტება და მხარეთა ობიექტური ნება220
 - 2. კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინება221
 - 3. სისტემური ადგილი ხელშეკრულების ფარგლებში222
 - 4. ცალკეული შემთხვევები222
- III. მრავალმნიშვნელოვანი დათქმა და „ბუნდოვანების წესი“223

I. ზოგადი

1. „ბუნდოვანების წესი“

345-ე მუხლი შეიცავს ე.წ. „ბუნდოვანების (განმარტების) წესს“ (Unklarheitsregel). მისი მიზანია, აიძულოს სტანდარტული პირობის შემთავაზებელი, რომ მან მხოლოდ ნათელი და არაორაზროვანი დებულებები შეიტანოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში.¹ ბუნდოვანია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განერილი მხარეების უფლებები და მოვალეობები, თუ ისინი არ არის ცალსახად აღქმადი და გასაგები. პირობის შინაარსი გასაგები უნდა იყოს საშუალო სტატისტიკური კლიენტისათვის. თუ ამის საპირისპიროდ პირობა ორ ან მეტგვარად განმარტების შესაძლებლობას იძლევა, სამართლის შემფარდებელმა უნდა აირჩიოს ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კლიენტის ინტერესებს. ეს არის საპირინონე და საზღაური იმისათვის, რომ შემთავაზებული ცალმხრივად აყალიბებს ხელშეკრულების პირობებს და უყენებს მას მეორე მხარეს.² ამ ცალმხრივად ჩამოყალიბების უფლების გამოყენების გამო ის კისრულობს პასუხისმგებლობას პირობის ცხადად ფორმულირებისათვის.³ ეს წესი არ არის ახალი დროის კოდიფიკაციების აღმოჩენა, იგი მოქმედებდა ჯერ კიდევ რომის სამართალში – *ambiguitas contra stipulatorem est*.⁴

1

1 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 345, გვ. 192.
 2 Hellwege, Allgemeine Geschäftsbedingungen, einseitig gestellte Vertragsbedingungen und die allgemeine Rechtsgeschäftslehre, 2010, S. 511.
 3 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c Rn. 40.
 4 „ბუნდოვანება შემპირებლის საზიანოდ მოქმედებს“ (D. 34.5.26 Cels. 26. dig.).

2. მიმართება სტანდარტული პირობების სამართლის სხვა დანაწესებთან

- 2 იმის დადგენა, არის თუ არა პირობა უჩვეულო (344), ეწინააღმდეგება თუ არა ინდივიდუალურ შეთანხმებას (342 III), ან არის შინაარსობრივად დაუსვებელი (346-348), გულისხმობს მისი შინაარსის სიცხადეს, რაც მთელ რიგ შემთხვევაში მხოლოდ განმარტების შედეგად შეიძლება იქნეს მიღწეული, ამიტომაც სტანდარტული პირობის განმარტება ზოგადი წესებისა და 345-ე მუხლის მიხედვით წინ უსწრებს ყველა შემთხვევითი ნორმის გამოყენებას.⁵ ამის საპირისპიროდ, იმ საკითხის დადგენისას, საერთოდ არის თუ არა სახეზე სტანდარტული პირობა, 345-ე მუხლი არ გამოიყენება.⁶
- 3 345-ე მუხლში დაფიქსირებული ბუნდოვანების წესის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ სტანდარტული პირობის შემთავაზებელი, იმავდროულად, ხელშეკრულების მხარეც იყოს.⁷ მაგ., გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ სამართლიანად უარყო ავტომანქანის მყიდველის მოთხოვნა, რომელიც ემყარებოდა საგარანტიო დათქმას, იმ არგუმენტით, რომ ეს დათქმა გამოიყენა ავტომანქანის გამყიდველმა და არა იმ პირმა, რომელსაც ეკისრებოდა საგარანტიო პასუხისმგებლობა. ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, გარანტი იმავდროულად იყო არა ხელშეკრულების მხარე, არამედ მხოლოდ შემთავაზებლის შესრულების დამხმარე, 396-ე მუხლის გაგებით.⁸
- 4 შემთავაზებლისგან არ შეიძლება მოვითხოვოთ ზედმეტი და მისთვის შეუძლებელი.⁹ შემთავაზებელი არ შეიძლება დავავალდებულოთ, ხელშეკრულების ყველა სტანდარტული პირობა დეტალურად განმარტოს ან მისი შინაარსი და სამართლებრივი შედეგები კლიენტს ზუსტად აუხსნას, რის გამოც, პირველ რიგში, გამოიყენება განმარტების „ჩვეულებრივი“ წესები და არა 345-ე მუხლი.

II. სტანდარტული პირობების განმარტება

1. სიტყვასიტყვითი განმარტება და მხარეთა ობიექტური ნება

- 5 სტანდარტული პირობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა (ინდივიდუალური) პირობის განმარტებისათვის ამოსავალი წერტილი მისი **სიტყვასიტყვითი** გაგებაა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მხარეთა ნამდვილი ნების დადგენა, თუმცა, ამის მიუხედავად, ცალკეული დათქმები არ უნდა ამოიგლიჯოს საერთო სახელშეკრულებო კონტექსტიდან.¹⁰ ამასთან, ჩვეულებრივ, ამ დროს გადამწყვეტია ხოლმე **ზოგადი (ყოფითი) ენობრივი მნიშვნელობა**, თუ საქმე ეხება ყოფით სალაპარაკო ენაში

5 BGH NJW 2004, 2590; BGH NJW 1999, 1634; BGH NJW 1994, 1534; *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 102.

6 BGH NJW 2016, 3015; BGH NJW 2009, 1337.

7 *Becker*, in *Beck OK BGB*, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 41.

8 BGH NJW-RR 2003, 927.

9 BGH NJW, 1982, 333.

10 BGH NJW 2009, 2671; BGH NJW 2005, 1184; BGH NJW-RR 2001, 439; *Lindacher/Hau*, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht*, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 107.

გამოყენებად ცნებებს (ტექნიკური ტერმინების საპირისპიროდ).¹¹ მაგ., სხვადასხვა სტანდარტული პირობის კოლიზიისას ცნებები „უსასყიდლოდ“ და „საზღაურის გარეშე“ მათ ყოფით ენობრივ მნიშვნელობაზე დაყრდნობით იდენტური შინაარსის მატარებლად ითვლება,¹² მაშინაც კი, როდესაც მათი ტექნიკურ-ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული იყოს. თუ სტანდარტულ პირობებში შემთავაზებული იყენებს **ტექნიკურ ტერმინოლოგიას**, იურიდიული ტერმინების ჩათვლით, მათი შინაარსის დადგენას, ჩვეულებრივ, შესაბამის პროფესიულ წრეებში გავრცელებული მნიშვნელობა უნდა დაედოს საფუძვლად.¹³

იქ, სადაც დათქმის ფორმულირება **ერთმნიშვნელოვანია**, განმარტებისათვის ადგილი არ რჩება.¹⁴ ამ შემთხვევაში დათქმის მნიშვნელობა უნდა გადამონმდეს/დადგინდეს მხოლოდ 342-348 მუხლების საფუძველზე. მაშინაც კი, როდესაც პირობის ფორმულირება იმაზე მიაჩნდება, რომ რეგულაციის ფარგლებში ჩამოთვლილია მაგალითები მისი მოქმედების სფეროს მოსანიშნად, შესაძლებელია, მაინც არ იყოს სახეზე სასურველი სიცხადე: მაგ., დათქმა, რომ დამქირავებელი საკუთარ თავზე იღებდა ქირავნობის საგნის გარკვეულ სარემონტო ღონისძიებებს, მიჩნეულ იქნა ამომწურავად, მიუხედავად იმისა, ღონისძიებათა ჩამონათვალი მთავრდებოდა „და ა.შ.“¹⁵

განმარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ის გარემოება, თუ როგორ უნდა აღექვა ნაყენებული პირობის **შინაარსი და მიზანი** ამ ტიპის ხელშეკრულების საშუალო სტატისტიკურ მხარეს, კონკრეტულ სფეროში სპეციფიკური ცოდნის გარეშე.¹⁶ განმარტებისათვის დასაშვებია, ასევე, რეგულაციისათვის (ხელშეკრულების ფარგლებში) მიჩენილი ადგილის მოშველიებაც. მაგ., თუ პირობაში, რომელიც ნაკლის გამო პასუხისმგებლობას ანესრიგებს, დაფიქსირებულია ასევე ხანდაზმულობის ვადა, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის ცალკე პირობაა ჩამოყალიბებული, რომელიც ხანდაზმულობის ვადას უკვე აღარ შეიცავს, განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის ვადა გათვალისწინებული არ არის.¹⁷

2. კონკრეტული შემთხვევისათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინება

ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში (52), სტანდარტული პირობის განმარტებაც ხდება მიმღების (კლიენტის) ჰორიზონტიდან, უფრო ზუსტად კი, იმ წრის საშუალო სტატისტიკური წარმომადგენლის ჰორიზონტიდან, რომელიც ამ ტიპის ხელშეკრულების სტანდარტული მომხმარებელია.¹⁸ ამგვარად, სტანდარტული სადაზღვევო პირობების განმარტე-

11 Basedow, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305c, Rn. 25.

12 BGH NJW 1991, 1606.

13 BGH NJW-RR 2017, 992; BGH r+s 2013, 601; BGH NJW 2003, 826.

14 BGH NJW 2002, 2102.

15 OLG Düsseldorf BeckRS 2011, 29550.

16 BGH r+s 2013, 601.

17 BGH NJW 2015, 2244.

18 BGH NJW 2017, 1461; OLG Karlsruhe WM 2009, 1741.

ბისას აქცენტი უნდა გაკეთდეს საშუალო სტატისტიკურ დაზღვეულზე, რომელიც არ ფლობს სადაზღვევო სამართლის სპეციფიკურ ცოდნას¹⁹ და მოელის ყოვლისმომცველ და უხარვეზო დაცვას დაზღვეული რისკებისაგან;²⁰ ეს მასშტაბი ძალაშია, ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო პირობები – მაგ., სუბსიდიარულობის დათქმა – მოქმედებს ასევე სხვადასხვა მზღვეველს შორის ურთიერთობაშიც. ამის მიუხედავად, პირობები მაინც განიმარტება მზღვეველისა და არა დაზღვეულის თვალსაწიერიდან.²¹

3. სისტემური ადგილი ხელშეკრულების ფარგლებში

- 9 ნების გამოხატვის განმარტებისას გასათვალისწინებელია მისი სისტემური ადგილი ხელშეკრულების ფარგლებში.²² ეს პრინციპი მოქმედებს ასევე სტანდარტული პირობის განმარტებისას,²³ თუმცა იგი უნდა შეიზღუდოს იმგვარად, რომ კლიენტს არ წარმოუშვას დამატებითი (ფაკულტატიური) ვალდებულება, რომელიც უცხოა 342-ე და მომდევნო მუხლებისათვის. მაგ., კლიენტს არა აქვს ვალდებულება, თავიდან ბოლომდე წაიკითხოს სტანდარტული პირობები და შემთავაზებელი არ უნდა მოელოდეს მისგან ამის გაკეთებას.²⁴ შესაბამისად, თუ კონკრეტული დათქმის შინაარსი გასაგები ხდება მხოლოდ სტანდარტული პირობების მთლიანი ტექსტის გადაკითხვის ან, სულ მცირე, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის წაკითხვის (და არა მხოლოდ მიმდებარე დებულებების გადახედვის) შემდეგ, ამგვარი შინაარსი განმარტებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.²⁵ ამის საპირისპიროდ, საშუალო სტატისტიკურ კლიენტს მოეთხოვება იმის გაცნობიერება, რომ დათქმა, რომელიც სტანდარტული პირობების ტექსტის ერთ ქვეთავშია მოთავსებული, ავტომატურად არ რჩება ძალაში სხვა ქვეთავში მოთავსებული რეგულაციებისათვის.²⁶ გამომდინარე იქიდან, რომ შემთავაზებელს, ჩვეულებრივ, არ მიუწვდება ხელი სტანდარტული პირობების შექმნის ისტორიაზე, მას ვერ გამოვიყენებთ ამ სტანდარტული პირობების განმარტებისას.²⁷

4. ცალკეული შემთხვევები

- 10 სტანდარტული პირობების ზემოთ მოყვანილი წესების მიხედვით განმარტების მაგალითად შესაძლებელია შემდეგი შემთხვევების მოყვანა: სტანდარტული პირობა შრომით ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც შრომითი ურთიერთობა მთავრდება დასაქმებულის მიერ 65 წლის ასაკის მიღწევასთან ერთად, საპენსიო ასაკი გაზრდის შემდეგ განიმარტა

19 BGH WM 2017, 517; BGH BeckRS 2011, 21187; BGH NJW-RR 2005, 257; BGH NJW 2004, 2590.

20 BGH r+s 2017, 478.

21 BGH WM 2014, 1052.

22 *Ellenberger*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 133, Rn. 14.

23 BGH NJW 2002, 3233.

24 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c, Rn. 46.

25 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 107.

26 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305c Rn. 46.

27 *Lindacher/Hau*, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 115; *Basedow*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 305c, Rn. 30.

იმგვარად, რომ 65 წლის ასაკს ანაცვლებს შესაბამისი საპენსიო ასაკი.²⁸ **მოთხოვნის გამომრიცხავი** დათქმა, რომლის მიხედვითაც „სახელშეკრულებო მოთხოვნები“ მათ ადრესატს უნდა წაეყენოს ნახევარწლიანი ვადის განმავლობაში, განიმარტა იმგვარად, რომ ამ დათქმით არ იყო მოცული არც დელიქტური და არც სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები.²⁹ **მომლის ვადასთან დაკავშირებული** დანაწესი სახელშეკრულებო ფორმულარში, საიდანაც ცალსახად არ გამომდინარეობს, რომ ის მხოლოდ საცდელი ვადის გასვლის შემდეგ მოქმედებს, განიმარტა როგორც შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე მოქმედი წესი.³⁰

საწარმოო ფართის ქირავნობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვითაც დამქირავებელს უფლება აქვს, თავისი მალაზია გაალოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ (მალაზიის) სამუშაო საათებში, განიმარტა იმგვარად, რომ გადამწყვეტია მხოლოდ ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედი წესები,³¹ დათქმა **ქირის შემცირების** გამორიცხვასთან დაკავშირებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას დამქირავებლის ბრალით გამონვეული გარემოება უდევს საფუძვლად) განიმარტა როგორც პირობა, რომელიც სრულად გამორიცხავდა შემცირებას და ასევე უკუმოთხოვნას 976 I ა) მუხლის მიხედვით. ამგვარად განმარტებული ეს პირობა კი მთლიანად ბათილი იყო 346-ე მუხლის საფუძველზე.

11

ეს უკანასკნელი შემთხვევა ნათელყოფს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა³² და უახლეს სასამართლო პრაქტიკაში³³ გავრცელებულ ტენდენციას არაცალსახა პირობის **კლიენტის საზიანოდ განმარტებასთან** დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ ამ განმარტებით მიღებული შინაარსით ის საერთოდ **გაბათილდეს** როგორც დაუშვებელი (346-348 მუხლების მიხედვით), რადგან პირობის სრულად გაბათილება შესაძლებელია უფრო ხელსაყრელი იყოს კლიენტისათვის, ვიდრე მისი შენარჩუნება, თუნდაც მის სასარგებლოდ განმარტებული შინაარსით. ამ პრაქტიკის გადმოღება ქართულ სამართალშიც უთუოდ მიზანშეწონილია.

12

იხ. **შემავსებელ განმარტებასთან** დაკავშირებით მუხ. 344, 28-ე ველი.

III. მრავალმნიშვნელოვანი დათქმა და „ბუნდოვანების წესი“

345-ე მუხლში დაფიქსირებული წესის მიხედვით განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ზემოთ აღწერილი ჩვეულებრივი განმარტება (52, 337, 338, 340) არ იძლევა სასურველ შედეგს, ანუ განმარტების შემდგომ ვერ ვიღებთ ცალსახა რეგულაციას და სტანდარტული პირობის ტექსტი კვლავაც მრავალგვარი გაგების შესაძლებლობას ტოვებს. ამ დროს მოქმედებს 345-ე მუხლში დაფიქსირებული ე.წ.

13

28 BAG NZA 2016, 695.

29 BAG BB 2016, 2491.

30 BAG NZA 2017, 773.

31 BGH BeckRS 2007, 1185.

32 Lindacher/Hau, in Wolf/Lindacher/Pfeiffer AGB-Recht, 6. Aufl., 2013, § 305c, Rn. 131; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 305c, Rn. 18.

33 BGH BeckRS 2011, 24125; BGH NJW 2011, 1344; BGH 2011, 141; BGH 2009, 2673; BGH 2009, 2051.

„ბუნდოვანების წესი“.³⁴ თუმცა პირობის მრავალმნიშვნელოვნებამ შეიძლება საერთოდ გამოორციხოს მისი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ქცევა 343 I ბ) მუხლის მიხედვით, როდესაც პირობა იძლევა იმდენი განმარტების შესაძლებლობას, რომ უკვე საერთოდ აღარ ექცევა „გონივრულ ჩარჩოებში“.³⁵

- 14 345-ე მუხლში დაფიქსირებული „ბუნდოვანების წესის“ გამოყენების წინაპირობაა პირობის დაუძლეველი მრავალმნიშვნელოვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ პირობა ყველა სხვა განმარტების ხერხის ამონურვის შემდეგაც უნდა ტოვებდეს მისი, სულ მცირე, ორგვარად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.³⁶ გარდა ამისა, ერთ-ერთი ინტერპრეტაცია უნდა იყოს შემთავაზებლისათვის ნაგებიანი და კლიენტისათვის სასარგებლო. 345-ე მუხლის მიხედვით არჩევანი ამ კლიენტისათვის მოგებიანი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.³⁷ მაგალითად:³⁸ იპოთეკის ხელშეკრულების სტანდარტული პირობა ითვალისწინებდა „სასესხო ურთიერთობიდან წარმომდგარი ყველა მოთხოვნის“ უზრუნველყოფას. გარკვეული პრობლემების გამო არ მოხდა სესხის მთლიანი თანხის გადაცემა მსესხებლისათვის,³⁹ რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა საერთოდ უარი თქვა თანხის გამოტანაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთ სტანდარტულ პირობაში განერილი იყო ასევე „სესხის მიუღებლობის ჯარიმა“. ბანკი მიიჩნევდა რა, რომ ეს უკანასკნელი მოთხოვნაც უზრუნველყოფილი იყო, მოითხოვდა ყოფილი მსესხებლისაგან ნაკვეთზე იძულებითი აღსრულების თემნას (286, 301). სასამართლომ⁴⁰ ბანკს ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა: მაშინაც კი, როდესაც იპოთეკით „ყველა“ მოთხოვნა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ამ უზრუნველყოფის წინაპირობა, რა თქმა უნდა, სასესხო თანხის გადაცემა იყო – სესხის ვალდებულების წარმოშობის გარეშე ვერ იარსებებდა ვერც უზრუნველსაყოფი მოთხოვნა სასესხო ურთიერთობიდან.

- 15 გარდა ზემოთ ხსენებულისა, „ბუნდოვანების წესი“ იძლევა ასევე იმის შესაძლებლობას, რომ ერთი და იმავე საკითხის მომწესრიგებელი ორი სხვადასხვა რეგულაციიდან, რომელთაგან მხოლოდ ერთია კლიენტისათვის სასარგებლო, სწორედ ეს უკანასკნელი იქნეს გამოყენებული.⁴¹ თუ-

34 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის № ას-291-273-2014 განჩინება, თუმცა იქ მოცემული პირობა უნდა ყოფილიყო ბათილი, როგორც არაცხადი 346-ე მუხლის მიხედვით (იხ.346-ე მუხლის კომენტ., 23-ე და მომდევნო ველი), ყოველგვარი განმარტების გარეშე.

35 BGH NJW 1985, 56.

36 BGHZ 185, 310; BGH NJW 2012, 2270; BGH NJW-RR 2016, 526;

37 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის № ას-291-273-2014 განჩინება.

38 OLG Celle WM 1987, 1484.

39 თუმცა ბანკის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის გარეშე, რადგან მას ჰქონდა შეპირებული ზე ნაკლების გადაცემის უფლება, თუ ექსპერტის დასკვნა დაადასტურებდა, რომ იპოთეკით დატვირთული ბინის ღირებულება ფარავდა სასესხო თანხას.

40 OLG Celle WM 1987, 1485.

41 OLG Schleswig NJOZ 2010, 2417.

მცა განმარტებით არ უნდა მოხდეს პირობაში იმგვარი შინაარსის ჩადება, რომ მან ნებისმიერ შემთხვევაში გაუძლოს „შინაარსის კონტროლს“⁴² და არც მისი შინაარსის გაგების ყველაზე **ნაკლებსავარაუდო ვარიანტის** ამორჩევა, რაც პირობას უჩვეულოდ და მოულოდნელად აქცევს და მისი ძალადაკარგულად ცნობის საწინდარია.⁴³ ამგვარად, განმარტების ვარიანტი, რომელიც, მართალია, თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ნაკლებსავარაუდოა, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁴⁴ იქ, სადაც განმარტების შედეგადაც შეუძლებელია პირობის ცალსახა მნიშვნელობის დადგენა, 345-ე მუხლი საერთოდ არ გამოიყენება და პირობაში დაფიქსირებული რეგულაციური შინაარსი ბათილია.⁴⁵

შდრ. მთლიანი პირობის გაბათილების მიზნით **კლიენტის საზიანოდ** 16
განმარტებასთან დაკავშირებით მე-12 ველი.

42 *Stoffels*, AGB-Recht, 2. Aufl., 2009, Rn. 358.

43 BAG NJW 2010, 2455; BGH NJW 1985, 320.

44 BGH BeckRS 2017, 126638; BGH BeckRS 2017, 119967.

45 BGH NJW 1985, 53.

**მუხლი 346. ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების
სანინააღმდეგო პირობათა ბათილობა**

ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების სანინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.

I. ზოგადი დებულებები	227
1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება კეთილსინდისიერად და მონაწილეთა ურთიერთნდობაზე დაყრდნობით.....	227
2. დაკონკრეტება.....	227
II. გამოყენების სფერო	228
1. 346-ე მუხლის სუბსიდიარული ხასიათი 347-ე და 348-ე მუხლებთან მიმართებით	228
2. მენარმეთა შორის ურთიერთობა	228
3. 346-ე მუხლის გამოყენება დეკლარაციული ხასიათის სტანდარტულ პირობებზე.....	229
4. 346-ე მუხლის გამოყენება შეთანხმებულ ფასზე.....	229
III. ბათილობის წინაპირობები	229
1. მეორე მხარისათვის საზიანო	230
ა. კანონისმიერი პარადიგმა	230
ბ. უფლებრივი ასიმეტრია	230
2. შეუსაბამოა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან.....	232
ა. მხარეთა ინტერესების ანონ-დანონა.....	232
ბ. შეუსაბამო პირობის მაგალითები.....	234
გ. „სიცხადის პრინციპი“	235
ა.ა ფუნქცია.....	235
ბ.ბ მასშტაბი	236
გ.გ არაცხადი პირობის მაგალითები.....	236
დ. შეუსაბამოა კანონისმიერ პარადიგმასთან	237
ე. შეთანხმებულობის მიერ სტანდარტული პირობებით საკუთარი ვალდებულებების შეზღუდვა	241

I. ზოგადი დებულებები

1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება კეთილსინდისიერად და მონაწილეთა ურთიერთნდობაზე დაყრდნობით

სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელება, ურთიერთობის მონაწილეთა ნდობაზე დაყრდნობით (8 III).¹ ეს პრინციპი პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართალში,² 346-ე მუხლში განმტკიცებული ე.წ. შინაარსის კონტროლის მექანიზმით, რომელიც მომდევნო ორ მუხლში კონკრეტიზდება. მუხლი იცავს მხოლოდ კლიენტს. შემთავაზებელს არ შეუძლია მოითხოვოს სტანდარტული პირობის ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ ის მისთვის საზიანოა.³

2. დაკონკრეტება

346-ე მუხლში მოცემული ზოგადი პრინციპის დაკონკრეტებისას საორიენტაციო მასშტაბს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ერთი მხარის მიერ წინასწარფორმულირებულ ხელშეკრულებას აკლია ურთიერთმოლაპარაკების გზით მიღწეული სამართლიანობის გარანტია – პირობის ცალმხრივად ფორმულირებისა და მისი მეორე მხარისათვის წაყენებისას შემთავაზებელი ახერხებს, ხელშეკრულების ნაწილად აქციოს ისეთი პირობებიც, რომლებიც მათი ინდივიდუალური მოლაპარაკების საგნად ქცევის შემთხვევაში მეორე მხარის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყებოდნენ.⁴ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სტანდარტული პირობების სარგებლიანობა, კლიენტისათვის არ წარმოადგენს სავაჭრო პარამეტრს – კონტრაჰენტიხელშეკრულებას არჩევს ფასის, და არა ხელსაყრელი სტანდარტული პირობების მიხედვით – და ბაზარზე მეტ-ნაკლებად იდენტური სტანდარტული პირობებია გავრცელებული, კლიენტს რეალური არჩევანი საკმაოდ შეზღუდული აქვს. შინაარსის კონტროლის მექანიზმით, ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით, უნდა აღდგეს ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გამო დარღვეული სახელშეკრულებო სამართლიანობა.⁵ რა თქმა უნდა, ამ მიზნის მიღწევის გზა რთულად თუ ექვემდებარება სისტემატიზებას, რის გამოც 346-ე მუხლიდან აღმოცენდა ვრცელი კაზუსტიკა, რომლის განვითარებაც რთულად პროგნოზირებადია, შესაბამისად, ქვემოთ მოცემული კომენტარი მეტწილად არა განზოგადებული პრინციპების, არამედ კაზუსტური მასალის გადმოცემაა.

სტანდარტული პირობის ბათილობის შედეგებთან დაკავშირებით იხ. მუხ. 345, 21-ე და მომდევნო ველები.

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 346, გვ. 193.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 346, გვ. 194.

3 BGH NJW 2016, 1572; BGH NJW-RR 2016, 1143.

4 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl. 2018, § 307, Rn. 2.

5 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl. 2018, § 307, Rn. 2.

II. გამოყენების სფერო

1. 346-ე მუხლის სუბსიდიარული ხასიათი 347-ე და 348-ე მუხლებთან მიმართებით

- 4 346-ე მუხლი ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის ზოგადი ნორმაა. 347-ე და 348-ე მუხლები ითვლებიან *lex specialis*-ად 346-ე მუხლთან მიმართებით და ისინი უპირველესად უნდა შემომნმდნენ როგორც უფრო სპეციალური (პირდაპირ გამოიყენება მხოლოდ მომხმარებლის სასარგებლოდ, თუმცა დასაშვებია მისი შესაბამისად გავრცელება მენარმეთა შორის ურთიერთობაზეც, იხ. ამ მუხლების კომენტარი) და კონკრეტული ნორმები. ბუნებრივია, კანონმდებელი 347-348 მუხლებში ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობის ყველა შემთხვევას ვერ გაითვალისწინებდა. ამიტომაც 346-ე მუხლში განმტკიცებულია ზოგადი წესი, რომელიც მოსამართლეს უფლებას აძლევს, ბათილად მიიჩნიოს სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.⁶
- 5 346-ე მუხლის გამოყენებამ არ უნდა მიგვიყვანოს იმ შედეგამდე, რომ გვერდი ავუაროთ 347-348 მუხლებს და მათში განერილ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის წესებს. ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობა 347-348 მუხლებში განერილი წესების მოქმედების სფეროში ექცევა და შემომნმების შედეგად არ ვიღებთ სტანდარტული პირობის ბათილობას, არ შეიძლება მისი გაბათილება 346-ე მუხლის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი გარემოებების არსებობა, რომლებსაც 347-ე და 348-ე მუხლები საერთოდ არ მოიცავენ.

2. მენარმეთა შორის ურთიერთობა

- 6 347-ე და 348-ე მუხლების ტექსტიდან – „ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს ფიზიკური პირების მიმართ“ – გამომდინარე, მათი გამოყენება არ ხდება მენარმეთა შორის ურთიერთობაში. მენარმეთა შორის ურთიერთობაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემომნმება მხოლოდ 346-ე მუხლის მიხედვით უნდა განხორციელდეს. იმავდროულად, 347-ე და 348-ე მუხლებში მოცემული ბათილობის წესები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენარმეთა შორის ურთიერთობაში საერთო სურათის შესაფასებლად და ამის საფუძველზე ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობისათვის 346-ე მუხლზე დაყრდნობით.⁷ ამ ხერხს სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო და უფრო მეტად იყენებს.⁸

6 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 346, გვ. 194.

7 BGHZ 90, 278; 122, 243.

8 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 1.

3. 346-ე მუხლის გამოყენება დეკლარაციული ხასიათის სტანდარტულ პირობებზე

346-ე მუხლი არ გამოიყენება ხელშეკრულების იმ სტანდარტულ პირობებზე, რომლებიც მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ, ანუ მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში განერილი ნორმის ტექსტს იმეორებენ. მოსამართლეს არ უნდა მიეცეს უფლება, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან შეუსაბამობის გამო, ბათილად ცნოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობის შემთავაზებელმა უცვლელად გადაიტანა ხელშეკრულებაში. 7

სხვა შემთხვევა გვაქვს სახეზე, როდესაც შემთავაზებელს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაში უცვლელად გადმოაქვს კოდექსის ნორმის ტექსტი, მაგრამ ისეთი ხელშეკრულებისათვის, რომლისთვისაც სამოქალაქო კოდექსი ამგვარ ნორმას არ ითვალისწინებს (მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების გადმოტანა ნარდობის ხელშეკრულებაში).⁹ ამ დროს საქმე გვაქვს ატიპურ შემთხვევასთან – შემთავაზებელი პრაქტიკულად ცვლის სამოქალაქო კოდექსის დისპოზიციურ ნორმას და მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, შეამონმოს, შეესაბამება თუ არა ამგვარი სტანდარტული პირობა 346-ე მუხლს და საზიანოა თუ არა ის ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. 8

4. 346-ე მუხლის გამოყენება შეთანხმებულ ფასზე

346-ე მუხლის მიხედვით შემონმებას არ ექვემდებარება არც ის სტანდარტული პირობა, რომლისათვისაც პრინციპულად არ არსებობს სამართლებრივი ნორმა, რომელიც სტანდარტული პირობის ბათილობის შემთხვევაში მის ადგილას მოგვევლინებოდა, რადგან ამ პირობის ფორმირება მხოლოდ მხარეთა ნების საფუძველზე ხდება.¹⁰ ამგვარად, 346-ე მუხლის შესაბამისად ბათილობაზე შემონმებას არ ექვემდებარება მაგალითად ის სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვითაც მხარეები ფასზე თანხმდებიან, რადგან ფასის და ვალდებულების პროპორციულობის განსაზღვრა ხდება არა სამართლებრივი ნორმებით, არამედ მხარეთა კერძოავტონომიური ნების საფუძველზე. 9

III. ბათილობის წინაპირობები

იმისათვის, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობა 346-ე მუხლის შესაბამისად ბათილად მივიჩნიოთ, იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და იყოს საზიანო მეორე მხარისათვის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ პირობების ხელშეკრულებაში შეტანის გარემოებები და მხარეთა ორმხრივი ინტერესები. 10

9 BGHZ 65, 359.

10 BGH NJW, 1992, 688.

1. მეორე მხარისათვის საზიანო

ა. კანონისმიერი პარადიგმა

11 საზიანოა თუ არა მეორე მხარისათვის ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, შემდეგნაირად უნდა დადგინდეს: უნდა მოხდეს სტანდარტული პირობის შინაარსის შედარება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში ძალაში იქნებოდნენ სტანდარტული პირობის არარსებობის შემთხვევაში.¹¹ მაშასადამე, ბათილია ის სტანდარტული პირობა, რომელიც კლიენტის საზიანოდ არ შეესაბამება **იმავე ტიპის ხელშეკრულებისათვის (კანონისმიერი პარადიგმა, იხ. დეტალურად ქვევით, 30-ე და მომდევნო ველი)** სამართლებრივი ნორმებით დადგენილ წესებს.

12 მაგალითი:¹² სამაკლერო ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიხედვით, მაკლერს (შემთავაზებელს) განუული შუამავლობისათვის შეუძლია მეორე მხარეს მოსთხოვოს გასამრჯელო, მიუხედავად იმისა, დაიდო თუ არა ხელშეკრულება მისი შუამავლობის შედეგად. მართალია, ამგვარი სტანდარტული პირობა არ ეწინააღმდეგება 347-ე და 348-ე მუხლების მოთხოვნებს, თუმცა იგი ბათილი იქნება 346-ე მუხლის თანახმად, რადგან არ შეესაბამება 744-ე მუხლში განერილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელიც ჰპირდება სხვას გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადავად განუული შუამავლობისათვის, ვალდებულია, გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო.

13 იგივე ითქმის დაჯავშნის მყარად დადგენილი საზღაურის,¹³ დანახარჯების გარსაცმელში გახვეული შედეგისაგან დამოუკიდებელი პროვიზიისა¹⁴ და გამქირავებლის მოთხოვნის ვადამოსულობის განუსაზღვრელი დროით გადანების შემთხვევაში.¹⁵

საზიანოობა უნდა **ამტკიცოს** კონტრაჰენტმა.¹⁶

ბ. უფლებრივი ასიმეტრია

14 სტანდარტული პირობის საზიანოობა კლიენტისათვის შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე იმ გარემოებიდან, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები არათანაბარია, ანუ სტანდარტული პირობის შემთავაზებელმა ხელშეკრულებიდან გამომდინარე რისკები თითქმის მთლიანად კლიენტს გადააკისრა (**უფლება-მოვალეობათა ასიმეტრია**). მაგალითად: მიმწოდებელმა (გამყიდველმა) გრძელვადიანი ექსკლუზიური ნასყიდობის ხელშეკრულება დადო

11 BGH NJW, 1994, 1070.

12 BGHZ 99, 374.

13 BGH NJW 2010, 3568.

14 OLG Oldenburg MDR 2005, 1287.

15 BGH NJW 1994, 1788.

16 BGHZ 153, 155.

პროდუქციის მიმღებთან (მყიდველთან) სესხის მიღების სანაცვლოდ. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში აღნიშნულია, რომ, სესხის გაცემის მიუხედავად, ნასყიდობის ექსკლუზიური ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა.¹⁷ ამ შემთხვევაში მეორე მხარის ინტერესები არ არის საკმარისად გათვალისწინებული და მხარეთა უფლება-მოვალეობები არათანაბარია. მომწოდებელმა გრძელვადიანი ექსკლუზიური ხელშეკრულება დადო სესხის მიღების მიზნით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიხედვით კი, სესხის გაცემის მიუხედავად, ექსკლუზიური ხელშეკრულება ძალაში რჩება; თუ შემთავაზებული, ნასყიდობის შემთხვევაში, როდესაც ნივთის მინოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, იტოვებს ფასის ცალმხრივად და შეუზღუდავად გაზრდის უფლებას ისე, რომ არ ანიჭებს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას, ასეთი პირობაც ბათილია 346-ე მუხლის მიხედვით ასიმეტრიულობის გამო.¹⁸

ასიმეტრიის დასადგენად შეიძლება მთლიანი ხელშეკრულების შინაარსის ანონ-დანონა იყოს აუცილებელი და არა მხოლოდ ცალკეული დათქმების შეფასება.¹⁹ თუ რამდენიმე პირობის შემთხვევაში კლიენტისათვის საზიანოობა მათი ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს, ამ დროს ყველა ეს დათქმა ბათილია.²⁰

ასიმეტრია არ არის სახეზე, როდესაც სტანდარტული პირობის **კომპენსირება** ხდება ხელშეკრულების სხვა პირობის საშუალებით და ეს ორი პირობა შინაარსობრივად ერთსა და იმავე სიტუაციას არეგულირებს, ანუ დამოკიდებული არიან ერთმანეთზე.²¹ ხელშეკრულების სტანდარტული პირობის მიხედვით, გამყიდველს ცალმხრივად შეუძლია გაზარდოს პროდუქციის ფასი, ხელშეკრულების სხვა პირობის მიხედვით კი, მყიდველს უფლება ეძლევა, ფასის გაზრდის შემთხვევაში, მოშალოს ხელშეკრულება ამისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. ამის საპირისპიროდ, დაბალი ფასი არ არის საზიანო სტანდარტული პირობის საპირწონე,²² გამომდინარე იქიდან, რომ ფასის სარფიანობა არ არის გადამონმებადი და, გარდა ამისა, დაბალ ფასზე „ნამოგებული“ კლიენტი არ უნდა დარჩეს ყოველგვა-

17 BGH NJW-RR, 1997, 304.

18 BGHZ 82, 24; BGH NJW 1986, 3135.

19 BGHZ 86, 142; BGHZ 106, 263.

20 BGH NJW 2011, 2125.

21 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 4; სწორედ კომპენსირება და არა ის ფაქტი, რომ „მოპასუხეს წარმოადგენდა ერთ-ერთი საზოგადოდ ცნობილი ბანკი, რომელიც ფლობდა საკმარის რესურსებს ხელშეკრულების დადებისას კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის მისაღებად. ამასთან, სავარაუდოა, რომ მსგავსი საოფისე ფართის ქირავნობის ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა პირველად და ასეთ ხელშეკრულებებს ბანკი ხშირად დებდა. ... განსხვავებით მოსარჩელისგან, რომელიც ფიზიკურ პირს წარმოადგენს, მოპასუხე წარმოდგენილია სოლიდური რესურსების მქონე სუბიექტის სახით“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ნოემბრის № ას-1225-1245-2011 განჩინება), შეიძლება ყოფილიყო საზიანო პირობის ნამდვილობის საფუძველი, რადგან ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც საზიანო პირობა გამართლებულია, თუ კლიენტი სოლიდური ბანკია, ხოლო შემთავაზებული ფიზიკური პირი, სამოქალაქო სამართალი არ იცნობს.

22 BGHZ 22, 98; 33, 219.

რი დაცვის გარეშე.²³ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ხდება კლიენტისათვის რეალური არჩევანის მინიჭება სხვადასხვა ტარიფს შორის,²⁴ ან დაბალი ფასი იმ რისკებისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სანაცვლოდ, რომელიც შეცნობადი, გამოთვლადი და დაზღვევადია კლიენტისათვის და საქმე ეხება შედარებით იაფფასიან სიკეთეს.²⁵ ამის საპირისპიროდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კლიენტის მიერ **რისკის მართვას**, როდესაც ამ რისკის კლიენტისათვის გადაკისრებას ეხება საქმე.²⁶ კლიენტს უნდა ჰქონდეს რისკის განეიტრალების რეალური შესაძლებლობა. მესამე პირთა ინტერესები ანონ-დანონისას ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს.²⁷ კლიენტისათვის **მომსახურების საზღაურის** დაკისრება იმ საქმიანობისათვის, რომელთა განხორციელებაც შემთავაზებელს ეკისრება კანონის საფუძველზე, ან შეადგენს მის დამატებით სახელშეკრულებო ვალდებულებას, წინააღმდეგობაში მოდის კანონისმიერ პარადიგმასთან (იხ. ქვემოთ, 30-ე და მომდევნო ველი).²⁸ თუმცა მომსახურების საზღაურის დაკისრება დასაშვებია, როდესაც მიზნობრივ სესხს ეხება საქმე, რომელიც სპეციალურ პირობებს შეიცავს და რომლის მომზადებაც განსაკუთრებულ გარჯასთან არის დაკავშირებული.²⁹

2. შეუსაბამო ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან

- 17 სტანდარტული პირობა, ზემოთ აღწერილი (კლიენტისათვის) საზიანობის გარდა, ასევე წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთანაც, უნდა იყოს მასთან შეუსაბამო. ეს ფორმულა ორიენტირებულია გარკვეული სოციალური როლის მქონე შემთავაზებელზე (მაგ.: გამყიდველი, გამქირავებელი, მომსახურების გამწევი), რომელიც, როგორც სანდო პარტნიორი სტანდარტული პირობების ჩამოყალიბებისას, ითვალისწინებს მეორე მხარის ინტერესებს.³⁰

ა. მხარეთა ინტერესების ანონ-დანონა

- 18 346 2 მუხლის მიხედვით, რომელიც დამატებითი კრიტერიუმის მეშვეობით აკონკრეტებს 346 1 მუხლის რეგულაციას, ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვ. ამგვარად, დამატებით უნდა მოხდეს მხარეთა ორმხრივი ინტერესების შეფასება. მხარეთა ინტერესების შეფასება გულისხმობს მხოლოდ უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა, და არა მესამე პირთა ინტერესების,

23 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 4.

24 BGHZ 153, 151.

25 BGH NJW 1968, 1720; BGHZ 64, 355.

26 Wurmnest, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 307, Rn. 4.

27 Wurmnest, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 307, Rn. 4.

28 OLG Düsseldorf WM 2016, 1983.

29 BGH NJW 2016, 1875.

30 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 5.

გათვალისწინებას. ინტერესების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები მეორე მხარის ნდობა ხელშეკრულების უნაკლო და გართულებების გარეშე შესრულებასთან დაკავშირებით. შემთავაზებელს არ შეუძლია ხელშეკრულების სტანდარტული პირობა გაამართლოს და იხსნას ბათილად ცნობისგან იმ არგუმენტით, რომ მეორე მხარე ფინანსურად ძლიერ და მისი თანაბარი რესურსის მქონე სუბიექტს წარმოადგენს.³¹

შესაბამისად, 346 2 მუხლის ფორმულის გამოყენებისათვის აუცილებელია ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა ყოვლისმომცველი ანონდანონა.³² ამასთან, განსხვავებული მასშტაბი მოქმედებს **სავაჭრო ურთიერთობებში** (გარიგების ორივე მხარე მენარმეა). მაგ., გერმანული სასამართლო სავაჭრო ურთიერთობის ფარგლებში დასაშვებად მიიჩნევს დათქმას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გაზის (თავდაპირველად შეთანხმებული) ფასის ცვლილება სანავის ზეთის ფასის გაზრდასთან ერთად,³³ რადგან მენარმემ თავად უნდა განსაზღვროს ამ პირობის შესაბამისობა მის ინტერესებთან. ამის საპირისპიროდ, დაუშვებელია იმავე პირობის წაყენება კლიენტისათვის.³⁴

შეუსაბამობა სახეზეა, როდესაც შემთავაზებელი ცალმხრივად და არაკეთილსინდისიერად ცდილობს საკუთარი ინტერესების განხორციელებას მეორე მხარის ხარჯზე, მისთვის ამის საკომპენსაციოდ რაიმეს მინიჭების გარეშე.³⁵ შეუსაბამობის დადგენაში შესაძლოა გარკვეულ როლს ასრულებდეს ის გარემოება, რომ სტანდარტული დათქმა ფართოდ არის დამკვიდრებული სამოქალაქო ბრუნვაში³⁶ ან სტანდარტულ კლიენტთა წრეში დასაშვებად მიჩნეული. თუმცა ეს გარემოება ავტომატურად არ გამოირიცხავს შეუსაბამობის მომენტს.³⁷ თუ პირობა ჩამოყალიბებულია ერთობლივად, საპირისპირო ინტერესის მქონე ჯგუფის წევრების მონაწილეობით (მაგ., პროფკავშირები შრომითი ხელშეკრულების ჩარჩოს შექმნაში),³⁸ ის, ჩვეულებრივ, ნაკლებ საფრთხეს შეიცავს კლიენტისათვის და არ არსებობს მისი 346-ე მუხლის მიხედვით გადამონმების აუცილებლობა.³⁹

31 შდრ. ამის საპირისპირო და არასწორი მსჯელობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ნოემბრის № ას-1225-1245-2011 განჩინება.

32 BGH NJW 2016, 1875.

33 BGH NJW 2014, 2708.

34 BGH NJW 2010, 2793; ამ პრინციპის არასწორ განვრცობას ვხვდებით უზენაესის განჩინებაში (2011 წლის 14 ნოემბრის № ას-1225-1245-2011 განჩინება), როდესაც იმ არგუმენტით, რომ შემთავაზებელი მომხმარებელია, ხოლო კლიენტი კი – „ძლიერი“ ბანკი, ძალაში დატოვა პირობა, რომლის გამოყენებაც მენარმეთა შორის ურთიერთობაშიც დაუშვებელი იქნებოდა (შდრ. ზემოთ 17-ე ველი და სქ. 21). ის ფაქტი, რომ მენარმეს მეტი მოეთხოვება მომხმარებლის წინაშე, ვიდრე მეორე მენარმისათვის პირობის წაყენებისას, არ ნიშნავს იმას, რომ მოხმარებელს მოეთხოვება „ნაკლები“ მენარმისათვის პირობის წაყენებისას და შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს 346-ე მუხლის გაგებით საზიანო პირობა.

35 BGHZ 120, 118; BGH NJW 2000, 1110; BGH NJW 2003, 887.

36 BGHZ 92, 368.

37 BGHZ 91, 319.

38 BGH JZ 1988, 39.

39 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 5; BGH JZ 1988, 39.

ბ. შეუსაბამო პირობის მაგალითები

- 21 **შეუსაბამო პირობის მაგალითებია:** საპროცესო ხარჯების გადაკისრება, რომელიც სცდება კანონის საფუძველზე დადგენილს;⁴⁰ მთლიანი ვალის ვადამოსულობა, განწილვადებული გადახდის ერთ-ერთი ნაწილის არაბრალეულად გადაუხდელობის შემთხვევაში;⁴¹ ნარდობის ხელშეკრულებისას საზღაურის შესაბამისი ნაწილების გადახდა მშენებლობაში პროგრესის მიუხედავად.⁴² **ლიზინგის ხელშეკრულებაში** შეუსაბამო პირობად ითვლება ნივთის უკან დაბრუნების ადგილის ცალმხრივად განსაზღვრა;⁴³ **ქირავნობის ხელშეკრულებაში:** ბინის გამქირავებლის თანხმობის აუცილებლობა მომცრო ცხოველის ყოლისათვის;⁴⁴ კოსმეტიკური რემონტის შემთხვევაში შემდეგი განსხვავების გაკეთება აუცილებელი:⁴⁵ სტანდარტული პირობების მეშვეობით დამქირავებლისათვის კოსმეტიკური რემონტის გადაკისრება, შესაბამისი კომპენსაციის გარეშე, არანამდვილია, თუ ბინა დამქირავებელს ჩაბარდა გაურემონტებელი, ან ე.წ. „ძველი“ რემონტით – დამქირავებელი არ უნდა იყოს ვალდებული, გამოასწოროს გამქირავებლის „გაფუჭებული“. ⁴⁶ ამის საპირისპიროდ, ახალაშენებული ან გარემონტებული ბინის შემთხვევაში კოსმეტიკური რემონტის დამქირავებლისათვის დაკისრება ნამდვილია, თუ ის არ არის მიბმული მყარად დადგენილ ვადაზე.⁴⁷ არანამდვილი უნდა იყოს პირობა, რომლის მიხედვითაც დამქირავებელს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამქირავებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გადასახდელი ქირა, თუნდაც „არა უმეტეს“ 3 კალენდარული წლის ქირის ოდენობით.⁴⁸ **ნასყიდობისას:** „მეორადი მანქანის გარანტიიდან“ გამომდინარე შესრულების ვალდებულების გამორიცხვა ტექნათვალთვალის მცირედი დროით დაყოვნების შემთხვევაში⁴⁹ (ეს ნესი არ მოქმედებს ახალი მანქანისათვის მწარმოებლის მიერ ნაკისრი გარანტიის დროს⁵⁰). **შრომითი ხელშეკრულებისას:** დასაქმებულის ვალდებულება, უკან დაუბრუნოს დამსაქმებელს შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების/ტრენინგის ხარჯები, დამოუკიდებლად შრომითი ურთიერთობის დასრულების მიზეზისა და რაიმე

40 BGH NJW 1985, 324.

41 BGH NJW 1985, 1705; BGH NJW 1985, 2329; BGH NJW 1986, 426.

42 BGH DB 1986, 2176.

43 BGH NJW 2017, 1301.

44 BGH MDR 2008, 134.

45 BGH NJW 2015, 1594.

46 Drettmann, Schönheitsreparatur- und Quotenhaftungsklauseln in Wohn- und Geschäftsraummietverträgen, NJW 2015, S. 3694.

47 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 5a.

48 ამიტომაც არასწორად მსჯელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავის 2011 წლის 14 ნოემბრის № ას-1225-1245-2011 განჩინებაში. მოცემული პირობა ბათილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული პირველ რიგში 348 ზ), ვარ. 1 მუხლის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე (იხ. 346-ე მუხლის კომენტ., მე-3 ველი), შდრ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ზემოთ მე-17 ველი და სქ. 21.

49 BGH NJW 2008, 214; BGH NJW 2014, 209.

50 BGH NJW 2009, 3714.

დროითი შეზღუდვის გარეშე.⁵¹ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის დათმობა გამსესხებლისათვის, უზრუნველყოფის რეალიზაციის შესახებ შეტყობინების გარეშე.⁵² ზოგადად, დასაშვებია, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულისათვის შემდგომი სესხის მიცემა შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას დაუკავშიროს, თუმცა ამ დათქმით არ შეიძლება იყოს მოცული ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით მოშლა.⁵³ შეუსაბამო სტანდარტულ პირობად ითვლება ასევე მოთხოვნის დათმობის შეზღუდვა პერსონალიზებულ საფეხურთო ბილეთზე,⁵⁴ ან დამატებითი (არამთავარი) მოთხოვნების დათმობის შეზღუდვა.⁵⁵ სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვითაც ავტომატურად გარანტია მყიდველის მიერ ტექდათვალიერების განხორციელებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც ითვალისწინებს კაუზალობას მყიდველის მიერ (ფაკულტატიური) ვალდებულების დარღვევასა და გარანტიის გამორიცხვას შორის.⁵⁶

გ. „სიცხადის პრინციპი“

სტანდარტული პირობის შეუსაბამობა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან შეიძლება გამოწვეული იყოს პირობის არაცალსახა და გაუგებარი ფორმულირებით („სიცხადის პრინციპი“). სტანდარტული პირობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამ სიცხადის პრინციპთან, ასევე ბათილია 346-ე მუხლის მიხედვით. 22

ა.ა ფუნქცია

სტანდარტულმა პირობებმა არ უნდა შენიღბოს კონტრაჰენტის (განსაკუთრებით მომხმარებლის) სამართლებრივი პოზიციები და წარმოშვას იმის საფრთხე, რომ ის ვერ განახორციელებს საკუთარ უფლებებს ამ ბუნდოვანების გამო,⁵⁷ ან ვერ „მოიგერიებს“ მეორე მხარის მიერ მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.⁵⁸ ამიტომაც კონტრაჰენტის უფლებები და მოვალეობები მაქსიმალურად ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად უნდა იყოს განერილი.⁵⁹ წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ზუსტად ჩამოყალიბებული,⁶⁰ ისე, რომ შემთავაზებელს არ რჩებოდეს გაუმართლებელი „მანევრირების“ საშუალება.⁶¹ სიცხადის პრინციპის გამომხატულებათა, ასევე, 343-344 მუხლები, რომლებიც გამორიცხავენ მთელი რიგი პირობების მოქმედებას მათი ხელშეკრულებაში 23

51 BAG DB 2013, 2152; BAG NJW 2010, 550.

52 BGH MDR 2005, 1063.

53 BAG NJW 2014, 2138

54 Gutzeit, Handelsbeschränkungen für Eintrittskarten, BB 2007, S. 113.

55 BGH NJW 2012, 2107; BGHZ 110, 241; დასაშვებია ნაკლიდან წარმომდგარი მოთხოვნების შეზღუდვა მეორადი მანქანის შემთხვევაში OLG Karlsruhe BeckRS 2017, 104887.

56 BGH NJW 2011, 3510.

57 BGH NJW 2013, 219.

58 BGHZ 104, 93; BGHZ 106, 49.

59 BGH NJW-RR 2018, 198.

60 BGH NJW 2004, 1738; NJW 2008, 1438.

61 BGHZ 164, 16.

ჩართვის გამორიცხვით; მეორე მხრივ, სტანდარტული პირობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ნაწილი და, მიუხედავად ამისა, იყოს ბათილი, როგორც არაცალსახა. თუმცა სიცხადის მოთხოვნის დარღვევამ ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს პირობის ბათილობა სისტემური საფუძვლებიდან გამომდინარე; გარკვეულ შემთხვევებში ეს არანამდვილობა კონტრაჰენტს უარეს მდგომარეობაში ჩააყენებდა, ვიდრე ამ პირობის მის სასარგებლოდ განმარტება (345). ამიტომაც „სიცხადის მოთხოვნის“ დარღვევის გამო პირობა მხოლოდ მაშინ არის არანამდვილი, როდესაც სიცხადის დეფიციტი შეიძლება შეფასდეს როგორც კლიენტის დაზიანება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ.⁶² შინაარსის კონტროლს **წინ უნდა უსწრებდეს** 343-344 მუხლების შემოწმება.⁶³

ბ.ბ მასშტაბი

- 24 სტანდარტული პირობის სიცხადის **მასშტაბისაა** ამ ტიპის ხელშეკრულების საშუალო სტატისტიკური მომხმარებლის მიერ მისი გაცნობიერების შესაძლებლობა.⁶⁴ აქედან გამომდინარე, ტურისტს (ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებისას) გაცილებით უფრო დაბალი მოთხოვნები წაეყენება, ვიდრე შპს-ის დირექტორს გლობალური ცესიისას.⁶⁵ იმავდროულად, კონტრაჰენტი არ თავისუფლდება პირობის გააზრებისა და მისგან დასკვნების გამოტანის ვალდებულებისაგან, ისევე როგორც გარკვეული გამოთვლების დამოუკიდებლად ჩატარების აუცილებლობისაგან.⁶⁶

გ.გ არაცხადი პირობის მაგალითები

- 25 არაცხადი სტანდარტული პირობის მაგალითები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:
- 26 1. პირველ რიგში, ეს არის **საკვანძო სიტყვებისა და გამოთვლის ფაქტორების** განუმარტავად დატოვება: „კარდინალური ვალდებულებები“⁶⁷ (მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი სასამართლო პრაქტიკიდან არის აღებული); „დაზღვევასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების“ გადაკისრება; „ნეტო შემოსავალი“⁶⁸, როგორც საბიულეტენო შვებულებაში მყოფი პირისათვის გადასახდელი დახმარების გამოთვლის კრიტერიუმი.
- 27 2. სიცხადის დეფიციტი შეიძლება გამონვეული იყოს პირობის **განუსაზღვრელობით**, როდესაც მისი შინაარსი, ზოგადად, გასაგებია, თუმცა გაუგებარია მისი ჩარჩოები კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითი: პირობა, რომლის მიხედვითაც ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ყოველგვარი შემდგომი დაკონკრეტების გარეშე;⁶⁹ ზიანის შემცირების ვა-

62 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 7.

63 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 7.

64 BGHZ 115, 185.

65 BGHZ 108, 57; BGHZ 133, 32.

66 BGHZ 118, 131.

67 BGH NJW-RR 2005, 1505.

68 BGH NJW 2017, 388.

69 BAG NZA 2011, 575; BAG BeckRS 2012, 71099; BAG NJW 2012, 552.

ლდებულების დაუკონკრეტებელი ფარგლები;⁷⁰ სადაზღვევო შემთხვევად არმიჩნევა ავარიისა, რომელიც მოხდა „უფლებამოსილი მძღოლის განზრახი ბრალით ან მსგავსი უხეში დარღვევების შედეგად“;⁷¹ ვიდეოთვალთვალი ფიჭნესსტუდიოს „გარკვეულ ნაწილში“;⁷² სტანდარტულ პირობებში განერილი თანხმობა („კლიენტი თანახმაა მიიღოს...“) ელ. ფოსტით რეკლამების დაგზავნასთან დაკავშირებით, უნდა ნათელყოფდეს, თუ ვის რა რეკლამების დაგზავნის უფლება აქვს.⁷³ ასევე დაუშვებელია ფასის გაზრდის დათქმა მისი წინაპირობებისა და ფარგლების დაკონკრეტების გარეშე;⁷⁴ მოშლის უფლების მიმნიჭებელი არაცალსახა დათქმა – „მოშლა თავისუფლად არის შესაძლებელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს“;⁷⁵ ამის საპირისპიროდ პასუხისმგებლობის შემოსაზღვრა „სავარაუდო“ და „ტიპური სახელშეკრულებო“ ზიანით გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს თანახმად, ენერგომიმწოდებლის საშუალო სტატისტიკური კონტრაჰენტისათვის საკმარისად გასაგებია.⁷⁶

3. 346-ე მუხლის მიხედვით, არაცხნადად ითვლება, რა თქმა უნდა, ასევე **შინაარსობრივად გაუგებარი** პირობაც: სალვატორული დათქმა – „... რამდენადაც ეს კანონით დასაშვებია“.⁷⁷ 28

დ. შეუსაბამობა კანონისმიერ პარადიგმასთან

სტანდარტული პირობის ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამობის და, ამგვარად, 346-ე მუხლის მიხედვით, ბათილობის ერთ-ერთი საფუძველია შეუსაბამობა კანონისმიერ პარადიგმასთან, ანუ კანონში განერილ (განსაკუთრებით ამ ტიპის ხელშეკრულებისათვის) **უფლება-მოვალეობათა პროგრამასთან**. ამ პრინციპის საფუძველზე კანონის დისპოზიციური დანაწესები ინარჩუნებს თავის მნიშვნელობასა და მბოჭავ ძალას სამართლის ზოგადი პრინციპების დარად.⁷⁸ თუმცა ვარაუდი, რომ კანონისმიერ პარადიგმასთან წინააღმდეგობაში მყოფი სტანდარტული პირობა შეუსაბამოა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან, შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში გაქარწყლდეს. 29

კანონისმიერ პარადიგმასთან მყოფი პირობის **მაგალითებია**: სავაჭრო ურთიერთობებში **ნასყიდობიდან** წარმომდგარი მეორეული მოთხოვნების **ხანდაზმულობის** ვადის თავიდან დაწყება ყოველი ახალი (უნაკლო) ნივთის მიწოდებასთან (ან ნაწილობრივ შესრულებასთან) ერთად;⁷⁹ ნა- 30

70 OLG München NJW 2012, 1664.

71 თუმცა შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის № ას-291-273-2014 განჩინება, სადაც სასამართლო არასწორად უთითებს 345-ე მუხლზე.

72 LG Koblenz VuR 2014, 159.

73 BGH NJW 2017, 2119; იგივე წესი მოქმედებს ტელეფონით სარეკლამო ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაშიც (BGH NJW 2013, 2683).

74 BGHZ 179, 191; NJW 2013, 3647.

75 BGH NJW 2015, 2412.

76 BGHZ 194, 130.

77 BGH NJW 2013, 1668; BGH NJW-RR 2015, 738; BGH NJW 2015, 2412.

78 BGH NJW 1986, 180; BGH NJW 1999, 1864.

79 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307, Rn. 11; ამის საპირისპიროდ სავაჭრო ურთი-

კლის თვითგამოსწორების უფლება ვადის დაუთქმელად, ისევე როგორც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა უფლებრივი ნაკლისათვის;⁸⁰ დათქმა, რომელიც ნაკლთან დაკავშირებულ პრეტენზიას (495) დამოკიდებულს ხდის ნივთის სრულად გამოკვლევაზე, ასევე მყისიერად აღმოუჩენადი ნაკლის შემთხვევაში, ან ავალდებულებს ნეიტრალური ექსპერტის მხრიდან გამოკვლევას;⁸¹ შედეგისაგან დამოუკიდებელი სამაკლერო პროვიზია;⁸² არანამდვილია რეგულაცია, რომელიც **დამატებითი ვადის** დანიშვნის (კანონით) არასავალდებულოობის მიუხედავად, მას მაინც სავალდებულოდ მიიჩნევს,⁸³ ისევე როგორც **ხელშეკრულების მოშლის** უფლების გამორიცხვა 637-ე ან 399-ე მუხლების მიხედვით;⁸⁴ ვადის დაუცველად მოშლის უფლება, დამოუკიდებლად 399-ე მუხლის წინაპირობებისა;⁸⁵ 406-ე და 399-ე მუხლებით მინიჭებული უფლებების გამორიცხვას არ გულისხმობს ენერგომიმნოდების მიერ გაკეთებული დათქმა მომარაგების ქსელის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.⁸⁶ არანამდვილია **ფიტნესსტუდიის** აბონემენტის ავტომატურად ექვსი თვით გაგრძელების დათქმა, მიუხედავად სტუდიოთი არსარგებლობისა;⁸⁷ ფიტნესსტუდიოთი სარგებლობის ხელშეკრულებაში ვადის დაუცველად მოშლის უფლება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სამედიცინო ცნობის წარდგენაზე;⁸⁸ შეცვლის პირობა ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებისას სასამართლო პრაქტიკის ცვლილების მიხედვით;⁸⁹ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში (გაკეთებული სტანდარტული დათქმით) გზაში დახარჯული დრო არ შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო დროში;⁹⁰ ასევე არანამდვილია ფიქსირებული ფასის განსაზღვრა და 398-ე მუხლზე მითითების გამორიცხვა;⁹¹ 651-ე და 647 II მუხლების გამორიცხვით რისკების შემკვეთის საზიანოდ განაწილება;⁹² ხანდაზმულობის ვადის დენის დანყება გადაცემის და არა ჩაბარების მომენტიდან.⁹³ **369-ე მუხლიდან გამომდინარე ტურისტული მოგზაურობის**

ერთობებში დასაშვებია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ოთხ წლამდე გაგრძელება (BGHZ 164, 196).

80 BGHZ 164, 196.

81 BGH ZIP 2018, 81.

82 BGHZ 99, 382, ამის საპირისპიროდ ნამდვილია დათქმა პროვიზიის გადახდის გაგრძელებასთან დაკავშირებით ხელშეკრულების შემდგომი ბედისაგან დამოუკიდებლად (BGHZ 162, 74).

83 BGH NJW 2013, 3022.

84 BGH NJW 2010, 151.

85 BGH NJW-RR 2003, 1635.

86 BGH NJW-RR 2012, 1333.

87 BGH NJW 1997, 739; თუმცა დასაშვებია თორმეტთვიანი ავტომატური გაგრძელების დათქმა მობილური სატელეფონო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში (OLG Hamm MDR 2010, 1175).

88 BGH NJW 2012, 1431, თუმცა გამორიცხულია ვადის დაუცველად მოშლის უფლება პროფესიიდან გამომდინარე საცხოვრებელი ადგილის ცვლილებისას (BGH NJW 2016, 3718).

89 BGH NJW-RR 2008, 834.

90 BGHZ 91, 320.

91 BGH NJW 2017, 2762.

92 BGH NJW-RR 2016, 498.

93 BGH ZIP 2004, 1555.

მომწყობს არ შეუძლია მოითხოვოს საზღაურის 30 % წინასწარ, ხოლო დანარჩენი მოგზაურობის დაწყებამდე 30 დღით ადრე,⁹⁴ ამის საპირისპიროდ დასაშვებია ბილეთის საზღაურის დაჯავშნისთანავე სრულად გადახდის ვალდებულება,⁹⁵ გამყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ფასის სრულად გადახდა **მონტაჟის** დაწყებამდე.⁹⁶ **ქირავნობის ხელშეკრულების** შემთხვევაში მთელი რიგი დათქმებისა კოსმეტიკურ რემონტთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის კანონისმიერ პარადიგმასთან (მდრ. ზემოთ, 22-ე ველი); არანამდვილი მოშლის უფლების ორი წლის განმავლობაში გამორიცხვა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შემთხვევაში.⁹⁷ **ლიზინგის** გამცემს უფლება არ აქვს, დაიტოვოს ხელშეკრულების ნაადრევად დასრულებისას ნივთის რეალიზაციიდან ამონაგების 10 %, ⁹⁸ ან დაადგინოს 567-ე მუხლისაგან განსხვავებული წესი სარგებლის ანაზღაურებისათვის.⁹⁹ დასაშვებია საგნის განადგურებისა და ფასის რისკის ლიზინგის მიმღებზე გადაკისრება, რადგან მას სპეციალური შეთანხმების გარეშეც აქვს იმის უფლება, რომ სარგებელი ნახოს ლიზინგის გამცემის მიერ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან.¹⁰⁰ **თავდებობის** გავრცელება სამომავლო მოთხოვნებზე მათი თანხობრივი შეზღუდვის გარეშე წინააღმდეგობაში მოდის 893 2 მუხლთან.¹⁰¹ **საბანკო ხელშეკრულებებში** დაუშვებელია კლიენტისათვის ჩეკის გაყალბების რისკის გადაკისრება;¹⁰² დაუშვებელია დამატებითი საზღაურის მოთხოვნა იმ საქმიანობისათვის, რომლის განხორციელებაც ბანკს ეკისრება კანონის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებისათვის (იხ. ზევით, მე-17 ველი), მაგ.: გირავნობის გარიგების მომზადების,¹⁰³ უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების შეფასების,¹⁰⁴ ან დეპოზიტის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები;¹⁰⁵ ბანკიდან ფულის გამოტანა ან შეტანა;¹⁰⁶ შეტყობინების მიღება ჩეკის გაუნაღებლობის ან ბანკისათვის მიცემული დავალების უსახსრობის მიზეზით ჩაშლის გამო.¹⁰⁷ **საბანკო მომსახურების გადასახადისას** მთელ რიგ შემთხვევებში პრობლემურია საზღაურთან დაკავშირებული კონტროლს დაქვემდებარებული დამატებითი დათქმის გამიჯვნა საზღაურის მთავარი დათქმისაგან, რომელიც კონტროლს არ

94 OLG Düsseldorf NJW 2015, 175.

95 BGHZ 209, 20.

96 BGH NJW 2013, 1432.

97 BGH NJW 2009, 3507.

98 BGHZ 151, 192.

99 BGH WM 2004, 1190.

100 BGH NJW 2004, 1042.

101 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 307 Rn. 11; ასევე დაუშვებელია 901-ე მუხლის უპირობოდ გამორიცხვა (მდრ. იქვე).

102 BGH WM 1997, 910.

103 BGH NJW 2000, 651.

104 OLG Düsseldorf WM 2010, 215.

105 BGHZ 161, 189.

106 BGHZ 133, 13.

107 BGH NJW 2001, 1420, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილის საპირისპიროდ, ბანკს შეუძლია მოითხოვოს ახალის აქციების ემისიისათვის გადასახადი.

ექვემდებარება (346-ე მუხლის მიხედვით). გამიჯვნის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია 345-ე მუხლი.¹⁰⁸ სასამართლო პრაქტიკა¹⁰⁹ საეჭვოობისას დამატებით დათქმით დადგენილი კონტროლს დაქვემდებარებული პირობის აღიარებისაკენ იხრება. შესაბამისად, დაუშვებელია, მაგ., საზღაური ბრალის გარეშე გამონვეული უკუდარიცხვისათვის,¹¹⁰ ანგარიშზე დარიცხვისა და მოხსნის უკლებლივ ყველა პროცედურისათვის (მათ შორის მენარმეთა შემთხვევაშიც),¹¹¹ ან ზიანის ანაზღაურების სახით მყარი თანხის დაწესება;¹¹² **დასაშვებია** საკრედიტო ურთიერთობებში კრედიტისათვის პროცენტების დარიცხვა ამ კრედიტის ანგარიშზე ჩარიცხვისა და მის გამოტანას შორის დროის (არაუმნიშვნელო) შუალედისას;¹¹³ კონტროლს დაქვემდებარებული და **არანამდვილია** მყარი საზღაურის დადგენა საკრედიტო ლიმიტის გადაცილებისათვის, თუ ის აღემატება ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.¹¹⁴ კამათის საგანია, ექვემდებარება თუ არა მომსახურების საზღაურის დაკისრება **სამომხმარებლო სესხის** შემთხვევაში შინაარსობრივ კონტროლს.¹¹⁵ **ტელეკომუნიკაციის ხელშეკრულების** შემთხვევაში: ე. წ. ქალაქის ხაზის ტელეფონის დეაქტივირებისათვის დაუშვებელია საზღაურის მოთხოვნა, რადგან შემთავაზებელი აქ საკუთარ ინტერესებში მოქმედებს.¹¹⁶ არანამდვილია **სიმბარათზე დარჩენილი ნაშთის ანულირება** ბარათის მოქმედების ვადის გასვლასთან ერთად ყოველგვარი კომპენსაციის შესაძლებლობის გარეშე.¹¹⁷ სატელეფონო მომსახურების ხელშეკრულებაში დასაშვებია საზღაურის გადახდის ვალდებულების გავრცელება მესამე პირის მხრიდან ტელეფონით სარგებლობაზე, თუ ეს შეეცალება კლიენტს.¹¹⁸ **სავაჭრო ურთიერთობებში, პირგასამტეხლოს დასაშვებობასთან** დაკავშირებით იხ. მუხ. 348 26-ე ველი. სარჩელის გამორიცხვის ვადად სამ თვეზე ნაკლების დაწესება შეუსაბამო პირობაა, მიუხედავად შრომითი ხელშეკრულებების თავისებურებისა.¹¹⁹

108 BGH NJW 2017, 1018.

109 BGH NJW 2012, 2572; OLG Düsseldorf ZIP 2012, 1749.

110 BGHZ 150, 274; OLG Schleswig MDR 2016, 12.

111 BGH NJW 2015, 3025.

112 BGH NJW 2009, 3570.

113 *Becker/Dreyer*, AGB-rechtliche Zulässigkeit von Gebührenklauseln in Konsortialkreditverträgen, ZIP 2014, S. 2059.

114 BGH NJW 2017, 1018; BGH WM 2017, 84.

115 ამ შეკითხვას დადებითად სცემს პასუხს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (BGH NJW 2014, 2420, შდრ. იქვე მოყვანილი ლიტერატურა – არანამდვილია დათქმა, რომელიც მოიცავს საზღაურს ასევე იმ საქმიანობისათვის, რომელსაც ბანკი ახორციელებს საკუთარ ინტერესებში ან მისთვის დაკისრებული ვალდებულების საფუძველზე).

116 BGH NJW 2002, 2387.

117 *Lorenz*, Verfall- und Auszahlungsgebührenklauseln in Prepaid-Mobilfunkverträgen, VuR 2009, S. 330.

118 BGHZ 188, 351.

119 BAG NJW 2005, 3307.

ე. შემთავაზების მიერ სტანდარტული პირობებით საკუთარი ვალდებულებების შეზღუდვა

ხელშეკრულების სტანდარტული პირობა ასევე შეუსაბამოა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან, როდესაც შემთავაზებელი ხელშეკრულების ამ პირობებით იმდენად ზღუდავს თავის ვალდებულებებს, რომ წარმოუდგენელი ხდება ხელშეკრულების მიზნის მიღწევა. ხელშეკრულების მიზნის მიუღწევლობის გამო ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობა გამოგვადგება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს ატიპურ ხელშეკრულებასთან, ანუ, როდესაც ამგვარი ხელშეკრულება არ არის გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმებით. როდესაც ხელშეკრულება გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმებით და სტანდარტული პირობის მიხედვით ხდება ვალდებულებების შეზღუდვა იმგვარად, რომ წარმოუდგენელი ხდება ხელშეკრულების მიზნის მიღწევა, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, პირველ რიგში, სახელშეკრულებო პარადიგმასთან იქნება ხოლმე შეუსაბამო.

ეს პრინციპი თავდაპირველად შეიმუშავა გერმანულმა სასამართლომ იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ შემთავაზებელს არ უნდა ჰქონდეს ე.წ. „ძირითადი ვალდებულებებისაგან“ (შდრ. 348 ზ) თავის დახსნისა და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლების მნიშვნელოვნად შეზღუდვის უფლება.¹²⁰ ამგვარად, ამოსავალი წერტილი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებაა. დაუშვებელია იმ ვალდებულებების შეზღუდვა, რომლებიც გადამწყვეტია ხელშეკრულების ჯეროვანი განხორციელებისათვის და რომელთა შესრულების მიმართაც კონტრაჰენტს გამართლებული ნდობა აქვს.¹²¹ ამ წესით მოცულია ასევე მნიშვნელოვანი დამატებითი რეგულაციები.¹²² ზემოთ თქმულის გარდა, სახეზე უნდა იყოს **ხელშეკრულების მიზნისათვის საფრთხის** შექმნა.¹²³ მაგ., სადაზღვევო ხელშეკრულებების შემთხვევაში ხელშეკრულების მიზანი ჩაშლილად ითვლება, თუ მზღვეველი დაზღვეულს (სტანდარტული პირობის გამო) მხოლოდ არასრულ და სუსტ დაცვას სთავაზობს დასაზღვევი რისკისაგან.¹²⁴

არანამდვილი პირობის მაგალითები: სუბსიდიარულობის დათქმა (შდრ. მუხ. 348, მე-17 ველი) სამშენებლო კომპანიის პასუხისმგებლობის შემთხვევაში;¹²⁵ სამოგზაურო დაზღვევის მოქმედების გამორიცხვა იმ

120 BGHZ 49, 363; შდრ. ამ პრაქტიკით დადგენილ მასშტაბის კრიტიკასთან დაკავშირებით Renner, Die „Natur des Vertrags“ nach § 307 Abs. 2 Nr. 2 BGB, AcP 213, 2013, S. 677; იხ. პრაქტიკასთან დაკავშირებით: BGH NJW-RR 2005, 1496, 1505; BGH NJW-RR 2004, 900.

121 BGHZ 145, 203; BGHZ 149, 60, 89: დაუშვებელია, მაგალითად, წარდობისათვის შედეგზე დამოკიდებულების ელემენტის მოშორება.

122 BGHZ 83, 308; BGH NJW 1985, 322; BGHNJW 1985, 915.

123 BGHZ 103, 324.

124 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს № ას-755-811-2011 განჩინება; ასეთ პირობას წარმოადგენს მზღვეველის მიერ შენობის დაზღვევის შემთხვევაში წყალგაყვანილობისათვის ობიექტზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა (BGH BeckRS 2017, 119229); BGH NJW 2017, 2346: შრომისუუნარობისაგან დაზღვევა, როდესაც შრომისუუნარობად ითვლება 90%-იანი მჯდომარე საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობა.

125 BGHZ 150, 232.

ქვეყნის ფარგლებში, რომლის მოქალაქეცაა დაზღვეული პირი;¹²⁶ სადაზღვევო მაკლერის მიერ კონსულტაციის განევის ვალდებულება;¹²⁷ პირობა, რომლის მიხედვითაც სიცოცხლის დაზღვევა არ ვრცელდება დაზღვეულის სამსახურში ყოფნის დროზე;¹²⁸ სამთვინი გაქარწყლების ვადა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისათვის;¹²⁹ ლუდსახარშის უფლება ლუდის მიწოდების ხელშეკრულებისას, რესტორნის მეპატრონის მიერ ვალდებულების დარღვევისას მოითხოვოს გადაცემული ინვენტარის დაბრუნება, მაშინ, როდესაც მიწოდების ხელშეკრულება დანარჩენ ნაწილში უცვლელად რჩება ძალაში.¹³⁰ **პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების** დათქმის ნამდვილობა, პირველ რიგში, მოწმდება 348 ვ-ზ) მუხლის მიხედვით. ამ დანაწესის გვერდით 346-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან არყვეს ხელშეკრულების საფუძველს – ეხება შეპირებული შესრულების ბირთვს.¹³¹ იგივე წესი მოქმედებს, როდესაც ხელშეკრულების შესრულება მოითხოვს განსაკუთრებულ ნდობას შემთავაზებლის მიმართ და მისი მხრიდან განსაკუთრებულ გულისხმიერებას პროფესიულ კომპეტენციასთან ერთად, ან, როდესაც კონტრაჰენტი მას საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან მნიშვნელოვან ქონებრივ სიკეთეებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ანიჭებს.¹³² თუ შემთავაზებელს საკმაოდ უპრობლემოდ შეუძლია **დაიზღვიოს თავი სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან**, ან, თუ ის პროფესიულად არის ვალდებული, გააკეთოს ეს, მაშინ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დათქმა ასევე დაუშვებელია.¹³³ ქირავნობისას დათქმა გამქირავებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მსუბუქი გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანს, არანამდვილია, თუ მოიცავს ასევე იმ ზიანს, რომლისგანაც დამქირავებელს თავის დაზღვევა არ შეეძლო.¹³⁴ **დასაშვებია** მომსახურების ხელშეკრულებაში ვადის დაცვით ხელშეკრულების მოშლის უფლების შეთანხმება.¹³⁵

126 BGH NJW 2001, 1133.

127 BGHZ 162, 78.

128 განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული სამხედრო მოსამსახურეა და 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი აქვს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 აგვისტოს № ას-755-811-2011 განჩინება.

129 BAG NJW 2006, 795.

130 BGH DB 1985, 1684.

131 BGH NJW 1999, 1031; BGH NJW 2002, 673; მაგალითად, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ეხება ტიპიურ სახელშეკრულებო ზიანს (BGH NJW 2001, 292; BGH NJW-RR 2001, 342).

132 მაგ. სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო დანებსებულება (BGH NJW 1990, 761); სახლის გადაცემა დასანგრევად და მის ადგილზე ახლის ასაშენებლად (BGH ZIP 1985, 623; NJW-RR 1998, 1426).

133 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 307 Rn. 11.

134 BGHZ 149, 96.

135 BGHZ 175, 107.

მუხლი 347. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამენარმეო საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად:

ა. დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის, ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადები);

ბ. დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს (ვადები ვალდებულების დარღვევისას);

გ. დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა);

დ. დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს შეცვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (ცვლილებების შეტანის პირობა);

ე. დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს განეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (განეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება).

I. ზოგადი დებულებები	244
II. გამოყენების წინაპირობები	244
1. წინადადების (ოფერტის) მიღებისა და შესრულების ვადები (347ა)	244
ა. ოფერტის მიღების ვადა	244
ბ. ვალდებულების შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადა (347ა, ვარ. 1)	246
გ. შეუსაბამოდ მცირე ვადა	247
2. ვადები ვალდებულების დარღვევისას (347 ბ)	247
ა. ვადა დამატებითი შესრულებისათვის	247
ბ. ვადის დამდგენი კანონის ნორმები	248
გ. არასაკმარისად განსაზღვრული ვადები	248
3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა (347 გ)	249
ა. კონკრეტული და გასაგები მითითება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველზე	249
ბ. შესრულებაზე უარის გამამართლებელი საფუძვლები	249
გ. ხელშეკრულების მხარეების ინტერესების შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებები	250

- 4. ცვლილებების შეტანის პირობა (347 დ).....252
 - ა. დანაწესის მიზანი.....252
 - ბ. ცვლილებების შეტანის მიუღებლობა მეორე მხარისათვის252
- 5. განუხლები ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (347 ე).....254

I. ზოგადი დებულებები

- 1 347-ე და 348-ე მუხლები ეხება სტანდარტული პირობების ცალკეულ დებულებათა ნამდვილობის საკითხებს.¹ მათში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ის დებულებები, რომლებიც, სტანდარტულ პირობებში ჩართვის მიუხედავად, ბათილად უნდა ჩაითვალოს.² ამ ნორმებში გადმოცემულია ის ძირითადი სიტუაციები, როდესაც სტანდარტულ პირობაში მხოლოდ შემთავაზებლის ინტერესებია გათვალისწინებული, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მხარის ინტერესების განხორციელებას.
- 2 მიუხედავად ამ საერთო მიზნისა, 347-ე და 348-ე მუხლები ორი სტრუქტურულად განსხვავებული დანაწესია. 348-ე მუხლი არ არის 347-ე მუხლში მოყვანილი კატალოგის გაგრძელება, იგი შეიცავს თვისებრივად სხვა ტიპის აკრძალვას. გერმანიაში ამ ორი ტიპის დანაწესს შორის დიქტომიას აღნიშნავენ შემდეგი სახელდებით: „აკრძალული დათქმები ძალაში დატოვების პერსპექტივით“ (*Klauselverbote mit Wertungsmöglichkeit*) და „აკრძალული დათქმები ძალაში დატოვების პერსპექტივის გარეშე“ (*Klauselverbote ohne Wertungsmöglichkeit*). ერთ შემთხვევაში (347) კანონმდებელი იყენებს განუსაზღვრელ ცნებებს („შეუსაბამოდ ხანგრძლივი“, „აშკარად მცირე“) და უტოვებს ამით სამართლის შემფარდებელს ასპარეზს შეფასებისათვის. ანუ პირობა შეიძლება „გადარჩეს“, თუ აღმოჩნდება, რომ ვადა არ არის შეუსაბამოდ ხანგრძლივი. ამისაგან განსხვავებით, 348-ე მუხლში ჩამოთვლილი პირობები პირდაპირ ბათილია, ყოველგვარი შეფასებითი მსჯელობის გარეშე. შესაბამისად, თუ სახეზეა ამ დანაწესით გათვალისწინებული შემადგენლობა, 347-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები აღარ მოწმდება.
- 3 იმ შედეგებთან დაკავშირებით, რაც დგება პირობის 347-ე მუხლის მიხედვით ბათილობისას, იხ. მუხ. 344 21-ე და მომდევნო ველები.

II. გამოყენების წინაპირობები

1. წინადადების (ოფერტის) მიღებისა და შესრულების ვადები (347ა)

ა. ოფერტის მიღების ვადა

- 4 347 ა) მუხლის მიზანია, დაიცვას ხელშეკრულების მეორე მხარე (მომხმარებელი) ცალმხრივი ვალდებულებისაგან, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადით დაელოდოს აქცეპტს მის მიერ გაკეთებულ ოფერტზე – ოფერტის

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 347, გვ. 196.
 2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 347, გვ. 196.

მიღებისათვის ვადის დათქმით³ შემთავაზებული ცალმხრივად ბოჭავს ოფერენტს და ზღუდავს მის ეკონომიკურ თავისუფლებას. ამგვარი სტანდარტული პირობის შემთავაზებელს შესაძლებლობა ეძლევა, შეუსაბამოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც დადოს ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების მეორე მხარე კი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მზად უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

იმის დასადგენად, შეუსაბამოდ ხანგრძლივია თუ არა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ჩამოყალიბებული წინადადების მიღებისა თუ უარყოფის ვადა, ყოველი ცალკეული შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. საორიენტაციოდ შესაძლებელია 330 II მუხლში მითითებული ვადის მოშველიება. **შეუსაბამოა** ვადა, რომელიც შემთავაზებლის ანგარიშგასანევი ინტერესის გარეშე მნიშვნელოვნად სცდება 330 II მუხლით გათვალისწინებულ „ჩვეულებრივ“ ვადას ამ ტიპის ოფერტზე პასუხის მოსაფიქრებლად (რაც გულისხმობს: აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებას, მისი დამუშავებისა და შემონიშნებისათვის აუცილებელ დროს).⁴

შეუსაბამოდ ხანგრძლივია, მაგ., სამკვირიანი მოსაფიქრებელი ვადა მეორადი მანქანის ნასყიდობისას.⁵ ამ პერიოდში მეორადი მანქანის გამყიდველს გაუმართლებლად ეზღუდება ეკონომიკური თავისუფლება, ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვის ფორმით, რადგან იგი ხდება ვალდებული, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადით დაელოდოს მყიდველის აქცეპტს ან უარს. გამყიდველი ამ პერიოდში უკვე ვეღარ გამოიყენებს ნივთის გაყიდვის სხვა უფრო სარფიან შესაძლებლობას. ასეთი სტანდარტული პირობის დებულება უნდა ჩაითვალოს ბათილად 347 ა) მუხლის მიხედვით. სამი კვირა შეუსაბამოდ ხანგრძლივია მარაგში მქონე ნივთის განვადებით ნასყიდობისათვის.⁶ ოთხ კვირაზე მეტი არ არის საჭირო უკვე დამთავრებული ბინის ნასყიდობის (რომელსაც ბანკი აფინანსებს) ოფერტის მოსაფიქრებლად.⁷ დაუშვებელია, შემთავაზებელმა სტანდარტული პირობის მეშვეობით დაიტოვოს უფლება, ნებისმიერ დროს მიიღოს უვადო, თუმცა, იმავდროულად, **გამოხმობადი ოფერტი**.⁸ ჩვეულებრივ, დაუშვებელია დათქმა ოფერტის მიღების ვადის გარკვეული დროით გაგრძელებასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად ამ დროისა.⁹ საკრედიტო გარიგებების შემთხვევაში დასაშვებია ერთთვიანი ვადა,¹⁰ ახალი

3 „ვადა ოფერტზე უარისათვის“ იგივე შინაარსის მატარებელია, რაც „ოფერტის მიღების ვადა“ და განსხვავებული მხოლოდ მისი ენობრივი ფორმულირება.

4 BGH NJW 2013, 291.

5 გერმანული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მეორადი მანქანის შემთხვევაში 10 დღესაც კი შეუსაბამო ვადად მიიჩნევს, თუ საკრედიტო ხელშეკრულება არ არის სახეზე (LG Bremen NJW 2004, 1050).

6 BGH NJW 2001, 303.

7 BGH NJW 2010, 2873.

8 BGH NJW 2013, 3434.

9 Herrler, Formularmäßige Bindungsfristen beim Immobilienkaufvertrag, DNotZ 2013, S. 887.

10 BGH NJW 1988, 2107.

ავტომანქანის შეკვეთისათვის ოთხი კვირა,¹¹ ისევე, როგორც ინდივიდუალური შეკვეთით შექმნილი ჩაშენებული სამზარეულოსათვის,¹² ექვსი კვირა სიცოცხლის დაზღვევისათვის;¹³ ამის საპირისპიროდ, მიუხედავად აუცილებელი გასაუბრებისა დაფინანსებასთან დაკავშირებით, ათი კვირა ძალზე ხანგრძლივია ბინის ნასყიდობისათვის.¹⁴ გარდა ზემოთ თქმულისა, აუცილებელია, ვადა იყოს ზუსტად განსაზღვრადი. კლიენტს უნდა შეეძლოს, ვადის დასაწყისისა და დასასრულის ზუსტად შეცნობა.¹⁵ ჩვეულებრივ, ვადა უნდა განისაზღვროს დღეებით, კვირებით და ა. შ.¹⁶

ბ. ვალდებულების შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადა (347ა, ვარ. 1)

7 347 ა) მუხლის თანახმად, ბათილია აგრეთვე სტანდარტული პირობის ის დებულება, რომლითაც შემთავაზებული აწესებს სამუშაოს **შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადას**. ამ შემთხვევაში 347 ა) მუხლი მჭიდრო კავშირშია 348 ზ) მუხლთან. ეს უკანასკნელიც ბათილად ცნობს სტანდარტული პირობის დებულებას, რომლის მიხედვითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ვალდებულების შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადის დაწესებით კონტრაჰენტი ზუსტად ასევე კარგავს ხელშეკრულებაზე უარი თქმის უფლებას, რადგან ამ დროს ადგილი არ აქვს შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევას. შეუსაბამოდ ხანგრძლივია თუ არა ვალდებულების შესრულების ვადა, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულად უნდა შეფასდეს, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შესასრულებელი ვალდებულების თავისებურება და მისი შესრულების სირთულეები. მაგალითად: ავეჯის ყიდვისას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განერილი 6-თვიანი ვადა შესრულებისათვის (ავეჯის მიწოდებისათვის) შეიძლება იყოს 347 ა) მუხლის მიხედვით შეუსაბამოდ ხანგრძლივი და, მაშასადამე, ბათილი დებულება, როდესაც ავტომობილის ნასყიდობისას იგივე ვადა, შესაძლებელია, მისაღები იყოს. ამგვარად, შესრულების ვადა (და მისი შეუსაბამობა) დამოკიდებულია გარიგების საგანსა და შესრულების მოდუსზე,¹⁷ მათ შორის იმაზე, თავად ფლობს თუ არა შემსრულებელი ამ საგანს, თუ ის ჯერ სხვისგან უნდა მოიპოვოს. გადამწყვეტია ის დრო, რაც აუცილებელია ჩვეულებრივი საბაზრო პირობებისა და შესაბამისი უსაფრთხოების სერვისის გათვალისწინებით შესრულების განხორციე-

11 BGHZ 109, 363, ეს ვადა გამყიდველს შეიძლება სჭირდებოდეს იმის გადასამონმებლად, ხელმისაწვდომია თუ არა მყიდველის მიერ მოთხოვნილი ავტომობილი მწარმოებელთან (ეს რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველს ადგილზე არ ჰყავს მოთხოვნილი ავტომობილი).
 12 BGHZ 170, 1.
 13 აუცილებელია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, OLG Hamm VersR 1986, 1808.
 14 მაქსიმუმ ექვსი კვირა, OLG Dresden OLG-NL 2005, 4.
 15 BGH NJW 1985, 856; BGH VuR 2005, 156.
 16 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 308, Rn. 2.
 17 მაგ. ნარმოადგენს თუ არა ის სამოქალაქო ბრუნვაში უპრობლემოდ ხელმისაწვდომ საგანს, კერძო შეკვეთით დასამზადებელ ნივთს თუ კერძო ბინას მრავალსართულიან სახლში.

ლებისათვის.¹⁸ დაუშვებელია, მაგ., ავეჯით ვაჭრობისას დიფერენციის გარეშე ოთხკვირიანი ვადის განსაზღვრა.¹⁹ დაუშვებელ **განუსაზღვრელობასთან** დაკავშირებით იხ. მე-12 ველი. გამონაკლისია სამომხმარებლო ხელშეკრულებები გამოსმობის უფლებით. თუ მომხმარებელს უფლება აქვს, გამოიხმოს თავისი ნების გამოხატვა, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება, მაშინ შემთავაზებელს უფლება უნდა ჰქონდეს, შესრულების განხორციელება დამოკიდებული გახადოს გამოსმობის ვადის ამონურვაზე.²⁰ მენარმეთა შორის ურთიერთობაში ეს მასშტაბი გამოიყენება არა ზედმიწევნით, არამედ მხოლოდ საორიენტაციო ხაზის სახით;²¹ სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულმა ჩვეულებამ შეიძლება გაამართლოს შესრულების ვადის შემცირება.²²

გ. შეუსაბამოდ მცირე ვადა

ზემოთ აღწერილი შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადის მაგალითები ოფერტისა და შესრულებისათვის ეხება 347 ა) მუხლში მოცემული რეგულაციის მხოლოდ ერთ ნახევარს და ძალაშია იმ შემთხვევისათვის, როდესაც შემთავაზებელი აქცეპტანტის/მოვალის რანგში ადგენს ამ ხანგრძლივ ვადას. თუმცა იგივე დანაწესი ბათილად ცნობს ასევე იმ სტანდარტულ პირობას, რომლითაც შემთავაზებელი, პირიქით, ოფერტის/კრედიტორის სტატუსით უწესებს მეორე მხარეს **აშკარად მცირე ვადებს** ოფერტისა თუ შესრულებისათვის. მაგალითებად გამოდგება ზემოთ მოყვანილი დაუშვებლად ხანგრძლივი ვადის შეზღუდვები – დაუშვებელია დათქმა, რომელიც ყოველგვარი გამართლებული საფუძვლის გარეშე უმცირებს მეორე მხარეს დასაშვებ ვადას ოფერტის მიღებისა თუ შესრულების განხორციელებისათვის.

2. ვადები ვალდებულების დარღვევისას (347 ბ)

ა. ვადა დამატებითი შესრულებისათვის

ეს ნორმა ავსებს 347 ა) მუხლს. ბათილია სტანდარტული პირობის ის დებულება, რომელიც აწესებს ვალდებულების შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს. 347 ბ) მუხლის ფორმულირება, გარკვეულწილად, დამაბნეველია, რადგან საუბრობს „შესრულების ვადაზე“ და იკვეთება ამით 347 ა) პუნქტში მოცემულ რეგულაციასთან, თუმცა დანაწესის სისტემური ადგილიდან და „კანონით დადგენილი ვადის ხსენებიდან“ (რაც, თავის მხრივ, განმარტებას საჭიროებს, იხ. ქვევით) გამომდინარეობს, რომ ეს რეგულაცია მხოლოდ დამატებით შესრულებას ეხება.

18 BGHZ 92, 28.

19 BGH NJW 1985, 323.

20 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 308, Rn. 3.

21 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, Vor §§ 305 ff. 5.

22 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 308, Rn. 3.

ბ. ვადის დამდგენი კანონის ნორმები

10 პირველ რიგში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 347 ბ) მუხლი შეეხება მხოლოდ დამატებით შესრულებას, რადგან ძირითადი შესრულებისათვის არ შეიძლება არსებობდეს რაიმე კანონით განწერილი ვადა. მართალია, კანონით განწერილი პირდაპირი და ზუსტი ვადა არ არსებობს არც დამატებითი შესრულებისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში კანონი შეიცავს გარკვეულ კრიტერიუმებს ამ ვადისათვის („აუცილებელი“, „ჯეროვანი“, შდრ.: 394 II; 405 I; 643 I; 814 IV). **შეუსაბამოა** თუ არა ვადა ამ კრიტერიუმებთან, უნდა შეფასდეს ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების სირთულისა და ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა აქვეა აღსანიშნი ის გარემოება, რომ დამატებით შესრულებას ნინ უსწრებს ძირითადი შესრულება (347 ა) და მისი დამატებითი შესრულების ფორმით გაგრძელებისათვის ვადა, რომელიც მხოლოდ შემთავაზებლის ინტერესს ემსახურება, შეძლებისდაგვარად მოკლე უნდა იყოს.²³ სახელმძღვანელო პრინციპია ის გარემოება, თუ რა ჩაითვლება სამოქალაქო ბრუნვაში ფაბრიკაციისა ან ნივთის შოვნისათვის (უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის ჩათვლით) საჭირო დროდ. მაგალითად: დაუშვებელია ოთხი კვირა ავეჯის ნასყიდობისათვის;²⁴ ამის საპირისპიროდ დასაშვებია ექვსი კვირა ახალი მანქანის ნასყიდობისას;²⁵ ექვსი კვირა ფანჯრების მიწოდებისას.²⁶

გ. არასაკმარისად განსაზღვრული ვადები

11 ბათილია ასევე სტანდარტული პირობის დებულება, რომელიც **არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს აწესებს**.

12 არასაკმარისად განსაზღვრულია ვადა, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარეს არ შეუძლია მისი მარტივად და დამატებითი მოკვლევის გარეშე გამოთვლა. ვალდებულების შესრულების დაწყებისა და დამთავრების ვადები უნდა იყოს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ნათლად და არაორაზროვნად განსაზღვრული და გასაგები საშუალო დონის მომხმარებლისთვის.²⁷ არ არის აუცილებელი, რომ ვალდებულების შესრულების დაწყების ან დამთავრების ვადა კალენდარული თარიღის მიხედვით იყოს დადგენილი. საკმარისია, როდესაც ვალდებულების შესრულების დაწყების ან დამთავრების ვადები რაიმე მოვლენაზე დამოკიდებულია. ასეთ შემთხვევაში ეს მოვლენა არ უნდა იყოს მხოლოდ სტანდარტული პირობის შემთავაზებლისთვის ალქმადი და გასაგები, ხელშეკრულების მეორე მხარესაც სირთულეების გარეშე უნდა შეეძლოს ამ მოვლენის წინასწარ განსაზღვრა. **მაგალითად:** ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია დაზღვეულს

²³ Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 308, Rn. 4.

²⁴ BGH NJW 1985, 323.

²⁵ BGH NJW 2001, 294.

²⁶ OLG Stuttgart NJW 1981, 1106.

²⁷ BGH NJW, 1985, 856.

ზიანს წლის სამეურნეო შედეგების დამტკიცების შემდეგ უნაზღაურებს. სადაზღვევო კომპანიის შიდაორგანიზაციული საკითხები (თუ როდის დამტკიცდება წლიური ანგარიში) არ არის გასაგები და ხელმისაწვდომი დაზღვეულისათვის²⁸ და მისთვის შესრულების ვადის გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა (347 გ)

347 გ) მუხლი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. 347 გ) მუხლი იცავს მომხმარებელს ისეთი შემთხვევისაგან, როდესაც სტანდარტული პირობის შემთავაზებელი იქმნის დამატებით, სამოქალაქო კოდექსში განწერილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შესაძლებლობას, უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. შემთავაზებლისათვის გასვლის უფლების შეუზღუდავად მინიჭება იწვევს მეორე მხარის ისეთსავე ცალმხრივ ბოჭვას ხელშეკრულებით, როგორსაც შეუსაბამოდ ხანგრძლივად მბოჭავი ოფერტი, და ამით მნიშვნელოვნად ზღუდავს მის ეკონომიკურ თავისუფლებას. 347 გ) მუხლის გაგებით, „ხელშეკრულებაზე უარის“ ცნებაში ერთიანდება, გასვლისა და მოშლის გარდა, ასევე შეცილება და გადადების პირობა.²⁹ შემთავაზებელს შეუძლია, სტანდარტული პირობებით კონტრაჰენტს გადააკისროს მხოლოდ ცალკეული, ხელშეკრულების დადებისას შეცნობადი რისკები.

ა. კონკრეტული და გასაგები მითითება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველზე

იმისათვის, რომ ხელშეკრულების მეორე მხარემ სწორად მოახდინოს სტანდარტული პირობების შემთავაზებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის რისკების შეფასება, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი საკმაოდ კონკრეტულად და გასაგებად უნდა იყოს მითითებული. ცალსახად ბათილია სტანდარტული პირობის დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.³⁰ მაგრამ ასევე დაუშვებელია: „სანარმოს მუშაობის ნებისმიერი ტიპის შეფერხება“³¹ ან „გადაუდებელი საფუძველი“³² გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი.

ბ. შესრულებაზე უარის გამამართლებელი საფუძველები

გამართლებულია თუ არა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განწერილი შესრულებაზე უარის საფუძველი, უნდა დადგინდეს ორივე მხარის ინტერესების შეფასების საფუძველზე. საორიენტაციოდ შეგვიძლია, მოვიშველიოთ სამოქალაქო კოდექსის ნორმებში განწერილი ვა-

28 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 347, გვ. 197.

29 BGH NJW 2011, 1215.

30 OLG München BB 1984, 1386, 1387.

31 BGH NJW 1983, 1321.

32 OLG Köln NJW-RR 1989, 926.

ლდებულების შესრულებაზე უარის საფუძვლები.³³ როდესაც, მაგ., სტანდარტული პირობების შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარის მხრიდან ყოველგვარი ვალდებულების დარღვევისას უფლებას იტოვებს, პირდაპირ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ იგი ენიშნა-აღმდეგება სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებაზე უარის საფუძვლებს და მათში ჩადებულ მთავარ პრინციპს. მაგ., 405 | 1 მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ კონტრაქტს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ **დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ ამონურვის შემდეგ**. ამ ნორმის მიზანია, მიეცეს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ამის გამოსწორების შესაძლებლობა და მეორე მხარემ დაუყოვნებლივ არ მიმართოს ყველაზე მკაცრ ზომას – უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სწორედ სამოქალაქო კოდექსში განერილ ამ აზრს ენიშნაღმდეგება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას დაუყოვნებლივ თქვას უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

- 16 ამის საპირისპიროდ ხელშეკრულებაზე უარის თქმის **გამართლებულ საფუძვლად ჩაითვლება**: კონტრაქტის გადახდისუუნარობა; კრედიტუუნარობა;³⁴ შემთავაზებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის (კონტრაქტის ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით) მცდარი სახით მინოდება;³⁵ მოცემული ტიპის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა.³⁶ **შემთავაზებლის მხარეზე** დასაშვებია ვალდებულების შეზღუდვა საკუთარი მარაგით;³⁷ გასვლის უფლების გათვალისწინება იმ შემთხვევისათვის, როდესაც შემთავაზებელი ვერ ახერხებს თვითმომარაგებას (მაგრამ არა სანარმოს მუშაობის შეფერხების გამო).³⁸

გ. ხელშეკრულების მხარეების ინტერესების შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

- 17 ხელშეკრულების მხარეების ინტერესების შეფასებისას გამართლებული შედეგის მისაღებად საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რომელმა მათგანმა დაარღვია ვალდებულება, რომელიც შემდგომში ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი გახდა. ზოგადად, შემთავაზებლის მიერ გამონვეული გარემოება ან გარემოება, რომელიც მისი რისკის სფეროში ექცევა, როგორც წესი, არ შეძლება გახდეს მისივე მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. **მაგ.**, ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულება, რომელიც შემთავაზებელს მის სანარმოს

33 BGH BB 1983, 524.

34 BGH NJW 2001, 298.

35 BGH NJW 1985, 2271.

36 BGH ZIP 1985, 1204.

37 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 308, Rn. 5.

38 BGH NJW 1983, 1321.

გაფიცვისას უფლებას აძლევს, უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე.³⁹ ასეთი დებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება ბათილი, თუ შემთავაზებელი მასში დააკონკრეტებს, რომ ხანმოკლე გაფიცვა არ აძლევს მას უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე,⁴⁰ ისევე, როგორც სანარმოს მუშაობის ხანმოკლე შეფერხება.⁴¹ ასევე გაუმართლებელია უარი ავიამომსახურების განწევაზე იმ საკრედიტო ბარათის წარუდგენლობის გამო, რომლის მეშვეობითაც მოხდა ბილეთის დაჯავშნა.⁴²

თუ ვალდებულების დარღვევისათვის შემთავაზებელს ეკისრება **პასუხისმგებლობა**, მაშინ ეს არ შეიძლება გახდეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის მიზეზი.⁴³ ამ შემთხვევაში სტანდარტული პირობის მოცემული დებულება შეუსაბამოა 405 III გ) მუხლში დაფიქსირებულ სახელმძღვანელო პრინციპთან და მის მიზანთან. ბათილია, მაგ., როგორც ზემოთ აღინიშნა, ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულება, რომლის მიხედვითაც გამყიდველი არ აკონკრეტებს, რომ პროდუქტის მიწოდების შეფერხება, თუ ის ხანმოკლე ხასიათს ატარებს, არ იძლევა ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს და არც განსაზღვრავს, რომ, როდესაც მას ამ შეფერხებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, ის არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან. თუ ვალდებულების დამრღვევი შემთავაზებლის კონტრაჰენცია, მაშინ სტანდარტული პირობების შემთავაზებელს უფრო მარტივად შეუძლია თქვას უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ამ დროს შემთავაზებელს, 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისაგან დამოუკიდებლად, სტანდარტული დათქმის საფუძველზე შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ ამ ვალდებულების დარღვევა იმდენად მძიმეა, რომ შეუძლებელი ხდება ხელშეკრულების მიზნის მიღწევა და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა მისგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა.⁴⁴

ხანგრძლივი ან პერიოდული ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთათვისაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ვადის დაცვით ხელშეკრულების მოშლის უფლება, 347 გ) მუხლი არ გამოიყენება. მენარმეთა შორის ხელშეკრულებების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის „გამართლებულ“ საფუძველს ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები წაეყენება (გადამწყვეტია სავაჭრო ჩვეულება);⁴⁵ უარის საფუძველები შესაძლებელია, ზოგადად იყოს ფორმულირებული.⁴⁶

39 BGH NJW 1985, 857.

40 OLG Koblenz NJW-RR 1989, 1460.

41 BGH NJW 1983, 1321.

42 OLG Frankfurt a. M. NJW-RR 2012, 51.

43 BGHZ 178, 236.

44 BGHZ 11, 84.

45 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 308, Rn. 5.

46 BGH NJW 1985, 738; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 308, Rn. 30.

4. ცვლილებების შეტანის პირობა (347 დ)

ა. დანაწესის მიზანი

20 ნორმის მიზანია, დაიცვას კლიენტი სტანდარტული პირობების ისეთი დებულებებისაგან, რომლებიც მისთვის არანაკლებ ზიანის მომტანია, ვიდრე ის შემთხვევა, როდესაც შემთავაზებელს შეუძლია, გაუმართლებლად თქვას უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. როდესაც შემთავაზებელი მთლიანად უარს ამბობს ვალდებულების შესრულებაზე, ხელშეკრულების მეორე მხარე თავადაც თავისუფლდება საპასუხო შესრულებისაგან; ხოლო როდესაც შემთავაზებელი უფლებას იტოვებს ცალმხრივად შეცვალოს ან გადაუხვიოს შეპირებულ სამუშაოს, მისი ვალდებულება შესრულებულად ითვლება და ხელშეკრულების მეორე მხარეც ვალდებულია შეასრულოს. ამით სტანდარტული პირობების შემთავაზებელს ექნებოდა შესაძლებლობა, ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულების ნაწილი გახდა, მოგვიანებით ცალმხრივად ამოეშალა ხელშეკრულებიდან. ამ დათქმის მეშვეობით შესაძლებელია, გაყიდული ნივთი ან შესრულებული სამუშაო აღარ ჩაითვალოს ნაკლულად და ხელშეკრულების მეორე მხარეს ჩამოერთვას, მაგ., 490-ე და მომდევნო (ან 644-ე და მომდევნო) მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.⁴⁷

ბ. ცვლილებების შეტანის მიუღებლობა მეორე მხარისათვის

21 ამგვარი შეცვლა ან გადახვევა უნდა იყოს **მიუღებელი** ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

22 მიუღებელია თუ არა ამ ტიპის სტანდარტული დებულება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. ხელშეკრულების მეორე მხარისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ამგვარი დებულება მისაღები, თუ მისთვის შეცვლილი შესრულება ისედაც მისაღები იქნებოდა 8 III მუხლის მიხედვით. მიუღებელია, მაგ., დებულება, რომლის მიხედვითაც მობილური კავშირგაბმულობის კომპანია იტოვებს უფლებას, ტექნიკური ანდა სხვა სანარმო მიზეზების გამო შეუცვალოს მომხმარებელს გაცემული ნომერი. მისაღებია, მაგ., დებულება, რომლის მიხედვითაც ავეჯის ხელით დამზადების შემთხვევაში, სტანდარტული პირობების შემთავაზებელი საღებავის ფერის მცირედი ცვლილების უფლებას იტოვებს, რაც განპირობებულია გამოყენებული მასალის თვისებებით და ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკაა. სამუშაოს შემსრულებლისთვის ამ ტიპის გადახვევის თავიდან აცილება შეუძლებელია და დებულებაც საკმარისად ნათლადაა განსაზღვრული.⁴⁸

23 თუმცა უმეტეს შემთხვევაში ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი (8 III) გამოუსადეგარია 347 დ) მუხლში მოცემული საკმაოდ არაფრისმთქმელი „მიუღებლობის“ ცნების დასაკონკრეტებლად. ამ დროს გადაამწყვეტი ხდება **კონკრეტული ხელშეკრულების მიზანი**, კერძოდ კი, მისი მიღწევის უზრუნველყოფა და თუ რამდენად არის შესაძლებელი, ამ

47 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 308, Rn. 6.

48 *BGH NJW*, 1987, 1886.

წინასწარ მოხაზულ ჩარჩოებში შემთავაზებლის ინტერესმა ცვლილება-სთან დაკავშირებით გადანონოს კლიენტის ინტერესი თავდაპირველად შეთანხმებული შესრულების მიღების მიმართ. დაუშვებელია, მაგ.: პროცენტის ცალმხრივი ცვლილება ხანგრძლივი ანაზრის შემთხვევაში⁴⁹ – ეს დათქმა არანამდვილია და წარმოშობილი ვაკუუმის აღმოსაფხვრელად გამოიყენება ხელშეკრულების შემავსებელი განმარტება (და არა 325-ე მუხლი).⁵⁰ შეპირებული შესრულების ცვლილების საფუძველი და მოცულობა წინასწარ უნდა იყოს განჭვრეტადი⁵¹ და ცვლილებისათვის უნდა არსებობდეს საპატიო საფუძველი.⁵² ბათილია დათქმა, რომლითაც ავიაკომპანია ზოგადად იტოვებს უფლებას, სხვა კომპანიების ან სხვა საფრენი საშუალებების მეშვეობით განახორციელოს შესრულება, ან შეცვალოს გადაჯდომის პუნქტები საავიანაზო მიმოსვლისას.⁵³ ასევე არანამდვილია დათქმა, რომლითაც ავიაკომპანია იტოვებს ფრენის ზუსტი გრაფიკის დადგენის შესაძლებლობას, წინასწარ სავარაუდო გრაფიკის მითითების გარეშე;⁵⁴ ავტორემონტის ფარგლების განვრცობა არაუმნიშვნელო მოცულობით;⁵⁵ ავტომობილის „შემდგომი მოდელის“ მიწოდების უფლების დატოვება;⁵⁶ სატელეკომუნიკაციო კომპანიის მხრიდან ტელეარხების პაკეტის ცალმხრივად შეცვლის უფლება⁵⁷ და იმავე ლირებულების ნივთის ჩანაცვლების უფლება დისტანციური ვაჭრობისას;⁵⁸ საავადმყოფოს მთავარი ექიმის მიერ განსახორციელებელი მომსახურების შემთხვევაში, მისი სხვა ექიმით შეცვლის დათქმა, რომელიც მოიცავს მთავარი ექიმის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის წინასწარ განჭვრეტად შემთხვევასაც.⁵⁹ **მენარმეთა** შორის ურთიერთობაში მოქმედებს იდენტური წესები.⁶⁰ არანამდვილია, შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში ხელფასზე ზეტარიფული დანამატის შეუზღუდავი გამოხმობის უფლება;⁶¹ ამის საპირისპიროდ, დასაშვებია დათქმა, რომელიც დამსაქმებელს საახალწლო ჯილდო-საზღაურის ცალმხრივად განსაზღვრის უფლებას ანიჭებს;⁶² არანამდვილია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სამსახურის ავტომატური პირადი სარგებლობისათვის გამოყენების უფლების გამომხმობა.⁶³

49 BGH WM 2017, 808, პროცენტის ცვლილების დათქმა უნდა იძლეოდეს მისი წინასწარ გამოანგარიშების შესაძლებლობას.

50 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 308, Rn. 6.

51 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl. 2018, § 308, Rn. 6.

52 BGH NJW 2005, 3421.

53 BGH NJW 1983, 1324; OLG Köln WRP 2004, 124.

54 BGH NJW 2014, 1170.

55 BGHZ 101, 311.

56 OLG Koblenz, ZIP 1981, 509.

57 BGH NJW 2008, 360.

58 BGH NJW 2005, 3569.

59 BGH NJW 2008, 987.

60 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 308, Rn. 6.

61 BAG NJW 2005, 1820.

62 BAG NJW 2013, 1020; აქ სახეზე არ არის არც სიცხადის პრინციპის დარღვევა, მაშინაც კი, როდესაც ჯილდო-საზღაური „ნებაყოფლობით შესრულებად“ მოიხსენიება (BAG NJW 2013, 3051).

63 BAG NZA 2007, 809.

5. განეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (347 ე)

- 24 ბათილია სტანდარტული პირობის ის დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას ანიჭებს, ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს განეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება. 347 ე) მუხლის მნიშვნელობა საკმაოდ ბუნდოვანია. ცალსახაა, რომ ის არ ეხება ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც სახელშეკრულებო შესრულება (ფასი), რადგან ამით ის გადაიკვეთებოდა 348 ა) მუხლის მოქმედების სფეროსთან. ყველაზე სავარაუდოა ამ დანაწესის განმარტება გსკ-ის 308 № 7 პარაგრაფის დარად (საიდანაც არის კიდევ გადმოღებული):
- 25 *[დაუშვებელია] პირობა, რომლის თანახმადაც მოსარგებლეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე უარის აცხადებს ხელშეკრულებაზე ან წყვეტს მას, შეუძლია მოითხოვოს შეუსაბამოდ მაღალი საზღაური ნივთით ან უფლებით სარგებლობისათვის ან განეული მომსახურებისათვის ან შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება განეული ხარჯებისათვის.*
- 26 ამგვარად, დანაწესის გამოყენების წინაპირობაა, ხარჯების ანაზღაურების დათქმა ხელშეკრულებიდან **გასვლის**, მისი **მომლის** ან **შეცილების**, ანუ მისი უკუქცევის ურთიერთობად გარდაქმნის შემთხვევაში. **ხარჯების ანაზღაურების ცნება** მოიცავს ნებისმიერი ტიპის ანაზღაურებას, დამოუკიდებლად ფორმულირებისა (მაგ.: შეწყვეტის, სტორნირების, ანულირების და ა.შ. საზღაური, ისევე როგორც „ანაზღაურება განეული მომსახურებისათვის“).⁶⁴ **შეუსაბამოდ მაღალია** თუ არა განეული ხარჯების ანაზღაურება, შეგვიძლია განვსაზღვროთ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რისი ანაზღაურება მოუწევდა ხელშეკრულების მეორე მხარეს სტანდარტული პირობის არარსებობის შემთხვევაში. ასევე გასათვალისწინებელია მსგავსი შემთხვევებისთვის პრაქტიკაში მიღებული ხარჯების ანაზღაურების რაოდენობა. მაგ., თუ პირობა მოიცავს მენარმის მიერ მისაღებ სავარაუდო მოგებას, ის, ჩვეულებრივ, დასაშვებია.⁶⁵ თუმცა ამასთან დაუშვებელია კლიენტისათვის **იმ ფაქტის მტკიცების** შესაძლებლობის წართმევა, რომ ასანაზღაურებელი ხარჯის მყარად დადგენილი ოდენობა, რაც, ზოგადად, დასაშვები იქნებოდა, ამ შემთხვევაში შეუსაბამოა⁶⁶ (გამყიდველი ვერ მოახერხებდა მოცემული ავტომობილის ისე სარფიანად გაყიდვას, როგორც იმავე მოდელის სხვა ავტომანქანებისას, რადგან ბაზარზე უკვე ახალი მოდელი გამოჩნდა).⁶⁷ დანაწესი შესაბამისად მოქმედებს **მენარმეთა შორის** ურთიერთობაში.⁶⁸

64 OLG Hamm NJW 1974, 1951.

65 BGH NJW 1983, 1489; BGH NJW 1983, 1492.

66 BGH NJW 1997, 260.

67 BGH NJW-RR 1998, 594.

68 BGH DB 2005, 827

მუხლი 348. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის სხვა საფუძვლები

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამენარმეო საქმიანობას, აგრეთვე მიიჩნევა ბათილად:

ა. დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში (ფასების მოკლევადიანი მომატება);

ბ. დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება:

შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს ამ კანონის თანახმად აქვს,

ან

ხელშეკრულების მხარის უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება (შესრულებაზე უარის თქმის უფლება);

გ. დებულება, რომლითაც ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის უფლება)

დ. დებულება, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, რომ ხელშეკრულების მხარე გააფრთხილოს ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად (გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა)

ე. შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა);

ვ. დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამონვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო);

ზ. დებულება, რომლითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას:

ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე,

ან

ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (ძირითადი ვალდებულების შესრულების დარღვევა);

თ. დებულება, რომელიც შემთავაზებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელ-

შეკრულების შეუსრულებლობისათვის ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივ შესრულებისადმი (ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას);

ი. დებულებები, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული წესები-საგან განსხვავებით, ზღუდავენ ახალწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულების შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.

I. ზოგადი დებულებები	256
II. გამოყენების წინაპირობები	257
1. ფასების მოკლევადიანი მომატება (348 ა).....	257
2. შესრულებაზე უარის თქმის უფლება (348 ბ)	258
3. ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის (გაქვითვის) აკრძალვა (348 გ)	259
4. გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა (348 დ)	260
5. ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა (348 ე).....	260
6. პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო (348 ვ).....	261
7. ძირითადი ვალდებულების დარღვევა (348 ზ).....	263
ა. ძირითადი ვალდებულება	263
ბ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა (348 ზ), ვარ. 1)	264
8. ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას (348 თ)	265
9. პასუხისმგებლობა ნაკლისათვის (348 ი).....	266
ა. ფუნქცია	266
ბ. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, მათ შორის მესამე პირზე მითითებით	267
გ. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრა დამატებითი შესრულებით	269
დ. დამატებითი შესრულების ხარჯების გადაკისრება	269
ე. ნაკლის გამოსწორების დაყოვნება მთლიანი ფასის გადახდამდე	269
ვ. ნაკლის შესახებ გაცხადებისა და ხანდაზმულობის ვადები	269

I. ზოგადი დებულებები

- 1 348-ე მუხლი ავსებს 347-ე მუხლით განსაზღვრული ბათილი დებულებების კატალოგს, თუმცა 347-ე მუხლში დაფიქსირებული ბათილობის საფუძვლებისაგან განსხვავებით, აქ მოცემული ე.წ. „აკრძალული დათქმები ძალაში დატოვების პერსპექტივის გარეშე“ (იხ. მუხ. 347-ე, მე-2 ველი), ნიშნავს იმას, რომ 348-ე მუხლში ჩამოთვლილი სტანდარტული პირობები პირდაპირ ბათილია, ყოველგვარი შეფასებითი მსჯელობის გარეშე.
- 2 **გამოყენების სფეროსთან** დაკავშირებით იხ. მუხ. 346, მე-6 ველი; 346-ე და 347-ე მუხლებთან მიმართებასთან დაკავშირებით მუხ. 346, მე-4 და მომდევნო ველი და მუხ. 347, მე-2 ველი.

სტანდარტული პირობის **ბათილობის შედეგებთან** დაკავშირებით იხ. 3
მუხ. 344, 21-ე და მომდევნო ველები.

II. გამოყენების წინაპირობები

1. ფასების მოკლევადიანი მომატება (348 ა)

ამ ნორმის მიზანია, დაიცვას კლიენტი ფასის გაუმართლებელი მა- 4
ტებისაგან, რომლის დროსაც ირღვევა ეკვივალენტურობა მხარეთა ვა-
ლდებულებებს შორის. ჩვეულებრივ, დაუშვებელია, რომ ცალმხრივად
შეიცვალოს ფასი, რომელზეც მხარეები თავდაპირველად ერთობლივად
შეთანხმდნენ. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა
ბაზრის სხვა მონაწილეთათვის მსგავსი პროდუქციის ფასების შედარება.
შესაბამისად, ეს ნორმა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასაც ემსა-
ხურება. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული (იხ. მუხ. 346, მე-9 ველი), პირ-
ველადი შეთანხმება ფასზე 346-348 მუხლების მიხედვით კონტროლს არ
ექვემდებარება. 348 ა) მუხლში საუბარია მხოლოდ უკვე შეთანხმებული
ფასის ცალმხრივ ცვლილებაზე. **ფასის** დაუშვებელი **ცვლილება** სახეზეა
ყოველთვის, როდესაც კლიენტმა უნდა გადაიხადოს სხვა (უფრო მაღალი)
ფასი, ვიდრე ეს ხელშეკრულების დადების მომენტში იყო გათვალისწინე-
ბული. ამის მაგალითია: მცოცავი ფასი, საშემოსავლო გადასახადის,¹ ისე-
ვე როგორ დღგ-ისა² და მოგზაურების მომწყობის მიერ მგზავრობის ტა-
რიფების ზრდის კლიენტისათვის გადაკისრება;³ დაუშვებელია ასევე ე.წ.
„აქტიუალური ფასის“ დათქმა – „ნასყიდობის ფასი განისაზღვრება მინო-
დების დღისათვის მოქმედი საბაზრო ფასის მიხედვით“.⁴ ფასის ზრდად არ
ჩაითვლება, თუ კლიენტმა რეალური (და, შესაძლებელია, დადების შემ-
დგომ გაზრდილი) დამატებითი ხარჯები, მაგ., შეფუთვა ან ტრანსპორტი,
როგორც ასეთი, საკუთარ თავზე უნდა აიღოს.⁵

ფასის ზრდა არ უნდა მოხდეს **გაუმართლებლად მოკლე ვადაში**. ის 5
ფაქტი, არის თუ არა ფასი მომატებული გაუმართლებლად ხანმოკლე
პერიოდში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შე-
ფასდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, გრძელვადიანია თუ არა
მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა. გრძელვადიან ვალდებულებით
ურთიერთობებში, ბაზარზე პროდუქციის ფასებისა და ზოგადად ტრან-
საქციების ღირებულების ცვალებადობის გათვალისწინებით, სტანდარ-
ტული პირობის დებულებით ფასის მომატება უფრო მეტად არის ხოლმე
გამართლებული, ვიდრე მოკლევადიან და ერთჯერად ვალდებულებით
ურთიერთობებში. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობისას გა-
სათვალისწინებელია ის გარემოება, იყო თუ არა ფასის ზრდა გამონვე-
ული საერთო საბაზრო ეკონომიკური პირობებით, თუ შემთავაზებლის

1 BGH NJW 1985, 856.

2 BGHZ 77, 79.

3 OLG Frankfurt a. M. NJW 1982, 2198.

4 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 2.

5 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 2.

თვითნებური გადაწყვეტილება იყო. სტანდარტული პირობების მოკლევადიანი ფასების ზრდის დებულების ბათილობის შემთხვევაში ძალაში რჩება სანყისი ფასი, რადგან სხვა შემთხვევაში უსამართლო შედეგს მივიღებდით: შემთავაზებელს შეეძლებოდა, ფასის გაზრდით პრაქტიკულად უარი ეთქვა საკუთარი ვალდებულების შესრულებაზე და, იმავდროულად, აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი დარჩება მეორე მხარის ნდობა, რომელიც დაედო საფუძვლად მის მიერ ხელშეკრულების დადებას. გერმანელი კანონმდებელი შესაბამის დანაწესში (გსკ-ის 309 № 1 პარაგრაფი) ფასის ცალმხრივ ცვლილებას კრძალავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების განხორციელება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებიდან **ოთხი თვის** განმავლობაში. ამ ვადის გამოყენება საქართველოშიც დასაშვებია წყალგამყოფად „გაუმართლებლად მოკლე ვადაში“ ცვლილებასა და სხვა შემთხვევებს შორის. თუ რა ვადა დათქმული შესრულებისათვის, შესაბამისი ცალსახა დათქმის არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების განმარტებით უნდა დადგინდეს (52).

- 6 როგორც ზემოთ აღინიშნა, 348 ა) მუხლში დაფიქსირებული წესი არ მოქმედებს **გრძელვადიანი ურთიერთობების** (იხ. 399) შემთხვევაში, რის ქვეშაც მოიაზრება ასევე პერიოდული ურთიერთობები და ე.წ. თანდათანობით მიწოდების ხელშეკრულებები.⁶ აქ, ზოგადად, დასაშვებია შესაბამის საბაზრო ფასთან მისადაგების დათქმა, რამდენადაც კანონი ამის შესაძლებლობას ითვალისწინებს. იხ. 346-ე მუხლთან შესაბამისობასთან დაკავშირებით მუხ. 346, მე-15 და მე-17 ველები.
- 7 **მენარმეთა შორის** ხელშეკრულებებში ზემოთ მოყვანილი პრინციპების ავტომატურად გადაღება შეუძლებელია; აქ გავრცელებული და დასაშვებია შესაბამის დღგ-სთან მისადაგება.⁷

2. შესრულებაზე უარის თქმის უფლება (348 ბ)

- 8 348 ბ) მუხლის თანახმად, ბათილია პირობა, რომლითაც შემთავაზებელი კლიენტს უზღუდავს შესრულებაზე უარისა და შესრულების დაკავების უფლებას. დანაწესის მიზანია, დაიცვას კლიენტი და ბათილად ცნოს სტანდარტული პირობის ისეთი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება და არ ითვალისწინებს 369-ე მუხლში განერილ პრინციპს – პირს, რომელსაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე აკისრია ვალდებულება, როგორც წესი, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე – და ასევე ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან (8 III) წარმომდგარ წესს, რომლის მიხედვითაც მხარეს შეიძლება ჰქონდეს დაკავების უფლება ერთი და იმავე საფუძვლიდან წარმოშობილი ორი ურთიერთდაპირისპირებული (მაგრამ არასინალაგმატური) მოთხოვნის უფლების შემთხვევაში.⁸ ამგვარად, ეს დანაწესი

6 BGH NJW-RR 1986, 212.

7 Hilber, Preis Anpassungsklauseln im unternehmerischen Verkehr - Rechtliche Grenzen und Möglichkeiten, BB 2011, S. 2691.

8 გსკ-ის 273-ე პარაგრაფის შესატყვისი დანაწესის არარსებობის გამო, ეს წესი ქართულ სამართალში 8 III მუხლს უნდა დაეფუძნოს.

ზემოთ აღწერილ წესებს აცხადებს იმპერატიულ დანაწესებად, რომლის შეცვლაც სტანდარტული პირობების საფუძველზე შეუძლებელია. 348 ბ) მუხლის მოქმედება ამოიწურება მხოლოდ ამ ზემოაღწერილი პრინციპით – თუ სტანდარტულ პირობაში კეთდება წინასწარი შესრულების დათქმა, მისი ნამდვილობა უნდა გადამოწმდეს არა 348 ბ) მუხლის, არამედ 347-ე მუხლის საზომით. გარდა ამისა, დასაშვებია სტანდარტული პირობით იმ საპირისპირო მოთხოვნის რეგულირება, რომელზეც ზემოთ ნახსენები დაკავების უფლება არ ვრცელდება.⁹ **მენარმეთა შორის ურთიერთობაში**, ზოგადად, დასაშვებია სტანდარტულ პირობებში დაკავების უფლებაზე უარის თქმა;¹⁰ რა თქმა უნდა, აქაც არსებობს ამ უარზე მითითების ზღვარი, მაგ., კონტრაჰენტს ყოველთვის აქვს დაკავების უფლება, თუ საქმე ეხება არასადავო და კანონიერ ძალაში შესულ საპირისპირო მოთხოვნის უფლებას.¹¹

3. ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის (გაქვითვის) აკრძალვა (348 გ)

ამ ნორმის მიზანია, დაიცვას კლიენტი და მისცეს მას კონტრაჰენტის მიმართ არსებული საპირისპირო სამართლებრივი პოზიციების სრულად გამოყენების შესაძლებლობა.¹² ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, ბათილია სტანდარტული პირობების მხოლოდ ის დებულება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს უკრძალავს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის გაქვითვას. უდავოა მოთხოვნა, როდესაც მეორე მხარე ეჭვქვეშ არ აყენებს არც მის საფუძველს და არც მის ოდენობას.¹³

გაქვითვის უფლების აკრძალვა (მათ შორის კონკლუდენტურიც, როგორცაა ნაღდი ანგარიშსწორების დათქმა) შეიძლება კლიენტს მნიშვნელოვან ტვირთად ექცეს, რადგან ამცირებს მის მაღალლიკვიდურ რესურსს და აიძულებს, საკუთარი მოთხოვნის განსახორციელებლად სასამართლოს მიმართოს, ამ ნამოწყებასთან დაკავშირებული მთელი თავისი რისკებით.¹⁴ 348 გ) მუხლის გაგებით, ასევე გაქვითვის აკრძალვად ითვლება მისი შემთავაზებლის თანხმობაზე დამოკიდებულად ქცევა.¹⁵ განსხვავებით შესრულებაზე უარისა და დაკავების უფლების გამორიცხვისაგან (348 ბ) გაქვითვის აკრძალვა არ არის ზოგადად გამორიცხული.¹⁶ დასაშვებია, მაგ., წერილობითი ფორმის მოთხოვნა გაქვითვის გაცხადებისათვის.¹⁷ 348 გ) მუხლის მოთხოვნის დარღვევაა სახეზე, როდესაც

9 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 3.

10 BGHZ 115, 327.

11 BGHZ 92, 316; BGH NJW 2011, 514.

12 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 348, გვ. 206.

13 BGH NJW 1978, 2244.

14 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 4.

15 BGH NJW 2007, 3421.

16 იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც არ არის მოცული 348 გ) მუხლით, ძალაში რჩება 346-ე მუხლი.

17 BGH NJW 1995, 254.

დათქმის შედეგად კონტრაჰენტს ურთულდება გაქვითვა,¹⁸ ან პირიქით, შემთავაზებელს უადვილდება ამის გაკეთება.¹⁹ გაქვითვის გამორიცხვა 443-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ექცევა გ) ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში და მისი დასაშვებობა 346-ე მუხლის საფუძველზე უნდა გადამოწმდეს.²⁰

- 11 348 გ) მუხლი შესაბამისად ვრცელდება **მენარმეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებზეც.**²¹ მაგ., სანარმოო ფართის ქირავნობისას, თუ გამქირავებელი მხოლოდ „ქირავნობიდან“ წარმომდგარი უდავო და კანონიერ ძალაში შესული მოთხოვნით გაქვითვას ითვალისწინებს, სახეზეა მეორე მხარის დაუშვებელი დაზიანება (346).²²

4. გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა (348 დ)

- 12 ბათილია სტანდარტული პირობის დებულება, რომელიც, მაგ., ათავისუფლებს შემთავაზებელს გაფრთხილების (400 ბ) ან 394 II, 405 I | 1 მუხლებში განწერილი დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულებისაგან. კანონის ეს მოთხოვნა იცავს მოვალეს. მოვალეს ბოლოჯერ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, რათა თავიდან აირიდოს სამართლებრივი შედეგები, რაც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგებოდა. სტანდარტული პირობების დებულება, რომელიც ათავისუფლებს შემთავაზებელს გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის განსაზღვრის მოვალეობისაგან, არ იქნება ბათილი იმ შემთხვევაში, როდესაც გაფრთხილება და დამატებითი ვადის განსაზღვრა ისედაც ზედმეტი იქნებოდა (394 III; 405 II ა).²³ დაუშვებელია ამ აკრძალვის გვერდის ავლა ფორმალურად დასაშვები სტანდარტული პირობის მეშვეობით. დანაწესის გავრცელება შეიძლება ასევე **მენარმეთა** შორის ურთიერთობაზეც.²⁴

5. ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა (348 ე)

- 13 ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომ სტანდარტული პირობების დებულებით შემთავაზებელმა მეორე მხარისაგან მოითხოვოს გარკვეული მყარი თანხა ვალდებულების დარღვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურების სახით. ამით შემთავაზებელს ეძლევა შესაძლებლობა, თავი აარიდოს პრაქტიკაში რთულად განსაზღვრად რეალურად დამდგარი ზიანის ოდენობის მტკიცებას.²⁵ სტანდარტული პირობების დებულებით დანესებული ზიანის ოდენობა არ უნდა იყოს გადამეტებული.

18 OLG Celle NJW-RR 1998, 586.

19 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 4.

20 OLG Hamm NJW-RR 1993, 1082; OLG Nürnberg WM 2016, 2300.

21 BGH NJW 1994, 658; NJW 2007, 3421; BGHZ 92, 312.

22 BGH NZM 2016, 585.

23 თუმცა ასეთი პირობაც 346-ე მუხლით დადგენილ ჩარჩოებში უნდა დარჩეს, BGH NJW 1995, 1488.

24 BGHZ 110, 97; OLG Karlsruhe NJW-RR 1989, 331; OLG Köln NJW 1991, 301.

25 BGHZ 85, 305, 313.

შემთავაზებელმა მყარი თანხის სახით არ უნდა დათქვას მხოლოდ აბსოლუტურ გამოწვევას შემთხვევაში რეალიზებადი მაქსიმალური ზიანი.²⁶ შემთავაზებელს ანეკს ზიანის ანაზღაურების შესაბამისობის (არაგადამეტებულობის) მტკიცების ტვირთი. დაუშვებელია, მაგალითად: ზიანის მყარი ოდენობის დათქმა ყველა ტიპის ვადის გადაცილებისათვის;²⁷ ავეჯით ვაჭრობისას კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში სანყობში შენახვის ხარჯების ავეჯის ფასზე მიბმა;²⁸ მომსახურების ხარჯები დებიტის გაუნაღებლობისათვის, როდესაც ის მოიცავს ასევე მოთხოვნის განხორციელების ხარჯებს;²⁹ დახარჯული დროიდან და ხარჯებიდან გამომდინარე, **დასაშვებია** გაფრთხილების ხარჯების მოთხოვნა 40 ლარამდე ოდენობით;³⁰ ნარდობისას მთლიანი (სახლის) საფასურის 5 %, თუ შემკვეთი ხელშეკრულებას მშენებლობის დაწყებამდე მოშლის;³¹ საფასურის 15 % ახალი მანქანის³² ნასყიდობისას და 20 % მეორადი მანქანის³³ ნასყიდობისას; 30 % ავეჯის ტრანსპორტირების პირობით ნასყიდობისას;³⁴ სესხის 3 % -იანი თანხის არგამოტანისას.³⁵

სტანდარტული პირობები მეორე მხარეს ცალსახად უნდა ანიჭებდეს იმის მტკიცების საშუალებას, რომ შემთავაზებელმა რეალურად გაცილებით უფრო ნაკლები (ან საერთოდ არანაირი) ზიანი ნახა.³⁶ მენარმეთა შორის ურთიერთობაში საპირისპიროს მტკიცების უფლების გაცხადებულად მინიჭება არ არის აუცილებელი. აუცილებელია მხოლოდ, რომ ის არ იყოს გამორიცხული.³⁷ 14

გადამეტებულად, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება იმ თანხის მოთხოვნა, რომელიც ისედაც ანაზღაურდებოდა კანონის საფუძველზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გადამეტებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დამატებითი პოზიციები ემატება. სტანდარტულ პირობებში განვიხილოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ უნდა აჭარბებდეს მსგავსი შემთხვევებისათვის დადგენილი ზიანის ოდენობას. 15

6. პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო (348 ვ)

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სტანდარტული პირობების შემთავაზებელს სურს, გამორიცხოს კლიენტის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა. მაგ., აეროპორტის შემნახველი საკნის კარებზე განთავსებულია წარწერა: „საკანში შესანახად ჩაბარებულ საგნებზე შემნახველი საკ- 16

26 BGH NJW-RR 2015, 690, მაგალითად, ჩიპიანი სამაჯურის დაკარგვა აუზის შემთხვევაში.

27 OLG Düsseldorf WM 1985, 770; BGH NJW 1988, 1968: მყარი პროცენტები ვადის გადაცილებისათვის; BGH NJW 2003, 1802.

28 OLG Karlsruhe BB 1981, 1168.

29 BGH NJW 2009, 3570.

30 შდრ. BGH NJW 1985, 324 – გერმანიაში: 15 ევრო.

31 BGH NJW 1985, 632.

32 BGH NJW 2012, 3230.

33 LG Oldenburg BB 1998, 1280; სხვა გადაწყვეტილებაში (BGH NJW 2010, 2122) – 10 %.

34 OLG Frankfurt a. M. NJW 1982, 2564.

35 BGH WM 1990, 9.

36 BGH WM 2010, 1330; *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 6.

37 BGH NJW 1994, 1068.

ნის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს“; ან ავტომანქანების სამრეცხაოს შესასვლელთან გამოკრულია სტანდარტული პირობა – „ავტოსამრეცხაო პასუხს არ აგებს რეცხვისას ავტომანქანის ცალკეული ნაწილების დაზიანებისათვის“.³⁸ 348 ვ) მუხლის მიხედვით, ასეთი სტანდარტული პირობები ითვლება ბათილად და შემთავაზებელმა მაინც უნდა აგოს პასუხი მომხმარებლის წინაშე.

17 დანაწესის **საგნობრივი** გამოყენების სფეროა ყველა ტიპის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც წარმოდგება: ხელშეკრულებიდან (316 II, 394) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სიკეთის დაზიანება ნაკლით არის გამოწვეული; წინა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან (317 II); დელიქტური მოთხოვნები, ჩვეულებრივ, მოცული არ არის პასუხისმგებლობის გამორიცხვით, თუმცა, თუ სტანდარტული პირობა გამონაკლისის სახით მათაც ეხება, 348 ვ) მუხლი აქაც ძალაში რჩება.³⁹ დანაწესი მოქმედების სფერო არ არის შემოსაზღვრული ზიანის ფორმების მიხედვით (მაგ.: აბსოლუტური სიკეთის დაზიანება ან „სუფთა“ სახით ქონებრივი ზიანი და ა. შ.). პასუხისმგებლობის შეზღუდვად ითვლება ანაზღაურებადი ზიანის თანობრივი შემოსაზღვრა ან მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შემოკლება,⁴⁰ ისევე, როგორც შემთავაზებლის სუბსიდიარული პასუხისმგებლობის დათქმა – შემთავაზებლისათვის მოთხოვნის წაყენება შესაძლებელია მხოლოდ მესამე პირისაგან (მაგ., მზღვეველი ან მიმწოდებელი) დაკმაყოფილების უშედეგო მცდელობის შემდეგ.⁴¹ ასევე ბათილია სტანდარტული პირობების ის დებულება, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას ზიანისათვის, რომელიც შემთავაზებლის წარმომადგენლის მიერაა მიყენებული (396).

18 348 ვ) მუხლის მიხედვით, ბათილია სტანდარტული პირობების მხოლოდ ის დათქმა, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას **უხეში გაუფრთხილებლობით** ვალდებულების დარღვევის გამო. ამის საპირისპიროდ, თუ საქმე ეხება შემთავაზებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვას განზრახ მიყენებული ზიანისათვის, პირობა თავისთავად არის ბათილი 395 II მუხლის მიხედვით. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გამორიცხვას მარტივი გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევისათვის, ეს დათქმა არ არის მოცული 348 ვ) მუხლით, თუმცა შეიძლება გაბათილდეს, თუ იგი **ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ** საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (346).⁴²

19 ასევე **მენარმეთა შორის ურთიერთობაშიც** დაუშვებელია პირადად ან საკუთარი მუშაკის⁴³ მიერ ბრალეულად (უხეში გაუფრთხილებლობით) მი-

38 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 348, გვ. 209.

39 *Wurmnest*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 309, Rn. 8.

40 BGHZ 170, 31; BGH NJW 2014, 211; ეს წესი მოქმედებს ასევე მენარმეთა შორის ურთიერთობაშიც BGH NJW 2015, 2244.

41 BGH NJW 2010, 1278.

42 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 9.

43 BGH WM 1989, 855.

ყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლება,⁴⁴ თუმცა ეს გადაწყვეტა გამომდინარეობს არა 348 ვ) მუხლიდან, არამედ 346-ე მუხლიდან.

ნაკლოვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვას ანეს-რიგებს 348 ი) მუხლი, იხ. ქვემოთ 30-ე და მომდევნო ველები 20

ძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ 22-ე და მომდევნო ველები. 21

7. ძირითადი ვალდებულების დარღვევა (348 ზ)

348 ვ) მუხლიდან, რომელიც უხეში გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ეხება, უკუდასკვნით არ გამომდინარეობს, რომ უხეში გაუფრთხილებლობის თამასამდე პასუხისმგებლობის გამორიცხვა თავისუფლად არის დასაშვები ან ზოგადად შესაძლებელი.⁴⁵ ამას ნათელყოფს 348 ზ) მუხლი.⁴⁶ 348 ზ) მუხლის მიხედვით, ბათილია სტანდარტული პირობის ის დებულება, რომელიც, მიუხედავად შემთავაზებლის ძირითადი ვალდებულების დარღვევისა, ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს ან უზღუდავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ა. ძირითადი ვალდებულება

ძირითადი ვალდებულება (ასევე კარდინალური ვალდებულება) გულისხმობს ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე ვალდებულებას, რომელთა შეზღუდვა-გამორიცხვით საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.⁴⁷ საორიენტაციო მასშტაბისაა სინალაგმატურ დამოკიდებულებაში მყოფი ვალდებულებები.⁴⁸ 23

მაგ., დროული შესრულება ყოველთვის არის ძირითადი ვალდებულება და დაუშვებელია ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა უხეში გაუფრთხილებლობის თამასამდე.⁴⁹ **სამედიცინო სტაციონარში მოთავსების ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მიზანი არის პაციენტის მოვლა-მკურნალობა, რის გამოც შემთავაზებელს არ შეუძლია აირიდოს პასუხისმგებლობა სამედიცინო დასუფთავებისათვის** 24

44 BGH NJW 1974, 900; BGH NJW-RR 2015, 738; BGH NJW 2007, 759; BGH NJW 2007, 3774.

45 შდრ. ამ მიმართულებით BGH NJW 1993, 335; BGH MDR 1998, 1403.

46 თუმცა 348 ზ) მუხლი ნამდვილად ვერ ჩაითვლება ნათლად და ცალსახად ფორმულირებულად, განსაკუთრებით მეორე ნაწილში: „...ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება“. ამ ფორმულირების სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ 348 ზ) მუხლის მიხედვით პირობა ბათილია, თუ ის ეწინააღმდეგება 348 ვ) მუხლს, რაც ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ამიტომაც ერთდერთი ლოგიკური განმარტება ამ დანაწესისა შეიძლება შემდეგი იყოს: ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა, რომელიც დასაშვები იქნებოდა 348 ვ) მუხლის მიხედვით, არანამდვილი იქნება „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ის ეხება ე. წ. ძირითად ვალდებულებას.

47 BGH NJW 1968, 1567; BGH NJW 1990, 764; BGH NJW-RR 2005, 1496; BGH ZIP 2002, 222; BGH NJW 1988, 1785; BGH NJW 1984, 1350.

48 BGH MDR 2002, 330; BGH 1996, 675; BGH NJW 1994, 1060.

49 BGH NJW 1994, 1063; BGH NJW-RR 2003, 1056.

(დეზინფექციისა და სტერილიზაციისათვის).⁵⁰ ამის საპირისპიროდ, დასაშვებია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება პაციენტის დაკარგული და დაზიანებული ნივთებისათვის, რადგან მათთვის ყურადღების მიქცევა არ არის ხელშეკრულების მიზანი.⁵¹ **ქირავნობის ხელშეკრულების** შემთხვევაში გამქირავებლის ძირითადი ვალდებულებაა ნივთის სარგებლობისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში შენარჩუნება (და არა ზოგადი ზრუნვის ვალდებულება),⁵² რომლის შევსებაც ხდება ქირის შემცირებისა (536) და ვადის გადაცილების გამო პასუხისმგებლობით (537 II), თუმცა არ შეიძლება ჩანაცვლდეს მისით.⁵³ გამქირავებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დათქმა ნივთის ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულებისაგან საფრთხეს უქმნის ხელშეკრულების მიზანს ბინის ქირავნობისას, რადგან მოიცავს დამქირავებლის ნივთებისა და სხვა მონყობილობების დაზიანებას, რასაც ის წინასწარ ვერ განჭვრეტს და ვერ აიცილებს მას თავიდან დაზღვევის ან თვითდაზიანების უფლების მეშვეობით.⁵⁴ **ონლაინსერვისის** შემთავაზებელი წარმოუშობს კლიენტს ნდობას, რომ მომსახურება ხელმისაწვდომია ოცდაოთხი საათის განმავლობაში.⁵⁵ მას არ შეუძლია აირიდოს პასუხისმგებლობა ყველა ტექნიკური თუ სანარმოს მიზეზებით გამოწვეული დროებითი შეფერხებისათვის.⁵⁶

25 348 ზ) მუხლი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო, ანუ როდესაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს მეორე მხარისათვის **ნაკლიანი** ნივთის გადაცემაში. მართალია, 487-ე და 639-ე მუხლების მიხედვით, უნაკლო ნივთის გადაცემა მოვალის ძირითადი ვალდებულებაა, თუმცა ნივთის ნაკლის გამო სტანდარტული პირობების დებულებით შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას ეხება არა 348 ზ) მუხლი, არამედ უფრო **სპეციალური 348 ი)** მუხლი (იხ. ქვემოთ, 30-ე და მომდევნო ველები).

ბ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა (348 ზ), ვარ. 1)

26 348 ზ) მუხლი, ძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების გამორიცხვასთან ერთად (348 ზ), ვარ. 2) დაუშვებლად მიიჩნევს ასევე ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამორიცხვას (348 ზ), ვარ. 1). ეს დანაწესიც მოიცავს ვალდებულების ბრალეული დარღვევის იმ შემთხვევებს, რომლებიც, იმავდროულად, არ წარმოადგენს ნაკლოვან შესრულებას (405, 405 II-ისა და 316 II მუხლების ურთიერთკავშირი, 406, 394 II-III, 394 II-III-ისა და 316 II მუხლების ურთიერთკავშირი, 399); მოცულია ასევე შესრულების გართულების შემთხვევები, მაგ.: უფლების გამოძრი-

50 BGH NJW 1990, 765.
 51 BGH NJW 1990, 764.
 52 BGH NZM 2013, 191.
 53 BGH NJW 2002, 673, შდრ. ამის საპირისპიროდ OLG Koblenz MDR 1999, 1375.
 54 ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაზღვევისას, ჩვეულებრივ, ქირავნობის საგნის დაზიანება, რომელიც ხელს უშლის მისით სარგებლობას, დამქირავებლის ძალაუფლების სფეროდან უნდა მომდინარეობდეს (BGH MDR 2002, 330).
 55 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 309 Nr. 7, Rn. 27.
 56 BGH NJW 2001, 751.

ცხავი და კანონით გაუთვალისწინებელი დამატებითი ვადების შემოტანა, პირგასამტეხლოს გადახდა, პასუხისმგებლობის მასშტაბის შერბილება (მაგ., მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისათვის)⁵⁷ და ა. შ. 348 ზ), ვარ. 1 მუხლში დაფიქსირებული პრინციპი შესაბამისად უნდა იქნეს გადატანილი მენარმეთა შორის ურთიერთობაზეც.⁵⁸

8. ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას (348 თ)

ამ ნორმის მიხედვით, ბათილია დებულება, რომელიც შემთავაზებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე ართმევს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი, ანუ „**მთლიანი უფლების**“⁵⁹ დაკარგვა **ნაწილობრივი შესრულების** შემთხვევაში. 394 II მუხლის მიხედვით, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, თუ მას აღარ აქვს ინტერესი განეული შესრულების მიმართ. აქვე, რა თქმა უნდა, სახეზე უნდა იყოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სხვა წინაპირობები: მოთხოვნის ვადამოსულობა და დამატებითი ვადის უშუალოდ ამონურვა. ამავე წინაპირობების არსებობისას კრედიტორს უფლება აქვს, 405 I 1, 3 მუხლის მიხედვით გავიდეხ ხელშეკრულებიდან. ამგვარად, ნაწილობრივი შესრულებისას კრედიტორის ხელთ არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტები არ არის შემოსაზღვრული შესრულების დარჩენილი (განუხორციელებელი) წილისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და არც მხოლოდ ამ განუხორციელებელი შესრულების ნაწილში ხელშეკრულებიდან გასვლით. ამ პრინციპს ეწინააღმდეგება, მაგ., დათქმა, რომელსაც ავეჯით მოვაჭრე საკუთარ კლიენტს სთავაზობს: „გამყიდველისათვის მიმწოდებლის მხრიდან ნივთის მიუწოდებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს უფლება აქვს, გავიდეხ ხელშეკრულებიდან მხოლოდ ჯერ კიდევ მისაწოდებელი ნივთების ნაწილში“.⁶⁰ ამ დათქმიდან გამომდინარეობს, რომ გამყიდველის მხრიდან ნაწილობრივი შეუსრულებლობისას კლიენტის უფლება ამოიწურება მხოლოდ დარჩენილი ნაწილის ფარგლებში ხელშეკრულებიდან გასვლით. ამავე ტიპის არანამდვილი პირობის მაგალითია: „დასაშვებია ნაწილობრივი შესრულება და წილობრივი ანგარიშსწორება“.⁶¹ ეს დათქმა გერმანულმა სასამართლომ⁶² ბათილად მიიჩნია იმ საბაბით, რომ ის გამორიცხავდა მეორე მხარის უფლებას, არასრული შესრულებისას დაეკავებინა საფასური (369) მანამ, სანამ მოვალე მთლიან შესრულებას არ განახორციელებდა. ამგვარი განმარტებით მოცემული პირობა ბათილია 348 ზ), ვარ. 2 მუხლის მიხედვით. თუმცა დათქმა იძლევა სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებასაც, კერძოდ, მის საფუძველზე შემთავაზებელს შეუძლია განახორცი-

27

57 *Becker*, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 309 Nr. 8, Rn. 13.

58 BGH NJW-RR 2003, 1060; BGH NJW 1986, 3134.

59 *Schwab*, AGB-Recht, 2. Aufl., 2014, Rn. 842.

60 BGH NJW 1983, 1320.

61 *Schwab*, AGB-Recht, 2. Aufl., 2014, Rn. 843.

62 KG GRUR-RR 2008, 308; Westphalen, AGB-Recht im Jahr 2008, NJW 2009, S. 2359.

ელოს ნაწილობრივი შესრულება და მიიღოს ამისთვის ანაზღაურება მაშინაც კი, როდესაც ის შეუძლებლობის გამო თავისუფლდება დანარჩენი ნაწილის შესრულების ვალდებულებისაგან, ან, ვადის დათქმის მიუხედავად, არ ახორციელებს მას, ამასთან, პასუხს აგებს შესრულების შემთხვევებზე გარემოებაზე და მეორე მხარეს არ აქვს ნაწილობრივი შესრულების მიმართ ინტერესი.⁶³ ამგვარი განმარტების თანახმად, პირობა მეორე მხარეს უზღუდავს უფლებას, 405 | 3 მუხლის თანახმად გავიდეს მთლიანი ხელშეკრულებიდან და ამიტომაც დამატებით არანამდვილია ასევე 348 თ) მუხლის მიხედვით.⁶⁴

ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებასთან დაკავშირებით იხ. 405 | 3 მუხლის კომენტარი.

- 28 ხელშეკრულების მეორე მხარეს, იმავდროულად, უნდა დაეკარგოს **ინტერესი** ნაწილობრივი შესრულებისადმი. იმის დადგენა, დაკარგულია თუ არა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი, უნდა მოხდეს ცალკეული შემთხვევის შეფასებით. ინტერესის დაკარგვა, როგორც წესი, სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე შემთავაზებლის მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულებით ვერ აღწევს ხელშეკრულებით დასახულ მიზანს. ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესის დაკარგვასთან გვაქვს საქმე, როდესაც კომპიუტერების გამქირავებელი დამქირავებელს დათქმულ დროს კომპიუტერთან ერთად მონიტორს არ გადასცემს (იხ. 405 | 3 მუხლის კომენტარი).

9. პასუხისმგებლობა ნაკლისათვის (348 ი)

- 29 ეს დანაწესი ეხება ნაკლოვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვას და გამოიყენება მხოლოდ **ახალწარმოებული საქონლის** მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას.

ა. ფუნქცია

- 30 348 ი) მუხლი, რომელიც არის შინაარსის კონტროლის ცენტრალური დანაწესი, კრძალავს კლიენტისათვის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარი უფლებების ჩამორთმევას და ამგვარად გარიგების ფარგლებში არსებული ეკვივალენტური მიმართების შერყევას.⁶⁵ აქაც გადამწყვეტია კანონისმიერ პარადიგმასთან შეუსაბამობის პრინციპი (346, იხ. მუხ. 346, 31-ე ველი), განსაკუთრებით მენარმეთა შორის ურთიერთობაში.
- 31 დანაწესი ეხება, პირველ რიგში, ნაკლოვანი ნივთის **მიწოდებას**, ანუ ნასყიდობის (629 II მუხლის ჩათვლით), გაცვლისა და ჩუქების შემთხვევებს. სარგებლობის მიმნიჭებელი ხელშეკრულებები (ქირავნობა, ლიზინგი) ამ დანაწესით მოცული არ არის.⁶⁶ „სამუშაოების შესრულების შედეგად“ ნივთის შექმნის ხელშეკრულებაში მოიაზრება ნარდობა. 348 ი) მუხლი გამოიყენება მხოლოდ **ახალწარმოებული** ნივთების შემთხვევა-

63 Schwab, AGB-Recht, 2. Aufl., 2014, Rn. 846.

64 იქვე.

65 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 11.

66 იქვე.

ში. ახალნარმოებულად ითვლება ნივთი, რომელიც სანყოფში დიდი ხნის დების გარეშე (ხანმოკლე გამოსაცდელი ექსპლუატაცია უმნიშვნელოა), ფაქტობრივად, გამოუყენებელია⁶⁷ (ასეთად აღარ ითვლება, მაგ., სადემონსტრაციო ავტომობილი⁶⁸). **ნივთებს** განეკუთვნება ასევე მცენარეული პროდუქტები; დანაწესი ცხოველებზე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გასხვისება ხდება გაჩენიდან მოკლე პერიოდში.⁶⁹

მეორადი ნივთების გაყიდვისას ნაკლისათვის შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა უნდა გადამონმდეს მხოლოდ 346-ე მუხლის მასშტაბით. 32

შესაძლებელია ამ დანაწესში მოცემული (და ქვემოთ დაკონკრეტებული) პრინციპების შესაბამისად გამოყენება **მენარმეთა** შორის ურთიერთობაზეც.⁷⁰ 33

ბ. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, მათ შორის მესამე პირზე მითითებით

348 ი) მუხლი ბათილად ცნობს პირობას, რომელიც „კანონით გათვალისწინებული წესების“ საწინააღმდეგოდ ზღუდავს ნაკლისთვის პასუხისმგებლობას. ეს ფორმულირება დამატებით **განმარტებას** საჭიროებს და არ გულისხმობს უკლებლივ ყველა დათქმის ბათილობას, რაც კლიენტს ნაკლთან დაკავშირებულ რაიმე უფლებას ართმევს. ბათილია შეზღუდვა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონისმიერ პარადიგმასთან (მდრ. მუხ. 346 31-ე ველი), უფრო ზუსტად კი ჩაშლით ემუქრება იმ კანონისმიერი ინსტიტუტების მიზანს, რომლებიც ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობას აწესრიგებენ. მაგ., **ნარდობის ხელშეკრულების** მთავარი ნიშანია ის გარემოება, რომ შეპირებული საზღაურის გადახდა ხდება განეული შრომის შედეგის მიხედვით. ამგვარად, მხოლოდ მენარდის შეუზღუდავი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ნაკლის თანმდევი ზიანისათვის⁷¹ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ჯეროვან განხორციელებას.⁷² შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დასკვნის შესრულებისას ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების გამორიცხვა, შეუცნობელი, დაფარული ან სხვაგვარი ნაკლისათვის, დამოუკიდებლად ბრალის ხარისხისა, არის ძირითადი ვალდებულების დაუშვებელი შეზღუდვა და, ამგვარად, არანამდვილია.⁷³ 34

67 BGHZ WM 85, 1146.

68 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 12.

69 BGH NJW-RR 1986, 52.

70 მდრ. BGH NJW-RR 1993, 561; BGH NJW 1990, 856.

71 ნაკლის თანმდევი ზიანისაგან – რომელსაც იწვევს ნაკლოვანი ნივთის შემკვეთის სხვა სიკეთეებზე – უნდა გაიმიჯნოს (უშუალოდ) ნაკლით გამოწვეული ზიანი, რომელიც უშუალოდ ნარდობის საგანზე წარმოიშვება (მაგ. ნაკლოვანი ნივთის ღირებულების შემცირება ან მისი განადგურება ამ ნაკლის გამო) და რომლისთვისაც პასუხისმგებლობის გამორიცხვაც გარკვეული წინაპირობების შემთხვევაში დასაშვებია (Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 309 Nr. 7, Rn. 25).

72 Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 309 Nr. 7, Rn. 25.

73 BGH NJW 2002, 749.

- 35 ამ განმარტების თანახმად, დანანესი, პირველ რიგში, კრძალავს ნაკლთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შედეგი ტიპის შეზღუდვას:
- 36 1. დაუშვებელია 488-ე და მომდევნო და 644-ე დ მომდევნო მუხლების მიხედვით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის **სრულად გამორიცხვა** მთლიანი ნივთისა თუ მისი ცალკეული ნაწილებისათვის (მაგ.: საბურავები მანქანის შემთხვევაში, საკუთვნებელი).⁷⁴ კლიენტს სულ მცირე ერთი სამართლებრივი პოზიცია მაინც უნდა დარჩეს (მაგ., დამატებითი შესრულების მოთხოვნა).⁷⁵ პირობადებული გამორიცხვაც, მაგ., მესამე პირის მხრიდან ჩარევის შემთხვევაში, ამ დანანესის მოქმედების სფეროში ექცევა.⁷⁶ დათქმა, რომლის მიხედვითაც ნასყიდობის საგანი იყიდება იმ მდგომარეობაში, „როგორშიც იმყოფებოდა დათვალთქმებისას“, გამორიცხავს ნაკლისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ თვალში მოსახვედრი (ჩვეულებრივად: მხოლოდ ვიზუალურად აღქმადი) ნაკლისათვის.⁷⁷
- 37 2. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა და მის სანაცვლოდ **მესამე პირის** (მაგ.: მიმწოდებელი, მწარმოებელი) **მიმართ მოთხოვნების დათმობა**, მართალია, კონტრაჰენტს ზოგადად უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, თუმცა აკისრებს მას ცალკეულ შემთხვევაში მისთვის უცნობ პირთან დავის წარმოების აუცილებლობას. შესაბამისად, ამგვარი რეგულაციაც დაუშვებელია (დასაშვებია, მაგ., ლიზინგის შემთხვევაში, რომელზეც ეს დანანესი არ გამოიყენება).⁷⁸
- 38 3. შემთავაზებელს უფლება აქვს, სტანდარტულ პირობებში მხოლოდ **სუბსიდიარული პირადი პასუხისმგებლობა** გაითვალისწინოს, თუმცა ის არ უნდა მოიცავდეს მესამე პირის მიმართ სარჩელის აღძვრის აუცილებლობას.⁷⁹ ანუ კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს უფლება, მესამე პირისაგან შესრულების უშედეგოდ მოთხოვნისა და შესაბამისი ვადის ამონაწერის შემდეგ უშუალოდ შემთავაზებელს აგებინოს პასუხი. ასევე დაუშვებელია, რომ შემთავაზებელი მხოლოდ მესამე პირის გაკოტრების შემთხვევაში აგებდეს პირადად პასუხს.⁸⁰

74 BGH NJW 2007, 3275.

75 BGH NJW-RR 1990, 1141.

76 OLG Hamm NJW-RR 2000, 1224.

77 BGH 2016, 2495.

78 BGHZ 109, 143.

79 BGH NJW 1998, 904.

80 OLG Düsseldorf NJW-RR 1997, 660.

გ. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრა დამატებითი შესრულებით

ნაკლისათვის პასუხისმგებლობის მხოლოდ დამატებითი შესრულებით 39 (ნაკლის გამოსწორება და ნაკლოვანის უნაკლოთი ჩანაცვლება) შემოფარგვლა დაუშვებელია.⁸¹ ფასის შემცირებისა და გასვლის უფლება კლიენტს უნდა ჰქონდეს ყოველთვის, როდესაც ნაკლი გამოუსწორებელია ან მეორე მხარე უსაფუძვლოდ ამბობს უარს მის გამოსწორებაზე.⁸²

დ. დამატებითი შესრულების ხარჯების გადაკისრება

შემთავაზებელს არ აქვს უფლება, სტანდარტული პირობების სა- 40 ფუძველზე კლიენტს გადააკისროს ის ხარჯები, რომლებიც 490 II მუხლის მიხედვით თავად უნდა გასწიოს.⁸³

ე. ნაკლის გამოსწორების დაყოვნება მთლიანი ფასის გადახდამდე

დაუშვებელია მთლიანი ფასის გადახდამდე ნაკლის გამოსწორების და- 41 ყოვნების დათქმა. შემთავაზებელს ზოგადად უფლება აქვს, დააკისროს კლიენტს წინასწარი შესრულების ვალდებულება, (348 ბ) მუხლი ამას არ გამორიცხავს). თუმცა, თუ კლიენტს ეს წინასწარი შესრულების ვალდებულება არ აკისრია და, 348 ბ) მუხლის თანახმად, დაცულია ცალმხრივი პასუხისმგებისაგან, მაშინ მას იმ შემთხვევისათვის, როდესაც მეორე მხარისაგან ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა სურს, ზემოთ ხსენებული დათქმის მეშვეობით არ უნდა დაეკისროს, ფაქტობრივად, ისევე წინასწარი შესრულების ვალდებულება.⁸⁴

ვ. ნაკლის შესახებ გაცხადებისა და ხანდაზმულობის ვადები

შემთავაზებელს არ აქვს უფლება, სტანდარტულ პირობებში გაითვალისწინოს კანონით დადგენილზე (მაგ., 663 I) უფრო ხანმოკლე ვადები 42 ნაკლის შესახებ პრეტენზიის წარდგენისათვის,⁸⁵ ისევე, როგორც შეამციროს ხანდაზმულობის ვადა, გადმოწიოს მისი დაწყების მომენტი ან მოდიფიცირება გაუკეთოს მისი შეწყვეტისა და შეჩერების განმაპირობებელ გარემოებებს.⁸⁶

81 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 11.

82 BGH NJW 1998, 678.

83 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 14.

84 BGHZ 48, 268.

85 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 309, Rn. 16.

86 BGH NJW 2016, 1572; BGH NJW 2016, 2878; BGH NJW 1992, 2759; BGH NJW 1992, 1236.

თავი მეოთხე

**მესამე პირთა სასარგებლოდ
დადებული ხელშეკრულება**

მუხლი 349. ცნება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

I. ზოგადი დებულებები	271
1. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სუბიექტები	272
2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმა.....	272
3. მესამე პირის საზიანოდ ხელშეკრულების დადების დაუშვებლობა	272
II. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმები.....	272
1. სრული ხელშეკრულება მესამე პირთა სასარგებლოდ.....	273
2. არასრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ	273
III. გამიჯვნა სხვა მსგავსი ურთიერთობისაგან	273
1. განკარგვითი გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ	273
2. მესამე პირის სასარგებლოდ მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა	274
3. ხელშეკრულება მესამე პირის საზიანოდ	274
IV. სრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ.....	274
1. ზოგადი.....	274
ა. სამართლებრივი ბუნება	274
ბ. მონაწილეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები	275
2. წინაპირობები	276
3. სამართლებრივი შედეგები.....	277
ა. მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობა	277
ა.ა პირველადი მოთხოვნა.....	277
ბ.ბ მეორეული მოთხოვნები	277
ბ. ხელშეკრულების მხარეთა მდგომარეობა.....	278
ა.ა შეპირების მიმღები	278
ბ.ბ შემპირებელი.....	278
ა.ა.ა დასაშვები შესაგებლები	279
ბ.ბ.ბ დაუშვებელი შესაგებლები	279
V. ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით.....	280
1. ზოგადი.....	280

2. სამართლებრივი საფუძველი.....280
 3. დამცავი ეფექტი.....280
 4. სამართლებრივი შედეგები.....282
 5. ცალკეული შემთხვევები282

I. ზოგადი დებულებები

ჩვეულებრივ, ხელშეკრულება ორ (ან რამდენიმე) მხარეს შორის იდება და უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ მის მონაწილეებს წარმოუშობს.¹ 349-ე მუხლი ამ მხარეებს უფლებას ანიჭებს, დადონ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ. მაგ., თუ მყიდველს სურს, საკუთარ ძმას უყიდოს მანქანა, ამისთვის მას შეუძლია თავად დადოს ნასყიდობა, თუმცა შეათანხმოს, რომ მანქანა პირდაპირ მის ძმას გადაეცეს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის, ხოლო მყიდველის ძმა იღებს მხოლოდ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარგებელს. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანი შეიძლება იყოს როგორც მოვალის მიერ შესრულების გზის შემოკლება (მაგ., გამყიდველი გაყიდულ ნივთს პირდაპირ მესამე პირს აწვდის, რომელიც, იმავდროულად, მყიდველის კრედიტორია), ან, უბრალოდ, მესამე პირის უზრუნველყოფა გარკვეული ნივთით ან სამუშაოთი.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არის არა ხელშეკრულების კონკრეტული ტიპი, არამედ ყველა ტიპური თუ არატიპური ხელშეკრულების (მაგ.: ნასყიდობა, ქირავნობა, იჯარა, ნარდობა, თავდებობა,² დაზღვევა, ლიზინგი და ა.შ.) დადების შესაძლო ფორმა. სხვა, მხოლოდ ორ მხარეს შორის წარმოშობილი, სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება განსხვავდება **ვალდებულების შესრულების შეცვლილი მიმართულებით**. დასაშვებია მხარეთა შორის შეთანხმებით მესამე პირისათვის მხოლოდ შესაგებლის უფლების მინიჭებაც, მაგ., როდესაც საზოგადოების წევრები დებენ შეთანხმებას საზოგადოების სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც, პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში მან უფრო ნაკლები კომპენსაცია უნდა მიიღოს, ვიდრე ეს წესდებით იყო გათვალისწინებული.³

მესამე პირის მოთხოვნის საფუძველი მევალის მიმართ არასდროს არ წარმოიშობა მხოლოდ 349-ე მუხლიდან, არამედ ხელშეკრულების ტიპიდან გამომდინარე 349-ე და, მაგ., (თუ საქმე გვაქვს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან) 477 I მუხლებიდან.

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 213.

2 BGH WM 2003, 969.

3 BGH DNotZ 2011, 135.

1. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სუბიექტები

- 3 მესამე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. ფიზიკური პირის შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ იგი იყოს ქმედუნარიანი. ხელშეკრულების დადების მომენტში შეიძლება იგი არათუ დაბადებული, არამედ ჩასახულიც კი არ იყოს.⁴ მესამე პირის პიროვნება შეიძლება არც იყოს განსაზღვრული ხელშეკრულების დადების მომენტში; საკმარისია, რომ იგი ამ მომენტისათვის განსაზღვრადი იყოს (იხ. დამატებით 24-ე ველი).⁵

2. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმა

- 4 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, მოითხოვს თუ არა ამ სახის ხელშეკრულებისათვის კანონი სპეციალურ ფორმას (323). მაგ., თუ მესამე პირის სასარგებლოდ დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მან მიწის ნაკვეთზე უნდა მოიპოვოს საკუთრება, მაშინ ეს ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს

3. მესამე პირის საზიანოდ ხელშეკრულების დადების დაუშვებლობა

- 5 ადამიანის (ამ შემთხვევაში მესამე პირთა) კონსტიტუციური უფლებები, როგორებიცაა თვითგამორკვევის/თვითგანსაზღვრისა და მოქმედების თავისუფლების უფლებები, ზღუდავენ სამოქალაქო სამართალში გამყარებულ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს. სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველ პირს თვითონ უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, უნდა თუ არა მას ხელშეკრულების დადებით იკისროს გარკვეული ვალდებულებები.⁶ ამგვარად, ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება, დადონ ისეთი შეთანხმება, რომელიც რაიმე ვალდებულებას დააკისრებს მესამე პირს, ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.⁷

II. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ფორმები

- 6 მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სამი პირია ჩართული: შემპირებელი – მოვალე, მოვალის შეპირების მიმღები – კრედიტორი და მოსარგებლე (ბენეფიციარი) – მესამე პირი,⁸ რომელიც დანარჩენი ორისაგან განსხვავებით არ არის ხელშეკრულების მხარე.⁹

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 214.

5 *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 86.

6 BVerGE 73,270; BGHZ 78, 374.

7 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 220.

8 *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 85.

9 არასწორია მესამე პირის ხელშეკრულების მხარედ ანუ „მეორე პირად“ მოხსენიება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის № ას-274-262-2015 განჩინება; ტერმინო-

იმის გათვალისწინებით, თუ რა უფლებრივი დამოკიდებულება აქვს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიმართ, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ხელშეკრულებები მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნით (ნამდვილი/სრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ) და ხელშეკრულებები მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (არასრული/არანამდვილი ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ).¹⁰

1. სრული ხელშეკრულება მესამე პირთა სასარგებლოდ

სრული/ნამდვილი ხელშეკრულება მესამე პირთა სასარგებლოდ სახეზეა, როდესაც მესამე პირს წარმოეშობა ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შემპირებლის მიმართ. 349-351 მუხლები **ეხება მხოლოდ** სრულ ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ.

2. არასრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ

მესამე პირის სასარგებლოდ **არასრული/არანამდვილი** ხელშეკრულება სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც მოვალე ასრულებს მესამე პირის მიმართ, თუმცა მესამე პირს არ აქვს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანუ მოვალე უფლებამოსილია, შეასრულოს მესამე პირის წინაშე, თუმცა ამ შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ კრედიტორს აქვს.

იხ. სრულის არასრულისაგან **გამიჯვნის** (განმარტების) წესებთან დაკავშირებით მუხ. 350, მე-2 და მომდევნო ველები.

III. გამიჯვნა სხვა მსგავსი ურთიერთობისაგან

1. განკარგვითი გარიგება მესამე პირის სასარგებლოდ

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული განკარგვითი გარიგების დასაშვებობა საკამათოა.¹¹ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **ვალდებულებითი** (მაგ., ვალის პატიება ან მოთხოვნის დათმობა) და **სანივთო** (მაგ., საკუთრების გადაცემა ან იპოთეკის დადგენა) განკარგვითი გარიგებები. გაბატონებული მოსაზრების თანახმად,¹² 349-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებისა და სისტემური ადგილიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი გამოყენება ნებისმიერი ტიპის განმკარგავ გარიგებებზე, რის გამოც ვალის პატიება მოვალის სასარგებლოდ (448) კრედიტორსა და სხვა პირს შორის შეთანხმების საფუძველზე დაუშვებელია,¹³ თუმცა დასაშვებია ვალდებულებითი ძალის მქონე უარი მოვალის სასარგებლოდ.¹⁴

ლოგიურად გაუმართავია ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის № ას-274-262-2015 განჩინება.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 214.

11 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 328, Rn. 4.

12 BGH NJW 1993, 2617.

13 BGHZ 126, 266.

14 BGHZ 126, 265.

- 12 სანინალმდეგო მოსაზრების¹⁵ თანახმად, 349-ე მუხლი განკარგვით გარიგებებზე **ანალოგიით** უნდა გამოვიყენოთ და განკარგვისათვის აუცილებელი შეთანხმება უნდა ჩაანაცვლოს მესამე პირისათვის უფლების მიმნიჭებელმა შეთანხმებამ. ამ გადაწყვეტის თანახმად, ვალდებულებითი განკარგვა მესამე პირის სასარგებლოდ ყოველ მიზეზგარეშე დასაშვებია, ხოლო სანივთო – მხოლოდ მაშინ, როდესაც შემძენის სასარგებლოდ სახეზეა ასევე სხვა დანარჩენი წინაპირობები (მფლობელობის მოპოვება, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, იპოთეკის მონაწილის გადაცემა და ა. შ.).¹⁶

2. მესამე პირის სასარგებლოდ მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა

- 13 მესამე პირის სასარგებლოდ მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელს უშლის ან ზღუდავს მის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას, დამოუკიდებლად 349-ე მუხლისაგან.¹⁷

3. ხელშეკრულება მესამე პირის საზიანოდ

- 14 სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს **ხელშეკრულებას მესამე პირის საზიანოდ**.¹⁸ 349-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება ამ შემთხვევაში გამოირიცხება, რადგან მოვალის ქმედების გარეშე მისთვის სახელშეკრულებო ვალდებულებების დაკისრება მისი თვითგანსაზღვრის უფლების ხელყოფა იქნებოდა.¹⁹ დავალდებულების უფლებამოსილების დაუშვებლობასთან დაკავშირებით იხ. მუხ. 102, მე-17 ველი.

- 15 იხ. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული **სრული** და **არასრული** ხელშეკრულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნასთან დაკავშირებით მუხ. 350, მე-2 და მომდევნო ველები.

- 16 იხ. მესამე პირის მიმართ **დამცავეფექტიანი** ხელშეკრულებისაგან გამიჯვნასთან დაკავშირებით ქვევით, 38-ე ველი.

IV. სრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ

1. ზოგადი

ა. სამართლებრივი ბუნება

- 17 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არის **ვალდებულებითსამართლებრივი** ბუნების მქონე **მავალდებულებელი** ხელშეკრულება, რომელიც განსაკუთრებული მიმართულებით – **მესამე პირის მიმართულებით** – ვითარდება. ის არ არის **სამმხრივი** ხელშეკრულება, რადგან მესამე პირი არ არის ხელშეკრულების მხარე (მე-7 ველი), თუმცა, ამის მიუხედავად, წარმოიშობა სამმხრივი ურთიერთობა (იხ. ქვემოთ).

15 შდრ. Kaduk, Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, FS Larenz 80, 1983, S. 314.

16 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 328, Rn. 6.

17 Gottwald, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 328, Rn. 184; Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 328, Rn. 4.

18 BGH NJW 1995, 3184.

19 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 328, Rn. 7.

ბ. მონაწილეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები

მიუხედავად ამისა, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულების შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ შემდეგი სამართლებრივი ურთიერთობა:

1. ურთიერთობა შემპირებელსა (მოვალეს) და შეპირების მიმღებს (კრედიტორს) შორის (ე.წ. **საპირისპირო შესრულების ურთიერთობა**, სხვაგვარად: პროპორციული ურთიერთობა²⁰) – ეს არის საკუთრივ სახელშეკრულებო ურთიერთობა მესამე პირის სასარგებლოდ და ადგენს როგორც მესამე პირის მიმართ განსახორციელებელი ვალდებულების შინაარსს (316 I), ასევე მის პიროვნებას (შდრ. ქვევით, 24-ე ველი). შემპირებელს შეუძლია, საპირისპირო შესრულების ურთიერთობის **ნაკლზე** მიუთითოს ასევე მესამე პირის წინაშეც. შესრულების განხორციელების შემდეგ უკუქცევა ხდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით კონდიქციურ სამკუთხედში (988-ე მუხლის ანალოგიით, იხ. მუხ. 988, მე-12 ველი), ანუ უკან დაბრუნება ხდება იმ ურთიერთობის ფარგლებში, რომელშიც მოვალემ განახორციელა შესრულება საკუთარი კრედიტორის მიმართ ვალის დაფარვის მიზნით – თუ მოვალე ნივთს აწვდის თავისი კრედიტორის კრედიტორს, კონდიქციური მოთხოვნა მხოლოდ თავისი კრედიტორის მიმართ აქვს.

2. შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის, ე. წ. **გადახდის/გადაცემის ურთიერთობა**²¹ – ეს ურთიერთობა (რომელიც არ არის სავალდებულო, რომ სახელშეკრულებო იყოს) სამართლებრივი საფუძველია მესამე პირის მიმართ შესასრულებლად.²² გადახდის ურთიერთობას შეიძლება წარმოადგენდეს ვალის დაფარვა, ანუ მესამე პირის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულება. გადახდის ურთიერთობის **ნაკლი** არ აისახება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ნამდვილობაზე (525 III); უკუქცევა უნდა მოხდეს შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში. იხ. მუხ. 988, მე-12 ველი.


3. მესამე ურთიერთობა წარმოიშობა **შემპირებელსა და მესამე პირს შორის** – მესამე პირსა და შემსრულებელს შორის ურთიერთობა არ არის ხელშეკრულება,²³ თუმცა ითვლება ხელშეკრულების დარღვევაზე და მყარებულ, ურთიერთობად, რომლიდანაც წარმოდგება ორმხრივი გულისხმიერების ვალდებულებები. მესამე პირის მიერ ვალდებულების დარღვევა აისახება ასევე საპირისპირო შესრულების ურთიერთობაზე (მე-20 ველი).

20 კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 328, ველი 4.

21 გერმანულად *Valutaverhältnis* – „სავალუტო ურთიერთობა“, რადგან „ვალუტა ამ ურთიერთობაში გადაედინება“, ანუ აღნიშნავს იმ საფუძველს, რის გამოც შემპირებელი სწორედ მესამე პირს გადასცემს შეპირებულ საგანს.

22 BGHZ 91, 290.

23 BGHZ 54, 147.



2. წინაპირობები

- 22 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულების შემთხვევაში, მესამე პირი იღებს სრულყოფილ უფლებას, მოსთხოვოს შემპირებელს შეპირების მიმღების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამისათვის, უპირველესად, საჭიროა შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის ძალაში მყოფი ხელშეკრულება. მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადების წინაპირობაა: 1. **ნამდვილი ხელშეკრულების** დადება საპირისპირო ურთიერთობის ფარგლებში (იხ. ზემოთ, მე-20 ველი) მხოლოდ ეს ურთიერთობა (და არა გადახდის ურთიერთობა) არის გადამწყვეტი შესაბამისი ფორმის საკითხისათვის.²⁴
- 23 2. **მესამე პირისათვის უფლების მიმნიჭებელი დაქტმა**, რაც საკუთარ თავში მოიცავს, პირველ რიგში, **მესამე პირის განსაზღვრას**. არ არის აუცილებელი, რომ მესამე პირი სრულად ქმედუნარიანი იყოს ან საერთოდ ჩასახული, საკმარისია მისი განსაზღვრადობა.²⁵ მესამე პირის განმსაზღვრელ კრიტერიუმად დასაშვებია რაიმე ხდომილების არჩევა (მაგ.: ნაკვეთის იმჟამინდელი მფლობელი; შესაბამისი ავიარეისის მგზავრი და ა.შ.).²⁶
- 24 უფლებამოსილი პირის ცალმხრივად განსაზღვრასა და მის გამომხმობასთან დაკავშირებით იხ. 27-ე ველი და 350-ე მუხლის მე-18 და მომდევნო ველები.
- 25 მხარეებს შეუძლიათ დაანესონ **დამატებითი წინაპირობები** მესამე პირის მიერ უფლების მოპოვებისათვის, მაგალითად, განსაზღვრონ დროის მომენტი, როდესაც ხდება ეს მოპოვება, ან გაითვალისწინონ პირობა,

24 BGHZ 54, 147; OLG Nürnberg NJW-RR 1990, 883.

25 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 214; BGHZ 129, 305; BGHZ 93, 274; BGH WM 2008, 491.

26 BGHZ 75, 78.

მხოლოდ, რომლის დადგომის შემთხვევაშიც მოიპოვებს მესამე პირი ამ უფლებას (შდრ. მუხ. 350, მე-12 ველი).²⁷ გარდა ამისა, დასაშვებია დათქმა, რომელიც ხელშეკრულების მხარეებს უფლებას აძლევს, მესამე პირის თანხმობის გარეშე შეცვალონ ან გააუქმონ მინიჭებული უფლება. ამ დათქმის არსებობა განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს.²⁸

3. სამართლებრივი შედეგები

ა. მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობა

ა.ა პირველადი მოთხოვნა

მესამე პირი უშუალოდ მოიპოვებს (პირველად) შესრულების მოთხოვნის უფლებას, მისი მხრიდან რაიმე ქმედების (თანხმობის) განხორციელების გარეშე (თუმცა შდრ. 351).²⁹ უფლება წარმოიშობა **პირველადად** მის ქონებაში, რაც გამორიცხავს კრედიტორის პიროვნების გავლით (ე.წ. გამჭოლი მოპოვება) ამ უფლების მასზე გადასვლას. ამგვარად, მესამე პირი არ არის კრედიტორი სამართალმემკვიდრე. თუ ხელშეკრულებიდან მხარეთა განსხვავებული ნება არ იკითხება, ამ დროს, განმარტების წესის თანახმად,³⁰ შეპირების მიმღებს შესრულების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მესამე პირისა და არა საკუთარი თავის სასარგებლოდ.

ბ.ბ მეორეული მოთხოვნები

მართალია, მესამე პირი მოიპოვებს პირდაპირ მოთხოვნის უფლებას, თუმცა მისი ჯეროვანი განხორციელება შეუძლებელია მესამე პირის გარკვეული მეორეული მოთხოვნებით აღჭურვის გარეშე იმ შემთხვევისათვის, როდესაც შემპირებელი არღვევს ამ პირველადი მოთხოვნის უფლებას.

გერმანული დოქტრინა (რომლის გაზიარებაც ქართულ სამართალშიც უალტერნატივო ჩანს) მესამე პირის მეორეული მოთხოვნების საკითხს შემდეგნაირად წყვეტს: მესამე პირს აქვს ყველა ის მეორეული მოთხოვნა, რომლებიც ეფუძნება მინიჭებული მოთხოვნის ფლობას. მაგ.: შეუძლია გაფრთხილების შემდეგ მოვალე ვადაგადაცილებულად აქციოს (400); მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (404); მოითხოვოს დამატებითი შესრულება (490).³¹ ამისაგან განსხვავებით, მეორეული მოთხოვნები, რომლებიც გარდაქმნიან მხარის სტატუსს, აქვს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს: მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლა (405, 352), თუ განმარტებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.³²

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას (394), გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ხელშეკრულების მხარემ, რადგან ამ მოთხოვნის წარმომშობი თვისების შეთანხმება მხარეებს შორის ხდება.³³

27 BGH NJW-RR 1987, 114.

28 BGH NJW 1986, 1165.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 10 მარტის № 3კ-1492-02 განჩინება.

30 შდრ. გსკ-ის 335-ე პარაგრაფი.

31 *Gottwald*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 335, Rn. 14, 16, 19; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 328, Rn. 5.

32 *Stadler*, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 328, Rn. 16.

33 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 328, Rn. 5.

30 ამ მოსაზრებას უპირისპირდება არაგაბატონებული მოსაზრება,³⁴ რომლის მიხედვითაც მესამე პირს, როგორც შესრულების მიმღებს, აქვს შესრულების ნაკლიდან წარმომდგარი ყველა მეორეული მოთხოვნა, რადგან ზიანიც უშუალოდ მესამე პირს ადგება და თვითონ შეპირების მიმღების სურვილს შეესატყვისება, რომ ამ მესამე პირმა სრული მოცულობით ისარგებლოს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი პირველადი და მეორეული მოთხოვნებით. არსებობს შემარიგებელი მოსაზრებაც,³⁵ რომლის მიხედვითაც, მესამე პირს აქვს შესრულებასთან ერთად ზიანის მოთხოვნის უფლება, ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ შეპირების მიმღების თანხმობით აქვს (იხ. ზიანის ამ ფორმების გამიჯვნასთან დაკავშირებით მუხ. 394, მე-6 ველი). ეს უკანასკნელი მოსაზრება ყველაზე დამაჯერებელია.

31 ერთი მოსაზრების³⁶ თანახმად, ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის შემთხვევაში ასევე მესამე პირსაც აქვს მისი მისადაგების მოთხოვნის უფლება (398 | 1).

ბ. ხელშეკრულების მხარეთა მდგომარეობა

ა.ა შეპირების მიმღები

32 შეპირების მიმღებს აქვს მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების მოთხოვნა. გარდა ამისა, მას აქვს ყველა გარდაქმნილი უფლება, როგორებიცაა: შეცილება, გასვლა, მოშლა, ფასის შემცირება. მესამე პირისათვის გამოუხმობადად მინიჭებული უფლების შემთხვევაში აუცილებელია ასევე მისი თანხმობა,³⁷ გამონაკლისია მხოლოდ შეცილება. ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულების განმარტებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ მისი ბედი მხოლოდ მესამე პირის გადასაწყვეტია, განსაკუთრებით ნაკლის გამო ფასის შემცირებისა და გასვლის შემთხვევაში.³⁸

ბ.ბ შემპირებელი

33 ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობაში შეპირების მიმღებს შეერაცხება მესამე პირის ბრალი 396-ე მუხლის მიხედვით.³⁹ შემპირებლის მოთხოვნები მესამე პირის მიმართ შეიძლება წარმოიშვას გულისხმიერების ვალდებულების დარღვევიდან.⁴⁰

34 იხ. *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 335, Rn. 14, 16, 19.

35 იხ. *Kannowski/Zeller*, *Sekundäransprüche beim Vertrag zu Gunsten Dritter*, JuS 2006, 983 და იქ მითითებული ლიტერატურა.

36 *BGH NJW 1972*, 153, თუმცა საპირისპირო მოსაზრებისათვის შდრ. *Stötter*, *NJW 1972*, 1191.

37 *RGZ 101*, 276; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 77. Aufl., 2017, § 328, Rn. 6.

38 *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 335, Rn. 20.

39 *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 77. Aufl., 2017, § 328, Rn. 7.

40 მაგ. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, *BGH WM 2005*, 244.

ა.ა.ა დასაშვები შესაგებლები

რაც შეეხება შემპირებლის შესაგებლებს მესამე პირის მიმართ, აქ შემდეგი წესი მოქმედებს: ვინაიდან შემპირებლის მიერ მესამე პირის მიმართ შესრულების ვალდებულების კისრება გამომდინარეობს შემპირებლისა და შეპირების მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან, შემპირებელს შეუძლია, მესამე პირის მოთხოვნას დაუპირისპიროს **ყველა** ის შესაგებელი, რომლებიც მასა და შეპირების მიმღებს შორის **ხელშეკრულებიდან** (ანუ საპირისპირო შესრულების ურთიერთობიდან) გამომდინარეობს. მაგ., თუ შემპირებელს შეუძლია, შეპირების მიმღებს მიუთითოს ხელშეკრულების ბათილობაზე, ანალოგიური უფლება მას წარმოეშობა მესამე პირის მიმართაც.⁴¹ შემპირებელს შეუძლია, ასევე, უარი განაცხადოს შესრულებაზე მესამე პირის მიმართ 369-ე მუხლის მიხედვით მანამ, სანამ შეპირების მიმღები ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპასუხო ქმედებას არ განახორციელებს. იგივე წესი ვრცელდება ხანდაზმულობის (128), გარიგების არშედგომის (327), არანამდვილობის (54, 59 I), მისი შემდგომი გაქარწყლებისა თუ შინაარსობრივი ცვლილების (72-ე და მომდევნო, 81, 85, 59 II 1, 398, 399, 405 მუხლები) შესაგებლებზე; საპირისპირო უფლებებზე, მაგ., ზიანის ანაზღაურების საპირისპირო მოთხოვნა (394), შეპირების მიმღების მიმართ შესრულება შემპირებელს არ ათავისუფლებს. საპირისპირო შესრულების ურთიერთობაში ნაკლისას უკუქცევა ხდება კონდიქციის მეშვეობით (იხ. ზემოთ, მე-20 ველი).

ბ.ბ.ბ დაუშვებელი შესაგებლები

ზემოთ ხსენებული საპირისპიროდ შემპირებელი მესამე პირს ვერ წაუყენებს შესაგებლებს, რომლებიც გამომდინარეობს: მესამე პირის უფლების **წარმოშობის შემდეგ** მიღწეული შეთანხმებიდან (მაგ., ვალის გადავადება ან პატიება); **გადახდის ურთიერთობიდან** (იხ. ზემოთ, 21-ე ველი) – თუ გადახდის ურთიერთობის ნაკლი აისახება საპირისპირო შესრულების ურთიერთობაზე (მაგ., გარიგების საფუძვლის დარღვევა⁴²), მოქმედებს 35-ე ველში აღწერილი წესი; წარმოდგება შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის არსებული **სხვა ურთიერთობიდან**. მაგ., შემპირებელს არ შეუძლია, მესამე პირს შესაგებლის სახით დაუპირისპიროს გაქვითვის უფლება (442 I),⁴³ რომელიც აქვს მას შეპირების მიმღების მიმართ, რადგან ეს გაქვითვის უფლება წარმოიშვა მასა და შეპირების მიმღებს შორის არსებული სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან. მესამე პირის მოთხოვნის უფლება და შემპირებლის გაქვითვის უფლება არ არის ერთმანეთთან სამართლებრივ და ფაქტობრივ კავშირში. ამის საპირისპიროდ, შემპირებელს შეუძლია გაქვითოს უშუალოდ მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნით,⁴⁴ თუ ეს გაქვითვა წინააღმდეგობაში არ მოდის ხელშეკრულების მიზანთან.⁴⁵

41 *ჭეჭლაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 88.

42 BGHZ 54, 155.

43 BGH MDR 1961, 481.

44 RGZ 119, 3.

45 *Stadler*, in *Jauernig OK BGB*, 17. Aufl., 2018, § 334, Rn. 6.

36 ეს წესი მოქმედებს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნამდვილი ხელშეკრულების შემთხვევაში. გაბატონებული მოსაზრების⁴⁶ თანახმად, ის უნდა გავრცელდეს ასევე მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიან ხელშეკრულებაზეც. დასაშვებია საპირისპირო წესზე შეთანხმებაც.⁴⁷

V. ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით

1. ზოგადი

37 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული და არასრული ხელშეკრულებისაგან განსხვავდება **ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით**. ამ შემთხვევაში მესამე პირს არ აქვს თავისი დამოუკიდებელი შესრულების მოთხოვნის უფლება და შესრულება საერთოდ არ ხდება მის წინაშე, თუმცა ამის მიუხედავად, ის იმგვარად არის ჩართული ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობაში, რომ მასზე ვრცელდება ის დამცავი (გულისხმიერების) ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება მოვალეს უშუალოდ თავისი კრედიტორის წინაშე.⁴⁸ ამ ვალდებულების დარღვევის შედეგია უშუალოდ მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

38 ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით **უფრო ეფექტურად** იცავს მესამე პირის უფლებებს, ვიდრე ამის მიღწევა დელიქტური მოთხოვნით იქნებოდა შესაძლებელი. ეს, პირველ რიგში, ეხება იმ გარემოებას, რომ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოცულია ასევე ე.წ. „სუფთა სახით“ ქონებრივი ზიანი, რაც დელიქტური მოთხოვნით, ჩვეულებრივ, მოცული არ არის.⁴⁹ გარდა ამისა, დელიქტურ მოთხოვნაზე არ ვრცელდება მტკიცების ტვირთის შეტრიალება 394 I 2 მუხლის მიხედვით.

2. სამართლებრივი საფუძველი

39 მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების ნორმატიული დასაყრდენი თავდაპირველად იყო 349-ე მუხლი, თუმცა მოგვიანებით ეს სამართლებრივი ფიგურა დაემყარა 8 III მუხლზე დაფუძნებულ **სამოსამართლო სამართალშემოქმედებას**⁵⁰ (ალტერნატივის სახით: ხელშეკრულების განვრცობით განმარტებას⁵¹).

3. დამცავი ეფექტი

40 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დამცავეფექტიანი ხელშეკრულების პირველი წინაპირობაა **ვალდებულებითი ურთიერთობა** დამზიანებელსა და კრედიტორს შორის. უმნიშვნელოა, სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობას ეხება საქმე თუ კანონისმიერს. ასევე წინა

46 Stadler, in Jauernig OK BGB, 17. Aufl., 2018, § 334, Rn. 2.

47 BGHZ 93, 275; BGHZ 127, 385; BGH NJW 1998, 1601.

48 BGHZ 66, 56; BGHZ 89, 104; BGHZ 133, 170; BGH NJW 1995, 52.

49 იხ. რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 199 და შემდგომი, 237.

50 Bayer, Vertraglicher Drittschutz, JuS 1996, S. 475.

51 BGHZ 56, 273.

სახელმეკრულებო ურთიერთობას (317 II) შეიძლება ჰქონდეს მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტი.⁵²

მესამე პირის მიმართ **დამცავი ეფექტი** ვალდებულებით ურთიერთობას – იქნება ეს 8 III მუხლზე დაფუძნებული სამართალშემოქმედება თუ ხელმეკრულების შემავსებელი განმარტება – ენიჭება, როცა არსებობს შემდეგი წინაპირობები: 41

1. **„კრედიტორის სიახლოვე“** – მესამე პირს ისევე უნდა ეხებოდეს ხელმეკრულებიდან წარმოშობილი საფრთხეები, როგორც თვითონ კრედიტორს.⁵³ მაგ., ასეთი შემთხვევა გვაქვს სახეზე დამქირავებლის ოჯახის წევრების შემთხვევაში, როდესაც ისინი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ.⁵⁴ იგივე წესი ვრცელდება დამქირავებლის პარტნიორზე⁵⁵ ან მის მოსამსახურეზე.⁵⁶ მესამე პირებზე, რომლებიც მხოლოდ შემთხვევით მოხვდნენ შესრულების „სიახლოვეს“ (მოქმედების სფეროში), ეს დაცვა არ ვრცელდება. 42

2. კრედიტორის **ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით** – კრედიტორს უნდა ჰქონდეს კანონით დაცული/გამართლებული ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით. თუ მხარეებს ამასთან დაკავშირებით არაფერი შეუთანხმებიათ, ეს ინტერესი ხელმეკრულების შემავსებელი განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს; კერძოდ, უნდა მოხდეს თუ არა შესრულების განხორციელებისას მესამე პირების ინტერესების გათვალისწინება.⁵⁷ გამართლებული ინტერესი სახეზეა, თუ კრედიტორი და მესამე პირი ერთმანეთთან ურთიერთზრუნვის ვალდებულებით არიან დაკავშირებული (მაგ.: საოჯახო, შრომითი ან ქირავნობის ურთიერთობა), რომლის ფარგლებშიც კრედიტორი პასუხს აგებს მესამე პირის კეთილდღეობისათვის.⁵⁸ ამ პრინციპის სანინააღმდეგოდ გერმანული სასამართლო უშვებს ასევე ექსპერტის პასუხისმგებლობას მესამე პირის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ საექსპერტო დასკვნის დამკვეთსა და მესამე პირს შეიძლება საპირისპირო ინტერესები ამოძრავებდეთ.⁵⁹ აქ აუცილებელია, რომ დასაცავ პირთა წრე ცალსახად იყოს შემოსაზღვრადი. 43

3. **„შეცნობადობა მოვალისათვის“** – ზემოხსენებული ორი ელემენტი მოვალისათვის უნდა შეცნობადი იყოს, რათა მან ჯეროვნად შეაფასოს რისკები. დამცავი ვალდებულება შემოიფარგლება წინასწარგანჭვრეტადი და ცალსახად გამიჯვნადი პირთა წრით, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ მოვალემ იცოდეს ამ მესამე პირთა ზუსტი რაოდენობა და სახელები. 44

4. მესამე პირი უნდა **საჭიროებდეს დაცვას** – მესამე პირს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმეკრულებო, იმავე შინაარსისა და მოცულობის 45

52 BT-Drucks 14/6040, 163.

53 BGHZ 70, 329; BGH NJW 96, 2928.

54 BGHZ 49, 279.

55 OLG Hamburg NJW-RR 88, 1482.

56 BGHZ 61, 233.

57 BGH NJW 96, 2928.

58 BGHZ 56, 273.

59 მაგ. გამყიდველი შეუკვეთს დასკვნას არქიტექტორს სახლის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც მიენდობა მყიდველი და იყიდის სახლს არარეალურ ფასად.

60 BGH NJW 84, 356; BGH NJW 98, 1062; BGH NJW-RR 03, 1035.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ,⁶¹ რაც მას ექნებოდა მისი ხელშეკრულების დაცვის სფეროში ჩართვის შემთხვევაში.⁶² ამ კრიტერიუმის გამო, მაგ., ქვემოქირავნი არ არის ჩართული მთავარი ქირავნობის ხელშეკრულებით დაცულ სფეროში. უმნიშვნელოა, არის თუ არა სხვა საფუძვლიდან წარმომდგარი მოთხოვნის უფლებები რეალიზებადი. საკუთარი სახელშეკრულებო კონტრაქტის მხრიდან პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და მისი გაკოტრების შემთხვევაშიც კი არ იმსახურებს მესამე პირი დაცვას და ამ საფუძვლით სხვა პირებს შორის არსებული ხელშეკრულების დაცვითი სფეროს მასზე გავრცელებას. საკამათოა და ჯერჯერობით გადაუწყვეტელია საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა ნასყიდობიდან და წარდობიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები თანაზომიერად (ანუ თანაბარი წონის მქონედ, რაც გამორიცხავდა ერთი ხელშეკრულების მხარის მეორე ხელშეკრულებით დაცულ სფეროში მესამე პირად ჩართვას).⁶³

4. სამართლებრივი შედეგები

- 46 მესამე პირს შეუძლია მოითხოვოს **ზიანის ანაზღაურება**, თუ ზემოთ მოყვანილ ელემენტებთან ერთად სახეზეა ზიანის ანაზღაურების **სხვა წინაპირობები** (მაგ., 394). 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება პიროვნული, ქონებრივი და ნივთობრივი ზიანი, ისევე როგორც მორალური ზიანი. კანონის ან გარიგებისმიერი პასუხისმგებლობის შერბილება მოქმედებს ასევე მესამე პირის საზიანოდაც.⁶⁴ 396-ე მუხლის წინაპირობების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მესამე პირის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მცირდება არა მხოლოდ საკუთარი თანაბრალეულობის (415), არამედ ასევე კრედიტორის თანაბრალეულობის შესაბამისად, რადგან დაზარალებულ მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე მეტის მოთხოვნის უფლება, ვიდრე ეს კრედიტორს შეუძლია.⁶⁵

5. ცალკეული შემთხვევები

- 47 ქვემოთ მოყვანილი იქნება დაცულ მესამე პირთა (არაამომწურავი) წრე ცალკეული ხელშეკრულებების მაგალითზე.
- 48 **საცხოვრებელი ფართის ქირავნობა.** ჩართულია: დამქირავებლის ოჯახის წევრები,⁶⁶ ასევე, ჩვეულებრივ, მისი პარტნიორი,⁶⁷ მოსამსახურე,⁶⁸ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირები,⁶⁹ არაკომერციული იურიდიული პირის წევრები, თუ დამქირავებელს ეს იურიდიული პირი წარმოადგენს;⁷⁰ ჩართული არ არიან: სტუმრები და ბინაში შემთხვევით მოხვედრილი პი-

61 BGH NJW 2004, 3632.

62 BGHZ 70, 330; BGH NJW 96, 2929.

63 შდრ. ამის საწინააღმდეგოდ BGH NJW 93, 656.

64 BGHZ 56, 272.

65 BGHZ 33, 250.

66 BGHZ 77, 124.

67 OLG Hamburg NJW-RR 1988, 1482, თუმცა ეს, საბოლოო ჯამში, საკამათოა.

68 BGHZ 61, 233.

69 BGHZ 71, 179.

70 BGH NJW 1965, 1757.

რები,⁷¹ მიმნოდებელი/კურიერი, თანადამქირავებელი⁷² და ქვემოქირავნე (იხ. ზემოთ, 46-ე ველი).

სანარმო ფართის ქირავნობა. ჩართულია: დამქირავებლის მიერ და- 49
საქმებული პირები;⁷³ იმ ნივთების მესაკუთრეები, რომლებიც დანიშნუ-
ლებისამებრ აღმოჩნდა დაქირავებულ ფართში, მაგ., სანყობში პირობა-
დებული საკუთრების დათქმით მოთავსებული ნივთის მესაკუთრე;⁷⁴ არ
არის ჩართული: ქვემოქირავნე.⁷⁵

ტექნიკის ქირავნობა. ჩართულია: დამქირავებლის ასისტენტები, მათ 50
შორის დამოუკიდებელი მენარმეც დანიშნულებისამებრ გამოყენების შემ-
თხვევაში.⁷⁶

ტრანსპორტირების ხელშეკრულება. ჩართულია: მგზავრის თანმხლე- 51
ბი პირები, განსაკუთრებით, დამგზავრებული ახლობელი;⁷⁷ ტურისტული
მომსახურების ხელშეკრულებისას – თანამგზავრი, რომელიც ტურისტის
ოჯახის წევრია.⁷⁸

მკურნალობისა და სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებები. 52
ჩართულია: განსაკუთრებული ბავშვი⁷⁹ და მისი მეურვე,⁸⁰ ჩანასახი მშო-
ბიარობისას,⁸¹ ქმარი ცოლის მკურნალობისას,⁸² ასევე (დედის არასწორი
მკურნალობის შედეგად) დაზიანებული ბავშვი;⁸³ არ არის ჩართული: საა-
ვადმყოფოში გაყოლილი პირი.⁸⁴

მომსახურების ხელშეკრულება. ჩართულია: ოჯახის წევრები, მაგ., 53
შვილები⁸⁵ და მომსახურე პირის დამსაქმებელი;⁸⁶ საადვოკატო მომსახუ-
რების ხელშეკრულებისას ცალკეულ შემთხვევაში (საკმაოდ იშვიათად)
კლიენტის შვილები;⁸⁷ დამქირავებელთა დაცვის გაერთიანების შემთხვე-
ვაში ამ გაერთიანების წევრები;⁸⁸ არ არიან ჩართული: კლიენტის წარმომა-
დგენელი საადვოკატო მომსახურებისას, საგადასახადო ან ეკონომიკური
საკონსულტაციო მომსახურებისას ცალკეულ შემთხვევებში დამვალე-

71 BGHZ 2, 97.

72 BGH NJW 1969, 41.

73 BGHZ 61, 234.

74 BGHZ 49, 355; BGH NJW 2009, 143; BGH NJW 1985, 489; BGH WM 1988, 1382.

75 BGHZ 70, 327.

76 BGHZ 49, 281; BGH NJW 1976, 1843.

77 RGZ 87, 65; RGZ 149, 6; BGHZ 24, 327.

78 BGHZ 108, 57.

79 BGHZ 106, 162.

80 BGHZ 96, 368.

81 BGH NJW 1971, 242.

82 BGHZ 86, 249; BGHZ 89, 98; BGHZ 96, 368.

83 BGHZ 86, 253.

84 BGHZ 2, 94.

85 BGH NJW 1975, 868.

86 BGHZ 26, 371.

87 BGH NJW 1995, 52; Zugehör, Berufliche „Dritthaftung“, NJW 2000, S.1603.

88 OLG Düsseldorf MDR 2009, 1016.

ბელი საზოგადოების ცალკეული პარტნიორები;⁸⁹ არ არის ჩართული: შპს-სა და ბანკს შორის დადებული სესხის შემთხვევაში – შპს-ის პარტნიორი.⁹⁰

54 **ნარდობის ხელშეკრულება. მენარდის ვალდებულების დაცვითი სფერო** – ჩართულია: შემკვეთის ახლობლები⁹¹ და მისი დასაქმებული;⁹² გადასამუშავებელი მასალის მესაკუთრე (თუ ის და შემკვეთი სხვადასხვა პირია),⁹³ ასევე, მაგ., პოლიციის დავალებით ევაკუირებული ავტომანქანის მესაკუთრე;⁹⁴ მიწის ნაკვეთზე შენობის საძირკვლის ჩაყრის შემთხვევაში – მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე,⁹⁵ იმავე შემკვეთის მიერ დაქირავებული სხვა მენარდე⁹⁶ ან იმავე მენარდის სხვა შემკვეთი;⁹⁷ სამშენებლო კომპანიასთან მიმართებით – პირი, რომელსაც შემკვეთი ელექტროენერგიით ამარაგებს, მიუხედავად კაბელის განწყვეტისა და ელექტრომომარაგების შეწყვეტით გამონვეულ ზიანზე მითითებისა;⁹⁸ მომავალი დამქირავებლები მშენებლობის ხელშეკრულების შემთხვევაში.⁹⁹ **შემკვეთის ვალდებულების დაცვითი სფერო** – ჩართულია: მენარდის დასაქმებული; არ არის ჩართული: ქვემენარდე.¹⁰⁰

55 **საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები:** ჩართულია: მყიდველის ოჯახის წევრები¹⁰¹ და მხოლოდ ის დასაქმებულები, რომლებსაც ნივთის დანიშნულებიდან გამომდინარე უწევთ მასთან შეხება;¹⁰² არ არის ჩართული: ნივთის საბოლოო შემძენი გადამყიდველის მიერ დადებული გარიგებისას ან მისი საბოლოო მომხმარებელი;¹⁰³

56 **საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულებები (ექსპერტი, იურისტი, საგადასახადო მრჩეველი და ა.შ.):** ჩართულია: პირები, ვისთვისაც არის ეს დასკვნა დანიშნულებისამებრ გამიზნული – მყიდველი, კრედიტის გამცემი, თავდები.¹⁰⁴ მხოლოდ გამონაკლისის სახით: მზღვეველსა და ექსპერტს შორის რისკებთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების ფარგლებში – პირი, რომელიც მოიპოვებს უფლებას სადაზღვევო ხელშეკრულებიდან,¹⁰⁵ პირი, რომელიც იკავებს თავდაპირველი ინვესტორის ადგილს და ეს შეცნობადია სადაზღვევო იმ საგადასახადო ექსპერტისათვის, რომელიც დასკვნას ამზადებს.

89 BGH NJW 1988, 556; BGH NJW 2000, 727; ეს გადანყვეტა უარყოფილია კაპიტალური საზოგადოებების შემთხვევაში (OLG Celle MDR 2007, 1228).

90 OLG Celle WM 2007, 740.

91 BGH NJW 1994, 2231.

92 BGHZ 33, 249; BGHZ 55, 18.

93 OLG Nürnberg MDR 1974, 401.

94 BGH NJW 1978, 2503.

95 KG EWiR 2004, 219.

96 BGH NJW 1970, 40.

97 BGHZ 168, 174.

98 BGH NJW 1977, 2208; OLG Nürnberg NJW-RR 2004, 1254.

99 BGH NJW 1994, 2231.

100 BGHZ 56, 274.

101 OLG Hamm MDR 1977, 137.

102 BGH NJW 1956, 1193; NJW 1959, 1676

103 BGHZ 51, 96; BGH NJW 1989, 1030; BGH NJW-RR 1990, 1303.

104 BGHZ 127, 380; BGH NJW 1998, 1062; BGH NJW 2001, 3115.

105 BGH WM 2003, 546.

მუხლი 350. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების განმარტება

1. სპეციალური დათქმის არარსებობისას საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან უნდა დადგინდეს:
 - ა. უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს თუ არა;
 - ბ. ეს უფლება მას მაშინვე წარმოეშობა, თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას;
 - გ. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილინი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ მისი თანხმობის გარეშე.
2. მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი მიუხედავად კონტრაქტის თანხმობისა.

I. ზოგადი.....	285
II. სრული და არასრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ (350 I	
ა).....	286
1. „შესრულების კისრების“ განმარტების წესი.....	287
ა. „შესრულების კისრება“	287
ბ. გამიჯვნა სხვა მსგავსი ურთიერთობისაგან.....	287
გ. შესრულების კისრების ფორმა.....	288
2. სამისდღეობი რჩენისა და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების განმარტება	288
II. უფლების მოპოვების მომენტის განსაზღვრა (350 I ბ).....	288
1. ზოგადი.....	288
2. შესრულება გარდაცვალების შემდეგ	289
ა. შეპირების მიმღების სამართლებრივი მდგომარეობა	289
ბ. მესამე პირის მდგომარეობა	289
გ. ცალკეული შემთხვევები	290
3. 350-ე მუხლის II ნაწილი.....	290

I. ზოგადი

მოიპოვებს თუ არა მესამე პირი უშუალო მოთხოვნის უფლებას და თუ რა შინაარსი აქვს მას, სრულებით არის დამოკიდებული საპირისპირო შესრულების ურთიერთობაში (იხ. მუხ. 349, მე-20 ველი) დადებულ ხელშეკრულებასა და მის განმარტებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეები მესამე პირისათვის უფლების მინიჭებას ხშირ შემთხვევაში ცალსახად არ უსვამენ ხოლმე ხაზს, იმის დადგენა, მესამე პირის სასარგებლოდ სრული თუ არასრული ხელშეკრულებაა დადებული, მხოლოდ განმარტების მეშვეობითაა შესაძლებელი. განმარტების კრიტერიუმებად გამოიყენება შეთანხმების მიზანი, მისი ტიპური შინაარსი და კონკრეტული შემთხვევის ყველა სხვა დამატებითი გარემოება, როგორც არის, მაგ., თანმდე-

1

ვი განცხადებები, მათ შორის მესამე პირების წინაშე.¹ მესამე პირის მიერ უფლების მოპოვება შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულების განვრცობითი განმარტებიდან.² განმარტებისას მოქმედებს ზოგადი წესები. გარიგების დადება მესამე პირის სახელის მითითებით არის მხოლოდ ერთ-ერთი (და არა გადამწყვეტი) ნიშანი სრული ხელშეკრულების სასარგებლოდ.³ განსხვავებულად არის საქმე, როდესაც გარიგების დადება მხოლოდ ან პირველ რიგში **მესამე პირის ინტერესებშია**.⁴ მაგ., გარიგებები, რომლებიც მესამე პირის **ჯანმრთელობის/მზრუნველობის** დაზღვევას, ტრანსპორტირებასა თუ სამედიცინო მომსახურებას ემსახურება. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში აქაც შესაძლებელია, რომ განმარტების მეშვეობით საპირისპირო რეზულტატი დადგეს.

II. სრული და არასრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ (350 I ა)

- 2 იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, წარმოეშობა თუ არა მესამე პირის ვალდებულების შესრულების საკუთარი მოთხოვნა, ანუ სახეზეა თუ არა სრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ამის დადგენა ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით უნდა მოხედეს, შესაბამის შემთხვევაში მისი განმარტების გზით (52, 33-340). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ხელშეკრულების მიზანსა (350 I)** და მხარეთა **ინტერესების გადანაწილებას** (მაგ., მესამე პირის ინტერესების უზრუნველყოფა).
- 3 მესამე პირის სასარგებლოდ დადებული **სრული ხელშეკრულების** მაგალითებია: მწარმოებლის გარანტია ნივთის საბოლოო შემძენის სასარგებლოდ გადამყიდველთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში;⁵ მეურვესთან დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება მოქმედებს ბავშვის,⁶ ხოლო ჯანმრთელობის მზღვეველთან დადებული სტაციონარში მოთავსების ხელშეკრულება – პაციენტის სასარგებლოდ;⁷ ლუდსახარშის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულებაა იჯარა, რომელიც ითვალისწინებს ამ კონკრეტული მიმწოდებლისაგან ლუდის შესყიდვის ვალდებულებას;⁸ ტურისტის სასარგებლოდ – ხელშეკრულება მოგზაურობის მომწყობსა და „მნიშვნელოვანი“ მომსახურების (ავიაკომპანია, სასტუმრო) გამწვევს შორის;⁹ მაკლერის სასარგებლოდ – სამაკლერო პროვიზიის მინის ნაკვეთის გამყიდველის მიერ საკუთარ თავზე აღება.¹⁰

1 BGH VersR 2013, 853; BGH NJW 1991, 2209; RGZ 127, 218 [222]; OLG Frankfurt a. M. NJW-RR 2002, 54.

2 BGH NJW 1975, 345.

3 OLG Koblenz MDR 1958, 687.

4 BGH NJW 1991, 2209; RGZ 147, 47.

5 BGHZ 75, 77; BGHZ 93, 46.

6 BGHZ 89, 266.

7 BGHZ 89, 253; BGHZ 96, 363; BGHZ 100, 366.

8 BGHZ 54, 147.

9 Schmid/Sonnen, Rechtsprobleme bei der Luftbeförderung im Rahmen von Flugpauschalreisen, NJW 1992, S. 464; BGHZ 93, 273 ff.; LG Frankfurt a. M.; NJW-RR 1986, 853.

10 BGHZ 138, 170.

ამის **საპირისპიროდ**, მესამე პირის სახელზე ანაბრის ან ანგარიშის გახსნა ავტომატურად არ ითვლება მის სასარგებლოდ დადებულ ნამდვილ ხელშეკრულებად.¹¹ ასევე გაშორებულ მეუღლეებს შორის შეთანხმება ბავშვის რჩენასთან დაკავშირებით არ არის მის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულება.¹²

1. „შესრულების კისრების“ განმარტების წესი

თუ ხელშეკრულების ერთი მხარე კისრულობს მეორე მხარის კრედიტორის დაკმაყოფილებას, იმავდროულად, ვალის გადაკისრების გარეშე, საექვოობისას არ მიიჩნევა, რომ კრედიტორი მისგან პირდაპირი მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს.¹³

ა. „შესრულების კისრება“

„შესრულების კისრება“ ხდება მოვალესა და მკისრებელს შორის **ხელშეკრულებით**, რომლის ძალითაც მკისრებელი კისრულობს მოვალის (ან სხვა პირის) ვალის დაფარვას (მესამე პირის ვალის დაფარვის ხელშეკრულება).¹⁴ მოვალე მკისრებლის მიმართ მოიპოვებს (არადათმობად; გამოინაკლისს წარმოადგენს კრედიტორისათვის ცესია, შდრ. 199 I 1, ვარ. 1) ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნას. კრედიტორი მკისრებლის მიმართ, ჩვეულებრივ, არანაირ მოთხოვნას არ მოიპოვებს.¹⁵

შესრულების კისრება, ჩვეულებრივ, თავისი **სამართლებრივი ბუნების** თანახმად, არის არასრული ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ და შესრულების კისრებისას მოქმედებს პრეზუმფცია, რომ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუმცა, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ პრეზუმფციის გაქარწყლება.¹⁶

ბ. გამიჯვნა სხვა მსგავსი ურთიერთობისაგან

სრულ ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ, განსხვავებით მხოლოდ შესრულების კისრებისაგან, აქვს ვალის თანაკისრების ეფექტი; მკისრებელი მოვალესთან ერთად ხდება სოლიდარული მოვალე.

თავის მხრივ, მისგან უნდა გამიჯვნოს **ვალის გადაკისრება**, რომელიც არის განკარგვის ხელშეკრულება და რომლისათვისაც აუცილებელია კრედიტორის თანხმობა (203 I, 204).¹⁷

11 BGH NJW 1996, 841; BGH NJW 1994, 931; OLG Saarbrücken NJW-RR 2008, 954; თუმცა შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის № ას-963-921-2013 განჩინება.

12 BGH NJW 1983, 685.

13 შდრ. გსკ-ის 329-ე პარაგრაფი.

14 BGH NJW 1996, 1052; ZIP 2002, 126.

15 OLG Koblenz NJW-RR 2004, 758.

16 BGH NJW 1980, 2127; BGHZ 72, 250.

17 ამიტომაც არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 იანვრის №ას-1369-1289-2017 განჩინება, რომელშიც ვალის გადაკისრება და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები გაიგივებულია.

გ. შესრულების კისრების ფორმა

- 10 შესრულების კისრება, ჩვეულებრივ, არაფორმასავალდებულოა; გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც შეთანხმება მოვალესა და მკისრებელს შორის ფორმასავალდებულო ელემენტებს შეიცავს, მაგ., 525 III მუხლი – ჩუქების ფორმით შეპირებისას და 341-ე მუხლი – აბსტრაქტული აღიარებისას. უმნიშვნელოა მოვალის ვალდებულებისათვის დადგენილი ფორმასავალდებულობის დანაწესები.¹⁸

2. სამისდღეშიო რჩენისა და სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებების განმარტება

- 11 თუ სამისდღეშიო რჩენის (941) ან სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით (844) შესრულება (სარჩოს/სადაზღვევო თანხის გადახდა) მესამე პირის მიმართ უნდა განხორციელდეს, საექვოობისას ივარაუდება, რომ ის უშუალოდ მოიპოვებს შესრულების მოთხოვნის უფლებას.¹⁹ განმარტების ეს წესი მოქმედებს ყველა ტიპის სიცოცხლის დაზღვევისას, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ჩუქება (525) ან შენიღულობა (528), ან სხვა უსასყიდლო გარიგებები საპირისპირო შესრულების ურთიერთობაში (იხ. მუხ. 349, მე-20 ველი).²⁰

II. უფლების მოპოვების მომენტის განსაზღვრა (350 I ბ)

1. ზოგადი

- 12 350 I ბ) მუხლის მიხედვით, ასევე განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს მესამე პირის მიერ უფლების მოპოვების მომენტი. საექვოობისას მესამე პირი მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს დაუყოვნებლივ²¹ და სამუდამოდ²². თუმცა ეს არ არის სავალდებულო. 350 I ბ) მუხლის თანახმად, უფლების მოპოვება შესაძლებელია ასევე **პირობადებულად** ან გარკვეულ ვადაზე დამოკიდებულად. მაგ., შეპირების მიმღებთან დადებული ხელშეკრულების ძალით შემპირებელს ეკრძალება კონკრეტული სანარმოს მესაკუთრისათვის კონკურენციის განწევა, ან ვალდებულია, კონკრეტული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გადასცეს რაიმე საგანი საკუთრებაში იმ პირობით, რომ ერთი და მეორეც დარჩებიან სანარმოსა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებად.²³ მოთხოვნის უფლების მფლობელი სიცოცხლის ან უბედური შემთხვევის დაზღვევისას შესაძლებელია დასახელდეს ხელშეკრულების დადებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც. მესამე პირმა უფლება შეიძლება მოიპოვოს გადადების პირობითაც,²⁴ იმ დათქმით, რომ ის სა-

18 BGH NJW 1972, 576.

19 შდრ. გსკ-ის 330-ე პარაგრაფი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის № ას-718-673-2010 განჩინება.

20 Schulze, in BGB-HK, 9. Aufl., 2018, § 328, Rn. 4.

21 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, Rn. 1061.

22 Gottwald, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 328, Rn. 34.

23 RGZ 128, 249.

24 BGH NJW-RR 1987, 114; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 328, Rn. 4.

კუთარ თავზე აიღებს საპირისპირო შესრულების ვალდებულებებს, მაგ., ფრახტის მიმღები – ფრახტიდან წარმომდგარ ვალდებულებებს. ასევე შეიძლება, დაიდოს გაუქმების პირობითაც, კერძოდ იმ დათქმით, რომ მესამე პირი არ დაარღვევს თავის ფაკულტატიურ ვალდებულებას და შეასრულებს „შენიშნულობას“, რისი არშესრულების შემთხვევაშიც ის კარგავს მინიჭებულ უფლებას. ყველა ამ შემთხვევაში სახეზე არ არის დაუშვებელი ხელშეკრულება მესამე პირის საზიანოდ (იხ. მუხ. 349, მე-6 ველი).

2. შესრულება გარდაცვალების შემდეგ

თუ მესამე პირის სასარგებლოდ შესრულება უნდა განხორციელდეს შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდეგ, მაშინ საეჭვოობისას მესამე პირი ამ შესრულების მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდეგ (შდრ. 847 II).²⁵ გარდა ამისა, შეპირების მიმღების გარდაცვალებასთან ერთად მესამე პირი (მემკვიდრეობითსამართლებრივი დანაწესებისა და ფორმის დანაწესების გვერდის ავლით) მოთხოვნის უფლებას მაშინაც კი მოიპოვებს, როდესაც გადახდის ურთიერთობაში გარდაცვალების შემდეგ ჩუქებაა სახეზე (*Schenkung auf den Todesfall*).²⁶

ა. შეპირების მიმღების სამართლებრივი მდგომარეობა

ხელშეკრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნები, დამოუკიდებლად მათი ვადამოსულობისა, შეპირების მიმღების ქონების ნაწილია.²⁷ მას აქვს ამ მოთხოვნების საფუძვლად მდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის განკარგვისა და მოთხოვნის სხვისთვის მინიჭების **შეუზღუდავი უფლებამოსილება**. შეპირების მიმღების კრედიტორებს შეუძლიათ, აღსრულება მიაქციონ ხელშეკრულებიდან წარმომდგარ უფლებებზე.²⁸

ბ. მესამე პირის მდგომარეობა

თუ მესამე პირისათვის მინიჭებული სამომავლო მოთხოვნა **თავისუფლად გამოხმობადია**, მაშინ მას არ აქვს რაიმე სამართლებრივად გამყარებული პოზიცია, მათ შორის არც მოლოდინის უფლება, აქვს მხოლოდ **იმედი** სამომავლო მოთხოვნის მოპოვებისა.²⁹ ის რეალიზდება შეპირების გამცემის **გარდაცვალებასთან** ერთად და მას მემკვიდრე წინ ვერ აღუდგება.³⁰ სხვაგვარად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც მინიჭება **გამოუხმობადია**, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეპირების მიმღებს აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება.³¹

25 შდრ. გსკ-ის 331-ე პარაგრაფი.

26 BGHZ NJW 2004, 768.

27 BGH NJW 1981, 2245; BayObLG NJW-RR 2003, 5.

28 BGH NJW 1984, 2156.

29 BGH NJW 1982, 1808; OLG Saarbrücken WM 2012, 1357; OLG Frankfurt a. M. NJW-RR 1990, 968.

30 BGH NJW 1984, 2156; OLG Nürnberg VersR 2016, 383; OLG Koblenz BeckRS 2014, 10097.

31 BGH NJW 1966, 1071; OLG Saarbrücken WM 2012, 1357; OLG Frankfurt a. M. VersR 2002, 963.

- 16 შეპირების მიმღების **გარდაცვალების შემდეგ** მესამე პირი **უშუალოდ, სამკვიდროს გვერდის ავლით**, მოიპოვებს შესრულების მოთხოვნის უფლებას.³² მისი თანხმობის გარეშე ხელშეკრულების ცვლილება შეუძლებელია. ასევე შეპირების მიმღების მიერ მის გარდაცვალებამდე გაცხადებული შეცვლის ნება უმნიშვნელოა, თუ ის შემპირებელს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მიუვა.³³ მიუხედავად ამისა, მემკვიდრის წინაშე უფლების მოპოვება მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც ნამდვილი გადახდის ურთიერთობაა სახეზე,³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში უფლების მოპოვება კონდიციურებადია.

გ. ცალკეული შემთხვევები

- 17 ზემოთ აღწერილი წესი გამოიყენება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ყველა ხელშეკრულების სასარგებლოდ, რომლის შესრულებაც უნდა მოხდეს შეპირების მიმღების გარდაცვალებასთან ერთად. მაგალითად: სიცოცხლის დაზღვევა, როდესაც უფლება მესამე პირს უნდა მიენიჭოს, თუმცა ეს მინიჭება გამოსმობადია (847 I),³⁵ ასევე უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა³⁶ ან საპენსიო უზრუნველყოფა;³⁷ სამეწარმეო საზოგადოებაში შესვლისა და სამართალმემკვიდრეობის დათქმა;³⁸ შეთანხმება ბანკთან, ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ გადაუხადოს გარკვეული თანხა მესამე პირს³⁹ ან გადასცეს მას მთლიანი დეპოზიტი.⁴⁰ ეს წესი ვრცელდება ასევე მესამე პირის სახელზე ანაზრის გახსნის შემთხვევაზეც, რომლის განკარგვის უფლებასაც გამხსნელი თავისთვის იტოვებს.⁴¹

3. 350-ე მუხლის II ნაწილი

- 18 350 II მუხლი, მისი სიტყვასიტყვითი გაგებით, შეპირების მიმღებს ანიჭებს უფლებას, ცალმხრივად შეცვალოს მესამე პირის პიროვნება. ამ დანაწესის ფორმულირება, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ცალსახაა, საბოლოო ჯამში, არაზუსტია. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულებისას მისი პიროვნების ცვლილება არის თავად ხელშეკრულების შინაარსის ცვლილება, რომლისათვისაც, ჩვეულებრივ, მეორე მხარის თანხმობაა საჭირო. 350 II მუხლი წარმოადგენს მხოლოდ **განმარტების წესს**, კერძოდ: თუ მხარეებს სხვა რამ არ შეუთანხმებიან და ეს არც ხელშეკრულების შინაარსიდან ან სხვა გარემო-

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 დეკემბრის № ას-718-673-2010 განჩინება.

33 BGH WM 1994, 903; *Gottwald*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 331, Rn. 5; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 331, Rn. 4.

34 BGH NJW 2004, 768; BayObLG NJW-RR 2003, 5.

35 RGZ 51, 404.

36 BGH WarnR 1970 Nr. 52.

37 BAGE 2, 103.

38 RGZ 80, 177.

39 BGH NJW 1984, 481.

40 BGH NJW 1964, 1124.

41 BGH NJW 2005, 980; OLG Koblenz NJW-RR 1995, 1074.

ებებიდან არ გამომდინარეობს, იგულისხმება (ხელშეკრულების შემავსებელი განმარტების თანახმად), რომ შეპირების მიმღებს მესამე პირის ცალმხრივად შეცვლის უფლება აქვს მინიჭებული.⁴² საპირისპირო მაგალითს, როდესაც **განმარტების ეს წესი არ მოქმედებს**, წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დამკვეთი მხატვარს ჯერ ერთი პირის დახატვას შეუკვეთს და შემდეგ კი მას სხვა პირით ცვლის. თუ მხატვარი გულდასმით არჩევს ხოლმე, თუ ვის დახატავს, რა თქმა უნდა, ის არ იქნება მზად, დახატოს ნებისმიერი და ამ ცვლილებისათვის მისი თანხმობაა საჭირო.

კანონისა და ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გარდა, თანხმობასავალდებულოება შეიძლება მასში პირდაპირ იყოს დაფიქსირებული შესაბამისი პირობის სახით (შდრ. მაგ. 847 I მუხლი). 19

მაშინაც კი, როდესაც შეპირების მიმღებს უფლება აქვს, ცალმხრივად შეცვალოს მესამე პირის პიროვნება, ან საერთოდ გამოიხმოს ის, ეს ხდება შემპირებლის წინაშე ნების გაცხადებით, რომლის ნამდვილობაც 51-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება.⁴³ მიუხედავად ამისა, ზოგადად აღიარებული წესის თანახმად,⁴⁴ ივარაუდება, რომ საექვოობისას ამ ცვლილება-გამოხმობის უფლების გამოყენება შეპირების მიმღებს შეუძლია ასევე ანდერძის მეშვეობითაც, რომელიც არამიღებასავალდებულოა.⁴⁵ 20

42 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის № ას-963-921-2013 განჩინება.

43 BGH VersR 1953, 179; RGZ 136, 52; RGZ 153, 225.

44 შდრ. გსკ-ის 332-ე მუხლი.

45 BGH NJW 1993, 3134; VersR 1963, 919; OLG Jena NotBZ 2004, 109.

მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შექმნილ უფლებაზე

თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შექმნილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

I. ნორმის მიზანი.....	292
II. უარის სამართლებრივი ბუნება.....	292
III. დროითი ჩარჩოები.....	292
IV. უარის სამართლებრივი შედეგები.....	293

I. ნორმის მიზანი

- 1 მესამე პირი უფლებას მოიპოვებს მისი მხრიდან თანაქმედების გარეშე.¹ გამომდინარე იქიდან, რომ არავის შეიძლება მიენიჭოს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ, 351-ე მუხლი მესამე პირს უფლებას აძლევს, **უარი თქვას** მისთვის მინიჭებულ სამართლებრივ პოზიციაზე. მიმდინარე საბანკო ანგარიშის ურთიერთობის შემთხვევაში დანარიცხზე 351-ე მუხლი არ გამოიყენება. თუ რამდენად აქვს ანგარიშის მფლობელს დანარიცხის უკუგდების უფლება, განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების მიხედვით.²

II. უარის სამართლებრივი ბუნება

- 2 მინიჭებულ უფლებაზე უარის თქმა ხდება ცალმხრივი, მიღებასავალდებულო ნების გამოხატვით **შემპირებლის წინაშე**. შემპირებლის მიმღების წინაშე გაცხადება სავალდებულო არ არის. არასრულწლოვანი საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.³ უარის თქმა არასოდეს არ არის ფორმასავალდებულო. ის შეიძლება მოხდეს პირობადებულად ან ვადის დათქმით, თუ ეს შემპირებლისათვის არ იწვევს აუტანელ სამართლებრივ გაურკვევლობას. უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ უფლების მინიჭების შემდეგ,⁴ თუმცა ნაადრევი უარის თქმა შეიძლება განიმარტოს როგორც მესამე პირის ვალდებულება, არ გამოიყენოს მინიჭებული უფლება.⁵ უარის მისვლის შემდეგ ის გამოუხმობადია.

III. დროითი ჩარჩოები

- 3 უარი კანონის ძალით დროში შეზღუდული არ არის, თუმცა მესამე პირს ხელშეკრულებით შეიძლება მიენიჭოს შესაბამისი ვადა ნების გამოხატვისათვის. ეს ვადა მთავრდება, როდესაც მესამე პირი მიიღებს უფლებას გა-

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 10 მარტის № 3კ-1492-02 განჩინება.

2 BGH NJW 1995, 520; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 333, Rn. 1.

3 LG Limburg MDR 1979, 580; LG Freiburg MDR 1981, 141.

4 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., 2017, § 333, Rn. 2.

5 RGZ 101, 306; *Gottwald*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 333, Rn. 3.

ცხადებული თუ კონკლუდენტური ქცევით.⁶ გრძელვადიანი ურთიერთობის შემთხვევაში მესამე პირს შეუძლია უარყოს შემდგომი შესრულებები, მიუხედავად წინა (ნილობრივი) შესრულების მიღებისა.⁷

IV. უარის სამართლებრივი შედეგები

უარის შემთხვევაში უფლების მოპოვება ქარწყლდება უკუქცევითი ძალით, ანუ ის დროის არც ერთ მომენტში არ ითვლება მოპოვებულად.⁸ შესაბამისად, არ წარმოიშობა არც მემკვიდრეობის და არც ნაჩუქრობის გადასახადი.⁹ ის, თუ რა გავლენა ექნება უარს საპირისპირო შესრულების ურთიერთობაზე, განისაზღვრება შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით. ამ დროს შეიძლება მოთხოვნის უფლება დარჩეს შეპირების მიმღებს ან მის მემკვიდრეს, მას ჰქონდეს შესაძლებლობა, დაასახელოს ახალი მესამე პირი ან შესრულება შეუძლებელი გახდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საპირისპირო შესრულების ბედი განისაზღვრება 406 I მუხლის მიხედვით.¹⁰ განმარტების შედეგად შეიძლება დადგინდეს, რომ შესრულებაზე უარი შეპირების მიმღებს ბრალეულ შეუძლებლობად შეერაცხება და მისი საპირისპირო ვალდებულება ძალაში რჩება.¹¹

6 RGZ 119, 3.

7 LG Stade NdsRPfl. 1973, 16; LG Osnabrück NdsRPfl. 1973, 126.

8 RGZ 71, 324; *Gottwald*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 333, Rn. 7.

9 BFH DB 1990, 1269.

10 LG Limburg MDR 1979, 580; *Gottwald*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 333, Rn. 8.

11 LG Freiburg MDR 1981, 141.

თავი მესუთა
ხელშეკრულებიდან გასვლა

მუხლი 352. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

1. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

2. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:

ა. შექმნილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;

ბ. მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;

გ. მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

3. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით.

4. ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:

ა. საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;

ბ. საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;

გ. საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

I. ზოგადი.....	295
1. ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი ადგილი ვალდებულების დარღვევის სამართლის სისტემაში	295
2. ტერმინოლოგიური საკითხი	296
3. რესტიტუციული ურთიერთობა	297
4. სპეციალური დანაწესები	297
II. ნატურით რესტიტუცია, 352 I.....	298

III. ღირებულების ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, 352 II „ა“-„გ“299

1. შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე299
2. საგნის გამოყენება და სხვა საფუძვლები300
3. ნივთის გაფუჭება ან დაღუპვა301

IV. ღირებულების ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა, 352 III.....301

1. ზოგადი წესი: საპირისპირო შესრულებაზე ორიენტირება301
2. გამონაკლისი 1: ნაკლოვანი შესრულება302
3. გამონაკლისი 2: ნივთის ფასი აჭარბებს მის რეალურ ღირებულებას.303
4. ნივთის ფასი ჩამოუვარდება მის ობიექტურ ღირებულებას.....303

V. ღირებულების ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა, 352 IV.....304

1. ნაკლის აღმოჩენა გადამუშავების ან გარდაქმნის დროს, საგნის გაფუჭება და განადგურება304
2. გასვლის უფლების მქონე პირის პრივილეგიები305

VI. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რესტიტუციის ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევისათვის.....306

1. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის მომენტი.....307
 - ა. ნივთის გაფუჭება და განადგურება გასვლის გაცხადების შემდეგ 307
 - ბ. ნივთის გაფუჭება და განადგურება გასვლის გაცხადებამდე308

VII. მტკიცების ტვირთი309

I. ზოგადი

1. ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი ადგილი ვალდებულების დარღვევის სამართლის სისტემაში

352-ე და შემდგომ მუხლებში მოწესრიგებულია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები,¹ როდესაც ერთ-ერთი მხარე იყენებს კანონით მინიჭებულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას 405-ე მუხლის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ 352 (I) მუხლი მხოლოდ 405-ე მუხლზე უთითებს და არა ზოგადად გასვლის ყველა სხვა კანონისმიერ საფუძველზე, 352-ე მუხლი მაინც არის სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ნორმა ყველა სხვა კანონით განსაზღვრული, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლებისათვის (მაგ., 398 III მუხლი). აუცილებელი არ არის, რომ გასვლის უფლება გამომდინარეობდეს კანონიდან. ამ უფლებას შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა შეთანხმება, სახელშეკრულებო გასვლის უფლება² – ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ე.წ. „გასვლის დათქმით“,³ ან დათქმით, რომ გარკვეული წინაპირობების დადგომის შემდეგ „მხარე თავისუფალია“, „ალარ არის ვალდებული, შეასრულოს“ და ა.შ. ამ შემთხვევებზე 352-ე და შემდგომი მუხლები უნდა გამოვიყენოთ ანალოგიით.

1

1 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 504.

2 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 352, გვ. 235.

3 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 352, გვ. 231

2. ტერმინოლოგიური საკითხი

2 პირველი პრობლემა, რაც ამ ინსტიტუტის დახასიათებისას წარმოიშობა, ტერმინოლოგიური ხასიათისაა. ხელშეკრულებაზე უარის თქმა, როგორც ეს მუხლია დასათაურებული, ისევე როგორც მისი სინონიმი ხელშეკრულების შეწყვეტა, არის გვარობითი ცნება. შედეგების მიხედვით უნდა განვასხვაოთ: 1. ხელშეკრულებაზე უარის თქმა **უკუქცევითი ძალით (ex tunc მოქმედებით)**, ანუ შეცილება; 2. ხელშეკრულებაზე **უარის თქმა ex nunc მოქმედებით** მიღებულის რესტიტუციის ვალდებულებით; და 3. ხელშეკრულების სამომავლოდ გაუქმება რესტიტუციის გარეშე, ანუ **ხელშეკრულების მოშლა**. ხელშეკრულების მოშლას მეორე შემთხვევისაგან, რომელსაც ამ კომენტარის მიზნებისათვის გასვლად მოვიხსენიებთ, განასხვავებს სწორედ მიღებულის რესტიტუცია. **მოშლის შემთხვევაში მხარეები არ აბრუნებენ მიღებულს**, გასვლის შემთხვევაში კი აბრუნებენ. მოშლა ხანგრძლივი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, ქირავნობის ურთიერთობა ან შრომითი ხელშეკრულება, ანაცვლებს გასვლის უფლებას. ამ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება სამომავლოდ, მიღებული შესრულების უკუქცევის გარეშე (იხ. 405-ე მუხლის კომენტ.).

3 ხელშეკრულებიდან **გასვლის უფლებას, 405-ე მუხლის შესაბამისად**, ქართული სასამართლოები ხშირად⁴ მოიხსენიებენ მოშლის უფლებად, ან ორივე ტერმინს სინონიმებად იყენებენ.⁵ ეს ტერმინოლოგიური აღრევა, გარკვეულწილად, თვითონ სამოქალაქო კოდექსში არათანმიმდევრულად გამოყენებული ტერმინოლოგიითაა განპირობებული. მაგალითად, 491-ე მუხლში კანონმდებელი იყენებს ტერმინ „მოშლას“, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი 352-ე და 405-ე მუხლებზე, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზე, მიუთითებს. ასევე, თვითონ 405-ე II „გ“ მუხლშიც გასვლა არასწორად არის მოხსენიებული მოშლად. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მეორე მოსაზრების თანახმად,⁶ ხელშეკრულებაზე უარის თქმას, რომელსაც მიღებულის ორმხრივი რესტიტუცია მოსდევს, ეწოდება გასვლა,⁷ როგორადაც ის ამ თავის დასახელებაში და 354-ე-359-ე მუხლებშია მოხსენიებული. კომენტარის მიზნებიდან გამომდინარე, ამ მოსაზრების გაზიარებაა მართებული.

4 მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 იანვრის № ას-413-390-2014 განჩინება, 2014 წლის 5 დეკემბრის № ას-658-625-2014 გადაწყვეტილება.

5 მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის № ას-840-1054-08 განჩინება, სუსგ სამოქ., 7/2009, გვ. 3: „ხელშეკრულებიდან გასვლა და მისი მოშლა“.

6 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 352, გვ. 233; *ფიფია*, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 71; *მაჭარაძე*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 140.

7 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 352, გვ. 230, დეტალური განსხვავებისათვის გვ. 233 და შემდგომი.

3. რესტიტუციული ურთიერთობა

მხარის მიერ კანონისმიერი თუ ხელშეკრულებით შეთანხმებული გას- 4
ვლის უფლების გამოყენება ნამდვილ სახელშეკრულებო ურთიერთობას
გარდაქმნის მიღებულის უკან დაბრუნების ურთიერთობად (რესტიტუ-
ციულ ურთიერთობად).⁸ გასვლის შემდეგ მხარეები თავისუფლდებიან
ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულებისაგან⁹ და გარდაიქ-
მნიებიან **რესტიტუციის მოვალედ** და **რესტიტუციის კრედიტორად**. თუ
ხელშეკრულების მხარემ ან მხარეებმა ხელშეკრულება უკვე შეასრულეს,
მაგ., მყიდველმა უკვე გადაიხადა ნასყიდობის ფასი და გამყიდველმა მას
ნაკლოვანი ნივთი მიანოდა, გასვლის გაცხადება გარდაქმნის ნამდვილ
ნასყიდობას მიღებულის უკუქცევის ურთიერთობად, რომელიც მხარეებ-
მა ერთდროულად უნდა შეასრულონ (354-ე მუხლი), რათა მოხდეს შესრუ-
ლებამდე არსებული მდგომარეობის (*status quo ante*) აღდგენა.¹⁰ გასვლის
მიზანი არის არა იმ ჰიპოთეზური მდგომარეობის აღდგენა, რომელიც
იარსებებდა **ხელშეკრულების დადების გარეშე**, არამედ ხელშეკრულე-
ბის დადების შემდეგ შესრულებების გაცვლამდე არსებული მდგომარე-
ობის აღდგენა.¹¹ გასვლა უკუაქცევს მხოლოდ ამ გაცვლილ შესრულე-
ბებს და არ ეხება ხელშეკრულებას, არ აქცევს მას რეტროსპექტიული
ძალით არარსებულად, როგორც ეს შეცილების შედეგად ხელშეკრულე-
ბის გაბათილების შემთხვევაში ხდება. ამის გამო გასვლას აქვს მხოლოდ
ვალდებულებითი ძალა და არა სანივთო. ის ამთავრებს ხელშეკრულების
მოქმედებას გასვლის გაცხადების მომენტიდან და ანიჭებს მხარეებს გა-
ცემული შესრულების უკან მოთხოვნის ვალდებულებით უფლებას 352-ე
მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.¹²

4. სპეციალური დანაწესები

სამოქალაქო კოდექსში დარეგულირებული ცალკეული ხელშეკრუ- 5
ლებები შეიცავენ გასვლის სპეციალურ დანაწესებს, როგორებიცაა, მა-
გალითად: 541 I-III და 665 I-II მუხლები. გასვლის ინსტიტუტი ცნობილია
არა მხოლოდ ვალდებულებით სამართალში, არამედ ასევე საოჯახო და
მემკვიდრეობით სამართალში და მოწესრიგებულია ამ სამართლის სპეცი-
ალურ დანაწესებში (შდრ., მაგ., 1180-ე მუხლი).

8 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 2ბ/2845-12 გადაწყვეტილება.

9 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 352, გვ. 231, საქართველოს უზენაესი სასამარ-
თლოს № ას-1140-1087-2013 განჩინება.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 352, გვ. 231.

11 BGH 16.9.1981, VIII ZR 265/80; BGHZ 81, 298, 307.

12 შდრ. განსხვავებული მოსაზრებისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის
27 დეკემბრის № 2ბ/2845-12 გადაწყვეტილება, სადაც გასვლის შემდეგ უძრავი ქონების გა-
მოთხოვას შესაძლებლად მიიჩნევს უკვე ვინდიკაციური სარჩელით.

II. ნატურით რესტიტუცია, 352 I

6 გასვლის უფლების გამოყენებისას ხელშეკრულების მხარეებმა მიღებული უნდა დააბრუნონ ნატურით – **ნატურით რესტიტუცია**.¹³ ნატურით დაბრუნების ვალდებულება არის ვალდებულებითი ხასიათის მოვალეობა, რომლის შინაარსიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიიღო მხარემ ხელშეკრულებით. რესტიტუციის მოვალემ უნდა დააბრუნოს ზუსტად ეს მიღებული საგანი.¹⁴ არჩევანის საშუალება ღირებულების ანაზღაურებასა და ნატურით რესტიტუციას შორის, სანამ ეს უკანასკნელი შესაძლებელია, მოვალეს არა აქვს.¹⁵ მყიდველი, რომელმაც მიიღო საკუთრება მოძრავ ან უძრავ ნივთზე, ვალდებულია, დაუბრუნოს ის გამყიდველს უკან 183-ე და შემდგომი, ან 186-ე, 323-ე მუხლების შესაბამისად. თუ შესრულებული ვალდებულება მხოლოდ მფლობელობის მოპოვებას ითვალისწინებდა, მაშინ რესტიტუციის მოვალემ კრედიტორს ნივთზე მხოლოდ ფაქტობრივი ბატონობა უნდა მოაპოვებინოს. ნატურით დაბრუნება გულისხმობს, მაგალითად, ნივთის ორიგინალი შეფუთვით უკან დაბრუნებას.¹⁶ მხოლოდ ფულადი ვალდებულებისას ანაცვლებს იმავე ფულის კუპიურების დაბრუნების ვალდებულებას ღირებულების დაბრუნების ვალდებულება. თუ შესრულება, მისი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაბრუნდეს ნატურით (შრომითი საქმიანობა, კონცერტის მოწყობა, მოგზაურობა), მაშინ რესტიტუციის მოვალე ვალდებულია, აანაზღაუროს მისი ღირებულება, 352 II „ა“. შესრულებასთან ერთად გასვლის შემდეგ არ ბრუნდება პირგასამტეხლო.¹⁷ ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევაში წარმოიშობა არა შენატანის დაბრუნების მიღების უფლება, არამედ – ამხანაგობაში არსებული წილის შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლება.¹⁸

7 ნატურით **დაბრუნების ადგილი**, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულ მოსაზრებას¹⁹ თუ გავიზიარებთ, არის დასაბრუნებელი ნივთის ადგილსამყოფელი. ნივთის უკან წამოღების ვალდებულება კრედიტორს აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მოვალეს აქვს კანონით დაცული ინტერესი, გათავისუფლდეს, ამ ნივთისაგან. მაგ., გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ²⁰ მიიჩნია, რომ რესტიტუციის კრედიტორი ვალდებულია, აყაროს მეორე მხარის მიერ სახურავის გადასახურავად გამოყე-

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-500-474-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-658-625-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-1140-1087-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-376-357-2013 განჩინება.

14 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 511.

15 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 511.

16 OLG Frankfurt a.M. MDR 2006, 919 f.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის № ას-1015-1287-09 გადაწყვეტილება, ნაწყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 556.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 15 მარტის № ას-23-23-2012 განჩინება, ნაწყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 166.

19 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 5; Heinrichs, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 269, Rn. 16.

20 BGH NJW 83, 1479.

ნებული კრამიტი, რათა მოვალემ სხვა კრამიტით მოახერხოს სახურავის გადახურვა.

ნატურით დაბრუნება მოიცავს ასევე მიღებული **სარგებლის დაბრუნებასაც**. სარგებლის ცნება, 154-ე მუხლის მიხედვით, მოიცავს ნივთისა და უფლების შემოსავალს, ნამატს, ან უპირატესობას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მეორე მხარის ფულადი შესრულებით დაფარული საკუთარი ვალის პროცენტები. სარგებელი არ მოიცავს უშუალოდ ნივთის გაღების შედეგად მიღებულ უპირატესობას. ნივთის გაღების შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს ღირებულების ანაზღაურება, ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. **მიუღებელი სარგებლის ანაზღაურება ხდება 353-ე მუხლის მიხედვით.**

ნატურით რესტიტუცია არ გულისხმობს გასვლის უფლების გამოყენების დამოკიდებულებას ამ რესტიტუციის შესაძლებლობაზე. გასვლის უფლების მქონეს შეუძლია, მოითხოვოს გაცემული შესრულება მაშინაც კი, როდესაც ის მიღებულ შესრულებას ნატურით ვერ აბრუნებს. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მიღებული ნივთი გასვლის უფლების მქონე პირმა შეგნებულად გაანადგურა.²¹ თუმცა ამ შემთხვევაში მას ეკისრება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

III. ღირებულების ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, 352 II „ა“-„გ“

თუ რესტიტუციის მოვალე ვერ აბრუნებს ნივთს ნატურით, ან აბრუნებს მხოლოდ დაზიანებულ მდგომარეობაში, მაშინ მას 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ეკისრება ნივთის სრული **ღირებულების**, ან მისი ნაწილის ფულადი **ანაზღაურების ვალდებულება**. ასეთი მოთხოვნა არსებობს ბრალისაგან დამოუკიდებლად, რადგან ეს დანაწესი არ არის ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმა – სანქცია ვალდებულების დარღვევისათვის, არამედ ანაზღაურება იკავებს ნატურით რესტიტუციის ადგილს.²² ზიანი, რომელიც სცდება დასაბრუნებელი ნივთის ღირებულებას, არ ანაზღაურდება.

1. შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე

როდესაც **შეძენილის ხასიათიდან** გამომდინარე, შეუძლებელია მისი დაბრუნება, 352 II ა) მუხლის მიხედვით ანაზღაურდება მისი ღირებულება. ეს ეხება არა მხოლოდ შესრულების დაბრუნებას, არამედ ასევე მისგან მიღებული სარგებლის დაბრუნებასაც.²³ ეს წესი გამოიყენება, როდესაც შესრულება გულისხმობს არამატერიალურ მომსახურებას²⁴ (თეატრი,

21 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 1, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ამ წესის კორექტირება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით.

22 *Kaiser*, in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, 415.

23 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 8.

24 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 352, გვ. 244; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის № ას-255-239-2014 განჩინება; *ჯანაშია*, ნიგნიში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 512.

კონცერტი,²⁵ ექიმის მომსახურება, გაკვეთილის ჩატარება), უმოქმედობა-სა და შრომით მომსახურებას.²⁶

2. საგნის გამოყენება და სხვა საფუძვლები

12 352 II ბ) მუხლის შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არსებობს მიღებული საგნის **გამოყენების** შემთხვევაში, როდესაც გამოყენებად ნივთთან გვაქვს საქმე,²⁷ ან მისი **გასხვისების** შემთხვევაში.²⁸ გასხვისებაში იგულისხმება მხოლოდ ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში ნივთის გასხვისება მესამე პირზე და არა მასზე საკუთრების გადაცემა ამ პირისათვის, მაგრამ თუ რესტიტუციის მოვალეს ჯერ კიდევ შეუძლია ნივთის უკან დაბრუნება, მაშინ ის ვალდებულია, დააბრუნოს გადაცემული ნივთი და არა მხოლოდ ღირებულება მის სანაცვლოდ.²⁹ ამ შემთხვევაში ნატურით რესტიტუციის პრინციპს ენიჭება უპირატესობა ღირებულების ანაზღაურებასთან მიმართებით. რესტიტუციის მოვალემ უნდა გამოისყიდოს ნივთი და თავიდან გადასცეს მასზე საკუთრება რესტიტუციის კრედიტორს.³⁰ ნივთის **უფლებრივად დატვირთვის** შემთხვევაშიც ანაზღაურდება მისი ამ დატვირთვის საფუძველზე შემცირებული ღირებულება,³¹ თუ შეუძლებელია ნივთის დაუტვირთავ მდგომარეობაში დაბრუნება.

13 დატვირთვაში იგულისხმება ნივთის არა მხოლოდ სანივთო უფლებით დატვირთვა, არამედ ასევე ვალდებულებითი უფლებით, როგორცაა ქირავნობა ან იჯარა. 195-ე მუხლის მიხედვით, **გადამუშავება-გადაკეთების** შემთხვევაშიც ანაზღაურდება ამის საფუძველზე შემცირებული ღირებულება. 352 II ბ) მუხლი ანალოგიით გამოიყენება რესტიტუციის მოვალის მიერ დასაბრუნებელი ნივთის 193-ე მუხლის საფუძველზე მინის ნაკვეთის **არსებით შემადგენელ ნაწილად ქცევის** შემთხვევაში, ან 194-ე მუხლის შესაბამისად **შერწყმის** შემთხვევაში.³²

25 მაგალითად კონცერტის მისი მომწყობის მიზეზით ჩაშლის შემთხვევაში, თუ რესტიტუციის კრედიტორმა მხოლოდ მის ნაწყვეტს მოუსმინა, ამ კრედიტორს აწევს ამ ნაწყვეტის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, რომელსაც ის მატერიალური ფორმით ვეღარ დააბრუნებს (AG Passau, NJW 1993, 1473).

26 აუცილებელია, რომ შესრულების ღირებულება გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულებით, თუ მაგალითად მინის ნაკვეთის გამყიდველი კისრულობს დამატებითი საზღაურის გარეშე შენობა-ნაგებობების მოშორებას ამ ნაკვეთიდან, გასვლის შემდეგ მას არ აქვს უფლება მოითხოვოს ანაზღაურება ამ სამუშაოსათვის (BGH NJW 98, 1079).

27 სწორედ ასეთ განლევად ნივთს წარმოადგენს მედიკამენტი, რომლის უკან დაბრუნება გამორიცხულია არა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ გამოყენების შედეგად შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 28 მარტის № ას-42-40-2013 განჩინება.

28 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 352, გვ. 244.

29 მესამე პირი, რა თქმა უნდა, არ არის ვალდებული დააბრუნოს მიღებული ნივთი არც რესტიტუციის მოვალეს და არც მის კრედიტორს, შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 352, გვ. 231; გერმანულ სამართალში — BGH NJW 1988, 699, 700; BGH NJW 1997, 937, 939.

30 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 286; Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 8 a.*

31 და არა, როგორც ეს გამოთქმულია *მაჭარაძე*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა — განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 140, რომლის მიხედვითაც ანაზღაურდება მთლიანი ნივთის ღირებულება, თავად ნივთი კი არ ბრუნდება.

32 *Kaiser, in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, 416.*

3. ნივთის გაფუჭება ან დაღუპვა

ნივთის გაფუჭება ან დაღუპვა ასევე აკისრებს რესტიტუციის მოვალეს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებას 352 II გ) მუხლის მიხედვით.³³ გაფუჭებად მიიჩნევა ნივთის სუბსტანციის ან ფუნქციურობის ყოველი უარყოფითი ცვლილება. განადგურებად მიიჩნევა ნივთის სუბსტანციის სრული განადგურება.³⁴ ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არსებობს ბრალისაგან დამოუკიდებლად. რესტიტუციის მოვალემ უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება მაშინაც კი, თუ გაფუჭება ან განადგურება დაუძლეველი ძალითაა გამოწვეული, რაც გამართლებულია, რადგან ხელშეკრულების შესრულებასთან ერთად მასზე გადავიდა ნივთის შემთხვევითი განადგურების რისკი. არ ანაზღაურდება საგნის სათანადო გამოყენებით განპირობებული გაუარესება. მართალია, პირი, ჩვეულებრივ, სათანადო გამოყენებით იღებს სარგებელს ნივთიდან, რომელიც უნდა აანაზღაუროს კიდევ 352 I მუხლის შესაბამისად, თუმცა სარგებლის ღირებულება და ნივთის გამოყენების შედეგად გაუფასურება შესაძლებელია, არ იყოს ურთიერთშესატყვისი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, მაგალითად, ახალი მანქანა მისი პირველი გამოყენებისას ღირებულების 20%-ს კარგავს. სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთის არანაზღაურების დანაწესი მიზნად ისახავს გასვლის უფლების მქონე პირის პრივილეგირებას და მის ნახალისებას, რომ გამოიყენოს ვალდებულების დარღვევიდან წარმოშობილი გასვლის უფლება, მიუხედავად ნივთის ცვეთისა.

352 II გ მუხლი, რომელიც განზოგადების საფუძველზე ნატურით უკან დაბრუნების შეუძლებლობის ყველა შემთხვევას ანესრიგებს, ანალოგიით უნდა გავრცელდეს რესტიტუციის მოვალის მიერ ნივთის **დაკარგვის**, მისთვის ამ ნივთის **მოპარვის**, ან მის მიერვე **გადაგდების** შემთხვევებზე, რადგან ამ შემთხვევაში, ისევე როგორც გაფუჭება-დაღუპვის შემთხვევაში, შეუძლებელია ნივთის ნატურით დაბრუნება.³⁵

IV. ღირებულების ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა, 352 III

1. ზოგადი წესი: საპირისპირო შესრულებაზე ორიენტირება

ღირებულების ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაურებით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო **საპირისპირო ფულადი შესრულება**, მაშინ ეს შესრულება გამოიყენება ღირებულების ანაზღაურების მოცულობის განმსაზღვრელად. თუმცა ეს წესი ამ მუხლის მე-3 ნაწილის ფორმულირებიდან – „თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით“ – ცალსახად არ გამომდინარეობს, რაც, სავარაუდოდ, ქართველი კანონმდებლის შეცდომას უნდა ემყარებოდეს, რომელმაც ზუსტად ვერ

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-12-12-2012 განჩინება.

34 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 9.

35 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 9.

გადმოიტანა ქართულ კანონში შესაბამისი გერმანული დანაწესი – „თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საპასუხო შესრულება, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება საზღაურის თანხის გამოანგარიშების საფუძვლად“. გსკ-ის 346 II 2 პარაგრაფის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია არა საგნის ობიექტური ღირებულება, არამედ საპირისპირო ფულადი შესრულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.³⁶ ამ დანაწესმა უნდა უზრუნველყოს შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის არსებული თანაფარდობის დაცვა³⁷ და გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულება, რომელიც საფუძვლად უდევს გასვლის შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობას, ნამდვილია და მხარეები შებოჭილი არიან მის ფარგლებში არსებული რისკების გადანაწილებით. თუ გამყიდველი მზად იყო, გაეცა კუთვნილი ნივთი 8000 ლარად, მაშინ გასვლის შემდეგაც ვერ მიიღებს მეტს და უნდა დასჯერდეს მხოლოდ ამ თანხას განადგურებული ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევებში გასვლა, ჩვეულებრივ, გაქვითვით მთავრდება; ნასყიდობის უკან დასაბრუნებელი ფასი იქვითება ნივთის ანაზღაურებად ღირებულებასთან და არც ერთი მხარე არ აბრუნებს არაფერს.³⁸ ნივთის ობიექტური ღირებულება მხოლოდ მაშინ გამოიყენება დასაბრუნებელი ღირებულების გამოთვლის მასშტაბად, თუ ხელშეკრულებაში საპირისპირო შესრულების ღირებულება არ იყო გათვალისწინებული.

2. გამონაკლისი 1: ნაკლოვანი შესრულება

17 განსხვავებულად უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც ნასყიდობის მხარე ნივთის **ნაკლიდან გამომდინარე** იყენებს გასვლის უფლებას. თუ ეს ნაკლი ამცირებს ნივთის ღირებულებას, გასვლის შემდეგ მყიდველი დააბრუნებდა ნაკლოვან ნივთს და გამყიდველი მის სანაცვლოდ მიღებულ ფასს – მაგ., მყიდველმა იყიდა 10 000 ლარად ავტომანქანა, რომლის საბაზრო ღირებულებაც მუხრუჭების დეფექტის გამო მხოლოდ 8 000 ლარი იყო. თუ ნივთი განადგურდა და მისი ღირებულების განსაზღვრავად ხელშეკრულებით შეთანხმებულ საპირისპირო შესრულებას, ანუ ფასს, მოვიშველიებდით, მაშინ მყიდველს მოუწევდა მეტის ანაზღაურება, ვიდრე მან ხელშეკრულებით მიიღო, რის გამოც ამ შემთხვევებში 352 III მუხლის მიხედვით საორიენტაციო მასშტაბად აღარ გამოიყენება საპირისპირო შესრულების ღირებულება და მყიდველი აბრუნებს ნივთის ნაკლის საფუძველზე შემცირებულ ობიექტურ ღირებულებას.³⁹ სანაცვლოდ იღებს ნასყიდობის მთლიან ფასს. ამ შემთხვევაშიც, გასვლიდან წარმოშობილი რესტიტუციის ურთიერთობის საორიენტაციო მასშტაბად რჩება ნამდვილი ხელშეკრულება – ნივთის უკან დასაბრუნებელი ღირებულება მცირდება ფასის შემცირების ნესების შესაბამისად, 492-ე მუხლის მიხედვით.

36 თუმცა მოცემული გადწყვეტა გერმანულ სამართალშიც საკამათოა. იხ. საპირისპირო მოსაზრება Arnold, Das neue Recht der Rücktrittsfolgen, Jura 2002, S. 157.

37 Canaris, Schuldrechtsmodernisierung, 2002, XXXIX.

38 BGH 15.4.2010, III ZR 218/09, ZIP 2010, 1084.

39 Kaiser, in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, 418.

3. გამონაკლისი 2: ნივთის ფასი აჭარბებს მის რეალურ ღირებულებას

მე-2 გამონაკლისი, როდესაც საპირისპირო შესრულების ღირებულებაზე ორიენტირება უსამართლოა, არის შემთხვევა, როდესაც ნივთის რეალური ღირებულება მასში გადახდილ ფასს ჩამოუვარდება⁴⁰ (მაგ., მყიდველი ყიდულობს 10 000 ლარის ღირებულების მქონე მანქანას 20 000 ლარად). საპირისპირო შესრულებაზე მკაცრად ორიენტირების შემთხვევაში, სამართლებრივი მდგომარეობა ნივთის განადგურებამდე და ნივთის განადგურების შემდეგ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ნივთის განადგურებამდე მყიდველი დააბრუნებდა მხოლოდ 10 000 ლარის ღირებულების მქონე მანქანას, ხოლო ნივთის განადგურების შემდეგ ვალდებული იქნებოდა, აენაზღაურებინა 20 000 ლარი, რაც გაუმართლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გასვლის ფარგლებში ღირებულების ანაზღაურების მიზანია არა პირის დასჯა ნივთის განადგურების გამო, არამედ განადგურებული ნივთის ღირებულების ანაზღაურებით იმ მდგომარეობასთან მიახლოება, რომელიც იარსებებდა, მხარეებს შესრულებები საერთოდ რომ არ გაეცვალათ. ამ დროს გამყიდველს ექნებოდა 10 000 ღირებულების ავტომანქანა და სწორედ ეს ღირებულება უნდა აუნაზღაუროს მას მყიდველმა. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ხდება 352 III მუხლის დანაწესის ტელეოლოგიური დავინროება (რედუქცია) და გადახდილი საფასურის ნაცვლად ნივთის ობიექტურ ღირებულებაზე ორიენტირება.

ამგვარად, შესრულების საგნის ობიექტური ღირებულება არის 352 II, III მუხლის მიხედვით ასანაზღაურებელი ღირებულების ზედა ზღვარი.⁴¹

4. ნივთის ფასი ჩამოუვარდება მის ობიექტურ ღირებულებას

352 III მუხლი მყიდველს ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთში გადახდილი ფასი მის ობიექტურ ღირებულებას ჩამოუვარდება, მაგალითად, ის ყიდულობს მანქანას, რომლის ღირებულებაც 12 000 ლარია, 10 000 ლარად. თუ მანქანა მოგვიანებით ავარიის შედეგად განადგურდება, რესტიტუციის მოვალე ვალდებულია, 352 III მუხლის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების სახით აანაზღაუროს მხოლოდ 10 000 ლარი. ეს გადაწყვეტა არ აყენებს გამყიდველს გაუმართლებლად არახელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან მან უკვე ნასყიდობის დადებისას დააფიქსირა საკუთარი ნება, რომ მანქანა არ უღირდა 10 000 ლარზე მეტი.⁴² ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც გასვლას აცხადებს არა მყიდველი, ნივთის ნაკლის გამო, არამედ გამყიდველი – ფასის გადახდის ვადის გადაცილების მოტივით.⁴³ გამომდინარე იქიდან, რომ 352 III მუხლი არ ასხვავებს გასვლის საფუძვლების მიხედვით, ზემოთ მოყვანილი ორივე შემთხვევა იდენტურად უნდა გადაწყდეს.⁴⁴

40 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 10.

41 *Kaiser*, in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, 418.

42 BGH NJW, 2009, 1068.

43 BGH NJW 2009, 1068.

44 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 11.

V. ღირებულების ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვა, 352 IV

21 ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 352 II მუხლის შესაბამისად შეიძლება **გამორიცხული იყოს**, თუ სახეზეა **352 IV ა)-გ)** მუხლის წინაპირობები. ამ შემთხვევაში ის, რაც დარჩა მიღებული შესრულებიდან, ბრუნდება **უსაფუძვლო გამდიდრების** წესების შესაბამისად,⁴⁵ რადგან თვითონ 352-ე მუხლი აღარ ითვალისწინებს ამ მონარჩენი საგნის დაბრუნების სპეციალურ წესს. მართალია, ეს წესი პირდაპირ გათვალისწინებულია მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების გამორიცხვის შემთხვევისათვის გ) პუნქტის შესაბამისად, მაგრამ მისი გავრცელება მიზანშეწონილია ასევე დანარჩენ ორ შემთხვევაზეც (352 IV ა) და ბ). მითითება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალზე არის ე. წ. „**სამართლებრივ შედეგებზე მითითება**“,⁴⁶ რაც ნიშნავს იმას, რომ არ მოწმდება უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის წინაპირობები და მოქმედებს მხოლოდ ამ მოთხოვნის სამართლებრივი შედეგები (979-ე და შემდგომი მუხლები), როგორც ეს გერმანულ სამართალშია აღიარებული.⁴⁷

1. ნაკლის აღმოჩენა გადამუშავების ან გარდაქმნის დროს, საგნის გაფუჭება და განადგურება

22 ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას იძლევა, ამ **საგნის დამუშავების ან გარდაქმნის** დროს აღმოჩნდა. 352 IV ა) გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის ნაკლი მისი **დანიშნულებისამებრ გამოყენებისას** აღმოჩნდება.⁴⁸ მაგალითად, რესტორნის სალატში აღმოჩენილი ლოკოკინა⁴⁹ საფუძველია იმისათვის, რომ შემკვეთმა არ გადაიხადოს არც მანამდე მირთმეული სხვა საჭმლისა და სასმელის საფასური. ეს დანაწესი უნდა გავრცელდეს ასევე შემთხვევებზე, როდესაც ნაკლი აღმოჩნდება შესრულების საგნის სხვა საგანთან **შერევის** ან **შეერთების** შედეგად, ასევე 495 I მუხლის შესაბამისად მენარმის მიერ სავალდებულო შემონმების დროს.⁵⁰ ღირებულების ანაზღაურებისაგან გათავისუფლების წინაპირობაა ნაკლის აღმოუჩენადობა მხოლოდ გარეგნული დათვალიერების შედეგად.⁵¹

23 საგნის გაფუჭებისა და დაღუპვის შემთხვევაში 352 II გ) მუხლის მიხედვით, თუ ეს გაფუჭება და დაღუპვა გამონვეული იყო კრედიტორის ბრალით, მოვალე არ ანაზღაურებს ნივთის ღირებულებას. კრედიტორის ბრალის განსასაზღვრავად ანალოგიით გამოიყენება 395-ე, 396-ე მუხლები

45 Schulze, in BGB-HK, 8. Aufl., 2014, § 346, Rn. 17.

46 Rechtsfolgenweisung.

47 Schulze, in BGB-HK, 8. Aufl., 2014, § 346, Rn. 17.

48 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 11.

49 AG Burgwedel NJW 1986, 2647.

50 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 346, Rn. 49.

51 შდრ. განსხვავებული მოსაზრება ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 512.

ბი. ღირებულების ანაზღაურების გამორიცხვა უნდა გავრცელდეს ასევე იმ შემთხვევაზეც, როდესაც ნივთის განადგურება ხდება **გასვლის უფლების მიმნიჭებელი ნაკლის** გამო.⁵² მაგ., მანქანა განადგურდა მუხრუჭების გაუმართაობის გამო, მას გადაცემის მომენტშიც ახასიათებდა და რის საფუძველზეც მყიდველმა მოგვიანებით განაცხადა გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ გამყიდველს შეიძლება არ მიუძღოდეს ბრალი ნაკლოვან შესრულებაში, მანქანის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც უნდა გამოირიცხოს. გამყიდველს არ უნდა ჰქონდეს უფლება, გადააკისროს საკუთარი ნაკლოვანი შესრულების შედეგები მყიდველს.

2. გასვლის უფლების მქონე პირის პრივილეგიები

კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის 24
სასარგებლოდ მოქმედებს პრივილეგია, რომლის მიხედვითაც ის არ ანაზღაურებს გაფუჭებული ან განადგურებული ნივთის ღირებულებას, თუ ის **ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარს** (*diligentia quam in suis*). ამრიგად, უფლებამოსილი პირი პასუხს არ აგებს ნივთის შემთხვევითი განადგურებისათვის და არც მსუბუქი ან ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობისათვის.⁵³ გერმანიაში საკუთარ საქმეებში გამოჩენილი მზრუნველობისათვის პასუხისგების ზღვარია უხეში გაუფრთხილებლობა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 277-ე მუხლი⁵⁴). თუ პირი უხეში გაუფრთხილებლობით ანადგურებს საკუთარ ნივთებს, ის მაინც აგებს პასუხს სხვა პირების წინაშე ბრალის ამ ხარისხისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემზღუდავი დანაწესი ქართულ სამართალში არ არსებობს, მისი გადმოტანა მაინც მიზანშეწონილია, რათა არ მოხდეს ამ პრივილეგიის დასაშვებზე მეტად განვრცობა.

ამ პრივილეგიის **გამართლება**ა შემდეგი გარემოება:⁵⁵ პირს, რომელსაც თვითონ არ დაურღვევია სახელშეკრულებო ვალდებულება და რომლის გასვლის უფლებამოსილებაც ემყარება მეორე მხარის მიერ **ხელშეკრულების დარღვევას**, წარმოემოხა **ნდობა შენაძენის სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით**. ეს ნდობა მოიცავს ასევე მიღებული საგნის, როგორც საკუთარის, გამოყენების შესაძლებლობას და ის უფრო მეტადაა დასაცავი, ვიდრე მისი კონტრაქტის ნდობა გაცემული შესრულების ღირებულების დაბრუნების მიმართ. ამისგან განსხვავებით, მხარის გასვლის უფლება ხელშეკრულების საფუძვლის დარღვევის შემთხვევაში (398 III მუხლი) არ ემყარება ვალდებულების დარღვევას და უნდა მოხდეს 352 IV „გ“ მუხლის ტელეოლოგიური დავინროება ამ შემთხვევისათვის.⁵⁶ 25

საკამათოა პრივილეგიის გამართლება იმ შემთხვევაში, როდესაც 26
უფლებამოსილმა პირმა შესრულების საგნის გაფუჭება-განადგურების მომენტისათვის უკვე **იცის საკუთარი გასვლის უფლების შესახებ**, ან უკვე **გამოიყენა** ის. ამ შემთხვევაში 352 IV „გ“ მუხლის მოქმედების გა-

52 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl. 2014, § 346 Rn. 12.

53 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 288.

54 http://www.gesetze-im-internet.de/bgb/_277.html. (ბოლოს ნანახია: 29.07.2019).

55 შდრ. გერმანულ სამართალში *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 13 b.

56 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 289.

მართლებად ველარ გამოდგება ის არგუმენტი, რომ უფლებამოსილ პირს შეეძლო, ნივთი სამუდამოდ შექცენილად ჩაეთვალა, რის გამოც აქაც ამ მუხლის ტელეოლოგიური დავინროების საფუძველზე უფლებამოსილი პირი **პასუხს აგებს ნებისმიერი სახის გაუფრთხილებლობისათვის**, ნივთის შემთხვევითი განადგურებისათვის კი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.⁵⁷ მაგალითად, მყიდველი ნაყიდი მანქანის ნაკლის საფუძველზე აცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლას, თუმცა ნივთის დაბრუნებამდე მსუბუქი გაუფრთხილებლობით მოჰყვება ავარიში, რის შედეგადაც ნივთი განადგურდება. რადგან მან უკვე გამოიყენა გასვლის უფლება, მასზე 352 IV „გ“ მუხლის პრივილეგია არ ვრცელდება.

27 მართალია, 352 IV „გ“ მუხლის პრივილეგია მხოლოდ ნივთის გაფუჭებასა და განადგურებას შეეხება, მაგრამ ის **ანალოგიით უნდა გავრცელდეს** დაბრუნების შეუძლებლობის ნებისმიერ სხვა საფუძველზეც (გადამუშავება, გასხვისება, დატვირთვა, გარდაქმნა, ქურდობა).⁵⁸

28 პრივილეგია მოქმედებს **მხოლოდ კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში**.⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ვახსენეთ (იხ. 1-ლი ველი), 352-ე მუხლის სხვა დანაწესები ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ გასვლის სახელშეკრულებო უფლების შემთხვევაზეც, ამ დანაწესის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ის არის კანონისმიერი გასვლის უფლების სპეციალური წესი და გასვლის სახელშეკრულებო უფლების შეთანხმებისას მას მხარეები, ჩვეულებრივ, ვერ ითვალისწინებენ. ასევე უფლებამოსილ პირში იგულისხმება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე უფლებამოსილი პირი, რომლის კონტრაქტუმატა დაარღვია ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულება, რაც არის კიდევ ამ პრივილეგიის გამართლება. ამისგან განსხვავებით, ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობა არ არის ვალდებულების დარღვევა.

VI. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რესტიტუციის ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევისათვის

29 ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგია, ბრალისაგან დამოუკიდებელი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულების გარდა, **ბრალზე დამოკიდებული** ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 352 V მუხლის შესაბამისად. ეს ორი მოთხოვნა ერთმანეთის კონკურენცია,⁶⁰ თუმცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ღირებულების ანაზღაურებასთან შედარებით უფრო ფართო ხასიათისაა და მოიცავს როგორც თანმდევ ზიანს, ასევე მიუღებელ შემოსავალს (411 მუხლი).

57 Arnold, Das neue Recht der Rücktrittsfolgen, Jura 2002, S. 158.

58 Schulze, in BGB-HK, 8. Aufl., 2014, § 346, Rn. 16.

59 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 13 a.

60 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 15.

**1. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების
ნარმოშობის მომენტი**

ვალდებულების შინაარსი, რომლის დარღვევისათვისაც შეიძლება 30 მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება, 352 V მუხლში დაკონკრეტებული არ არის. ზოგადად მიიჩნევა, რომ რესტიტუციის ურთიერთობის მოვალემ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უნდა დააბრუნოს ნივთი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი გამოყენების შემთხვევაში.⁶¹ დაბრუნების შეუძლებლობისა და დაყოვნების, ასევე გაუარესებულ მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში სახეზეა ვალდებულების დარღვევა.⁶² ეს ნორმა 394-ე მუხლზე მითითებით, ვალდებულების დარღვევის გარდა, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად აყენებს მოვალის ბრალს. ისევე როგორც 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილით პასუხისგებისას, ამ შემთხვევაშიც ეს ბრალი ივარაუდება.⁶³

საკამათოა, მოქმედებს თუ არა 352 IV „გ“ მუხლში მონესრიგებული 31 პრივილეგია ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ, ანუ თავისუფლდება თუ არა მოვალე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ნივთი გაფუჭდა, განადგურდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ ნივთს იმავე მზრუნველობით უვლიდა, როგორც თავის სხვა ნივთებს. პრივილეგია უნდა გავრცელდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზეც, რადგან ღირებულების ანაზღაურების გამორიცხვა ბევრ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა, თუ კრედიტორს ყოველთვის შეეძლებოდა მოეთხოვა გაფუჭებულ-განადგურებული ნივთის ღირებულების ანაზღაურება ზიანის ანაზღაურების ფორმით.⁶⁴

უფრო კონკრეტულად დარღვეული ვალდებულების შინაარსის გამო- 32 კვეთისათვის მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ზიანი გამომწვევი გარემოების დადგომის მომენტის მიხედვით:

**ა. ნივთის გაფუჭება და განადგურება გასვლის
გაცხადების შემდეგ**

საკმაოდ უპრობლემოა 394-ე მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაში, რო- 33 დესაც ნივთი ფუჭდება ან ნადგურდება გასვლის გაცხადების შემდეგ. გასვლის გაცხადებასთან ერთად რესტიტუციის მოვალეს ეკისრება მიღებული შესრულების დაბრუნების ვალდებულება. თუ ეს ვალდებულება არ სრულდება, არ სრულდება დროულად, ან სრულდება მხოლოდ ნაკლოვანად, ეს არის ვალდებულების ჩვეულებრივი დარღვევა, რადგან ამ დროს რესტიტუციის მოვალეს კრედიტორის წინაშე ეკისრება ვალდებულება, გაუფრთხილდეს ნივთს და მიიღოს ყველა შესაძლებელი ზომა მისი ზიან-

61 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 346, Rn. 59.
 62 Meyer, Schadensersatz im Rückgewährschuldverhältnis § 346 Abs. 4 BGB, Jura 2011, S. 247.
 63 შდრ. მსგავსი გადაწყვეტისათვის გერმანულ სამართალში Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl. 2012, § 346 Rn. 59; Meyer, Schadensersatz im Rückgewährschuldverhältnis § 346 Abs. 4 BGB, Jura 2011, S. 247.
 64 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 346, Rn. 62.

ნისაგან დასაცავად.⁶⁵ ამ ვალდებულების დარღვევისათვის რესტიტუციის მოვალემ პასუხი უნდა აგოს 352 IV, 394-ე მუხლების შესაბამისად. თუ კრედიტორი ვადაგადაცილებულია, მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლებისათვის (392), ამის საპირისპიროდ ვადაგადაცილებული მოვალე პასუხს აგებს ასევე ნივთის შემთხვევითი დაღუპვისათვის (402).

ბ. ნივთის გაფუჭება და განადგურება გასვლის გაცხადებამდე

- 34 პრობლემურია ნივთის **გაფუჭება-განადგურება გასვლის გაცხადებამდე**. გასვლის გაცხადებამდე ჯერ კიდევ არ არსებობს მოვალის ვალდებულება, დააბრუნოს მიღებული შესრულება, რომელსაც ის ბრალეულად დაარღვევდა. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში⁶⁶ გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, რომლის გადმოტანაც ქართულ სამართალშიც მიზანშეწონილია, რესტიტუციული ურთიერთობიდან წარმოშობილი **ვალდებულების დარღვევა სახეზეა** ყოველთვის, როდესაც უკან დაბრუნების ვალდებულება არ სრულდება. ეს ნესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ნივთი რესტიტუციის მოვალესთან **გასვლის გაცხადებამდე განადგურდა**. ანუ შესაძლებელია, ნივთის განადგურება ხელშეკრულებიდან გასვლამდე გასვლის შემდეგ დაკვალიფიცირდეს ვალდებულების დარღვევად, რის გამოც მოვალემ უნდა აანაზღაუროს ზიანი. პარალელი შეიძლება გაივლოს ზოგადი ვალდებულებითი სამართლის სხვა ინსტიტუტებთან – ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაც, რომელიც ხელშეკრულების დადებამდეა წარმოშობილი, ხელშეკრულების დადების შემდეგ ითვლება ვალდებულების დარღვევად.⁶⁷ თუმცა ვალდებულების დარღვევისაგან უნდა განვასხვაოთ რესტიტუციის სამომავლო მოვალის **ბრალი ამ ვალდებულების დარღვევაში**, როდესაც მან არ იცის და არც შეიძლება იცოდეს გასვლის საფუძვლის არსებობის შესახებ. ამ დროს ის ნივთს მიიჩნევს თავისად და სამუდამოდ შექცენილად, რის გამოც ვერც დაარღვევს რესტიტუციის კრედიტორის წინაშე ბრალეულად ამ ჯერ არწარმოშობილ ვალდებულებას.⁶⁸ მისგან შესაძლებელია მხოლოდ ნივთის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა 352 II მუხლის მიხედვით. გასვლის გაცხადებამდე მოვალის ბრალი შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს სახეზე, როდესაც **მან იცის ან უნდა იცოდეს** გასვლის წინაპირობების არსებობის შესახებ.

- 35 უზენაესი სასამართლოს მიხედვით,⁶⁹ მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ასევე **გასვლის გაცხადებამდე გაშვებულ პროცენტებზეც**, როგორც **მიუღებელ შემოსავალზე**. ეს გადაწყვეტილება საკმაოდ საკამათოა. მართალია, შესაძლებელია რესტიტუციის ვალდებულების წინმსწრებად

65 შდრ. გერმანულ სამართალში BGH NJW 1983, 113.

66 შეჯამებისათვის შდრ. Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 346, Rn. 60.

67 Heinrichs, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 275, Rn. 4.

68 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 346, Rn. 61.

69 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის № ას-376-357-2013 განჩინება, ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 127.

(გასვლის გაცხადებამდე) დარღვევა, მაგალითად, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნივთის განადგურება გასვლამდე შეიძლება ჩაითვალოს გასვლის შემდეგ ვალდებულების დარღვევად, თუმცა ამ შემთხვევაში გამყიდველს თანხის დაბრუნების ვალდებულება არ დაურღვევია, გასვლის გაცხადების შემდეგ მან დააბრუნა მიღებული თანხა. ამიტომაც ეს შემთხვევა **არ ექცეოდა 352 V მუხლის მოქმედების** სფეროში, რადგან ეს მუხლი ეხება რესტიტუციის ვალდებულებისა და არა თავდაპირველი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას.⁷⁰ ხელშეკრულებიდან გასვლის გაცხადებამდე არ არსებობდა საფასურის დაბრუნების ვალდებულება. მისი დაუბრუნებლობა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ჩაითვლებოდა ზიანის ანაზღაურების უფლების მიმნიჭებელ (რესტიტუციის) ვალდებულების დარღვევად, რაც ამ შემთხვევაში სახეზე არ იყო. ამ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება უნდა მოხდეს სარგებლის ანაზღაურების წესების შესაბამისად, 352 I ან 353-ე მუხლის მიხედვით (იხ. 353-ე მუხლის კომენტ.).

VII. მტკიცების ტვირთი

მხარემ, რომელიც აცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლას, უნდა დაამტკიცოს, რომ მას ჰქონდა გასვლის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო უფლება. თუ მხარე ითხოვს ღირებულების ანაზღაურებას 352 II მუხლის მიხედვით, მან უნდა ამტკიცოს ამ მოთხოვნის წინაპირობები და მოცულობა.⁷¹ ასევე ის მხარეა ვალდებული, ამტკიცოს ღირებულების ანაზღაურების გამორიცხვის საფუძვლები 352 IV მუხლის მიხედვით, რომელიც მასზე მიუთითებს. თუ კრედიტორი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას 352 V მუხლის მიხედვით, მაშინ მან უნდა ამტკიცოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა. ამის საპირისპიროდ 394 I 2 მუხლში გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის შეტრიალება მოქმედებს ამ შემთხვევაშიც: მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში. თუ კანონისმიერი გასვლის უფლების საფუძველზე უფლებამოსილმა პირმა გააფრთხილებლობით გააფუჭა ან გაანადგურა ნივთი, შეუძლია, მიუთითოს 352 IV გ მუხლით გათვალისწინებულ პრივილეგიაზე, თუ დაამტკიცებს, რომ თავის სხვა ნივთებსაც ასეთივე მზრუნველობით ექცევა (იხ. 22-ე ველი).

70 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმწიქროს სამართალი, 2014, გვ. 513.

71 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 8.

მუხლი 353. მოვალის ვალდებულება საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო სარგებლის მიუღებლობისას

1. თუ მოვალე არ იღებს სარგებელს საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა, მაშინ იგი ვალდებულია, კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი.

2. თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით ან, თუ 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, დაუშვებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ მას უნდა აუნაზღაუროდეს აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაუროდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო.

I. ზოგადი.....310

II. მიუღებელი სარგებელი (353 I).....310

III. დანახარჯების ანაზღაურება (353 II).....312

1. აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება (353 II 1)313

ა. დანახარჯების ცნება.....313

ბ. აუცილებელი დანახარჯები.....314

2. სხვა (არააუცილებელი) დანახარჯების ანაზღაურება (353 II 2)314

ა. არააუცილებელი დანახარჯები.....314

ბ. სარგებლიანობა კრედიტორისათვის315

IV. მტკიცების ტვირთი315

I. ზოგადი

1 განსხვავებით რეალურად მიღებული სარგებლისაგან, რომელსაც რესტიტუციის მოვალე აბრუნებს 352 I მუხლის მიხედვით, **მიუღებელი სარგებლის** ღირებულება მან უნდა აანაზღაუროს 353 I მუხლის შესაბამისად. ეს დანაწესი მოქმედებს შესრულების მიღების მომენტიდან ხელშეკრულების სრულ უკუქცევამდე, როგორც ხელშეკრულებით შეთანხმებული, ისე კანონისმიერი გასვლის უფლების გამოყენებისას.

2 მუხლის მე-2 ნაწილში მოწესრიგებულია **აუცილებელი და არააუცილებელი დანახარჯების** დაბრუნების მოთხოვნა. ორივე დანაწესი **დისპოზიტიურია**¹ და მხარეებს შეუძლიათ როგორც სარგებლის, ისე დანახარჯების დაბრუნების განსხვავებული წესის შეთანხმება. 353-ე მუხლი მოქმედებს როგორც გასვლის უფლების მქონე პირის, ასევე მეორე მხარის სასარგებლოდ.

II. მიუღებელი სარგებელი (353 I)

3 353 I მუხლის შესაბამისად, რესტიტუციის მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს იმ **სარგებლის ღირებულება**, რომელსაც ის არ იღებს საგნის **სათანადო გამოყენების** წესების დარღვევის გამო, მიუხედავად ამის

¹ Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 1.

შესაძლებლობისა. ეს დანაწესი ემყარება მოსაზრებას, რომ შესრულების მიმღები, მართალია, თუ არ იღებს ნივთიდან სარგებელს, პირველ რიგში, ვნებს ამით საკუთარ ინტერესებს, მაგრამ, საბოლოოდ, გასვლის გაცხადების შემდეგ, აზიანებს მეორე მხარეს, რომელსაც ექნებოდა ამ სარგებლის მოთხოვნის უფლება 352 I მუხლის შესაბამისად.² უმნიშვნელოა, მიიღებდა თუ არა კრედიტორი თვითონ ამ სარგებელს, საგანი მასთან რომ დარჩენილიყო, რადგან ეს ნორმა არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას,³ მიუხედავად ნორმის დისპოზიციაში ზიანის ხსენებისა.⁴ მიუღებელი სარგებელი არ არის 411-ე მუხლში ხსენებული მიუღებელი შემოსავლის, როგორც ზიანის ერთ-ერთი ფორმის, იდენტური.⁵

4

სარგებლის ცნება ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც 352 I მუხლის შემთხვევაში (იხ. 352 I მუხლის კომენტ., მე-8 ველი) მოიცავს ნივთისა და უფლების შემოსავალს, ნამატს, ან უპირატესობას. საგნის სათანადო გამოყენების წესებში იგულისხმება **ობიექტური მასშტაბი მეურნეობის გონივრული** გაძლოლისა, ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით.⁶ ამის გამო არ არსებობს მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება ისეთი ნივთების შემთხვევაში, რომელთა გამოყენებაც პირის ინდივიდუალურ თუ თვითნებურ გადანყვეტილებას ემყარება ხოლმე.⁷ მაგალითად, ავტომანქანის შემთხვევაში არ არის აუცილებელი მისი გამოყენება სამსახურში სასიარულოდ და არც გასასეირნებლად,⁸ ტანსაცმლის შემთხვევაში არ არის აუცილებელი მისი ტარება, ხოლო აგარაკის შემთხვევაში – მასში ცხოვრება. განსხვავებულადაა საქმე ისეთი ნივთების შემთხვევაში, რომელთა **დანიშნულებისამებრ გამოყენებაც** მათგან შემოსავლის მიღებას გულისხმობს – გასაქირავებელი ბინის შემთხვევაში აუცილებელია მისი გაქირავება და იმ ქირის აღება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია⁹. მგზავრების გადაყვანის მიზნით აღჭურვილი ავტობუსიც მოვალემ უნდა გამოიყენოს შემოსავლის მისაღებად.¹⁰ ასევე სამეურნეო დანიშნულების მიზნის ნაკვეთის დაუმუშავებლობის შემთხვევაში აუცილებელია მიუღებელი შემოსავლის ღირებულების ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიზნის ნაკვეთის შექმნა მოხდა მისთვის დანიშნულების შეცვლის მიზნით. ფულის შემთხვევაში მისი რაოდენობიდან და მიმღების საქმიანობიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, ჰქონდა

2 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 6.

3 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 347, Rn. 2.

4 შდრ. განსხვავებული მოსაზრება ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 515.

5 შდრ. ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 515, ამ მოსაზრებას მოცემულ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ.

6 Kaiser, Die Rechtsfolgen des Rücktritts in der Schuldrechtsreform, JZ 2001, S. 1067.

7 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 6.

8 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 515; Grothe, in Beck OK BGB, 21. Aufl., 2015, Rn. 2; Kaiser, Die Rechtsfolgen des Rücktritts in der Schuldrechtsreform, JZ 2001, S. 1067.

9 Röhrl, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, § 347 Rn. 2; Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl. 2010, § 347, Rn. 11.

10 ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 515.

5 თუ არა მას ამ თანხიდან პროცენტების მიღების ვალდებულება. ჩვეულებრივ, **კერძო პირს** ეს ვალდებულება არ აქვს.¹¹ საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის შემთხვევაში გასვლის საფუძვლის შესახებ **ცოდნა** ან გაუფრთხილებლობით არცოდნა არ არის მოთხოვნის უფლების წინაპირობა, გადამწყვეტია სარგებლის მიღების შესაძლებლობა,¹² მოვალის **ბრალს** სარგებლის მიუღებლობისას მნიშვნელობა არ ენიჭება.¹³

6 ანაზღაურდება მიუღებელი სარგებლის **ობიექტური ღირებულება**.¹⁴ საგნიდან სარგებლის მიღების ვალდებულება მოვალეს აკისრია **გასვლის გაცხადებამდე**, რადგან ამ მომენტიდან მოყოლებული, შესრულების საგანი უკვე უკან უნდა დაბრუნდეს.¹⁵

7 **პრივილეგია, რომელიც 352 IV „გ“ მუხლშია** გათვალისწინებული და რომლის მიხედვითაც გასვლის უფლებამოსილების მქონე პირი თავისუფლდება ნივთის გაფუჭება-განადგურების შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარს, მოქმედებს მიუღებელი სარგებლის შემთხვევაშიც **ანალოგიით**. ამ ანალოგიის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ პირს, რომელსაც თვითონ არ დაურღვევია სახელშეკრულებო ვალდებულება და რომლის გასვლის უფლებამოსილებაც ემყარება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევას, წარმოეშობა **ნდობა** შენაძენის სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ეს ნდობა მოიცავს ამ ნივთიდან სარგებლის არმიღებასაც (იხ. 352-ე მუხლის კომენტ., V.2). ამ პრივილეგიების ზღვარი, ისევე როგორც 352 IV „გ“ მუხლის შემთხვევაში, უნდა იყოს უხეში გაუფრთხილებლობა – თუ მოვალე უხეში გაუფრთხილებლობით არ იღებს საკუთარი ნივთებიდან სარგებელს, ის მაინც ვალდებულია, აუნაზღაუროს რესტიტუციის კრედიტორს დასაბრუნებელი ნივთიდან მიუღებელი სარგებელი.

8 გასათვალისწინებელია ასევე, რომ სარგებლის არმიღება შეიძლება იყოს **ვალდებულების დარღვევა** რესტიტუციის კრედიტორის წინაშე და მიუღებელი სარგებლის მოთხოვნა შეიძლება მოხდეს როგორც ზიანისა 394-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით. ამ მოთხოვნის წინაპირობაა, უფლებამოსილი პირის მიერ გასვლის წინაპირობების შესახებ ცოდნა. ამ მომენტიდან მას აქვს საშუალება, გასვლის გაცხადების საფუძველზე ხელშეკრულება გარდაქმნას რესტიტუციულ ურთიერთობად და უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები.¹⁶

III. დანახარჯების ანაზღაურება (353 II)

8 დანახარჯების ანაზღაურების მომწესრიგებელი დანაწესი 353 II მუხლის მიხედვით ატარებს **ამომწურავ** ხასიათს. მაშინაც კი, როდესაც მისი

11 *Derleder*, *Der Kauf aus privater Hand nach neuem Schuldrecht*, NJW 2005, S. 2484.

12 *ჯანაშია*, ნიგნო: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 515.

13 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 6; შდრ. განსხვავებული მოსაზრება *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 353, გვ. 252.

14 *Röthel*, in *Erman BGB*, 13. Aufl., 2011, § 347, Rn. 3.

15 *Gaier*, *Das Rücktritts(folgen)recht nach dem Schuldrechtsmodernisierungsgesetz*, WM 2002, S. 13.

16 *Schmidt*, *Beck OK BGB*, 35. Aufl., 2015, § 347, Rn. 2.

წინაპირობები არ არის სახეზე, დაუშვებელია ანაზღაურების მოთხოვნა სხვა საფუძვლით.¹⁷

9

აუცილებელი და არააუცილებელი დანახარჯების მოთხოვნა არ გამოირიცხავს **ზიანის ანაზღაურებას**, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია გასვლასთან ერთად (407). დანახარჯების ორმაგად მოთხოვნა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. თუ დანახარჯების ღირებულებამ შეამცირა მოვალის მიერ ანაზღაურებადი სარგებლის ღირებულება 352 I მუხლის შესაბამისად, მაშინ მისი მეორედ მოთხოვნა, 353 II მუხლის შესაბამისად, აღარ ხდება.

10

როგორც ამ დანაწესის ტექსტიდან – „თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს“ – გამომდინარეობს, დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულება **ვადამოსულია** მხოლოდ შესრულების საგნის დაბრუნების ან მისი ღირებულების ანაზღაურების შემდეგ. კრედიტორმა მხოლოდ მაშინ უნდა აანაზღაუროს დანახარჯები, როდესაც მათგან სარგებელს იღებს. მიუხედავად იმისა, ვადამოსულია თუ არა ეს მოთხოვნა, მოვალეს შეუძლია, კრედიტორის მოთხოვნას საგნის დაბრუნებასთან დაკავშირებით შეაგებოს დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა **354-ე** მუხლის შესაბამისად და ამგვარად მიაღწიოს ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების ერთდროულად შესრულებას.¹⁸ ამ ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნების გაქვითვა შესრულების ვადის დადგომამდეც შესაძლებელი უნდა იყოს ხელშეკრულების უკუქცევის გამარტივების მიზნით.¹⁹

1. აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება (353 II 1)

11

353 II 1 მუხლი ითვალისწინებს რესტიტუციის მოვალის მიერ განუვლი აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ მოთხოვნის წინაპირობაა საგნის დაბრუნება **352 I მუხლის** შესაბამისად, ან მისი ღირებულების ანაზღაურება **352 II მუხლის** შესაბამისად, ან ამ ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლება, რადგან გასვლის უფლების მიმნიჭებელი ნაკლი აღმოჩნდა საგნის გადამუშავება-გარდაქმნის დროს (**352 IV ა**), ან საგნის გაფუჭება-დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა (**352 IV ბ**). რადგან ნახსენები არ არის 352 IV „გ“ მუხლი, დანახარჯების ანაზღაურებას ვერ მოითხოვს მოვალე, რომელთანაც შესრულების საგანი განადგურდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მას ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა, როგორც საკუთარს და ამის გამო თავისუფლდება მისი ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან. უსამართლოა, რომ მოვალეს, რომელიც ვერ იბრუნებს ვერც ნივთს და ვერც მისგან მიღებულ სარგებელს, დავაკისროთ მეორე მხარის მიერ ამ ნივთზე განუვლი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

ა. დანახარჯების ცნება

12

დანახარჯებს განეკუთვნება ყველა მიზნობრივი და ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, რომელთა განწევაც ხდება სხვის ინტერესებში. ნი-

17 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 15.

18 Grothe, Beck OK BGB, 21. Aufl., 2015, Rn. 5; Röthel, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, Rn. 8.

19 Grothe, Beck OK BGB, 21. Aufl., 2015, Rn. 5.

ვთის **გადაკეთება**, თუ მისი იერსახე და ფუნქცია იმგვარად იცვლება, რომ ის სხვა დანიშნულებას იძენს, გერმანული ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით²⁰ არ განეკუთვნება დანახარჯებს. მაგალითად, მიწის ნაკვეთზე შენობის აღმართვა არ განეკუთვნება დანახარჯებს. ამ მოსაზრების გაზიარება ქართულ სამართალშიც მიზანშეწონილია, ოღონდ არა დანახარჯების ცნების განსაზღვრის ეტაპზე, არამედ აუცილებელი დანახარჯების არააუცილებლისაგან გამიჯვნის ეტაპზე²¹, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის ზღვარი წაიშლებოდა.

ბ. აუცილებელი დანახარჯები

- 13 **აუცილებელია** დანახარჯები, რომლებიც ემსახურება ნივთის შენარჩუნებას, აღდგენასა და გაუმჯობესებას.²² გადამწყვეტია ამ დანახარჯების აუცილებლობა მათი განევის მომენტში და არა რეალურად მიღწეული შედეგი, მითუმეტეს, ამ შედეგის შენარჩუნება გარკვეული დროის განმავლობაში.²³
- 14 გადამწყვეტია, ნივთის კონკრეტული **მდგომარეობისა** და **სამეურნეო** დანიშნულების გათვალისწინებით, მოვალის მიერ ხარჯების განევიტ კრედიტორი ზოგავს თუ არა საკუთარ სახსრებს. ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, აუცილებელ ხარჯებად ჩაითვლება ნივთის გარემონტების ხარჯები,²⁴ შენახვის ხარჯები, ავტომანქანის შემთხვევაში – გარაჟისა და პარკირების ხარჯები, ცხოველების შემთხვევაში – მათი კვების ხარჯები.²⁵ ამისაგან განსხვავებით, ნივთის გამოყენების ხარჯები, მაგალითად, ავტომანქანის შემთხვევაში – ბენზინის ხარჯები, არ განეკუთვნება ანაზღაურებად დანახარჯებს.²⁶
- 15 არა აქვს მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა თვითონ კრედიტორს ამ დანახარჯების **განევის სურვილი**.²⁷ დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოვალეს აქვს მაშინ, როდესაც ის თვითონ შეასრულებს თავის ვალდებულებას 352 I ან 352 II მუხლების შესაბამისად.

2. სხვა (არააუცილებელი) დანახარჯების ანაზღაურება (353 II 2)

ა. არააუცილებელი დანახარჯები

- 16 არააუცილებელი დანახარჯების ცნება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც **არ ემსახურება** შესრულების საგნის **შენარჩუნებას, გაუმჯობე-**

20 BGHZ 10, 171, 177 f.

21 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 353, გვ. 253.

22 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 353, გვ. 252; *ჯანაშია*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეცრულებო სამართალი, 2014, გვ. 516; *Mühl*, in *Soergel BGB Kommentar*, Band 15/1, 13. Aufl., 2007, § 994, Rn 2.

23 BGHZ 131, 220, 223; *Röthel*, in *Erman BGB*, 13. Aufl., 2011, § 347, Rn. 7.

24 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 353, გვ. 253.

25 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 19.

26 BGH, NJW 1978, 1256 f.

27 *Kohler*, *Das Rücktrittsrecht in der Reform*, JZ 2001, 335.

სებას ან აღდგენას.²⁸ ზემოთ ნახსენები დანახარჯები (მე-11 ველი), რომლებიც ცვლიან ნივთის იერსახესა და ფუნქციას, განეკუთვნება სწორედ არააუცილებელ დანახარჯებს, რომელთათვისაც ანაზღაურება შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს 353 II 2 მუხლის შესაბამისად.

ბ. სარგებლიანობა კრედიტორისათვის

მოვალის მიერ გაწეული არააუცილებელი დანახარჯები ანაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორი ამით იღებს სარგებელს. სარგებლიანობის განსასაზღვრავად სხვა კრიტერიუმის არარსებობის გამო უნდა მოვიშველიოთ **უსაფუძვლო გამდიდრების წესები**,²⁹ კერძოდ კი 979 III მუხლი, როგორც ეს გერმანულ სამართალშია აღიარებული. ანაზღაურებადი დანახარჯების მოცულობა უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რამდენად არის კრედიტორი ნივთის უკან დაბრუნების შემდეგ ამ დანახარჯების შედეგად გამდიდრებული.³⁰ გამდიდრება შესაძლებელია, განპირობებული იყოს 353 I მუხლის შესაბამისად სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის ზრდით, თუ დანახარჯების შედეგად შესაძლებელი გახდა ნივთიდან მეტი სარგებლის მიღება.³¹ არააუცილებელმა დანახარჯმა შეიძლება გაზარდოს ნივთის ღირებულება, მაგრამ პირადად მოვალისათვის გამოუსადეგარი იყოს, ასეთი შემთხვევა უნდა გადაწყდეს ე. წ. „**თავსმოხვეული გამდიდრების**“ პრინციპის შესაბამისად – ობიექტურად გაზრდილი ღირებულება მხოლოდ იმდენად არის გამდიდრება კრედიტორისათვის, რამდენადაც ის მისთვის სუბიექტურად სარგებლის მომტანია.³²

IV. მტკიცების ტვირთი

ზოგადი წესის მიხედვით, კრედიტორმა უნდა ამტკიცოს 353 I ნაწილის წინაპირობები, მათ შორის ის გარემოებაც, რომ **სარგებლის არმიღება** მოხდა საგნის სათანადო წესების დარღვევით. ამის საპირისპიროდ 394 I 2 მუხლის შესაბამისი გამოყენების საფუძველზე მოვალემ უნდა **გააქარწყლოს ვარაუდი**, რომ მას ამ სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა.³³

თუ რესტიტუციის მოვალე ითხოვს **აუცილებელი და არააუცილებელი დანახარჯების** ანაზღაურებას 353 II მუხლის მიხედვით, მან უნდა ამტკიცოს ამ მოთხოვნის წინაპირობები, განსაკუთრებით მათი აუცილებლობა ან სარგებლიანობა კრედიტორისათვის.³⁴

28 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 21.

29 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 22.

30 ჯანაშია, ციტი.: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 516.

31 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 347, Rn. 62.

32 Röthel, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, § 347, Rn. 9.

33 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 23.

34 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 347, Rn. 59, 68; Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 347, Rn. 24.

მუხლი 354. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულება

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად.

- I. ზოგადი.....316
- II. ერთდროულად შესრულება316

I. ზოგადი

- 1 ხელშეკრულებიდან გასვლის ნამდვილი გაცხადებით თავდაპირველი სახელშეკრულებო ურთიერთობა გარდაიქმნება მიღებულ შესრულებათა რესტიტუციის ურთიერთობად. 354-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა **ერთდროულად** უნდა შეასრულონ. უშუალოდ გასვლის საფუძველი ნორმის გამოყენებისათვის უმნიშვნელოა.
- 2 ნორმა მოიცავს არა მხოლოდ მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულებას **352 I მუხლის** შესაბამისად, არამედ ასევე მიუღებელი სარგებლის ანაზღაურებას (**353 I**), გაფუჭებული ან განადგურებული საგნის ღირებულების ანაზღაურებას (**352 II ა-გ**), ზიანის ანაზღაურებას (**352 V**), აუცილებელი და სხვა დანახარჯების ანაზღაურებას (**353 II**), ასევე მონარჩენი საგნის უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით დაბრუნების შემთხვევას **352 IV გ) 2 ვარიანტის** შესაბამისად (იხ. 352-ე მუხლის კომენტ., მე-19 ველი). ამის გარდა, ერთდროულად უკან დაბრუნების ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს გასვლიდან წარმოშობილ ნებისმიერ სხვა რესტიტუციულ ვალდებულებაზე, მაგალითად, სააღსრულებო ფურცლის დაბრუნებაზე (431-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებით¹), საპირისპირო შესრულებასთან ერთად.

II. ერთდროულად შესრულება

- 3 გასვლის შედეგად წარმოშობილი ურთიერთდაპირისპირებული რესტიტუციული ვალდებულებები უნდა შესრულდეს ერთდროულად. 354-ე მუხლი წარმოადგენს **შესაგებელს**, რომელზეც რესტიტუციის მოვალემ უნდა მიუთითოს.² მაგალითად, მოვალემ უნდა განაცხადოს, რომ მხოლოდ მაშინ არის მზად, დააბრუნოს ბინაზე მფლობელობა და რეესტრში რეგისტრირებული პოზიცია, თუ სანაცვლოდ უკან დაიბრუნებს ნასყიდობის ფასს და განუელი სამშენებლო სამუშაოს ანაზღაურებას.³ თუმცა, ზოგადად, შესაგებლის წარდგენისათვის არ არის აუცილებელი 354-ე მუხლზე ცალსახად მითითება, **საკმარისია**, რომ გაცხადდეს მოვალის ნება, მხოლოდ მაშინ დააბრუნოს მიღებული შესრულება, როდესაც დაიბრუნებს

1 შდრ. გერმანულ სამართალში შესაბამისი დანაწესის (გსკ-ის 371-ე პარაგრაფის) ანალოგიით გამოყენებისათვის სააღსრულებო დოკუმენტზე BGH NJW 1994, 3225; BGH NJW 1994, 1162.
 2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 354, გვ. 254.
 3 იქვე; BGH, NJW 2010, 146.

გაცემულს⁴ – სასამართლო პროცესზე მოპასუხე არ არის ვალდებული, დააყენოს ფორმალური შუამდგომლობა, საკმარისია, თუ ის თავის შესაგებელში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს არ სურს, ან არ შეუძლია საპირისპირო ვალდებულების შესრულება.⁵

ურთიერთდაპირისპირებული რესტიტუციული ვალდებულებები არ არის **სინალაგმატურ** კავშირში,⁶ განსხვავებით ურთიერთდაპირისპირებული სახელშეკრულებო ვალდებულებებისა, რადგან ისინი წარმოიშობიან სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლების (გასვლის) გამოყენების საფუძველზე და არა იმ საფუძველით, რომ თითოეული მხარე კისრულობს საკუთარი ვალდებულების შესრულებას საპირისპირო შესრულების სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში 354-ე მუხლი ზედმეტი იქნებოდა, რადგან ერთდროულად შესრულების შესაგებლის წარდგენა 369-ე მუხლის მიხედვით იქნებოდა შესაძლებელი.

354-ე მუხლი წარმოადგენს **სპეციალურ დანაწესს** გასვლის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობისათვის და სინალაგმატური ხელშეკრულების მომწესრიგებელი დანაწესები ამ ურთიერთობის შემთხვევაში არ გამოყენება. შეუძლებელია „**გასვლიდან გასვლა**“ 405-ე მუხლის **ანალოგიით**, როდესაც რესტიტუციის მოვალე არ ასრულებს გასვლის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს.⁷ არ გამოიყენება არც ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში მოქმედი **406 I** მუხლი, რომლის მიხედვითაც, მოვალე თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორს უფლება აქვს, უარი თქვას საპასუხო ვალდებულებაზე და ამ უფლების მიმნიჭებელი გარემოება მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. **406 I** მუხლის არგამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ **406 I** მუხლის მთავარი გამოყენების სფეროა შეუძლებლობის შემთხვევა, რომელიც ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან, ხოლო **406 I** მუხლი, თავის მხრივ, ათავისუფლებს კრედიტორს საპირისპირო შესრულების ვალდებულებისაგან. ამისაგან განსხვავებით, გასვლის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას მოვალე, ჩვეულებრივ, არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, არამედ უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება, რის გამოც **406 I** მუხლის გამოყენების აუცილებლობა ამ შემთხვევაში არ არსებობს.⁸ თუ გამოწვევის სახით, **352 IV** „ა“-„გ“ მუხლის შესაბამისად, ქარწყლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება, ეს არის კანონმდებლის მიერ შეგნებულად დაშვებული რისკის გადანაწილება რესტიტუციული ურთიერთობის ფარგლებში, რომელში ჩარევაც **406 I** მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.⁹

4 Gaier, MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 348, Rn. 2.

5 BGH NJW 2006, 2842.

6 BGH NJW 2002, 507.

7 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 348, Rn. 1; Röthel, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, § 348, Rn. 2.

8 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 348, Rn. 3.

9 იქვე.

- 6 გერმანულ სამართალში გავრცელებული მოსაზრებით,¹⁰ ურთიერთდაპირისპირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას ხდება მათი **ავტომატური გაქვითვა**, რის შემდეგაც მხოლოდ ერთი მხარე ანაზღაურებს დარჩენილ ნაშთს. ეს წესი, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა¹¹ და სასამართლო პრაქტიკაში¹² გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არ გამოიყენება ურთიერთდაპირისპირებული რესტიტუციული ვალდებულებების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც ისინი ერთგვარია (მაგალითად, ნასყიდობის ფასის ანაზღაურება და განადგურებული საგნის ღირებულების ანაზღაურება). არ ხდება მათი ავტომატური გაქვითვა და მხოლოდ ნაშთის დაბრუნება, არამედ აუცილებელია **გაქვითვის გაცხადება 442-ე** მუხლის შესაბამისად. იგივე წესი მოქმედებს ქართულ სამართალშიც,¹³ მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფულადი მოთხოვნა (მაგალითად, ერთი მხრივ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და, მეორე მხრივ, აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება), აუცილებელია გაქვითვის გაცხადება. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც გაქვითვა აკრძალულია.
- 7 354-ე მუხლი არის **დისპოზიციური** დანაწესი,¹⁴ თუმცა მისი გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში არანამდვილია 348 ბ) პუნქტის შესაბამისად.

¹⁰ Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 348, Rn. 4.

¹¹ იქვე.

¹² BGH NJW 1991, 2486; BGH NJW 2009, 63.

¹³ *ქანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 354, გვ. 254.

¹⁴ იქვე.

მუხლი 355. შეტყობინების ვალდებულება. ხელშეკრულებიდან გასვლისას ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

I. ზოგადი.....319
 II. გასვლის გაცხადების წინაპირობები319
 III. გასვლის ადრესატი.....321
 IV. გასვლის გაცხადების ვადა322
 V. გასვლის უფლების დაკარგვის სხვა შემთხვევები322

I. ზოგადი

ხელშეკრულების რესტიტუციულ ურთიერთობად გარდაქმნისათვის, გასვლის საფუძვლის გარდა, აუცილებელია **გასვლის გაცხადება**. მხოლოდ გასვლით დამუქრება შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოსაშობად საკმარისი არ არის – ვალდებულების შესრულებისათვის, 405 I მუხლის შესაბამისად, საჭიროა დამატებითი ვადის განსაზღვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით გაფრთხილება.¹

გასვლის გაცხადება წარმოადგენს **ცალმხრივ მიღებასავალდებულო** ნების გამოხატვას.² ის არ საჭიროებს გარკვეული **ფორმის** დაცვას,³ მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულების დადებისათვის კანონი სპეციალურ ფორმას ითვალისწინებს.⁴ გასვლის გაცხადების ნამდვილობის წინაპირობა არ არის მის შესახებ წინასწარი გაფრთხილება.⁵

II. გასვლის გაცხადების წინაპირობები

გასვლის გაცხადებაზე გამოიყენება **ნების გამოვლენის** მომწესრიგებელი 50-ე და შემდგომი მუხლები, როგორც ეს გერმანულ სამართალშია აღიარებული;⁶ საქართველოშიც გასვლის გაცხადება შესაძლებელია ასევე **კონკლუდენტური მოქმედებებითაც**, მათ შორის მხოლოდ სარჩელის აღძვრით და სასამართლოს მხრიდან სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის გადაცემის გზით,⁷ მიღებული საგნის დაბრუნებით⁸

1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის № 2ბ/1938-11 გადაწყვეტილება; *ჯანაშია*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 506.
 2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 255; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 ნოემბრის № 3კ/422-03 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის № ას-490-466-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის № ას-277-264-2013 განჩინება; სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 7/2009, გვ. 5.
 3 *ჯანაშია*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 506.
 4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 256.
 5 იქვე.
 6 OLG Brandenburg NJW-RR 2009, 1099; NotBZ 2008, 272; *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 349, Rn. 1; *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 349, Rn. 1.
 7 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის № 2ბ/1938-11 გადაწყვეტილება.
 8 *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 1.

ან გაცემულის უკან მოთხოვნით.⁹ გადამწყვეტია, 52-ე მუხლის მიხედვით განმარტების შედეგად დადგინდეს, რომ გასვლის განმცხადებელი მხარე მიზნად ისახავს ურთიერთდაპირისპირებული ვალდებულებების არარსებულად ცნობასა და უკვე განუული შესრულებების უკუქცევას.¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიხედვით,¹¹ მხარის მიერ შეცილებად მოხსენიებული ნების გამოხატვაც შეიძლება **განიმარტოს** როგორც გასვლის გაცხადება ვალდებულების დარღვევის გამო. ამგვარი გადამწყვეტა მთლიანობაში მისაღებია. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მსგავსად,¹² არა განმარტების, არამედ კონვერსიის (60) ინსტრუმენტის გამოყენება. 52-ე მუხლის შესაბამისად განმარტება ემსახურება ნების გამოხატვის ობიექტური შინაარსის დადგენას და ერთხელ შეცილებად განმარტებული ნება ველარ შეიცვლის შინაარსს იმის მიხედვით, არის თუ არა მისი წინაპირობები სახეზე, როდესაც კონვერსია სწორედ ერთი გარიგების სხვა გარიგებად გარდაქმნას ემსახურება, თუ ის ამ უკანასკნელის წინაპირობებს აკმაყოფილებს.

- 4 გასვლის გაცხადებისას **საფუძვლის** მითითება აუცილებელი არ არის.¹³ **წარმომადგენლობა** დასაშვებია ისევე, როგორც სხვა ნების გამოხატვის შემთხვევაში. გასვლის გაცხადება შეიძლება იმგვარად, რომ ის **გარკვეული დროის შემდეგ** შევიდეს ძალაში.¹⁴ გასვლის გაცხადების **გამოხმობა** მისი მისვლის შემდეგ დაუშვებელია (51 II) და ხელშეკრულების შენარჩუნებისათვის აუცილებელია მისი თავიდან დაღება, მათ შორის ფორმის შესახებ დანაწესების თავიდან გათვალისწინება.¹⁵
- 5 პრობლემურია შემთხვევა, როდესაც განმცხადებელი მხოლოდ გასვლის გაცხადების შემდეგ შეიტყობს, რომ მისი **შესრულება მიმღებთან განადგურდა** და ის 352 IV ბ) მუხლის პრივილეგიის მოქმედების სფეროში ექცევა. ამ დროს მხოლოდ მას მოუწევს მიღებული შესრულების დაბრუნება, ხოლო სანაცვლოდ ვერ დაიბრუნებს გაცემულს. საკითხავია, ამ შემთხვევაში ხომ არ უნდა ჩაითვალოს გასვლის გაცხადება არანამდვილად, რადგან, რეალური მდგომარეობის ცოდნის შემთხვევაში, უფლებამოსი-

9 *Lobinger*, in *Soergel BGB Kommentar*, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 349, Rn. 1.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 256; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის № ას-292-573-04 განჩინება.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 22 ივლისის № ას-292-573-04 განჩინება: „პალატა თვლის, რომ ისევე როგორც შეცილება, ხელშეკრულებაზე უარის თქმაც წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი აღმჭურველი უფლების განხორციელებას, შესაბამისი ნების გამოვლენა გამომდინარეობს კონკლუდენტურად მოსარჩელის მიერ შეცილების განხორციელებიდან. აღნიშნულით მოსარჩელეს სურს ნათლად გამოხატოს, რომ არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება; სკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად ამგვარი ნების გამოვლენა შესაძლოა განიმარტოს, როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმა.“

12 გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დაუშვებელი შეცილების კონვერსია გასვლის გაცხადებად (მაგ. სადაზღვეო სამართალში სამართლებრივი სიცხადის დაცვის მიზნით, *OLG Köln, ZFS 1997, 105*) და სხვა შემთხვევებში ის უპრობლემოდ დაიშვება (*BGH NJW 2007, 1269*).

13 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 256; *BGHZ 99, 182, 192*.

14 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 2.

15 *BGH NJW-RR 1988, 1357*.

ლი პირი ამ უფლებას საერთოდ არ გამოიყენებდა. თუმცა, თუ მიღებული შესრულება გასვლის ადრესატთან განადგურდა და ის არ ანაზღაურებს მის ღირებულებას, რადგან მასზე ვრცელდება 352 IV ბ) მუხლი, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონმდებლის შეგნებულ არჩევანს¹⁶ და უკვე გაცხადებული გასვლის არანამდვილად ცნობა ან გამოხმობა აღარ უნდა იყოს შესაძლებელი.

რაც შეეხება გასვლის **პირობადებულად** გაცხადებას, ეს, ჩვეულებრივ, როგორც სხვა ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაში, დაუშვებელია. ცალმხრივი გარიგება გარდაქმნის რა მეორე მხარის სამართლებრივ მდგომარეობას მისი ჩარევის გარეშე,¹⁷ არ უნდა აყენებდეს მას გაურკვეველ მდგომარეობაში, როდესაც სამართლებრივი შედეგების დადგომა დამატებით გარკვეულ პირობაზეა დამოკიდებული. თუმცა ეს სამართლებრივი გაურკვეველობა არ არსებობს, როდესაც პირობის დადგომა **მეორე მხარის ძალაუფლებაშია**.¹⁸ მაგრამ, როგორც ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში¹⁹ აღნიშნული, კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება და ამ ვადის ამონურვამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში გასვლით დამუქრება არ არის გასვლის პირობადებული გაცხადება. დასაშვებია პირობა, რომელიც უკვე **არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას** უკავშირდება²⁰ (მაგალითად დათქმა – „თუ ხელშეკრულება ნამდვილია, ვაცხადებ გასვლას“, რადგან გაურკვეველობის მომენტი ამ შემთხვევაშიც არ არსებობს). მეორე მხარის თანხმობით გასვლის პირობადებულად გაცხადება ყოველთვის დასაშვებია.²¹

III. გასვლის ადრესატი

გასვლის გაცხადება უნდა მოხდეს ხელშეკრულების **მეორე მხარის** მიმართ.²² ეს წესი მოქმედებს ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ მხარეებმა ხელშეკრულებით სხვა რამ არ გაითვალისწინეს.²³ ნოტარიუსის წინაშე ნების გამოვლენა საკმარისი არ არის,²⁴ თუმცა გასვლის გაცხადება ნამდვილი ხდება იმ მომენტში, როცა ნოტარიუსი მას სწორ ადრესატს გადასცემს;²⁵ თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ მოქმედებს 357-ე მუხლი. შესრულების მოთხოვნის უფლების დათმობისას გასვლის

16 მსგავსად წყდება ეს საკითხი გერმანულ დოქტრინაში, *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 346, Rn. 2; *Gaier*, *Das Rücktritts(folgen)recht nach dem Schuldrechtsmodernisierungsgesetz*, WM 2002, 2.

17 *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 112.

18 BGHZ 97, 264, 267.

19 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის № 2ბ/1938-11 გადაწყვეტილება.

20 BGHZ 97, 264, 267.

21 *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 2.

22 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 255.

23 *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 5.

24 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 355, გვ. 255.

25 BGH NJW 1979, 2032.

გაცხადება უნდა მოხდეს ცედენტის წინაშე.²⁶ გასვლა ამ შემთხვევაში მოქმედებს 201 II მუხლის შესაბამისად ცესიონერის მიმართაც.

IV. გასვლის გაცხადების ვადა

- 8 გასვლის განმცხადებელი, ჩვეულებრივ, არ არის შებოჭილი რაიმე ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ვადა გათვალისწინებულია ინდივიდუალური შეთანხმებით (356).
- 9 მართალია, გასვლის უფლება არის ე.წ. **სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლება**²⁷ და არა მოთხოვნის უფლება, რის გამოც მასზე პირდაპირ არ ვრცელდება ხანდაზმულობის დანაწესები, თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 218 I 1 პარაგრაფი ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გასვლას მაინც აცხადებს სამართლებრივი ძალის არმქონედ, როდესაც თავდაპირველი ან დამატებითი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და მოვალე ამაზე მიუთითებს. ამ ნორმის საფუძველზე ხელშეკრულებიდან გასვლა, ფაქტობრივად, ასევე ექვემდებარება ხანდაზმულობის მომწესრიგებელ ნორმებს.
- 10 ქართულ სამართალში შესაბამისი ნორმის არარსებობის გამო ამ დანაწესის პირდაპირ გადმოტანა შეუძლებელია, თუმცა ასევე დაუშვებელია, რომ ხელშეკრულების მხარეს ჰქონდეს შეუზღუდავად გასვლის უფლების გამოყენების საშუალება, რის გამოც აუცილებელია ხსენებული მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის შემთხვევაში **ხანდაზმულობის დანაწესის ანალოგიით** გამოყენებით გასვლის უფლების გამორიცხვა.

V. გასვლის უფლების დაკარგვის სხვა შემთხვევები

- 11 უფლებამოსილმა პირმა გასვლის უფლებაზე შეიძლება ცალმხრივად, კონკლუდენტური მოქმედებით **თქვას უარი**. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა მისი შინაგანი ნება, არამედ ის, თუ როგორ იყო აღქმადი **ობიექტური მიმღების** თვალსაწიერიდან ეს მოქმედება.²⁸ გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული კატეგორიების გადმოტანა ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია ქართულ რეალობაში. ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულების განხორციელება, ან საპირისპირო შესრულების მიღება, როდესაც პირისათვის ცნობილია გასვლის წინაპირობების არსებობის შესახებ, შეიძლება ჩაითვალოს უარად გასვლის უფლების გამოყენებაზე.²⁹ ამის გარდა ასეთ შემთხვევაში მხარემ შეიძლება დაკარგოს გასვლის უფლება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან (8 III) გამომდინარე.³⁰ გასვლის უფლების შესახებ შეტყობის მომენტიდან

26 BGH NJW 1986, 920.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 მაისის № ას-277-264-2013 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 2ბ/2845-12 გადაწყვეტილება; *ჭეჭელაშვილი*, სახელმეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 112.

28 BGH, NJW 1958, 1773.

29 BGH WM 1979, 422.

30 BGH BB 1969, 383.

შესრულების საგნის შემდგომი გამოყენება, ჩვეულებრივ, არ ითვლება გასვლის გაცხადებაზე უარად.³¹ მაგალითად, მყიდველის მიერ ნაკლოვანი ნივთის გამოყენება, მიუხედავად ნივთის მნიშვნელოვანი ცვეთისა, დასაშვებია, თუ ეს შემდგომი გამოყენება მისგან მიღებული სარგებლის გამო (რომლის ღირებულებაც უნდა აუნაზღაურდეს გამყიდველს) ასევე გამყიდველის ინტერესებშია.

ასევე გასვლის უფლების წინაპირობების ცოდნის შემთხვევაში ამ უფლების გამოყენების მხოლოდ დაყოვნება **კონკლუდენტურ უარს** არ გულისხმობს და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე მხოლოდ მაშინ აკარგვინებს უფლებამოსილ პირს გასვლის უფლებას, როდესაც მეორე მხარეს ჰქონდა ობიექტური საბაბი, ევარაუდა, რომ უფლებამოსილი პირი გასვლის უფლებას აღარ გამოიყენებდა.³² გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არ არსებობს ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც გასვლისა და სხვა ე.წ. სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლებების შემთხვევაში მათი დაკარგვისათვის საკმარისია დროის მოკლე მონაკვეთის ამონურვა.³³ გასვლა დაუშვებელია წინააღმდეგობრივი მოქმედების გამო, თუ პირი აცხადებს, ერთი მხრივ, გასვლას, მაგრამ, ამასთან, გამოთქვამს მიღებული შესრულების შენარჩუნების სურვილს.³⁴ მიღებული საგნის ბრალეული განადგურება, მათ შორის განზრახ განადგურებაც, არ ართმევს უფლებამოსილ პირს გასვლის გაცხადების უფლებას.³⁵

31 BGH, NJW 1958, 1773.

32 შდრ. შეჯამებისათვის Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 8.

33 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 8.

34 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 349, Rn. 1.

35 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 349, Rn. 8.

მუხლი 356. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განუსაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული.

I. ზოგადი.....324
 II. გამოყენების სფერო324
 III. წინაპირობები325
 IV. შედეგები.....326

I. ზოგადი

1 356-ე მუხლი ანიჭებს გამსვლელი პირის მოწინააღმდეგე მხარეს უფლებას, გასვლის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული **გაურკვევლობის** თავიდან ასაცილებლად მეორე მხარეს განუსაზღვროს ამ უფლების **გამოყენებისათვის ვადა**, თუ ასეთი ვადა ხელშეკრულებით არ არის დადგენილი. განსხვავებით კანონისმიერი გასვლის უფლებისაგან, რომელზეც თავდაპირველი შესრულების ან დამატებითი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის მომწესრიგებელი დანაწესი ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ (იხ. 355-ე მუხლის კომენტ., მე-9 ველი), ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლება ხანდაზმულობას არ ექვემდებარება.¹ ამ გასვლის უფლების გამოყენების შეზღუდვა შესაძლებელია მეორე მხარის მიერ მისთვის ვადის დათქმით. ეს დანაწესი **დისპოზიციურ** ხასიათს ატარებს.²

II. გამოყენების სფერო

2 გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შესაბამისი დანაწესი (350-ე პარაგრაფი) მოქმედებს მხოლოდ **ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის** უფლების შემთხვევაში, რადგან მიიჩნევა, რომ კანონისმიერი გასვლის უფლებისას, თუ გამსვლელი პირის მოწინააღმდეგე მხარე არღვევს ნაკისრ ვალდებულებას და არ ასრულებს მას არც დამატებით ვადაში, მას არ უნდა ჰქონდეს გაურკვევლობის თავიდან აცილების უფლება გასვლისათვის ვადის დათქმის გზით.³ გერმანიისაგან განსხვავებით, საქართველოში 356-ე მუხლი მოქმედებს **როგორც კანონისმიერი, ისე სახელშეკრულებო გასვლის** უფლების შემთხვევაში, რომლის გამოყენების წინაპირობაც არ არის მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა. ქართველი კანონმდებლის გადანყვეტილება ამ შემთხვევაში უფრო გამართლებულია. ეს გადანყვეტა გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (1896 წლის) დასაბუთებაშიც⁴ – მოვალისათვის შესაძლებლობის მინიჭე-

1 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 356, გვ. 256.

2 *Lobinger*, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 350, Rn.1.

3 *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 350, Rn. 1.

4 *Hanau*, Der Schuldner in der Hand des Gläubigers? — Beendigung der Schwebelage nach Ablauf einer gem. § 323 BGB gesetzten Frist, NJW 2007, S. 2807.

ბა, გასვლის უფლების მქონე პირს დაუნიშნოს მბოჭავი ვადა ამ უფლების გამოყენებისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში, რადგანაც საშუალებას იძლევა უფლებამოსილი პირის სპეკულაციის თვიდან აცილებისა მეორე მხარის ხარჯზე. გარდა ამისა, ხშირად საკმაოდ პირობითია კანონისმიერი და სახელშეკრულებო გასვლის უფლების გამიჯვნა, რადგან საბოლოოდ, კანონისმიერი გასვლის უფლებაც ავსებს მხარეთა ნებას და ცდილობს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევისათვის მხარეთა ჰიპოთეზური ნების შესაბამისი გადაწყვეტის მოძებნას.⁵

ამ არგუმენტების გათვალისწინებით, გამართლებულია, რომ 356-ე მუხლი თანაბრად გამოიყენება, როგორც ხელშეკრულებით შეთანხმებული, ასევე კანონისმიერი გასვლის უფლებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გასვლისათვის ვადის დანესების უფლება აქვს ასევე ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოკლე ვადის დათქმამ არ უნდა მისცეს მას ამ დარღვევის შედეგების, ფაქტობრივად, თავიდან აცილების საშუალება, რის გამოც კანონმდებელმა ნორმაში ვადის გონივრულობის კრიტერიუმი შემოიტანა.

III. წინაპირობები

ხელშეკრულების მეორე მხარემ გამსვლელ პირს ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით უნდა განუსაზღვროს გონივრული ვადა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის.⁶ ამ ვადის განსაზღვრამდე სახეზე უნდა იყოს კანონისმიერი თუ ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის ყველა წინაპირობა.⁷ მაგალითად, თუ გასვლის უფლების წარმოშობა გარკვეული პირობის დადგომაზე დამოკიდებული, ვადის დანესება მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგაა შესაძლებელი.⁸ არ არის აუცილებელი, რომ ვადის დათქმა შეიცავდეს მითითებას ამ მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც ვადის ამონურვასთან ერთად გასვლის უფლებაც ქარწყლდება.⁹

ვადის გონივრულობა განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ რა მოსაფიქრებელ დროს საჭიროებს გასვლის უფლების მქონე პირი ურთიერთობის თავისებურებებისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით.¹⁰ თუ ვადა ძალიან მცირეა და, ამგვარად, არაგონივრულად შეიძლება ჩაითვალოს, ეს არ ინვესს ამ ვადის დათქმის არანამდვილობას, არამედ ისევე, როგორც 405 I 1 მუხლის შემთხვევაში, დინებას იწყებს გონივრული ვადა.¹¹

5 *Hanau*, Der Schuldner in der Hand des Gläubigers? — Beendigung der Schwebelage nach Ablauf einer gem. § 323 BGB gesetzten Frist, NJW 2007, S. 2807.

6 *Lobinger*, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 350, Rn. 2.

7 BGH NJW-RR 1989, 626.

8 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 350, Rn. 2; *Lobinger*, in Soergel Kommentar, BGB Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 350, Rn. 5.

9 *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 350, Rn. 2.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 356, გვ. 257; *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 350, Rn. 2.

11 *Röthel*, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, § 350, Rn. 2.

3

4

5

- 6 გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ¹² არანამდვილად მიიჩნია **ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში** გათვალისწინებული დათქმა: „გასვლა უნდა გაცხადდეს წერილობითი ფორმით, დამატებითი შესრულების ვადის ამონურვასთან ერთად დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ერთი კვირისა“, როგორც პირობა, რომელიც ზღუდავს შესრულების დაყოვნებისას მეორე მხარის უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ამგვარი დათქმის გაკეთების აკრძალვა მოქმედებს ქართულ სამართალშიც, 348 „ზ“ მუხლის შესაბამისად.
- 7 მხარეებს შეუძლიათ, ვადის დანესების უფლების გამოყენებისათვის, თავის მხრივ, შეათანხმონ გარკვეული ვადა.¹³ ამ დანანესის დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მისი გამოყენების სრული **გამორიცხვა**, რაც, ჩვეულებრივ, სახეზეა, თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირობა, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილ პირს გასვლის უფლება აქვს „მისი ნება-სურვილის შესაბამისად“.¹⁴

IV. შედეგები

- 8 356 2 მუხლის მიხედვით, ვადის უშედეგოდ ამონურვა იწვევს **გასვლის უფლების გაქარწყლებას**, დამოუკიდებლად იმისა, აგრძელებს თუ არა გასვლის საფუძველი არსებობას. ამ შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელია გასვლის გაცხადების ხელშეკრულების მეორე მხარესთან დათქმულ დროში მისვლით.¹⁵ თუ გასვლის უფლებამოსილება ხელშეკრულებაში მონაწილე რამდენიმე პირს აქვს, მაშინ, 357 2 მუხლის შესაბამისად, ერთ-ერთი უფლებამოსილი პირის მიმართ ამ უფლების გაქარწყლება აქარწყლებს მას ყველა სხვა პირის მიმართაც.
- 9 ვადის უშედეგოდ ამონურვის მიუხედავად, **გასვლის გაცხადება შემდგომშიც** შეიძლება იმ საფუძველით, რომელიც ვადის დათქმის მომენტი-სათვის ცნობილი არ იყო.¹⁶ მით უფრო, არ უშლის ხელს ვადის ამონურვა სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებების განხორციელებას, მაგალითად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.¹⁷

¹² BGH, NJW-RR 1989, 626.

¹³ Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 350, Rn. 3.

¹⁴ იქვე, Rn. 4.

¹⁵ Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 350, Rn. 2.

¹⁶ Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 350, Rn. 4.

¹⁷ Grothe, in Beck OK BGB, 25. Aufl., 2012, § 350, Rn. 3.

მუხლი 357. ხელშეკრულებიდან გასვლა რამდენიმე პირის მიერ

თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყლებდა ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება ქარწყლებდა ყველასათვის.

I. ზოგადი.....327
 II. გამოყენების სფერო327
 III. სამართლებრივი შედეგები.....328
 IV. უკან დაბრუნების სახე330
 V. ნორმის დისპოზიციურობა330
 V. სხვა სამართლებრივი მდგომარეობის შემცველი უფლებები331

I. ზოგადი

357-ე მუხლის მიზანია, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეს რამდენიმე პირი მონაწილეობს, უზრუნველყოს **გასვლის შედეგების დაუნაწევრებლობა**.¹ დანაწესი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გასვლის შედეგად ხელშეკრულების რესტიტუციულ ურთიერთობად გარდაქმნა აუცილებლად მთელ ურთიერთობას მოიცავს და ხელშეკრულების ყველა მხარეს ეხება.² ამის გამო ამ ნორმის პირველი წინადადება მოითხოვს, რომ გამსვლელმა პირებმა ერთად გამოიყენონ გასვლის უფლება და შეატყობინონ მეორე მხარეს მყოფ ყველა პირს.

II. გამოყენების სფერო

ნორმის გამოყენებისათვის უმნიშვნელოა, თუ რა საფუძვლით წარმოიშობა პირთა სიმრავლე ერთ ან მეორე მხარეს: არიან პირები – **სოლიდარული კრედიტორები, სოლიდარული მოვალეები**³ თუ **თანაკრედიტორობა** სახეზე საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობისა თუ თანაზიარი გაერთიანების სახით,⁴ ეს წესი მოქმედებს სხვადასხვა პირს შორის დამოუკიდებელი ხელშეკრულებების შემთხვევაში, როდესაც ამ **ხელშეკრულებების ნამდვილობა ერთმანეთზეა დამოკიდებული**. მაგალითად, თუ პირი დადებს ე.წ. „სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულებას“, ⁵ რომელიც ითვალისწინებს ნაყიდ მიწის ნაკვეთზე

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 357, გვ. 258; BGH NJW 2004, 2383 f.
 2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 357, გვ. 259; BGH NJW 2004, 2383.
 3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 357, გვ. 258.
 4 *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 351, Rn. 1; გერმანული სამართლის ტერმინების ქართული თარგმანისათვის შდრ. *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 300 და შემდგომი.
 5 *Baubetreuungsvertrag* — „სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება“, წარმოადგენს საქმიანი დავალების ხელშეკრულებას, რომლითაც მომსახურების განხორციელებელი კისრულობს

სახლის აღმართვას, შესაძლებელია, ამ მხარის ნების შესაბამისად, ნასყიდობა და „სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება“ წარმოქმნიდნენ ერთიან გარიგებას.¹ თუმცა რამდენიმე შეთანხმების ერთიან გარიგებად მისაჩნევად მხარეთა ნებაზე მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ფასდება ეს გარიგებები სამოქალაქო ბრუნვაში.

- 3 მაგალითად, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,² კომპიუტერული ტექნიკის ნასყიდობა და მისი პროგრამული უზრუნველყოფა ასევე წარმოქმნიან ერთიან გარიგებას. ამ შემთხვევაში ერთიან გარიგებად დაკავშირებული ცალკეული გარიგებებიდან **გასვლა** უნდა მოხდეს **ერთიანად**, მიუხედავად იმისა, რომ გარიგების ერთ მხარეზე შეიძლება რამდენიმე პირი მონაწილეობდეს და ცალკეული გარიგებები სხვადასხვა პირთან იყოს დადებული. ამ საერთო გასვლის უფლების გამოყენებისათვის საკმარისია, რომ მისი წინაპირობები მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქმედებით იყოს გამოწვეული. თუ რა წინაპირობებია საკმარისი გასვლის უფლების წარმოსაშობად, არის თითოეული ხელშეკრულებისა და კანონის განმარტების საკითხი.³ 357-ე მუხლი არ გამოიყენება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების შემთხვევაში.⁴ ეს დანაწესი, რა თქმა უნდა, ასევე არ მოქმედებს **იურიდიული პირების** შემთხვევაში, რადგან ისინი თვითონ არიან სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. რაც შეეხება **ამხანაგობებს**, თუ გერმანული დოქტრინის⁵ კვალდაკვალ მესამე პირებთან ურთიერთობაში მათ უფლებაუნარიანობას ვალიარებთ, მაშინ 357-ე მუხლი არ უნდა გამოვიყენოთ, რადგან ამ შემთხვევაში გარე ურთიერთობაში პირთა სიმრავლე არ არის სახეზე. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების⁶ თანახმად, 357-ე მუხლის დანაწესი ვრცელდება ასევე ამხანაგობის ტიპის პირთა სიმრავლეზეც.

III. სამართლებრივი შედეგები

- 4 ამ ნორმის 1-ლი ნაწილი **არანამდვილად აცხადებს** გასვლას, რომელიც გაცხადებულია გამსვლელ უფლებამოსილ პირთაგან მხოლოდ ერთის მიერ, ან მეორე მხარეზე მონაწილე პირთაგან (გასვლის ადრესატთაგან) მხოლოდ ერთის მიმართ. მართალია, აუცილებელია, რომ ყოველმა უფლებამოსილმა პირმა განაცხადოს გასვლა, მაგრამ მისი **ერთდროულად გაცხადება** აუცილებელი არ არის.⁷ წარმომადგენლობა დასაშვებია როგორც გასვლის ნების გამოვლენისას, ასევე ამ ნების მიღებისას მეორე

ვალდებულებას, მეორე მხარის სახელითა და ხარჯით განახორციელოს სამშენებლო პროექტის დაგეგმვა, შესრულება და ფინანსური ანგარიშსწორება.

1 BGH NJW 1976, 1931, 1932.

2 BGH, NJW 1996, 1745.

3 BGH NJW 1976, 1932.

4 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 351, Rn. 1.

5 BGH, NJW 2001, 1056.

6 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 357, გვ. 259.

7 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 351, Rn. 1.

მხარის მიერ,⁸ ისევე როგორც ამ ნების გადაცემა-მიღება წარგზავნილი პირის მეშვეობით.

357 II მუხლი უზრუნველყოფს გარიგების ერთიანობის დაცვას საპირისპირო შემთხვევისათვის – თუ გასვლის უფლება **ქარწყდება** ერთი უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის ქარწყდება ასევე სხვა უფლებამოსილი პირების მიმართაც. ეს დანაწესი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს 356-ე მუხლის შესაბამისად ვადის დაწესების შემთხვევაში: თუ ერთ-ერთ უფლებამოსილ პირს განესაზღვრა გასვლის ვადა და ის უშედეგოდ ამოინურა, მაშინ გასვლის უფლება ქარწყდება ყველა სხვა უფლებამოსილი პირის მიმართ. გასვლის უფლების დაკარგვის საფუძველი, ამის გარდა, შეიძლება იყოს პირის უარი მასზე, ან გასვლის უფლების ჩამორთმევა (იხ. 355-ე მუხლის კომენტ., მე-10-მე-11 ველები). 5

ნორმა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მონაწილეს **დამოუკიდებელი** გასვლის უფლება აქვს. თუ ყველა უფლებამოსილ პირს აქვთ **საერთო** გასვლის უფლება, რომელიც მხოლოდ ერთობლივი განცხადებით უნდა გამოიყენონ, მაშინ მხოლოდ **ერთი პირის უარი** არ იწვევს გასვლის უფლების გაქარწყლებას.⁹ 357 2 მუხლით მონესრიგებული არ არის შემთხვევა, როდესაც გასვლას რამდენიმე ადრესატი ჰყავს. ამ შემთხვევაზე მეორე წინადადების დანაწესი, გასვლის ერთიანობის დაცვის მიზნით, **ანალოგიით უნდა გავრცელდეს** – თუ გასვლის უფლება ქარწყდება ერთი ადრესატის მიმართ, ის ქარწყდება ყველა სხვა ადრესატის წინაშეც.¹⁰ 6

357-ე მუხლი ეხება მხოლოდ გასვლის უფლების გამოყენებას რამდენიმე მონაწილის მიერ და ამ მუხლში მონესრიგებული არ არის მისი **წარმოშობა**.¹¹ წარმოშობა თუ არა გასვლის უფლება მხოლოდ ერთ მონაწილესთან თუ ყველა მონაწილესთან, მხოლოდ ერთი მონაწილის მიმართ თუ ყველა მონაწილის მიმართ, განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობებით, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში განმარტებით უნდა დადგინდეს.¹² მაგალითად, ზემოთ ნახსენები „სამშენებლო მომსახურებისა“ და ნასყიდობის ერთიანი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობისათვის საკმარისია, თუ მისი წინაპირობები მხოლოდ ერთ-ერთ მონაწილესთან შესრულდება.¹³ 7

8 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 357, გვ. 258.

9 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 351, Rn. 3.

10 *BGH NJW* 1989, 2388.

11 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 357, გვ. 259.

12 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 351, Rn. 4.

13 *BGH*, *NJW* 1976, 1932.

IV. უკან დაბრუნების სახე

- 8 ის, თუ როგორ უნდა მოხდეს მრავალ მონაწილეს შორის განხორციელებული გასვლის შემდეგ **მიღებულის უკუქცევა**, 357-ე მუხლში მოწესრიგებული არ არის და განისაზღვრება მათი მონაწილეობის სახისა და სახელშეკრულებო შეთანხმების მიხედვით. გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ერთდროულად შესრულების მოვალეობა¹⁴ ნორმატიულ საფუძველს არ ემყარება. საექვოობისას რესტიტუციის მოვალეები პასუხს აგებენ, როგორც **სოლიდარული მოვალეები** 463-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით.¹⁵ ეს წესი მოქმედებს ზიანისა და ღირებულების ანაზღაურების მიმართაც. მაგალითად,¹⁶ მეუღლეებზე მინის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში წილობრივი საკუთრების უფლებით, გასვლის შემდეგ თითოეულმა მეუღლემ უნდა დაუბრუნოს გამყიდველს კუთვნილი წილი, ხოლო ამ წილის უფლებრივი დატვირთვის გაუქმებისათვის ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. ამის საპირისპიროდ, გერმანულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებით,¹⁷ რომლის ქართულ სამართალში გადმოტანაც მიზანშეწონილია, რესტიტუციის კრედიტორები ჩვეულებრივ არ არიან სოლიდარული კრედიტორები.

V. ნორმის დისპოზიციურობა

- 9 დანაწესი ატარებს **დისპოზიციურ** ხასიათს¹⁸ და მისი შეზღუდვა შესაძლებელია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებშიც.¹⁹ გერმანული სასამართლო პრაქტიკის²⁰ მიხედვით, სასამართლოს გარეშე სანაციის (ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ცალკეული კომპანიის გადახდისუნარიანობის აღდგენა) შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადება ხდება უამრავ კრედიტორთან თანაბარი დაკმაყოფილების პირობით, პირობა, რომ თითოეულ კრედიტორს შეუძლია გავიდეს ამ ხელშეკრულებიდან, მისთვის უფრო ხელსაყრელი შეთანხმების შემთხვევაში, ითვლება კონკლუდენტურად შეთანხმებულად და თითოეულ კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში 357-ე მუხლი ითვლება კონკლუდენტურად გამორიცხულად. სოლიდარული კრედიტორების შემთხვევაში ხელშეკრულება განიმარტება იმგვარად, რომ თითოეულ კრედიტორს შეუძლია გასვლის უფლების გამოყენება ყველასათვის.²¹

14 შდრ. ჯანაშია, წიგნი: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 506.

15 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 351, Rn. 5.

16 იქვე.

17 იქვე.

18 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 357, გვ. 259; RGZ 153, 398; BGH VersR 1962, 155; BGH NJW 1992, 967; OLG Hamm BeckRS 2013, 152.

19 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 351, Rn. 1.

20 BGH NJW 1992, 967, 971.

21 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 351, Rn. 4.

V. სხვა სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელი უფლებები

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს 357-ე მუხლის შესატყვის დანაწესებს ნასყიდობისა²² და ნარდობისას²³ ნაკლის გამო ფასის შემცირების შემთხვევისათვის, განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან. თუმცა ფასის შემცირების მოთხოვნაზე (ორივე ხელშეკრულების ფარგლებში) შესაძლებელია 357-ე მუხლის დანაწესის ანალოგიით გავრცელება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფასის შემცირებაც, ისევე როგორც გასვლა, არის სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელი უფლება. ამგვარად, 492-ე და 645-ე მუხლების შესაბამისად, ფასის შემცირების უფლებაზეც უნდა ვრცელდებოდეს წესი, რომ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეს მონაწილეთა სიმრავლისას ფასის შემცირება შეიძლება გაცხადებულ იქნეს მხოლოდ ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ. 357-ე მუხლი ანალოგიით არ უნდა გამოვიყენოთ შეცილებისა და ხელშეკრულების მოშლის შემთხვევებზე.²⁴

22 §441. ფასის შემცირება. ... (2) თუ მყიდველის ან გამყიდველის მხრიდან მონაწილეობს რამდენიმე პირი, ფასის შემცირების შესახებ უნდა გაცხადდეს მხოლოდ ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.

23 §638. საზღაურის შემცირება. ... (2) თუ შემკვეთის ან მენარდის მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ საზღაურის შემცირება შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.

24 *Grüneberg*, in *Palandt*, 73. Aufl., 2014, § 351, Rn. 2.

მუხლი 358. ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა

დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო, გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

I. ზოგადი.....332
 II. გამოყენების სფერო333
 III. სამართლებრივი შედეგები.....333

I. ზოგადი

- 1 358-ე მუხლის, რომელიც მოქმედებს როგორც ხელშეკრულებით შეთანხმებული, ასევე კანონისმიერი გასვლის უფლების შემთხვევაში, მიზანია, გადაჭრას კონკურენციის პრობლემა გასვლასა და გაქვითვას შორის. კრედიტორის მიერ გაცხადებული გასვლა ითვლება არანამდვილად, თუ დარღვეული ვალდებულებისაგან მოვალეს შეეძლო გათავისუფლებულიყო გაქვითვის მეშვეობით და ის დაუყოვნებლივ განაცხადებს ამის შესახებ. დანაწესი ემყარება მოსაზრებას, რომ გასვლის ადრესატი, რომელსაც შეუძლია გაქვითვის მეშვეობით გათავისუფლდეს ნაკისრი ვალდებულებისაგან, სხვა მოვალისაგან განსხვავებით, თავს არ თვლის ვალდებულად, შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება,¹ არ მოეღოს მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გასვლის გაცხადებას და არ არის მზად მისი შედეგებისათვის (მიღებული დაბრუნებისათვის).² გასვლა გაუმართლებელია, თუ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების აღმოფხვრა შესაძლებელია დროისა და სახსრების უფრო მეტად დამზოგავი გაქვითვის ინსტრუმენტის გამოყენებით. რაც მთავარია, გაქვითვა ამ შემთხვევაში იძლევა ხელშეკრულების შენარჩუნების საშუალებას, მიუხედავად ვალდებულების შეუსრულებლობისა. თუ კრედიტორი ვალდებულების დარღვევის გამო მაინც აცხადებს გასვლას, მოვალეს ენიჭება უფლება, შემდგომში გაქვითვის გაცხადების გზით გამოიწვიოს ის სამართლებრივი მდგომარეობა, რაც იარსებებდა, გაქვითვა გასვლამდე რომ განეცხადებინა.³
- 2 442-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომის გარდა,⁴ გაქვითვისათვის აუცილებელია მოთხოვნათა ერთგვაროვნება,⁵ რაც, როგორც წესი, ურთიერთდაპირის-

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 260.
 2 *Schmidt*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 352, Rn. 1; *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 352, Rn. 1.
 3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 260; *Röthel*, in Erman BGB, 13. Aufl., 2011, § 352, Rn. 1; *Lobinger*, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 352, Rn. 1.
 4 *ჯანაშია*, წიგნში ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 510.
 5 შდრ. განსხვავებული მოსაზრებისათვის *სვანაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 345, რომლის მიხედვითაც არაერთგვაროვანი მოთხოვნის უფლებების გაქვითვაც შესაძლებელია მხარეთა შუთა-

პირებული ფულადი მოთხოვნების შემთხვევაშია სახეზე. ამის გამო 358-ე მუხლიც, ძირითადად, ფულადი მოთხოვნის მოვალის დაცვას ემსახურება.⁶

II. გამოყენების სფერო

358-ე მუხლის გამოყენების ძირითადი სფეროა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე წარმოშობილი გასვლის უფლება, რის ქვეშაც მოიაზრება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, დაგვიანებული შესრულება, ნაკლოვანი შესრულება და არაჯეროვანი შესრულების სხვა შემთხვევები.⁷ მოვალის ბრალს მნიშვნელობა არ ენიჭება.⁸ ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში მხოლოდ შესრულების დაყოვნებაა შესაძლებელი, რადგან ფულადი ვალდებულება არ შეიძლება შეუძლებელი გახდეს და არც ნაკლოვანად შესრულდეს. 358-ე მუხლი ეხება ასევე იმ შემთხვევას, როდესაც გასვლის უფლების წარმოშობა ხდება 359-ე მუხლის საფუძველზე. გასვლის სხვა წინაპირობები უმნიშვნელოა, ისევე როგორც უმნიშვნელოა, პასუხისმგებელია თუ არა მოვალე ვალდებულების დარღვევისათვის.⁹

ამ დანაწესის მიხედვით, აუცილებელია, რომ გაქვითვისათვის აუცილებელი სამართლებრივი მდგომარეობა სახეზე იყოს გასვლის გაცხადების მომენტისათვის¹⁰ და მოვალემ ნების გამოვლენის მისვლიდან დაუყოვნებლივ განაცხადოს გაქვითვა. „დაუყოვნებლივ“ გულისხმობს ბრალეული დაყოვნების გარეშე.¹¹ თუ გაქვითვის გაცხადება ხდება სასამართლო პროცესზე წერილობითი განცხადების მეშვეობით, მოსარჩელესთან ამ გაქვითვის გაცხადების მისვლის დაყოვნების თავიდან აცილება უზრუნველყოფილი არ არის.¹² მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი განცხადება შეიძლება შეიცავდეს მატერიალურსამართლებრივ ნების გამოვლენას, დაყოვნება შეიძლება გამოწვეული იყოს სასამართლოს მიერ მეორე მხარისათვის მისი გადაცემით, რაზეც მხარეს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.¹³

III. სამართლებრივი შედეგები

თუ სახეზეა როგორც გასვლის, ისე გაქვითვის წინაპირობები და კრედიტორის მიერ გაცხადებულ გასვლას მოვალე გაქვითვის გაცხადებით

ნმების შემთხვევაში. შეთანხმების აუცილებლობის დაშვება ეწინააღმდეგება გასვლის, როგორც ცალმხრივი გარიგების, ბუნებას.

6 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 352, Rn. 1.

7 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 261; შდრ. გერმანულ სამართალში, BGH NJW 1981, 2404; WM 1981, 405.

8 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 261.

9 Schmidt, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 352, Rn. 2.

10 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 261; ჯანაშია, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 506.

11 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 121-ე პარაგრაფი.

12 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 352, Rn. 3.

13 Gaier, MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 352, Rn. 3.

უპასუხებს, გასვლა ხდება **არანამდვილი**¹⁴ და არ გარდაქმნის სახელშეკრულებო ურთიერთობას რესტიტუციულ ურთიერთობად. კანონი გასვლისა და გაქვითვის კონკურენციას წყვეტს გაქვითვის სასარგებლოდ.¹⁵ ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები **ქარწყდება** გაქვითვის მემკვიდრით 442-ე მუხლის შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც ისინი ურთიერთმფარავია. ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სხვა მოთხოვნები რჩება ძალაში.¹⁶ თუმცა გასვლა იმავე საფუძვლით, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მაშინაც კი, როდესაც თავდაპირველი გასვლა ხელშეკრულებით შეთანხმებულ გასვლის უფლებას ემყარებოდა და კრედიტორს ხელმეორედ კანონისმიერი გასვლის უფლების გამოყენება სურს.¹⁷

14 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 358, გვ. 261.

15 იქვე, გვ. 260; *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 352, Rn. 4.

16 *Schmidt*, in *Beck OK BGB*, 35. Aufl., 2015, § 352, Rn. 2.

17 შდრ. გერმანულ სამართალში RGZ 123, 393.

მუხლი 359. კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე

თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

I. ზოგადი.....335
 II. გამოყენების სფერო336
 1. ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა337
 2. პირგასამტეხლო გასვლის დათქმის მაგივრად337
 III. ბრალი.....338
 IV. მტკიცების ტვირთი339

I. ზოგადი

359-ე მუხლი წარმოადგენს განმარტების წესს¹ მხარეთა შეთანხმები-სათვის, რომლითაც ისინი მოვალის მიერ **ვალდებულების შეუსრულებლობისათვის** სანქციად საპასუხო მოთხოვნის უფლებების დაკარგვას ითვალისწინებენ. ამგვარი შეთანხმების სიტყვასიტყვითი განმარტებისას ის არის სახელშეკრულებო დათქმა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების დაკარგვის შესახებ (*lex commissoria*), ანუ უფლების პირობადებული დაკარგვა.² თუმცა კანონმდებლის გადანყვეტილებით, ამგვარი დათქმა არის არა **მოთხოვნის უფლების შეთანხმება გაუქმების პირობით**, 97-ე მუხლის შესაბამისად, არამედ გასვლის დათქმა – ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლება,³ რომელიც იმეორებს კანონისმიერი გასვლის უფლების წინაპირობას (ვალდებულების დარღვევას), მაგრამ უფლებას აძლევს მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან დამატებითი ვადის დაწესების ან გაფროთხილების გარეშე.

1

ეს დანაწესი ითვალისწინებს **ორივე მხარის ინტერესებს**.⁴ კრედიტორისათვის ის ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც მას ეძლევა არჩევანი ხელშეკრულების შენარჩუნებასა და გასვლას შორის. გაუქმების პირობის შემთხვევაში ხელშეკრულების შენარჩუნება მის ნებაზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული და მოვალეს შეეძლებოდა, ვალდებულების შეუსრულებლობით უარი ეთქვა სამართლებრივ ურთიერთობაზე.⁵ მოვალისათვის ეს დანაწესი ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც გასვლის შემთხვევაში ის

2

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 359, გვ. 263; *Schmidt*, Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 354, Rn. 1.
 2 *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 1.
 3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის № ას-490-466-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2012 წლის 5 სექტემბრის № ას-127-124-2011 განჩინება.
 4 *Schmidt*, Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 354, Rn. 1.
 5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 359, გვ. 262; *Gaier*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 1.

ინარჩუნებს საპირისპირო მოთხოვნის უფლებებს 352-ე, 353-ე მუხლების შესაბამისად.⁶ 359-ე მუხლი წარმოადგენს მხოლოდ **განმარტების წესს**, რომელიც მოქმედებს საექვოობისას; ის არ უზღუდავს მხარეებს თავისუფლებას, შეათანხმონ პირგასამტეხლო, ან ცალსახად დადონ ხელშეკრულება გაუქმების პირობით. თუ სახეზეა მხარეთა ცალსახა ნება, მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობასთან ერთად ავტომატურად დაკარგოს საპირისპირო მოთხოვნის უფლება, მაშინ ამ შემთხვევაზე პირდაპირ ან ანალოგიით გამოიყენება 420-ე მუხლი (შდრ. მე-7 ველი). 359-ე მუხლი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მხარეთა ეს ხსენებული ნება ცალსახად ვერ დგინდება. ამის გამო არ დგება ამ დანაწესის **დისპოზიციურობის საკითხი**, რადგან, თუ მხარეებს განსხვავებული წესის შეთანხმება სურთ, მაშინ საექვოობისას მოქმედი წესი თავისთავად გამოირიცხება.⁷

II. გამოყენების სფერო

- 3 ამ დანაწესის შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობა იდენტიურია 352-ე მუხლში ხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობისა. **გასვლის დათქმას** წარმოადგენს, მაგალითად, შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ექსპერტის მიერ, მაქსიმუმ, ერთი კვირის განმავლობაში ექსპერტიზის ჩატარებლობის შემთხვევაში დამკვეთი კარგავს მის მიმართ ინტერესს.⁸ პირდაპირი სახელშეკრულებო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში,⁹ ნდობისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე ხელშეკრულების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ კონკრეტულად **რომელი ვალდებულების შეუსრულებლობა** უნდა იწვევდეს საპირისპირო მოთხოვნის უფლების დაკარგვას გასვლის საფუძველზე.¹⁰ ჩვეულებრივ, ვალდებულების შეუსრულებლობა მოიცავს ვალდებულების სრულ შეუსრულებლობას, არაჯეროვან შესრულებას, ასევე ვალდებულების შესრულების დაყოვნებას.¹¹
- 4 359-ე მუხლის შესაბამისი დათქმის ნამდვილობას ხელშეკრულების **სტანდარტულ პირობებში** შესაძლებელია, წინ აღუდგეს 347 გ) მუხლი, რომლის მიხედვითაც ბათილია დებულება (მისი არამწარმის მიმართ გამოყენების შემთხვევაში), რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე. ამის გამო დათქმის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაში გათვალისწინებისას აუცილებელია, ასევე, იმ საფუძვლის მითითება, რითაც გამართლებულია ხელშეკრულებიდან გასვლა დამატებითი ვადის დანესებისა და გაფრთხილების

6 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 359, გვ. 262.

7 *Schmidt*, Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 354, Rn. 1.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის № ას-490-466-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2012 წლის 5 სექტემბრის № ას-127-124-2011 განჩინება.

9 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის № ას-490-466-2013 განჩინება.

10 *Schmidt*, Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 354, Rn. 2.

11 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 354, Rn. 2; *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 2.

გარეშე.

1. ხელშეკრულების უმნიშვნელო დარღვევა

გასვლის დათქმის შეთანხმების მიუხედავად, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის (8 III) საფუძველზე უფლებამოსილ პირს მისი გამოყენების უფლება არ აქვს, თუ ვალდებულების **დარღვევა უმნიშვნელოა**,¹² განსაკუთრებით თუ ხანმოკლე ვადის გადაცილებას ეხება საქმე.¹³ ამის საპირისპიროდ შესრულების მიმართ **ინტერესის დაკარგვა** გასვლის უფლების გამოყენების წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს,¹⁴ რადგან ამ შემთხვევაში კრედიტორს ისედაც აქვს გასვლის კანონისმიერი უფლება 405 II ბ) მუხლის შესაბამისად დამატებითი ვადის დაწესებისა და გაფრთხილების გარეშე. თუ ინტერესის დაკარგვა იქნებოდა ასევე 359-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა, მაშინ მას, 405 II ბ) მუხლთან შედარებით, დამოუკიდებელი გამოყენების სფერო აღარ ექნებოდა, რაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლის მიზანს.

თუ უფლებამოსილი პირი თვითონ არ ასრულებს **ჯეროვნად ნაკისრ ვალდებულებას**, მაშინ ის უნდა კარგავდეს 359-ე მუხლის შესაბამისად მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის მოტივით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, როგორც ეს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშია აღიარებული,¹⁵ რომლის გადმოღებაც საქართველოშიც მიზანშეწონილია.

2. პირგასამტეხლო გასვლის დათქმის მაგივრად

გასვლის დათქმა მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, თუ მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობისას **ყველა უფლება** უნდა დაკარგოს.¹⁶ იმ შემთხვევაში, თუ ის მხოლოდ ცალკეულ უფლებებს კარგავს, ამგვარი დათქმა უნდა ჩაითვალოს არა გასვლის შეთანხმებად 359-ე მუხლის შესაბამისად, არამედ პირგასამტეხლოდ.¹⁷ მაგალითად,¹⁸ თუ მხარეები შეათანხმებენ ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომ დამქირავებლის მიერ ქირავნობის ურთიერთობის ბრალეულად ნაადრევი დამთავრების შემთხვევაში, მან უნდა დაკარგოს გამქირავებლის მიწის ნაკვეთზე მის მიერ აღმართული შენობის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, ეს შეთანხმება წარმოადგენს **პირგასამტეხლოს** და მოსამართლეს, როგორც ზემოთ ვახსენეთ (იხ. მე-2 ველი), შეუძლია მხარის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შეამციროს ის 420-ე მუხლის შესაბამისად. პირგასამტეხლოდ უნდა ჩაითვალოს ასევე უკვე განხორციელებული ნაწილობ-

12 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 354, Rn. 2.

13 RGZ 123, 238, 241.

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის № ას-490-466-2013 განჩინება, სადაც სასამართლო კრედიტორის მიერ შესრულების მიმართ ინტერესის დაკარგვაზე მიუთითებს.

15 RGZ 117, 354, 356 f.

16 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 354, Rn. 1; *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 1.

17 *Schmidt*, Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 354, Rn. 3.

18 BGH, NJW 1968, 1625.

რივი შესრულებისა¹⁹ და სამომავლო საპასუხო შემოსავლის დაკარგვის შეთანხმება.²⁰ ასევე ნებისმიერი სხვა შეთანხმება, როდესაც ცალკეული უარყოფითი შედეგი მოვალისათვის (მაგ., ბეს დაკარგვა) ავტომატურად დგება, არ წარმოადგენს გასვლის დათქმას.²¹

- 8 ე.წ. „შესრულების ვადის გადმოწევის დათქმა“,²² რომლის მიხედვითაც ვალდებულების ნაწილის შესრულების დაყოვნების შემთხვევაში მთლიანი ვალდებულება ხდება ვადამოსული, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არ წარმოადგენს არც პირგასამტეხლოს,²³ მაგრამ არ უნდა ჩათვალოს არც გასვლის დათქმად.²⁴

III. ბრალი

- 9 359-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა ვალდებულების **დარღვევა ბრალეული**. ამიტომაც, თუ მხარეთა შეთანხმებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ასევე განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს, აუცილებელია თუ არა, რომ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყოს მოვალის ბრალეული ქმედებით.²⁵ ჩვეულებრივ, გერმანული სასამართლო პრაქტიკა²⁶ განსხვავებული შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში ითხოვს ვალდებულების ბრალეულ შეუსრულებლობას.²⁷ თუმცა უფრო დამაჯერებელია საპირისპირო მოსაზრება,²⁸ რომელიც **პარალელს ავლებს კანონისმიერ გასვლის** უფლებასთან და მიუთითებს ბრალისაგან მის დამოუკიდებლობაზე. 405-ე მუხლის მიხედვით, გასვლის უფლების წინაპირობა არ არის მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევა. ამიტომაც არადამაჯერებელია, რომ დამატებითი გასვლის უფლების შეთანხმებისას უფლებამოსილი პირი თანახმა იყოს გასვლის ამ წინაპირობის გამკაცრებაზე. თუმცა ბრალის საკითხი არ დგება ფულადი ვალდებულების დაყოვნების შემთხვევაში, რადგან მოვალე ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ყოველთვის პასუხისმგებელია.²⁹

19 BGH NJW 1968, 1625; BGH NJW 1960, 1568: „თუ მეუღლეები [მოპასუხეები] ა და ბ ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებას არ შეასრულებენ, მაშინ ბატონი გ [მოპასუხის მამკვიდრებელი] უფლებამოსილია მინის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე მოშალოს, ამ ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მეუღლეთა მოთხოვნის უფლება მათ მიერ აშენებული ქვის ნაგებობის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ქარწყლდება“.

20 BGH NJW 1972, 1894: „თუ მე ... ხელშეკრულებას ან ამ ნების გამოვლენას რაიმე ფორმით დავარღვევ, ჩემთვის შეპირებული ყველა შემოსავალი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს და კ-ს ცენტრალურ გაერთიანებას გადაეცეს სავალუტო რეზერვის გაზრდისა, ან თავისუფალი განკარგვისათვის“.

21 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 3.

22 Vorfälligkeitsklausel.

23 BGH NJW 1986, 46, 48.

24 Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 3.

25 RGZ 92, 391; RGZ 117, 355 f.; BGH NJW 1981, 1601.

26 BGH, NJW 1981, 1601.

27 Grüneberg, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 354, Rn. 2.

28 Lobinger, in Soergel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl., 2010, § 354, Rn. 3; Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 3.

29 /Gaier, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 4.

IV. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთს გასვლის დათქმის შეთანხმებისათვის **ატარებს კრედიტორი.**³⁰ თუ მოვალე მიუთითებს ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე, მაშინ ის ატარებს მტკიცების ტვირთს.³¹ ასევე, თუ ის უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გასვლის უფლების მიმნიჭებელი ვალდებულების დარღვევა ბრალეული უნდა იყოს, მასვე ეკისრება ამ შეთანხმების მტკიცების ტვირთი, რადგან ეს მის ინტერესებშია.³² 10

30 იქვე, Rn. 5.

31 *Grüneberg*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 354, Rn. 2.

32 *Gaier*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 354, Rn. 5.

მუხლი 360. შეცდომა მორიგების საფუძვლებში

1. ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის დავა ან დაურწმუნებლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის (მორიგების) გზით, თუ, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ეს მორიგება ემყარება სინამდვილის შეუსაბამო გარემოებებს, და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.

2. დაურწმუნებლობას უთანაბრდება, როცა რაიმე მოთხოვნის განხორციელება საეჭვოა.

I. ზოგადი.....	341
II. გამოყენების სფერო	342
1. ცნება	342
ა. დავა, დაურწმუნებლობა, გაურკვეველობა	342
ბ. დავის აღმოფხვრა.....	343
გ. ორმხრივი დათმობა.....	343
III. მორიგების ხელშეკრულების დადება	344
IV. სამართლებრივი ბუნება და სამართლებრივი შედეგები	345
1. სამართლებრივი ბუნება	345
ა. დავის გადაწყვეტა „სამართლებრივი მდგომარეობის შემცველი გარიგების“ მეშვეობით	345
ბ. მორიგება ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით	346
გ. ნოვაცია.....	347
1. სამართლებრივი შედეგები.....	347
ა. მატერიალურსამართლებრივი შედეგები	347
ბ. შედეგები მიმდინარე სასამართლო პროცესზე	349
V. მორიგების არანამდვილობა	349
1. მორიგების არანამდვილობა ზოგადი საფუძვლით	349
2. არანამდვილობა 360 I მუხლის შესაბამისად.....	350
ა. მორიგების საფუძველი.....	351
ბ. შეცდომა სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.....	352
გ. მორიგების საფუძვლის არსებითობა.....	352
დ. სამართლებრივი შედეგები.....	353

I. ზოგადი

360-ე მუხლი იძლევა **მატერიალურსამართლებრივი** გარიგების – **მორიგების** ცნებას და ანესრიგებს ამ მორიგების საფუძველში ორმხრივი შეცდომის შედეგებს.

მატერიალურსამართლებრივი მორიგება არის ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც მხარეთა დავა ან გაურკვეველობა მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობასთან დაკავშირებით **აღმოიფხვრება ორმხრივი დათმობის გზით**.¹ არა აქვს მნიშვნელობა, თუ სამოქალაქო სამართლის რომელ სფეროს განეკუთვნება დავა, არის ის ვალდებულებითსამართლებრივი, სანივთო, საოჯახო და ა.შ.² მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებიდან წარმოშობილი დავის მოგვარებისათვისაც.³ მორიგებას, ჩვეულებრივ, არა აქვს ვალდებულების გარდაქმნის ეფექტი (ნოვაცია), თუმცა არის ახლად წარმოშობილი ვალდებულებისათვის სამართლებრივი საფუძველი.⁴

მორიგების ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების დადების **ზოგადი წესების შესაბამისად**⁵ (იხ. მე-12, მე-13 ველები), და მისი შინაარსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია განმარტების წესი 52-ე მუხლის მიხედვით. მატერიალურსამართლებრივი მორიგებისაგან განსხვავდება პროცესუალური მორიგება, საადვოკატო მორიგება და საარბიტრაჟო მორიგება.⁶

საქართველოშიც, ისევე როგორც გერმანიაში, საიდანაც გადმოღებულია ეს დანაწესი, მატერიალურსამართლებრივი მორიგების ინსტიტუტის **მნიშვნელობა საკმაოდ დაბალია** და დავის ამ გზით მოგვარების შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება საპროცესო მორიგების შემთხვევებს.⁷ ეს დანაწესი რომ არ არსებობდეს ამ ტიპის გარიგების მოსაწესრიგებლად, თავისუფლად შეიძლებოდა 317 I მუხლის გამოყენება, ისევე როგორც მორიგების საფუძველში შეცდომის შემთხვევაში – გარიგების საფუძვლის მოშლის ინსტიტუტისა (398).⁸

360-ე მუხლი არის **დისპოზიციური** დანაწესი. თუ მხარეებმა განსხვავებულად მოაწესრიგეს ამ ნორმაში ნახსენები სამართლებრივი შედეგები, მაშინ მოქმედებს მხარეთა ეს განსხვავებული შეთანხმება.⁹

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 263; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 95.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 263; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 95; თბილისის საპედაგოგიკო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.

3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264.

4 იქვე; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 97; *Fischer*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, Vor § 779.

5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264.

6 *Fischer*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, Vor § 779.

7 *Fischer*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 2.

8 BGH NJW 2000, 2498.

9 *Sprau*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 779, Rn. 13.

II. გამოყენების სფერო

- 5 360-ე მუხლი აწესრიგებს ორმხრივი **დათმობის** საფუძველზე მიღწეულ მატერიალურსამართლებრივ მორიგებას, რომლის მეშვეობითაც **გვარდუბა** მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი **დავა ან გაურკვეველობა**. თუ მხარეთა შორის დავა ან გაურკვეველობა არ არის სახეზე, ან არ ხდება ორმხრივი დათმობა, მაშინ უკვე თავისთავად საქმე გვაქვს არა 360-ე მუხლში ნახსენებ მორიგებასთან, არამედ სხვა ტიპის დავის მოგვარებასთან (შდრ. ზემოთ, მე-2 ველი), თუმცა ამ მოგვარების შემთხვევაშიც შესაძლებელია 360-ე მუხლის **ანალოგიით** გამოყენება, თუ შეთანხმებას მხარეთა შეცდომა უდევს საფუძველად.¹⁰ ამ დანაწესის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი მორიგების, არამედ ასევე მორიგების შემთხვევაში საჯარო სამართლის სფეროდან, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული სპეციალური დანაწესით.¹¹

1. ცნება

- 6 მორიგების ხელშეკრულების დადების საფუძველია მხარეთა შორის დავა ან გაურკვეველობა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ მოთხოვნის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ა. დავა, დარწმუნებლობა, გაურკვეველობა

- 7 **დავა** გულისხმობს მხარეთა წარმოდგენების განსხვავებულობას სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. არ არის აუცილებელი, რომ დავა **მთლიან სამართლებრივ ურთიერთობაზე** ვრცელდებოდეს, საკმარისია, თუ ის მის ცალკეულ ელემენტებს (მაგ., ერთ ცალკეულ მოთხოვნას ან შესაგებელს) უკავშირდება. ასევე არა აქვს მნიშვნელობა, არსებობს თუ არა სინამდვილეში ეს სამართლებრივი ურთიერთობა და საკმარისია, რომ ხელშეკრულების ერთი მხარე მაინც დარწმუნებულია მის არსებობაში.¹² ამისაგან განსხვავებით, მორიგების საგანი არ შეიძლება იყოს დავა, რომელიც მხარეთა საერთო წარმოდგენით მხოლოდ მორალურ ან საზოგადოებრივ ვალდებულებას ეხება.¹³
- 8 **გაურკვეველობა**, ჩვეულებრივ, დავასთან ერთად წარმოიშობა, თუმცა ეს აუცილებელი არ არის. გაურკვეველობა ეხება შემთხვევას, როდესაც არც ერთი მხარე არ არის დარწმუნებული არც თავისი და არც მეორე მხარის მოთხოვნის მართებულობაში.
- 9 ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დავის არსებობას უთანაბრდება მოთხოვნის **განხორციელების საეჭვოობა**. საეჭვოობის საფუძველი, ჩვეულებრივ, არის (მოვალის გადახდისუუნარობის ან სხვა საფუძველით)

10 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 3.

11 შდრ. გერმანულ სამართალში BVerwG NJW 1990, 2702.

12 BGH NJW 1972, 157.

13 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 11.

იძულებითი აღსრულების საეჭვო შანსები.¹⁴ ამისაგან განსხვავებით, არა საეჭვოობა, არამედ დავა გვაქვს სახეზე, თუ ეჭვი უკავშირდება მოთხოვნის წინაპირობების ან შესაგებლის არსებობას.¹⁵ თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა მტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, მაშინ მხარეთა შორის გაურკვეველობა არ შეიძლება არსებობდეს, თუმცა მორიგება სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებით მაინც დასაშვებია.¹⁶ შესაძლებელია ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განმტკიცებული მოთხოვნის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით, თუმცა ეს უკვე აღარ არის მორიგების ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულება 317 I მუხლის შესაბამისად.

ბ. დავის აღმოფხვრა

მორიგების ხელშეკრულების მიზანია არსებული დავის, გაურკვეველობის ან დაურწმუნებლობის აღმოფხვრა. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ის სრულებით აღმოიფხვრას, საკმარისია მისი ნაწილობრივი, ცალკეული პუნქტების ან დროებითი მოგვარება. 10

გ. ორმხრივი დათმობა

დავის, გაურკვეველობისა და დაურწმუნებლობის აღმოფხვრა უნდა მოხდეს **ორმხრივი დათმობის** გზით.¹⁷ ორივე მხარემ უნდა დათმოს თავისი პოზიციის ნაწილი მაინც,¹⁸ თუმცა თანაზომიერება გაღებულ მსხვერპლს შორის აუცილებელი არ არის. შესაძლებელია, სადავო სამართლებრივი მოთხოვნის შენარჩუნების სანაცვლოდ მოდავე მხარემ იკისროს სრულებით ახალი ვალდებულება.¹⁹ 11

პოზიციის დათმობა შეიძლება გამოიხატებოდეს კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის მოპოვებაზე უარში მოვალის მიერ ვალის აღიარების სანაცვლოდ,²⁰ ან ნილობრივი გადახდის შეთანხმება იძულებითი აღსრულების თავიდან აცილების მიზნით.²¹ კრედიტორის მხრიდან დათმობა ხდება მაშინაც, როდესაც ის მოვალეს გადახდის ვალდებულების აღიარების სანაცვლოდ გარკვეული დროით შემოსაზღვრულ უპირატესობას ანიჭებს, მაგალითად ვალის ნაწილობრივი პატიება დარჩენილი ნაწილის დროულად გადახდის შემთხვევაში.²² უმნიშვნელოა, იყენებს თუ არა მოვალე მისთვის მინიჭებულ ამ შესაძლებლობას. 12

14 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება; BGH NJW 1992, 970.

15 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 14.

16 იქვე.

17 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264.

18 შდრ. მოყვანილი მაგალითები ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264; გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში: BGH NJW 1963, 637 f.; BGH NJW-RR 1992, 364.

19 BGH NJW 1983, 2194 f.

20 BGH NJW 1963, 637 f.

21 OLG Jena MDR 2006, 1436.

22 OLG München OLGR 2000, 134.

- 13 თუ მხოლოდ ერთი მხარე თმობს პოზიციებს და მეორე მხარისაგან სანაცვლოდ არაფერს იღებს, მაშინ სახეზე არ გვაქვს მორიგება 360-ე მუხლის შესაბამისად²³ და შესაძლებელია, საქმე გვექონდეს ე.წ. დეკლარატორულ (კაუზალურ) ვალის აღიარებასთან,²⁴ ვალის ნაწილობრივ პატიებასთან და ა. შ.²⁵ თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლო²⁶ ცალმხრივ კომპრომისსაც საკმარისად მიიჩნევს მორიგებისათვის, თუ მითითებული დათმობა მიზნად ისახავდა სახელშეკრულებო პირობათა მოდიფიცირების გზით კონტრაქტისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შესაძლებლობის მიცემას, ამასთან, მხარე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არა ეს კომპრომისი, სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. ნორმის ტექსტიდან გამომდინარე, რომელიც ურთიერთდათმობაზე აკეთებს აქცენტს, ამგვარი დაშვება საკმაოდ საკამათოა.
- 14 სამართლებრივი პოზიციის რეალურად დათმობის შემთხვევაში უმნიშვნელოა, უნოდებენ თუ არა მხარეები მას „ნებაყოფლობით“ დათმობას, თუ დათმობას „სამართლებრივი ვალდებულების აღიარების გარეშე“ და ა. შ.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ მორიგება, გარკვეულწილად, შეიცავს ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ ვალის აღიარების ელემენტებს, განსხვავებით 341-ე მუხლში დაფიქსირებული აბსტრაქტული ვალის აღიარებისაგან, მორიგებისას მხარე აღიარებს სადავო ურთიერთობას.²⁸
- 15 ორმხრივი დათმობის შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს ქონებრივი ფასეულობების უსასყიდლოდ გაცემა, რომლის გასაჩივრებაც შეუძლია გაკოტრების მმართველს.²⁹

III. მორიგების ხელშეკრულების დადება

- 16 როგორც ნებისმიერი ხელშეკრულება, ასევე მორიგების ხელშეკრულებაც ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის დანაწესებს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით (329-ე და შემდეგი მუხლები).³⁰

23 RGZ 146, 358.

24 დეკლარატორული (კაუზალური) ვალის აღიარებისას, განსხვავებით აბსტრაქტული ვალის აღიარებისაგან (341), მხარეები მიზნად ისახავენ არსებულ ვალდებულებით-ურთიერთობასთან დაკავშირებული დავის გადაჭრას და მის საბოლოო მოწესრიგებას, ძირითადად ვალის გამომრიცხავ გარემოებაზე მითითების უფლებაზე უარის თქმის მეშვეობით (BGHZ 66, 250, 253 f.).

25 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 16.

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.

27 Sprau, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 779, Rn. 9

28 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264; ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 95; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 აპრილის № ას-1271-1405-04 გადაწყვეტილება.

29 „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის 17 I „გ“ მუხლი.

30 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 264.

მორიგების გარიგების დადება **ფორმათავისუფალია**.³¹ მორიგების დადება მხოლოდ **დუმილით** შესაძლებელია იმავე წინაპირობებით, როგორც სხვა ხელშეკრულებების შემთხვევაში (334-ე, 335-ე მუხლები). **კონკლუდენტური** მოქმედებით გარიგების დადება, მაგალითად, პირდაპირ შეცვლილი შესრულების განხორციელებით, ან შესრულების მიღებით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი.³² მაშინაც კი, როდესაც მორიგება შეიცავს ვალის აღიარებას, მისთვის წერილობითი ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი (341 II). სხვა შემთხვევებში, თუ მორიგების ხელშეკრულება ითვალისწინებს გარიგებას, რომელიც ფორმასავალდებულოა (მაგ.: 183-ე, 323-ე, 624-ე, 892-ე მუხლები), ასევე მასზეც ვრცელდება ფორმის აუცილებლობის დანაწესი.³³

IV. სამართლებრივი ბუნება და სამართლებრივი შედეგები

1. სამართლებრივი ბუნება

მატერიალურსამართლებრივი მორიგება არის ვალდებულებითი გარიგება, რომელიც **ადასტურებს, ცვლის** (თუ არსებული ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ნარჩუნდება), **აქარწყლებს, წარმოშობს ან გარდაქმნის** (ნოვაცია, თუ არსებული ვალდებულების ახლით ჩანაცვლება ხდება) მხარეთა ვალდებულებებს.³⁴

მორიგება არის **ორმხრივი გარიგება**, თუ მისი ძალით ორივე მხარე, რომლებიც ურთიერთდაპირისპირებულნი არიან, კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას. ამ შემთხვევაში გამოიყენება 369-ე მუხლი. მხოლოდ ორმხრივი დათმობა გარიგების ორმხრივი ხასიათის დასაშვებად საკმარისი არ არის,³⁵ მაგალითად, თუ ერთი მხარე სრულებით უარს ამბობს თავისი მოთხოვნის უფლებაზე ნაკისრი ვალდებულების განახევრების სანაცვლოდ.

რაც შეეხება მორიგების გარიგების შინაარსს, მისი დადგენა უნდა მოხდეს 52-ე მუხლისა და განმარტების ზოგადი წესების მიხედვით. შინაარსის მიხედვით, გამოყოფენ მორიგების რამდენიმე სახეს:

ა. დავის გადაწყვეტა „სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელი გარიგების“ მეშვეობით

დავის გადაწყვეტისას მხარეები ათანხმებენ, **თუ რა უნდა მოქმედდეს მათ შორის სამომავლოდ**. ამ გარიგების მეშვეობით ხდება არსებული სამართლებრივი კონფლიქტის ახლებურად გადაწყვეტა სასამართლო-

31 იქვე, გვ. 265.

32 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 29.

33 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 265; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 98.

34 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 19.

35 *Sprau*, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 779, Rn. 1a.

სათვის მიმართვის გარეშე.³⁶ როგორც ნებისმიერი ვალდებულებითი გარიგება, ის რჩება კერძო ავტონომიის პრინციპით შემოსაზღვრული, მხარეები ვერ მიანიჭებენ მას უკუქცევით ძალას და ვერ განსაზღვრავენ, თუ რა უნდა ყოფილიყო ძალაში (წარსულში), არამედ განსაზღვრავენ მხოლოდ, თუ რა ვალდებულებები უნდა ჰქონდეთ მათ სამომავლოდ.³⁷ ამრიგად, მორიგების ხელშეკრულება ვერ გააუქმებს სანივთოსამართლებრივ მდგომარეობას უკუქცევითი ძალით, ვერ განსაზღვრავს, რომ სანივთოსამართლებრივი განკარგვა არანამდვილია და შესაძლებელია მისი ვინდიკაციით უკუქცევა.³⁸

- 22 როდესაც მორიგება ახლებურად აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, ის წარმოადგენს ე.წ. „**სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელ გარიგებას**“ (Änderungsvertrag), მაშინაც კი, როდესაც სინამდვილეში არარსებული უფლებები წარმოიშობა.³⁹ მისი მიზანია **ნოვაციის გარეშე** არსებული სადავო ურთიერთობის შინაარსობრივად დადასტურება ან შეცვლა და მონაწილეებისათვის ამ ურთიერთობიდან წარმომდგარი უფლებების უდავოდ მინიჭება.⁴⁰ მაგალითად,⁴¹ ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელს უნდა განეხორციელებინა კოსმეტიკური რემონტი, თუმცა მხარეები ამ ხელშეკრულების დასრულებამდე მორიგდნენ, რომ დამქირავებელი დაქირავებულ ფართს გაურემონტებელს დააბრუნებდა, თუმცა სანაცვლოდ გადაიხდიდა შესაბამის კომპენსაციას. მორიგებას „სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელი გარიგების“ ფორმით წარმოადგენს ასევე შემთხვევა, როდესაც იჯარის მხარეები ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე შეათანხმებენ, რომ შეიჯარემ უკან უნდა დაიბრუნოს იჯარით გადაცემული ავტომანქანა, მოიჯარის მიერ მასზე განეული დანახარჯების კომპენსაციის სანაცვლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მანქანაზე საკუთრება მოიჯარეზე გადავა.⁴²

ბ. მორიგება ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

- 23 მიუხედავად იმისა, რომ მორიგების ეფექტი სამართლებრივი შედეგებითაა შემოფარგლული, მხარეებს მაინც შეუძლიათ შეთანხმდნენ გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ იმგვარად, რომ უარი თქვან მათგან გამომდინარე **სამართლებრივ შედეგებზე მითითების უფლებაზე**.⁴³ იგივე წესი მოქმედებს შეთანხმების შემთხვევაში, რომ გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლო პროცეს-

36 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 23/1084-13 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 19 აპრილის № ას-1271-1405-04 გადაწყვეტილება; Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 31.

37 BGH WM 2003, 452: „ორმხრივი დათმობის საფუძველზე მორიგების მხარეები ღიად ტოვებენ თავდაპირველი მოთხოვნის არსებობის საკითხს“.

38 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 31.

39 იქვე, Rn. 33.

40 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ოქტომბრის № 3კ/671-02 განჩინება; OLG Düsseldorf NJW-RR 1989, 1171; OLG Karlsruhe NZG 2005, 627, 628.

41 OLG Düsseldorf NJW-RR 1989, 1171.

42 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 ოქტომბრის № 3კ/671-02 განჩინება.

43 RGZ 153, 329.

ზე არ იქნება გაცხადებული.⁴⁴ თუ გარიგება არანამდვილია, როგორც მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური გარიგება (54), მაშინ დაუშვებელია მისი შენარჩუნება იმგვარად, რომ ის მხარეთა შეთანხმებით დაეფუძნოს არამართლსაწინააღმდეგო (ან არაამორალურ) ფაქტობრივ გარემოებებს. ასეთი გარიგება თავიდან უნდა დაიდოს.⁴⁵

გ. ნოვაცია

თუ თავდაპირველი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები არასადავო იყო, ან, ერთი მხარის აზრით, უკვე ხანდაზმული და თუ მორიგებით ხდება შინაარსობრივად იდენტური მოთხოვნების წარმოშობა ახალი საფუძვლით (მაგალითად, თუ მხარეები გარდაქმნიან სადავო ნასყიდობის ფასის მოთხოვნას სესხად,⁴⁶ ან ნარდობას განვადებით ნასყიდობად⁴⁷), ეს არის ვალდებულებითი ურთიერთობის გარდაქმნა (**ნოვაცია**), ანუ ახალი მოთხოვნის უფლებების წარმოშობა დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადით.⁴⁸

განსხვავებით „სამართლებრივი მდგომარეობის შემცვლელი გარიგებისგან“, თავდაპირველი ურთიერთობა არა მხოლოდ იცვლება, არამედ სრულებით ქარწყლდება. ნოვაციაა ასევე შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობები მორიგებით ერთი ურთიერთობის ფარგლებში მოექცევა.⁴⁹

1. სამართლებრივი შედეგები

ა. მატერიალურსამართლებრივი შედეგები

მორიგება, რამდენადაც ის აქარწყლებს, გარდაქმნის ან ცვლის ვალდებულებით ურთიერთობას, არის არსებული უფლების განკარგვა, რომლის მიზანიც (სამართლებრივი საფუძველიც) არის არსებული დავის მოგვარება, ან დაურწმუნებლობა-გაურკვეველობის აღმოფხვრა. მორიგება საქართველოში მოქმედი კაუზალობის პრინციპის შესაბამისად, არის კაუზა მის საფუძველზე განხორციელებული სანივთო განკარგვისათვის.

ახლად წარმოშობილი ვალდებულებისათვის მხოლოდ მორიგებაა სამართლებრივი საფუძველი და მხარეები კარგავენ თავდაპირველ სამართლებრივ მდგომარეობაზე მითითების უფლებას.⁵⁰

44 თუმცა ამგვარ სამომავლო საპროცესო შეთანხმებას (Prozessvertrag) აქვს თავისი ჩარჩოები. შესაძლებელია, რომ მხარემ იკისროს ცალკეული მოქმედების განხორციელება, ან განუხორციელებლობის ვალდებულება, ხელშეკრულების დასაშვებობის ზოგადი წესების შესაბამისად (MüKo/Habersack, BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 14.), მაგრამ დაუშვებელია, რომ მხარემ მაგალითად სრულებით უარი თქვას მოთხოვნის საპროცესო გზით განხორციელებაზე.

45 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 32.

46 Fischer, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 23.

47 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.

48 Sprau, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 779, Rn. 11.

49 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 34.

50 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 265; BGH NJW 2014, 2269; Sprau, in Palandt, 73. Aufl., 2014, § 779, Rn. 11.

- 27 **მესამე პირთა** მიმართ მორიგება მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ სახე-ზეა ე.წ. „ნამდვილი“ ხელშეკრულება მესამე პირთა სასარგებლოდ⁵¹ 349-ე მუხლის საფუძველზე, ან წარმომადგენლობა.⁵²
- 28 თუ მორიგება ხდება **ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან** ვალის მთლიან ან ნაწილობრივ პატიებასთან დაკავშირებით, მაშინ ეს ვალის პატიება მოქმედებს სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს (449 1). გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,⁵³ საეჭვოობისას ამგვარ მორიგებას არ აქვს საერთო ეფექტი სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ.
- 29 თუ მორიგების ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებიდან **გასვლის** უფლება 405-ე მუხლის შესაბამისად.⁵⁴ ამ შემთხვევაში მხარეები რჩებიან თავდაპირველი გარიგებით შებოჭილნი და შეუძლიათ, განახორციელონ მხოლოდ მისგან მონიჭებული უფლებები. გასვლის უფლებად უნდა განიმარტოს მხარეთა მორიგება შეუსრულებლობისას მისი გამოსმობის დათქმით (359).
- 30 თუ მორიგებას არა აქვს ნოვაციის ეფექტი,⁵⁵ ძალაში რჩება **უზრუნველყოფის საშუალებები**, მოთხოვნის გამომრიცხავი და განხორციელების შემაფერხებელი **შესაგებლები** და **დამატებითი ვალდებულებები**.⁵⁶ განსხვავებული წესი მოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობის **საკამათო და გაურკვეველი პუნქტების** მიმართ. მაგალითად, თუ მოვალე მორიგების ფარგლებში თავს ივალდებულებს, განწილვადებული გადახდის მეშვეობით დაფაროს ნაკისრი ვალდებულება, მას არ აქვს ამ განწილვადებული გადახდის მოთხოვნის გაქვითვის უფლება მორიგების ხელშეკრულებაში შეგნებულად გამოტოვებული საპირისპირო მოთხოვნით, თუ ამ საპირისპირო მოთხოვნის საფუძველი და ოდენობა სადავოა.⁵⁷ მერყევად ბათილ გარიგებასთან დაკავშირებით მორიგება, ამავე დროს, არის მისი **მოწონებაც**.⁵⁸ არარა გარიგებასთან დაკავშირებული მორიგების შემთხვევაზე ანალოგიით უნდა გავრცელდეს 61-ე მუხლი. მორიგება, თუ ის თავდაპირველი ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას მხოლოდ ადასტურებს, ჩვეულებრივ, არის, ამავე დროს, მოთხოვნის აღიარებაც, 137-ე მუხლის შესაბამისად, რაც წყვეტს **ხანდაზმულობის** დენას.⁵⁹

51 ხელშეკრულება, საიდანაც მესამე პირი უშუალოდ მოიპოვებს მოთხოვნის უფლებას.

52 BGH NJW 1972, 943.

53 BGH NJW 2012, 1071.

54 *Habersack*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 36.

55 BGH NJW 2002, 1503; BGH NJW 2003, 3345 f.

56 BGH NJW 1988, 1965.

57 OLG Köln OLG 1999, 309; OLG 2002, 387.

58 *Fischer*, in Beck OK BGB, 35. Aufl., 2015, § 779, Rn. 19.

59 BGH NJW-RR 1987, 1427.

ბ. შედეგები მიმდინარე სასამართლო პროცესზე

განსხვავებით საპროცესო მორიგებისაგან, მატერიალურსამართლებრივ მორიგებას არ გააჩნია პირდაპირი ეფექტი მიმდინარე სასამართლო პროცესზე. არ უშლის ხელს უკვე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას,⁶⁰ არ ასრულებს სასამართლო პროცესს⁶¹ და სასამართლოსაც მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მისი გათვალისწინება. თუ მხარეები ერთობლივად უთითებენ სასამართლოზე მატერიალურსამართლებრივ მორიგებაზე, ეს არის მორიგების გაცხადება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208 I მუხლის შესაბამისად.

V. მორიგების არანამდვილობა

1. მორიგების არანამდვილობა ზოგადი საფუძვლით

მორიგების ხელშეკრულება ექვემდებარება გარიგების ნამდვილობის ზოგად წინაპირობებს და დამოუკიდებელია თავდაპირველი გარიგების ნამდვილობისაგან.⁶² მორიგება შეიძლება, თავის მხრივ, არანამდვილი იყოს როგორც მართლსაწინააღმდეგო (54 1. ვარ.). თუ კანონისმიერი აკრძალვა, 54-ე მუხლის შესაბამისად, მიმართულია გარიგების მიზნის წინააღმდეგ, მაშინ მორიგება მხოლოდ მაშინ არის არანამდვილი, თუ ამ კანონსაწინააღმდეგო მიზნის გარეშე ის არ დაიდებოდა. მაგალითად, მხარეები მხოლოდ იმიტომ დებენ მორიგების ხელშეკრულებას, რომ დამალონ გადასახადები და სხვა შემთხვევაში არ მორიგდებოდნენ.⁶³

მორიგება შეიძლება არანამდვილი იყოს, როგორც ამორალური გარიგება (54 3. ვარ.). თუმცა კაბალური გარიგების (როგორც ამორალური გარიგების ქვესახის) შემთხვევაში, გადამწყვეტია არა მორიგების ფარგლებში ნაკისრ შესრულებებს შორის მიმართება, არამედ მხარეთა დათმობილ სამართლებრივ პოზიციებს შორის მიმართება.⁶⁴ შეუსაბამობა ორმხრივ დათმობას შორის შეიძლება გამართლებული იყოს დამთმობი მხარის სამართლებრივი პოზიციების სისუსტით. მაგალითად, მხარე, რომელსაც ჰქონდა რთულად დამტკიცებადი მოთხოვნის უფლება 100 000 ლართან დაკავშირებით, სჯერდება მორიგების ფარგლებში მისი მხოლოდ ნახევრის მიღებას. მორიგების კაბალურობა შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე გაუმართლებელი სარგებლის მიღების მცდელობიდან, როდე-

60 BGH JZ 1964, 257.

61 BAG NJW 1973, 918.

62 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება; BGH NJW 1955, 705; *Bretzke*, Der Vergleich bei verständigem Zweifel, NJW 1969, S. 1408.

63 BGH NJW 1954, 1401.

64 BGH NJW 1999, 3113: მორიგების ფარგლებში მიღწეული შეთანხმება, რომლის ძალითაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე თავს ივალდებულებს მეზობელი მიწის ნაკვეთის მშენებლობას ხელი აღარ შეუშალოს, მხოლოდ იმის გამო არ უნდა ჩაითვალოს ამორალურად, თუ მშენებლობის მსურველის მიერ შეპირებული კომპენსაცია მნიშვნელოვნად აღემატება მესაკუთრის მიწის ნაკვეთის შემცირებულ ღირებულებას.

საც ერთ-ერთი მხარე შეგნებულად ზრდის თავის საექვო თავდაპირველ მოთხოვნას, რათა ამგვარად მოიპოვოს უკეთესი პოზიციები შემდგომი მოლაპარაკებისათვის.⁶⁵

- 34 თუ მორიგების შეთანხმების მხოლოდ ერთი ნაწილია არანამდვილი ზოგადი საფუძვლით, მაშინ 62-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება, უნდა დარჩეს თუ არა დარჩენილი ნაწილი ძალაში.⁶⁶ მართალია, ჩვეულებრივ, მორიგების ხელშეკრულების ერთიანი მიზნიდან (დავის გადაწყვეტიდან) გამომდინარე, მისი დანაწევრება შეუძლებელია ხოლმე, თუმცა, თუ გამონაკლისის სახით ამგვარი შემთხვევა გვაქვს სახეზე, მაშინ 62-ე მუხლის გამოყენებას წინ არაფერი უდგას – თუ მორიგება შეიცავს ვალდებულებითსამართლებრივ ნაწილს და სანივთო განკარგვას, მხოლოდ ამ უკანასკნელის არანამდვილობა ხელს არ უშლის ვალდებულებითი ნაწილის ძალაში დატოვებას.⁶⁷ ასევე, მაგალითად,⁶⁸ თუ ბინის დაცლასთან დაკავშირებული დავისას გამქირავებელი და დამქირავებელი ათანხმებენ ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებას იმ პირობით, რომ დამქირავებლის მიერ ქირის გადახდის დაყოვნების შემთხვევაში ის უარს ამბობს დამქირავებლის დამცველ სამართლებრივ მექანიზმებზე.⁶⁹ ამგვარი უარის შეთანხმება არანამდვილია, თუმცა ეს არ ხდის მთლიან მორიგებას არანამდვილად, რადგან ამ შემთხვევაში დამქირავებელი ყოველგვარი დაცვის გარეშე დარჩებოდა და კანონის მიზანი, რომელიც მის დაცვას ემსახურებოდა, მასვე მოუბრუნდებოდა ცუდად.
- 35 მორიგების შეთანხმებაზე შეცვლების უფლების გამოყენება შესაძლებელია ზოგადი საფუძვლით.⁷⁰

2. არანამდვილობა 360 I მუხლის შესაბამისად

- 36 დავის გადაწყვეტისას მოგვარება, ძირითადად, ემყარება იმ გარემოებებს, რომლებიც მხარეთა შორის არასადავოა. სწორედ ამ გარემოებებს ხდიან მხარეები ახალი ხელშეკრულების საფუძვლად.⁷¹ თუ ეს საფუძვლი არასწორი აღმოჩნდება და დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ, მასზე დაფუძნებული სამართლებრივი ურთიერთობა 360 I მუხლის შესაბამისად არანამდვილია. ამგვარად 360 I მუხლი წარმოადგენს 398 II მუხლის შესაბამისად გარიგების საფუძვლის დარღვევის სპეციალურ შემთხვევას.⁷² თითოეული მხარე კისრულობს იმ რისკს, რომ თავდაპირველ ურთიე-

65 BGH NJW 1951, 397.

66 BGH NJW 1988, 416.

67 BGH NJW 1988, 416.

68 BGH NJW 1967, 2014.

69 მაგალითად, დამქირავებლის მიერ ქირავნობის მოშლის უფლების შეზღუდვა, ნივთის ნაკლოვანების შემთხვევაში ქირის შემცირების უფლება და ა. შ.

70 RG JW 1915, 190.

71 შდრ. მაგალითისათვის ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 360, გვ. 265.

72 ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 98; BGH NJW 2000, 2498; NJW-RR 1994, 435.

რთობაში გათვალისწინებული სადავო გარემოებების სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მან მორიგების ფარგლებში განსხვავებულად მოანესრიგა, მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. მორიგების არანამდვილობის საფუძველია არა მხარეთა ნებისმიერი საერთო შეცდომა, არამედ ხელშეკრულების არასწორ საფუძველზე დამყარება.⁷³ თუ ერთ მხარეს არ ეშლება, დგება **მოტყუების საკითხი**.⁷⁴ სწორედ ასეთ შემთხვევასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,⁷⁵ როდესაც სამშენებლო კომპანიამ დაითანხმა მყიდველი დამატებითი თანხის გადახდაზე იმ მოტივით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, პრობლემურია, იყო თუ არა ეს გარიგება მორიგება, რადგან მხოლოდ ერთი მხარე კისრულობდა დამატებით ვალდებულებას (მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა ნარდობის მაგივრად ნასყიდობა შეათანხმეს⁷⁶), ხოლო, მეორე მხრივ, დასადგენი იყო, იცოდა თუ არა სამშენებლო კომპანიამ, რომ სინამდვილეში ის ამ დამატებითი გადახდის გარეშე შეძლებდა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა მოტყუებასთან და არა მორიგების არანამდვილობასთან, მისი არასწორი საფუძვლის გამო.⁷⁷

ა. მორიგების საფუძველი

მორიგების საფუძველად მიიჩნევა ის **გარემოებები**, რომელთაც მხარეები **აღარ ხდიან სადავოდ** და მიღწეული კომპრომისის არსებით წინაპირობად მიიჩნევენ. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს მოთხოვნის უფლების არსებობა, თუ მხარეებს შორის სადავო მხოლოდ მისი მოცულობაა.⁷⁸ მორიგების ხელშეკრულებაში მისი საფუძველი შეიძლება იყოს გაცხადებულად ან კონკლუდენტურად შეთანხმებული, მას შეიძლება, განეკუთვნებოდეს ისეთი გარემოებაც კი, რომელიც მხარეებმა თავისთავად იგულისხმეს.⁷⁹ საფუძველად არ მიიჩნევა სამომავლო გარემოებები, მაგალითად: პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება, ან სასამართლო პრაქტიკის შენარჩუნება და ა.შ.⁸⁰ დანანესი ეხება მხოლოდ

73 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 360, გვ. 265; RG JW 1910, 16.

74 *Habersack*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 62.

75 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის № 2ბ/1084-13 გადაწყვეტილება.

76 თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (ველი 9), არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთდათმობა თანაზომიერი იყოს, მაგალითად ნასყიდობის საფასურის განვადებით გადახდაც შეიძლება ჩათვლილიყო დათმობად, თუ თავდაპირველად ნარდობის საფასურის გადახდის უფრო მკაცრი გრაფიკი იყო შეთანხმებული. ასევე პირობაც, რომლის მიხედვითაც გამყიდველს აეკრძალა უძრავი ნივთის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა გარკვეულ მომენტამდე, შეიძლება წარმოადგენდეს დათმობას, თუ ნარდობის შემთხვევაში ამგვარი დათქმა არ მოქმედებდა.

77 თბილ. სააპელაციო სასამართლო, საქმე № 2ბ/1084-13, 5.11.2013: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 360-ე მუხლი არ აკონკრეტებს იმ გარემოებას, არის თუ არა აუცილებელი მეორე მხარის პირდაპირი განზრახვა, იმისათვის, რომ აქცეპტანტს შეექმნას მცდარი წარმოდგენა სინამდვილეში არსებულ გარემოებებზე.“ როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს სასამართლო ცალმხრივ შეცდომასაც საკმარისად მიიჩნევს 360-ე მუხლის გამოყენებისათვის.

78 OLG Frankfurt NJW-RR 1987, 310.

79 *Habersack*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 63.

80 იქვე.

მორიგების საფუძვლის თავიდანვე არარსებობას და არა შემდგომ ცვლილებას, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია 398 I მუხლის გამოყენება.

ბ. შეცდომა სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით

38 მხარეები შეიძლება შეცდნენ არა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არამედ მათგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებითაც. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,⁸¹ არასწორი წარმოდგენა რაიმე სახით უნდა უკავშირდებოდეს ფაქტობრივ გარემოებებს, მხოლოდ **სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული შეცდომა** არ აქცევს მორიგებას არანამდვილად. ამგვარი გადაწყვეტა ემყარება, ერთი მხრივ, ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებას, ხოლო მეორე მხრივ იმ მოსაზრებას, რომ მხარეებს შეცდომის თავიდან აცილება შეუძლიათ კომპეტენტური რჩევის მიღების გზით. მხარეებმა უნდა ატარონ მათი არასწორი სამართლებრივი წარმოდგენის შედეგები, თუმცა ასეთი მოსაზრება იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია⁸² – ეს დანაწესი არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ მხოლოდ ერთმა მხარემ უნდა ინვნიოს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული საერთო არასწორი წარმოდგენიდან გამომდინარეობს. მაგალითად, თუ მხარეები ანდერძს ან სადაზღვევო ხელშეკრულებას ნამდვილად მიიჩნევენ, უმნიშვნელოა, მათი ეს წარმოდგენა სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების გამო არ შეესატყვისება სინამდვილეს. გარდა ამისა, ზღვარი სამართლებრივ და ფაქტობრივ შეცდომას შორის საკმაოდ მყიფეა, რის გამოც, საბოლოოდ, მორიგების საფუძველში შეცდომა შეიძლება ემყარებოდეს სამართლებრივ შედეგებში შეცდომას, თუმცა აუცილებელია, რომ კონკრეტულად ის გახდეს დავის გადაწყვეტის საფუძველი.

გ. მორიგების საფუძვლის არსებობა

39 მხარე, რომელიც მიუთითებს მორიგების ხელშეკრულების არანამდვილობაზე, ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ეს კონკრეტული გარემოებები გახდა გარიგების საფუძველი და ისინი **სინამდვილეში არ არსებობდნენ**. ამის გარდა, ასევე აუცილებელია, რომ დავა ან დაურწმუნებლობა არ წარმოშობილიყო ამ გარემოების გარეშე, რაც გულისხმობს, რომ არასწორად დაშვებული გარემოება იყო სწორედ დავის ან დაურწმუნებლობის მიზეზი.⁸³ გარემოების არარსებობას უნდა გაუთანაბრდეს შემთხვევა, როდესაც ის, მართალია, სახეზეა, თუმცა დავის ან დაურწმუნებლობის მხოლოდ **არაარსებითი** განმაპირობებელია და ამ ფაქტის გაცნობიერების შემთხვევაში დავა ან არ წარმოიშობოდა, ან ხელშეკრულების მხოლოდ უმნიშვნელო პუნქტებთან დაკავშირებით წარმოიშობოდა. მორიგების საფუძველად მდებარე გარემოება მხოლოდ იმიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს არაარსებითად, თუ ის მხოლოდ ორმხრივი დათმობის მოცულობის განმსაზღვრავი იყო და სწორი წარმოდგენის შემთხვევაში მხარეები სხვა პი-

81 BGH NJW 1961, 1460; BGH NJW 1971, 1701.

82 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 64.

83 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 65.

რობებზე შეთანხმდებოდნენ.⁸⁴ თუ მხარეთა არასწორი წარმოდგენა მორიგების მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება, დარჩენილი ნაწილი შეიძლება ძალაში დარჩეს 62-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ზემოთ, 29-ე ველი).

დ. სამართლებრივი შედეგები

განსხვავებით სამართლებრივი საფუძვლის მოშლისგან, 398-ე მუხლის მიხედვით, 360-ე I მუხლის შემთხვევაში საფუძვლის მოშლა იწვევს მორიგების ხელშეკრულების **ავტომატურ არანამდვილობას** და ძალაში ტოვებს თავდაპირველ ხელშეკრულებას. არანამდვილობა არ დგება, თუ საფუძვლის მოშლის სამართლებრივი შედეგი თვითონ მორიგების ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული.⁸⁵ მაგალითად, თუ მხარეები მორიგებას საფუძვლად დაუდებენ მოთხოვნის უფლების არსებობას, მაგრამ გამორიცხავენ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც ეს მოთხოვნის უფლება არანამდვილია; თუ მოთხოვნის უფლება მართლაც არანამდვილი აღმოჩნდა, ეს არ აქცევს ასევე მორიგებასაც არანამდვილად. მორიგების ხელშეკრულების არანამდვილობის „მორჩენა“ არ ხდება მისი **რეალური შესრულებით**.⁸⁶ ასევე მხარეთა მიერ მორიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ვერ ჩაითვლება მის დადასტურებად 61-ე მუხლის შესაბამისად, თუ მათთვის არანამდვილობის საფუძველი უცნობია.⁸⁷

თუ მორიგება არ არის არანამდვილი 360-ე მუხლის შესაბამისად, მაინც შესაძლებელია გარიგების **საფუძვლის მოშლის ზოგადი წესების (398) გამოყენება**.⁸⁸

84 შდრ. გერმანულ სამართალში BGH NJW 1986, 1349.

85 BGH WM 1971, 1120.

86 RGZ 79, 240.

87 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 779, Rn. 66.

88 BGH NJW 2000, 2498; BGH NJW-RR 1995, 414.

მუხლი 361. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

1. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას.
2. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

1. ნორმის მიზანი.....	354
1. ვალდებულების შესრულება.....	355
ა. ობიექტი.....	355
ბ. სუბიექტი.....	355
გ. საგანი.....	356
2. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია.....	357
3. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.....	358
4. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულება.....	359
ა. კეთილსინდისიერება, როგორც სუბიექტური კატეგორია.....	360
ბ. კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფცია.....	361
გ. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტი.....	361
გ. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტი.....	362
დ. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ფარგლები.....	364
ე. კეთილსინდისიერების პრინციპი სამოსამართლო სამართალში.....	364
ვ. არაკეთილსინდისიერად ქცევისა და ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულების სამართლებრივი შედეგები.....	365
5. ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება.....	365
6. ვალდებულების დათქმულ ადგილას შესრულება.....	366

I. ნორმის მიზანი

- 1 სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი მთლიანად შესრულებაზეა ორიენტირებული. მთავარია, ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისთვის.¹ ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმ პირობების დაცვა, რაც ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობას გამორიცხავს. 361-ე მუხლი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ უნდა შესრულდეს ვალდებულება, ისე, რომ არ მოხდეს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის რღვევა. შესაბამისად, 361-ე მუხლი ანებს ვალდებულების შესრულების ისეთ სტანდარტს, რომლითაც დაცულია არა მხოლოდ ვალდებულების შესრულება (316 I), არამედ მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერი მოპყრობა (316 II).

¹ ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, გვ. 4.

1. ვალდებულების შესრულება

ა. ობიექტი

ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს **2** მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (316 I). თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ არც შესრულება იქნება სახეზე.² ყოველი მოქმედება არ ინვესს ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას (427). ვალდებულების შესრულება ნიშნავს იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს (კრედიტორის მოთხოვნის რელატიური ბუნება).³ სწორედ ასეთი მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) არის **ვალდებულების ობიექტი**.⁴

ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებით, უწოდებენ **ვალდებულებას დადებითი შინაარსით**. ვალდებულებას, რომლის შესრულება ხდება მოქმედებისაგან თავის შეკავებით, უწოდებენ **ვალდებულებას უარყოფითი შინაარსით**. ასეთი ვალდებულება შესრულებულად ითვლება, თუ დადგენილი ვადის განმავლობაში მოვალე არ შეასრულებს მოქმედებას, რომლისაგან თავის შეკავება ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.⁵

ბ. სუბიექტი

ვალდებულების სუბიექტები არიან ის **ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნისა და მისი შესრულების მოვალეობა აქვთ**. მოთხოვნის უფლების სუბიექტი ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში **კრედიტორად** იწოდება, ხოლო მოვალეობის მქონე სუბიექტი – **მოვალედ**.⁶ **ვალდებულების სუბიექტები** შეიძლება არ დაემთხვეს **ვალდებულების შესრულების სუბიექტებს**. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან **კრედიტორი და მოვალე**, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება **სხვა პირმა** შეასრულოს, ხოლო შესრულება კრედიტორის ნაცვლად **სხვა პირმა** მიიღოს.⁷

სხვა პირის შემოსვლა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის ან კრედიტორის ავტომატურ ჩანაცვლებას არ ინვესს. სხვა პირის მონაწილეობით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ცალკე კანონისმიერ რეგულირებას ექვემდებარება. მაგ., ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. მესამე პირის შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ინვესს, თუ მესამე პირი სხვის ვალდებულებას **გაც-**

2 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 267.

3 *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 22.

4 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 37.

5 იქვე.

6 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 4.

7 იქვე, გვ. 14.

ნობიერებულად ასრულებს (371).⁸ მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაცნობიერებულად შესრულება ვალდებულების შეწყვეტას იწვევს მაშინაც, როდესაც მესამე პირი **სხვის ვალდებულებას სხვა შესრულებით** ასრულებს (371, 428).⁹ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის მოვალის თანხმობა საჭირო არ არის. თუმცა კრედიტორი **მოვალის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, მესამე პირისაგან შესრულება არ მიიღოს** (იხ. 371-ე მუხლის კომენტ.). ზოგ შემთხვევაში კი, კრედიტორი არათუ უფლებამოსილია, არამედ **ვალდებულიცაა, მოვალის წინააღმდეგობის მიუხედავად, შესრულება მიიღოს**. ამგვარი ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც მესამე პირი მოვალის ვალდებულებას ასრულებს არა სხვისი ვალდებულების შესრულების საფუძვლით, არამედ საკუთარი ქონებრივი ინტერესის დასაცავად (იხ. 372-ე მუხლის კომენტ.).

- 6 ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მესამე პირი მხოლოდ ვალდებულების შემსრულებლად კი არ გვევლინება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების მიმღებადაც (373). არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულება **ნამდვილია, ანუ სამართლებრივი შედეგის წარმომშობია, თუ უფლებამოსილი პირი (კრედიტორი) თანახმაა, არაუფლებამოსილი პირის (მესამე პირის) მიერ შესრულების მიღებაზე**. წინასწარ თანხმობას, სამართლებრივი ძალმოსილების კუთხით, შემდგომი მონონება უთანაბრდება. შესრულება არაუფლებამოსილი პირის (მესამე პირის) მიმართ არის განხორციელებული, როდესაც **მესამე პირი შესრულებას თავისი სახელით იღებს**.¹⁰ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი **შესრულებას კრედიტორის სახელით იღებს, ასეთი შესრულება მესამე პირის მიმართ შესრულებად არ ჩაითვლება, არამედ ჩაითვლება შესრულებად კრედიტორის მიმართ (104)**.

გ. საგანი

- 7 ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალურად განსაზღვრული, ასევე გვაროვნული ნივთი. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის არსებობის შემთხვევაში, **შესრულება საგნობრივად მკაცრად ინდივიდუალიზებულია, ამიტომაცაა, რომ შესრულება მხოლოდ ამ საგნით უნდა მოხდეს (381)**.¹¹ გვაროვნული ნივთი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია, კერძოდ: სახეობით, რაოდენობით, წონით, ზომით, და ა.შ. გვაროვნულ ნივთებს შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივი, ტექნიკური, ეკონომიკური, ანდა სხვა სახის საერთო მახასიათებელი, რითაც ნივთთა ეს გვარი სხვა გვარის ნივთებისაგან განსხვავდება (382).¹² **ამ თვისებათა გამო გვაროვნული ნივთები შეცვლადი ნივთებია**. ინდი-

8 Brox/Rüthers/Henssler, ArbR, Rn. 193 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 114, Rn. 3.

9 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის N ას-435-407-2010 განჩინება.

10 Bub, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 185, Rn. 1.

11 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 381, გვ. 326.

12 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 2.

ვიდუალურად განსაზღვრული ნივთისაგან განსხვავებით, გვარობითი ნივთის განადგურება შესრულების შეუძლებლობას არ იწვევს და ამ საფუძვლზე ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობა არ არის.¹³

2. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

ნორმა შეიცავს ისეთ დებულებას, რომლის მიხედვითაც, **შესრულება ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას ქმნის (361 I)**. თუ არ არსებობს ვალდებულება, არც შესრულება იქნება.¹⁴ ვალდებულების გარეშე შესრულებული კი უკან დაბრუნებას ექვემდებარება (976). ამდენად, მართალია, ყოველი შესრულება ვალდებულების არსებობას გულისხმობს, თუმცა **მხოლოდ შესრულება რომელიმე კონკრეტული ვალდებულების ინდიკატორად ვერ მიიჩნევა**. მაგ., თანხის გადახდა ყოველთვის სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას არ ნიშნავს. ამ დასკვნის საფუძველია ის გარემოება, რომ თანხის გადაცემის შემადგენლობის მატარებელია სხვა სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებებიც, მაგ.: ნასყიდობა, ნარდობა, და ა. შ.¹⁵ ამიტომ თანხის გადაცემით მარტო სასესხო ურთიერთობის არსებობა არ დასტურდება. ამდენად, შესრულება, **მართალია, ვალდებულების არსებობას ნიშნავს, თუმცა მხოლოდ შესრულებით კონკრეტული ვალდებულების არსებობა არ დასტურდება**. ამიტომ შემსრულებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რა სამართალურითიერთობის ფარგლებში განახორციელა მან ეს შესრულება და კონკრეტულად რომელი ვალდებულება შეასრულა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსრულებელი, მხოლოდ შესრულებით, კონკრეტული სამართალურითიერთობის მტკიცების გარეშე, **საპასუხო ვალდებულების შესრულებას ვერ მოითხოვს**. თუ შემსრულებელი ვერ დაადასტურებს კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, იგი **განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვის უფლებას ინარჩუნებს (976)**, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მიმღები არ დაადასტურებს, რომ მან შესრულება სხვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მიიღო.¹⁶ მაგ., თუ პირს, რომელსაც მეორე პირისათვის 10 000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი აქვს, ღვინის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის ფაქტს ვერ დაადასტურებს, იგი თანხის მიმღებისაგან საპასუხო შესრულების სახით 10 000 ბოთლი ღვინის გადაცემას ვერ მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი გადახდილი თანხის უკან გამოთხოვის უფლებას ინარჩუნებს (976), გარდა იმ შემთხვევებისა, თუ თანხის მიმღები არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლითაც დაადასტურებს, რომ მან შესრულება სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიიღო.

13 კროპოპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 115.

14 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 267.

15 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის N 23/4455-10 გადაწყვეტილება.

16 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის N ბს/1034-992-(კ-09) განჩინება.

- 9 კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის და-
დასტურების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსრულებელს მიღებული
შესრულების უკან გამოთხოვის უფლება მხოლოდ მიმღებისაგან (ვითომ
კრედიტორისაგან) აქვს (976). ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც შეს-
რულება, მიმღების სახელით, მესამე პირმა მიიღო.¹⁷ თუ ვითომ კრედიტო-
რისაგან უფლებამოსილმა მესამე პირმა მიღებული შესრულება მიითვისა,
მიმღები (ვითომ კრედიტორი) თანხის უკან დაბრუნებისაგან არ თავისუფ-
ლდება. ასეთ შემთხვევაში, მიმღებს (ვითომ კრედიტორს) მესამე პირი-
საგან თანხის მოთხოვნის უფლება დელიქტის საფუძველზე წარმოეშობა
(992).¹⁸

3. ვალდებულების ჯეროვნად შესრულება

- 10 ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შეს-
რულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების
შესაბამისად, **იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების
მიმღებს ამ ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა.** ვალდებუ-
ლების შესრულების ჯეროვნება ვალდებულების შესრულების მხოლოდ
ერთი ან რამდენიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებისმიერი მოთხოვნის
დაცვას არ გულისხმობს, მაგ.: ვალდებულების უნაკლო (ნივთობრივი,
უფლებრივი), ხარისხიან, შეთანხმებული ოდენობით, დათქმულ დროს ან
დათქმულ ადგილას შესრულებას. **შესრულების ჯეროვნება ყველა ზე-
მთ დასახელებული ობიექტური ფაქტორის ერთობლიობაა და ვალდე-
ბულების ყოველგვარი დარღვევის გარეშე შესრულებას ნიშნავს.**
- 11 თეორიაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, ვალდებულების
ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა
(მოქმედებათა) განუხრელად დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია **თვით
შესრულების საგანთან.**¹⁹ მაგ., თუ მოვალე ვალდებულია, კრედიტორს
გადასცეს ფიროსმანის ნახატი, ჯეროვან შესრულებად ჩაითვლება სწო-
რედ ამ ნივთის გადაცემა კრედიტორისათვის. თუ მოვალე ვალდებული
იყო, გარკვეული ხარისხის ნივთი მიენოდებინა კრედიტორისათვის, სწო-
რედ შესაბამისი ხარისხის ნივთის გადაცემა იქნება ჯეროვანი შესრულე-
ბა.²⁰ ასეთ შესრულებას დოქტრინაში **რეალურ (ნატურით) შესრულე-
ბასაც უწოდებენ.**²¹ ჯეროვანი და რეალური (ნატურით) შესრულების
ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე სამართალში საკამათოა.²²
- 12 თუ ჯეროვანება რეალურ შესრულებასთან გაიგივდება, ასეთ შემთხვე-
ვაში, შესრულების საგნის მიმართ განხორციელებული შესრულება მაინც
ჯეროვნად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ვალდებულე-
ბის შესრულების სხვა სტანდარტი (დრო, ადგილი, კეთილსინდისიერება
და ა.შ.). მართალია, 361-ე მუხლში, ვალდებულების ჯეროვან შესრულე-

17 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 მაისის N ას-711-670-2011 განჩინება.

18 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის N 2ბ/3485-11 განჩინება.

19 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 207.

20 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 12.

21 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 268.

22 იქვე.

ბასთან ერთად, ვალდებულების დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას და კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტი ცალკეა გამოყოფილი, თუმცა **ჯეროვანება უფრო ფართო ცნებაა**, ვიდრე მხოლოდ შესრულების საგნის მიმართ განსახორციელებელ მოქმედებათა განუხრელად დაცვა. რეალური შესრულება ჯეროვან შესრულებას განაპირობებს, თუმცა მხოლოდ რეალური (ნატურით) შესრულება ვალდებულების ჯეროვან შესრულებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან, მიუხედავად შესრულების საგნის მიმართ განხორციელებული ქმედებების მართლზომიერებისა (**შესრულების საგნის ხარისხი, ოდენობა, ნივთობრივი, თუ უფლებრივი მდგომარეობა**), თუ მოვალემ ვალდებულება დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას ან კეთილსინდისიერად არ შეასრულა, **ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ვერ მიიჩნევა**.

ამდენად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ყველა იმ ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობაა, რაც ვალდებულების კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად შესრულების დროს უნდა იყოს დაცული. ჯეროვანი შესრულება მოიცავს ყველა იმ მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ, **ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს** იგი. ბრუნვის მონაწილის ვალდებულება, ჯეროვნად შეასრულოს მოვალეობა, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ევალება.²³

13

ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სტანდარტი მოქმედებს როგორც **ძირითადი სახელშეკრულებო** (ძირითადი ვალდებულების შესრულება), ასევე **დამატებითი** (ნაკლის გამოსწორება, შესრულების საგნის შეცვლა, ფასის შემცირება და ა.შ.) და **მეორეული სახელშეკრულებო მოთხოვნების** (ზიანის ანაზღაურება) მიმართაც. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების სტანდარტი ვრცელდება ასევე **არასახელშეკრულებო** (კანონისმიერი, დელიქტური) ვალდებულებების შესრულებაზეც (326, 361).

14

ვალდებულების შესრულება კრედიტორს შესრულების მიღების ვალდებულებას წარმოუშობს. **კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვალდებულება არ არსებობს, თუ შესრულება არაჯეროვანია**. შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულების მიღებაზე შესრულების არაჯეროვანების საფუძვლით. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უარი, ან მისი მიღების დაყოვნება, **კრედიტორის მხრიდან ვადაგადაცილებად არ ჩაითვლება (390)**.

15

4. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულება

კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.²⁴ თანამედროვე სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელია კეთილსინდისიერების პრინციპის აღიარება. ამ პრინციპით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგ-

16

23 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის N 3კ-1133-02 განჩინება.

24 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.

ლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს.²⁵

- 17 კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში ზოგადად მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც.²⁶ სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული.²⁷

ა. კეთილსინდისიერება, როგორც სუბიექტური კატეგორია

- 18 კეთილსინდისიერება ცალკე, დამოუკიდებელი ვალდებულება არ არის. იგი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ქცევის სტანდარტს ადგენს.²⁸ **კეთილსინდისიერება სუბიექტური კატეგორიაა და საკუთარი უფლებებითა და მოვალეობებით ისეთ სარგებლობას გულისხმობს, რა დროსაც დაცული უნდა იყოს სხვათა უფლებებისა და მოვალეობებისადმი გულისხმიერად მოპყრობის პრინციპი.** სხვათა ინტერესების გათვალისწინება საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფას არ ნიშნავს. მხარეს არც ის მოეთხოვება, რომ სხვისი ინტერესი საკუთარ ინტერესზე მაღლა დააყენოს.²⁹ მეორე მხარის რა ინტერესების გათვალისწინებას ითხოვს კეთილსინდისიერება, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, მათ შორის ხელშეკრულების ბუნებაზე.³⁰ კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში განიხილავს. იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა. პირი ცალკეულ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად“ მიჯნავს სამართლიანს უსამართლოსგან და თავის ქცევას სამართლიანობის კრიტერიუმს შეუსაბამებს. მას უნდა სწამდეს, რომ სამართლიანად იქცევა, ანუ ისე, როგორც ამას ობიექტური დამკვირვებელი თუ მიუკერძოებელი პირი სამართლიანად შეაფასებდა. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.³¹

- 19 კეთილსინდისიერება არ არის ქცევის წესი, იგი პრინციპი ან მაქსიმა უფროა, რომელიც „ცარიელ ზოგად განსაზღვრებამდე“ ვერ დაიყვანე-

25 იქვე.

26 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის N 3კ-1133-02 გადაწყვეტილება.

27 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 361, გვ. 269.

28 *Günter*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 2.

29 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, p. 136 (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf).

30 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, p. 136 (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf).

31 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.

ბა.³² მორალი სამართლის ეფექტურობას განაპირობებს, კეთილსინდისიერებას კი მორალთან ბევრი საერთო აქვს.³³ კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა, იმავდროულად, არაკეთილსინდისიერი მოქმედება და, პირიქით, არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არ არის არამართლზომიერი ქცევა.³⁴ ზოგადი განმარტების შესაბამისად, კეთილსინდისიერება ადგენს მოქმედების სტანდარტს, რომელიც ხასიათდება პატიოსნებით, გახსნილობით, მეორე მხარის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინების უნარით.³⁵ გახსნილობა, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, აქცენტს პირის მოქმედების გამჭვირვალობაზე აკეთებს.³⁶

ბ. კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფცია

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები (8 III)³⁷. უფლება-მოვალეობა კეთილსინდისიერად განხორციელებულად ითვლება იქამდე, სანამ სანინაალმდეგო არ დადასტურდება, შესაბამისად, **არსებობს კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფცია. ეს პრეზუმფცია გაქარწყლებადია მხოლოდ არაკეთილსინდისიერი ქცევის სარწმუნოდ დადასტურების პირობებში.** კეთილსინდისიერად ქცევის პრეზუმფცია ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერად ქცევის გამოხატულებაა. კეთილსინდისიერად ქცევა უპირატესად სუბიექტის შინაგანი იძულების გამოვლინებაა. მან იცის, რომ პარტნიორთან ურთიერთობაში სწორედ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება მისი უფლებების რეალიზაცია.³⁸ უფრო მეტიც, კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.³⁹

20

გ. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტი

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები (8 III)⁴⁰. უფლება-მოვალეობა კეთილსინდისიერად განხორციელებულად ითვლება იქამდე, სანამ სანინაალმდეგო არ დადასტურდება, შესაბამისად, **არსებობს კეთილსინდისიერი ქცევის პრეზუმფცია. ეს პრეზუმფცია გაქარწყლებადია მხოლოდ არაკეთილსინდისიერი ქცევის სარწმუნოდ დადასტურების პირობებში.** კეთილსინდისიერად ქცევის პრეზუმფცია ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერად ქცევის გამოხატულებაა. კეთილსინდისიერად ქცევა უპირატესად სუბიექტის შინაგანი იძულების გა-

21

32 *Houh*, The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel?, p. 6

33 *Houh*, The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel?, p. 10

34 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 270.

35 იქვე.

36 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, p. 136 (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf).

37 იხ. დეტალურად 8 III მუხლის კომენტარი.

38 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2008, მუხ. 361, გვ. 270.

39 იქვე.

40 იხ. დეტალურად 8 III მუხლის კომენტარი.

მოვლინებაა. მან იცის, რომ პარტნიორთან ურთიერთობაში სწორედ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება მისი უფლებების რეალიზაცია.⁴¹ უფრო მეტიც, კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.⁴²

გ. ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტი

22

კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების ძალით მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (316 I), ხოლო კანონის ძალით – თავისი უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება (316 II). ამდენად, მხარეებს ეკისრებათ არა მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება, არამედ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ისე მოქცევა, რომ პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. შესაბამისად, მხარე ვალდებულების დამრღვევად მიიჩნევა მაშინაც, როდესაც მან მასზე დაკისრებული ვალდებულება შეთანხმებული ხარისხის საგნით, ოდენობით, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულა, თუმცა დაარღვია ე.წ. „ნაგულისხმევი“ დამატებითი ვალდებულებები და, შესაბამისად, კონტრაჰენტის მიმართ კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, მაგ., გულისხმიერების მოვალეობა⁴³, მზრუნველობა, ახსნა-განმარტების მიცემის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება⁴⁴ და ა.შ. ეს ის ვალდებულებებია, რომლებიც სამართლებრივი სიკეთის დაცვის დამატებითი ვალდებულებების ჭრილში განიხილება, ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს და მხარეების მიერ განსაკუთრებულ შეთანხმებას არ საჭიროებს.⁴⁵ მათი შეუსრულებლობა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში არაკეთილსინდისიერი ქცევის ტოლფასია და ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა. ზოგ შემთხვევაში იგი იმდენად არსებითი ხასიათის დარღვევაა, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება (405 II ბ). ამდენად, ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულება გულისხმობს არა მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, არამედ ყველა იმ დამატებითი უფლება-მოვალეობების განუხრელად დაცვას, რაც ვალდებულების შინაარსიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, თუმცა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის გათვალისწინებით, იგულისხმება. ეს სტანდარტი კი სხვა არაფერია, თუ არა მეორე მხრის უფლებებისა და ინტერესების იმ ფარგლებში პატივისცემა, რა ფარგლებშიც კონტრაჰენტს მისი უფლებისა და მოვალეობების პატივისცემის გონივრული მოლოდინი ჰქონდა. გონივრულ მოლოდინს მიღმა სტანდარტი კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად არ განიხილება. კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევად მიიჩნევა კონტრაჰენტის ცილისმნამებლური კრიტიკა, ვალდებულების შესრულებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა და ა. შ.

41 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2008, მუხ. 361, გვ. 270.

42 იქვე.

43 იხ. დეტალურად 316 II მუხლის კომენტარი.

44 იხ. დეტალურად 318 მუხლის კომენტარი.

45 კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 109.

კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევად ითვლება ასევე **უფლების ბოროტად გამოყენება**, რა დროსაც კონტრაჰენტი უფლებას მარტოოდენ იმ მიზნით იყენებს, რომ ზიანი მიადგეს სხვას (115). თუმცა მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენება არ ნიშნავს კონტრაჰენტის მიერ კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევას. უფლების ბოროტად გამოყენება სახეზე არ არის, თუმცა **უფლებით სარგებლობის კეთილსინდისიერების პრინციპი დარღვეულია მაშინაც, როდესაც კონტრაჰენტი საკუთარ უფლებას მარტოოდენ იმ მიზნით იყენებს, რომ თვითონ ნახოს სარგებელი, იმის მიუხედავად, ამ უფლების გამოყენებით მეორე მხარეს რა ზიანი ადგება**. მაგ., პირი, რომელიც შესრულების დაყოვნების უფლებას იყენებს მაშინ, როდესაც მეორე მხარეს ვალდებულების 90% შესრულებული აქვს. ამ შემთხვევაში კანონი, მართალია, არააჯეროვანი (არასრული) შესრულების შემთხვევაშიც იძლევა შესრულების დაყოვნების უფლებას, თუმცა როდესაც შესრულების უმეტესი ნაწილი მოვალეს მიღებული აქვს, მოვალის მიერ შესრულების დაყოვნება უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ტოლფასია.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების პირობები ბუნდოვანია, შესაბამისად, დგება ამ პირობათა კეთილსინდისიერად განმარტების საჭიროება.⁴⁶ კეთილსინდისიერება, როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური, ნების განმარტების ინსტრუმენტი. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. **ნორმის განმარტების საფუძველზე კეთილსინდისიერება სამართალგანვითარების ინსტრუმენტიც ხდება**.⁴⁷ კერძო სამართლის სუბიექტთა მიერ ხელშეკრულების პირობების სამართლიან განსაზღვრას და მხარეთა უფლებების დაბალანსებას უზრუნველყოფს სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლი, რომლის ძალითაც, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად ან მათი განსაზღვრა ჭიანჭურდება, გადანყვეტილებას იღებს სასამართლო. ხელშეკრულების პირობათა ბუნდოვანება მხარეს არ აძლევს ამ პირობების მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად განმარტების უფლებას, ვინაიდან კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებულება ყოველ მხარეს აკისრებს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას (316 II). ასეთი გულისხმიერება უნდა გამოიხატოს სწორედ იმით, რომ, თუკი მხარეთა შორის არ მომხდარა შეთანხმება ხელშეკრულების რომელიმე პირობაზე, ან არსებობს ბუნდოვანება ამ საკითხთან დაკავშირებით, ასეთი პირობა სამართლიანად უნდა განისაზღვროს და ყველა მხარე კეთილსინდისიერად და პატივისცემით უნდა მიუდგეს სხვის უფლებებსა და ქონებას. კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ფარგლების დადგენისას მხედველობაში მიიღება მეორე მხარის ნდობის ხარისხი, რწმენა იმისა, რომ მისი ინტერესები სათანადოდ იქნება გათვალისწინებული.⁴⁸

46 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის N ას/7-362-07 განჩინება.

47 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 361, გვ. 271.

48 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 86.

- 25 ამდენად, ხელშეკრულების პირობის დაუზუსტებლობა ან მისი გაუთვალისწინებლობა მხარეს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ასეთ შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრა ხელშეკრულების შემვესები განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს. კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევად მიჩნეულ უნდა იქნეს ასევე ხელშეკრულებათა ბათილობის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მხარემ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას აარიდოს თავი.⁴⁹

დ. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ფარგლები

- 26 კეთილსინდისიერების პრინციპი მთელი სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტი. შესაბამისად, იგი მთელი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში მოქმედებს. იგი გამოიყენება, მაგ., ინდივიდის ქცევის ადეკვატურობის განსაზღვრისას წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, აზუსტებს ცალკეული სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი ვალდებულების შინაარსს, განსაზღვრავს ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ ვალდებულებებს და ა.შ.⁵⁰ შესაბამისად, კონტრაქტის მეორე მხარის უფლებებისა და ინტერესების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების მოპყრობის ვალდებულება სამართალურთიერთობის ყველა ეტაპზე აქვს.

ე. კეთილსინდისიერების პრინციპი სამოსამართლო სამართალში

- 27 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების სფერო, ძირითადად, განპირობებულია შემთხვევებით, რომლებშიც მოთხოვნა ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ სამართალს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა. დაუშვებელია, მოქმედი სამართლიდან გამომდინარე უფლება თუ შედეგი იყოს არასამართლიანი. შესაბამისად, „კეთილსინდისიერების დათქმა“ წინ აღუდგება მოთხოვნის განხორციელებას ისეთი უფლებიდან გამომდინარე, „რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უფლების მხოლოდ ფორმა აქვს და არა შინაარსი.“⁵¹ მოსამართლეს შეუძლია, კეთილსინდისიერების პრინციპს დაეყრდნოს და შეამსუბუქოს, მაგ., სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მძიმე შედეგები მაშინ, როდესაც კანონში შესატყვისი ნორმა არ არის უშუალოდ გათვალისწინებული და, შესაბამისად, მან კანონისა და სამართლის ანალოგიაზე დაყრდნობით უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება.⁵² თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული სამართალურთიერთობების მარეგულირებელი ნორმა მოცემულია, მხოლოდ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, ნორმით გათვალისწინებული შედეგის შეცვლა დაუშვებელია.⁵³

49 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის N ას-196-461-08 განჩინება.

50 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 85.

51 იქვე, გვ. 84.

52 იქვე, გვ. 95.

53 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 ნოემბრის Nას-221-213-2010 განჩინება.

ვ. არაკეთილსინდისიერად ქცევისა და ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულების სამართლებრივი შედეგები

ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულება ვალდებულების დარღვევის ტოლფასია. ხელშეკრულების პირობათა არაკეთილსინდისიერი შესრულება, როგორც წესი, ვალდებულების ნაგულისხმევ პირობათა შეუსრულებლობას ან მეორე მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გაუთვალისწინებლობას გულისხმობს. ამდენად, როგორც წესი, ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულება ვალდებულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას არ ნიშნავს. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ რა სამართლებრივი შედეგები დგება ვალდებულების არაკეთილსინდისიერი შესრულების შემთხვევაში. ამ კითხვაზე პასუხი იმის შესაბამისად უნდა გაიცეს, თუ რასთან გვაქვს საქმე – ვალდებულების არაკეთილსინდისიერ შესრულებასთან, თუ არაკეთილსინდისიერ ქცევასთან. თუ სახეზეა ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს იწვევს, ხოლო თუ წინასახელშეკრულებო ან ვალდებულების შეწყვეტის შემდეგ მხარეთა ურთიერთობა გრძელდება, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების არაკეთილსინდისიერად შესრულების ნაცვლად, სახეზე იქნება არაკეთილსინდისიერი ქცევა. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაც, არასახელშეკრულებო (დელიქტური, წინარე სახელშეკრულებო (*Culpa in contrahendo*), ხელშეკრულების შემდგომი (*Culpa post contractum finitum*)) მოთხოვნის საფუძველზე მოხდება.

28

5. ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება⁵⁴

ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება კანონისმიერი პირობაა. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს.⁵⁵ როგორც წესი, ვადა დადგენილია მოვალის ინტერესებისათვის.⁵⁶ ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ კრედიტორის ლეგიტიმური ინტერესის არსებობის შემთხვევაშია დასაშვები.⁵⁷ კრედიტორი უფლებამოსილი არ არის, ვადაზე ადრე მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მოვალეს ყოველთვის შეუძლია, ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება. გამონაკლისია კრედიტორის პატივსადები ინტერესი.⁵⁸ ამდენად, თუკი კრედიტორს მოვალისათვის უარის სათქმელად აქვს პატივსადები ინტერესი, მაშინ მოვალეს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების უფლება არ აქვს.⁵⁹ თუ ვალდებულების შესრულებისათვის დრო განსაზღვრული არ არის და მისი შესრულების დრო არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, კრედიტორი

29

54 იხ. 364-ე, 365-ე, 366-ე, 367-ე მუხლების კომენტარები.

55 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 47.

56 იქვე. გვ. 60.

57 Fontaine, Content and Performance, The American Journal of Comparative Law, 1992, p. 652.

58 Brox/Walker, AllgemeinesSchuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 121, Rn. 19.

59 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 59.

უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მოვალე ვალდებულია, კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ვალდებულება. მოვალის ვალდებულება, შეასრულოს ვალდებულება, წარმოიშობა მას შემდეგ, რაც კრედიტორის ნება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის თაობაზე მოვალეს მიუვა. ვალდებულების შესრულების დროს მბოჭავი ხასიათი მხოლოდ კრედიტორისათვის აქვს, რადგან კრედიტორს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს,⁶⁰ მაშინ როდესაც მოვალე, უფლებამოსილია, ვალდებულება ვადის დადგომამდე შეასრულოს.⁶¹ მოვალისათვის უფლების მინიჭება, ვადის დადგომამდე შეასრულოს ვალდებულება, ნიშნავს კრედიტორისათვის ვალდებულების დაწესებას, მიიღოს შეთავაზებული შესრულება.⁶² კრედიტორის უფლება, ვადაზე ადრე მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულებას საფრთხე ექმნება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა აშკარა ხდება ვალდებულების მომავალში შესრულების შეუძლებლობა, ან, თუნდაც, გაძნელება, კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება მოითხოვოს.⁶³

6. ვალდებულების დათქმულ ადგილას შესრულება⁶⁴

30 ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა თუ არა, ასევე ხომ არ ყოფილა მოვალის მხრიდან შესრულების ვადაგადაცილება, ან კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის დარღვევა.^{65,66} ვალდებულების შესრულების ადგილს, ხშირ შემთხვევაში, ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა უკავშირდება.⁶⁷ შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილს მნიშვნელობა აქვს ასევე ვალდებულების შესრულების რისკის გადანაწილების, ვალდებულების დამრღვევის გამოვლენისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვისაც.^{68,69} ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით ხდება ასევე გამოსაყენებელი სამართლის დადგენა. იგი, ხშირ შემთხვევაში, ვალდებულების განმარტების მიზანსაც ემსახურება.⁷⁰ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები

60 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 271, Rn. 35.

61 ზოდგი, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 366, გვ. 292.

62 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 57.

63 იქვე, გვ. 58

64 იხ. 362-ე, 363-ე მუხლების კომენტარი.

65 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 1.

66 იხ. დეტალურად 393-ე მუხლის კომენტარი.

67 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 22.

68 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 1.

69 იხ. დეტალურად 363-ე და 364-ე მუხლების კომენტარი.

70 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 21.

განსაკუთრებულ განსჯადობას განეკუთვნება. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასანყვეტი მიზნებისთვისაც მნიშვნელოვანია.⁷¹ თუ არ არსებობს ხელშეკრულების შესრულების ადგილთან დაკავშირებული კანონისმიერი ან სახელშეკრულებო რეგულირება, ვალდებულების შესრულების ადგილის სუბსიდიური რეგულირება გამოიყენება (362). ამ რეგულირების მიხედვით, **ხელშეკრულების შესრულების ადგილის განსაზღვრის კრიტერიუმი ვალდებულების შესრულების საგანია**, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, შესრულების საგანი ინდივიდუალური საგანია (381) თუ გვარობით განსაზღვრული ნივთი (382). თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; ბ. გვარობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის სანარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

71 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, მუხ. 16, გვ. 36.

მუხლი 362. ვალდებულების შესრულების ადგილი

თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

ბ. გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

I. ნორმის მიზანი	368
II. ვალდებულების შესრულების ადგილის ცნება.....	369
I. ნორმის მიზანი	370
1. „წამოღების ვალდებულება“	370
2. „მიტანის ვალდებულება“	371
3. „გაგზავნის ვალდებულება“	372
4. შესრულების „ნეიტრალური“ ადგილი	372
III. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის წყაროები.....	373
1. კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი.....	374
2. შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი	374
3. „საგულისხმო“ შესრულების ადგილი	375
IV. შესრულების ადგილის შეცვლა.....	377
V. შესრულების ადგილი ვალდებულებათა სიმრავლის დროს	378
VI. სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობა	379

I. ნორმის მიზანი

1 ნორმა განსაზღვრავს ადგილს, სადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს. იგი სუბსიდიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმით გათვალისწინებული მონესრიგება მოქმედებს მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი სხვა გზით, კერძოდ, კანონით ან მხარეთა შეთანხმებით, არ დგინდება.¹

2 ამდენად, თუ არ არსებობს ხელშეკრულების შესრულების ადგილთან დაკავშირებული კანონისმიერი ან სახელშეკრულებო რეგულირება, ვალდებულების შესრულების ადგილი მითითებული ნორმის შესაბამისად უნდა განისაზღვროს. ნორმა ხელშეკრულების შესრულების ადგილის განსაზღვრის კრიტერიუმად ვალდებულების შესრულების საგანს ასახელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა დამოკიდებულია იმაზე, შესრულების საგანი ინდივიდუალური საგანია (381), თუ გვაროვნული ნივთი (382).

¹ Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 1.

ვალდებულების შესრულების ადგილი **ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია**. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ვალდებულება ჯეროვნად შესრულდა თუ არა, ასევე, ხომ არ მომხდარა მოვალის მხრიდან შესრულების ვადაგადაცილება, ან კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის დარღვევა.² ვალდებულების შესრულების ადგილს, ხშირ შემთხვევაში, **ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის** გადასვლაც უკავშირდება.³ შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილს მნიშვნელობა აქვს ასევე ვალდებულების შესრულების რისკის გადანაწილების, ვალდებულების დამრღვევის გამოვლენისა და ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვისაც.⁴ ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით ხდება ასევე **გამოსაყენებელი სამართლის დადგენა**. იგი, ხშირ შემთხვევაში, **ვალდებულების განმარტების მიზანსაც ემსახურება**.⁵ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები განსაკუთრებულ განსჯადობას განეკუთვნება. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებზე სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნებისთვისაც მნიშვნელოვანია.⁶

II. ვალდებულების შესრულების ადგილის ცნება

ზოგადი წესის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება **მოვალის საცხოვრებელი (ადგილსამყოფელი) ადგილი**. ამ წესის ისტორიული ახსნა ეფუძნება ვალდებულების პირობების ჩამოყალიბების აუცილებლობის პრინციპს მოვალის სასარგებლოდ. გარდა ამისა, მოვალე ვალდებულების საკუთარი ნებით შესრულებისას არ უნდა აღმოჩნდეს იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე იგი იძულებით აღსრულების დროს აღმოჩნდებოდა.⁷

ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები, რომ საქმე უნდა ეხებოდეს **რაიმე ადგილს, ანუ სივრცეში მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრულ რაიმე პუნქტს**. რაც უფრო ზოგადად არის ადგილზე მინიშნება, მით უფრო მეტი თავისუფლება აქვს მოვალეს, ამოირჩიოს ადგილი, სადაც მას შესრულებისათვის საჭირო უკანასკნელი მოქმედების განხორციელება შეეძლება.⁸ ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რაიმე მოქმედების განხორციელებისათვის, ანუ ე.წ. პოზიტიური ვალდებულებებისათვის.⁹

ვალდებულების შესრულების ადგილი არის ადგილი, სადაც მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს, ხოლო კრედიტორმა – შესრულება მი-

2 იქვე.

3 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 22.

4 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 1.

5 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, 2002, გვ. 21.

6 ლილუაშვილი, ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, მუხ. 16, გვ. 36.

7 ელისევი, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 77-78.

8 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 16.

9 იქვე, გვ. 17.

ილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე მათგანი ვადის გადამცილებლად მიიჩნევა.¹⁰ ზოგადი წესის შესაბამისად, ვალდებულების შესრულებაში იგულისხმება როგორც ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი ქმედების განხორციელება, ასევე ვალდებულების შესრულების შედეგის დადგომა.¹¹ 362-ე მუხლის როგორც სიტყვასიტყვითი, ისე ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად ვალდებულების შესრულების ადგილია ის, სადაც მოვალე ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას ახორციელებს.¹² ეს ადგილი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება (შედეგის ადგილი).¹³ ძალიან ხშირად ვალდებულების „შესრულების ადგილი“ და „შედეგის ადგილი“ ერთმანეთს ემთხვევა.¹⁴

I. ნორმის მიზანი

- 6 ვალდებულების „შესრულების ადგილი“ და „შედეგის ადგილი“, როგორც წესი, შესასრულებელი ვალდებულების არსის შესაბამისად დგინდება. შესასრულებელი ვალდებულების არსისა და თავისებურების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს განსხვავება „ნამოლების ვალდებულებას“, „მიტანის ვალდებულებას“, „გაგზავნის ვალდებულებას“ და ვალდებულების შესრულების „ნეიტრალურ“ ადგილს შორის.¹⁵

1. „ნამოლების ვალდებულება“

- 7 „ნამოლების ვალდებულებისა“ ვალდებულების განხორციელებისა და შესრულების ადგილი მოვალის ადგილსამყოფელია.¹⁶ ვალდებულების შესრულებისათვის ყველა საჭირო მოქმედება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით ხორციელდება. ვალდებულების შესრულების ე.წ. „მზა“ შედეგიც კრედიტორს მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით გადაეცემა. ამ შემთხვევაში მოვალეს ვალდებულების შედეგის კრედიტორისათვის გაგზავნისა და მიწოდების ვალდებულება არ აქვს. კრედიტორს მოვალის ადგილსამყოფელიდან ე.წ. „მზა შედეგის“ ნამოლების ვალდებულება აქვს. ნამოლების ვალდებულების დროს მოვალე ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა, თუ ვალდებულების შესრულების დროისათვის ის მზადაა, შესრულების შედეგი კრედიტორს გადასცეს.¹⁷ შესრულების გადაცემისთანავე შესრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის. თუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში კრედიტორი შესრულების საგანს მოვალისაგან არ წაიღებს, მოვალეს შესრულების საგნის კრედიტორისათვის გაგზავნის ან მიწოდების ვალდებულება არ წარმოეშობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესრულების საგნის

10 იქვე, გვ. 16.

11 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 2.

12 იქვე.

13 იქვე.

14 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 49.

15 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 4.

16 კროპჰოლერი, გ.კ.-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 143.

17 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 5.

ნაღების ვადაგადაცილების პერიოდში კრედიტორს, მისი ბრალის მიუხედავად, მოვალისათვის ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა და ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი ეკისრება (393). 362-ე მუხლი ინდივიდუალური საგნის მიმართ ვალდებულების შესრულების ადგილად (ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით – „ნივთის მიწოდების ადგილად“) ნივთის ადგილსამყოფელს მიიჩნევს. როგორც წესი, შესრულების საგნის ადგილსამყოფელი მოვალის ადგილსამყოფელს ემთხვევა, ამიტომ, უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ადგილი მოვალის ადგილსამყოფელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი და შესრულების საგნის ადგილსამყოფელი სხვადასხვაა. ამ შემთხვევაშიც წამოღების ვალდებულება კრედიტორს ეკისრება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იგივე უნდა ითქვას გვარობითი ნივთის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებაზე. ამ შემთხვევაშიც, ნორმის სუბსიდიური რეგულირებით, ვალდებულების შესრულების ადგილი მოვალის ადგილსამყოფელია. შესაბამისად, კრედიტორს შესრულების საგნის წამოღების ვალდებულება აქვს და მასთან დაკავშირებული რისკებიც ეკისრება. კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების საგნის წამოღების მოვალეობის მიუხედავად, მოლაპარაკებები, რომლებიც მოვალეს ავალდებულებს, ნივთის **გაგზავნისთვის** იზრუნოს ან გაგზავნის ხარჯები იკისროს, წამოღების ვალდებულებას გაგზავნის ვალდებულებით ცვლის, თუმცა ვალდებულების შესრულების ადგილს უცვლელს ტოვებს.¹⁸

2. „მიტანის ვალდებულება“

„მიტანის ვალდებულების“ დროს ვალდებულების განხორციელებისა და **შესრულების ადგილი კრედიტორის ადგილსამყოფელია.**¹⁹ „მიტანის ვალდებულების“ არსებობის პირობებში მოვალეს კრედიტორისათვის „მზა შესრულების“ მიტანის ვალდებულება აქვს. ვალდებულება შესრულებულად ითვლება „მზა შესრულების“ კრედიტორისათვის გადაცემის მომენტიდან. შესაბამისად, ვალდებულების შესასრულებელი მოქმედებები სხვა ადგილას რომც ხორციელდებოდეს, ვალდებულების შესრულების ბოლო მოქმედება შესრულების საგნის კრედიტორის ადგილსამყოფელზე მიტანაა. ამიტომ „მიტანის ვალდებულების“ დროს „შესრულების ადგილი“ და „შედეგის ადგილი“ ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა.²⁰ მაგ., „მიტანის ვალდებულება“ არსებობს ფულად ვალდებულებებთან მიმართებით, ვინაიდან შესრულების ადგილის საექვოობისას ფულადი ვალდებულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს (386). შესაბამისად, ფულადი თანხის კრედიტორისათვის გადაცემამდე ეს ვალდებულება შესრულებულად არ ითვლება. „მიტანის ვალდებულება“ მიტანის რისკს მოვალეს აკისრებს. რისკი კრედიტორზე გადადის იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი შესრულების საგნის მიღებას აყოვნებს (393). ამასთან,

8

18 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 144.

19 იქვე, გვ. 143.

20 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 275.

მნიშვნელოვანია, რომ შესრულების საგანი მოვალის ადგილსამყოფელამდე მიტანილი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ვალდებულების შესრულების ბოლო მოქმედება განხორციელებული არ არის და შესრულების ვადის გადამცილებლად მოვალე მიიჩნევა (400), რადროსაც ყოველგვარი გაუფრთხილებლობისთვის პასუხს მოვალე აგებს. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც (402). ამდენად, ფულადი ვალდებულების დროს მოვალე ვადის გადაცილების საფრთხის მატარებელია.²¹

3. „გაგზავნის ვალდებულება“

- 9 გაგზავნის ვალდებულების დროს **მოვალე, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს საკუთარი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო შედეგი კრედიტორის საცხოვრებელ ადგილას დგება.**²² ამდენად, გაგზავნის ვალდებულების დროს ვალდებულების „შესრულების ადგილი“ და „შედეგის ადგილი“ განსხვავდება ერთმანეთისაგან.²³ ასეთ შემთხვევაში შესრულების ადგილი, როგორც წესი, მოვალის ადგილსამყოფელია, ხოლო შედეგი კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით დგება.²⁴ განსხვავებით წამოღების ვალდებულებისაგან, მოვალის მოქმედება არ ამოიწურება მხოლოდ ვალდებულების მოვალის ადგილას შესრულების მზაობით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ვალდებულების შესრულების საგანი გადაცემულ იქნეს **„გადამზიდელისათვის“**, რომელიც შესრულების საგანს კრედიტორამდე მიიტანს. „გაგზავნის ვალდებულება“ „მიტანის ვალდებულებისაგან“ იმით განსხვავდება, რომ მოვალეს შესრულების საგნის კრედიტორის ადგილსამყოფელამდე მიტანის ვალდებულება არ აქვს. მოვალის ვალდებულება „გადამზიდელისა“ თუ სხვა „გადამტანი პირისათვის“ ვალდებულების საგნის გადაცემით ამოიწურება.²⁵ მაგ., თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს (482 II).

4. შესრულების „ნეიტრალური“ ადგილი

- 10 შესრულების ადგილი „ნეიტრალურია“, თუ იგი **არც მოვალის და არც კრედიტორის ადგილსამყოფელს ემთხვევა.** მხარეები ურთიერთშეთანხმებით ვალდებულების შესრულების „ნეიტრალურ“ ადგილზე შეიძლება შეთანხმდნენ. ასეთ შემთხვევაში ნორმის სუბსიდიური მოწესრიგება არ გამოიყენება, ვინაიდან მხარეები ვალდებულების შესრულების ადგილზე თავად თანხმდებიან. „ნეიტრალურ“ ადგილას ვალდებულების შესრულება ვალდებულების „მიტანისა“ და „წამოღების“ კომპონენტებს შეიცავს,

21 *Heinrichs*, in Palandt BGB Kommentar, § 269, Rn. 6; *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 146.

22 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 143.

23 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 275.

24 *Krüger*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 7.

25 იქვე.

კერძოდ, „ნეიტრალურ“ ადგილამდე ვალდებულების მიტანა მოვალის ვალდებულებას, შესაბამისად, ვალდებულება შესრულებულად ითვლება „ნეიტრალურ“ ადგილას მიტანის მომენტიდან. მიტანის რისკი მოვალეს ეკისრება (ვალდებულების „მიტანის“ კომპონენტი). კრედიტორს „ნეიტრალურ“ ადგილას მისვლისა და შესრულების მიღების ვალდებულება აქვს (ვალდებულების „ნამოლების“ კომპონენტი).²⁶ „ნეიტრალურ“ ადგილას კრედიტორისათვის შესრულების გადაცემით მასზე შესრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის.

III. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის წყაროები

ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება **კანონით ან მხარეთა შეთანხმებით**. თუ ვალდებულების შესრულების ადგილი არც კანონიდან და არც მხარეთა შეთანხმებიდან ირკვევა, ვალდებულების შესრულების ადგილი **შესასრულებელი ვალდებულების ბუნებიდან დგინდება**. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენის მიზნებისათვის სხვა წყარო კი არ გამოიყენება, არამედ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა მხარეთა ორმხრივი ნების ახსნა-განმარტების გზით ხდება (**შესრულების ნაგულისხმევი ადგილი**). თუ შესრულების ადგილი არც კანონიდან, არც ხელშეკრულებიდან და არც მხარეთა ორმხრივი ნებიდან ირკვევა, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის **სუბსიდიური წყარო** გამოიყენება (362).²⁷ სუბსიდიური წყაროს რეგულირების მიხედვით, თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ შესრულების ადგილი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი საგნის (ინდივიდუალური თუ გვარობითი) გადაცემას ეხება საკითხი. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტი-სათვის იმყოფებოდა, ხოლო გვარობითი ნიშნით განსაზღვრული საგნის გადაცემა ხდება იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან მოვალის იურიდიული მისამართის მიხედვით (362).²⁸ მხარეთა ნების პრინციპული უპირატესობის წყალობით შესრულების ადგილის დადგენისას **სუბსიდიური მოწესრიგება** არ გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების ადგილი ხელშეკრულებაში მითითებული არ არის. უპირატესი ძალა ენიჭება ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ ან ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე შესრულების ადგილს. ამდენად, კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი არა მხოლოდ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, არამედ არც იგულისხმება და ამასთან, ვერც ირკვევა თავად ვალდებულების არსიდან.

ერთი სამართალურთიერთობა რამდენიმე ვალდებულებას შეიძლება მოიცავდეს. სამართალურთიერთობის ერთიანი ბუნება ამ ურთიერთობის

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, Rn. 9.

²⁸ *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 49.

ფარგლებში გაერთიანებული ყველა ვალდებულების ერთ ადგილას შესრულებას არ გულისხმობს. თითოეული ვალდებულებისათვის შესრულების ადგილი ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს.²⁹ იგივე ნესი ვრცელდება სინალაგმატური ხელშეკრულების ფარგლებში ვალდებულების შესრულებისა და საპასუხო ვალდებულების შესრულების ადგილზეც.³⁰ ამ საკითხს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავათა ტერიტორიული განსჯადობის კუთხით. თუ ორმხრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის დადგენილია შესრულების არა ერთი, არამედ რამდენიმე ადგილი – კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით (ცხადია, ისინი შესაძლოა, ერთმანეთს ემთხვეოდეს) ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, თუ რომელი სახელშეკრულებო ვალდებულებაა სადავო და შემდეგ განისაზღვროს მისი შესრულების ადგილი და, შესაბამისად, განსჯადი სასამართლო.³¹ თუ დავა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების ბათილობას ეხება, ასეთ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს თითოეული ვალდებულების შესრულების ადგილი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ადგილი სხვადასხვაა, განსჯადი სასამართლო, შესასრულებელ ვალდებულებათაგან ერთ-ერთის ადგილის მიხედვით, მოსარჩელემ უნდა აირჩიოს.³²

1. კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი

- 13 ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება განისაზღვროს კანონით. ასეთ შემთხვევაში შესრულების ადგილი კანონის ობიექტური ნებით დგინდება და მხარეებისთვის სავალდებულოა.³³ სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის არაერთ შემთხვევას იცნობს, მაგ., თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე (434 I); შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით (437). ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების თაობაზე (772).³⁴

2. შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი

- 14 ზოგჯერ ვალდებულების შესრულების ადგილი ხელშეკრულებით (მხარეთა შეთანხმებით) განისაზღვრება.³⁵ შეთანხმება უნდა იყოს აშკა-

29 BayObLG NJW-RR 1997, 699 nach *Krüger*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 9.

30 RGZ 140, 67, 69; OLG Karlsruhe NJW-RR 1986, 351; NJW 2003, 2174, 2175; *Palandt/Grüneberg*, Rn. 7. nach *Krüger*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 10.

31 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 ნოემბრის N2ბ/3219-10 განჩინება.

32 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის N 2ბ/1999-11 განჩინება.

33 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 49.

34 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 276.

35 იქვე, გვ. 277.

რა (მაგ., ზეპირი ან წერილობითი ფორმით), ანდა დუმილით გამოხატული (ნაგულისხმევი).³⁶ ხელშეკრულებით შესრულების ადგილის განსაზღვრა მხოლოდ ორმხრივი ნების საფუძველზე ხდება. ერთ რომელიმე მხარეს ვალდებულების შესრულების ადგილის ცალმხრივად დანიშვნა არ შეუძლია.³⁷ შესრულების ადგილის თაობაზე შეთანხმებით ასევე დგინდება სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა და გამოსაყენებელი სამართალი.³⁸ ხელშეკრულების შესრულების ადგილს შეიძლება ადგენდეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობებიც. თუმცა სტანდარტული პირობით განსაზღვრულ ადგილთან შედარებით, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ შესრულების ადგილს უპირატესობა აქვს.³⁹

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს **პირდაპირი და არაპირდაპირი**. პირდაპირია შესრულების ადგილის განსაზღვრა, როდესაც ის ადგილი, სადაც მოვალე ვალდებულია განახორციელოს თავისი შესრულება, პირდაპირ არის მითითებული. ასეთ შემთხვევაში ნების გამოვლენა შესრულების ადგილის თაობაზე **ცალსახა და ნათელია**.⁴⁰ შესაბამისად, შესრულების ადგილის დადგენა მხარეთა ნების ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს.

შესრულების ადგილი **არაპირდაპირაა განსაზღვრული**, როდესაც ის ადგილი, სადაც შესრულება უნდა განხორციელდეს, არ არის გარკვეულად მითითებული, თუმცა მისი დადგენა შესაძლებელია შესასრულებელი ვალდებულების ბუნების გათვალისწინებით ან მხარეთა ნების განმარტების გზით.⁴¹ როდესაც შესრულების ადგილი პირდაპირ განსაზღვრული არ არის, დღის წესრიგში **ნაგულისხმევი განზრახვის სწორი ინტერპრეტაციის საკითხი დგება**.⁴² ნაგულისხმევი ნება შეიძლება გამომდინარეობდეს საქმიანობის ხასიათიდან ან გარკვეულ დარგში დამკვიდრებული წესებიდან, ანდა შესრულების საგანთა ბუნებიდან (იხ. მე-15 ველი).⁴³

3. „საგულისხმო“ შესრულების ადგილი

მხარეები იშვიათად ადგენენ შესრულების ადგილს შეთანხმებით, რადგან, ძირითადად, იგი ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს.⁴⁴ შესრულების ამგვარ ადგილს თეორიაში „საგულისხმო“ შესრულების ადგილს უწოდებენ.⁴⁵ ვალდებულების „საგულისხმო“ შესრულების ადგილი სახეზეა მაშინ, როდესაც განსაკუთრებულ გარემოებათა და ვალდებულებით ურთიერთობათა ბუნებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ადგილი ცხადია. „საგულისხმო“ შესრულების ადგი-

36 იქვე.

37 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 24.

38 იქვე, გვ. 50.

39 იქვე, გვ. 50.

40 იქვე, გვ. 25.

41 იქვე.

42 იქვე, გვ. 26.

43 იქვე.

44 იქვე, გვ. 49.

45 იქვე, გვ. 49.

ლის დადგენის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება ყველა გარემოება, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებებით, სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის ტრადიციებით, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ.⁴⁶

- 18 ზოგ შემთხვევაში „საგულისხმო“ შესრულების ადგილი შესასრულებელი ვალდებულების ბუნებიდან აშკარად არ იკვეთება. ასეთ შემთხვევაში შესრულების ადგილის დადგენა მხარეთა ნების ახსნა-განმარტების გზით ხდება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება: შესასრულებელი ვალდებულების ბუნება, საქმიან ურთიერთობებში დამკვიდრებული წესები, სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის ტრადიციები, ადგილობრივი ჩვეულებები და, რალა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.⁴⁷
- 19 „საგულისხმო“ შესრულების ადგილი განმარტების გზით არ დგინდება მაშინ, როდესაც შესრულების ადგილი, შესასრულებელი ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, იმთავითვე ცხადია, მაგ.:
- 20 **საადვოკატო მომსახურების** შესრულების ადგილი ადვოკატის სამსახურის (იურიდიული ოფისის) ადგილსამყოფელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, გამონაკლისის სახით, მხარეთა შეთანხმებით, მომსახურების თავისებურების გათვალისწინებით, ადვოკატი ძირითადი საქმიანობის ადგილს იცვლის.⁴⁸
- 21 **შრომითი ხელშეკრულების დროს** ვალდებულების შესრულების ადგილი განსახორციელებელი სამუშაოს სპეციფიკაზე დამოკიდებული. როგორც წესი, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების განევა დამსაქმებლის ადგილსამყოფელის მიხედვით ხდება, კერძოდ, კონკრეტულ ადგილას განთავსებულ სანარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და ა.შ. სამუშაო ადგილის დროებითი შეცვლა მხედველობაში არ მიიღება და ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრაზე ზეგავლენას არ ახდენს.⁴⁹
- 22 **ნარდობის ხელშეკრულების** დროს ვალდებულების შესრულების ადგილი, მიღებული შეკვეთის გათვალისწინებით, შესასრულებელი სამუშაოს ადგილია, მაგ., სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოს შესრულების ადგილი მშენებლობის ადგილსამყოფელია და არა იმ კომპანიის ადგილსამყოფელი, რომელმაც მშენებლობის შეკვეთა მიიღო, მაშინ, როდესაც არქიტექტორის მიერ ვალდებულების შესრულების ადგილი მისი ადგილსამყოფელია (საქმიანობის ადგილი, ოფისი, სადაც შეკვეთებს იღებს).⁵⁰

46 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 277.

47 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 18.

48 იქვე, Rn. 21.

49 იქვე, Rn. 22.

50 იქვე, Rn. 24, 26.

- მკურნალობის თაობაზე** ხელშეკრულების გაფორმებისას ვალდებულების შესრულების ადგილი კლინიკის ადგილსამყოფელია,⁵¹ მიუხედავად იმისა, მკურნალობა ამბულატორიულია თუ სტაციონარული. ვალდებულების შესრულების არსის გათვალისწინებით, კლინიკის ადგილსამყოფელია არა მხოლოდ მკურნალობის თაობაზე ვალდებულების შესრულების ადგილი, არამედ მომსახურების საფასურის გადახდის ადგილიც.⁵² 23
- იპოთეკის წარმოშობა საჯარო რეესტრში** იპოთეკის რეგისტრაციას უკავშირდება, შესაბამისად, იპოთეკიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ადგილი საჯარო რეესტრის სამსახურის ადგილია.⁵³ 24
- ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების** ადგილია ის ადგილი, სადაც ვალდებულება უნდა შესრულდებოდა.⁵⁴ 25
- მოძრავი ქონების გაქირავების (ლიზინგით გაცემის)** ვალდებულების შესრულების ადგილია გამქირავებლის ადგილსამყოფელი. იგივე წესი ვრცელდება დაქირავებული ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებაზეც.⁵⁵ თუ გასაქირავებელია უძრავი ქონება, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი უძრავი ქონების ადგილსამყოფელია.⁵⁶ 26
- დავალების ხელშეკრულების** არსებობის პირობებში ვალდებულების შესრულების ადგილი დავალების შესრულების ადგილია.⁵⁷
- საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე,** ვალდებულების შესრულების ადგილი, კრედიტის გაცემის მომენტისთვის, ბანკის ადგილსამყოფელია.⁵⁸ 27

IV. შესრულების ადგილის შეცვლა

- მხარეები უფლებამოსილი არიან, შეცვალონ ვალდებულების შესრულების ადგილი. ვალდებულების შესრულების ადგილის ცალმხრივად შეცვლა დაუშვებელია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ცალმხრივად შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვალდებულების შესრულების ადგილის ცვლილებას დაეთანხმება.⁵⁹ ამასთან, თანხმობა ამკარად გამოხატული უნდა იყოს. სადავოობის შემთხვევაში, შესრულების ადგილის ცვლილების დუმილით მიღება მხედველობაში არ მიიღება,⁶⁰ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების შესაბამისად, სამართალურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, ამგვარი კონკლუდენტური ქცევა აქცეპტის ტოლფასია.⁶¹ 28

51 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 277.

52 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 37.

53 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 277.

54 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 42.

55 იქვე, Rn. 40.

56 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 362, გვ. 277.

57 იქვე, გვ. 278.

58 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 25.

59 იქვე, Rn. 15.

60 იქვე.

61 იქვე.

- 29 **მოვალის საცხოვრებელი ადგილის ცვლილება ვალდებულების შესრულების ადგილის ცვლილებას ავტომატურად არ იწვევს**, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შესრულების ადგილი იმთავითვე მოვალის ადგილსამყოფელი იყო. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორის მიერ ადგილსამყოფელის შეცვლის მიმართაც.⁶²
- 30 ვალდებულების ადგილის შეცვლა შეიძლება განაპირობოს ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობამ, მაგ., **შეთანხმებულ ადგილას ვალდებულების შესრულების შეუძლებლობამ**. ეს არც ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს და არც მოვალის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ადგილი უნდა შეიცვალოს.⁶³
- 31 **ვალის გადაკისრება ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლას არ იწვევს**.⁶⁴ სოლიდარული ვალდებულების აღების შემთხვევაში, თუ ვალდებულება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს, მაშინ სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით სრულდება. ეს გარემოება ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ადგილზე ზეგავლენას არ ახდენს.⁶⁵

V. შესრულების ადგილი ვალდებულებათა სიმრავლის დროს

- 32 თუერთიხელშეკრულება რამდენიმე ვალდებულებას მოიცავს, როგორც წესი, თითოეული ვალდებულების შესრულების ადგილი ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი ვალდებულების ბუნების გათვალისწინებით, შესაძლებელია, სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული თუ ურთიერთსაპირისპირო (შემხვედრი) ვალდებულებისათვის შესრულების ერთიანი ადგილი არსებობდეს. სხვადასხვა ვალდებულების შესრულების ერთიანი ადგილი სახეზეა მაშინ, როდესაც, მიუხედავად ვალდებულებათა სიმრავლისა, ერთ-ერთი ვალდებულება **ე.წ. „მთავარი“ ვალდებულებაა**, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულების ადგილი მთავარი ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით განისაზღვრება. მაგ., ასეთ ხელშეკრულებებზე შეიძლება მივიჩნიოთ: მომსახურების ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება და. ა.შ., მაგრამ არა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც სინალაგმატური (ორმხრივად მავალდებულებელი) ბუნებისაა და თითოეულ შესრულებას თავისი დამოუკიდებელი ადგილსამყოფელი აქვს. იგივე წესი ვრცელდება მთავარი ვალდებულებიდან წარმოშობილი დამატებითი ვალდებულებების შესრულების ადგილის მიმართაც.⁶⁶ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა მთავარი ვალდებულების შესრულების ადგილის შესაბამისად განისაზღვრება (შდრ. მე-12 ველი).

62 იქვე, Rn. 47.

63 იქვე, Rn. 48.

64 ზოდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 362, გვ. 279.

65 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 49.

66 იქვე, Rn. 19.

VI. სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობა

33

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები სასამართლოთა განსაკუთრებულ განსჯადობას განეკუთვნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით წარედგინება, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე განიხილება ასევე ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე აღძრული სარჩელები.⁶⁷ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო **შესრულების ადგილის მიხედვით განისაზღვრება**.⁶⁸ ხელშეკრულების დამრღვევის ადგილსამყოფელი მხედველობაში არ მიიღება.⁶⁹ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შეიძლება რამდენიმე შესასრულებელი ვალდებულება არსებობდეს. თუ თითოეული ვალდებულებისათვის **შესრულების სხვადასხვა** ადგილია განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში, ტერიტორიულად განსჯადია იმ ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით სასამართლო, რომელი ვალდებულებაც სადავოა.⁷⁰ თუ რამდენიმე ვალდებულებაა სადავო, რომელთა შესრულების ადგილი სხვადასხვაა, ასეთ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოს, ერთ-ერთი სადავო ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით, **მოსარჩელე ირჩევს**.⁷¹ თუ ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ადგილი **ე.წ. „მთავარი“** ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით განისაზღვრება, ასეთ შემთხვევაში, სადავო ვალდებულების შესრულების ადგილის მიუხედავად, **განსჯადია „მთავარი“ ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით სასამართლო**⁷² (შდრ. მე-12, 33-ე ველები). თუ ვალდებულების საგანი უძრავი ქონებაა, ასეთ შემთხვევაში, შესრულების ადგილის მიხედვით განსჯად სასამართლოსთან ერთად ალტერნატიულად განსჯად სასამართლოს უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლო წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც განსჯადი სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს ეკუთვნის.⁷³

67 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის N 28/1999-11 განჩინება.

68 *ლილუაშვილი/ხრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, მუხ. 16, გვ. 36.

69 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 24 სექტემბრის N 28/4080-13 განჩინება.

70 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 ნოემბრის N 28/3219-10 განჩინება.

71 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ოქტომბრის N 28/5267-13 განჩინება.

72 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 ნოემბრის N 28/3559-1128 განჩინება.

73 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის N 28/1175-12 განჩინება.

მუხლი 363. მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფლის შეცვლა

1. თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და კრედიტორს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს.

2. თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.

I. ნორმის მიზანი	380
II. ნორმის მოქმედების ფარგლები	380
III. მოვალის ადგილსამყოფელის შეცვლა	381
IV. კრედიტორის ადგილსამყოფელის შეცვლა	382

I. ნორმის მიზანი

- 1 ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლა, როგორც წესი, ხარჯების გაზრდას იწვევს. შესრულების ადგილის შეცვლა ზეგავლენას ახდენს ასევე იმ რისკების გადანაწილებაზე, რომლებიც შესრულების ადგილის შესაბამისად მოვალესა და კრედიტორს ეკისრება. ნორმის მიზანია მოვალისა და კრედიტორის დაცვა შესრულების ადგილის თვითნებურად შეცვლის საფრთხისაგან.

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

- 2 ნორმის დანაწესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ვალდებულების შესრულების ადგილის **თვითნებური შეცვლა**. მხარეთა ორმხრივი შეთანხმება შესრულების ადგილის შეცვლის თაობაზე ნორმით გათვალისწინებულ მოწესრიგებას არ ექვემდებარება. იგი მოვალესა და კრედიტორს იმ მოულოდნელობისაგან იცავს, რაც ვალდებულების შესრულების ადგილის თვითნებურ შეცვლას უკავშირდება. შესრულების ადგილის შეცვლის თაობაზე მხარეთა შეთანხმება გულისხმობს იმას, რომ მხარეები ვალდებულების ადგილის შეცვლის თანამდევ შედეგებზეც შეთანხმებულნი არიან. ხარჯების ანაზღაურებისა და შესრულების რისკის გადანაწილების კონტექსტში შეთანხმებად არ მიიჩნევა მოვალის ან კრედიტორის მიერ მეორე მხარისათვის შესრულების ადგილის შეცვლის თაობაზე შეტყობინება. მხარეთა კეთილსინდისიერებისა და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ურთიერთთანამშრომლობის პრინციპიდან გამომდინარე, ადგილმონაცვლე მხარე ვალდებულია, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, რათა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ჰქონდეს, მიიღოს შესაბამისი ზომები; მათ შორის ხელშეკრულებიდანაც კი გავიდეს.¹ ამ საფუძვლით მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მხოლოდ იმ

¹ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 363, გვ. 280.

შემთხვევაში წარმოეშობა, თუ ადგილის შეცვლით შესრულების ხარჯები ან რისკი იმდენად იზრდება, რომ მას ვალდებულების შესრულების ინტერესი ეკარგება, ან იმთავითვე ნათელია, რომ მითითებული პირობების შეცვლის გამო, შესრულება შეუძლებელი იქნება.

ადგილსამყოფელის შეცვლა მხარეს ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან არ ათავისუფლებს. უფრო მეტიც, ნორმის მოწესრიგება სწორედ იმას ეხება, რომ ადგილსამყოფელის შეცვლის შედეგად ვალდებულება ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს. მოვალეს ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან არც ძველი ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულება არ ათავისუფლებს. მას, ასეთ შემთხვევაში, ადგილმონაცვლე მხარის მიმართ დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა აქვს.

III. მოვალის ადგილსამყოფელის შეცვლა

შესრულების ადგილის შეცვლით გამონვეული უარყოფითი შედეგების რისკის მატარებელია მხარე, რომლის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლამ ეს უარყოფითი შედეგები გამოიწვია.² ვალდებულების შესრულების წინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლა გულისხმობს მის შეცვლას **ხელშეკრულების დადებიდან შესრულების მომენტამდე შუალედში**.³ მოვალის მიერ საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლით გამონვეული ხარჯები ყველა შემთხვევაში მასვე ეკისრება, იმის მიუხედავად, ეს კრედიტორმა მისგან გაიგო, თუ დამოუკიდებლად.⁴

მოვალის ადგილსამყოფელის შეცვლით კრედიტორს დამატებითი ხარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, როდესაც სახეზეა **„წაღების ვალდებულება“**, ანუ როდესაც ვალდებულება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით სრულდება, ხოლო კრედიტორს ვალდებულების შესრულების წაღების მოვალეობა აქვს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს მოვალისაგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურების უფლება აქვს, რაც მას მოვალის ადგილსამყოფელის შეცვლით წარმოეშობა. **რისკის გადასვლის საკითხი უცვლელი რჩება**, რაც იმას ნიშნავს, რომ შესრულების საგნის კრედიტორისათვის გადაცემისთანავე ამ საგნის დაღუპვის, განადგურებისა თუ გაფუჭების რისკი კრედიტორზე გადადის, მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორი შესრულების საგანს მოვალის შეცვლილი ადგილსამყოფელის მიხედვით იღებს.

თუ კრედიტორს მოვალის ადგილსამყოფელის შეცვლის შედეგად შესრულების მიღების არათანაზომიერი ხარჯები წარმოეშობა, ან, კიდევ, ნივთის დაღუპვის რისკი მნიშვნელოვნად გაეზრდება, მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მოვალემ ვალდებულება დათქმულ ადგილას არ შეასრულა, რითაც

² იქვე, გვ. 280.

³ იქვე.

⁴ იქვე.

ხელშეკრულება დაარღვია. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს მოვალის არა-ჯეროვანი შესრულებით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს (352).

IV. კრედიტორის ადგილსამყოფელის შეცვლა

- 7 კრედიტორის მიერ შესრულების წინ საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის შეცვლამ შეიძლება დამატებითი ხარჯები ანდა საგნის დაზიანების მოსალოდნელი საფრთხე წარმოშვას. ასეთი საფრთხის რისკი კრედიტორზე იმ მომენტიდან გადადის, როგორც კი იგი შესრულების წინ საცხოვრებელ ადგილს ან იურიდიულ მისამართს შეიცვლის.⁵
- 8 კრედიტორის ადგილსამყოფელის შეცვლით მოვალეს დამატებითი ხარჯები მაშინ წარმოეშობა, როდესაც სახეზეა „**მიტანის ვალდებულება**“, ანუ როდესაც ვალდებულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს. „მიტანის ვალდებულება“ მოვალეს ეკისრება. „მიტანის ვალდებულება“ მიტანის რისკს მოვალეს აკისრებს. „მიტანის ვალდებულების“ დროს შესრულება ყოველთვის კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს, მათ შორის, მაშინაც, როდესაც კრედიტორი ადგილსამყოფელს იცვლის. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება კრედიტორს ეკისრება. ამ რისკისათვის კრედიტორი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ შესრულების საგნის გაფუჭება, დაკარგვა და ა. შ. მისი ადგილსამყოფელის შეცვლით არის გამოწვეული, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიტანის ვალდებულების არსებობის პირობებში, თუ კრედიტორი ადგილსამყოფელს იცვლის, კრედიტორი მხოლოდ გაზრდილი ხარჯებისათვის არის პასუხისმგებელი, ხოლო რაც შეეხება მიტანის რისკს, იგი კვლავ მოვალეს უნარჩუნდება, რადგან, მიუხედავად ადგილსამყოფელის შეცვლისა, მიტანის ვალდებულება არ იცვლება. მიტანის ვალდებულების დროს კი, ზოგადი წესის მიხედვით, რისკი მოვალეზეა, ხოლო კრედიტორი მიტანის ვალდებულების არსებობის პირობებში რისკის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ კრედიტორის მიერ ადგილსამყოფელის შეცვლით საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც იზრდება. მაგ., თუ კრედიტორმა ვალდებულების შესრულების ადგილი შეცვალა და ნაცვლად ქალაქის ცენტრისა, შესრულების ადგილად მაღალმთიანი რეგიონი დაასახელა, ვალდებულების შესრულების საგანი კი დაიღუპა (ან დაზიანდა), ამ რისკზე პასუხისმგებელი კრედიტორი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მოვალე დაადასტურებს, რომ საგნის დაღუპვა (დაზიანება) შესრულების ადგილის შეცვლამ (მაღალმთიან ტერიტორიაზე ნივთის გადაადგილებამ) გამოიწვია.

⁵ *ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება*, 2006, გვ. 51.

მუხლი 364. ვალდებულების შესრულება ვადამდე

მოვალეს უფლება აქვს, ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე.

- I. ნორმის მიზანი383
- II. მოვალის უფლება ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების თაობაზე383
- III.. პატივსადები ინტერესი.....385
- IV. ვადამდე შესრულების სამართლებრივი შედეგი386

I. ნორმის მიზანი

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (361 II). ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება კანონისმიერი პირობაა. მუხლი ისეთ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას ეხება, როდესაც „დრო დათქმულია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულება გარკვეულ ვადაშია შესასრულებელი, ანუ ვალდებულების შესრულებისათვის კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დრო არსებობს, ან ვალდებულების შესრულების დრო სხვა გარემოებიდან ირკვევა. ნორმა ისეთ სამართალურთიერთობაზე არ ვრცელდება, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის დრო განსაზღვრული არაა და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა. 364-ე მუხლი და 366-ე მუხლის ბოლო წინადადება მოვალისათვის ერთსა და იმავე უფლებას უზრუნველყოფს, კერძოდ, მოვალე უფლებამოსილია, ვალდებულება ვადამდე შეასრულოს, განსხვავებით კრედიტორისათვის დაწესებული აკრძალვისაგან, რომელსაც უფლება არ აქვს, ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე მოითხოვოს. ერთადერთი გამონაკლისი, რაც მოვალეს ამ უფლებას უზღუდავს, კრედიტორის დასაბუთებული ინტერესია. შესაბამისად, მოვალისათვის 364-ე მუხლისა და 366-ე მუხლის ბოლო წინადადებით ერთი და იგივე უფლებაა უზრუნველყოფილი. იგი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრულობის პირობებში ვალდებულება ვადამდე შეასრულოს, თუ, რა თქმა უნდა, ამ უფლებას კრედიტორის დასაბუთებული ინტერესი არ გამორიცხავს (364, 366).

1

II. მოვალის უფლება ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების თაობაზე

ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს.¹ ზოგჯერ, ვალდებულების შესრულება უშუალოდ ვალდებულების წარმოშობას მოსდევს, ზოგჯერ კი მათ შორის დროის განსაზღვრული შუალედი არსებობს. როცა ხელშეკრულების შესრულება მისი დადებისთანავე ხდე-

2

1 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 47.

ბა, შესრულების ვადის შესახებ საკითხი საერთოდ არ წარმოიშობა.² ვალდებულების შესრულების დროდ შეიძლება დადგენილ იქნეს **ზუსტად განსაზღვრული დრო, ან დროის განსაზღვრული პერიოდი**, რომლის განმავლობაშიც ვალდებულება შეიძლება შესრულდეს. განსაზღვრული პერიოდის ბოლო თარიღი ითვლება დროდ, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს.³

3 ვალდებულების შესრულების დრო **ხელშეკრულებით, ცალმხრივი გარიგებით, სასამართლო გადაწყვეტილებით და ზოგჯერ კანონითაც** განისაზღვრება. ორმხრივ ურთიერთობებში ხშირად ვალდებულების შესრულების დრო საერთოა ორივე მხარისათვის, რადგან ორივე მხარე თავის მოვალეობას ერთდროულად ასრულებს.⁴ ზოგ შემთხვევაში, ესა თუ ის ვალდებულება წინასწარ შესასრულებელი ვალდებულებაა (369), შესაბამისად, საპასუხო ვალდებულების შესრულების დრო წინასწარ შესასრულებელი ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებული. ვალდებულების შესრულების დრო გარკვეული პირობის დადგომასაც შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგ., თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება (368).

4 ვალდებულების განსაზღვრულ დროში შესრულებასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში **ვალდებულების ვადამდე შესრულების პრობლემა** ხშირად წამოიჭრება. ვალდებულების ვადამდე შესრულების საკითხი იმის მიხედვით წყდება, თუ ვისი ინტერესებისათვისაა დადგენილი ვადა. **როგორც წესი, ვადა დადგენილია მოვალის ინტერესებისათვის.**⁵ ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ კრედიტორის ლეგიტიმური ინტერესის არსებობის შემთხვევაშია დასაშვები.⁶

5 364-ე მუხლი მოვალისათვის **უფლებამიმნიჭებელი ნორმაა**. მითითებული მუხლის შესაბამისად, მოვალე უფლებამოსილია, ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულოს. ამ ნორმით გათვალისწინებული უფლების გამოყენების მიზნებისათვის აუცილებელი არაა, მოვალეს რაიმე განსაკუთრებული პატივისაღები ინტერესი ჰქონდეს. **მას ყოველთვის შეუძლია ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება.** გამონაკლისია სწორედ კრედიტორის პატივისაღები ინტერესი, რაც იმას ნიშნავს, რომ **კრედიტორი უფლებამოსილია, არ მიიღოს ვადაზე ადრე ვალდებულების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ვალდებულების ვადაში შესრულების პატივისაღები ინტერესი აქვს.**⁷ ამდენად, თუკი კრედიტორს მოვალისათვის უარის სათქმელად აქვს პატივისაღები ინტერესი, მაშინ მოვალეს არა აქვს უფლება, ვადაზე ადრე შეასრულოს ვალდებულება.⁸

2 იქვე, გვ. 48.

3 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 121, Rn. 19.

4 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 54.

5 იქვე, გვ. 60.

6 Fontaine, Content and Performance, The American Journal of Comparative Law, 1992, p. 652.

7 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 121, Rn. 19.

8 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 59.

III.. პატივსადები ინტერესი

პატივსადები ინტერესი შეფასებითი კატეგორიაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული იმ ფაქტის შეფასება, თუ რამდენად პატივსადებია კრედიტორის ინტერესი შესრულების ვადამდე მიღებაზე უარის თქმის თაობაზე. 6

ინტერესი პატივსადებია მაშინ, როდესაც კრედიტორს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებით **ზიანი ადგება. ზიანი შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივად დამდგარი, ასევე მიუღებელი შემოსავალი.** მაგ., პროცენტიანი სესხის პირობებში კრედიტორს პატივსადები ინტერესი აქვს, ვადაზე ადრე შესრულება არ მიიღოს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორის ინტერესი პატივსადებია, რადგან შესრულების ვადაზე ადრე მიღების შემთხვევაში იგი ყოველთვიური სარგებლის სახით მისაღებ შემოსავალს დაკარგავს (411). ინტერესი პატივსადებია მაშინაც, როდესაც სანარმოს კომპანიისათვის 15 სექტემბერს 1 ტონა ფქვილი უნდა მიენოღებინა. სანარმომ კომპანიას ფქვილი პირველ სექტემბერს მიანოდა. კომპანიამ შესრულება არ მიიღო, რადგან მას ფქვილის შესანახი სასაწყობე პირობები 15 სექტემბრისათვის უნდა შეექმნა, შესაბამისად, იგი პირველი სექტემბრისათვის მიწოდებულ პროდუქციას ვერ შეინახავდა, მიწოდებული ფქვილი გაუფუჭდებოდა და ზიანი მიადგებოდა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც კომპანიის უარი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მიღების თაობაზე აშკარად პატივსადებია (364). შესაბამისად, კრედიტორი ვადამდე შესრულების მიღებაზე უარის თქმის საფუძველით ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა და არც შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება (390).

ვადამდე შესრულების საკითხი შეიძლება **ორმხრივ ხელშეკრულებებში** დადგეს. ასეთ შემთხვევებში პატივსადები ინტერესის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ერთი მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაზე. საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში მიღებული პრაქტიკიდან ირკვევა, რომ, თუ ერთ-ერთი მხარე იღებს ვადამდე შესრულებას, ეს მისი შემხვედრი ვალდებულების შესრულების ვადაზე გავლენას არ ახდენს, თუკი ეს ვადა მეორე მხარის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლადაა დადგენილი. მაგ., სანარმომ კომპანიას პირველ აგვისტოს უნდა მიანოდოს 100 ცალი გადამუშავებული მაღალი ხარისხის ბროლი. კომპანიამ 100 ცალი ბროლის ღირებულება თანაბარწილად, ეტაპობრივად (5 ეტაპად) უნდა გადაიხადოს. პირველი გადახდა პირველ ოქტომბერს უნდა განახორციელოს, ხოლო ბოლო გადახდა – პირველ მარტს. სანარმომ კომპანიას 100 ცალი ბროლი, პირველი აგვისტოს ნაცვლად, 15 ივნისს მიანოდა. ამ შემთხვევაში, შემხვედრი ვალდებულების შესრულება კომპანიისათვის შესრულების ვადამდე მიღებაზე უარის თქმის პატივსადები მიზეზი ვერ იქნება, რადგან შემხვედრი ვალდებულების შესრულება (თანხის გადახდა) დამოუკიდებელია წინასწარ შესასრულებელი ვალდე-

ბულებსაგან (ბროლის მინოდება). ასეთ შემთხვევაში ვადამდე შესრულების მიღებაზე უარის თქმის პატივსადები ინტერესი შეიძლება იყოს კომპანიის სანყოფინაში პირველ აგვისტომდე ბროლის შესანახი ადგილის არქონა, ან აღნიშნულ პერიოდამდე არასათანადო უსაფრთხოების სისტემის არსებობა, რის გამოც ვადამდე შესრულების მიღებით კრედიტორს შეიძლება საფრთხე შეექმნას და ა. შ.

- 9 **სხვა საქმეა, როდესაც მეორე მხარის მხრიდან შესრულება დროში ურთიერთდამოკიდებულია.** ამ შემთხვევაში, კრედიტორი შეიძლება არც კი დაინტერესდეს ვადამდე შესრულების მიღებით.⁹ უფრო მეტიც, თუ კრედიტორის შესრულება დამოკიდებულია მოვალის შესრულებაზე, ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება მასზე დაკისრებული ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოვალეობას კრედიტორსაც წარმოუშობს, რაც კრედიტორისათვის იმთავითვე პატივსადები ინტერესია, და რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს, ვალდებულების ვადამდე შესრულება არ მიიღოს (364). მაგ., თუ მენარდეს სამუშაო 20 დეკემბერს უნდა დაესრულებინა, ხოლო შემკვეთს ანგარიშსწორება სამუშაოს დასრულებიდან 5 დღეში უნდა მოეხდინა, ეს ნიშნავს იმას, რომ შემკვეთისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში ანგარიშსწორების ვადა 25 დეკემბერი იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მენარდე სამუშაოს პირველ დეკემბერს დაასრულებს, მას უფლება არ აქვს, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება 5 დეკემბერს მოითხოვოს.

IV. ვადამდე შესრულების სამართლებრივი შედეგი

- 10 თუკი კრედიტორს მოვალისთვის უარის სათქმელად აქვს პატივსადები ინტერესი, ამ უკანასკნელს არა აქვს უფლება, ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულოს.¹⁰ შესრულების მიღებაზე უარის თქმის პატივსადები ინტერესის არსებობა კრედიტორმა უნდა ამტკიცოს. კრედიტორის პატივსადები ინტერესის არსებობის პირობებში მოვალის მიერ ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად არ მიიჩნევა. ამდენად, ვადაზე ადრე შესრულება არაჯეროვანი შესრულებაა. არაჯეროვანებას ვადაზე ადრე შესრულების ფაქტი განაპირობებს. არაჯეროვანი შესრულება ვადის დადგომის შემდეგ ჯეროვანი ხდება, თუმცა ვადის დადგომამდე შესრულების არაჯეროვანება (ვადაზე ადრე შესრულება) კრედიტორს მოვალისაგან ზიანის ანაზღაურების უფლებას წარმოუშობს. თუკი კრედიტორი შესრულებას მაინც მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ მას უარის სათქმელად პატივსადები საფუძველი აქვს, ვადამდე შესრულება ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად აღარ განიხილება.¹¹ შესაბამისად, ვადაზე ადრე შესრულებით მიყენებული ზიანის

9 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 364, გვ. 284.

10 იქვე, გვ. 282.

11 იქვე, გვ. 283.

ანაზღაურება მოვალეს აღარ დაეკისრება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობა – ვალდებულების დარღვევა – სახეზე არ იქნება.

თუ მხარე ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში **ვადაზე ადრე შესრულებას მიიღებს, ეს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ვადაზე გავლენას არ ახდენს.** აღნიშნული წესი ვრცელდება ისეთ ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებზეც, სადაც **ვალდებულებათა შესრულება ურთიერთდამოკიდებულია.** იგივე პრინციპია განმტკიცებული ევროპის სახელშეკრულებო სამართალში, რომლის შესაბამისადაც, თუ მხარე მიიღებს ვადამდე შესრულებას, მაშინ ეს ზეგავლენას არ ახდენს მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ვადაზე.¹²

11

12 ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, მუხლი 7:103.

მუხლი 365. ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას

თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.

I. ნორმის მიზანი	388
II. ვალდებულების შესრულების დრო	390
III. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა	390
1. შესრულების კანონით განსაზღვრული დრო	391
2. შესრულების გარიგებით განსაზღვრული დრო	391
3. შესრულების დროის განსაზღვრა გარიგების მხარეების მიერ	395
ა. კრედიტორის მიერ	395
ბ. მოვალის მიერ	396
გ. მესამე პირის მიერ	396
4. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა გარემოებების მიხედვით	396
IV. ვალდებულების შესრულება „დაუყოვნებლივ“	397
V. ვალდებულების დათქმულ დროს შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები	398
VI. ხანდაზმულობა	400
VII. მტკიცების ტვირთი	403

I. ნორმის მიზანი

- ვალდებულების შესრულებისათვის შეიძლება განსაზღვრული იყოს დრო ან ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება სხვა გარემოებებიდან ირკვეოდეს. როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულია დრო ან მისი შესრულების დრო სხვა გარემოებებიდან ირკვევა, ვალდებულება დათქმულ დროს უნდა შესრულდეს (361 II), რაც იმას ნიშნავს, რომ დათქმულ დროს კრედიტორს აქვს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ხოლო მოვალეს – ვალდებულების შესრულების მოვალეობა. დათქმულ დროს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებას იწვევს (400-404), ხოლო შესრულებული ვალდებულების მიუღებლობა – კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადაგადაცილებას (390-393).
- ვალდებულების შესრულების დროის დადგენა, როგორც წესი, მხარეთა პრეროგატივაა, ისევე როგორც შეთანხმება ხელშეკრულების სხვა ძირითად პირობებზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა იძლევა „გამოსავალს“ იმ სიტუაციიდან, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა მიერ ვადა შეთანხმებული არ არის.¹ ხშირად კანონისმიერ ვადებს

¹ ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 9.

თან ახლავს ალტერნატივა შეთანხმებული ვადების სახით. ეს ნორმა სწორედ ისეთ შემთხვევას ანესრიგებს, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის დრო განსაზღვრული არაა და მისი შესრულების დრო არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მოვალე ვალდებულია, კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ვალდებულება.

ნორმის ბოლო წინადადება ითვალისწინებს მოვალის უფლებას, დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება. კრედიტორის მოთხოვნისთანავე ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება **მოვალის ვალდებულებაა და არა უფლება**, შესაბამისად, ნორმის ბოლო წინადადების ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორის მოთხოვნის არარსებობის პირობებში მოვალე უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეასრულოს ვალდებულება. ამდენად, ნორმა, **ერთი მხრივ**, ადგენს კრედიტორის უფლებას, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, რა დროსაც მოვალე ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება, ხოლო მეორე მხრივ, აწესებს მოვალის უფლებას, კრედიტორის მოთხოვნის არარსებობის პირობებში ნებისმიერ დროს შეასრულოს ვალდებულება. კრედიტორს შესრულების ვადის არარსებობის პირობებში შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს. შესაბამისად, კრედიტორი შესრულების მიღებაზე უარის თქმით შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა.²

ვალდებულების შესრულების დროს მოვალისა და კრედიტორისათვის სხვადასხვა დანიშნულება აქვს. კრედიტორს ვალდებულების შესრულების დრო უფლებას აძლევს, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მოვალეს ვალდებულებას აკისრებს, შეასრულოს ვალდებულება. ამდენად, დრო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში კრედიტორისათვის უფლებამომინიჭებული კომპონენტია, ხოლო მოვალისათვის – ვალდებულების წარმომშობი.³

მოვალის მოვალეობა, შეასრულოს ვალდებულება, წარმოიშობა მას შემდეგ, რაც **კრედიტორის ნება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის თაობაზე მოვალეს მიუვა.** შესაბამისად, კრედიტორის მიერ ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენა, როგორებიცაა, მაგ., მოვალის სახელზე დანერილი წერილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის თაობაზე, მხედველობაში არ მიიღება, თუ კრედიტორმა არ დაადასტურა ამ წერილის მოვალისათვის ჩაბარების ფაქტი. ამდენად, კრედიტორის მოთხოვნის არსებობა ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორმა უნდა ადასტუროს. მანვე უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის მოვალისათვის შეტყობინების ფაქტი.⁴

2 Unberath, in Beck OK BGB, 29. Aufl., 2011, § 271, Rn. 2.

3 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 271, Rn. 1.

4 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის N ას-444-419-2011 განჩინება.

II. ვალდებულების შესრულების დრო

- 6 **ვალდებულების შესრულების დროში იგულისხმება დროის მონაკვეთი, როდესაც ვალდებულება შესასრულებელია.** თუ ცალმხრივი გარიგებით, ხელშეკრულებით ან კანონით ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრულია, ასეთ შემთხვევაში ვალდებულება განსაზღვრულ დროში უნდა შესრულდეს, ხოლო თუ დრო განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შესრულდეს. ამდენად, ვალდებულების შესრულება სავალდებულოა **განსაზღვრულ დროში ან კრედიტორის მოთხოვნისთანავე.**⁵ შესაბამისად, ამ დრომდე ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ არ მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ არც მისი შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა აითვლება⁶ და არც მისი შეუსრულებლობა იწვევს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევას.⁷ უფრო მეტიც, შესრულების ვადის დადგომამდე სასარჩელო წარმოების გზით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება, რადგან სასარჩელო წარმოების ეტაპისათვის მოთხოვნა ვადამოსული არ არის.⁸ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც, მართალია, ვალდებულება ვადამოსული არ არის, თუმცა სახეზეა შემდეგი წინაპირობები: ა) სასარჩელო მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ვალდებულების საპასუხო შესრულებაზე და მისი შესრულების თარიღი დაკავშირებულია კალენდარული დღის დადგომასთან; ბ) ვითარების მიხედვით გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას. **სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისათვის მოთხოვნის ზემოხსენებული წინაპირობები კუმულაციურად უნდა არსებობდეს.**⁹ ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულების შესრულების თაობაზე მოთხოვნას დააკმაყოფილებს, თუმცა ვალდებულების შესრულების მოვალეობას მოვალეს (მოპასუხეს) ვალდებულების შესრულების თარიღიდან დააკისრებს და არა დაუყოვნებლივ, რადგან ასეთ შემთხვევაში სახეზეა არა ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნა (367), არამედ ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ სარჩელი (181).¹⁰

III. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა

- 7 ნორმა სუბსიდიურ რეგულაციას შეიცავს, ვინაიდან იგი ისეთ სამართალურთიერთობას აწესრიგებს, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ არის.¹¹ ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრის წყაროებია: კანონი, ხელშეკრულება, ასევე სხვა ისეთი გა-

5 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, Rn. 1; ნაწილობრივ განსხვავებული პოზიცია: Gernhuber Erfüllung § 3 I 4, nach Krüger, MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 2.

6 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის N ას-444-419-2011 განჩინება.

7 შდრ. BGHZ 55, 340, 341 f. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 2.

8 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის N 23/2750-11 განჩინება.

9 ლილუაშვილი/ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, მუხ. 181, გვ. 306-307.

10 იქვე, გვ. 307.

11 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 5.

რემოება, საიდანაც ვალდებულების შესრულების დრო ირკვევა. სახელშეკრულებო იქნება ვადა, თუ კანონისმიერი, იგი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. სახელშეკრულებო ვადის არარსებობა ან არასაკმარისი სიზუსტე ვალდებულების შესრულებას ართულებს.¹²

1. შესრულების კანონით განსაზღვრული დრო

ზოგიერთი ვალდებულების შესრულების დროს პირდაპირ კანონი აწესებს. ვალდებულების შესრულების დროსთან დაკავშირებულ მონესრიგებას შეიცავს, მაგ.: სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი (ქუჩაში დადებული ხელშეკრულების უარყოფის ვადა), 553-ე მუხლის პირველი ნაწილი (ქირის გადახდის ვადა), 626-ე მუხლის პირველი ნაწილი (ვალის დაბრუნების ვადა), 626-ე მუხლის მე-2 ნაწილი (სესხის ხელშეკრულებაში პროცენტის გადახდის ვადა), 770-ე მუხლი (მიზარებული ნივთის დაბრუნების ვადა) და ა.შ. როგორც წესი, კანონისმიერი ვადები უალტერნატივო არაა. ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებულ ვადებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს კანონით გათვალისწინებულ ვადებთან მიმართებით. კანონისმიერი ვადები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.¹³

2. შესრულების გარიგებით განსაზღვრული დრო

ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება გარიგებითაც განისაზღვროს. შესრულების დროის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე.¹⁴ ცალმხრივი ნების საფუძველზე შესრულების ვადის განსაზღვრის მაგალითია ჯილდოს საჯაროდ შეპირება.¹⁵ როგორც წესი, ვალდებულების შესრულების დროის თაობაზე შეთანხმება ორმხრივი ნების საფუძველზე ხდება. ასეთ შემთხვევაში შესრულების ვადის თაობაზე შეთანხმება მიიღწევა როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი ფორმით. შესრულების ვადაზე შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია ასევე დუმით, კონკლუდენტური მოქმედებით, მაგ., თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით (559 II).¹⁶

გარიგებით განსაზღვრული დრო შეიძლება უთითებდეს ვალდებულების შესრულების განსაზღვრულ თარიღზე ან დროის გარკვეულ პერიოდზე, რომლის განმავლობაში ვალდებულება უნდა შესრულდეს.¹⁷ კონკრეტული თარიღის არსებობისას, ვალდებულების „დათქმულ დროს“ შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ვალდებულება სწორედ იმ კონკრეტულ დღეს უნდა შესრულდეს, როდესაც განსაზღვრულია ვალდე-

12 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 10.

13 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 365, გვ. 287.

14 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 55.

15 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 47.

16 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 365, გვ. 287.

17 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 48.

ბულების შესრულება. იგივე წესი ვრცელდება, როდესაც ვალდებულების შესრულების დროდ მითითებულია არა კონკრეტული დღე (თარიღი), არამედ კვირა, თვე, წელი. მაგ.: შესრულებული სამუშაო შემკვეთს უნდა ჩაბარდეს 2014 წლის მაისის ბოლო კვირაში; სარემონტო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2014 წლის ივნისის თვეში; გათხრითი სამუშაოები უნდა დასრულდეს 2014 წელს. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა, რათა დადგინდეს, თუ რა დროიდან აქვს კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, რა დროიდან არის ვალდებული მოვალე, შეასრულოს ვალდებულება. კონკრეტული თარიღის არსებობისას ვალდებულება შესასრულებელია აღნიშნული თარიღის განმავლობაში (იგულისხმება 24-საათიანი პერიოდი); თვის ბოლო კვირის მითითება ნიშნავს, რომ ვალდებულება შესასრულებელია თვის ბოლო 7-დღიან პერიოდში; ვალდებულების შესრულების ვადად კონკრეტული თვის მითითება გულისხმობს იმას, რომ ვალდებულება შესასრულებელია კონკრეტული თვის პირველი დღიდან ამავე თვის უკანასკნელ დღემდე პერიოდში; იგივე უნდა ითქვას ერთწლიან პერიოდზე, რა დროსაც ვალდებულება შესასრულებელია ამ წლის პირველი დღიდან ამავე წლის ბოლო დღის ჩათვლით. ამდენად, როდესაც ვალდებულების შესრულების დროდ დროის გარკვეული მონაკვეთია მითითებული, **აღნიშნული დროის მონაკვეთის დასაწყისი კრედიტორს მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს, ხოლო მოვალე აღნიშნული პერიოდის ამონურვამდე ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად არ ითვლება.** მაგ., თუ მენარდეს ვალდებულება ივნისის თვეში უნდა შეესრულებინა, ივნისის თვის პირველი დღიდან კრედიტორს აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება, თუმცა მოვალე ვადაგადამცილებლად არ ითვლება ივნისის თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენაც სწორედ შესასრულებელი პერიოდის ამონურვიდან მომდევნო დღეს იწყება (130). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია **ვალდებულების შესრულების დროზე და არა ვალდებულების შესრულების ვადაზე (პერიოდზე).** რაც შეეხება საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ დღის რომელ მონაკვეთში უნდა შესრულდეს ვალდებულება, ამ საკითხის საკანონმდებლო მონესრიგებას სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს, შესაბამისად, დღის ის მონაკვეთი, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს, კეთილსინდისიერების სტანდარტის შესაბამისად უნდა განისაზღვროს (8 III).

11 ვალდებულების შესრულების ზემოაღნიშნული დროისაგან განსხვავდება ვალდებულების **შესრულების ვადა (პერიოდი).** მაგ., თუ სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს, ეს დრო არ წარმოუშობს კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას 2-წლიანი ვადის ამონურვამდე (თუ, რა თქმა უნდა, ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი არ არის და კრედიტორს ამ ვადაში პერიოდული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს). მე-2 წლის ბოლო კალენდარულ დღემდე არც მოვალე ითვლება ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად.

12 ამდენად, ვალდებულების **შესრულების დრო** განსხვავდება ვალდებულების **შესრულების ვადისაგან**, რომელიც, თავის მხრივ, დროის იმ პე-

რიოდს მოიცავს, რა პერიოდიც ვალდებულების შესრულებას სჭირდება, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების დრო ვალდებულების შესრულების ვადის ამონურვას უკავშირდება¹⁸ (შდრ. მე-9 და მე-10 ველები).

სამართლებრივი შედეგების მხრივ ვალდებულების შესრულების დრო და ვადა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, კერძოდ, **ვალდებულების შესრულების დრო** კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას წარმოუშობს, ხოლო მოვალეს – ამ ვალდებულების შესრულების მოვალეობას (365). დათქმულ დროს ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებას იწვევს (400), ხოლო შესრულების მიუღებლობა – კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადაგადაცილებას (390). გარდა ამისა, მართალია, ვალდებულების შესრულების დათქმულ დრომდე კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს, თუმცა მოვალე უფლებამოსილია, ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუ, რა თქმა უნდა, კრედიტორს ამ შესრულების მიღებაზე უარის თქმის პატივსაძებნი ინტერესი არ აქვს (364). **ვალდებულების შესრულების ვადა** კი დროის იმ პერიოდს მოიცავს, რა ვადაშიც ვალდებულების შესრულება შეიძლება გაგრძელდეს, შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, ამ ვადაში შეასრულოს ვალდებულება, ხოლო კრედიტორი უფლებამოსილი არ არის, აღნიშნული ვადის ამონურვამდე მოითხოვოს ვალდებულების შესრულება (365). შესაბამისად, ამ ვადაში მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადამცილებლად არ მიიჩნევა.

13

შესრულების ვადად მიიჩნევა ასევე **კრედიტორის მიერ მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა**. მოვალის მიერ ვალდებულების დათქმულ დროს შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა კრედიტორის უფლებაა, ხოლო კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში – ვალდებულება (405 I, 798, 873). **დამატებითი ვადის მიცემა, თავისი არსით, შესრულების ვადის გაგრძელებაა**. იგი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, თუმცა დამატებითი ვადის განმავლობაში ვალდებულების შესრულება ვალდებულების „დათქმულ დროს“ შესრულებად არ მიიჩნევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს შესრულების ვადაგადაცილებით დამატებითი მოთხოვნები წარმოუშობა (400-404).

14

დამატებითი ვადის მიცემისაგან განსხვავდება მოვალისათვის ვალდებულების **შესრულების გადავადება**. გადავადება არის სახელშეკრულებო ვადამოსულობის გადანევა, მოთხოვნის შესრულების უფლების შენარჩუნებით.¹⁹ ვალდებულების შესრულების გადავადება, როგორც წესი, ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, სასამართლო გადაწყვეტილებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი) და ა.შ. გადავადება დამატებითი ვადის მიცემისაგან იმით განსხვავდება, რომ გადავადების **დროს ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ არ მიიჩნევა**, ვინაიდან

15

18 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 8.

19 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 147.

ითვლება, რომ ვალდებულება ვადამოსული არ არის. იგი ვადამოსულად გადავადებული ვადის ამონურვისთანავე ითვლება.²⁰ ვალდებულების შესრულების გადავადების ფაქტი მოვალემ უნდა ამტკიცოს.²¹ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესრულების გადავადება მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგია, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება შესრულების გადავადების თაობაზე გარემოებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღება, რა დროსაც სახეზე უნდა იყოს შემდეგი ნინაპირობები: **მოვალის მიძიმე ქონებრივი მდგომარეობა**, დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით, გადავადების მიზნისა და დანიშნულების დასაბუთება, ანუ **გადავადების უპირობო უპირატესობა**, როგორც მოვალის ქონებრივი ინტერესის, ასევე მესამე პირთა (სხვა მოვალეთა) ინტერესის გათვალისწინებით²² და, რაც მთავარია, **გადავადებით დაუშვებლად არ უნდა ილახებოდეს კრედიტორის ინტერესი**, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს გადავადებული დროისათვისაც უნდა ჰქონდეს გადავადებით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა, ხოლო კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს გადავადების სანინააღმდეგო დაცვის ღირსი რაიმე სპეციალური ინტერესი.²³

16 დამატებითი ვადის მიცემისა და ვალდებულების შესრულების გადავადებისაგან განსხვავდება მხარეთა შეთანხმება, რომელიც ვალდებულების შესრულების მოთხოვნას გამორიცხავს ან გარკვეული ვადით გამორიცხავს (*Pactum de non petendo*). ამ შეთანხმების არსებობის პირობებში ვალდებულება ვადამოსულად ითვლება, თუმცა მხარეთა შეთანხმებით მისი შესრულების მოთხოვნა დროებით გადადებული ან საერთოდ გამორიცხულია. ამგვარი შეთანხმების არსებობა მოვალემ უნდა ამტკიცოს.²⁴ ასეთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შესრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდება. ვალდებულების შესრულების თაობაზე სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მითითებული შეთანხმების (*Pactum de non petendo*) წარდგენის ვალდებულება მოპასუხეს აქვს.²⁵

17 მხარეთა შეთანხმება ვალდებულების შესრულების დროის თაობაზე უნდა იყოს **მკაფიო და არაორაზროვანი**. ვალდებულების შესრულების დროის დადგენა ისეთი ზოგადი ფორმულირებით, როგორებიცაა: „მალე“, „უმოკლეს ვადებში“, „შეძლებისდაგვარად სწრაფად“ და ა.შ., საჭიროებს განმარტებას, რა დროსაც ვალდებულების შესრულების დრო უნდა განისაზღვროს სამართლიანად და კეთილსინდისიერად, რალა თქმა უნდა, შესასრულებელი ვალდებულების შინაარსისა და თავისებურების გათვალისწინებით.²⁶ ნორმატიული მონესრიგებისას გამოთქმებზე: „გონივრული“ და „უმოკლესი“ – აპელირება მხოლოდ აუცილებლობისას უნდა ხდებოდეს. მიზანშეუწონელია მათი გამოყენება ხელშეკრულებებშიც.

20 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 21.

21 Unberath, Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 185, Rn. 1.

22 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 მარტის N ას-1162-1091-2012 განჩინება.

23 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები სამშენებლო დავებთან დაკავშირებით, 2013, გვ. 10 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/shexvedrisshejameba.pdf>).

24 Unberath, Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 185, Rn. 1.

25 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 18.

26 Unberath, in Beck OK BGB, 29. Aufl., 2011, § 271, Rn. 5.

ნებისმიერი სახის ვადის გონივრულობა და რეალურობა ვალდებულების სათანადო ვადაში შესრულების საუკეთესო გარანტიაა.²⁷

3. შესრულების დროის განსაზღვრა გარიგების მხარეების მიერ

შესრულების ვადა შეიძლება დადგინდეს როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ვადა განისაზღვრება გარიგების ერთ-ერთი მხარის – მოვალის ან კრედიტორის მიერ. ამ შემთხვევაში კანონის ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა ის არის, რომ ვადა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. ასე მაგ., თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. დავის შემთხვევაში საკითხს სასამართლო წყვეტს (325).²⁸

18

ა. კრედიტორის მიერ

ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა კრედიტორის უფლებაა, როდესაც ხელშეკრულებით ან კანონის საფუძველზე ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრაზე უფლებამოსილი სუბიექტი კრედიტორია. კრედიტორის მითითებული უფლება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე. იგივე წესი ვრცელდება ტურისტული მომსახურების შემთხვევაში, კერძოდ, მოგზაურობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადას მოგზაურობის მომწყობს ტურისტი განუსაზღვრავს (659 III).²⁹ **ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა ყოველთვის კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.** მაგ., შემნახველს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმბარებელს შესანახად მიბარებული ნივთის უკან წაღება, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ იყო. შემნახველს შეუძლია, ეს უფლება განახორციელოს მხოლოდ ისე, რომ მიმბარებელს სხვა გზით შეეძლოს ნივთის შენახვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი მიბარებული ნივთის უკან დაბრუნებისათვის (771).

19

თუ ვალდებულების შესრულებისათვის დრო განსაზღვრული არ არის, ასეთ შემთხვევაში ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შესრულდეს. მოთხოვნისთანავე შესრულება ვალდებულების „შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში“ შესრულებას გულისხმობს. **ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დრო კრედიტორის მოთხოვნას უკავშირდება.** შესაძლებელია, რომ კრედიტორმა ვალდებულების შესრულება გარკვეულ დროს დაუკავშიროს, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების

20

27 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 12.

28 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნივნი III, 2001, მუხ. 365, გვ. 288.

29 იქვე.

შესრულების დრო დაკავშირებულია არა ვალდებულების შესრულების მოთხოვნასთან, არამედ შესრულების მოთხოვნით განსაზღვრულ შესრულების დროსთან.

ბ. მოვალის მიერ

- 21 ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა მოვალესაც შეუძლია. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრასთან მიმართებით კეთილსინდისიერების იგივე სტანდარტი მოქმედებს, რაც კრედიტორის მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის მიმართ. მოვალე ვალდებულების შესრულების დროს მაშინ განსაზღვრავს, როდესაც კანონით ან ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ არის და მისი განსაზღვრის უფლება კრედიტორს არ აქვს მინიჭებული. მოვალისათვის ამ უფლების მინიჭება, როგორც წესი, მხარეთა შეთანხმებით ხდება.

გ. მესამე პირის მიერ

- 22 ვალდებულების შესრულების პირობები შეიძლება განისაზღვროს მესამე პირის მიერ. ვალდებულების შესრულების პირობებში იგულისხმება ასევე შესრულების დროის განსაზღვრა. მესამე პირის მიერ შესრულების დროის განსაზღვრის მიმართ იგივე წესები და პირობები ვრცელდება, რაც კრედიტორის ან მოვალის მიერ, ზოგადად, ვალდებულების შესრულების პირობების განსაზღვრის მიმართ, კერძოდ, ხელშეკრულების პირობები უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე (325).³⁰ როგორც წესი, მესამე პირი ვალდებულების შესრულების პირობებს მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ გარიგებებში განსაზღვრავს, თუმცა ეს წესი ვრცელდება არა ისეთ მესამე პირებზე, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის პასიური მომლოდინენი არიან, არამედ ისეთ მესამე პირებზე, რომლებსაც მოთხოვნის უფლება აქვთ (349).³¹ მაგრამ ასეთ შემთხვევაში მესამე პირი კრედიტორის ადგილს იკავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიერ შესრულების დროის განსაზღვრა კრედიტორის მიერ განხორციელებული უფლებაა და არა მესამე პირის მიერ.

4. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა გარემოებების მიხედვით

- 23 ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება პირდაპირ იყოს განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან იგი „სხვა გარემოებებიდან“ იკვეთებოდეს. „სხვა გარემოებების“ მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების დროის განსაზღვრა დიდწილად შესასრულებელი ვალდებულების ბუნებაზეა დამოკიდებული და, როგორც წესი, მისი დადგენა გარემოებათა ერთობლივი ანალიზისა და განმარტების გზით ხდება.³² ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე: ტანსაცმლის მაღაზიაში შესულმა მყიდვე-

³⁰ Fetzer, MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 371, Rn. 12.

³¹ ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 349, გვ. 215.

³² Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 30.

ლმა, რომელსაც კაბის შექმნა აქვს განზრახული, თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს, ისევე, როგორც თეატრის სალაროში სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის შექმნა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ბილეთის საფასური დაუყოვნებლივ იქნება გადახდილი (477). შესასრულებელი ვალდებულების თავისებურება განსაზღვრავს თხოვების ხელშეკრულებაში გამნათხოვრებლის უფლებას, დაიბრუნოს ნივთი გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (621 II). „სხვა გარემოება“ შეიძლება წარმოადგენდეს სამომავლო ან უცნობ მოვლენას, რომლის დადგომისთანავე ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევა (368). „სხვა გარემოებაა“ ასევე წინმსწრებად შესასრულებელი ვალდებულება, რომლის შესრულებაზეა დამოკიდებული საპასუხო ვალდებულების შესრულება (369). „სხვა გარემოებად“ ითვლება შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობაც, მაგ., ნარდობის ხელშეკრულებაში შემკვეთი მოვალეა, მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ (648); „სხვა გარემოებაა“ ასევე შესრულების ე.წ. „ნავარაუდები ვადა“. „ნავარაუდები ვადად“ შეიძლება მივიჩნიოთ ის ვადა, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების ნორმალური შესრულებისათვის.³³ „ნავარაუდები ვადა“ ასახავს იმ გონივრულ მოლოდინს, რაც კრედიტორს შესრულების ვადასთან მიმართებით აქვს. ამდენად, „სხვა გარემოება“ ვალდებულების შესრულების დროის ინდიკატორად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ კანონის, შესასრულებელი ვალდებულებისა თუ სხვა რაიმე გზით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ როდის უნდა შესრულდეს ვალდებულება. თუ „სხვა გარემოებიდან“ ვალდებულების შესრულების დრო ცალსახად არ დგინდება, ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულების შესრულების დროის გადამცილებლად არ მიიჩნევა. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ითვლება, რომ ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ არის და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს (365).

IV. ვალდებულების შესრულება „დაუყოვნებლივ“

თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. 24

ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების შესაძლებლობა დამოკიდებულია ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობაზე, რომელთა მიხედვითაც მოვალე ვალდებულია, ვალდებულება შეასრულოს იმდენად ჩქარა, რამდენადაც შესასრულებელი ვალდებულება ამის შესაძლებლობას იძლევა. მხედველობაში მიიღება ის დრო, რაც აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ობიექტურად სჭირდება.³⁴ შესაბამისად, დაუყოვნებელი შესრულება ყოველთვის დროის მცირე მონაკვეთში ვერ განხორციელდე-

33 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 11.

34 Gernhuber Erfüllung § 3 III 3. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 30.

ბა.³⁵ სუბიექტური გარემოებები მხედველობაში არ მიიღება.³⁶ „დაუყოვნებლივ“, როგორც წესი, ნიშნავს „ერთ დღეს“, ხოლო შესასრულებელი ვალდებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება ნიშნავდეს დღის რომელიმე განსაზღვრულ საათსაც.³⁷ თუ დაუყოვნებელი შესრულება განგრძობად ვალდებულებას ეხება, რომელიც ერთჯერადი ქმედებით ვერ შესრულდება, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების „დაუყოვნებლივ შესრულება“ განგრძობადი ვალდებულების შესრულების დაწყებას ეხება. თუ განგრძობადი ვალდებულების შესრულება მოვალემ „დაუყოვნებლივ“ არ დაიწყო, იგი მთლიანი (განგრძობადი) ვალდებულების ვადადამრღვევად ითვლება.³⁸ ვალდებულების დაუყოვნებელი შესრულებისათვის მოქმედებს უფლების კეთილსინდისიერად სარგებლობის სტანდარტი. მაგ., დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია ისეთ დროს, როდესაც „დაუყოვნებელი“ შესრულება ობიექტურად შეუძლებელია, მაგ.: ღამის საათებში, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, არასამუშაო საათებში, უქმე დღეს და ა.შ.³⁹

V. ვალდებულების დათქმულ დროს შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

26 არსებობს შესრულების დროზე ფიქსირებული ვადები (ე.წ. „ფიქსირებულთარიღიანი გარიგებები“), რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, შესაბამისად, შესრულების დროზე ფიქსირებული ვადების მიმართ კრედიტორს „მაღალი ინტერესი“ აქვს. შესრულების დროზე ფიქსირებული ვადა შეიძლება იყოს **აბსოლუტური (ე.წ. „აბსოლუტურად მყარად ფიქსირებულთარიღიანი გარიგება“)** და **რელატიური (ფარდობითი) (ე.წ. „ფარდობითად მყარად ფიქსირებულთარიღიანი გარიგება“)**.⁴⁰ შესრულების დროზე აბსოლუტურად ფიქსირებულია ვადა, როდესაც ვალდებულების შესრულება მხოლოდ დათქმულ ვადაშია შესაძლებელი, მაგ., თუ ტაქსი დაიგვიანებს და მგზავრი ველარ მიუსწრებს თვითმფრინავს, მოგვიანებით ტაქსის მიერ იმავე ვალდებულების შესრულებას აზრი ეკარგება.⁴¹ ასეთ შემთხვევაში დგება შესრულების შეუძლებლობასა და, შესაბამისად, შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. შესრულების დროზე რელატიურად ფიქსირებულია ვადა, როდესაც ვალდებულების შესრულება შესრულებისათვის დათქმული დროის შემდეგაც არის შესაძლებელი, თუ კრედიტორი მოვალეს ამის შესაძლებლობას მისცემს.

35 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 11.

36 შდრ. RGZ 124, 117 nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 30.

37 Sörgel/Wolf Rn. 3. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 32.

38 Gerhner Erfüllung § 3 II 4; Sörgel/Wolf Rn. 3, nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 32.

39 Palandt/Grüneberg Rn. 3. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 34.

40 კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 147.

41 იქვე.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესრულების დრო აბსოლუტურად ფიქსირებულია თუ რელატიურად ფიქსირებული, განმარტების საკითხია.⁴²

თუ ვალდებულების შესრულების დრო დადგენილი იყო და კრედიტორს ამ დროის მიმართ შესრულების „მაღალი ინტერესი“ ჰქონდა, დათქმულ დროს ვალდებულების შეუსრულებლობა, ყოველგვარი დამატებითი ვადის დაწესების გარეშე, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია (352 I). დამატებითი ვადის დაწესების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, როგორც წესი, ამ ვადის გასვლის გამო, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობით არის განპირობებული (**აბსოლუტურად ფიქსირებული შესრულების დრო**) (405 I). თუ შესრულების დროის მიმართ კრედიტორის „მაღალი ინტერესი“ არ დასტურდება, ან „მაღალი ინტერესი“ დასტურდება, თუმცა შესრულების დროის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია (**რელატიურად ფიქსირებული შესრულების დრო**), ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულებისათვის მოვალეს დამატებითი ვადა უნდა განესაზღვროს. თუ დამატებით ვადაში ვალდებულება შესრულდა, კრედიტორს აქვს შესრულების მიღების ვალდებულება, თუმცა ამავდროულად, აქვს ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (394 I). თუ დათქმულ დროს ვალდებულების მხოლოდ ნაწილი შესრულდა, ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს ნაწილობრივი შესრულების მიღებისა და საპასუხო შესრულების განხორციელების ვალდებულება არ აქვს (380). ნაწილობრივი შესრულების შემდეგ მოვალეს დამატებითი ვადა ვალდებულების სრულად შესასრულებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ კრედიტორს დარჩენილი ნაწილის მიმართ შესრულების ინტერესი დაკარგული არ აქვს.⁴³ თუ ვალდებულების შესრულებიდან დათქმული დროის შემდეგ „გონივრული ვადის“ ფარგლებში ვალდებულება კვლავ არ სრულდება, ეს „გონივრული ვადა“ იმთავითვე დამატებით ვადად განიხილება და დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულება აღარ არსებობს. მაგ., კერძო დაკვეთის საფუძველზე ნიადაგის ექსპერტიზა ექსპერტმა 2013 წლის პირველ აპრილს დაიწყო. მას შეკვეთა 2013 წლის პირველ ივნისს უნდა დაესრულებინა. შემკვეთმა დასკვნის გადაცემა 2013 წლის პირველ სექტემბერს მოითხოვა, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ მზად იყო დასკვნის მხოლოდ ერთი ნაწილი. ასეთ შემთხვევაში შემკვეთს ექსპერტიზის ჩასატარებლად დამატებითი ვადის მიცემის ვალდებულება აღარ გააჩნია, ვინაიდან 2013 წლის პირველი ივნისიდან 2013 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდი იმ „გონივრულ ვადად“ განიხილება, რომელსაც დამკვეთი ექსპერტს განუხაზღვრავდა, ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება რომ მოეთხოვა. ასეთ შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან. მას ნაწილობრივ შესრულებული ექსპერტიზის ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოემოება, თუ შემკვეთი ნაწილობრივ შესრულებას მიიღებს (352 III).⁴⁴

27

42 იქვე.

43 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის N 23/814-13 განჩინება.

44 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 352, გვ. 247.

VI. ხანდაზმულობა

- 28 ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (130 I). ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს სხვადასხვა დროს წარმოეშობა. **თუ ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულია დრო, კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ვალდებულების შესრულების დროის ამონურვის მომენტიდან იწყება**, რადგან ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილი სწორედ უფლების დარღვევის მომენტია. მაგ., თუ მსესხებელს სესხი 2010 წლის პირველი იანვარს უნდა დაებრუნებინა, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა 2010 წლის 2 იანვრიდან იწყება, ანუ იმ დროიდან, როდესაც დაირღვა გამსესხებლის უფლება შესრულების „დათქმულ დროს“ მიღების თაობაზე (130 II).
- 29 თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, ასეთ შემთხვევაში კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. რადგან მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უფლების დარღვევას უკავშირდება, ამიტომ კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იმ მომენტის ამონურვიდან იწყება, რა დროშიც კრედიტორმა ვალდებულების შესრულება მოითხოვა, ხოლო თუ კრედიტორმა ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება მოითხოვა – იმ გონივრული ვადის ამონურვიდან, რაც, ობიექტურად, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას სჭირდება.
- 30 თუ ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, თუმცა იგი სხვა გარემოებებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, აღნიშნული გარემოებების შესაბამისად, **„ნავარაუდები შესრულების დროის“ ამონურვის მომენტიდან იწყება**. ხელშეკრულებით „ნავარაუდები შესრულების დრო“ ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად უნდა განიმარტოს.⁴⁵
- 31 ზოგადი წესის შესაბამისად, კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა **მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დროის გადაცილების მომენტიდან ითვლება**, შესაბამისად, თუ ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ არის და არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, **მოვალე ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა და არც ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება**,⁴⁶ თუმცა არსებობს სასამართლოს განმარტება,⁴⁷ რომლის შესაბამისადაც, „ვალდებულების შესრულების დროის არარსებობის პირობებში კრედიტორის უფლება, „ნებისმიერ დროს“ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, უვადო არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ 365-ე მუხლის დათქმა კრედიტორის მიერ შესრულების ნებისმიერ დროს მოთხოვნის უფლებაზე არ შეიძლება დროში განუსაზღვრელად იქნეს მიჩნეული. ნორმის ეს და-

45 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის N ას-758-709-2010 განჩინება.

46 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის N ას-444-419-2011 განჩინება.

47 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივლისის N ას-48-401-07 განჩინება.

ნაწესი იმპერატიული არ არის და იგი სრულად არ ასახავს რეალურ ვითარებას (ნორმის ამ დანაწესის პირდაპირი და სიტყვასიტყვითი გაგების შემთხვევაში კრედიტორს ათეული წლების შემდეგაც უნდა მიეცეს შესრულების მოთხოვნის უფლება). ამ დასაბუთების გათვალისწინებით, 365-ე მუხლის შინაარსი 129-ე მუხლის დანაწესებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული⁴⁸. სასამართლოს ამ განმარტებით, ნებისმიერ დროს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, შესასრულებელი ვალდებულების არსიდან გამომდინარე, ყოველთვის „შესრულების ნავარაუდევ დროს“ უკავშირდება და არა, განუსაზღვრელი გაგებით, „ნებისმიერ დროს“, მაგ., თუ მხარეებმა ორმხრივი ხელშეკრულებით განსაზღვრეს სანვავის მიწოდების ვადა, ხოლო მიწოდებული სანვავის ანაზღაურების ვადაზე არ შეთანხმებულან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სანვავის მიწოდების უფლება, ათეული წლების გასვლის შემდეგ მოითხოვოს სანვავის ანაზღაურება, ხანდაზმულად არ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ თანხის ანაზღაურების ვადაზე მხარეები არ შეთანხმებულან, სანვავის საფასური სანვავის მიღებიდან გონივრულ ვადაში უნდა ანაზღაურდეს. „ვადის გონივრულობა“ შეფასებითი კატეგორიაა და ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და არ არის გამორიცხული, რომ ასეთად ზოგჯერ დაუყოვნებელი შესრულებაც იქნეს მიჩნეული, ანუ ვადის გონივრულობა თანხმობაში უნდა იყოს შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესთან და მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს მოვალეს⁴⁸. ამდენად, კრედიტორის უფლება, „ნებისმიერ დროს“ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ექვემდებარება ხანდაზმულობას და მისი ათვლა იწყება იმ „გონივრული მოლოდინიდან“, რომელიც კრედიტორს შესრულების დროსთან დაკავშირებით აქვს. „გონივრული მოლოდინის“ შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესასრულებელი ვალდებულების თავისებურება, დრო, რომელიც ამ ვალდებულების შესრულებას სჭირდება, კომერციულ ბრუნვაში მიღებული ტრადიციები, შესრულების დროსთან დაკავშირებული კრედიტორის ინტერესი და ა.შ. თუ ვალდებულების შესრულების „გონივრული მოლოდინი“ არ დგინდება, ანუ გარემოებათა ერთობლიობის შედეგად არ ირკვევა ვალდებულების შესრულების „ნავარაუდევი“ დროის არსებობის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულება ნებისმიერ დროს მოითხოვოს.

იგივე წესი მოქმედებს შერეული ხელშეკრულებების არსებობის დროსაც, როდესაც ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობა მოიცავს რამდენიმე ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დრო დადგენილ უნდა იქნეს თითოეული შესასრულებელი ვალდებულებისათვის ცალ-ცალკე, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, მაგ., თუ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მოვალე ვალდებულია, კრედიტორს, ერთი მხრივ, მიანოდოს და საკუთრებაში გადასცეს მონყობილობა-დანადგარები, ხოლო მეორე მხრივ, მოახდინოს ამ მონყობილობა-დანადგარების დამონტაჟება-ინსტალაცია, თითოეული ვალდებულება ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილ ვადაში უნდა შესრულდეს, ხოლო თუ ერთ-ერთი მათგანისათვის ვალდებულების შეს-

32

48 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივლისის N ას-48-401-07 განჩინება.

რულების ვადა დადგენილი არ არის (მაგ., მოწყობილობა-დანადგარების დამონტაჟება, ინსტალაცია), მეორე ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა (მოწყობილობა-დანადგარების მიწოდება, საკუთრებაში გადაცემა) არ იწვევს ამ ვალდებულების ვადადარღვეულად მიჩნევას,⁴⁹ თუმცა ასეთ შემთხვევაში შერეული ხელშეკრულების განმარტების გზით (340) უნდა დადგინდეს, შერეულ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი შესასრულებელი ვალდებულებისათვის დადგენილი დრო ხომ არ ვრცელდება დანარჩენი ვალდებულებების შესრულების ვადაზეც. მაგ., როდესაც ხელშეკრულებით დადგენილია მყიდველისათვის საქონლის მიწოდებისა და საკუთრებაში გადაცემის ვადა, დადგენილ უნდა იქნეს, ამავე ვადაში შესასრულებელ ვალდებულებას ხომ არ მიეკუთვნება ამ საქონლის დამონტაჟება და ინსტალაცია.⁵⁰

33 ზოგ შემთხვევაში კანონი ვალდებულების შესრულების ვადას ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტს უკავშირებს. როგორც წესი, ამ დროს კანონი **განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის ვადას** აწესებს. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება შესასრულებელია არა მოთხოვნისთანავე, არამედ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილ ვადაში, მაგ., 626-ე მუხლის მიხედვით, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. ამგვარად, თუ განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა სურს კრედიტორს, მას შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს სესხის დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია, მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი. მოთხოვნიდან 3 თვის ამონურგამდე მსესხებელი სესხის დაბრუნების ვადის გადამცილებლად არ მიიჩნევა⁵¹ და, შესაბამისად, არც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება.

34 **ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება არ იყოს განსაზღვრული ვალის არსებობის აღიარების გარიგებაშიც.** ასეთ შემთხვევაში აღიარებული ვალდებულება შესასრულებელია კრედიტორის მოთხოვნისთანავე.⁵² შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის ვადის დენა ვალის აღიარებიდან კი არ იწყება, არამედ იმ დროიდან, როდესაც კრედიტორი აღიარებული ვალდებულების შესრულებას მოითხოვს. იგივე წესი ვრცელდება ვალდებულების შესრულების დაპირების მიმართაც, რომელიც თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა ვალის არსებობის აღიარება. ასეთ შემთხვევაში მოვალეს ვალდებულების დაბრუნების მოვალეობა აღნიშნული ხელწერილის საფუძველზე კრედიტორის მოთხოვნისთანავე წარმოეშობა, თუ ვალის აღიარების ხელწერილში სესხის დაბრუნების ვადაზე საუბარი არ არის.⁵³ თუმცა განსახილველ შემთხვევებში ხანდაზ-

49 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 იანვრის N 2b/37-09 გადაწყვეტილება.

50 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივლისის N ას-1244-1503-09 განჩინება.

51 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის N ას-858-807-2010 გადაწყვეტილება.

52 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის Nას-753-704-2010 გადაწყვეტილება.

53 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს N 2ბ/2515-12 გადაწყვეტილება.

მულობის საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, აქვს თუ არა კრედიტორს აღიარებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ვალის აღიარებიდან, განუსაზღვრელი დროის განმავლობაში, მაგ., 5 ან 10 წლის გასვლის შემდეგ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს „შესრულების ნავარაუდვეი დრო“ და „გონივრული მოლოდინი“, რომელიც კრედიტორს შესრულების დროსთან დაკავშირებით აქვს (იხ. 23-ე ველი).

იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების არსებობა დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, საიდანაც არ ირკვევა ვალდებულების შესრულების დრო, ვალდებულება შესასრულებელია კრედიტორის მოთხოვნისთანავე. **კრედიტორს უფლება აქვს, სასამართლო წესით დადასტურებული ვალდებულების შესრულება მოვალეს იძულების წესით, სააღსრულებო წარმოების გზით მოსთხოვოს.** შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან მოვალე ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად არ ჩაითვლება იქამდე, სანამ არ დადასტურდება კრედიტორის მიერ სააღსრულებო წარმოების წესით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის კანონით გათვალისწინებული დრო ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა.⁵⁴ სასამართლო წესით დადასტურებულ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას კი კანონი აწესებს, კერძოდ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 10 წელია (142 I, იხ. 142-ე მუხლის კომენტ.).

35

VII. მტკიცების ტვირთი

როგორც წესი, ვალდებულების შესრულების დრო კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, ხოლო მოთხოვნის ხანდაზმულობა მოვალემ უნდა დაადასტუროს. თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და მოვალე ვალდებულების შესრულებაზე ხანდაზმულობის საფუძვლით ამბობს უარს, ასეთ შემთხვევაში მოვალემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის ათვისების მომენტს დაადასტურებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკით, **მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტის საკითხად არის მიჩნეული** და, შესაბამისად, ხანდაზმულობის საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ამ ფაქტობრივ გარემოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარდგენის ეტაპზე მიუთითებს. მოთხოვნის ხანდაზმულობაზე აპელირება სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მხედველობაში არ მიიღება.⁵⁵

36

54 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის N 28/185-11 განჩინება.

55 იხ. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო საქმეების პრობლემურ საკითხებზე, გვ. 63 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoqrek.pdf>).

მუხლი 366. ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის დაუშვებლობა

თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

I. ნორმის მიზანი	404
II. მოვალის დაცვის გარანტიები	404
III. კრედიტორის დაცვის გარანტიები	405
IV. სამართლებრივი შედეგები.....	405
V. მტკიცების ტვირთი	407

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმა **სუბსიდიური** ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც კანონიდან, ხელშეკრულებიდან, სასამართლო გადაწყვეტილებიდან ან ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრის სხვა წყაროებიდან ვალდებულების შესრულების დროსთან დაკავშირებული სხვა წესი არ დგინდება.¹ ნორმა ანესრიგებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის დრო განსაზღვრულია. ვალდებულების შესრულების განსაზღვრული დროის არსებობის პირობებში კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ აღნიშნული დროის დადგომიდან წარმოეშობა. გამონაკლისის სახით კრედიტორს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა (367).

II. მოვალის დაცვის გარანტიები

- 2 შესრულების დრო იურიდიულ ლიტერატურაში მოვალის სასარგებლოდ განიმარტება.² ვალდებულების შესრულების დრო, **საექვოობის შემთხვევაში**, მოვალის სასარგებლოდ განისაზღვრება იმგვარად, რომ მოვალეს ვალდებულების ვადამდე შესრულების უფლება აქვს.³ საექვოობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც განსაზღვრული ვადის დაცვა, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვის ქვეშ დგება. ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა მოვალის ინტერესების დაცვას ენიჭება.⁴ ვალდებულების შესრულების დროს მბოჭავი ხასიათი მხოლოდ კრედიტორისათვის აქვს, რადგან კრედიტორს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის უფლება არ აქვს,⁵ მაშინ როდესაც მოვალე,

1 *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 271, Rn. 35.

2 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 57.

3 *Unberath*, in *Beck OK BGB*, 28. Aufl., 2013, § 271, Rn. 23.

4 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 48-49.

5 *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 271, Rn. 35.

უფლებამოსილია, ვალდებულება ვადის დადგომამდე შეასრულოს.⁶ მოვალისათვის უფლების მინიჭება, ვადის დადგომამდე შეასრულოს ვალდებულება, ნიშნავს **კრედიტორისათვის ვალდებულების დანესებას, მიიღოს შეთავაზებული შესრულება.**⁷ შესაბამისად, კრედიტორი, რომელიც არ მიიღებს ასეთ შესრულებას, ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390).⁸

III. კრედიტორის დაცვის გარანტიები

მოვალის მითითებული უფლება აბსოლუტური არ არის. ამ უფლებიდან გამონაკლისს 364-ე მუხლი ანესებს, რომლის შესაბამისადაც, მოვალეს უფლება აქვს, ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივისაღები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. ამ ნორმიდან თვალნათლივ ჩანს, რომ, მართალია, მოვალეს უფლება აქვს, ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, მაგრამ, თავის მხრივ, კრედიტორიც უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულების მიღებაზე. კრედიტორი ყოველთვის უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულების მიღებაზე, თუ ვალდებულების „დათქმულ დროზე“ ადრე შესრულება **მის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს ლახავს.**⁹ ამდენად, თუკი კრედიტორს მოვალისათვის უარის სათქმელად აქვს პატივისაღები ინტერესი, მაშინ მოვალეს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების უფლება არ აქვს. თუკი სახეზეა უარის თქმის დასაბუთებული საფუძველი, მაგრამ მოვალე მაინც ასრულებს ვალდებულებას, **აღნიშნული შესრულება ვალდებულების შეუსრულებლობის ტოლფასი იქნება,** გარდა იმ შემთხვევისა, თუ კრედიტორი ასეთ შესრულებას მოიწონებს.¹⁰ მოიწონებად ამ შესრულების მიღება ჩაითვლება.

IV. სამართლებრივი შედეგები

ვალდებულება „დათქმულ დროს“ უნდა შესრულდეს (361 I). ვალდებულების „დათქმულ დროს“ შესრულების პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრულია. თუ ვალდებულების შესრულების დრო კანონიდან, ხელშეკრულებიდან, სასამართლო გადაწყვეტილებიდან ან სხვა გარემოებებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობა, ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე, ვალდებულების დარღვევად ითვლება.¹¹ **თუ ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არ არის,** ვალდებულების შესრულების ვადა დარღვეულად იმ დროის ამონურვისთანავე მიიჩნევა, რა ვადაც კრედიტორმა მოვალეს ვალდებუ-

6 ზოდერ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 366, გვ. 292.

7 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 57.

8 *Unberath*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 271, Rn. 1.

9 *Krüger*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 271, Rn. 35.

10 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 58.

11 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 13.

ლების შესასრულებლად მისცა, ვალდებულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში კი, იმ გონივრული ვადის ამონჭურვისთანავე, რა ვადაც ამ ვალდებულების შესრულებას ობიექტურად სჭირდება.

- 5 ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების შემთხვევაში, მოვალე ვადადამრღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ **კრედიტორს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მიღებაზე უარის თქმის პატივსაღები ინტერესი აქვს (364)**. ასეთი ინტერესის არარსებობის პირობებში ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება ვალდებულების დარღვევად არ ითვლება (366), ხოლო კრედიტორი, რომელიც ვადაზე ადრე შესრულებას არ მიიღებს, ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390).¹² თუ ვალდებულების შესასრულებლად კრედიტორის მხრიდან საჭიროა ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება ასევე, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.¹³
- 6 მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც **მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული (400)**. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ბრალეული ვადაგადაცილების პერიოდში მოვალე პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. უფრო მეტიც, იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროულად შესრულების დროსაც (402).
- 7 თუ ვალდებულების ვადაზე შესრულების პირობებში კრედიტორი შესრულებას მიიღებს, მოვალის მხრიდან ვადამდელი შესრულების უკან გამოთხოვის უფლებას სამოქალაქო კოდექსი არ აღიარებს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც, მოვალის უფლება, უკან მოითხოვოს უკვე განხორციელებული შესრულება, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა, რომ ვალდებულების შესრულება ხორციელდებოდა ვადამდე და ვადა ჯერ არ იყო დამდგარი.¹⁴ ასეთ შემთხვევაში უკან გამოთხოვის მართლზომიერებაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესრულების მიმდების (კრედიტორის) ინტერესი, რომელსაც შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა (976 II „გ“). ფაქტების ამგვარი კონსტელაციის პირობებში დაცული უნდა იქნეს მიმდების (კრედიტორის) ინტერესი და მოვალეს, კრედიტორთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო, ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნა არ უნდა დაუკმაყოფილდეს.

12 *Unberath*, Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 271, Rn. 1.

13 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 132.

14 იქვე, გვ. 103.

V. მტკიცების ტვირთი

მოვალის უფლებამოსილება, ვადაზე ადრე შეასრულოს ვალდებულება, შებოჭილია კრედიტორის პატივსაღები ინტერესით, არ მიიღოს ეს შესრულება. შესაბამისად, კრედიტორის მითითებული ინტერესი მტკიცებას საჭიროებს. მტკიცების ტვირთი კი კრედიტორს ეკისრება.¹⁵ თუ კრედიტორი ვერ დაადასტურებს ისეთი გარემოების არსებობას, რა დროსაც ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებით მისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები ილახება ან შეიძლება შეილახოს, მას ამ შესრულების მიღება დაევალება, ხოლო დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც იგი ვადაზე ადრე შეთავაზებულ შესრულებას არ იღებდა, ვადაგადაცილებად მიიჩნევა. 8

15 *Unberath*, Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 271, Rn. 25.

მუხლი 367. ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება

თუ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა, კრედიტორს შეუძლია, დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა.

I. ნორმის მიზანი	408
II. ნორმის გამოყენების წინაპირობები	408
1. მოვალის გადახდისუუნარობა	409
2. შეპირებული უზრუნველყოფის შემცირება ან მისი წარმოუდგენლობა	410
III. ვალდებულების „დაუყოვნებლივ“ შესრულება	411
IV. მტკიცების ტვირთი	412

I. ნორმის მიზანი

1 ვალდებულება „დათქმულ დროს“ უნდა შესრულდეს. როგორც წესი, იგულისხმება, რომ ვალდებულების შესრულების ვადა მოვალის სასარგებლოდ არის დანესებული.¹ ეს პრინციპი ასახულია 366-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე. კრედიტორს მხოლოდ პატივსაღები ინტერესის არსებობისას აქვს უფლება, უარი უთხრას მოვალეს ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებაზე (366), ხოლო ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2 ნორმის მიზანი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა,² შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა აშკარა ხდება ვალდებულების მომავალში შესრულების შეუძლებლობა, ან, თუნდაც, გაძნელება, კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება მოითხოვოს. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ვადის დაცვა ვალდებულების შესრულებას საფრთხეს შეუქმნის, ვადამდე შესრულების მოთხოვნა მართლზომიერი იქნება.³

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

3 367-ე მუხლში ვადა, მართალია, მოვალის სასარგებლოდ არის დადგენილი, თუმცა ვადა შესრულების დაბრკოლებად არ უნდა იქცეს,⁴ რადგან ვალდებულების შესრულების ვადის პირველადი დანიშნულება ვალდებუ-

1 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 60.

2 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 367, გვ. 294.

3 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 58.

4 იქვე.

ლების დროული შესრულების უზრუნველყოფა,⁵ ამიტომ, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება მოითხოვოს.⁶

ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნა დასაშვებია, როდესაც მოვალე **გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა.** ნიშანდობლივია, რომ მითითებული წინაპირობები ალტერნატიული ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორის მიერ ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნა **ერთ-ერთის არსებობის** პირობებშიც დასაშვებია. 4

1. მოვალის გადახდისუუნარობა

ნორმით გათვალისწინებული ერთ-ერთი შესაძლებლობა, როდესაც კრედიტორი ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნას იძენს, **მოვალის გადახდისუუნარობაა.** ამ შემთხვევაში, ნორმა სიტყვა-სიტყვით არ უნდა იქნეს განმარტებული. მოვალის გადახდისუუნარობაში „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული მოვალის გადახდისუუნარობა არ იგულისხმება, ანუ იმისათვის, რომ კრედიტორმა მოვალეს, გადახდისუუნარობის საფუძველით, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება მოსთხოვოს, აუცილებელი არ არის, ამავე ნორმის კონტექსტში მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება იყოს დაწყებული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოვალესა და კრედიტორებს შორის ურთიერთობა სპეციალური კანონით⁷ წესრიგდება და არა სამოქალაქო კოდექსით. მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ გადახდისუუნარობის შესახებ კანონი ფიზიკურ პირებს არ ეხება. 5

367-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის გადახდისუუნარობაში მოვალის ქონებრივი მდგომარეობის **არსებითი გაუარესება** იგულისხმება. თუმცა მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველი არ არის. მოვალის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების **საფრთხეს უნდა ქმნიდეს. ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის რეალური საფრთხე** ის კუმულაციური კომპონენტებია, რომლებზე დაყრდნობითაც, 367-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, მოვალის გადახდისუუნარობა ფასდება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე კომპონენტი შეფასებითი კატეგორიაა და გარემოებათა ერთობლივ ანალიზს საჭიროებს, კერძოდ კი, მოვალის გადახდისუუნაროდ მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული: მოვალის საერთო ქონებრივი 6

5 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 4.

6 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 367, გვ. 294.

7 საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 28.03.2007.

მდგომარეობა, ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების შედეგად დარჩენილი მატერიალური აქტივი, შესასრულებელი ვალდებულების ღირებულება, დარჩენილ მატერიალურ აქტივსა და შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების ურთიერთმიმართება (პროპორცია), მოვალის საქმიანობა და ა. შ. ამდენად, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის ნებისმიერი საუარესო ცვლილება 367-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა არ შეიძლება გახდეს. მოვალის გადახდისუუნაროდ მიჩნევისა და ნორმის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის აუცილებელია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, რაც ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების რეალურ საფრთხეს ქმნის.

2. შეპირებული უზრუნველყოფის შემცირება ან მისი წარმოუდგენლობა

- 7 შეპირებული უზრუნველყოფის შემცირება ან მისი წარმოუდგენლობა კრედიტორის მიერ ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობაა. **შეპირებულ უზრუნველყოფაში იგულისხმება ყველა სახის უზრუნველყოფის საშუალება, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი (მოვალის გარანტია, თავდებობა, საბანკო გარანტია), ისე სანივთოსამართლებრივი (იპოთეკა, გირავნობა).** პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ისეთ ფორმას, რომელიც თავისი არსით ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიება არ არის, თუმცა ამ გარიგებით მხარეები ვალდებულებას „უფრო საიმედოდ“ უზრუნველყოფენ, მაგ., იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად დებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას გამოსყიდვის უფლებით. ასეთ შემთხვევაში მხარეები, როგორც წესი, გამოსყიდვის ვადად ვალდებულების შესრულების ვადას უთითებენ. თუ ამ ვადაში ვალდებულება არ შესრულდება, შეძენილი ქონება მყიდველს რჩება, გამყიდველს კი გამოსყიდვის უფლება აღარ გააჩნია. ამგვარი გარიგებები, სასამართლო პრაქტიკით, მოჩვენებით გარიგებებად ფასდება, რა დროსაც დაფარული გარიგების მიმართ წესები გამოიყენება.⁸
- 8 უზრუნველყოფის შეპირებაში, როგორც წესი, მოვალის მიერ ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების წარდგენის შეპირება იგულისხმება. ასეთ ვითარებაში, ხელშეკრულება, როგორც წესი, **უკვე დადებულია**, თუმცა ხელშეკრულების დადებას **უზრუნველყოფის ღონისძიების წარდგენის შეპირება უძღოდა.** ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედაც რომ შეპირებული უზრუნველყოფა იყო, რაც მოვალემ ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების თაობაზე იმ რისკით არის გამართლებული, რაც არაუზრუნველყოფილ მოთხოვნას ახლავს. იგივე წესი ვრცელდება **შეპირებული უზრუნველყოფის შემცირებაზეც**, ანუ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოვალემ უზრუნველყოფა შეპირებული ოდენობით ვერ წარმოადგინა,

⁸ შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 მაისის N 2ბ/1879-2010 გადაწყვეტილება.

ან წარმოდგენილი უზრუნველყოფა შემდგომში შეამცირა (მაგ., ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გირავნობით დატვირთული ავტომანქანის განადგურება), ან იგი ხდომილებით თავად შემცირდა.⁹ 367-ე მუხლის მიხედვით, შეპირებული უზრუნველყოფის წარმოუდგენლობა ან მისი შემცირება ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველია, შესაბამისად, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი კიდევ რომ არ არსებობდეს, შეპირებული უზრუნველყოფის შემცირება ან მისი საერთოდ წარმოუდგენლობა ვალდებულების დაუყოვნებელი შესრულების საფუძველი მაინც არის.

367-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით, კრედიტორს შეპირებული უზრუნველყოფის შემცირების, ანდა მისი საერთოდ წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შეუძლია, ისე გამოიყენოს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლება, რომ არ არის ვალდებულ, მოვალეს უზრუნველყოფის ახალი საშუალების წარმოდგენის ან შემცირებული უზრუნველყოფის შევსების საშუალება მისცეს. ნორმის გონივრული განმარტებით, დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოვალის მხრიდან კრედიტორის მოთხოვნას უზრუნველყოფის ღონისძიების წარმოდგენის ან წარმოდგენილი უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ სათანადო შედეგი არ მოჰყვება (8 III).¹⁰

III. ვალდებულების „დაუყოვნებლივ“ შესრულება

ვალდებულების დაუყოვნებელ შესრულებაში ვალდებულების იმ ვადაში შესრულება იგულისხმება, რაც ობიექტურად ამ ვალდებულების შესრულებას სჭირდება. ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების შესაძლებლობა დამოკიდებულია ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობაზე, რომელთა მიხედვითაც, მოვალე ვალდებულია, ვალდებულება იმდენად ჩქარა შეასრულოს, რამდენადაც შესასრულებელი ვალდებულება ამის შესაძლებლობას იძლევა. მხედველობაში მიიღება ის დრო, რაც ამ ვალდებულების შესრულებას ობიექტურად სჭირდება.¹¹ შესაბამისად, დაუყოვნებელი შესრულება ყოველთვის დროის მცირე მონაკვეთში ვერ განხორციელდება.¹² სუბიექტური გარემოებები მხედველობაში არ მიიღება¹³ (იხ. 365-ე მუხლის კომენტ.).

ტერმინი „დაუყოვნებლივ“ აუცილებლად გულისხმობს შედეგთან კავშირს, ვინაიდან დაყოვნების შედეგი სწორედ ისეთია, რასაც ვადის გადაცილება გულისხმობს. ამდენად, თუ პირს დაუყოვნებელი მოქმედება ევალება და მან ეს არ განახორციელა, სახეზეა ვადის გადაცილება ყვე-

9 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 367, გვ. 295.

10 იქვე, გვ. 296.

11 Gernhuber Erfüllung § 3 III 3. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 30.

12 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 11.

13 შდრ. RGZ 124, 117. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2012, § 271, Rn. 30.

ლა თანამდევნი შედეგით.¹⁴ ამდენად, მას შემდეგ, რაც მოვალეს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის თაობაზე კრედიტორის ნება მიუვა, მას აღნიშნული ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულება წარმოეშობა. დაუყოვნებელი შესრულებისათვის საჭირო „გონივრული ვადის“ ამონურვისთანავე მოვალე ვადადამრღვევად მიიჩნევა (390).

IV. მტკიცების ტვირთი

- 12 დაუყოვნებელი შესრულების თაობაზე მოვალის შეტყობინების მტკიცების ტვირთი კრედიტორს ეკისრება. თუ მოვალე ვალდებულებას დაუყოვნებლივ იმ საფუძვლით არ ასრულებს, რომ მას ვადაზე ადრე ვალდებულების შესრულების მოვალეობა არ აქვს (366), ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობა კრედიტორმა უნდა ამტკიცოს (367). ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში, მოვალე დაუყოვნებელი შესრულების გონივრული ვადის ამონურვიდან ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად მიიჩნევა (390).

¹⁴ ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 94.

მუხლი 368. ვალდებულების შესრულება პირობითი გარიგების არსებობისას

თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება.

I. ნორმის მიზანი413

II. „რაიმე პირობის“ დეფინიცია.....413

III. ნებაზე დამოკიდებული პირობა415

IV. „რაიმე პირობის“ დადგომის სამართლებრივი შედეგი416

V. ნორმის მოქმედების ფარგლები.....418

VI. ნორმის გამოყენების წინაპირობები420

VII. ვალდებულების შესრულების დრო421

I. ნორმის მიზანი

ნორმა არეგულირებს ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, როდესაც ვალდებულების წარმოშობა „რაიმე პირობის“ დადგომაზეა დამოკიდებული (368). შესაბამისად, პირობითი გარიგების არსებობისას სახეზეა გარიგება, თუმცა იგი დადების მომენტიდან არ წარმოადგენს უფლება-მოვალეობათა წარმოშობ ნამდვილ გარიგებას, ვინაიდან გარიგებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმოშობა „სამომავლო და უცნობ“ მოვლენაზეა დამოკიდებული (90). ამ დროს გარიგებით გათვალისწინებული შედეგი დგება მხოლოდ პირობის შესრულებით, ე.ი. გარიგების შესრულების გადადება ხდება პირობის დადგომამდე. ამიტომაც ეწოდება მას **გადადების ანუ სუსპენზიური პირობა**.¹ გადადების პირობით დადებულ გარიგებად ჩაითვლება ასევე გარიგება, რომლის ნამდვილობა მხარეებმა ისეთ მოვლენას დაუკავშირეს, რომელიც უკვე დადგა, მაგრამ მხარეებმა ამის შესახებ არ იციან.² უმეტესად პირობის დათქმა მხარეთა შეთანხმებით ხდება. თუმცა სამოქალაქო კოდექსი კანონით განსაზღვრულ პირობებსაც იცნობს.³

II. „რაიმე პირობის“ დეფინიცია

368-ე მუხლით გათვალისწინებულ „რაიმე პირობის“ დადგომის დეფინიციას 90-ე მუხლი გვთავაზობს, რომელიც პირობით გარიგებას „**სამომავლო და უცნობ**“ მოვლენაზე დამოკიდებულ გარიგებად მიიჩნევს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე ჩანაწერის გრამატიკული ახსნა-განმარტების მიუხედავად, „უცნობი“ ეხება არა სამომავლო მოვლენის შინაარსს, არამედ სამომავლო მოვლენის დადგომის ან არდადგომის ფაქტს. პირობის სამომავლო და უცნობი ხასიათი ერთდროულად (კუმულაციურად) იძლევა შინაარსობრივად არაიდენტიფიცირებადი მოვლენის შემადგენ-

1 *ჭანჭურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 402-403.

2 იქვე, გვ. 403.

3 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 368, გვ. 296.

ლობას, რომელზეც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული ვერ იქნება. „სამომავლო და უცნობი“ კუმულაციურად შეიძლება იმ კონტექსტში იქნეს აღქმული, რომ „მოვლენა სამომავლოა, თუმცა უცნობია, აღნიშნული მოვლენა დადგება, თუ არა“. ნორმის სხვაგვარი განმარტებით, ვერცერთი გარიგება ვერ იქნება მიჩნეული პირობით გარიგებად, რადგან მხარეები გარიგების შესრულებას ან შეწყვეტას ისეთ მოვლენას ვერ დაუკავშირებენ, რომელიც სამომავლოა და თანაც მათთვის უცნობი. ეს დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს 91-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის შესაბამისადაც ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. ამდენად, პირობა, რომლის დადგომაზეც არის დამოკიდებული გარიგების ნამდვილობა, უნდა იყოს იმდენად იდენტიფიცირებადი, რომ იმთავითვე დგინდებოდეს მისი კანონსა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა, ასევე მისი შესრულების შესაძლებლობა. თეორიაში პირობითი გარიგებების ნიმუშად გავრცელებულ ყველა მაგალითში გარიგების ნამდვილობა სამომავლო, თუმცა სწორედაც რომ მხარეებისათვის წინასწარ განჭვრეტადი (ნაცნობი) მოვლენის დადგომაზეა დამოკიდებული, მაგ., საფეხბურთო კლუბის ყოველი ფეხბურთელი ავტომატურად დასაჩუქრდება, თუკი გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდება და უეფას თასს მიიღებს⁴ (პოზიტიური კუმულაციური პირობა). პირი მეზობლის მიწის ნაკვეთს შეიძენს, თუკი ამ ნაკვეთის ახლოს ნავთობსადენი არ გაივლის (ნეგატიური პირობა).⁵ რესტორანი კომპანიისაგან 2000 ბოთლ ლუდს შეიძენს, თუ კომპანია ლუდის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვებს⁶ (პოზიტიური პირობა). ამდენად, როდესაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობაზე, ასეთ შემთხვევაში სახეზეა პირობითი გარიგება, შესაბამისად, პირობა, რომლის დადგომაზეც გარიგების ნამდვილობას განსაზღვრავს, უნდა იყოს სამომავლო. ამასთან, მხარეებისათვის უცნობი უნდა იყოს არა სამომავლო პირობის არსი (შინაარსი), არამედ ის, დადგება თუ არა აღნიშნული პირობა, მაგალითად: საფეხბურთო კლუბი მოიგებს თუ არა ქვეყნის ჩემპიონატს ან უეფას თასს; გაივლის თუ არა მიწის ნაკვეთის ახლოს ნავთობსადენი; გაიმარჯვებს თუ არა კომპანია ლუდის ფესტივალში და ა.შ. ამასთან, სამომავლო პირობის მართვა მხარეებს არ უნდა შეეძლოთ⁷ (მაგ., მიწის ნაკვეთზე ნავთობსადენის გავლის შემთხვევაში), თუმცა პირობას მხარეთა ქმედებაზე მასტიმულირებელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს⁸ (მაგ., ქვეყნის ჩემპიონატისა და უეფას თასის მოგების შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო მოვლენის დადგომა-არდადგომის საკითხი მთლიანად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, ასეთი პირობა ბათილად მიიჩნევა (92).⁹

4 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 402-403.

5 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი I, 1999, მუხ. 90, გვ. 254.

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 368, გვ. 296.

7 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის N ას-1081-1110-2011 გადაწყვეტილება.

8 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 403.

9 იხ. დეტალურად 90-ე და შემდგომი მუხლების კომენტარი.

III. ნებაზე დამოკიდებული პირობა

ნებაზე დამოკიდებული პირობით დადებული გარიგება ბათილია. ნე- 3
ბაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან
დაუდგომლობაც დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე (92; იხ.
92-ე მუხლის კომენტ.).

პირობითი გარიგების არსიდან გამომდინარე, გარიგების შესრულე- 4
ბის გადადება ან გარიგების შეწყვეტა ყოველთვის „რაიმე პირობაზე“
დამოკიდებული. „რაიმე პირობა“, როგორც უკვე აღინიშნა, „სამომავლო
და უცნობი მოვლენაა“. თავის მხრივ, პირობა შეიძლება იყოს **პოზიტი-**
ური (პირობა იმის შესახებ, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ
ან განუსაზღვრელ ვადაში) (93; იხ. 93-ე მუხლის კომენტ.) ან **ნეგატიური**
(პირობა იმის შესახებ, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ
ან განუსაზღვრელ ვადაში) (94; იხ. 94-ე მუხლის კომენტ.). პირობა ასევე
შეიძლება იყოს **კაზუალური** (შემთხვევითი, მესამე პირის ნებაზე დამო-
კიდებული) ან **პოტესტატიური** (გარიგების მხარის ქმედებაზე დამოკი-
დებული).¹⁰ **პოტესტატიური პირობის მნიშვნელობა ისაა**, რომ პირობის
დადგომა გარიგების მხარის ნებელობით ქმედებაზეა დამოკიდებული,
თუმცა მხოლოდ მხარის ნებაზე დამოკიდებული პირობა, პირობითი გა-
რიგების არსებობის შემთხვევაში, ბათილია (92). ამიტომ პოტესტატიური
პირობა, მართალია, მხარის ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა პირობის და-
დგომას მხოლოდ მხარის ნება არ განსაზღვრავს.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს პოტესტატიური პირობა და მხა- 5
რეთა ნებაზე დამოკიდებული პირობა, რომელიც, 92-ე მუხლის შესაბამი-
სად, ბათილად მიიჩნევა. პირობით გარიგებებში **პირობათა უმრავლესო-**
ბა პოტესტატიურია. პოტესტატიური პირობის არსი ისაა, რომ გარიგების
ერთი მხარე, „რაიმე პირობის“ დადგომის ან არდადგომის შემთხვევაში,
იღებს მეორე მხარის წინაშე ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების მო-
ვალეობას. როდესაც საუბარია იმაზე, რომ პირობით გარიგებებში პირო-
ბათა უმრავლესობა პოტესტატიურია, იგულისხმება ის რეალობა, რომ,
როგორც წესი, „ერთი მხარე“ მეორე მხარეს გარკვეული ვალდებულების
შესრულებას ჰპირდება, თუ „მეორე მხარე“ ამა თუ იმ „სამომავლო, უცნობ“
პირობას შეასრულებს. შესაბამისად, პირობის დადგომა, როგორც წესი,
„მეორე მხარის“ აქტიურ მოქმედებაზეა დამოკიდებული. თუმცა ნებაზე
დამოკიდებული პირობისაგან იმით განსხვავდება, რომ პირობის დადგო-
მას მხოლოდ მხარის ნება არ განაპირობებს. მხარის ნებელობით ქმედე-
ბას მხოლოდ მასტიმულირებელი ფექტი შეიძლება ჰქონდეს. აღნიშნუ-
ლის საპირისპიროდ, ნებაზე დამოკიდებული და, შესაბამისად, ბათილია
პირობა, როდესაც „სამომავლო და უცნობი“ მოვლენის დადგომა **მხოლოდ**
გარიგების მხარის ნება-სურვილზეა დამოკიდებული (იხ. 92-ე მუხლის მე-3
ველი). მაგ., როდესაც სააქციო საზოგადოება თავის თანამშრომლებს შე-
პირებული ბინის საკომპენსაციო თანხის გადაცემაზე იმ მოტივაციით

10 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 402-403; ასევე 90-ე მუხლის კომენტ., მე-10 ველი.

ეუბნება უარს, რომ ამ კომპენსაციის გაცემა სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით მოგების განაწილებაზე დამოკიდებულია, ასეთ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების საერთო კრების მიერ მოგების განაწილება ნებაზე დამოკიდებული პირობაა და, შესაბამისად, ამ პირობის დადგომაზე დამოკიდებული გარიგება ბათილია.¹¹ ამიტომ სააქციო საზოგადოების უარი ვალდებულების შესრულებაზე, 368-ე მუხლზე დაყრდნობით, მართლზომიერად ვერ მიიჩნევა, რადგან ამგვარ პირობაზე დამოკიდებული გარიგება იმთავითვე ბათილია. რაც შეეხება ისეთ ვითარებას, როდესაც კომპანია მიღებული თანხის ან ძველი ბინის სანაცვლოდ პირს ახალ ბინას ჰპირდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ახალ კორპუსს ააშენებს, ასეთი პირობა „სამომავლო და უცნობ“ მოვლენად არ მიიჩნევა და ასეთი გარიგება არც პირობით გარიგებად ითვლება,¹² ვინაიდან მშენებლობის წარმოება მხოლოდ მშენებლის ნება-სურვილზე დამოკიდებული არ არის. ამდენად, აღნიშნული პირობა პოტენციური პირობად კვალიფიცირდება და 368-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში ექცევა.

IV. „რაიმე პირობის“ დადგომის სამართლებრივი შედეგი

- 6 368-ე მუხლის შესაბამისად, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. 90-ე მუხლი განსაზღვრავს პირობითი გარიგების არსს და, შესაბამისად, მისი დადგომის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, მითითებული ნორმის მიხედვით, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე (იხ. 90-ე მუხლის კომენტ.). ამდენად, 90-ე მუხლი „რაიმე პირობის“ დადგომას, რაც, თავისი არსით, სამომავლო და უცნობი მოვლენაა, გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ან გარიგების შეწყვეტას უკავშირებს, მაშინ, როდესაც 368-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების მიხედვით, „რაიმე პირობის“ დადგომა არა ვალდებულების შესრულებას ან შეწყვეტას, არამედ გარიგების ნამდვილობას იწვევს. თუმცა ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის შინაარსობრივი და ლოგიკური ახსნა-განმარტების მიხედვით, დასახელებულ მუხლშიც, მსგავსად 90-ე მუხლისა, გადადების პირობა იგულისხმება. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პირობითი გარიგება, თავისი არსით, იმთავითვე ნამდვილი გარიგებაა, ხოლო პირობის დადგომა იწვევს არა გარიგების ნამდვილად ქცევას, არამედ ნამდვილი გარიგებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების წარმოშობას (96), ან პირიქით, შეწყვეტას (97). ეს დასკვნა, პირველ რიგში, ეფუძნება იმ ფაქტს, რომ პირობის დადგომა ამ პირობის გარეშე არანამდვილ გარიგებას ნამდვილად ვერ აქცევს. მაგ., გამყიდველსა და მესამე პირს შორის დაიდო გარიგება, რომ გამყიდველი

11 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის N ას-820-1137-07 განჩინება.

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის N ას-542-884-07 გადაწყვეტილება. შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის N ას-189-611-06 განჩინება.

ბინას გაყიდდა, თუ გარიგების დადებიდან 3 თვის განმავლობაში მესამე პირი მონახავდა მყიდველს, რომელიც ამ ბინას 45000 აშშ-ის დოლარად იყიდდა. ასეთ შემთხვევაში მესამე პირს გამყიდველის მიმართ მასზე ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ გარიგებით გათვალისწინებული პირობა დადგება, კერძოდ, თუ პირი გარიგების დადებიდან 3 თვეში იპოვის ბინის მყიდველს, რომელიც ბინას 45000 აშშ-ის დოლარად შეიძენს.¹³ მითითებულ შემთხვევაში, გარიგება წერილობითი ფორმითაა დადებული და უძრავ ნივთზე დადებული გარიგების კანონით გათვალისწინებულ ფორმას აკმაყოფილებს (323). იმ შემთხვევაში, თუ ეს გარიგება ზეპირად დაიდებოდა ან სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 8 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე სანოტარო დადასტურების გარეშე მარტივი წერილობითი ფორმით გაფორმდებოდა, პირობის დადგომა, ანუ მესამე პირის მიერ მყიდველის მოძებნა, გარიგების ფორმის ნაკლს ვერ გაასწორებდა და, შესაბამისად, მესამე პირს, დათქმულ ვადაში პირობის შესრულების მიუხედავად, გამყიდველის მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ წარმოეშობოდა. ამდენად, პირობით გარიგებებში პირობის დადგომა გარიგების ნამდვილობას არ იწვევს. პირობით გარიგებებში პირობის დადგომა ნამდვილი გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს (96) ან ამავე გარიგების შეწყვეტას განაპირობებს (97). შესაბამისად, იმისათვის, რომ პირობის დადგომამ მხარეებისათვის უფლება-მოვალეობები წარმოშვას, აუცილებელია, პირობის დადგომამდე არსებული გარიგება იყოს ნამდვილი, კერძოდ, დადებული ქმედუნარიანი პირის მიერ კანონშესაბამისი ფორმა დაცული და ა.შ. ამდენად, 368-ე მუხლის დანაწესი, რომ, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დადგება, განმარტებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ გარიგების ნამდვილობის პირობებში მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება და ამავე ვალდებულების შესრულების მოვალეობა, წარმოიშობა მხარეების მიერ გათვალისწინებული ან კანონით განსაზღვრული პირობის დადგომის შემდეგ.

სამართლებრივი შედეგების მხრივ პირობით გარიგებაში პირობის დადგომა იწვევს გარიგებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა რეალიზებას, რაც იმას ნიშნავს, რომ პირობის დადგომა წარმოშობს, ერთი მხრივ, **ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას**, ხოლო მეორე მხრივ, **ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებას**. ამდენად, თუ პირობა ნამდვილია, ანუ არ არსებობს პირობის ბათილობის წინაპირობები, მაგალითად: კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა, შესრულების შეუძლებლობა (91), ან კიდევ ნებაზე დამოკიდებულება (92), **ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება პირობის დადგომისთანავე უნდა შესრულდეს (368)**. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც პირობითი გარიგება არსებობს, თუმცა სახეზეა „რაიმე პირობის“ ანუ „სამომავლო და უცნობი“ მოვლენის დადგომის თაობაზე პირობის ბათილობა (91, 92), მაშინ, რაღა

13 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის N ას-964-1002-11 განჩინება.

თქმა უნდა, შესრულების მოთხოვნის უფლება და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მოვალეობა აღარ წარმოიშობა, ხოლო თუ სახეზეა ერთი მხარის შესრულება, მაშინ, იგი, როგორც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებული, უკან დაბრუნებას ექვემდებარება (976). თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება (409).

- 8 თუ პირობა, თავისი არსით „სამომავლო და უცნობი“ მოვლენა კი არ არის, არამედ მისი დადგომა მთლიანად მხარის ნებაზეა დამოკიდებული (მაგ., თანხის სანაცვლოდ ახალაშენებულ კორპუსში ბინის მიცემა მას შემდეგ, რაც კორპუსი აშენდება¹⁴), ასეთ შემთხვევაში **სახეზეა არა პირობითი გარიგება, არამედ გარიგება, რომლის საფუძველზეც უფლება-მოვალეობები გარიგების დადებისთანავე წარმოიშობა, შესაბამისად**, მხარეებს ის უფლება-მოვალეობები აქვთ, რაც ნამდვილი გარიგების არსებობის პირობებში, კერძოდ: ვალდებულების შესრულების (პირველადი მოთხოვნა) ან ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (მეორეული მოთხოვნა) (408, 409), ხოლო თუ სახეზეა არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების შესრულებისა და შესრულების არაჯეროვანებით განპირობებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (394). რაც შეეხება 368-ე მუხლზე დაყრდნობით, რაიმე პირობის დადგომამდე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას, ეს უფლება მხარეს მხოლოდ და მხოლოდ პირობითი გარიგების არსებობის შემთხვევაში აქვს. შესაბამისად, ნორმის გამოყენების მიზნებისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, სახეზეა, თუ არა, პირობითი გარიგება, ანუ გარიგებით გათვალისწინებული შესრულების გადადება დამოკიდებულია თუ არა „რაიმე პირობაზე“, რომელიც, თავისი არსით, ისეთი „სამომავლო და უცნობი“ მოვლენაა, რომლის დადგომა მხოლოდ მხარის ნებაზე დამოკიდებული არ არის.

V. ნორმის მოქმედების ფარგლები

- 9 თუ პირობით დადებული გარიგებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმოშობა ისეთ სამომავლო და უცნობ მოვლენაზეა დამოკიდებული, რომლის დადგომას მთლიანად მხარეთა ნება განსაზღვრავს, ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილად მიიჩნევა. **ამასთან, ნიშანდობლივია, რომ პირობითი გარიგების დროს მხოლოდ ნებაზე დამოკიდებული პირობა კი არ მიიჩნევა ბათილად, არამედ მთლიანად მთელი გარიგება.** ხშირად ამა თუ იმ პირობის დადგომა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ნებაზე დამოკიდებული პირობა ყოველთვის როდი იწვევს გარიგების ბათილობას. ნებაზე დამოკიდებული პირობა გარიგების ბათილობას მხოლოდ მაშინ იწვევს, როდესაც სახეზეა პირობითი გარიგება. 368-ე მუხლი სწორედ პირობითი გარიგებებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულებას აწესრიგებს, შესაბამისად, ნორმის გამოყენების მიზნებისათვის უნდა დადგინდეს, საქმე გვაქვს თუ არა პირობით გარიგებასთან და პირობა, რომლის დადგომაზეც არის დამოკიდებული გარიგებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმოშობა,

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 ნოემბრის N ას-542-884-07 გადაწყვეტილება.

არის თუ არა სამომავლო და თანაც ისეთი, რომლის დადგომას მხოლოდ მხარეთა ნება არ განაპირობებს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **გარიგების დადებამდე და გარიგების დადების შემდეგ მხარეთა ნებაზე დამოკიდებული პირობის არსი და მისი სამართლებრივი შედეგები**. ამ მიზნით, განხილულ უნდა იქნეს რამდენიმე მაგალითი: **(1)** თუ მხარეთა შეთანხმებით, დამქირავებელი ბინას იმ შემთხვევაში იქირავებს, თუკი გამქირავებელი ბინაში ცენტრალურ გათბობას დაამონტაჟებს, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად, ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება მხარეს არ წარმოუშობს ქირავნობის ხელშეკრულების დადების მოთხოვნის უფლებას (გარიგების დადების მოთხოვნის უფლებას). ბინის დაქირავებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მას მხოლოდ განუული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს (317 II); **(2)** თუ მყიდველი ბინას იმ პირობით იყიდის, რომ გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ცენტრალური გათბობის სისტემას ბინაში თავადვე დაამონტაჟებს, ეს პირობა გარიგების არსებითი პირობაა, შესაბამისად, მყიდველს გამყიდველისაგან გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს (316 I); **(3)** თუ ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით, მენარდე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოს შესრულებას იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუკი შემკვეთი წინასწარ თანხას გადაუხდის, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება, სადაც შემკვეთს წინასწარ შესასრულებელი ვალდებულება აქვს და მენარდეს ვალდებულების შესრულების მოვალეობა მხოლოდ მენარდის მიერ წინასწარ შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შემდეგ წარმოეშობა (369); **(4)** თუ მყიდველი და გამყიდველი უძრავი ქონების თაობაზე წერილობით გარიგებას დადებენ და, ამასთან, გაითვალისწინებენ, რომ მყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების საფასურს იმ შემთხვევაში გადაიხდის, თუკი აღნიშნული შენობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, სარეაბილიტაციო ნაგებობათა ნუსხაში შევა, ასეთ შემთხვევაში შენობის სარეაბილიტაციო ნუსხაში შეტანა ის სამომავლო და უცნობი პირობაა, რომლის დადგომისთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოა (368); **(5)** თუ მხარეები უძრავი ქონების თაობაზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას დადებენ, რომლის შესაბამისადაც, ერთი მხარე მეორე მხარისაგან წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებას იყიდის იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული შენობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, სარეაბილიტაციო ნაგებობათა ნუსხაში შევა, ასეთ შემთხვევაში შენობის სარეაბილიტაციო ნუსხაში შეტანა ის სამომავლო და უცნობი პირობაა, რომლის დადგომისთანავე წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე შესასრულებლად სავალდებულოა (368).

ამდენად, 368-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, უნდა ითქვას, რომ პირობითი გარიგების დროს სახეზეა ნამდვილი გარიგება, ანუ მხარეთა შორის შეთანხმებულია ყველა არსებითი პირობა საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (327 I). უფრო მეტიც, ვალდებულების შესრულებ

10

11

ბის გადადება სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომამდე სწორედ ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა (90). შესაბამისად, პირობის დადგომა იწვევს შესრულების ვალდებულების წარმოშობას (368) (მაგალითი 4). სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომამდე შეიძლება გადადებულ იქნეს წინარე ხელშეკრულების შესრულება, შესაბამისად, სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომამ შეიძლება განაპირობოს წინარე ხელშეკრულების შესრულება, რაც ხელშეკრულების დადებით გამოიხატება (327 III, 90) (მაგალითი 5). პირობითი გარიგება სახეზე არ გვაქვს, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ისეთი პირობის დადგომამდეა გადადებული, რომლის შესრულება მთლიანად გარიგების მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში, მხარეს აქვს გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება (მაგალითი 2), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარის მიერ შესასრულებელი პირობა წინასწარ შესასრულებელი ვალდებულებაა, მაშინ მხარეს, გარდა იმისა, რომ აქვს ვალდებულების შესრულების მოვალეობა, ასევე აქვს თავის მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლება (369), (მაგალითი 3). რაც შეეხება გარიგების დადებაზე არსებულ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებს, მასზე პირობითი გარიგების მარეგულირებელი წესები არ ვრცელდება, რადგან პირობის დადგომამდე ხდება ვალდებულების შესრულების გადადება ან ვალდებულების შეწყვეტა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირობის დადგომამდე ვალდებულება უკვე წარმოშობილია (317 II). (მაგალითი 1).

VI. ნორმის გამოყენების წინაპირობები

- 12 368-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები:
- 13 ა) უნდა არსებობდეს **ნამდვილი გარიგება**, ანუ მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით;
- 14 ბ) ვალდებულების შესრულება ან შეწყვეტა გადადებული უნდა იყოს **„რაიმე პირობის“** დადგომამდე;
- 15 გ) **„რაიმე პირობა“ უნდა იყოს სამომავლო**. მოვლენის სამომავლო ხასიათს განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი მომავალში დადგება. მოვლენა შეიძლება გარიგების დადების დროსაც არსებობდეს, თუმცა მხარეები ამ ფაქტის თაობაზე ინფორმირებულნი არ იყვნენ;
- 16 დ) **„რაიმე პირობა“ უნდა იყოს უცნობი**. მოვლენის უცნობი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ მოვლენის დადგომა მხოლოდ მხარის ნებაზე არ არის დამოკიდებული და, შესაბამისად, მხარეებისათვის უცნობია, იგი დადგება თუ არა.
- 17 ე) **„რაიმე პირობის“ დადგომა, რომელიც თავისი არსით „სამომავლო და უცნობი მოვლენაა“, მხოლოდ მხარის ნებაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს;** წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არა პირობითი გარიგება, არამედ გარიგების დადების წინაპირობა (წინასახელშეკრუ-

ლებო ურთიერთობებში) ან გარიგების არსებითი პირობა (გარიგების არსებობის პირობებში).¹⁵

VII. ვალდებულების შესრულების დრო

პირობითი გარიგების არსებობისას ვალდებულება შესასრულებელია 18 იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. ამდენად, მართალია, ვალდებულება პირობის დადგომის დღიდანაა შესასრულებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად ამ დღეს უნდა შესრულდეს. მთავარია, რომ ვალდებულება პირობის დადგომის დღიდან შესრულდეს დაუყოვნებლივ, ანდა გონივრულ ვადაში.¹⁶ თუმცა რადგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წარმოშობის მომენტად სწორედ პირობის დადგომის დღეა კანონით განსაზღვრული, ამიტომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ ამ დღიდან იწყება (130).

თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო 19 და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს (365). პირობით გარიგებებში ვალდებულების შესრულების დრო კანონის დანაწესიდან ირკვევა, კერძოდ, კანონი მკაფიოდ და არაორაზროვნად ადგენს ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულებას **პირობის დადგომის დღეს**, თუ, რა თქმა უნდა, თვით მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შესრულების სხვა დრო არ არის გათვალისწინებული. **მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების დროდ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ პირობის დადგომის დღის შემდგომი პერიოდი, ვინაიდან აღნიშნული პირობის დადგომამდე ვალდებულების შესრულების მოვალეობა საერთოდ არ არსებობს.** პირობითი გარიგების შემთხვევაში არც კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ვადაზე ადრე და ვერც მოვალე შეძლებს ამ ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას (366). პირობის დადგომის დღემდე ვალდებულების შესრულების მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც გამორიცხებულია, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა (367). მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული გარემოებების არსებობისას ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორისათვის კანონით მინიჭებული უფლებაა, მისი გამოყენება პირობითი გარიგებების შემთხვევაში ვერ მოხდება, ვინაიდან, **პირობითი გარიგების არსიდან გამომდინარე, კრედიტორს მოვალის მიმართ პირობის დადგომამდე შესრულების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.**

15 იხ. დეტალურად 90-ე და შემდგომი მუხლების კომენტარები.

16 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 368, გვ. 296.

მუხლი 369. უარი ვალდებულების შესრულებაზე

იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

I. ნორმის მიზანი	422
II. შესრულების დაყოვნების ფუნქციები	423
III. შესრულების დაყოვნების ეფექტი	424
IV. შესრულების დაყოვნება – მოვალის უფლება და არა ვალდებულება	424
V. ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა	424
VI. ნორმის გამოყენების წინაპირობები	425
VII. „მოვალის“ კეთილსინდისიერება დაყოვნების უფლების გამოყენებისას	427
VIII. დაყოვნების უფლების გამოყენების სამართლებრივი შედეგი	428

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმა არეგულირებს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას. როგორც წესი, ეს რეგულირება არ ვრცელდება ცალმხრივ ხელშეკრულებებსა (ჩუქება, თავდებობა) და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე (317 I). უფრო მეტიც, ნორმის რეგულირების ფარგლებში ექცევა არა ყველა ორმხრივი ხელშეკრულება, არამედ სრულყოფილად ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებები (ორმხრივი სინალაგმატური ხელშეკრულებები), რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმა აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, როდესაც ხელშეკრულება ორივე მხარისთვის წარმოშობს ვალდებულებებს, რომლის დროსაც შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებულია. ვალდებულება კი იმიტომ სრულდება, რომ საპასუხო შესრულება იქნეს მიღებული („do ut des“). ასეთ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება: ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, მომსახურება, ნარდობა, ამხანაგობა. ნორმის მოქმედება არ ვრცელდება ორმხრივ, თუმცა არასრულყოფილად ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებზე, როგორებიცაა: დავალება, თხოვნა, უპროცენტო სესხი, უსასყიდლო მიბარება. ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებზე ნორმის გავრცელებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებებში **საპირისპირო ვალდებულებების სამართლებრივი ბედი ერთმანეთზეა დამოკიდებული**. ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულების განხორციელებისა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში, ე.წ. „**ფუნქციური სინალაგმა**“.¹ სინალაგმატური ვალდებულება ხასიათდება ურთიერთკავშირის გენეტიკური

1 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 221.

და ფუნქციური ასპექტების ერთიანობით. სინალაგმატური ხელშეკრულებებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია ასევე **ვალდებულებათა შესრულების ერთდროულობა**. ერთდროულობა გულისხმობს შესრულების ვალდებულების ერთდროულობას და მას არ აუქმებს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მხარე საპასუხო შესრულებას ცოტა მოგვიანებით ასრულებს.²

ნორმის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა, მხარემ ვალდებულების შესრულებაზე უარი თქვას მანამ, სანამ საპირისპირო შესრულებას მიიღებდეს. ამდენად, ნორმა ვრცელდება ყველა იმ ორმხრივ ხელშეკრულებებზე, რომელთა საფუძველზეც წარმოშობილი მოთხოვნები სინალაგმატურ დამოკიდებულებაშია ერთმანეთის მიმართ.³

მიუხედავად იმისა, რომ ნორმა ორმხრივ, სინალაგმატურ ხელშეკრულებებზე ვრცელდება, რომლის მხარეებს ერთმანეთის მიმართ მოთხოვნაც აქვთ და ვალდებულებაც, ნორმის გამოყენების მიზნებისათვის შესრულების გადადებაზე უფლებამოსილი სუბიექტი **„მოვალედ“** არის კანონმდებლის მიერ სახელდებული, ხოლო ვის მიმართაც მას ამ ვალდებულების შესრულების მოვალეობა ეკისრება – **„კრედიტორად“**. მოვალის მიერ შესრულების დაყოვნებას საპასუხო ვალდებულების შესრულებამდე ე.წ. **„სუსპენზიური შესაგებლის“** უფლებას უწოდებენ.

II. შესრულების დაყოვნების ფუნქციები

„მოვალის“ მიერ შესრულების დაყოვნებას რამდენიმე ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, ეს „მოვალისათვის“ ერთგვარი ბერკეტია, რომლითაც იგი **„კრედიტორზე“ ზემოქმედებს**, რათა მან („კრედიტორმა“) მასზე დაკისრებული ვალდებულება **ჯეროვნად შეასრულოს**.⁴ „მოვალის“ მიერ შესრულების დაყოვნებას, თავის მხრივ, „კრედიტორზე“ მასტიმულირებელი ეფექტიც აქვს⁵ (ლათ. *exceptio non adimpleti contractus*); მეორე მხრივ, შესრულების დაყოვნება ვალდებულების შესრულების **უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას ასრულებს** და „მოვალეს“ ისეთი შესრულების განხორციელებისაგან იცავს, რომლის საპასუხო შესრულებასაც იგი ვერ მიიღებს;⁶ გარდა ამისა, „მოვალე“ შესრულების დაყოვნებით **მისთვის მეორე მხარის მიერ მოსალოდნელი ზიანის მიყენების შესაძლებლობასაც იცილებს**.⁷

ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციათაგან „მოვალის“ მიერ შესრულების დაყოვნების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება „კრედიტორის“ მხრიდან შესრულების უზრუნველყოფაა. **აღნიშნულ კონტექსტში შესრულების დაყოვნების ფუნქციური ჩანაცვლება შესაძლებელია**. ამგვარი შესაძლებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც „კრედიტორი“ მოვალეს უზრუნველყოფის ალტერნატიულ საშუალებას (ღონისძიებას) სთავაზობს. ამასთან,

2 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 133.

3 *კროპპოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 221.

4 *Grüneberg*, in *Palandt BGB*, § 320, Rn. 1; *Otto*, in *Staudinger BGB*, Buch 2, 14. Aufl., § 320, Rn. 1; *Soergel/Gsell*, § 320 Rn. 2 bis 7, nach *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 1.

5 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 135.

6 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 1.

7 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 135.

აღსანიშნავია, რომ შეთავაზებული უზრუნველყოფა შესრულების ადეკვატური უნდა იყოს. ამ მიზნით განსაკუთრებული სანდოობით უზრუნველყოფის სანივითოსამართლებრივი საშუალებები (იპოთეკა, გირავნობა) ხასიათდება.⁸

III. შესრულების დაყოვნების ეფექტი

- 6 ნორმას „სუსპენზიური ეფექტი“ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოვალის“ მიერ შესრულების დაყოვნების უფლების განხორციელებით, ვალდებულებიდან გამომდინარე, ორმხრივი შესრულება ყოვნდება. შესრულება შეიძლება დაყოვნებულ იქნეს იმ ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც არ სრულდება საპასუხო ვალდებულება. ნორმის „სუსპენზიური ეფექტი“ გამოიხატება როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმით, ასევე დანყებული ვალდებულების შესრულების შეჩერებით. ნორმის გამოყენების მიზნებისათვის ნიშანდობლივია, რომ ვალდებულების შესრულების ეტაპი დასრულებული არ იყოს, მაგ., გაგზავნილი საქონელი მყიდველამდე მისული არ უნდა იყოს. ამდენად, როდესაც შესრულება „გზაშია“, კრედიტორს მისი შეჩერება შეუძლია.⁹

IV. შესრულების დაყოვნება – მოვალის უფლება და არა ვალდებულება

- 7 ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა. იგი მოვალეს საპასუხო შესრულების განხორციელებამდე თავისი ვალდებულების შესრულების გადადების უფლებას ანიჭებს. თუმცა თუ მოვალის ინტერესი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დროული დასრულებაა, იგი ამ უფლებით არ ისარგებლებს.¹⁰ ასეთ შემთხვევაში, მოვალე უფლებამოსილია, დამატებითი ვადის დანიშვნის შემდეგ გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (352, 405), ან, გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის პირობებში, შეწყვიტოს ხელშეკრულება და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (399).

V. ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა

- 8 „მოვალის“ უფლება, კრედიტორის მიერ საპასუხო შესრულების განხორციელებამდე უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს ვალდებულების შესრულების სუბიექტური და არა ობიექტური შეუძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ „კრედიტორი“ ვალდებულებას ობიექტურ გარემოებათა გამო ვერ ასრულებს, ეს გარემოება მას ვალდებულების შესრულებისაგან იმთავითვე ათავისუფლებს, შესაბამისად, საპასუხო შესრულების ვალდებულება არც მოვალეს წარმოეშობა. ამდენად, 369-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები სახეზე არ არის, როდესაც არსებობს კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრუ-

8 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 126, Rn. 9.

9 Schlechtriem/Schwenzer, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., p. 964-965.

10 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 1.

ლების ობიექტური შეუძლებლობა.¹¹ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს დავა ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობის თაობაზე, მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე მხოლოდ ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობის საკითხის გადაწყვეტამდე,¹² უფრო ზუსტად კი იქამდე, **სანამ კრედიტორი არ დაადასტურებს ვალდებულების შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას.**

საკუთრების უფლების ცვლილება უფლებებსა და მოთხოვნებზე, რაც, თავის მხრივ, მოთხოვნის დათმობით (199-202) ან ვალის გადაკისრებით (203-207) გამოიხატება, **ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლების განხორციელებაზე ზეგავლენას არ ახდენს** (369)¹³. შესაბამისად, სუბიექტთა ცვლილება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობად არ განიხილება.

VI. ნორმის გამოყენების წინაპირობები

ნორმის გამოყენების მიზნებისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს შემდეგი წინაპირობები:

ა) უნდა არსებობდეს **ნამდვილი, ორმხრივი ხელშეკრულება**. ხელშეკრულების ნამდვილობა სადავო არ უნდა იყოს;¹⁴

ბ) ორმხრივი ხელშეკრულება უნდა იყოს **სინალაგმატური, ანუ ორმხრივად მავალდებულებელი**,¹⁵ მაგ., როგორც არის ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც მყიდველი მოვალეა, გადასცეს გამყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება (477);

გ) ორმხრივი უფლება-მოვალეობები **ერთი და იმავე ხელშეკრულებიდან ან ერთმანეთთან ეკონომიკური ან/და სამართლებრივი თვალსაზრისით მჭიდროდ დაკავშირებული ხელშეკრულებებიდან** უნდა მომდინარეობდეს.¹⁶

დ) შემხვედრი ვალდებულებები, მართალია, ერთდროულად უნდა იყოს შესასრულებელი, თუმცა **ერთდროულობა, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ შესრულების გამომხატველი მოქმედება ყოველთვის ერთდროულად განხორციელდება**. ზოგჯერ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, კერძოდ, ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია ორმხრივი ხელშეკრულების ერთდროულად შესრულება. შესრულება ჯერ ერთმა მხარემ უნდა განახორციელოს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესრულებაზე ვალდებული მეორე მხარე.¹⁷ დაყოვნების

11 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 29.

12 *BGH WM 1956*, 314; *RG WarnR 1908*, Nr. 611 S. 484, 485; *WarnR 1917*, Nr. 135 S. 205; *SeuffA 74* (1919), Nr. 83 S. 149 f.; *SeuffA 87* (1933), Nr. 183 S. 356 f. = *LZ 1933*, 1018; *LZ 1920*, 434; *Kaiser BauR 1982*, 205, 211 ff. nach *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 29.

13 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 30.

14 იქვე, Rn. 22.

15 *კროპოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 222.

16 *BGHZ 92*, 196; 115.103 nach *Brox/Walker*, *Allgemeines Schuldrecht*, 34. Aufl., 2010, S. 124, Rn. 5.

17 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 369, გვ. 298.

უფლება „მოვალეს“ აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „კრედიტორს“ ვალდებულება პირველს უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა, ან, მართალია, ვალდებულება, ერთდროულად უნდა შესრულებულიყო, თუმცა „მოვალეს“ აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კრედიტორი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას არ შეასრულებს.

- 15 ე) „მოვალის“ უფლებამოსილება, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, მოქმედებს მხოლოდ მის წინაშე შესასრულებელი საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, მიუხედავად იმისა, საპასუხო მოქმედების განხორციელება კრედიტორის პირველადი (ძირითადი ვალდებულების შესრულება), მეორეული (ზიანის ანაზღაურება), თუ დამატებითი (ფასის შემცირება, ნაკლის გამოსწორება, საგნის შეცვლა, და ა.შ.) ვალდებულებაა. მთავარია, რომ სწორედ ამ ვალდებულების განხორციელებაზე იყოს დამოკიდებული „მოვალის“ მიერ მასზე დაკისრებული საპასუხო ვალდებულების შესრულება.¹⁸
- 16 ვ) საპირისპირო მოთხოვნა უნდა იყოს განხორციელებადი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და მას არ უნდა უპირისპირდებოდეს შესაგებელი;¹⁹ მოთხოვნა შეიძლება არც იყოს ვადამოსული, თუმცა არსებობდეს გარემოებები, რომლებითაც ნათლად დასტურდება, რომ ვალდებულება დათქმულ ვადაში ვერ შესრულდება.²⁰ კონკრეტული გარემოებების არსებობისას იმის აღბათობა, რომ შემხვედრი ვალდებულება ვერ შესრულდება დათქმულ ვადაში, სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს შეფასებული. დავის შემთხვევაში საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.²¹
- 17 ზ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისას ძირითადი მოთხოვნის მოვალე თვითონ უნდა იყოს კეთილსინდისიერი. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა რჩებოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში. იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს ხელშეკრულებიდან გასვლით სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლება აქვს გამიზნული, მაშინ შესაგებლის წარდგენა, რომელიც ვალდებულების შესრულების გადადებას ახდენს, აზრს კარგავს.²²
- 18 თ) „კრედიტორს“ საპირისპირო მოთხოვნა შესრულებული არ უნდა ჰქონდეს.²³ ნორმის გამოყენების მიზნებისათვის საკმარისია ნაწილობრივი შეუსრულებლობაც, ასევე არაჯეროვანი შესრულება.²⁴
- 19 ი) „კრედიტორს“ ამ მოთხოვნის მიმართ საფუძვლიანი და დასაბუთებული შესაგებელი არ უნდა ჰქონდეს, მით უფრო, არ უნდა არსებობდეს „მოვალის“ მიერ ვალდებულების წინასწარ შესრულების მოვალეობა. თუმცა ამას ყურადღება აღარ ექცევა მაშინ, როდესაც კრედიტორი თავისი საპირისპირო ვალდებულების შესრულებაზე გადამჭრელად და

18 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 23.

19 კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 222.

20 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 136.

21 იქვე- 138.

22 კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 222.

23 იქვე.

24 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 1.

საბოლოოდ ამბობს უარს.²⁵ „მოვალის“ მიერ წინასწარი შესრულების მოვალეობა დაყოვნების უფლებას არ გამოორიციხავს მაშინაც, როდესაც „კრედიტორის“ ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდოა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, „მოვალეს“, მიუხედავად ვალდებულების წინასწარ შესრულების მოვალეობისა, „კრედიტორის“ მიერ სათანადო უზრუნველყოფის ღონისძიების შეთავაზებამდე შესრულების დაყოვნების უფლება აქვს²⁶ (იხ. მე-4 ველი). გარდა ამისა, „მოვალის“ მიერ დაყოვნების უფლება არ გამოორიციხება, ასევე, მაშინ, როდესაც სახეზეა შედარებით მცირე მნიშვნელობის საპირისპირო მოთხოვნა.²⁷

კ) ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც „მოვალისათვის“ შემხვედრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების თაობაზე ხელშეკრულების დადების შემდეგ გახდა ცნობილი.²⁸ 20

VII. „მოვალის“ კეთილსინდისიერება დაყოვნების უფლების გამოყენებისას

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები (8 III). „მოვალის“ უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე „კრედიტორის“ მიერ საპასუხო ვალდებულების შესრულებამდე, არსებობს მხოლოდ მოვალის კეთილსინდისიერი ქცევის პირობებში. ეს დასკვნა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების არცერთ მხარეს უფლება არ აქვს, ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულების თაობაზე პრეტენზია იმ ვალდებულების დარღვევას დააფუძნოს, რომელსაც წინ მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევა უსწრებდა. ამდენად, 369-ე მუხლით გათვალისწინებული დაყოვნების უფლების გამოყენებამდე უნდა გამოირიცხოს, რომ მეორე მხარის („კრედიტორის“) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა დაყოვნებაზე („სუსპენზიური შესაგებლის“ გამოყენებაზე) უფლებამოსილი „მოვალის“ ბრალით არ მოხდა.²⁹ ასეთის არსებობის შემთხვევაში, „მოვალის“ მიერ დაყოვნების უფლების გამოყენება მაინც „ლეგიტიმურად“ მიიჩნევა, თუ იგი დაადასტურებს (დაამტკიცებს), რომ მან თავისი დარღვევით გამოწვეული ნეგატიური შედეგები აღმოფხვრა, ან კრედიტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მისი ბრალით არ მოხდა. 21

„მოვალემ“ შესრულების დაყოვნების, ანუ ე.წ. „სუსპენზიური შესაგებლის“ უფლება კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოვალემ“ ამ უფლებით მხოლოდ კანონით დადგენილი მიზნის შესა- 22

25 BGH, NJW 1997, 938.

26 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 127, Rn. 16.

27 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 223.

28 Schlechtriem/Schwenzer, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., p. 957.

29 იქვე, p. 956-957.

ბამისად უნდა ისარგებლოს³⁰ (იხ. მე-3 ველი). მითითებული უფლების გამოყენების მიმართ მოვალეს რეალური ინტერესი უნდა ჰქონდეს, და არა მარტოდენ „კრედიტორისათვის“ ზიანის მიყენების მიზანი. თუ აშკარაა, რომ „კრედიტორს“ შესრულების დაყოვნებით გამოუსწორებელი ზიანი ადგება, ასეთ შემთხვევაში 369-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. უფრო მეტიც, ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლების გამოყენება არამართლზომიერია, თუ „მოვალის“ მიერ ამ უფლების გამოყენება „კრედიტორის“ მიერ ვალდებულების შესრულების შეფერხებას იწვევს.³¹ ამდენად, მართალია, „მოვალეს“ „კრედიტორის“ მიერ საპასუხო შესრულების განხორციელებამდე შესრულების დაყოვნების უფლება აქვს, თუმცა ეს უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზანსაც მოვალისათვის ამ უფლების მინიჭება ემსახურება. თუ „მოვალის“ მითითებული უფლების რეალიზაციით „კრედიტორს“ ზიანი ადგება, ასეთ შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს „მოვალის“ პატივსადები ინტერესი, რომლითაც გამართლებული იქნება „მოვალის“ მიერ ამ უფლების გამოყენება „კრედიტორის“ საზიანოდ. უფლების გამოყენების მიზანშეწონილობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლიობით უნდა დადგინდეს. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: „მოვალის“ ინტერესი, ხელშეკრულების დარღვევის ხარისხი, მასშტაბი, „კრედიტორისათვის“ შესრულების დაყოვნებით ზიანის მიყენების მოცულობა, „მოვალის“ მიერ შესრულების დაყოვნების უფლების გამოყენებლობის რისკი და ა. შ.

- 23 შესრულების დაყოვნების უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების არსი ისაა, რომ, მართალია, ნორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაჯეროვანი (ნაწილობრივი) შესრულების შემთხვევაშიც, თუმცა უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების პრინციპიდან გამომდინარე, შესრულების დაყოვნების უფლების გამოყენება შეიძლება არამიზანშეწონილი იყოს მაშინ, როდესაც ნაწილობრივი შესრულების პირობებში დარჩენილია შესასრულებელი ვალდებულების მხოლოდ მცირე ნაწილი.

VIII. დაყოვნების უფლების გამოყენების სამართლებრივი შედეგი

- 24 369-ე მუხლის საფუძველზე „კრედიტორს“ („ერთ მხარეს“) „მოვალის“ („მეორე მხარის“) მიერ შესრულების გადამდები, ანუ ე.წ. „სუსპენზიური შესაგებელი“ (ე.წ. „დაკავების უფლება“, „დაყოვნების უფლება“) წარედგინება. „მოვალე“ („მეორე მხარე“) უფლებამოსილია, ამ უფლების გამოყენების პარალელურად სასამართლოს მიმართოს და მოპასუხისათვის („კრედიტორისათვის“) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოვალეობის დაკისრება მოითხოვოს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელეს, ე.წ. „სუსპენზიური შესაგებლის“ გამოყენების გამო, მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია, ასეთ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს და ვალდებულების შესრულების მოვალეობას მოსარჩელისა („მოვალისა“) და მოპასუხისათ-

30 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 320, Rn. 39.

31 Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), 2000, p. 404.

ვის („კრედიტორისათვის“) ერთდროულად დაანესებს,³² ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე („კრედიტორი“) დაადასტურებს, რომ იგი ვალდებულებას იმიტომ არ ასრულებს, რომ მოსარჩელეს („მოვალეს“) წინმსწრებ რეჟიმში ეკისრება ვალდებულების შესრულება, სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს,³³ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის შესრულების ვადაც უკვე მოსულია, სასამართლო დაადგენს, რომ მოპასუხეს ვალდებულება უნდა დაეკისროს, თუმცა მას შემდეგ, რაც მოსარჩელე მასზე დაკისრებულ წინმსწრებ ვალდებულებას შეასრულებს, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, სასამართლო თავისივე გადაწყვეტილებით გადაწყვეტილების აღსრულების წესს დაადგენს.³⁴ **იდენტური შედეგი დგება, როდესაც მოსარჩელე „კრედიტორია“, რომელიც მოპასუხისაგან („მოვალისაგან“) ვალდებულების შესრულებას ითხოვს.** ასეთ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რატომ არ შეასრულა „მოვალემ“ მასზე დაკისრებული მოვალეობა. თუ მოვალის საპროცესო შესაგებელი 369-ე მუხლით მისთვის მინიჭებული „სუსპენზიური შესაგებლის“ უფლების გამოყენებას ეფუძნება, სასამართლომ „მოვალისა“ და „კრედიტორის“ მხრიდან ვალდებულების ერთდროულად შესრულების მოვალეობა უნდა დაადგინოს.³⁵ ამგვარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს გაცდენად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი) არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ გზით, საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებიდან გამომდინარე, თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი სამართალწარმოება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ მოპასუხე („მოვალე“) დაადასტურებს, რომ კრედიტორს პირველს უნდა შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულება.³⁶

თუ დასტურდება „მოვალის“ ვალდებულება თავისი მოვალეობის წინმსწრებად შესრულების თაობაზე, „კრედიტორის“ მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი ქმნის პრეზუმფციას, რომ **წინმსწრები ვალდებულება უკვე შესრულებულია.** მაგ., იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჯერ გამყიდველმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა (გადასცეს ნივთი) და შემდეგ მყიდველმა უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება ქონების გადაცემისთანავე.³⁷ არსებობს სასამართლო პრაქტიკაში გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, როდესაც მხარეთა შორის უძრავი ქონების თაობაზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ნასყიდობის საგანი მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ გადაეცემა საკუთრებაში, რაც იგი ნასყიდობის ფასს გადაიხდის; **სადავოობის შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი მყიდველის სახელზეა საკუთრების უფლებით რეგისტრირებული, იგულისხმება, რომ ნასყიდობის ფასის გადახდა, როგორც**

32 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 224.

33 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 18 მაისის N ას-476-450-2012 გადაწყვეტილება.

34 იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე და 263-ე მუხლები.

35 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 127, Rn. 11.

36 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 18 მაისის N ას-476-450-2012 გადაწყვეტილება.

37 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006. გვ. 131.

369-ე მუხლის შესაბამისად წინმსწრებად შესასრულებელი ვალდებულება, უკვე შესრულებულია. სასამართლოს განმარტებით, ამ სახელშეკრულებო დათქმით, ნასყიდობის ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი შემძენმა იკისრა, რაც ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემით გამოიხატა.³⁸ შესაბამისად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით ამკარად დგინდება შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობა, შემდგომი ვალდებულების შესრულებით იქმნება პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც, წინასწარ შესასრულებელი ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა.³⁹ თუმცა ნიშნდობლივია, რომ მითითებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა არ წარმოადგენს ერთიან განზოგადებულ სასამართლო პრაქტიკას, რომელიც შეიძლება, მოხსენიებულ იქნეს, როგორც „დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა“, ვინაიდან, სადავობის შემთხვევაში, თითოეული შესრულება მოითხოვს დადასტურებას (დამტკიცებას) და მარტოდენ ის ფაქტი, რომ შემდგომი ვალდებულება შესრულებულია, არ ნიშნავს, რომ წინმსწრები ვალდებულება შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

- 26 **მოვალე, რომელიც „სუსპენზიური შესაგებლის“ უფლებას იყენებს, თავისი ვალდებულების შესრულების ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა,** გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ეს ვალდებულება წინასწარ უნდა შეესრულებინა. უფრო მეტიც, მოვალეს, რომელსაც თავისი ვალდებულების წინასწარ შესრულების მოვალეობა ეკისრება, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა (იხ. მე-18 ველი), „სუსპენზიური შესაგებლის“ უფლება ისედაც არ გააჩნია. „სუსპენზიური შესაგებლის“ მართლზომიერად გამოყენების უფლება მოვალეს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან ათავისუფლებს, რადგან იგი ვადის გადამცილებლად არ მიიჩნევა (401). ამასთან, „მოვალე“ შესრულების დაყოვნების უფლების გამოყენებისას ვადაგადამცილებლად არ მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, იგი „კრედიტორს“ ამ უფლების გამოყენების თაობაზე ატყობინებს თუ არა. მითითებული წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც „მოვალის“ შესრულება „კრედიტორის“ შესრულებაზე დამოკიდებულია. ამის საპირისპიროდ, შეტყობინების ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც „მოვალე“ დაყოვნების უფლებას იმ ვითარებაში იყენებს, როდესაც მას ვალდებულება წინასწარ უნდა შეესრულებინა, თუმცა დაყოვნების უფლებით იმ საგამონაკლისო წინაპირობების არსებობისას სარგებლობს, როდესაც ამგვარი უფლების გამოყენება მისი მხრიდან მართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს (იხ. მე-18 ველი).

38 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის N ას-341-325-2011 გადაწყვეტილება.

39 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 აგვისტოს N ას-1065-999-2012 განჩინება.

მუხლი 370. სამომხმარებლო კრედიტი

1. სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია, უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.

2. ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, როცა კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებდა.

- I. ნორმის მიზანი431
- II. მუხლის მოქმედების ფარგლები432
- III. სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ფორმა.....434
- IV. სუბიექტები435
 - 1. კრედიტის გამცემი.....435
 - 2. კრედიტის მიმღები.....436
 - 3. გამყიდველი.....436
- IV. შესაგებლის უფლება.....437

I. ნორმის მიზანი

ნორმა აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც იდება ორი სამართლებრივად დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლებიც ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ, საერთო ჯამში, **ეკონომიკური ერთიანობა იქმნება**. ხელშეკრულებათა ტიპს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ერთი ხელშეკრულებით მეორე ხელშეკრულება ფინანსდებოდეს და ამ ორ ხელშეკრულებას შორის ეკონომიკური ერთიანობა არსებობდეს.¹ სამომხმარებლო კრედიტის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები, მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით, თვითმყოფადობით ხასიათდება, თუმცა მათ შორის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მჭიდრო სამართლებრივი ურთიერთკავშირია, და ეს ნათლად აისახება იმ სამართლებრივ შედეგებში, რაც ამ კატეგორიის ხელშეკრულებების დადებას, შესრულებას, დარღვევასა თუ შეწყვეტას მოჰყვება.

ნორმის მიზანი **საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებაა**. ნორმა, სამართლებრივი თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების ისეთ შესაძლებლობას იძლევა, რომლის საფუძველზეც მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობებში უფრო მარტივად შედიან, ვინაიდან

1 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 358, Rn. 2.

ასეთი კატეგორიის გარიგებებში ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების სამართლებრივი რისკები უფრო მეტადაა დაზღვეული.

- 3 სამოქალაქო ბრუნვა ურთიერთობათა ერთიან ციკლს მოიცავს, რომელშიც მოვალე პასუხისმგებელია მაშინაც, როცა შესრულების საგანი „სხვა პირისაგან“ უნდა მიეღო და ვერ მიიღო. სამომხმარებლო კრედიტის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური ურთიერთკავშირი გულისხმობს იმას, რომ „სხვა პირის“ შეუსრულებლობა მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს, ვინაიდან „სხვა პირთან“ სამართალურთიერთობაში შესვლის რისკებს, სამომხმარებლო კრედიტის გაცემის გზით, კრედიტის გამცემი იღებს. მსესხებელს კრედიტის გამცემის მიმართ იმავე შესაგებლის ნარდგენის უფლება აქვს, რაც „სხვა პირის“ მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, იმ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების მხარეა, რომელთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის მიზნითაც კრედიტის მიმღებმა (მსესხებელმა) სესხი (კრედიტი) აიღო.
- 4 ნორმას **დაცვითი ფუნქცია** აქვს. ნორმა მომხმარებელს იმ განსაკუთრებული საფრთხისაგან იცავს, რომელიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთიანი გარიგების ნასყიდობისა (საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების განწევის სხვა ხელშეკრულების) და სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებებზე დაყოფით შეიძლება წარმოიშვას.² სწორედ დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ნორმა ერთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მეორე ხელშეკრულებაზეც ავრცელებს. უფრო მეტიც, ნორმა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ნასყიდობის (საქონლის მიწოდებისა თუ სხვა სახის მომსახურების) ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებაზეც გაავრცელოს.³

II. მუხლის მოქმედების ფარგლები

- 5 370-ე მუხლი ანესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლებიც, ეკონომიკური თვალსაზრისით, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ხელშეკრულებათა მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ამ სამართალურთიერთობის ერთიან ხელშეკრულებად აღქმის შესაძლებლობას იძლევა, რაც, საერთო ჯამში, კანონმდებლის მიერ სამომხმარებლო კრედიტად არის წოდებული.
- 6 ხელშეკრულებათა ერთიანი ეკონომიკური კავშირი ის ძირითადი ინდიკატორია, რითაც 370-ე მუხლით გათვალისწინებული სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება საბანკო ურთიერთობებში მოქმედი სამომხმარებლო კრედიტის ცნებისაგან განსხვავდება (შემდგომში – **მარტივი სამომხმარებლო კრედიტი**). მარტივი სამომხმარებლო კრედიტი, რომელიც საბანკო პრაქტიკაში „სამომხმარებლო სესხადაც“⁴ იწოდება, არის კრე-

² იქვე, Rn. 1.

³ კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 256-257.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის საიტი: <http://nbg.gov.ge/cp/index.php?m=529> (ბოლოს ნანახია:

დიტი, რომელსაც მომხმარებელი პირადი მოხმარებისათვის, გარკვეული საქონლის ან მომსახურების შესაძენად იღებს. მარტივი სამომხმარებლო კრედიტით მომხმარებელს შეუძლია, უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, წვრილმანი საოჯახო ნივთების, ყოველდღიური მოხმარების საგნების, მოგზაურობის და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. მარტივი სამომხმარებლო კრედიტი, როგორც წესი, მოკლევადიანია და, შესაბამისად, ყველაზე ძვირი სხვა სესხებთან (კრედიტებთან) შედარებით. საპროცენტო განაკვეთი, ძირითადად, დამოკიდებულია სესხის ვადაზე, მოცულობასა და მომხმარებლის შემოსავალზე.⁵ მარტივი სამომხმარებლო კრედიტი (სესხი), როგორც წესი, არაუზრუნველყოფილია და მხოლოდ ფიზიკურ პირებზე გაცემა. საბანკო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტერმინი – სამომხმარებლო კრედიტი (აქ მარტივი სამომხმარებლო კრედიტი) არ ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას იმ ხელშეკრულებებთან, რა მიზნითაც კრედიტის მიმღები სამომხმარებლო კრედიტს იღებს. მართალია, სამომხმარებლო კრედიტი მიზნობრივია, თუმცა კრედიტის მიმცემი ამ მიზნის მიღწევის გარანტიას არ იძლევა და არც მიზნის მიუღწევლობის რისკებს იღებს თავის თავზე. იგი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს არც იმ მესამე პირის მონაწილეობას იყენებს, რომელთანაც მსესხებელი მიზნობრივი კრედიტის საფუძველზე სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის. შესაბამისად, თუ, სესხის მიზნობრიობიდან გამომდინარე, სესხის მიმღებს მესამე პირმა ხელშეკრულება დაურღვია, რის საფუძველზეც სესხის მიმღებს მის მიმართ დასაბუთებული შესაგებლის წარდგენის უფლება წარმოეშვა, სესხის მიმღები ამ შესაგებლით საკრედიტო დანესებულების წინააღმდეგ ვერ ისარგებლებს. ამდენად, ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიურ კონტექსტში მარტივი სამომხმარებლო კრედიტი (სესხი) **მიზნობრივია**, თუმცა მიზნობრივ ხელშეკრულებასთან ერთად, ეკონომიკურ ერთიანობას არ ქმნის, რადგან **მიზნობრივი ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელია, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით**. მაგ., თუ ტურისტი, ტურისტული მოგზაურობისათვის მიზნობრივი სესხის მიღების შემთხვევაში, ტურისტული საწარმოს მომსახურებით უკმაყოფილო იქნება, საკრედიტო დანესებულებას სესხის მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნებაზე ან სარგებლის გადახდაზე უარს ვერ ეტყვის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მას ტურისტული საწარმოს მიმართ შესაგებელი კრედიტის გამცემის მიმართ შესაგებლის წარდგენის უფლებას არ წარმოუშობს.

370-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტი ორი თვისებრივად დამოუკიდებელი, თუმცა ერთმანეთზე ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებული ხელშეკრულებისაგან შედგება. ეს ხელშეკრულებები ნორმის ტექსტში სახელდებით არის მოცემული – **საბანკო კრედიტისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები**. დასახე-

12.05.2019).

5 საქართველოს ეროვნული ბანკის საიტი: <http://nbg.gov.ge/cp/index.php?m=529> (ბოლოს ნანახია: 12.05.2019).

ლებულ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთიანობა გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ კრედიტი შესასყიდი ფასის დაფინანსებას ემსახურება, არამედ იმითაც, რომ კრედიტის გამცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებს.⁶

- 8 370-ე მუხლის ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, ნაცვლად საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისა, შეიძლება არსებობდეს სესხის ხელშეკრულება (623), ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ნაცვლად – საქონლის მიწოდების სხვა ხელშეკრულება ან მომსახურების განწევის შესახებ ხელშეკრულება.⁷ 370-ე მუხლის შემადგენლობას იძლევა დასახელებულ ხელშეკრულებათა ისეთი ურთიერთკავშირი, როდესაც სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ მეორე ხელშეკრულების დაფინანსებას ემსახურება და ორივე ხელშეკრულება ეკონომიკურ ერთიანობას ქმნის.⁸
- 9 ამდენად, 370-ე მუხლის როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი ახნა-განმარტების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება ისეთ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთიანობაა, როდესაც ერთი ხელშეკრულებით (სესხი, საბანკო კრედიტი) მეორე ხელშეკრულება (ნასყიდობა, საქონლის მიწოდების ან მომსახურების განწევის სხვა ხელშეკრულება) ფინანსდება.

III. სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების ფორმა

- 10 ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს. იგი **ერთიანი, სამმხრივი ხელშეკრულების** სახით შეიძლება დაიდოს, რომელსაც ორივე ხელშეკრულების მხარეები მონაწილეობენ ხელს. ამგვარად გაფორმებულ სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში მოცემულია როგორც საბანკო კრედიტის (სესხის), ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების (საქონლის მიწოდების ან მომსახურების განწევის სხვა ხელშეკრულებების) არსებითი პირობები. ხელშეკრულებას კი ხელს აწერენ როგორც კრედიტის გამცემი (გამსესხებელი), ასევე კრედიტის მიმღები (მსესხებელი) და გამყიდველი (მენარდე, ტურისტული საწარმო და ა. შ).
- 11 სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება **ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულების ფორმითაც** შეიძლება დაიდოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები ისეთ დებულებებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთა შინაარსი ხელშეკრულებათა ერთიანი ეკონომიკური კავშირის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, მხარეები სახელშეკრულებო პირობებს უნდა იცნობდნენ, უფრო მეტიც, **გამყიდველი** (საქონლის მიმწოდებელი, მომსახურების გამწვევი) **საკრედიტო ხელშეკრულების მომზადებასა და დადებაში უნდა იყოს ჩართული**. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების გაცნობა და,

6 ზონდ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 370, გვ. 301.

7 Habersack, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 358, Rn. 11.

8 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 256.

თუნდაც, მისი მომზადების პროცესში ჩართულობა იმ პირთათვის, რომლებიც ხელშეკრულებას ხელს არ აწერენ, ან ზეპირი ხელშეკრულების არსებობის პირობებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების კისრებას (აღებას) სხვაგვარად არ აღიარებენ, მათთვის ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმომშობი ვერ იქნება. შესაბამისად, ერთიანი ეკონომიკური კავშირის დადგენის მიზნებისათვის აუცილებელია ორი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების არსებობა, რომელთაც ეკონომიკურ ერთობაში მონაწილე ყველა მხარე აწერს ხელს. ამ წესიდან გამონაკლისი თვით მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დაწესდეს, მაგ., როდესაც საკრედიტო (სესხის) ხელშეკრულება შეიცავს ისეთ დათქმას, რომლის მიხედვითაც საკრედიტო (სესხის) ხელშეკრულების მხარეები დაკავშირებული გარიგების (ნასყიდობა, ტურისტული მომსახურება და ა.შ.) პირობებს იცნობენ და მას წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილად აღიარებენ.

IV. სუბიექტები

მუხლის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების მიხედვით, მუხლში მოხსენებული სუბიექტები არიან **კრედიტის გამცემი, კრედიტის მიმღები და გამყიდველი**. ამ სამართალურთიერთობაში მოიაზრება მყიდველიც, რომელიც საკრედიტო ურთიერთობის ნაწილში კრედიტის მიმღებია. 12

1. კრედიტის გამცემი

კრედიტის გამცემი არის ბანკი ან სხვა ისეთი დაწესებულება, რომელსაც ანაბრების მიღების ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზია აქვს. კრედიტში საბანკო კრედიტი იგულისხმება, რომელიც, თავისი არსით, დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფადობისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა.⁹ საბანკო კრედიტი სასესხო ურთიერთობის სპეციფიკური გამოვლინებაა. მას ჩვეულებრივი სესხისაგან განსხვავებული თავისებურებები ახასიათებს: საკრედიტო ურთიერთობაში ერთ-ერთ აუცილებელ მხარედ ყოველთვის გამოდის ბანკი ან ისეთი დაწესებულება, რომელსაც ანაბრების მიღების ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზია აქვს.¹⁰ ასეთია კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. 370-ე მუხლის კონტექსტში კრედიტის გამცემად **მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტების** მიჩნევა ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან მომდინარეობს და, ძირითადად, ნორმის ტექსტში სასესხო ურთიერთობის სახედ საკრედიტო ურთიერთობის მითითებას ეფუძნება, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც, სამომხმარებლო კრედიტის გამცემია **ნებისმიერი მენარმე ან პროფესიონალი კრედიტის გამცემი**, კრედიტი კი არის არა მარტო სესხი, არამედ ყველა სხვა გადახდის გადა-

9 „საქართველოს ორგანული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

10 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 867, გვ. 194.

ვადება და ფინანსური დახმარება.¹¹ 370-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, ეს მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს და კრედიტის გამცემის ცნება უნდა გაფართოვდეს. მასში უნდა მოიაზრებოდეს არა მხოლოდ ანაბრების მიღების, ანდა ფულადი სახსრების გაცემის ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, არამედ ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც სესხს მიზნობრივად გასცემს და, ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაგებელზე პასუხისმგებლობას იღებს.

2. კრედიტის მიმღები

- 14 საბანკო ურთიერთობებში დამკვიდრებული ტერმინის შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის მიმღები მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს.¹² თუმცა ნორმით რეგულირებული სამართალურთიერთობა განსხვავდება ხსენებული სამომხმარებლო კრედიტის (სესხის) ხელშეკრულებისაგან. შესაბამისად, 370-ე მუხლის კონტექსტში სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში სამომხმარებლო კრედიტის მიმღები შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელსაც კრედიტი არსებობისათვის სჭირდება.¹³ 370-ე მუხლის დანიშნულებიდან გამომდინარე, ეს წრე კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და მას ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი უნდა დაემატოს, რომელთაც სესხი (კრედიტი) მხოლოდ არსებობისათვის კი არა, არამედ სამენარმეო საქმიანობის წარმართვის მიზნით სჭირდება. მაგ., სესხის სახით მიღებული თანხით შესყიდულ პროდუქციას სესხის (კრედიტის) მიმღები პირადი მოხმარებისათვის კი არ იყენებს, არამედ ამ პროდუქციით სარეალიზაციოდ გასატან მზა ნაწარმს ამზადებს. იურიდიულ ლიტერატურაში სესხის მიმღები (კრედიტის მიმღები), ხშირად, მომხმარებლად მოიხსენიება.¹⁴

3. გამყიდველი

- 15 370-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის ფარგლებში საკრედიტო ხელშეკრულებასთან ეკონომიკურ კავშირში არსებული ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებაა, შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, კრედიტის გამცემსა და კრედიტის მიმღებთან ერთად, რომელიც თავის მხრივ, მყიდველიცაა, **ეკონომიკური ერთიანობის მონაწილედ გამყიდველიც განიხილება**. თუმცა ნორმის მიზნიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, საკრედიტო (სასესხო) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ **საქონლის მიწოდების**

11 Schellhammer, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen 1994, S. 130; ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 370, გვ. 301.

12 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის N35/14 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვესასა მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი.

13 Schellhammer, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen 1994, S. 130; ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 370, გვ. 301.

14 კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 258.

სხვა ხელშეკრულება, ასევე მომსახურების ხელშეკრულებები. ამდენად, სამომხმარებლო კრედიტის სუბიექტი, გარდა კრედიტის გამცემისა (გამსესხებელი) და კრედიტის მიმღებისა (მსესხებელი), გამყიდველიც არის. დაკავშირებული ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, სამომხმარებლო ხელშეკრულების მონაწილე, ნაცვლად გამყიდველისა, შეიძლება იყოს: მენარდე, ტურისტული საწარმო და ა.შ. გამყიდველი იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად მენარმედ მოიხსენიება.¹⁵

IV. შესაგებლის უფლება

ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებათა ეკონომიკური ერთობის დროს (სამომხმარებლო კრედიტი) ერთ ხელშეკრულებაზე გაცხადებული უარი მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაზეც ვრცელდება და ორივე ხელშეკრულება უკუქცევის რეჟიმში გადადის.¹⁶ ერთი ხელშეკრულების მიმართ არსებული შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე იცავს მსესხებელს (კრედიტის მიმღებს) სესხის (კრედიტის) უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან იმ შემთხვევებში, როდესაც ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების მხარე (გამყიდველი, ტურისტული მომსახურების მომწიკობი და ა.შ.) ვალდებულებას ჯეროვნად არ ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე გამოიყენება მხოლოდ ნასყიდობის (საქონლის სხვა სახის შეძენის ან მომსახურების განევის) ხელშეკრულების ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში. ნაკლოვანი შესრულების გამო წარმოშობილი შესაგებელი ვრცელდება სესხის (კრედიტის) ხელშეკრულებაზე, და არა პირიქით (სესხიდან გამომდინარე შესაგებელი არ ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებაზე).¹⁷

ნორმით გათვალისწინებული შესაგებლის გავრცელების მიზანია, რომ ეს ნორმა იცავს მსესხებელს (კრედიტის მიმღებს) სესხის (კრედიტის) სახით მიღებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან, მაშინ, როდესაც გამყიდველმა (მომსახურების გამწვემა და ა. შ.) მასზე დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა, ან არაჯეროვნად შეასრულა. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი (კრედიტის მიმღები) უფლებამოსილია, **მართლზომიერი შესაგებლის არსებობის პირობებში, უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რითაც იგი სესხის (კრედიტის) დაბრუნების ვალდებულებისაგან თავისუფლდება და სესხის (კრედიტის) გამცემს სესხის დაფარვის მოთხოვნის უფლება გამყიდველის მიმართ წარმოეშობა.** ამდენად, **370-ე მუხლი მოქმედებს მაშინ, როდესაც სახეზეა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულების ურთიერთკავშირი, სადაც სესხი (კრედიტი) გაიცემა მხოლოდ იმიტომ, რომ დაიდოს მასთან ეკონომიკურად დაკავშირებული ნასყიდობისა თუ სხვა სახის ხელშეკრულება.** ნიშანდობლივია, ასევე, რომ ნორმის გამოყენების ფარგლებში გამსესხებელი და გამყიდველი, როგორც წესი, ურთიერთდაკავშირებული სუბიექტები

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე, გვ. 256.

¹⁷ იქვე, გვ. 258.

არინ და მათ შორის შემდეგი სახის ეკონომიკური შეთანხმება (გათვლა) არსებობს: მომხმარებლის დაფინანსება ამა თუ იმ გარიგების დადების მიზნით (ხელშეკრულების დადების წახალისება), რის შედეგადაც მომხმარებელმა მენარმისაგან ჯეროვანი შესრულება უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მენარმე თავად იღებს სესხისა და მასთან დაკავშირებული დანახარჯების გამსესხებლისათვის (დამფინანსებლისათვის) დაბრუნების ვალდებულებას. ამდენად, ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებული გარიგებით, მომხმარებლის მხრიდან **სესხის აღების რისკი**, რომელიც მიზნობრივი ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით არის განპირობებული, გამსესხებლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით არის დაზღვეული.

18 მომხმარებელი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება გამსესხებლისათვის თანხის დაბრუნების ვალდებულებისაგან, როდესაც სესხის (საკრედიტო) ხელშეკრულება ნამდვილია და მისი შესაგებელი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე, მართლზომიერია, ანუ როდესაც კრედიტი (ნასესხები თანხა) მენარმეს გამსესხებლისაგან უკვე მიღებული აქვს, თუმცა იგი მომხმარებელს ხელშეკრულების შესაბამის საპასუხო შესრულებას არ სთავაზობს.¹⁸

19 ნამდვილი გარიგების არსებობისას გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გადახდილი თანხის უკან გამოთხოვა დაუშვებელია. **მხოლოდ ბათილი გარიგება იძლევა გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას (385)**. სხვა შემთხვევაში, გამსესხებლის მოთხოვნა მომხმარებლის მიმართ სესხის დაფარვის თაობაზე ვალდებულების შესრულებას ემსახურება (361). რაც შეეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად გამსესხებლის მიერ მომხმარებლისათვის გასესხებული თანხის უკან დაბრუნებას, ეს მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მომხმარებლის მიმართ და არა მენარმის წინააღმდეგ საფუძვლიანი, თუ სახეზე არ არის მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გამსესხებელი მსესხებელს თანხის უკან დაბრუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსთხოვს, თუ გამსესხებელი მსესხებლის (მომხმარებლის) მიერ ვადაგადაცილების (ან სხვა დარღვევის) გამო გავიდა ხელშეკრულებიდან, ხოლო თუ ხელშეკრულებიდან მსესხებელი (მომხმარებელი) გავიდა ნასყიდობიდან (ან სხვა დაკავშირებული გარიგებიდან) გამომდინარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ასეთ შემთხვევაში იგი სესხად მიღებული თანხის დაბრუნების ვალდებულებისაგან თავისუფლდება. ასეთ შემთხვევაში გამსესხებელი მოთხოვნას დაკავშირებული გარიგების კრედიტორის მიმართ იძენს (მაგ., გამყიდველი).

18 BGH aaO Nr 56; aA BGH NJW 2003, 2821, 2823f; Bartels, Einwendungs- und Rückforderungsdurchgriff beim Verbraucherfinanzierungsleasing nach § 506 BGB n.F., ZGS 2009, S. 544, 547 f; კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 259.

მუხლი 371. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

1. თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.

2. კრედიტორს შეუძლია, არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.

- I. ნორმის მიზანი439
- II. ვალდებულების შესრულება პირადად.....440
- III. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ441
 - 1. მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაცნობიერებულად შესრულება.....441
 - 2. მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაუცნობიერებლად შესრულება.....442
 - 3. მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას444
- IV. ვალის გადაკისრებისა და მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ურთიერთგამიჯვნა444
- V. სარჩელთა დუბლირება.....445

I. ნორმის მიზანი

ვალდებულება შეიძლება შესრულდეს როგორც პირადად მოვალის, **1 ასევე მესამე პირის მიერ**. ვალდებულების პირადად (უშუალოდ მოვალის მიერ) შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მოვალეს ე.წ. „პირადი“ შესრულების ვალდებულება უშუალოდ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ეკისრება. ამდენად, კრედიტორის უფლებას, მიიღოს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, უპირისპირდება მოვალის უფლება, შესრულება განახორციელოს როგორც პირადად, ასევე მესამე პირის მეშვეობით. კრედიტორს უფლება არ აქვს, უარი თქვას მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღებაზე, თუ არ არსებობს უშუალოდ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მოვალეობა. შესაბამისად, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვალდებულების დარღვევად ითვლება, თუ იგი არ იღებს მესამე პირის მიერ მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, თუ, რა თქმა უნდა, მას კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე, უფლება არ აქვს, უარი თქვას მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღებაზე.

კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვალდებულების დარღვევად **2** არ მიიჩნევა მესამე პირის შესრულების მიღებაზე უარის თქმა, მაშინ როდესაც ვალდებულების პირადად შესრულების მოვალეობა კანონისმიერი პირობაა, მომდინარეობს ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების პირადად მოვალის მიერ შესრუ-

ლების მოთხოვნის უფლების მქონე პირია კრედიტორი, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია, მიიღოს მესამე პირის მიერ განხორციელებული შესრულება მაშინაც, როდესაც ასეთ შესრულებაზე უფლებამოსილი პირი კანონის, ხელშეკრულებისა თუ ვალდებულების არსის მიხედვით, მხოლოდ მოვალეა.

- 3 განსახილველი ნორმით არ არის გათვალისწინებული, კონკრეტულად რა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა არსებობდეს კრედიტორსა და მოვალეს შორის. ეს ნორმა მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, მოვალემ პირადად შეასრულოს ეს ვალდებულება.¹

II. ვალდებულების შესრულება პირადად

- 4 როგორც წესი, კრედიტორისათვის სულ ერთია, ვინ ასრულებს ვალდებულებას.² თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ვალდებულების შესრულების უფლებამოსილება აქვს როგორც პირადად მოვალეს, ასევე მესამე პირს. ვალდებულების პირადად შესრულების მოვალეობა შეიძლება მომდინარეობდეს **უშუალოდ კანონიდან**. ამგვარი კანონისმიერი დანაწესის არსებობის პირობებში ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი ამას დასაშვებად მიიჩნევს და იმ წესით, რასაც კანონი მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის ადგენს (711 I, 766 I). **ვალდებულების არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების შეცილებაზე უფლების მქონე სუბიექტია კრედიტორი**, შესაბამისად, მას აქვს უფლება, ვალდებულების შესრულება მესამე პირისაგან მიიღოს მაშინაც, როდესაც პირადად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება მომდინარეობს კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან. მაგ., შემკვეთმა მენარდეს (მღებავს) დაავალა ჭერის შეღებვა. მღებავი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ ასწრებდა დათქმულ დროს სამუშაოს შესრულებას, ამიტომ მეგობარ სანტექნიკოსს სთხოვა ჭერის შეღებვა შემკვეთის მიერ შეპირებული ანაზღაურების სანაცვლოდ. სანტექნიკოსმა ჭერი შეღება. მენარდემ მიიღო სანტექნიკოსის მიერ შესრულებული სამუშაო და გადაუხადა მას მღებავისათვის შეპირებული საზღაური. აღსანიშნავია, რომ შემკვეთს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ჰქონდა მღებავის მიერ სამუშაოს პირადად შესრულების მოთხოვნის უფლება, თუმცა მან მესამე პირის შესრულება მიიღო, მაშინ როდესაც კანონი, სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულებას აწესებს (632).

- 5 მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულების მოვალეობა შეიძლება მომდინარეობდეს უშუალოდ **ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან**. მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულების

1 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის N ას-760-976-08 განჩინება.

2 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2014, S. 114, Rn. 3.

სავალდებულოობა შეიძლება პირდაპირ იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულებაში. ვალდებულების პირადად შესრულების მოვალეობა ვალდებულების არსიდანაც შეიძლება იკვეთებოდეს. თუ შესრულების არსს ვალდებულები პირი განსაზღვრავს, იგულისხმება, რომ მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულება ვალდებულების არსიდან მომდინარეობს. მაგ., როდესაც კაბის შეკერვის დაკვეთა კონკრეტულ დიზაინერთან ხდება, ეს ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულად ამ დიზაინერის მიერ სამუშაოს შესრულება მისი პროფესიონალიზმით, სახელით, ცნობადობით არის განპირობებული, შესაბამისად, დამკვეთს აქვს მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულების ინტერესი.

III. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

1. მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაცნობიერებულად შესრულება

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ მესამე პირი სხვის ვალდებულებას **გაცნობიერებულად ასრულებდეს**.³ სადავოობის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა შინაგან ნებას, არამედ გამოხატულ, ობიექტურად აღქმად ნებას, ანუ მესამე პირს უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ე.წ. „ვალის დაფარვისაკენ მიმართული ინტერესი (*Tilgungsbestimmung*).“⁴ ამასთან, გამოხატული ნება უნდა იყოს თავისუფალი და ნამდვილი. ამდენად, სხვისი ვალდებულების შესრულებაზე დავის შემთხვევაში მესამე პირის ნების შემონიშნა აუცილებელია.⁵ თუ მესამე პირი სხვის ვალდებულებას გაცნობიერებული ნების საფუძველზე ასრულებს, ვალდებულებითი ურთიერთობა კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება) წყდება (427). ასეთ შემთხვევაში მესამე პირს მოვალისაგან უკუმოთხოვნის უფლება წარმოეშობა. უკუმოთხოვნა შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, მაგ.: დავალება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ. უკუმოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სამართალურთიერთობის ფარგლებში მოხდა მესამე პირის მიერ სხვისი (მოვალის) ვალდებულების შესრულება.

მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაცნობიერებულად შესრულების შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რატომ (რა დაინტერესებით) ასრულებს მესამე პირი მოვალის ვალდებულებას. შესაბამისად, ამ ინტერესის დაუკმაყოფილებლობა განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვას ან შესრულების სანაცვლოდ საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს.⁶ მაგ., თუ უძრავი ქონების მყიდველის

3 Brox/Rüthers/Hensler, ArbR, Rn. 193 nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2014, S. 114, Rn. 3.

4 Kropholler, Studienkommentar BGB, 12. Aufl., 2010, § 267, Rn. 2.

5 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის N ას-760-976-08 განჩინება.

6 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 მარტის N ას-1642-1539-2012

ნაცვლად თანხას მესამე პირი გადაიხდის იმ დაინტერესებით, რომ შემდგომში მყიდველი მას თავის საკუთრებაში არსებულ სხვა უძრავ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს და ეს უკანასკნელი დანაპირებს არ შეუსრულებს, მესამე პირი კრედიტორს (გამყიდველს) გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ვერ მოსთხოვს, მას უფლება აქვს, მესამე პირისაგან (მყიდველისაგან) უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხის ანაზღაურება მოითხოვოს (986).

- 8 მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაცნობიერებულად შესრულება ვალდებულების შეწყვეტას იწვევს მაშინაც, როდესაც **მესამე პირი სხვის ვალდებულებას სხვა შესრულებით ასრულებს.**⁷ მაგ., მსესხებლის ძმისშვილი მამიდის ვალის დაფარვის მიზნით თავის უძრავ ქონებას გადასცემს გამსესხებელს, რითაც სესხის ხელშეკრულება წყდება. მესამე პირის მიერ სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტილად მიჩნევის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ მესამე პირი სხვის ვალდებულებას გაცნობიერებულად ასრულებდეს (371). გარდა ამისა, კრედიტორი თანახმა უნდა იყოს სხვა შესრულების მიღებაზე, ვინაიდან კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება (378). ამდენად, ვალდებულებითი ურთიერთობა სხვა შესრულებით წყდება მაშინ, თუ კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებას მიიღებს (428).

2. მესამე პირის მიერ სხვისი ვალდებულების გაუცნობიერებლად შესრულება

- 9 თუ მესამე პირი სხვის ვალდებულებას გაუცნობიერებლად ასრულებს, მაგ., მესამე პირი მოვალის ვალდებულებას შეცდომით თავისად მიიჩნევს, **ასეთი შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს, თუ, რაღა თქმა უნდა, მესამე პირის ნება შემდგომში სხვისი ვალის შესრულების ნებად არ გარდაიქმნა.**⁸ ვალდებულების გარეშე შესრულება მესამე პირს ვითომ კრედიტორისაგან უკუმოთხოვნის უფლებას ანიჭებს (967 I). მესამე პირი უფლებამოსილია, ასევე ვალდებულ პირს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება მოსთხოვოს (986). ამასთან, მესამე პირის გაუცნობიერებელი შესრულება კრედიტორის მიმართ ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს, თუ მესამე პირი ვალდებული პირის სასარგებლო შესრულებას დაეთანხმება (ნებას დაადასტურებს), რითაც უარს იტყვის კრედიტორისაგან (ვითომ კრედიტორისაგან) ვალდებულების გარეშე შესრულების უკუმოთხოვნის უფლებაზე.⁹ ასეთ შემთხვევაში მესამე პირი მოთხოვნის უფლებას, უსაფუძვლოდ დაზოგილის საფუძვლით, მოვალის მიმართ ინარჩუნებს (986). შეცდომით შესრულებული ვალდებულება, გაუცნობიერებელი ნების დადასტურების შემდეგ, სხვისი ვალის განზრახ შესრულებად ტრანსფორმირდება, თუმცა ამავე მუხლის რეგულირების ფარგლებში რჩება (986).

განჩინება.

7 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის N ას-435-407-2010 განჩინება.

8 Brox/Walker, BS, § 37 Rn. 1 ff nach Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, Aufl. 34., 2010, S. 115, Rn. 4.

9 BGH NJW 1964, 1898, 1983, 814 nach Kropholler, Studienkommentar BGB, 12. Aufl., 2010, § 267, Rn. 2.

მართალია, მესამე პირის მიერ გაუცნობიერებლად სხვისი ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს, თუმცა ამ წესს არაარსებითად აქცევს კრედიტორის კეთილსინდისიერება. შესაბამისად, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შეწყვეტილად მიჩნევის მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მესამე პირის ნების გამოვლენის ცნობიერ ხასიათს, არამედ ნების მიმღების სუბიექტურ შეფასებას შესრულების მიმართ. ამდენად, შეცდომით სხვისი ვალის გასტუმრების შემთხვევაში მოვალის ვალდებულება კრედიტორის მიმართ **შენწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს**, თუკი შემსრულებლის მოქმედებიდან, მისი ნების გამოვლენიდან კრედიტორს შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სხვის ვალეებს ასრულებდა,¹⁰ შესაბამისად, მესამე პირის მხრიდან მოვალის მიმართ უკუმოთხოვნა, ვალდებულების არარსებობის საფუძვლით, დაუშვებელია (976 II გ). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი ვალდებულების გარეშე შესრულების ანაზღაურების უფლებას ინარჩუნებს მოვალის მიმართ, რომელმაც მესამე პირს უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხა უნდა აუნაზღაუროს (986).

10

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც **მესამე პირი სხვის ვალდებულებას ასრულებს, რისთვისაც იგი გარკვეულ ხარჯებს სწევს**, მაგ., იღებს პროცენტთან სესხს. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირის უკუმოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ უსაფუძვლოდ დაზოგილის საფუძვლით ვრცელდება მხოლოდ იმ თანხაზე, რომლის გადახდითაც მოვალის ქონებრივი ინტერესი დაიზოგა, რაც შეეხება ამ თანხის მოსაპოვებლად განეულ ხარჯებს, მისი ანაზღაურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით შეასრულა მესამე პირმა მოვალის ვალდებულება. თუ მოვალესა და მესამე პირს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, თუმცა მესამე პირი გაცნობიერებულად ისტუმრებს მოვალის ვალს, ასეთ ვითარებაში უნდა დადგინდეს, თუ რა აუცილებლობით არის განპირობებული მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება და ვალდებულების შესასრულებლად ხარჯის განევა, ამასთან, ამ აუცილებლობის თაობაზე ინფორმირებული არის თუ არა მოვალე. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა დამატებითი ხარჯის განევის აუცილებლობა მესამე პირის ვალდებულების შესასრულებლად, რომლის თაობაზეც ინფორმირებული იყო მოვალე, ეს უკანასკნელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მესამე პირს ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მან მოვალის ვალდებულების შესასრულებლად განიცადა. ამასთან, თანხა, რომელიც მესამე პირმა კრედიტორს გადაუხადა, მოვალის ქონების დაზოგვას იწვევს და, შესაბამისად, დაზოგილის საფუძვლით ექვემდებარება ანაზღაურებას, ხოლო იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც მოვალემ აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად გასწია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ აუცილებელი იყო ამ ხარჯის განევა ვალდებულების შესასრულებლად და ინფორმირებული იყო თუ არა მოვალე ვალდებულების შესრულების მიზნით დამატებითი ხარჯის

11

10 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 371, გვ. 304.

განევის გარდაუვალობაზე. საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, დამატებითი ხარჯის განევის აუცილებლობა და მოვალის ინფორმირებულობა მესამე პირის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია. თუ მესამე პირმა ვერ დაადასტურა მოვალის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ხარჯების განევის აუცილებლობა და მოვალის ინფორმირებულობა, მითითებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მოვალეს არ ეკისრება (973, 974).¹¹

3. მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას

12 მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ნამდვილობისათვის მოვალის თანხმობა საჭირო არ არის.¹² უფრო მეტიც, კრედიტორი უფლებამოსილია, მესამე პირის მიერ შემოთავაზებული შესრულება მიიღოს მაშინაც, როდესაც მოვალე ამის წინააღმდეგია. მოვალის წინააღმდეგობა კრედიტორს წარმოუშობს უფლებას და არა ვალდებულებას, არ მიიღოს მესამე პირისაგან შეთავაზებული შესრულება (271 II). ასეთ შემთხვევაში, შეთავაზებული შესრულების მიღებაზე უარის თქმა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად არ მიიჩნევა (390 I).

13 **ზოგ შემთხვევაში, კრედიტორი არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია, მოვალის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღოს შესრულება.** ამგვარი ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც მესამე პირი მოვალის ვალდებულებას ასრულებს არა სხვისი ვალდებულების შესრულების საფუძვლით, არამედ საკუთარი ქონებრივი ინტერესის დასაცავად (იხ. 372-ე მუხლის კომენტ.). ასეთ შემთხვევაში შეთავაზებული შესრულების მიღებაზე უარის თქმა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად მიიჩნევა (390 I).

IV. ვალის გადაკისრებისა და მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ურთიერთგამიჯვნა

14 თუ ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებულია ვალდებული პირი (პირები), ეს დათქმა ხელშეკრულების არსებითი პირობაა, რომლის შეცვლა ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით არის შესაძლებელი (327 I). უფრო მეტიც, კონტრაჰენტის არჩევა სახელშეკრულებო თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამა თუ იმ პირთან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა თავისთავად გულისხმობს კონტრაჰენტის მიმართ ნდობის გარკვეული სტანდარტის არსებობას, შესაბამისად, მხარე იმიტომ დებს ამ პირთან და არა სხვა პირთან ხელშეკრულებას, რომ აქვს მისგან ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოლოდინი, ან ვარაუდობს, რომ მას მეტი ქონებრივი შესაძლებლობა, მეტი უზრუნველყოფის გარანტია აქვს და ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხის იძულებითი წესით

11 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 13 სექტემბრის N 2ბ/4018-13 განჩინება.

12 Staudinger, in Staudinger BGB, 12. Aufl., II Buch, § 267, Rn. 1.

ამოღებას შეძლებს.¹³ შესაბამისად, ხელშეკრულებაში მითითებული მსესხებელია ვალდებული, დააბრუნოს ნასესხები თანხა და არა მესამე პირი, რომლის პირადი საჭიროებისთვისაც აიღო მსესხებელმა ეს თანხა. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც გამსესხებელი ინფორმირებულია, რომ მსესხებელმა თანხა მესამე პირისათვის გადასაცემად აიღო.¹⁴

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულებაში ვალდებული პირის შეცვლა, ე. წ. ვალის გადაკისრება და მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება. მესამე პირის მიერ შესრულება განსხვავდება ვალის გადაკისრებისაგან. ეს უკანასკნელი არის განკარგვით გარიგება, რომელიც აბსოლუტურად ცვლის ურთიერთობის სუბიექტებს.¹⁵ მთავარი განსხვავება, რასაც სასამართლო პრაქტიკაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ისაა, რომ მოვალის შეცვლა, ანუ ვალის გადაკისრება, მხოლოდ კრედიტორის თანხმობით არის შესაძლებელი (204), მაშინ, როდესაც მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის თანხმობას არ საჭიროებს, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან მოვალის მიერ ვალდებულების უშუალოდ შესრულების მოვალეობა არ გამომდინარეობს (367 I). მაგ., სესხის ხელშეკრულების არსებობის პირობებში მსესხებლის მიერ მისი ვალდებულების მესამე პირისათვის გადაცემის ნამდვილობა გამსესხებლის თანხმობაზეა დამოკიდებული,¹⁶ მაშინ როდესაც მესამე პირის მიერ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის, ვინაიდან სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულება არ ეწინააღმდეგება კანონს, ხელშეკრულებას ან ვალდებულების არსს. სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, განსხვავება ისაა, რომ ვალის გადაკისრება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს, ვალის გადაკისრების შედეგად ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალე იცვლება, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება კი კრედიტორის მიმართ მოვალის ვალდებულების შეწყვეტას იწვევს (371 I, 427).

15

V. სარჩელთა დუბლირება

მესამე პირს გაუცნობიერებლად სხვისი ვალის გასტუმრების შემთხვევაში აქვს უკუმოთხოვნის უფლება კრედიტორის მიმართ ვალდებულების გარეშე შესრულების მიღებისა, ხოლო მოვალის მიმართ – უსაფუძვლოდ დაზოგოვლის საფუძვლით. მესამე პირი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მხოლოდ ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით და, შესაბამისად, მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტისაგან – კრედიტორისაგან ან მესამე პირისაგან. ორივე სამართლებრივი საფუძვლით

16

13 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის N 2ბ/4486-10 განჩინება.

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 13 მაისის N ას-756-812-2011 განჩინება.

15 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 371, გვ. 305.

16 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის N 2ბ/2103-11 გადაწყვეტილება; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის N ას-219-211-2012 გადაწყვეტილება.

მოთხოვნის დაკმაყოფილება მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევს. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა მოთხოვნის საფუძველი და, შესაბამისად, მოთხოვნაზე პასუხისმგებელი სუბიექტი შეარჩია, მაგ., სარჩელი აღძრა კრედიტორის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველით გადაცემული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაიკმაყოფილა, მესამე პირის სარჩელი მოვალის მიმართ იმავე მოთხოვნით, თუმცა სხვა სამართლებრივი საფუძველით აღარ დაკმაყოფილდება. კრედიტორის მიმართ დაკმაყოფილებული სარჩელის პირობებში მოვალის მიმართ იმავე მოთხოვნით სარჩელის აღძვრის აუცილებლობა შეიძლება გამოიწვიოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობამ. მაგ., თუ მოპასუხეს (კრედიტორს) ქონება არ აღმოაჩნდა და, შესაბამისად, ვერც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდა, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა იმავე მოთხოვნით სარჩელის აღძვრას სხვა სუბიექტის, ამ შემთხვევაში, მოვალის წინააღმდეგ, სხვა სამართლებრივი საფუძველით, სარჩელთა დუბლირებად მიიჩნევს და არ აკმაყოფილებს.¹⁷ თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის უფლება არსებობს იქამდე, სანამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია იმის გამო, რომ მოვალეს ქონება არ გააჩნია, ასეთ შემთხვევაში სარჩელი სხვა სუბიექტის მიმართ სხვა სამართლებრივი საფუძველით დაკმაყოფილებადია, ანუ ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით, დასტურდება, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია და სასამართლო წესით დაკმაყოფილებული მოთხოვნა ვერ სრულდება, შესაბამისად, მხარეს აქვს იმავე სასარჩელო მოთხოვნის სხვა პირის მიმართ სხვა სამართლებრივი საფუძველით წარდგენის უფლება.¹⁸ ზემოთ განხილულ მაგალითში, თუ კრედიტორს ქონება არ აღმოაჩნდა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მესამე პირის სასარგებლოდ ვერ აღსრულდა, ასეთ შემთხვევაში მესამე პირი იძენს მოვალის მიმართ სარჩელის აღძვრის უფლებას. ეს მოსაზრება საფუძველიანად უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი), ვინაიდან სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იმავე გადაწყვეტილების თაობაზე წარმოების განახლება დაუშვებელია (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

17 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის N ას-1607-1509-2012 გადაწყვეტილება.

18 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის N 28/1393-12 გადაწყვეტილება.

მუხლი 372. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ

თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.

I. ნორმის მიზანი447

II. ნორმის მოქმედების ფარგლები447

III. 371-ე და 372-ე მუხლების შედარებითსამართლებრივი ანალიზი449

IV. ვალდებულების შესრულება გაქვითვით, დეპონირებით.....451

 1. გაქვითვა451

 2. დეპონირება452

I. ნორმის მიზანი

372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა 371-ე მუხლთან მიმართებით არის *Lex specialis*.¹ ამ მუხლის მიზანია მესამე პირის ქონებრივი ინტერესების დაცვა, რომელიც მას მოვალის ქონების მიმართ აქვს და რომელსაც დაკარგვის საფრთხე ემუქრება. ამავე მუხლის რეგულირების ფარგლებში ექცევა მესამე პირის ნებისმიერი უფლებისა თუ ინტერესის დაცვა, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან დაიკარგოს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით.

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

372-ე მუხლის დისპოზიციის შესაბამისად, ამ მუხლის გამოყენების წინაპირობები სახეზეა, როდესაც მესამე პირი მოვალის ვალდებულებას საკუთარი ქონებრივი ინტერესის დაცვის მიზნით ასრულებს. მესამე პირის ქონებრივი ინტერესი გამოიხატება **იმ უფლებებში, რაც მას მოვალის ქონების მიმართ აქვს და რომელსაც დაკარგვის საფრთხე ემუქრება**. მართალია, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, მითითებული მუხლი მესამე პირს მხოლოდ მოვალის ქონების დაკარგვით გამოწვეული უფლებრივი შეზღუდვისა თუ ქონებრივი დანაკარგისაგან იცავს, თუმცა, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია, ამ დანაწესის ფართო განმარტება და **მისი გავრცელება მესამე პირის ან სხვა პირის ქონების დაკარგვით განპირობებულ საფრთხეზე**, მაშინ როდესაც ამ ქონების დაკარგვით მესამე პირის უფლებები ილახება.² ამდენად, 372-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ უფლებრივი დანაკარგის დადგომის რეალურ საფრთხეზე, რომელიც მესამე პირს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ექმნება, მიუხედავად იმისა, ეს უფლებრივი შეზღუდვა თუ ქონებრივი დანაკლისი მოვალის ქონების (მაგალითი 1), სხვა

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 371, გვ. 306.
 2 იქვე.

პირის ქონებისა (მაგალითი 2), თუ თვით მესამე პირის ქონების (მაგალითი 3) დაკარგვის რისკით არის განპირობებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 372-ე მუხლის მოქმედებისათვის საჭიროა არა მაინცდამაინც მესამე პირის უფლების დაკარგვის საფრთხის არსებობა, არამედ საკმარისია ნებისმიერი სანივთოსამართლებრივი, უფლებების შეზღუდვის რეალური რისკი (მაგალითი 4).

3 როგორც ზემოთ აღინიშნა, 372-ე მუხლის გამოყენების წინაპირობაა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით მესამე პირის უფლების დაკარგვის ან შეზღუდვის რეალური საფრთხე. მითითებული მუხლის დისპოზიციის მიხედვით, რეალური საფრთხე „**კრედიტორის მიერ იძულებითი აღსრულებისათვის მიმართვაშია**“ (372 I). აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (25 I).³ ამდენად, მითითებული მუხლის კონტექსტში, იძულებითი აღსრულების დაწყებას სააღსრულებო ბიუროსათვის მიმართვა უთანაბრდება.⁴ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, 372-ე მუხლის მოქმედების წინაპირობები სახეზეა მაშინაც, როდესაც მესამე პირის უფლებრივი მდგომარეობის საფრთხე რეალურია, თუმცა კრედიტორს იძულებითი აღსრულებისათვის ჯერ არ მიუმართავს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მესამე პირს კრედიტორის დაკმაყოფილების უფლებას კანონი ანიჭებს (269 I / 304 I) (მაგალითი 3).

4 **მაგალითი (1):** თუ მსესხებლის ქონებაზე მეორე რიგის იპოთეკარია მესამე პირი და გამსესხებელი, რომელიც, თავის მხრივ, მსესხებლის ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკარია, აღსრულების დაწყების მიზნით სააღსრულებო ბიუროს მიმართავს, მეორე რიგის იპოთეკარს მოვალის ქონების გასხვისებით ნივთზე უფლების დაკარგვის რეალური რისკი წარმოეშობა. შესაბამისად, მეორე რიგის იპოთეკარი უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი (გამსესხებელი, პირველი რიგის იპოთეკარი) და დაიკავოს მისი ადგილი (372); **მაგალითი (2):** თუ მსესხებლის ვალდებულება გამსესხებლის (პირველი რიგის იპოთეკარის) მიმართ სხვა პირის ქონებითაა უზრუნველყოფილი, ამ ქონებაზე მეორე რიგის იპოთეკარი უფლებამოსილია დააკმაყოფილოს გამსესხებელი (პირველი რიგის იპოთეკარი) და დაიკავოს მისი ადგილი, რა დროსაც მისი მოთხოვნა მსესხებლის მიმართ უზრუნველყოფილი იქნება სხვა პირის ქონებაზე პირველი რიგის იპოთეკით (372); **მაგალითი (3):** თუ აღსრულების საფრთხე ექმნება მესამე პირის ქონებას, რომლითაც მოვალის ვალდებულებაა უზრუნველყოფილი, მესამე პირის კანონისმიერი უფლებაა, დააკმაყოფილოს კრედიტორი და დაიკავოს მისი ადგილი (269 I / 304 I); **მაგალითი (4):** თუ მესამე პირი, რომელიც მესაკუთრის ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების დამქირავებელია, შეიტყობს, რომ იპოთეკარი მე-

3 საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 16.04.1990, კოდიფიცირებული ვერსია 04.10.2013.

4 Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 268, Rn. 2.

საკუთრის ქონებაზე იძულებით აღსრულებას იწყებს, უფლებამოსილია ახალი მესაკუთრის ხელში მისი, როგორც დამქირავებლის, უფლებების შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, გამქირავებლის (მესაკუთრის) ვალდებულება შეასრულოს, რის შედეგადაც იგი თვითონ დაიკავებს იპოთეკარის ადგილს (372).

III. 371-ე და 372-ე მუხლების შედარებითსამართლებრივი ანალიზი

372-ე მუხლის გამოყენების წინაპირობაა ქონებაზე აღსრულების დაწყების გზით **მესამე პირის უფლებებისათვის საფრთხის შექმნა**. ამასთან, აუცილებელია, რომ მესამე პირის **უფლებების შეზღუდვისა თუ დაკარგვის საფრთხე რეალური იყოს**. საფრთხის რეალურობა მითითებული მუხლის მიხედვით, იმ ნივთზე იძულებითი აღსრულების დაწყებით გამოიხატება, რომლის მიმართაც მესამე პირს სანივთო თუ ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლება აქვს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც მესამე პირს კრედიტორის დაკმაყოფილების უფლებას კანონი ანიჭებს (269 I / 304 I). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილება, იძულებითი აღსრულების დაწყების გარეშე, 372-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში ექცევა (იხ. მე-3 ველი).

371-ე მუხლი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირი მოვალის ვალდებულებას მარტოოდენ გაცნობიერებული „კეთილი ნების“ შედეგად ასრულებს ან ამგვარი შესრულება მოვალესა და მესამე პირს შორის არსებულ შეთანხმებას შეესაბამება. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი მოვალის ვალდებულებას იმის გამო ასრულებს, რომ მოვალის ქონების დაკარგვით მის უფლებას ამ ქონებაზე საფრთხე ექმნება, ასეთ შემთხვევაში სახეზეა 372-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები.

371-ე და 372-ე მუხლების გამიჯვნის აუცილებლობას განსაკუთრებული პრაქტიკული დანიშნულება აქვს, ვინაიდან **სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით მითითებული მუხლები მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან**. 372-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას კრედიტორს წარმოეშობა მესამე პირის შესრულების მიღების ვალდებულება, მიუხედავად მოვალის თანხმობისა, მაშინ, როდესაც, 371-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში კრედიტორი, მოვალის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, არ მიიღოს შესრულება. 372-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვალის წინააღმდეგობის გამო, კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმა მოვალის წინაშე შესრულების მიღების ვადის გადაცილებად მიიჩნევა, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება (393).

371-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი შედეგი ვალდებულების შეწყვეტაა (427), ხოლო მესამე პირს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება იმ სამართალურთიერთობის საფუძველზე წარმოეშობა, რის საფუძველზეც მან კრედიტორის მიმართ მოვალის ნაცვლად ვალდებულება

შეასრულა.⁵ 372-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში მესამე პირის მხრიდან კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგად წყდება ძველი კრედიტორის უფლება, ვალდებულების ძალით მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ვინაიდან მის ადგილს მესამე პირი იკავებს. ამდენად, 372-ე მუხლის მოქმედების შედეგად მოვალე კი არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან, არამედ ახალი კრედიტორის წინაშე აღმოჩნდება ვალდებული. ამიტომაცაა, რომ კანონი ლაპარაკობს „კრედიტორის დაკმაყოფილებაზე“ და არა ვალის გადახდის მიზნით შესრულებაზე.⁶ შესაბამისად, 372-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში, მესამე პირის მიერ მოვალის დაკმაყოფილების პირობებში, ვალდებულება კი არ წყდება, არამედ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე პირი კრედიტორს იმ უფლება-მოვალეობებში ჩაენაცვლება, რაც ძველ კრედიტორს მოვალის მიმართ ჰქონდა (*cesio legis*).⁷ ძირითად უფლებებთან ერთად გადადის მასთან დაკავშირებული ყველა აქცესორული და დამატებითი უფლება.⁸ ამასთან, აღსანიშნავია, რომ მესამე პირის ჩანაცვლება ძველი კრედიტორის უფლება-მოვალეობებში ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოხდა ძველი კრედიტორის დაკმაყოფილება. თუ მესამე პირმა ძველი კრედიტორი სრულად დააკმაყოფილა, ასეთ შემთხვევაში ძველი კრედიტორის ადგილს მესამე პირი სრულად იკავებს, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში – მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც მან დააკმაყოფილა.⁹

9 მაგ., თუ გამსესხებელმა მსესხებელს 10 000 ლარი ასესხა, რისთვისაც იპოთეკით დატვირთა მსესხებლის ბინა, რომელზეც მესამე პირი მეორე რიგის იპოთეკარია, ამ უკანასკნელს აქვს კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება. თუ იგი კრედიტორს მხოლოდ 7000 ლარის ფარგლებში დააკმაყოფილებს, მესამე პირი ახალ კრედიტორს მხოლოდ 7 000 ლარის მოთხოვნის ნაწილში ჩაენაცვლება, რაც შეეხება იპოთეკას, პირველი კრედიტორი 3 000 ლარის მოთხოვნის ნაწილში პირველი რიგის იპოთეკარად რჩება. **ამ დასკვნის საფუძველს იძლევა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კრედიტორს მესამე პირის შესრულებით ზიანი არ უნდა მიადგეს.**

10 **თუ კრედიტორი სახელმწიფოა და იგი საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის, მაგ., გადასახადების გადახდის გამო, მოვალის კუთვნილ ნივთზე იძულებით აღსრულებას მიმართავს, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი. როცა მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში საჯაროსამართლებრივი მოთხოვნა გარდაიქმნა კერძოსამართლებრივ მოთხოვნად.**¹⁰

5 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 371, გვ. 307.

6 იქვე, გვ. 306.

7 *Unberath*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2011, § 268, Rn. 10.

8 *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, Aufl. 34., S. 114, Rn. 4.

9 *Krüger*, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 268, Rn. 15.

10 BGH. Urteil vom 18.06.1979 - VII ZR 84/78, NJW 1979, nach *Unberath*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2011,

IV. ვალდებულების შესრულება გაქვითვით, დეპონირებით

განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელიც დასა- 11
შვებად მიიჩნევს მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებას დე-
პონირებით ან გაქვითვით,¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე
მუხლი პირდაპირ არაფერს ამბობს ვალდებულების მითითებული გზით
შესრულების შესაძლებლობაზე.

1. გაქვითვა

372-ე მუხლის მიზანი, რითაც იგი არსებითად განსხვავდება 371-ე მუ- 12
ხლისაგან, ისაა, რომ 372-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება ემსახუ-
რება მესამე პირის ქონებრივი ინტერესის დაცვას – დააკმაყოფილოს კრე-
დიტორი და გაათავისუფლოს ქონება უფლებრივი ტვირთისაგან, რათა ამ
ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით არ დაკარგოს უფლება მითითე-
ბულ ქონებაზე. შესაბამისად, მესამე პირის უფლებას – დააკმაყოფილოს
კრედიტორი, შეესაბამება კრედიტორის ვალდებულება – მიიღოს მესამე
პირის შესრულება. ამდენად, ნორმის მიზნიდან და დანიშნულებიდან გა-
მომდინარე (372), დასაშვებია უნდა იყოს მესამე პირის მიერ გაქვითვის
გზით ვალდებულების შესრულება, თუმცა უნდა არსებობდეს გაქვითვის
კანონით გათვალისწინებული წინაპირობები (442), კერძოდ, სახეზე უნდა
იყოს ორმხრივი უფლებები და მოთხოვნები და ასევე დამდგარი უნდა
იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამ ნორმის თანახმად, ეს ორი
წინაპირობა უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ განხორ-
ციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა,¹² **(მოვალის ვადამოსუ-
ლი ვალდებულება კრედიტორის მიმართ, კრედიტორის ვადამოსული
ვალდებულება მოვალის მიმართ)**. მესამე პირის მეშვეობით გაქვითვის
გზით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში სახეზეა გაქვითვის ყვე-
ლა წინაპირობა, გარდა მოთხოვნათა ორმხრივობისა **(მოვალის ვადამო-
სული ვალდებულება კრედიტორის მიმართ, კრედიტორის ვადამოსუ-
ლი ვალდებულება მესამე პირის მიმართ)**. ამდენად, მესამე პირის მიერ
გაქვითვით ვალდებულების შესრულების დროს ხდება არა მოვალისა და
კრედიტორის ორმხრივი მოთხოვნების გაქვითვა, არამედ კრედიტორის
მიმართ მესამე პირის მოთხოვნისა და მოვალის მიმართ კრედიტორის
მოთხოვნის გაქვითვა.

372-ე მუხლის წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, კრედიტორის 13
მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი მითითებული გზით (გაქვით-
ვა) შემოთავაზებულ შესრულებას არ იღებს (390). გაქვითვის გზით შე-
მოთავაზებული შესრულების მიღებაზე უარის თქმა კრედიტორს მხოლოდ
იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მისი **მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ
არ დამდგარა** და იგი ამ საფუძვლით მხარს არ უჭერს გაქვითვას (442 II).

§ 268, Rn. 11.

11 BGB 268 III, Verkündungsstand: 16.10.2013, in Kraft ab: 09.10.2013.

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის N ას-286-608-09 განჩინება.

გაქვითვით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, ანუ მხოლოდ მოთხოვნის ნაწილის გაქვითვა, დაუშვებელია.¹³

2 დეპონირება

14

დეპონირებით მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების წინაპირობები სახეზეა, როდესაც მესამე პირი საკუთარი ქონებრივი ინტერესის გადასარჩენად გამოხატავს ვალდებულების შესრულების მზაობას, თუმცა კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში მესამე პირი უფლებამოსილია, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე (434). დეპონირებით მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან თავისუფლდება. დეპონირებით მოვალე მხოლოდ იმ შემთხვევაში არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ მესამე პირი, კრედიტორის მიერ შესრულების მიღებამდე, კანონით გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში შესრულებას უკან მოითხოვს.¹⁴ შესრულების უკან გამოთხოვად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან გათავისუფლებულად ითვლება, თუ შესრულების საგანს მესამე პირი სამწლიანი ვადის ამონურვის შემდეგ იბრუნებს იმ საფუძვლით, რომ კრედიტორმა შესრულება არ მიიღო. დეპონირებით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება დაუშვებელია.¹⁵

13 *Unberath*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2011, § 268, Rn. 10.

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 თებერვლის N ას-1751-1732-2011 განჩინება.

15 *Unberath*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2011, § 268, Rn. 10.

მუხლი 373. ვალდებულების შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ

1. მოვალე ვალდებულია, შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულება.

2. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

- I. ნორმის მიზანი453
- II. კრედიტორის მიმართ შესრულება.....453
- III. მესამე პირის მიმართ შესრულება454
 - 1. უფლებამოსილი კრედიტორის დაცვის გარანტიები.....457
 - 2. კეთილსინდისიერი მოვალის დაცვის გარანტიები457

I. ნორმის მიზანი

ნორმა განსაზღვრავს არა ვალდებულების შესრულებაზე უფლებამოსილ სუბიექტს (371, 372), არამედ ადგენს **შესრულებული ვალდებულების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა წრეს (373 I,II).**¹ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგი ვალდებულების შეწყვეტაა, თუმცა ვალდებულების ყოველი შესრულება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, არამედ იწვევს მხოლოდ კრედიტორის სასარგებლო შესრულება (427).²

ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ფარდობითი (რელატიური) ურთიერთობაა, შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალით. მოვალე ვალდებულებას კრედიტორის წინაშე ასრულებს. 373-ე მუხლი ითვალისწინებს იმ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს, ერთი მხრივ, უფლებამოსილ პირებს, ვის მიმართაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, – არაუფლებამოსილი პირების მიერ ვალდებულების შესრულების მიღების წესებს, რა დროსაც ვალდებულება შესრულებულად ითვლება.³

II. კრედიტორის მიმართ შესრულება

სამართლებრივი შედეგის დადგომას შესრულების ნამდვილობა განსაზღვრავს. შესრულება ნამდვილი და, შესაბამისად, სამართლებრივი შედეგების წარმომშობია, თუ იგი კრედიტორის მიმართ სრულდება. ამასთან, **კრედიტორი უფლებამოსილი უნდა იყოს შესრულების მიღებაზე.** კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულება მიიღოს მაშინ, როდესაც მას

1 ზონდი, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 373, გვ. 308.

2 Fetzer, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 362, Rn. 1.

3 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 მაისის N ას-1247-1176-2012 განჩინება.

შესრულების დროისათვის შესრულების მოთხოვნის ნამდვილი უფლება აქვს. მაგ., ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუუნარიან პირს ნამდვილი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. მის მიერ როგორც მოთხოვნის უფლების განხორციელების, ასევე შესრულების მიღების ნამდვილობა მესამე პირის თანხმობაზეა დამოკიდებული (12 IV, V; 14), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდულქმედუუნარიანი პირი გარიგებით სარგებელს იღებს და მას საპასუხო შესრულების ვალდებულება არ გააჩნია (15). ნამდვილი მოთხოვნის უფლების არმქონე კრედიტორის მიმართ შესრულება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს.⁴

- 4 კრედიტორის სასარგებლო შესრულებად ითვლება ასევე იმ პირის მიმართ შესრულება, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, შესრულება მიიღოს. **შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირს უფლება აქვს არა მარტო მოითხოვოს მის მიმართ ვალდებულების შესრულება, არამედ ვალდებულია, შემოთავაზებული შესრულება მიიღოს.** შესრულებული ვალდებულების მიღებაზე უარის თქმა კრედიტორის მიერ შემოთავაზებული შესრულების მიღების ვადის გადაცილებას იწვევს (390 I), ხოლო შესრულებისათვის ვადის არარსებობის პირობებში, ზოგადად, შესრულების მიღების ვალდებულების დარღვევას (იხ. 365-ე მუხლის კომენტ.).
- 5 არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს. არაუფლებამოსილი პირი შესრულებული ვალდებულების მიღებაზე უარის თქმისას შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად არ მიიჩნევა და არც, ზოგადად, ვალდებულების დამრღვევად, თუ შესრულებისათვის ვადა დადგენილი არ არის.

III. მესამე პირის მიმართ შესრულება

- 6 არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულება ნამდვილია, ანუ სამართლებრივი შედეგის წარმომშობია, თუ უფლებამოსილი პირი თანახმაა არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებაზე. წინასწარ თანხმობას, სამართლებრივი ძალმოსილების კუთხით, შემდგომი მონონება უთანაბრდება (373 II/101).
- 7 არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების თაობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობა ან შემდგომი მონონება შეიძლება გამოიხატოს **როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.** თანხმობას შესრულების ნამდვილობისათვის დადგენილი ფორმის დაცვა არ სჭირდება (99 II). **თანხმობა, (შემდგომი) მონონება** შეიძლება როგორც ვალდებულების შემსრულებლის (მოვალის), ასევე ვალდებულების მიმღები არაუფლებამოსილი პირის წინაშე გამოითქვას (99 I). თანხმობის (შემდგომი მონონების) გამოხატვა **კონკლუდენტური მოქმედებითაც** დასაშვებია. არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღების ნამდვილად მიჩნევის მიზნებისათვის კანონი კონკლუდენტური მოქმედების სახეს აკონკრეტებს და ასეთად უფლებამოსილი პირის მიერ შესრულებისაგან სარგებლის მიღებას მიიჩნევს (373 II).

4 Fetzner, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 362, Rn. 1.

პროცესუალურსამართლებრივი კუთხით, კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს თავისი უფლებამოსილება ვალდებულების ძალით მოვალისათვის რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის თაობაზე (316 I), ხოლო შესრულების არაუფლებამოსილმა მიმღებმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან შესრულება კრედიტორის თანხმობით მიიღო,⁵ ან კრედიტორმა მის მიმართ განხორციელებული შესრულებისაგან სარგებელი ნახა (373 II).⁶ არაუფლებამოსილი კრედიტორის მიერ მითითებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ვალდებულება შეწყვეტილად ითვლება და კრედიტორს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია (427, 373 II).⁷ იმ შემთხვევაში, თუ სამართალწარმოების მხარე მოვალე და უფლებამოსილი კრედიტორია, მოვალემ უნდა დაადასტუროს, რომ არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულება უფლებამოსილი კრედიტორის თანხმობით ან შემდგომი მოწონებით განახორციელა, ან კიდევ უფლებამოსილმა სუბიექტმა ამ შესრულებისაგან სარგებელი ნახა.⁸

მესამე პირის მიერ შესრულების მიღების თაობაზე კრედიტორის თანხმობა ან მის მიერ შესრულებისაგან სარგებლის მიღება დადასტურებულ უნდა იქნეს მაშინაც, როდესაც კრედიტორი და მესამე პირი დაკავშირებული პირები არიან (და-ძმა, დედა-შვილი, მამა-შვილი, და ა. შ.). ნათესაური კავშირი ან ახლო მეგობრული ურთიერთობა მესამე პირის მიერ შესრულების მიღების შემთხვევაში კრედიტორის თანხმობის ან მის მიერ შესრულებისაგან სარგებლის ნახვის პრეზუმფციას არ ქმნის.⁹ შესაბამისად, ასეთ შემთხვევაშიც, მესამე პირმა უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ მან მოვალისაგან შესრულება კრედიტორის თანხმობით მიიღო ან ამ შესრულებით კრედიტორმა სარგებელი ნახა. მაგ., თუ მესამე პირი დაამტკიცებს, რომ, მიღებული შესრულების მიუხედავად, იგი კრედიტორისათვის სარგებლის გადახდას აგრძელებდა. კრედიტორის ინტერესში კი სესხის თანხის დაბრუნება არ შედიოდა, მისთვის სასურველი იყო სარგებლის გადახდა გაგრძელებულიყო. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ მესამე პირის მიმართ შესრულებით კრედიტორმა სარგებელი ნახა. მხოლოდ მითითება ნათესაურ კავშირსა თუ ახლო მეგობრულ ურთიერთობაზე საკმარისი არ არის. იგივე სამართლებრივი შედეგი დგება, მაგრამ გარკვეული თავისებურებით ხასიათდება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის განკუთვნილი შესრულების მიღება. ამ შემთხვევაში მიღებულ შესრულებაზე შეიძლება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი გავრცელდეს, თუმცა, თუ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე იმყოფება, მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს კონტრაგენტისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ ისაა შესრულების

5 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 18 ოქტომბრის N ას-1041-976-2012 განჩინება.

6 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 მაისის N ას-1247-1176-2012 განჩინება.

7 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, Aufl. 34., 2010, S. 116, Rn. 8.

8 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის N 2ბ/788-13 განჩინება.

9 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 თებერვლის N ას-1240-1260-2011 განჩინება.

მიღებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. ამდენად, მეორე მეუღლის მიერ სათანადო უფლებამოსილების გარეშე (373 II) შესრულების მიღება უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) მიმართ შესრულებად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, არც ვალდებულება წყდება.¹⁰

- 10 შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ არის განხორციელებული, როდესაც **მესამე პირი შესრულებას თავისი სახელით იღებს**.¹¹ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი შესრულებას კრედიტორის სახელით იღებს, ასეთი შესრულება მესამე პირის მიმართ შესრულებად არ ჩაითვლება (104). მაგ., როდესაც დავალების ხელშეკრულების მიხედვით, **რწმუნებული** მისთვის დავალებული (მინდობილი) უფლებამოსილების ფარგლებში მოვალის მიერ განხორციელებულ შესრულებას **მარწმუნებლის სახელით** იღებს, ან, როდესაც საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით **საკუთრების მიმდობისათვის** განკუთვნილ შესრულებას **მინდობილი მესაკუთრე** იღებს,¹² ან კიდევ კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებას დირექტორი იღებს¹³ და ა. შ.
- 11 მოვალის მიერ იმ პირის მიმართ ვალდებულების შესრულება, რომელიც კრედიტორის სახელით მოქმედებს და მისი სახელით იღებს შესრულებას, ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს, თუ კრედიტორის სახელით მოქმედ სუბიექტს მარწმუნებლისაგან წარმომადგენლობის ნამდვილი უფლებამოსილება არ გააჩნია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ წარმომადგენელი კრედიტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ მოქმედებს, მის მიმართ განხორციელებული შესრულება კრედიტორის სასარგებლო შესრულებად არ ჩაითვლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელი კრედიტორის სახელით და მის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, ასეთ შემთხვევაში, წარმომადგენლის მიმართ შესრულება წარმოდგენილ (კრედიტორის მიმართ) შესრულებად ითვლება. ამდენად, კრედიტორის სახელით მოქმედი სუბიექტისათვის განხორციელებული შესრულების შედეგად ვალდებულება შეწყვეტილად ითვლება, მიუხედავად იმისა, კრედიტორს ეს შესრულება მიუვა თუ არა (396, 397). შესაბამისად, თუ მოვალეს კრედიტორის მიმართ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა (352, 405), შესრულების უკან დაბრუნებაზე ვალდებული სუბიექტი კრედიტორი იქნება და არა ის პირი, რომელმაც შესრულება მისი (კრედიტორის) სახელით მიიღო. მაგ., თუ ბინათმენაშენეთა ამხანაგობის თავმჯდომარემ, რომელიც უფლებამოსილი იყო, ამხანაგობის სახელით შესრულება მიეღო, ამხანაგობის სახელით ბინის მშენებლობის საფასური მიიღო, თუმცა ამხანაგობას არ გადასცა (მიითვისა და მიიმალა), ასეთ შემთხვევაში შემ-

10 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის N ას-951-989-2011 განჩინება.

11 *Bub*, in Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 185, Rn. 1.

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის N ას-741-697-2012 განჩინება.

13 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 სექტემბრის N ას-354-337-2013 განჩინება.

კვეთის მიმართ ბინის მშენებლობის ვალდებულება ამხანაგობას მაინც წარმოეშობა (396, 397), ხოლო თუ შემკვეთი ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლას ვალდებულების დარღვევის საფუძვლით მოინდომებს, ამხანაგობა ვალდებულია, პირვანდელი მდგომარეობა აღადგინოს და შემკვეთს გადახდილი საფასური დაუბრუნოს (352, 405), მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ განხორციელებული შესრულება (ბინის მშენებლობის საფასურის სახით გადახდილი თანხა) ამხანაგობის თავმჯდომარემ მიითვისა და ამხანაგობას არ გადასცა.¹⁴

ვალდებულება ყველა შემთხვევაში შეწყვეტილად მიიჩნევა, თუ ვალდებულება საამისოდ უფლებამოსილი მესამე პირის მიმართ შესრულდა, ანუ როდესაც შესრულება **მესამე პირმა თავისი სახელით მიიღო** კრედიტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ან მიღებული შესრულების შემდგომი მოწონების გზით.¹⁵

1. უფლებამოსილი კრედიტორის დაცვის გარანტიები

არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების მიმართ შეცილების უფლება აქვს კრედიტორს ან კრედიტორთან კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით გათანაბრებულ პირს. ცალკეულ შემთხვევაში, თუ კრედიტორი სარწმუნოდ ინფორმირებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი კუთვნილი შესრულების მიღების თაობაზე და ამ შესრულებას სადავოდ არ ხდის, იგულისხმება, რომ არაუფლებამოსილმა პირმა შესრულება კრედიტორის თანხმობით მიიღო, ან ამ უკანასკნელმა იგი შემდგომ მოიწონა. მესამე პირი უფლებამოსილი არ არის, არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღების ნამდვილობა სადავოდ გახადოს.

არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს. შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, ვალდებულება კრედიტორის მიმართ შეასრულოს. იგი არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულებით კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებისაგან არ თავისუფლდება, თუმცა უფლებამოსილია, არაუფლებამოსილი კრედიტორისაგან ვალდებულების გარეშე გადახდილი უკან გამოითხოვოს (976 I). მოვალე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისაგან, თუ კრედიტორი თვითონ დაიბრუნებს მისთვის განკუთვნილ შესრულებას არაუფლებამოსილი პირისაგან (983).

2. კეთილსინდისიერი მოვალის დაცვის გარანტიები

ვალდებულების ჯეროვანი შესრულება მოიცავს მოვალის ვალდებულებას, შესრულება სათანადო პირის – კრედიტორის ან მასთან გათანაბრებული პირის მიმართ განახორციელოს (361 II, 373 I). არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულების რისკი მოვალეს ეკისრება.

14 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 5 აპრილის N 2ბ/1268-11 განჩინება.

15 Fetzer, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 362, Rn. 1.

შესაბამისად, მას უფლება არ აქვს, ვალდებულების შესრულებაზე იმ საფუძვლით თქვას უარი, რომ მან ვალდებულება სხვა პირის სასარგებლოდ შეასრულა, მათ შორის, მაშინაც, როდესაც მას კრედიტორი ის პირი ეგონა, ვის მიმართაც ვალდებულება შეასრულა.

- 16 მოვალის დაცვის მიზნებისათვის არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულების შემთხვევაში კანონი გამონაკლისს ანებს, კერძოდ, კრედიტორის თანხმობით, მოწონებით ან ამ უკანასკნელის მიერ შესრულებისაგან სარგებლის ნახვის გარდა (373 II), მოვალის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევასაც ითვალისწინებს. მაგ., მოთხოვნის დათმობის დროს, ვიდრე მოვალეს მოთხოვნის დათმობის შესახებ ეცნობებოდეს, მას უფლება აქვს, ვალდებულება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე შეასრულოს (200). მოთხოვნის დათმობის დროს მოვალე არაუფლებამოსილი (ძველი) კრედიტორის წინაშე შესრულებით ახალი კრედიტორის წინაშე შესრულებისაგან თავისუფლდება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ უფლებამოსილი (ახალი) კრედიტორი დაადასტურებს, რომ მოვალეს მოთხოვნის დათმობის შესახებ აცნობა. ამდენად, კანონი მტკიცების ტვირთს აბრუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალმა კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მოვალისათვის მოთხოვნის დათმობის შეტყობინების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი კრედიტორის მიმართ შესრულება მოვალეს უფლებამოსილი პირის მიმართ შესრულებად ეთვლება და ხელახალი შესრულებისაგან თავისუფლდება.
- 17 მართალია, არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებით ვალდებულება არ წყდება და მოვალეს უფლებამოსილი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების მოვალეობა უნარჩუნდება, თუმცა ნიშანდობლივია, რომ **უფლებამოსილი კრედიტორის უფლება დაცულია იმდენად, რამდენადაც მოვალისათვის ცნობილია ან ობიექტურ გარემოებათა ურთიერთშეჯერების პირობებში ცნობილი უნდა იყოს** უფლებამოსილი კრედიტორის ვინაობა. გამონაკლისის სახით, იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, სცოდნოდა, უფრო მეტიც, კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ იგი ვალდებულებას უფლებამოსილი კრედიტორის წინაშე ასრულებდა, ასეთ შემთხვევაში მოვალე დაცული უნდა იყოს და მის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს. ამ მსჯელობის საფუძველია უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების სტანდარტი (8 III). მაგ., თუ ვალდებულება სავალო საბუთის წარმდგენი პირის მიმართ უნდა შესრულებულიყო და ვალდებულება არაუფლებამოსილი კრედიტორის მიერ წარმდგენილი სავალო საბუთის საფუძველზე შესრულდა (431), ვალდებულება უნდა შეწყდეს. მოვალე უფლებამოსილი კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან უნდა გათავისუფლდეს. მოვალის ნდობა წარმდგენილი სავალო საბუთის მიმართ დაცული უნდა იყოს მაშინაც, თუ წარმდგენმა სავალო საბუთი მოიპარა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მოვალემ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა წარმდგენი პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შესახებ. იგი-

ვე წესი არ უნდა გავრცელდეს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სავალო საბუთი დოკუმენტის გაყალბების გზით არის შექმნილი, ვინაიდან სახეზე არ არის იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი შედეგების წარმომშობი დოკუმენტი.

ვალდებულება უნდა შეწყდეს და მოვალე უფლებამოსილი კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან უნდა გათავისუფლდეს მაშინაც, როდესაც ნოტარიუსმა, ნაცვლად ნამდვილი მემკვიდრეებისა, სამკვიდრო მონაწილე მესამე პირებზე გასცა. ვალდებულმა პირმა კი სამკვიდრო მონაწილეს საფუძველზე მესამე პირები უფლებამოსილ კრედიტორებად მიიჩნია და ვალდებულება შეუსრულა. ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს კეთილსინდისიერი მოვალე, რომელიც ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მონაწილეს ნამდვილობას ენდო. შესაბამისად, ვალდებულება უნდა შეწყდეს და იგი ნამდვილი მემკვიდრეების წინაშე ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან უნდა გათავისუფლდეს.

18

მუხლი 374. ალტერნატიული ვალდებულებანი

თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

I. ნორმის მიზანი	460
II. განსხვავება მომიჯნავე სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან	461
1. ალტერნატიული ვალდებულების გამიჯვნა გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებებისაგან.....	461
2. ალტერნატიული და ფაკულტატიური ვალდებულებები.....	463
3. ალტერნატიული ვალდებულება და ვალდებულების შეცვლის უფლება.....	464

I. ნორმის მიზანი

- 1 ვალდებულება შეიძლება რამდენიმე არსებობდეს, თუმცა კრედიტორს მოთხოვნის უფლება ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულების მიმართ ჰქონდეს. თუ რამდენი ვალდებულების მიმართ აქვს კრედიტორს მოთხოვნის უფლება, გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან, ხოლო კონკრეტულად რომელი ვალდებულების მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება, ეს მოვალის ნების შესაბამისად განისაზღვრება, თუ, რა თქმა უნდა, შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევის საკითხი კანონით, ხელშეკრულებით ან ვალდებულების არსიდან გამომდინარე სხვაგვარად არ წყდება. ამდენად, ალტერნატიული ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში მოვალე ირჩევს შესასრულებელ ვალდებულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალე განსაზღვრავს კრედიტორის მოთხოვნის შინაარსს. მოვალე შესასრულებელ ვალდებულებას ირჩევს მამინაც, როდესაც შესასრულებელი ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტი საეჭვოა.¹ ეს პრეზუმფცია მოქმედებს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ალტერნატიული ვალდებულების არჩევის უფლების მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც მოვალის საწინააღმდეგოდ ამ უფლებაზე პრეტენზიას აცხადებს.² შესასრულებელ ვალდებულებას მოვალე ვერ ირჩევს, მაშინ, როდესაც კანონი, ხელშეკრულება ან ვალდებულების არსი ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილ სუბიექტს პირდაპირ განსაზღვრავს.³

1 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 371, გვ. 313.

2 *Soergel/Wolf*, Rn. 34; *Staudinger/Bittner* (2009) Rn. 20. nach *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 266, Rn. 16.

3 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 374, გვ. 313.

II. განსხვავება მომიჯნავე სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

1. ალტერნატიული ვალდებულების გამიჯვნა გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებებისაგან

ალტერნატიული ვალდებულებები და გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებები გარკვეული საერთო თავისებურებებით ხასიათდებიან, ამიტომ მათი გამიჯვნა, ხშირ შემთხვევაში, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულება სახეზეა, როდესაც შესრულების ობიექტს ზოგადი მახასიათებლები აქვს, მისი შეცვლა მარტივად შესაძლებელია და მისი გამოცალკევება გარკვეული ოდენობიდან ხდება. გვაროვნული საგნის მახასიათებლები მხარეთა შეთანხმების საგანია, შესაბამისად, გვაროვნული ნივთი, მხარეთა შეთანხმებით დადგენილ მახასიათებლებს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგ., 100 ლიტრი 10-წლიანი დაძველების კონიაკ „სარაჯიშვილის“ შექმნა გვაროვნული საგნის მიმართ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაა, თუმცა დაკონკრეტებულია შესასყიდი გვაროვნული საგნის მახასიათებლები. შესაბამისად, იგი არის გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულება (382) და არა ალტერნატიული ვალდებულება (374). ამდენად, გვაროვნული საგნებიდან შესრულების საგნის იდენტიფიცირება გვაროვნული საგნის მახასიათებლების დაკონკრეტებაა და არა ალტერნატიული ვალდებულებებიდან შესასრულებელი ვალდებულების არჩევა. ამის საპირისპიროდ ალტერნატიული ვალდებულებისათვის დამახასიათებელია ის, რომ შესრულების საგანი, როგორც წესი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია და იგი მცირე ოდენობისაა. შესრულების თითოეულ საგანს ინდივიდუალური მახასიათებელი აქვს. მისი შეცვლა, როგორც წესი, შეუძლებელია, თუმცა ჩანაცვლება, კრედიტორის თანხმობით, შესაძლებელია.⁴ ალტერნატიული ვალდებულების ობიექტი გვაროვნული ნივთიც შეიძლება იყოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში შესრულების ალტერნატივას გვაროვნული ნივთის სახეობა განსაზღვრავს (იხ. მე-4 ველი).

ძირითადი განსხვავება ალტერნატიულ ვალდებულებებსა და გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ისაა, რომ ალტერნატიული ვალდებულებების არსებობის პირობებში კრედიტორს მოვალის მიმართ რამდენიმე ალტერნატიული მოთხოვნა აქვს. მოთხოვნები ალტერნატიულია, თუ მოვალე შესასრულებელ ვალდებულებას სხვა ვალდებულებათა შორის ირჩევს. გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულების დროს კი კრედიტორს მოვალის მიმართ ერთი მოთხოვნა აქვს, მოვალეს კი კრედიტორის დაკმაყოფილების დიდი ალტერნატივა, საიდანაც არჩევანს თვითონ აკეთებს. რაც უფრო მეტად დაკონკრეტებულია გვაროვნული საგნის მახასიათებლები, მით უფრო შეზღუდულია მოვალის არჩევანის თავისუფლება გვაროვნულ ნივთთან მიმართებით.

4 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 266, Rn. 5.

4 ალტერნატიულ ვალდებულებებსა და გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შორის სხვაობა **ვალდებულების შესრულების ხარისხშიცაა**. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური საგნის მახასიათებელი, ერთი მხრივ, ინდივიდუალური საგნის იდენტიფიცირების მიზანს ემსახურება, ხოლო მეორე მხრივ, შესრულების ხარისხს განსაზღვრავს. მაგ., მყიდველს სურს ბეჭდის ყიდვა, რომელიც 11-სინჯიანი ბაჯალლო ოქროსა და 3 ლალის თვლისაგან შედგება, საერთო ჯამში, ბეჭედი 20 გრამს უნდა იწონიდეს. მყიდველის წინადადება ამგვარი ბეჭდის ყიდვის თაობაზე განსაზღვრავს ბეჭდის როგორც ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ასევე ხარისხს. რაც შეეხება გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებით შესასრულებელ ვალდებულებას, გვაროვნული ნივთის მახასიათებლები, როგორც წესი, ზომა, წონა, ოდენობა, სახეობა და სხვა გვაროვნულ სახეობათა სახასიათო კრიტერიუმებია, საიდანაც შესრულების ხარისხი ნაკლებად მომდინარეობს, შესაბამისად, გვაროვნულ საგანთან დაკავშირებული ვალდებულება, როგორც წესი, საშუალო ხარისხს უნდა აკმაყოფილებდეს,⁵ თუ, რა თქმა უნდა, შესრულების ხარისხი ხელშეკრულებაში დაწვრილებით არ არის განსაზღვრული, ან ვალდებულების არსიდან არ მომდინარეობს (380).

5 როგორც გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულების, ასევე ალტერნატიული ვალდებულების წარმოშობის წყაროა **ხელშეკრულება ან კანონი**. თავის მხრივ, ალტერნატიული ვალდებულება შეიძლება დაკავშირებული იყოს **ინდივიდუალურ ან გვაროვნულ საგანთან**. ინდივიდუალურ საგანთან მიმართებით სახელშეკრულებო ალტერნატიული ვალდებულების მაგალითია მხარეთა შეთანხმება არაბული (X) ან ინგლისური (Y) ჯიშის ცხენის ყიდვის თაობაზე, ხოლო კანონისმიერი ალტერნატიული ვალდებულების მაგალითია წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას, რომლის მიხედვითაც, თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია, მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმომადგენელი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს (113 I). გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ხელშეკრულებისმიერი ალტერნატიული ვალდებულებაა ღვინის ნასყიდობის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში 1000 ლიტრი „საფერავის“ ან ამავე ოდენობის „რქაწითელის“ მიწოდება. ამდენად, ალტერნატიულ ვალდებულებებთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც შესასრულებელი ვალდებულებები გვაროვნული ხასიათისაა, თუმცა სხვაობა გვაროვნული ნივთის სახეობაშია.⁶ გვაროვნულ საგანთან დაკავშირებული კანონისმიერი ალტერნატიული ვალდებულების მაგალითია გაყიდულ გვაროვნულ ნივთზე ნაკლის აღმოჩენის

⁵ იქვე.

⁶ იქვე, Rn. 6.

შემთხვევაში გამყიდველის ვალდებულება ნაკლის გამოსწორების ან საამისოდ აუცილებელ ვადაში ნივთის შეცვლის თაობაზე (490 I).

2. ალტერნატიული და ფაკულტატიური ვალდებულებები

ალტერნატიული ვალდებულება განსხვავდება ფაკულტატიური ვალდებულებებისაგან. ალტერნატიული ვალდებულების დროს მოვალე ვალდებულია, აირჩიოს ერთ-ერთი ვალდებულება. ვალდებულების არჩევის სამართლებრივი შედეგი ვალდებულების წარმოშობა კი არაა, შესასრულებელი ვალდებულების შინაარსის განსაზღვრაა. სწორედ ამიტომ, შესასრულებელი ვალდებულების არჩევაზე უარი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარს ნიშნავს. **ამდენად, ალტერნატიული ვალდებულების არჩევის სამართლებრივი შედეგია შესასრულებელი ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა, ხოლო არჩეული ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგია ვალდებულების შეწყვეტა.** ვალდებულება ფაკულტატიურია, თუ მისი შესრულება ან შეუსრულებლობა მოვალის ნებაზეა დამოკიდებული. მისი შეუსრულებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს. ფაკულტატიური ვალდებულებები, როგორც წესი, კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობებია, რომლებიც მოვალეს ამ ვალდებულების შესრულების უფლებას ანიჭებს, მაგ., ლეგატარს უფლება აქვს, უარი თქვას ლეგატის მიღებაზე, რათა თავიდან აიცილოს ვალდებულების შესრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეგატარის ფაკულტატიური ვალდებულებაა ლეგატი, რომლის შესრულების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ ლეგატარი ლეგატს მიიღებს (1394). ყოველი მესამე პირი, რომლის უფლებრივი მდგომარეობაც გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად შეიძლება გაუარესდეს, უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს მოგირავნის მოთხოვნა (269 III). **ამდენად, ფაკულტატიური ვალდებულება მოვალის უფლებაა ვალდებულების შესრულების თაობაზე.** თეორიაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, ფაკულტატიურია ვალდებულება, როდესაც მოვალეს ალტერნატიულ ვალდებულებათაგან ერთ-ერთის არჩევის უფლება აქვს, ხოლო არჩეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება, რომ მოვალე შეასრულებს სხვა ალტერნატიულ ვალდებულებას.⁷ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ალტერნატიულ ვალდებულებათაგან მოვალის მიერ არჩეული, ანუ შესასრულებლად სავალდებულოდ მიჩნეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან ისედაც არ ათავისუფლებს და მას მეორე (დარჩენილი) შესრულების ვალდებულება ისედაც რჩება (375; იხ. 375-ე მუხლის კომენტ.). ფაკულტატიური ვალდებულებისაგან (დანვრილებით იხ. მე-6 ველი).

6

⁷ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 374, გვ. 313.

3. ალტერნატიული ვალდებულება და ვალდებულების შეცვლის უფლება

- 7 ალტერნატიული ვალდებულება განსხვავდება ასევე შესასრულებელი ვალდებულების შეცვლის/ჩანაცვლების უფლებისაგან (*facultas alternativa*). შესასრულებელი ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლება არ არის მოვალის ან კრედიტორის კანონისმიერი უფლება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ სამართლებრივ კატეგორიას დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს.⁸ ვალდებულება შეიძლება შეიცვალოს მოვალის ინიციატივით, ან კრედიტორის მოთხოვნით. ალტერნატიული ვალდებულების არსებობის პირობებში არსებობს რამდენიმე ვალდებულება და მოვალე ირჩევს ერთ-ერთს შესასრულებლად სავალდებულოდ, მაშინ, როდესაც ვალდებულების შეცვლის შემთხვევაში, თავიდან სახეზეა მხოლოდ ერთი შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულება, თუმცა, კანონით ან მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება, დადგინდეს შესასრულებელი ვალდებულების შეცვლის (ჩანაცვლების) შესაძლებლობა.⁹ კანონით ან ხელშეკრულებით შესასრულებელი ვალდებულების სხვა შესრულებით ჩანაცვლების უფლებამოსილება შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს მოვალეს ან კრედიტორს. ამასთან, შესაძლებელია, რომ ეს უფლებამოსილება გათვალისწინებულ იქნეს როგორც ხელშეკრულებით, ასევე ხელშეკრულების დადების შემდეგ, მათ შორის ვალდებულების შესრულების ეტაპზეც.¹⁰ მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ანუ შესრულების მიღებამდე შეთანხმების არსებობის პირობებში, მოვალის მიერ შეცვლილი ვალდებულების შესრულება არ წარმოადგენს სხვა შესრულებას და მისი მიღება კრედიტორის თანხმობაზე დამოკიდებული არ არის (428; იხ. 428-ე მუხლის კომენტ.), ისევე როგორც კრედიტორის მოთხოვნა შეცვლილი ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის მიერ სხვა შესრულების მოთხოვნად არ განიხილება. თუ კრედიტორი სხვა შესრულების მიღებაზე უარს ამბობს, შეცვლილი ვალდებულების თაობაზე შეთანხმება შეცვლილი ვალდებულების შემსრულებელმა უნდა ამტკიცოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილი ვალდებულების შესრულებას კრედიტორი ითხოვს, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შეცვლის თაობაზე მხარეთა შეთანხმების ფაქტი კრედიტორმა უნდა ამტკიცოს.
- 8 ალტერნატიული ვალდებულებისა და ვალდებულების შეცვლის (ჩანაცვლების) უფლების გამიჯვნის აუცილებლობა **განსხვავებული სამართლებრივი შედეგებითაა განპირობებული. ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალეს დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან არ ათავისუფლებს.** იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილია ერთზე მეტი ვალდებულება, მაშინ მოვალეს დარჩენილ ალტერნატიულ ვალდებულებათაგან ერთ-ერთი ვალდებულების არჩევის უფლება აქვს (375). მაგ., თუ

8 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 266, Rn. 1.

9 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, Aufl. 34., 2010, S. 93, Rn. 14.

10 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 266, Rn. 1.

ღვინის ქარხანას სასმელების მაღაზიისათვის მისი არჩევით უნდა მიეწოდებინა 10 000 ბოთლი ღვინო: „მანავის მწვანე“ ან „ხვანჭკარა“, ხოლო ღვინის ქარხანამ დამკვეთის წინაშე იკისრა 10 000 ბოთლი „მანავის მწვანის“ მიწოდების ვალდებულება, თუმცა „მანავის მწვანის“ დამზადება სოფელ მანავში განთავსებული ვენახების დასეტყვის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, მაღაზიას „ხვანჭკარა“ მიაწოდოს. **ვალდებულების შეცვლის (ჩანაცვლების) არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რომელიც მოვალეს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს, შეცვლილი (ჩანაცვლებული) ვალდებულების მოთხოვნის უფლებას გამოიწვევს.**¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაცვლების უფლება ე.წ. გარდაქმნითი უფლებაა (*Gestaltungsrecht*), ანუ მისი გამოყენების შემდეგ ერთი ვალდებულების ადგილს იკავებს მეორე და სწორედ ამით არის გამონეული ეს შედეგი. გამონაკლისია, როდესაც ვალდებულების შეცვლის (ჩანაცვლების) შესაძლებლობა გათვალისწინებულია სწორედ ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდება, მაგ., თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (409). ზიანის ანაზღაურების სახით ფულადი კომპენსაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა. სხვა შემთხვევაში მოვალეს კრედიტორის მოთხოვნით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება ეკისრება. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობისა თუ არათანაზომიერად დიდი დანახარჯების საჭიროების თაობაზე შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, კრედიტორის მოთხოვნა ფულად კომპენსაციაზე, ნაცვლად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა, სასამართლო პრაქტიკით არ კმაყოფილდება.¹²

ალტერნატიული ვალდებულებებისა და ვალდებულებათა ჩანაცვლების გამიჯვნისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ვალდებულების შეცვლის/ჩანაცვლების უფლების მინიჭებით საქმე გვაქვს ალტერნატიულ ვალდებულებებთან თუ ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლებასთან. მაგ., თუ სესხის ხელშეკრულების არსებობის პირობებში მხარეები შეთანხმდებიან, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოვალემ ან უნდა დააბრუნოს ნასესხები თანხა 7000 ლარის ოდენობით, ან ნასესხები თანხის ნაცვლად ვალდებულება ნატურით – 1000 ბოთლი ღვინის მიწოდებით უნდა შეასრულოს, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ალტერნატიული ვალდებულებები. შესაბამისად, მსესხებელი ვალდებულია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან ნასესხები თანხის დაბრუნებით ან მსესხებლისათვის 1000 ბოთლი ღვინის მიწოდებით. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელმა ვერ შეასრულა შესასრულებლად სავალდებულოდ არჩეული ვალდებულება ღვი-

9

11 შდრ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის N 2ბ/1219-12 გადაწყვეტილება.

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის N ას-1291-1218-2012 განჩინება.

ნის მიწოდების თაობაზე, მას რჩება სესხის დაბრუნების ვალდებულება. სხვა სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში ექცევა იმავე პრაქტიკულ მაგალითში გამსესხებლისა და მსესხებლის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, მსესხებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მსესხებელს, ნაცვლად თანხისა, მიანოდოს 1000 ბოთლი ღვინო. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელს აღარ აქვს ალტერნატიული ვალდებულებების არჩევის უფლება. მისი ერთადერთი ვალდებულებაა (შეცვლილი ვალდებულება) მსესხებლისათვის თანხის ნაცვლად 1000 ბოთლი ღვინის მიწოდება. ამ უკანასკნელი ვალდებულების შეუსრულებლობა არ იწვევს თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლების წარმოშობას, ანუ აღარც კრედიტორს აქვს თანხის მოთხოვნის უფლება და აღარც მოვალეა უფლებამოსილი, კრედიტორის თანხმობის გარეშე ვალდებულება თანხით შეასრულოს. ასეთი თანხმობის პირობებში სახეზე იქნება ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულებით (428).

მუხლი 375. შესასრულებელ ვალდებულებათა არჩევა

თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს ორი შესასრულებლიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება.

- I. ნორმის მიზანი467
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობები.....467
- III. ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა.....468
 - 1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით.....468
 - 2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა კრედიტორის ბრალით469
- IV. შესრულების ობიექტური შეუძლებლობა470
 - 1. ალტერნატიული ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა470
 - 2. მთლიანი ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა ...470
- V. ალტერნატიული ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება471
- VI. ალტერნატიული ვალდებულების შეუსრულებლობა ხანდაზმულობის საფუძველით471

I. ნორმის მიზანი

როგორც წესი, მოვალე ვალდებულია, ორი შესასრულებელი მოქმედებიდან ერთ-ერთი აირჩიოს. მისი უფლებაა, თუ რომელ მოქმედებას აირჩევს. 375-ე მუხლი შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობას აწესრიგებს, ანუ გამოიყენება მაშინ, როდესაც არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია.¹ შესრულების შეუძლებლობა შეიძლება თავიდანვე არსებობდეს, ან შემდგომში დადგეს. ნორმის გამოყენების წინაპირობაა შესრულების შეუძლებლობის არსებობა ვალდებულების შესრულების დროისათვის. სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ნორმა არ მიჯნავს ერთმანეთისაგან, თუ ვისი ბრალით მოხდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დადგომა. შესაბამისად, მითითებული ნორმით, მოვალემ არჩეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, „დარჩენილი“, „არარჩეული“ ვალდებულება მაშინაც უნდა შეასრულოს, როდესაც შესრულების შეუძლებლობა მეორე მხარის ბრალეული მოქმედების შედეგად დადგა. თუმცა, რალა თქმა უნდა, იგი ინარჩუნებს მეორე მხარის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

ნორმა გამოიყენება მხოლოდ ალტერნატიულ ვალდებულებებთან მიმართებით. ამასთან, ნორმის რეგულირების ფარგლებში ექცევა არა შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევა, არამედ არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს განპირობებული

1 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 375, გვ. 314.

მხარეთა განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით.² შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს შემთხვევითიც, როცა მხარეთა ბრალეული მოქმედება გამორიცხულია.³ ნორმა გამოიყენება, მიუხედავად იმისა, თუ როდის დადგა შესრულების შეუძლებლობა – **ვალდებულების არჩევამდე თუ არჩევის შემდეგ**. ნორმის გამოყენებისათვის არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი ბრალით არ შესრულდა არჩეული ვალდებულება. ნორმა არ აკონკრეტებს ასევე ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილ სუბიექტს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი ვალდებულება რჩება შესასრულებელი. შესაბამისად, ნორმის გამოყენებისათვის საკმარისია მხოლოდ ორი ფაქტობრივი წინაპირობის არსებობა, **კერძოდ, ალტერნატიული ვალდებულების არჩევა და არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**.

- 3 შესრულების შეუძლებლობას უთანაბრდება და, შესაბამისად, 375-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება არღვევს კანონით გათვალისწინებულ წესსა და აკრძალვებს, ან, სხვა რაიმე საფუძვლის გამო არსებობს ამ ვალდებულების ბათილობის საფუძვლები; ასეთ შემთხვევაშიც დგება დარჩენილი ვალდებულების შესრულების ვალდებულება, თუ, რა თქმა უნდა, ბათილობის საფუძვლები მთლიანი გარიგების მიმართ არ ვრცელდება⁴ და სახეზეა გარიგების ნაწილის ბათილობა, რომელიც მისი სხვა ნაწილების ბათილობას არ იწვევს და, სავარაუდოა, რომ გარიგება მისი ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა (62). თუ არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება ამორალურია, ასეთ შემთხვევაში სახეზეა მთელი გარიგების ბათილობის წინაპირობები და არა მხოლოდ გარიგების აღნიშნული ნაწილისა.⁵

III. ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა

- 4 ვალდებულების შესრულების სუბიექტური შეუძლებლობა სახეზეა, როდესაც ვალდებულების შესრულება იმთავითვე, ვალდებულების შესრულების წარმოშობის ეტაპზე შესაძლებელი იყო, თუმცა შემდგომში მისი შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომა მხარეთა ბრალით მოხდა, ანუ შესრულების შეუძლებლობა მოვალის ან კრედიტორის განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ განაპირობა.

1. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით

- 5 იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტი კრედიტორია, ხოლო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის ბრალით დადგა, კრედიტორს აქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა ალტერნატიული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, კრედიტორს ასევე უფლება აქვს,

² იქვე.

³ იქვე.

⁴ Lorenz, in Beck OK BGB, 29. Aufl., 2013, § 265, Rn. 2.

⁵ იქვე.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაცვლად, „დარჩენილი“, „არაარჩეული ვალდებულების“ შესრულება მოითხოვოს.⁶

თუ ვალდებულების **არჩევის უფლება მოვალეს** აქვს და არჩეული ვალდებულების შესრულების **შეუძლებლობაც მისი ბრალით** არის განპირობებული, ასეთ შემთხვევაში არჩევანის უფლებას ზიანის ანაზღაურებასა და დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულების შესრულებას შორის კვლავ მოვალე ინარჩუნებს.⁷ რისკი იმისა, რომ მოვალემ ეს უფლება კეთილსინდისიერად არ განახორციელოს, დიდია, თუმცა ასეთ შემთხვევაში კრედიტორს ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმები იცავს,⁸ რომელთა ძალითაც, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (408 I).

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა კრედიტორის ბრალით

იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტია კრედიტორი და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა კრედიტორის ბრალით დადგა, იგი არ კარგავს „დარჩენილი“, „არაარჩეული“ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას. მოვალეს უფლება აქვს, კრედიტორს იმ ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს, რომელიც მას კრედიტორის ბრალეული მოქმედებით მიადგა. მაგ., გარკვეული დანახარჯები გასწია კრედიტორის მიერ უკვე არჩეული ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა, კრედიტორის ბრალით, ეს ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაბამისად, კრედიტორი, მართალია, უფლებამოსილია, მოითხოვოს დარჩენილი ვალდებულების შესრულება (თუ, რა თქმა უნდა, იგი ალტერნატიული ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტია), თუმცა მოვალეს უნდა აუნაზღაუროს ის დანახარჯი, რომელიც მან კრედიტორის მიერ პირველად არჩეული ვალდებულების შესრულების მიზნით გასწია.

თუ ვალდებულების **არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტი მოვალეა** და არჩეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა **კრედიტორის ბრალით** დადგა, ასეთ შემთხვევაში მოვალეს კვლავ რჩება დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოვალეობა, თუმცა იქნეს კრედიტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამგვარი ზიანი შეიძლება იყოს ის დანახარჯი, რაც მოვალემ უკვე არჩეული ვალდებულების შესრულების მიზნით გასწია, თუმცა კრედიტორის ბრალით ვერ შეასრულა. ზიანად შეიძლება განხილულ იქნეს ასევე ის სხვაობა, რაც პირველად არჩეული ვალდებულების შესრულებასა და დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულების შესრულებას შორის არსებობს, თუ დადგინდება, რომ დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულების შესრულება მოვალეს უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე იმ ალტერნატიული ვალდებულების შესრულება დაუჯდებოდა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოდ აირჩია და კრედიტორის ბრალით ვერ შეასრულა.

6 *Gernhuber Schulverhältnis § 11 III 3. nach Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 265, Rn. 2.

7 *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 265, Rn. 4.

8 იქვე, Rn. 3.

IV. შესრულების ობიექტური შეუძლებლობა

1. ალტერნატიული ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა

9 შესრულების ობიექტური შეუძლებლობა სახეზეა, როდესაც **არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მხარეთა ბრალით არ არის განპირობებული**. შესაბამისად, თუ შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევანზე უფლებამოსილი სუბიექტი კრედიტორია, შესრულების ობიექტური შეუძლებლობა კრედიტორს უფლებას წარმოუშობს, მოითხოვოს დარჩენილი, „არაარჩეული“ ალტერნატიული ვალდებულების შესრულება. მას დარჩენილი ვალდებულების არჩევის ალტერნატივად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, ვინაიდან ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მეორე მხარის (ალტერნატიული ვალდებულების არჩევანზე არაუფლებამოსილი კონტრაჰენტის) ბრალით არ არის გამოწვეული.

10 იგივე სამართლებრივი რეგულირება ვრცელდება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე, როდესაც შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევანზე უფლებამოსილი სუბიექტი თავად მოვალეა. ამ შემთხვევაშიც არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის პირობებში მოვალე ვალდებულია, შეასრულოს დარჩენილი ალტერნატიული ვალდებულება. მას არ აქვს ზიანის ანაზღაურებასა და დარჩენილ ალტერნატიულ ვალდებულებას შორის არჩევანის გაკეთების უფლება, რადგან სახეზე არ არის მისი მხრიდან ზიანის ანაზღაურების წინაპირობა – არჩეული ალტერნატიული ვალდებულების მისი ბრალით შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობის დადგომა.

2. მთლიანი ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა

11 თუ შესრულების შეუძლებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ალტერნატიულ ვალდებულებას ეხება, ასეთ შემთხვევაში სახეზეა არა ალტერნატიული ვალდებულების, არამედ **მთელი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**, რაც 375-ე მუხლის რეგულირების ფარგლებს სცდება.¹⁰ 375-ე მუხლი არ აწესრიგებს ასევე ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესრულების შეუძლებლობა **არაარჩეულ ალტერნატიულ ვალდებულებას ეხება**. უნდა ითქვას, რომ არაარჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ზეგავლენას არ ახდენს ალტერნატიული ვალდებულების შესრულებაზე და, შესაბამისად, თუ არჩეული ალტერნატიული ვალდებულება შესრულებადია, იგი სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.¹¹ არაარჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სამართლებრივი შედეგების დადგომაზე ზეგავლენას მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენს, თუ არჩეული

9 იქვე, Rn. 15.

10 Lorenz, in Beck OK BGB, 29. Aufl., 2013, § 265, Rn. 3.

11 იქვე, Rn. 3.

ალტერნატიული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია და იგი ერთადერთი დარჩენილი არაარჩეული ალტერნატიული ვალდებულებაა. ასეთ შემთხვევაში, სახეზე იქნება მთელი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და მასზე გავრცელდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ზოგადი წესები და არა ალტერნატიულ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის მიმართ მოქმედი სპეციალური დებულებები.

V. ალტერნატიული ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება

მოვალე უფლებამოსილი არ არის, ნაწილ-ნაწილ შეასრულოს ერთიანად შესასრულებელი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი თანახმაა, მიიღოს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება.¹² იგივე წესი ვრცელდება ალტერნატიული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობაზე. კრედიტორი უფლებამოსილია, უარი თქვას არჩეული, თუმცა ნაწილობრივ შესრულებული, ალტერნატიული ვალდებულების მიღებაზე. კრედიტორი ამ უფლებას ინარჩუნებს მაშინაც, როდესაც ვალდებულების ერთიანად შესრულება მისი ბრალით ვერ მოხდა. იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს დარჩენილი, არაარჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება. ასეთ შემთხვევაში მოვალეს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუ ნაწილობრივი შესრულება, ანუ ვალდებულების ერთიანად შეუსრულებლობა მოვალის ბრალმა განაპირობა, ასეთ შემთხვევაში მოვალეს არჩეული შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ან დარჩენილი, არაარჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოვალეობა წარმოეშობა. დასახელებულ ორ ალტერნატივას შორის არჩევანს ალტერნატიული ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტი აკეთებს (მოვალე ან კრედიტორი) (374).

12

VI. ალტერნატიული ვალდებულების შეუსრულებლობა ხანდაზმულობის საფუძვლით

თუ ალტერნატიული ვალდებულების არჩევის უფლების მქონე კრედიტორი ითხოვს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებას, მოვალე უფლებამოსილია, არ შეასრულოს ხანდაზმული მოთხოვნა. ეს მდგომარეობა შესრულების შეუძლებლობის მდგომარეობას არ უთანაბრდება და, შესაბამისად, მასზე არც 375-ე მუხლის მონესრიგება ვრცელდება (მდრ. 376-ე მუხლის კომენტ., მე-7 ველი), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია, მოვალეს სხვა (დარჩენილი) არახანდაზმული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს, ვინაიდან მან ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების არჩევის თაობაზე თავისი უფლების რეალიზაცია უკვე მოახდინა.¹³

13

12 Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 1.

13 Erman /I. Ebert Rn. 4. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 7.

მუხლი 376. ალტერნატიულ ვალდებულებათა არჩევის წესი

374-ე მუხლის მიხედვით, არჩევა ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად.

I. ზოგადი დებულებები	472
II. შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევა.....	472
III. ალტერნატიული ვალდებულების არჩევის შეუქცევადობა	473
IV. ვალდებულების არჩევის სამართლებრივი შედეგები.....	474
V. საპროცესოსამართლებრივი თავისებურებები.....	475
VI. ალტერნატიული ვალდებულების განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან	476

I. ზოგადი დებულებები

- 1 ნორმა ბლანკეტური ხასიათისაა. იგი უთითებს 374-ე მუხლზე, რომლითაც განმარტებულია ალტერნატიული ვალდებულებების არსი და მითითებულია ალტერნატიული ვალდებულებიდან შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი პირი. ეს ნორმა ალტერნატიული ვალდებულების ხასიათს უფრო თვალსაჩინოს ხდის. იგი განსაზღვრავს ალტერნატიული ვალდებულების არჩევის წესს და ადგენს ვალდებულების შესრულების უკუქცევით ძალას.¹

II. შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევა

- 2 ვალდებულების არჩევა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა. იგი ნამდვილად იმ მომენტიდან ჩაითვლება, როცა მეორე მხარეს მიუვა (51 I). ალტერნატიული ვალდებულების არჩევა ხორციელდება როგორც მიღებასავალდებულო ნების გამოხატვის, ასევე კონკლუდენტური მოქმედების გზით. თუ ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტია მოვალე, კონკლუდენტური მოქმედება შეიძლება გამოიხატოს ვალდებულების შესრულებით, შესრულების შეთავაზებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი სუბიექტია კრედიტორი, ნების გამოხატვა ვალდებულების არჩევის თაობაზე შეიძლება განხორციელდეს შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, შესრულების მიღებით, სარჩელის წარდგენით, სააღსრულებო წარმოების დაწყებით და ა.შ.² აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც ნების გამოხატვა, კონკლუდენტური მოქმედებაც უფლებამოსილი პირის წინაშე უნდა განხორციელდეს. ალტერნატიული ვალდებულების არჩევის თაობაზე არაუფლებამოსილი პირის წინაშე ნების გამოხატვა პირს შესრულებ

1 *Enneccerus/Lehmann* § 8 II. nach *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 1.

2 *Offengelassen von RGZ* 136, 127, 130. nach *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 2.

ბის ვალდებულებას არ წარმოუშობს, ვინაიდან ვალდებულება არჩეულად არ მიიჩნევა. არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებით პირი უფლებამოსილი პირის წინაშე შესასრულებელი ვალდებულებისაგან არ თავისუფლდება (373 II). უფლებამოსილი პირის წინაშე ალტერნატიული ვალდებულების არჩევის თაობაზე განცხადების გაკეთებით ან შესრულების განხორციელებით ალტერნატიული ვალდებულება არჩეულად ჩაითვლება. უკვე არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულებამდე ცალმხრივად სხვა ვალდებულების არჩევა დაუშვებელია. არჩევანის შეცვლა ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა.³

III. ალტერნატიული ვალდებულების არჩევის შეუქცევადობა

ალტერნატიული ვალდებულების არჩევა შეუქცევადია,⁴ რაც იმას ნიშნავს, რომ ალტერნატიული ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულების არჩევის შემდეგ 376-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს ვეღარ შეცვლის, მაშინაც, როდესაც მოვალეს აქვს არჩეული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, მაგ., ხანდაზმულობის საფუძველით. **არჩეული ვალდებულება დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად მიიჩნევა.** ვინაიდან ვალდებულების არჩევა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგია, ამიტომ ეს ნება შეიძლება საცილო გახდეს თვით ნების გამომვლენის მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება შეცილების საფუძველის არსებობა (შეცდომა, მოტყუება, იძულება), გამომვლენილი ნება გაბათილდება და ნების გამოვლენაზე უფლებამოსილ სუბიექტს შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების არჩევის უფლება კვლავ მიეცემა. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გამოვლენილი ნების უცილოდ ბათილობის საფუძველები (გამომვლენილი ნების არასერიოზულობა, ნების გამომვლენის ფსიქიკური აშლილობა, ქმედუუნარობა და ა.შ.), ნება გამოვლენილად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, არც ალტერნატიული ვალდებულება ჩაითვლება არჩეულად, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი პირი კვლავ ირჩევს შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიულ ვალდებულებას, თუ, რა თქმა უნდა, უცილოდ ბათილობის საფუძველი თვით ნების გამომვლენს არ უკავშირდება, მაგ., გამოვლენილი ნების ბათილობა ნების გამომვლენის ქმედუუნარობის ან ფსიქიკური აშლილობის გამო.

გამომვლენილი ნების შეცილება, როგორც წესი, იწვევს გამოვლენილი ნების ბათილობას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. თუმცა აღსანიშნავია, რომ, როდესაც საუბარია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე, თუნდაც, საამისო კანონისმიერი წინაპირობების არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფასებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანშეწონილობა. **უფლებების რეალიზაციის მიზანშეწონილობის შეფასების კრიტერიუმში კი კეთილსინდისიერებაა (8 III).**

³ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 376, გვ. 316.

⁴ Gernhuber, Schuldverhältnis § 11 II 4; Erman/A. Ebert Rn. 2; Staudinger/Bittner (2009) Rn. 2; იხ. ასევე Wagner S. 57f. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 4.

ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები იმ პირის უფლებრივი მდგომარეობა, ვინც შესრულების მიღებისას კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა (976 II გ).

IV. ვალდებულების არჩევის სამართლებრივი შედეგები

- 5 **ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით შერჩეული ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევა**, შესაბამისად, თუ ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილი პირი მოვალეს, მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ვალდებულების არჩევის თაობაზე განცხადებით კრედიტორს ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, ხოლო თუ შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიულ ვალდებულებას კრედიტორი ირჩევს, ასეთ შემთხვევაში კრედიტორის განცხადებით მოვალეს არჩეული ალტერნატიული ვალდებულების შესრულების ვალდებულება აქვს, თუ, რა თქმა უნდა, კრედიტორის მიერ შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევა და შესრულების მოთხოვნა მკაფიოდ ურთიერთგამიჯნული არ არის. მოვალის მიერ ალტერნატიული ვალდებულების შესრულების გზით არჩევის შემთხვევაში, შესრულებული ვალდებულება არჩეულ ვალდებულებად ითვლება და კრედიტორს შესრულების მიღების ვალდებულება წარმოეშობა.
- 6 **კანონი ვალდებულების არჩევას უკუქცევით ძალას ანიჭებს, ვინაიდან არჩეულ ვალდებულებას დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად მიიჩნევს**. ამ ჩანაწერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრისა და მოთხოვნის ხანდაზმულობისათვის, მაგ., ძვირფასი ქვებით მოვაჭრეს, რომელიც, ამავე დროს, სამკაულებს ამზადებს, პირმა გადასცა 100 ცალი მარგალიტი იმ პირობით, რომ 1 თვის ვადაში მოვაჭრე მას ან ყელსაბამს დაუბრუნებდა, ან 100 ცალი მარგალიტის საფასურს აუნაზღაურებდა. ხელშეკრულების დადებიდან 25-ე დღეს მოვაჭრემ დამკვეთს განუცხადა, რომ იგი მას ყელსაბამს გადასცემდა. ამდენად, მოვაჭრემ შესასრულებელი ვალდებულება აირჩია, რომელიც დასაწყისიდანვე შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევა. ამიტომ ვალდებულების არჩევის შემდეგ მოვაჭრეს ვალდებულების შესასრულებლად 5-დღიანი ვადა აქვს.
- 7 თუ ხანდაზმულობის საფუძვლის არცოდნის გამო მოვალე ალტერნატიულ ვალდებულებას აირჩევს, მის მიერ ვალდებულების არჩევა განხილულ უნდა იქნეს **ხანდაზმული მოთხოვნის აღიარებად, შესაბამისად**, მას უფლება არა აქვს, უარი თქვას შესრულებაზე ხანდაზმულობის საფუძვლით (144 II, III). იგივე წესი ვრცელდება ალტერნატიული ვალდებულების არჩევაზე ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების გზით. **მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მოვალე შესრულებას უკან ვერ დაიბრუნებს** (976 II ბ, 144 III). თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული ვალდებულების არჩევის უფლების მქონე კრედიტორი ითხოვს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებას, მოვალე უფლებამოსილია, არ შეასრულოს ხანდაზმული მოთხოვნა. ამ შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია, მოვა-

ლეს მოსთხოვოს სხვა (დარჩენილი) არახანდაზმული ალტერნატიული ვალდებულების შესრულება, ვინაიდან მან ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მოახდინა თავისი უფლების რეალიზაცია შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების არჩევის თაობაზე (იხ. მე-3 ველი).⁵

მართალია, კანონი ადგენს ალტერნატიული ვალდებულების არჩევის წესსა და ფარგლებს, თუმცა მხარეთა შეთანხმებით ალტერნატიულ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული უფლება-მოვალეობები, მაგ., ალტერნატიული ვალდებულების არჩევასთან ერთად მოხდეს არჩეული ალტერნატიული ვალდებულების დაკონკრეტება, დაზუსტება; დასაშვებია ასევე არჩეული ვალდებულების შეცვლა, ასარჩევი ალტერნატიული ვალდებულებების ერთ მთლიან ვალდებულებად ქცევა და ა.შ.⁶ ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალტერნატიულ ვალდებულებებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების გამიჯვნას სხვა მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან.

V. საპროცესოსამართლებრივი თავისებურებები

ვალდებულების არსებობა კრედიტორმა უნდა ამტკიცოს.⁷ იმ შემთხვევაში, თუ სადავოა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ალტერნატიული ხასიათი, ალტერნატიულ ვალდებულებათაგან შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულების არჩევის უფლება ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა ამტკიცოს. ამდენად, თუ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ერთ-ერთ მხარეს შესასრულებელი ვალდებულების არჩევის უფლებას ანიჭებს, მან უნდა მიიღოს სამოქალაქოსამართლებრივი წინდახედულების ყველა შესაძლო ზომა, რათა, სადავოობის შემთხვევაში დაადასტუროს მისი უფლება შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების არჩევის თაობაზე. წინდახედულების ზემოაღნიშნული სტანდარტის დაცვას ემსახურება ხელშეკრულების წერილობითი ფორმა, მაშინ როდესაც ამ ფორმის დაცვა ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი აუცილებელი პირობა არ არის. ამავე მიზანს ემსახურება სავალო საბუთის გაცემის მოთხოვნა და ა. შ., რადგან, ალტერნატიული ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, არჩეული ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევა, ამიტომ ვალდებულების არჩევაზე უფლებამოსილმა სუბიექტმა უნდა ამტკიცოს, თუ რომელი ვალდებულება აირჩია შესასრულებლად სავალდებულოდ. მაგ., თუ კრედიტორი სასარჩელო მოთხოვნით ითხოვს მოვაჭრისათვის 100 ცალი მარგალიტის საფასურის დაკისრებას, მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს როგორც

5 Erman /I. Ebert Rn. 4. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 7.

6 Gernhuber Schuldverhältnis § 11 II 4a; Larenz I § 11 II; Soergel/Wolf Rn. 2. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 8.

7 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის N 2b/4455-10 გადაწყვეტილება.

მისი უფლება ვალდებულების არჩევის თაობაზე, ასევე მის მიერ შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების სახით ყელსაბამის გადაცემის თაობაზე ვალდებულების არჩევა (იხ. ზემოთ მითითებული მაგალითი, მე-6 ველი).

- 10 როდესაც შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულება მხოლოდ **ფორმასავალდებულო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა**, ასეთი ალტერნატიული ვალდებულების არჩევა განცხადებით მხოლოდ მაშინ წარმოიშობს სამართლებრივ შედეგებს, როდესაც განცხადება იმ ფორმას აკმაყოფილებს, რაც ამ ვალდებულების წარმოშობისათვის არის სავალდებულო. მაგ., თუ ერთ-ერთი ალტერნატიული ვალდებულება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემაა, მოვალის მხოლოდ ზეპირი განცხადება ამ ალტერნატიული ვალდებულების შესრულების მოვალეობას არ წარმოშობს, ანუ, სადავოობის შემთხვევაში, მხოლოდ ზეპირი განცხადებით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ალტერნატიული ვალდებულება არჩეულად არ მიიჩნევა და მოვალეს ამ ვალდებულების შესრულების მოვალეობა არ წარმოეშობა.

VI. ალტერნატიული ვალდებულების განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

- 11 განსაკუთრებული სამართლებრივი მსგავსება არსებობს ალტერნატიული ვალდებულების არჩევასა და ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლებას შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლების შესაძლებლობის თაობაზე შეთანხმდებიან, რა დროსაც ამ უფლებამოსილების მატარებელი კრედიტორია, კრედიტორის მოთხოვნა შეცვლილი/ჩანაცვლებული ვალდებულების თაობაზე მოვალისათვის სავალდებულოა. შეცვლილი/ჩანაცვლებული ვალდებულების შესრულებაზე არ ვრცელდება ალტერნატიული ვალდებულებებისათვის დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციები. მაგ., კრედიტორის მიერ შეცვლილი/ჩანაცვლებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ეს ვალდებულება დასაწყისიდანვე შესასრულებლად სავალდებულოდ არ მიიჩნევა⁸ (შეადარე მე-6 ველი). თუ შესასრულებელი ვალდებულების ჩანაცვლების უფლება აქვს მოვალეს, მის მიერ ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე იმ ვალდებულების დასახელება, რომლითაც იგი არსებულ ვალდებულებას შეცვლის/ჩანაცვლებს, არ წარმოუშობს შეცვლილი/ჩანაცვლებული ვალდებულების შესრულების მოვალეობას (შეადარე მე-5 ველი). საეჭვოობის შემთხვევაში, მოვალე ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლებაზე უფლებამოსილ სუბიექტად არ განიხილება (შეადარე 374-ე მუხლი, 1-ლი ველი). როგორც წესი, ამგვარი დათქმის არარსებობის ან ბუნდოვანების შემთხვევაში, ვალდებულების შეცვლა/ჩანაცვლებაზე უფლებამოსილი სუბიექტის გამოკვეთა ხელშეკრულების განმარტების საფუძველზე მხარეთა ნამდვილი ნების დადგენის გზით ხორციელდება. მხედველობაში მიიღება ასევე უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპი⁹ (8 III).

⁸ Palandt/Grüneberg Rn. 2. nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 10.

⁹ Palandt/Grüneberg § 262 Rn. 7; s. auch OLG Brandenburg VIZ 1997 nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 263, Rn. 10.

მუხლი 377. ორზე მეტი შესასრულებელი ვალდებულების არჩევა

374-ე-376-ე მუხლების წესები გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როცა ვალდებულების არჩევის საგანს შეადგენს ორზე მეტი შესრულება.

ნორმის გამოყენების ფარგლები

ალტერნატიული ვალდებულებების არსის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება რამდენიმე არსებობდეს, თუმცა კრედიტორს მოთხოვნის უფლება ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულების მიმართ ჰქონდეს. შესაბამისად, ალტერნატიული ვალდებულების მარეგულირებელი წესები მოქმედებს როგორც ერთი, ისე ერთზე მეტი შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულების მიმართ. 377-ე მუხლი ბლანკეტური ხასიათისაა და 374-ე-376-ე მუხლების გამოყენების ვალდებულებას ისეთ შემთხვევებში აწესებს, როდესაც ვალდებულების არჩევის საგანს ორზე მეტი ვალდებულება შეადგენს. ამდენად, ამ მუხლის დანაწესი არ იძლევა რაიმე თვისებრივად არსებით სიახლეს. იგი უფრო მხარეთა არჩევანის რაოდენობრივ მაჩვენებელზე მეტყველებს¹ და აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესასრულებლად სავალდებულო ალტერნატიული ვალდებულება ერთზე მეტია. მაგ., ხუთი ალტერნატიული ვალდებულებიდან მოვალე ვალდებულია, აირჩიოს 2 ან მეტი ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოდ. ეს სამართალურიერთობა ისევე წესრიგდება 374-ე-376-ე მუხლებით, როგორც ერთი ალტერნატიული ვალდებულების არჩევა.

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 377, გვ. 318.

მუხლი 378. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება

მოვალეს უფლება აქვს, ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა.

I. ნორმის მიზანი	478
II. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დეფინიცია	478
III. შეთანხმება ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების თაობაზე.....	479
IV. ნორმის გამოყენების წინაპირობები	480
V. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების ვადა.....	481
VI. ხელშეკრულებაზე უარი ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების საფუძვლით	482
VII. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების ვალდებულება.....	483
VIII. ნორმის გამოყენების დაუშვებლობა კრედიტორის საზიანოდ.....	484
IX. კეთილსინდისიერება	484
X. ხანდაზმულობა	485
XI. მტკიცების ტვირთი.....	486

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმის მიზანია **კრედიტორის დაცვა** ერთიანად შესასრულებელი ვალდებულების პირობებში ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებისაგან. შესაბამისად, მითითებული ნორმის მიხედვით, მოვალე უფლებამოსილი არ არის, ნაწილ-ნაწილ შეასრულოს ერთიანად შესასრულებელი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი თანახმაა, მიიღოს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება.¹

II. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დეფინიცია

- 2 თუ, თავისი არსით, ვალდებულება ერთიანად შესრულებას ექვემდებარება და **მხარეები ამ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე არ შეთანხმებულან**, სახეზეა **ერთიანად შესასრულებელი ვალდებულება**. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მარეგულირებელი ნორმა (378) მხოლოდ **ერთიანად შესასრულებელ ვალდებულებებზე** ვრცელდება. ამასთან, ერთიანად შესასრულებელი ვალდებულების **ნაწილ-ნაწილ შესრულება**, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლებელი უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ ნორმით გათვალისწინებული შესრულება **კრედიტორის მიერ შესრულების მიღებას** გულისხმობს.
- 3 ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დეფინიციის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ვალდებულება ცალკეულ „შესრულებათა“ ერთობლიობისაგან შედგება, ანუ როდესაც შესასრულებელი ვალდებულების

¹ Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 1.

ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულება ერთიანად ვერ შესრულდება. ასეთ შემთხვევაში, თითოეული შესრულება არა ერთიანი ვალდებულების ცალკეული ნაწილის შესრულებაა, არამედ დამოუკიდებელი ვალდებულებაა. მაგ., როდესაც საწარმო სამშენებლო კომპანიის წინაშე 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 1 ტონა ცემენტის მიწოდების ვალდებულებას იღებს, ყოველი მიწოდება (თვეში 1 ტონა) დამოუკიდებელი, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და არა ერთიანი ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება.

ამდენად, 378-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა ის შემთხვევები, როდესაც ვალდებულება ერთიანადაა შესასრულებელი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გრძელვადიან ურთიერთობას ეხება, სადაც ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელია და თითოეული შესასრულებელი ვალდებულება დამოუკიდებელი შესრულების საგანია და არა მთლიანი შესრულების ნაწილი, 378-ე მუხლი არ გამოიყენება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის, გრძელვადიანი ურთიერთობის ფარგლებში, ნაწილ-ნაწილ შესრულება ისედაც შეთანხმებულია. იგივე წესი ვრცელდება მაშინაც, როდესაც ურთიერთობა გრძელვადიანია, შესასრულებელი ვალდებულება ერთიანია, თუმცა მისი ნაწილ-ნაწილ შესრულება მხარეთა შორის შეთანხმებულია. მაგ., გამყიდველი იღებს ვალდებულებას, მყიდველს 2 თვის განმავლობაში 3 ტ ცემენტი მიანოდოს, თუმცა მხარეთა შეთანხმებით ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ უნდა მოხდეს.

III. შეთანხმება ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების თაობაზე

ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. **შეთანხმება დასაშვებია როგორც წინასწარ, ვალდებულების წარმოშობის ეტაპზე, ისე შემდგომ, ვალდებულების შესრულების დროს.** ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე წინასწარი შეთანხმება ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა, შესაბამისად, მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა. მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ნაწილ-ნაწილ შესრულების თაობაზე შეიძლება მოცემული იყოს როგორც ძირითად ხელშეკრულებაში, სადაც ამავე ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობებია განერილი, ასევე შეიძლება არსებობდეს ცალკე შეთანხმების ფორმით. თუმცა ნიშანდობლივია, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითადი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელ ყველა მოთხოვნას (ფორმა, ხელმოწერა და ა. შ.) (327 I). **ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების თაობაზე მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში 378-ე მუხლის გამოყენების საჭიროება არ დგას. შესაბამისად, შესრულების ნაწილის მიღება კრედიტორის თანხმობას არ საჭიროებს (378).**

- 6 ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ 378-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა, როდესაც მხარეები ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე **წინასწარ შეთანხმებულნი არ არიან**. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება დასაშვებია, თუ კრედიტორი ამგვარ შესრულებას დაეთანხმა. თანხმობა შეიძლება გამოიხატოს კონკლუდენტური მოქმედებითაც, ანუ ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღებით. კრედიტორის მიერ შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღება არ გამოორიცხავს მის (კრედიტორის) უფლებას, მოითხოვოს ნაწილ-ნაწილ შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან, მიუხედავად კრედიტორის მიერ შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღებისა, იგულისხმება, რომ მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად არ ასრულებს (იხ. მე-13 ველი), თუ, რა თქმა უნდა, მხარეთა ახალი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების პირობებში კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, რომ შესრულების ნაწილის მიღებით ნაწილ-ნაწილ შესრულებას არ დასთანხმდა და, შესაბამისად, არაჯეროვანი შესრულებით (ნაწილ-ნაწილ შესრულებით) ზიანის ანაზღაურების უფლება დაიტოვა.

IV. ნორმის გამოყენების წინაპირობები

- 7 ნორმის გამოყენების წინაპირობაა **ერთიანად შესასრულებელი ვალდებულების** არსებობა, რომლის ნაწილ-ნაწილ შესრულება ობიექტურად შესაძლებელია. ასეთ ვალდებულებებს, როგორც წესი, ფულად და სხვა გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულებები განეკუთვნება.² გარდა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების ფაქტობრივი შესაძლებლობისა, მხედველობაშია ასევე მისაღები ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების სამართლებრივი დასაშვებობა. თუ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია, ამის სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ მოვალე კრედიტორს ნაწილ-ნაწილ შესრულებას ობიექტურად ვერ შესთავაზებს, ვინაიდან მოვალის უფლება კრედიტორისათვის ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების შეთავაზების თაობაზე წარმოიშობა მაშინ, როცა ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება ობიექტურად შესაძლებელია. მაგ., ნახატის შექმნა ერთიანად შესასრულებელი ვალდებულებაა, რომლის ნაწილ-ნაწილ შესრულება ობიექტურად შეუძლებელია (**ფაქტობრივი შეუძლებლობა**). დაუშვებელია ასევე ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის აუცილებელი ინფორმაციის ნაწილ-ნაწილ გაცემა (**სამართლებრივი შეუძლებლობა**) (318). ერთ სამართლებრივ ურთიერთობაში, სადაც უფლება-მოვალეობები ორმხრივია, ერთი მხარისათვის ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება ობიექტურად შესაძლებელი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე მხარისათვის – არა. მაგ., უძრავი ქონების შექმნისას უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემის ვალდებულება იმ კატეგორიის ვალდებულებებს მიეკუთვნება, რომელთა ნაწილ-ნაწილ შესრულება როგორც ფაქტობრივად, ასევე სამართლებრივად დაუშვებელია, მაშინ როდეს

² Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 7.

საც მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, გამყიდველის თანხმობით, ნაწილ-ნაწილ შეიძლება შესრულდეს.

ამდენად, ნორმის მოქმედება ვრცელდება ერთიანად შესასრულებელ ვალდებულებებზე, რომელთა ნაწილ-ნაწილ შესრულება ობიექტურად შესაძლებელია და არა მხარეთა შეთანხმებით პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებზე, როდესაც ვალდებულების პერიოდული შესრულება (ქირის გადახდა, კრედიტის დაფარვა) მხარეთა არსებითი შეთანხმების საგანია, ან იმთავითვე გამომდინარეობს შესასრულებელი ვალდებულების არსიდან (სამოდელო სახლის ქსოვილით მომარაგება). ნორმის მოქმედება არ ვრცელდება ასევე ისეთ ვალდებულებებზე, რომელთა ერთიანად შესრულება შეუძლებელია და იგი, იმთავითვე, ნაწილ-ნაწილ შესასრულებელი ვალდებულებაა (ტურისტული მომსახურების განწევა).

ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დაუშვებლობა ვრცელდება ასევე სხვა შესრულებაზეც, რომელსაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად იღებს (428). ვალდებულების ერთიანად შესრულების მოვალეობა მოქმედებს ასევე დებონირების შემთხვევაშიც (434). იგივე წესი არ ვრცელდება გაქვითვის წინაპირობების არსებობისას (442), მაგ., თუ მოვალის გასაქვითი მოთხოვნა ბევრად ნაკლებია კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, მოვალე უფლებამოსილია, გაქვითვა მოითხოვოს. ამ ურთიერთობის სხვაგვარი მოწესრიგება ეწინააღმდეგება გაქვითვის არსს და კანონისმიერ დანაწესს, რომლის მიხედვითაც, თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე (444). თუმცა, ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოვალე ვალდებულების ერთიანად შესრულების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორის თანხმობის გარეშე, უფლებამოსილი არ არის, მოახდინოს მისი ვალდებულების ნაწილის გაქვითვა (378).³

V. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების ვადა

ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არსებობისას ვალდებულების ერთიანი შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას უკავშირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანი შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის დროისათვის წარმოეშობა.⁴ თუ ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, მათ შორის, არც ნაწილ-ნაწილ შესრულებისა, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე (366), თუკი პატივისაღები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე (364). ამგვარი პატივისაღები მიზეზი შეიძლება იყოს ვადაზე ადრე შესრულების

3 Staudinger/Bittner, RdNr.20 nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 8.

4 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის N 2ბ/814-13 განჩინება.

ნაწილის შეთავაზება, ვინაიდან კრედიტორს უფლება აქვს, **შესრულება მიიღოს ერთიანად, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ასევე მოვალის ინიციატივით, შესრულების ვადაზე ადრე.** ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული დროის არარსებობის შემთხვევაში, მოვალემ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა შეასრულოს. ამასთან, შესრულების ვალდებულება დარღვეულად მიიჩნევა, თუ ვალდებულება დაუყოვნებლივ ერთიანად არ შესრულდა.

VI. ხელშეკრულებაზე უარი ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების საფუძვლით

- 11 კრედიტორს უფლება აქვს, ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება არ მიიღოს. **378-ე მუხლით რეგულირებული შესრულების მიღებაზე უარი, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ვალდებულების შესრულებლობას უთანაბრდება,⁵ ხოლო შესრულების ნაწილის მიღება, ნაწილობრივ შესრულებას.** ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილი არ არის, ვალდებულების დარღვევის საფუძვლით (ვალდებულების არასრული/ნაწილობრივი შესრულება) უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კრედიტორი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ იძენს. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, დამატებითი ვადა არ გამოიყენება, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას გაფრთხილება უთანაბრდება. ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა (405 I). ამდენად, ვალდებულების ნაწილის შესრულება კრედიტორს წარმოუშობს მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემის ვალდებულებას და არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მათ შორის, მაშინაც, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის იმთავითვე განსაზღვრული იყო ვადა და მოვალემ აღნიშნული დროისათვის ვალდებულების მხოლოდ ნაწილი შეასრულა (405 II ბ). ასეთ შემთხვევაში კრედიტორმა მოვალეს უნდა განუსაზღვროს დამატებითი ვადა ვალდებულების სრულად შესასრულებლად, თუ, რა თქმა უნდა, მისთვის ვალდებულების შესრულების ინტერესი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადას არ უკავშირდებოდა.⁶ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების პირობებში კრედიტორის მიერ ხელშეკრულებაზე კანონით დადგენილი წესით უარის თქმის მიზნებისათვის დამატებითი ვადის მიცემის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება (405 II ა; იხ. 405-ე მუხლის კომენტ.).

- 12 ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მოიცავს არა მხოლოდ სამართალურთიერთობის გაგრძელებაზე უარს, არამედ ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე უარის თქმასაც. მაგ., ექსპერტი-

5 Esser-Schmidt AT/1 & 15 III; Soergel/Wolf RDNr.2 nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 18.

6 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის N 2ბ/814-13 განჩინება.

ზის ბიუროს დაუკვეთეს 1 ჰა მიწის ნაკვეთის გეოლოგიური კვლევა. ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 1 თვე. 1 თვის გასვლის შემდეგ ექსპერტიზის ბიურომ დამკვეთს მხოლოდ 1/2 ჰა მიწის ნაკვეთის გეოლოგიური კვლევის შედეგები წარუდგინა. მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა, დამკვეთს უფლება არ აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იგი ვალდებულია, მენარდეს დამატებითი ვადა განუსაზღვროს. დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულება არ არსებობს, თუ შემკვეთი დაადასტურებს, რომ მას კვლევის შედეგები აღარ ესაჭიროება, ვინაიდან ვადის გაშვების საფუძველით მიწაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გრანტის მოპოვების უფლება დაკარგა. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, კრედიტორი უფლებამოსილია, არ მიიღოს შესრულება. მოვალე შესრულების ნაწილის საფასურს ვერ მოითხოვს, ვინაიდან შესრულებული ნაწილის საფასურის გადახდა ნაწილის შესრულების მიღებას უთანაბრდება, რის ვალდებულებაც კრედიტორს არ აქვს (378).

VII. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების ვალდებულება

ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით ზოგადი წესია, თუმცა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღების ვალდებულება არსებობდეს, მაგ., კანონი აწესებს მოვალისათვის შესრულების განწილვადების შესაძლებლობას, როგორც გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 251), ასევე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში (სამოქალაქო საპრ. კოდექსი, 263). თუმცა ამ საპროცესოსამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ფორმითა და ფარგლებში, რომ დაუშვებლად არ შეილახოს კრედიტორის უფლება შესრულების ერთიანად მიღების თაობაზე (378).⁷ ასეთ დროს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: მიზანშეწონილობა, საჭიროება, მხარეთა ინტერესის ბალანსი და ა. შ. გადაწყვეტილების აღსრულების გადადებითა და განწილვადებით, მოვალეს, ფაქტობრივად, შესაძლებლობა ეძლევა, ნებაყოფლობით აღსრულოს გადაწყვეტილება და იძულებითი აღსრულებით გამოწვეული დამატებითი ქონებრივი დანაკლისი, როგორიცაა აღსრულების ხარჯები, ქონების განახევრებულ, ხოლო შემდეგ კი მეოთხედ ფასში გასხვისების რისკი, არ განიცადოს. აღსანიშნავია, რომ მითითებული საპროცესოსამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება დასაშვებია, თუმცა უნდა არსებობდეს შემდეგი აუცილებელი წინაპირობები: **მოვალის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით, გადავადება-განწილვადების მიზნისა და დანიშნულების დასაბუთება, ანუ გადავადება-განწილვადების უპირობო უპირატესობა**, როგორც მოვალის ქონებრივი ინტერესის, ასევე მესამე პირთა, მაგ. მოვალის სხვა

13

7 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 აპრილის N ას-1162-1091-2012 განჩინება.

კრედიტორთა, ინტერესის გათვალისწინებით და, რაც მთავარია, **გადავადება-განწილვადებით დაუშვებლად არ უნდა ილახებოდეს კრედიტორის ინტერესი**, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს გადავადებული დროისთვისაც უნდა ჰქონდეს გადავადებით „დაკარგული“ შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა და კრედიტორს არ უნდა ჰქონდეს გადავადების სანინააღმდეგო დაცვის ღირსი რაიმე სპეციალური ინტერესი.⁸

VIII. ნორმის გამოყენების დაუშვებლობა კრედიტორის საზიანოდ

- 14 ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მომწესრიგებელი ნორმა კრედიტორის **უფლებების დაცვას ემსახურება**, შესაბამისად, კრედიტორის უფლებაა, **მოითხოვოს მთლიანი შესრულება და არ მიიღოს ნაწილობრივი შესრულება**, თანაც ისე, რომ შესრულების მიღების ვადის გადაცილება ბრალად არ შეერაცხოს (390). ამდენად, დაუშვებელია მითითებული ნორმის ისეთი გამოყენება, რომლითაც კრედიტორის უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდება.⁹ მაგ., იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას მიიღებს, **მთლიანი ვალდებულების მიმართ მოვალე შესრულების ვადის დამრღვევად მაინც მიიჩნევა**, შესაბამისად, მიუხედავად კონკლუდენტური მოქმედებით ვალდებულების შესრულების ნაწილობრივ მიღებისა, ვალდებულება შეწყვეტილად არ ითვლება და კრედიტორს მთლიანი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ზიანის ოდენობის დაანგარიშებისას ნაწილობრივი შესრულება მხედველობაში მიიღება.
- 15 ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღება, მაშინ როდესაც მხარეები ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე არ შეთანხმებულან, ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევა, შესაბამისად, კრედიტორს წარმოეშობა ხელშეკრულების დარღვევის (მთლიანი შესრულების ვადის გადაცილების ან შესრულებისათვის ვადის არარსებობის პირობებში, კრედიტორის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის) საფუძვლით მოვალისათვის **პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის უფლება**, თუ, რა თქმა უნდა, მხარეები პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობით არიან შეთანხმებულნი (417/418).

IX. კეთილსინდისიერება

- 16 მართალია, ხელშეკრულების მთლიანი შესრულების ვალდებულება კანონისმიერი პირობაა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ უფლების გამოყენება უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს ეწინააღმდეგება. მაგ., იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვალდებულების უდიდეს ნაწილს

⁸ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), 18.07.2013 2013.

⁹ Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S.114, Rn. 3; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის N ას-760-976-08 განჩინება.

ასრულებს (90%), თუმცა კრედიტორი შესრულებას იმ საფუძვლით არ იღებს, რომ ვალდებულება სრულად შესრულებული არ არის (10%), კრედიტორის კანონით გათვალისწინებული უფლების გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული.¹⁰ ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეთავაზებული ნაწილობრივი შესრულების მიღების ვალდებულება წარმოეშობა და მოვალე შესრულებული ნაწილის ვადაგადაცილების სამართლებრივი შედეგებისაგან გათავისუფლდება (400-404).

კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე უნდა შეფასდეს,¹¹ რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოვალის **განსაკუთრებული პატივსადები ინტერესი**, რომლის საფუძველზეც ვალდებულების ერთიანი შესრულების მიღების თაობაზე კრედიტორის უფლების შეზღუდვა შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული.¹² ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მოვალისათვის ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების უფლების მინიჭებით **დაუშვებლად არ უნდა იქნეს ხელყოფილი** კრედიტორის უფლება. კრედიტორის უფლების დაუშვებელ ხელყოფად, როგორ წესი, ერთიანი შესრულების მიღების დაყოვნება (შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღება) არ მიიჩნევა, რითაც კრედიტორს იმაზე მეტი ზიანი არ ადგება, ვიდრე შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღებით სხვა კრედიტორს მიადგებოდა. მოვალისათვის ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დასაშვებად მიჩნევის მიზნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასევე იმ ფაქტს, კრედიტორის მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია თუ არა, და თუ უზრუნველყოფილია, რა ფარგლებში.¹³

17

X. ხანდაზმულობა

ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღების უპირატესობა კრედიტორისათვის შეიძლება ის იყოს, რომ ვალდებულების ნაწილის შესრულებით ხანდაზმულობის ვადა მთლიანი შესრულების მოთხოვნის მიმართ თავიდან იწყება (137/141), თუ, რა თქმა უნდა, მხარეები ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებაზე შეთანხმებულნი არ იყვნენ, ანუ, როდესაც ვალდებულების ერთიანი შესრულების ვალდებულება არსებობდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 137-ე მუხლის კონტექსტში **ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის ვალდებულების ნაწილის შეთავაზება საკმარისია და ამისათვის კრედიტორის მიერ აღნიშნული ნაწილის მიღება სავალდებულო არ არის**, თუმცა, დავის შემთხვევაში, კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილის შესრულების შეთავაზება, რაც, საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით, რთულია.

18

10 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 117, Rn. 9.

11 OLG Hamm VersR1957, 824; Baumgärtel VersR 1970, 969,971 nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 13.

12 Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 13.

13 W. Schmidt VersR 1966, 266 f. nach Krüger, in MüKo BGB, 5. Aufl., 2009, § 266, Rn. 13.

- 19 **ხანდაზმული მოთხოვნის არსებობის პირობებში ვალდებულების ნაწილის შესრულებით მთლიანი მოთხოვნის აღიარება ხდება (137,144 III)**, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვის უფლება მოვალეს არ აქვს, თუნდაც მოვალეობის შესრულებისა თუ აღიარების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო (144 II, 144 III).
- 20 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებით იმთავითვე დადგენილია ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება, მაშინ ყოველი ნაწილის შესრულების მიმართ მოქმედებს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოიშობა, სამი წელია (129 II). კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს ერთგვარ სპეციფიკას ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით იმ ვალდებულებათა მიმართ, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით სრულდება, რაც იმას გულისხმობს, რომ ხსენებული ვადა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად. მაგ., თუ საკრედიტო დაწესებულება 2006 წლის სექტემბრის თვეში გასცემს კრედიტს 10 წლის ვადით, ვალდებულების ყოველთვიურად შესრულების პირობით, ხოლო სარჩელით ბანკი სასამართლოს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველით 2011 წლის ნოემბერში მიმართავს, სასარჩელო მოთხოვნა 2006 წლის სექტემბრიდან 2008 წლის სექტემბრამდე ხანდაზმული იქნება. ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ის ფაქტი, რომ საკრედიტო ურთიერთობა ათწლიანი იყო.¹⁴

XI. მტკიცების ტვირთი

- 21 კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ერთიანად შესასრულებელი ვალდებულების არსებობა. კრედიტორმა არ უნდა ამტკიცოს მისი ინტერესი ვალდებულების ერთიანად შესრულების თაობაზე, რადგან ეს უფლება კრედიტორისათვის კანონით მინიჭებული „პრივილეგიაა“ (378). მოვალემ უნდა დაადასტუროს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების პატივისადაეი ინტერესი. კრედიტორმა უნდა ამტკიცოს რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც მოვალის პატივისადაეი ინტერესს აღემატება და მისი უფლებების დაუშვებლად ხელყოფას გამოიწვევს, მაგ., არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობა და მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების რეალური რისკი, რის გამოც კრედიტორის მოთხოვნა, ვალდებულების შესრულების ნაწილ-ნაწილ დაშვებით, აღუსრულებელი დარჩება.

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 აპრილის N ას-1432-1351-2012 განჩინება.

მუხლი 379. კრედიტორის უფლება სხვა შესრულების მიღებაზე

კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.

I. ნორმის მიზანი487
 II. სხვა შესრულების ჯეროვანება487
 III. სხვა შესრულებისა და ნოვაციის ურთიერთგამიჯვნა.....488
 IV სხვა შესრულება ვალდებულების შეწყვეტის მიზნით489
 V. სხვა შესრულების საგანი490
 VI. სხვა შესრულების სამართლებრივი შედეგები490
 VII. სხვა შესრულებისა და მოვალის გარანტიის ურთიერთგამიჯვნა.....490

I. ნორმის მიზანი

თუ მოვალე სხვა ვალდებულებას ასრულებს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ვალდებულება შესრულებულად არ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარ შესრულებას (სხვა შესრულებას) კრედიტორი ეთანხმება. **სხვა შესრულების მიღება კრედიტორის უფლებაა და არა ვალდებულება.** შესაბამისად, დაუშვებელია კრედიტორის იძულება, მიიღოს სხვა შესრულება მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი უფრო დიდი ღირებულებისაა.¹ **სხვა შესრულების მიღების დაუშვებლობა კრედიტორის უფლებების დაცვას ემსახურება,** შესაბამისად, დაუშვებელია ნორმის გამოყენების გზით კრედიტორის უფლებების შელახვა ან რაიმე ფორმით შეზღუდვა.

1

II. სხვა შესრულების ჯეროვანება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან განსხვავებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, **აღნიშნული „სხვა“ ვალდებულება ჯეროვნად უნდა შესრულდეს.** მოვალე სხვა შესრულების ნაკლისათვის ისევე აგებს პასუხს, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი (ნაკლიანი) შესრულებისათვის (405 I). ნაკლის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ან ასეთი ვადის დანესებისა თუ გაფრთხილების არამიზანშენილობის შემთხვევაში, კრედიტორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული (თავდაპირველი) შესრულების მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებს.² **მაგ., თუ მსესხებელი გამსესხებელს ნასესხები 2 000 ლარის ნაცვლად ფოტოაპარატს შესთავაზებს და მსესხებელი 2000 ლარის დაბრუნების ნაცვლად ფოტოაპარატის მიღებას დაეთანხმება,** ასეთ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულება სხვა შესრულების მიღებით შეწყვეტილად მიიჩნევა (428). იმ შემთხვევაში, თუ ფოტოაპარატი ნაკლიანი აღმოჩნდა,

2

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 379, გვ. 322.

2 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., S. 134, Rn. 6.

კრედიტორს ყველა ის უფლება აქვს, რაც ფოტოაპარატის შემძენს ნივთობრივად ნაკლიანი ქონების შეძენისას ექნებოდა. შესაბამისად, მსესხებელს, როგორც ფოტოაპარატის შემძენს, ნივთის ნაკლის გამოსწორების, ფასის შემცირების და ა.შ. უფლებები აქვს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემძენმა სხვა შესრულების გზით ვალდებულების ჯეროვანი (უნაკლო) შესრულება ვერ მიიღო, მას უფლება აქვს, მოითხოვოს პირველადი შესრულება, კერძოდ, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება. შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინ, როდესაც კრედიტორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად **სხვა ჯეროვან შესრულებას** იღებს (428).

III. სხვა შესრულებისა და ნოვაციის ურთიერთგამიჯვნა

- 3 კრედიტორის თანხმობა სხვა შესრულების მიღების თაობაზე გამოიხატება მისი (კრედიტორის) კონკლუდენტური მოქმედებით, კერძოდ, სხვა შესრულების მიღებით. სხვა შესრულების მიღება არ არის ე.წ. ნოვაცია, ანუ ძველი სახელშეკრულებო პირობების ახლით ჩანაცვლება, ახალ სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმება, ვინაიდან ახალ პირობებზე შეთანხმების შემდეგ შესრულება „სხვა შესრულება“ აღარ არის და, შესაბამისად, არც 379-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში ექცევა. გარდა ამისა, სხვა შესრულების სამართლებრივი შედეგია ვალდებულების შეწყვეტა, მაშინ, როდესაც ახალ სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმება ახალი ვალდებულებითსამართლებრივი უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია.³ კიდევ ერთი განსხვავება, რითაც სხვა შესრულება ახალ სახელშეკრულებო პირობებზე შეთანხმებისაგან განსხვავდება, ისაა, რომ სხვა შესრულება შეიძლება მესამე პირმაც განახორციელოს, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ახალ უფლება-მოვალეობებზე შეთანხმება ხელშეკრულების მხარეებს შორის ხდება. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სხვა შესრულება ვალდებულების ცვლილების სპეციალური ფორმაა,⁴ თუმცა, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, აპელირება ხდება მუხლის დანაწესზე და მის სიტყვასიტყვით განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, იმ შესრულების მიღებაზე საუბარი, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო, შესაბამისად, სხვა შესრულებით ხდება ძველი ვალდებულების და არა მხარეთა შეთანხმებით ახალი ვალდებულების შესრულება.⁵

3 Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, AT, 1976, IV, BGHZ 89,16, 133, NJW 1984, 439, 431 nach Wenzel, in MüKo BGB, 4. Aufl., 2003, § 364, Rn. 1.

4 Gernhuber, Erfüllung § 10, 3; Soergel/Schreiber Rn. 1; Staudinger/Olzen (2006) Rn. 10; Erman/Westermann/Buck-Heeb Rn. 3 nach /Fetzer, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 364, Rn. 1.

5 Palandt/Grüneberg Rn. 2; Bamberger/Roth/Dennhardt Rn. 5; bei Staudinger/Olzen (2006) Rn. 9; BGHZ 89, 126, 133 = NJW 1984, 429, 431. nach /Fetzer, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 364, Rn. 1.

IV სხვა შესრულება ვალდებულების შეწყვეტის მიზნით

ყოველი სხვა შესრულება არ არის ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი. **სხვა შესრულება უნდა ემსახურობდეს ვალდებულების შეწყვეტას**, რასაც კრედიტორი გაცნობიერებულად უნდა ეთანხმებოდეს. **სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტისას** კრედიტორის გაცნობიერებული ნება კანონისმიერი პირობაა და 379-ე მუხლის შინაარსიდან მომდინარეობს. თუ კრედიტორმა შესრულება მიიღო, თუმცა არა იმ მიზნით, რა მიზანსაც ეს შესრულება ემსახურებოდა, ასეთ შემთხვევაში, **ვალდებულება შეწყვეტილად არ მიიჩნევა** და მოვალეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების განხორციელების ვალდებულება უნარჩუნდება, **ნ** ხოლო მოვალეს გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა (976 I ა).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღების უფლება შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა საგნით, ან მისი ფულადი კომპენსაცია დაწესდეს. თუ შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, რომელიც განადგურების, გასხვისებისა თუ სხვა ფაქტობრივი საფუძვლების გამო აღარ არსებობს ან არსებობს სხვა სამართლებრივ რეჟიმში, მაგ., კეთილსინდისიერი შემძენის ხელში, ასეთ ვითარებაში, კრედიტორს ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაცვლად შეიძლება მიეკუთვნოს სხვა საგანი მისი თანხმობით, ან მოხდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის **ფულადი კომპენსირება**. ერთი საგნის ნაცვლად მეორის მიკუთვნება სხვა არაფერია, თუ არა სხვა შესრულება (379), ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის ნაცვლად ფულადი კომპენსაცია, რალა თქმა უნდა, საგნის განადგურების პირობებში ზიანის ანაზღაურებაა (409) და არა სხვა შესრულება (379), რა დროსაც ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის შესაბამისი კანონისმიერი წინაპირობები უნდა იყოს სახეზე (ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზშედეგობრივი კავშირი); შესრულების საგნის გადაცემის ნაცვლად ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში მიიჩნევა სხვა შესრულებად, თუ ფულადი კომპენსაცია ძირითადი შესრულების შეუძლებლობით არ არის განპირობებული და კრედიტორისათვის შეთავაზებულია როგორც სხვა შესრულება (379).

სასამართლო სამართალწარმოების ეტაპზე დავის საგნის დაკარგვა, განადგურება, გასხვისება თუ დავის საგნის სხვაგვარი ნებელობითი ან უნებლიე განკარგვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არის. **ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება**. ეს არ არის სარჩელის შეცვლა და შესაძლებელია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 83 IV). უფრო მეტიც, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების

6 Harder, Die Leistung an Erfüllungs Statt, 1976, S. 19; /Fetzer, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 364, Rn. 3.

აღსრულებისას ეს ქონება მას არ აღმოაჩნდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 253 IV). ეს საპროცესო საშუალებები უზრუნველყოფს კრედიტორის უფლებას, მიიღოს დაკმაყოფილება, მაშინაც, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი აღარ არსებობს. ამ საპროცესო-სამართლებრივი საშუალების მატერიალურსამართლებრივი საფუძველი სხვა შესრულებით კრედიტორის დაკმაყოფილება არ არის (379). იგი ორიენტირებულია ძირითადი შესრულების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაზე და მიზნად ისახავს ძირითადი ვალდებულების შესრულების ნაცვლად კრედიტორისათვის ფულადი კომპენსაციის მიცემას (409).

V. სხვა შესრულების საგანი

- 7 სხვა შესრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება (მოძრავი, უძრავი), ფული, მოთხოვნა, მომსახურება და ა. შ. სხვა შესრულება შეიძლება განხორციელდეს მესამე პირის მიერაც,⁷ თუმცა არა მესამე პირის მიმართ.

VI. სხვა შესრულების სამართლებრივი შედეგები

- 8 კრედიტორის თანხმობით, სხვა შესრულების მიღების სამართლებრივი შედეგია ვალდებულების შეწყვეტა (428). ვალდებულების შეწყვეტა იწვევს ყველა იმ აქცესორული უფლების შეწყვეტას, რაც ძირითად მოთხოვნასთან იყო დაკავშირებული (გირავნობა, იპოთეკა, პირგასამტეხლო, მოვალის გარანტია და ა. შ.).
- 9 ცალკე აღნიშვნის ღირსია ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც სხვა შესრულების კონტექსტში **მოთხოვნის დათმობას სდევს თან**. მაგ., თუ მოვალემ ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისა, კრედიტორს მესამე პირის მიმართ მოთხოვნა დაუთმო, ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის დათმობა იქნება პირობაზე დამოკიდებული „სხვა შესრულება“, რა დროსაც ვალდებულების შეწყვეტა დამოკიდებულია მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებაზე.⁸ პირობაზე დამოკიდებული შესრულების დროს კრედიტორს შენარჩუნებული აქვს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება მანამ, სანამ მესამე პირი ან თავად მოვალე სხვა შესრულებით არ დააკმაყოფილებს კრედიტორს.

VII. სხვა შესრულებისა და მოვალის გარანტიის ურთიერთგამიჯვნა

- 10 მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამატებითი საშუალებაა. იგი გულისხმობს მოვალის მიერ რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი შესრულების ვალდებულების კისრებას, რომელიც სცდება ხელშეკრულების საგანს.⁹ მოვალის გარანტია ხელშეკრულების

7 Staudinger/Olzen (2006) Rn. 40. nach /Fetzer, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 364, Rn. 4.

8 Staudinger/Olzen (2006) Rn. 36; Palandt/Grüneberg Rn. 6; Bamberger/Roth/Dennhardt Rn. 5; Soergel/Schreiber Rn. 6; Erman/Westermann/Buck-Heeb Rn. 13. nach Fetzer, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 364, Rn. 8.

9 დარჯანია, უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია, „სტუდენტური სამართლებრივი

საფუძველზე წარმოიშობა და მისი არსიც მთლიანად შესრულების უზრუნველყოფაა.¹⁰ გარანტიის დროს მოვალე კისრულობს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცდება ხელშეკრულების საგანს. 425-ე მუხლის თანახმად კი, **მოვალის გარანტია** შებოჭილია საჯარო წესრიგითა და კერძო სამართალში აღიარებული პრინციპებით. გარანტია ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს, ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს (425). ამდენად, მოვალის გარანტია აბსოლუტურად თავისუფალი არ არის და იგი დასაშვებია მხოლოდ სამართლით აღიარებულ ფასეულებათა ფარგლებში.¹¹ მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივი საშუალებაა. იგი, როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, ვალდებულების შესრულებას ემსახურება, თუმცა გარკვეული განსხვავებებით. ზოგადად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების დანიშნულება შესრულების გარანტიაა და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი (გირავნობა, იპოთეკა, საბანკო გარანტია, თავდებობა) იკავებენ შესრულების ადგილს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულიდან გამონაკლისია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი: ბე, პირგასამტეხლო და მოვალის გარანტია, რომელთა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას განსხვავებული დატვირთვა აქვს. უზრუნველყოფის საშუალებათა ეს კატეგორია ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს და იგი ემსახურება მოვალის „იძულებას“, დროულად შეასრულოს ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ეკისრება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება. სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული მათი სახელწოდება უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებად.¹²

424-ე მუხლის მიხედვით, **მოვალის გარანტიად** ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცდება ხელშეკრულების საგანს. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ **მოვალის გარანტია** მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც მოვალეს ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამატებით, კონკრეტულად განსაზღვრული და მხარეთა შეთანხმებული მოქმედების შესრულებას აკისრებს.¹³

მოვალის გარანტია ის უპირობო ვალდებულებაა, რომელსაც მოვალე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კისრულობს. მითითებული „უპირობო ვალდებულება“ მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ძირითა-

ჟურნალი“, 2012, გვ. 67-79.

10 შდრ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის N 2ბ/-955-09 განჩინება.

11 შდრ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის N 2ბ/-955-09 განჩინება.

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის N ას-379-352-2010 განჩინება.

13 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის N ას-379-352-2010 განჩინება.

დი ვალდებულებისაგან, შესაბამისად, მოვალის მითითებული „უპირობო ვალდებულება“ (424), ერთი შეხედვით, სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტას ჰგავს (379, 428), თუმცა, ეს ორი სამართლებრივი კატეგორია მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის გარანტია მხარეებს შორის იმთავითვე წერილობითი ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის დამატებითი უზრუნველყოფის საშუალებაა. შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს წარმოეშობა მოვალისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ეს შესრულება შეიძლება გამოიციხავდეს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას, ან იგი წარმოადგენდეს ე. წ. „მინიმალური ჯარიმის“ სახეს, რაც, თავის მხრივ, კრედიტორს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას უნარჩუნებს. მოვალის გარანტიის შესრულებისას ძირითადი მოთხოვნის უფლების შენარჩუნება დამოკიდებულია მოვალის გარანტიის სახესა და ღირებულებაზე, ასევე იმაზე, თუ რა წინაპირობების არსებობისას არის მოვალის გარანტიის გამოყენება შესაძლებელი, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ამდენად, მოვალის გარანტიად სახელდებული სხვა შესრულება არის ე. წ. „ჯარიმა“ შეუსრულებლობისათვის, შესაბამისად, იგი არ ექცევა სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტის რეგულირების ფარგლებში (379).

- 13 მხარეთა შეთანხმებას ვალდებულების შესრულების თაობაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გასარკვევად, თუ რასთან გვაქვს საქმე – მოვალის გარანტიასთან, სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტასთან, ალტერნატიულ ვალდებულებებთან თუ შესრულების შეცვლასთან, ე. წ. „ნოვაციასთან“. მაგ., მსესხებელმა, რომელმაც გამსესხებლისაგან ერთი წლის ვადით 10 000 ლარი ისესხა, აიღო ვალდებულება, რომ ვადის გადაცილებისას კისრულობდა უპირობო ვალდებულებას 1000 ბოთლი ღვინის („მანავის მწვანე“) კრედიტორისათვის მიწოდების თაობაზე (424). **აღნიშნული დათქმა სხვა არაფერია, თუ არა მოვალის გარანტია, თუმცა მოვალის მიერ ვადადარღვევის შემთხვევაში კრედიტორისათვის შეპირებული ღვინის გადაცემა არ ათავისუფლებს მას თანხის გადახდის ვალდებულებისაგან** (424, 5.1, 419.1). მოვალე თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლდებოდა, თუ მხარეები ხელშეკრულებით გაითვალისწინებდნენ, რომ თანხის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოვალე კრედიტორს 5000 ბოთლ ღვინოს გადასცემდა („მანავის მწვანე“). **ამგვარი დათქმაც, თავისი არსით, მოვალის გარანტიაა, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების შესრულება ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას გამორიცხავს** (424, 5.1, 419 l; იხ. 419-ე მუხლის კომენტ.), მაგრამ მაინც სახეზეა ვალდებულების დარღვევა და შესრულება არის არა სხვა შესრულება (379), არამედ მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი „სხვა უპირობო ვალდებულების“ შესრულების გზით ძირითადი ვალდებულების შესრულება, რაც, თავისი არსით,

არ გამოორიცხავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (424, 5.1, 419.2). თუ მსესხებელი და გამსესხებელი იმავე მაგალითში შეთანხმდებოდნენ, რომ ერთი წლის თავზე ვალდებულება უნდა შესრულებულიყო თანხის დაბრუნების გზით ან ნასესხები თანხის ეკვივალენტი ღვინის მიწოდებით, ასეთ შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა ალტერნატიული ვალდებულებები, რა დროსაც მოვალე ირჩევს მისთვის სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებას (374), ხოლო თუ იმავე მაგალითში მხარეები შეთანხმდებოდნენ ნასესხები თანხის ერთი წლის თავზე დაბრუნებაზე, თანხის დაბრუნების დროისათვის კი მოვალე შეუთანხმდებოდა კრედიტორს თანხის ნაცვლად ღვინის მიწოდების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა ვალდებულების შეცვლა, ე.წ. „ნოვაცია“. სხვა შესრულებით ვალდებულება შეწყდებოდა მაშინ, თუ მოვალე კრედიტორს, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, თანხის ნაცვლად, ღვინოს მიწოდებდა, ხოლო მოვალე თანხის გადახდის სანაცვლოდ, ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ღვინოს მიიღებდა (იხ. 374-ე მუხლის კომენტ.).

მუხლი 380. ვალდებულების შესრულების ხარისხი

თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოცა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.

I. ნორმის მიზანი	494
II. ნორმის მოქმედების ფარგლები	494
III. შესრულების ხარისხის არსი	496
IV. შესრულების ხარისხზე შეთანხმების ფორმა	496
V. უხარისხო შესრულების სამართლებრივი შედეგი	497
VI. შესრულების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულება	498
1. მტკიცების ტვირთი	500

I. ნორმის მიზანი

- 1 მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარეებს შორის შესასრულებელი ვალდებულების ხარისხი შეთანხმებული არ არის, ამასთან, მუხლი მოქმედებს მაშინაც, როდესაც შესრულების ხარისხი შეთანხმებულია, თუმცა ხარისხის ინდიკატორები დეტალურად აღწერილი არ არის. შესაბამისად, მუხლის რეგულირების სფეროა ვალდებულების ხარისხის კონტროლი, რომლის მიხედვითაც, ყოველი შესრულება უნდა აკმაყოფილებდეს შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო თუ ხარისხი შეთანხმებული არ არის, მეტიც, დაწვრილებით არ არის შეთანხმებული, ასეთ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოცა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი. ამდენად, შესრულების ხარისხზე შეთანხმების არარსებობის პირობებში კრედიტორი ვერ მოითხოვს საშუალოზე მაღალი ხარისხის ნივთის გადაცემას და, შესაბამისად, მოვალეც არ იქნება უფლებამოსილი, მოახდინოს საშუალო ხარისხზე დაბალი შესრულება.¹

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

- 2 ნორმა ვრცელდება არა მხოლოდ გვაროვნული, არამედ ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებებზეც. თეორიაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, 380-ე მუხლი პრაქტიკულად გვაროვნული ნივთების მიმართ გამოიყენება.² ეს მოსაზრება ეფუძნება ევროპული სამართლის დანაწესებს, კერძოდ, გერმანიის,³ შვეიცარი-

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 380, გვ. 324.

2 იქვე.

3 „თუ პირი ვალდებულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემაზე, მაშინ მან უნდა გადასცეს საშუალო სახისა და ხარისხის ნივთი“ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ის,⁴ საფრანგეთის⁵ სამოქალაქო კოდექსებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მითითებულ მუხლებში ნორმის რეგულირების სფეროდ განსაზღვრულია გვარობითი საგნის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებები, მაშინ, როდესაც 380-ე მუხლი არ აკონკრეტებს ვალდებულების საგნის კატეგორიას ინდივიდუალურ და გვარობით საგნებად, უფრო მეტიც, ნორმის როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად ნათლად ჩანს, რომ ნორმა არეგულირებს როგორც გვარობით, ასევე ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებათა ხარისხს. ამდენად, შესრულება უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო, სულ ერთია, ვალდებულების საგანი ინდივიდუალური ნივთი იქნება, თუ გვაროვნული.⁶ 380-ე მუხლის წესები გამოიყენება მაშინაც, როცა შესრულების საგანი მომსახურებაა.⁷

ვალდებულების შესრულების ხარისხი შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან. მაგ., 533-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. ანალოგიური მოთხოვნები დადგენილია 487-ე, 488-ე, 639-ე მუხლებით, რომლებიც შესრულების ხარისხთან დაკავშირებით გამყიდველისა და მენარდის მოვალეობებს აწესრიგებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებით გადასაცემი საგნის ხარისხი შეიძლება **სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტებით იყოს განსაზღვრული.** სტანდარტი – ეს არის კომპეტენტური სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტექნიკური ნორმატივი, რომელიც ამა თუ იმ ხარისხის პროდუქციას ნაყენება.⁸ როგორც წესი, შესრულების ხარისხი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, ან ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს. თუ შესრულების ხარისხი მხარეთა მიერ დანვრილებით განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს, **ასეთ შემთხვევაში, უნდა შესრულდეს საშუალო ხარისხის სამუშაო და კრედიტორს უნდა გადაეცეს საშუალო ხარისხის ნივთი.**⁹ ამდენად, მოვალე 380-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განახორციელებს საშუალო ხარისხის სამუშაოს და ვერ გადასცემს საშუალო ხარისხის ნივთს, თუ მხარეთა შეთანხმებით უნდა შესრულდეს საშუალოზე მაღალი ხარისხის სამუშაო ან კრედიტორს უნდა გადაეცეს საშუალოზე მაღალი ხარისხის ნივთი. შესაბამისად, ვერც კრედიტორი მოითხოვს საშუალო ხარისხის შესრულებას, როდესაც მხარეები საშუალოზე

4 „როცა ვალდებულების საგანი გვაროვნული ნივთია, მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ შესთავაზოს საშუალო ხარისხზე დაბალი ხარისხის ნივთი“ (შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლი).

5 „როცა ვალდებულების საგნი გვაროვნული ნივთია, მაშინ მოვალე არაა ვალდებული მისცეს საუკეთესო ხარისხის ნივთი, ამასთან მას არ შეუძლია შესთავაზოს უარესი ხარისხის ნივთი“ (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლი).

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 380, გვ. 324.

7 იქვე.

8 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 72.

9 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 50.

დაბალი ხარისხის შესრულებაზე არიან შეთანხმებულნი.¹⁰ ამდენად, **380-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულების ხარისხი არც მხარეთა შეთანხმებიდან, არც ვალდებულების არსიდან და არც კანონიდან არ გამომდინარეობს.**

III. შესრულების ხარისხის არსი

- 4 შესრულების ხარისხი გულისხმობს შესრულების „თვისებრივ“ მდგომარეობას. თვისებრიობის თაობაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობის პირობებში შესრულებული სამუშაო თუ გადასაცემი ნივთი იმ დონის, თვისებისა თუ ხარისხის უნდა იყოს, რასაც კრედიტორი მსგავს სამართალურთიერთობაში, როგორც წესი, მოელის. შესრულება უხარისხოდ ვერ მიიჩნევა და, შესაბამისად, ვერც უხარისხო შესრულებით ან უხარისხო ნივთის გადაცემით განპირობებული სამართლებრივი შედეგები დადგება, თუ კრედიტორი იმაზე მაღალი ხარისხის შესრულებას ითხოვს, ვიდრე შესრულების ხარისხზე შეთანხმების არარსებობისას მოვალე ივარაუდებდა.
- 5 შესრულების ხარისხში, როგორც წესი, იგულისხმება შესრულებული სამუშაოს ან გადასაცემი ნივთის ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობა.

IV. შესრულების ხარისხზე შეთანხმების ფორმა

- 6 იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ხარისხი ხელშეკრულების არსებითი პირობაა, იგი ხელშეკრულებისათვის კანონითა თუ მხარეთა შეთანხმებით დადგენილ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს.¹¹ მისი დაუცველობის შემთხვევაში, შეთანხმება შესრულების ხარისხთან დაკავშირებით, ბათილია. სხვა შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება ვალდებულების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით სპეციალურ ფორმას არ საჭიროებს. თუმცა იმისათვის, რომ შესრულების ან ნივთის გადაცემის ხარისხი შეთანხმებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, მხარეთა მიერ გამოვლენილი **ნება მკაფიოდ დგინდებოდეს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულების ხარისხი შეთანხმებულად არ ჩაითვლება და მოვალეს საშუალო ხარისხის შესრულების განხორციელების ვალდებულება ექნება, ხოლო კრედიტორი უფრო მაღალი ხარისხის შესრულებას ვერ მოითხოვს. შესრულების ხარისხთან დაკავშირებით ნება ორმხრივად უნდა იყოს გამოვლენილი, ამასთან, ნების გამობატვასთან დაკავშირებული მაღალი სტანდარტი მენარმე სუბიექტთან მიმართებით შეიძლება შეიცვალოს და შეთავაზებულ ხარისხზე თანხმობა დუმილით მხოლოდ საქმიან ურთიერთობებში ან მენარმე სუბიექტის მხრიდან იყოს დასაშვები (334, 335).
- 7 მართალია, ხარისხზე **შეთანხმების ერთ-ერთი ინდიკატორი ფასია,** თუმცა მხოლოდ ფასზე შეთანხმება არ მიიჩნევა შესრულებული სამუშაოს ან გადასაცემი ნივთის ხარისხზე შეთანხმებად. შესაბამისად, თუნდაც,

10 *Sutschet*, Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 243, Rn.11.

11 *H. P. Westermann*, Die causa im französischen-deutschen Zivilrecht, 1967, S. 94, 100. nach *Westermann*, in *MüKo* 7. Aufl., 2016, § 434, Rn. 16.

უკიდურესად მაღალ ან უკიდურესად დაბალ ფასზე შეთანხმება, იმ ვარაუდით, რომ კრედიტორი პირველ შემთხვევაში შესრულების განსაკუთრებულ მაღალ ხარისხს მოითხოვს, ხოლო მეორე შემთხვევაში – საშუალოზე დაბალ შესრულებას, მცდარია. მხოლოდ ფასზე დაყრდნობით შესრულების ხარისხზე შეთანხმება მიღწეულად არ მიიჩნევა, შესაბამისად, მიუხედავად გადახდილი ფასისა, კრედიტორს მხოლოდ საშუალო ხარისხის შესრულების მოთხოვნა აქვს, ხოლო მოვალეს საშუალო ხარისხის შესრულების ვალდებულება.¹²

V. უხარისხო შესრულების სამართლებრივი შედეგი

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (361 I). **ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი ვალდებულების ხარისხიანი შესრულებაა.** ვალდებულება ხარისხიანადაა შესრულებული, თუ შესრულება მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ ხარისხს შეესაბამება, ხოლო ამგვარი შეთანხმების ან კანონისმიერი დანაწესის არარსებობის პირობებში, სულ ცოტა, – საშუალო ხარისხს (380). თუ შესრულება არ აკმაყოფილებს იმ ხარისხს, რომელიც ყოველი მესამე გონიერი კრედიტორის მოლოდინს შეესაბამება (**ობიექტური კრიტერიუმი**), ასეთ შემთხვევაში, ითვლება, რომ ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა. ამავდროულად, კრედიტორის პრეტენზია შესრულების ხარისხთან მიმართებით, რომელიც სცდება ნებისმიერი მესამე გონიერი კრედიტორის მოლოდინს (**სუბიექტური აღქმა**), მხედველობაში არ მიიღება.

კრედიტორს უფლება აქვს, მიიღოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის შესრულება. **ვალდებულების უხარისხო შესრულება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ტოლფასია.** შესაბამისად, კრედიტორს, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, წარმოეშობა ყველა ის უფლება, რაც კრედიტორს ორმხრივ გარიგებებში, მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ხელშეკრულების შენარჩუნებისა და, შესაბამისად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრიორიტეტი ხელშეკრულებიდან გასვლას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და ზიანის ანაზღაურებასთან შედარებით. შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ დამატებით მოთხოვნებზე, რაც კრედიტორს უხარისხო შესრულების მიღების შემთხვევაში აქვს, მაგ.: ნაკლის გამოსწორების, ნივთის შეცვლის (490), ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება (493); კრედიტორი ასევე უფლებამოსილია, რომ უხარისხო შესრულების საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლა მოითხოვოს (491, 352). კანონი არ აწესებს კრედიტორისათვის ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ჯერ დამატებითი მოთხოვნების გამოყენების ვალდებულებას, ხოლო მიზნის მიუღწევლობის, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ხარისხიანი შესრულების მიუღებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. მითითებული საკი-

12 OLG Karlsruhe NJW-RR 2008 nach Westermann, in MüKo 7. Aufl., 2016, § 434, Rn. 16.

თხი 405 I მუხლის წინაპირობების ფარგლებში უნდა გადანყდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, იგი არ (ვერ) გამო-სწორდება, ან კრედიტორს შესრულების მიღების ინტერესი დაკარგული აქვს, ასეთ შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნების დაწესება აზრს მო-კლებულია და კანონმდებელი, ყოველგვარი დამატებითი შესრულების გა-რეშე, ხელშეკრულებიდან გასვლას მართლზომიერად მიიჩნევს. ამდენად, ვალდებულების ხარისხიანი შესრულების მიღების მიზნით დამატებითი მოთხოვნების (ნივთის შეცვლა, ნაკლის გამოსწორება, ფასის შემცირება) გამოყენება კრედიტორის უფლებაა და არა უპირობო ვალდებულება ხელ-შეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებამდე.^{13,14} შესაბამისად, მო-ვალის უფლება, გამოასწოროს უხარისხო შესრულება, დამოკიდებულია კრედიტორის მიერ დამატებითი მოთხოვნის უფლების გამოყენებაზე.¹⁵

10 თუ შესრულება შეთანხმებულ ხარისხს აღემატება, ასეთ შემთხვევაში, მოვალე უფლებამოსილი არ არის, გამოითხოვოს უკეთესი ხარისხის შეს-რულება, ხოლო კრედიტორს არ შეუძლია, უარი თქვას უკეთესი ხარისხის შესრულების მიღებაზე, ვინაიდან საშუალო ხარისხზე უკეთესი შესრულე-ბა არ არის არაფეროვანი შესრულება.¹⁶ ამდენად, კრედიტორი ვალდებუ-ლია, მიიღოს უკეთესი ხარისხის შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს აქვს უკეთესი ხარისხის შესრულების გამო მომატებუ-ლი ფასის მოთხოვნის უფლება, ან, როდესაც კრედიტორს ინტერესი სწო-რედ საშუალო ხარისხის შესრულების მიმართ აქვს.¹⁷ საკითხი სხვაგვარად დგას, როდესაც ხდება უფრო მაღალი ხარისხის **სხვა შესრულება**. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს, არ მიიღოს სხვა შესრულება, თუ-ნდაც, უფრო მაღალი ხარისხის (379).

11 თუ შესრულების საგანია **გვაროვნული ნივთი**, მოვალემ ვალდებულე-ბა ყოველთვის უნდა შეასრულოს. მოვალეს შეუძლია, ამ გვარიდან ნების-მიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს და ეს ჩაითვლება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად.¹⁸ თუ ხელშეკრულების საგანია **ინდივიდუალუ-რად განსაზღვრული ნივთი** და იგი განადგურდა მოვალის ბრალით, მა-შინ კრედიტორს მიეცემა ფულადი კომპენსაცია, რომლის ოდენობასაც შეუთანხმებლობის შემთხვევაში განსაზღვრავს სასამართლო.¹⁹

VI. შესრულების ხარისხთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

12 თუ ხელშეკრულებაში არ არის შეთანხმებული ვალდებულების შეს-რულების ხარისხი, მაშინ მოვალე ვალდებულია, განახორციელოს, სულ მცირე, საშუალო ხარისხის შესრულება.²⁰ შესრულების ხარისხი, ხშირ

13 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 1 დეკემბრის N 28/4380-10 გადაწყვეტილება.

14 იხ. 491-ე მუხლის კომენტარი, ველი 10-11.

15 *Sutschet*, Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 243, Rn.12.

16 *Emmerich*, in *MüKo* 7. Aufl., 2016, § 243, Rn. 22.

17 *Sutschet*, Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 243, Rn.13.

18 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 73.

19 იქვე.

20 ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, მუხლი 6:108.

შემთხვევაში, თავის თავში მოიცავს ასევე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც (318). **ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა ინფორმაცია, რომლის მიღების მოლოდინი შესრულების მიმღებს ობიექტურად გააჩნია. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია, თავისი არსით, შესრულების ხარისხზე უნდა ახდენდეს ზეგავლენას და მისი აღქმა ან შემჩნევა, ინფორმაციის მიწოდების გარეშე, შეუძლებელი უნდა იყოს.** მაგ., როდესაც გამყიდველი ყიდის ნაავარიევ მანქანას, რომელიც შეკეთებული არ არის, მყიდველს შეუძლია იმ ნაკლის აღქმა, რომელიც მანქანას აქვს, შესაბამისად, თუ მყიდველი მიიღებს შეთავაზებულ ოფერტს ნაავარიევი მანქანის ყიდვის თაობაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები შეთანხმდნენ გარიგების არსებით პირობებზე, მათ შორის, შესრულების საგნის ნაკლებზე (ავარიის შედეგად მიღებულ დაზიანებაზე), **რაც იმთავითვე განსხვავდება ნაკლიანი შესრულებისაგან.** შესრულება ნაკლიანი იქნებოდა, თუ მხარეები ნივთობრივად უნაკლო მანქანაზე შეთანხმდებოდნენ, ხოლო გამყიდველი მყიდველს ავარიის შედეგად დაზიანებულ მანქანას გადასცემდა. იმავე მაგალითის შემთხვევაში, თუ მყიდველი ყიდულობს ნაავარიევ, მაგრამ უკვე შეკეთებულ მანქანას, რომელსაც ვიზუალურად ავარიის კვალი არ ეტყობა, გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს ავარიის თაობაზე ინფორმაცია მიანოდოს, ვინაიდან ამ ინფორმაციის მიღების მოლოდინი მყიდველს ობიექტურად აქვს, ხოლო მითითებული ინფორმაცია, თავისი არსით, ისეთ მონაცემებს შეიცავს, რომლებიც შესრულების ხარისხზე ზეგავლენას ახდენს და, ამასთან, გონიერი, საშუალოდ გულმოდგინე მყიდველის მიერ მისი აღქმა, გამყიდველის მხრიდან შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე, შეუძლებელია.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს არა მარტო მაშინ, როდესაც შესრულება არ შეესაბამება შესრულების **კეთილსინდისიერი მიმღებისათვის** შესრულების ხარისხთან დაკავშირებულ **ობიექტურ მოლოდინს**, არამედ მაშინაც, როდესაც **შემსრულებელი ინფორმირებულია იმის თაობაზე, თუ რა მიზნით ესაჭიროება შესრულების მიმღებს შესრულების საგანი და იგი ფლობს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, შესრულების მიმღების მხრიდან შესრულების საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენება ობიექტურად შეუძლებელი იქნება.** მაგ., თუ მიწოდებელმა იცის, რომ საქონელი არ გამოდგება კონკრეტული დანიშნულებით გამოსაყენებლად, რომელიც მყიდველმა ახსენა, მყიდველს შეუძლია, გონივრულად მოელოდეს, რომ მყიდველი შეატყობინებს საქონლის ამ დანიშნულებით გამოყენების შეუძლებლობის შესახებ.²¹

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეხება ასევე **იმ ნორმატიულ მოთხოვნებსაც, რომლებიც ხელშეკრულების საგანთან არის დაკავშირებული** და ისეთივე რელევანტურია, როგორც შესრულების საგნის ნივთობრივი მახასიათებლები. მაგ., ინვესტორს, რომელიც მშენებლო-

21 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, გვ. 746; (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf), ბოლო გამოცემა: 16.06.2016.

ბის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთს ყიდულობს და ამის თაობაზე გამყიდველი ინფორმირებულია, აქვს ობიექტური მოლოდინი იმისა, რომ გამყიდველის მხრიდან ინფორმირებული იქნება, თუ მითითებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელება შეუძლებელია. ამდენად, გამყიდველი ვალდებულია, შეატყობინოს მყიდველს ყველა იმ სამართლებრივი დაბრკოლების თაობაზე, რომელიც შესრულების საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ეხება.^{22, 23}

- 15 შესრულების უხარისხოდ მიჩნევის მიზნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესრულების მიმღების (კრედიტორის) გონივრულ მოლოდინს. მართალია, კანონი ხარისხზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, „სულ ცოტა, საშუალო ხარისხის შესრულებას“ საკმარისად მიიჩნევს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სულ ცოტა, საშუალო ხარისხის შესრულება“ შესრულების მიმღების ობიექტურ მოლოდინს უნდა შეესაბამებოდეს. ე.წ. „ობიექტური მოლოდინი“ შეფასებითი კატეგორიაა და დამოკიდებულია ისეთ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლივ ანალიზზე, როგორებიცაა: ფასი, მყიდველის ინტერესი, ნასყიდობის საგნის ზოგადი მახასიათებლები, ასევე გარემოებები, რაც ხელშეკრულების დადებას უძღოდა წინ. მაგ.: ზოგ შემთხვევაში დამკვეთს იმდენად დიდი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს შესრულების საგნის შემჭიდროებულ ვადებში მიღებასთან დაკავშირებით, რომ ნაკლები აქცენტი გააკეთოს ხარისხზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, შესრულების მიმღების ობიექტური მოლოდინი ხარისხთან მიმართებით შეიძლება, უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე საშუალო ხარისხის სამუშაოს ან საშუალო ხარისხის ნივთის მიღება.²⁴

1. მტკიცების ტვირთი

- 16 კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როდესაც შესრულების მიღებაზე უარი განპირობებულია უხარისხო შესრულებით, მოვალემ უნდა ამტკიცოს მის მიერ განხორციელებული შესრულების ხარისხიანობა, კერძოდ, შესრულების შესაბამისობა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან კანონით დადგენილ ხარისხთან, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სულ მცირე, შესრულების საშუალო ხარისხიანობა.²⁵
- 17 თუ კრედიტორმა შესრულება მიიღო, ასეთ ვითარებაში, მტკიცების ტვირთი ბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მან (კრედიტორმა) უნდა ამტკიცოს მის მიერ მიღებული შესრულების უხარისხობა.²⁶ მტკიცების ტვირთის შებრუნებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ შესრულების მიღება იმთავითვე ნიშნავს კონკლუდენტური მოქმედებით შესრულების ხა-

22 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 1 დეკემბრის N 28/4380-10 გადაწყვეტილება.

23 იხ. 81-ე მუხლის კომენტარი.

24 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, გვ. 636 (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf), ბოლოს ნანახია: 16.06.2016.

25 Sutschet, Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 243, Rn.14.

26 იქვე.

რისხის მოწონებას, სანინააღმდეგო კი კრედიტორმა ანუ შესრულების მიმღებმა უნდა ამტკიცოს.

მტკიცების ტვირთის განაწილებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **მოვალის კეთილსინდისიერებასა და მის გულისხმიერ დამოკიდებულებას კრედიტორის ობიექტური მოლოდინის მიმართ**. ეს ვალდებულება მომდინარეობს კანონის დანაწესიდან, რომლის შესაბამისადაც, მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი (380). საშუალო ხარისხის შესრულება ყოველთვის არ ითვლება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად. იმისათვის, რომ საშუალო ხარისხის შესრულება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, მოვალე დარწმუნდეს, რომ მის მიერ კრედიტორისათვის გადაცემული საქონელი ან შესრულებული სამუშაო კრედიტორის მოთხოვნებს შეესაბამება. ეს პრინციპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა გაყიდვების სამართალშიც, რომლის მიხედვითაც, გამყიდველი უნდა დარწმუნდეს, რომ გაყიდული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს შეესაბამება.²⁷

27 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, გვ. 1298 (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf), ბოლოს ნანახია: 16.06.2016.

მუხლი 381. ვალდებულების შესრულება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის არსებობისას

თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების მქონე.

I. ნორმის მიზანი	502
II. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ცნება	502
III. სხვა შესრულების სამართლებრივი შედეგები	504
IV. შესრულების ადგილი	505
V. მტკიცების ტვირთი და სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობა	506

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმა აწესრიგებს ისეთ ვითარებას, როდესაც შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია. ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები ინდივიდუალურად და გვაროვნულად განსაზღვრული ნივთების მიმართ იმდენად განსხვავებულია, რომ თითოეული მათგანი ცალკე კვლევისა და ანალიზს საჭიროებს (შდრ. 383-ე მუხლის კომენტ.).

II. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ცნება

- 2 ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალურად განსაზღვრული, ისე გვაროვნული ნივთი. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის არსებობის შემთხვევაში, **შესრულება საგნობრივად მკაცრად ინდივიდუალიზებულია, ამიტომაცაა, რომ შესრულება მხოლოდ ამ საგნით უნდა მოხდეს.**¹ შესაბამისად, კრედიტორს სწორედ ამ საგნის მიმართ აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება. **იგი ვალდებული არ არის, ამ საგნის ნაცვლად სხვა ნივთი მიიღოს, თუნდაც, უფრო მაღალი ღირებულების.**² მაგ., თუ მენარდე შემკვეთისაგან სანიმუშოდ წარდგენილი მოდელის მიხედვით ბეჭდის დამზადების შეკვეთას მიიღებს, ხოლო მენარდე საკუთარი გემოვნებით მოდელს შეცვლის და იმავე ფასში დამკვეთს უფრო ძვირადღირებულ ნაკეთობას დაუმზადებს, შემკვეთს დამზადებული, უფრო მაღალი ღირებულების ნაკეთობის მიღების ვალდებულება არ აქვს, რადგან შესრულების საგანი იმთავითვე ინდივიდუალურად განსაზღვრული იყო.
- 3 382-ე მუხლის მიხედვით, ნივთის გვაროვნულად მიჩნევის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი მისი შეცვლის (ჩანაცვლების) შესაძლებლობაა. თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება, ნივთი გვაროვნულია და მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. მო-

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნივნი III, 2001, მუხ. 381, გვ. 326.

2 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 70.

ვალე ვალდებულების შესრულებისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ შესრულების საგანი იმდენად ინდივიდუალიზებულია, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნივთის ჩანაცვლების შესაძლებლობის შეფასება მხოლოდ ობიექტური კატეგორია არ არის. კანონმდებელი აქცენტს ნივთის ღირებულებაზე აკეთებს. ხშირ შემთხვევაში კი, კრედიტორისათვის ნივთის ფასეულობა განისაზღვრება არა მისი საბაზრო ღირებულებით, არამედ ამ ნივთის დანიშნულებითა და კრედიტორის ინტერესებით. **381-ე მუხლში სწორედ კრედიტორის მოტივები განმსაზღვრელი.**³ ინდივიდუალური მოტივი კრედიტორის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.

თუ შესრულების საგნის მახასიათებლები ინდივიდუალიზებული და ზუსტად იდენტიფიცირებადია, **თუმცა შესრულების საგნის იგივე ინდივიდუალური მახასიათებლები სხვა საგანსაც აქვს**, ასეთ შემთხვევაში, შესრულების საგანი ინდივიდუალური ნივთი არ არის, რადგან იგულისხმება, რომ მისი შეცვლა (ჩანაცვლება) შესაძლებელია (382). ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი მაშინ, როდესაც გვარობითი საგნიდან ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის გამოყოფა (დაკონკრეტება) ხდება. ასეთ შემთხვევაში, საგანი შეცვლადი (ჩანაცვლებადია), თუმცა, კრედიტორთან შეთანხმებით, იგი გვაროვნულ საგანთა მასას გამოეყო, დაკონკრეტდა, რითაც ინდივიდუალური საგნის ფუნქცია შეიძინა (381).⁴ ამდენად, შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები აქვს, რომელთა შეცვლა (ჩანაცვლება) შეუძლებელია. მაგ., თუ მყიდველს სურს შეიძინოს ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ექნება შემდეგი მახასიათებლები: MERCEDES-BENZ/სედანი, CLS 500, ძრავის მოცულობა – 5.0, ფერი – რუხი, 1/8, გამოშვების წელი – 2010, ხოლო გამყიდველს ასეთი რამდენიმე ავტომანქანა ჰყავს და გადაცემული ავტომანქანა ნაკლის მქონე აღმოჩნდა, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს იდენტური მახასიათებლების⁵ მქონე სხვა მანქანა შესთავაზოს. შესრულების მითითებული საგანი გვაროვნულ ნივთად ჩაითვლება და, შესაბამისად, ეს შესრულება სხვა შესრულებად არ მიიჩნევა, თუ მყიდველი არ დაადასტურებს, რომ ავტომანქანას რაიმე ისეთი ინდივიდუალური მახასიათებელი ჰქონდა, რომელიც ახლად შეთავაზებულს არ გააჩნია (მყიდველის ინდივიდუალური მოტივები, იხ. მე-3 ველი). შესრულების მითითებული საგანი გვაროვნულ ნივთად არ მიიჩნევა ასევე მაშინ, როდესაც მისი გამოყოფა საერთო გვარიდან კრედიტორთან შეთანხმებით მოხდა, ანუ მოხდა გვარობითი საგნიდან ნივთის გამოყოფა. თუ გამყიდველი მყიდველს დაზიანებული ავტომანქანის ნაცვლად, იმავე მოდელის, თუმცა სხვა წელში გამოშვებულ მანქანას შესთავაზებს, მყიდველს არ აქვს ამ შეთავაზების მიღების ვალდებულება, ვინაი-

4

3 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 381, გვ. 327.

4 იქვე, გვ. 328.

5 იხ. 382-ე მუხლის კომენტარი.

დან შეთავაზებული მანქანა სხვა ინდივიდუალური მახასიათებლის მქონე ნივთია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მახასიათებლით ნივთის ღირებულება მნიშვნელოვანწილად იზრდება (381). საგულისხმოა, აქვე აღინიშნოს, რომ გერმანული სასამართლოები, გამონაკლისის სახით, ინდივიდუალური ნივთის ჩანაცვლებასაც უშვებენ.⁶

III. სხვა შესრულების სამართლებრივი შედეგები

- 5 ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი ჩანაცვლებადი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის განადგურების შემთხვევაში, მოვალე ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან თავისუფლდება,⁷ შესაბამისად, ვალდებულება წყდება და მოვალეს კრედიტორისაგან მიღებული შესრულების დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა (352 I). მოვალე უფლებამოსილია, კრედიტორს, საპასუხო შესრულების ნაცვლად, სხვა შესრულება შესთავაზოს, თუმცა კრედიტორს სხვა შესრულების მიღების ვალდებულება არ აქვს (381). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ შესრულების საგანი **მოვალის ბრალით** (394), ან **იმ შესამე პირის ბრალით** განადგურდა, რომლისგანაც მოვალეს შესრულების საგანი უნდა მიეღო (396). თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული შესრულების საგანი ხელშეკრულების დადების დროს არ არსებობდა და ამის თაობაზე არც მხარეები იყვნენ ინფორმირებულნი, გარიგება არსებითი შეცდომის საფუძველზე დადებულად და, შესაბამისად, ბათილად ითვლება (73 გ). ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება დამოკიდებულია იმაზე, მიმღებმა რამდენად იცოდა ან უნდა სცოდნოდა სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა (981 I).
- 6 **ყოველგვარი შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ დგინდება.**⁸ განსაკუთრებით დაცულია კრედიტორის შესრულების მოთხოვნა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიმართ. ამიტომ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთით ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, **სხვა ნივთით ვალდებულების შესრულება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით არის დასაშვები** (381). ასეთი შესრულება სხვა შესრულებად მიიჩნევა და ვალდებულება შეწყდება (428). თუ სხვა ნივთით ვალდებულების შესრულება მხარეთა შორის შეთანხმებული იყო, ასეთი შესრულება სხვა შესრულებად არ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ **ვალდებულება შეთანხმებული შესრულებით შეწყდა** (427).
- 7 შესრულების საგნის განადგურების შემთხვევაში, თუ **შესრულების საგნის შეცვლა (ჩანაცვლება) შესაძლებელია**, თუმცა კრედიტორი ახალ შესრულებას არ იღებს, იგი **შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა** (390), გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი საგნის შეცვლის

6 BGH NJW 2006, 2839.

7 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 115.

8 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 70.

(ჩანაცვლების) მიუხედავად, პირველადი შესრულების საგნის მიმართ თავის ინდივიდუალურ ინტერესს დაადასტურებს (იხ. მე-3 ველი). ამგვარი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში პირველადი შესრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთად ჩაითვლება (381). ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს **სხვა შესრულების მიღების ვალდებულება არ წარმოეშობა** და, შესაბამისად, იგი არც **შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390)**.

IV. შესრულების ადგილი

ინდივიდუალურ და გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ადგილი სხვადასხვაა. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის თავისებურების გათვალისწინებით, ვინაიდან იგი კონკრეტული და ცალკე მატერიალიზებული სახით არსებობს, მასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება იმ ადგილას ხდება, სადაც ვალდებულება წარმოიშვა,⁹ შესაბამისად, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფება.¹⁰

შესრულების ადგილის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულება **ნივთის მიწოდების რისკის გადანაწილებაა**. თუ ვალდებულების შესრულების ადგილი მოვალის ადგილსამყოფელია, მიწოდების რისკიც არ არსებობს, ვინაიდან შესრულების გადაცემისთანავე შესრულების საგნის დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის, ხოლო თუ შესრულების ადგილი კრედიტორის ადგილსამყოფელია, მაშინ მიწოდების რისკის მატარებელი მოვალეა, მაგ., ფულადი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში (383). მართალია, კანონით ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის თაობაზე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ადგილი ნივთის ადგილსამყოფელია, თუმცა მითითებული რეგულირება სუბსიდურ ხასიათს ატარებს და მოქმედებს მაშინ, როდესაც შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს (362). ამდენად, მოვალე ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის მიწოდების რისკის მატარებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოვალის ეს ვალდებულება (მიწოდების ვალდებულება) ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება. როგორც წესი, სახელშეკრულებო დათქმა შესრულების საგნის მიწოდების ვალდებულების თაობაზე, მიწოდების რისკის აღებასთან ერთად, მიწოდების დაყოვნებასა და ვადის გადაცილებაზე პასუხისმგებლობასაც მოიცავს.¹¹

9 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 31.

10 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 50.

11 RegBegr BT-Drucks, 14/6040, 132.

**V. მტკიცების ტვირთი და სასამართლოს
ტერიტორიული განსჯადობა**

- 10 სხვა ნივთის შეთავაზებისას შესრულების საგნის იდენტიფიკაცია (ნივთის გვარობითი ხასიათი ანუ ჩანაცვლებადობა) მოვალემ უნდა ამტკიცოს, ხოლო შესრულების საგნის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, კრედიტორის დასაბუთებული ინტერესი პირველადი შესრულების საგნის მიმართ – თავად კრედიტორმა.
- 11 ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით წარედგინება, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. ინდივიდუალურ საგანთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი ინდივიდუალური საგნის ადგილსამყოფელია, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (იხ. 362-ე მუხლის კომენტ.).¹² შესაბამისად, ინდივიდუალურ საგანთან დაკავშირებულ დავებზე ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით დგინდება.

¹² კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 156.

მუხლი 382. ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის არსებობისას

თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლაც შეიძლება (გვაროვნული ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.

I. ნორმის მიზანი507

II. გვაროვნული ნივთის ცნება507

III. კავშირი მომიჯნავე ინსტიტუტებთან508

 1. ალტერნატიული ვალდებულებები508

 2. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი509

IV. გვაროვნული ნივთის ინდივიდუალიზაცია (დაკონკრეტება)509

V. გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულების შესრულება510

 1. შესრულების ხარისხი511

 2. რისკის განაწილება511

I. ნორმის მიზანი

ნორმა ანესრიგებს ისეთ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, როდესაც ვალდებულების შესრულების საგანი გვაროვნული ნივთია. ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით, ნივთი გვარობითია, თუ მისი შეცვლა (ჩანაცვლება) შესაძლებელია. სწორედ ამიტომ, გვარობითი ნივთის არსებობის შემთხვევაში **ვალდებულება ყოველთვის შესასრულებელია**, რაც იმას ნიშნავს, რომ, ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნისაგან განსხვავებით, ვალდებულების შესრულების საგნის განადგურება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს. შესაბამისად, **ვალდებულება სახეზეა იქამდე, სანამ აღნიშნული ნივთები სამოქალაქო ბრუნვაშია და მოვალისათვის ხელმისაწვდომია**. გამონაკლისია ისეთი გვაროვნული საგნის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება, რომელიც გვაროვნული საგნის გარკვეულ მარაგს ეხება (იხ. მე-7 ველი).

1

II. გვაროვნული ნივთის ცნება

გვაროვნული ნივთი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია, კერძოდ: სახეობით, რაოდენობით, ნონით, ზომით და ა.შ. გვაროვნულ ნივთებს შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივი, ტექნიკური, ეკონომიკური, ანდა სხვა სახის საერთო მახასიათებელი, რითაც ნივთთა ეს გვარი სხვა გვარის ნივთებისაგან განსხვავდება.¹ **ამ თვისებათა გამო გვაროვნული ნივთები შეცვლადი ნივთებია**. ამიტომაცაა, რომ, როცა შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი, შესრულების სივრცე (ფარგლები) მოიაზრება ამ გვარის ყველა ნივთით. მოვალეს შეუძლია, ნებისმიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს ამ გვარიდან. აქ არა გვაქვს კონკრეტული ნივთი, რომელსაც შემცვლელი არ მოეპოვება.²

2

1 Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 2.
 2 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 382, გვ. 327.

- 3 შესასრულებელ ვალდებულებად გვაროვნულ ნივთს მხოლოდ მხარეები განსაზღვრავენ. მათი შეთანხმების საგანია ასევე გვარობით ნივთთა მასიდან ვალდებულების შესრულების საგნის ვიწრო თუ ფართო მახასიათებლების აღწერა. **გვარობითი ნივთის ვიწრო მახასიათებლებით აღწერა, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ ვალდებულება ინდივიდუალური საგნის მიმართ არის შესასრულებელი.**³ მაგ., ვალდებულება გვარობითი საგნის მიმართ შესასრულებელია, როდესაც ვალდებულების საგანი მიწის ნაკვეთია. ნივთი გვარობითია მაშინაც, როდესაც მიწის ნაკვეთის სავარაუდო ფართობი და მდებარეობა მითითებულია (რომელიმე კონკრეტულ ქალაქი, სოფელი, დაბა და ა.შ.), იგივე უნდა ითქვას, თუნდაც, ნახატზე, მაშინაც, როდესაც კონკრეტული მხატვარია განსაზღვრული. დასახელებული კონკრეტიზაცია (მიწის შემთხვევაში – ფართობი, მდებარეობა; ნახატის შემთხვევაში – მხატვარი) შესრულების საგანს ინდივიდუალურად არ აქცევს. შესასრულებელი ვალდებულების საგანი ინდივიდუალურად იქცევა, როგორც კი შეთანხმება კონკრეტულ სოფელსა თუ დაბაში კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე მიიღწევა, ან კონკრეტული მხატვრის კონკრეტული ნახატის დაკონკრეტება მოხდება. ამდენად, გვარობითი ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება არ უნდა გაიგივდეს მხოლოდ ისეთ ვალდებულებასთან, რომლის შესრულების საგანი, ყოველგვარი კონკრეტიზაციის გარეშე, მხოლოდ ერთიანი მასა ან გვარია. ინდივიდუალური მახასიათებლებით შესასრულებელი ვალდებულების დავინროების შემთხვევაში, ვალდებულება გვარობითი საგნის მიმართ შესასრულებელია იქამდე, სანამ შეთანხმება შესრულების კონკრეტულ საგანზე არ მიიღწევა.

III. კავშირი მომიჯნავე ინსტიტუტებთან

1. ალტერნატიული ვალდებულებები

- 4 გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება განსხვავდება **ალტერნატიული ვალდებულებებისაგან**, რა დროსაც არსებობს რამდენიმე ვალდებულება, საიდანაც შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებას, როგორც წესი, მოვალე ირჩევს (374; იხ. 374-ე მუხლის კომენტ.). განსხვავებით ალტერნატიული ვალდებულებებისაგან, გვარობითი ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება დამოუკიდებელ ვალდებულებებს არ მოიცავს. ამ შემთხვევაში შესრულების საგანი გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე ნივთთა გვარია, საიდანაც შესასრულებელი ვალდებულების საგნის გამოყოფა (ინდივიდუალიზაცია) ხდება.⁴ რაც უფრო დაკონკრეტებულია გვარობითი ნივთის მახასიათებლები, მით უფრო შევიწროებულია შესრულების საგნის არჩევის შესაძლებლობა. ალტერნატიული ვალდებულება და გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება **კომბინირებულადაც შეიძლება** არსებობდეს, მაგ., როდესაც გამყიდველს მყიდველისათვის, მისი

3 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 5-6.

4 იქვე, Rn. 8.

შერჩევით, რამდენიმე ფირმიდან ერთ-ერთი ფირმის ზეთის გადაცემის ვალდებულება აქვს.⁵

2. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი

გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულება განსხვავდება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებისაგან. ვალდებულება ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ არის შესასრულებელი, როდესაც შესრულების საგანი ინდივიდუალიზებულია. შესრულების საგნის ინდივიდუალიზაცია ნიშნავს იმას, რომ ვალდებულება მხოლოდ ამ საგნით უნდა შესრულდეს.⁶ შესრულების საგანი შეიძლება იმთავითვე ინდივიდუალური იყოს, ან შემდგომ დაკონკრეტდეს (გვაროვნული ნივთის ინდივიდუალიზაცია).⁷ სხვა საგნით ვალდებულების შესრულებით ვალდებულება არ წყდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა შესრულებას კრედიტორი დაეთანხმება. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის მიმართ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების შეწყვეტას იწვევს (იხ. 381-ე მუხლის კომენტ.).

5

IV. გვაროვნული ნივთის ინდივიდუალიზაცია (დაკონკრეტება)

გვაროვნული ნივთის მთავარი ინდიკატორი მისი შეცვლის (ჩანაცვლების) უნარია. თუ ნივთი ჩანაცვლებადია, ე.ი. ვალდებულება გვაროვნული ნივთის მიმართ შესასრულებელია. აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი, მაშინ როდესაც ნივთი ჩანაცვლებადია, თუმცა, იგი თეორიაში მაინც ინდივიდუალურ ნივთად მიიჩნევა. ასეთი მდგომარეობა სახეზეა მაშინ, როდესაც გვაროვნულ ნივთთა საერთო მასიდან, კრედიტორთან შეთანხმებით, გვაროვნული ნივთის გამოყოფა ხდება.⁸ ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ სახეზეა ნივთის ინდივიდუალიზაცია, ანუ ნივთთა გვარობითი მასიდან კონკრეტულის გამოყოფა, შესაბამისად, ვალდებულება შესასრულებელი ხდება არა გვაროვნული, არამედ ინდივიდუალურად გამოყოფილი საგნის მიმართ. მოვალის პასუხისმგებლობა მხოლოდ გამოყოფილი, ინდივიდუალიზებული საგნით შემოიფარგლება, ანუ მოვალე ვალდებულების საგნის განადგურების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საფუძველზე, ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან თავისუფლდება.⁹ დაკონკრეტებამდე შესაძლებელია, შესრულების საფრთხე და შემთხვევითი დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადავიდეს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კრედიტორი შესრულების მიღებას აყოვნებს, ან მას საერთოდ არ იღებს.¹⁰ გაბატონ-

6

5 იქვე.

6 RGZ 70, 423, 426; RG JW 1912, 340, 341; Gruber JZ 2005, 707; Thielmann, FG v. Lübtow, 1970, S. 701, 724 f.; weiter Dieckmann ZGS 2009, 9, 11 ff. nach Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 20 12, § 243, Rn. 9.

7 RGZ 92, 369, 371 nach Emmerich, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 9.

8 ზოდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 382, გვ. 327.

9 იქვე, გვ. 328.

10 კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 116.

ნებული შეხედულების თანახმად, მოვალე ერთხელ განხორციელებულ დაკონკრეტებით, როგორც წესი, შებოჭილია.¹¹ ამ მოსაზრებას ამყარებს ის არგუმენტი, რომ კრედიტორს ვალდებულების სრულად შესრულებამდე საქონლის განკარგვა უნდა შეეძლოს.¹² განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, ნივთთა გვარობითი მასიდან კონკრეტულის გამოყოფის ფუნქცია მხოლოდ მოვალის დაცვაა (შესრულების რისკის გადასვლა). შესრულებამდე მას შეუძლია, უარი თქვას ამგვარ დაცვაზე და დაკონკრეტება გააუქმოს იმ შედეგით, რომ შესრულების საფრთხე მასზე გადავიდეს.¹³

V. გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულების შესრულება

- 7 გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულება მოვალეს ვალდებულების შესრულების მეტ შესაძლებლობას ანიჭებს. იგი უფლებამოსილია, გვაროვნული საგნიდან ვალდებულების შესრულების საგანი საკუთარი შეხედულებისამებრ ამოარჩიოს.¹⁴ **მოვალემ გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს, რაც იმას ნიშნავს, რომ გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულების შესრულების მოვალეობა არსებობს იქამდე, სანამ ამ გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვაშია. შესაბამისად, მოვალის არგუმენტი, მის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე, მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან მას ნივთის მოძიების (შოვნისა) და ასევე ნივთის მოძიებასთან დაკავშირებული ვალდებულება ეკისრება.**¹⁵ ის რჩება შესრულებაზე ვალდებული მანამ, სანამ გვაროვნული ნივთი ხელმისაწვდომი იქნება.¹⁶ ეს ვალდებულება ქარწყდება მაშინ, როდესაც ამ გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ანდა მათი შეძენა უზომოდ დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, რაც, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუღებელი იქნება.¹⁷ **ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთისაგან განსხვავებით, გვარობითი ნივთის განადგურება შესრულების შეუძლებლობას არ იწვევს და აღნიშნული საფუძვლით ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობას არ წარმოადგენს.**¹⁸

- 8 გამონაკლისი მხოლოდ ისეთ გვარობით ნივთთან დადებული გარიგებაა, რომელიც **მოვალის გარკვეული მარაგითა, თუ სარეზერვო ფონდით არის შემოფარგლული. ასეთ შემთხვევაში, გვაროვნული ნივთის მიმართ შესრულების ვალდებულება არსებობს იქამდე, სანამ მოვალის ხელთ არსებული მარაგი ამის შესაძლებლობას იძლევა.**¹⁹ მაგ., ფერმერის ვა-

11 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 33.

12 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 116.

13 იქვე.

14 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 15.

15 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 115.

16 იქვე.

17 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 382, გვ. 327.

18 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 115.

19 *Emmerich*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 243, Rn. 12-13.

ლდებულება, სანარმოს მხოლოდ მის ფერმაში მიღებული რძე მიანოდოს, ისეთი გვარობითი ნივთის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებაა, რომელიც მხოლოდ ამ ფერმის მარაგით შემოიფარგლება. ასეთ შემთხვევაში, პროდუქციის მიწოდების ოდენობაც ფერმის მარაგზეა დამოკიდებული. შესაბამისად, არასაკმარისი რეზერვის შემთხვევაში ფერმერი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხს არ აგებს. რეზერვის ამონურვით კი ვალდებულება წყდება და ფერმერს სხვა ფერმაში მიღებული რძის შოვნის (მოძიების) ვალდებულება არ აქვს.

1. შესრულების ხარისხი

გვარობითი საგნის მიმართ შესრულების ხარისხი, როგორც წესი, ხელშეკრულებით დაწვრილებით გათვალისწინებული არ არის. ეს დასკვნა მომდინარეობს პრინციპიდან, რომლის შესაბამისადაც, **შესრულების საგნის ინდივიდუალური მახასიათებლების დეტალური აღწერა შესრულების საგნის დაკონკრეტებას იწვევს, რაც, ხშირ შემთხვევაში, გვარობითი საგნის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებას ინდივიდუალური საგნის მიმართ შესასრულებელ ვალდებულებად აქცევს.** შესაბამისად, გვაროვნული ნივთის მიმართ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მოვალეს საშუალო ხარისხის ნივთის გადაცემის ვალდებულება აქვს (380). გვაროვნულ ნივთთან დაკავშირებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა კრედიტორს საპასუხო შესრულების დაყოვნების უფლებას წარმოუშობს (369). მას აქვს ასევე ისეთი დამატებითი მოთხოვნები, როგორებიცაა: ნაკლის გამოსწორება, ნივთის შეცვლა, ფასის შემცირება და ა. შ. მართალია, **გვაროვნული ნივთის ჩანაცვლება შესაძლებელია, თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობით კრედიტორი არ იზღუდება** და კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, **უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (352, 405).**

2. რისკის განაწილება

ვალდებულების შესრულების საგნის დაყოფას, **შესრულების რისკის განაწილების თვალსაზრისით**, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალისა და კრედიტორის პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევამდე უნდა განისაზღვროს, თუ ვისი პასუხისმგებლობის სფეროში შედიოდა შესრულებასთან დაკავშირებული რისკები. შესრულების რისკის საკითხის განაწილებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შესრულების საგანსა (გვარობითი თუ ინდივიდუალური) და ვალდებულების შესრულების ადგილს.

თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება გვარობითი საგნის შემთხვევაში იმ ადგილას უნდა მოხდეს, სადაც მოვალის სანარმო იმყოფება. თუ ასეთი არ არის, მაშინ საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით (362). ამდენად, **ვალდებუ-**

ლების შესრულების ადგილი გვარობითი საგნის შემთხვევაში, მოვალის ადგილსამყოფელია, თუ, რა თქმა უნდა, ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან ან ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მოვალე ნივთის მიწოდების რისკის მატარებელი არ არის. თუ გვარობითი ნივთის მიმართ ვალდებულების შესრულების ადგილი, ვალდებულების არსიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტორის ადგილსამყოფელია, ასეთ შემთხვევაში, მოვალეს ნივთის მიწოდების ვალდებულება აქვს და მიწოდების რისკის მატარებელიცაა.

- 12 ვალდებულების „დათქმულ დროს“ შესრულების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორი რომ შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად იქნეს მიჩნეული, კრედიტორს ნივთი თავისი ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით უნდა მიენოდოს (390). ვადაგადაცილების პერიოდში მიწოდებული ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი კრედიტორს ეკისრება (393 ბ).²⁰

²⁰ კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 115.

თავი მეორე
ფულადი ვალდებულების შესრულება

მუხლი 383. ცნება

ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.

I. ნორმის მიზანი	513
II. ნორმის მოქმედების ფარგლები	513
III. ფულადი ვალდებულება	515
IV. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო	517
V. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება	518
VI. პროცენტი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის	519
VII. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი	522
VIII. ფულის კურსის ცვლილება	523
IX. ვალუტის ცვლილება	523

I. ნორმის მიზანი

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის საგანი არის ფულადი თანხა. 1 შესაბამისად, ნორმა აწესრიგებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც ფულის გადახდას ეხება. ფულადი ვალდებულების დროს ვალდებულება შეიძლება ეხებოდეს **ფულადი ერთეულის გარკვეულ ოდენობას**, რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ფულის მსყიდველობაუნარიანობას აქვს.

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

ფულადი ვალდებულების ტრადიციული დეფინიცია გარკვეული ოდენობის ფულის გადახდის თაობაზე ვალს გულისხმობს, თუმცა ის, ფართო გაგებით, ყველა იმ ტრანსაქციას მოიცავს, რომელშიც ვალუტა გამოიყენება.¹ შესაბამისად, 383-ე მუხლის კონტექსტში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ისეთი ვალდებულებები, რომელთა საგანი მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულებაა, ისეთი გარიგებებისაგან, რომელთა შესრულების საგანი, მართალია, ფულადი ვალდებულებაა, თუმცა იგი ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის საპასუხო შესრულების საგანია. ასეთ შემთხვევაში ფული გაცვლით ფუნქციას ასრულებს. მისი მეოხებით სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს საშუალება აქვთ, მიიღონ საქონელი და მომსახურება სხვებისაგან, რომლებსაც საპასუხო საქონელი და მომსახურება არ სჭირდებათ.²

1 *Vardi*, Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 2007, 18 *European Business Law Review*, Issue 3, p. 443.

2 *იქვე*, p. 409.

- 3 ნორმის დანაწესი იმის შესახებ, რომ ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში, თუმცა მხარეები, იმავდროულად, უფლებამოსილი არიან, ეს ვალდებულება უცხოურ ვალუტაშიც დაადგინონ, ვრცელდება ყველა სახის ფულად ვალდებულებაზე, მიუხედავად იმისა, ვალდებულების შესრულების საგანი მხოლოდ ფულადი ვალდებულებაა თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი მხარის შემხვედრი **ვალდებულება**. მთავარია, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების საგანი მსყიდველობაუნარიანობის მქონე ფულადი ერთეულის გარკვეული ოდენობა იყოს. ამ კონტექსტში ფულად ვალდებულებას არ წარმოადგენს ფულის **კონკრეტული ბანკნოტი ან მონეტა**. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების საგნად ჩვეულებრივი მოძრავი ნივთი განიხილება.³ ფულად ვალდებულებებს არ მიეკუთვნება, ასევე, **ვალუტის გადაცვლითი ურთიერთობები**, რა დროსაც ვალუტა ასრულებს არა ფულის ფუნქციას, არამედ გამოდის როგორც „ნივთი.“ ასეთ გარიგებებს სავალუტო გარიგებები ეწოდება. ისინი მიმართულია არა უცხოური ფულადი ნიშნებით გადახდისაკენ, არამედ ამ ფულადი ნიშნების მიწოდებისაკენ. სავალუტო გარიგებების მიმართ გამოიყენება არა ფულადი ვალდებულებების მიმართ დადგენილი სპეციალური სამართლებრივი ნორმები, არამედ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები. ამიტომაც ასეთი გარიგებების მიმართ შესრულების შეუძლებლობის საკითხი რეგულირდება იმ ნორმებით, რომლებიც გამოიყენება ისეთი გარიგებების მიმართ, რომელთა საგანი გვაროვნული ნივთებია.⁴
- 4 **ვალდებულების შესრულების საგანი მხოლოდ ფულადი ვალდებულება** სესხის ხელშეკრულება (629) და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაშია (867). თუმცა არც სესხისა და არც საბანკო კრედიტის ხელშეკრულება ყოველთვის ფულად ვალდებულებაზე არ არის ორიენტირებული. სესხის ხელშეკრულების საგანი, გარდა ფულისა, შეიძლება იყოს სხვა გვაროვნული ნივთი,⁵ ისევე როგორც საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს კომერციული კრედიტი, რომელიც სასაქონლო ფორმითაა გამოხატული.⁶
- 5 ვინაიდან 383-ე მუხლი ფულადი ვალდებულების შესრულების წესზე საუბრობს, ამიტომ მითითებული ნორმა მოქმედებს მაშინაც, როდესაც ვალდებულების შესრულების საგანი ფულადი ვალდებულებაა, თუმცა **აღნიშნული ვალდებულება ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთ, როგორც წესი, შემხვედრ, საბასუხო ვალდებულებას წარმოადგენს**. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ნარდობის ხელშეკრულებაში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში 383-ე მუხლის დანაწესი მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების მიმართ გამოიყენება და არა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ისეთი ვალდებულებების მიმართ, რომლებიც ფულად

3 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 20 12, § 370, Rn. 1.

4 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 105.

5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, 2001, მუხ. 623, გვ. 275.

6 *იქვე*, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 867, გვ. 195.

ვალდებულებას არ ეხება, მაგ.: ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის გადაცემა, ნარდობის ხელშეკრულებაში ნაკეთობის დამზადება და ა. შ.

III. ფულადი ვალდებულება

ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქართული ლარია.⁷ ლარი შედგება 100 „თეთრისაგან“. ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა. ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ან რეალიზებული ლარის ბანკნოტები და მონეტები არის ეროვნული ბანკის უპირობო ვალდებულება ნომინალური ღირებულებით, გარდა იმ ბანკნოტებისა და მონეტებისა, რომლებიც ამოღებულია მიმოქცევიდან ან/და განეკუთვნება ნუმისმატიკურ ფასეულობას.⁸ საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვების უფლებამოსილება საქართველოს ეროვნულ ბანკს ეკუთვნის. ასევე, ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები. ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, შემადგენლობას და სხვა მახასიათებლებს, რის შემდეგაც იწყება ფულის ნიშნების ბეჭდვისა და მოჭრის პროცესში ჩაშვება. ქართული ფულის ნიშნები წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება. საქართველოს ტერიტორიაზე მზა ფულის ნიშნების ტრანსპორტირებას და შემდგომ ეროვნული ბანკის საცავებში მათ შენახვას ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. მოსახლეობას ფულის ნიშნები კომერციული ბანკების მეშვეობით მიეწოდება.

ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეულია, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. საქართველოში ასეთ ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოური ვალუტა საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნებია, როგორებიცაა: „დოლარი“, „მარკა“, „ევრო“, „ფრანკი“ და ა.შ. მას საქართველოში მიმოქცევის საყოველთაო საშუალების ფუნქცია არ აქვს და არც საგადაამხდელი საშუალებაა. თუმცა სამოქალაქო კოდექსი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც.⁹ უცხოურ ვალუტაში ფულადი ვალდებულების და-

7 სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს, ზოგადად, განძს, ქონებას. სახელწოდება „ლარი“ ქართული ფულის ერთეულის დასახელებად 1991 წელს წამოაყენა აკადემიკოსმა ვ. ჩანტლაძემ მინისტრთა კაბინეტისათვის შედგენილ პროექტში.

8 „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, 24/09/2009, სსმ, 29, 12/10/2009.

9 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 383, გვ. 330.

დგენა დაუშვებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აკრძალულია კანონით.

- 8 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის N24/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ვალუტით დასაშვებია მხოლოდ შემდეგი საბანკო ოპერაციების განხორციელება: ა) ფიზიკურ პირებს შორის პირადი მიზნებით განხორციელებული გადარიცხვა, რაც არ არის დაკავშირებული ფულადი ვალდებულების შესრულებასთან; ბ) პირის საკუთარ ანგარიშებს შორის განხორციელებული გადარიცხვები; გ) იმპორტთან დაკავშირებული ოპერაცია, იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები არარეზიდენტი პირია; დ) საზღვარგარეთიდან უცხოური ვალუტის ჩარიცხვის ოპერაცია; ე) ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან ანგარიშიდან გადარიცხვა, რაც დაკავშირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებთან; ვ) გრანტის მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციები „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ზ) თანხის გადამხდელი არის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული სანარმო; თ) კონვერტაცია სხვა უცხოურ ვალუტაში ან საქართველოს ეროვნულ ვალუტაში; ი) საქართველოს ფარგლებს გარეთ მივლინებასთან დაკავშირებული თანხების გადარიცხვა; კ) უცხოური ვალუტით სესხის გაცემა და/ან დეპოზიტის მიღება; ლ) საკუთარ ანგარიშზე უცხოური ვალუტის შეტანა ან ანგარიშიდან უცხოური ვალუტის გატანა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, არარეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ, ინვესტიციებიდან და სხვა სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება (შემოსავალი) გადარიცხონ (გაიტანონ) საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით. მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რეზიდენტებს შორის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდებასა და/ან მომსახურების განევისთან დაკავშირებული საბანკო გადახდები უნდა განხორციელდეს ეროვნული ვალუტით. „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 26 ივნისის N166 ბრძანების პირველი მუხლის „ჰ.თ“ პუნქტის მიხედვით, ფულადი გზავნილი (საბანკო გზავნილი) არის ცალკეულ ფიზიკურ პირებს შორის ბანკების საშუალებით ფულადი სახსრების, მათ შორის უცხოური ვალუტის, გადაგზავნის მეთოდი, რომელიც არ მოიცავს გარიგების (შესრულებული სამუშაოს, განეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის საფასურის) თანხების ანაზღაურებას. ამდენად, **უცხოური ვალუტით ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული შეზღუდვა ეხება უნაღდო ანგარიშსწორების დროს განხორციელებულ ფულად ტრანსაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი ვალდებულების შესრულებასთან. მხარეები, ასეთ შემთხვევაში, სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე, უფლებამოსილნი არიან, უცხოურ ვალუტაში დაადგინონ**

ფულადი ვალდებულება, თუმცა უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში, ვალდებულება ეროვნულ ვალუტაში უნდა შესრულდეს. ამ შემთხვევაში უცხოური ვალუტა იქნება ვალის ვალუტა, ხოლო ლარი – გადახდის ვალუტა,¹⁰ გადახდა კი განხორციელდება **გადახდის დღისათვის** ლარსა და შესაბამის უცხოურ ვალუტას შორის კურსის შესაბამისად,¹¹ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კურსი, ანუ ვალუტათა შორის გაცვლითი თანაფარდობა, იმთავითვე ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ვალის ვალუტა ის ფულადი ერთეული, რომელშიც ფულადი ვალდებულების თანხა გამოიხატება (გამოითვლება), ხოლო გადახდის ვალუტა ის ფულადი ნიშნები, რომლებიც ფულადი ვალდებულებების შესრულების საშუალებად ითვლება.¹² საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში დამკვიდრებული პრაქტიკით, ფულადი ვალდებულება შეიძლება გამოხატული იყოს ერთი ქვეყნის ვალუტით, გადახდა კი მოხდეს სხვა ქვეყნის ვალუტით – გადახდის ადგილის ვალუტით.¹³ რაც შეეხება უცხოური ვალუტით უნაღდო ანგარიშსწორებას, ანუ ნაღდი ფულის გადახდის გზით ვალდებულების შესრულებას, ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლობა რაიმე სპეციალურ დათქმას კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის არ ადგენს, შესაბამისად, ნაღდი ფულით გადახდის შემთხვევაში, ვალის ვალუტა და გადახდის ვალუტა ერთი და იგივე შეიძლება იყოს.

IV. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო

თუ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრულია, **ფულადი ვალდებულება დათქმულ დროს უნდა შესრულდეს.** ფულადი ვალდებულების დათქმულ დროს შესრულების მიზნებისათვის აუცილებელია, დადგინდეს შესრულების ადგილი, რათა მოვალე შესრულების ვადის გადამცილებლად არ იქნეს მიჩნეული. ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულების შემთხვევაში, ფულადი თანხა დათქმულ დროს, კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა იქნეს მიტანილი („მიტანის ვალდებულება“). თუ ფულადი ვალდებულება „უნაღდო ანგარიშსწორების“ წესით უნდა განხორციელდეს, ასეთ შემთხვევაში, ფულადი თანხა დათქმულ დროს კრედიტორის ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს. თუ, მხარეთა შეთანხმებით, ფულადი ვალდებულების შესრულება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა მოხდეს, მოვალე დათქმულ დროს ვალდებულების შესრულებისათვის მზად უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში მას კრედიტორისათვის ფულადი თანხის გაგზავნის ან მიტანის ვალდებულება არ წარმოეშობა, ხოლო კრედიტორი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390). თუ მხარეთა შეთანხმებით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა დადგენილი არ არის და იგი არც სხვა გარემოებებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში, მოვალემ ვალდებულება კრედიტორის მოთხოვნისთანავე უნდა

10 იქვე.

11 *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 103.

12 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 383, გვ. 331.

13 იქვე.

შეასრულოს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია, იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს (365, იხ. 365-ე მუხლის კომენტ.).

V. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება

- 10 ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილება მოვალისათვის საფრთხის შემცველია, ვინაიდან, ფულის მაღალი ბრუნვაუნარიანობის გამო, ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი მტკიცებას არ საჭიროებს და იგულისხმება, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დაყოვნება კრედიტორისათვის ყოველთვის ზიანის მომტანია. კრედიტორი ვადაგადაცილებით, მინიმუმ, იმ მიუღებელ შემოსავალს კარგავს, რასაც იგი ფულადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიიღებდა. სასამართლო პრაქტიკით, აღნიშნული ე.წ. „მინიმალური ზიანი“ საანაბრე პროცენტია, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს და რომლის ოდენობა წლიურად, საშუალოდ, 6-7 პროცენტს შეადგენს.¹⁴ თუ კრედიტორს ვადაგადაცილებით იმაზე მეტი ზიანი მიადგა, ვიდრე საანაბრე პროცენტია, მაგ., კრედიტორი მენარმე სუბიექტია და დაკარგა მოგება, რასაც ამ თანხის სამენარმეო მიზნებისათვის ბრუნვის შედეგად მიიღებდა, ასეთ შემთხვევაში, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შედეგად კრედიტორისათვის ზიანის მიყენების ფაქტი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა.¹⁵
- 11 ფულის მაღალი ბრუნვაუნარიანობით არის განპირობებული ის გარემოებაც, რომ მოვალეს, როგორც წესი, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების უფლება არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, მოვალის უფლებას, ვადაზე ადრე შეასრულოს ვალდებულება, უპირისპირდება კრედიტორის პატივსადაც ინტერესი, არ მიიღოს ვადაზე ადრე შესრულება (365). მაგ., პროცენტთან სესხის ვადამდე დაბრუნება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კრედიტორი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას ეთანხმება (626 II). იგივე წესი ვრცელდება კრედიტის ვადაზე ადრე დაბრუნების შემთხვევაზეც, კერძოდ, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება (872).¹⁶ კრედიტის გამცემისათვის მიყენებული ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს ის სარგებელიც, რომელიც კრედიტის გამცემმა ვერ მიიღო იმის გამო, რომ კრედიტის მიმღებმა კონსესუალური ხელშეკრულების არსებობისას განზრახ არ დაუშვა კრედიტის მიღება, რამაც სასესხო ვალუტის მოცდენა განაპირობა და ამით კრედიტორს განსაზღვრული ოდენობის ზიანი მია-

14 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 15 ოქტომბრის N 23/2852-12 გადაწყვეტილება.

15 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის N 23/855-11 გადაწყვეტილება.

16 იხ. 872-ე მუხლის კომენტარი.

ყენა.¹⁷ ეს ნორმა კრედიტორს სასყიდლიანი სესხის ვადაზე ადრე დაბრუნებით ზიანის მიყენების რისკებისაგან იცავს, თუმცა აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკრედიტო დანესებულების ფუნქციიდან და ფულადი თანხის მაღალი ბრუნვაუნარიანობიდან გამომდინარე, დაუშვებელია მოვალისათვის ზიანის სახით სარგებლის მთელი საკრედიტო პერიოდისათვის დაკისრება, ვინაიდან საკრედიტო დანესებულება ხელშეკრულების შეწყვეტისა და ამ თანხის დაბრუნებისთანავე ამავე თანხის კვლავ საკრედიტო ბრუნვაში ჩაშვების შესაძლებლობას იძენს.¹⁸ კრედიტის მიმღებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ზიანის სახით საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ იმ პერიოდამდე ეკისრება, რა დროის განმავლობაშიც ფულადი რესურსი ბანკის სარგებლობაში არ იმყოფება. იმ მომენტიდან, როდესაც სესხის თანხა კრედიტის გამცემს უბრუნდება, მიუღებელი შემოსავალი აღარ არსებობს, რადგანაც კრედიტორს სრული შესაძლებლობა აქვს, სხვაგვარად განკარგოს ეს თანხა, თავიდან გასცეს კრედიტი, ან სხვა საშუალებით მიიღოს მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თანხის კრედიტორისათვის დაბრუნების მომენტად შესაბამისი გადანყვეტილების აღსრულება ჩაითვლება და არა გადანყვეტილების გამოტანის ან ხელშეკრულების მოშლის თარიღი, **ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, იგულისხმება, გადანყვეტილების ფაქტობრივად აღსრულების და არა აღსასრულებლად მიქცევის მომენტი.**¹⁹ ამდენად, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა მოვალეს უსასყიდლოდ აქვს მიღებული, **წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება კრედიტორის ინტერესებს არღვევს და, შესაბამისად, დაუშვებელია,**²⁰ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ვალდებულება მაინც ვადაზე ადრე შესრულდება, კრედიტორს მოვალის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოეშობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ფულადი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებას **კრედიტორი დაეთანხმა.**²¹

VI. პროცენტი ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის

მხარეთა მიერ ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი (სარგებელი) ეკისრება მოვალეს როგორც ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ვადაგადაცილებისათვის (625), ასევე ხელშეკრულების ვადის ამონურვიდან ან ვადაზე ადრე შეწყვეტიდან თანხის სრულად დაბრუნებამდე (403, 411). მართალია, ორივე შემთხვევაში ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დაკისრების სამართლებრივი შედეგი იდენტურია, თუმცა ამ

12

17 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. II, 2001, მუხ. 867, გვ. 203.

18 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის N 28/1938-11 გადანყვეტილება.

19 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის N ას-1586-1585-2011 გადანყვეტილება.

20 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S. 121, Rn. 19.

21 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 364, გვ. 283.

მოთხოვნის საფუძვლები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ვადაგადაცილებისათვის პროცენტი ის სარგებელია, რასაც 625-ე მუხლი ითვალისწინებს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამონურვის ან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგ – დაკისრებული პროცენტი 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავალია. სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს ფიზიკური (იურიდიული) პირებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, 403-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი გადაცილებული დროისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ პროცენტთან დაკავშირებით, **გულისხმობს არა იმ პროცენტს, რომელზეც მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეთანხმდნენ, არამედ სპეციალურად ვადაგადაცილებისათვის შეთანხმებულ პროცენტს**, შესაბამისად, ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მოვალეს ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტი არ ეკისრება.²² ამდენად, საკასაციო პალატის განმარტებითა და, შესაბამისად, დღეს არსებული სასამართლო პრაქტიკით ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას მოვალისათვის პროცენტის დაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, **თუ მხარეები პროცენტის გადახდაზე ვადაგადაცილების პერიოდისათვისაც შეთანხმდებიან**.²³ ნორმის მითითებული ინტერპრეტაციის მიხედვით, ხელშეკრულების ვადაში შეთანხმებული პროცენტი ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ ვადაგადაცილებულ პერიოდზე არ ვრცელდება. **თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი) დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ვადაგადაცილებული პერიოდისათვის მიუღებელ შემოსავალს საერთოდ ვერ მიიღებს**. ნებისმიერი პირი, იქნება ეს ფიზიკური (იურიდიული) პირი თუ საკრედიტო დაწესებულება, საკუთარი ფულის სხვისთვის სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, ამ თანხის სრულად დაბრუნებამდე (ვადაგადაცილებული პერიოდის განმავლობაში) უფლებამოსილია, მოითხოვოს ე.წ. „დაკარგული პროცენტი“, მიუღებელი შემოსავლის სახით. ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, მიუღებელი შემოსავალი ფიზიკური (იურიდიული) პირი კრედიტორებისათვის საანაბრე პროცენტია (წლიური 6-7%), ანუ რასაც ფიზიკური პირი მიიღებდა, ფულადი თანხა, ნაცვლად მოვალისათვის გადაცემისა, საბანკო ანაბარზე რომ განეთავსებინა,²⁴ ხოლო საკრედიტო დაწესებულებისათვის – საკრედიტო ხელშეკრულების ვადის მოქმედების ფარგლებში მოვალესთან შეთანხმებული პროცენტი.²⁵ ეს დასკვნა ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას, რომლის მიხედვითაც, „სამოქალაქო

22 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 ოქტომბრის N ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება.

23 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის N ას-1092-1023-2012 გადაწყვეტილება.

24 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N ას-1576-1479-2012 გადაწყვეტილება.

25 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის N ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება.

კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საგულისხმოა, რომ, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წანამძღვრის მტკიცების მოვალეობა მოსარჩელეს ეკისრება და სარჩელის პერსპექტივა გარკვეულ ასპექტში სწორედ მტკიცების ტექნიკაზეა დამოკიდებული. ნიშანდობლივია, რომ მიდგომა განსხვავებულია ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან, რაც ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სციდვითუნარიანობის მაღალი ხარისხით არის გამოწვეული, რაც ყველა შემთხვევაში ფულს სარგებლის მოტანის უნარს ანიჭებს. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას.^{26,27} ამდენად, სასამართლო პრაქტიკამ დაუშვა, რომ სხვისი ფულადი სახსრებით მართლსაწინააღმდეგო სარგებლობა კრედიტორისათვის ზიანის მიყენების პრეზუმფციას უშვებს. ნიშანდობლივია, აღინიშნოს, რომ მითითებული პრეზუმფცია მხოლოდ მინიმალურ ზიანს, ე.წ. „საანაზღვრე პროცენტს“, ეხება, თუმცა ეს დაშვება თავისთავად იმას არ ნიშნავს, რომ პრეზუმფცია გაქარწყლებადი არ არის. თუ მოვალე დაამტკიცებს, რომ კრედიტორისათვის თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, ამ თანხისაგან მინიმალური სარგებელი მიეღო, კრედიტორის მოთხოვნა ფულადი თანხის ვადაგადაცილებით მიყენებული პრეზუმფციარებული ზიანის (ე.წ. „საანაზღვრე პროცენტი“) ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იქნება და სასამართლო წესით არ დაკმაყოფილდება. **სასამართლო პრაქტიკა საკრედიტო დანესებულებებთან მიმართებით კრედიტორი ფიზიკური პირებისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ სტანდარტს აწესებს.** საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის, როგორც საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის, კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (867). შესაბამისად, საკრედიტო დანესებულებას კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეუძლია, მიიღოს ის სარგებელი (პროცენტი), რასაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა. ამდენად, თუ საკრედიტო ხელშეკრულებით, ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტი გათვალისწინებული არ არის, კრედიტის გამცემს ვადაგადაცილებული დროისათვის პროცენტის მოთხოვნის უფლება მაინც აქვს, ვინაიდან

26 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის №ას-992-950-2013 გადაწყვეტილება.

27 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის №ას-929-869-2017 გადაწყვეტილება.

არსებობს პრეზუმფცია, რომ საკრედიტო დაწესებულება კრედიტის მიმღებისაგან თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს კრედიტის კვლავ გაცემით მაინც მიიღებდა, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შემადგენლობა.²⁸

VII. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი²⁹

- 13 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ მომდინარეობს, ფულადი ვალდებულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს (386), რაც გულისხმობს იმას, რომ ფულადი ვალდებულება, თავისი არსით, ე. წ. „მიტანის ვალდებულებაა“. შესაბამისად, კრედიტორისათვის თანხის გადაცემამდე ფულის დაკარგვის, განადგურების და ა.შ. რისკი მოვალეს ეკისრება.³⁰ თუ ფულადი ვალდებულება ე. წ. „ნეიტრალურ“ ადგილას უნდა შესრულდეს, ანუ ისეთ ადგილას, რომელიც არც კრედიტორისა და არც მოვალის ადგილსამყოფელია, ასეთ შემთხვევაში, ფულადი თანხის „ნეიტრალურ“ ადგილამდე მიტანის რისკი მოვალეს ეკისრება, ხოლო ნეიტრალურ ადგილას კრედიტორისათვის თანხის გადაცემის რისკი კრედიტორზე გადადის. როდესაც საუბარია ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულებაზე, იგულისხმება ე.წ. „ნაღდი ანგარიშსწორება“, ანუ თანხის ხელზე გადაცემა და არა საბანკო გადარიცხვა, ანუ „უნაღლო ანგარიშსწორება“. **„უნაღლო ანგარიშსწორება“ დაიშვება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით.** თუკი კრედიტორს რამდენიმე ადგილზე აქვს გახსნილი საბანკო ანგარიში, მოვალემ შესრულება უნდა მოახდინოს იმ ანგარიშზე, რომელსაც კრედიტორი მიუთითებს. თუკი კრედიტორისათვის სულერთია, რომელ ანგარიშზე ჩარიცხვა უნდა ჩაითვალოს ფულადი ვალდებულების შესრულებად.³¹ **„უნაღლო ანგარიშსწორებისას“** კრედიტორის თანხმობის აუცილებლობას განაპირობებს ის რისკი, რომელიც უნაღლო ანგარიშსწორებას სდევს თან. კერძოდ, როდესაც საუბარია „უნაღლო ანგარიშსწორებაზე“, ანუ თანხის კონკრეტულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვაზე, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა ე. წ. „გაგზავნის“ ვალდებულება, რა დროსაც, მოვალის პასუხისმგებლობა თანხის გადაცემის რისკთან დაკავშირებით გამგზავნისათვის გადაცემით შემოიფარგლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვალე თანხას კრედიტორის ანგარიშზე კრედიტორის თანხმობის გარეშე ჩარიცხავს, ასეთ შემთხვევაში, მიტანის ვალდებულება შენარჩუნებულია და, შესაბამისად, თანხის გაგზავნის რისკებისათვის მოვალეა პასუხისმგებელი.

28 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის N ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება.

29 იხ. 386-ე მუხლის კომენტარი.

30 კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, გვ. 146.

31 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის N 3კ-1155-02 გადაწყვეტილება.

VIII. ფულის კურსის ცვლილება³²

ფულის კურსის დადგენა გაიგივებულია მის კოტირებასთან, რაც 14
 უცხოური ვალუტის საბირჟო ფასების დადგენას გულისხმობს. ფულის
 კურსი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულების ცვლი-
 ლებას სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის მიმართ.³³ ფულის კურსის ცვლი-
 ლება, როგორც წესი, ფულადი ერთეულის მსყიდველობაუნარიანობის
 შეცვლას იწვევს. მიუხედავად ამისა, იგი გადასახდელი ფულადი ნიშნების
 რაოდენობის შეცვლას არ განაპირობებს. მოვალე ვალდებულია, ვალი
 დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რაც **ვალდებულების
 წარმოშობის** დროს შეესაბამება.³⁴ ამდენად, ფულის ერთეულის კურსის
 გაზრდა ან შემცირება (**დენომინაცია**) დასაბრუნებელი თანხის ოდენობა-
 ზე ზეგავლენას არ ახდენს (**ნომინალიზმის პრინციპი**),³⁵ მაგ., თუ სესხის
 სახით 1 (ერთი) წლის ვადით 10 000 ლარია გაცემული, მიუხედავად ფუ-
 ლის კურსის ცვლილებისა, ვალდებულების შესრულების დათქმულ დროს,
 ანუ 1 (ერთი) წლის შემდეგ, ისევ 10 000 ლარი უნდა დაბრუნდეს.

IX. ვალუტის ცვლილება³⁶

ვალუტის შეცვლაში იგულისხმება ფულის ნიშნების სრული ან ნაწილო- 15
 ბრივი შეცვლა ახალი ნიშუმის ფულის გამოშვებით, რაც ფულის რეფორ-
 მის ერთ-ერთი სახეა. მაგ., საქართველოში განხორციელებული ფულადი
 რეფორმის შედეგად ჯერ მანეთი შეიცვალა კუპონით, 1-1-ზე თანაფარდო-
 ბით,³⁷ ხოლო შემდეგ კუპონი ლარით, 1 000 000 – 1 თანაფარდობით.³⁸ ასეთ
 შემთხვევაში გადახდა უნდა მოხდეს შეცვლილი ვალუტით, იმ თანაფა-
 რდობით, რაც ფულადი ერთეულების შეცვლის დღეს არსებობდა. ფულის
 მსყიდველობაუნარიანობა არც ამ შემთხვევაში მიიღება მხედველობაში.
 მაგ., თუ პირმა 1992 წელს 30 000 მანეთი ისესხა, 1996 წელს მან ეს ვა-
 ლდებულება ლარში უნდა დააბრუნოს იმ თანაფარდობით, რაც ფულადი
 ერთეულების კურსის შეცვლის დღეს არსებობდა, შესაბამისად, მას ნაცვ-
 ლად 30 000 მანეთისა, 0,03 ლარის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება.³⁹

მუხლი 384 (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონი N 5127 – სსმ I, N27,
 17.07.2007 წ. მუხ. 260.

32 იხ. 389-ე მუხლის კომენტარი.

33 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 346.

34 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 5 აპრილის N 3კ/428 გადაწყვეტილება.

35 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 346.

36 იხ. 389-ე მუხლის კომენტარი.

37 „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ერო-
 ვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინე-
 ტის '1993 წ. 24 მარტის N 246 დადგენილება.

38 „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მე-
 თაურის 1995 წ. 16 სექტემბრის N 363 ბრძანებულება.

39 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის N ას-820-1137-07
 გადაწყვეტილება.

მუხლი 385. ვალდებულების გარეშე გადახდილის გამოთხოვის წესი

ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვნილი.

I. ნორმის მიზანი	524
II. ნორმის გამოყენების წინაპირობები.....	525
III. ნორმის გავრცელების ფარგლები	526
IV. შესრულების უკან დაბრუნების გამომრიცხველი გარემოებები	528
ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს	528
ბ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა.....	529
გ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა.....	530
დ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას ეწინააღმდეგება	531
V. მტკიცების ტვირთი და სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა.....	531

I. ნორმის მიზანი

1 ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი. ამ ნორმის შესაბამისად, ივარაუდება, რომ მიმღები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, საკუთრად მიიჩნოს ის, რაც ვალდებულების გარეშე შესრულდა.¹ ნორმა აწესრიგებს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, როდესაც თანხა გადახდილია, თუმცა მიღებული უკან დაბრუნებას ექვემდებარება, ვინაიდან მიმღები უფლებამოსილი არ არის, მიიღოს შესრულება. შესრულების მიღებაზე უფლებამოსილების არარსებობა შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი საფუძველებით, როგორებიცაა: ვალდებულების არარსებობა, ან შემდგომში შეწყვეტა. ვალდებულების გარეშე შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივ მონესრიგებას შეიცავს უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებიც.² განსახილველ შემთხვევაში 385-ე და 976-ე მუხლები იდენტურ სამართალურთიერთობას აწესრიგებს და, შესაბამისად, ის სამართლებრივი შედეგები, რაც უფლებამოსილების გარეშე შესრულების მიღებას უკავშირდება, მითითებული ნორმებით ერთნაირად რეგულირდება. სამართალშეფარდების პროცესში, ნორმის გამოყენების თვალსაზრისით, 385-ე მუხლი 976-ე მუხლთან მიმართებით სპეციალურ ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ნორმა ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. ამგვარი დასკვნის საფუძველია ის გარემოება, რომ **385-ე მუხლი აწესრიგებს არა ყოველნაირი შესრულების უკან გადაცემას, არამედ მხოლოდ გადახდილის უკან დაბრუნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ 385-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას**

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხლი 385, გვ. 337.

2 იქვე.

წარმოადგენს ვალდებულების გარეშე განხორციელებული ფულადი შესრულება (ფულის გადახდა).

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

385-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებია: **ა. ფულის გადაცემა კრედიტორისათვის (ვითომ კრედიტორისათვის); ბ. ფულის კრედიტორისათვის (ვითომ კრედიტორისათვის) ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ გადაცემა; გ. ვალდებულების არარსებობა, ხელშეკრულების ბათილობა, ან შემდგომში შეწყვეტა.** 385-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის აუცილებელია, რომ ყველა ჩამოთვლილი წინაპირობა სახეზე იყოს, ანუ დასახელებული წინაპირობები კუმულაციური ხასიათისაა. ალტერნატიულია მხოლოდ „გ“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ-ერთის არსებობა, „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად, კუმულაციურად ნორმის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით, თანხის გადამცემმა უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის ფაქტი.³ თანხის გადაცემის ფორმას (ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით) მნიშვნელობა არ აქვს. ნეგატიური ფაქტის მტკიცების შეუძლებლობიდან გამომდინარე, ვალდებულების არარსებობას თანხის გადამცემი ვერ დაადასტურებს. ასეთ შემთხვევაში **თანხის მიმღებმა, ანუ ვითომ კრედიტორმა, უნდა ამტკიცოს ამა თუ იმ ვალდებულების საფუძვლით თანხის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა ვალდებულების გარეშე გადახდილად ჩაითვლება და უკან დაბრუნებას დაექვემდებარება**⁴. თუ თანხის დაბრუნების მოთხოვნა გარიგების ბათილობას ან ვალდებულების შეწყვეტას ეფუძნება, ასეთ შემთხვევაში, **თანხის გადამცემმა უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ თანხის გადახდის ფაქტი, არამედ გარიგების ბათილობის ან ვალდებულების შეწყვეტის ფაქტიც.** ამგვარი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში გადახდილი თანხა უკან ბრუნდება (385). იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადამცემმა თანხის გადაცემა დაადასტურა, თუმცა გარიგების ბათილობა ან ვალდებულების შეწყვეტა ვერ დაამტკიცა, თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება. თუ თანხის გადამცემმა შეძლო და თანხის გადახდაც დაადასტურა და გარიგების ბათილობაც, ან ვალდებულების შეწყვეტა, ასეთ შემთხვევაში, გადაცემული თანხა უკან დაბრუნდება (385), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხის მიმღები თანხის მიღების სხვა ნამდვილი საფუძვლის არსებობას დაადასტურებს.⁵ მაგ., თუ თანხის მიმღები დაამტკიცებს, რომ გადაცემული თანხა ემსახურება არა იმ გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნებს, რომლებიც, მაგ., ფორმალური ფულადი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებას, ასეთ შემთხვევაში, გადაცემული თანხა უკან არ დაბრუნდება.

3 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის N 2ბ/696-13 განჩინება.

4 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის N 2ბ/4455-10 გადაწყვეტილება.

5 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის Nბს/1034-992-(კ-09) განჩინება.

- 3 385-ე მუხლის გამოყენების წინაპირობაა, ასევე, **გამოხატული ნების საფუძველზე განხორციელებული შესრულება (თანხის გადახდა)**. ეს ნება შეიძლება, უცილოდ ან საცილოდ ბათილი იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გადაცემა სწორედ შემსრულებლის ნების საფუძველზე მოხდეს. ნების არარსებობა სახეზეა არა ნების მომდრეკი იძულების (*vis compulsiva*), არამედ სწორედ ნების გამტეხი იძულების (*vis absoluta*) დროს. იძულება ნების გამტეხია, როდესაც შესრულება ნებას არ ეფუძნება.⁶ ნების გამტეხი იძულებაა სახეზე, როდესაც **შესრულებას წინ არ უძღვის ნების გამოვლენა**, მაგ., როდესაც პირს თანხა წაართვის, მოჰპარეს, წაგლიჯეს და ა.შ. თუ ვამბობთ, რომ ნების გამტეხი იძულების დროს ნება შეცილებადი კი არ არის, არამედ იგი საერთოდ არ არსებობს, ასეთ დროს განხორციელებული შესრულება 978-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში უნდა მოხვდეს და გადახდილი სწორედ 978-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაბრუნდეს და არა 385-ე მუხლის შესაბამისად.^{7,8}

III. ნორმის გავრცელების ფარგლები

- 4 ნორმა აწესრიგებს შესრულების კონდიქციას. უფრო მეტიც, ნორმის გამოყენების წინაპირობები მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც ე.წ. „**გადაცემული“ ფულადი თანხაა**. ნორმის მოქმედების ფარგლებში არ ექცევა ხელყოფის კონდიქცია, ვინაიდან **ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში უკან დაბრუნებას ექვემდებარება არა „გადაცემული“, არამედ სახეზეა უფლებაში ჩარევა, ხოლო ხელმყოფი თანხის ანაზღაურების გზით „გადაცემულს“ კი არ აბრუნებს, არამედ „უფლებაში ჩარევას ათანაბრებს**.“⁹ ხელყოფის კონდიქციას 982-ე მუხლი აწესრიგებს. ეს ნორმა უსაფუძვლო გამდიდრების თავშია მოცემული. ამ ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობის მიხედვით, ხელმყოფმა უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა უნდა გაუთანაბროს. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან.¹⁰ მაგ., როდესაც არამართლზომიერი, არაკეთილსინდისიერი მფლობელი, რომელმაც იცის, რომ იგი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვის საკუთრებას ფლობს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მესაკუთრეს მისი საკუთრებით უკანონოდ სარგებლობით მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება არა დელიქტის (992), არამედ ხელყოფის კონდიქციის საფუძველზე (982).¹¹ მიყენებული ზიანი გამოიხატება როგორც ფაქტობ-

6 დეტალურად იხ. 86-ე მუხლის კომენტარი.

7 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 აპრილის № 23/1403-15 გადაწყვეტილება.

8 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 ოქტომბრის № ას-6545-625-2016 გადაწყვეტილება.

9 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის № ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

10 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის № ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

11 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 მაისის № ას-197-186-2017 გადაწყვეტილება.

რივად დამდგარ ზიანში, ასევე იმ დაკარგულ შემოსავალში, რასაც მესაკუთრე მიიღებდა, თავისი საკუთრებით დაუბრკოლებლად რომ ესარგებლა. ზიანი ფაქტობრივად დამდგარი იქნება, თუ მესაკუთრე იძულებული იყო, სხვაგან ეცხოვრა და თავად ეხადა ბინის ქირა, ხოლო დაკარგული შემოსავალი სახეზე იქნება მაშინ, როდესაც პირი თავის სხვა სახლში ცხოვრობდა, რა დროსაც შესაძლებლობა ჰქონდა, ეს ბინა მესამე პირებისათვის მიეჭირავებინა და შემოსავალი მიეღო. **ამდენად, 385-ე მუხლის რეგულირების ფარგლებში ექცევა შესრულების კონდიქციის შემთხვევები და არა ხელყოფის კონდიქცია. ამასთან, აღნიშნული ნორმის საგანია არა ნებისმიერი შესრულების უკუქცევა, არამედ მხოლოდ გადაცემული თანხის (ფულის) უკან დაბრუნება.**

ნორმა გამოიყენება მაშინაც, როდესაც ფულადი ვალდებულება მხოლოდ ვალის არსებობაში არ გამოიხატება (სესხი, კრედიტი). ნორმის რეგულირება ვრცელდება ასევე ისეთ ფულად ვალდებულებებზე, რომლებიც ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთ-ერთი ვალდებულების შესრულების (საპასუხო შესრულების) საგანია. მაგ., 385-ე მუხლი გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაშიც, როდესაც ამავე ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლით გამყიდველი ვალდებულია, მიღებული თანხა უკან დააბრუნოს. გარიგების ბათილობის საფუძვლით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ის უპირობო სამართლებრივი შედეგია, რომელსაც როგორც 976-ე, ასევე 385-ე მუხლი ითვალისწინებს. ფულის მაღალი ბრუნვაუნარიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფულით სარგებლობით დაკარგული შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნაც. უსაფუძვლოდ მიღებულ ფულად თანხაზე პროცენტის გადახდის ვალდებულება იმპერატიულია, რაც ამ ნივთის (ფულის) თავისებურებებთანაა დაკავშირებული.¹² თუმცა ამისათვის აუცილებელია, რომ არაუფლებამოსილმა მიმღებმა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ქონებრივი სიკეთის დაუფლებისას **იცოდეს ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდეს მიღებული სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზიანობა.** ასეთ შემთხვევაში მიმღებმა, გარდა იმისა, რომ ვალდებულების გარეშე მიღებული უკან უნდა დააბრუნოს, მანვე უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს ის ზიანი (მიუღებელი შემოსავალი), რაც მან ფულის განკარგვის შეუძლებლობის საფუძვლით დაკარგა.¹³

ნორმა არ გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოთხოვნა, მართალია, ფულის გადახდაა, თუმცა მოთხოვნის საფუძველი არა ვალდებულების გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნება, არამედ ვალდებულების გარეშე განეული მომსახურების ანაზღაურებაა. თუ გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო უკან დაბრუნება შეუძლებელია, მაშინ მიმღებმა მისი საერთო ღირებულება უნდა აანაზღაუროს. თუ მომსახურებაა განეული, ხოლო მომსახურების უკან დაბრუნება შეუძლებელია, განეული მომსახურების მიმღები ვალდებულია, მიღებული მომსახურების ღირებულება გადაიხადოს (979 II). **ამდენად, თუ მომსახურება ვალდებულების გარეშეა**

12 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის № ას-24-379-07 გადაწყვეტილება.

13 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის № ას-188-177-11 გადაწყვეტილება.

განეული, განეული მომსახურება ანაზღაურებას მაინც ექვემდებარება.¹⁴ იგივე წესი ვრცელდება ვალდებულების გარეშე ისეთი შესრულების მიღებაზე, რომელიც შეიძლება მომსახურება არ იყოს, თუმცა, გადაცემული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, უკან დაბრუნებას ვერ დაექვემდებაროს (მაგ., წყლის მიწოდება, გაზით მომარაგება და ა.შ.).¹⁵ ასეთ შემთხვევაშიც, საგნის მიმღებმა მიღებული ქონებრივი სიკეთის საერთო ღირებულება უნდა აანაზღაუროს.

IV. შესრულების უკან დაბრუნების გამომრიცხველი გარემოებები

- 7 სასამართლო, არსებული პრაქტიკის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლს მოთხოვნის წარმოშობის დამოუკიდებელ საფუძვლად არ განიხილავს და, როგორც წესი, თანხის უკან დაბრუნებისას, 385-ე მუხლთან ერთად, 976-ე მუხლს¹⁶ ან 986-ე მუხლს უთითებს¹⁷. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 385-ე მუხლი მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი არ არის. მისი, როგორც გადაცემული თანხის უკან დაბრუნების, სამართლებრივ საფუძვლად გამოყენების მიზნებისათვის აუცილებელია, რომ **შესრულება ფულად თანხას ეხებოდეს და აღნიშნული შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყოს განხორციელებული**. ამავდროულად, ნიშანდობლივია აღნიშნოს, რომ 385-ე მუხლი, მისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში (თანხის გადახდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე) პირვანდელი მდგომარეობის, ანუ თანხის დაბრუნების, გამომრიცხველ გარემოებებს არ შეიცავს. თუმცა ამ გარემოებებს 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ: ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს; ბ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა; გ. მიმღებს შექმლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა; დ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას ეწინააღმდეგება.

ა. შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს

- 8 **385-ე მუხლი საუბრობს ვალდებულების გარეშე გადახდილის უკან დაბრუნებაზე. აღნიშნული მუხლის კონტექსტში „ვალდებულებაში“, სამართლებრივ ვალდებულებასთან ერთად, ზნეობრივი მოვალეობაც იგულისხმება, ვინაიდან, თუ შემსრულებელი შესრულების დროს ზნეობრივ სანყისებზე დაყრდნობით მოქმედებდა, მისი (შესრულების) უკან დაბრუნება იმთავითვე გამორიცხულია.**¹⁸ შესაბამისად, შესრუ-

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის № ას-1237-1087-2010 გადაწყვეტილება.

15 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის № ას-927-1210-09 გადაწყვეტილება.

16 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის № ას-528-501-2015 გადაწყვეტილება.

17 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის № ას-279-264-2017 გადაწყვეტილება.

18 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-465-443-2015

ლების უკუმოთხოვნის საფუძვლიანობის შემონმებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემსრულებლისა და მიმღების სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შეფასება იმისა, შესრულება გულისხმობს **სამართლებრივი ვალდებულების არსებობას, თუ შესრულება მომდინარეობს ზნეობრივი მოვალეობიდან**, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფლებამოვალეობრივი კავშირი არსებობს შემსრულებელსა და მიმღებს შორის, რა სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა შემსრულებელსა და მიმღებს უშუალოდ შესრულების მიმართ. ეს გამიჯვნადია განსაკუთრებით ნათესაური და მეგობრული ურთიერთკავშირების დროს. თუ შემსრულებელი შესრულების დროს მოქმედებდა ზნეობრივ სანყისებზე დაყრდნობით, იმთავითვე გამოირიცხება მისი (შესრულების) უკან დაბრუნების შესაძლებლობა.¹⁹ მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების შედეგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას შემდეგ, რაც შემსრულებელი შესრულებას დაადასტურებს, მიმღებმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების არსებობა, რაც შესრულებულის უკან დაბრუნებას გამორიცხავს, თუმცა იმგვარი შესრულება, რომელიც **საოჯახო ურთიერთობების ფარგლებში მორალურად გამართლებული და ზნეობრივია**, „ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას“ წარმოშობს და უკან დაბრუნებას გამორიცხავს.²⁰

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ზნეობრივი მოვალეობა კანონისმიერი მოვალეობისაგან. კანონისმიერი მოვალეობა ყოველთვის ზნეობრივია, ხოლო ზნეობრივი მოვალეობა შეიძლება სცდებოდეს კანონით დადგენილი მოვალეობის ფარგლებს. მაგალითად, მამის ზრუნვა შვილის ბინით უზრუნველყოფის თაობაზე შეესაბამება მამის კანონისმიერ და, იმავდროულად, ზნეობრივ მოვალეობას არსებული ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, არჩინოს შვილი და შეუქმნას მას სამომავლო ეკონომიკური კეთილდღეობა. შესაბამისად, ეს შესრულება, როგორც კანონისა და ზნეობის შესაბამისი, დაბრუნებას არ ექვემდებარება.²¹

ბ. მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა

შესრულება დაბრუნებას არ ექვემდებარება ასევე მაშინ, როდესაც მიმღები ვარაუდობდა, რომ შემსრულებელს სურდა ამ შესრულების მის სასარგებლოდ განხორციელება. ამგვარი ვითარება ხშირად იქმნება, როდესაც შემსრულებელსა და მიმღებს შორის ხანგრძლივი ახლომეგობრუ-

განჩინება.
 19 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის № ას-528-501-2015 გადაწყვეტილება.
 20 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის № ას-528-501-2015 გადაწყვეტილება.
 21 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის № ას-465-443-2015 განჩინება.

ლი,²² საოჯახო (არარეგისტრირებული ქორწინება)²³ და ა.შ. ურთიერთობა არსებობდა. ასეთ შემთხვევაში მოვალეობები, მართალია, კანონიდან არ გამომდინარეობს, თუმცა ერთმანეთის მიმართ განხორციელებული შესრულება მიმღებსა და შემსრულებელს შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით მიმღებს წარმოუშობს მოლოდინს, რომ შესრულება მას ეკუთვნის... შემსრულებელი მის სასარგებლოდ მოქმედებს... მის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულება შემსრულებლის კეთილ ნებას წარმოადგენდა... და ა.შ. მაგ., ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირების მიერ ერთმანეთისათვის განხორციელებული შესრულება (მაგალითად, მკურნალობის ხარჯი) დაბრუნებას არ ექვემდებარება.²⁴ უკან დაბრუნება გამორიცხულია ასევე იმ მოტივითაც, რომ მიმღების სუბიექტური დამოკიდებულება შესრულების მიმართ გულისხმობს, რომ იგი ამ შესრულებას „მისთვის განკუთვნილ შესრულებად“ აღიქვამს, რაც ხშირ შემთხვევაში, საჩუქრადაც კვალიფიცირდება.²⁵ ამ პრინციპს კონდიქციური სამართალი შემდეგი დებულების სახით იცნობს – *venire contra factum proprium*, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის აქვს უფლება, თავის პირვანდელ საქციელთან წინააღმდეგობაში მოვიდეს და ამით იმ პირის უფლებები ხელყოს, ვისაც პირვანდელი მოქმედების მიმართ კეთილგონიერი ნდობა აქვს. ეს პრინციპი კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის ერთ-ერთი გამოვლინებაა.²⁶

გ. გავიდა ხანდაზმულობის ვადა

- 11 385-ე მუხლი შესაბამისი საფუძვლის (სამართლებრივი, ზნეობრივი) გარეშე შესრულების (გადახდილის) დაბრუნების შესაძლებლობას უსაფუძვლო გამდიდრების ნებსების შესაბამისად ადგენს. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი კი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ: ფული, ქონება, ქონებრივი სარგებელი, შეღავათი, უპირატესობა) ამოღებაა, რითაც სამართლიანი ბალანსის აღდგენის უზრუნველყოფა ხდება. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში რელევანტურია 976-ე-991-ე მუხლების გამოყენება, რომლებიც ამ საფუძვლით მოთხოვნის ხანდაზმულობის 10-წლიან ვადას აწესებს.²⁷ ეს კი ნიშნავს იმას, რომ 385-ე მუხლის კონტექსტში პირს, რომელმაც შესაბამისი საფუძვლის გარეშე სხვას რაიმე გადაუხადა, საფუძვლის გარეშე გადახდილის უკან დაბრუნების მოთხოვნისათვის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა აქვს. 10-წლიანი ვადის დენა კი იმ მომენტიდან იწყება, როდესაც პირმა შეიტყო, ან უნდა შეეცყო, რომ შესრულება იმთავითვე უსაფუძვლო იყო, ან მას სამართლებრივი საფუძველი შემდგომში გამოეცალა (130). 10-წლი-

22 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის № ას-6-6-2015 გადაწყვეტილება.

23 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის № ას-99-95-2016 განჩინება.

24 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის № ას-99-95-2016 განჩინება.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის № ას-6-6-2015 გადაწყვეტილება.

26 *Isola*, *Venire contra factum proprium*, 2017, S. 3-4.

27 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის № ას-390-363-2017 განჩინება.

ანი ვადის გასვლის შემდეგ უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა, როგორც ხანდაზმული, იძულებით დაბრუნებას აღარ ექვემდებარება, ნებაყოფლობით დაბრუნების პირობებში კი შემსრულებელს რჩება, თუნდაც, მიმღებს დაბრუნების დროისათვის არ სცოდნოდა, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა ხანდაზმული იყო (144 II).

დ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას ეწინააღმდეგება

განხორციელებული შესრულება (385-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე კი, გადაცემული თანხა) დაბრუნებას არ დაექვემდებარება, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა **ბათილობის შესახებ ნორმათა დაცვით ფუნქციას ეწინააღმდეგება**. მაგალითად, ბათილი გარიგების საფუძველზე გადაცემული თანხა მიმღებს რჩება, როდესაც შემსრულებელი (თანხის გადამცემი) იმთავითვე მართლსაწინააღმდეგოდ (კანონსაწინააღმდეგოდ) მოქმედებდა (822 II, 828) და ამ ფაქტის მიმართ მიმღები კეთილსინდისიერი იყო, კერძოდ, მიმღებმა არ იცოდა შემსრულებლის ქმედების კანონსაწინააღმდეგობისა და, შესაბამისად, გარიგების ბათილობის თაობაზე და ისე იღებდა, მისი კეთილსინდისიერი რწმენით, „ნამდვილი გარიგების“ საფუძველზე შესრულებას. 12

V. მტკიცების ტვირთი და სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა

385-ე მუხლიდან გამომდინარე, შემსრულებელმა უნდა ამტკიცოს შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი შესრულებას, კერძოდ, ამ შემთხვევაში, თანხის გადახდას დაადასტურებს, მიმღებმა უნდა ამტკიცოს ვალდებულება, რომლის შესრულების მიზნითაც მან ეს შესრულება მიიღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულება (თანხის გადახდა) იმთავითვე უსაფუძვლოდ ჩაითვლება და გადახდილი თანხა დაბრუნებას დაექვემდებარება. თუმცა ეს ფაქტობრივი ვითარება სახეზეა მაშინ, როდესაც შემსრულებელი (თანხის გადამხდელი) თავიდანვე (სარჩელში) უთითებს, რომ მან ეს შესრულება საფუძვლის გარეშე განახორციელა, ან საფუძვლით განახორციელა, თუმცა შემდგომ ეს საფუძველი შეწყდა. სწორედ ასეთ ვითარებაში გადადის შესრულების საფუძვლიანობის, ანუ შესრულების მიღების სამართლებრივი საფუძვლის, მტკიცების მოვალეობა მოპასუხეზე. **თუ მოპასუხე დაადასტურებს რაიმე საფუძვლის არსებობას, რომლის საფუძველზე მან შესრულება მიიღო (მაგ.: ნარდობის, ნასყიდობის საფასური, ჩუქება და ა. შ.), ასეთ ვითარებაში თანხა, როგორც უსაფუძვლოდ გადაცემული, დაბრუნებას არ დაექვემდებარება.** 13

სხვაგვარ პროცესუალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც, მოსარჩელის მტკიცებით, **მან თანხა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით გადასცა მოპასუხეს, მაგ., სესხის საფუძველზე და ითხოვს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.** ასეთ შემთხვევაში თანხის გადაცემის ფაქტიც და შესაბამისი სახელშეკრულებო საფუძველიც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს. **მოპასუხის** 14

პროცესუალური მდგომარეობა ამ შემთხვევაში პასიურია. თუ მოსარჩელემ შესაბამისი სახელშეკრულებო საფუძვლის არსებობა ვერ დაამტკიცა, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე კი არ გადადის, არამედ შესაბამისი ფაქტობრივი საფუძვლით (სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) სარჩელი არ დაკმაყოფილდება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე შესაბამის ფაქტობრივ საფუძველს (მაგალითად, სესხის ხელშეკრულება) ვერ ამტკიცებს და შემდგომ (პირველ ინსტანციაში მთავარ სხდომაზე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში) თანხის უსაფუძვლო გამდიდრების მუხლებიდან გამომდინარე ითხოვს. **ამგვარი დაშვებით მოპასუხის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი და სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოპასუხისათვის არაგანჭვრეტადი ხდება, ვინაიდან მოპასუხემ იმთავითვე არ იცოდა, რომ მას მიღებული თანხის ფაქტობრივი საფუძვლის მტკიცება მოუწევდა.** შესაბამისად, ეს ვითარება სააპელაციო პალატის მიერ მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.²⁸ ამგვარი დასკვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლით, სასამართლო თავისუფალია სამართლებრივ შეფასებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე უფლებამოსილია, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სხვა (განსხვავებული) სამართლის ნორმის საფუძველზე შეაფასოს, ვიდრე ამას მოსარჩელე უთითებდა, თუმცა დაუშვებელია სამართლებრივი შეფასების შეცვლა მაშინ, როდესაც ამით სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი იცვლება და მოპასუხეს შეცვლილი ფაქტობრივი საფუძვლის მიმართ შესაგებლისა და ახალი (შეცვლილი) ფაქტების საწინააღმდეგო ფაქტების (არგუმენტების) მტკიცების შესაძლებლობა არ მიეცემა. შესაბამისად, ის, რაც სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია (საჭიროებს მტკიცებას), სასამართლომ არ უნდა შეცვალოს, ხოლო სარჩელის ნორმატიული საფუძველი (მხოლოდ სამართლებრივი შეფასება), სასამართლოს მხრიდან ცვლილებას ექვემდებარება.²⁹ **თანხა სესხის ხელშეკრულების საფუძველზეა გადაცემული, თუ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ფაქტის საკითხია და არა სამართლებრივი შეფასების სფერო.** შესაბამისად, თუ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე თანხის გადაცემა, მხოლოდ თანხის გადაცემის დამტკიცების პირობებში, მას უფლება აქვს, ახალი სასარჩელო წარმოების გზით თანხის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მოითხოვოს. მხოლოდ ამ გზით იქნება დაცული მოპასუხის პროცესუალური უფლება, შეედავოს მართო იმ არგუმენტს, რომელიც მოსარჩელემ მის წინააღმდეგ, კანონით დადგენილი წესით, შესაბამის საპროცესოსამართლებრივ ეტაპზე (შესაგებელში, მოსამზადებელი სხდომაზე, მთავარ სხდომაზე და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ საპატიო გარემოების არსებობის შემთხვევაში), გააჟღერა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მითითებული საპროცესოსამართლებრივი ასპექტები სასამართლო პრაქტიკაში ერთგვაროვნად

28 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 სექტემბრის № 28/410-15 განჩინება.

29 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის № ას-1350-1275-2012 განჩინება.

შეფასებული არ არის. უფრო მეტიც, გავრცელებული შეხედულებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მიიჩნევა, რომ სასარჩელო მოთხოვნა (თანხის დაბრუნება) შემონმებულ უნდა იქნეს სამართლებრივი საფუძვლების კონკურენციის პირობებში, კერძოდ, თუ მოსარჩელემ დაამტკიცა თანხის გადაცემა, თუმცა სესხის არსებობა ვერ დაადასტურა, სასამართლო უფლებამოსილია, გადაცემული თანხა უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე დააბრუნოს, მიუხედავად იმისა, მოსარჩელე თანხის უსაფუძვლოდ გადაცემაზე სარჩელში უთითებდა, თუ არა.³⁰

30 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის N ას-711-670-2011 განჩინება.

მუხლი 386. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი

1. შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით.

2. თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია.

I. ნორმის მიზანი.....	534
II. ნორმის მოქმედების ფარგლები.....	534
III. ფულადი ვალდებულება.....	535
1. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი.....	536
2. ფულადი ვალდებულების შესრულების წესი.....	537
3. ფულადი ვალდებულების შესრულების რისკი.....	537
4. ფულადი ვალდებულების დროულად შესრულების რისკი.....	538

I. ნორმის მიზანი

- 1 ვალდებულების დათქმულ დროს შესრულება ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთი წინაპირობაა, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრას ვალდებულების ჯეროვნად შესრულების განსაზღვრის მიზნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ფულადი ვალდებულების შესრულება გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. მისი შესრულების ადგილის განსაზღვრას შესრულების რისკის გადანაწილების საკითხიც უკავშირდება. შესრულების რისკთან დაკავშირებული პრობლემატიკა კი ფულადი ვალდებულების შესრულებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია.

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

- 2 ნორმა სუბსიდიურ რეგულირებას შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი, 386-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილის სხვა გზით დადგენა შეუძლებელია.¹ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის წყაროები შეიძლება იყოს ხელშეკრულება, კანონი, ასევე შესასრულებელი ვალდებულების ბუნება და ა. შ. შესაბამისად, თუ არც ერთი ჩამოთვლილი წყაროდან არ ირკვევა ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი, ასეთ შემთხვევაში სუბსიდიარული წყარო გამოიყენება (386).² ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ვალდებულების შესასრულებელ ბოლო

1 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 270, Rn. 1.

2 იქვე.

მოქმედებას ახორციელებს.³ შესასრულებელი ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულება ე. წ. „გაგზავნის ვალდებულება“, **რაც იმას ნიშნავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი ის ადგილია, საიდანაც ფულადი ვალდებულება იგზავნება.** თუმცა, ჩვეულებრივი გაგზავნის ვალდებულებისაგან განსხვავებით (შდრ. 362-ე მუხლის კომენტ., მე-9 ველი), ფულადი ვალდებულების გაგზავნის დროს ფულის შემთხვევით დაკარგვის რისკის მატარებელი მოვალეა და არა კრედიტორი. სწორედ ამ მახასიათებლის გამო, ფულად ვალდებულებას „კვალიფიციური გაგზავნის“ ვალდებულებას უწოდებენ. შედეგობრივი თვალსაზრისით, „კვალიფიციური გაგზავნის“ ვალდებულება „მიტანის ვალდებულებას“ უთანაბრდება, რა დროსაც გაგზავნის ხარჯები და რისკი მოვალეს ეკისრება.⁴ ასეთ შემთხვევაში, „გაგზავნისა“ და „მიტანის“ ვალდებულების განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, იგი მხოლოდ საპროცესოსამართლებრივი დატვირთვის მქონეა⁵ და ფულადი ვალდებულებებიდან წარმოშობილ დავებზე ტერიტორიულად განსჯადი სასამართლოს დადგენის მიზნებს ემსახურება.⁶ „გაგზავნის“ ვალდებულების დროს ვალდებულების შესრულების ადგილი გაგზავნის ადგილია, ხოლო მიტანის ვალდებულების დროს – კრედიტორის ადგილსამყოფელი. გაგზავნა, როგორც წესი, მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით ხორციელდება. შესაბამისად, ძალიან ხშირად გაგზავნისა და მოვალის ადგილსამყოფელი თანმხვედრია. მაგ., საკრედიტო ურთიერთობაში კრედიტის მიმღები მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, როგორც წესი, კრედიტის გამცემი ბანკის იმ ფილიალში ახორციელებს, რომელიც მისი ადგილსამყოფელის მიხედვით მდებარეობს. შესაბამისად, შესრულების ადგილად ბანკის ფილიალი მიიჩნევა.

III. ფულადი ვალდებულება

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომელიც **ფულადი თანხის გადახდას ეხება**, მიუხედავად იმისა, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საგანი მხოლოდ ფულია (მაგ.: სესხი, კრედიტი), თუ ფული მხოლოდ ერთ-ერთი შემხვედრი ვალდებულების საგანია (მაგ.: ნასყიდობა, ნარდობა და ა.შ.). თუ მოვალე ვალდებულებას მესამე პირის მეშვეობით ასრულებს, ასეთ შემთხვევაში, ფულადი თანხის კრედიტორისათვის გადაცემამდე თანხის დაკარგვის, ან მესამე პირის მიერ ვალდებულების სხვა გზით შეუსრულებლობის რისკის მატარებელი მოვალეა (396, 397). იმ შემთხვევაში, თუ ფულადი თანხა კრედიტორის მითითებით, კრედიტორის უფლებამოსილ წარმომადგენელს გადაეცა, წარმომადგენლის მიმართ შესრულება კრედიტორის მიმართ შესრულებად მიიჩნევა (104). იმ შემთხვევაში, თუ მიღებული შესრულება (ფულადი თანხა) კრედიტორის წარმომადგენელმა ისე განკარგა, რომ შესრულება კრედიტორმა ვერ მიიღო,

3

3 ზარანდია, სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ. 16.

4 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 270, Rn. 1.

5 იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი.

6 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 270, Rn. 2.

ასეთ შემთხვევაში, მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, მათ შორის მაშინაც, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით წარმომადგენლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება დასტურდება.⁷ არსებობს მოსაზრება, რომლის შესაბამისადაც, მოვალის მიერ თანხის უკან გამოთხოვის შემთხვევაში, თანხის დაბრუნების ვალდებულება თანხის მიმთვისებელს ეკისრება და არა კრედიტორს, რომელსაც თანხა არ მისვლია.⁸

1. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი

- 4 როგორც წესი, ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. მხარეთა შეთანხმება წერილობით ან ზეპირად მიიღწევა. ეს შეთანხმება ხელშეკრულების არსებითი პირობაა და ამავე ხელშეკრულებისათვის დადგენილ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს (327). ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის თაობაზე შეთანხმება დაიშვება ასევე კონკლუდენტური მოქმედებითაც. მხარეთა შეთანხმებით ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი მოვალის ან კრედიტორის ადგილსამყოფელია. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილად მხარეებმა ნეიტრალური ადგილიც შეიძლება აირჩიონ.⁹
- 5 362-ე მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიური რეგულირება მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც შესრულების ადგილი საეჭვოა. შესრულების ადგილი საეჭვოა მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან მხარეთა ნება შესრულების ადგილის თაობაზე ნათლად არ ჩანს. უმეტეს შემთხვევაში, ეს მაშინ ხდება, როდესაც გამოხატული ნება ბუნდოვანი და არაორაზროვანია. ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულების დროისათვის კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) მიხედვით შესრულებას, ხოლო თუ კრედიტორი მენარმე სუბიექტია – მისი იურიდიული მისამართის მიხედვით.
- 6 ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც ფულის კრედიტორისათვის გადაცემა უნდა მოხდეს. 386-ე მუხლის რეგულირების მიხედვით, „მიტანის ვალდებულების“ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ადგილი კრედიტორის ადგილსამყოფელია. სხვა შემთხვევაში, ფულადი ვალდებულება, როგორც წესი, „გაგზავნის ვალდებულებად“ მიიჩნევა და ვალდებულების შესრულების ადგილად გაგზავნის ადგილი ითვლება. ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან აცილების მიზნით, ფულადი ვალდებულება „კვალიფიციურ გაგზავნის“ ვალდებულებად იწოდება მხოლოდ რისკების გადაწინააღმდეგების კონტექსტში.

7 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის N 23/1268-11 განჩინება.

8 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის N ას-1435-1450-2011 გადაწყვეტილება.

9 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 270, Rn. 10.

2. ფულადი ვალდებულების შესრულების წესი

თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ფულადი ვალდებულება ნაღდი ფულის გადახდის გზით უნდა შესრულდეს. თუ მხარეები უნაღდო ანგარიშსწორების წესზე პირდაპირ არ არიან შეთანხმებულნი, უნაღდო ანგარიშსწორება, კრედიტორის თანხმობის გარეშე, არ დაიშვება. კრედიტორის თანხმობა უნაღდო ანგარიშსწორების წესის თაობაზე ცალსახა და არაორაზროვანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ გადახდის ადგილი საექვოა და ფულადი ვალდებულება ნაღდი ანგარიშსწორების წესით კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შესრულდეს (386 I). ამდენად, **„უნაღდო ანგარიშსწორება“ დაიშვება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით.**¹⁰ თუკი კრედიტორს რამდენიმე ადგილზე აქვს გახსნილი საბანკო ანგარიში, მოვალემ შესრულება იმ ანგარიშზე უნდა მოახდინოს, რომელსაც კრედიტორი მიუთითებს. თუკი კრედიტორისათვის სულერთია, რომელ ანგარიშზე ჩაირიცხება ფული, მაშინ ნებისმიერ მათგანზე ჩაირიცხვა უნდა ჩაითვალოს ფულადი ვალდებულების შესრულებად.¹¹ **„უნაღდო ანგარიშსწორებისას“** კრედიტორის თანხმობის აუცილებლობას განაპირობებს ის რისკი, რომელიც უნაღდო ანგარიშსწორებას სდევს თან. კერძოდ, როდესაც საუბარია **„უნაღდო ანგარიშსწორებაზე“**, ანუ თანხის **კონკრეტულ საბანკო** ანგარიშზე ჩაირიცხვაზე, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა ე.წ. **„გაგზავნის“** ვალდებულება და არა **„კვალიფიციური გაგზავნის“** ვალდებულება, რა დროსაც მოვალის პასუხისმგებლობა თანხის გადაცემის რისკთან დაკავშირებით გამგზავნისათვის გადაცემით შემოიფარგლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოვალე თანხას კრედიტორის ანგარიშზე კრედიტორის თანხმობის გარეშე ჩაირიცხავს, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა **„კვალიფიციური გაგზავნის“** ვალდებულება, რაც რისკების გადანაწილებით მიტანის ვალდებულებას უთანაბრდება და, შესაბამისად, თანხის გაგზავნის რისკებისათვის მოვალეა პასუხისმგებელი.

7

3. ფულადი ვალდებულების შესრულების რისკი

ფულადი ვალდებულების მიმართ მოქმედებს ე.წ. **„კვალიფიციური გაგზავნის“** ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალე გაგზავნის რისკის მატარებელია. მოვალის პასუხისმგებლობა ფულის დაკარგვის, განადგურებისა და ა. შ. **მოვლენების მიმართ იქამდე გრძელდება, სანამ ფული კრედიტორს არ გადაეცემა, უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში კი, სანამ ფული კრედიტორის ანგარიშზე არ ჩაირიცხება.** შესაბამისად, ფულადი ვალდებულების მიმართ მოქმედი **„კვალიფიციური გაგზავნის“** ვალდებულება სხვა არაფერია, თუ არა, თავისი არსით, მიტანის ვალდებულება.¹²

8

10 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 ივნისის N 3კ/305-01 გადაწყვეტილება.

11 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის N 3კ-1155-02 გადაწყვეტილება.

12 *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 13.

- 9 **„კვალიფიციური გაგზავნის“ ვალდებულება არ მოქმედებს უნაღლო ანგარიშსწორების შემთხვევაში.** უნაღლო ანგარიშსწორების დროს ფულადი ვალდებულება შესრულებულად ითვლება თანხის კრედიტორის ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან. ის რისკი, რომელიც საბანკო ოპერაციების განხორციელებას უკავშირდება, რისკის მატარებელი კრედიტორია, რომელმაც უნაღლო ანგარიშსწორების წესზე თანხმობა გამოთქვა.¹³
- 10 თუ ფულადი ვალდებულება **ე. წ. „ნეიტრალურ“** ადგილას უნდა შესრულდეს, ანუ ისეთ ადგილას, რომელიც არც კრედიტორისა და არც მოვალის ადგილსამყოფელია, ასეთ შემთხვევაში, ფულადი თანხის „ნეიტრალურ“ ადგილამდე მიტანის რისკი მოვალეს ეკისრება, ხოლო ნეიტრალურ ადგილას კრედიტორისათვის თანხის გადაცემასთან ერთად რისკი კრედიტორზე გადადის. როდესაც საუბარია ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულებაზე, იგულისხმება ე. წ. „ნაღლი ანგარიშსწორება“, ანუ თანხის ხელზე გადაცემა და არა საბანკო გადარიცხვა, ანუ „უნაღლო ანგარიშსწორება“.
- 11 თუ ფულადი ვალდებულების არსიდან გამომდინარე, სახეზეა „გაგზავნის ვალდებულება“, მოვალეს ფულადი თანხის გაგზავნის რისკთან ერთად ხარჯებიც ეკისრება. იგივე უნდა ითქვას ფულადი ვალდებულების კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით შესრულების ვალდებულებაზე, ანუ „მიტანის ვალდებულებაზე“.
- 12 **ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.** მოვალემ უნდა ამტკიცოს, ფულადი ვალდებულების გაგზავნის ფაქტი, ანუ გამგზავნი ორგანოსა თუ დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის ფაქტი, ხოლო მიტანის ვალდებულების შემთხვევაში – კრედიტორისათვის თანხის გადაცემის ფაქტი.

4. ფულადი ვალდებულების დროულად შესრულების რისკი

- 13 ფულადი ვალდებულების დროულად შესრულების მიზნიდან გამომდინარე, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ვალდებულების შესრულების ადგილი. თუ **მხარეთა შეთანხმებით**, ფულადი ვალდებულება **„ნაღლის ვალდებულებას“** გულისხმობს, კრედიტორს თანხა მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გადაეცეს. მოვალე თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ვალდებულების შესრულების დროისათვის ვალდებულების შესასრულებლად მზად უნდა იყოს. თუ კრედიტორი მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით არ მიდის და შესრულებას არ იღებს, შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად კრედიტორი მიიჩნევა (390). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფულადი ვალდებულება, თავისი არსით, „ნაღლის ვალდებულებას“ არ ნიშნავს და, შესაბამისად, ამგვარი სამართლებრივი შედეგების დადგომისათვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება, რომლითაც ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილად მოვალის ადგილსამყოფელი განისაზღვრება.

¹³ Staudinger/Bittner (2001), Rn 20, nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 269, Rn. 14.

ფულადი ვალდებულება, როგორც წესი, „გაგზავნის ვალდებულება“. თუ გაგზავნა საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით ხორციელდება, ფულადი ვალდებულების შესრულების დრო **მოვალის მიერ საბანკო დაწესებულებისათვის საგადახდო დავალების მიცემის მომენტთან არის დაკავშირებული.** ის დრო, რომელიც საბანკო დაწესებულებას კრედიტორის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისათვის (გადარიცხვისათვის) ესაჭიროება, მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების დროულად შესრულებულად მიჩნევის მიზნებისათვის, მხედველობაში არ მიიღება.¹⁴ 14

თუ სახეზეა „გაგზავნის ვალდებულება“, თუმცა თანხის გაგზავნა **არასაკრედიტო დაწესებულების მეშვეობით ხორციელდება,** ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება დროულად შესრულებულად მიიჩნევა, თუ მოვალე გამგზავნის ფულს შესრულების ვადის ამონურვამდე გადასცემს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. „გადამტანი საშუალება“ კრედიტორთან შეთანხმებული იყოს. თუ მოვალემ შესრულების საგანი (ფული) არასათანადო „გადამტან საშუალებას“ გადასცა, რომელმაც ვალდებულება არ შეასრულა, ან არაჯეროვნად შეასრულა, მოვალე ვადის გადაცილებისათვის პასუხს აგებს. **როგორც წესი, „გადამტანი საშუალება“ არასათანადოა, თუ იგი ვალდებულების შესასრულებლად სათანადო გულისხმიერებით არ არის შერჩეული და თან არც კრედიტორთან არის შეთანხმებული.** არასაკრედიტო დაწესებულების მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, სახეზეა „**კვალიფიციური გაგზავნის“ ვალდებულება,** რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალე თანხის კრედიტორისათვის გადაცემამდე რისკის მატარებელია. 15

თუ ფულადი ვალდებულების შესრულება სუბსიდიარულ წყაროზე დაყრდნობით ხორციელდება (386 I), ანუ **კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით,** ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება დროულად შესრულებულად მიიჩნევა, თუ მოვალე კრედიტორს ვალდებულების შესრულების ვადის ამონურვამდე ფულს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით გადასცემს. 16

14 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 270, Rn. 22.

მუხლი 387. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა

1. თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.

2. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა.

3. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

- I. ნორმის მიზანი540
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობები.....541
- III. დასაფარ ვალდებულებათა არჩევის უფლება541
- IV. შესასრულებელ ვალდებულებათა ერთგვაროვნება.....542
- V. ვალდებულებათა დაფარვის კანონით გათვალისწინებული რიგითობა ...543

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმა მოვალის უფლებების დაცვას ემსახურება. სამოქალაქო კოდექსი შესრულების არჩევანის პრიორიტეტს მოვალეს ანიჭებს. ასეთი მიდგომა იმ გარემოებას ემყარება, რომ მოვალემ ყველაზე უკეთ იცის, რომელი ვალია მისთვის ყველაზე მძიმე და რომელი მათგანის გასტუმრების შემთხვევაში იქნება იგი დაზღვეული დამატებითი ხარჯებისაგან.¹ მოვალის არჩევანი კრედიტორის ინტერესებში შეიძლება სულაც არ შედიოდეს, თუმცა ამ შემთხვევაში მოვალის უფლება, კრედიტორის ინტერესთან შედარებით, უპირატესია. მოვალის უფლება, აირჩიოს შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობა, კრედიტორის თანხმობას არ საჭიროებს.² მოვალისათვის შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრის კრიტერიუმი არა მხოლოდ ფულადი ვალდებულების ოდენობა, არამედ მისი უზრუნველყოფის ხარისხიცაა.³ თუმცა, მიუხედავად ამისა, ნორმა დისპოზიციურია, ანუ ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის განსხვავებულ წესზე მხარეთა შეთანხმებას უშვებს. ნორმა ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის ალტერნატიულ მონესრიგებასაც შეიცავს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა მოვალე კანონით მინიჭებულ უფლებას შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის დადგენის თაობაზე არ გამოიყენებს და ამასთან დაკავშირებით არც მხარეები შეთანხმდებიან.

1 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 387, გვ. 341.

2 იქვე, გვ. 342.

3 იქვე, გვ. 343.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა შემდეგი წინაპირობები: 1. მოვალეს კრედიტორის მიმართ რამდენიმე ვალდებულება აქვს; 2. ვალდებულებათა შესრულების საგანი იდენტურია; 3. ვალდებულებების წარმოშობის წყარო ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაა; 4. მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება ყველა ვალდებულების დასაფარად საკმარისი არ არის.

III. დასაფარ ვალდებულებათა არჩევის უფლება

ნორმა დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებათა სიმრავლის პირობებში შესრულების არასაკმარისობის დროს მხარეები ვადამოსულ ვალდებულებებს ურთიერთშეთანხმებით დადენილი რიგითობით ფარავენ. მხარეთა ურთიერთშეთანხმება ვალდებულებათა შესრულების ეტაპზე სავალდებულოა როგორც კრედიტორისათვის, ასევე მოვალისათვის, უფრო მეტიც, იმ მესამე პირისთვისაც, რომლის უფლებებსაც ეს შეთანხმება ეხება (მაგ., თავდები⁴ ან ის პირი, ვისი ქონებითაც არის ერთ-ერთი მოთხოვნა უზრუნველყოფილი).⁵ ამ შეთანხმების არსებობის პირობებში თუ მოვალემ ის ვალდებულება შეასრულა, რომლის შესრულების რიგითობა მხარეთა შეთანხმებას არ შეესაბამება, კრედიტორი უფლებამოსილია, არ მიიღოს ეს შესრულება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად არ მიიჩნევა (390).

მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოვალის ნებას ენიჭება. მოვალე ირჩევს შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობას. მოვალის ნება კრედიტორისათვის სავალდებულოა. თუ ვალდებულებას მოვალის ნაცვლად მესამე პირი ასრულებს, კრედიტორისათვის სავალდებულო მისი ნებაა.⁶ კრედიტორს შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის არჩევის უფლება არ აქვს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მხარეთა შეთანხმებით ან მხოლოდ მოვალის ნების საფუძველზე განსაზღვრული დასაფარ ვალდებულებათა რიგითობა შემდეგში ცესიონერისათვისაც სავალდებულოა. ცედენტსა და ცესიონერს შორის შეთანხმება მხედველობაში არ მიიღება და არც მოვალის უფლებაზე ახდენს ზეგავლენას.⁷ მთავარია, რომ მოვალის ნება გაცნობიერებული იყოს და იგი დასაფარ ვალდებულებათა რიგითობის დადგენის სამართლებრივი შედეგების თაობაზე ინფორმაციას ფლობდეს. მაგ., თუ მოვალემ შესასრულებლად სავალდებულოდ ის ვალდებულება აირჩია, რომლის მოთხოვნის უფლება სხვა კრედიტორებსაც სოლიდარულად აქვთ, იმ კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებით, რომლის წინაშეც მოვალეს სხვა ვალდებულებებიც აქვს, რალა თქმა უნდა, კრედიტორის სხვა მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება,

4 RGZ 136, 178, 184 nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 8.

5 BGH NJW 1993, 2043, nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 7.

6 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 5.

7 იქვე, Rn. 3.

რადგან ამ შესრულებაში კრედიტორს, მოთხოვნის სოლიდარულობიდან გამომდინარე, მხოლოდ თავისი კუთვნილი წილი ეკუთვნის, ამიტომ მოვალე ვალდებულებათა დაფარვის სამართლებრივი შედეგების თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს, **წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დასაფარ ვალდებულებათა რიგითობის თაობაზე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თავიდან უნდა მიეცეს.**⁸

5 მოვალე შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებას, როგორც წესი, **კონკლუდენტური მოქმედებით ირჩევს. კონკლუდენტური მოქმედება ვალდებულების შესრულებაში გამოიხატება.** კონკლუდენტური მოქმედების დროს აუცილებელია, რომ მოვალემ ვალდებულების შესრულებისას მიუთითოს, რომელ ვალდებულებას ასრულებს. ხშირ შემთხვევაში გადახდის დანიშნულება გარემოებათა ერთობლიობის შედეგად დგინდება. თუ მოვალემ იმთავითვე არ გამოხატა იმის ნება, შესრულებით რომელ ვალდებულებას ფარავს, ამ ნების გამოხატვა მას შესრულების შემდეგაც შეუძლია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შესასრულებელი ვალდებულების არჩევის უფლება კრედიტორს აქვს.

6 **თუ კრედიტორი მოვალის მიერ არჩეული ვალდებულების შესრულების მიღებაზე უარს ამბობს, იგი შესრულების მიღების ვადის გადამცილებლად მიიჩნევა (390),** გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მოვალე და კრედიტორი შესრულების რიგითობის თაობაზე შეთანხმებულნი იყვნენ და შეთავაზებული შესრულება შეთანხმებული შესრულების რიგითობას ეწინააღმდეგება, ან როდესაც მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესასრულებელი ვალდებულების არჩევის უფლება კრედიტორს აქვს.

IV. შესასრულებელ ვალდებულებათა ერთგვაროვნება

7 387-ე მუხლის გამოყენებისათვის ამოსავალი დებულებაა ის, რომ **მოვალეზე დაკისრებული რამდენიმე ვალდებულება ერთმანეთის მსგავსი იყოს.** მსგავსია ისეთი მოთხოვნები, რომლებიც 442-ე მუხლის კონტექსტში გაქვითვაუნარიანია.⁹ ნიშანდობლივია, რომ ამ მოთხოვნათა საფუძვლის ერთიანობა და სამართლებრივი კავშირის არსებობა სავალდებულო არ არის. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ შესასრულებელი ვალდებულების საგანი ფული ან სხვა ერთგვაროვანი გვაროვნული ნივთია.¹⁰ ამდენად, ნორმა გამოიყენება როგორც სხვადასხვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიმართ, ასევე ერთი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებზე,¹¹ თუმცა არაერთი ვალდებულების ფარგლებში არსებულ ძირითად და დამატებით

8 Palandt/Heinrichs, § 366, Rn. 3, nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 3.

9 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 387, Rn. 29.

10 იქვე, § 366, Rn. 4.

11 იქვე, Rn. 1.

მოთხოვნებზე.¹² სწორედ აღნიშნული პირობა ასხვავებს 367-ე მუხლის შინაარსს 368-ე მუხლისაგან, რომელიც ძირითად და დამატებით ვალდებულებათა დაფარვის რიგითობას ეხება. ასეთ შემთხვევაში, მოვალეს დასაფარ ვალდებულებათა რიგითობის არჩევის უფლება არ აქვს. თუ მოვალე მაინც გამოხატავს ნებას ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების დაფარვის კონტექსტში დასაფარ ვალდებულებათა რიგითობის თაობაზე, ეს ნება კრედიტორისათვის სავალდებულო არ იქნება (იხ. 368-ე მუხლის კომენტ.). იგივე უნდა ითქვას სააღსრულებო წარმოების პროცესზეც. მოვალის უფლება, აირჩიოს დასაფარ ვალდებულებათა რიგითობა, სააღსრულებო წარმოების პროცესში არ მოქმედებს.

V. ვალდებულებათა დაფარვის კანონით გათვალისწინებული რიგითობა

ნორმა ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის ალტერნატიულ მოწესრიგებასაც შეიცავს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა მოვალე კანონით მინიჭებულ უფლებას შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის დადგენის თაობაზე არ გამოიყენებს და ამაზე არც მხარეები შეთანხმდებიან. აღსანიშნავია, რომ დასაფარ ვალდებულებათა კანონით გათვალისწინებული რიგითობა მოვალეთა „სავარაუდო“ ნებას შეესაბამება. შესაბამისად, იგულისხმება, რომ დასაფარ ვალდებულებათა კანონით გათვალისწინებული რიგითობა მოვალის ინტერესების მიხედვით არის დადგენილი. შესაბამისად, თუ აღმოჩნდა, რომ ვალდებულებათა დაფარვის კანონით გათვალისწინებული რიგითობა მოვალის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მისი კორექტირება მოვალის ინტერესების მიხედვით, დასაშვებია უნდა იყოს.¹³ კანონით დაწესებული რიგითობის შესაბამისად, მოვალის მიერ განხორციელებული გადახდით, პირველ რიგში, ის ვალდებულება უნდა დაიფაროს, რომლის გადახდის ვადაც პირველი დადგა. **მოთხოვნის ხანდაზმულობა მხედველობაში არ მიიღება.**¹⁴ თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად ის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა ის ვალდებულება, რომელსაც, მაგ., პროცენტი ანდა პირგასამტეხლო ერიცხება. თუმცა ვალდებულების სიმძიმე, ცხადია, მარტო ფულადი ნიშნების რაოდენობაში არ გამოიხატება. მის დაუფარაობას მოვალისათვის სხვა არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.¹⁵ მაგ., უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაფარვა მოვალისათვის პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან მისი დაუფარაობით მოვალეს ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით ქონების დაკარგვის საფრთხე შეიძლება დაემუქროს. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად ის ვალდებულება უნდა

12 იქვე, Rn. 5.

13 BGH NJW 1969, 1864; 2001, 815, 818; OLG Koblenz VersR 1983, 383; krit.: Staudinger/Olzen (2000) Rn. 46 nach Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 12.

14 Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 366, Rn. 13; შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილის N 28/290-13 გადაწყვეტილება.

15 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 387, გვ. 343.

შესრულდეს, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა მოვალისათვის, მაშინ 387-ე მუხლის მე-სამე ნაწილის ძალით, თავდაპირველად ის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. ეს ერთადერთი შემთხვევაა 387-ე მუხლში, როცა მოვალის ინტერესების უპირატესად კრედიტორის ინტერესებია გათვალისწინებული.¹⁶ თუმცა ნორმის მიზნიდან და მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ, ვინაიდან მოვალისათვის შესასრულებლად მძიმე ვალდებულების შესრულება პრიორიტეტია (387 II), ამიტომ ჯერ უზრუნველყოფილი მოთხოვნა უნდა დაიფაროს, შემდეგ ნაკლებ უზრუნველყოფილი და ბოლოს – არაუზრუნველყოფილი.

¹⁶ იქვე.

მუხლი 388. სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი

მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.

- I. ნორმის მიზანი545
- II. ნორმის მოქმედების ფარგლები545
- III. ვალდებულებათა დაფარვის კანონით გათვალისწინებული რიგითობა ..546
- IV. კანონით გათვალისწინებული რიგითობის შეცვლა.....547

I. ნორმის მიზანი

ნორმა ანესრიგებს ისეთ ვალდებულებითსამართლებრივი ვალდებულებების დაფარვის რიგითობის წესს, რომელიც ძირითად და დამატებით ვალდებულებებს ეხება. თუ 388-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულებათა დაფარვის რიგითობას მოვალე განსაზღვრავს, 387-ე მუხლი მოვალეს ამ უფლებას არ ანიჭებს. უფრო მეტიც, მითითებული ნორმა კრედიტორის ინტერესების დაცვას ემსახურება. ამავე მუხლით დადგენილია საჯარო-სამართლებრივი ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი კერძოსამართლებრივ ხარჯებთან მიმართებით. 1

II. ნორმის მოქმედების ფარგლები

ნორმა ანესრიგებს ორი სახის ვალდებულებას: პირველი, ესაა საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება, როგორცაა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება; მეორე კი, კერძოსამართლებრივი ხასიათის ვალდებულება, როგორცაა ძირითადი ვალდებულებისა და დამატებითი საპროცენტო ვალდებულების შესრულება.¹ 2

ნორმის გამოყენების წინაპირობებია ვადამოსული ვალდებულების არსებობა, შესასრულებელ ვალდებულებათა არაერთგვაროვნება – სხვადასხვა „რანგი“ და შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის თაობაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობა. შესაბამისად, ნორმა ანესრიგებს არა მხოლოდ ვალდებულების დარღვევამდე შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობას, ასევე, დარღვევის შემდგომ განხორციელებულ შესრულებათა რიგითობასაც. მთავარია, რომ შესასრულებელი ვალდებულებები ვადამოსული იყოს და არ არსებობდეს მხარეთა შეთანხმება ვადამოსულ ვალდებულებათა შესრულების რიგითობის შესახებ. 3

1 იქვე, მუხ. 388, გვ. 344.

III. ვალდებულებათა დაფარვის კანონით გათვალისწინებული რიგითობა

- 4 ვალდებულებები, რომლებიც შესრულების რიგითობას განსაზღვრავს, არის სასამართლოს ხარჯები, ძირითადი შესრულება (ვალი) და პროცენტი.
- 5 **სასამართლო ხარჯებში იგულისხმება როგორც სასამართლო ხარჯები, ასევე აღსრულების ხარჯები.**² საჯაროსამართლებრივი ვალდებულების უპირატესი დაფარვის არსებითი საფუძველი ისაა, რომ მისი წარმოშობა დაკავშირებულია დასახელებული კერძოსამართლებრივი ვალდებულების შესრულებასთან და, ამდენად, ამ უკანასკნელის მიზნებს ემსახურება.³ ძირითადი ვალი ნიშნავს ძირითადი ფულადი ვალდებულების მთელ თანხას, ხოლო პროცენტებში იგულისხმება როგორც ძირითად ვალზე ვალდებულების შესრულების დასარიცხი პროცენტები, ისე მისი ვადის გადაცილების გამო წარმოშობილი პროცენტები (პირგასამტეხლო).⁴
- 6 ნორმით გათვალისწინებული მოწესრიგების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა **სხვადასხვა „რანგის“ ვალდებულებათა დაფარვის მოვალეობაა.** ვალდებულებები სხვადასხვა რანგისაა, როდესაც ერთი მეორისაგან წარმოიშობა, ანუ როდესაც სახეზეა ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები. ძირითად ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება კანონითა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, ხოლო 388-ე მუხლის კონტექსტში დამატებითია ისეთი ვალდებულებები, როგორებიცაა, მაგ.: სარგებლის მიღების უფლება (პროცენტი), პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის და ა. შ.
- 7 თუ მოვალეს **რამდენიმე ძირითადი ვალდებულება** აქვს, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 367-ე მუხლის რეგულირება, შესაბამისად, შესასრულებელ ძირითად ვალდებულებათა რიგითობას მოვალე განსაზღვრავს. **თუ მოვალეს აქვს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში მათი დაფარვის რიგითობას კანონი, კერძოდ, 388-ე მუხლი ადგენს.** კანონით გათვალისწინებული მოწესრიგების მიხედვით, ჯერ ძირითადი ვალდებულება იფარება, ხოლო შემდეგ – დამატებითი ვალდებულება. თუ მოვალეს **რამდენიმე ძირითადი და დამატებითი ვალდებულება აქვს**, ასეთ შემთხვევაში, მოვალის არჩევით, ჯერ იფარება ის ძირითადი ვალდებულება, რომელსაც მოვალე აირჩევს (387), შემდეგ მასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულება (388), ხოლო ამის შემდეგ დარჩენილი ძირითადი ვალდებულება თავის დამატებით ვალდებულებასთან ერთად.⁵ ეს წესი ხშირად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ გამოიყენება. მაგ., საბანკო კრედიტის შემთხვევაში, როდესაც ხდება თანხის შეტანა, მთლიანად ძირითადი თანხა კი არ იფარება, არამედ ვადამოსული ძირითად თანხა, შემდეგ დარჩეული პროცენტი და პირგასამტეხლო.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ Krüger, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 367, Rn. 2.

IV. კანონით გათვალისწინებული რიგითობის შეცვლა

388-ე მუხლით გათვალისწინებული მონესრიგება დისპოზიციურია, 8
რაც იმას ნიშნავს, რომ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მონესრიგებისაგან განსხვავებული წესის დადგენა. მხარეთა უფლება, შეთანხმდნენ ვალდებულებათა შესრულების რიგითობაზე, ვრცელდება მხოლოდ სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე. ამ წარმოების დაწყების შემდეგ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის შეცვლა დაუშვებელია.

ნორმის დისპოზიციური ბუნება შესაძლებლობას იძლევა, ვადამოსულ ვალდებულებათა შესრულების რიგი მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს. მაგ., საკრედიტო ურთიერთობებში, მხარეთა შეთანხმებით, ვალდებულებათა რიგითობა განსხვავებულად არის დარეგულირებული, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულებების მიხედვით, როგორც წესი, მოვალის გადასახდელიდან, რომელიც მთელი ვადამოსული ვალის დასაფარად საკმარისი არ არის, იფარება ჯერ პირგასამტეხლო, შემდეგ პროცენტი და ბოლოს – ძირითადი თანხა. ამ თანმიმდევრობის საწინააღმდეგო მოთხოვნა, კერძოდ, დაფარულ იქნეს ვალდებულებები კანონით გათვალისწინებული მონესრიგების შესაბამისად, დაუშვებელია, რადგან ამგვარ რიგითობას მხარეთა ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს. ამგვარი შეთანხმების არარსებობის პირობებში გადახდილი თანხით დაფარულ ვალდებულებათა რიგითობა სწორედ კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს (388).

388-ე მუხლის მიხედვით, დამატებითი ვალდებულება მხოლოდ მაშინ დაიფარება, თუ ძირითადი თანხა მთლიანად დაფარულად მიიჩნევა. 10
დაფარვის რიგითობის გათვალისწინებით, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ვალდებულება, იქნება ეს ძირითადი თუ დამატებითი, აუცილებლად ვადამოსული უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში, იგი გადახდილი თანხით დასაფარ ვალდებულებათა რიგში არ ჩაჯდება. იგივე წესი ვრცელდება ხანდაზმულ პროცენტებზე, მაშინაც, თუ მოვალე ხანდაზმულობაზე არ უთითებს.⁶

6 იქვე, Rn. 6.

მუხლი 389. ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას

თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

I. ნორმის მიზანი	548
II. ფულის ცნება	548
III. ნომინალიზმის პრინციპი	549
IV. ნომინალიზმის პრინციპი 389-ე მუხლის მიხედვით	550
1. 389-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტება	550
2. 389-ე მუხლის ისტორიული, ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტება	552
V. კურსთა ცვლილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	555
VI. ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება, როგორც მხარეთა რისკის დასაშვები ფარგლები	556
VII. ვალუტის ცვლილება	559

I. ნორმის მიზანი

- 1 ნორმა აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმის განმარტება, როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი, სწორედ ამ მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი უნდა დადგინდეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა.

II. ფულის ცნება

- 2 ფული, თავისი ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით, არის საერთო გადაცვლის, შეფასების, ღირებულების, შენახვისა და გადაცემის საშუალება, ანგარიშსწორების ერთეული.¹ ფული გამოისახება არა მარტო ნაღდ ფულში – მონეტებსა და ბანკნოტებში, არამედ საბანკო დაწესებულებაში

1 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 75. Aufl., § 245, Rn. 2; ქეთელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 149.

გახსნილი მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშზე არსებული თანხების ჩანაწერებში. შესაბამისად, ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საბანკო გადარიცხვის გზით.²

III. ნომინალიზმის პრინციპი

ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებაა. ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულის ესა თუ ის რაოდენობა და არა ამ ერთეულთა მსყიდველობაუნარიანობა. „ნომინალი“ ეწოდება ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულების რაოდენობას (10 ლარი, 50 ლარი და ა.შ.).³ ნომინალიზმის პრინციპის მიხედვით, მოვალე ვალდებულია, ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა.⁴ „ნომინალიზმის“ პრინციპის დასახელება სიტყვა „ნომინალიდან“ მომდინარეობს, რაც ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას გულისხმობს. „ნომინალიზმი“ **ფულადი ვალდებულებების მიმართ მოქმედი მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ფუძემდებლური პრინციპია.**⁵ მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას.

ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა, შესაბამისად, სესხის სახით მიღებული 1 000 ლარი, მიუხედავად მსყიდველობაუნარიანობის შეცვლისა, ვალდებულების შესრულების დროისათვის ისევე 1 000 ლარის ოდენობით უნდა დაბრუნდეს.

ზოგ შემთხვევაში, ფული შეიძლება ე. წ. „გაცვლით ფუნქციას“ ატარებდეს, რა დროსაც მას მიღებული საქონლისა თუ მომსახურების ღირებულების განმსაზღვრელი დანიშნულება აქვს. მიუხედავად ამისა, თუ ქონების ანდა მომსახურების ფასი ხელშეკრულებით მყარად დადგენილია, ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების ოდენობაზე ზეგავლენას არ ახდენს და **მის ავტომატურად შეცვლას არ იწვევს.** მაგ., თუ ღვინის ქარხანას კომპანიისათვის ყოველთვიურად 10 000 ლარის სანაცვლოდ 5 000 ბოთლი ღვინო უნდა მიეწოდებინა, ხოლო, ფულის მსყიდველობაუნარიანობის შეცვლის გამო, 1 ბოთლის თითოღირებულება იმდენად გაიზარდა, რომ ფასმა ორჯერ მოიმატა, ეს გარემოება ამავე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში გაზრდილი ფასის გადახდის ვალდებულებას არ

2 ქეტელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 149.

3 ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 111.

4 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 347.

5 იქვე, გვ. 345.

წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების აუცილებლობა (398).

- 6 **იგივე წესი (ნომინალიზმის პრინციპი) არ ვრცელდება** იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება, მართალია, გარკვეულ ფულად თანხაშია დანესებული, თუმცა ეს თანხა ნატურით შესრულების სანაცვლოდ არის დადგენილი, ან საკომპენსაციო თანხაა, ან კიდევ ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. **ასეთ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ნატურით შესასრულებელი ქონების ეკვივალენტურად, მიყენებული ზიანის პროპორციულად, გადასაცემი ქონების ღირებულების შესაბამისად და ა. შ. მაგ., პირს კომპანიისაგან ბინა უნდა მიეღო.** კომპანიამ მასზე დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა, თუმცა ბინის ნაცვლად 1 კვ.მ. ფართის კომპენსაციის ვალდებულება იკისრა. საკომპენსაციო თანხად კი 150 აშშ-ის დოლარი განსაზღვრა. კომპანიამ დათქმულ ვადაში ვალდებულება ვერ შეასრულა. პირმა სასამართლოში სარჩელი აღძრა და სარჩელის აღძვრის დროისათვის 1 კვ. მ. ფართის ღირებულების, კერძოდ, 300 აშშ-ის დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ ყოფილა ფულადი ვალდებულება. ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება მხარემ უძრავი ქონების საკომპენსაციოდ აღიარა, შესაბამისად, გადასახდელი თანხა, როგორც კომპენსაცია, უძრავი ქონების ღირებულების ეკვივალენტური უნდა ყოფილიყო.⁶

IV. ნომინალიზმის პრინციპი 389-ე მუხლის მიხედვით

- 7 **ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად**, ნომინალიზმის პრინციპის არსი ისაა, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ფულის მსყიდველობაუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება.

1. 389-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტება

- 8 389-ე მუხლის ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. შესაბამისად, ნორმა, თავისი სიტყვასიტყვითი დანიშნულებით ნომინალიზმის პრინციპისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და უთითებს, რომ, თუ ფულის ერთეული (კურსი) შეიცვალა, ფულადი ვალდებულება იმავე რაოდენობის ნომინალით კი არ უნდა დაბრუნდეს, არამედ მისი მსყიდველობაუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა. ნორმის ამგვარი სიტყვასიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპის არსს და მის დანიშნულებას, როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ განმარტების შესაბამისად, 1000-ლარიანი სესხის არსებობის პირობებში, თუ შესრულების ვადის დადგომის დროისათვის ლარის კურსმა დაინია, ანუ ლარის

6 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის N ას-870-1138-05 გადაწყვეტილება.

მსყიდველობაუნარიანობა, მაგ., 100%-ით შემცირდა, ასეთ შემთხვევაში, დასაბრუნებელი თანხა 2 000 ლარი იქნება.⁷ ამდენად, თუ ნორმა სიტყვა-სიტყვით განიმარტება, მუხლის ნორმაში საუბარია ფულის კურსის რყევაზე, ხოლო მის სამართლებრივ შედეგად მითითებულია ფულის კურსის გადაანგარიშება ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით.⁸ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს. უფრო მეტიც, მისი გამოყენება, ანუ ფულადი ვალდებულების შესრულება იმ კურსის (მსყიდველობაუნარიანობის) გათვალისწინებით, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა, გამოიწვევს ქართული ეროვნული ვალუტის, ლარის, გაძევებას ბრუნვიდან და სრულად უნაყოფოს გახდის სახელმწიფოს მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ეროვნული ვალუტის გამოცხადებას და უზრუნველყოფის თაობაზე მიღებულ ღონისძიებებს. სახელმწიფო კი დაკარგავს ერთ-ერთ აუცილებელ სახელმწიფოებრივ ატრიბუტს – ეროვნულ ფულს.⁹ **სწორედ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგების თავიდან აცილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. სასამართლოს განმარტებით, 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა დენომინაცია, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდა ან შემცირება, ასევე, ვალუტის შეცვლა და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაცია. მაგ., დენომინაცია განიცადა საბჭოთა კავშირის დროს მანეთმა, როდესაც მანეთის ნომინალი შეიცვალა 1 მანეთის ნომინალით.¹⁰ რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, ეს თავისთავად ნიშნავს საქონლის ფასებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უაღრესად სწრაფ ზრდას, რომელიც იწვევს ფულადი ერთეულის მკვეთრ გაუფასურებას, საგადამხდელო ბალანსის მოშლას და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევას. ამ დროს მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო უშვებს დიდი რაოდენობით ფულს, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებას აღემატება, რასაც ფულის კურსის მკვეთრი გაუარესება და ოქროს საბაზრო ფასების ზრდა მოსდევს. ვინაიდან ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებული პროცესები არ განვითარებულა, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც ეს პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება.¹¹ ამდენად, მითითებული შეხედულების მიხედვით, ნორმის ფუნქციური დანიშნულებაა: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც მიმდინარეობს ჰიპერინფლაცია (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად**

7 *ჭეჭელაშვილი*, სახელმეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 153.

8 იქვე.

9 *ნკეულაძე*, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ვალდებულების კურსის შეცვლისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1, გვ. 194.

10 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 347.

11 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 5 აპრილის N 3კ/428 გადაწყვეტილება.

განისაზღვრება როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს¹²). სასამართლო პრაქტიკამ ამ შედეგების მონესრიგება იმ სამართლებრივ შედეგს დაუკავშირა, რაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან მომდინარეობს, კერძოდ, საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებას ფულის მსყიდველობაუნარიანობის გათვალისწინებით, ანუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს იყო. შესაბამისად, სასამართლომ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით ის შედეგი დაუშვა, რაც ნომინალიზმის პრინციპიდან არ გამომდინარეობს, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება მას. ამდენად, მართალია, სასამართლომ 389-ე მუხლი სიტყვასიტყვით განმარტა, თუმცა, ვინაიდან სიტყვასიტყვითი განმარტებით, ნომინალიზმის პრინციპის საწინააღმდეგო შედეგი მიიღო, ამ ნორმის მოქმედება მხოლოდ იმ გარემოებათა წრით შეზღუდა (სახელმწიფოს მიერ ფულის ნომინალის შეცვლა, ჰიპერინფლაცია), რაც საქართველოში არ ყოფილა. სწორედ ამ ლოგიკით განიმარტება სასამართლოს დანაწესი, რომ, თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლა ან ჰიპერინფლაცია არ იქნება, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.

2. 389-ე მუხლის ისტორიული, ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტება

- 9 თეორიაში არსებული მოსაზრების შესაბამისად, 389-ე მუხლი ეფუძნება ნომინალიზმის პრინციპს. მოვალე ვალდებულია, ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რაც **ვალდებულების წარმოშობის** დროს შეესაბამება.¹³ ამდენად, ფულის ერთეულის კურსის გაზრდა ან შემცირება (**დენომინაცია**) დასაბრუნებელი თანხის ოდენობაზე ზეგავლენას არ ახდენს (**ნომინალიზმის პრინციპი**).¹⁴ ფულის კურსის განმარტებასთან მიმართებით, განსაკუთრებით, 389-ე მუხლის კონტექსტში, თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. თეორიაში არსებული მოსაზრებით, ფულის კურსი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულების ცვლილებას სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის მიმართ,¹⁵ რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფულის მსყიდველობაუნარიანობაზე. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება, მითუმეტეს 389-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, გულისხმობს მხოლოდ მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას, როგორც ეს, მაგ., მოხდა რუსეთში, როდესაც 1 000 რუბლი გაუტოლდა ერთ რუსულ რუბლს, ანუ შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), რაც საქართველოში მითითებულ პერიოდში არ მომხდარა.¹⁶ წმინდა ეკონომიკური გაგებით, ფულის კურსი ნიშნავს როგორც

12 ურიდია და სხვ., მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გვ. 483.

13 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 5 აპრილის N 3კ/428 გადაწყვეტილება.

14 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 346.

15 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 346; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 152; *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 110.

16 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 1999 წლის 5 ნოემბრის N 22/818 გადაწყვეტილება; *ნკეპლაძე*, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ვალდებულების კურსის შეცვლისას,

ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულების ცვლილებას სხვა ქვეყნის ფულის ერთეულის მიმართ, ასევე სახელმწიფოს მხრიდან მისი ნომინალური ღირებულების შეცვლას (ინდექსაციას). ვინაიდან 389-ე მუხლი არ აკონკრეტებს ფულის ერთეულის (ვალუტის) ცვლილების კონტექსტს, ამიტომ **ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება განხილულ უნდა იქნეს როგორც ფულის ერთეულის ცვლილება სხვა ქვეყნის ვალუტასთან მიმართებით, ასევე სახელმწიფოს მიერ ფულის ნომინალური ღირებულების ცვლილება.**

ფულის კურსის ზემოთ მითითებული განმარტების მიმართ იმ სამართლებრივი შედეგის გავრცელება, რაც 389-ე მუხლის სიტყვასიტყვით განმარტებიდან იკვეთება, გამოიწვევს ისეთი შედეგის დადგომას, რაც ნომინალიზმის პრინციპს ეწინააღმდეგება, კერძოდ, კურსის ყოველი ცვლილება გამოიწვევს ფულადი ვალდებულების გადაანგარიშებას ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსის მიხედვით, **რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.** ვინაიდან ფულის ერთეულის (კურსის) უნივერსალური განმარტება სახეზეა და ისიც ცალსახაა, რომ 389-ე მუხლი ნომინალიზმის პრინციპის შემცველია, ამიტომ ნორმის სწორი განმარტება ამავე ნორმის ისტორიული, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად უნდა მოვახდინოთ.

ნომინალიზმის პრინციპი უძველესი პრინციპია. იგი კონტინენტურ ევროპაში ჯერ კიდევ XV საუკუნეში დამკვიდრდა, ხოლო ინგლისში XVIII საუკუნეში გავრცელდა. ეს ის პერიოდი, როდესაც ევროპაში ფულის გაუფასურება ხდებოდა, გაუფასურება ახლდა ოქროს ფულის მონეტებიდან ქალაქის ფულზე გადასვლასაც.¹⁷ ასეთ მდგომარეობაში შემოღებულ იქნა ნომინალიზმის პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, **ფულის ერთეულის ღირებულებას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ანგარიშსწორებისას გადამწყვეტი ნომინალი, ანუ ფულის ერთეული იყო, მიუხედავად მისი მსყიდველობაუნარიანობისა.** ნომინალიზმის პრინციპი ეკონომიკური კრიზისის პირობებში სამოქმედო გეგმად იქცა. იგი ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმი იყო.¹⁸ ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, მოვალეს კრედიტორისათვის იმ ოდენობით ვალი უნდა დაებრუნებინა, რა ოდენობითაც მიიღო. ოდენობაში ფულის ერთეული, ანუ ნომინალი იგულისხმებოდა. ვალის გაცემიდან დაბრუნებამდე ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება მხედველობაში არ მიიღებოდა. მაგ., 10 აშშ-ის დოლარი ვალი დაბრუნებულად ითვლებოდა მაშინაც, თუ 10 აშშ-ის დოლარის დაბრუნების დროისათვის მისი მსყიდ-

„ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1, გვ. 194.

17 *Brokelind*, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p. 10, (https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEWj9z7n4u7jNAhXFSBQKHQXfDzYQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fflup.lub.lu.se%2Frecord%2F529861%2Ffile%2F624704.pdf&usq=AFQjCNFm0xSb90Eo6Fo_PUdkmAs5ot4sQ&sig2=nqgh1S-5Gxcvurfmv91Q).

18 *Brokelind*, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p. 10, (https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEWj9z7n4u7jNAhXFSBQKHQXfDzYQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fflup.lub.lu.se%2Frecord%2F529861%2Ffile%2F624704.pdf&usq=AFQjCNFm0xSb90Eo6Fo_PUdkmAs5ot4sQ&sig2=nqgh1S-5Gxcvurfmv91Q).

ველობაუნარიანობა მნიშვნელოვანწილად განსხვავდებოდა ამავე თანხის დაბრუნების დროისათვის მისი მსყიდველობაუნარიანობისაგან.¹⁹ სამოქალაქო ბრუნვაში ამ პრინციპის დამკვიდრების ამოსავალი წერტილი ბაზრის ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება იყო, რა დროსაც ხელშეკრულების შესრულების პრინციპის დაცვა (*Pacta sunt servanda*) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო.

- 12 **თეორიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, 389-ე მუხლი ნომინალიზმის პრინციპს ეფუძნება.**²⁰ შესაბამისად, ნორმის ისტორიული, ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ნორმის რეგულირების შესაბამისად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ამ ნორმის კონტექსტში, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, განმარტებას საჭიროებს, **თუ რა იგულისხმება ვალდებულების შესრულების დროში.** 389-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულების დროში იგულისხმება **დრო, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს, ანუ დრო, როცა ვალდებულება ვადამოსულია, ან არსებობს კრედიტორის მოთხოვნა და, შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება.**²¹ შესაბამისად, მოვალემ 389-ე მუხლის მიხედვით, ფულადი ერთეულის (კურსის) შეცვლისას ვალდებულება იმ ფულადი ერთეულით (კურსით) უნდა შეასრულოს, რომელიც ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა. ამდენად, თუ ვალდებულება იმთავითვე ეროვნულ ვალუტაში იყო, ვალდებულება იმავე ნომინალით ეროვნულ ვალუტაში უნდა შესრულდეს. ხელშეკრულების დადებიდან ვალდებულების შესრულების დღემდე ფულის მსყიდველობაუნარიანობის შეცვლა მხედველობაში არ მიიღება. თუ ვალდებულება იმთავითვე უცხოურ ვალუტაში იყო, ნალდი ანგარიშსწორების წესით ფულადი ვალდებულება „ვალის ვალუტაშიც“, ანუ უცხოურ ვალუტაშიც შეიძლება შესრულდეს, ხოლო უნალდო ანგარიშსწორების დროს მისი კონვერტაცია ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღეს არსებული კურსით (უცხოურ ვალუტასა და ეროვნულ ვალუტას) უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულების დღიდან ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღემდე კურსთა ცვლილება (უცხოურ ვალუტასა და ეროვნულ ლარს შორის) მხედველობაში არ მიიღება.

- 13 **(მაგალითი 1)** თუ 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 ლარის ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია,

19 *Lenihan*, The Legal Implications of the European Monetary Union under U.S. and New York Law, p. 72, (http://ec.europa.eu/economy_finance/publications/publication11220_en.pdf).

20 *ზოდუე*, სკ-ის კომენტარი, ნიენი III, 2001, მუხ. 389, გვ. 346; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 152; *ძლიერიშვილი*, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ. 110.

21 *Krüger*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 371, Rn. 1.

ეს იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის პირველ იანვარს ვალდებულება 2 000 ლარის ოდენობით უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს ლარის მსყიდველობაუნარიანობა და მისი მიმართება 2013 წლის პირველ იანვარს ლარის მსყიდველობაუნარიანობასთან.

(მაგალითი 2) თუ 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 აშშ-ის დოლარის ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია, ამ დღეს ვალდებულება 2 000 აშშ-ის დოლარის ოდენობით უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს დოლარის მსყიდველობაუნარიანობა და მისი მიმართება ეროვნულ ვალუტასთან. ვინაიდან ეროვნული ვალუტა ლარია, ამიტომ „ვალის ვალუტის“ კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში უნდა მოხდეს იმ კურსის შესაბამისად, რომელიც ვალდებულების შესრულების დროს, ამ შემთხვევაში 2014 წლის პირველ იანვარს, არსებობდა. 14

V. კურსთა ცვლილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ორმხრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები, როგორც წესი, ერთდროულად ან დროის იმ „გონივრული“ შუალედით სრულდება, რაც თითოეული მათგანის შესრულებას სჭირდება. ამგვარ სამართალურთიერთობებში ვალუტის კურსის ცვლილების საკითხი ნაკლებად აქტუალურია რადგან ხელშეკრულების დადებისა და ვალდებულების შესრულების დრო, თითქმის თანმხვედრია. შესაბამისად, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება ხელშეკრულების დადებისთანავე წარმოიშობა, ყველა ის რისკი, რაც ვალუტის კურსის ცვლილებას შეიძლება სდევდეს თან, ხელშეკრულებითვე გათვალისწინებულია. ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, მაშინ დგას, როდესაც ვალდებულებათა შესრულება დროში თანმხვედრი არ არის. ნომინალიზმის პრინციპი აქტუალურია ისეთ სამართალურთიერთობაში, როდესაც ხელშეკრულების დადება და ვალდებულების წარმოშობა დროში ერთმანეთს არ ემთხვევა (მაგ., სესხი, კრედიტი და ა. შ.), ან როდესაც, სახეზეა გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა (მაგ., ნასყიდობა განვადებით, 2 წლის განმავლობაში პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება და ა. შ.). 15

ნომინალიზმის პრინციპი მხოლოდ ხელშეკრულების ვადაში მოქმედებს, ანუ იგი ფულადი ერთეულის (ვალუტის) შეცვლის პირობებში ფულადი ვალდებულების გადაანგარიშებას მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იწვევს, თუ ვალდებულება დროულად შესრულდა. **სახელშეკრულებო ვადის დარღვევის შემდეგ ნომინალიზმის პრინციპი აღარ გამოიყენება, რადგანაც მოვალემ მისი სახელშეკრულებო ვალდებულება იმ დღეს არ შეასრულა, რაც გადახდისათვის იყო განსაზღვრული და ამით კრედიტორი ფულის ღირებულების დანაკარგის წინაშე დაუცველი დატოვა.**²² 16

22 Kariv, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW

- 17 ამდენად, ფულის ერთეულის (ვალუტის) ცვლილება ფულადი ვალდებულების შესრულებაზე დასაბრუნებელი ფულადი ერთეულის (ნომინალის) მხრივ ზეგავლენას არ ახდენს. ნომინალიზმის პრინციპის საწინააღმდეგოდ, გადაანგარიშების ვალდებულება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ **ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას.** ასეთ შემთხვევაში, კონტრაგენტს კურსთა შორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთა შორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარება (408) **(მაგალითი 1, 2).** **(მაგალითი 1)** თუ ფულადი ვალდებულება, ნაცვლად 2014 წლის პირველი იანვრისა (როცა ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულო იყო), 2015 წლის პირველ იანვარს შესრულდა და ამ დროის განმავლობაში ეროვნული ვალუტის მსყიდველობაუნარიანობა კრედიტორის საუარესოდ შეიცვალა (შემცირდა), ასეთ შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, 2014 წლის პირველი იანვრიდან (როცა ვალდებულება უნდა შესრულებულიყო) 2015 წლის პირველ იანვრამდე (როცა ვალდებულება შესრულდა) ლარის მსყიდველობაუნარიანობით გამოწვეული სხვაობა მოითხოვოს. **(მაგალითი 2) იგივე წესი ვრცელდება ვალუტის კურსის ცვლილების მიმართაც.** თუ ფულადი ვალდებულება 2014 წლის პირველი იანვრის ნაცვლად (როცა ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულო იყო) 2015 წლის პირველ იანვარს შესრულდა და ამ დროის განმავლობაში „ვალის ვალუტის“, ანუ აშშ-ის დოლარის, მიმართება (კურსი) ეროვნულ ვალუტასთან შეიცვალა (კურსმა დაიწია), ასეთ შემთხვევაში, მოვალე ვალდებულია, 2014 წლის პირველი იანვრიდან (როცა ვალდებულება უნდა შესრულებულიყო) 2015 წლის პირველ იანვრამდე (როცა ვალდებულება შესრულდა) აშშ-ის დოლარის ეროვნულ ლართან მიმართებით ვალუტის კურსის ცვლელადობით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაუროს. იგივე წესი ვრცელდება კრედიტორის მიმართაც, თუ იგი ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებას დააყოვნებს და ფულის მსყიდველობაუნარიანობის ცვლილება (გაზრდა) მოვალისათვის ზიანის მომტანი იქნება (390).

VI. ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება, როგორც მხარეთა რისკის დასაშვები ფარგლები

- 18 **ნომინალიზმის პრინციპი ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებს კრედიტორს და ერთგვარ შეღავათებს უქმნის მოვალეს, ან პირიქით.**²³ თუკი მხარეები ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს ითვალისწინებენ, მათ ამ ცვლილებათა უარყოფითი შედეგებისაგან თავის დაზღვევის

REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 541 (http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illr65&div=31&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults#551).

23 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 389, გვ. 349.

სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ. თუ ისინი მოსალოდნელი შედეგები-საგან თავს არ დაიზღვევენ, ნომინალიზმის უარყოფითი შედეგები მათი რისკია.²⁴ ეს რისკი, ფულის კურსის ცვალებადობის გათვალისწინებით, ხან მოვალის საუარესოდ მოქმედებს და ხან კრედიტორის. თუ ვალის გადახდის მომენტში ფულის მსყიდველობითი უნარი გაზრდილია, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს უფლება არ აქვს, ვალის დაბრუნებისას ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს. თუ ამ მომენტისათვის ფულის მსყიდველობითი უნარი შემცირებულია, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად კრედიტორი ხდება.²⁵

თუ ნომინალიზმი მხარეთა რეალურ ან ნაგულისხმევ განზრახვაზეა დაფუძნებული, მათ რჩებათ თავისუფლება, რომ სანინაალმდეგო განზრახვა ხელშეკრულების პირობებში განაცხადონ, რათა ფულის ერთეულის (კურსის) შედეგებისაგან თავი დაიცვან. თუ ისინი ამ შესაძლებლობას არ გამოიყენებენ, მათ ეკისრებათ რისკიც. **ამგვარად, ხელშეკრულების დადება ვალუტასთან დაკავშირებით მოიცავს „სპეკულაციის“ ელემენტს და რისკის ვარაუდს. ხელშეკრულების მხარეს უფლება არ აქვს, დაიჩივლოს, თუ მისი „სპეკულაცია“ მარცხს განიცდის.**²⁶ 19

ნომინალიზმით განპირობებული რისკებისაგან თავის დაცვის საუკეთესო ბერკეტი „ვალის ვალუტის“ სახით მყარი ვალუტის გათვალისწინებაა. დაზღვევის უფრო უკეთესი საშუალება „ვალის ვალუტასა“ და „გადახდის ვალუტას“ შორის თანაფარდობის დადგენაა, ანუ ხელშეკრულებაში ფულადი ვალდებულების ღირებულების დამდგენი დებულებების შეტანა,²⁷ მაგ., თუ, 2013 წლის პირველ იანვარს დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2 000 აშშ-ის დოლარის ეკვივალენტი ლარის (კურსი 1:75) ოდენობით ფულადი ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ არის შესასრულებელი, ე.ი. ფულადი ვალდებულების შესრულების დრო 2014 წლის პირველი იანვარია. ვალდებულება უნდა შესრულდეს ეროვნულ ვალუტაში იმ კურსით, რაც ხელშეკრულებით არის დადგენილი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია 2014 წლის პირველ იანვარს დოლარის მსყიდველობა უნარიანობა და მისი მიმართება ეროვნულ ვალუტასთან. 20

რისკი ნომინალიზმს არ ამართლებს, როდესაც ფულის ერთეულის (კურსის) ამგვარი მკვეთრი ცვლილება გონივრულ მოლოდინს მიღმა, ანუ არაგანჭვრეტად რისკს წარმოადგენს. მაგ., ჰიპერინფლაცია, ფულის ერთეულის შეცვლა (ინდექსაცია) – ასეთ შემთხვევებში ნომინალიზმის პრინციპის დაცვა მხოლოდ საჯარო წესრიგის დაცვის მოსაზრებით შეიძლება იყოს გამართლებული.²⁸ 21

24 იქვე, გვ. 348.

25 იქვე, გვ. 349.

26 Kariv, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542 (http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65&div=31&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults#551).

27 Hirschberg, Public Policy and Monetary Nominalism, p. 530 (http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8&div=41&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults#540).

28 Kariv, Contracts Under Monetary Fluctuations: The Legal Effects Of Devaluation, Northwestern University LAW

- 22 თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მაგ., ჰიპერინფლაციისა თუ სახელმწიფოს მხრიდან ფულის ნომინალის შეცვლის შემთხვევაში (ინდექსაცია), ნომინალიზმის პრინციპის გამოყენებით მხარეთათვის ძალზე არასამართლიანი შედეგი შეიძლება დადგეს. საერთო სამართლის ქვეყნები ამ ხარვეზს სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ასწორებენ, რისი მიღწევაც კონტინენტურ ევროპაში, სამართლის შესაბამისი „დანერილი“ ნორმის გარეშე, შეუძლებელია. თუმცა ამ სისტემის ქვეყნებში დანერილი სამართლის ნორმებზე დაყრდნობითაც შეიძლება გამოიძებნოს გამოსავალი, მაგ., მითითებული მოვლენა განხილულ იქნეს ფორსმაჟორად, ან, მინიმუმ, შეცვლილ გარემოებებზე მანძი, რამაც ხელშეკრულების პირობების შეცვლა, გადახედვა ან შეწყვეტა უნდა გამოიწვიოს.²⁹
- 23 **ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება გრძელვადიან ვალდებულებებზე გაუმართლებელია.** ეს პრინციპი მეტისმეტად ფართოა. გამონაკლისები დაშვებული უნდა იყოს დროის ხანგრძლივობის შესაბამისად.³⁰ გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეცვლილი გარემოება და კონტრაგენტს შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება მოეთხოვოს, თუმცა შეცვლილ გარემოებად არ განიხილება ფულის კურსის ნებისმიერი ცვლილება, რომლის გათვალისწინება მხარეებს ხელშეკრულების დადების ეტაპზე გონივრული სახელშეკრულებო წინდახედულობის ფარგლებში მოეთხოვებოდათ, მაგ., ბინის ღირებულების იმგვარი ზრდა, რომელიც, ფულის კურსის ცვლილების გამო, ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბინის ფასების ზრდის ტენდენციას შეესაბამება. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, კერძოდ, ისეთი გარემოებების არსებობისას, რისი გონივრული გათვალისწინებაც მხარეებს არ შეეძლოთ და რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. ბინების ფასების ზრდის ტენდენციის პირობებში კი მხარეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, ევარაუდათ მომავალი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ბინის ფასის კვლავ ზრდის მოსალოდნელობის შესახებ და ამის გათვალისწინებით განესაზღვრათ ბინის საფასურის გადახდის გრაფიკი.³¹ სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებების მიმართ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისად

REVIEW, Volume 65, September-October, Number 4, p. 542 (http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/illlr65&div=31&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults#551).

29 Brokelind, Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro, p. 10, (https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKUWj9z7n4u7jNAhXFSBQKHQXfDzYQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fflup.lub.lu.se%2Frecord%2F529861%2Ffile%2F624704.pdf&usq=AFQjCNFm0xSb90Eo6Fo_PUdkmAs5ot4sQ&sig2=nqqh1S-5Gxcvurfmdvp91Q).

30 Hirschberg, Public Policy and Monetary Nominalism, p. 536 (http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/israel8&div=41&collection=journals&set_as_cursor=0&men_tab=srchresults#540).

31 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 25 აგვისტოს N ას-466-707-08 განჩინება.

ფულის კურსის მნიშვნელოვანი (არსებითი) ცვალებადობა და ვალუტის შეცვლა უნდა დასახელდეს, თუმცა ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს (იხ. 398-ე მუხლის კომენტ.). იმისათვის, რომ ფულის კურსისა თუ ვალუტის ცვლილება გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობაში მიჩნეულ იქნეს შეცვლილ გარემოებად და წარმოიშვას ხელშეკრულების პირობების მისადაგების ვალდებულება, აუცილებელია, დადგინდეს შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.³² ამ წინაპირობების გათვალისწინებით, ფულის კურსის დასაშვები (პროგნოზირებადი, ტენდენციის შესაბამისი) ცვლილება, როგორც წესი, შეცვლილ გარემოებად არ მიიჩნევა, რაც შეეხება მკვეთრ ცვლილებას, მისი პროგნოზირება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კონტროლს მიღმა მოვლენად ითვლება. თუმცა მარტოდენ ფულის კურსის მკვეთრი ცვლილება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვალდებულების საფუძვლის რღვევად. ამისათვის აუცილებელია, დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ფულის კურსის მკვეთრ ცვლილებასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას შორის.

VII. ვალუტის ცვლილება

ვალუტის შეცვლაში იგულისხმება ფულის ნიშნების სრული ან ნაწილობრივი შეცვლა ახალი ნიშნის ფულის გამოშვებით, რაც ფულის რეფორმის ერთ-ერთი სახეა. მაგ., საქართველოში განხორციელებული ფულადი რეფორმის შედეგად ჯერ მანეთი შეიცვალა კუპონით, 1-1-ზე თანაფარდობით,³³ ხოლო შემდეგ კუპონი ლარით, 1 000 0000 – 1 თანაფარდობით.³⁴ ასეთ შემთხვევაში გადახდა უნდა მოხდეს შეცვლილი ვალუტით, იმ თანაფარდობით, რაც ფულადი ერთეულების შეცვლის დღეს არსებობდა.

32 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის N ას-1153-1173-2011 გადაწყვეტილება.

33 „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 24 მარტის N 246 დადგენილება.

34 „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წ. 16 სექტემბრის N 363 ბრძანებულება.

ფულის მსყიდველობაუნარიანობა არც ამ შემთხვევაში მიიღება მხედველობაში. მაგ., თუ პირმა 1992 წელს 30 000 მანეთი ისესხა, 1996 წელს მან ეს ვალდებულება ლარში უნდა დააბრუნოს იმ თანაფარდობით, რაც ფულადი ერთეულების კურსის შეცვლის დღეს არსებობდა, შესაბამისად, მას ნაცვლად 30 000 მანეთისა, 0,03 ლარის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება.³⁵

- 25 ვალუტის ცვლილება სახელმწიფოში განხორციელებული ისეთი პროცესია, რომლის პროგნოზირება შეუძლებელია. შესაბამისად, მისი რისკის მატარებლები მხარეები ვერ იქნებიან. ამიტომაც კანონი თავად აწესებს გადაანგარიშების მეთოდს, კერძოდ, ვალდებულება იმ კურსით უნდა შესრულდეს, რაც ვალუტათა გადაცვლის დღეს არსებობდა. ვალუტის შეცვლა, როგორც მხარეთა კონტროლს მიღმა არსებული გარემოება, გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში უფრო მეტი ალბათობით, ვიდრე ფულის ერთეულის (კურსის) ცვლილება, შეცვლილი გარემოებაა. მხარეები ვალუტის ცვლილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან თავისუფლდებიან (394). ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება ვალუტის შეცვლამდე იყო შესასრულებელი. ასეთ შემთხვევაში, თუ ვალუტის შეცვლის შემდეგ ვალდებულების ვადადარღვევით შესრულებით კრედიტორს ზიანი მიადგა, მას იმ სხვაობის ანაზღაურების უფლება აქვს, რასაც იგი ვალუტის შეცვლამდე მიიღებდა და ვალუტის შეცვლის შედეგად ველარ მიიღო. იგივე უნდა ითქვას ვალუტის შეცვლის შემდეგ ვადაგადაცილებაზე, ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება მაინც ვალუტათა გადაცვლის დღეს არსებული კურსით უნდა შესრულდეს, თუმცა, თუ ამ კურსმა ფაქტობრივი შესრულების დღემდე ცვლილება განიცადა, რაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის ზიანის მომტანი იყო, მას ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქვს.

35 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის N ას-820-1137-07 გადაწყვეტილება.

თავი მასამ

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

მუხლი 390. ცნება

1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია.

2. თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს.

- I. ნორმის საგანი და მიზანი561
- II. 390-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან562
 - 1. 390-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში.....562
 - 2. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება და მისი გამიჯვნა მოვალის მიერ ვადის გადაცილებისაგან.....562
- III. ძირითადი ცნებები.....563
 - 3. შესრულების მიღების ვადის გადაცილება (390 I).....563
 - ა. შესრულების მიღების ვადის გადაცილების შინაარსი.....563
 - ბ. შესრულების მიღების დაყოვნების წინაპირობები მოვალის მხრიდან563
 - ა.ა შესრულება563
 - ა.ა.ა ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება 563
 - ბ.ბ.ბ შესრულება დათქმულ დროს 564
 - გ.გ.გ შესრულება დათქმულ ადგილას 565
 - დ.დ.დ შესრულების შეთავაზება 565
 - ბ.ბ შესრულების მიღების ვადის გადაცილების წინაპირობები კრედიტორის მხრიდან.....566
 - გ. შესრულების მიღების ვადის გადაცილების დასრულება567
 - ა.ა შესრულების მიღების ვადის გადაცილების დასრულება და მისი წინაპირობები567
 - ბ.ბ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შეწყვეტა და მოვალის განმეორებითი შესრულების ვალდებულება568
 - 4. კრედიტორის თანამონაწილეობა ვალდებულების შესრულებაში (390 II)569
- IV. შესრულების მიღების ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები.569
- V. ნორმის დატვირთვა პროცესში.....570

I. ნორმის საგანი და მიზანი

390-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ზოგად წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც კრედიტორს შესრულების მიღების ვადა გადაცილებულად ეთვლება. ეს წინაპირობებია: დადგენილი წესით მოვალის მიერ

შესრულების შეთავაზება (იხ. 361 II) და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიუღებლობა. 390 II მუხლი აკონკრეტებს შესრულების მიუღებლობის ცნებას და ადგენს, რომ შესრულების მიუღებლობას უთანაბრდება იმ მოქმედების განუხორციელებლობა, რომელიც აუცილებელია შესრულების მისაღებად.

II. 390-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

1. 390-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში

- 2 კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შინაარსის განმსაზღვრელი სპეციალური დეფინიციური ნორმები სამოქალაქო კოდექსში იშვიათია (მაგ., იხ. მუხ. 500 და მომდევნო მუხლები). შესაბამისად, 390-ე-393-ე მუხლები ზოგადია მთელი სამოქალაქო კოდექსისა და კერძო სამართლის სისტემისათვის. ეს მუხლები თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი მოთხოვნების მიმართ.

2. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება და მისი გამიჯვნა მოვალის მიერ ვადის გადაცილებისაგან

- 3 კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილება განსხვავებულად ცნებებია. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი ორივე ფენომენს ვადის გადაცილებად მოიხსენიებს, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა როგორც წინაპირობების, ასევე შედეგების კუთხით. თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესრულების მიღება არის უფლება და არა ვალდებულება.¹ შესაბამისად, შესრულების მიღების ვადის გადაცილებით კრედიტორი არღვევს არა ვალდებულებას, არამედ ე.წ. ფაკულტატიურ ვალდებულებას (*Obliegenheit*).² ამ დროს ის ხელყოფს მხოლოდ საკუთარ ინტერესს. სხვა შემთხვევაა სახეზე, როცა, ხელშეკრულების ან კანონის თანახმად, შესრულების მიღება არა მხოლოდ ფაკულტატიური ვალდებულება, არამედ ნამდვილი ვალდებულებაც არის. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, სახეზე ერთდროულად გვექონდეს შესრულების ვადის გადაცილება (იხ. 400) და შესრულების მიღების ვადის გადაცილება (390). მაგალითად, 477 II მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ქონების საფასური და მიიღოს ეს ქონება. შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, ივარაუდება, რომ ქონების მიღება მყიდველისთვის არა მხოლოდ უფლება, არამედ შესრულების ვალდებულებაცაა. შესაბამისად, თუ მყიდველი დათქმულ დროს არ მიიღებს ნივთს, მასზე გადავა არა მხოლოდ 392-393-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი რისკები, არამედ, მე-400 და 391-ე მუხლების წინაპირობათა არსებობისას მას ზიანის ანაზღაურ-

¹ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 168; *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 127.

² ამ ცნებასთან დაკავშირებით იხ. 316-ე მუხლის კომენტარი.

რების ვალდებულებაც დაეკისრება.³ იგივე შეიძლება ითქვას ნარდობის ხელშეკრულებაზე, სადაც შესრულების მიღება ასევე ვალდებულებაა (იხ. 649). გარდა ამისა, ხელშეკრულებით დასაშვებია შესრულების მიღების უფლების შესრულების მიღების ვალდებულებად მოდიფიცირებაც.

III. ძირითადი ცნებები

3. შესრულების მიღების ვადის გადაცილება (390 I)

ა. შესრულების მიღების ვადის გადაცილების შინაარსი

შესრულების მიღების ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ კრედიტორი არ იღებს შეთავაზებულ შესრულებას, რომლის შესრულების დროც დამდგარია (იხ. 365). ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების მიღებაზე, თუ უბრალოდ არ იღებს მას. 4

იმის მიხედვით, თუ რას გულისხმობს შესრულების მიღება კონკრეტულ შემთხვევაში, შესრულების მიღების დაყოვნება შეიძლება გამოიხატოს, უბრალოდ, შეთავაზებული შესრულების მიუღებლობით (390 I) ან შესრულების მისაღებად აუცილებელი მოქმედების შეუსრულებლობით (390 II). ორივე შემთხვევაში აუცილებელი უნდა იყოს კრედიტორის თანამონაწილეობა ვალდებულების შესრულებაში.⁴ სხვა შემთხვევაში კრედიტორი შესრულების ვადას ვერ გადააცილებს, რადგან ვალდებულების შესასრულებლად არ იქნება აუცილებელი მისი ქმედება. 5

ბ. შესრულების მიღების დაყოვნების წინაპირობები მოვალის მხრიდან

თუ ეს ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე აუცილებელია, მოვალემ უნდა მოახდინოს კრედიტორისათვის **შესრულების შეთავაზება**. თუმცა შეთავაზება, თავის მხრივ, არ კმარა, თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, ისე, როგორც უნდა ასრულებდეს – კერძოდ, კრედიტორს არ სთავაზობს შესრულებას, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულებით და 361 II მუხლით დადგენილ სტანდარტს.⁵ 6

ა.ა შესრულება

ა.ა.ა ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება

მოვალე შეთავაზებულ ვალდებულებას უნდა ასრულებდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. შესაბამისად, შესრულების მიღების **ვადის გადაცილებად არ ჩაითვლება, თუკი კრედიტორი უარს აცხადებს ნაკლის მქონე ნივთის მიღებაზე**.⁶ საქონლის ნაკლს უთანაბრდება ასევე ის შემთხვევა, როცა შეთანხმებული საქონლის ნაცვლად ხდება სხვა საქონლის 7

3 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 127.

4 ქეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 168.

5 ზოძი, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353.

6 თბილისის სააპელაციო საამართლოს 2013 წლის 23 აპრილის N23/814-13 გადაწყვეტილება.

მინოდება (მაგ., იხ. 488 II).⁷ შესრულების შეთავაზებად ასევე არ ჩაითვლება, თუ მოვალე სთავაზობს კრედიტორს შესრულებას ან კრედიტორს, ფაქტობრივად, შეუძლია შესრულების მიღება, თუმცა შესრულების ამ ფორმით მიღება ეწინააღმდეგება კანონს ან მოითხოვს სასამართლო ან სახელმწიფო ნებართვას.⁸ მაგალითად, თუ მოვალე კრედიტორს განუცხადებს თანხმობას, მოხდეს მისი ანგარიშიდან კრედიტორის სასარგებლოდ გადახდა, თუმცა არ გასცემს შესაბამის წერილობით დავალებას მომსახურე ბანკზე, ეს არ ჩაითვლება შესრულებად.

ბ.ბ. შესრულება დათქმულ დროს

- 8 ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროს, თუმცა, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ამ დრომდეც (შდრ. 364). ამდენად, დრო, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს (ვალდებულების ვადამოსულობა) და დრო, როცა ვალდებულება შეიძლება შესრულდეს (ვალდებულების შესრულებადობა), შესაძლოა, ქრონოლოგიურად ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.⁹ აქვე უნდა განიმარტოს, რომ 364-ე მუხლის ფორმულირება – „რომლის ვადაც დამდგარია“ – გულისხმობს ვალდებულების შესრულებადობას და არა ვადამოსულობას.¹⁰
- 9 ვალდებულების შესრულებადობის მომენტი შესაძლოა, დადგენილი იყოს ხელშეკრულებით, კანონით, ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარეობდეს. თუ ვალდებულების შესრულებადობის მომენტი დადგენილი არ არის და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ვლინდება, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს დაუყოვნებლივ (იხ. 365). გამონაკლისი ამ წესიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიშვას, თუ მოვალე შესრულებით არღვევს კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულებას (იხ. 361 II), ან მოქმედებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზიანი მიაყენოს კრედიტორს (იხ. 115). ასეთ შემთხვევებში მოვალეს შესაძლოა, მოეთხოვოს შესრულების დროის ან პირობების ადაპტირება.
- 10 ვადამოსულობისა და შესრულებადობის მომენტებს შორის მიჯნის გავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევაში, როცა შესრულების მიღება ერთდროულად უფლებაცაა და ვალდებულებაც (მაგ., ნასყიდობა). ასეთ დროს კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფაკულტატიური ვალდებულების, ასევე შესრულების ვალდებულების დარღვევით, ან, პირიქით, სახეზე იყოს ფაკულტატიური ვალდებულების დარღვევა, თუმცა არ იყოს ვალდებულების დარღვევა ვადის გადაცილების სახით. მაგ., მხარეები შეთანხმდნენ,

7 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში შესაძლებელია კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით გამონაკლისის დაშვება, თუ ნაკლი უმნიშვნელოა, იხ. *Ernst, in MüKo BGB, 5. Aufl., § 294, Rn. 4.*

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 31 მარტის N 3კ383 გადაწყვეტილება.

9 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულეულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 128.

10 განსხვავებული პოზიციით იხ. *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 169; ავტორი განმსაზღვრელ მომენტად მიიჩნევს ვადამოსულობას.

რომ საქონლის მიწოდება მოხდებოდა ხელშეკრულების დადებიდან სამი დღის ვადაში. გამყიდველი ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს აწვდის მყიდველს საქონელს, თუმცა მყიდველი ვერ ახერხებს საქონლის მიღებას. სახეზეა შესრულების მიღების დაყოვნება, თუმცა სახეზე არ არის ვადის გადაცილება, რადგან შესრულებისთვის არ იყო დადგენილი კონკრეტული დღე ან თარიღი. ასეთ შემთხვევაში, იმისთვის, რომ მყიდველი ჩაითვალოს ვადის გადამცილებლად, დამატებით უნდა დაკმაყოფილდეს მე-400 მუხლის „ბ“ პუნქტის წინაპირობაც, ანუ გამყიდველმა ის უნდა გააფრთხილოს.

გ-გ-გ შესრულება დათქმულ ადგილას

ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილი დამოკიდებულია ვალდებულების ტიპზე და შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულებაში, ან გამომდინარეობდეს კანონიდან (იხ. 362-ე მუხლის კომენტარი). თუ სახეზეა **მიტანის ვალდებულება**, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუკი მოვალე კრედიტორს შესთავაზებს შესრულებას მის ადგილსამყოფელზე; თუ შეთანხმებულია **გატანების ვალდებულება**, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუკი მოვალე შესრულების საგანს წასაღებად გაამზადებს და კრედიტორს ამის შესახებ შეატყობინებს; ხოლო თუ შეთანხმებულია **გაგზავნის ვალდებულება**, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუკი მოვალე შესრულების საგანს ტრანსპორტირებისათვის გაამზადებს და გადამზიდავს გადასცემს.¹¹ სამივე შემთხვევაში ვალდებულება იმგვარად უნდა შესრულდეს, რომ კრედიტორს შესრულების მისაღებად არ დასჭირდეს სხვა ქმედება, გარდა იმ ქმედებისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით, ანდა ობიექტურად აუცილებელია მსგავსი შესრულების მისაღებად.

11

დ-დ-დ შესრულების შეთავაზება

შესრულების შეთავაზება შეიძლება მოხდეს როგორც სიტყვიერად, ისე ქმედებით, გადამწყვეტია მხარეთა შეთანხმება და საქმის გარემოებები.¹² ამასთანავე, შეთავაზების ფორმა შესაძლოა, გამომდინარეობდეს ერთობლივი პრაქტიკიდან ან სავაჭრო ჩვეულებებიდან.

12

როგორც წესი, შესრულების შეთავაზებისათვის არ კმარა უბრალო მზაობა, შეასრულო ვალდებულება. შესრულების შეთავაზება მეტადრე გულისხმობს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც რეალურად მიმართულია ვალდებულების შესრულებაზე.¹³ შესრულება ისე უნდა იქნეს შეთავაზებული, რომ „კრედიტორს სხვა არაფერი უნდა დასჭირდეს, თუ არა – მიიღოს იგი“.¹⁴

13

11 იხ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 127 და შემდგომი.

12 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 128 და შემდგომი.

13 Heinrichs, in Palandt BGB Kommentar, 72. Aufl., § 294, Rn. 2.

14 RGZ, 85, 416.

- 14 იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ერთმნიშვნელოვნად უარს აცხადებს შესრულების მიღებაზე ან, ხელშეკრულების თანახმად, შესრულებას წინ უნდა უსწრებდეს კრედიტორის რაიმე ქმედება (მაგ., ეზოს შესასვლელის გამოთავისუფლება, რათა მოვალემ შეიტანოს ეზოში შეთანხმებული საქონელი), საკმარისია შესრულების სიტყვიერი შეთავაზება. მსგავს შემთხვევებში მოვალეს არ შეიძლება მოეთხოვოს შესრულების დაწყება. უფრო მეტიც, თუ მისთვის ამკარაა, რომ კრედიტორი შესრულებას არ ან ვერ მიიღებს, მან არ უნდა შეასრულოს, რათა თავიდან აიცილოს, ან შეამციროს 393-ე მუხლით გათვალისწინებული ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შესაძლოა, დაკარგოს ხარჯების სრულად ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (415 I-ის ანალოგიით).
- 15 ვალდებულება უნდა შესრულდეს უშუალოდ კრედიტორის მიმართ. მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულება არ ათავისუფლებს მოვალეს. თუმცა ხელშეკრულებით ან კანონით შესაძლოა, სხვა რამ იყოს გათვალისწინებული (კანონისმიერი გამონაკლ. იხ. 370).
- ბ.ბ შესრულების მიღების ვადის გადაცილების წინაპირობები
კრედიტორის მხრიდან*
- 16 კრედიტორი მზად უნდა იყოს შესრულების მისაღებად მისი **შესრულებადობის** მომენტიდან. კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობას უთანაბრდება შემთხვევა, როცა კრედიტორი შესრულებას იღებს ვალდებულების არსთან შეუსაბამო დამატებითი პირობებით და მოთხოვნებით.¹⁵ ასეთ შემთხვევაში მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს.
- 17 შესრულების მიღების ვადის გადაცილებას უთანაბრდება ის შემთხვევა, როცა კრედიტორი მზად არის, მიიღოს შესრულება, თუმც არ არის მზად, უზრუნველყოს საპასუხო შესრულება.¹⁶ ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მიზეზით ვერ ასრულებს კრედიტორი (ბრალით თუ ბრალის გარეშე).¹⁷ ასეთ შემთხვევაში მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და მას შეუძლია, დაეყრდნოს სკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაგებელს). ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეეძლება ვადაგადაცილება შესრულების მოვალის მიერ შესრულების კრედიტორისთვის შეთავაზების მომენტიდან.
- 18 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალი არ არის კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების აუცილებელი წინაპირობა.¹⁸ შესრულების მიღება, როგორც ასეთი, თვითსასარგებლო ინტერესია, შესაბამისად, „არავინ არ შეიძლება იყოს ბრალეული საკუთარი თავის წინაშე“.¹⁹ ამრიგად, კრედიტორი ვადის გადამცილებლად ჩაითვლება, თუნდაც, ეს მოხდეს შემთხვევით გარემო-

15 Ernst, in MüKo BGB, 5. Aufl., § 293, Rn. 16.

16 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 35; ასევე იხ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 129.

17 Ernst, in MüKo BGB, 5. Aufl., § 298, Rn. 2.

18 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353; ასევე ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 129.

19 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353;

ებათა შედეგად.²⁰ ასევე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზეზით აცხადებს კრედიტორი უარს შესრულების მიღებაზე.²¹ მაგ., თუ კრედიტორი შესრულებას არ იღებს, რადგან თვლის, რომ მან ეს შესრულება არ უნდა მიიღოს და ამით უშვებს სამართლებრივი ხასიათის შეცდომას, იგი თავად ატარებს ამ შეცდომის რისკს. ვადის გადაცილება კრედიტორს ასევე იმ შემთხვევაშიც შეეარაცხება, თუ იგი ცდებოდა შესრულების ხარისხთან, დროსა და სხვა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებთან მიმართებით და ამ მოტივით აცხადებდა უარს შესრულების მიღებაზე.

გ. შესრულების მიღების ვადის გადაცილების დასრულება

ა.ა შესრულების მიღების ვადის გადაცილების დასრულება და მისი წინაპირობები

თუ როდის წყდება გადაცილებული ვადის დენა, კანონი არ განმარტავს, 19 თუმცა კანონის ეს ხარვეზი უმნიშვნელოა. ზოგადი პრინციპის თანახმად, ესა თუ ის სამართლებრივი მდგომარეობა წყვეტს არსებობას, როცა მისი წინაპირობები ქრება. იგივე შეიძლება ითქვას შესრულების მიღების ვადის გადაცილებაზეც – შესრულების მიღების ვადის გადაცილება წყდება, როცა კრედიტორი აცხადებს მზადყოფნას, მიიღოს შესრულება, ან ახორციელებს შესაბამის ქმედებას.

დაყოვნების შეწყვეტას შესაძლოა, საფუძვლად დაედოს როგორც 20 კრედიტორის, ისე მოვალის ინიციატივა. თუ ვალდებულების შესასრულებლად კრედიტორის თანამონაწილეობა აუცილებელი არ არის, ვადის გადაცილება დასრულდება, როცა კრედიტორი მოვალეს შეატყობინებს მზადყოფნას, მიიღოს შესრულება. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს კრედიტორის მხრიდან შემხვედრ შესრულებას ან სხვა რაიმე ქმედებას, შეტყობინებასთან ერთად მან ეს ქმედებაც უნდა განახორციელოს.²² მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში, კრედიტორი ასევე ვალდებულია, აანაზღაუროს 393 ა მუხლით გათვალისწინებული ხარჯები (მათ შორის ხელმეორედ შესრულების ხარჯები). უარის შემთხვევაში მოვალე უფლებამოსილია, 369-ე მუხლზე დაყრდნობით უარი ითქვას ვალდებულების შესრულებაზე.

თუ ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა გარკვეული ვადა, 21 კრედიტორმა უნდა განუსაზღვროს მოვალეს ეს ვადა. სხვა შემთხვევაში მოქმედებს **გონივრული ვადის კრიტერიუმი** და ვადის გადაცილება დასრულებულად ჩაითვლება ამ ვადის გასვლის შემდეგ.²³ ეს დასკვნა გამომდინარეობს 390-ე-393-ე მუხლების სისტემური ანალიზიდან და შეესაბამება ამ ნორმათა მიზანს, დაცულ იქნეს მოვალე, რომელმაც ვალდებულება სათანადოდ შეასრულა. მოვალის სამართლებრივი დაცვა ყველაფერთან ერთად გამოიხატება იმით, რომ კრედიტორზე გადადის 392-ე და 393 ბ

20 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 353.

21 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 129.

22 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 355.

23 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 130.

მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი რისკები. თუმცა კანონმდებლის ეს მიზანი შეილახებოდა, თუ კრედიტორს საშუალება მიეცემოდა, უბრალოდ, მზაობის შეტყობინებით დაესრულებინა გადაცილება და ამით რისკები კვლავ მოვალისკენ შეებრუნებინა, რომელმაც ერთხელ უკვე შეასრულა ვალდებულება და ეს რისკებიც ატარა.²⁴ შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის ობიექტურად საჭიროა გარკვეული ვადა, კრედიტორმა უნდა მისცეს მოვალეს ეს ვადა. სხვა შემთხვევაში ავტომატურად მოქმედებს გონივრული ვადის კრიტერიუმი.

- 22 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება შესაძლოა, ცალმხრივად, მოვალის მიერ, დასრულდეს. შესაბამის წინაპირობათა არსებობის შემთხვევაში ეს შესაძლოა მოხდეს, მაგ., შესრულების საგნის დეკონირებით (434 და მომდევნო მუხლები).²⁵ შესრულების გადაცილება ასევე სრულდება, როცა დგება ვალდებულების შეწყვეტის სხვა წინაპირობები, როგორებიცაა: ვალის პატიება (448 და მომდევნო მუხლები), ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (442 და მომდევნო მუხლები), ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.²⁶

ბ.ბ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შეწყვეტა და მოვალის განმეორებითი შესრულების ვალდებულება

- 23 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს.²⁷ შესრულების მიღების ვადის გადაცილების დასრულებისა და კრედიტორის მიერ შესაბამისი მოთხოვნის დაყენების საფუძველზე მოვალე ვალდებულია, შეასრულოს, თუკი შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ გვაროვნული და ინდივიდუალური ვალდებულება. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში მოვალე მაშინაც ვალდებულია, განმეორებით შეასრულოს, თუ ვალდებულების საგანზე მას აღარ მიუწვდება ხელი. გვაროვნულია ნივთი, რომლის მოპოვება ხელახლა შეიძლება ბაზარზე. ამიტომ მოვალე ვალდებულია, ჩაანაცვლოს შესრულების ძველი საგანი ახალი საგნით (გამონაკლისებისთვის იხ. 382-ე მუხლის კომენტარი). თუმცა, იმავდროულად, კრედიტორი ატარებს გვაროვნული ნივთის დაღუპვის ან დაკარგვის რისკს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან, ერთი მხრივ, უნდა აანაზღაუროს იმ ნივთის საფასური, რომელიც (შემთხვევით) დაიღუპა ან დაიკარგა, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გადაიხადოს იმ ნივთის საფასური, რომლის მიწოდებაც მოვალეს ხელმეორედ უწევს (იხ. კომ. 406). ამასთანავე, კრედიტორი ატარებს განმეორებითი შესრულების ხარჯებს (იხ. 393 ა).

24 განსაკუთრებით მძიმე შედეგს მოუტანდა მოვალეს ამ რისკების შებრუნება მუხ. 393 ა და გ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

25 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 355 და შემდგომი.

26 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 355.

27 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 355; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ. 171.

4. კრედიტორის თანამონაწილეობა ვალდებულების შესრულებაში (390 II)

თუ შესრულების მიღება მოითხოვს რაიმე მოქმედებას, კრედიტორმა უნდა იმოქმედოს შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულების მიღება ჩაითვლება დაყოვნებულად. მაგალითად, დამსაქმებელს შესრულების მიღება ჩაეთვლება დაყოვნებულად, თუ იგი დასაქმებულს არ შეუქმნის იმ შეთანხმებულ სამუშაო პირობებს, რომლებიც შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად არის აუცილებელი. 24

თუ კრედიტორის მოქმედების დრო ან ვადა დადგენილია ხელშეკრულებით ან კანონით, და იგი ამ დროში არ იმოქმედებს, ითვლება, რომ მან გადააცილა შესრულების მიღების ვადას. ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ შესრულების შეთავაზება აუცილებელი აღარ არის. 25

როგორც წესი, შესრულების მიღება კრედიტორის მხრიდან გარკვეულ თანამონაწილეობას მოითხოვს, თუმცა პრაქტიკაში ასევე გვხვდება შემთხვევები, როცა შესრულების მიღება კრედიტორის მხრიდან თანამონაწილეობას არ საჭიროებს. მაგ., კრედიტორის თანამონაწილეობას არ მოითხოვს თანხის გადარიცხვა კრედიტორის საბანკო ანგარიშზე, ან დავალების ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორის სასარგებლოდ გარკვეულ ქმედებათა განხორციელება მესამე პირებთან მიმართებით; კრედიტორის თანამონაწილეობას ასევე არ მოითხოვს პასიური ვალდებულების შესრულება. ჩამოთვლილ შემთხვევებში კრედიტორი უშუალოდ არ იღებს შესრულებას, შესაბამისად, მისი მხრიდან შესრულების მიღების ვადის გადაცილებაც პრაქტიკულად შეუძლებელია. 26

IV. შესრულების მიღების ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები

შესრულების მიღების დაყოვნების სამართლებრივი შედეგები საკმაოდ მძიმეა კრედიტორისათვის, რაც, ძირითადად, გამოიხატება სამართლებრივი რისკების მის საწინააღმდეგოდ შემობრუნებით. მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან შესრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანებისას (იხ. 393 ა). ამასთანავე, თუ განმეორებითი შესრულება შეუძლებელი გახდა მოვალის მიზეზით (მაგ., შესრულების საგანი ინდივიდუალური ნივთი იყო, რომელიც განადგურდა), მოვალე შესრულებლობისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო (იხ. 392-ე მუხლის კომენტარი). იგივე წესი მოქმედებს, როცა მოვალე ასრულებს, თუმცა შესრულება ნაკლის მქონეა. ამ ყველაფერთან ერთად კრედიტორი ატარებს ყველა იმ ხარჯს, რომელიც მოვალემ გასწია დაყოვნების გამო (იხ. 393 ბ) და კარგავს უფლებას, მოითხოვოს პროცენტი ფულადი ვალდებულებისათვის (393 გ). 27

შესრულების მიღების ვადის გადაცილება არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. იგი ასევე არ ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისაგან და მოვალე ვალდებულია, გა- 28

28 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 396-ე პარაგრაფი.

იმეოროს შესრულება კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა დეპონირებადი საგნების შემთხვევაში მას ასევე შეუძლია შესრულების საგნის დეპონირება (იხ. 434) და ამით შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

- 29 მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით მოახდინონ 392-ე-393-ე მუხლებით გათვალისწინებული რისკების მოდიფიკაცია. სტანდარტულ ხელშეკრულებებში ამ რისკების მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს 346-ე და მომდევნო მუხლებთან შესაძლო წინააღმდეგობაც.

V. ნორმის დატვირთვა პროცესში

- 30 იმის მტკიცების ტვირთი, რომ სახეზე შესრულების მიღების ვადის გადაცილებაა, აწევს მოვალეს. მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ მან კრედიტორს შესთავაზა შესრულება, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი არ მიიღო. მოვალემ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ კრედიტორს არ განუხორციელებია ქმედება, რომელიც მას უნდა განუხორციელებინა 390 II მუხლის საფუძველზე.
- 31 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება ვერ იქნება აღიარებითი სარჩელის საგანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მნიშვნელობით, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება არ არის არც „უფლება“ და არც „სამართლებრივი ურთიერთობა“. სამართლებრივი ურთიერთობა არის ის ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ხდება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, და არა ვადის გადაცილება, როგორც ასეთი. თუმცა შესრულების მიღების ვადის გადაცილება არის უფლების წარმოშობის წინაპირობა და მისი არსებობა უნდა დადგინდეს, თუ აღიარებითი ან მიკუთვნებითი სარჩელის საგანი შესაბამისი უფლების არსებობაა. შესრულების მიღების ვადის გადაცილების ფაქტის დადგენა შესაძლოა, ასევე საჭირო გახდეს ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, რაც შეიძლება აღიარებითი ან მიკუთვნებითი სარჩელის საგანი იყოს.

მუხლი 391. კრედიტორის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო.

I. ნორმის საგანი და მიზანი571
 II. ნორმის მოქმედების სფერო.....571
 III. ანაზღაურებადი ზიანი572
 IV. ნორმის კავშირი სხვა ინსტიტუტებთან.....573

I. ნორმის საგანი და მიზანი

391-ე მუხლის საფუძველზე კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მოვალეს მიადგა შესრულების მიღების ვადის გადაცილების გამო. ეს ნორმა არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი იმ შემთხვევისთვის, როცა შესრულების მიღება არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც იყო და კრედიტორმა, რომელიც, იმავდროულად, შესრულების მიღების მოვალე იყო, ეს ვალდებულება დაარღვია. როგორც უფრო სპეციალური მოთხოვნის საფუძველი, მსგავს შემთხვევებში, ეს ნორმა ანაცვლებს 404-ე მუხლს. იმის გათვალისწინებით, რომ 404-ე მუხლთან მიმართებით ეს ნორმა ახალს არაფერს არ გვთავაზობს, მისი ფუნქცია და დანიშნულება სამოქალაქო კოდექსის სისტემაში გაურკვეველია.

1

II. ნორმის მოქმედების სფერო

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს 404-ე და 391-ე მუხლების მოქმედების სფერო. თუ დავუშვებთ, რომ 404-ე მუხლი საერთო მოთხოვნის საფუძველია ვადის გადაცილებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანთან მიმართებით, და მათ შორის შესრულების მიღების ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანსაც მოიცავს (იმ შემთხვევებში, როცა შესრულების მიღება ვალდებულება იყო), მაშინ უნდა დავუშვათ, რომ 391-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ დანახარჯებთან მიმართებით, რომლებიც კრედიტორს წარმოეშობა მოვალის მიერ შესრულების მიღების დაყოვნების გამო, ესეც იმ პირობით, რომ შესრულების მიღება იყო მხოლოდ უფლება და არა – ვალდებულება. ეს დაშვება მცდარი იქნებოდა რამდენიმე ფაქტორის გამო. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 391-ე მუხლში საუბარია ზიანისა და არა ხარჯების ანაზღაურებაზე. სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის სისტემური განმარტება გვიჩვენებს, რომ კანონმდებელი ზიანის ანაზღაურებაზე საუბრობს იქ, სადაც ირღვევა ვალდებულება (იხ. 394, 399 V, 404, 407, 419 II, 423, 447 გ, 494, 537, 548 და ა.შ.), ანუ ზიანი ვალდებულების დარღვევის შედეგია. მეორე მხრივ, შესრულების მიღების დაყოვნებით გამოწვეული ხარჯები ყოველთვის ზიანი არ არის, რადგან შესრულების მიღება ყოველთვის ვალდებულება არ არის. შესაბამისად, შესრულების

2

მიღების დაყოვნებაც ყოველთვის ვალდებულების დარღვევა არ არის. ხშირად შესრულების მიღება მხოლოდ ფაკულტატიური ვალდებულებაა (იხ. 390-ე მუხლის კომენტ., მე-4 ველი). აქვე უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ 391-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის მოქმედება დამოკიდებულია ბრალის არსებობაზე, მაშინ, როცა ფაკულტატიური ვალდებულების დარღვევა სამართლებრივ შედეგებს/სანქციებს ბრალისგან დამოუკიდებლად ითვალისწინებს. ამას ადასტურებს 393-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტიც, რომელიც შესრულების მიღების დაყოვნების შესაბამის შედეგებს ბრალს არ უკავშირებს. თუ დავუშვებთ იმას, რომ 391-ე მუხლი მოიცავს შესრულების მიღების ვადის გადაცილებით გამოწვეულ ხარჯებს, – მაგ., ნივთის საწყობამდე და უკან ტრანსპორტირების ხარჯებს, – უნდა დავუშვათ, რომ ნივთის შენახვის ხარჯები ერთ შემთხვევაში 393-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე ბრალის გარეშე ანაზღაურდება, ხოლო ამავე ნივთის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება დამოკიდებული იქნება ბრალზე. ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა დამაჯერებელი, რადგან არ არსებობს არგუმენტი, რომელიც ამ ორ, ანალოგიური ხარჯისადმი განსხვავებულ მიდგომას გაამართლებდა. შესაბამისად, შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ხარჯები უნდა ანაზღაურდეს 393-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. რაც შეეხება 391-ე მუხლს, იგი გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც არ იფარება 393-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით და გამოწვეულია ვალდებულების დარღვევით, კერძოდ იმ შესრულების მიუღებლობით, რომლის შესრულების ვადაც მე-400 მუხლის ძალით დამდგარი იყო და რომლის მიღებაც კრედიტორისთვის სავალდებულო იყო.

III. ანაზღაურებადი ზიანი

- 3 391-ე მუხლის საფუძველზე ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესით. სადავოა მოსაზრება, რომლის თანახმად, 391-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ რეალური ზიანი და არა მიუღებელი სარგებელი.¹ მსგავს შეზღუდვას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. შესრულების მიღების ვალდებულების დარღვევით შეიძლება დაზიანდეს როგორც კრედიტორის *status quo*, ასევე *status ad quem*. მაგ., თუ მყიდველი აყოვნებს მალფუჭებადი საქონლის მიღებას, გამყიდველმა შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში შეინახოს საქონელი საწყობში მყიდველის ხარჯზე (502), ხოლო, თუ მყიდველი კიდევ დააყოვნებს საქონლის მიღებას, ზიანის თავიდან აცილების მიზნით, მან შეიძლება, გაყიდოს ეს საქონელი მესამე პირზე. მესამე პირის მიერ შეთავაზებული ნასყიდობის ფასი შესაძლოა, იმაზე ნაკლები იყოს, ვიდრე მყიდველთან შეთანხმებული ფასი. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს ადგება როგორც ფაქტობრივი ზიანი (შენახვის ხარჯები), ასევე ეკარგება მოგება (სხვაობა ხელშეკრულებით შეთანხმებულ და მესამე პირის მიერ შეთავაზებულ ფასებს შორის). 391-ე მუხლის საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს ზიანის ორივე კატეგორია.

¹ იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 391, გვ. 356.

IV. ნორმის კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

391-ე მუხლი არის 404-ე მუხლისგან დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ კრედიტორის მიერ შესრულების მიღება ვალდებულებაა და იგი ამ ვალდებულებას მე-400 მუხლების წინაპირობათა გათვალისწინებით დროულად არ ასრულებს. შესაბამისად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს 391-ე, მე-400 მუხლების, და არა 404-ე, მე-400 მუხლების, საფუძველზე. 4

მუხლი 392. მოვალის პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

- I. ნორმის საგანი და მიზანი574
- II. 392-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან574
- III. ძირითადი ცნებები574
 - 1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება574
 - 2. შეუძლებლობა574
 - 3. პასუხისმგებლობის შემსუბუქება576
- IV. სამართლებრივი შედეგები576
- V. ნორმის დატვირთვა პროცესში577

I. ნორმის საგანი და მიზანი

1 392-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების მიღების დაყოვნების პერიოდში შესრულების საგანი განიცდის გამოუსწორებელ გაუარესებას ან, სულაც, განადგურდება, მოვალის პასუხისმგებლობა შეუძლებლობისთვის დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეუძლებლობა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგია.

II. 392-ე მუხლის ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

2 392-ე მუხლი ადგენს გამონაკლისს 395-ე მუხლიდან და ამცირებს ვალდებულების დარღვევისათვის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლებს. 392-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი ვრცელდება 396-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზეც და მოვალე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მაშინაც, როცა შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია იმ პირთა მსუბუქი გაუფრთხილებლობით, რომელთაც იგი იყენებს ვალდებულების შესრულებისათვის.

III. ძირითადი ცნებები

1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

3 კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების საკითხთან დაკავშირებით იხ. 390-ე მუხლის კომენტ.

2. შეუძლებლობა

4 392-ე მუხლის მოქმედების აუცილებელი წინაპირობაა, რომ შესრულება იყოს შეუძლებელი. შეუძლებლობის ინსტიტუტი სამოქალაქო კოდექს-

სით დეტალურად მონესრიგებული არ არის, თუმცა გამომდინარეობს 8 III, 402-ე, 406-ე და სხვა მუხლების სისტემური ანალიზიდან.

შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან, რადგან არავინ არ არის ვალდებული, შეასრულოს ის, რის შესრულებაც შეუძლებელია (იხ. 402-ე მუხლის კომენტარი). მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებლობისას მოვალე შესრულების ვალდებულებისგან თავისუფლდება, ის არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. შესრულების შეუძლებლობის პირობებშიც მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, თუკი მას ამაში ბრალი მიუძღვის. ასეთ შემთხვევაში ის პასუხს აგებს არა იმიტომ, რომ ვერ ასრულებს, არამედ იმიტომ, რომ ბრალეულად გამოიწვია, ან თავიდან ვერ აირიდა ის გარემოება, რის გამოც ვერ ასრულებს. სწორედ ბრალის ხარისხის შემსუბუქების მიზანს ემსახურება 392-ე მუხლი, რომელსაც დაყავს პასუხისმგებლობის მასშტაბი განზრახვამდე და უხეშ გაუფრთხილებლობამდე, რითაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას მარტივი გაუფრთხილებლობისთვის.

შესრულების შეუძლებლობა შესაძლოა, განპირობებული იყოს შესრულების საგნის განადგურებით ან დაზიანებით. პირველ შემთხვევაში, მოვალე საერთოდ ვერ ასრულებს ვალდებულებას (მაგ., ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ავტომანქანა, რომელიც „ა“-ს უნდა გადაეცა „ბ“-სთვის, „ა“-ს მსუბუქი გაუფრთხილებლობის შედეგად ნადგურდება), ხოლო მეორე შემთხვევაში მისი შესრულება გამოუსწორებელი ნაკლის მქონეა (მაგ., ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ავტომანქანა, რომელიც „ა“-ს უნდა გადაეცა „ბ“-სთვის, „ა“-ს მსუბუქი გაუფრთხილებლობის შედეგად ზიანდება, ზიანის სრულად გამოსწორება და მანქანის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება კი შეუძლებელია).

შეუძლებლობა დამოკიდებულია შესასრულებელი ვალდებულების ხასიათზე. ინდივიდუალური ნივთის განადგურების ან მოვალის მხრიდან მასზე უფლების დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება და მოვალე აღარ არის ვალდებული, შეასრულოს (*argumentum e contrario* 382-მუხლიდან).¹ ასევე პერსონალური ვალდებულების შემთხვევაში შესრულება შეუძლებელი ხდება, თუკი მოვალეს ჯანმრთელობის დაზიანების ან სხვა მსგავსი მიზეზით აღარ შესწევს ვალდებულების შესრულების უნარი. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში შეუძლებლობა დგება, თუკი გვაროვნული ვალდებულება გარკვეული მარაგით არის შეზღუდული (მაგ., „ოჯალემის“ 2015 წლის მოსავალი) ან შესრულება დროის კონკრეტული მონაკვეთისთვის არის მხოლოდ შესაძლებელი და განადგურებული გვაროვნული ნივთის ჩანაცვლება ვერ მოხდება დროის ამ მონაკვეთში. სხვა შემთხვევაში გვაროვნული ნიშნით გან-

1 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის № ას-1328-1254-2012 გადაწყვეტილება

საზღვრული საგნის განადგურება არ იწვევს შეუძლებლობას და მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუნდაც შესრულების საგანი განადგურებულიყო მისი მსუბუქი გაუფრთხილებლობით.

3. პასუხისმგებლობის შემსუბუქება

- 8 მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების შეუძლებლობისთვის დგება მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობისას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებლობა მიზეზობრივ კავშირში იყოს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან. თუ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოვალე იმ შემთხვევაშიც ვერ შეასრულებდა ვალდებულებას, კრედიტორს შესრულების მიღების ვადა რომ არ გადაეცილებინა, 392-ე მუხლი არ გამოიყენება.
- 9 392-ე მუხლის მიზანია მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქება მხოლოდ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდისათვის. შესაბამისად, 392-ე მუხლის გამოსაყენებლად შეუძლებლობის საფუძველი უნდა დადგეს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში. როგორც კი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება დასრულდება, 392-ე მუხლიც დაკარგავს აქტუალურობას. ამის შემდეგ მოვალე პასუხს აგებს შესრულების შეუძლებლობისთვის ზოგადი წესით. იგი პასუხს აგებს შეუძლებლობისთვის იმ შემთხვევაშიც, თუკი დამტკიცდება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი არ დადგებოდა, რომ არა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება.

IV. სამართლებრივი შედეგები

- 10 392-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალე ვერ მოსთხოვს კრედიტორს ზიანის ანაზღაურებას იმ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, რომლის შესრულებაც შეუძლებელია.
- 11 392-ე მუხლში საუბარია მხოლოდ მოვალის პასუხისმგებლობისგან თავისუფლებაზე. ამ ნორმაში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, თუ რა ბედი ეწევა მოვალის საპასუხო მოთხოვნას. მაგ., თუკი მყიდველის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების პერიოდში გამყიდველის მსუბუქი გაუფრთხილებლობის შედეგად განადგურდება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული შესრულების საგანი, გამყიდველი აღარ იქნება ვალდებული, ხელახლა შეასრულოს (რადგან შესრულება შეუძლებელი იქნება) და არ იქნება ვალდებული, აანაზღაუროს ზიანი (რადგან ის ამ ვალდებულებისგან სკ-ის 392-ის საფუძველზე თავისუფლდება). საკითხავია, აქვს თუ არა გამყიდველს უფლება, თავის მხრივ, მოითხოვოს საფასურის გადახდა. ამ კითხვაზე კანონმდებლის პასუხი დადებითია, რადგან სკ-ის 406 II მუხლი მოვალეს უფლებას აძლევს, მოითხოვოს საპასუხო შესრულება მაშინაც კი, როცა ის საკუთარ ვალდებულებასაც ველარ ასრულებს, თუკი ამის მიზეზი გამონვეულია კრედიტორის ბრალით ან იმ შემთხვევითობით/მსუბუქი გაუფრთხილებლობით, რომელიც მოხდა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას.

V. ნორმის დატვირთვა პროცესში

მტკიცების ტვირთი, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი წარმოიშვა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში, აწევს მოვალეს. მოვალემ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამონვეული არ არის მისი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის (იხ. 394 I 2, 395). მიუხედავად იმისა, რომ 392-ე მუხლი ამსუბუქებს მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბს, იგი არ ათავისუფლებს მას იმ მტკიცების ტვირთისგან, რომელიც 394 I 2-იდან გამომდინარე აწევს მას.²

12

² Geisler, in jurisPK BGB, 4. Aufl., § 300, Rn. 19.

მუხლი 393. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად:

ა. იგი ვალდებულია, აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები;

ბ. მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;

გ. მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება.

I. ნორმის საგანი და მიზანი	578
II ძირითადი ცნებები	578
1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება	578
2. შენახვის ხარჯების ანაზღაურება (393 ა)	578
3. ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკის გადასვლა კრედიტორზე (393 ბ)	579
4. პროცენტის მოთხოვნის უფლება (393 გ)	579
5. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა	580
III. ნორმის დატვირთვა პროცესში	580

I. ნორმის საგანი და მიზანი

- 1 ნორმის მიზანია, დაიცვას მოვალე იმ რისკებისგან, რომლებიც განპირობებულია კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღების დაყოვნებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 392-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომლითაც შესრულების საგნის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის. გარდა ამისა, კრედიტორი ვალდებულია, მოვალეს აუნაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც ამ უკანასკნელს შესრულების საგნის შენახვის გამო წარმოეშვა (მუხ. 393, ა). ამასთან, ფულადი ვალდებულების შემთხვევაში, კრედიტორი კარგავს უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს პროცენტი (მუხ. 393, გ).

II ძირითადი ცნებები

1. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

- 2 კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების ცნებასთან დაკავშირებით იხ. 390-ე მუხლის კომენტარი.

2. შენახვის ხარჯების ანაზღაურება (393 ა)

- 3 კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მოვალეს წარმოეშვა შესრულების საგნის შენახვის გამო. „შენახვის“ ცნება უნდა განიმარტოს ვრცლად. მასში უნდა გაერთიანდეს ყველა ის ხარჯი, რომლებიც უკავშირდება შესრულების საგნის მოვლა-პატრონობას და გამოწვეულია შესრულების მიღების დაყოვნებით (მათ შორის ტრანსპორტირების, შეფუთვისა და სხვა მსგავსი ხარჯები).

შენახვის ხარჯები უნდა იყოს გონივრული. წინააღმდეგ შემთხვევაში, 415-ე მუხლის ანალოგიით, მოვალეს მოუწევს არაგონივრული ხარჯების საკუთარ თავზე აღება. 4

3. ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკის გადასვლა კრედიტორზე (393 ბ)

393 ბ მუხლის მიხედვით, შესრულების მიღების დაყოვნების პერიოდში კრედიტორზე გადადის შესრულების საგნის შემთხვევით გაფუჭების ან განადგურების რისკი. 393 ბ მუხლი 392-ე მუხლზე შორს მიდის და შესრულების საგნის შემთხვევით გაფუჭების ან განადგურების შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისგანაც, გადააქვს რა შესრულების რისკი კრედიტორზე. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების შემთხვევაში, რადგან ასეთ შემთხვევებში 392-ე მუხლის მნიშვნელობა დაბალია. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ კრედიტორმა უნდა წაიღოს საქონელი გამყიდველისგან. მას შემდეგ, რაც გამყიდველი გაამზადებს საქონელს წასაღებად, იგი დაუკავშირდება კრედიტორს და სთხოვს საქონლის წაღებას. კრედიტორი მოუცლელია გამომწოდის უარს განაცხადებს საქონლის წაღებაზე. საუბრიდან გარკვეულ დროში საქონელი წადგურდება სტიქიის შედეგად, რაშიც მოვალეს ბრალი არ მიუძღვის. ამ მაგალითში შეთანხმებულია გვაროვნული ნივთის მინოდება. შესაბამისად, რომ არა 393-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, 382-ე მუხლის ძალით გამყიდველი ვალდებული იქნებოდა, მყიდველისთვის მიეწოდებინა სხვა ნივთი. 5

შემთხვევითობა შეიძლება გამონეული იყოს როგორც ობიექტური ფაქტორებით (მაგ.: წყალდიდობა, მენყერი), ასევე სუბიექტური ფაქტორებით (ქურდობა, დივერსია). ორივე შემთხვევაში მოვალე პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემთხვევითობის ან მისი შედეგების თავიდან აცილება მას არ შეეძლო. მაგ., შემთხვევითობად არ ჩაითვლება, თუ შესრულების საგანს გაანადგურებს მოვალის დამხმარე (იხ. 396), ასევე შემთხვევითობა არ იქნება სახეზე, თუ შესრულების საგანი განადგურდება ძლიერი წვიმის შედეგად, თუმცა ეს შედეგი არ დადგებოდა, მოვალეს სათანადო ზომები რომ მიეღო შესრულების საგნის დასაცავად. შემთხვევითობაზე საუბარი შესაძლებელია იქ, სადაც მოვალის ბრალი გამორიცხულია და შესაბამისი მოვლენა მისი რისკის სფეროს მიღმაა. 6

4. პროცენტის მოთხოვნის უფლება (393 გ)

კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების პერიოდში მოვალე არ არის ვალდებული, გადაიხადოს რაიმე სახის პროცენტი ფულადი ვალდებულებიდან, ანუ იმ თანხას, რომელიც მას უნდა გადაეხადა კრედიტორისთვის, თუმცა კრედიტორის მიზეზით ვერ გადაიხადა, აღარ ერიცხება სარგებელი, იქნება ეს კანონისმიერი თუ ხელშეკრულე- 7

ბით გათვალისწინებული სარგებელი. ანალოგიით, ეს წესი ასევე მოიცავს პირგასამტეხლოს, საურავს და ნებისმიერ სახელშეკრულებო ფულად სანქციას, რომელიც გათვალისწინებულია მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევებისთვის.

5. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა

- 8 393-ე მუხლით გათვალისწინებული რისკები კრედიტორზე გადადის, მიუხედავად მისი ბრალისა.

III. ნორმის დატვირთვა პროცესში

- 9 ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლოა გახდეს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი (393 ა). მოვალემ შეიძლება მოითხოვოს როგორც ხარჯების ანაზღაურება, ასევე დააკავოს შესრულება მანამ, სანამ კრედიტორი არ აანაზღაურებს შესაბამის ხარჯებს (იხ. 369).¹ ამისათვის მან უნდა დაამტკიცოს შესაბამისი ხარჯების არსებობა და უნდა დაასაბუთოს მათი ადეკვატურობა.
- 10 შესრულების საგნის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში (393 ბ) მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ სახეზე იყო შემთხვევითობა და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა დამდგარი შედეგისათვის (395).
- 11 იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ითხოვს მოვალისგან იმ სარგებელს, რომელიც ამ უკანასკნელმა ვადის გადაცილების პერიოდში ფულადი თანხის გამოყენებით მიიღო (393 გ), კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს ამ სარგებლის არსებობა.

¹ *Heinrichs*, in *Palandt BGB Kommentar*, 72. Aufl., § 304, Rn. 2.

კარი მისამი
ვალდებულების დარღვევა
თავი პირველი
ზოგადი დებულებანი

მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას

1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

2. მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას.

- I. ზოგადად582
 - 1. 394-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში582
 - 2. 394-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში582
 - 3. 394-ე მუხლის მოქმედების სფერო.....583
- II. ძირითადი ცნებები.....583
 - 1. ზიანის ფენომენოლოგია და შესაბამისი მოთხოვნის საფუძველები583
 - ა. ზიანის ფენომენოლოგია დაზიანებული ინტერესის მიხედვით583
 - ბ. მოთხოვნის საფუძველების კლასიფიკაცია მოთხოვნის შინაარსის მიხედვით584
 - გ. ზიანის ანაზღაურება შესრულების გვერდით585
 - დ. ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად586
 - 2. 394 | მუხლი როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი587
 - ა. ზოგადად587
 - ბ. ძირითადი ცნებები.....587
 - ა.ა ვალდებულების დარღვევა587
 - ბ.ბ მართლწინააღმდეგობა587
 - გ.გ პასუხისმგებლობა (ბრალი)588
 - დ.დ ზიანი588

ე.ე მიზეზობრიობა და სავარაუდოობა	589
გ. ვალდებულების დარღვევათა ტიპოლოგია.....	589
ა.ა არაფეროვანი შესრულება.....	589
ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა	590
გ.გ კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულების დარღვევა ..	591
დ.დ წინასახელშეკრულებო ბრალი	591
III. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (394 I-III)	591
1. ვალდებულების დარღვევა, რომელიც შეიძლება გახდეს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი	591
2. აუცილებელი დრო	592
ა. მოვალისთვის აუცილებელი დროის მიცემა	592
ბ. როდის არ არის საჭირო მოვალისათვის აუცილებელი დროის მიცემა	593
3. სამართლებრივი შედეგები.....	595
4. 394-ე მუხლის დისპოზიციური ბუნება	595
5. 394-ე მუხლიდან წარმოშობილ მოთხოვნათა ხანდაზმულობა	595
IV. 394-ე მუხლის დატვირთვა პროცესში	596
1. მტკიცების ტვირთი.....	596

I. ზოგადად

1. 394-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

1 394-ე მუხლი ვალდებულების დარღვევის სისტემის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის სისტემაში შემოაქვს **განსხვავება შესრულების გვერდით და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტებს შორის**. ორივე მოთხოვნისთვის ეს ნორმა განსაზღვრავს საერთო და სპეციალურ წინაპირობებს და ადგენს შესაბამის სამართლებრივ სანქციებს. ერთეული სპეციალური მოთხოვნის საფუძველს თუ არ ჩავთვლით, ეს ნორმა მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებათა სრულ სპექტრს.

2. 394-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი ადგილი სამოქალაქო კოდექსის სისტემაში

2 394 I მუხლის პირველი წინადადება ვალდებულებათა დარღვევის სისტემის **ცენტრალური მოთხოვნის საფუძველია**, თუმცა, როგორც უზოგადესი ნორმა, ის არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა სხვა, უფრო სპეციალური მოთხოვნის საფუძველები (მაგ., 404, 512, 527).¹ 394 II, III მუხლი **შესრულების ნაცვლად ზიანის² ანაზღაურების მოთხოვნის**

1 *მაჩალაძე*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 88; *ბიოლინგი/ლუტრინგვაუსი*, სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 42.

2 იურიდიულ ლიტერატურაში ამ ზიანს საკომპენსაციო ზიანსაც უწოდებენ, იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნივნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 368.

საფუძველია იმ შემთხვევებში, როცა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას წინ არ უსწრებს ხელშეკრულებიდან გასვლა. სხვა შემთხვევაში გამოიყენება 407-ე მუხლი.

3. 394-ე მუხლის მოქმედების სფერო

ვალდებულების დარღვევის ცნება არ შემოიფარგლება ხელშეკრულების დარღვევით. 394 ე მუხლის მნიშვნელობით ვალდებულების დარღვევის ცნება ასევე მოიცავს კანონისმიერი ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა დარღვევებს. მაგ., 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამზიანებელი ვალდებულება, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ეს დამზიანებლის მეორეული კანონისმიერი ვალდებულებაა (პირველადი კანონისმიერი ვალდებულება იყო, რომ მას სხვისთვის არ მიეყენებინა ზიანი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით). თუკი მოვალე ამ ვალდებულების შესრულებისას დაარღვევს გულისხმიერების ვალდებულებას (იხ. 316 II), მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის სკ-ის 394 I მუხლით დადგენილი წესით. 394-ე მუხლი ასევე ვრცელდება ანდერძიდან ან ლეგატიდან გამომდინარე ვალდებულებებზე, თუ კანონი კონკრეტული შემთხვევებისთვის სპეციალურ მოთხოვნის საფუძველს არ ითვალისწინებს.

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ზიანი ანაზღაურდება 407-ე მუხლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში 394-ე მუხლი არ გამოიყენება, თუმცა ამ გამიჯვნას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ნორმების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები ანალოგიურია.

II. ძირითადი ცნებები

1. ზიანის ფენომენოლოგია და შესაბამისი მოთხოვნის საფუძველები

ა. ზიანის ფენომენოლოგია და ზიანებული ინტერესის მიხედვით

დაზიანებადი ინტერესის თვალსაზრისით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ **პოზიტიური და ინტეგრალური ინტერესები**. პოზიტიური ინტერესის ხელყოფისას ზიანდება კანონით დაცული ის მოლოდინი, რომელიც კრედიტორს შესრულების მიმართ ჰქონდა (*lucrum cessans*), ხოლო ინტეგრალური, იმავე სიმრთელის, ინტერესის ხელყოფისას ხდება შესრულების პროგრამის გარეთ არსებულ სამართლებრივ სიკეთეზე მავნე ზემოქმედება (*damnum emergens*). შესაბამისად, პირველ შემთხვევაში კრედიტორს ადგება ზიანი, რადგან ის ვერ იღებს იმას, რაც ვალდებულების შესრულების შედეგად უნდა მიეღო, ხოლო მეორე შემთხვევაში ზიანდება კრედიტორის ქონება, ჯანმრთელობა ან კანონით დაცული სხვა სიკეთე, რადგან ხდება ის, რაც არ მოხდებოდა, კრედიტორს მოვალესთან რომ არ დაედო ხელშეკრულება.

- 6 მაგ., „ა“-მ „ბ“-ს მიჰყიდა 10 000 ლარის ღირებულების ქატო, რომელიც ამ უკანასკნელს თავისი ღირებულების გამოსაკვებად სჭირდებოდა. შეთანხმებისამებრ, თავიდან „ა“-მ „ბ“-ს ქატოს მხოლოდ ნახევარი მიანოდა, რომელიც „ბ“-მ გამოიყენა. ქატოს აღმოაჩნდა დაავადება, რის შედეგადაც დაიღუპა „ბ“-ს პირუტყვის დიდი ნაწილი. ამასთანავე, მისთვის დამატებითი ვადის დაწესების მიუხედავად, „ა“ აყოვნებს ქატოს მეორე ნაწილის მიწოდებას, რომელიც გადამონმებულია და საკვებად ვარგისია. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ ქატოს დარჩენილ ნაწილთან მიმართებით „ბ“ ვადის ხელშეკრულებიდან და იძულებული ხდება, ქატო სხვა მომწოდებლისგან შეიძინოს 5 500 ლარად.
- 7 ამ მაგალითში პირუტყვის დაღუპვით გამოწვეული ზიანი სიმრთელის ინტერესის ხელყოფის შედეგია. რაც შეეხება პოზიტიურ ინტერესს, მისი დარღვევა გამოიხატა იმით, რომ 5 000 ლარის ნაცვლად „ბ“-ს ქატოში 5 500 ლარის გადახდა მოუწია. პირველი ზიანი არ დადგებოდა, ბ-ს ხელშეკრულება რომ არ დაედო „ა“-სთან, ხოლო მეორე ზიანი არ დადგებოდა, „ა“-ს ხელშეკრულება რომ შეესრულებინა და „ბ“ არ გასულიყო ხელშეკრულებიდან.

ბ. მოთხოვნის საფუძვლების კლასიფიკაცია მოთხოვნის შინაარსის მიხედვით

- 8 მოთხოვნის საფუძვლები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია კრედიტორის მოთხოვნა. ამ თვალსაზრისით, **კრედიტორი შეიძლება ითხოვდეს ზიანის ანაზღაურებას შესრულებასთან ერთად ან ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად.**³ პირველ შემთხვევაში, კრედიტორი ინარჩუნებს შესრულების მოთხოვნის უფლებას; მეორე შემთხვევაში კი, შესრულებას ზიანის ანაზღაურება ანაცვლებს (არაკუმულირებადი მოთხოვნის უფლება).⁴ იმის გამიჯვნას, თუ რომელი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს კრედიტორი, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან შესრულების გვერდით ზიანი პირდაპირ (394 I-ის საფუძველზე), ხოლო შესრულების სანაცვლოდ ზიანი მხოლოდ დამატებითი წინაპირობების დაცვით ანაზღაურდება.⁵ გამიჯვნა ამ ორ კატეგორიას შორის უნდა მოხდეს ზიანის გამოსწორებადობის კრიტერიუმის მიხედვით. თუ სახეზეა ზიანი, რომელიც საბოლოო და დამატებითი ვადის ან დამატებითი შესრულების შემთხვევაშიც არ გამოსწორდება, ასეთი ზიანი პირდაპირ უნდა ანაზღაურდეს. მაგ., დაღუპული პირუტყვი (იხ. მაგალითი ზემოთ) წარმოადგენს იმ ზიანს, რომელიც დამატებითი ვადის დაწესების შემთხვევაშიც არ გამოსწორდება (ინტეგრალური ინტერესის ხელყოფით გამოწვეული ზიანი). ამიტომ დამატებითი ვადის დაწესებას ამ შემთხვევებში აზრი არ

3 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010; ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, გვ. 60.

4 ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., 2010, გვ. 61.

5 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 133; ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 60 და შემდგომი.

აქვს. ამასთანავე, ამ ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ისე, რომ უარი არ ითქვას შესრულებაზე, ანუ ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისა და შესრულების თანაარსებობა შესაძლებელია. რაც შეეხება 500 ლარის ზიანს, ეს ის ზიანია, რომელიც არ დადგებოდა, მოვალეს დამატებით ვადაში რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულება. შესაბამისად, მისი ანაზღაურება დამოკიდებულია დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლაზე, რაც ზემოთ მოყვანილ მაგალითში ასევე აღინიშნა.

გ. ზიანის ანაზღაურება შესრულების გვერდით

შესრულების გვერდით ზიანის ანაზღაურების ერთმანეთისაგან დამო-
უკიდებელი ორი კატეგორია არსებობს: პირველ კატეგორიას განეკუთ-
ვნება ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი, რომელიც ნორმათა ორი
კომპლექსისგან შედგება, ესენია: მე-400, 404-ე მუხლები (შესრულების
ვადის გადაცილებისას) და მე-400, 391-ე მუხლები (შესრულების მიღების
ვადის გადაცილებისას). ყველა სხვა ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეს-
რულების გვერდით ხდება, ექვემდებარება 394 I მუხლს (გულისხმიერების
ვალდებულების დარღვევისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული
ზიანი) და დამატებითი წინაპირობების გარეშე ანაზღაურდება.

9

მაგ., „ა“-მ „ბ“-სგან სასადილოსთვის შეიძინა ღუმელი, რომლის მიწოდე-
ბაც ორი კვირის ვადაში უნდა მომხდარიყო. „ბ“ დათქმულ დროს არ აწვდის
„ა“-ს ღუმელს, რის გამოც „ა“ ვერ ამუშავებს სასადილოს და განიცდის
ზიანს (2000 ლარი). მოგვიანებით „ბ“ მიაწვდის „ა“-ს ღუმელს, თუმცა ამ
უკანასკნელს აღმოაჩნდება ტექნიკური წუნი, რის გამოც „ა“ ვერ შეძლებს
ღუმელით სარგებლობას და კვლავ განიცდის ზიანს (500 ლარი). „ბ“ უმო-
კლეს დროში გამოასწორებს ამ წუნს – იგი დაამონტაჟებს ახალ დეტალს,
რითაც შეიცვლება ღუმელის ექსპლუატაციის წესი, ამის შესახებ კი „ა“
ინფორმირებული არ არის. ღუმელის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად
„ა“-ს დაენგება კერძი, რითაც განიცდის 100 ლარის ოდენობის ზიანს.

10

ამ მაგალითში სახეზეა სამი ტიპის ზიანი: 2000 ლარი არის ვადის გა-
დაცილებით გამოწვეული ზიანი, რომელიც 404-ე, მე-400 მუხლების სა-
ფუძველზე ანაზღაურდება; 500 ლარი არის ნივთის ნაკლით გამოწვეუ-
ლი ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია 394 I, 494 I მუხლების
საფუძველზე,⁶ ხოლო 100 ლარი არის გულისხმიერების ვალდებულების
დარღვევით გამოწვეული ზიანი, რომელიც 394 I, 316 II მუხლის წინაპირო-
ბათა დაცვით ანაზღაურდება. სამივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს ინტე-
გრალური ინტერესის დარღვევა, რომელიც საბოლოო ხასიათს ატარებს
და ხელახალი შესრულების/დამატებითი ვადის შემთხვევაშიც კი არ გამო-
სწორდება. ამასთანავე, ეს ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ისე, რომ ხელ-
შეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებაზე უარი არ ითქვას. ამიტომ
ამ ზიანს შესრულების გვერდით ანაზღაურებადი ზიანი ეწოდება.

11

6 ასევე იხ. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალ-
ში, დის., 2010, გვ. 65.

დ. ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად

- 12 შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას კრედიტორი უარს ამბობს მიუღებელ ან ნაკლიან შესრულებაზე და მოითხოვს შესაბამისი ზიანის ანაზღაურებას. ამ სქემის საილუსტრაციოდ შეგვიძლია, ზემოთ მოყვანილი მაგალითი მოვიშველიოთ:
- 13 „ა“-მ „ბ“-სგან სასააღილოსთვის შეიძინა ლუმელი, რომლის მიწოდებაც ორი კვირის ვადაში უნდა მომხდარიყო. „ბ“ დათქმულ დროს აწვდის „ა“-ს გაუმართავ ლუმელს, რის გამოც ეს უკანასკნელი ვერ ამუშავებს სასააღილოს და განიცდის ზიანს (2000 ლარი). დამატებითი ვადის დაწესების მიუხედავად „ბ“ არ ასწორებს ლუმელის ნაკლს. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ „ა“ გადაწყვეტს, შეინარჩუნოს ლუმელი და შეაკეთებინოს ის მესამე პირს, ისე, რომ არ გავიდეს ხელშეკრულებიდან. ლუმელის შეკეთება მას 200 ლარი უჯდება. იგი „ბ“-სგან ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.
- 14 ამ მაგალითში 2000 ლარის ნაკლის მქონე საქონლის მიწოდებით გამოწვეული ზიანია, რომელიც 394 I 1 მუხლის საფუძველზე ანაზღაურდება. რაც შეეხება 200 ლარს, ეს ზიანი გამოიწვია იმან, რომ „ბ“-მ დამატებით ვადაშიც არ გამოასწორა ნაკლი, რის გამოც „ა“-ს დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწია. (დამატებითი შესრულების) ვალდებულება ბოლო მომენტში მაინც რომ შესრულებულიყო, „ა“-ს 200 ლარის ზიანი არ მიადგებოდა. ამრიგად, ეს ზიანი ანაცვლებს შესრულებას და სწორედ ამიტომ ეწოდება ამ ზიანის ანაზღაურებაზე მიმართულ მოთხოვნას შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.
- 15 394 II მუხლის თანახმად, თუ მოვალე შესრულებას აყოვნებს, კრედიტორს შეუძლია, მოვალეს დაუნიშნოს დამატებითი ვადა („აუცილებელი დრო“), ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ციტირებულ ნორმაში საუბარია მხოლოდ შესრულების ვადის გადაცილებაზე. თავისთავად ისმის კითხვა, თუ რომელი მოთხოვნის საფუძველით უნდა მოითხოვოს კრედიტორმა ზიანის ანაზღაურება, თუ ხელშეკრულების დარღვევა შესრულების ვადის გადაცილებით არ არის გამოწვეული?! მაგალითად ვალდებულების შეუსრულებლობა შეუძლებლობის გამო ვადის გადაცილებად ვერ დაკვალიფიცირდება, რამდენადაც ვადის გადაცილებაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც შესრულება შესაძლებელია.⁷ ამას 401-ე მუხლის დასათაურება და სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომელიც შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს მოვალეს, თუ შესრულება ერთხელ და საბოლოოდ შეუძლებელი გახდა.⁸ ასევე ვერ იქნება საუბარი ვადის გადაცილებაზე იქ, სადაც ვალდებულება არ სრულდება ჯეროვნად,

7 *მაჩალაძე*, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 89; *ქოჩიაშვილი*, ბრალი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 109.

8 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 მარტის № ას-1328-1254-2012 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 376.

ანუ სახეზეა ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი. ამას ადასტურებს სკ-ის 361 II მუხლის ფორმულაც, სადაც ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულება შესრულების დამოუკიდებელ კომპონენტებად არის გამოკვეთილი. ამგვარად, ნორმის რესურსის სრულად რეალიზებისთვის საჭიროა მისი ტელეოლოგიური კორექტურა და განვრცობითი განმარტება იმგვარად, რომ მან ზიანის მიზეზების ის შემთხვევებიც მოიცვას, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ვადის გადაცილებას.⁹

2. 394 I მუხლი როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი

ა. ზოგადად

394 I მუხლი დამოუკიდებელი და თვითკმარი მოთხოვნის საფუძველია შესრულების გვერდით ზიანის ანაზღაურებისას (გარდა ვადის გადაცილებისა). 394 I მუხლი ასევე დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველია წინასახელშეკრულებო ბრალის შემთხვევაში, თუ ბრალი არ ხვდება 317 III მუხლით დაცული სიკეთის ქვეშ. მაგ., მაღაზიაში საყიდლებზე შესულ მყიდველს, სანამ იგი საქონელს სალარომდე მიიტანდა, ფეხი დაუცდა მაღაზიის გამყიდველის მიერ დაგდებულ და უყურადღებოდ მიტოვებულ ლინოლეუმის ნაჭერზე, რის შედეგადაც სხეულის დაზიანება მიიღო.¹⁰ 317 II, 316 II, 394 I, 396-ე მუხლების საფუძველზე მაღაზია ვალდებულია, აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი.

16

ბ. ძირითადი ცნებები

ა.ა ვალდებულების დარღვევა

ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად (361 II). ეს არის ვალდებულების შესრულების პროგრამა, რომლიდან გადახვევაც **ვალდებულების დარღვევას იწვევს**.¹¹ ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ვადის გადაცილებაში, არაჯეროვან შესრულებაში (ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი), გულისხმიერების და კეთილსინდისიერი შესრულების ქვევალდებულებათა დარღვევაში ან ვალდებულების საბოლოო შეუსრულებლობაში. იმისათვის, რომ 394 I 1 მუხლი ამოქმედდეს, საკმარისია ამ შემადგენლობათაგან ერთ-ერთის ობიექტურად არსებობა. რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის სუბიექტურ შერაცხვას, ეს 394 I 2 მუხლის პრეროგატივაა.

17

ბ.ბ მართლწინააღმდეგობა

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **თავისთავად სახეზეა მართლწინააღმდეგობა**, რადგან პირი, რომელიც არ ასრულებს იმ ვალდე-

18

9 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 134 და შემდგომში.

10 RGZ 78, 239.

11 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 363.

ბულებას, რომლის შესრულების ვალდებულებაც მას ხელშეკრულებით ან კანონით ეკისრება, მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ.¹² ამ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა გამომდინარეობს არა კანონიდან (იხ. სკ-ის 992 მუხლი), არამედ იმ მხოფველი ვალდებულების დარღვევიდან, რომელიც მოვალემ ხელშეკრულებით იკისრა (ფარდობითი მართლწინააღმდეგობა).

გ.გ პასუხისმგებლობა (ბრალი)

- 19 იმისათვის, რომ ვალდებულების დარღვევა **მოვალეს შეერაცხოს**, მას უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობის ფარგლები დგინდება 395-ე მუხლით. ზოგადად, პასუხისმგებლობა დგება ბრალის შემთხვევაში, თუმცა კანონით ან ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს უფრო მსუბუქი ან მკაცრი პასუხისმგებლობაც.
- 20 394 I 2 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა იგულისხმება, სანამ მოვალე საპირისპიროს არ დაამტკიცებს (*praesumptio iuris*).¹³ შესაბამისად, იმის მტკიცების ტვირთი, რომ მას ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, აწევს თავად მოვალეს. რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის ფაქტს, ეს ფაქტი კრედიტორმა უნდა ამტკიცოს.¹⁴

დ.დ ზიანი

- 21 ზიანი ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი წინაპირობაა. იგი გამოიხატება პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების უნებართვო ხელყოფაში, რისი ანაზღაურებაც **დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის**¹⁵ და **უზრუნველყოფილია კანონმდებლობით** (მაგ., იხ. 413).¹⁶
- 22 **არაქონებრივი ზიანისათვის** ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (413). არაქონებრივია ზიანი, რომელიც არ იწვევს პირის მატერიალური აქტივების შემცირებას ან პასივების გაზრდას და მხოლოდ მის პიროვნულ განცდებს ან ისეთ უფლებათა ხელყოფას უკავშირდება, რომელთაც სასყიდელი არ გააჩნიათ ან არ წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს.
- 23 **ქონებრივ ზიანში** იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც.¹⁷ მასში ერთიანდება მესამე პირთა მიმართ არსებულ მოთხოვნათა დაკარგვაც, თუ ეს

12 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 364.

13 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 134 და მომდევნო გვერდები; ასევე *ქოჩაშვილი*, ბრალი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 84.

14 იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

15 *Magnus, Anwaltkommentar, vor §§ 249-255, Rn. 17.*

16 იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 45.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის N ას-342-694-07 გადაწყვეტილება.

მოთხოვნები ქონებრივი შედეგების დადგომაზე იყო მიმართული (წმინდა ქონებრივი ზიანი).¹⁸ ქონების ცნების დასაზუსტებლად შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნეს 147-ე მუხლი, თუმცა დაზიანებადი ქონების ცნება ამ მუხლის შინაარსით არ შემოიფარგლება.¹⁹

ე.ე მიზეზობრიობა და სავარაუდოობა

ამ წინაპირობასთან დაკავშირებით იხ. კომ., სკ-ის 412-ე მუხლი

გ. ვალდებულების დარღვევათა ტიპოლოგია

ა.ა არაჯეროვანი შესრულება

361 II მუხლში ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გამოყოფილია ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ კატეგორიად. ამ კლასიფიკაციას თუ გავითვალისწინებთ, ვადის გადაცილება და არაკეთილსინდისიერი შესრულება არ არის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევები.²⁰ შედეგად, არაჯეროვანი შესრულება მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როცა მოვალე კრედიტორს აწვდის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთს ან არ უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხს. 380-ე მუხლი ადგენს ჯეროვანი შესრულების სტანდარტს: თუ შესრულების ხარისხი არ არის პირდაპირ შეთანხმებული, ჯეროვნად ჩაითვლება, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაოს შესრულება და საშუალო ხარისხის ნივთის გადაცემა. ამ ნორმიდან კარგად ჩანს, რომ კანონმდებელი არ ითხოვს მოვალისგან უმაღლესი ხარისხის შესრულებას. ჩვეულებრივზე მაღალი ხარისხის დადგენა კრედიტორის რისკის სფეროს მიეკუთვნება და მან თავად უნდა უზრუნველყოს მისთვის სასურველი ხარისხის ასახვა ვალდებულებაში. სწორედ ამიტომ, თუ ხელშეკრულების დადებისას კრედიტორი სპეციფიკურად არ უთითებს ხარისხზე, მოვალის ვალდებულება შემოიფარგლება საშუალო ხარისხის შესრულებით; ეს პირობა კი სახეზეა, თუ ბრუნვის წეს-ჩვეულებათა გათვალისწინებით, საქონელი ან მომსახურება შეესაბამება იმ მიზანს, რომლისთვისაც იგი ჩვეულებრივი სარგებლობის ფარგლებში არის განკუთვნილი.²¹ თუ მიწოდებული საქონელი ან განხორციელებული შესრულება ამ სტანდარტს არ აკმაყოფილებს, შესრულება არის ნაკლოვანი. ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილშიც მოიძებნება ცალკეული ხელშეკრულებების მარეგულირებელი სპეციალური ნორმები, რომლებიც 380-ე მუხლის შინაარსს აზუსტებენ, ისე რომ, არსებითად არ ცვლიან მის პათოსს. მაგ., 488 I მუხლში კანონმდებელი უთითებს, რომ, თუ საქონლის ხარისხი შეთანხმებული არ არის, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. მსგავს დაზუსტებებს შეიცავს ასევე 534-ე, 535-ე, 580 I, 639-ე, 640-ე, 641-ე, 659-ე მუხლები.

24

18 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 44.

19 მაგ., ეს მუხლი არ მოიცავს ისეთ ობიექტებს, რომელიც არ შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, მაგრამ შეიძლება გახდეს ქონებრივი ზიანის ობიექტი.

20 შდრ. ქოჩაშვილი, ბრალი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 93.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 21 მაისის Nას-62-368-04, 21 გადაწყვეტილება.

- 25 არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებას შესაძლოა, ასევე ითვალისწინებდნენ სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებიც. ეს ნორმები, როგორც უფრო სპეციალური ნორმები, 394 I მუხლთან მიმართებით უპირატესობით სარგებლობს. ასეთი სპეციალური ნორმები გვხვდება, მაგ.: 512-ე, 537 I, 548 III, 580 II და 693-ე მუხლებში.

ბ.ბ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა

- 26 გულისხმიერი ქცევის სტანდარტის უგულებელყოფა ვალდებულების დარღვევაა. 316 II მუხლით დადგენილი ეს ვალდებულება მიეკუთვნება ბუნებრივ ვალდებულებათა რიგს (*naturalia negotii*), რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული შეთანხმებაზე. თუმცა გულისხმიერების ვალდებულება შესაძლოა, ასევე გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებით, როგორც ქცევის დამატებითი ვალდებულება. გულისხმიერების ვალდებულება შესაძლოა, ასევე გამომდინარეობდეს ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმებიდან (მაგ., 714 I).
- 27 ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა, გართულდეს გულისხმიერების ვალდებულების გამიჯვნა შესრულების დამატებითი ვალდებულებისაგან, განსაკუთრებით, თუ ეს შესრულების ვალდებულება კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპიდან გამომდინარეობს (იხ. კომენტარი, შესავალი ვალდებულებით სამართალში). ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავება უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ინტერესის დაცვაზე არის მიმართული კონკრეტული ვალდებულება: კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება იცავს შესრულებას და მისგან მომდინარე ინტერესს. ამ ვალდებულების მიზანია იმ სარგებლის ოპტიმიზაცია, რომელსაც კრედიტორი შესრულებიდან კეთილსინდისიერად მოელის. რაც შეეხება გულისხმიერების ვალდებულებას, მისი მიზანია, დაიცვას კრედიტორის ქონება, ჯანმრთელობა და სხვა სამართლებრივად დაცული სიკეთეები, რომლებიც შესრულებასთან უშუალოდ კავშირში არ არის. მაგ., საქონლის ინსტრუქცია ემსახურება ამ საქონლით სარგებლობის იპტიმიზაციის მიზანს, თუმცა ინსტრუქცია შესაძლოა, ასევე შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის მიზანიცაა მომხმარებლისგან იმ ზიანის თავიდან არიდება, რაც ამ საქონლის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს.
- 28 გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ირღვევა კრედიტორის ინტერესი – უცვლელად შეინარჩუნოს არსებულ სიკეთეთა სიმრთელე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისას, როგორც წესი, წარმოიშობა მოთხოვნათა კონკურენცია დელიქტურ სამართალთან. ამ კონკურენციის პირობებში კრედიტორისათვის შესაძლოა, უფრო მოგებიანი იყოს მისი მოთხოვნის არა დელიქტური მოთხოვნის საფუძვლებით, არამედ 394 I მუხლით გამყარება. 394 I მუხლის უპირატესობა ასეთ შემთხვევაში შემდეგ საკითხში გამოიხატება: 394 I 2 მუხლი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის შებრუნებას მოვალისკენ, მაშინ, როცა დელიქტურ სამართალში მტკიცების ტვირთი კრედიტორს აწევს (ამ წესიდან გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს 997-ე მუხლის მე-2 წი-

ნადადება). ანუ კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს როგორც მართლსაწინააღმდეგობა, ასევე ზიანისა და მოვალის ბრალის არსებობა, მაშინ, როცა 394 I 2 მუხლის გამოყენების შემთხვევაში ბრალის ნაწილში მტკიცების ტვირთი მოვალისკენ არის შემობრუნებული.

გ.გ კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულების დარღვევა

კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება, გულისხმობს ვალდებულების მსგავსად, ბუნებრივ ვალდებულებათა რიგს მიეკუთვნება (*naturalia negotii*). გარდა ამისა, კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულება შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულებით, ან გამომდინარეობდეს ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური ნორმებიდან (მაგ., 609, 731).

29

კეთილსინდისიერი შესრულების ვალდებულების შეუსრულებლობით დარღვეული ინტერესი შესაძლოა იყოს როგორც ინტეგრალური, ასევე პოზიტიური. მაგ., თუ მოხმარების ინსტრუქციაში მოვალეს გამორჩევა დანადგარის ექსპლუატაციისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის შედეგადაც დანადგარი დაზიანდება და შეკეთებამდე კრედიტორი ველარ შეძლებს მის მიზნობრივ გამოყენებას, სახეზე იქნება ინტეგრალური ინტერესის დარღვევა და მიყენებული ზიანი ანაზღაურდება 394 I მუხლის საფუძველზე. ხოლო თუ მოვალე საერთოდ არ მიაწვდის კრედიტორს მოხმარების ინსტრუქციას დანადგართან ერთად და ამ ვალდებულებას არც დამატებითი ვადის დაწესების შემდეგ არ შეასრულებს, რის გამოც კრედიტორი იძულებული გახდება, აიყვანოს ექსპერტი, რომელიც მას გააცნობს დანადგარის ფუნქციონირების წესებს, სახეზე იქნება პოზიტიური ინტერესის დარღვევა და დამდგარი ზიანი დამატებით 394 II, III მუხლის საფუძველზე ანაზღაურდება.

30

დ.დ წინასახელშეკრულებო ბრალი

წინასახელშეკრულებო ბრალის მიმართ 394 I მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ კონკრეტული შემთხვევა 317 III მუხლის მოქმედების სფეროში არ ხვდება. თუ მოვალე დანერგავს ნდობას, რომ ხელშეკრულება დაიდება და კრედიტორი ამ ნდობის საფუძველზე გასწევს ხარჯებს, მოვალე ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ხარჯები 317 III მუხლის საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება 394 I მუხლი.

31

III. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (394 I-III)

1. ვალდებულების დარღვევა, რომელიც შეიძლება გახდეს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი

per definitionem 394 II მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევებზე ვრცელდება, როცა შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზეზი მოვალის მიერ ვადის გადაცილებაა. ვადა გადაცილებულად ითვლება, თუკი მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, რომელიც გამყარებულია

32

ნამდვილი, ვადამოსული და უდავო მოთხოვნით (იხ. კომენტარი). როგორც კი მოვალე შეასრულებს ვალდებულებას, ვადის გადაცილება სახეზე აღარ არის და 394 II მუხლის წინაპირობაც ქრება. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მოვალე ახდენს შესრულების საგნის დეპონირებას, ქვითავს ვალდებულებას ან კრედიტორი შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულებას იღებს (*datio pro solutio*).

33 მიუხედავად იმისა, რომ სიცყვასიტყვითი მნიშვნელობით 394 II მუხლი მხოლოდ ვადაგადაცილების შემთხვევებს მოიცავს, ეს მოთხოვნის საფუძველი განვრცობითი განმარტებით ასევე უნდა გავრცელდეს სხვა მოთხოვნებზეც, რომელთა მიზანიც შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებაა (იხ. ზემოთ). ეს არის ის შემთხვევები, როცა ვალდებულება სრულდება არაჯეროვნად, ან არ სრულდება შეუძლებლობის გამო (იხ. კომ. 401).

34 შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების საკითხი შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს იმ შემთხვევაშიც, როცა ვალდებულება სრულდება, თუმცა არაჯეროვნად. თუ, მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებაში მოვალე კრედიტორს აწვდის ნაკლოვან ნივთს და არ ასწორებს ამ ნაკლს დამატებით ვადაში, კრედიტორს წარმოეშობა რამდენიმე ალტერნატიული მოთხოვნა: მას შეუძლია, კიდევ ერთხელ მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ან ახალი ნივთის მიწოდება (490 I); მას შეუძლია, მოითხოვოს ფასის შემცირება (492); ასევე შეუძლია, დააბრუნოს შესრულება და მოითხოვოს **შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება სრულად** (494 I, 407), ან შეინარჩუნოს შესრულება და მოითხოვოს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რამდენითაც ნაკლი შესრულების საგნის ღირებულებას ამცირებს (494 I, 394 I-III, **ზიანის ანაზღაურება არასრული შესრულების ნაცვლად**).

2. აუცილებელი დრო

ა. მოვალისთვის აუცილებელი დროის მიცემა

35 შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე კრედიტორმა მოვალეს უნდა დაუწესოს **აუცილებელი დრო ანუ იგივე დამატებითი ვადა 405 I-ის მნიშვნელობით**. ეს წინაპირობა *pacta sunt servanda* პრინციპის გამომხატულებაა. სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული კოდექსია.²² სწორედ ამიტომ კანონმდებლის მიზანია, გადაარჩინოს ხელშეკრულება, სანამ ეს შესაძლებელია. ამ მიზანს კანონმდებელი მისდევს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რადგან ორივე შემთხვევაში შესრულების ვალდებულებას ანაცვლებს მეორეული ვალდებულება, რაც ხელშეკრულების ბუნების საპირისპიროა. დამატებითი ვადა იცავს მოვალეს და აძლევს მას შანსს, შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც მას არ შეუსრულებია. ამასთანავე, დამატებითი ვადა იცავს კრედიტორს აჩქარებისაგან და უფროთხილდება მის პოზიტიურ ინტერესს, აიძულებს რა

²² ზიძიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 301.

მას, კიდევ ერთხელ მოითხოვოს შესრულება.²³ აქვე უნდა განიმარტოს, რომ აუცილებელი დროის დანიშვნა კრედიტორის უფლებაა და არა ვალდებულება.²⁴ კრედიტორი არ არის ვალდებული, დაანესოს დამატებითი ვადა, თუმცა ამის გარეშე იგი ვერ შეძლებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას (ფაკულტატიური ვალდებულება).

აუცილებელი დროის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საქმის გარემოებათა მიხედვით და მისი გამოთვლა უნდა მოხდეს ორმხრივი ინტერესების შეჯერებით, გონივრულ ფარგლებში (ანალოგია 405 I მუხლიდან).²⁵ 36

ბ. როდის არ არის საჭირო მოვალისათვის აუცილებელი დროის მიცემა

აუცილებელი დროის დაწესების საჭიროება არ არსებობს, თუ სახეზეა 394 III და 405 II ბ მუხლების (ანალოგიით) წინაპირობები. ეს წინაპირობები შემდეგია: 37

აუცილებელი დროის დაწესება არ არის საჭირო, თუ ამკარაა, რომ მას არანაირი შედეგი არ ექნება (394 III 1). მაგ., თუ მოვალე ცალსახად აცხადებს უარს ვალდებულების შესრულებაზე, დამატებითი ვადის დაწესება აზრს იქნება მოკლებული. თუმცა მოვალის უარი უნდა იყოს იმდენად კატეგორიული, რომ აღარ ტოვებდეს მოლოდინს, რომ ვალდებულება შესრულდება. ამასთანავე, მოვალის უარი უნდა იყოს სამართლებრივად დაუსაბუთებელი. თუ მოვალის უარს საფუძვლად უდევს მოვალის დასაბუთებული პრეტენზია (მაგ., იხ. 369), 394 III 1 მუხლი არ გამოიყენება. აუცილებელი დროის დაწესება ასევე უშედეგო იქნება, თუ ვალდებულება არ სრულდება შეუძლებლობის გამო. აზრი არ აქვს დამატებითი ვადის დაწესებას, თუკი სახეზეა ხანგრძლივი ან მუდმივი შეუძლებლობა. მსგავს შემთხვევაში გამართლებულია მეორეულ მოთხოვნაზე დამატებითი ვადის დაწესების გარეშე გადასვლა. 38

მოვალისათვის დამატებითი ვადის მიცემა საჭირო არ არის, თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას (394 III 2). აქ კანონმდებელი მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როცა დამატებითი ვადის დაწესებამ შეიძლება ორივე მხარე დააზიანოს ან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს კრედიტორი. 39

394 III მუხლი არ შეიცავს ერთ-ერთ გამონაკლისს დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებიდან, რომელიც გვხვდება 405 II მუხლში. 405 II ბ მუხლის თანახმად, ე.წ. ფიქსირებულ ვალდებულებათა შემთხვევაში 40

23 მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 89.

24 განსხვავებული პიზიციით იხ. ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 514.

25 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 ნოემბრის № 2ბ/898-12 გადაწყვეტილება.

(*Fixgeschäft*) დამატებითი ვადის დაწესება აუცილებელი არ არის. ფიქსირებულია ვალდებულება, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება კონკრეტული დროისათვის ან კონკრეტულ ვადაში, და მოვალისათვის ცნობილია კრედიტორის ინტერესი ვალდებულების დროული შესრულებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ, რადგან დამატებითი ვადის დაწესების ნაწილში ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების წინაპირობები არ შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, 394 III მუხლი ხარვეზიანია. ეს ხარვეზი ვერ შეივსება 394 III მუხლში მოცემული სხვა საგამონკალისო დათქმების განვრცობის ხარჯზე²⁶ და მისი შევსება უნდა მოხდეს 405 II ბ მუხლის ანალოგიით.

- 41 405 II ბ მუხლის ანალოგიით გამოყენებისას აუცილებელია ორი წინაპირობის გათვალისწინება: ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული დრო, თარიღი ან მოვლენა და მეორე მხარისათვის ნაცნობი უნდა იყოს კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესი უნაკლო და დროული შესრულების მიმართ (405 II ბ).²⁷ ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, ობიექტურად რამდენად მაღალია მოვალის დაინტერესება შესრულების დროული მიღებით.²⁸ აქვე უნდა გაიმიჯნოს ფიქსირებული ვალდებულების ორი შემთხვევა: აბსოლუტურად ფიქსირებული (*absolutes Fixgeschäft*) ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა, როგორც წესი, შეუძლებლობას იწვევს (მაგ., აპარატურის მიწოდება ვერ ხდება პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის) და იგი 405 II ბ მუხლის ქვეშ არ ხვდება (მოქმედებს 405 II ა): შესაბამისად, 405 II მუხლის მოქმედების სფერო მხოლოდ დროში ფარდობითად ფიქსირებული ვალდებულებით შემოიფარგლება (*relatives Fixgeschäft*).

- 42 უსაფუძვლოა 394 III მუხლის კრიტიკა იმ საფუძვლით, თითქოს ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოდიოდეს კრედიტორის უფლებასთან, დაანესოს დამატებითი ვადა და 394 III მუხლის ფორმულირება 394 II მუხლში მოცემულ უფლებას ვალდებულებად გარდაქმნიდეს.²⁹ როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დამატებითი ვადის დაწესება, ერთი მხრივ, კრედიტორის უფლებაა, თუმცა მეორე მხრივ, კრედიტორის ფაკულტატიური ვალდებულებაა. დამატებითი ვადის დაწესებას უკავშირდება კრედიტორის მიერ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, კრედიტორი, მართალია, არ არის ვალდებული, დაანესოს დამატებითი ვადა, მაგრამ მან უნდა დაანესოს დამატებითი ვადა, თუ სურს უფლებრივი უპირატესობის მოპოვება.³⁰ თავის მხრივ, 394 III მუხლი განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც კრედიტორს არ სჭირდება დამატებითი ვადის დაწესება, რათა მოიპოვოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

26 ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 74.

27 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 141.

28 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 144.

29 იხ. ჯანაშია, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 514.

30 ფაკულტატიური ვალდებულების ცნებასთან დაკავშირებით იხ. 316-ე მუხლის კომენტარი.

3. სამართლებრივი შედეგები

დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ან მისი დაწესების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, კრედიტორს ავტომატურად წარმოეშობა შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იგი არ კარგავს უფლებას, კვლავ მოითხოვოს შესრულება (*ius variandi*). თუ კრედიტორი მოითხოვს შესრულებას, იგი დაკარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, სანამ კვლავ არ დადგება 394 I-III მუხლის წინაპირობები, ხოლო თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებას არჩევს, იგი დაკარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას, ამასთანავე, იძულებული იქნება, დააბრუნოს მიღებული შესრულება ან მისი ნაწილი, რათა არ მოხდეს კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრება.

მიუხედავად იმისა, რომ 394 I-III მუხლის წინაპირობათა არსებობისას კრედიტორს ორი მოთხოვნიდან ერთ-ერთის არჩევის უფლება აქვს (ელექტორული კონკურენცია), სახეზე ალტერნატიული ვალდებულება არ არის (იხ. 374). არჩევანის გაკეთება მხოლოდ კრედიტორის, და არა მოვალის, პრეროგატივაა. ასეთ შემთხვევაში მოვალეს ისლა რჩება, რომ კრედიტორის არჩევანს დაელოდოს. კრედიტორის არჩევანმა კი შესაძლოა, დააყოვნოს. ამიტომ მსგავს სიტუაციაში გამართლებულია 405 V მუხლის ანალოგიით გამოყენება. ამ ნორმის საფუძველზე მოვალეს უფლება ეძლევა, კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების გონივრული ვადა დაუდგინოს. თუ მოვალე უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაადგინოს, რატომ არ უნდა მისცეს მას ანალოგიური უფლება, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მიმართ. ორივე შემთხვევაში სამართლებრივი უსაფრთხოებისა და საიმედოობის დამკვიდრების საჭიროება თანაბრადაა სახეზე.

4. 394-ე მუხლის დისპოზიციური ბუნება

ზოგადად, 394-ე მუხლი დისპოზიციური ხასიათისაა. მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით ინდივიდუალურად შეათანხმონ მისგან განსხვავებული პირობები და სამართლებრივი შედეგები. თუმცა 394-ე მუხლის გამომრიცხველი სახელშეკრულებო დათქმები შეიძლება შეიზღუდოს 348 დ, 395 II და 410-ე მუხლებით.

5. 394-ე მუხლიდან წარმოშობილ მოთხოვნათა ხანდაზმულობა


394-ე მუხლიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები. მოძრავი ნივთების შემთხვევაში ეს არის სამი წელი (129 I), ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს (129 II).

IV. 394-ე მუხლის დატვირთვა პროცესში

1. მტკიცების ტვირთი

47 კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოვალემ დაარღვია ვალდებულება და ვალდებულების დარღვევის შედეგად კრედიტორს მიადგა ზიანი.³¹ ეს წესი მოქმედებს გულისხმიერების ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაშიც.³² რაც შეეხება ბრალს (პასუხისმგებლობას), მისი არსებობა იგულისხმება, ხოლო საპირისპიროს მტკიცების ტვირთი აწევს მოვალეს.³³

ზიანის ანაზღაურების ზოგადი მოთხოვნის საფუძვლები



ყველა ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შერაცხვა ხდება სკ-ის 395-ე-397-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო ანაზღაურებადი ზიანის ფორმა განისაზღვრება და დგინდება სკ-ის 408-ე-415-ე მუხლების მიხედვით.

31 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 ნოემბრის № 23/898-12 გადაწყვეტილება.
32 განსხვავებული მოსაზრებით იხ. ცერცვაძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 38.
33 თბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №23/4380-10, 31 მაისი, 2011 წ.

მუხლი 395. ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ წინასწარი შეთანხმების დაუშვებლობა

1. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

I. ნორმის მიზანი და მოქმედების სფერო	598
1. ნორმის მიზანი	598
2. ნორმის დასათაურება	598
3. ნორმის მოქმედების სფერო და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან	598
II. პასუხისმგებლობა (395 I)	599
1. პასუხისმგებლობის შინაარსი და ფუნქცია	599
2. პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაცია	599
3. ბრალეული პასუხისმგებლობა	599
ა. შერაცხვაუნარიანობა	599
ბ. განზრახვა (dolus)	600
ა.ა ცნება	600
ბ.ბ. განზრახვის მნიშვნელობა სამოქალაქო კოდექსში	601
გ.გ გაუფრთხილებლობა	601
ა.ა.ა ცნება	601
ბ.ბ.ბ გაუფრთხილებლობის ტიპოლოგია	603
4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა (მკაცრი პასუხისმგებლობა)	604
ა. სახელშეკრულებო მკაცრი პასუხისმგებლობა	604
ა.ა შეთანხმებული სახელშეკრულებო მკაცრი პასუხისმგებლობა	604
ბ.ბ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე მკაცრი პასუხისმგებლობა	604
ბ. კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა	605
ა.ა კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გასვლისას და შესრულების დაკავებისას	605
ბ.ბ კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა ნასყიდობის და ნარდობის სამართალში	605
გ.გ კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევები	606
5. მსუბუქი პასუხისმგებლობა	607
ა. პასუხისმგებლობის შემსუბუქება ხელშეკრულების საფუძველზე	607
ბ. კანონისმიერი მსუბუქი პასუხისმგებლობა	608

I. ნორმის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ნორმის მიზანი

- 1 395-ე მუხლით დგინდება მოვალისათვის ვალდებულების დარღვევის **სუბიექტური შერაცხვის კრიტერიუმები (Zurechnungsnorm)**. ამ თვალსაზრისით, 395-ე მუხლი არის მოთხოვნის საფუძვლის შემავსებელი, დამხმარე ნორმა და არა დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი.
- 2 იმისათვის, რათა მოვალეს ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება მოეთხოვოს, არ არის საკმარისი, რომ მან ვალდებულება დაარღვიოს (იხ. 394 I 2). **მოვალეს იმავდროულად პასუხისმგებლობაც უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების დარღვევისათვის**. ამით კანონმდებელს შემოაქვს პასუხისმგებლობის ტექნიკური, ვინრო მნიშვნელობის ტერმინი, რომელიც განსხვავდება სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის ამსახველი ზოგადი ტერმინისგან (მაგ., იხ. 3 II). სწორედ ამ ტექნიკური ტერმინის ფარგლებს ადგენს 395-ე მუხლი. ამავე მიზანს ემსახურება 396-ე და 397-ე მუხლები.

2. ნორმის დასათაურება

- 3 395-ე მუხლის დასათაურება რეალურად არ გამოხატავს ამ მუხლის შინაარსს და მნიშვნელობას. ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან წინასწარ გათავისუფლების საკითხი, მართალია, რეგულირდება ამ მუხლის მეორე ნაწილით, თუმცა ეს არ არის ამ მუხლის რეგულირების ძირითადი საგანი. 395-ე მუხლის მთავარი ფუნქციაა, განისაზღვროს პასუხისმგებლობის შინაარსი და ფორმები. შესაბამისად *de lege ferenda*, მიზანშეწონილია, მუხლის დასათაურება ორიენტირებული იყოს მუხლის ძირითად და არა დამატებით ფუნქციაზე.

3. ნორმის მოქმედების სფერო და მისი კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

- 4 394 I 2 მუხლის გარდა, პასუხისმგებლობის ცნება გვხვდება სხვა მუხლებშიც, მაგ., 405 III გ, 494 I, 616-ე, 650-ე, 669 II, III, 675 I, 684 II 6, 686-ე, 742 I, 774-ე მუხლებში, რომლებიც ასევე ხვდება 395-ე მუხლის მოქმედების სფეროში. მოვალის ბრალზე მითითება სახეზეა, მაგ., 317 III, 352 IV ბ, 391-ე, 396-ე, 404-ე, 406 I, 407 II, 423 I 2, 423 II 1, 614 II, 697-ე, 740-ე, 742 II მუხლებში. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმების მაგალითებია: 392, 616, 684 II 6, 686 II, IV, 774, 779-ე მუხლები. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ნორმების მაგალითებია: 393, 396, 402, 650, 651, 669 II III, 675 I, 686 I მუხლები.
- 5 395-ე მუხლი ასევე მოიცავს ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნებსაც (იხ. სზაკ, 65 II, 651, 207).

II. პასუხისმგებლობა (395 I)

1. პასუხისმგებლობის შინაარსი და ფუნქცია

პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მიზანია ვალდებულების დარღვევის ობიექტური ფაქტის სუბიექტური შერაცხვა. პასუხისმგებლობის წინაპირობები სახეზეა, თუ მოვალე მოქმედებდა განზრახვით ან გაუფრთხილებლობით (**ბრალეულობის პრინციპი**¹), თუმცა შეთანხმებიდან ან ვალდებულების არსიდან შესაძლოა, გამომდინარეობდეს უფრო მსუბუქი ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობაც.

პასუხისმგებლობა, როგორც შერაცხვის წინაპირობა (*Vertretenmüssen*), აზრობრივად უნდა გაიმიჯნოს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი ცნებისგან (*Haftung*). ეს უკანასკნელი პასუხობს კითხვაზე, თუ რამდენად შეიძლება, რომ ამა თუ იმ პირს, ზოგადად, დაეკისროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ისე, რომ არ უპასუხოს კითხვაზე, შეერაცხება თუ არა ამა თუ იმ პირს პასუხისმგებლობა. მაგ., 37 III 2 მუხლის თანახმად, „არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით“. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აკონკრეტებს არასამენარმეო იურიდიული პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქონებრივ ფარგლებს და არ საუბრობს იმაზე, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეერაცხოს არაკომერციულ იურიდიულ პირს ვალდებულების დარღვევა.

2. პასუხისმგებლობის ფორმათა გრადაცია

პასუხისმგებლობის სიმკაცრის თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის ფორმები შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა (მკაცრი პასუხისმგებლობა), პასუხისმგებლობა მსუბუქი გაუფრთხილებლობისათვის (მსუბუქი ბრალი), პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის (ბრალეული პასუხისმგებლობის მსუბუქი ფორმა), პასუხისმგებლობა როგორც საკუთართან მიმართებით (*diligentia quam in suis*²), პასუხისმგებლობა უხეში გაუფრთხილებლობისათვის (კვალიფიციური ბრალი), პასუხისმგებლობა განზრახვისათვის (ბრალეული პასუხისმგებლობის მძიმე ფორმა).

3. ბრალეული პასუხისმგებლობა

ა. შერაცხვაუნარიანობა

ბრალის შერაცხვისათვის აუცილებელია, რომ პირი იყოს შერაცხვაუნარიანი. შერაცხვაუნარიანი არ არის პირი, მაგ., 995-ე და 996-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევები მხოლოდ დელიქტურ ვალდებულებებს მოიცავს, ანალოგიით მიზან-

1 ქართულ სამართალში ამ ინსტიტუტის გენეზისთან დაკავშირებით იხ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის უურნალი“, 1/2009, გვ. 78 და შემდგომში.

2 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 209.

შენიშნულია მათი გავრცელება სახელშეკრულებო ვალდებულებებზეც. ამ არგუმენტს ამყარებს 58-ე მუხლიც. თუ ბათილად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება, რომელიც დადებულია ფსიქიკური მოშლილობისას (58), ხოლო ასეთ მდგომარეობაში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ წარმოშობს დელიქტიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (995, 996), ანალოგიური გამონაკლისები უნდა გავრცელდეს იმ ქმედებებზეც, რომელთა შედეგადაც ირღვევა სახელშეკრულებო ვალდებულება.

ბ. განზრახვა (dolus)

ა.ა ცნება

- 10 განზრახვის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. გერმანულ დოქტრინაზე დაყრდნობით, ქართულ ლიტერატურაში განზრახვა განმარტებულია როგორც შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.³
- 11 სისხლის სამართლის მსგავსად, კერძო სამართალშიც განზრახვა შესაძლოა, პირობითად დაიყოს პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად, თუმცა კერძო სამართალში ამ კლასიფიკაციის პრაქტიკული მნიშვნელობა დაბალია.
- 12 განზრახვის აუცილებელი ელემენტია **მართლწინააღმდეგობის ცოდნა ან შეცნობა (კოგნიტიური ელემენტი)**.⁴ მოვალემ უნდა იცოდეს, რომ იგი მოქმედებს მართლწინააღმდეგოდ ან, სულ მცირე, იგი უნდა უშვებდეს მართლწინააღმდეგობის შესაძლებლობას.⁵ თუ პირი ცდება ფაქტობრივ (*error facti*) და სამართლებრივ (*error iuris*) გარემოებებთან დაკავშირებით და მოქმედებს ამ შეცდომის საფუძველზე, მას შეეარაცება მხოლოდ გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა.⁶
- 13 განზრახვის მეორე აუცილებელი ელემენტია **ქმედების და შესაბამისი შედეგის მიღწევის სურვილი (ვოლუნტატური ელემენტი)**.⁷ ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ ეს სურვილი პირდაპირ მიმართული იყოს შედეგზე.⁸ საკმარისია შედეგის დაშვების შესაძლებლობა და, მიუხედავად ამისა, შედეგზე მიმართული ქმედება (**არაპირდაპირი განზრახვა**).⁹

3 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 382; ასევე *ქოჩაშვილი*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 90; *ჭეჭელაშვილი*, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ. 183.

4 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 382; ასევე *ჩიტაშვილი*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 143, 149; გერმანულენოვანი წყაროებიდან იხ.: BGH NJW 1977, 296; BGH NJW 1992, 2014; BGH NJW 1977, 1875.

5 BGH NJW 1965, 962, 963.

6 BGH NJW 1970, 1082.

7 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 382; *ჩიტაშვილი*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 143, 149.

8 BGH WM 1975, 559, 560; BGH NJW 1990, 389, 390

9 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 206.

სამოქალაქო კოდექსი ასევე იცნობს **ბოროტი განზრახვის** ცნებას. 14
 მაგ., 527-ე მუხლის თანახმად, „თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით და-
 მალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს
 აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი“. ნათელია, რომ ეს უბრალო დრა-
 მატიზმი არ არის და ვოლუნტარულ ასპექტში კანონმდებელი ბოროტ გან-
 ზრახვას ჩვეულებრივისგან მიჯნავს. როგორც ჩანს, ბოროტი განზრახვი-
 სას მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევის სურვილი განსაკუთრებით
 ინტენსიურია, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ბოროტი განზრახ-
 ვით არ მოქმედებს ის, ვინც არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს. აქვე
 უნდა ითქვას, რომ მჩუქებლის პრივილეგირება, სამართლებრივი პოლი-
 ტიკის თვალსაზრისით, გაუმართლებელია, მითუმეტეს, რომ სხვა უსას-
 ყიდლო ხელშეკრულებების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ
 განზრახვას უკავშირდება (მაგ., იხ. 617).

ბ.ბ. განზრახვის მნიშვნელობა სამოქალაქო კოდექსში

განზრახვა, როგორც ქმედების შერაცხვის წინაპირობა, სამოქალაქო 15
 კოდექსში ისეთ პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ატარებს, როგორც სის-
 ხლის სამართალში. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარე-
 მოებით, რომ კერძო სამართალში განზრახვა იშვიათად გვხვდება პასუხის-
 მგებლობის დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ ფაქტორად და იშვიათად
 ახდენს გავლენას კერძოსამართლებრივი სანქციის სიმკაცრეზე.

როგორც პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობა, სამოქალაქო 16
 კოდექსში განზრახვა რამდენიმე ადგილას გვხვდება. მაგ., 179 I-ის თა-
 ნახმად, თუ მინის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის
 გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მეზობელი ნაკვეთის
 მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს. განზრახვა ასევე არის პასუხისმგებლობის
 ერთადერთი წინაპირობა 527-ე და 617-ე მუხლების ფარგლებში, რაც ხელ-
 შეკრულების უსასყიდლო ხასიათით არის განპირობებული.

გ.გ გაუფრთხილებლობა

ა.ა.ა ცნება

განზრახვის ცნების მსგავსად, გაუფრთხილებლობის (*neglegentia*) ცნე- 17
 ბაც შედგება **კოგნიტიური** (ცოდნა) და **ვოლუნტატური** (სურვილი) ელე-
 მენტებისგან.¹⁰ თუმცა, ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც
 კოგნიტიური, ასევე ვოლუნტარული ასპექტი ფასდება ნორმატიულად
 და აქცენტი კეთდება არა იმაზე, იცოდა და სურდა თუ არა მოვალეს მა-
 რთლსაწინააღმდეგო სამართლებრივი შედეგის დადგომა, არამედ იმაზე,
 უნდა შეეცნო თუ არა მოვალეს მსგავსი შედეგის დადგომის ალბათობა
 (*Erkennbarkeit*) და უნდა შესძლებოდა თუ არა მას ამ შედეგის თავიდან
 აცილება (*Vermeidbarkeit*).¹¹ შესაბამისად, საბჭოთა პერიოდისგან გან-

10 Grundmann, in MüKo BGB, § 276, Rn. 53.
 11 მაგ., იხ. BGH NJW 1963, 1609; BGH NJW-RR 1996, 980.

სხვაგვებით,¹² დღეს მოქმედი კოდექსით ქმედების შერაცხვა ხდება არა სუბიექტური ნიშნით, არამედ ობიექტურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით.¹³ ამ მიზნით გამოიყენება ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებიაზრობის სტანდარტი.¹⁴

- 18 რა თქმა უნდა, შეფასების მასშტაბები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის სუბიექტები არიან ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეები და ობიექტურად რა მოლოდინი შეიძლება არსებობდეს მათ მიმართ.¹⁵ მაგ., ერთი და იმავე სტანდარტით ვერ შეფასდება შემთხვევითი გამვლელის მიერ ჭრილობის დამუშავებისას დაშვებული შეცდომა და ქირურგის მიერ სტაციონარში დაშვებული ანალოგიური შეცდომა. პირველისგან არ მოველით პროფესიონალური უნარ-ჩვევების გამოვლენას, მაშინ, როცა ექიმის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს პროფესიულ სტანდარტს (*lege artis*). სტანდარტი ზოგადია და არა ინდივიდუალური¹⁶ და მისი შეფასებისას დგინდება მხოლოდ ის, თუ როგორ იმოქმედებდა ბრუნვის ამავე სეგმენტის საშუალო მონაწილე ანალოგიურ სიტუაციაში და არა ის, თუ (მაქსიმუმ) რის გაკეთება შეეძლო კონკრეტულ პირს მისი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.¹⁷ ამ მიდგომის მიზანია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და იმ ნდობის დაცვა, რომელიც ამ ბრუნვაში ჩართულ პირს შეიძლება გონივრულად ჰქონდეს ბრუნვის სხვა მონაწილეებთან მიმართებით. ვინც მართავს მანქანას, მისგან შესაბამის უნარებს მოველით და არ აქვს მნიშვნელობა, დღეს შეისწავლა მან მართვა თუ ოცდაათი წლის წინ;¹⁸ როცა ვინმე კისრულობს ვალდებულებას, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ამა თუ იმ ქმედებას განახორციელებს, მესამე პირი გონივრულად მოელის, რომ დამპირებელს პირობის შესრულების უნარი შესწევს და კანონმდებელმა უნდა დაიცვას ეს მოლოდინი. ბუნებრივია, რომ ამ ნდობის სუბიექტური ფაქტორებით განეიტრალება არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა კრედიტორს და მოახდენდა სამოქალაქო ბრუნვის სტანდარტის ინდივიდუალიზაციას. შედეგად, სამოქალაქო ბრუნვის იმდენივე სტანდარტი იარსებებდა, რამდენიც მისი მონაწილე იქნებოდა. ეს კი სამოქალაქო ბრუნვას არასტაბილურ,

12 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 370.

13 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 384; *ჩიტაშვილი*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 143, 148; გერმანულენოვანი წყაროებიდან იხ.: *Grundmann*, in *MüKo BGB*, §276 Rn 54; *Unberath*, in *Beck OK BGB* § 276, Rn. 20; *Wolf*, in *Soergel BGB* § 276, Rn. 75; *Löwisch*, in *Staudinger BGB* § 276, Rn. 23.

14 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის N 28/4380-10 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ქოჩაშვილი*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 89 და შემდგომი.

15 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 206.

16 *ბათიძე*, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, IV, 2015, გვ. 34.

17 *BGH NJW* 1981, 1603; *BGH NJW* 2000, 2812, 2813. ქართული ლიტერატურიდან იხ. *ქოჩაშვილი*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 90.

18 *BGH VersR* 1968, 395; 1958, 268.

ქაოსურ სივრცედ გადააქცევდა და მნიშვნელოვნად შეამცირებდა მასში მონაწილეობის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესს.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებიანობის უგულებელყოფასთან ერთად გაუფრთხილებლობის აუცილებელ ელემენტად მიჩნეულია **ბრუნვისათვის დამახასიათებელი** ყურადღებიანობის¹⁹ ან წინდახედულების²⁰ სტანდარტის უგულებელყოფა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღებიანობა, რომელიც ბრუნვის რომელიმე სექტორისათვის თეორიულად აუცილებელია, შესაძლოა, ამ სექტორს პრაქტიკულად არ ახასიათებდეს; ან პირიქით, ის ქცევა, რომელიც ბრუნვის მონაწილეებში გავრცელებულია და მათთვის დამახასიათებელია, ყოველთვის შეიძლება არ იყოს ბრუნვისათვის აუცილებელი.²¹ სწორედ ამიტომ ბრუნვისათვის ამა თუ იმ ქცევის დამახასიათებლობა არ უნდა იქნეს ალბუელი ყურადღებიანობის უპირობო კრიტერიუმად; თუმცა ის შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გაუფრთხილებლობის შეფასებისას.²²

19

ბ.ბ.პ გაუფრთხილებლობის ტიპოლოგია

გაუფრთხილებლობა შეიძლება იყოს **მარტივი (culpa lata)** ან **უხეში (culpa levissima)**. უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როცა პირი **განსაკუთრებით მაღალი ხარისხით არღვევს ბრუნვისათვის აუცილებელ ყურადღებიანობას**.²³ ყველა სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ პირი მოქმედებდა უბრალო გაუფრთხილებლობით. როგორც წესი, მარტივი გაუფრთხილებლობა საკმარისია ქმედების შერაცხვისათვის და კანონმდებელი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ეყრდნობა უხეში გაუფრთხილებლობის ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, უხეშ გაუფრთხილებლობას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანაბრალეულობის შემთხვევაში (იხ. 415-ე მუხლის კომენტარი).

20

19 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 384.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის N 22/4380-10 გადაწყვეტილება.

21 მაგალითისათვის იხ. BGH NJW 1953, 257 (დანტისტმა პაციენტს პირში არ მოუთავსა ბამბა, რის შედეგადაც პაციენტს გადაეყლაპა ნერვის დასამუშავებელი ნემსი. მიუხედავად იმისა, რომ ექიმს პაციენტის პირში ბამბის განთავსება არ სჭირდებოდა პირის ღრუს სიმშრალის უზრუნველყოფის მიზნით და, როგორც წესი, ბამბის განთავსება პაციენტის პირის ღრუში სწორედ ამ მიზნით ხდება, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბამბის განთავსება უსაფრთხოების მიზნებისთვისაც აუცილებელი იყო).

22 იხ. მაგ., BGH NJW 1965, 426; BGH NJW 1976, 1353.

23 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 385 და შემდგომი; ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 208.

4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა (მკაცრი პასუხისმგებლობა)

ა. სახელშეკრულებო მკაცრი პასუხისმგებლობა

ა.ა შეთანხმებული სახელშეკრულებო მკაცრი პასუხისმგებლობა

- 21 ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება პირდაპირ გაითვალისწინონ, რომ მათი პასუხისმგებლობა მკაცრია, ანუ ბრალზე დამოკიდებულია.
- 22 გამონაკლის შემთხვევებში ხელშეკრულებით დადგენილი მკაცრი პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს ან გაბათილდეს 8 III, 54-ე, 55-ე, 346-ე მუხლებზე დაყრდნობით.

ბ.ბ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე მკაცრი პასუხისმგებლობა

- 23 ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შესაძლოა, დგინდებოდეს ხელშეკრულების განმარტებით. თუ მოვალე კისრულობს ვალდებულებას, „უპირობოდ“, „ყველა შემთხვევაში“, ესა თუ ის ქმედება განახორციელოს, ან კონკრეტულ შედეგს მიაღწიოს, ის გასცემს გარანტიას, რომლის შეუსრულებლობაც მკაცრ პასუხისმგებლობას იწვევს (*Garantiehftung*). ეს წესი მოქმედებს როგორც ინდივიდუალური, ასევე გვაროვნული ვალდებულების შემთხვევაში. მაგ., თუ გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი კონკრეტულ ვადაში მყიდველამდე მიაღწევს, მიუხედავად იმისა, რომ 404-ე მუხლით ვადის გადაცილებისათვის გათვალისწინებულია ბრალეული პასუხისმგებლობა, ალბულის გარანტიის საფუძველზე გამყიდველს შეეარაცხება მკაცრი პასუხისმგებლობა დათქმული ვადის გადაცილებისათვის.
- 24 მკაცრი პასუხისმგებლობა შეიძლება საგნის აუცილებელ თვისებაზე შეთანხმებიდანაც გამომდინარეობდეს (*Beschaffenheitsgarantie*).²⁴ ამრიგად, თუ მოვალე კისრულობს გარანტიას საქონლის შესაბამისი თვისებების შესახებ, იგი იბოჭება ამ გარანტიით (მაგ., იხ. 653).²⁵
- 25 აილო თუ არა მოვალემ ამა თუ იმ მომსახურების განევის ან ამა თუ იმ თვისების მქონე საქონლის მიწოდების გარანტია, ხელშეკრულების განმარტებით უნდა დადგინდეს. მკაცრი პასუხისმგებლობა შესაძლოა, გამომდინარეობდეს კონკრეტული დათქმიდან ან ხელშეკრულების სისტემური განმარტებიდან. პასუხისმგებლობის ეს ფორმა შესაძლოა, ასევე გამომდინარეობდეს მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკიდან.
- 26 მკაცრი პასუხისმგებლობა საკმაოდ მძიმე სამართლებრივ შედეგებს იწვევს მოვალისათვის. მკაცრი პასუხისმგებლობის პირობებში მოვალე შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მაშინაც კი არ თავისუფლდება, თუ, მაგ., შესრულება შეუძლებელი გახდება მისი ბრალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოვალე, მართალია, გათავისუფ-

24 იხ. BGH NJW 2007, 1346.

25 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 53.

ლდება შესრულების ვალდებულებისაგან, თუმცა მას დაეკისრება პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.

მკაცრი პასუხისმგებლობა შესაძლოა ასევე ვალდებულების ბუნებიდანაც გამომდინარეობდეს. მაგ., 382-ე მუხლში განმარტებულია, რომ გვაროვნული ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს, თუ იგი შესრულებადია. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მხარეებს არ შეუთანხმებიათ მკაცრი პასუხისმგებლობა, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება გვაროვნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი მისი შესრულება, ფაქტობრივად, შესაძლებელი იყო (ბაზარზე მოიპოვებოდა საქონელი, რომელიც შეთანხმების საგანი იყო). ეს წესი მოქმედებს ფულად ვალდებულებასთან მიმართებითაც, რომელიც გვაროვნულ ვალდებულებას მიეკუთვნება და ბაზარზე, როგორც წესი, შეუზღუდავად მოიპოვება. ამრიგად ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა იმ მოტივით, რომ მოვალეს ფული აღარ აქვს, პრაქტიკულად ყოველთვის მკაცრ პასუხისმგებლობას იწვევს.

ბ. კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა

ა.ა კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გასვლისას და შესრულების დაკავებისას

კრედიტორს უფლება აქვს, 405-ე მუხლის წინაპირობათა არსებობის შემთხვევაში გავიდეს ხელშეკრულებიდან, მიუხედავად მოვალის ბრალისა.²⁶ ასევე ბრალისგან დამოუკიდებლად ხდება 398-ე და 399 I მუხლებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება (თუმცა ორივე შემთხვევაში ბრალეულობა გასათვალისწინებელია მხარეთა ინტერესების შეჯერებისას). მოვალის ბრალის გარეშე წარმოიშობა საპასუხო შესრულების დაკავების უფლება (369).

ბ.ბ კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა ნასყიდობის და ნარდობის სამართალში

კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობა დადგენილია 396-ე და 397-ე მუხლებით. იგივე შეიძლება ითქვას სზაკ-ის 207-ე მუხლზე. მკაცრი პასუხისმგებლობა ასევე დამახასიათებელია ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა მთელი რივისათვის. მაგ., ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებაში ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება კრედიტორს წარმოეშობა, მიუხედავად მოვალის ბრალისა (492, 645). იგივე წესი მოქმედებს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნასთან მიმართებითაც (490 I, 642 I, 643 I). მოვალე ვალდებულია, დამატებით შეასრულოს ანუ გამოასწოროს ნაკლი, მიუხედავად ბრალისა.

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის N 2ბ/4380-10 გადაწყვეტილება; განსხვავებული პოზიციით იხ. მაგ., ქონაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 92 და შემდგომი.

გ-გ კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევები

- 30 მკაცრი პასუხისმგებლობა გვხვდება ქირავნობის ხელშეკრულებებში. მაგ., თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს, მისი ბრალის მიუხედავად, ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო (536 I). ეს წესი 581 II მუხლის ძალით მოქმედებს იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაშიც.
- 31 მკაცრი პასუხისმგებლობა ასევე ხშირია გადაზიდვის ხელშეკრულებებში. გადამზიდავის მკაცრი პასუხისმგებლობა სახეზეა 669-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ურთიერთქმედებისას. 669 I მუხლის თანახმად, გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანის გამო, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამონვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით. აქედან გამომდინარე, უნდა დავუშვათ, რომ პასუხისმგებლობა დადგება ყველა სხვა შემთხვევაში, რომელიც არ ხვდება 669 II მუხლის საგამონაკლისო დათქმის ქვეშ, მათ შორის შემთხვევითობის დროსაც, თუ ეს შემთხვევითობა არ არის გამონვეული დაუძლეველი ძალით. იგივე დასკვნა გამომდინარეობს 686-ე მუხლიდან, რომელიც ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში გადამზიდავის პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს.
- 32 ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ასევე გვხვდება დავალების ხელშეკრულებაში. მაგ., 718-ე მუხლის თანახმად, მარწმუნებელი მოვალეა, აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანი (ამ ნორმის კონტექსტის გათვალისწინებით, მართებული იქნებოდა, ზიანის ნაცვლად, ხარჯის ცნების გამოყენება), რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო. ასევე, 778-ე მუხლის თანახმად, სასტუმრო, სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი პასუხს აგებენ ზიანისათვის, რომელიც მიადგა სტუმარს იმ ქონების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით, რომელიც მას თან ჰქონდა, გარდა ფულისა და ძვირფასეულობისა.
- 33 კანონისმიერი მკაცრი პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევებია: მაგ.: პასუხისმგებლობა სხვა იურიდიული პირის სახელწოდების მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობისათვის (27 IV (სადავოა)), პასუხისმგებლობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლისათვის (113 II). მკაცრი პასუხისმგებლობა ასევე სახეზეა 57 II, 402-ე მუხლების შემთხვევებში.

5. მსუბუქი პასუხისმგებლობა

ა. პასუხისმგებლობის შემსუბუქება ხელშეკრულების საფუძველზე

პასუხისმგებლობა შესაძლოა, შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხარეთა შეთანხმებით. ასეთი შეთანხმება შესაძლოა, დათქმის სახით გათვალისწინებული იყოს ძირითად ხელშეკრულებაში ან ცალკე ხელშეკრულების სახით შედგეს. პასუხისმგებლობის შეზღუდვა/გამორიცხვა შესაძლოა, მოხდეს როგორც *ratione personae* (მაგ., პასუხისმგებლობის გამორიცხვა დამხმარე პირთა ქმედებისათვის), ასევე ქმედებებისა და მათი შედეგების კუთხით (მაგ., პასუხისმგებლობის გამორიცხვა ცალკეული კატეგორიის ზიანისათვის, იხ. 410-ე მუხლი).

გარკვეულ შემთხვევებში კანონი ზღუდავს პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესაძლებლობას. ერთ-ერთი ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია 395 II მუხლით, რომლის თანახმად, დაუშვებელია შეთანხმება განზრახი მოქმედებით გამონეული ზიანის ანაზღაურებისაგან მოვალის გათავისუფლების შესახებ. ამ შეზღუდვის მიზეზია, რომ ის პრინციპულად ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ მხარეთა ურთიერთნდობის, კეთილსინდისიერების პრინციპებს და კანონით შეზღუდულია.²⁷ სტანდარტული პირობების გამოყენებისას პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმება ასევე დაუშვებელია უხემ გაუფრთხილებლობასთან მიმართებითაც (348 „ვ“).

ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში კანონმდებელი პასუხისმგებლობის შეზღუდვა/გამორიცხვის საკითხს საგანგებოდ არეგულირებს. მაგ., 664-ე მუხლის თანახმად, მოგზაურობის მომწყობს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია, შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუ დაეუშვებთ, რომ სპეციალური გამონაკლისის არსებობა სხვა გამონაკლისებს გამორიცხავს (*inclusio unius est exclusio alterius*), უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა გამონაკლისები ტურისტული ხელშეკრულების შემთხვევაში არ დაიშვება.

რამდენადაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის/გამორიცხვისას მოთხოვნის უფლება საერთოდ არ წარმოიშობა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა/გამორიცხვაზე მიმართული დათქმები უნდა განვასხვავოთ ისეთი შეთანხმებებისგან, რომელთა მიხედვით კრედიტორი უარს ამბობს ან უკვე წარმოშობილი უფლების განხორციელებაზე (*pactum de non petendo*), ან უთმობს არსებულ მოთხოვნას მოვალეს (კონფუზია).

²⁷ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 395, გვ. 391; ქორაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 95.

ბ. კანონისმიერი მსუბუქი პასუხისმგებლობა

- 38 პასუხისმგებლობის კანონისმიერი შეზღუდვა შესაძლოა, გამოიხატოს სხვადასხვა პრივილეგიაში. მაგ. პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევებით, როცა მოვალე მოქმედებს განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით (მაგ., 392-ე, 616-ე მუხლები); ან ობიექტური სტანდარტი შეიცვალოს სუბიექტურით, როცა მოვალის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მისთვის დამახასიათებელი ყურადღებიანობით (მაგ., 765-ე მუხლი, *diligentia quam in suis*);²⁸ ან მოვალე გათავისუფლდეს 396-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობისგან და მოვალის პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს მესამე პირის შერჩევისას გამოვლენილი ყურადღებიანობით (მაგ., 711 II, *culpa in eligendo*).
- 39 ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აუცილებელი წინდახედულების სტანდარტი მსუბუქდება იმ ურთიერთობებში, სადაც მხარეებად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტები გვევლინებიან (მაგ., მეუღლეები, მშობლები).²⁹ რადგან მსგავს შეზღუდვას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, ეს მოსაზრება ნაკლებად მისაღებია სახელშეკრულებო ურთიერთობების მონესრიგებისას.

28 ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 94. თუმცა პასუხისმგებლობის შემსუბუქების უკიდურესი ზღვარი აქაც უხეში გაუფრთხილებლობაა.

29 ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 143, 153.

მუხლი 396. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის

მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

- I. ზოგადად609
 - 1. 396-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში609
 - 2. ნორმის მიზანი610
 - 3. 396-ე მუხლის მოქმედების სფერო.....610
- II. ძირითადი ცნებები.....610
 - 1. კანონიერი წარმომადგენელი და დამხმარე პირები.....610
 - ა. კანონიერი წარმომადგენელი.....610
 - ბ. დამხმარე პირები.....611
 - 2. შესასრულებელ ვალდებულებათა წრე.....612
 - 3. მესამე პირის ბრალის შერაცხვა612
- III. 396-ე მუხლის დატვირთვა პროცესში613

I. ზოგადად

1. 396-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

396-ე მუხლი მოვალეზე პასუხისმგებლობის სუბიექტური შერაცხვის საფუძველია. ის არის დამხმარე ნორმა და არა მოთხოვნის საფუძველი.¹ ამ ფუნქციის ფარგლებში 396-ე მუხლი ავსებს 395-ე მუხლს და აფართოებს მოვალის პასუხისმგებლობის სფეროს. ნორმის კონცეფციის თანახმად, თუ მოვალე საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად იყენებს მესამე პირებს, მაშინ იგი პასუხს აგებს მათი ქმედებებისთვის, ისევე, როგორც საკუთარისთვის. შედეგად, მოვალის პასუხისმგებლობის სფერო ფართოვდება როგორც ხარისხობრივად (მოვალე პასუხს აგებს საკუთარი ბრალის გარეშე), ასევე პირთა წრის მიხედვით (მოვალე პასუხს აგებს სხვათა ქმედებისთვისაც). მოვალის პასუხისმგებლობა დამხმარე პირთა ქმედებისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის ფორმაა.² მოვალე პასუხს აგებს სხვისი ბრალისთვის,³ მიუხედავად საკუთარი ბრალის არარსებობისა. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, მესამე პირის ქმედება მოვალის უყურადღებო არჩევანმა გამოიწვია თუ არა. 396-ე მუხლის მიზნებისთვის

1 ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 60.
 2 თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 94.
 3 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 72; ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 60.

მოვალის პასუხისმგებლობის საფუძველი არ არის ბრალი, რომელიც მან მესამე პირის შერჩევაში გამოავლინა (*culpa in eligendo*).⁴

2. ნორმის მიზანი

- 2 ნორმის მიზანია, დაიცვას კრედიტორის ლეგიტიმური ინტერესები. ეს ინტერესი დაირღვეოდა, თუ მოვალეს მიეცემოდა საშუალება, თავი დაეხსნა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან იმ მოტივით, რომ ვალდებულება არა მან პირადად, არამედ მესამე პირმა დაარღვია, მაშინ, როცა მესამე პირი სწორედ ამ უკანასკნელმა ჩართო ხელშეკრულების შესრულების პროცესში. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების საკითხი კრედიტორთან შეთანხმებული იყო.

3. 396-ე მუხლის მოქმედების სფერო

- 3 396-ე მუხლი, სახელშეკრულებო წმინდა ურთიერთობებთან ერთად, ასევე ვრცელდება სანივთოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობებზე (მაგ., ვალდებულებითი ურთიერთობანი მესაკუთრესა და გირავნობის კრედიტორს შორის (იხ. 261)). დელიქტის და მასთან გათანაბრებულ შემთხვევებში 396-ე მუხლის ადგილს იკავებს 997-ე მუხლი, როგორც უფრო სპეციალური ნორმა.⁵

II. ძირითადი ცნებები

1. კანონიერი წარმომადგენელი და დამხმარე პირები

ა. კანონიერი წარმომადგენელი

- 4 კანონიერი წარმომადგენელი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილ შემთხვევებში უფლებამოსილია, ბენეფიციარის სახელით დადოს გარიგებები, ან განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები. კანონიერი წარმომადგენლის ბრალი იმ შემთხვევაშიც შეეარაცება მოვალეს, თუ კანონიერი წარმომადგენელი არა მხოლოდ პასუხისმგებელი იყო შესრულებაზე, არამედ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი ხელშეკრულების ინიცირება და დადებაც მის მიერ მოხდა.⁶ კანონისმიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილებით სარგებლობენ, მაგ., მშობლები არასრულწლოვან შვილებთან მიმართებით (1198 VI). ამასთანავე, 396-ე მუხლის მნიშვნელობით **კანონიერი წარმომადგენლის ცნება შეიძლება უფრო ვრცლადაც** იქნეს გაგებული. ამ ცნებაში შეიძლება მოვიაზროთ ყველა ის პირი, რომელთაც კანონით აქვთ მინიჭებული უფლება, მესამე

4 განსხვავებული პოზიციით იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 396, გვ. 395; ამ მოსაზრების კრიტიკისთვის ასევე იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 211.

5 განსხვავებული მოსაზრებით იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 396, გვ. 393.

6 განსხვავებული მოსაზრებით იხ. *სუხიტაშვილი*, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2011, გვ. 88, 95.

პირის სახელით იმოქმედონ.⁷ ასეთი უფლებამოსილება აქვთ, მაგ., გაკოტრების მმართველს და აღმასრულებელს. რაც შეეხება იურიდიული პირის მმართველ ორგანოებსა და მმართველ სუბიექტებს, მათზე 396-ე მუხლი არ ვრცელდება, რამდენადაც ამ პირთა ქმედება იურიდიულ პირს თავისთავად საკუთარ ქმედებად შეეარაცხება.⁸

ბ. დამხმარე პირები

ვალდებულებათა შესრულების პროცესში, კანონიერი ნარმომადგენლის გარდა, შესაძლოა, ასევე ჩართული იყოს მესამე პირი – **დამხმარე**. ასეთ შემთხვევაში 396-ე მუხლის მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მესამე პირი ვალდებულების შესრულების პროცესში ჩართული **კრედიტორის ნებით**,⁹ ანუ კრედიტორი მას ვალდებულების შესრულების მიზნით იყენებს თუ არა. ამასთანავე, არა აქვს მნიშვნელობა, დამხმარე მოვალესთან იმყოფება შრომით თუ სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ვალდებულების შესრულებაში ჩართულია სასაყიდლოთ თუ სასაყიდლის გარეშე.¹⁰

დამხმარე პირთაგან უნდა გაიმიჯნონ ის პირები, **რომელთაგან მოვალე თავად იღებს შესრულებას, რათა შემდგომში შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება**. ეს პირები არიან **მიმნოდებლები** და არა დამხმარენი და ისინი ხვდებიან 397-ე მუხლის მოქმედების სფეროში. თუმცა მათი სტატუსი შესაძლოა, იცვლებოდეს გარემოებათა მიხედვით. მაგ., თუ გამყიდველის დავალებით მიმნოდებელი თავად უზრუნველყოფს მყიდველისათვის საქონლის მიწოდებას, ვალდებულების შესრულების ამ ასპექტში მიმნოდებელი ხდება დამხმარე 396-ე მუხლის მნიშვნელობით.¹¹

ცალკეულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შემთხვევაში კანონი უშვებს ვალდებულების შესრულების გადანდობის შესაძლებლობას. გადანდობის შემთხვევაში ვალდებულებით ურთიერთობაში შემოდის სუროგატი შემსრულებელი, რომელიც არ არის დამხმარე 396-ე მუხლის მნიშვნელობით.¹² მაგ., დავალების მიმღებს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია, დავალების შესრულება გადაანდოს მესამე პირს (711 I). ასეთ შემთხვევაში რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის მესამე პირის შერჩევაში (*culpa in eligendo*).¹³ ეს საგამონაკლისო წესი ასევე გვხვდება მინდობის (724 და მომდევნო მუხლები) და მიბარების (იხ. 766) ხელშეკრულებებში.

7 BGH NJW 1958, 670, 671.

8 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 396, გვ. 394.

9 BGH NJW 1954, 1193.

10 Lorenz, Beck OK BGB, § 278, Rn. 11.

11 Lorenz, Beck OK BGB, § 278, Rn. 27.

12 განსხვავებული მოსაზრებით იხ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 396, გვ. 395.

13 ასევე იხ. ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ. 78, 102.

2. შესასრულებელ ვალდებულებათა წრე

- 8 მესამე პირთა ჩართვა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ტიპის ვალდებულებათა შესრულების პროცესში. ეს შეიძლება იყოს ძირითადი, დამატებითი ან წინასახელშეკრულებო ან ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულება. 396-ე მუხლი ასევე ვრცელდება 316 II მუხლიდან გამომდინარე ქცევის ვალდებულებებზე.
- 9 396-ე მუხლის მოქმედებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, ჰქონდა თუ არა მოვალეს ვალდებულების შესრულების პროცესში მესამე პირთა ჩართვის უფლება (იხ. 371). თუ მას ამის უფლება არ ჰქონდა, მითუმეტეს შეერაცხება მესამე პირის ბრალი.
- 10 ვალდებულების ცნება 396-ე მუხლის მიზნებისათვის უნდა განიმარტოს ვრცლად და მასში ასევე მოაზრებულ უნდა იქნეს ე.წ. ფაკულტატიური ვალდებულებები.¹⁴ მაგ., 396-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს 495-ე მუხლით გათვალისწინებულ საქონლის ინსპექტირების მესამე პირზე გადაბარების შემთხვევაშიც. თუ მესამე პირი ინსპექტირების (ფაკულტატიურ) ვალდებულებას თავს ვერ გაართმევს, 396-ე მუხლის ძალით მისი ქმედება შეერაცხება კრედიტორს.
- 11 396-ე მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ვალდებულების შესრულების პროცესში უშუალოდ არიან ჩართულები, ეს ნორმა ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ვალდებულების შესრულების პროცესში მხოლოდ პასიური ფუნქცია აქვთ. მაგ., ქირავნობის ხელშეკრულებაში მოქირავნესთან ერთად მცხოვრები პირები შეიძლება უშუალოდ არ იყვნენ ჩართული მოქირავნის ვალდებულებათა შესრულების პროცესში, თუმცა ისინი მაინც ხვდებიან 396-ე მუხლის მოქმედების სფეროში, რადგან მოვალის მიერ პასიურ ვალდებულებათა შესრულების პროცესის მონაწილეები არიან. შესაბამისად, თუ მათი ბრალეული ქმედების შედეგად დაზიანდება ქირავნობის საგანი, მოქირავნეს შეერაცხება მათი ბრალი, როგორც საკუთარი.

3. მესამე პირის ბრალის შერაცხვა

- 12 მესამე პირის ბრალის შერაცხვადობისათვის გადამწყვეტია მესამე პირის და არა კრედიტორის შერაცხვადობაუნარიანობა.¹⁵ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში წარმომადგენლის/დამხმარე პირის ქცევის სტანდარტი დგინდება იმ საზომით, რომლის ფარგლებში მოქმედებაც მოვალეს მოეთხოვებოდა, თუმცა, თუ დამხმარე პირის სტანდარტი უფრო მაღალია და სწორედ ეს სტანდარტი გახდა მისი ვალდებულების შესრულებაში ჩართვის მიზეზი, მაშინ სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს ეს სტანდარტიც.¹⁶

14 ფაკულტატიური ვალდებულების ცნებასთან დაკავშირებით იხ. 316-ე მუხლის კომენტარი.

15 Lorenz, Beck OK BGB, § 278, Rn. 48.

16 მაგ., იხ. BGH NJW 1991, 2556.

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას 396-ე მუხლი არ ითვალისწინებს, თუმცა ეს შესაძლებელი უნდა იყოს, თუ ამით არ ირღვევა კანონით დადგენილი შეზღუდვები (მაგ., 395 II). 13

III. 396-ე მუხლის დატვირთვა პროცესში

კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მესამე პირი მოვალის დამხმარე იყო. რაც შეეხება მესამე პირის ბრალის მტკიცებას, 394 I მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მესამე პირის პასუხისმგებლობა იგულისხმება, ხოლო საპირისპიროს მტკიცების ტვირთი გადადის მოვალეზე. 14

მუხლი 397. მოვალის პასუხისმგებლობა შესრულების საგნის სხვა პირისაგან მიღებისას

მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

I. ზოგადად.....	614
II. ძირითადი ცნებები.....	614
1. მოვალის პასუხისმგებლობა.....	614
2. მესამე პირი.....	615
3. შესრულების საგანი.....	615
4. პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა.....	615

I. ზოგადად

397-ე მუხლით კანონმდებელი აზუსტებს მოვალის პასუხისმგებლობის სფეროს: მოვალე პასუხისმგებელია შეუსრულებლობისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი მას მესამე პირისგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო. ამით მოვალეს ერთმევა უფლება, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს მესამე პირის მხრიდან შესრულების საგნის მიუწოდებლობით ან ნაკლოვანი საგნის მიწოდებით.

- 1 397-ე მუხლი გამოიყენება, თუ სახეზეა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობილია 317 I, II მუხლით განსაზღვრული წესით. ეს ნორმა ასევე ვრცელდება სანივთოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე (მაგ., ვალდებულებითი ურთიერთობანი მესაკუთრესა და გირავნობის კრედიტორს შორის (იხ. 261)).
- 2 397-ე და 396-ე მუხლები ავსებენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ 397-ე მუხლი აფართოებს 396-ე მუხლის მოქმედების სფეროს იმ პირებზე, რომლებიც ვალდებულების შესრულებაში უშუალოდ არ არიან ჩართულები, თუმცა მონაწილეობენ შესრულების საგნის უზრუნველყოფაში.

II. ძირითადი ცნებები

1. მოვალის პასუხისმგებლობა

- 3 *ratione materiae* 397-ე მუხლი შერაცხვის ნორმაა. მართალია, ეს ნორმა არ განსაზღვრავს, თუ როდის ეკისრება მოვალეს პასუხისმგებლობა და როდის არა, თუმცა მისგან გამომდინარეობს, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგები კრედიტორის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება.

2. მესამე პირი

მესამე პირები შეიძლება იყვნენ მოვალის კანონიერი წარმომადგენლები, დამხმარე პირები ან მიმწოდებლები, რომელთაგანაც მოვალეს შესრულების საგანი უნდა მიეღოს.¹ ცალკეულ შემთხვევაში ეს პირები ერთდროულად შეიძლება იყვნენ როგორც შესრულების ან შესრულებისთვის აუცილებელი მასალის მიმწოდებლები მოვალისთვის (397), ასევე შემსრულებლები (396). გადამწყვეტია, თუ კონკრეტულ მომენტში რომელ ამპლუაში მოქმედებდნენ ისინი. მაგ., მოვალემ შესრულების საგნის დასამზადებლად საჭირო მასალა დაუკვეთა მესამე პირს. მას შემდეგ, რაც შესრულების საგანი დამზადდა, მოვალემ ამავე პირს დაავალა შესრულების საგნის კრედიტორისათვის მიწოდება. პირველ შემთხვევაში, მოვალეს მესამე პირის ქმედებები შეეარაცხება 397-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოიყენება 396-ე მუხლი.

3. შესრულების საგანი

შესრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ნივთი, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მაგ., მომსახურება). მიუხედავად იმისა, რომ 997-ე მუხლში საუბარია მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როცა მოვალეს შესრულების საგანი მესამე პირისგან უნდა მიეღოს, თავისი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, ეს ნორმა ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა მესამე პირი ვალდებულია, მიანოდოს მოვალეს არა შესრულების საგანი, როგორც ასეთი, არამედ შესრულების საგნის ნაწილი ან შესრულების საგნის დასამზადებლად აუცილებელი ელემენტები. ეს ნორმა ასევე მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როცა მესამე პირი მოვალეს აწვდის ნაკლოვან შესრულების საგანს ან შესრულების საგნის დასამზადებლად საჭირო ელემენტებს, რის შედეგადაც მოვალე დროულად ვერ ახორციელებს შესრულებას ან ახორციელებს ნაკლოვან შესრულებას.

4. პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან გამორიცხვა

მხარეებს უფლება აქვთ, გამორიცხონ ან შეზღუდონ 397-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის გამორიცხვა შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან ან საქმის გარემოებებიდან.

1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის N 2b/4486-10 გადაწყვეტილება.

მუხლი 398. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

- I. ზოგადად616
 - 1. 398-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში616
 - 2. 398-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი მიმართება სხვა ნორმებთან617
 - 3. შეცვლილი გარემოებები და სახელშეკრულებო დათქმები.....617
- II. ძირითადი ცნებები.....618
 - 1. ხელშეკრულების საფუძველი618
 - 2. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის არსებითობა619
 - 3. დამატებითი წინაპირობები.....620
 - 4. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ცალკეული შემთხვევები621
 - ა. სახელშეკრულებო ეკვივალენტურობის რღვევა621
 - ბ. ხელშეკრულების მიზნობრიობის რღვევა622
 - გ. ერთობლივი შეცდომა მოტივში622
- III. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის სამართლებრივი შედეგები.....623
- IV. ნორმის დატვირთვა პროცესში624

I. ზოგადად

1. 398-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

1 ხელშეკრულება უნდა შესრულდეს ისე, როგორც შეთანხმდა (*pacta sunt servanda*). თუმცა, თუ გარემოებათა ცვლილების შედეგად ხდება ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა, ნდობისა და კეთილსინდისიერების

მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაძლოა, გამართლებული იყოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ხოლო, თუ მისადაგება არ ხერხდება – სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა. სწორედ ამ მიდგომას განასახიერებს და შესაბამის წინაპირობებს ადგენს 398-ე მუხლი, რომელიც ნაწარმოებია კეთილსინდისიერების პრინციპიდან² და კანონიკური სამართლის ზოგადი პრინციპით – *clausula rebus sic standibus* – არის ნაკარნახევი.³ ამ პრინციპის თანახმად, ვალდებულება მბოჭველია იმდენად, რამდენადაც სახეზეა ის პირობები, რა პირობებშიც ხელშეკრულება დაიდო, ხოლო თუ ეს პირობები იცვლება, მხარეს, რომლის ინტერესებიც შეცვლილი პირობების შედეგად შეუსაბამოდ ირღვევა, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.⁴

2. 398-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი მიმართება სხვა ნორმებთან

398-ე მუხლი კეთილსინდისიერების პრინციპის სპეციალური შემთხვევაა. შესაბამისად, ეს ნორმა მთელ კერძო სამართლის სისტემას მოიცავს. ის მოქმედებს ყველა ტიპის ხელშეკრულებასთან მიმართებით, მათ შორის: სანივთო-, საოჯახო- და მემკვიდრეობითსამართლებრივ ხელშეკრულებებთან მიმართებითაც; ის მოიცავს როგორც ორმხრივ, ასევე ცალმხრივ ხელშეკრულებებს და ასევე ვრცელდება წინარე ხელშეკრულებებზე.

ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან მიმართებით, 398-ე მუხლს შევსებითი ფუნქცია ენიჭება (სზაკ, 71). რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებს, მათთან მიმართებით 398-ე მუხლი პირდაპირ მოქმედებს (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 21 V მუხლი).

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ცალკეული შემთხვევები დარეგულირებულია კოდექსის სხვა მუხლებშიც (მაგ.: 389,⁵ 399, 529, 530,⁶ 562 II ბ). ამ ნორმებს 398-ე მუხლთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება. თუმცა, თუ ეს ამ ნორმათა მიზანს არ ეწინააღმდეგება, დასაშვებია 398-ე მუხლის სუბსიდიურად გამოყენება დასახლებული ნორმების შევსების მიზნით.

3. შეცვლილი გარემოებები და სახელშეკრულებო დათქმები

სახელშეკრულებო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის, გარემოებათა ცვლილებისა და დაუძლეველი

2 ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, „სამართლის ჟურნალი“, 1/2014, გვ. 213.

3 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 212.

4 ვაშაკიძე, იქვე.

5 ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 72; შდრ. ჯანაშია, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 264.

6 ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 92 და შემდგომი.

ძალის საკითხი ხელშეკრულებით ამომწურავად რეგულირდება.⁷ მსგავსი სახელშეკრულებო რეგულაციის არსებობის შემთხვევაში, **პირველ რიგში, ხელშეკრულების განმარტებით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მიეკუთვნებოდა ცვლილება კონტრაქტის რისკის ან კონტროლის სფეროს.**⁸ ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელშეკრულების მიზანი და ხასიათი.

6 ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ გამორიცხონ 398-ე მუხლის ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედება. თუმცა ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნებისმიერი სახელშეკრულებო დათქმა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ 398-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვას ისახავს მიზნად, სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში უნდა ექცეოდეს.⁹

7 ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს ის სახასიათო რისკები, რომელთაც ამა თუ იმ ხელშეკრულების მხარეები, ჩვეულებრივ, ატარებენ. შესაბამისად, იგულისხმება, რომ მხარე, რომელიც დებს ასეთ ხელშეკრულებას და შესაბამის რისკებს არ გამორიცხავს, კონკლუდენტურად ეთანხმება ამ რისკების საკუთარ თავზე აღებას.¹⁰ მაგ., მყიდველი ატარებს ნაყიდი საქონლის შემდგომი მოხმარების რისკს და იგი ვერ დაეყრდნობა 398-ე მუხლს, თუ შეცვლილ გარემოებათა გამო მას ამ საქონლის გადაყიდვის ან სხვაგვარად გამოყენების პერსპექტივა დაეკარგა.

II. ძირითადი ცნებები

1. ხელშეკრულების საფუძველი

8 398-ე მუხლის ამოქმედება უკავშირდება ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას. ხელშეკრულების საფუძველი **სამი ნიშნით** ამოიცნობა. ხელშეკრულების საფუძველია ის გარემოება ან წარმოდგენა, რომელიც **ერთ-ერთ მხარეს მაინც ამოძრავებდა** (სუბიექტური ელემენტი) და მის გარეშე **ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან დაიდებოდა სხვა შინაარსით** (ჰიპოთეზური ელემენტი) და **ეს გარემოება ან წარმოდგენა ცნობილი, შეცნობადი ან მისაღები იყო მეორე მხარისათვის** (ნორმატიული ელემენტი).¹¹ ამ სამ ელემენტში საკვანძოა მესამე ელემენტი, რომელსაც ბალანსის მხარეთა ინტერესების ფუნქცია აქვს. მისადაგების მოთხოვნის ადრესატს

7 იხ. *Picker*, *Schuldrechtsreform und Privatautonomie*, JZ 2003, S. 1035, 1045.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 221; *გეგენავა*, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, 2015.

9 *ტაბატაძე*, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, II, 2013, გვ. 35 და მომდევნო გვერდები; *ჩიტაშვილი*, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, „სამართლის ჟურნალი“, 1/2014, გვ. 225.

10 ასევე იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის № 23/2867-13 გადაწყვეტილება.

11 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 216.

უნდა შეძლებოდა იმის დაშვება, რომ მისი კონტრაჰენტი სწორედ ამ საფუძვლით და ამ ინტერესით დებდა ხელშეკრულებას და სხვა შემთხვევაში არ დადებდა, ან დადებდა მას სხვა შინაარსით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოტივაცია ან გარემოება იმდენად არსებითი უნდა იყოს, რომ ის ნებისმიერ კეთილსინდისიერ მხარეს ხელშეკრულების დადების საფუძვლად უნდა მიეჩნია (*causa sine qua non* – რომ არა პირობა). სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოდის კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებაში, ახდენს გავლენას სახელშეკრულებო ურთიერთობათა დინამიკაზე და უბიძგებს მხარეებს, თანაბრად გადაინანოლონ ხელშეკრულების საფუძვლის რღვევასთან დაკავშირებული რისკები.

force majeure 398-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა,¹² თუმცა არა ერთადერთი. მიუხედავად ამისა, ცალკეულ სასამართლო გადაწყვეტილებებში 398-ე მუხლის მოქმედების აბსოლუტურ წინაპირობად მითითებულია გარემოებათა იმგვარი ცვლილება, რომელთა დროსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელება შეუძლებელი ხდება.¹³ ეს მიდგომა მცდარია. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის არც აბსოლუტური წინაპირობა და არც უპირობო შედეგი შეუძლებლობა არ არის. შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალე შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება ზოგადი პრინციპით (იხ. კომ. 401), რამეთუ არავინ არ არის ვალდებული, შეასრულოს ის, რის შესრულებაც შეუძლებელია.¹⁴ ამისათვის 398-ე მუხლზე აპელირება მას არ სჭირდება. გარდა ამისა, 398-ე მუხლი იცავს არა მხოლოდ მოვალეს, არამედ კრედიტორსაც (მაგ., როცა კრედიტორი შესრულებისადმი კარგავს ინტერესს და დასაბუთებულად აცხადებს უარს ხელშეკრულების გაგრძელებაზე). ამ შემთხვევაში სახეზე შესრულების გართულება კი არ არის, რომ არაფერი ვთქვათ შეუძლებლობაზე.

2. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის არსებითობა

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა უნდა იყოს არსებითი (აშკარა), იმდენად არსებითი, რომ მისი გათვალისწინების შემთხვევაში ხელშეკრულება არ დაიდებოდა, ან დაიდებოდა სხვა შინაარსით.¹⁵ მაგალითად, ფასების სტაბილურობა ან ვალუტის სიმყარე, როგორც წესი, ყველა ანა-

12 იხ. *ხუციშვილისისვაძე/ტოხოსაშვილი*, ფორს-მაჟორის და „Hardship“-ის ცნება უნიფიცირებული სახელშეკრულებო ნორმებში და მათი ანალოგი ქართულ სამართალში (<http://library.court.ge/upload/38432017-05-16.pdf>).

13 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის № ას-630-593-2012 გადაწყვეტილება; 2013 წლის 14 ნოემბრის № ას-351-334-2013 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილებები).

14 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 217; *ჩაჩავა*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 69; *ჩიტაშვილი*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებაზე და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2014, გვ. 204 და შემდგომი. გერმ. პრაქტიკიდან იხ. BGH NJW 1959, 2203.

ზღაურებადი ხელშეკრულების საფუძველია, თუმცა მხოლოდ არსებითი ცვლილება შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის საფუძველი. ცვლილების არსებითობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ვალდებულების ხასიათი, გარემოების მნიშვნელობა მხარეთათვის და სხვა ობიექტური გარემოებები.¹⁶ არსებითობის შეფასების მიზნით მიზანშეწონილია კვლავ **ჰიპოთეტური კრიტერიუმის გამოყენება**. თუმცა ამ შემთხვევაში ჰიპოთეზა არა ხელშეკრულების საფუძვლის რელევანტურობის, არამედ ცვლილების ინტენსიურობის შეფასების კრიტერიუმი. თუ ცვლილების ცოდნის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე მაინც აუცილებლად აიღებდა ხელს ხელშეკრულებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ცვლილება არსებითია.¹⁷

- 11 ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის არსებითობის შეფასებისას ასევე აუცილებელია, რომ შეფასდეს **შედეგის უსამართლობის ხარისხი**. ანუ უნდა გაანალიზდეს, ინვესს თუ არა ხელშეკრულების უპირობო შესრულება ან ხელშეკრულებაში დარჩენა ამკარად უსამართლო, არათანაზომიერ ანდა კაბალურ შედეგს,¹⁸ **რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან**.¹⁹ შესაბამისად, თუ მეორე მხარეს გონივრული დანახარჯების პირობებში შეუძლია ხელშეკრულების შესრულება – ხელშეკრულების მისადაგება არ მოხდება.

3. დამატებითი წინაპირობები

- 12 **შეცვლილი გარემოება უნდა სცდებოდეს მხარეთა გონივრულ მოლოდინს**.²⁰ თუ გარემოებათა ცვლა მოსალოდნელი იყო, მაშინ აღარ არსებობს იმ მხარის დაცვის აუცილებლობა, რომელსაც შეეძლო, სახელშეკრულებო რისკები განეჭვრიტა და შესაბამისად დაერეგულირებინა, თუმცა ეს არ გააკეთა.²¹ **მოულოდნელობაში არ იგულისხმება დასაშვებობა**.²² დასაშვებობის კუთხით გარემოებათა ცვლილება ყოველთვის მოსალოდნელია. შესაბამისად, დასაშვებობის კრიტერიუმი 398-ე მუხლს პრაქტიკულად უსაგნოდ აქცევდა. 398-ე მუხლის მნიშვნელობით გარემოებათა ცვლა მოულოდნელია, თუ მოვლენათა ნორმალური განვითარების პირობებში მას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.²³

- 13 გასათვალისწინებელია, რომ **ცვლილების გამომწვევი ფაქტორები ან თავად ცვლილება მოვალის რისკის სფეროს არ უნდა მიეკუთვნებო-**

16 BGH NJW 2007, 1884.

17 *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, § 313, Rn. 18.

18 *Roth*, in *MüKo BGB*, § 313, Rn 48.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; ასევე იხ. *ჩაჩავა*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, გვ. 69

20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის № ას-466-707-08 გადაწყვეტილება; 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010; *ზოიძე*, სკის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 398, გვ. 401.

21 *Grüneberg*, *Palandt BGB Kommentar*, § 313, Rn. 18.

22 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ 217.

23 *ვაშაკიძე*, იქვე.

დეს.²⁴ ამასთანავე, ცვლილებები არ უნდა იყოს გამოწვეული დაინტერესებული მხარის ბრალით.²⁵ დაინტერესებული მხარის ბრალი, მართალია, არ გამოირიცხავს მისადაგების მოთხოვნის უფლებას, თუმცა, რაც უფრო მაღალია დაინტერესებული მხარის ბრალი ცვლილებებში, მით ნაკლებია ამ მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულების მისადაგების ალბათობა. რაც შეეხება მისადაგების მოთხოვნის ადრესატის ბრალს, მისი ბრალი გარემოებათა ცვლილებაში, პირიქით, დამატებითი არგუმენტია დაინტერესებული მხარის ხელში.²⁶

4. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ცალკეული შემთხვევები

ა. სახელშეკრულებო ეკვივალენტურობის რღვევა

სახელშეკრულებო ეკვივალენტურობის რღვევა, ძირითადად, ორმხრივ ხელშეკრულებათათვის დამახასიათებელი პრობლემაა. ორმხრივი უფლებებითა და ვალდებულებებით დატვირთულ ურთიერთობებში მხარეები საპასუხო სარგებლის იმედით შედიან და თუ ეს სარგებელი იკარგება, იკარგება ინტერესი ხელშეკრულებაში. ასეთ ხელშეკრულებებში შესრულებისა და საპასუხო შესრულების ეკვივალენტურობა, როგორც წესი, ხელშეკრულების საფუძველია.²⁷ 14

თუმცა სახელშეკრულებო ეკვივალენტურობის ყოველგვარი რღვევა არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი. სახელშეკრულებო თანასწორობის რღვევა სახეზეა, თუ შეცვლილი გარემოებების შედეგად მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის მოულოდნელი და აშკარა დისბალანსი წარმოიქმნება, რომელიც დაინტერესებული მხარის ნორმალური რისკის ფარგლებს აჭარბებს. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ინტერესთა ორმხრივ, ასევე ცალმხრივ დინამიზმში. ორმხრივი დინამიზმის შემთხვევაში კრედიტორის ინტერესი მოვალის ინტერესის კლების ან მისი არაპროპორციული მატების ფონზე იზრდება, ცალმხრივი დინამიზმისას კი მხოლოდ მოვალის დანახარჯი იმატებს, მაშინ, როცა კრედიტორის ინტერესი უცვლელი რჩება, ან მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდება. ამ ამპლიტუდის გათვალისწინება განსაკუთრებით ადაპტირების სამართლიანობისა და მისი აუცილებლობის დასაბუთების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. რაც უფრო ნეგატიურად ცალმხრივია დინამიზმი, მით უფრო მაღალია ხელშეკრულების ადაპტირების აუცილებლობა. მაგ., ნავთობის კრიზისის გამო ნავთობიმპორტიორი უარს აცხადებს ძველი პირობებით ნავთობის მიწოდებაზე, რადგან მიმწოდებელი უარს აცხადებს ნავთობის გაყიდვაზე, ხოლო ალტერნატიული წყაროდან ნავთობის შექენა ოთხმაგ., ფასი ჯდება. ამ მაგალითში სახე-

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 398, გვ. 402.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

26 BGH NJW 1992, 2690, 2691.

27 BGH NJW 1962, 250, 251.

ზეა ინტერესთა ცვლილების ორმხრივი დინამიზმი. ნავთობიმპორტიორის დანახარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა მის პროპორციულად გაიზარდა მყიდველის ინტერესიც, რომელსაც იმპორტიორთან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ბაზარზე ნავთობის შეძენა უფრო ძვირად მოუწევს.

ბ. ხელშეკრულების მიზნობრიობის რღვევა

- 16 ხელშეკრულების მიზნობრიობა ირღვევა, როცა შეცვლილი გარემოებების შედეგად კრედიტორი კარგავს ინტერესს შესრულების მიღებისადმი და ეს ინტერესი ორივე მხარის მიერ აღქმული იყო როგორც ხელშეკრულების საფუძველი. მაგ., სტუდენტმა შეიძლება უარი თქვას საერთო საცხოვრებელში ოთახის ქირაობაზე, თუ სახსრების უქონლობის გამო იგი იძულებულია, შეწყვიტოს სწავლა და სამუშაოდ სხვა ქალაქში გადავიდეს. აქაც, ისევე როგორც 398-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად შედის ესა თუ ის გარემოება დაინტერესებული მხარის რისკის სფეროში. მაგ., დაინტერესებული პირი ვერ იტყვის უარს საქონლის მიღებაზე მარტო იმიტომ, რომ საქმიანობა არარენტაბელური აღმოჩნდა და მან ამ საქმიანობის შეწყვეტა გადაწყვიტა.²⁸

გ. ერთობლივი შეცდომა მოტივში

- 17 ხელშეკრულების მისადაგების საფუძველი შესაძლოა გახდეს მხარეთა არასწორი სამართლებრივი ან ფაქტობრივი წარმოდგენები, რაც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა (398 II). ეს წარმოდგენები უნდა იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ისინი განაპირობებდნენ ხელშეკრულების საფუძველს და მხარეები არ დადებდნენ ან დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა შინაარსით, რომ არა ეს მცდარი წარმოდგენები. ბუნებრივია, რომ მცდარი წარმოდგენები შეცვლილ გარემოებად მხოლოდ პირობითად აღიქმება, რადგან აქ არ ხდება გარემოებათა ცვლილება. წარმოდგენები აქ თავიდანვე მცდარი იყო.²⁹
- 18 ერთობლივი შეცდომის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელი მხარის რისკის სფეროში შედის მცდარი წარმოდგენა და მისით გამონვეული შედეგები. ხელშეკრულების **მისადაგების საფუძველი შესაძლოა გახდეს მხოლოდ ის მცდარი წარმოდგენები, რომლებიც საერთო რისკის სფეროს მიეკუთვნება.**
- 19 მცდარი წარმოდგენები ნების გამოვლენისას დაშვებული შეცდომისგან (იხ. 72) იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში ცდება ორივე მხარე და არა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი (ერთობლივი შეცდომა მოტივში). თუ მცდარი წარმოდგენა მხოლოდ ერთ მხარეს ამოძრავებს, ასეთ შემთხვევაში 398-ე მუხლი არ გამოიყენება და დაინტერესებულ მხარეს, თუკი სახეზეა შესაბამისი წინაპირობები, მხოლოდ ხელშეკრულების გაბათილების უფლება რჩება.

28 OLG Stuttgart NJW 1954, 233; BGHZ 17, 317, 327 = NJW 1955, 1187

29 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 223.

III. ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის სამართლებრივი შედეგები

თუ სახეზეა 398 I, II მუხლის წინაპირობები, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ეს შეიძლება იყოს როგორც მოვალე, რომელსაც გაურთულდა ვალდებულების შესრულება, ასევე კრედიტორი, რომელმაც ინტერესი დაკარგა შესრულების მიღებისადმი. ხელშეკრულების ადაპტირებისას გასათვალისწინებელია, რომ 398-ე მუხლი იცავს ხელშეკრულების ორივე მხარეს და არა მხოლოდ მოვალეს.³⁰ შესაბამისად, ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა ძალაშია, სანამ მეორე მხარეს გონივრულად შეიძლება მოეთხოვოს მისადაგებული ხელშეკრულების მიღება.³¹

თუ ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელია ან ერთ-ერთი მხარე დაუსაბუთებელ უარს აცხადებს მისადაგებაზე, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს სასამართლოს როლი ხელშეკრულების ადაპტაციის პროცესში, მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის ფუნქციის მინიჭება³² საკამათოა. გადანყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი შენარჩუნების შესახებ უფლებამოსილი მხარის პრეროგატივად უნდა დარჩეს, მათ შორის 398-ე მუხლის ფარგლებშიც. სასამართლო, რომელიც შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის პირობებში იღებს გადანყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მოქმედებს *ultra petita* და გაუმართლებლად ერევა მხარეთა კომპეტენციაში.

ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორით იქნეს გამოწვეული, თუმცა „შეუძლებლობა“ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული. „მისადაგება შეუძლებელია“ იმ შემთხვევაშიც, თუ მისადაგებით ხელშეკრულების სამართლიანობის აღდგენა ვერ ხერხდება (რადგან უსაფუძვლოდ ირღვევა მეორე მხარის ინტერესები), ან მისადაგებამ აზრი დაკარგა.³³ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით ასევე არ უნდა იქნეს გაგებული მეორე წინაპირობა – მისადაგებაზე უარის დასაბუთებულობა. 398 I 1 მუხლიდან ცალსახად გამომდინარეობს მხარეთა რენეგოცირებისა და კეთილსინდისიერი თანამშრომლობის ვალდებულება.³⁴ ეს ვალდებულება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ხელშეკრულების უპირობო ადაპტაციის ვალდებულებას, თუმცა ითხოვს მეორე მხარისაგან უარის დასაბუთებას. შესაბამისად, თუ მხარე დაუსაბუთებლად აცხადებს უარს ხელშეკრულების მისადაგებაზე, იგი მოქმედებს არა-

30 ტაბატაძე, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, II, 2013, გვ. 34.

31 Picker, Schuldrechtsreform und Privatautonomie, JZ 2003, S. 1035, Rn. 40.

32 ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, „სამართლის ჟურნალი“, 1/2014, გვ. 238.

33 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 226.

34 ასევე იხ. ტაბატაძე, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, II, 2013, გვ. 38 და მომდევნო გვერდი.

კეთილსინდისიერად, რითაც არღვევს სახელშეკრულებო ლოიალურობის ვალდებულებას, და მან შესაძლოა, დაკარგოს არათუ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლება, არამედ – ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც.³⁵ უფრო მეტიც, რადგან კეთილსინდისიერი თანამშრომლობის ვალდებულება ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ვალდებულებაა (ქვევალდებულება), მისი დარღვევა (დაუსაბუთებელი უარი მოლაპარაკებებზე ან ხელშეკრულების მისადაგებაზე) შესაძლოა, გახდეს სახელშეკრულებო სანქციების ამოქმედების საფუძველი და არაკეთილსინდისიერ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

IV. ნორმის დატვირთვა პროცესში

- 23 გარემოებათა ცვლილების გათვალისწინება სასამართლოს მიერ *ex officio* არ ხდება და მისადაგების მოთხოვნა უნდა დააყენოს უფლებამოსილმა მხარემ. სამოქალაქო სარჩელის საგანი შეიძლება იყოს როგორც მისადაგების მოთხოვნა, ასევე ის ადაპტირებული მოთხოვნა, რომელიც დაინტერესებულ მხარეს შეიძლება მისადაგების შედეგად წარმოეშვას.³⁶
- 24 მისადაგების მოთხოვნაზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები (129 I).
- 25 გარემოებათა ცვლილების მტკიცების ტვირთი აწევს დაინტერესებულ მხარეს.³⁷

35 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 იანვრის № 2ბ/2195-12 გადაწყვეტილება.

36 BGH NJW 2005, 2069

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

მუხლი 399. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე

1. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

2. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა-ცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად გამოიყენება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

3. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

4. თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ამ შესრულებაზედაც გავრცელდეს. უკვე შესრულებულის დაბრუნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შესაბამისად 352-354-ე მუხლები.

5. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ შესაბამისად გამოიყენება 407-ე მუხლი.

I. ზოგადად	626
1. 398-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში	626
2. 398-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი მიმართება სხვა ნორმებთან	626
II. ცალკეული ცნებები	626
1. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა	626
2. პატივსადები საფუძველი (399 1)	627
III. სამართლებრივი შედეგები	627
IV. ნორმის დატვირთვა პროცესში	628

I. ზოგადად

1. 398-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

- 1 ბუნებრივია, რომ გარემოებათა ცვლის რისკი გრძელვადიან ხელშეკრულებებში განსაკუთრებით მაღალია. შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როცა ეს კეთილსინდისიერების პრინციპსა და ბრუნვის ნეს-ჩვეულებებთან შესაბამისობაშია და მხარეს, რომელიც ხელშეკრულების მოშლას ითხოვს, ამის საპატიო მიზეზი აქვს, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება ვადამდე მოიშალოს. ამასთანავე, ხელშეკრულების მოშლელი მხარე იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგანაც თავისუფლდება, რომელიც ხელშეკრულების ვადამდე მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს.¹

2. 398-ე მუხლის მოქმედების სფერო და მისი მიმართება სხვა ნორმებთან

- 2 399-ე მუხლი ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის სპეციალურ შემთხვევას ანესრიგებს. ამ ნორმის მოქმედებაც, 398-ე მუხლის მსგავსად, კეთილსინდისიერების პრინციპით არის განპირობებული და ისიც სამოქალაქო ბრუნვაში ეთიკური მინიმუმის დანერგვას ისახავს მიზნად. ამავდროულად, სამართლებრივი შედეგების კუთხით, 399-ე მუხლი 398-ე მუხლზე აქტიურად უტევს *pacta sunt servanda* პრინციპს, ახდენს რა დაინტერესებული მხარის მეტად პრივილეგირებას და იძლევა ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას მისი მისადაგების ვალდებულების გარეშე. სწორედ ამიტომ, რადგან ხელშეკრულების მოშლა მეორე მხარისათვის უფრო მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, ვიდრე მისი შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, სასამართლომ 399-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს, თუ 398-ე მუხლის გამოყენება ანუ ხელშეკრულების მისადაგება ვერ ხერხდება.
- 3 თუ არსებობს უფრო სპეციალური ნორმა, რომელიც გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საკითხს არეგულირებს, მაშინ ამ ნორმას უპირატესობა ენიჭება 399-ე მუხლთან მიმართებითაც. ასეთი სპეციალური ნორმაა, მაგ., 562-ე მუხლი, რომელიც საპატიო მიზეზით ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს ამ ურთიერთობათა თავისებურებების გათვალისწინებით ანესრიგებს.

II. ცალკეული ცნებები

1. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა

- 4 პრაქტიკაში გავრცელებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების დიდი ნაწილი თვისებრივად გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებია. ესენია, მაგ.: თხოვება, ქირა, იჯარა, სესხი, დაზღვევისა და ამხანაგობის ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელია ვალდებულებათა შესრულების უწყვეტობა და განგრძობა

¹ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსისი გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 227.

დობა. ისინი, როგორც წესი, ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადით იდება. ამასთანავე, ეს ხელშეკრულებები, მას შემდეგ, რაც მათი შესრულება დაიწყება, ექვემდებარება მხოლოდ შეწყვეტას და არა გასვლას.²

ცალკეულ შემთხვევაში გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის სახე შესაძლოა, ჩვეულებრივმა ერთჯერადმა სახელშეკრულებო ურთიერთობამაც მიიღოს. მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება გულისხმობდეს პერიოდულად შესასრულებელ, სუქცესიურ ვალდებულებებს, რომელთა ოდენობაც წინასწარ უცნობია და რომელთა შესრულებაც ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი დროით უნდა მოხდეს. ამით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც პრაქტიკაში მეტადრე ერთჯერადი შესრულებით შემოიფარგლება, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობად იქცევა.

2. პატივსადები საფუძველი (399 I 1)

გრძელვადიანი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა მხოლოდ პატივსადები საფუძველით დაიშვება. პატივსადები საფუძველი სახეზეა, თუ ხელშეკრულების მომშლელ მხარეს **შექმნილი ვითარებისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.** რადგან 399-ე მუხლი ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის სპეციალური შემთხვევაა, პატივსადები საფუძვლის შეფასებისას დასაშვებია 398 I-ე მუხლის კრიტერიუმების გათვალისწინებაც (განსაკუთრებით სახელშეკრულებო რისკებსა და სავარაუდოობის კრიტერიუმთან კავშირში, იხ. კომ., 398); თუმცა აქვე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ 399-ე მუხლის წინაპირობები მთლიანობაში უფრო მსუბუქია, ვიდრე 398-ე მუხლისა და მათი სრული სიმკაცრით გამოყენება 399-ე მუხლის ფარგლებში გამართლებული არ არის.

პატივსადები საფუძველი შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებებიდან. იგი შესაძლოა, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა, მათ შორის გულისხმიერების ვალდებულებათა, დარღვევითაც გამოიხატოს.³ პატივსადები საფუძვლის საკითხი ბრალზე არ არის დამოკიდებული, თუმცა, თუ პატივსადები საფუძვლის წარმოშობა მთლიანად ან დიდწილად თავად დაინტერესებული პირის ბრალით არის გამოწვეული, ორმხრივი ინტერესების შეჯერებისას ამან შეიძლება მის საპირისპიროდ იმოქმედოს.⁴

III. სამართლებრივი შედეგები

თუ ხელშეკრულების მოშლის საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, კრედიტორი ვალდებულია, დაუნესოს მოვალეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ვადა (399 II). გულისხმიერე-

2 იქვე, გვ. 228.

3 იქვე, გვ. 229.

4 BGH NJW 1966, 347; BGH NJW 1981, 1264, 1265.

ბის ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში დამატებით ვადას ანაცვლებს გაფრთხილება. დამატებითი ვადის, ისევე როგორც გაფრთხილების ვალდებულება ქარწყლდება, თუ სახეზეა 399 III და 405 II მუხლების წინაპირობები. ასეთ შემთხვევაში მხარეს შეუძლია, დაუყოვნებლივ მოშალოს ხელშეკრულება.

- 9 თუ ხელშეკრულების მოშლის მიზეზი ვალდებულების დარღვევა არ არის, უფლებამოსილ პირს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი (399 III). გონივრული ვადა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე და შეიძლება განსხვავდებოდეს ხელშეკრულების ტიპის, დარღვევის სიმძიმისა და სხვა რელევანტური ფაქტორების გათვალისწინებით.
- 10 *a priori* 399-ე მუხლი იძლევა ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას *ex nunc* ეფექტით. ეს იმას ნიშნავს, რომ 399-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მხარეებს შორის წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებები, თუმცა მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება არ ხდება.⁵ ამით კანონმდებელი ითვალისწინებს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკას. თუმცა, თუ უკვე შესრულებული აღარ არის უფლებამოსილი პირისათვის რაიმენაირად საინტერესო, მას შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს 352-ე-354-ე მუხლებით დადგენილი წესით (399 IV). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის საკითხი, თუ რამდენად არის ან უკვე მიღებული შესრულება დაინტერესებული პირისათვის საინტერესო, უნდა დადგინდეს ობიექტური და არა სუბიექტური შეფასებით. ანუ დაინტერესებულმა პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ, საპატიო საფუძველიდან გამომდინარე, მან არათუ ინტერესი დაკარგა, გააგრძელოს ხელშეკრულება, არამედ აღარ არის დაინტერესებული, შეინარჩუნოს მიღებული შესრულება. გარდა ამისა, შესრულების უკუქცევა ჯერ კიდევ შესაძლებელი უნდა იყოს და უსაფუძვლოდ მძიმე მდგომარეობაში არ უნდა აგდებდეს მეორე მხარეს.
- 11 გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ შეიძლება გამოირიცხოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით (იხ. 348 „ბ“). ინდივიდუალური შეთანხმებით შესაძლებელია ამ უფლების დაზუსტება ან შეზღუდვა, თუმცა არა სრულად გამოირიცხვა, რადგან ეს ნორმა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატულებაა და მიმართულია ეთიკური მინიმუმის უზრუნველყოფაზე სახელშეკრულებო ურთიერთობებში.
- 12 გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამოირიცხავს ვალდებულების დარღვევით გამონეული ზიანის ანაზღაურების უფლებას (399 IV).

IV. ნორმის დატვირთვა პროცესში

- 13 პატივსადავები საფუძვლის მტკიცების ტვირთი აწევს დაინტერესებულ მხარეს.

5 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის № 23/696-13 გადაწყვეტილება.

თავი მეორე
მოვალის მიერ ვადის გადაცილება

მუხლი 400. ცნება

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ:

ა. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება;

ბ. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

- I. ზოგადად629
 - 1. მე-400 მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში.....629
 - 2. მე-400 მუხლის მოქმედების სფერო.....630
- II. წინაპირობები.....631
 - 1. მოთხოვნის ნამდვილობა631
 - 2. მოთხოვნის ვადამოსულობა.....631
 - 3. ვალდებულების შესრულებადობა (შეუძლებლობა).....631
 - 4. გაფრთხილება.....632
 - ა. გაფრთხილება როგორც ვადის გადაცილების წინაპირობა632
 - ბ. გაფრთხილების მახასიათებლები632
 - გ. გაფრთხილების სამართლებრივი ბუნება და მისი სუროგატები.....633
 - დ. როდის არ არის საჭირო გაფრთხილება633
 - 5. ვადის გადაცილების დაწყება და დასრულება635
 - ა. ვადის გადაცილების დაწყება635
 - ბ. ვადის გადაცილების დასრულება635
- III. მე-400 მუხლის დატვირთვა სამოქალაქო პროცესში636

I. ზოგადად

1. მე-400 მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

მე-400 მუხლი ვალდებულების დარღვევის მაკვალიფიცირებელი ნორმაა. კერძოდ, ის განსაზღვრავს ვადის გადაცილების წინაპირობებს 391-ე და 404-ე მუხლებისთვის, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის მთელ სისტემაში მოთხოვნის ცენტრალური საფუძვლებია ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთანავე, მე-400 მუხლი ადგენს წინაპირობებს სხვა ნორმათა მთელი რიგისათვის, რომელთა მოქმედებაც ვადის გადაცილებას უკავშირდება (მაგ.: 417, 5801, 633 II, 817 II, 902 I).

გადამზიდველის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ვადის გადაცილების წინაპირობები მე-400 მუხლით არ დგინდება. აქ მოქმედებს

688-ე მუხლი, რომელიც სპეციალური ნორმაა. ამ გამიჯვნის პრაქტიკული დატვირთვა ისაა, რომ, მე-400 მუხლისგან განსხვავებით, 688-ე მუხლი არ ადგენს გაფრთხილების ვალდებულებას ვადაგანუსაზღვრელი ვალდებულებებისათვის.

2. მე-400 მუხლის მოქმედების სფერო

- 3 მე-400 მუხლი განსაზღვრავს ვადაგადაცილების მომენტს. რაც შეეხება ვადამოსულობის საკითხს, ამას მე-400 მუხლი არ ანესრიგებს. შესრულების ვადამოსულობა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით ან კანონით. ვადამოსულობის განსაზღვრის ზოგადი წესი დადგენილია 365-ე მუხლით. მე-400 მუხლი ასევე არ ეხება ვადაგადაცილების ბრალეულობის საკითხს. ეს წესრიგდება 401-ე მუხლით.
- 4 მე-400 მუხლი ვრცელდება იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც სანივთოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობა (მაგ.: ვალდებულებითი ურთიერთობანი მესაკუთრესა და გირავნობის კრედიტორს შორის (იხ. 261), კეთილსინდისიერ მფლობელსა და მესაკუთრეს შორის (იხ. 163 II)). ეს ნორმა ასევე მოიცავს საოჯახოსამართლებრივ და სამკვიდროსთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, თუკი სპეციალური ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 5 თუ შესრულება ნაკლოვანია და ამის გამო კრედიტორი გარკვეული დროის განმავლობაში ვერ სარგებლობს შესრულების საგნით, რის გამოც განიცდის ზიანს, მე-400 მუხლი არ გამოიყენება. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა არ ვადის გადაცილებით, არამედ ნივთის ნაკლით გამონვეული ზიანი.
- 6 მე-400 მუხლის დანაწესი დისპოზიციურია და ექვემდებარება მოდიფიკაციას.¹ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებისას მოდიფიკაციის უფლება იზღუდება 400 „ბ“ მუხლის ნაწილში (იხ. 348 „დ“).
- 7 მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ვადის გადაცილება (*mora debitoris*) და კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება (*mora creditoris*).² ვადის გადაცილება ვალდებულების დარღვევის შედეგია, შესრულების მიღება კი ხან ვალდებულებაა (477 II), ხან კი – არა (867). იმ შემთხვევებში, როცა შესრულების მიღება ვალდებულება არ არის, ის მხოლოდ ფაქულტატიური ვალდებულებაა (*Obliegenheit*), რომლის შეუსრულებლობა არ იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა დაკარგულ სარგებელში, ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებაში, უფლების დაკარგვაში ან სამართლებრივი პოზიციის გაუარესებაში ვლინდება (იხ. კომ., 390). ამასთანავე, შესრულების მიღების დაყოვნება არ არის დამოკიდებული იმაზე, გააფრთხილა თუ არა მოვალემ კრედიტორი შესრულების მიღების დაყოვნების ნეგატიური შედეგების შესახებ (შეად. 390 და 400 „ბ“).

1 *ზოდც*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 419.

2 ამ ორ ინსტიტუტს შორის სხვაობის შესახებ დეტალები იხ. *Gursky, Schuldnerverzug trotz fehlender Annahmehbereitschaft des Gläubigers*. AcP 173, 1973, S. 450.

II. წინაპირობები

მე-400 მუხლში ვადაგადაცილების მხოლოდ ორი წინაპირობაა გამოკვეთილი – ესაა ვადამოსულობა და გაფრთხილება. მოთხოვნის ნამდვილობა, რომელიც ასევე ვადაგადაცილების წინაპირობაა, ამ მუხლში არ არის ნახსენები, თუმცა ივარაუდება, რადგან მოთხოვნის რეალიზება პირდაპირ დაკავშირებულია მის ნამდვილობასთან. რაც შეეხება ბრალს, ეს წინაპირობა რეგულირდება ცალკე, 401-ე მუხლით.

1. მოთხოვნის ნამდვილობა

შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ ნამდვილი მოთხოვნა.³ თუ სახეზეა არასრულყოფილი ვალდებულება (იხ. 951, 952),⁴ მოთხოვნა ბათილია, გაქარწყლებულია,⁵ ან მოვალეს აქვს შესაგებელი მოთხოვნის სანაღმდეგოდ,⁶ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს.⁷ ასეთ დროს მას არ შეეჩივება ვადაგადაცილება.

2. მოთხოვნის ვადამოსულობა

ვადაგადაცილება მოვალის მიერ ვალდებულების დროული შეუსრულებლობის შედეგია. შესაბამისად, ვადაგადაცილებული შეიძლება იყოს მხოლოდ ვადამოსული ვალდებულება.⁸ 365-ე მუხლის თანახმად, ვადამოსულობა შეიძლება გამომდინარეობდეს: 1) ხელშეკრულებიდან; 2) საქმის გარემოებებიდან ან 3) კანონიდან. ვადაგანსაზღვრული ვალდებულება **ვადამოსულია შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან**. თუ შესრულების ვადა არც ხელშეკრულებიდან და არც სხვა გარემოებებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს, კრედიტორს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება (365). ასეთი ვალდებულება **ვადამოსულია მოთხოვნის მომენტიდან**.⁹

3. ვალდებულების შესრულებადობა (შეუძლებლობა)

ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია, ქარწყდება ან მისი მოქმედება დროებით ჩერდება (დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში). შესაბამისად, თუ მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს იმის გამო, რომ შესრულება შეუძლებელია, მას ვადის გადაცილება არ შეეჩივება.¹⁰

3 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 416.

4 იქვე, გვ. 417.

5 უფლება ქარწყდება მაგ., ხელშეკრულების მოშლით (399 III); ხელშეკრულებიდან გასვლით (მუხ. 352 და მომდევნო მუხლები); ვალდებულების შესრულებით (427 და მომდევნო მუხლები); ვალის პატივით (მუხ. 448 და მომდევნო მუხლები).

6 შესაგებელი, შემხვედრი პრეტენზია ანუ უფლების გამოყენების შემაფერხებელი გარემოებები სახეზეა მაგალითად შემდეგ შემთხვევებში: ხანდაზმულობა (128 და მომდევნო მუხლები); უარი ორმხრივი ვალდებულების შესრულებაზე (369); შესრულების გართულება (8 III); შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა (398).

7 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 417.

8 იქვე.

9 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 113.

10 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 416.

თუმცა ეს არ გამოორიცხავს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვა საფუძვლით (თუკი შეუძლებლობა მისი ბრალითაა გამონვეული).

4. გაფრთხილება

ა. გაფრთხილება როგორც ვადის გადაცილების წინაპირობა

- 12 ვადაგანუსაზღვრელი ვალდებულებები ვადაგადაცილებული ხდება მხოლოდ გაფრთხილების შემდგომ (400 „ბ“).¹¹ ვადაგანუსაზღვრელი ეწოდება ვალდებულებას, რომლის შესრულების კონკრეტული თარიღი ან ვადა ხელშეკრულებით დადგენილი არ არის, ან ხელშეკრულებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს (მაგ.: „გადახდა საქონლის მიწოდებისთანავე“; „საქონლის მიწოდება ყოველი თვის დასაწყისში“; „ნაგებობის მშენებლობა უნდა დასრულდეს სათხილამურო სეზონის დაწყებამდე“). ვადაგანუსაზღვრელი ვალდებულებები, როგორც წესი, ვადამოსულია მოთხოვნის მომენტიდან. მაგალითად, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ გადახდა უნდა მოხდეს საქონლის მიწოდებისთანავე, გადახდის ვალდებულება ვადამოსულია საქონლის მიწოდებისთანავე. მიუხედავად ვადამოსულობისა, მოვალე ამ მომენტში ჯერ კიდევ არ არის ვადაგადაცილებაში. მოვალე ვადაგადაცილებაში აღმოჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვადამოსულობის შემდგომ კრედიტორი მას გააფრთხილებს ვადაგადაცილების თაობაზე (400 „ბ“). გაფრთხილება გულისხმობს მოვალის ინფორმირებას იმის შესახებ, რომ მისი ვალდებულება უკვე ვადამოსულია და მას ეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა.¹² გაფრთხილებით ფაქტობრივი ვადის გადაცილება იქცევა *de iure* ვადის გადაცილებად.¹³

ბ. გაფრთხილების მახასიათებლები

- 13 გაფრთხილებიდან ერთმნიშვნელოვნად უნდა იკითხებოდეს კრედიტორის სურვილი, რომ მოვალემ შეასრულოს ვალდებულება¹⁴ და ის უნდა იყოს უპირობო.¹⁵ თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაფრთხილება არ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე ვადას (მაგ.: „გთხოვთ, ვალდებულება შეასრულოთ 5 დღის ვადაში...“).
- 14 გაფრთხილება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ვადამოსულობის შემდგომ.¹⁶ ვადამოსულობამდე გაკეთებული გაფრთხილება უსაგნოა, რამეთუ მოვალეს ვერ გააფრთხილებ იმასთან დაკავშირებით, რაც მას ჯერ არ ევალება.

11 ბილინგი/ლუტრინგჰაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 39.

12 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 420.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-954-1260-07 გადაწყვეტილება.

14 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 420.

15 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 113.

16 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 420.

15 თუ გაფრთხილებისას კრედიტორი იმაზე მეტ თანხას ითხოვს, ვიდრე შეთანხმებულია, მოვალემ ვალდებულება შეთანხმებული ოდენობით უნდა შეასრულოს. ეს წესი არ მოქმედებს, თუ კრედიტორი ნაკლები შესრულების მიღებაზე წინასწარ აცხადებს უარს.¹⁷

16 გაფრთხილება არ მოითხოვოს ვადის დადგენას¹⁸ და ვადა გადაცილებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა გაფრთხილება კრედიტორს მიუვა.¹⁹ მიუხედავად ამისა, კრედიტორს შეუძლია, გაფრთხილებასთან ერთად დაადგინოს გარკვეული ვადა შესრულებისათვის, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს დამატებით ვადაში 394 II მუხლის მნიშვნელობით.

გ. გაფრთხილების სამართლებრივი ბუნება და მისი სუროგატები

17 **გაფრთხილება გარიგებისმაგვარი ქმედებაა და არა გარიგება.**²⁰ გაფრთხილება არ არის ნების გამოვლენა, რამეთუ მისით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი (მოვალე გაფრთხილებულია=ვადაგადაცილებულია), კრედიტორის ნების მიუხედავად, კანონის ძალით დგება (თვითრეგულაციური უფლება).²¹ მიუხედავად ამისა, თუ ეს გაფრთხილების არსს არ ეწინააღმდეგება, გაფრთხილების მიმართ გარიგებათა მომწესრიგებელი წესები ანალოგიით გამოიყენება.²² შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ გაკეთებული გაფრთხილება ბათილია, რადგან გაფრთხილების შედეგად მისი სამართლებრივი მდგომარეობა უარესდება (იხ. 63). სხვა შედეგია სახეზე, როცა არასრულწლოვანი თავად აფრთხილებს – ასეთი ქმედება სამართლებრივად ნამდვილია, რადგან გაფრთხილების შედეგად მას მხოლოდ სამართლებრივი უპირატესობა წარმოეშობა.²³

18 გაფრთხილებას უთანაბრდება სასამართლოში ვალდებულების შესრულების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი.

დ. როდის არ არის საჭირო გაფრთხილება

19 თუ ვალდებულების შესრულებისათვის დადგენილია კონკრეტული ვადა, თარიღი ან მოვლენა, და ვალდებულება არ სრულდება, შესრულების ვადა ითვლება ავტომატურად გადაცილებულად და კრედიტორი აღარ არის ვალდებული, გააფრთხილოს მოვალე (*dies interpellat pro homine*).²⁴ ვადა შეიძლება დადგენილი იყოს ხელშეკრულებით, კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით. ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში ვადა შესაძლოა, ცალმხრივად

17 BGH, NJW 1992, 1956.

18 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-946-1203-05 გადაწყვეტილება.

19 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 115.

20 იქვე, გვ. 116.

21 BGHZ 47, 352, 357=NJW 1967, 1800.

22 BGHZ 47, 352, 357=NJW 1967, 1800.

23 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, § 286, Rn. 39.

24 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 400, გვ. 417.

კრედიტორის მიერაც იქნეს განსაზღვრული,²⁵ რა შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია 325-ე მუხლის შეზღუდვები.²⁶ შესრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს კალენდარულად (მაგ.: „შესრულდეს არაუგვიანეს 26 მაისისა“), მიებას გარკვეულ მოვლენას²⁷ („მოსავალი უნდა მოიკრიფოს პირველი ყინვისთანავე“) ან მოქმედებას (მაგ.: მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გადახდა უნდა მოხდეს საქონლის მიწოდებიდან 10 დღის ვადაში).

- 20 გაფრთხილების ვალდებულებისაგან გათავისუფლების სხვა წინაპირობებს მე-400 მუხლი არ იცნობს, თუმცა *a fortiori* არგუმენტით გამართლებულია 405 II მუხლის გამონაკლისების გამოყენება. თუ მათი არსებობა შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და ხელშეკრულებიდან გასვლას დამატებითი ვადის დაწესების გარეშე ამართლებს, მით უმეტეს, დასაშვებია მათ საფუძველზე გაფრთხილების ვალდებულების ნეიტრალიზება. შესაბამისად, გაფრთხილება საჭირო არ არის: **1) თუ აშკარაა, რომ მას არანაირი შედეგი არ მოჰყვება**²⁸ (მაგ., კრედიტორი კატეგორიულად უარს აცხადებს საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე ან შესრულების მიღებაზე), ან **2) თუ ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ვადა გადაცილებულად უნდა ჩაითვალოს გაფრთხილების გარეშეც.** ეს უკანასკნელი შემთხვევა სახეზეა, მაგალითად, როცა მოვალე ნერგავს ნდობას, რომ იგი ვალდებულებას დროულად შეასრულებს, თუმცა არ ასრულებს ვალდებულებას (თვითგაფრთხილება).²⁹

- 21 მაგ., ა-მ სავაჭრო მესეზე პლაზმური ტელევიზორი შეიძინა, რომელიც მოვალეს გამოფენის დასრულებიდან რამდენიმე დღეში უნდა გაეგზავნა. ა-ს ტელევიზორი ბარში დასამონტაჟებლად ესაჭიროებოდა, რადგან სტუმრებისათვის მსოფლიო ჩემპიონატის პირდაპირი ტრანსლაცია უნდა შეეთავაზებინა. მას შემდეგ, რაც ტელევიზორი ორი კვირის შემდეგაც არ იქნა მიწოდებული, ა ესტუმრა გამყიდველის ვებგვერდს, რათა მისი საკონტაქტო ინფორმაცია მოეძია და დაკავშირებოდა. სანამ ინფორმაციას მოიძიებდა, მან საიტზე წარწერა იხილა, რომელშიც გამყიდველი აღნიშნავდა, რომ დაგვიანება გამონვეული იყო სანარმო შეფერხებით და ცალსახა პირობას იძლეოდა, ჩემპიონატამდე შეძენილი ყველა ტელევიზორი ჩემპიონატის დაწყებამდე მიეწოდებოდა ყველა მყიდველს.

25 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის № ას-638-606-2013 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება) - ხელშეკრულებით მოვალეს ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება შესრულების ვადა ცალმხრივად გაეგრძელებინა.

26 *ძლიერიშვილი*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 415; მსგავსი პათოსით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის № ას-48-401-078 გადაწყვეტილება.

27 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის № 23/1152-15 გადაწყვეტილება.

28 *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 40.

29 *Huber, Leistungsstörungen I, 1999, §18 II 4.*

მსგავს შემთხვევაში კრედიტორისათვის გაფრთხილების ვალდებულების დაკისრება გაუმართლებელი იქნებოდა. მოვალემ თავი „გაიფრთხილა“ და კრედიტორში საფუძვლიანი ნდობა დანერგა, რომ ვალდებულება დროულად შესრულდებოდა. შესაბამისად, მოვალე ვალდებულია, პასუხი აგოს ამ ნდობის დარღვევისათვის და ვადის გადაცილების ნეგატიური შედეგები იწვნოს.

5. ვადის გადაცილების დაწყება და დასრულება

ა. ვადის გადაცილების დაწყება

ვადის გადაცილება იწყება, როცა მოვალე, მიუხედავად ვადის დადგომისა (400 „ა“) ან გაფრთხილებისა (400 „ბ“), არ ასრულებს ვადამოსულ და ნამდვილ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც შესაძლებელია. ვალდებულების შეუსრულებლობაში იგულისხმება არა მხოლოდ ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობა, არამედ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება,³⁰ ან ნაკლოვანი შესრულების შეთავაზება, რომლის მიღებაზეც კრედიტორი უარს აცხადებს.

იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ვადა განსაზღვრულია, ვადა გადაცილებულად ითვლება შესრულების უკანასკნელი დღის მეორე დღიდან. მაგ., მხარეები შეთანხმდნენ საქონლის მიწოდებაზე 12-იდან 15 მაისამდე. ასეთ შემთხვევაში ვადა გადაცილებულად ჩაითვლება 16 მაისიდან; მაგ., მხარეები შეთანხმდნენ საქონლის მიწოდებაზე სამი დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში ვადა გადაცილებულად ჩაითვლება მე-4 დღიდან. ფულადი ვალდებულების შემთხვევაში, პროცენტის დარიცხვის მიზნებიდან გამომდინარე (თუ პროცენტი დღიურად ირიცხება), ვადა გადაცილებულად ითვლება გაფრთხილების მიღების მეორე დღიდან.³¹

ბ. ვადის გადაცილების დასრულება

ვადის გადაცილება სრულდება, თუ მისი ნიშნები ქრება.³² ვადის გადაცილების დასრულების ბუნებრივი საშუალებაა შესრულება (*purgatio morae*). მიტანის ვალდებულების შემთხვევაში შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელზე შესრულების საგნის შეთავაზებას გულისხმობს, გატანების ვალდებულებისას კი შესრულების საგნის მომზადებასა და კრედიტორისადმი მიმართულ შეტყობინებაში გამოიხატება. გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში აუცილებელია, მოვალემ გამზადებული საქონელი გადამზიდავს გადასცეს. თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ვადის გადაცილება შესაძლოა, დასრულდეს შესრულების სუროგატივით. ვადის გადაცილება შესაძლოა, ასევე დასრულდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით (442) ან კონფუზიით (452).

30 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის № ას-638-606-2013 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

31 Ernst, in MüKo BGB, § 286, Rn. 92a.

32 Diederichsen, Der Schuldnerverzug („mora debitoris“), JuS 1985, S. 825, 834.

- 26 გარდა შესრულებისა, ვადის გადაცილება ასევე სრულდება, როცა შესრულება შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევაში შესრულების ვალდებულებას ანაცვლებს მეორეული ვალდებულებები.

III. მე-400 მუხლის დატვირთვა სამოქალაქო პროცესში

- 27 ის, რომ მოვალემ ვადას გადააცილა, უნდა ამტკიცოს კრედიტორმა. კრედიტორმა ასევე უნდა დაატკიცოს გაფრთხილების ფაქტის არსებობა. რაც შეეხება ვადის გადაცილების დასრულების საკითხს (მაგ., შესრულებით), ეს უკანასკნელი მოვალის მტკიცების ტვირთს მიეკუთვნება. მოვალეს ასევე აწევს ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთი (იხ. 401).

მუხლი 401. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონვეული.

- I. ზოგადად 637
- II. ძირითადი ცნებები..... 637
 - 1. 401-ე მუხლის, როგორც ბრალის, შერაცხვის მექანიზმი 637
 - 2. 401-ე მუხლი როგორც შეუძლებლობის მარეგულირებელი დანაწესი..... 638
 - ა. შეუძლებლობის ინსტიტუტი სამოქალაქო კოდექსში..... 638
 - ბ. დროებითი და სანყისი შეუძლებლობა..... 638
 - გ. შეუძლებლობისა და ფულადი ვალდებულების ურთიერთმიმართება 639
 - დ. შეუძლებლობის გამიჯვნა პარალელური ინსტიტუტებისგან 639
 - ე. შეუძლებლობის კატეგორიები..... 640
 - ა.ა. ფაქტობრივი შეუძლებლობა 640
 - ბ.ბ. სუბიექტური შეუძლებლობა..... 640
 - გ.გ. სამართლებრივი შეუძლებლობა..... 641
 - 3. შესრულების ფარგლები 641
 - 4. შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები..... 642
- III. 401-ე მუხლის დატვირთვა პროცესში 643

I. ზოგადად

401-ე მუხლს ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში ორმაგ., ფუნქცია აქვს. ერთი მხრივ, ამ ნორმით დგინდება, რომ მოვალეს ვადის გადაცილება არ შეერაცხება, თუ მას ბრალი არ მიუძღვის ვადის გადაცილებაში, ხოლო მეორე მხრივ, ამ ნორმით (მათ შორის მისი სათაურით) დგინდება, რომ შეუძლებლობის შემთხვევაში არ ხდება ვადის გადაცილება, რამეთუ ასეთ დროს შესრულების ვალდებულება ქარწყლდება ან დროებით წყდება.¹ ამით კანონმდებელმა მართებულად გამიჯნა შეუძლებლობა და ვადის გადაცილება, თუმცა შეცდომა დაუშვა, როცა შეუძლებლობა ბრალის არარსებობასთან გააიგივა და ამით ბრალი (სუბიექტური შერაცხვა) და შეუძლებლობა (ობიექტური მოცემულობა) ერთსა და იმავე ქრილში განიხილა.

II. ძირითადი ცნებები

1. 401-ე მუხლის, როგორც ბრალის, შერაცხვის მექანიზმი

401-ე მუხლის თანახმად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონვეული. ეს ნორმა, 394 II 2 მუხლის მსგავსად, ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთს მოვალისკენ აბრუნებს.²

1 ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/ 2011, გვ. 10-12.
 2 ბიოლინგი/ლუტრინგვაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 41, 42.

- 3 ბრალი ვადის გადაცილებისთვის პასუხისმგებლობის სუბიექტური კრიტერიუმია. ბრალის ცნება 395 I მუხლის მნიშვნელობით მოიაზრებს განზრახვას და გაუფრთხილებლობას.³ ამასთანავე, მხარეების მიერ შესაძლოა, შეთანხმდეს უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა.

2. 401-ე მუხლი როგორც შეუძლებლობის მარეგულირებელი დანაწესი

ა. შეუძლებლობის ინსტიტუტი სამოქალაქო კოდექსში

- 4 მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის პირველადი პროექტი, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, შეუძლებლობის ინსტიტუტის დარეგულირებას ითვალისწინებდა,⁴ მსგავსი რეგულაცია კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში აღარ გვხვდება. ეს კი იწვევს შეუძლებლობის ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.⁵
- 5 მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი შეუძლებლობის ინსტიტუტს ცალკე ნორმის სახით არ ანესრიგებს, ეს ინსტიტუტი თვალნათლივ იკითხება კოდექსის ცალკეული ნორმებიდან (სკ, 91, 115, 398, 399, 406 I, 490 III) და გამომდინარეობს მისი ზოგადი პრინციპებიდან (სკ, 4 I, 5 II, 8 III, 115).⁶ ყველაზე უკეთ შეუძლებლობის ინსტიტუტის არსი ვლინდება 401-ე მუხლიდან, რომელიც მიჯნავს ერთმანეთისგან შეუძლებლობას და ვადის გადაცილებას, მიუთითებს რა იმაზე, რომ პირველი მეორეს გამორიცხავს (იხ. 401-ე მუხლის კომენტარი). ესეც რომა არა, ის, რაც ნებისმიერი ადამიანისათვის ან პირადად მოვალისათვის შეუძლებელია, არ შეიძლება ვალდებულებად დარჩეს (*impossibilium nulla obligatio est*). საპროცესო თვალსაზრისით, იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღსასრულებლად მიქცევა, რომელიც ვერ აღსრულდება, აბსურდი იქნებოდა.

ბ. დროებითი და საწყისი შეუძლებლობა

- 6 შეუძლებლობა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამონვეული და სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევდეს, თუმცა ერთი რამ ყველა სახის შეუძლებლობისათვის საერთოა: იმისათვის, რომ შესრულების ვალდებულება გაქარწყლდეს, **შეუძლებლობა არ უნდა იყოს დროებითი**,⁷ ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუხედავად დროებითი შეუძლებლობისა, ვალდებულების შესრულება პერსპექტივაში შესაძლებელი უნდა იყოს;⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალდებულება არ გაქარწყლდება, არამედ დროებით შეწყვეტს მოქმედებას. შესაბამის წინაპირობათა არსებობის შემთხვევაში, ამ დროს ასევე შესაძლებელია 398-ე მუხლის გამოყენებაც.

3 იქვე, გვ. 41.

4 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 376.

5 *ბეგიაშვილი*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/ 2011, გვ.10, 11.

6 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 94.

7 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 97.

8 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 401, გვ. 422.

სხვაობა დროებით და საბოლოო შეუძლებლობას შორის არ დგინდება მხოლოდ დროებითობის ნიშნით. თუნდაც შეუძლებლობა დროებითი იყოს, იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რომელშიც **ვალდებულების დროული შესრულება გადამწყვეტია**, დროებითი შეუძლებლობა საბოლოო შეუძლებლობას იწვევს (*absolutes Fixgeschäft*).⁹ 7

თუკი ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა შესრულების ვალდებულება წარმოიშვა (საწყისი შეუძლებლობა¹⁰), ასეთი გარიგება და მისგან გამომდინარე ვალდებულება 91-ე მუხლის ძალით ბათილია.¹¹ ასეთ შემთხვევაში 401-ე მუხლის გამოყენების საჭიროება არ არსებობს, რამეთუ უფრო სპეციალური მუხლი მოდის მოქმედებაში. 8

გ. შეუძლებლობისა და ფულადი ვალდებულების ურთიერთმიმართება

არგუმენტი – „ფული არ მაქვს“ – არ ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით (*„Geld muss man haben“*). როგორც ყველაზე მკაცრი გვაროვნული ვალდებულება, ფულადი ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს.¹² 9

დ. შეუძლებლობის გამიჯვნა პარალელური ინსტიტუტებისგან

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს შეუძლებლობა და **შესრულების გართულება**. შეუძლებლობის შემთხვევაში შესრულების ვალდებულება კანონის ძალით ქარწყლდება, რადგან სამართლებრივი ანომალია იქნებოდა, მხარეს დააკისრო ის, რის შესრულებაც შეუძლებელია. შესრულების გართულებისას კი ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ კრედიტორის ინტერესსა და მოვალის მიერ გასაწევ დანახარჯებს შორის იმდენად აშკარა შეუსაბამობაა, რომ მისი გაუთვალისწინებლობა კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, გართულებული შესრულების ვალდებულება ძალაშია, თუკი ვალდებულების ადაპტაცია შეცვლილი გარემოებებისადმი ჯერ კიდევ შესაძლებელია. შესრულების გართულების ინსტიტუტი კანონმდებელმა მოანესრიგა 398-ე, 399-ე მუხლებით, თუმცა ეს რეგულირება არ არის ყოვლისმომცველი და შესრულების გართულების სრულყოფილი მოწესრიგებისათვის საჭიროა ამ მუხლების მოქმედების სფეროს გაზრდა.¹³ 10

9 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 96.
 10 იხ. მაისურაძე, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2013, გვ. 41, 46 და შემდგომი.
 11 ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/ 2011, გვ. 10, 11.
 12 გამონაკლისი შეიძლება ვალუტის კონვერტაციასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული შეზღუდვებისას დაიშვას.
 13 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 105 და შემდგომი.

ე. შეუძლებლობის კატეგორიები

ა.ა. ფაქტობრივი შეუძლებლობა

- 11 შეუძლებლობის კლასიკური შემთხვევაა ფაქტობრივი (ბუნებრივი) შეუძლებლობა.¹⁴ ფაქტობრივი შეუძლებლობა შესრულების შესაძლებლობას ობიექტურად გამორიცხავს – ანუ მის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება არ ძალუძს არც მოვალეს და არც მესამე პირს. თუკი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი კრედიტორზე მის გადაცემამდე განადგურდა, მოვალე ვერ შეასრულებს ვალდებულებას, რამეთუ ის ვერ შექმნის ამ ნივთს თავიდან. ობიექტურ შეუძლებლობას უტოლდება ასევე ნივთის გარდაქმნა არსებითად სხვა ნივთად,¹⁵ რაც ამ ნივთის გარეგნულ სახეს და ღირებულებით თვისებებს ცვლის.¹⁶
- 12 ობიექტური შეუძლებლობა შესაძლოა წარმოიშვას როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ასევე ხელშეკრულების დადების შემდგომ. ამ ორი შემთხვევის გამიჯვნას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების დარღვევის შემადგენლობის განსაზღვრისთვის. საწყისი შეუძლებლობისას მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება შეუძლებლობის ფაქტის არცოდნის გამო, თუ მას გარემოებათა გათვალისწინებით უნდა სცოდნოდა და შეეძლო ამ ფაქტის ცოდნა. ხელშეკრულების შემდგომ შეუძლებლობას რაც შეეხება, მოვალის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დგება, თუ მას შეუძლებლობის გამომწვევი მიზეზის თავიდან აცილება შეეძლო, ან მან თავად გამოიწვია შეუძლებლობა.¹⁷

ბ.ბ. სუბიექტური შეუძლებლობა

- 13 სუბიექტურია შეუძლებლობა, როცა პერსონალური ან ინდივიდუალური ვალდებულების შესრულება მოვალისათვის შეუძლებელია, თუმცა ამ ვალდებულების შესრულება შესაძლებელი იქნებოდა მესამე პირისათვის.
- 14 მაგ., საყვავილე, რომელიც ა-მ ბ-ს მიჰყიდა, უცნობმა პირებმა მოიპარეს. ა-მ ამის თაობაზე პოლიციას შეატყობინა, თუმცა პოლიციამ დამნაშავეთა კვალს ვერ მიაგნო.
- 15 შესაძლოა ა-ს ადგილას სხვა პირი (მაგ., ქურდი) ამ საყვავილის ბ-სთვის საკუთრებაში გადაცემას შეძლებდა, მაგრამ ეს ა-სთვის შეუძლებელია.
- 16 სუბიექტური შეუძლებლობა შეიძლება ხელშეკრულების დადებამდეც დადგეს.
- 17 მაგ., ფეხბურთელი კისრულობს ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს ამხანაგურ მატჩში, თუმცა მოგვიანებით მას ფარული ტრავმა აღმოაჩნდება, რომელიც მას მატჩში მონაწილეობის შესაძლებლობას ართმევს.

14 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 378.

15 Unberath, in: Beck OK BGB, §275, Rn. 22.

16 Huber, Leistungsstörungsrecht, 1999, Bd. II, § 56 I, S. 700 ff.

17 მახურაძე, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2013, გვ. 41, 52 და შემდგომი.

გ.გ. სამართლებრივი შეუძლებლობა

სამართლებრივი შეუძლებლობა შეუძლებლობის ერთ-ერთი გამოვლი- 18
ნებაა. სამართლებრივი შეუძლებლობა შესაძლოა, ატარებდეს ობიექტურ
ან სუბიექტურ ხასიათს.

სამართლებრივი შეუძლებლობისას მოვალე კისრულობს ვალდებუ- 19
ლებას, რომელსაც იგი სამართლებრივად ვერ უმკლავდება. აქ უნდა გა-
ნვასხვავოთ ორი შემთხვევა. ვალდებულება შესაძლოა, ეწინააღმდეგე-
ბოდეს კანონს და იყოს ბათილი 54-ე მუხლის ძალით. ასეთ შემთხვევაში
ვალდებულება გაქარწყლებულია, არა იმიტომ, რომ მისი შესრულება
შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ იგი მართლსაწინააღმდეგო და, შე-
საბამისად, ბათილია.¹⁸ სხვა შემთხვევაში ვალდებულება შესაძლოა, იყოს
სამართლებრივად ნამდვილი, მაგრამ სამართლებრივად შეუსრულებადი.
მაგ., მოვალემ შეიძლება იკისროს გარკვეული კონსტრუქციის ნაგებობის
აშენების ვალდებულება, თუმცა მოგვიანებით მიღებული რეგულაციის
გამო მან ვერ შეძლოს ამ ნაგებობის აშენების ნებართვის მიღება.¹⁹

სამართლებრივ შეუძლებლობად არ ითვლება მდგომარეობა, როცა სა- 20
მართლებრივი ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია, ან ადმინისტრაცი-
ული ორგანოს უარი ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას ექვემდებარე-
ბა.²⁰ მსგავს შემთხვევაში შესრულების ვალდებულება ავტომატურად არ
ქარწყდება (გარდა აბსოლუტურად ფიქსირებული ვალდებულებისა) და
მოვალე ვალდებულია, ყველა ღონე იხმაროს სამართლებრივი პრობლემის
გადასაჭრელად, ხოლო თუ აუცილებელი ზომები მოულოდნელად მაღალ
დანახარჯებთან არის დაკავშირებული, 398-ე მუხლის წინაპირობათა არ-
სებობის შემთხვევაში ხელშეკრულების მისადაგება მოითხოვოს. კრედი-
ტორი, თავის მხრივ, უფლებას ინარჩუნებს, არ დაელოდოს სამართლებ-
რივი მდგომარეობის გამოსწორებას და 405-ე მუხლის პირობების დაცვით
გავიდეს ხელშეკრულებიდან.

3. შესრულების ფარგლები

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ თავისუფლდება მოვალე შეს- 21
რულების ვალდებულებისაგან, როცა მას შეუძლია, მსგავსი ნივთი მესა-
მე პირისაგან შეიძინოს და ვალდებულება ამდაგვარად შეასრულოს. აქ,
უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ინდივიდუა-
ლური ნიშნით განსაზღვრული და გვაროვნული ვალდებულება.

ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში ვალდე- 22
ბულება შემოიფარგლება ამ საგნით. მაგ., თუ ა კისრულობს ვალდებულე-
ბას, ბ-ს მიჰყიდოს თავის საკუთრებაში არსებული კონკრეტული ცხენი, ა-ს

18 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 100; *მა-
ისურაძე*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო
სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2013, გვ. 41, 42.

19 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 100; ასე-
ვე იხ. სუსგ კრებული 2002/1 სუსგ 3კ/263-02, 726.

20 *Schwarze*, Das Recht der Leistungsstörungen, 2008, §4, Rn. 11 ff.

ვალდებულება ბ-ს მიმართ გაქარწყლდება, თუ მისი ცხენი დაიღუპება. მართალია, ამ შემთხვევაში ა-ს შეუძლია მეზობლის ცხენის შექენა და მისი ბ-სთვის მიყიდვა, მაგრამ ა ვალდებული არ არის, ასე მოიქცეს, ხოლო ბ არ არის ვალდებული, მიიღოს სხვა შესრულება, რადგან ა-ს ცხენი თვისებრივად ინდივიდუალური საგანია და მის სანაცვლოდ მიწოდებული ცხენი სხვა შესრულებად ჩაითვლება (იხ. ს.კ. 379). სხვა შემთხვევაა, თუ, მაგ., ა ბ-ს წინაშე პასუხისმგებლობას იკისრებს, მიჰყიდოს მას თავისი ცხენი. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება გვაროვნულია, თუმცა, როგორც ეს ხელშეკრულების განმარტებით დგინდება („მისი“), ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ ა-ს კუთვნილი ცხენებით. შესაბამისად, ა ვალდებულია, შეასრულოს ბ-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულება, სანამ მას ერთი ცხენი მაინც დარჩა. კიდევ უფრო მძიმეა მოვალის ტვირთი, თუ ვალდებულების საგანი გვაროვნული ნიშნით არის განსაზღვრული (მაგ., 100 ტონა კარტოფილი) და ვალდებულება არ არის შეზღუდული ტერიტორიული ნიშნით (მაგ., „სოფელ კარდენახში 2012 წელს მოსული ყურძნისგან დამზადებული ღვინო“), ან მოვალის მარაგით („ჩემს მარაგში არსებული ღვინო“). ასეთი ვალდებულება კონკრეტული პარტიის ან მოვალის ხელთ არსებული მარაგის დაღუპვით, რა თქმა უნდა, არ შემოიფარგლება და მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს. გამონაკლისი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ ვალდებულების საგნის ჩანაცვლება შეუძლებელია, რადგან ბაზარზე შესაბამისი გვარობის საქონელი აღარ მოიპოვება.

4. შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები

- 23 შეუძლებლობის შემთხვევაში შესრულების ვალდებულება ქარწყლდება ან დროებით წყდება.
- 24 თუკი ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად 394-ე (კრედიტორი არ გადის ხელშეკრულებიდან) ან 407-ე (კრედიტორი გადის ხელშეკრულებიდან²¹) მუხლის საფუძველზე.²² ალტერნატივის სახით კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ფასის შემცირება 492-ე და 536 I მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.²³
- 25 შეუძლებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ 405-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ „დარღვევის არსებობა“ (405 III ა), რომელიც შეუძლებლობამ გამოიწვია. თუ შეუძლებლობის შედეგად ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება და ამ შესრულებას კრედიტორისათვის ინტერესი არ დაუკარგავს, ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს ნაწილობრივი შესრულება (405 I).

21 იხ. ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/2011, გვ. 10, 16; მათურაძე, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2013, გვ. 41, 54 და შემდგომი.

22 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 107.

23 იქვე.

მოვალე, რომელიც შეუძლებლობის მიზეზით თავისუფლდება ვალდებულებისგან, ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას, თუ მას არ მიუძღვის ბრალი შეუძლებლობაში (იხ. 406) და შეუძლებლობა კრედიტორის ბრალით არის განპირობებული (406 I).²⁴ შერეული ბრალის შემთხვევაში საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება განისაზღვრება მხარეთა ბრალის პროპორციულად (415).²⁵

III. 401-ე მუხლის დატვირთვა პროცესში

თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, ასეთი ვალდებულება ქარწყდება *ex lege*. ამისათვის მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულების შესრულება ობიექტურად ან სუბიექტურად შეუძლებელია.

იმის მტკიცების ტვირთი, რომ მას ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, აწევს მოვალეს. ეს გამომდინარეობს ნორმის ფორმულირებიდან – „თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამონეული“ – და იმაზე მიუთითებს, რომ მოვალის ბრალი ივარაუდება, თუკი ის საპირისპიროს არ დაამტკიცებს.

²⁴ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 107 და შემდგომში; მაისურაძე, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2013, გვ. 41, 55.

²⁵ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 108.

მუხლი 402. მოვალის პასუხისმგებლობა

მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

I. ზოგადად644

1. 402-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში.....644

II. ძირითადი ცნებები.....644

1. მოვალის პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის (402 1).....644

2. მოვალის პასუხისმგებლობა შემთხვევითობისათვის (402 2).....644

III. ნორმის მოქმედება პროცესში.....645

I. ზოგადად

1. 402-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

1 402-ე მუხლი უზრუნველყოფს სამართლებრივი რისკების გადანაწილებას ვადის გადაცილების პერიოდში. ამ მიზნით ის კრედიტორის სასარგებლოდ აფართოებს მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლებს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. პირველი წინადადება ადგენს პასუხისმგებლობას ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის; მეორე წინადადება კი უფრო შორს მიდის და მოვალეს პასუხისმგებლობას აკისრებს შემთხვევითობისთვისაც, თუ იგი არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც.

II. ძირითადი ცნებები

1. მოვალის პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის (402 1)

2 402 1 მუხლის თანახმად, ვადაგადაცილების პერიოდში მოვალე პასუხს აგებს მსუბუქი გაუფრთხილებლობისთვისაც. ეს ნორმა რელევანტურია იმ შემთხვევებში, როცა კანონით გამორიცხულია პასუხისმგებლობა მსუბუქი გაუფრთხილებლობისათვის, ან დადგენილია პასუხისმგებლობა *quam in suis* (იხ. კომ. 395). ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონით დადგენილ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ დათქმებზე. შესაბამისად, 402-ე მუხლის მე-2 წინადადება არ გამოიყენება იქ, სადაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის საკითხი მონესრიგებულია ხელშეკრულებით.

2. მოვალის პასუხისმგებლობა შემთხვევითობისათვის (402 2)

3 ზოგადად, შემთხვევითობისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება არავის (*casus a nullo praestantur*), თუმცა ეს წესი არ ვრცელდება ვადაგადაცილებაში მყოფ მოვალეზე, რომელიც პასუხს აგებს შემთხვევი-

თობის დროსაც (მკაცრი პასუხისმგებლობა), თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც.

შემთხვევითობის ცნებაში იგულისხმება ბუნებრივი კატაკლიზმები და დაუძლეველი ძალის (*vis maior*) სხვა შემთხვევები (*casus fortuitus*),¹ ისევე, როგორც ნებისმიერი შემთხვევა, მოვლენა და შედეგი, რომელიც მოვალის კონტროლს მიღმაა (*casus minor*). 4

აქვე მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რა ზიანისთვის ეკისრება მოვალეს მკაცრი პასუხისმგებლობა. ეს არის ის **ზიანი, რომელიც კრედიტორს მიადგა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის**, რაც გამოწვეულია „შემთხვევითობით“, რომელიც არ მოხდებოდა (მაგ., ტვირთი მოიპარეს საწყობიდან), ან რომელსაც თავიდან აიცილებდა მოვალე (მაგ., ტვირთი დაიღუპა შტორმის შედეგად), ვალდებულება დროულად რომ შესრულებულიყო. ეს ზიანი შეიძლება წარმოიშვას ისევე, როგორც ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისას, ასევე გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების შემთხვევებში. თუ შემთხვევითობის შედეგად ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი იღუპება, სახეზეა შესრულების შეუძლებლობა, რა დროსაც მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან. თუმცა შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.² სწორედ ამ პასუხისმგებლობას ამკაცრებს 402-ე მუხლი. 5

III. ნორმის მოქმედება პროცესში

402 2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ ზიანი შეიძლებოდა დროული შესრულების შემთხვევაშიც დამდგარიყო. შესაბამისად, მოვალე გათავისუფლდება მკაცრი პასუხისმგებლობის წნებისგან, თუ დაამტკიცებს (არამხოლოდ ჰიპოთეზურად), რომ, მაგ., ნივთი შეიძლება იმ შემთხვევაშიც განადგურებულიყო, ვალდებულება დროულად რომ შესრულებულიყო. 6

1 *Knütel*, Zum „Zufall“ in § 287 S. 2 BGB, NJW 1993, S. 900.

2 *Ernst*, in MüKo BGB, § 287, Rn. 3.

მუხლი 403. პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

2. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

- I. ზოგადად646
 - 1. 403-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში646
 - 2. 403 I მუხლის ნინაისტორია647
- II. ძირითადი ცნებები.....648
 - 1. პროცენტის დარიცხვა ვადაგადაცილებულ ფულად ვალდებულებაზე (403 I).....648
 - ა. ფულადი ვალდებულების ცნება.....648
 - ბ. პროცენტის ცნება.....648
 - გ. დარიცხვის პერიოდი648
 - დ. „უფრო მეტის მოთხოვნის უფლება“.....649
 - 2. პროცენტზე პროცენტის დარიცხვა ვადაგადაცილებულ ფულად ვალდებულებაზე (403 II)649
 - 3. დარიცხული პროცენტის კორექტირება სასამართლოს მიერ650
- III. 403-ე მუხლის მოქმედება პროცესში.....651

I. ზოგადად

1. 403-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

1 403-ე მუხლი აზუსტებს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებს ფულად ვალდებულებებზე პროცენტის დარიცხვასთან მიმართებით.

2 403 I მუხლში განმარტებულია, რომ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ფულადი ვალდებულების დაყოვნებისათვის შეიძლება დაირიცხოს პროცენტი, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ, თუ მხარეები ამაზე არ შეთანხმებულან, ფულად ვალდებულებაზე არ დაირიცხება პროცენტი, მათ შორის – არც ჰიპოთეზური ზიანის დაანგარიშების მიზნით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურება, რისთვისაც უნდა დააკმაყოფილოს 408-ე და მომდევნო მუხლების მოთხოვნები. 403 I მუხლი კრედიტორს უქმნის ზიანის ანაზღაურების ქმედით ბერკეტს, ათავისუფლებს რა მას ზიანის არსებობის მტკიცების

ტვირთისგან.¹ ამ თვალსაზრისით, 403-ე მუხლი ასევე ატარებს პრევენციულ ხასიათს,² რადგან მოვალემ იცის, რომ ვადის გადაცილების შემთხვევაში მას უპირობოდ ეკისრება გარკვეული თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

403 II მუხლი იძლევა პროცენტზე პროცენტის დარიცხვის (ანატოციზმი) შესაძლებლობას. ამით კანონმდებელი აფართოებს ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს, რომელიც 2007 წლამდე მოქმედი რედაქციით უფრო ვიწრო იყო. 3

2. 403 I მუხლის წინაისტორია

403 I მუხლის ამჟამინდელი რედაქცია განსხვავდება 2007 წლამდე მოქმედი რედაქციისგან,³ რომლის თანახმად: მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებდა, ვალდებული იყო, გადაცილებული დროისათვის გადაეხადა კანონით განსაზღვრული პროცენტი, თუკი კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეეძლო. კანონით განსაზღვრული პროცენტი დგინდებოდა ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისათვის ფიქსირებული პროცენტის მიხედვით.⁴ ამ ნორმის მიზანი იყო, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში კრედიტორს მიეღო ის მინიმალური მიუღებელი შემოსავალი, რომელიც ფულში, მისი უნივერსალური საბრუნავი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის მოიაზრება.⁵ ეს წესი გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რეალურად იქნებოდა თუ არა დროულად გადახდილი თანხა კრედიტორისათვის რაიმე შემოსავლის მომტანი.⁶ დღეს არსებული მდგომარეობით, ამ „მინიმალური ზიანის“⁷ გარანტირებულად ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსი აღარ ითვალისწინებს და მას მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებულს ხდის.⁸ შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში კრედიტორს ისლა დარჩენია, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით საანაბრე პროცენტი მოითხოვოს (411). სასამართლო 4

1 *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 5 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

2 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის № ას-633-596-2012 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 15 ნოემბრის № ას-1214-1143-2012 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება).

3 შეიცვალა საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონით №5127 - სსმ I, №27, 17.07.2007 წ., მუხ. 21.

4 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 403, გვ. 427

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის № ას-1028-1059-2011 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება); 2014 წლის 4 მარტის № ას-992-950-2013 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება).

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 403, გვ. 427.

7 იქვე.

8 *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 32 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

პრაქტიკით დამკვიდრებული „საანაბრე ფიქციის“ თანახმად, ფული იმდენად ბრუნვაუნარიანი ობიექტია, რომ მისი არამართლზომიერი დაყოვნება, თავისთავად წარმოშობს ხელიდან გაშვებული ჰიპოთეზური საანაბრე სარგებლის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, მოთხოვნის უფლებას (411).⁹ ამასთანავე, მითითებულ ზიანს მტკიცება არ სჭირდება,¹⁰ თუმცა მტკიცება სჭირდება საანაბრე პროცენტის ოდენობას.

II. ძირითადი ცნებები

1. პროცენტის დარიცხვა ვადაგადაცილებულ ფულად ვალდებულებაზე (403 I)

ა. ფულადი ვალდებულების ცნება

- 5 403 I მუხლი უშვებს ვადაგადაცილებულ ფულად ვალდებულებაზე პროცენტის დარიცხვის შესაძლებლობას. არაფულად ვალდებულებებს სარგებელი არ ერიცხებათ, თუმცა მათ შემთხვევაში იმავე მიზნით შეიძლება ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენება (მაგ., პირგასამტეხლო (417)). ფულად ვალდებულებაში მოიაზრება ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირველადი, ასევე მეორეული ვალდებულება. ეს ფულადი ვალდებულება შესაძლოა, გამომდინარეობდეს როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე კანონიდან.¹¹

ბ. პროცენტის ცნება

- 6 პროცენტი 403-ე მუხლის მნიშვნელობით გულისხმობს ვადაგადაცილებულ თანხაზე დარიცხულ სარგებელს, რომელიც დაანგარიშდება ვადაგადაცილებული თანხიდან და რომელიც დამოუკიდებელია მოვალის რეალური სარგებლისა და კრედიტორის რეალური ზარალისგან. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი ვადაგადაცილების მთელი ან ნაწილი პერიოდისათვის, ერთჯერადად ან მრავალჯერადად.
- 7 შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული ან ინდექსირებული (მიზმული რაიმე ცვალებად ინდექსზე).

გ. დარიცხვის პერიოდი

- 8 იმისათვის, რომ ფულადი ვალდებულების მოვალეს პროცენტი დაერიცხოს, იგი უნდა იყოს ვადაგადაცილებაში,¹² ანუ სახეზე უნდა იყოს მე-400

9 *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 7 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის No ას-828-786-2013 განჩინება.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის No ას - 828 - 786 - 2013 განჩინება.

11 *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 2 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს № ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება; *მესხიშვილი*,

მუხლის წინაპირობები. ამასთანავე, ვადაგადაცილებაში მოვალეს უნდა მიუძღოდეს ბრალი (იხ. 401, 395 I).

პროცენტი დაირიცხება მხოლოდ იმ ფულად ვალდებულებაზე, რომელიც ვადაგადაცილებულია. შესაბამისად, თუ კრედიტორი ფულად ვალდებულებას ასრულებს ნაწილობრივ, პროცენტი დაირიცხება მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ჯერ არ შესრულებულა. 9

თუ მხარეებს ხელშეკრულებით სხვა რამ არ დაუდგენიათ, პროცენტის დაირიცხვა დაიწყება ვადაგადაცილების პირველი დღიდან, ხოლო თუ მოვალე ვადაგადაცილებაში გაფრთხილების საფუძველზე აღმოჩნდება, პროცენტი დაირიცხება გაფრთხილების მიღების მომდევნო დღიდან (იხ. კომ. 400). 10

პროცენტის დაირიცხვა ნყდება ვადაგადაცილების დასრულებისთანვე. 11

დ. „უფრო მეტის მოთხოვნის უფლება“

403 I მუხლის ფორმულირება დამაბნეველია. ერთი შეხედვით, ეს ნორმა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეთანხმებული პროცენტის მოთხოვნა, თუ მას სხვა საფუძველიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ეს მცდარი დასკვნაა. მოთხოვნათა კონკურენციის პირობებში კრედიტორის გადასაწყვეტია, თუ რა საფუძველით მოითხოვს ის ზიანის ანაზღაურებას. მან თავად უნდა გადაწყვიტოს, დასჯერდება იგი მცირედ პროცენტს, თუ სხვა საფუძველით ეცდება დაზიანებული ინტერესის ანაზღაურებას. პრაქტიკული გადმოსახედიდან 403-ე მუხლის მიზანია, კრედიტორს გარანტირებულად მისცეს გარკვეული თანხის მოთხოვნის უფლება, თუ ის უფრო მეტ ზიანს ვერ დაამტკიცებს. უფრო მეტიც, 403 I მუხლი არათუ უზღუდავს კრედიტორს დაირიცხული პროცენტის მოთხოვნის უფლებას უფრო მაღალი ზიანის არსებობის შემთხვევაში, არამედ უტოვებს მას უფლებას, მოითხოვოს სხვაობა ზიანსა და დაირიცხულ პროცენტს შორის.¹³ 12

2. პროცენტზე პროცენტის დაირიცხვა ვადაგადაცილებულ ფულად ვალდებულებაზე (403 II)

2007 წლამდე მოქმედი რედაქციით¹⁴ აკრძალული იყო პროცენტზე პროცენტის (*usurae usurarum*) დაირიცხვა. ეს ნორმა წარმოადგენდა 54-ე მუხლის კონკრეტულ გამოხატულებას ვალდებულებით სამართალში. დღეს მოქმედი რედაქციით, ფულადი ვალდებულების ვადაგადაცილებითათვის დასაშვებია პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება, თუ ამა-

პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 8 და მომდევნო გვერდი (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

13 ასვე იხ. *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 6 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

14 შეიცვალა საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონით №5127 - სსმ I, №27, 17.07.2007 წ., მუხ. 21.

ზე არსებობს მხარეთა შეთანხმება. ამასთანავე, პროცენტზე შეთანხმება თავისთავად არ გულისხმობს პროცენტზე პროცენტის შეთანხმებას, რისთვისაც აუცილებელია ცალკე შეთანხმება. შეთანხმება შეიძლება მოხდეს როგორც ვადაგადაცილებამდე, ასევე ვადაგადაცილების შემდეგაც.

3. დარიცხული პროცენტის კორექტირება სასამართლოს მიერ

- 14 403 I მუხლი არ შეიცავს რაიმე დათქმას იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ბათილი შეთანხმება პროცენტის და პროცენტზე პროცენტის დარიცხვის თაობაზე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი შეთანხმება არ შეიძლება ბათილად იქნეს მიჩნეული საერთოდ. სამომხმარებლო ხელშეკრულებებში სტანდარტული პირობების გამოყენებისას ბათილობა შესაძლოა დადგინდეს 348-ე „ე“ მუხლით.¹⁵ ეს ნორმა კრძალავს დებულებებს, რომლებითაც შემთავაზებელს უფლება ეძლევა, ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა მოითხოვოს. ზიანის ცნებაში შესაძლოა, მოაზრებულ იქნეს პროცენტიც, რადგან 403-ე მუხლის მნიშვნელობით პროცენტი არა აბსტრაქტული საჯარიმო სანქცია, არამედ ზიანის ფიქსაციისა და მისი უზრუნველყოფის საშუალებაა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთან დადებულ სტანდარტულ ხელშეკრულებებში მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტი და მის საფუძველზე დარიცხული თანხა არ შეიძლება იყოს ფაქტობრივ ან ჰიპოთეზურ ზიანზე მეტი. ფაქტობრივი ზიანის დაფიქსირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი მის ფულად აქტივებს იყენებს კომერციული მიზნით. მაგ., თუ კრედიტორი ბანკი ან საფინანსო ორგანიზაციაა, მასა და მის მომხმარებელს შორის შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს მსგავსი ტრანსაქციებისათვის შეთანხმებულ საპროცენტო განაკვეთზე მეტი, ანუ იმ თანხაზე მეტი, რომელსაც, მაგ., კრედიტორი მოვალის მხრიდან ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ვადაგადაცილებული თანხის კრედიტის კვლავ გაცემით.¹⁶ ხოლო თუ კრედიტორი მის ფულად აქტივებს არ იყენებს კომერციული მიზნებისათვის, დარიცხული პროცენტი არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი, ვიდრე კრედიტორი მიიღებდა ვადაგადაცილებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსების შემთხვევაში დარიცხული სარგებლის სახით.¹⁷

- 15 შეთანხმება პროცენტისა და პროცენტზე პროცენტის დარიცხვის თაობაზე შესაძლოა, ასევე ბათილი იყოს 54-ე მუხლთან წინააღმდეგობის გამო, თუ დარიცხული პროცენტის ოდენობა აშკარად კაბალურია. ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა დაუშვა პროცენტზე პროცენტის დარიცხვა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პროცენტის ან პროცენტზე დარიცხული

15 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის № ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო ამონიშნავს შეთანხმების შესაბამისობას.

16 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის № ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება.

17 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის № ას-992-950-2013 გადაწყვეტილება.

პროცენტის ოდენობა შესაძლებელია, ყველანაირ მორალურ ფარგლებს გასცდეს.¹⁸ თუ რამდენად კაბალურია პროცენტის საფუძველზე ფაქტობრივად დარიცხული თანხა, უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას, ფაქტობრივი (თუ ასეთი ზიანი რეალურად დადგა) ან ჰიპოთეზური (თუ ასეთი ზიანი რეალურად არ დამდგარა) ზიანის და დარიცხული პროცენტის შეჯერების შედეგად. იმავდროულად გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავად საპროცენტო განაკვეთის ოდენობაც, რადგან შესაძლებელია, რომ დარიცხული პროცენტი აშკარად აღემატებოდეს ფაქტობრივ ზიანს, თუმცა თავად პროცენტი არ იყოს კაბალური და დარიცხული თანხის ოდენობა გამოწვეული იყოს ვადაგადაცილების ხანგრძლივობით.¹⁹

348 „ე“ და 54-ე მუხლების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2007 წელს განხორციელებული ცვლილების მიზანი სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლების გაფართოება იყო – კანონმდებლის გადაწყვეტილებით, მხარეებს, ერთი მხრივ, მიეცათ პროცენტის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა, რომელიც აღარ ებმის კანონით დადგენილ პროცენტს (403 I), ხოლო მეორე მხრივ, დასაშვები გახდა პროცენტზე პროცენტის დარიცხვა. ეს ნიშნავს: მხოლოდ ის ფაქტი, რომ შეთანხმებული პროცენტი ბანკების მიერ გამოყენებულ საპროცენტო განაკვეთებზე მაღალია, ან თანხა ფაქტობრივ ზიანს აღემატება, არ არის საკმარისი შესაბამის დათქმათა გასაბათილებლად. 16

პროცენტზე შეთანხმების ბათილობა 54-ე მუხლთან წინააღმდეგობის გამო არ უნდა აქარწყლებდეს საპროცენტო ვალდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს 347 „ე“ და 54-ე მუხლებს, იცავს სამოქალაქო ბრუნვას და არა მოვალეს, როგორც ასეთს. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები თანაზომიერად იქნება დაცული, თუ მოხდება საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.²⁰ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, სასამართლომ არა გააბათილოს პროცენტზე შეთანხმება, არამედ, 420-ე მუხლის ანალოგიით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი. 17

III. 403-ე მუხლის მოქმედება პროცესში

ვადაგადაცილების არსებობის მტკიცების ტვირთი აწევს კრედიტორს,²¹ თუმცა ის გათავისუფლებულია მოვალის ბრალისა (იხ. 401) და ზიანის არსებობის მტკიცების ტვირთისგან. 403-ე მუხლის უპირატესობა სწორედ 18

18 *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 14 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf);

19 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის № ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება.

20 ასევე იხ. *მესხიშვილი*, პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები), გვ. 14 (http://www.library.court.ge/upload/procentis_gadaxda.pdf).

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის № ას-633-596-2012 გადაწყვეტილება.

ისაა, რომ შეთანხმებული პროცენტის მოთხოვნის უფლება კრედიტორს წარმოეშობა, მიუხედავად იმისა, რეალურად განიცადა თუ არა მან რაიმე ზიანი. ვადაგადაცილების ფაქტის არსებობა საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ კრედიტორმა შეთანხმებული პროცენტი დაარიცხოს ვადაგადაცილებულ თანხას.²²

- 19 სარჩელით მოსარჩელეს შეუძლია განსაზღვროს, თუ რა პერიოდამდე ითხოვს ის დარიცხული პროცენტის ანაზღაურებას. დასაშვებია ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების სრულად შესრულებამდე ან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.²³

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის № ას-416-394-2012 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება).

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის № ას-1126-1153-2011 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის № ას-961-903-2012 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება).

მუხლი 404. კრედიტორის უფლება ზიანის ანაზღაურებაზე

კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

- I. ზოგადად653
 - 1. 404-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში.....653
- II. ძირითადი ცნებები.....654
 - 1. ვადის გადაცილება და შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება.....654
 - 2. ვადის გადაცილება და მიუღებელი შემოსავალი.....654
 - 3. 404-ე მუხლით დადგენილი სანქციების სახელშეკრულებო მოდიფიკაცია655
- III. 404-ე მუხლის დატვირთვა პროცესში655

I. ზოგადად

1. 404-ე მუხლის ფუნქცია და ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

404-ე მუხლი არის სპეციალური მოთხოვნის საფუძველი ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის.²⁴ ზიანის ამ კატეგორიასთან მიმართებით ის ანაცვლებს 394 I 1 მუხლს, რადგან არის უფრო სპეციალური მოთხოვნის საფუძველი. 1

404-ე მუხლის წინაპირობაა ვადის გადაცილება. არის თუ არა სახეზე ვადის გადაცილება, უნდა დადგინდეს მე-400 მუხლის საფუძველზე, ხოლო რაც შეეხება ბრალს, ის უნდა დადგინდეს 401-ე მუხლით (იხ. კომ., 401). 2

404-ე მუხლი ასევე არ აწესრიგებს მიზეზშედეგობრიობისა და ზიანის სავარაუდოობის საკითხს. ეს საკითხი ვადის გადაცილებისას, ისევე როგორც ვალდებულების დარღვევის სხვა შემთხვევებში, წესრიგდება ზოგადი ნორმებით (იხ. 412). 3

ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებულად ჩაითვლება, თუ მოვალე აღადგენს იმ მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვადის გადაცილება (იხ. 408). რადგან ვადის გადაცილების შემთხვევაში ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა *in natura* პრაქტიკულად შეუძლებელია, ვადის გადაცილებისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, როგორც წესი, ფულადი კომპენსაციით ხდება. 4

²⁴ თუ კრედიტორი აცილებს შესრულების მიღების ვადას, მაშინ, როცა ის ვალდებული იყო, მიეღო შესრულება (შესრულების მიღება იყო არა მხოლოდ მისი უფლება, არამედ ვალდებულებაც), ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება 391-ე და არა 404-ე მუხლის საფუძველზე (იხ. კომ. 391).

II. ძირითადი ცნებები

1. ვადის გადაცილება და შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება

- 5 პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანი და ის ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად.
- 6 მაგ., ა-მ ბ-სგან იქირავა დანადგარი, რომელიც დროულად არ დააბრუნა. ბ-მ დაგვიანებული დანადგარის ნაცვლად იქირავა სხვა დანადგარი. ქირის ღირებულება შეადგენს 100 ლარს. გარდა ამისა, სანამ იგი სხვა დანადგარს იქირავებდა, სანარმო განაცდურის გამო ბ-ს მიადგა 200 ლარის ზიანი.
- 7 ამ მაგალითში 100 ლარის დანაკლისი არის ის ზიანი, რომელიც დადგა, როცა კრედიტორმა შეთანხმებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ისარგებლა, ანუ ეს ზიანი ანაცვლებს შესრულებას და მისი ანაზღაურება მხოლოდ 394 II, III მუხლის წინაპირობათა არსებობისას არის შესაძლებელი (შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება). 200 ლარის ზიანი არის ვადის გადაცილებით გამონვეული ზიანი. ეს არის ის ზიანი, რომელიც დადგა იმიტომ, რომ ვალდებულება დროულად არ შესრულდა (შესრულების გვერდით ზიანის ანაზღაურება), ამიტომ ის 404-ე, მე-400 მუხლების საფუძველზე ანაზღაურდება.

2. ვადის გადაცილება და მიუღებელი შემოსავალი

- 8 ვადის გადაცილების შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი (*lucrum cessans*). მიუღებელ შემოსავლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში (იხ. 411).²⁵ მიუღებელი შემოსავლის მოსათხოვნად საკმარისია, თუ კრედიტორი დაამტკიცებს, რომ ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაში მას შესწევდა შესაბამისი შემოსავლის მიღების უნარი. ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა ამ ტვირთს ამსუბუქებს და ფულის განსაკუთრებულ ბუნებაზე აპელირებით ზიანს აბსტრაქტულად გამოიანგარიშებს. შესაბამისად, თუ კრედიტორი ბანკი ან საფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც გასცემს კრედიტებს, ივარაუდება, რომ კრედიტორის განაცდური მოგება არის თანხა, რომელსაც კრედიტორი მოვალის მხრიდან ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ვადაგადაცილებული თანხის სესხად კვლავ გაცემით.²⁶ ხოლო თუ კრედიტორი მის ფულად აქტივებს არ იყენებს კომერციული მიზნებისათვის, ივარაუდება, რომ კრედიტორის ზიანი არის განაცდური მოგება, რომელ-

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 მარტის № ას-509-893-06 გადაწყვეტილება.

26 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის № ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება; 2014 წლის 4 მარტის № ას-992-950-2013 (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

საც კრედიტორი მიიღებდა ვადაგადაცილებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსების შემთხვევაში დარიცხული სარგებლის სახით („ანაბრის ფიქცია“).²⁷ ორივე შემთხვევაში კრედიტორს რჩება უფლება, ამტკიცოს კონკრეტული ზიანის არსებობა, რომელიც შესაძლოა, აღემატებოდეს აბსტრაქტულ ზიანს.

3. 404-ე მუხლით დადგენილი სანქციების სახელშეკრულებო მოდიფიკაცია

404-ე მუხლით დადგენილი სანქციები მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შემსუბუქდეს ან გაიზარდოს. ასევე შესაძლებელია ზიანის იმ კატეგორიათა დადგენა, რომელზე ვრცელდება ანაზღაურების ვალდებულება და რომელზე – არა. 410-ე მუხლზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვადის გადაცილებისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმაც, თუმცა ამგვარი დათქმა არ გავრცელდება განზრახ მიყენებულ ზიანზე (იხ. 395 II). სტანდარტული პირობების მეშვეობით 404-ე მუხლის სანქციათა მოდიფიკაციისას გასათვალისწინებელია 347-ე და 348-ე მუხლების მოთხოვნები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 348-ე მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტები. შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეებს შეუძლიათ, შეათანხმონ როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითსამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები. ფულად ვალდებულებაზე ასევე შესაძლებელია შეთანხმება პროცენტისა და პროცენტზე პროცენტის დარიცხვის თაობაზე (იხ. 403), რომელიც შესაძლოა, ფაქტობრივ ზიანზე მეტი ან ნაკლები იყოს.

9

III. 404-ე მუხლის დატვირთვა პროცესში

მე-400 მუხლის წინაპირობათა არსებობა უნდა დაამტკიცოს კრედიტორმა, ხოლო პასუხისმგებლობის არარსებობის მტკიცების ტვირთი აწევს მოვალეს (იხ. 401). კრედიტორმა ასევე უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ვადაგადაცილებასა და დამდგარ ზიანს შორის, ისევე როგორც ზიანის სავარაუდოობა. კონკრეტული ზიანის მტკიცების ტვირთი აწევს კრედიტორს. აბსტრაქტული ზიანი (ფულადი ვალდებულების შემთხვევაში) ივარაუდება, სანამ მოვალე საპირისპიროს არ დაამტკიცებს. ზიანის სახით მტკიცებას არ საჭიროებს ასევე 403-ე მუხლის საფუძველზე დარიცხული პროცენტის ოდენობა.

10

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის № ას-992-950-2013 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

თავი მესამე

ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:

ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ:

ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;

ბ) დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;

გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;

დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.

4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

5. მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.

I. ზოგადად	657
1. 405-ე მუხლის დატვირთვა და მიზანი.....	657
2. 405-ე მუხლის ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში.....	658
II. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა.....	659
III. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები	661
1. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა (405 I 1).....	661
2. ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო.....	663
ა. მოთხოვნის ნამდვილობა, ვადამოსულობა და ქმედითობა.....	663
ბ. დამატებითი ვადის დაწესება.....	664
გ. როდის არ არის საჭირო დამატებითი ვადის დაწესება	667
ა.ა ზოგადად	667
ბ.ბ აშკარაა, რომ დამატებით ვადას შედეგი არ ექნება, 405 II ა	667
გ.გ დროში მკაცრად ფიქსირებული ვალდებულებები, 405 II ბ	667
დ.დ განსაკუთრებული საფუძვლები, 405 II გ.....	668
3. ხელშეკრულებიდან გასვლა გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო (405 I, III ბ).....	668
4. ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლებლობისას	669
5. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა	669
ა. კრედიტორს აქვს ინტერესი ნაწილობრივ შესრულებაში	669
ბ. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.....	670
გ. კრედიტორის თანაბრალეულობა ვალდებულების დარღვევისათვის, 405 III გ	672
დ. შესაგებელი.....	672
ე. მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის განსაზღვრა (405 V).....	672
6. შეტყობინება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა.....	673
III. 405-ე მუხლის დატვირთვა პროცესში	674
1. მტკიცების ტვირთი.....	674

I. ზოგადად

1. 405-ე მუხლის დატვირთვა და მიზანი

405-ე მუხლი აღმჭურველი ნორმაა.¹ ის ადგენს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს. მასში გათვალისწინებულია როგორც პოზიტიური (რა უნდა იყოს სახეზე), ასევე ნეგატიური წინაპირობები (რა არ უნდა იყოს სახეზე), იმისათვის, რათა კრედიტორი 352-ე მუხლით დადგენილი წესით ხელშეკრულებიდან გავიდეს.

ვალდებულების დარღვევასთან ერთად ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წინაპირობაა **დამატებითი ვადა (Nachfrist)**. მოვალეს, რომელიც

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-12-12-2012 გადაწყვეტილება.

ვალდებულებას არღვევს, უნდა მიეცეს დამატებითი შანსი, რათა შეასრულოს ვალდებულება. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დამატებითი ვადის დაწესება შესაძლოა, აზრს იყოს მოკლებული, ანდა მძიმე ტვირთად აწვებოდეს კრედიტორს. ასეთ **გამონაკლის შემთხვევებში** კრედიტორი თავისუფლდება დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულებისგან (405 II).

- 3 ხელშეკრულებიდან გასვლით მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობას **რეტროაქტიული ეფექტით**, რის შედეგადაც ორივე მხარეს წარმოეშობა შესრულების და მისგან მიღებული სარგებლის უკუქცევის ვალდებულება (352 I). ხელშეკრულებიდან გასვლა ხელშეკრულების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს (არ იწვევს მის ბათილობას). შესაბამისად, ძალაში რჩება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე და მის ფარგლებში წარმოშობილი უფლება-მოვალეობანი, ხოლო პირველადი და დამატებითი შესრულების ვალდებულებანი ქარწყლდება მხოლოდ *ex nunc*.
- 4 ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების დარღვევის შემდეგ სამ შემთხვევას უკავშირდება: 1) ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას (მათ შორის შეუძლებლობის მიზეზით); 2) ვალდებულების არასათანადოდ შესრულებას (არაჯეროვნად/არაკეთილსინდისიერად შესრულება) და 3) გულისხმიერების ვალდებულების დარღვევას. 405-ე მუხლი სამივე ჩამოთვლილ შემთხვევაზე ვრცელდება.

2. 405-ე მუხლის ადგილი ვალდებულებათა დარღვევის სისტემაში

- 5 405-ე მუხლი ადგენს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს. ხელშეკრულებიდან გასვლის პროცედურა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოწესრიგებულია 352-ე და მომდევნო მუხლებით. კოდექსის სისტემურ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ნორმა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებს აწესრიგებს, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის I კარშია განთავსებული (352-ე და მომდევნო მუხლები), მაშინ, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების მომწესრიგებელი ნორმა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის III კარშია განთავსებული.
- 6 405-ე მუხლი უნდა გაიმიჯნოს სხვა უფრო სპეციალური მუხლებისგან. ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ შემკვეთი ან მენარდე ხელშეკრულებიდან გადის ისე, რომ ამას მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა არ უსწრებს წინ, გამოიყენება 636-ე და 637-ე მუხლები (უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპეციალური დანაწესებით კანონმდებელმა მნიშვნელოვნად (და ასისტემურად) დაასუსტა *pacta sunt servanda* პრინციპის მოქმედება ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში); ხოლო, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი ვალდებულების დარღვევაა, გამოიყენება 405-ე მუხლის წინაპირობები (იხ. 643 II, 644). იგივე შეიძლება ითქვას 938-ე მუხლზე, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გასვლას საფუძვლად უდევს არა სხვა წევრის/

წევრთა მიერ ვალდებულების დარღვევა, არამედ საპატიო მიზეზი. შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება 405-ე მუხლით დადგენილი წესით და არა 938 I 2 მუხლის საფუძველზე.² ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებებთან მიმართებით სპეციალურ რეგულაციას ითვალისწინებს 541-ე და 542-ე მუხლები, თუმცა ამ ნორმებით სრულყოფილად არ არის დაცული არც მოვალის და არც კრედიტორის ინტერესები (მაგ., ამ ნორმებში არ დევს 405 III დ-ს ან 405 II ბ-ს მსგავსი პირობა). ეს აუცილებელს ხდის ამ ნორმების შევსებას 405-ე მუხლის შესაბამისი რეგულაციებით, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობათა სპეციფიკა. ასევე მიზანშეწონილია 562 I, II ა მუხლის შევსება 405-ე მუხლით, რადგან აუხსნელი რჩება, თუ რატომ არ უნდა გამოიყენებოდეს იმავე დამატებითი ვადის/გაფრთხილების ინსტიტუტი საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებულ ქირავნობის ხელშეკრულებებში. 557-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში 405-ე მუხლის გამოყენება ზედმეტია, რამდენადაც ეს ნორმა თავად შეიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს (ვალდებულების დარღვევა/გაფრთხილება).

შესრულების გართულებისა და ხელშეკრულების საფუძვლის რღვევისას 405-ე მუხლს წინ უსწრებს 398-ე მუხლი, ხოლო გრძელვადიანი ხელშეკრულებების მოშლისას – 399-ე მუხლი. 7

მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებითი ან განსხვავებული წინაპირობები ხელშეკრულებით შეათანხმონ.³ სტანდარტული პირობების გამოყენებისას მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლება იზღუდება 447-ე და 448-ე მუხლებით. 8

II. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა

405-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს. ხელშეკრულებიდან გასვლით მხარეები წყვეტენ სახელშეკრულებო ურთიერთობებს რეტროაქტიული ეფექტით. ორივე მხარეს წარმოეშობა შესრულების და მისგან მიღებული სარგებლის უკუქცევის ვალდებულება (352 I). ეს კი შეიძლება არცერთი მხარის ინტერესებში არ შედიოდეს და სახელშეკრულებო ურთიერთობის არსს ეწინააღმდეგებოდეს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, სწორად იქნეს გაგებული სხვაობა ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას შორის. მით უმეტეს, რომ საკანონმდებლო დონეზე ეს ორი ფენომენი ნათლად გამიჯნული არ არის. ტერმინოლოგიური დისციპლინის დაცვის მიზნით მიზანშეწონილია ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების შეწყვეტის ტერმინთა დამკვიდრება შემდეგი შინაარსით: 9

2 ამ თვალსაზრისით არადამაჯერებელია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა შემდეგ საქმეში: 2013 წლის 8 ივლისის № ას-1677-1573-2012 გადაწყვეტილება, სადაც უს-ი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლის მარეგულირებელ ნორმად 938-ე მუხლს ასახელებს.

3 ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 იანვრის № ას-482-458-2013 გადაწყვეტილება (სააპელაციოს გადაწყვეტილება).

- 10 **ხელშეკრულების მოშლა** – პირობითად შეიძლება ეწოდოს ისეთ მდგომარეობას, როცა ხელშეკრულება ვალდებულების დარღვევის გამო წყდება, ისე რომ არ ხდება შესრულების და სარგებლის უკუქცევა, ხოლო მხარეთა ვალდებულებები მხოლოდ *ex nunc* ქარწყლდება. ეს შემთხვევებია მაგ.:
- 11 1. სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის ყველა წინაპირობა, თუმცა ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა (სკ. 405 III ა), რის გამოც კრედიტორი ვერ გადის ხელშეკრულებიდან (ასეთ შემთხვევაში იგი უნდა დარჩეს ხელშეკრულებაში და უნდა დასჯერდეს შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურებას);
- 12 2. ვალდებულების დარღვევა გამონვეულია შეუძლებლობით, თუმცა შეუძლებლობისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი (405 II გ). ასეთ შემთხვევაში იგი ვერ გადის ხელშეკრულებიდან და ვერ ითხოვს შესრულების უკუქცევას. თავის მხრივ, მოვალეც თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან, რადგან შესრულება შეუძლებელია, ხოლო შეუძლებლის შესრულების ვალდებულება არ შეიძლება ვინმეს დაეკისროს (სკ., 8 III). შედეგად ხელშეკრულება წყდება *ex nunc* ეფექტით;
- 13 3. სახეზეა გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც წყდება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით. ეს შესაძლებელია მხოლოდ *ex nunc* ეფექტით (სკ. 399 II);
- 14 4. სახეზეა ცალმხრივი ვალდებულება. ასეთ დროსაც ხელშეკრულება წყდება მხოლოდ *ex nunc* ეფექტით, რამდენადაც ხელშეკრულებიდან გასვლა და ორმხრივი უკუქცევა შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში (იხ. სკ., 405 I 1);
- 15 5. სახეზეა ვალდებულების დარღვევა და, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების მოშლაზე შესრულების უკუქცევის გარეშე;
- 16 **ხელშეკრულებიდან გასვლა** – ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლილია ვალდებულების დარღვევა. ხელშეკრულების მოშლისგან ის განსხვავდება იმით, რომ ამ დროს სახელშეკრულებო ურთიერთობები ქონებრივ ასპექტში უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, ანუ ხდება შესრულების და სარგებლის უკუქცევა.
- 17 **ხელშეკრულების შეწყვეტა** – ამ ფენომენზე (პირობითად) შესაძლებელია საუბარი იქ, სადაც არ ხდება ვალდებულების დარღვევა, თუმცა ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადამდე დასრულება, მაგ.:
- 18 1. შემკვეთის უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ნარდობის ხელშეკრულება (სკ., 636);
- 19 2. მენარდის უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება საპატიო საფუძვლის არსებობისას (სკ., 637);

3. ტურისტის უფლება, საპატიო მიზეზით შეწყვიტოს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება (სკ., 661 | 2); 20
4. დამზღვევის უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება სადაზღვევო შენატანის გაზრდისას (სკ., 807); 21
5. ბანკის უფლება, შეწყვიტოს საბანკო ანგარიშსწორების ხელშეკრულება საპატიო მიზეზით (სკ., 864); 22
6. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც წყდება საპატიო საფუძვლით (სკ., 399 I); 23
7. სახეზე არ არის ვალდებულების დარღვევა, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე შესრულებულის უკუქცევის გარეშე. 24

ხელშეკრულებიდან გასვლისგან ასევე უნდა გავმიჯნოთ შემთხვევები, როცა კრედიტორი **შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, ისე, რომ ამავდროულად არ გადის ხელშეკრულებიდან.** ის ფაქტი, რომ შესრულების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის გარეშეც შეიძლება, იმ გარემოებითაც დასტურდება, რომ კანონმდებელი თითოეულ მათგანს განსხვავებულ წინაპირობებს უკავშირებს და სხვადასხვა მუხლში არეგულირებს (შეად.: 394 და 405, 407). მაგ.: თუ ა-მ ბ-სთვის დაამზადა გარკვეული დანადგარი, რომლის სრულყოფილი ექსპლუატაციაც ვერ ხერხდება ნაკლის გამო, თუ დამატებითი ვადის დანესების შემდეგაც ეს ნაკლი არ გამოსწორდება, კრედიტორს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, დაიტოვებს დანადგარს, თავად გამოსწორებს ნაკლს და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას (ნაკლის გამოსწორებაზე განეული დანახარჯი), თუ გავა ხელშეკრულებიდან და დააბრუნებს დანადგარს მიღებული სარგებლითურთ. მრავალ შემთხვევაში კრედიტორისათვის პირველი გზა შესაძლოა უფრო მოსახერხებელი იყოს. შესაბამისად, სანამ კრედიტორი ხელშეკრულებიდან გასვლის სურვილს პირდაპირ ან კონკლუდენტურად მაინც არ განაცხადებს, იგულისხმება, რომ იგი ხელშეკრულებაში რჩება (**ხელშეკრულებაში დარჩენის პრეზუმფცია**).

III. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

1. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა (405 | 1)

გასვლა შესაძლებელია **მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულებიდან** (405 | 1). ორმხრივი ხელშეკრულების ცნებაში მოიაზრება ყველა ორმხრივი ხელშეკრულება და არამხოლოდ სინალაგმატური ხელშეკრულებები. 26

არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთდაპირისპირებული ვალდებულებები ვალდებულებათა ერთსა და იმავე იერარქიას მიეკუთვნებოდეს (იგულისხმება ძირითადი და დამატებითი ვალდებულებები).⁴ მაგ., 27

4 Ernst, in Müko BGB, §323, Rn. 13.

თუ მოვალე ვალდებული იყო, ნივთი მიენოდებინა და დაემონტაჟებინა, მიუხედავად იმისა, რომ მონტაჟი დამატებითი ვალდებულებაა, კრედიტორი უფლებამოსილია, გავიდეს მთლიანი ხელშეკრულებიდან, თუ მონტაჟის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იგი ინტერესს კარგავს ძირითად შესრულებაში (405 I 3). ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი შესაძლოა გახდეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ვალდებულების დარღვევა, მთავარია, დარღვევა არ ექცეოდეს 405 I 3, 405 III მუხლის შემზღუდავი ნორმების ქვეშ. ამიტომ საკამათოა ის სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში არის შესაძლებელი.⁵ მსგავს შემზღუდავს 405 I მუხლი არ იცნობს და ის არც ამ მუხლის არსიდან არ გამომდინარეობს. უფრო მეტიც, 405 III ბ-ე მუხლიდან ნათლად იკვეთება, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი შეიძლება გულისხმიერების ვალდებულებაც კი გახდეს, არათუ შესრულების დამატებითი ქვევალდებულება.⁶

28 გამონაკლისის სახით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შესაძლოა, მაშინაც წარმოიშვას, როცა სახეზეა ორი, სამართლებრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ეკონომიკურად ერთიანი ხელშეკრულება (**მიზნობრივი კავშირი ხელშეკრულებებს შორის**) და ერთი ხელშეკრულების დარღვევა მეორე ხელშეკრულებიდან გასვლას ამართლებს. მაგ., „ა“-მ „ბ“-საგან შეიძინა ტელევიზორი, რადგან „ა“-ს ამ ტელევიზორისათვის სპეციალური მაგიდა ესაჭიროებოდა, მან „ბ“-საგან ასევე შეიძინა ეს სპეციალური მაგიდაც და დაამონტაჟა იგი ბინაში. ამ მაგალითში სახეზეა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გარიგება, თუმცა ორივე მხარე მაგიდის ნასყიდობისას კონკლუდენტურად თანხმდებოდა იმაზე, რომ „ა“ ამ მაგიდას ტელევიზორის გამო იძენდა. შესაბამისად, თუ „ბ“ „ა“-ს ტელევიზორს არ მიაწვდის, ამ უკანასკნელს ინტერესი ეკარგება, დაიტოვოს მაგიდა. ამიტომ მას უფლება აქვს, გავიდეს მაგიდის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან.

29 იმისთვის, რათა კრედიტორი ხელშეკრულებიდან გავიდეს, მოვალე უნდა არღვევდეს ვალდებულებას (405 I 1). ვალდებულების დარღვევის ცნება აქ ფართო მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. მასში მოიაზრება **ვალდებულების პროგრამიდან ნებისმიერი გადახვევა**. 405-ე მუხლის მიზანია, გაათავისუფლოს კრედიტორი იმ ხელშეკრულებისგან, რომელიც მას ტვირთად აწვება. შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს, რა მიზეზით არ შესრულდა ვალდებულება. აქვე უნდა ითქვას, რომ კრედიტორის უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან, დამოკიდებული არ არის **მოვალის ბრალზე**.⁷

5 მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის № ას-1373-1390-2011 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

6 ასევე იხ. *მაჭარაძე*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 125, 129.

7 თუმცა, ეს უფლება დამოკიდებულია კრედიტორის ბრალზე (იხ. 405 III გ). თავის მხრივ, კრედიტორის ბრალი მცირდება მოვალის თანაბრალეულობის პირობებში (415).

2. ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო

ა. მოთხოვნის ნამდვილობა, ვადამოსულობა და ქმედითობა

ვალდებულება, რომლის დარღვევის გამოც კრედიტორი ხელშეკრულებიდან გადის, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და მას არ უნდა უპირისპირდებოდეს მოვალის შესაგებელი (იხ. კომ., 400). 30

შესრულებადი და აღსრულებადია მხოლოდ **ნამდვილი ვალდებულება**. ვალდებულება, რომელიც არ არსებობს, ვერ დაირღვევა. შესაბამისად, თუ სახეზეა არასრულყოფილი ვალდებულება (იხ. 951, 952), მოთხოვნა ბათილია ან გაქარწყლებულია, მოვალე ვალდებულების დამრღვევად არ ითვლება. გამონაკლისი ამ წესიდან დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავად ის ფაქტი, რომ ვალდებულება გაქარწყლებულია, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგია. მაგ., თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან. თუმცა, თუ შეუძლებლობა მოვალის მიერ არის გამოწვეული, ითვლება, რომ მოვალემ ვალდებულება დაარღვია მაშინ, როცა შეუძლებლობა გამოიწვია, ან თავიდან ვერ აიცილა ის. 31

თუ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის **ვადამოსული**, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან. ამიტომ დამატებითი ვადის დანესება შესაძლებელია მხოლოდ ვადამოსულობის შემდგომ. ვადამოსულობის მომენტი ზოგადი წესით დგინდება 365-ე მუხლით, თუმცა ცალკეული ხელშეკრულებებისათვის მოქმედებს სპეციალური წესებიც (მაგ., იხ. 621). გამონაკლისს ვადამოსულობის წინაპირობიდან ითვალისწინებს 405 IV მუხლი, რომლის თანახმად, **თუ ამკარაა, რომ მეორე მხარე თავის ვალდებულებას ვერ შეასრულებს** და ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი მაინც დადგება, მხარეს შეუძლია, შესრულების ვადის დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როცა მოვალე წინასწარ, ერთმნიშვნელოვნად აცხადებს უარს ვალდებულების შესრულებაზე, ან ამკარაა, რომ ხელშეკრულება ვერც დათქმულ დროს და ვერც დამატებითი ვადის დანესების შემთხვევაში ვერ შესრულდება (*anticipatory breach of contract*).^{8,9} 32

კრედიტორს ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა, ან დაუყოვნებლივ წარადგენს **შესაგებელს** (*dolo agit qui petit quod statim redditurus est*). იმისათვის, რომ მოვალემ შესაბამისი უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას დაუპირისპიროს, მან შესაგებლის/შემხვედრი პრეტენზიის მეშვეობით უნდა მოახდინოს ამ უფლების რეალიზება (მაგ., მოვალე უნდა დაეყრდნოს ხანდაზმულობას, რათა 33

⁸ კეთილსინდისიერების პრინციპის ძალით (8 III). ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ სახეზე არ არის პერსონალურ ვალდებულება და მეორე მხარე გონივრულ ვადაში ვალდებულების შესრულების შესახებ გარანტიას წარადგენს, ან კრედიტორის მოთხოვნას ადეკვატურად უზრუნველყოფს.

⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Mossler, Rücktrittsrecht vor Fälligkeit bei solvenzbedingten Zweifeln an der Leistungsfähigkeit des Schuldners* (§ 323 IV BGB), ZIP 2002, S. 1831, 1835.

გაანეიტრალოს კრედიტორის პრეტენზია შეუსრულებელ ვალდებულებასთან დაკავშირებით). შესაგებელის/შემხვედრი პრეტენზიის დაყენება უნდა მოხდეს კრედიტორის მიერ დამატებითი ვადის დაწესებამდე ან დაუყოვნებლივ, ვადის დაწესების შემდეგ.

ბ. დამატებითი ვადის დაწესება

- 34 სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული კოდექსია.¹⁰ ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობა ადრე თუ გვიან სრულდება, თუმცა ხელშეკრულების მიზანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მშვიდობიანი შესრულებით დასრულებაა. ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის უკიდურესი ზომაა (*ultima ratio*).¹¹ სწორედ ამიტომ ხელშეკრულებიდან გასვლამდე კრედიტორი ვალდებულია, მოვალეს შესრულების კიდევ ერთი შანსი მისცეს და დამატებითი ვადა დაუწესოს. ამისათვის კრედიტორმა უნდა **მოითხოვოს შესრულება და განსაზღვროს ვადა ამ შესრულებისათვის**.
- 35 დამატებითი ვადის დაწესებას, რომელსაც თან ახლავს **იმაზე მეტის მოთხოვნა, ვიდრე მოვალე ვალდებულია შეასრულოს**, სამართლებრივი ძალა არ აქვს. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით გაკეთდეს (8 III), თუკი აშკარაა, რომ მოვალე სათანადო მოთხოვნასაც არ დააკმაყოფილებდა.¹²
- 36 კრედიტორს შეუძლია, დამატებითი ვადის დაწესებისას ხელშეკრულებიდან გასვლის **პოტენციალური პირობა დააყენოს** და ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად დატოვოს (მაგ., „ჩვენ გავდივართ ხელშეკრულებიდან, თუ ვალდებულება არ შესრულდება შეტყობინების ჩაბარებიდან 10 დღეში“). თუ მოვალე მსგავს პირობას არ დააყენებს, დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ნარმოშობს, თუმცა არ გამოიწვევს სახელშეკრულებო ურთიერთობათა ავტომატურ დასრულებას.
- 37 დამატებითი ვადის დასაწესებლად სავალდებულო ფორმა კანონით არ არის დადგენილი. პრაქტიკული თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, დამატებითი ვადა დაწესდეს წერილობითი ფორმით, რაც სადავოობისას შეამსუბუქებს კრედიტორის მტკიცების ტვირთს. კრედიტორს შეუძლია, დამატებითი ვადის დაწესება **ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს**, რადგან დამატებითი ვადის გაუქმებით მოვალის ინტერესები არ ზიანდება.¹³ კრედიტორს ასევე შეუძლია, **დამატებითი ვადის მოქმედება ცალმხრივად გააგრძელოს**. დამატებითი ვადის გაგრძელების ან ხელახალი დამატებითი ვადის დაწესების შემთხვევაში კრედიტორი კარგავს ხელშე-

10 *ზოდე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, გვ. 301.

11 *მაჭარაძე*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 125, 127.

12 Schmidt, in Beck OK BGB, § 323, Rn. 15.

13 Ernst, in MüKo BGB, § 323, Rn. 53; Schmidt, Beck OK BGB, § 323, Rn. 12.

კრულებიდან გასვლის იმ უფლებას, რომელიც მას პირველი დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის გამო ჰქონდა. ეს უფლება მას ხელახლა მხოლოდ მეორე დამატებითი/გახანგრძლივებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში წარმოემოხა.

დამატებითი ვადა უნდა იყოს **განსაზღვრული**. დამატებითი ვადა განსაზღვრულია, თუ იგი ადგენს გარკვეულ ვადას ან მსგავსი ვადის გამოთვლა შესაძლებელია კალენდარულად. 38

დამატებითი ვადა უნდა იყოს **გონივრული**. ეს ნიშან-თვისება დამატებითი ვადის ფუნქციიდან გამომდინარეობს: დამატებითი ვადის მიზანია, მოვალეს მისცეს შესრულების მეორე შანსი;¹⁴ ამავდროულად, მოვალემ უნდა იცოდეს, რომ დამატებითი ვადის მსვლელობისას იგი დაზღვეულია იმისგან, რომ კრედიტორი ხელშეკრულებიდან მოულოდნელად არ გავა და მისი მზადება ვალდებულების შესასრულებლად ფუჭი არ აღმოჩნდება. გონივრული ვადა შეფასებითი კატეგორიაა. გონივრულობის პარამეტრი ფასდება **ობიექტურად, კრედიტორის და მოვალის ინტერესების შეჯერებით**¹⁵ და **ვალდებულების თავისებურების გათვალისწინებით**.¹⁶ ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნაც შესაძლოა ჩაითვალოს გონივრულ დამატებით ვადად, თუ ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება გონივრულად შესაძლებელია.¹⁷ ვადა გონივრულია, როცა ის საკმარისია იმისათვის, რათა მოვალემ შეასრულოს ვალდებულება.¹⁸ ამასთანავე, კრედიტორი არ არის ვალდებული, მოვალეს მისცეს დრო შესრულების მოსამზადებლად ან შესრულების საგნის დასამზადებლად. დამატებითი ვადის მიზანია, მოვალეს მისცეს საშუალება, დაასრულოს შესრულება და არა დაინყოს შესრულებისათვის მზადება.¹⁹ თუ ამკარაა, რომ გონივრულ ვადაში ვალდებულება ვერ შესრულდება, დამატებითი ვადის საკითხი უნდა გადაიხედოს 405 II ა ან გ ქვეპუნქტების საფუძველზე. კრედიტორის მიერ დადგენილი არაგონივრული დამატებითი ვადა **სასამართლოს მიერ შეიძლება შეიცვალოს გონივრული ვადით** (იხ. 325 II). მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებით დაადგინონ დამატებითი ვადის ხანგრძლივობა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა „არაგონივრული“ აღმოჩნდეს. ასეთ დროს მოვალე შესაძლოა დაეყრდნოს 398-ე მუხლს და შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს ვადის ადაპტირება.

დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით 40

14 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის № 22/2639-12 გადაწყვეტილება.

15 *მაჭარაძე*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 135.

16 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 405, გვ. გვ. 441.

17 BGH NJW 2009, 3153.

18 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის № 22/2639-12 გადაწყვეტილება.

19 RGZ 89, 123, 125; BGH NJW 1982, 1279, 1280;

არის განპირობებული, თუ არა. ვალდებულება შეუსრულებლად ჩაითვლება, თუ დამატებითი ვადის გასვლამდე მოვალე არ განახორციელებს იმ ქმედებებს, რომლებიც მას ვალდებულების ძალით უნდა განეხორციელებინა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს **გატანების, გაგზავნის და მიტანის ვალდებულებები**. თუ მოვალე ვალდებული იყო, შესრულების საგანი კრედიტორისათვის გაეგზავნა, მას დამატებითი ვადა დაცულად ჩაეთვლება, თუ ამ ვადის გასვლამდე იგი კრედიტორს შესრულების საგანს გაუგზავნის. თუ შესრულების საგანი კრედიტორს დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ მიუვა, ეს არ ჩაითვლება დამატებითი ვადის გადაცილებად, რადგან შესრულება გულისხმობდა გაგზავნას და არა – მიტანას. მიტანის ვალდებულების შემთხვევაში დამატებითი ვადა დაცულად ჩაითვლება, თუ ამ ვადის გასვლამდე მოვალე კრედიტორს უშუალოდ მიანვდის საქონელს, ხოლო გატანების ვალდებულება დროულად შესრულებული იქნება, თუ დამატებითი ვადის გასვლამდე მოვალე გაამზადებს შესრულებას და კრედიტორს შესთავაზებს მის წაღებას.

41 დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრედიტორს ალტერნატივა უჩნდება, მას შეუძლია, არჩევანი გააკეთოს ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულებაში დარჩენას შორის (*ius variandi*). თუ კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან გასვლა, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს კრედიტორს (355). იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელშეკრულებიდან გავა, კრედიტორი დაკარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას.²⁰ თუ კრედიტორი მოითხოვს შესრულებას, იგი არ დაკარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, თუმცა დანერგილი ნდობის საფუძველზე (8 III) შეიბოჭება საკუთარი მოთხოვნით და მოთხოვნის დაყენებიდან გონივრულ ვადაში იგი ვერ გავა ხელშეკრულებიდან (*venire contra factum proprium*).

42 405-ე მუხლის მიზნებისათვის დამატებითი ვადის დაწესებას უთანაბრდება სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვა.²¹ ასეთ შემთხვევაში დამატებით ვადაში შეიძლება ჩაითვალოს პერიოდი მოპასუხისათვის სასამართლო უწყისის ჩაბარებიდან არსებით განხილვამდე.

43 **შესრულების პასიური ვალდებულებების შემთხვევაში დამატებითი ვადა იცვლება გაფრთხილებით (405 II 2)**. ეს პასიური ვალდებულების ხანიათიდან გამომდინარეობს. თუ პირი არღვევს ვალდებულებას, რომელსაც მყისიერი შედეგი აქვს და რომლის შედეგებიც დამატებითი ვადის დაწესების შემთხვევაშიც არ გამოსწორდება, დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არა აქვს. მაგ., თუ სათვალთვალო კამერის გაანალიზებისას დადგინდება, რომ სტუდენტი შინაგანაწესის საწინააღმდეგოდ მუდმივად აბინძურებდა თავის სამუშაო ადგილს და არღვევდა წიგნების მოხმარების წესებს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას შეუძლია, გაფრთხილებით შემოიფარგლოს და ამ ქმედებათა განმეორების შემთხვევაში აღარ დაუშვას იგი ბიბლიოთეკაში.

20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-12-12-2012 გადაწყვეტილება (იხ. სააპელაციოს გადაწყვეტილება).

21 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის № 23/2639-12 გადაწყვეტილება.

გ. როდის არ არის საჭირო დამატებითი ვადის დაწესება

ა.ა ზოგადად

მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით მოახდინონ 405 I მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების მოდიფიკაცია ან საერთოდ უარი თქვან დამატებით ვადაზე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაზე (შეზღუდვა მოქმედებს სტანდარტული პირობების გამოყენებისას, იხ. 347, 348). თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, ხელშეკრულებიდან გასვლა ზოგადი წესით დამოკიდებულია დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლაზე. გამონაკლისები ამ ზოგადი წესიდან დადგენილია 405 II მუხლით. ეს გამონაკლისები ეფუძნება მხარეთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს. ასევე მათი მოდიფიკაციაც შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.²²

44

ბ.ბ აშკარაა, რომ დამატებით ვადას შედეგი არ ექნება, 405 II ა

405 II ა მუხლის თანახმად, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესების შემთხვევაშიც ვალდებულება არ შესრულდება, კრედიტორს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. ამ საგამონაკლისო დებულებაში, ძირითადად, მოიაზრება ორი შემთხვევა: მოვალის მიერ შესრულებაზე ერთმნიშვნელოვანი უარი და შესრულების შეუძლებლობა.

45

შესრულებაზე ერთმნიშვნელოვანი უარი სახეზეა, როცა მოვალე უარს აცხადებს ვადამოსული ვალდებულების შესრულებაზე. თუ უარი შესრულებაზე ცხადდება ჯერ კიდევ ვადამოსულობამდე, მაშინ გამოიყენება არა 405 II ა მუხლი, არამედ – 405 IV. შესრულებაზე უარი უნდა ატარებდეს ერთმნიშვნელოვან ხასიათს. მაგ., ერთმნიშვნელოვანი უარი სახეზე არ იქნება, თუ მოვალე, უბრალოდ, მოლაპარაკებასა და შესრულების პირობების გადახედვას ითხოვს.²³ ერთმნიშვნელოვანი უარი შესაძლოა, გამოიხატოს დუმით ან უმოქმედობაში. მაგ., თუ მოვალე გონივრულ ვადაში კრედიტორის პრეტენზიაზე რეაგირებას არ ახდენს, მსგავსი უმოქმედობა გაუტოლდება ერთმნიშვნელოვან უარს.²⁴

46

გ.გ დროში მკაცრად ფიქსირებული ვალდებულებები, 405 II ბ

405 II ბ მუხლის თანახმად, თუ ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას, კრედიტორს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. ამ საგამონაკლისო ნორმაში კანონმდებელი მოიაზრებს ე.წ. **დროში ფიქსირებულ ვალდებულებებს**. ეს არის ისეთი ტიპის ვალდებულებები, როცა ვალდებულების შესრულება არა მხოლოდ

47

22 ამ შემთხვევაშიც შეზღუდვა მოქმედებს სტანდარტული პირობების გამოყენებისას, იხ. 347, 348.

23 BGH NJW-RR 1999, 560.

24 Schmidt, Beck OK BGB, § 323, Rn. 21.

რაიმე თარიღს ან ვადას უკავშირდება, არამედ დროულ შესრულებაში კრედიტორს აქვს განსაკუთრებული ინტერესი (დროში რელატიურად ფიქსირებული ვალდებულებები). 405 II ბ მუხლი ეხება მხოლოდ ფარდობითად ფიქსირებულ ვალდებულებებს. დროში აბსოლუტურად ფიქსირებული ვალდებულება ამ ნორმაში არ მოიაზრება, რამეთუ ასეთი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი შესრულება თავისთავად შეუძლებელი ხდება და დამატებითი ვადის დაუნესებლობა აღარ საჭიროებს კრედიტორის მოლოდინით გამართლებას (სახეზეა 405 II ა-ს შემთხვევა).

დ.დ განსაკუთრებული საფუძვლები 405 II გ

- 48 405 II გ მუხლის თანახმად, დამატებითი ვადის დაუნესება საჭირო არ არის, თუ განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა. ეს ნორმა მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლას და პირველი ორი გამონაკლისის ფარგლებში არ ხვდება. როგორც წესი, ეს ის შემთხვევებია, როცა დაყოვნებამ შესაძლოა, უფრო მეტი ზიანი გამოიწვიოს.

3. ხელშეკრულებიდან გასვლა გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო (405 I, III ბ)

- 49 405 III „ბ“ მუხლის თანახმად, კრედიტორს უფლება აქვს, გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ მას 316 II მუხლის დარღვევის გამო ხელშეკრულებაში დარჩენა აღარ შეიძლება მოეთხოვოს. ამრიგად, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულების დარღვევის შედეგად მან დაკარგა ნდობა მის კონტრაჰენტში, რის გამოც მას არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ მოვალე ამავდროულად შესრულების ვალდებულებასაც არღვევდეს.
- 50 **გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა უნდა იყოს იმდენად არსებითი, რომ იგი მოვალის პიროვნებაში ან მის პროფესიულ უნარჩვევებში ნდობას სპობდეს.** უმნიშვნელო დარღვევები საკმარისი არ არის 405 III „ბ“ მუხლის ასამოქმედებლად, თუმცა მათი ერთობლიობა შეიძლება **არსებით დარღვევად იქცეს, თუ, გაფრთხილებების მიუხედავად, დარღვევები განმეორდება.**
- 51 405 III „ბ“ მუხლის გამოყენებისას აუცილებლად უნდა ხდებოდეს ორივე მხარის ინტერესების შეჯერება, ყველაფერთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ურთიერთობის ხასიათი და ნდობის ფაქტორის მნიშვნელობა ამ ურთიერთობაში. თუ ვალდებულება კონტრაჰენტის პიროვნებაში ნდობას განაპირობებს (მაგ., საადვოკატო მომსახურება), ან ხანგრძლივ ურთიერთობას გულისხმობს, კრედიტორს მით უფრო ნაკლებად შეი-

ძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება. მსგავს შემთხვევაში გულისხმიერების ვალდებულების ერთჯერადი დარღვევაც კი შესაძლოა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი გახდეს.

4. ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლებლობისას

შეუძლებლობისას დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს, რამეთუ ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია, კანონის ძალით ქარწყლდება. თუმცა მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება შეუძლებლობის გამონკვევისათვის, ან იმისთვის, რომ მან შეუძლებლობა თავიდან ვერ აიცილა. 52

შეუძლებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. გართულებული ვალდებულების სხვა კატეგორიებისგან განსხვავებით, შეუძლებლობისას, ისევე როგორც შესრულების საფუძვლის რღვევისა და შესრულების გართულების შემთხვევებში (თუ ხელშეკრულების ადაპტირება ვერ მოხდა), მოვალე და, შესაბამისად, კრედიტორიც შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან.²⁵ ამ წესიდან გამონაკლისს 406 I მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ გარემოება, რომელიც მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველი გახდა, თავად კრედიტორის ბრალით არის გამონკვეული. უკეთესი იქნებოდა, კანონმდებელს ამ გამონაკლისში 405 III გ პუნქტის ფორმულირება გადმოეტანა, რამეთუ კრედიტორის მომეტებული ბრალეულობა უკვე საკმარისი საფუძველია მისთვის საპასუხო შესრულების რისკის დასაკისრებლად. გარდა ამისა, სხვაობა 405 III გ მუხლსა და 406 I მუხლს შორის ასისტემურად გამოარჩევს შეუძლებლობას ვალდებულების დარღვევის სხვა შემთხვევებისაგან და მათგან განსხვავებით კრედიტორის უსაფუძვლო პრივილეგირებას ახდენს. 53

5. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა

ა. კრედიტორს აქვს ინტერესი ნაწილობრივ შესრულებაში

თუკი ვალდებულების ნაწილი მაინც შესრულდა, ხელშეკრულებიდან სრულად გასვლა კრედიტორს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ მან შესასრულებელი ნაწილის მიმართ ინტერესი დაკარგა (405 I 3). 54

405 I მუხლის მე-3 წინადადების წინაპირობა არ მოქმედებს, თუ, ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე ან შესრულების თავისებურებათა გათვალისწინებით, ვალდებულება განუყოფელია (მაგ., იხ. 488). განუყოფელი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორის უფლება – გავიდეს ხელშეკრულებიდან – 405 I 3 მუხლით არ იზღუდება. 55

405 I 3 მუხლის მიზნებისათვის გაყოფადი უნდა იყოს არა მხოლოდ დარღვეული ვალდებულება, არამედ კრედიტორის საპასუხო ვალდებულებული. 56

²⁵ ეს დასკვნა 369-ე მუხლიდან გამომდინარეობს. თუ კრედიტორი უფლებამოსილია უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, სანამ მოვალე არ შეასრულებს მის ვალდებულებას, შეუძლებლობის შემთხვევაში, კრედიტორის ვალდებულება უნდა გაქარწყლდეს, რადგან მოვალის მხრიდან შეუსრულებლობას პერმანენტული ხასიათი ექნება.

ბაც. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება შესრულების ნაწილობრივი უკუქცევა.²⁶

- 57 405 I 3 მუხლის მიზნებისათვის ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება ხარისხობრივი ნიშნით და ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება რაოდენობრივი ნიშნით. **ხარისხობრივი ნიშნით ნაწილობრივ შესრულებული ვალდებულება არის ნაკლის მქონე შესრულება.** მსგავს შემთხვევებზე 405 I 3 მუხლი არ ვრცელდება. ნაკლოვან შესრულებასთან მიმართებით შემაფერხებელ ფუნქციას ნაწილობრივ ითავსებს 405 III ა მუხლი, რომელიც უზღუდავს კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, თუ მოვალე დაამტკიცებს, რომ შესრულების საგნის ნაკლი უმნიშვნელოა.
- 58 ერთსა და იმავე სახელშეკრულებო ვალდებულებაში სახეზე შესაძლოა იყოს როგორც ნაკლოვანი შესრულება, ასევე ნაწილობრივი შესრულება.
- 59 მაგ., მხარეები შეთანხმდნენ ღვინის პარტიის მიწოდებაზე სამ პარტიადა. მეორე პარტიაში მიწოდებულ ღვინოს არ აღმოაჩნდა შეთანხმებული თვისებები, რაც დამატებით ვადაშიც არ გამოსწორდა. ასევე არ მოხდა მესამე პარტიის მიწოდება, მიუხედავად დამატებითი ვადის დაწესებისა – კრედიტორი ვადის ხელშეკრულებიდან. ასეთ შემთხვევაში კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან ინტერესი დაკარგა მთელ ხელშეკრულებასთან მიმართებით, მათ შორის იმ პარტიასთან მიმართებით, რომელიც მან უკვე მიიღო. გარდა ამისა, მოვალემ ვერ უნდა შეძლოს იმის დამტკიცება, რომ მეორე პარტიის ნაკლი უმნიშვნელოა. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორი შეძლებს მხოლოდ მესამე პარტიასთან მიმართებით ხელშეკრულების დატოვებას.
- 60 თუ როდის კარგავს კრედიტორი ინტერესს ნაწილობრივ შესრულებაში, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საკითხია. გათვალისწინებული უნდა იყოს კრედიტორის როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ინტერესიც.

ბ. ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა

- 61 რადგან ხელშეკრულების უპირველესი მიზანი მისი შესრულებაა, ამ მიზანს საფრთხე არ უნდა შეექმნას უმნიშვნელო დარღვევების გამო, რომელთა კომპენსირება სხვა, **ნაკლებად მკაცრი და უფრო თანაზომიერი სანქციების** მეშვეობით არის შესაძლებელი.²⁷ შესაბამისად, შესრულების ნაკლი არ უნდა იყოს უმნიშვნელო, ანუ ვალდებულების დარღვევა უნდა იყოს არსებითი, რათა კრედიტორმა შეძლოს ხელშეკრულებიდან გასვლა (405 III ა). 405 III ა მუხლი *pacta sunt servanda* პრინციპის გამოხატულებაა.

26 BGH NJW 2000, 1332, 1333; BGH NJW 2010, 146, 147;

27 Schmidt, Beck OK BGB, § 323, Rn. 39.

405 III ა მუხლი მოიცავს მხოლოდ ნაკლოვანი (ნივთობრივი და სამართლებრივი ნაკლი) შესრულების შემთხვევებს.²⁸ ისეთ შემთხვევებზე, როცა ვალდებულება საერთოდ არ სრულდება (მოვალე კრედიტორს დამატებითი ვადის გასვლის შემდეგაც არ აწვდის შეთანხმებულ ნივთს), 405 III ა მუხლი არ ვრცელდება, რადგან ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი დარღვევაა. ეს მიდგომა ერთმნიშვნელოვნად არ არის გაზიარებული სასამართლო პრაქტიკაში. მაგ., ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევად მიიჩნია ერთი თვისა და თხუთმეტი დღის დაგვიანებით მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ფართზე საკუთრების უფლების გადაცემა.²⁹ უს-ს გადაწყვეტილება სადავოა, რამდენადაც 405 III ა მუხლის გავრცელება ისეთ შემთხვევებზე, როცა მოვალე საერთოდ არ ასრულებს ვალდებულებას, აზრს უკარგავს დამატებითი ვადის ინსტიტუტს. გარდა ამისა, თუ სასამართლოს არგუმენტაციას გავიზიარებთ, უნდა დაფუძვით, რომ 405 II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (როცა კრედიტორი არ არის, ვალდებული დაანესოს დამატებითი ვადა) ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა არ იქნება სახეზე, სანამ არ გავა ის „მაკვალიფიცირებელი“ პერიოდი, რომელიც უმნიშვნელო დარღვევას მნიშვნელოვან დარღვევად გარდაქმნის. ისეთ შემთხვევებში, როცა დამატებითი ვადის გადაცილება მართლაც უმნიშვნელოა (მაგ., 1 დღის გადაცილება), თუ ეს უსაფუძვლოდ არ აზიანებს კრედიტორის ინტერესებს, სასამართლოს შეუძლია, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით შეუზღუდოს კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომელიც მცირე დარღვევის შედეგად აღმოცენდა, თუმცა ამის საფუძველი იქნება 8 III მუხლი და არა – 405 III ა მუხლის დანაწესი.

62

ნაკლის არსებითობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში **ხელშეკრულების მიზნიდან და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე** უნდა დადგინდეს. ამ დროს გასათვალისწინებელია ბრუნვის წეს-ჩვეულებანი და კეთილსინდისიერების პრინციპი.³⁰ ნაკლი, რომელიც კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობებში შესაძლოა არ წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ნაკლს, შესაძლოა, სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვან ნაკლად შეფასდეს. როგორც წესი, მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება ნაკლი, რომელიც შესრულების საგნით სრულყოფილად სარგებლობის საშუალებას არ იძლევა, ან ის ნაკლი, რომელიც არ ექვემდებარება გამოწვევას. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ იმგვარი ნაკლი, რომელიც, მოვალის მიერ გაცემული გარანტიის თანახმად, შესრულების საგანს არ უნდა ჰქონოდა.³¹

63

28 მაგ., მოვალე კრედიტორს მიაწოდა ნივთი, რომელსაც გააჩნდა ნივთობრივი ნაკლი.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

30 Ernst, in MüKo BGB, Rn 243; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, Rn 32.

31 Faust, JuS 2009, 373, 374.

გ. კრედიტორის თანაბრალეულობა ვალდებულების დარღვევისათვის, 405 III გ

64 კრედიტორი ვერ გავა ხელშეკრულებიდან, თუ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის თავად კრედიტორია მთლიანად ან უმთავრესად პასუხისმგებელი (405 III გ). ეს არის გამონაკლისი იმ წესიდან, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებიდან გასვლა მხარეთა ბრალზე არ არის დამოკიდებული. თუ რა შემთხვევაში არის კრედიტორი ვალდებულების დარღვევისათვის უმთავრესად პასუხისმგებელი, უნდა დადგინდეს ბრალეულობის შენონით, ისევე, როგორც ეს 415-ე მუხლის გამოყენებისას ხდება. თუ ბრალის როგორი ინტენსივობა იგულისხმება „უმთავრეს“ პასუხისმგებლობაში, კანონით განმარტებული არ არის. 405 III გ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრედიტორს ბრალის, სულ მცირე, 2/3 მაინც უნდა მიუძღოდეს, რათა მან დაკარგოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.³² ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, თუ რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა კრედიტორს იმ ვალდებულების დარღვევისათვის, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზი ხდება (მკაცრი პასუხისმგებლობა/მსუბუქი პასუხისმგებლობა/ბრალეული პასუხისმგებლობა).

დ. შესაგებელი

(იხ. ზემოთ ...)

ე. მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის განსაზღვრა (405 V)

65 დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრედიტორს უჩნდება ორი ალტერნატიული უფლება: მას შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან დარჩეს ხელშეკრულებაში და მოითხოვოს შესრულება. მოვალემ ამ დროს არ იცის, ვალდებულების შესრულებისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის უნდა მოემზადოს. ამ გაუგებრობის გაქარწყლება მას შესრულების განხორციელების გზით შეუძლია, თუმცა ამით პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორდება, რადგან კრედიტორს უფლება აქვს, დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული შესრულება არ მიიღოს. ასეთ შემთხვევაშიც შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები მოვალეს დაანება კისერზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, 405 V მუხლი მოვალეს უფლებას აძლევს, კრედიტორს **ხელშეკრულებიდან გასვლის გონივრული ვადა** განუსაზღვროს. ეს ვადა მოვალის მიერ, როგორც წესი, მას შემდეგ განისაზღვრება, რაც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. თუ ამ ვადაში კრედიტორი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იგი იძულებული იქნება, ან მოვალის შესრულება მიიღოს, ან, თუ მოვალე არ ასრულებს, დაუნესოს მას (კიდევ ერთი) დამატებითი ვადა ვალდებულების შესას-

³² გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამოსავალ ნერტილად აღებულია ბრალეულობის 80-90%, იხ. *Grüneberg in Palandt BGB Kommentar*, Rn. 29.

რულელად. მოვალის მხრიდან ცალმხრივად ვადის დადგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს 356-ე მუხლის პირველი წინადადებაც. რომელიც პრაქტიკულად 405 V მუხლის ფუნქციური დუბლიკატია.

ამკარად გადაჭარბებულია 405 V მუხლის იმ საფუძვლით კრიტიკა, 66
 თითქოს იგი გადამეტებულ უფლებებს ანიჭებდეს მოვალეს და მას ცალმხრივად სახელშეკრულებო ვადების შეცვლის უფლებას უკანონებდეს. არც 405 V და არც 355-ე მუხლი სახელშეკრულებო ვადის კორექტირების მიზნით არ გამოიყენება და ორივე მუხლი ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების მიზანს ემსახურება. გარდა ამისა, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დადგენილია ხელშეკრულებით, მოვალეს არ შეუძლია ამ ვადის ცალმხრივად შეცვლა. 405 V და არც 355-ე მუხლები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ვადა მხარეთა მიერ შეთანხმებული არ არის.

6. შეტყობინება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა, 67
 მიუხედავად იმისა, თუ რა უდევს საფუძვლად ხელშეკრულებიდან გასვლას (355). შეტყობინება მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა. შესაბამისად, იგი ნამდვილია, როცა მეორე მხარეს მიუვა³³ და მისი ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მეორე მხარის მიერ რაიმე ქმედების განხორციელებაზე.³⁴ ხელშეკრულებიდან გასვლა არის ე.წ. **სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლება**, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს შეუძლია, დამოუკიდებლად, მოვალის თანხმობის გარეშე, მოახდინოს ზემოქმედება ხელშეკრულებით არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე.³⁵

შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე მისულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა შეტყობინების გამგზავნ მხარეს ვითარების გათვალისწინებით შეეძლო ევარაუდა, რომ ადრესატმა მიიღო შეტყობინება. ეს წესი არ მოქმედებს, თუკი შეტყობინება არც არასოდეს არ მოხვედრილა ადრესატის გავლენის სფეროში (მაგ., საფოსტო შეტყობინება დაიკარგა გზაში). 68

შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ უნდა იყოს უპირობო, რათა მეორე მხარემ ცალსახად შეძლოს მისი პოზიციების განსაზღვრა. 69

თუ ხელშეკრულებით ან კანონით არ არის დადგენილი სპეციალური ფორმა, შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი ფორმით. 70

33 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 23/2845-12 გადაწყვეტილება.

34 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის № ას-840-1054-08 გადაწყვეტილება.

35 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 23/2845-12 გადაწყვეტილება.

- 71 მხარე არ არის ვალდებული, დაასაბუთოს ხელშეკრულებიდან გასვლა, თუმცა იგი ვალდებულია მიუთითოს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი.
- 72 თუ ვალდებულების მეორე მხარეს რამდენიმე პირია, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს თითოეული პირის მიმართ ცალ-ცალკე. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, უკუქცევა ხდება ერთდროულად. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ მხარეს წარმოეშობა შესრულების საგნის დაკავების უფლება (369).

III. 405-ე მუხლის დატვირთვა პროცესში

1. მტკიცების ტვირთი

- 73 კრედიტორს ეკისრება 405 I, II მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობათა არსებობის მტკიცების ტვირთი. მთლიანი ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მან ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება განუყოფელია და სახეზე არ არის 405 I 3 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. 405 III ბ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოხდა გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა და იმავდროულად უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულებაში დარჩენა. მოვალეს, თავის მხრივ, ეკისრება 405 III მუხლის ა, გ და დ პუნქტებით გათვალისწინებულ წინაპირობათა მტკიცების ტვირთი. მოვალემ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ მან ვალდებულება დამატებით ვადაში შეასრულა.

მუხლი 406. საპასუხო შესრულების მიღების უფლება

1. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამონკვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას.

2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი იმ დროს დადგა, როცა კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.

- I. ნორმის მოქმედების სფერო.....675
- II. ნორმის ფუნქცია (მიზანი)675
- III. მოვალის მიერ შესრულების მიღების ფარგლები.
სამართლებრივი შედეგი.....677
- IV. სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილი.....677

I. ნორმის მოქმედების სფერო

406-ე მუხლი მოქმედებს მხოლოდ სრულყოფილად ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებების შემთხვევაში.¹ შესაბამისად, იგი არ ვრცელდება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ან ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებზე. 1

II. ნორმის ფუნქცია (მიზანი)

სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლს ორმაგ., ფუნქცია აქვს: ერთი მხრივ, იგი იცავს იმ მოვალის ინტერესს, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას და, მეორე მხრივ, იგი ამძიმებს კრედიტორის სამართლებრივ ტვირთს, რომელიც ბრალეულად იწვევს ვალდებულებითი ურთიერთობის ხელშემშლელ გარემოებას. კანონმდებლის მხრიდან მოვალის ინტერესის დაცვა იმით ვლინდება, რომ 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს საპასუხო შესრულება კრედიტორისგან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას შეუძლია, უარი თქვას მისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე; ხოლო, კრედიტორი, თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი (შესრულება) არ მიუღია, ვალდებულია, შეასრულოს. სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების უმთავრესი წინაპირობა კრედიტორის ბრალის არსებობაა. კერძოდ, მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე ხელის შეშლა კრედიტორის განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით უნდა იყოს გამოწვეული. მაგალითად, ავტოცენტრი ყიდის „ტოიოტას“ მარკის ავტომობილს. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ავტომობილის გადაცემამდე (ხელშეკრულება ითვალისწინებდა ავტომანქანის მიწოდებას მყიდველის საცხოვრებელ მისამართზე), მყიდ-

1 შდრ. კროპკოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, §320, ველი 1-3.

ველი მონინდომებს ავტომობილის საცდელად გატარებას, ავტოცენტრის ტერიტორიაზე. საცდელი ტარების დროს მყიდველს მოუვა ავარია, რის შედეგადაც ავტომობილი გამოუსწორებლად დაზიანდება. სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას ახალი ავტომობილის გადაცემაზე და, იმავდროულად, კრედიტორისგან, რომლის ბრალეული ქმედების შედეგადაც დაზიანდა ავტომობილი, მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასის გადახდა.

- 3 გარდა ამისა, 406-ე მუხლის დისპოზიცია რამდენიმე გარემოებას მოიცავს, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რათა მოვალემ მისთვის მინიჭებული უფლების განხორციელება შეძლოს. პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ნამდვილი ხელშეკრულება, ხელშეკრულება უნდა იყოს სინალაგმატური ბუნების, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში თავად მოვალე უნდა იყოს კეთილსინდისიერი და უნდა არსებობდეს გარემოებები, რომლებიც მოვალეს აძლევს შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. ამასთანავე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლოა, განისაზღვროს როგორც მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების, ისე კანონის საფუძველზე.
- 4 კანონმდებელი 406-ე მუხლის პირველ ნაწილში მიუთითებს კრედიტორის მიერ საპასუხო შესრულების მიღების უფლებაზე, თუმცა მიღების უფლება ფართოდ უნდა განიმარტოს. მოვალის ეს უფლება გულისხმობს არა მხოლოდ კრედიტორისაგან სამომავლოდ შესრულების მოთხოვნის უფლებას, არამედ კრედიტორის მიერ უკვე განხორციელებული შესრულების დატოვებას მოვალის მიერ. ზემოაღნიშნულ მაგალითში, კრედიტორის მიერ ავტომობილის საცდელ ტარებამდე თანხის გადახდის შემთხვევაში, ავტოცენტრს უფლება ექნებოდა, დაეტოვებინა მიღებული შესრულება.
- 5 406-ე მუხლი არის გამონაკლისი სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლები-საგან, რომლებიც ორმხრივი ხელშეკრულების მხარეს უფლებას ანიჭებს, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე თავის ვალდებულებას არ ასრულებს. შესაბამისად, ხელშეკრულების მხარე ანუ კრედიტორი ვერ დაეყრდნობა, მაგალითად, სსკ-ის 369-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულების დაკავების უფლებას, თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების მეორე მხარეს ანუ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისგან და ეს გარემოებები კრედიტორის ბრალით არის გამოწვეული. მაგალითად, ნოდარი რამდენიმე ათეული წელია, სოფელ ჯაბნიძეებში ფლობს თხილის პლანტაციებს და სტაბილურად, ყოველწლიურად იღებს 8-10 ტონა თხილის მოსავალს, რომლის რეალიზაციასაც ახდენს. დამკვეთმა – შპს „ჯანსალი თხილი“ – ნოდარს წინასწარ დაუკვეთა 8 ტონა თხილი. ვიდრე მოსავლის აღების დრო დადგებოდა, ნოდარმა შეამჩნია, რომ თხილის მავნებელი აზიური ფაროსანა მრავლდებოდა და შეიძლებოდა, მოსავლისთვის საფრთხე შეექმნა. მან გადაწყვიტა, მოსავალი შესაბამისი ნივთიერებით შეენამლა, რის თაობაზეც შეატყობინა შპს „ჯანსალი თხილის“ წარმომადგენელს. კონტრა-

ჰენტიმა უარი განუცხადა ნოდარს დაგეგმილი ღონისძიების გატარებაზე. აზიურმა ფაროსანამ მოსავალი სრულად გაანადგურა, რის შედეგადაც ნოდარმა ველარ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 8 ტონა თხილის მიწოდება კონტრაჰენტისთვის. ამ შემთხვევაში იკვეთება კრედიტორის ბრალი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაში. შესაბამისად, სსკ-ის 406-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნოდარს უფლება აქვს, უარი თქვას დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე და, იმავედროულად, კრედიტორისგან მოითხოვოს საპირისპირო შესრულება – ნასყიდობის თანხის გადახდა.

III. მოვალის მიერ შესრულების მიღების ფარგლები. სამართლებრივი შედეგი

406-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის არსებობის შემთხვევაში მოვალის მოთხოვნის უფლების ფარგლები განისაზღვრება იმის მიხედვით, რასაც ის მიიღებდა, დაკისრებული ვალდებულება ფაქტობრივად რომ შეესრულებინა. შესაბამისად, საპირისპირო მოთხოვნის უფლების დაანგარიშების დროს მოვალემ უნდა გაითვალისწინოს ის, რაც მან დაზოგა საპირისპირო მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად² (მაგ.: მგზავრობისა და ტრანსპორტირების ხარჯები, ტექნიკური ხელსაწყოებისა და მოწყობილობების ცვეთის ღირებულება, სამუშაოს გასამრჯელო და სხვ.). აღნიშნულის მიზანია, მოვალის იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რა მდგომარეობაშიც იქნებოდა, ხელშეკრულება წესისამებრ რომ განხორციელებულიყო. შესაბამისად, მისი მდგომარეობა, კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების გართულების გამო, არც უნდა გაუარესდეს და არც უნდა გაუმჯობესდეს.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავდაპირველი ვალდებულების შესრულებისაგან განმათავისუფლებელი გარემოების გამოწვევაზე პასუხისმგებელი შესაძლოა, ხელშეკრულების ორივე მხარე ერთდროულად იყოს („შერეული ბრალი“). ზემოაღნიშნული მანქანის კაზუსის მაგალითზე თუ დავუშვებთ, რომ უკვე გაყიდული ავტომობილი საცდელი ტარების დროს ნადგურდება, რაც თანაბრად არის განპირობებული როგორც ავტომობილის ნაკლით, ისე მძღოლის შეცდომით (ან მძღოლის გამოუცდელობით), მაშინ მხარეთა მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ უნდა შემცირდეს მხარეთა ბრალის პროპორციულად (იხ. 415).

IV. სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილი

406-ე მუხლის მე-2 ნაწილი, გარკვეულწილად, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამის მიზეზი ნორმის რედაქციაშია. ნორმა იწყება შემდეგი სიტყვათაწყობით: „ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ ...“, რითაც მითითება კეთდება სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ წესზე, რომლის თანახმადაც, მოვალეს დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე შეუძლია უარი თქვას და, ამავე დროს, მოითხოვოს კრედიტორისა-

2 Ernst in: MüKo BGB, 2016, § 326, Rn. 84.

გან საპირისპირო შესრულება, თუ გარემოება, რომელიც მას აღნიშნულის უფლებას აძლევს, კრედიტორის ბრალით არის გამოწვეული. ხაზგასმა ნორმის პირველ ნაწილში სწორედ კრედიტორის ბრალზე კეთდება; მეორე ნაწილი კი მიუთითებს, რომ ეს წესი არ გამოიყენება, თუ საპასუხო შესრულების საფუძველი იმ დროს დადგა, როდესაც კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას. საინტერესოა, რა წესს გულისხმობს კანონმდებელი. ერთი მხრივ, ეს ჩანანური შესაძლოა, გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ თუნდაც დაყოვნებაში კრედიტორს ბრალი მიუძღოდეს, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც შესრულების მიღება კრედიტორის უფლებაა და არა მოვალეობა, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებელია ამ ჩანანურის იმგვარად გაგება, რომ კანონმდებელი გამორიცხავს პირველ ნაწილში დადგენილ წინაპირობას კრედიტორის ბრალეულობის თაობაზე და მის მიერ შესრულების მიღების დაყოვნების შემთხვევაში მოვალეს უტოვებს საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლებას, თუ ის გარემოება, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან ათავისუფლებს, კრედიტორის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისას დადგა (იხ. 390).

9 თუ გავითვალისწინებთ, რომ სამოქალაქო კოდექსი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების დროს, მისი ბრალის მიუხედავად, არა თუ ამსუბუქებს, არამედ ამკაცრებს მის პასუხისმგებლობას,³ ნაკლებად სავარაუდოა, 406-ე მუხლის მე-2 ნაწილი აბსოლუტურად ცვლიდეს კანონმდებლის პოზიციას კრედიტორის მიმართ და მას ათავისუფლებდეს სსკ-ის 406-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ტვირთისგან. ამასთან, იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებას საფუძვლად გერმანული სამართალი დაედო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა მისი გერმანული ანალოგის – 326-ე მუხლის – სრულიად საპირისპირო შინაარსს გამოხატავდეს. გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში 326-ე მუხლის განმარტებისას სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა ნორმის გამოყენების უმთავრეს წინაპირობად სწორედ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას ან შესრულების მიღების დაყოვნებას მიიჩნევენ.⁴ სწორედ ეს გარემოებებია ნორმის გამოყენების აუცილებელი კომპონენტები.

10 მართლწესრიგის ერთიანობას მისი შემადგენელი ნორმების ლოგიკური ურთიერთკავშირი განსაზღვრავს და სამართლის ერთიანი სისტემა ამ ურთიერთკავშირით იქმნება.⁵ ამ პრინციპიდან გამომდინარე, სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა განიმარტოს კოდექსის საერთო მიზნებსა და საკანონმდებლო მიზანთან ურთიერთკავშირში, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზანი არათუ მოვალის მდგომარეობის გაუარესება, არამედ მისთვის კრედიტორისაგან საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭებაა, იმ დროსაც კი,

3 შდრ. სსკ-ის მუხლი 392-393.

4 კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებას არ აქვს ადგილი, როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს არაჯეროვანი შესრულების მიღებაზე.

5 იხ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2004, გვ. 153.

როდესაც კრედიტორს ბრალი არ მიუძღვის შესრულების მიღების დაყოვნებაში. მაგალითად, კრედიტორი ვალდებულია, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი, როდესაც კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნების პერიოდში გამყიდველს აეკრძალა ვაჭრობის უფლება, ან როდესაც მიღების დაყოვნების დროს საქონელს დაედო ყადაღა, ან ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული საქონელი განადგურდა.⁶ მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გიორგი დათოს მიაწოდებდა თბილისში 25 დეკემბრისათვის 500 ერთეულ ჰიმალაური ჯიშის ნაძვს. იმის გამო, რომ დათო იმყოფებოდა ყაზბეგში, სადაც ზვავსაშიშროება არსებობდა, ვერ შეძლო დათქმულ დროს თბილისში დაბრუნება. 26 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, აიკრძალა სხვადასხვა ნაძვის ჯიშის, მათ შორის ჰიმალაური ჯიშის ნაძვის, რეალიზაცია. ამ დადგენილების მიხედვით, გიორგიმ ველარ შეძლო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორის ბრალის არარსებობა გავლენას არ ახდენს მოვალის საპირისპირო მოთხოვნის უფლებაზე და გიორგის შეუძლია, დათოსგან მოითხოვოს საპირისპირო შესრულება, ნასყიდობის თანხის გადახდა (იმ დანაზოგის გამოკლებით, რომელიც მას საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აქვს). ამ ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ, ვიდრე შესრულების მიღების დაყოვნება მოხდებოდა, შესრულება ჯერ კიდევ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამასთანავე, არ არის აუცილებელი მიზეზობრიობის არსებობა შესრულების მიღების დაყოვნებასა და შეუძლებლობას შორის. აუცილებელია, მოვალის საპირისპირო შესრულებისაგან განმათავისუფლებელი გარემოება იმ დროს დადგეს, როდესაც კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას.⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 406-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა განიმარტოს მოვალის სასარგებლოდ და კრედიტორს შესრულების მიღების დაყოვნებისას პასუხისმგებლობა ყოველთვის დაეკისროს. 11

6 Ernst in: MüKo BGB, 2016, § 326, Rn. 79.

7 Schmidt, in: Beck OK BGB, 2017, § 326, Rn. 18.

მუხლი 407. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას

1. ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

2. ეს წესი არ გამოიყენება, როცა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამონწვეული.

- I. ნორმის მნიშვნელობა680
- II. ნორმის გამოყენების სფერო681
- III. სამართლებრივი შედეგი681
- IV. კრედიტორის უფლებების განხორციელება682
 - 1. ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად682
 - 2. მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურების გარეშე 683
 - 3. ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, ხელშეკრულებიდან გასვლის გარეშე684
 - ა. გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა684
 - ბ. 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი.....685

I. ნორმის მნიშვნელობა

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლი ადგენს კრედიტორის დისპოზიციურ შესაძლებლობას, ვალდებულების შეუსრულებლობის დროს ერთდროულად მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება.

2 აღნიშნული ნორმა ნათლად ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა კუმულირების შესაძლებლობას. ამ დანაწესით თავიდან არის არიდებული ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორის მდგომარეობის გაუარესება. კრედიტორს შეუძლია, არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გავიდეს, ან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, არამედ ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა ერთმანეთს დაუკავშიროს.¹ რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ორივე მუხლის დისპოზიცია იქნეს დაკმაყოფილებული. ე.ი., კრედიტორს უნდა ჰქონდეს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის,² ისე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.³

3 კრედიტორს, თუ ნორმის დისპოზიციის წინაპირობები სახეზეა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური,⁴ შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლის პარალელურად მოითხოვოს ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურება: ვა-

1 ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობის მსგავსი რეგულაციაა უნიდროას პრინციპების მიხედვით UNIDROIT principles მუხლი. 7.3.5, ასევე მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ, მუხლი. 45 II, 61 II.

2 სსკ-ის 405 და 52-ე მუხლები.

3 სსკ-ის 394-ე მუხლი.

4 იხ. 405-ე მუხლის კომენტარი.

ლდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება,⁵ ასევე ვალდებულების დარღვევის თანმდევი ზიანის ანაზღაურება;⁶ ამას გარდა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, როდესაც მოვალე არღვევს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.⁷

II. ნორმის გამოყენების სფერო

კრედიტორს შეუძლია, სამართლებრივი დახმარების რიგითობის (ხელშეკრულებიდან გასვლა/ზიანის ანაზღაურება) კომბინირება კეთილსინდისიერების ფარგლებში თავისუფლად მოახდინოს.⁸ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებათა, რომელიც, სსკ-ის 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინებით ხორციელდება. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება არ შეიძლება უკან იქნეს გამოხმობილი. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების შედეგად ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და მის შესასრულებლად არსებული უზრუნველყოფა ქრება.⁹

III. სამართლებრივი შედეგი

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და კრედიტორმა განაცხადა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, მაშინ იგი ამ გზით ახორციელებს თავის აღმჭურველ უფლებას. მას შემდეგ, რაც კრედიტორი ფაქტობრივად განაცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, მას ეძლევა კანონმდებლის მიერ მინიჭებული არჩევანის განხორციელების შესაძლებლობა. კერძოდ, კრედიტორს შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, გავიდეს ხელშეკრულებიდან ზიანის ანაზღაურების გარეშე, ან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად ხელშეკრულებიდან გასვლის გარეშე; თუმცა კრედიტორს ასევე შეუძლია, სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელუხლებელი დატოვოს და სსკ-ის 394-ე მუხლით, მისთვის მინიჭებული უფლების ფარგლებში, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად.¹⁰ თუმცა არჩევანის გაკეთების დროს კრედიტორი თავისუფალია. ის, თუ რა სურს კრედიტორს, ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, ხელშეკრულებიდან გასვლა თუ გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია, უნდა ირკვეოდეს კრედიტორის ნებიდან. სწორედ ეს არის კრედიტორისთვის მინიჭებული არჩევანის უფლების ამოსავალი წერტილი. კრედიტორის ნების გამოვლენის განმარტება შესაძლოა, სსკ-ის 52-ე და 337-ე მუხლების მიხედვით განხორციელდეს.¹¹

5 სსკ-ის მე-400 მუხლი.

6 394 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესაბამისად.

7 Schmidt, in: Beck OK BGB, 2016, § 325, Rn. 1-2.

8 სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი.

9 Jauernig, BGB Kommentar, 15. Auflage, 2014, Rn. 3.

10 Jousen, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, Rn. 640.

11 Jousen, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, Rn. 641.

IV. კრედიტორის უფლებების განხორციელება

6 იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულია კრედიტორის, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის, ისე შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ მას ეს უფლებები აქვს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. კანონმდებელი არ განსაზღვრავს ამ მოთხოვნათა დაჯგუფების აუცილებლობას.¹² როგორც აღინიშნა, კრედიტორს აქვს მოთხოვნათა სხვადასხვაგვარად კომბინირების შესაძლებლობა. მას შეუძლია მოითხოვოს:

- 7 – ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად;
- 8 – მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურების გარეშე;
- 9 – ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად ხელშეკრულებიდან გასვლის გარეშე;

1. ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად

10 გარდა ზემოაღნიშნული შესაძლებლობისა, კრედიტორს აქვს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების კომბინაციის შესაძლებლობა, რაც ნათლად და გარკვევით არის გამოხატული სსკ-ის 407-ე მუხლში. ორმხრივი ხელშეკრულების დროს ხელშეკრულებიდან გასვლისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება. ამ დანაწესის თანახმად, კრედიტორს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებიდან გასვლა ერთმანეთს დაუკავშიროს.¹³

11 თუ კრედიტორი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად და ამას გარდა, განაცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, მაშინ განცხადება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე განაპირობებს მოვალის განთავისუფლებას როგორც საპირისპირო შესრულებისგან, ისე თავდაპირველად შეთანხმებული შესრულებისგან. ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლას და კრედიტორის უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, ვალდებულების დარღვევის ერთი და იგივე სახე განაპირობებს – ხელშეკრულებიდან გასვლისას ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ხდება ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესის მიხედვით.¹⁴

12 ხელშეკრულებიდან გასვლა ხელშეკრულების ორივე მხარეს ათავისუფლებს თავდაპირველად შეთანხმებული ვალდებულების შესრულებისგან. თუ კრედიტორი გადის ხელშეკრულებიდან და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად, მაშინ მისი მოთხოვნა შესრულების თაობაზე წყდება და ვალდებულია, უკან დააბრუნოს მიღებული შესრულება.¹⁵ (მოთხოვნის ნორმათა კონკურენცია).

¹² Ernst, in: MüKo BGB, 2016, § 325, Rn. 5.

¹³ Jousseen, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, Rn. 642.

¹⁴ სსკ-ის 408-ე მუხლი და მომდევნო მუხლები.

¹⁵ სსკ-ის 352-ე და 394-ე მუხლების თანახმად.

კრედიტორის ხელშეკრულებიდან გასვლისას, უსაფუძვლო გამდიდრების ამკრძალავი ნორმებიდან გამომდინარე, თავიდან უნდა იქნეს არიდებული კრედიტორისთვის ზიანის ორმაგ., კომპენსაცია. კრედიტორს შეუძლია, მიიღოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ დიფერენციაციის თეორიის შესაბამისად.¹⁶ მაგალითად: ა-ს სურს, თავისი ძველი სამოქალაქო კოდექსის კომენტარი გაყიდოს 150 ლარად. ეს ფასი შეესაბამება წიგნის ფაქტობრივ ფასს. მან თავისი განზრახვის თაობაზე უთხრა თავის მეგობარ ბ-ს და მისცა უფლება, თუ იქნებოდა შესაბამისი მსურველი და სიტუაცია, გაეყიდა ბ-ს ეს წიგნი 150 ლარად. ორ დღეში ბ-მ გაყიდა წიგნი, თუმცა ამის თაობაზე ა-ს არაფერი არ გაუგია და ბ-ს დაავინყდა, შეეტყობინებინა ა-სთვის.

13

ერთი კვირის დაგვიანებით, ა-მ ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ, მიჰყიდა ეს წიგნი გ-ს 100 ლარად. როდესაც საქმის ვითარება გახდა ცნობილი, რომ წიგნი უკვე გაყიდული იყო, გ-მ განაცხადა, რომ იგი გადიოდა ხელშეკრულებიდან და ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას. საინტერესოა, რა ფარგლებში შეუძლია გ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ასეთ სიტუაციაში ერთმანეთს უნდა დავუპირისპიროთ წიგნის ღირებულება 150 ლარი და შეთანხმებული ნასყიდობის თანხა 100 ლარი, საიდანაც გამოდის დიფერენციაცია 50 ლარი. სწორედ ამ ოდენობით გაიზრდებოდა გ-ს ქონება ნასყიდობის ხელშეკრულების კანონისმიერად დასრულების შემთხვევაში. შესაბამისად, 407-ე მუხლიდან გამომდინარე, გ-ს შეუძლია, გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით.¹⁷

14

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა, რომელიც, სსკ-ის 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინებით ხორციელდება.¹⁸

15

მსგავსი წესი ვრცელდება კრედიტორის უფლებაზე – მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, რომელიც დამოკიდებულია მხარის შეტყობინების განხორციელებაზე. ამ შეტყობინებით კრედიტორი უარს ამბობს ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და ამით სხვა მსვლელობას აძლევს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას.¹⁹

16

2. მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურების გარეშე

კრედიტორს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, ისე, რომ არ მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. ამით მარტივად სრულდება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. მსგავსი შემთხვევისას, 352-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს წარმოეშობათ მიღებული სარგებლისა და შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულებ-

17

16 Schulze, in BGB-HK, 8. Auflage, § 325, Rn.2.

17 Jousen, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, Rn. 640-644.

18 იქვე.

19 Ernst, in MüKo BGB, 2016, § 325, Rn. 20.

ბა. კრედიტორს შეუძლია, შეგნებულად გააკეთოს არჩევანი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლაზე, როდესაც მოვალის გამართლების თაობაზე დავის თავიდან არიდება სურს, ან, როდესაც კრედიტორი თვლის, რომ დავა ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეუსაბამო ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.²⁰

- 18 იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი არჩევანს ხელშეკრულებიდან გასვლაზე აჩერებს, მაშინ ამ აღმჭურველი უფლების რეალიზაციის გამო წარმოიშობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, რომლის დეტალებიც სსკ-ის 352-ე მუხლით არის განსაზღვრული და, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხს ხელშეკრულებიდან გასვლის სხვადასხვა სიტუაციისთვის ერთობლივად არეგულირებს.
- 19 თავისებურებები ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობასა და მის შედეგებთან დაკავშირებით მაშინ ვლინდება, როდესაც სახეზეა დაყოფადი შესრულება (ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება) და მოვალემ ვადის გასვლის დროს მხოლოდ ვალდებულების ნაწილი არ შეასრულა, ხოლო ნაკისრი ვალდებულების ნაწილი შეასრულა. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, მხოლოდ ვალდებულების იმ ნაწილიდან გავიდეს ხელშეკრულებიდან, რომელიც მოვალის მიერ არ შესრულებულა,²¹ ხოლო თუ დარჩენილი ვალდებულების ნაწილის შესრულებამაც დაკარგა მისთვის ინტერესი, კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მიღებული შესრულება უკან დააბრუნოს.²²

3. ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, ხელშეკრულებიდან გასვლის გარეშე

- 20 გარდა ზემოაღნიშნულისა, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად, ისე, რომ ხელშეკრულებიდან არ გავიდეს. ასეთ დროს კრედიტორი ვალდებულია, განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი საპირისპირო შესრულება. შესაბამისად, კრედიტორი შესრულების ნაცვლად იღებს ზიანის ანაზღაურებას და თავად კი ახორციელებს საპირისპირო ვალდებულებას.

ა. გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა

- 21 გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დროს, ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად, სახეზეა ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს და შედეგებს სსკ-ის 427-ე-454-ე მუხლები ანესრიგებს. ხელშეკრულებიდან გასვლაც შესაძლოა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან იყოს დაკავშირებული, რაც დადგენილია 399-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომელიც

²⁰ იქვე.

²¹ Jousen, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, Rn. 640-645.

²² სსკ-ის 405-ე მუხლი 1-ლი ნაწილი.

გამოიყენება 399-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დადგენილი წესის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის დროს. არსებითად, ხელშეკრულების შეწყვეტისა და ზიანის ანაზღაურების დასაკავშირებლად გამოიყენება იგივე პრინციპები (წესები), რაც ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების დასაკავშირებლად. კრედიტორი – როდესაც ორივე უფლებამოსილების წინაპირობა სახეზეა – თავისუფალია არჩევანის გაკეთების დროს. მას შეუძლია, ან მხოლოდ შეწყვეტოს ხელშეკრულება, ან მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, ან ორივე ერთად. როდესაც ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კომბინირება, ზიანის ოდენობის დათვლის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რა გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შეწყვეტამ კრედიტორის ქონებაზე.

როდესაც კრედიტორი წყვეტს ხელშეკრულებას და, ამავე დროს, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ოდენობის გამოთვლის მიზნით, ზიანი, რომელიც კრედიტორს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო წარმოეშვა, უნდა ჩაითვალოს იმ სარგებელთან, რომელსაც კრედიტორი იღებს იქიდან, რომ მას თავისი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების დარჩენილი დროისთვის აღარ ეკისრება. ზიანის გაანგარიშების დეტალები განსაკუთრებით რთულია სესხის ხელშეკრულების დროს.²³ 22

ბ. 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი

ტერმინი „ვალდებულების დარღვევა“ გულისხმობს მოვალის ქმედებას, რომელიც ობიექტურად შეუსაბამოა ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობასთან.²⁴ 23

იმისათვის, რომ კრედიტორს, სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიეცეს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების კომბინირების შესაძლებლობა, ვალდებულების დარღვევა მოვალის ბრალით უნდა იქნეს გამოწვეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი ვერ განახორციელებს 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას. 24

სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ბრალის არარსებობის მტკიცების ვალდებულება,²⁵ ვინაიდან, 407 მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულების დარღვევაში სწორედ მოვალის ბრალის არსებობა ივარაუდება. როგორც წესი, მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, მოქმედებს პრინციპი: ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ბრალის არსებობის შემთხვევაში. ბრალის საკითხის გარკვევისას უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მოვალე ვალდებულია, განახორციელოს მისთვის შესაძლო და გონივრული მოქმედება, რათა ვადამოსული ვალდებულება შეასრულოს. 25

23 Ernst, in MüKo BGB, 2016, § 325, Rn. 16.
 24 RegBerg BT -Drucks 14/6040, მითითებულია: von Jan Kropholler, BGB Studienkommentar, 8. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2005, §280, Rn.3.
 25 Lorenz, in Beck OK BGB, 43. Edition, 2017, § 280, Rn. 3.2-34.

მოვალეს ეკისრება ვალდებულების შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა მაშინაც კი, როდესაც იკისრა ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ხელისშემშლელი გარემოება, რომელიც მოგვიანებით წარმოიშვა, მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადებამდე.²⁶ აღნიშნულის საპირისპიროდ მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, ბრალი არ მიუძღვის ვალდებულების შეუსრულებლობაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები ხელშეკრულების დადების დროს განუჭვრეტადი იყო, ხელშეკრულებითაც არ აუღია თავის თავზე პასუხისმგებლობა და არ უკისრია რისკი ასეთი გარემოების შესაძლო წარმოშობის შემთხვევებზე.²⁷

26 მაგალითად, ომი ან სხვა ტიპის არეულობა.

27 მაგალითად, საპოლიციო აკრძალვები.

პარი მართხა
ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

- I. ზიანის ანაზღაურების სამართლის გამოყენების სფერო და მნიშვნელობა687
- II. ზიანის ცნება და ზიანის სახეები688
 - 1. ზიანის ცნება688
 - 2. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი689
 - 3. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი689
 - 4. პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი690
 - 5. ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი690
- III. კაუზალობის (მიზეზობრივი კავშირის) საფუძვლები691
 - 1. ეკვივალენტურობის პრინციპი691
 - 2. ეკვივალენტურობის პრინციპის სამართლებრივი კორექცია691
 - 3. გერმანული სამართლის დოქტრინა692
 - 4. ფრანგული სამართლის დოქტრინა693
 - 5. ინგლისური სამართლის დოქტრინა693
- IV. ზიანის გამოთვლა694
- V. მტკიცების ტვირთი694

I. ზიანის ანაზღაურების სამართლის გამოყენების სფერო და მნიშვნელობა

408-ე-415-ე მუხლები ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შინაარსს განსაზღვრავს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლებით არის ნორმირებული (394, 992 და ა. შ.). განმარტებები ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებით მოცემულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, თუმცა ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული წესები ეხება ნებისმიერ შემთხვევას, სადაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.¹ ამდენად, ეს წესები ვრცელდება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ, აგრეთვე სხვა არასახელშეკრულებო (დელიქტური, სანივთო და სხვ., მათ შორის სპეციალური კანონებიდან გამომდინარე) ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურების მოვალეობაზე.

ზიანის ანაზღაურების უმთავრესი ფუნქცია დაზარალებულის დარღვეული უფლების აღდგენა და დანაკლისის კომპენსაცია (კომპენსაციის ფუნქცია)². ქონებრივ დანაკლისში გამოხატულ ზიანთან დაკავშირებით, აღნიშნული მიმართულია ქონებრივი მდგომარეობის აღდგენისაკენ. მორალური ზიანის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ასევე მიმართული იყოს დაზარალებული პირისათვის მორალური კმაყოფილე-

1 შდრ. თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 129.
2 შდრ. თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 37.

ბის განცდის მინიჭებისა და ფსიქიკური ზიანის აღდგენისაკენ. ამავდროულად, ზიანის სამართლებრივ ინსტიტუტს პრევენციის ფუნქცია ეკისრება. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების საფრთხემ გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს პოტენციური დამრღვევის ქცევაზე, რათა ზიანის გამომწვევი გარემოებების დადგომა თავიდან იქნეს აცილებული (პრევენციის ფუნქცია).³ პრევენციის ფუნქციის მოქმედება, გარკვეულწილად, შესუსტებულია, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის დაზღვევის შესაძლებლობით, ხოლო მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სამართალი საჯარიმო (punitive) ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს არ აღიარებს.⁴

II. ზიანის ცნება და ზიანის სახეები

1. ზიანის ცნება

- 3 სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ზიანის ცნების კანონისმიერ განმარტებას. სასამართლო პრაქტიკაში ზიანი განმარტებულია როგორც: „ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის ხელყოფა“.⁵ ეს განმარტება ნათლად აღწერს ზიანის სამართლებრივ მხარეს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზიანი ამავდროულად ბუნებრივი მოვლენაა. შესაბამისად, იგი უფლების ან კეთილდღეობის ხელყოფის შედეგად დამდგარ ფაქტობრივ დანაკლისს წარმოადგენს. ამასთან, დანაკლისი შეიძლება როგორც მატერიალური, აგრეთვე არამატერიალური დანაკლისის სახით (მაგალითად: პატივისა და ღირსების შელახვა, ტკივილი და ა.შ.) გამოიხატოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გვხვდება ზიანის უფრო განვრცობილი განმარტებაც, რომელიც არა მხოლოდ ზიანს განმარტავს, არამედ, გარკვეულწილად, განმარტებაშივე აწესებს ანაზღაურებადი ზიანის ფარგლებს. ასე მაგალითად, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურების სამართლისათვის რელევანტურია მხოლოდ იმგვარი დანაკლისი: „რომელიც განხორციელდა პირის ნების გარეშე, რომლის ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით“.⁶ ამ განმარტებაში დაზარალებული პირის ნებელობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ გამოირიცხოს დაზარალებული პირის მიერ ფორმალურად საკუთარი ნებით განხორციელებული დანახარჯების ანაზღაურება, თუ დაზარალებული პირის ქმედება გარდაუვალი და განპირობებული იყო დამრღვევი პირის ქმედებით. თანაბრად ულობის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების გამოირიცხვის ან შემცირების თაობაზე განმარტებები 415-ე მუხლშია მოცემული.

3 შდრ. *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., §44, Rn. 873.*

4 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის №ას-1291-1218-2012 განჩინება.

5 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის ას-920-959-2011 განჩინება.

6 შდრ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 193; *Magnus, Anwaltkommentar zum BGB, vor §§249-255, Rn. 17* მიხედვით.

2. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი

სახელშეკრულებო ზიანი სახეზეა, როდესაც დამრღვევსა (მოვალე) და დაზარალებულს (კრედიტორი) შორის უკვე არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა და ზიანი გამომდინარეობს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან. არასახელშეკრულებო ზიანის შემთხვევაში ვალდებულებითი ურთიერთობა დამრღვევსა და დაზარალებულს შორის სწორედ ზიანის დადგომის მომენტში წარმოიშობა, რადგან მხარეებს შორის ზიანის დადგომამდე ამგვარი ურთიერთობა არ არსებობს. წინასახელშეკრულებო ზიანი (*culpa in contrahendo*) შეიძლება წარმოიშვას სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობამდე. თუმცა მხარეებს შორის წინასახელშეკრულებო კონტაქტით დაფუძნებული მჭიდრო კავშირის გამო, ზიანის ეს სახე, ალბათ, სახელშეკრულებო ზიანთან უფრო ახლო არის, ვიდრე არასახელშეკრულებო ზიანთან.

4

3. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი

ზიანი შეიძლება გამოიხატოს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი ზიანის სახით. ქონებრივი ზიანის შემთხვევაში გამოიყენება ეგრეთ წოდებული დიფერენციის ჰიპოთეზა (მუხ. 408, მე-10 ველი), ანუ სხვაობა „უნდა ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის⁷. დიფერენციის ჰიპოთეზის თანახმად, ზიანი არის ნეგატიური სხვაობა არსებულ ქონებრივ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ნორმატიული თვალსაზრისით, დიფერენციის ჰიპოთეზა გამომდინარეობს 408 I მუხლის დანაწესიდან, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მიზნით უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ეს მეთოდი ქონებრივი ზიანის გამოთვლის კუთხით საკმაოდ ეფექტურია, ვინაიდან ქონებრივი ზიანის გამოხატვა ყოველთვის ფულადი სახით არის შესაძლებელი.

5

არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში დიფერენციის ჰიპოთეზა ნაკლებად ეფექტურია. არაქონებრივი ზიანი სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ზიანის ფულადი სახით გამოხატვა გართულებული ან, სულაც, შეუძლებელია. არაქონებრივი ზიანი შეიძლება გამოიხატოს პატივისა და ღირსების შელახვაში, სხეულის დაზიანებით მიყენებულ ტკივილში. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი ნატურალური რესტიტუციის ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპს აღიარებს (408 I), არაქონებრივი უფლების აღდგენა უნდა მოხდეს, უწინარესად, დარღვეული უფლების აღდგენის გზით, ანუ არაფულადი კომპენსაციის სახით. მაგალითად, 18 II, IV მუხლის თანახმად, პირს, რომლის თაობაზე გავრცელდა პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, შეუძლია, მოითხოვოს ამ ცნობების უარყოფა, ან თავად გაავრცელოს საპირისპირო ცნობები და ამით არამატერიალური სახით აღიდგინოს შელახული უფლება. 408 I მუხლის კონტექსტში არაქონებრივი და ქონებრივი ზიანის გამიჯვნა არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან ორივე სახის ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება-

6

⁷ Heinrichs, in Palandt, BGB Kommentar, 66 Aufl., Vorbem. § 249, Rn. 8.

რება. არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში არის შესაძლებელი (413 I), ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის გამიჯვნა მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილია ფულადი ანაზღაურება. სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია, თუ რამდენად არის შესაძლებელი ზიანის ფულადი ეკვივალენტით გამოხატვა.⁸

4. პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი

- 7 სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შესაძლებელია, არსებობდეს ზიანის ანაზღაურების ორი ურთიერთგამომრიცხავი ინტერესი. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება მიმართული იყოს იმ მდგომარეობის აღდგენისაკენ, რომელიც იარსებებდა, ხელშეკრულება საერთოდ რომ არ გაფორმებულიყო (**ნეგატიური ინტერესი**); ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება სახელშეკრულებო შესრულებას (**პოზიტიური ინტერესი**) ჩაენაცვლოს. პოზიტიური ინტერესის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი არის 414-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ შესრულების ინტერესზე მიუთითებს. შესრულების ინტერესის ანაზღაურების პრინციპი გამომდინარეობს 394 II 2 მუხლის დანაწესიდანაც: „კრედიტორს უფლება აქვს შესრულების სანაცვლოდ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება“. ამ ნორმების შინაარსის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ პირს უნდა აუნაზღაურდეს ის პოზიტიური ინტერესი, რომელიც მას ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების მიმართ აქვს. რაც შეეხება **ნეგატიურ ინტერესს**, მისი ანაზღაურება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, გარიგების დადებისას გამოვლენილი ხარვეზი ხელს უშლის ხელშეკრულების დადებას ან ბათილად ხდის მას (79 II). **ნეგატიური ინტერესის** ანაზღაურების კუთხით სირთულეს ქმნის ანაზღაურების ზღვრის განსაზღვრის საკითხი. განსაკუთრებით პრობლემურია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მიმართულია ბათილი გარიგების ალტერნატიული გარიგებით მისაღებ ინტერესზე. ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ **ნეგატიური ზიანის** ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ **პოზიტიური ინტერესის** ზღვრამდე (მუხ. 79, ველი 10), რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებული პირის უპირატეს მდგომარეობაში არასამართლიანი ჩაყენება.

5. ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი

- 8 ზიანი შეიძლება არსებობდეს ფაქტობრივად დამდგარი ზიანის სახით. თუმცა ზიანი შეიძლება გამოიხატოს შემოსავლის მიღების დაბრკოლებითაც⁹. ზიანის სრული ანაზღაურების პრინციპის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც რეალური ზიანი (408 I), აგრეთვე მიუღებელი შემოსავალი (411).

8 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 აპრილის №3კ-1483-02 განჩინება.

9 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის №ას-457-433-2012, განჩინება.

III. კაუზალობის (მიზეზობრივი კავშირის) საფუძველები

1. ეკვივალენტურობის პრინციპი

ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის. მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხდება ეგრეთ წოდებული ეკვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმად, ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური. ამისათვის გამოიყენება ლათინური ფორმულა *condicio sine qua non*. ფორმულის მიხედვით, მიზეზი **კაუზალურია**, თუ მის გარეშე არსებული შედეგი არ დადგებოდა. მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება ერთ ან რამდენიმე მიზეზს აერთიანებდეს. ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი დგინდება თითოეული მიზეზის ურთიერთკავშირის საფუძველზე. ამდენად, გარემოებათა ერთობლიობა შედეგის საერთო მიზეზს, ხოლო თითოეული მათგანი კონკრეტულ მიზეზს წარმოადგენს.¹⁰ ეკვივალენტურობის პრინციპი აგრეთვე მოიხსენიება ნატურალური¹¹ ან ფაქტობრივი¹² **კაუზალობის** სახელით. *condicio sine qua non* ფორმულის მიხედვით, შედეგთან **კაუზალურ** კავშირში შეიძლება იყოს ნებისმიერი შემთხვევითი და მოსალოდნელი, პირდაპირი და არაპირდაპირი, ერთადერთი და ალტერნატიული მიზეზი. მისი ძირითადი დანიშნულებაა, ყოველგვარი ნორმატიული შეფასების გარეშე, დაადგინოს მიზეზთა ჯაჭვისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირი. მაშასადამე, ეკვივალენტურობის პრინციპი მიზეზობრივი კავშირის დადგენის საფუძველი და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დადგენის აუცილებელი, მაგრამ, ამავდროულად, არასაკმარისი წინაპირობაა.

9

2. ეკვივალენტურობის პრინციპის სამართლებრივი კორექცია

ეკვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ყველა მიზეზი, მათი ხარისხისა და გამომწვევი ფაქტორების და სამართლებრივი რელევანტობის მიუხედავად, თანაბარი მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში გვხვდება მთელი რიგი შემთხვევებისა, რომლებთან მიმართებით ბუნებრივ/ფაქტობრივ **კაუზალობას** არასათანადო შედეგებამდე მიყვავართ, რაც, თავის მხრივ, აუცილებელს ხდის ეკვივალენტურობის პრინციპის სამართლებრივ კორექციას. განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც შედეგი მოვლენათა ამკარად მოულოდნელი განვითარების შედეგად დგება, ან, როდესაც უფლების დამრღვევის ქმედების გარდა, შედეგის დადგომაში სხვა გარემოებები მონაწილეობს და თავდაპირველ ქმედებასა და შედეგს შორის მხოლოდ არაპირდაპირი კავშირი არსებობს. ასეთ შემთხვევებში სამართლებრივი სისტემა ვალდებულია, პასუხისმგებლობის შერაცხვის დამატებითი კრიტერიუმები შეიმუშაოს.

10

10 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2011, მუხ. 394, გვ. 369.

11 შდრ. Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., §46, Rn. 894.

12 შდრ. Dam, European Tort Law, 2013, p. 310.

- 11 სამოქალაქო კოდექსში მიზეზობრივი კავშირის კრიტერიუმებს განსაზღვრავს 412-ე მუხლი. ამ ნორმის დანაწესის მიხედვით, ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების **კაუზალური** წინაპირობებია ქმედებისა და შედეგის უშუალო ურთიერთკავშირი და მოვალის მიერ შედეგის განჭვრეტა (412). ცნობილია, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებული დებულებები, შექმნილია გერმანული სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე, მიუხედავად ამისა, აქ მიზანშეწონილი ჩანს მოკლე შედარებითსამართლებრივი ექსკურსი.

3. გერმანული სამართლის დოქტრინა

- 12 გერმანულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის დადგენის ამოსავალი პრინციპი ეკვივალენტურობის თეორიაა. ეკვივალენტურობის თეორიით გამოწვეული განუსაზღვრელი პასუხისმგებლობის ჩარჩოში მოქცევის მიზნით, მე-19 საუკუნის მიწურულს გერმანელი ავტორების მიერ შემუშავებულ იქნა **ადეკვატურობის თეორია**, რომელიც შემდგომში ფართოდ იქნა გაზიარებული სასამართლო პრაქტიკაში. **ადეკვატურობის თეორია** განმარტავს, რომ მოვალეს დამდგარი ზიანისათვის პასუხი მხოლოდ მაშინ ეკისრება, როდესაც მისი ქმედება **ადეკვატურ** კავშირშია ზიანთან. ხოლო **ადეკვატური** კავშირი სახეზეა, თუ მოვალის ქმედებამ ობიექტურად გაზარდა დამდგარი შედეგის დადგომის ალბათობა. ამასთან, ალბათობა ფასდება ა) ოპტიმალური დამკვირვებლის გადმოსახედიდან და ბ) იმ სპეციალური ცოდნის გათვალისწინებით, რომელიც ჰქონდა ვალდებულების დამრღვევ პირს.¹³ არსებობს **ადეკვატურობის თეორიის** ნეგატიური განმარტებაც: თუ ქმედება იმდენად განყენებულია და დაშორებულია შედეგთან, რომ იგი ბრუნვის გონიერ მონაწილესაც არ შეეძლო მიეჩნია შედეგის ადეკვატურ მიზეზად, ასეთი ქმედება ადეკვატურად არ ჩაითვლება.¹⁴ ვინაიდან **ადეკვატურობის თეორია** მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, გრძელვადიან პერსპექტივაში ის არასაკმარისი აღმოჩნდა პასუხისმგებლობის სამართლებრივი მიზეზობრიობის დადგენისათვის. მაგალითად, **ადეკვატურობის თეორიისათვის** პრობლემატური საკითხია, კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურად დადგინდეს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურ დამკვირვებლად. გარდა ამისა, **ადეკვატურობის თეორიის** გამოყენებით, შესაძლებელია, ნაკლებად სავარაუდო შედეგების სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვება, რაც განსაკუთრებით მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე ზიანის შემთხვევაში არასასურველ შედეგს იწვევს. ამიტომ გერმანულ სამართალში მიიჩნევა, რომ **ადეკვატურობის თეორია** სამართლებრივი **კაუზალობის** დადგენის დამოუკიდებელი კრიტერიუმი არ არის. იგი სამართლებრივი **კაუზალობის** მეორე თეორიასთან – **ნორმის დაცვითი მიზნის თეორიასთან** ერთად გამოიყენება. ამ თეორიის ამოსავალი ნერტილი არის კითხვა – რამდენად იცავს დარღვეული ვალდებუ-

13 შდრ. BGH, NJW 1995, 126-127.

14 შდრ. BGH, NJW 2002, 2232-2233.

ლება იმ სახის ზიანისაგან, როგორც ფაქტობრივად დადგა.¹⁵ ეს თეორია ძალიან კარგად თავსდება გერმანული სამოქალაქო კოდექსის სისტემატიკაში, განსაკუთრებით აბსოლუტური უფლების დარღვევით (BGB § 823 I) და მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე ზიანთან მიმართებით. **ნორმის დაცვითი მიზნის** მეშვეობით მოვალეს შეიძლება პასუხისმგებლობა სრულიად მოულოდნელი შედეგებისთვისაც შეეფარდოს, თუ დარღვეული ვალდებულება სწორედ ამგვარი შედეგებისაგან დაცვისკენ არის მიმართული, ან სწორედ ნორმით გათვალისწინებული საფრთხის რეალიზება მოხდა. საერთო ჯამში, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ორივე თეორია, რომლებიც ერთმანეთს ავსებს. ცალკეულ შემთხვევაში სასამართლო სამართლებრივი კაუზალობის ჩარჩოებს ადგენს იმ თეორიის მეშვეობით, რომელი თეორიაც უფრო სამართლიანია მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენისათვის.

4. ფრანგული სამართლის დოქტრინა

ფრანგულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის დადგენა ხდება ორი ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმის მეშვეობით – ცალსახა და პირდაპირი (*certain et direct*). ფრანგულ ლიტერატურაში გავრცელებულია **ადეკვატურობისა და ნორმის დაცვის ფუნქციის თეორიებიც**, თუმცა ისინი ნაკლებად იქნა გაზიარებული ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში.¹⁶ სასამართლო პრაქტიკაში მიზეზობრივი კავშირის ფარგლების დადგენა სწორედ **ცალსახა და პირდაპირი** ზიანის პრინციპის ფართო და მოქნილი განმარტების მეშვეობით ხდება.

13

5. ინგლისური სამართლის დოქტრინა

ინგლისურ სამართალში მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გერმანული ეკვივალენტურობის თეორიის იდენტური, ეგრეთ ნოდებული *but for test* (ეკვივალენტურობის ტესტი) და *balance of probabilities test* (ალბათობათა ბალანსის ტესტი) გამოიყენება. **კაუზალობის** ხსენებული კრიტერიუმების თანახმად, ვალდებულების დამრღვევი პასუხს აგებს, თუ მისი ქმედება შედეგის ეკვივალენტურია და გონიერი ადამიანის გადმოსახედიდან დადგენილია, რომ 50%-ზე მეტი ალბათობით ამგვარ ქმედებას შეეძლო, დამდგარი ზიანი გამოეწვია.¹⁷ ინგლისური სამართლის თავისებურება აღნიშნულ პრინციპთან მიმართებით განჭვრეტადობის აბსტრაქტულ გაგებაშია. კერძოდ, თუ, ზოგადად, შედეგის წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელი იყო (მაგალითად: სხეულის დაზიანება, საგნის დაზიანება), მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რა ფორმით მოხდა შედეგის რეალიზება. ამდენად, ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში განჭვრეტადობა ფართოდ განიმარტება. ამ პრინციპის ფართო განმარტება მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომწვეული ზიანის შემთხვევებშიც გამოიყენება.¹⁸

14

15 შდრ. Larenz, Schuldrecht I, 14. Aufl., § 27 III b.

16 შდრ. Dam, European Tort Law, 2013, p. 319-320.

17 შდრ. Dam, European Tort Law, 2013, p. 317-318.

18 შდრ. იქვე.

IV. ზიანის გამოთვლა

- 15 როგორც წესი, ზიანი გამოითვლება **კონკრეტული გამოთვლის მეთოდით**. განმსაზღვრელია ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისი (*damnum emergens*) და ქონებრივი ნამატი, რომლის დადგომას ხელი შეუშალა ზიანის გამომწვევმა ქმედებამ (*lucrum cessans*). ორივე შემთხვევაში ფაქტობრივი ზიანიც და მიუღებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობაც კონკრეტული მტკიცებულებების შეფასების შედეგად დგინდება. ევროპულ, მათ შორის გერმანულ სამართალში, აგრეთვე გამოიყენება ზიანის **აბსტრაქტული გამოთვლის მეთოდი**. ეს მეთოდი, უწინარესად, მიმართულია მოსარჩელის მტკიცების ტვირთის შემსუბუქებისაკენ. ზიანის აბსტრაქტული გამოთვლის მეთოდს ქართული სასამართლო პრაქტიკა თითქოსდა პრინციპის დონეზე აღიარებს, თუმცა სასამართლო იმდენად მკაცრად უდგება მოსარჩელის მტკიცების ტვირთს, რომ რეალურად **აბსტრაქტული გამოთვლის მეთოდს** აზრს უკარგავს.¹⁹ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ოდენობის დადგენა განსაკუთრებულად გართულებულია, თავად კანონმდებლობა ითვალისწინებს ეგრეთ ნოდებულ **ნორმატიულ-აბსტრაქტული გამოთვლის მეთოდს**. ასეთ შემთხვევაში **ნორმატიულ-აბსტრაქტული გამოთვლის მეთოდის** მეშვეობით დადგენილი ზიანი არის ანაზღაურებადი ზიანის მინიმუმი და ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს არ ცვლის. ბუნებრივია, მოსარჩელეს უფლება აქვს, მოითხოვოს მეტი, თუ კონკრეტული მტკიცებულებებით ზიანის დამტკიცება შეუძლია.

V. მტკიცების ტვირთი

- 16 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, დაზარალებული პირი ვალდებულია, დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. 394-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის შებრუნების გათვალისწინებით, დამრღვევის ბრალი დამტკიცებულად ითვლება ამ უკანასკნელის მიერ საპირისპიროს დამტკიცებამდე. 992-ე მუხლი მტკიცების ტვირთის შებრუნებას არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, დელიქტურ სამართალში სასამართლო პრაქტიკით ცალკეულ შემთხვევებში დამკვიდრებულია მტკიცების ტვირთის შემდეგი განაწილება: მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები,²⁰ რაც საკმაოდ საკამათო შეიძლება იყოს.

19 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის № ას-376-357-2013, განჩინება.

20 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის №ას-1477-1393-2012 განჩინება.

მუხლი 408. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოვალეობა

1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზელი გარემოება.

2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება.

4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

I. ზოგადი	696
1. ზიანის ანაზღაურების ფუნქცია	697
2. სრულად გამოსწორების პრინციპი.....	697
3. მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურება (კოლექტიური კომპენსაცია)	698
4. დისპოზიციურობა	698
II. ზიანის ცნება და მისი სახეები.....	698
1. ცნება.....	698
2. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი.....	699
3. პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი	701
III. ზიანის ანაზღაურების ფორმები.....	702
1. ნატურით რესტიტუცია, 408 I	702
2. ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, 408 I, III ..	703
ა) ფულადი ანაზღაურება პირისა და ნივთის დაზიანების შემთხვევაში.....	703
ბ) მიღებული ანაზღაურების განკარგვის თავისუფლება	705
IV. უფლებამოსილი პირი.....	705
1. ზოგადი წესი და გამონაკლისი	705
2. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია	706
V. სარჩოს მოთხოვნის უფლება, 408 II.....	707
1. შრომის უნარის შემცირება ან დაკარგვა	707
2. მოთხოვნილებათა გაზრდა.....	709
3. სარჩოს გადახდა.....	709
VI. კომპენსაცია სარჩოს სანაცვლოდ, 408 IV	710

I. ზოგადი

- 1 სამოქალაქო კოდექსის 408-ე-415-ე მუხლებში მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა შინაარსი, რის გამოც მათ სხვაგვარად ასევე ზიანის ანაზღაურების სამართალს ან ანაზღაურებადი ზიანის მოცულობის განმსაზღვრავ დანაწესებსაც უწოდებენ.¹ ამ მოთხოვნათა წინაპირობები მოცემულია სხვა ნორმებში. ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ესენია 394-ე და მომდევნო მუხლები, თუმცა 408-ე-415-ე მუხლების მოქმედება არ შემოისაზღვრება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით ან სახელშეკრულებო სამართლით.² ეს დანაწესები ძალაშია ყველა სხვა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის შემთხვევაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, როგორც არის, მაგალითად, 970 II მუხლი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შინაარსს დელიქტური პასუხისმგებლობისას 992-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.³
- 2 სამოქალაქო კოდექსის ამ კარს შემდეგი შინაგანი სისტემატიკა ახასიათებს: 408-ე, 409-ე და 413-ე მუხლები წარმოადგენენ უშუალო საფუძველს ზიანის ანაზღაურებისათვის და განსაზღვრავენ მისი ანაზღაურების ხერხს. 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლები შეიცავენ მოცემული ანაზღაურებადი ზიანის არაანაზღაურებადისაგან გამიჯვნის კრიტერიუმებს, ხოლო 410-ე და 415-ე მუხლები აწესრიგებენ შემთხვევებს, როდესაც ზიანის ანაზღაურება გამორიცხებულია, ან ეს ზიანი მხოლოდ შეზღუდული ოდენობით ანაზღაურდება.

1 იხ. 408-ე და მომდევნო მუხლებთან დაკავშირებით ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, გვ. 451 და შემდგომში; ცერცვაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 645 და შემდგომში; კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 5 და შემდგომში; გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებების რეზიუმეთა ერთობლიობა, იხ. ბმულზე: <http://library.court.ge/index.php?id=2669> (ბოლოს ნანახია: 03.06.2019); ბიჭია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2016, გვ. 98 და შემდგომში; ბიჭია, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალში: „სამართალი და მსოფლიო“, 4/2016, გვ. 46 და შემდგომში; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 30 და შემდგომში; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 94 და შემდგომში; მესხიშვილი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით გაყენების ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 94 და შემდგომში; ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2/2006, გვ. 101 და შემდგომში; თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 129 და შემდგომში; ბათლიძე, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, IV, 2015, გვ. 35 და შემდგომში.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 იანვრის № ას-987-928-2010 გადაწყვეტილება; 2011 წლის 24 იანვრის № ას-1076-1008-2010 განჩინება; ცერცვაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/ სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 645.

3 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ზ-614 განჩინება (4.17.).

1. ზიანის ანაზღაურების ფუნქცია

ზიანის ანაზღაურების მთავარი მიზანი მიყენებული დანაკლისის გამო- 3
სწორებაა (**გამოსწორების ფუნქცია**).⁴ გარდა ამისა, მას ენიჭება პოტენ-
ციურ დამაზიანებელზე პრევენციული ზემოქმედების განხორციელების
ფუნქცია, რათა საერთოდ ააღებინოს ხელი სხვისათვის ზიანის მიყენება-
ზე (**პრევენციის ფუნქცია**). ცალკეა გამოსაყოფი **არაქონებრივი ზიანის**
ანაზღაურება (413). ამ დროს ანაზღაურების მოთხოვნა, არამატერიალუ-
რი ზიანის გამოსწორების გარდა, მიზნად ისახავს დაზარალებულის დაკ-
მაყოფილებას,⁵ თუმცა გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამ შემ-
თხვევაშიც წინა პლანზე გამოსწორების ფუნქცია დგას (მუხ. 413-მე 9 და
მომდევნო ველები).⁶

2. სრულად გამოსწორების პრინციპი

გამოსწორების ამ ფუნქციიდან გამომდინარეობს ე. წ. **სრულად გა-** 4
მოსწორების პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამაზიანებელმა ზიანი,
რომელიც მას შეერაცხება, სრულად უნდა აანაზღაუროს.⁷ ამგვარად,
ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა განისაზღვრება დაზარალებულისათ-
ვის მიყენებული დანაკლისისა და არა დამაზიანებლის ბრალის ხარისხის
მიხედვით.⁸ მანქანის მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამნადგურებელიც
ისევე ანაზღაურებს მის სრულ ღირებულებას, როგორც პირი, რომელმაც
ის განზრახ დანვა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, ჩვეულებრივ,
უმნიშვნელოა, შეეძლო თუ არა დამაზიანებელს ზიანის დადგომის შესაძ-
ლებლობისა და მისი მოცულობის წინასწარ განჭვრეტა (თუმცა შდრ. მუხ.
412 მე-7 და მომდევნო ველები).⁹

გარდა ამისა, კომპენსაციის ფუნქციიდან გამომდინარეობს წესი, რომ 5
ზიანის ანაზღაურების მოცულობა დაზარალებულისათვის რეალურად
მიყენებული ზიანით უნდა შემოიფარგლოს (ე. წ. **გამდიდრების აკრძალ-**
ვა).¹⁰ დაზარალებული ზიანის ანაზღაურების შემდეგ არ უნდა აღმოჩნდეს

4 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 299.*

5 BGHZ 18, 155.

6 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 299.*

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტი-
ლება (58); 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადაწყვეტილება (8.13).

8 *Harke, Allgemeines Schuldrecht, 2010, S. 290*; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის
1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58); 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015
გადაწყვეტილება (8.13); *კვანტალიანი*, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამე-
დიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს
შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 6.

9 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 299.*

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადაწყვე-
ტილება (8.13); 2011 წლის 24 ოქტომბრის № ას-307-291-2011 გადაწყვეტილება; 2002 წლის 18
იანვრის № 3კ/1184-01 განჩინება – *ნაჭყებია*, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმა-
რტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 158 და შემდგომში; *ძლიერიშვილი*,
მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის
მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 32; *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპ-
ლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი,
„სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 110.

უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე იქნებოდა ზიანის მიყენების გარეშე. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე. წ. სარგებლის გაქვითვა (იხ. მუხ. 414, 26-ე ველი) და ასევე ძველი ნივთის ახლით ჩანაცვლების საკითხი (მე-17 ველი), როდესაც ზიანის ანაზღაურების შემდეგ ნივთის ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ზიანამდე.

3. მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურება (კოლექტიური კომპენსაცია)

- 6 ზიანის ანაზღაურების სამართალი თანამედროვე პრაქტიკაში მჭიდროდ არის დაკავშირებული სადაზღვევო სამართალთან. ჯანმრთელობის, ზიანის ან უბედური შემთხვევის დაზღვევისას დაზარალებულ-დაზღვეულს ზიანს არა დამზიანებელი, არამედ მზღვეველი უნაზღაურებს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელზე გადადის დამზიანებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (832). თუმცა, თუ, თავის მხრივ, დამზიანებელიც დაზღვეული იყო სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, მაშინ სასამართლო პროცესზე ერთმანეთის პირისპირ ორი მზღვეველი დგას. მიუხედავად ამისა, ნაყენებული მოთხოვნების მატერიალურ საფუძველს მაინც პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართალი წარმოადგენს,¹¹ რის გამოც მათ, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭებათ.

4. დისპოზიციურობა

- 7 408-ე-415-ე მუხლები, ზოგადად, დისპოზიციურ დანაწესებად უნდა მივიჩნიოთ, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე – კერძო ავტონომიის ზოგად ჩარჩოებში (8 III, 54) – დასაშვებია შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურებას მაქსიმალურ თანხას, ერთიან მყარად დადგენილ თანხას (გარკვეული ტიპის) ზიანისათვის ან ზიანის გამოსწორების ხერხს (იხ. 410-ე მუხლის კომენტარი).¹² რაც შეეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ამ ტიპის დათქმის გაკეთებას, მისი ნამდვილობა უნდა გადამოწმდეს 348 ვ-ი) მუხლში დაფიქსირებული შეზღუდვის გათვალისწინებით (იხ. მუხ. 348-მე 10 და მომდევნო ველები).

II. ზიანის ცნება და მისი სახეები

1. ცნება

- 8 ზიანის ცნება კანონში განმარტებული არ არის. გერმანული იურიდიული დოქტრინა, რომლის არგაზიარების საფუძველიც საქართველოში არ არსებობს, ხელმძღვანელობს ზიანის ე. წ. ნატურალური ცნებით.¹³

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის № ას-663-624-2011 განჩინება; 2012 წლის 5 სექტემბრის № ას-581-549-2011 გადაწყვეტილება; იხ. ამასთან დაკავშირებით ამირანაშვილი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, „მართლმსაჯულება და კანონი“, 1/2014, გვ. 91.

12 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 249, Rn. 13.

13 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, 301.

მის თანახმად, ზიანი არის ნებისმიერი **არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი**, რაც გამონვეულია აქტივების შემცირებით ან პასივების ზრდით (*damnum emergens*), ასევე შემოსავლის მიუღებლობით (*lucrum cessans*).¹⁴ ამ გაგებით, ზიანი უპირისპირდება დანახარჯებს, როგორც ნებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლს, თუმცა ზიანის ცნება მოიცავს ასევე ხარჯებსაც, რისი განწევაც უხდება დაზარალებულს სხვა უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების ან ზიანის ოდენობის შემცირების მიზნით.¹⁵ ამგვარი დანახარჯი, საბოლოო ჯამში, მაინც ზიანის დადგომის საფრთხით არის განპირობებული და ვერ ჩაითვლება ნებაყოფლობით განეულად.¹⁶ დანახარჯების ზიანად დაკვალიფიცირებისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ისინი საღად მოაზროვნე პირის თვალსაწიერიდან, დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, ზიანის პრევენციის აუცილებელ ზომად წარმოჩნდეს.

ზიანის ნატურალური ცნება მხოლოდ ამოსავალი წერტილია ანაზღაურებადი ზიანის დადგენისათვის და, ხშირ შემთხვევაში, ხდება მისი მოდიფიცირება ზიანის ე. წ. **ნორმატიული ცნებით**.¹⁷ მთელ რიგ შემთხვევებში მიყენებული დანაკლისი, ნორმატიული საფუძვლებიდან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება ანაზღაურებად ზიანად (იხ. მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველები). ასევე პირიქით, ზოგჯერ რეალური ქონებრივი სარგებელი, რაც ზიანის მიყენებით არის განპირობებული (მაგალითად, სადაზღვევო თანხა), იმავე ნორმატიული საფუძვლიდან გამომდინარე არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ზიანის მოცულობის დაანგარიშებისას (მდრ. სარგებლის გაქვითვასთან დაკავშირებით მუხ. 414 26-ე ველი).

2. ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი

408 I მუხლის მიხედვით, პირმა, რომელსაც აწევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უნდა აღადგინოს ის გარემოება, რაც იარსებებდა ზიანის განმაპირობებელი შემთხვევის დადგომის გარეშე. ზემოთ მოყვანილი ზიანის ცნებით მოცულია როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი დანაკლისი. **ქონებრივი ზიანის** შემთხვევაში მისი დადგენისა და გამოთვლის ხერხია ე. წ. **დიფერენციის ჰიპოთეზა**, რომელიც 408 I მუხლიდან გამომდინარეობს. ამ დროს ხდება ამჟამინდელი ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირება იმ ჰიპოთეტურ ქონებრივ მდგომარეობასთან, რომელიც იარსებებდა დამაზიანებელი შემთხვევის დადგომის გარეშე – დიფერენცირება.¹⁸ თუ ამ შეპირისპირების შედეგად ნეგატიური ქონებრივი

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 10 ოქტომბრის № ას-342-694-07 განჩინება; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 31 და შემდგომში; *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 237.

15 *Looschelders*, *Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 301.

16 *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 4.

17 *Looschelders*, *Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 302.

18 *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 10; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58); 2016 წლის 10 ივნისის № ას-301-286-2016 (24); 2015 წლის 18 დეკემბრის № ას-999-943-2015 (27); 2015 წლის

სხვაობა დგინდება, სწორედ ეს სხვაობა წარმოადგენს ზიანს. ზიანის გამოთვლისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ქონების რეალურად შემცირებული ღირებულება, არამედ ასევე მიუღებელი შემოსავალიც (411). ნივთის დაზიანებისა და განადგურების შემთხვევაში ანაზღაურებადი ზიანის ოდენობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ნივთის რეალურ ღირებულებას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს ნივთის მოგების მომტანად გამოყენება შეეძლო, მისი წარმოების საშუალებად გამოყენების ან გაყიდვის მეშვეობით.

- 11 **არაქონებრივი (არამატერიალური) ზიანის** ოდენობის გამოთვლისას დიფერენციის ჰიპოთეზა არ გამოდგება. არამატერიალური ზიანი გამოირჩევა სწორედ იმით, რომ ამჟამინდელი და ჰიპოთეტური (ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების გარეშე) ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირებისას ფულადი დანაკლისი არ დგინდება.¹⁹ არამატერიალური ზიანის ტიპური მაგალითია სულიერი ტანჯვა სხეულის დაზიანების ან მიყენებული შეურაცხყოფის გამო.²⁰ იხ. დეტალურად არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზანთან დაკავშირებით 413-ე მუხლის კომენტარი.
- 12 ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის მიჯნის გავლება მრავალ შემთხვევაში ძალზე საკამათოა. გამიჯვნისათვის ამოსავალი წერტილია კრიტერიუმი – აქვს თუ არა მიყენებულ დანაკლისს ფულადი ეკვივალენტი.²¹ თუ დაზიანებული ნივთი ბაზარზე თავისუფლად ხელმისაწვდომია, მაშინ ეს საბაზრო ღირებულება გამოიყენება საორიენტაციოდ, თუმცა ქონებრივი ზიანი შესაძლებელია სახეზე გვქონდეს შესაბამისი საბაზრო ღირებულების არარსებობის შემთხვევაშიც. გადამწყვეტია, აქვს თუ არა ნივთს სამოქალაქო ბრუნვაში ზოგადად რაიმე ღირებულება. მაგალითად,²² თუ დამზიანებელმა გაუფრთხილებლობით გატეხა დაზარალებულის ხელნაკეთი ნაღმოსნის მაკეტი, რომელსაც ეს უკანასკნელი მრავალი წლის განმავლობაში აწყობდა, 992-ე მუხლის მიხედვით ანაზღაურებადი ზიანი განისაზღვრება არა დახარჯული დროისა და მასალის მიხედვით, არამედ მსგავსი საგნის ღირებულების მიხედვით. ამ შემთხვევაში დაზარალებულის სამოყვარულო ინტერესი ზიანის გამოთვლისას არ გაითვალისწინება.²³
- 13 **თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენისათვის 408 I მუხლის** გაგებით, უმნიშვნელოა, არამატერიალურ თუ მატერიალურ ზიანს ეხება საქმე, რადგან ორივე შემთხვევაში ნატურით რესტიტუციის პრინციპი შეუზღუდავად მოქმედებს. მაგალითად, მართალია, შეურაცხყოფა არამატერიალური ზიანია, თუმცა დამზიანებელს ამ შემთხვევაშიც 992-ე და 408 I (ასევე 18 IV, იხ. ამ მუხლის კომენტარი) მუხლების ურთიერთკავშირის საფუძველზე ღირსების შემლახავი ცნობების გაქარწყლება ეკისრება.²⁴ თუ დაზა-

7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადაწყვეტილება (8.13).

19 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 18.

20 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 9.

21 Lange/Schiemann, Schadensersatz, 3. Aufl., 2003, § 2 I 2.

22 BGHZ 92, 85.

23 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 Iia; იხ. 413-ე მუხლის კომენტ., ველი 7.

24 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 303.

რალეზული მიყენებული ზიანისათვის ფულად ანაზღაურებას ითხოვს, ამ დროს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის მიჯნის გავლებას გადა-მწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. 413 I მუხლის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს ცალსახად გათვალისწინებულია კანონში. ქონებრივი ზიანი ამის საპირისპიროდ ყოველთვის ანაზღაურდება. მაგალითად, დაზარალებულის ცემისას სხეულის დაზიანებით განპირობებული მკურნალობის ხარჯები ქონებრივი ზიანია, რომელიც, 408 I, III 1 მუხლის მიხედვით, (შდრ. მე-20 ველი) ფულით უნდა ანაზღაურდეს. დაზიანებასთან დაკავშირებული ტკივილი კი არამატერიალური ზიანია, რომელიც, 413 II მუხლის თანახმად, გამონაკლისის სახით ასევე ანაზღაურებადია.

3. პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი

ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში სა-კამათოა, თუ რა ჩაითვლება ჰიპოთეტური მდგომარეობის რეკონსტრუირებად – დაზარალებულის იმ მდგომარეობაში ჩაყენება, როგორშიც იქნებოდა ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში (**პოზიტიური ან შესრულების ინტერესი**), თუ საერთოდ რომ არ დაედო ხელშეკრულება (**ნეგატიური ინტერესი**).²⁵ მაგალითად, ავტომანქანის ნასყიდობის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ის განადგურებულია, მყიდველი კი ამ 10 000 ლარად ნაყიდი მანქანის 20 000 ლარად გადაყიდვას მოახერხებდა. გარდა ამისა, მყიდველმა ნასყიდობის დადებასთან დაკავშირებით განია მგზავრობის ხარჯები – 200 ლარი. მყიდველის პოზიტიური ინტერესია 10 000, ხოლო ნეგატიური მხოლოდ 200 ლარი. თუ მყიდველი მოითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას 394 I-III მუხლის მიხედვით, მიიღებს 10 000 ლარს, ხოლო 200 ლარი არაანაზღაურებად ზიანად ჩაითვლება, რადგან ამ მოთხოვნის შინაარსი სწორედ პოზიტიური ზიანის ანაზღაურებაა. ამიტომაც არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრება,²⁶ როდესაც ის 394 I მუხლის მიხედვით ანაზღაურებადად მიიჩნევს იმ 10 000 ლარს, რომელსაც გამყიდველი იმავე ნივთის სხვა პირისათვის მიყიდვით მიიღებდა.²⁷

14

მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად,²⁸ ყოველთვის პოზიტიურ ინტერესს ეხება, ეს ორი ცნება ერთმანეთის იდენტური არ არის. პოზიტიური ინტერესი მთელ რიგ შემთხვევებ-

15

25 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 304.

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება.

27 თუ მყიდველმა ფასის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისას გამყიდველი უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, ეს გულისხმობს მასთან დადებული ნასყიდობის ფასის გადაუხდელობით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის აღმოფხვრას და არა ჰიპოთეტურად სხვასთან დადებული და შესრულებული უფრო სარფიანი გარიგებით მიღებული სარგებლის მინიჭებას. ამის საპირისპიროდ უზენაესი სასამართლო თავის სხვა განჩინებაში (2016 წლის 25 მარტის № ას-374-355-2015 განჩინება (77)) 411, სწორად ავლებს მიჯნას ანაზღაურებად პოზიტიურ ზიანსა და არაანაზღაურებად ნეგატიურ ზიანს შორის.

28 შდრ. ამასთან დაკავშირებით 494-ე მუხლის კომენტ., მე-7 და მომდევნო ველები.

ში მოიცავს ასევე შესრულებასთან ერთად ანაზღაურებად ზიანსაც.²⁹ მაგალითად, ნაკლოვანი შესრულებისას, როდესაც ნაკლი გამოსწორებადია, მიუღებელი სარგებელი, როგორც ზიანი, ექცევა პოზიტიური ინტერესის ცნების ქვეშ, თუმცა, ამავდროულად, წარმოადგენს შესრულებასთან ერთად მოსათხოვ ზიანს. ნეგატიური ინტერესი ანაზღაურდება, მაგალითად, 79 II 1³⁰ და 113 II მუხლების საფუძველზე. ასევე წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან ზიანის ანაზღაურების ფარგლებშიც 394 I, 317 II, 316 II მუხლების მიხედვით მხოლოდ ნეგატიური ინტერესი კომპენსირდება.

III. ზიანის ანაზღაურების ფორმები

1. ნატურით რესტიტუცია, 408 I

- 16 408 I მუხლში დაფიქსირებული ზოგადი წესის თანახმად, ზიანის გამომწვევმა პირმა უნდა აღადგინოს ის თავდაპირველი მდგომარეობა, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ამგვარად, ეს დანაწესი საკუთარ თავში აერთიანებს სრულად გამოსწორების პრინციპის გარდა (იხ. ზემოთ, მე-4 ველი) **ნატურით რესტიტუციის** პრინციპსაც.³¹ მისი მიზანია დაზარალებულის ე. წ. **შენარჩუნების (ინტეგრირების) ინტერესის** დაცვა.³² შენარჩუნების ინტერესმა შეიძლება გადააჭარბოს ღირებულების ინტერესს, თუ, მაგალითად, დამტვრეული მანქანის აღდგენის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს მის ღირებულებას, ამ შემთხვევაშიც დაზარალებული არ არის ვალდებული, მხოლოდ ღირებულების ანაზღაურებით დაკმაყოფილდეს. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არათანაზომიერ ხარჯებს უკავშირდება (იხ. მუხ. 409 მე-7 და მომდევნო ველები).
- 17 თუ ნატურით რესტიტუცია ზიანის კომპენსაციისათვის **არასაკმარისია**, დაზარალებულს აქვს ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება 409-ე მუხლის მიხედვით. თუმცა ამის საპირწონედ, გამდიდრების აკრძალვის გამო (მე-5 ველი), მან უნდა დაუბრუნოს დამზიანებელს რესტიტუციის შედეგად წარმოშობილი ქონებრივი ნამატი.³³ მაგალითად, თუ დამზიანებელი ავტოავარიის შედეგად დაზიანებულ ძველ მოტორს ახლით ჩაანაცვლებს, დაზარალებულმა უნდა დაუბრუნოს მას ეს ზედმეტი ღირებულება.

29 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 304.

30 თუმცა შდრ. *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ. 191.

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58); *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 408, გვ. 452; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 32; *მესხიშვილი*, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 99.

32 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 324.

33 *Oetker*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 348; თუმცა შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის № ას-698-668-2014 განჩინება.

კანონმდებელი დამზიანებელს უტოვებს არჩევნის თავისუფლებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და ვისი მეშვეობით აღადგენს თავდაპირველ მდგომარეობას.³⁴ დაზარალებულს არ შეუძლია მანქანის რემონტის კონკრეტულ სახელოსნოში განხორციელების მოთხოვნა. შესაბამისი ცოდნისა და უნარის მქონე დამზიანებელს შეუძლია თავადვე გარემონტოს მანქანა, ყოველგვარი დანახარჯის გარეშე. თუ დაზარალებული უარზეა, მაშინ უნდა გამოიყენოს, ნატურით რესტიტუციის მაგივრად, ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (იხ. ქვემოთ, მე-20 ველი).

ნატურით რესტიტუციის ზღვარი პირველადი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობაა (409). რესტიტუცია შეუძლებელია, თუ დაზიანებამ ნივთის სრული განადგურება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, თუ გვაროვნულ ნივთს ეხება საქმე, იმავე გვარის ჩამნაცვლებელი საგნის მიწოდებაც ნატურით რესტიტუციად უნდა ჩაითვალოს.³⁵ გაბატონებული მოსაზრების³⁶ თანახმად, განადგურებული მეორადი ავტომობილის სანაცვლოდ იმავე მონაცემების სხვა მანქანის მიწოდებაც ნატურით რესტიტუციის ცნებაში ერთიანდება, რითიც მნიშვნელოვნად იზღუდება 409-ე მუხლის გამოყენების სფერო. რესტიტუციის ამ ორ ფორმას (რემონტი ან მსგავსით შეცვლა) შორის არჩევნის გაკეთებისას დაზარალებულმა ეკონომიკური მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოს.³⁷ მანქანის აღდგენა ეკონომიკურად არამოგებიანია, თუ ჩამნაცვლებელი მანქანის შოვნის ხარჯებს 30 %-ით აჭარბებს. ამ შემთხვევაში დაზარალებულის ნატურით რესტიტუციის მოთხოვნა მხოლოდ ამ უკანასკნელი ფორმით უნდა დაკმაყოფილდეს (იხ. დეტალურად: მუხ. 409 მე-9 ველი).³⁸

2. ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, 408 I, III

ა) ფულადი ანაზღაურება პირისა და ნივთის დაზიანების შემთხვევაში

მრავალ შემთხვევაში დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, დამზიანებლისაგან მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, რათა ეს რესტიტუცია თავად განახორციელოს. სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამზიანებელმა პირადად არ უნდა ჩაუტაროს დაზარალებულს ოპერაცია, გინდ თავადაც შესაბამისი პროფილის ექიმი იყოს, არამედ მხოლოდ უნდა აუნაზღაუროს (პირადად მას, ან მის მზღვეველს) შესაბამისი ხარჯები. ავარიის შედეგად დაზიანებულმა არ უნდა გაატანოს თავისი მანქანა დამზიანებელს შესაკე-

34 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 332.

35 BGHZ 154, 397.

36 BGHZ 115, 364; BGHZ 143, 193; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის № ას-1319-1257-2014 გადაწყვეტილება (35); 2008 წლის 22 აპრილის № ას-802-112-207 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის № 23/3883-14 გადაწყვეტილება (4.7.).

37 BGHZ 154, 397; BGH NJW 2009, 3713.

38 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 326.

თებლად, არამედ შეუძლია, თავად შეაკეთოს და ამ უკანასკნელს მხოლოდ ანგარიში წარუდგინოს. ეს თავისთავად ცხადი დათქმა, რაც გერმანიაში სამოქალაქო კოდექსის 249 II პარაგრაფშია კონსტანტირებული,³⁹ საქართველოში, შესაბამისი დანაწესის არარსებობის გამო, შედარებით რთულად დასაბუთებადია, თუმცა გერმანიის დარად აქაც აუცილებელია მისი აღიარება. დაზარალებული არ უნდა იყოს ვალდებული, მიახლოს რესტიტუციისათვის საკუთარი სიკეთე პირს, რომელმაც ის ცოტა ხნის წინ თავად ხელყო⁴⁰ და უნდა ჰქონდეს ნატურით რესტიტუციის ვალდებულების ფულადი ანაზღაურების მოთხოვნით ჩანაცვლების უფლებამოსილება (იხ. მუხ. 374 მე-7 ველი).⁴¹ სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ეს გადაწყვეტა უფრო მარტივი დასასაბუთებელია და, საბოლოო ჯამში, თავად კანონიდან გამომდინარეობს. საუბარია რა 408 III 1 მუხლში მკურნალობის ხარჯების წინასწარ მოთხოვნაზე, ცალსახაა, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მკურნალობის ნაცვლად სწორედ მკურნალობის ხარჯების მოთხოვნა.⁴² მოთხოვნის საფუძველი ამ შემთხვევაში თავად 408 I, III 1 მუხლია. მიუხედავად შესაბამისი ცალსახა ნორმატიული ხელმოსაჭიდის არარსებობისა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს ნივთის დაზიანების შემთხვევაზეც. აქაც დაზარალებულს უნდა შეეძლოს, ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, ამისათვის აუცილებელი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა, 408 I, III 1 მუხლის ანალოგიით. ამგვარად, დამზიანებლის მიერ ზიანის ნატურით რესტიტუციის შეუზღუდავი პრიმატი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს რესტიტუცია ჯერ კიდევ შესაძლებელია (წინააღმდეგ შემთხვევაში: 409-ე მუხლი) და საქმე არ ეხება არც პირისთვის და არც ნივთისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას (მაგ., ვალდებულებისაგან გათავისუფლება).⁴³ ზიანის ანაზღაურების (ნატურით რესტიტუციის ჩამნაცვლებელი) ფულადი კომპენსაციის ფორმით განხორციელების შემთხვევაშიც წინა პლანზე დგას შენარჩუნების (იხ. ზემოთ მე-16 ველი) და არა ღირებულების ანაზღაურების ინტერესი (შდრ. მუხ. 409 1-ლი ველი), რის გამოც კომპენსაციის გამოთვლისას გადამწყვეტია არა ნივთის რეალური ღირებულება, არამედ მისი აღდგენის ღირებულება.⁴⁴

39 გსკ-ის 249 II პარაგრაფი: „თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა.“

40 BGHZ 63, 184; BGH NJW 2010, 607; იხ. ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/პ-614 განჩინება (4.17.): ფეხის დაკარგვის შემთხვევაში პროთეზის მორგებისას (რაც ნატურით რესტიტუციად უნდა აღვიქვათ) დაზარალებულს შეუძლია თავად აირჩიოს, თუ რომელი (ქვეყნის) სამედიცინო კლინიკის მომსახურებით ისარგებლებს. აქ გადამწყვეტია არა ეკონომიურობის კრიტერიუმი, არამედ ის გარემოება ანიჭებს თუ არა დაზარალებულს ძვირადღირებული კლინიკის მომსახურება რაიმე დამატებით სარგებელს (საიმედობას), რისთვისაც ზღვრის დადება მხოლოდ 415-ე მუხლის მიხედვით შეიძლება მოხდეს (იხ. მუხ. 415 მე-18 ველი).

41 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. Rn. 357; შდრ. ასევე *Booth*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 408, გვ. 452.

42 *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 216.

43 BGH NJW 1999, 1542.

44 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 325.

ბ) მიღებული ანაზღაურების განკარგვის თავისუფლება

საკითხავია, რეალურად უნდა გამოიყენოს თუ არა დაზარალებულმა მიღებული ფულადი კომპენსაცია ზიანის აღმოფხვრისათვის. აქ მიჯნა უნდა გაივლოს ნივთისა და სხეულის (ჯანმრთელობის) დაზიანებას შორის. **ნივთის დაზიანების** შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, თუ რაში მოიხმარს მიღებულ ფულად კომპენსაციას. მანქანის რემონტისათვის აუცილებელი თანხა დამზიანებელმა მაშინაც უნდა გადაიხადოს, როდესაც დაზარალებული საკუთარი ძალებით არემონტებებს მას, ან გადაწყვეტს, დაზიანებული მანქანით გააგრძელოს სიარული.⁴⁵ სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში დაზიანება რეალურად უნდა გამოსწორდეს და, ამგვარად, დაზიანებულს არჩევნის თავისუფლება უკვე აღარ აქვს. დაზარალებული მოკლებულია არაქონებრივი ზიანიდან ფინანსური სარგებლის მიღების შესაძლებლობას (413 I), რისი გვერდის ავლაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ პირს ფიქტიური მკურნალობის ხარჯების წაყენება შეეძლებოდა დამზიანებლისათვის.⁴⁶

21

IV. უფლებამოსილი პირი

1. ზოგადი წესი და გამონაკლისი

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ჩვეულებრივ, აქვს მხოლოდ იმ პირს, რომლის **კუთვნილი სამართლებრივი სიკეთეებიც** ხელყო დამზიანებელმა. მესამე პირები, რომლებიც ნახულობენ ქონებრივ ზარალს უშუალოდ დაზიანებული პირის სიკეთეების ხელყოფით, ვერ მოსთხოვენ დამზიანებელს მის კომპენსაციას.⁴⁷ სანარმოს მუშაკის დაზიანებით გამოწვეული შრომისუუნარობის გამო არაპირდაპირი ზიანი ადგება ასევე, რა თქმა უნდა, მწარმოებელსაც, ისევე როგორც ალიმენტის გადახდაზე ვალდებული მამის სამსახურიდან გამოშვებით – შვილს, თუმცა არც ერთს და არც მეორეს არ აქვს დამზიანებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ თავად კანონი არ ითვალისწინებს უშუალოდ დაზიანებულის მოთხოვნის უფლების გადასვლას გამუალებულად დაზიანებულზე.

22

თუმცა ამ ზოგადი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც არაპირდაპირად დაზარალებულს არ გააჩნია საკუთარი მოთხოვნის უფლება, დაიშვება ასევე **გამონაკლისი**. მაგალითად, დელიქტურ სამართალში **1006-ე** მუხლის მიხედვით, დამზიანებელი არაპირდაპირად დაზარალებულ პირსაც უნაზღაურებს მარჩენალის გარდაცვალებით გამოწვეულ ზიანს, რომლის მოცულობაც განისაზღვრება გარდაცვალებულის რჩენის ვალდებულები-სა და სარჩოს გადახდის ვალდებულების ხანგრძლივობის მიხედვით (**1006 II 2**).⁴⁸

23

45 BGHZ 61, 58; BGHZ 66, 241.

46 BGHZ 97, 14: ავტოსავაზოს შემთხვევისას დაზარალებულმა სასამართლოზე მოითხოვა (ოპერაციის შედეგად დარჩენილი) ნაიარევების კორექციის ხარჯები, თუმცა აღიარა, რომ კორექცია ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული და ჭოჭმანობდა სათუო შედეგიდან გამომდინარე. სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

47 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 320.

48 BGHZ 7, 36; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის № ას-789-746-2015 გადაწყვეტილება (35).

- 24 **მიჯნის გავლება** უშუალოდ და გაშუალებულად დაზიანებულს შორის დამოკიდებულია პირის სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფისა და არა კაუზალობის უშუალობაზე.⁴⁹ გაშუალებული მიზეზშედეგობრიობის (მდრ. მუხ. 412 მე-17 და მომდევნო ველი) შედეგად დაზიანებული პირიც შეიძლება იყოს უშუალოდ დაზიანებული. მაგალითად, ახლობლის გარდაცვალებით შოკის მიმღები პირი (იხ. მუხ. 412 მე-18 ველი) უშუალოდ დაზიანებულია და აქვს საკუთარი დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ის ფაქტი, რომ ფსიქიკური ზიანი ახლობელი პირის სიცოცხლის ხელყოფით და ამგვარად გაშუალებულად იყო გამოწვეული, უფლებამოსილი პირის განსაზღვრის კონტექსტში უმნიშვნელოა.

2. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

- 25 პრინციპი, რომ გაშუალებულად დაზიანებულ პირს ზიანის ანაზღაურების საკუთარი მოთხოვნის უფლება არ აქვს, არ უნდა იქნეს უკუგდებული არც იმგვარად, რომ უშუალოდ დაზარალებულს გაშუალებულად დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიენიჭოს. დაზარალებულს შეუძლია დამზიანებლისაგან მხოლოდ **პირადად მისთვის მიყენებული** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ავტოავარიის შედეგად დროებით შრომისუუნარო დასაქმებულს არ შეუძლია დამზიანებლისაგან იმ ზიანის მოთხოვნა, რაც მის დამსაქმებელს ამით მიადგა.⁵⁰
- 26 თუმცა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყოფენ მთელ რიგს შემთხვევებისას, როდესაც ზიანი, რომელიც დამზიანებლის კონტრაჰენტს უნდა მისდგომოდა, **სხვა პირთან რეალიზდება**, რომელსაც, თავის მხრივ, არ აქვს ზიანის ანაზღაურების საკუთარი მოთხოვნის უფლება და თუ მოცემული შედეგი კორექციის გარეშე დარჩებოდა, ეს დამზიანებლის **შემთხვევით** და გაუმართლებელ პრივილეგირებას (პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას) გამოიწვევდა.⁵¹ ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად გერმანული სამართლის დოქტრინამ შეიმუშავა ე. წ. **მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის** სამართლებრივი ფიგურა, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც პირს, რომელსაც ადგება ზიანი, არ აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო მას, ვისაც მოთხოვნის უფლება ექნებოდა, ზიანი არ მისდგომია. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ხდება ერთმანეთს აცდენილი ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან (დაზარალებულთან) თავმოყრა.
- 27 ამ კონტექსტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია **რისკის გადანაწილების ვალდებულებითსამართლებრივი დანაწესები**, მაგალითად, 482 II მუხლის შემთხვევა, როდესაც გამყიდველს შეიძლება ჰქონდეს მესამე პირის (დამზიანებლის) მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ისე, რომ

49 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 321.

50 იქვე.

51 BGHZ 40, 100.

რეალურად არ მიადგეს ზიანი.⁵² არაპირდაპირ წარმომადგენელსაც, რომელიც საკუთარი სახელით მაგრამ სხვისი ანგარიშით დადებული ნასყიდობის ფარგლებში იღებს ნაკლოვან შესრულებას, ამით არ ადგება პირადი ზიანი, თუმცა მას შეუძლია, მოვალეს მოსთხოვოს მთლიანი ზიანისა და მათ შორის იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მისი მარნმუნებელი მიიღებდა ამ ნივთის გადაყიდვით.⁵³

V. სარჩოს მოთხოვნის უფლება, 408 II

408 II მუხლის მიხედვით, დაზარალებულისათვის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული შრომისუუნარობის ან ამ უნარის შემცირების, ასევე გაზრდილი მოთხოვნილებების შემთხვევაში, დამზიანებელი ვალდებულია, სარჩოს გადახდით აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ეს დანაწესი ითვალისწინებს **სპეციალურ ფორმას**, ზოგადად, უკვე 408 I, 409, 411 მუხლებით მოცული ზიანის ანაზღაურებისათვის.⁵⁴

1. შრომის უნარის შემცირება ან დაკარგვა

შრომისუუნარიანობის შემცირება ან დაკარგვა არ განისაზღვრება აბსტრაქტულად, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, არამედ, კონკრეტულად, რეალური შემოსავლის დაკარგვის მიხედვით.⁵⁵ თუ დაზიანების გამო დაზარალებული ვეღარ ახერხებს **შემოსავლის მომტანი საქმიანობის** გაგრძელებას, ზიანის ანუ სარჩოს ოდენობის გამოთვლისათვის გადაწყვეტია, თუ რამდენად შეუძლია მას, გამოიყენოს შერჩენილი შრომის უნარი⁵⁶ (შდრ. ამასთან დაკავშირებით ასევე მუხ. 415, მე-19 ველი). ანა-

52 OLG Köln NJW-RR 1989, 1457: ა შეუკვეთს სხვა ქალაქში მცხოვრებ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ბ-ს ორ ცალ კოლაჟს საკუთარი ოფისისათვის. ბ, რომელმაც მიტანის ვალდებულება მხოლოდ ა-ს მოთხოვნის საფუძველზე იკისრა, ნასყიდობის საგნის ტრანსპორტირებას ავალუბს თავის სიძეს, გ-ს, რომელიც გამყიდველისკენ გზაზე ბრალეულად გაანადგურებს ჩაბარებულ ნივთებს. მოცემულ შემთხვევაში ბ-ს შეიძლება ჰქონოდა გ-საგან როგორც უსასყიდლო დავალების დარღვევის გამო (394 I), ასევე დელიქტური წესით (992) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მას არანაირი ზიანი არ მისდგომია. მყიდველი ნივთის განადგურების შემდეგაც ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი (482 II). ა-ს კი, რომელსაც რეალური ზიანი მიადგა, გ-ს მიმართ არანაირი მოთხოვნის უფლება არ აქვს. ამ უსამართლო შედეგის თავიდან ასაცილებლად ბ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გ-ს მიმართ ა-ზე უნდა გადავიდეს.

53 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 IVb (3); Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 286.

54 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის № ას-789-746-2015 გადაწყვეტილება (33-35).

55 BGH NJW 1970, 1411; BGH NJW-RR 1991, 470; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2763-15 გადაწყვეტილება (2.5.); თუმცა შდრ. სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.2.), სადაც სასამართლო არ ასხვავებს პროფესიული და ზოგადად შრომის უნარის დაკარგვას შორის, რაც არასწორი ჩანს. სარჩოს ოდენობა გამოითვლება დაზარალებულის კონკრეტული საქმიანობის მიხედვით. გამართლებული იქნებოდა, ამ შემთხვევაში სასამართლოს აქცენტი გაეკეთებინა არა ზოგადად შრომის უნარის დაკარგვაზე, არამედ იმ ფაქტზე, რომ დაზარალებული დაკავებული იყო კონკრეტული მოგების მომტანი საქმიანობის დარი საქმით – საოჯახო მეურნეობის გაძლოლით, თუმცა საბოლოო ჯამში სასამართლოც ამ მიმართულებით ავითარებს მსჯელობას.

56 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 8; თუმცა შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (2.3., 2.6.), სადაც სასამართლო

ზღაურებადია ასევე მთელი ის ზიანი, რაც დაზარალებულს ადგება, შრომისუნარიანობის ნაწილობრივ შენარჩუნების ან აღდგენის მიუხედავად, ახალი სამუშაოს პოვნის შეუძლებლობით.⁵⁷ **თვითდასაქმებულისა და აქირავებული მუშაკის** შემთხვევაში მოქმედებს ვარაუდი, რომ დაზიანების გარეშე ის განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა შესაბამის ხელფასს.⁵⁸ ამ შემოსავლის გამოთვლის ხერხთან დაკავშირებით იხ. მუხ. 411 მე-15 და მომდევნო ველები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებით მოქმედებს საქართველოს **მთავრობის 2013 წლის 1 მარტი № 45 დადგენილება**.

30 კონკრეტული შემოსავლის მომტანი **საქმიანობის არარსებობის** შემთხვევაში (მაგ., ბავშვის დაზიანება), დასაშვებია აღიარებითი სარჩელი, სამომავლო საქმიანობიდან მიღებული სავარაუდო შემოსავლის დადგენის მოთხოვნით,⁵⁹ რომლის პროგნოზსაც საფუძვლად უნდა დაედოს კონკრეტული შემთხვევის ყველა არსებითი გარემოება.⁶⁰ დასაშვებია თავდაპირველად განსაზღვრული სარჩოს გაზრდის მოთხოვნით სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა.⁶¹ **უმუშევარი** პირის შემთხვევაში შრომის უნარის შეზღუდვით გამოწვეული ზიანი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად სავარაუდო იყო მის მიერ დაზიანების გარეშე ახალი სამუშაოს პოვნა.⁶² სარჩოს გადახდით ანაზღაურებად ზიანს განეკუთვნება ასევე **საოჯახო საქმიანობით** დაკავებული მეუღლის შრომისუნარიანობის შეზღუდვა.⁶³ ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ მეუღლის და სხვა ოჯახის წევრთა რჩენის ფარგლებში განხორციელებული, არამედ, ზოგადად, საოჯახო მეურნეობის ფარგლებში ნებისმიერი ტიპის საქმიან-

შრომის უნარის 80%-ის დაკარგვის პროპორციულად ანგარიშობს სარჩოს რაოდენობას ისე, რომ არ მსჯელობს, საერთოდ შეძლებს თუ არა დაზარალებული შერჩენილი 20%-ით რაიმე სხვა სამუშაოს პოვნას.

57 BGH NJW 1991, 1413.

58 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის № 2ბ/2584-13 განჩინება (4.5.).

59 BGH NJW 1952, 539; OLG Köln VersR 1988, 1185; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2763-15 გადაწყვეტილება (4.2.); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.): გასული პერიოდისათვის სასამართლო დამზიანებელს აკისრებს ერთჯერად ფულად კომპენსაციას.

60 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 12; გასათვალისწინებელია ასევე ხელფასის მატების სხვადასხვა ფაქტორით განპირობებული დინამიკა, შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (2.3.); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2763-15 გადაწყვეტილება (4.2.); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის № 2ბ/2584-13 განჩინება (4.5.); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.16.); სასამართლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ ითვალისწინებს დამატებით სარგებელს, რასაც დასაქმებული იღებდა შრომითი საქმიანობიდან (მაგ. პრემია, ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის), რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაზიარებელი, თუ ის არარეგულარულ ხასიათს ატარებდა, ან უშუალოდ მავნე შრომით პირობებს უკავშირდებოდა (მაგ. რძის ულუფა ქარხნის მუშის შემთხვევაში); შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის № ას-789-746-2015 გადაწყვეტილება (36).

61 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.).

62 BGH NJW 1991, 2422; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.2.).

63 BGH NJW 1968, 1823; BGH NJW 1962, 2248; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.1.).

ნობისათვის.⁶⁴ სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია განუხლები საქმიანობის რეალური ღირებულება – ოთხკაციანი ოჯახის დიასახლისის შემთხვევაში საორიენტაციოდ 48-საათიანი სამუშაო კვირა გამოიყენება, ხოლო ორი სკოლის ასაკს მიუღწეველი ბავშვის შემთხვევაში 60-საათიანი.⁶⁵

ზიანის შემცირების ვალდებულებასთან დაკავშირებით, მაგალითად, 31 გადაკვალიფიცირების მეშვეობით, შდრ. მუხ. 415 მე-19 ველი.

2. მოთხოვნილებათა გაზრდა

სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებამ შესაძლებელია განაპირობოს დაზარალებულის მოთხოვნილებათა გაზრდა ჯანმრთელ ადამიანთან შედარებით, რისი აღმოფხვრაც უნდა მოხდეს სარჩოს გადახდის გზით, 408 II მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში აუცილებელია სახეზე იყოს დაზიანებით გამოწვეული, ხანგრძლივი და რეგულარული ხასიათის მქონე დანახარჯები, რამაც უნდა გამოასწოროს უნარშეზღუდულობით გამოწვეული ზიანი.⁶⁶ დანახარჯები უნდა განისაზღვროს დაზიანებამდე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ხარჯების მიხედვით.⁶⁷ გადამწყვეტია, გაიღებდა, თუ არა გონიერი დაზარალებული მის მიერ არჩეული ცხოვრების წესის გაგრძელებისათვის ამ ხარჯებს.⁶⁸

3. სარჩოს გადახდა

სარჩოს გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიური ფულადი სარგებლის სახით. სარჩოს გადახდის ვალდებულება 408 II მუხლის მიხედვით არ წარმოადგენს რჩენის მოვალეობას საოჯახო სამართლის მიხედვით და მასზე არ ვრცელდება შესაბამისი დანაწესები. მოთხოვნის ოდენობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დაზიანების მომენტში არსებული გარემოებები.⁶⁹ თუ უკანასკნელი ზეპირი სხდომისათვის მოვლენათა განვითარების პროგნოზის გაკეთება შესაძლებელია ზოგადად ან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ ისიც გავლენას ახდენს მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრაზე.⁷⁰ დასაშვებია ასევე საშუალო სარჩოს მინიჭება, თუ დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობის ან შემოსავალთან დაკავშირებით არასაკმარისი ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია ზუსტი პროგნოზის გაკეთება.⁷¹

64 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 17.

65 BGH NJW 1982, 2866; BGH NJW 1979, 1502.

66 BGH NJW 1982, 757; RGZ 151, 301.

67 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 23.

68 ასევე საერთოდ გააგრძელებდა თუ არა ამ ტიპის ცხოვრების წესს და დასაცავია თუ არა მისი ეს ინტერესი. მაგალითად, გერმანულმა სასამართლომ (BGH NJW-RR 2004, 671) ანაზღაურებადად არ მიიჩნია ხერხემლის ტრავმის გამო პარალიზებული პირის მიერ მოტოციკლეტის მისი მოთხოვნილებების შესაბამისად გადაკეთების ხარჯები.

69 Sprau, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 843, Rn. 4; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.).

70 Sprau, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 843, Rn. 4.

71 RG JW 1935, 2949.

- 34 მოთხოვნა **წარმოიშობა** შემოსავლის დაკარგვის ან მოთხოვნილებათა გაზრდის მომენტიდან.⁷² სარჩოს **ხანგრძლივობა** შემოსავლის დაკარგვის გამო განისაზღვრება ამ **შემოსავლის მომტანი** საქმიანობის ხანგრძლივობის მიხედვით.⁷³ ჩვეულებრივ, დაქირავებული მუშაკის შემთხვევაში მისი გადახდის ვალდებულება სრულდება **საპენსიო ასაკის** მიღწევასთან ერთად.⁷⁴ მიუხედავად ამისა, ამ დროს გადამწყვეტია არა მყარი ზღვარი – საპენსიო ასაკის მიღწევა, არამედ კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით პროგნოზი იმისა, თუ რამდენად გააგრძელებდა დაზარალებული ამ ასაკის მიღწევის შემდეგაც შემოსავლის მომტანი საქმიანობას.⁷⁵ აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როგორ აისახა შრომის უნარის დაკარგვა სამომავლო პენსიის ოდენობაზე, რისი კომპენსირებაც სარჩოს გადახდის ვალდებულების (შესაძლებელია სამუდამოდაც) გახანგრძლივებით უნდა მოხდეს. **მოთხოვნილებათა გაზრდის** შემთხვევაში სარჩო, ჩვეულებრივ, მუდმივად არის გადასახდელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია ამ მოთხოვნილებათა შემცირების მომენტის წინასწარგანჭვრეტა.⁷⁶
- 35 408 III 1, 2 მუხლის მიხედვით დაზარალებულს შეუძლია მკურნალობისა⁷⁷ და პროფესიული გადამზადების ხარჯების **წინასწარ** მოთხოვნა.⁷⁸ ეს **არ ვრცელდება** 408 II მუხლის მიხედვით გადასახდელ სარჩოზე, რომლის მოთხოვნაც **თვის ბოლოს** უნდა მოხდეს.

VI. კომპენსაცია სარჩოს სანაცვლოდ, 408 IV

- 36 408 II მუხლის მიხედვით, სარჩოს მოთხოვნის უფლების მქონე დაზარალებულს უფლება აქვს, მის მაგივრად მოითხოვოს **ერთჯერადი ფულადი** კომპენსაცია მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში (408 IV). ამის საპირისპიროდ დამზიანებელს **არა აქვს უფლება**, კომპენსაციის შეთავაზებით გათავისუფლდეს სარჩოს რეგულარულად გადახდის

72 Spindler, in Beck OK BGB, 41. Auflentar, 2016, § 843, Rn. 27.

73 BGH NJW 1995, 3313; მისი ანაზღაურების შეწყვეტის ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძველი მხოლოდ პირის შრომის უნარის აღდგენა შეიძლება გახდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.), თუმცა სასამართლო ამ შემთხვევაში ყოველგვარი ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ პირს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აქვს შემოსავლის მომტანი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა, რაც ასევე არასწორია.

74 BGH NJW-RR 1995, 1272; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის № ას-789-746-2015 გადაწყვეტილება (34).

75 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის № 2ბ/1708-11 გადაწყვეტილება (4.5.).

76 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 28.

77 თუმცა ამის წინაპირობაა, რომ საქმე ეხებოდეს არა მხოლოდ სავარაუდო, არამედ მკურნალობის მყარად დადგენილ ხარჯებს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.1.)). რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება წარუმატებელი ოპერაციის რისკი და მსგავსი შემთხვევები.

78 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.1.); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 სექტემბრის № ას-457-433-2012 გადაწყვეტილება.

ვალდებულებისაგან.⁷⁹ მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც კომპენსაციას დროში განელილ სარჩოსთან შედარებით უკეთესი ზეგავლენა ექნება დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.⁸⁰ მაგალითად, დაზარალებულს ნერვული აშლილობის გამო აღარ შეიძლება მოეთხოვოს, მოგვიანებით რეგულარულად ჩაიტაროს გამოკვლევები ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების დადგენის მიზნით, რის გარეშეც შეუძლებელია პენსიის დანიშვნა, ხოლო კომპენსაცია ამის საპირისპიროდ დავის სამუდამოდ გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.⁸¹ გარდა ამისა, ერთიანი კომპენსაციის გადახდამ შესაძლებელია, დაზარალებულს დამოუკიდებელი (სამენარმეო) საქმიანობის წამოწყების შესაძლებლობა მისცეს.⁸²

დასაშვებია სარჩოს გადახდისა და ერთჯერადი კომპენსაციის **კომბინაცია** დროის სხვადასხვა მონაკვეთისათვის, მათ შორის უკვე მრავალი წლის განმავლობაში გადახდილი სარჩოს შემთხვევაშიც.⁸³ კომპენსაციის ოდენობის **გამოთვლა** ხდება სარჩოს გადახდის ხანგრძლივობისა და მისი ოდენობის მიხედვით. ამგვარად, კომპენსაცია ტოლფასი უნდა იყოს ყოველთვიურად გადასახდელი სარჩოსა და მისგან მიღებული პროცენტების **საერთო** ოდენობის.⁸⁴

37

79 Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 32.

80 თუმცა შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №228/679-12 გადაწყვეტილება (4.2.), სადაც სასამართლომ ყოველგვარი შემდგომი დასაბუთების გარეშე შეცვალა სარჩო კომპენსაციის მოთხოვნის უფლებით. საგარაუდოდ, სასამართლომ აქ ისხელმძღვანელა იმ მოსაზრებით, რომ დაზარალებულსა და დამზიანებულს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ მათ აღარ შეიძლება მოეთხოვოთ ერთმანეთთან შემდგომი (რჩენის) ურთიერთობის გაგრძელება.

81 RG JW 1932, 3720; RGZ 73, 419.

82 Sprau, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 843, Rn. 8.

83 Sprau, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 843, Rn. 17; Spindler, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 33.

84 BGHZ 79, 190.

მუხლი 409. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა

თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

- I. ზოგადი712
- II. ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება714
 - 1. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა, 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი714
 - 2. არასაკმარისი აღდგენა, 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი714
 - 3. აღდგენის შესაძლებლობა არათანაზომიერი დანახარჯებით, 409-ე მუხლის მე-2 ვარიანტი715
 - ა) ქონებრივი ზიანი715
 - ბ) ცხოველის დაზიანება716
 - გ) პირისათვის მიყენებული ზიანი717
- IV. პროცესუალური საკითხები717

I. ზოგადი

1 408 I მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია, ზიანი აანაზღაუროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, ანუ **ნატურალური რესტიტუციის**¹ გზით. ამის საპირისპიროდ, 409-ე მუხლში მონესრიგებულია ფულადი ანაზღაურების ფორმით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ზიანის ანაზღაურების ეს სახე განსხვავდება 408 I, III მუხლის მიხედვით ფულადი კომპენსაციის გადახდისაგან (იხ. მუხ. 408 მე-20 ველი), რადგან აქ საქმე ეხება არა დაზარალებულის მიერ საკუთარი ძალებით განხორციელებული ნატურით რესტიტუციის ხარჯების კომპენსირებას, არამედ ე.წ. **ღირებულების ინტერესის** ანაზღაურებას, როგორც ნატურით რესტიტუციის ალტერნატივას.² ღირებულების ინტერესი გამოითვლება დაზარალებულის ჰიპოთეტური (ზიანის მომტანი მოვლენის გარეშე³) და არსებული ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირებით. თუ დამზიანებელმა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ამგვარად შეუცვლელი ნივთი გაანადგურა, ფულადი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მსგავსი ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით.⁴ ანაზღაურების ოდენობა მეორადი ნივთების შემთხვევაში, რომელთა საბაზრო ფასიც დაუდგენადია, განისაზღვრება ამ ტიპის ახალი ნივთის საბაზრო ფასისათვის ცვეთით შემცირებული ღირებულების გამოკლებით.⁵

2 409-ე მუხლის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების თითოეულ ვარიანტს – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობას (**აბსო-**

1 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 409, გვ. 455.
 2 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 327.
 3 იხ. დიფერენციის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით მუხ. 408, მე-10 ველი.
 4 BGHZ 92, 90; BGHZ 117, 31.
 5 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 251, Rn. 10.

ლუტური შეუძლებლობა) და რესტიტუციისათვის არათანაზომიერი ხარჯების აუცილებლობას (**რელატიური შეუძლებლობა**) – განსხვავებული ფუნქცია და მიზანი აქვს. პირველი ანესრიგებს ნატურით რესტიტუციის ნაცვლად (ან მასთან ერთად დამატებით) დაზარალებულის მიერ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, მაშინ, როდესაც მეორე ვარიანტი ითვალისწინებს უკვე დამზიანებლის უფლებას, შესთავაზოს მეორე მხარეს ფული ნატურით რესტიტუციის სანაცვლოდ.⁶

408 I და 409-ე მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უწინარესად მიმართულია შელახული სამართლებრივი სიკეთის ან დარღვეული უფლების აღდგენისა და შენარჩუნების ინტერესისაკენ. გამონაკლისის სახით, ანუ როდესაც რესტიტუციის გზით შელახული სამართლებრივი სიკეთის, ან დარღვეული უფლების აღდგენა და შენარჩუნება შეუძლებელია, ან არათანაზომიერად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია, კრედიტორს მიეცეს ფულადი ანაზღაურება, ანუ ზიანი ანაზღაურდეს მატერიალური ბალანსის აღდგენის გზით.

409-ე მუხლი არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ფულადი ანაზღაურების დაკისრება მხოლოდ სუბსიდიური სამართლებრივი საშუალებაა და მხოლოდ იმ დროს უნდა იქნეს დაკისრებული, როდესაც სახეზეა 409-ე მუხლით სიტყვასიტყვით განსაზღვრული **აბსოლუტური** და **რელატიური** შეუძლებლობის წინაპირობები. ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ინტერესისაკენ იყოს მიმართული. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული (მუხ. 408 36-ე ველი), თუ სახეზეა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება ან სხეულის, ან ნივთის დაზიანება, რაც საჭიროებს, პირველ შემთხვევაში, მკურნალობის ხარჯების, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნივთის შეკეთების ხარჯების განევას, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფულადი ანაზღაურების დაკისრება. თუ გავითვალისწინებთ სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემატიკას, 408 I მუხლი უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: კრედიტორმა მოვალეს, უპირველეს ყოვლისა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (მაგალითად დაზიანებული ნივთის შეკეთება) უნდა მოსთხოვოს და გონივრული ვადა დაუნესოს.⁷ თუ მოვალემ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის საჭირო თანხის მისთვის გადაცემა. თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ გზით არ მიდის. ის, როგორც წესი, პირდაპირ აკისრებს ფულად ანაზღაურებას, თუ მოსარჩელე ამას მოითხოვს და სასამართლოს ნარუდგენს ფულადი ზიანის გაანგარიშების შესაბამის მტკიცებულებას. ამდენად, ფულადი ანაზღაურების მოვალეობასთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკაში არ არის ცალსახად გამიჯნული, ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება 409-ე მუხლის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ 408 I მუხლის მიხედვით.

6 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 327.

7 შდრ. ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 49.

II. ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

1. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა, 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი

5 თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, მაგალითად, იმის გამო, რომ დამზიანებელმა შეუცვლელი ნივთი სრულად გაანადგურა, დაზარალებულს ნატურით რესტიტუციის პრინციპზე მითითება აღარ გამოადგება. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობამ დამზიანებელი არ უნდა გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან, 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი ითვალისწინებს ამ შემთხვევისათვის **ფულადი კომპენსაციის** გადახდას.

6 ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ქონების ღირებულება (ღირებულების ინტერესი), **არაქონებრივი ზიანი** 409-ე მუხლით მოცული არ არის. ამ ტიპის ზიანის კომპენსაცია მხოლოდ 413-ე მუხლით განსაზღვრულ შეზღუდულ ჩარჩოებშია შესაძლებელი. არ ანაზღაურდება ე. წ. სამოყვარულო ინტერესი (იხ. მუხ. 413 მე-7 ველი), თუმცა, თუ სამოყვარულო ინტერესი საბაზრო ფასს განაპირობებს (მაგ., რარიტეტული ნივთების შემთხვევაში), ღირებულების განსაზღვრას სწორედ მოყვარულთა წრეში გავრცელებული ფასი უნდა დაედოს საფუძვლად.⁸

2. არასაკმარისი აღდგენა, 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტი

7 თუ ნივთის აღდგენა შესაძლებელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს დაზარალებულისათვის **არასაკმარისი კომპენსაციაა**, დამზიანებელმა მას დამატებით ფულადი ანაზღაურება უნდა გადაუხადოს. 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის ფორმულირებიდან ნათელი ხდება, რომ კანონმდებელი არა ნივთის აღდგენაზე, არამედ ამ აღდგენის მეშვეობით დაზარალებულის ინტერესის კომპენსაციაზე აკეთებს აქცენტს. ეს გადანყვევტა გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც, ზიანის მოცულობიდან გამომდინარე, დაზარალებულს არ შეიძლება მოეთხოვოს ნივთისათვის რემონტის ჩატარება, ტექნიკური თუ სავაჭრო **წუნი** ნივთს გარემონტების შემდეგაც დარჩება ან აღდგენას ძალზე დიდი დრო ესაჭიროება.⁹

8 აღდგენის შეუძლებლობისა და აღდგენით დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევები ერთმანეთისაგან რთული **გასამიჯნია**, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე სამართლებრივი შედეგი დგება, დასაშვებია, მთელ რიგ შემთხვევებში საერთოდ უარი ითქვას მათ შორის მკაცრი მიჯნის გავლებაზე.

8 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 251, Rn. 10.

9 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 328: მაგალითად, ორი წლის ფერარის დაზიანების შემდეგ მისი რემონტი 7.500 ევრო ჯდება, თუმცა რემონტის შემდეგაც, ითვლება რა მანქანა ნაავარიევად, მისი ღირებულება 5000 ევროთი მცირდება. რემონტის, როგორც ნატურით რესტიტუციის ხარჯები, დამზიანებელმა უნდა აანაზღაუროს 408 I, III მუხლის, ხოლო შემცირებული ღირებულება 409-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის მიხედვით.

3. აღდგენის შესაძლებლობა არათანაზომიერი დანახარჯებით, 409-ე მუხლის მე-2 ვარიანტი

409-ე მუხლის მე-2 ვარიანტი უზღუდავს დაზარალებულს 408 I და 408 I, III (იხ. მუხ. 408 მე-20 ველი) მუხლების მიხედვით ნატურით რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას, თუ ეს მხოლოდ არათანაზომიერი დანახარჯებით არის შესაძლებელი (რელატიური შეუძლებლობა). რელატიური შეუძლებლობა სახეზეა, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ორმხრივი ინტერესების ურთიერთშეჯერების შედეგად ვასკვნით, რომ მოვალის არათანაზომიერი ხარჯის გაღებისაგან დაცვის ინტერესი აღემატება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ინტერესს. გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ კონკრეტულ საქმეზე უნდა შევავსოთ ორივე მხარის სუბიექტური ინტერესები და ქონებრივი მდგომარეობა. დამზიანებელს ამ შემთხვევაში შეუძლია, უარი თქვას ნატურით რესტიტუციაზე და დაზარალებულს სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია შესთავაზოს. დაზარალებულს ამ შემთხვევაში უნაზღაურდება არა შენარჩუნება-აღდგენის, არამედ მხოლოდ ღირებულების ინტერესი (იხ. მუხ. 408, მე-16 ველი).¹⁰ თანაზომიერების ცალსახა კრიტერიუმი კანონიდან არ იკითხება და ზუსტი ზღვრის გამოკვეთა, სადამდეც დამზიანებელი ვალდებულია, ნატურით გამოასწოროს ზიანი, არ ხერხდება.¹¹

9

ა) ქონებრივი ზიანი

ქონებრივი ზიანის შემთხვევაში თანაზომიერების დადგენისას უმნიშვნელოა, უძნელდება თუ არა დამზიანებელს ნივთის ნატურით აღდგენა,¹² გადამწყვეტია მხოლოდ აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი¹³) ღირებულების შეპირისპირება, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ერთიანი თანაზომიერების პრინციპის განსაზღვრა და ეს, საბოლოო ჯამში, დაზიანებულის შენარჩუნების ინტერესზეა დამოკიდებული (იხ. მუხ. 408 მე-16 ველი).¹⁴

10

ავტომანქანის დაზიანების შემთხვევაში არათანაზომიერი ხარჯებია გერმანულ დოქტრინაში აღიარებული ე. წ. ტოტალური ეკონომიკური ზიანი, როდესაც, მაგალითად, დაზიანებული ძველი ავტომანქანის რემონტის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს მის ღირებულებას. მართალია, დაზარალებულს შეიძლება ჰქონდეს მანქანის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების სურვილი, რის გამოც დამზიანებელმა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ითმინოს ეს არათანაზომიერება, მაგრამ ეკონომიკური ტოტალური ზიანი სახეზეა, როდესაც რემონტის ხარჯები მანქანის რეალურ ღირებულებას 30 %-ით აღემატება.¹⁵ თუმცა პრობლემურია ის გარემოება, რომ

11

10 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 328.

11 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 41.

12 Medicus, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im Privatrecht, AcP 192, 1992, S. 39.

13 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 251, Rn. 22.

14 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 38.

15 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 251 Rn. 6; თუმცა შესაძლებელია მხარეთა (მაგ. სადაზღვეო) შეთანხმება განსხვავებულ ზღვარს ითვალისწინებდეს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის № 2ბ/3883-14 გადაწყვეტილება (4.7.)), რა შემთხვევაშიც ტოტალური ზიანის განსაზღვრისათვის უკვე ეს ნესი მოქმედებს.

ნატურით რესტიტუციის ერთ-ერთ ფორმად შემცველი ნივთის მიწოდება ალიარებული (იხ. მუხ. 408 მე-19 ველი) და შესაძლებელია, დაზარალებულის მიერ შემცველი ნივთის მოთხოვნის უფლებამოსილება, თუ ამ შეცვლის ხარჯები ჯერ კიდევ 30 %-იანი ზღვრის ფარგლებში ექცევა, დამზიანებლის მხრიდან ღირებულების ანაზღაურების შეთავაზების უფლებასთან **კონკურირებდეს**. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამ კონკურენციას ნატურით რესტიტუციის¹⁶ სასარგებლოდ წყვეტს, იმ დათქმით, რომ დაზარალებულმა ამ სიტუაციაში ანაზღაურების სხვადასხვა ვარიანტს შორის ყველაზე ნაკლები დანახარჯებით განხორციელებადი უნდა აირჩიოს.¹⁷ ის **დანახარჯები**, რაც აუცილებელია **რესტიტუციის** შემცველი ნივთის მიწოდების ფორმით განხორციელებისათვის, გამოიყენება **საზომად 409-ე** მუხლის მე-2 ვარიანტის მიხედვით კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის. ამ გადაწყვეტის გადმოტანა¹⁸ ქართულ რეალობაშიც აუცილებელია. თუ ავტომანქანა რემონტს ექვემდებარება, დაზარალებულს შეუძლია, შემცველი მანქანის ღირებულების 130 %-ის ფარგლებში მოითხოვოს რემონტის ხარჯები 408 I, III მუხლის საფუძველზე. თუ რემონტის რეალური ფასი ამ ზღვარს აჭარბებს, მაშინ მოთხოვნა შემცველი ნივთის ღირებულებით შემოიფარგლება.¹⁹ 130 %-იანი ზღვარი განისაზღვრება მანქანის „ნარჩენი“ ღირებულების გათვალისწინების გარეშე.²⁰ მაგალითად,²¹ თუ შემცველი მანქანის ფასი 21.000 ლარია, ხოლო დაზიანებულის „ნარჩენი“ ღირებულება 4.000, რემონტის ხარჯის სახით ანაზღაურებადია 27.300 ლარამდე (21.000 + 30 %) და არა მხოლოდ 22.100 ლარი (21.000 – 4.000 + 30%).²²

- 12 საბოლოო ჯამში, არც ღირებულების 30 %-ით გადაჭარბება უნდა მივიჩნიოთ მყარ ზღვრად, რომლის იქითაც მხოლოდ ფულადი კომპენსაცია დაიშვება, არამედ ამ კომპენსაციასა და ნატურით რესტიტუციას შორის უნდა მოხდეს არჩევანის გაკეთება კონკრეტული **გარემოებების ანონ-დანონის საფუძველზე**, დაზარალებულის **შენარჩუნების ინტერესის გათვალისწინებით**.²³ 30 %-იანი ზღვარი უნდა ჩაითვალოს მხოლოდ საორიენტაციო მიჯნად ნატურით რესტიტუციიდან ღირებულების ანაზღაურებაზე გადასვლისათვის.

ბ) ცხოველის დაზიანება

- 13 მართალია, ქართული სამართალი, გერმანულისაგან განსხვავებით (გსკ-ის 249 II 2 პარაგრაფი), არ ითვალისწინებს ცხოველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციალურ წესს, თუმცა **ეთიკური მოსაზრებებიდან** გამომდინარე, აქაც დაუშვებელია 409-ე მუხლის მე-2 ვარიანტის

16 შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58).

17 BGHZ 115, 368.

18 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 42-43.

19 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 43.

20 BGHZ 115, 371.

21 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 43.

22 შდრ. ამის სპაირისპიროდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ნოემბრის №ას-1237-1166-2012 განჩინება.

23 OLG Saarbrücken SP 1998, 318; OLG Celle NJW-RR 2004, 1682.

მეუზღუდავად გამოყენება. დამზიანებელს არ უნდა ჰქონდეს უფლება, მიუთითოს დაზარალებულს ლეკვის დაძინებისა და მისი რეალური ღირებულების – 50 ლარის – ანაზღაურების შესაძლებლობაზე მაშინ, როდესაც ლეკვის მკურნალობის ხარჯები 400 ლარს აჭარბებს.²⁴ თუმცა 409-ე მუხლის მე-2 ვარიანტიდან ცხოველის დაზიანების შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება არ გულისხმობს მისი მკურნალობის ხარჯების შეუზღუდავად ანაზღაურებას. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების ანონ-დანონაა აუცილებელი, მეპატრონის ემოციური დამოკიდებულების გათვალისწინებით.²⁵

გ) პირისათვის მიყენებული ზიანი

ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებზე 409-ე მუხლის მე-2 ვარიანტი არ გამოიყენება, რადგან ამ სიკეთეების აღდგენის მიმართ არსებული ინტერესი არ შეიძლება გაიზომოს ეკონომიკური საზომით.²⁶ არავის აქვს უფლება, მიუთითოს დაზარალებულს იმ გარემოებაზე, რომ, მაგალითად, სრულად განკურნებისათვის აუცილებელი სახსრის ოპერაცია მისი ასაკიდან გამომდინარე არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს და ამიტომაც მხოლოდ ფულად კომპენსაციას დასჯერდეს.²⁷

14

IV. პროცესუალური საკითხები

409-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად ფულადი ანაზღაურების მოთხოვნას წარადგენს მოსარჩელე. მაშასადამე, მოსარჩელე (კრედიტორი) ვალდებულია, დაამტკიცოს, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა და ფულადი ანაზღაურების ოდენობის სისწორე და სამართლიანობა.²⁸

15

გარდა ამისა, მოვალე ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ პირვანდელი მდგომარეობის ანაზღაურებისათვის საჭირო დანახარჯი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ინტერესის მიმართ არათანაზომიერია.

16

24 OLG Baden-Baden NJW-RR 1999, 609.

25 რის შედეგადაც გერმანიაში დასაშვებია, რომ უმნიშვნელო საბაზრო ღირებულების ცხოველის (მაგ. უჯიშო კატა ან ძაღლი) მკურნალობის ხარჯებმა 1000 ევროსაც კი გადააჭარბოს (LG Essen NJW 2004, 528).

26 BGHZ 63, 300.

27 მიუხედავად ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევებში დაზარალებულს შეიძლება წაერთვას ნდობისა და კეთილსინდისიერების (8 III) პრინციპის საფუძველზე სხეულის უმნიშვნელო დეფორმაციის (ნაიარევი) გამოსწორების მოთხოვნის უფლება, თუ ეს შეუსაბამო დანახარჯებს მოითხოვს (BGHZ 63, 295), თუმცა ამ გადაწყვეტის სანინააღმდეგოდ გამოთქმულია არგუმენტი, რომ კონსტიტუციის მე-17 და მე-16 მუხლებით უზრუნველყოფილი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ასევე სხეულის დეფექტის გამოსწორებასა და მის მაგივრად არაქონებრივი ზიანის მოთხოვნას შორის არჩევნის თავისუფლებასაც, რისი ხელყოფაც დაუშვებელია *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 330.*

28 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 დეკემბრის №ას-828-777-2012 განჩინება.

მუხლი 410. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა

ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

(საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონი №2284 - სსმ I, №45, 21.12.2009 წ., მუხ. 329)

I. ზოგადი.....	718
II. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების ფარგლებში	719
III. პასუხისმგებლობის გამორიცხვა დამოუკიდებელი შეთანხმების საფუძველზე	720
IV. პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა.....	721
V. წინასწარი უარი მოთხოვნის უფლებაზე და უარი უფლების განხორციელებაზე	722

I. ზოგადი

1 ვალდებულებით სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადად დასაშვებია მიყენებული ზიანისათვის დამზიანებლის პასუხისმგებლობის წინასწარ, ანუ ზიანის დადგომამდე, გამორიცხვა ან შეზღუდვა, რასაც ნათელყოფს 2009 წელს რედაქტირებული 410-ე მუხლი, წინამორბედი დანაწესისაგან განსხვავებით, რომელიც ამგვარ შეთანხმებას ბათილად მიიჩნევდა. ეს დანაწესი თანაბრად ვრცელდება **სახელშეკრულებო** ან სხვა **კანონისმიერი** ვალდებულების დარღვევით, ასევე **დელიქტით** მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევებზე.¹

2 2009 წლის 4 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია სწორედაც რომ კრძალავდა შეთანხმებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის შესახებ. ეს აკრძალავდა მოქმედებდა იმპერატიულად, ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე. კომერციულ პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც არათუ დასაშვები, არამედ მიზანშეწონილიც კი არის ანაზღაურების სპეციალურ წესზე შეთანხმება. სრულად ანაზღაურების პრინციპის გათვალისწინებით, ანაზღაურებას ექვემდებარება მთლიანი ზიანი, რომლის დადგომაც ამ ფორმითა და მოცულობით სავარაუდო იყო მოვალისათვის (412). კომპლექსურ კომერციულ ურთიერთობებში ძალზე გართულებულია სავარაუდო ზიანის წინასწარ განჭვრეტა, რაც სამართლებრივ ურთიერთობებს არაპროგნოზირებადს ხდის. ამდენად, მხარეები შეიძლება დაინტერესებული იყვნენ, წინასწარ განსაზღვრონ, რა შემთხვევებში, რა მოცულობითა და რა ფორმით უნდა ანაზღაურდეს ზიანი. შეთანხმების თავისუფლების შეზღუდვა მიზანშეწონილი არ არის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 იანვრის № ას-987-928-2010; 2011 წლის 24 იანვრის № ას-1076-1008-2010 განჩინება; *ცერცვაძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 645.

განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ორი აბსოლუტურად თანაბარი საბაზრო მდგომარეობის მხარეებს შორის ურთიერთობა და ბრუნვის მონაწილის უსამართლო დათქმებისაგან დაცვის აუცილებლობა არ არსებობს. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ადეკვატურად გადააფასა მისი მიდგომა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამგვარი ხისტი დათქმა სამოქალაქო ურთიერთობებში ზედმეტად ერეოდა.

II. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების ფარგლებში

410-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით. გასაგებია, რომ მხარეს უფლება აქვს, შეთანხმების საფუძველზე უარი თქვას თავის უფლებაზე. რაც შეეხება უფლებაზე უარის თქმას კანონის ძალით, აქ აშკარად რედაქციულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის გათვალისწინებით („კანონით ან შეთანხმებით“), ნორმა იკითხება იმგვარად, რომ თითქოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა შეიძლება იყოს გათვალისწინებული ალტერნატიულად ან კანონით, ან მხარეთა შეთანხმებით. ანუ მხარეს შეიძლება კანონის ძალით დაევალოს უფლებაზე უარის თქმა, რაც ცალსახად წინააღმდეგობაშია სამოქალაქოსამართლებრივ ზოგად პრინციპებთან. მოთხოვნაზე უარის თქმა მხარის იმანენტური უფლებაა და შეუძლებელია, კანონი ერეოდეს მხარის მიერ ამ უფლების განხორციელებაში. აქ, ალბათ, იგულისხმება ის შემთხვევები, როდესაც კანონი ითვალისწინებს მხარისათვის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის შესაძლებლობას.

410-ე მუხლი არ შეიცავს კანონისმიერ მითითებას ფორმის დაცვის სავალდებულოობის შესახებ. შესაბამისად, შეთანხმება უფლებაზე უარის თქმის შესახებ შესაძლებელია განხორციელდეს ზეპირად ან წერილობით. სასამართლო პრაქტიკაში არ არის ჩამოყალიბებული იმ კუთხით, თუ რამდენად შეიძლება გავრცელდეს წერილობითი ფორმის სავალდებულოობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამომდინარეობს ისეთი გარიგებიდან, რომლისთვის გათვალისწინებულია სავალდებულო წერილობითი ფორმა. სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემური ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ ფორმის დაცვის სავალდებულოობა ვრცელდება გარიგების შემადგენელ ელემენტებზეც, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებულ შეთანხმებაზეც.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შეზღუდვა ან გამორიცხვა დასაშვებია ნებისმიერი ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში, როგორც **შესრულების ვალდებულების** (316 I), ასევე სხვა დამატებითი, **გულისხმიერების**, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა ვრცელდება დელიქტურ პასუხისმგებლობაზეც, თუ ხელშეკრულების

დარღვევა ამავდროულად **დელიქტური** ქმედების წინაპირობებსაც პასუხობს.¹ ის შეიძლება გავრცელდეს ასევე კონტრაჰენტის მუშაკის პირად პასუხისმგებლობაზეც.²

- 6 მთელ რიგ შემთხვევებში ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა თავად **კანონის საფუძველზეა შერბილებული**; მაგალითად, მჩუქებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისათვის (527), ხოლო გამნათხოვრებელი (616) და დავალებული (719) არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისათვის; მხოლოდ საკუთარ საქმეებში გამოჩენილი გულსხმიერებისათვის (იხ. მუხ. 352, 22-ე ველი) აგებს პასუხს უსასყიდლოდ შემნახველი (765) და რესტიტუციის მოვალე (352 IV გ)). ამ პრივილეგიის შეთანხმება დასაშვებია ასევე სხვა ხელშეკრულებების შემთხვევაშიც, შესაძლებელია ნარდობის ან ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში ერთმა ან ორივე მხარემ პასუხი აგოს შერბილებულად ან მხოლოდ კონკრეტული ზიანისათვის (მაგ., პიროვნების ან ნივთის დაზიანებისათვის) ხოლო სხვა ზიანისათვის (მაგ., მიუღებელი შემოსავალი) პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყოს, ან ზიანის ანაზღაურება დასაშვები იყოს წინასწარ დაწესებული ზღვრული თანხის ფარგლებში. თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვა ხელშეკრულების **სტანდარტულ პირობებშია** განერილი, მისი ნამდვილობა 348 ვ-ი) მუხლში გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე უნდა გადამოწმდეს (იხ. ამ მუხლის კომენტარი).
- 7 პასუხისმგებლობის შეზღუდვის შეთანხმება დასაშვებია როგორც გაცხადებულად, ისე კონკლუდენტურად – საკმარისია, თუ ის დადგენადია ხელშეკრულების ე. წ. **განვრცობითი განმარტების** მეშვეობით.³ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემზღუდავი დათქმა უნდა იყოს არა მარტო თვალსაჩინო, არამედ ასევე ერთმნიშვნელოვანი შინაარსის მქონე.⁴

III. პასუხისმგებლობის გამორიცხვა დამოუკიდებელი შეთანხმების საფუძველზე

- 8 გარდა ზემოთ ხსენებული შემთხვევებისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეიძლება გამოირიცხოს სახელშეკრულებო ურთიერთობისგან დამოუკიდებლად, **ცალკე** მიღწეული **შეთანხმების** ფარგლებში, რომლის შინაარსიც მხოლოდ პასუხისმგებლობის გამორიცხვით ამოიწურება.⁵ ამ ტიპის შეთანხმებით დასაშვებია, როგორც დელიქტური, ასევე საფრთხის გამოწვევისათვის პასუხისმგებლობის (იხ. მუხ. 412 მე-9 ველი) გამორიცხვა. ეს „სუფთა სახით პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შეთანხმება“ ხშირია ე.წ. „**თავაზიანობის ურთიერთობებში**“, ასევე სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას წარმოშობილი ურთიერთობისას.⁶

1 RGZ 88, 436; BGHZ 9, 306; Esser, Schuldrecht I, 4. Aufl., 1970, § 7 III.

2 BGH JZ 62, 570.

3 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III.

4 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III.

5 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III.

6 BGHZ NJW 72, 1963; „თავაზიანობის ურთიერთობისას“ (Gefälligkeitsverhältnis) მის მონაწილეთა

საკითხავია, ავეჯის გადაზიდვაში მეგობრის დახმარებისას – რა დრო-საც მხოლოდ **თავაზიანობა** სახეზე და არა ხელშეკრულება, – უნდა აგოს 9
 თუ არა უკანასკნელმა შეუზღუდავად (ნებისმიერი გაუფრთხილებლობი-
 სათვის) პასუხი. ერთი მოსაზრების თანახმად,⁷ მეგობრის დელიქტური
 პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაშიც, მჩუქებლის, გამნათხოვრებლისა
 და უსასყიდლო შემნახველის დარად, მხოლოდ განზრახვითა და უხე-
 ში გაუფრთხილებლობით უნდა იყოს შემოსაზღვრული. ანალოგია გა-
 მართლებულია ამ ურთიერთობების „არაგამორჩენადი“ ხასიათის გამო.
 თუმცა გერმანული სასამართლო პრაქტიკა,⁸ საბოლოო ჯამში, უარყოფს
 „თავაზიანობის ფარგლებში“ მხარის პრივილეგირებულად პასუხისგების
 ზოგად დოგმას,⁹ რაც ქართულ სამართალშიც გასაზიარებელია. თავაზი-
 ანობის ფარგლებში სამსახურის განევა საკმარისი არ არის კონკლუდე-
 ნტური პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის, რადგან ეს არ შეესაბამე-
 ბა მხარეთა წარმოდგენებს. ვახშამზე მიპატიჟებისას, დამგზავრების¹⁰ ან
 ავეჯის გადაზიდვის შემთხვევებში, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ აქ
 მეგობრულ სამსახურთან გვაქვს საქმე, შეუძლებელია მხარეთა ქცევაში
 პასუხისმგებლობის (უხეში გაუფრთხილებლობითა და განზრახვით) შე-
 მოზღუდვის ნების ამოკითხვა.

ამგვარად, მხარე, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობის შეზღუდ- 10
 ვა ან გამორიცხვა სურს 410-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულია, **ცალსა-
 ხად** განაცხადოს ეს და **დაითანხმოს** ამაზე მეორე მხარე. წინააღმდეგ
 შემთხვევაში ის პასუხს აგებს შეუზღუდავად, ნებისმიერი ბრალის ფორ-
 მისა და ზიანისათვის.

IV. პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა

მთელ რიგ შემთხვევაში, 410-ე მუხლით მონიჭებულ პასუხისმგებლო- 11
 ბის გამორიცხვის თავისუფლებას ზღუდავს კანონის **იმპერატიული და-
 ნანესი**, როგორებიცაა, მაგალითად: 348, 395, 497, 669, 1002, და 1016-ე

შორის, მართალია, წარმოიშვა გარკვეული სოციალური კონტაქტი, თუმცა მას აკლია გარი-
 გების ხასიათი, რადგან მხარეებს სამართლებრივი ბოჭვის ნება არ გააჩნიათ. განსხვავებით
 კანონში მოწესრიგებული ე. წ. „თავაზიანობის ხელშეკრულებებისაგან“, როგორც არის თხო-
 ვება, უსასყიდლო მიბარება და დავალება, „სუფთა სახით“ თავაზიანობის ურთიერთობა მხო-
 ლოდ „ადამიანური ურთიერთობის“ სფეროში რჩება. ასეთად გვევლინება, მაგალითად, სადი-
 ლად დაპატიჟება, მანქანით ან ნავით გასეირნება და ა. შ. (*Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III*).

7 შდრ. *Esser, Schuldrecht I, 4. Aufl., 1970, § 47 III; Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III* და იქ მითითე-
 ბული ლიტერატურა.

8 BGHZ 30, 46; BGHZ 41, 81; BGHZ 30, 76.

9 თავაზიანობის ხელშეკრულებების შემთხვევაშიც არ მოქმედებს (პრივილეგირებულად) პა-
 სუხისგების ერთიანი მასშტაბი, შესაბამისად მისი განზოგადებაც შეუძლებელია (*Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 III*).

10 ქართულ სამართალში 999, 1002-ე მუხლების სიტყვასიტყვითი გაგებით მოცულია ასევე უსას-
 ყიდლოდ დამგზავრების შემთხვევა, რაც ნიშნავს იმას, რომ სატრანსპორტო საშუალების
 მფლობელი ამ შემთხვევაშიც ბრალის გარეშე აგებს პასუხს და ამ პასუხისმგებლობას ის წი-
 ნასწარ ვერ გამორიცხავს. სინამდვილეში გაუმართლებელია ავტობუსის მძღოლისათვის და
 მეგობრის სახლში მანქანით მიმცლილებელი პირისათვის ერთნაირი რისკის დაკისრება, რაც
 1002-ე მუხლის ტელელოგიური რედუქციის აუცილებლობას განაპირობებს (შდრ. გერმანიის
 საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 8ა პარაგრაფი).

მუხლები. ყველა ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ გაცხადებული უარი ბათილია. გარდა ამისა, შესაძლებელია სხვა შემთხვევებში თავად ვალდებულებით დაცული სიკეთის მნიშვნელობა განაპირობებდეს მისი ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის შეუძლებლობას. მაგალითად, დამსაქმებელი ვერ გამორიცხავს თავის პასუხისმგებლობას დასაქმებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულების დარღვევისათვის (შრომის კოდექსის 35-ე მუხლი).¹¹

- 12 ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ზოგად ჩარჩოს განსაზღვრავს 54-ე მუხლი.

V. წინასწარი უარი მოთხოვნის უფლებაზე და უარი უფლების განხორციელებაზე

- 13 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარი უარი უნდა განვასხვავოთ უფლების განხორციელებაზე უარისაგან. მოთხოვნა არის პირის უფლებამოსილება, მოითხოვოს სხვა პირისაგან რაიმე სახის მოქმედება (ან მოქმედებისაგან თავის შეკავება),¹² ამ შემთხვევაში კრედიტორის უფლება – მოთხოვოს მოვალეს ზიანის ანაზღაურება. თუ კრედიტორი შეთანხმების ძალით უარს იტყვის თავის უფლებაზე, მისი უარი იქცევა ვალდებულებად და იგი დაკარგავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. პროცესუალური თვალსაზრისით, შეთანხმება არ ართმევს მხარეს უფლებას, წარადგინოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე. თუმცა მონინალმდევე მხარეს ექნება საშუალება, წარუდგინოს შესაგებელი შეთანხმებაზე მითითებით და ამით დაიცვას თავი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისაგან.
- 14 რაც შეეხება უფლების განხორციელებას, უფლების განხორციელება ხდება მოთხოვნის უფლების მქონე მხარის ნების გამოხატულებით, მაშინ, როდესაც მხარე წარუდგენს მოთხოვნას მოვალეს, მათ შორის სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება, უარი თქვას მოთხოვნის განხორციელების უფლებაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს მის უმოქმედობაში, მოთხოვნის წარუდგენლობაში. მას შეუძლია, მოთხოვნის განხორციელებაზე უარი თქვას სასამართლოში საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზეც და გამოიხმოს სარჩელი. ეს მხოლოდ მოთხოვნის უფლების მქონე მხარის ნებაზეა დამოკიდებული და ამ მხარისათვის სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. ამდენად, ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარი უარი და მოთხოვნის განხორციელებაზე უარის თქმა, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს.

11 *Larenz, Schuldrecht I*, 1976, § 27 III.

12 *ჩაჩავა*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., 2010, გვ. 16; *Larenz/Wolf, AT des bürg. Rechts*, 9. Aufl., 2004, §18, Rn. 1-ის მიხედვით.

მუხლი 411. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

- I. ზოგადი723
- II. ნორმის კავშირი სხვა მუხლებსა და სამართლებრივ ინსტიტუტებთან724
- III. მიუღებელი შემოსავალი725
 - 1. გამიჯვნა პოზიტიურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს შორის725
 - 2. ზიანის შერაცხვა725
- IV. 411 2 მუხლის ადგილი და ფუნქცია ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკის ფარგლებში726
 - 1. შემოსავლის მიღების სავარაუდოობა.....726
 - 2. 411 2 მუხლი, როგორც ადეკვატურობის თეორიის მოდიფიცირება726
- V. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოცულობა727
 - 1. მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის მომენტი728
 - 2. მიუღებელი შემოსავლის ცალკეული მაგალითები728
 - ა) ნასყიდობიდან მიუღებელი მოგება728
 - ბ) დაკარგული პროცენტები729
 - გ) კონკურსები და ტენდერები.....730
 - დ) შრომითი განაცდური730
 - ე) ნივთის გამოყენების შეუძლებლობა731
- VI. დანაზოგი.....731
- VII. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების გამორიცხვა.....731
- VIII. მტკიცების ტვირთი732

I. ზოგადი

408 I მუხლის მიხედვით, რესტიტუციის ვალდებულება **ორ** მიზანს ისახავს: პირველ რიგში, ეს არის არსებული ქონების შემცირებით მიყენებული (**პოზიტიური**) **ზიანის (damnum emergens)** ანაზღაურება, თუმცა რესტიტუციის ვალდებულება ვრცელდება ასევე ზიანზე, რომელიც გამონვეულია იმით, რომ დაზარალებულის ქონება არ გაიზარდა დამზიანების ქმედების გამო, რაც **მიუღებელ შემოსავლად¹ (lucrum cessans)**

1

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58); 2012 წლის 20 სექტემბრის № ას-457-433-2012 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის № 2ბ/736-15 განჩინება (4.8.); 2014 წლის 17 სექტემბრის № 2ბ/1882-1 გადაწყვეტილება (2.9.); 2014 წლის 27 მარტის №2/15685-13 გადაწყვეტილება (6.7.); ცერცვაძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 652; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 32; თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 48.

მოიხსენიება. ზიანის ორივე ტიპი მოცულია 408 I მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ანაზღაურების ვალდებულებით, რის გამოც 411-ე მუხლი მხოლოდ ამ ფაქტის ნათელყოფას ემსახურება და მოთხოვნის საფუძველად ორივე მუხლის ციტირება აუცილებელია. მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა აქტუალური ხდება, ძირითადად, ორ შემთხვევაში: შრომითი შემოსავლის დაკარგვის დროს (პირისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში) და ქონებრივი სიკეთეების მოგების მომტანად ვერგამოყენებისას.²

- 2 411-ე მუხლი, როგორც სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმა, თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით, აგრეთვე კანონისმიერი ვალდებულების დარღვევით გამოწვეული და მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.³

II. ნორმის კავშირი სხვა მუხლებსა და სამართლებრივ ინსტიტუტებთან

- 3 411-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელია 394-ე, 922-ე, 993-ე, 999-ე, მე-1000, 1004-ე, 1009-ე და ა.შ. მუხლების შესაბამისად, არსებობდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. თავის მხრივ, მოთხოვნის არსებობისათვის საჭიროა, სახეზე გვექონდეს სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულების დარღვევა, ან ზიანი უნდა გამომდინარეობდეს მომეტებული საფრთხის წყაროდან.
- 4 განსაკუთრებით აღნიშვნას საჭიროებს მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართება ზოგიერთ სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებულ შესრულების ინტერესთან. ასეთ შემთხვევებში გარკვეული ვალდებულების შესრულების შედეგად მისაღები შემოსავალი პირდაპირ გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან. მაგალითად, 872-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) შესაბამისი ანაზღაურება, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დასრულებამდე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, 867-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. არსებობს პრეზუმფცია, რომ მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო სარგებელს, კრედიტის კვლავ გაცემით.⁴ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ შემთხვევებში სახელშეკრულებო სამართალი ახდენს კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ზიანის კონკრეტიზაციას, ხოლო თანხის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველად რჩება სამოქალაქო კოდექსის 408 I, 411-ე მუხლები.

² BGH NJW-RR 1989, 981.

³ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ივლისის №ას-762-818-2011 განჩინება.

⁴ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის №ას-1385-1307-2012 განჩინება.

III. მიუღებელი შემოსავალი

1. გამიჯვნა პოზიტიურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს შორის

ნივთის დაზიანების შემთხვევაში პოზიტიურ ზიანს წარმოადგენს მისი ალდგენის ხარჯები, ხოლო მიუღებელ შემოსავალს კი მისი **გასხვისების** (ან სარგებლის მომტანად გამოყენების) შეუძლებლობის გამო დაკარგული **ღირებულება**. ამგვარ შემთხვევებში **გასხვისების ღირებულება** განისაზღვრება იმ ფასის მიხედვით, რომელსაც დაზარალებული, **სავარაუდოდ**, მიიღებდა მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში სამომავლო გარიგებებიდან.⁵ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება შეიძლება **გამოირიცხოს შემცვლელი ნივთის** შოვნის შესაძლებლობის გამო, რადგან იგულისხმება, რომ დაზიანებულმა ამ დროს სწორედ ამ ჩამნაცვლებელი ნივთით უნდა შეასრულოს მესამე პირთან დადებული გარიგება და ამგვარად მიიღოს თავდაპირველი მოგება. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დანაკარგები აღარ აუნაზღაურდება (415 I).⁶

რაც შეეხება **პირისათვის მიყენებულ** ზიანს, ამ შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის იდენტიფიცირება, ჩვეულებრივ, უფრო მარტივია. მკურნალობის ხარჯები, როგორც მატერიალური ზიანი (იხ. მუხ. 408 მე-20 ველი) ანაზღაურებადია 408 I, III მუხლის მიხედვით, ხოლო შემოსავალს, როგორც გაშუალებული ზიანს, წარმოადგენს შრომითი განაცდური, რომლის დადგენაც დამოუკიდებლად უნდა მოხდეს.⁷

2. ზიანის შერაცხვა

პოზიტიური ზიანისაგან განსხვავებით, როდესაც ხდება ჰიპოთეტურ (დაუზიანებელ) მდგომარეობაში ქონებრივი სიკეთის ღირებულების მიხედვით მისი ალდგენის ხარჯების გამოანგარიშება (იხ. დიფერენციის ჰიპოთეზა, მუხ. 408, მე-10 ველი), მიუღებელი შემოსავლის დაანგარიშებისას პრობლემურია ის გარემოება, რომ აქ ქონებრივი მდგომარეობის განვითარების დინამიკაა გადამწყვეტი,⁸ სადაც ჰიპოთეტურობა უკვე სხვა ხარისხშია აყვანილი. აქ საქმე ეხება **თანმდები ზიანის შერაცხვის** პრობლემატიკას. პოზიტიური ზიანისაგან განსხვავებით, მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრის სირთულეს ნათელყოფს შემდეგი მაგალითები: იმისათვის, რათა დადგინდეს, თუ რა შემოსავალს მიიღებდა გამყიდველი ბაზარზე **ახალი პროდუქტის შემოტანით**, მწარმოებელს დროულად რომ მიენოდებინა ეს პროდუქცია, დროის მოცემულ მონაკვეთში ბაზარზე არსებული სიტუაციის ყოვლისმომცველი ანალიზია აუცილებელი.⁹ ასევე, საწარმდგენლო აქციის მოპარვის შემთხვევაშიც გადამწყვეტია არა მხო-

5 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 5.

6 იქვე.

7 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 6.

8 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 252, Rn. 2.

9 RGZ 68, 163.

ლოდ მისი ღირებულება (დროის კონკრეტულ მომენტში), არამედ ის გარემოება, გამოიყენებდა თუ არა სხვა აქციონერი ახალი აქციების შექმნის უპირატეს უფლებას.¹⁰

IV. 411 2 მუხლის ადგილი და ფუნქცია ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკის ფარგლებში

1. შემოსავლის მიღების სავარაუდოობა

- 8 411 2 მუხლი შეიცავს მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრის კრიტერიუმს – მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელსაც მოვალე მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.¹¹ აქ მხოლოდ ზიანის სავარაუდოობის კრიტერიუმი (იხ. მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველი) ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელებისათვის არ გამოგვადგება.¹² მაგალითად, ლატარიის მოგებიანი ბილეთის მოპარვის შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურდება მთლიანი მოგება, მიუხედავად იმისა, რომ ქურდობის მომენტში ამ მოგების რეალიზების ალბათობა 1:10000 იყო.¹³ ამგვარად, მოგების რეალიზების შანსი უნდა განისაზღვროს რეტროსპექტიული პროგნოზის საფუძველზე (პროცესის უკანასკნელი ზეპირი სხდომის მომენტისათვის), რა დროსაც გასათვალისწინებელია ზიანის მომტანი ქმედების შემდგომი მოვლენათა განვითარება.¹⁴

2. 411 2 მუხლი, როგორც ადეკვატურობის თეორიის მოდიფიცირება

- 9 გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 411 2 მუხლის ანალოგის გაუმართავმა ფორმულირებამ¹⁵ განაპირობა კამათი გერმანულ დოქტრინაში, რომელიც დღესაც საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.¹⁶ ერთი მოსაზრების

10 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 11.

11 რა თქმა უნდა, 411-ე მუხლი ძალაშია არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ ასევე დელიქტური ზიანის დროსაც. ამ შემთხვევაში „ვალდებულების ჯეროვანი შესრულების“ (როგორც ჰიპოთეტური ზიანის ათვლის წერტილის) ეკვივალენტს პირის დელიქტური წესით დაცული სიკეთის არდაზიანება წარმოადგენს.

12 ამიტომაც არაზუსტია *ცერცვაძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ 653-ე და შემდგომი; შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 30 მარტის №ას-509-893-06 განჩინება; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადეოკატი“, 2/2013, 32; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 110.

13 *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 2007, § 31, Rn. 17.

14 *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 2007, § 31, Rn. 17; შდრ. *ცერცვაძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 655-ე და მომდევნო გვერდზე მოყვანილი მაგალითი, თუმცა აქ პრობლემური იყო არა იმდენად მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა, რამდენადაც ამ ზიანიდან 415-ე მუხლის მიხედვით ანაზღაურებადი წილის გამოყოფა.

15 გსკ-ის 252 2 პარაგრაფის ფორმულირება, როდესაც ის აქცენტს აკეთებს „სავარაუდოდ მოსალოდნელ“ მოგებაზე, საკმაოდ დამაბნეველია. საბედნიეროდ, ქართველმა კანონმდებელმა უფრო ცალსახა ფორმულირების სასარგებლოდ გადაკეთა არჩევანი.

16 იხ. *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 12 და შემდგომი.

თანახმად,¹⁷ რომელიც სამართლიანად არის გაკრიტიკებული, ნორმის მიზანია მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ფარგლების იმ ზიანით შემოზღუდვა, რომელიც ზიანის განმაპირობებელი ქმედების **განხორციელების მომენტისათვის სავარაუდო** იყო. გაბატონებული მოსაზრება¹⁸ კი მას მხოლოდ **მტკიცების ტვირთის შემამსუბუქებელ** დანაწესად მიიჩნევს და ამგვარად მხოლოდ პროცესუალურ ხასიათს ანიჭებს. გამომდინარე იმ გაურკვევლობიდან, რაც ამ ორ გადაწყვეტას შორის მერყეობამ გამოიწვია გერმანულ სამართალში,¹⁹ მათ შორის გარკვეული კომპრომისის მონახვა ჩანს უპრიანი. ერთი მხრივ, ეს ნორმა, რა თქმა უნდა, მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას ემსახურება,²⁰ თუმცა მისი მატერიალურ-სამართლებრივი ბუნების უარყოფაც არამიზანშეწონილია, გამომდინარე იქიდან, რომ მიუღებელი შემოსავლის დადგენისას ჩვეულებრივი ადეკვატურობის კრიტერიუმი ვერ იქნება გამოსადეგი (იხ. ზემოთ მე-5 ველი). ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ყველაზე გამართლებული ჩანს ნორმის ალქმა **ადეკვატურობის თეორიის** (იხ. მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველი) **მოდულიზირებად** სპეციალურად მიუღებელი შემოსავლის შემთხვევისათვის.²¹ განსხვავებით „ჩვეულებრივი“ ადეკვატურობის კრიტერიუმისაგან, მოდიფიცირებული ფორმით ის მიმართულია არა უჩვეულო ზიანის ანაზღაურების გამორიცხვისაკენ, არამედ, პირიქით, მისი შერაცხვისაკენ, თუ ის სინამდვილეში რეალიზდა იმ „მიუღებელი შემოსავლის“ ფორმით, რომლის მიღებაც დაზარალებულს ჰქონდა დაგეგმილი. გადამწყვეტია არა ზიანის სავარაუდოობა დამზიანებლის (ან მესამე პირის) პროსპექტიული პოზიციიდან, არამედ მოვლენათა ალტერნატიული განვითარების **რეტროსპექტიული შეფასება**. ამ უკანასკნელი გადაწყვეტის ქართულ სამართალში გაზიარების სასარგებლოდ მეტყველებს თავად 411 II მუხლის ფორმულირებაც, აკეთებს რა აქცენტს არა ზიანის მომტანი ქმედების განხორციელების მომენტზე, არამედ მოვლენათა განვითარების სავარაუდო დინამიკაზე რეტროსპექტიული პერსპექტივიდან.

V. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოცულობა

მიუღებელ შემოსავალს 408 I, 411 1 მუხლების მიხედვით წარმოადგენს ყველა ქონებრივი პოზიცია, რის მიღებასაც დაზარალებული მოახერხებდა ზიანის გამომწვევი შემთხვევის დადგომის გარეშე.²² შესაძლო ქონებრივი სარგებლის სპექტრი, რომელსაც დაზარალებული დამზიანებლის ქმედების გამო უშვებს ხელიდან, საკმაო ფართოა, მოიცავს, როგორც შრომით შემოსავალს, ასევე ქონებრივი სიკეთეების რეალიზების შედე-

10

17 Steindorff, Abstrakte und konkrete Schadensberechnung, AcP 158, 1959, S. 462.

18 BGH NJW 2005, 3348; RG JW 1907, 829.

19 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 13 და შემდგომში.

20 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 2007, § 31 Rn. 18.

21 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 16; იხ. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის №2ბ/2771-15 განჩინება (2.11.) და 2015 წლის 21 ივლისის №2ბ/736-15 განჩინება (4. 8.) და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 მარტის № 2ბ/4238-11 განჩინება (4.1.).

22 BGH NJW-RR 1989, 981.

გად მიღებულ მოგებას.²³ მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს ასევე მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის ვერრეალიზების გამო დაკარგული მოგება.²⁴

1. მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის მომენტი

- 11 მიუღებელი შემოსავლის მოცულობის დადგენისათვის გადამწყვეტია არა დაზარალებულის **დაზიანების** მომენტი, არამედ **ზიანის წყაროს** თავისი შედეგებითურთ აღმოფხვრის მომენტი,²⁵ გამომდინარე იქიდან, რომ მიუღებელი შემოსავალი, ჩვეულებრივ, არ დგება დროის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში, არამედ მისი მოცულობა იზრდება ზიანის მომტანი ქმედების შედეგის სრულ გამოსწორებამდე. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ზოგადად უთითებენ იმ ფაქტზე, რომ ზიანის მოცულობის დადგენისას გასათვალისწინებელია მოვლენათა განვითარების დინამიკა დამაზიანებელი ქმედებიდან უკანასკნელ ზეპირ სასამართლო სხდომამდე,²⁶ თუმცა მატერიალურსამართლებრივად მხოლოდ პოზიტიური ზიანის რესტიტუციის ვალდებულების (408 I) შესრულების მომენტი მნიშვნელოვანი, რომელიც შეიძლება დაემთხვეს უკანასკნელ ზეპირ სხდომას, თუმცა ეს არასავალდებულოა.²⁷ მხოლოდ ზიანის წყაროს აღმოფხვრის მომენტში არის **დადგენადი**, დაკარგა თუ არა დაზარალებულმა შემოსავალი და დროის რა მონაკვეთისათვის უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება.²⁸ მაგალითად, ტაქსისტისთვის ავტომანქანის დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულს ადგება პოზიტიური ზიანი (რემონტის ხარჯები) და კარგავს შემოსავალს გარკვეული დროის განმავლობაში. თუმცა მიუღებელი შემოსავალი აღარ გვაქვს სახეზე მას შემდეგ, რაც დაზარალებული შემცვლელ მანქანას მოძებნის.

2. მიუღებელი შემოსავლის ცალკეული მაგალითები

ა) ნასყიდობიდან მიუღებელი მოგება

- 12 ნასყიდობისას პრობლემურია შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისა (იხ. მუხ. 408, მე-15 ველი) და მიუღებელი შემოსავლის **გამიჯვნის** საკითხი. ერთი მოსაზრების²⁹ თანახმად, ეს ორი ერთმანეთის იდენტურია – პროფესიონალ მოვაჭრეს (როგორც გამყიდველს, ისე გადამყიდველს) ნივთის მიუწოდებლობისას შეუძლია, მოითხოვოს გა(და)ყიდვიდან მიღებული მოგება აბსტრაქტულად (კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინების გარეშე³⁰), როგორც მიუღებელი შემოსავალი, შესრუ-

23 BGH NJW-RR 1989, 981.

24 BGH NJW 1989, 2539; BGH NJW 1990, 1037; BGH NJW 2004, 2894: თუმცა არა იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებელი გარდაიცვლება.

25 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 252, Rn. 41.

26 BGH NJW 1999, 136; BGH NJW 1959, 1079.

27 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 2.

28 Flume, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 3.

29 იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 281, Rn. 30.

30 Unberath, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2011, § 252, Rn. 42.

ლების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების სახით. ეს გადაწყვეტა ემყარება დაშვებას, რომ მყიდველისათვის (გამყიდველის) **შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი** განისაზღვრება არა ჰიპოთეტური ჩამნაცვლებელი (იმავე გვარის საგანთან დაკავშირებით სხვა პირთან დადებული) გარიგების ხარჯების მიხედვით, არამედ მექანიკურად, იმ ჰიპოთეტური ფასის მიხედვით, რომელსაც ის მიიღებდა ნივთის მესამე პირზე გასხვისების შედეგად,³¹ რაც, საბოლოო ჯამში, **არასწორია**. გამიჯვნის კრიტერიუმი შესრულების ნაცვლად ასანაზღაურებელ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს შორის უნდა იყოს ის გარემოება, შესაძლებელია თუ არა ნასყიდობის საგნის **ბაზარზე** სხვა პირისაგან **შოვნა**.³² მყიდველი, რომელიც ახერხებს ჩამნაცვლებელი საგნის მოპოვებას, საერთოდ არ კარგავს შემოსავალს. თუ ამის მიუხედავად მხოლოდ გასხვისების ფასი ჩაითვლებოდა გადამწყვეტად და (ავტომატურად) მიუღებელი შემოსავლის ტოლფასად, ეს მყიდველისათვის ზედმეტი კომპენსაცია აღმოჩნდებოდა, ამიტომაც მყიდველს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოითხოვოს მიუღებელი შემოსავალი, თუ ხელშეკრულების საგანი ბაზარზე არ იშოვება და ამგვარად პოტენციურ ან კონკრეტულ (გადაყიდვის) გარიგებას უშვებს ხელიდან.³³

ბ) დაკარგული პროცენტები

კრედიტორს, რომელიც მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის გამო ვერ იღებს კუთვნილ თანხას, ზიანი ადგება არა მხოლოდ ქონების აქტუალური ღირებულების შემცირების ფორმით (რაც ანაზღაურებადია 408 I მუხლის მიხედვით), არამედ ასევე დაკარგული პროცენტების სახითაც, რომელიც ანაზღაურდება როგორც მიუღებელი შემოსავალი.³⁴ იგულისხმება, რომ მესაკუთრე ქონებას გარკვეული სიდიდის მიღწევის შემდეგ პროცენტების მომტანად დააბანდებდა,³⁵ თუმცა აქ ასევე გასათვალისწინებელია დარღვეული ვალდებულების დაცვითი მიზანი (იხ. მუხ.

13

31 RGZ 4, 1; BGH NJW 1951, 918; BGH WM 1965, 104.

32 *Flume*, Der monetäre Wert des (Kauf-)Vertrags, AcP 215, 2015, S. 314 და შემდგომში.

33 *Flume*, Der monetäre Wert des (Kauf-)Vertrags, AcP 215, 2015, S. 317 და შემდგომში.

34 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 24; BGH NJW 2014, 2951.

35 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 აპრილის № ას-904-862-2013 განჩინება; 2012 წლის 21 თებერვლის № ას-1586-1585-2011 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის № 2ბ/5096-15 განჩინება; 2012 წლის 31 მაისის № 2ბ/873-12 გადაწყვეტილება (4.9.); 2012 წლის 20 მარტის № 2ბ/4238-11 განჩინება (2.9.); 2012 წლის 28 თებერვლის № 2ბ/1938-11 გადაწყვეტილება (4.8.); 2011 წლის 28 ივნისის № 2ბ/1679-11 განჩინება (4. 5.); ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მარტის № ას-374-355-2015 განჩინება (76-77), თუმცა აქ განვითარებულ მსჯელობასთან წინააღმდეგობაში მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება (2014 წლის 27 მარტის № 2/15685-13 გადაწყვეტილება (6.7.)), როდესაც ის ამავე წესს არ ავრცელებს ბინის საკუთრებაში არგადაცემის გამო დაკარგულ (ბინიდან მისაღებ) შემოსავალზე (იხ. მუხ. 412 სქ. 34); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის №2ბ/2771-15 განჩინება: არდაზრუნებული სესხისა და საერთო საქმის წამოწყებისათვის გადაცემული ფულის დაუბრუნებლობისას ზიანი ანაზღაურდება ასევე წლიური 10% მიუღებელი შემოსავლის სახით. თუმცა აქ გაუმართლებელია უსაფუძვლო გამდიდრების სამართალზე მითითება, რადგან ვალდებულების შეუსრულებლობა არ ნიშნავს უსაფუძვლობას. ხელშეკრულების არანამდვილობისას დაზარალებულს არ ექნებოდა არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სასამართლოს მოთხოვნის საფუძვლად უნდა მიეთითებინა 404, 411 მუხლები და არა 981 II მუხლი (რომლის წინაპირობასაც მიმღების არაკეთილსინდისიერება წარმოადგენს).

412 მე-11 ველი). სავარაუდოდ პროცენტები არ განისაზღვრება კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთის და არც რაიმე ერთიანი კრიტერიუმის მიხედვით – გადამწყვეტია დროის მოცემულ მონაკვეთში საბაზრო მდგომარეობა და მოთხოვნის განმაპირობებელი ხელშეკრულების ტიპი.³⁶

გ) კონკურსები და ტენდერები

- 14 კონკურსიდან ან ტენდერიდან არამართლზომიერად გამოთიშულ პირს აქვს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება, თუ დაამტკიცებს, რომ ის ამით დიდი ალბათობით მოიპოვებდა გარკვეულ სარგებელს (შეკვეთის მიღება, პროექტის კომერციალიზაცია და ა.შ.).³⁷ თუ კონკურსში, რომლიდანაც მართლსაწინააღმდეგოდ გამოთიშეს მონაწილე პირი, რამდენიმე (თანაბარი შანსის მქონე) კონკურსანტი მონაწილეობდა, რის გამოც არაცალსახაა, მისი მონაწილეობის შემთხვევაშიც რომელ კონკურსანტს რომელი შეკვეთა ერგებოდა, მოსამართლის **დისკრეციის** სფეროს განეკუთვნება კონკრეტული მონაწილისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის შეფასება.³⁸

დ) შრომითი განაცდური

- 15 სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებამ პირს შეიძლება დააკარგოს შრომითი შემოსავალი დროებითი ან ხანგრძლივი შრომითი განაცდურის ფორმით. მიუღებელი შემოსავლის გამოთვლა განსხვავებულად უნდა მოხდეს დაქირავებული მუშაკისა (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული, საჯარო მოხელე) და თვითდასაქმებულის შემთხვევაში. **დაქირავებული მუშაკის** განაცდურის გამოთვლა, ძირითადად, ხდება **ნეტო** ხელფასის მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს მიღებული ზიანის ანაზღაურებისათვის გადასახდელი გადასახადის თანხა.³⁹ რაც შეეხება **თვითდასაქმებულისათვის** ზიანის ანაზღაურების ფორმით მიუღებელი შემოსავლის კომპენსირებას, აქ, პირველ რიგში, ის ნეტო მოგება ანაზღაურდება, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა შრომისუუნარობის პერიოდის განმავლობაში ზიანის გამომწვევი შემთხვევის გარეშე.⁴⁰ დამზიანებელს შეიძლება დაეკისროს შრომისუწარიანობის აღდგენის შემდეგაც იმ ხელიდან გაშვებული მოგების ანაზღაურება, რაც გამომწვეულია პროფესიული პა-

36 BGH NJW 2012, 2266.

37 BGH NJW 1993, 520; BGH NJW 1998, 3644; შდრ. ასევე *ცერცვაძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 662 და შემდგომი.

38 BGH NJW 1959, 1079.

39 BGH NJW 1999, 3712; სავარაუდოდ, ამგვარადვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 აგვისტოს № 28/1028-15 განჩინება (4); 2011 წლის 4 ივლისის № 28/1708-11 გადაწყვეტილება (2.3.) და 2014 წლის 16 სექტემბრის №28/6870-13 გადაწყვეტილება (4.3.). სასამართლო ლიად ტოვებს ხელფასის ზრდის პერსპექტივის გათვალისწინების შესაძლებლობას იმ ფაქტზე მითითებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ამას ადგილი არ ჰქონდა, თუმცა შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ამ გარემოების გათვალისწინებაც აუცილებელია; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის № ას-1241-1091-2010 განჩინება; შდრ. მუხ. 408 სქ. 60.

40 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl. 2016, § 252, Rn. 24.

უზით, ან სანარმოს თავიდან გამართვის აუცილებლობით. უმნიშვნელოა, მოუწევდა თუ არა დაზარალებულს ამ მოგებისათვის გადასახადის გადახდა.⁴¹ ანაზღაურებადია ასევე ზიანი, რომელიც გამონვეულია **კლიენტურის** უნდობლობით დაზარალებულის მიმართ, რომელმაც მხოლოდ ცოტა ხნის წინ განაახლა პროფესიული საქმიანობა.⁴² დასაშვებია ასევე **შემცვლელი მუშაკის** დროებითი დაქირავების ხარჯების მოთხოვნაც, რადგან იგულისხმება, რომ ეს ამცირებს მოგების ოდენობას.⁴³ ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობას ამცირებს **დაზოგილი სანარმოო ხარჯები** (მაგ., ქარხნის მუშაობის შეჩერება მთავარი მექანიკოსის დაზიანების გამო).⁴⁴

ე) ნივთის გამოყენების შეუძლებლობა

ნივთის გამოყენების შეუძლებლობის გამო **მიუღებელ სარგებელთან** 16 დაკავშირებით იხ. მუხ. 414 მე-5 და მომდევნო ველი.

VI. დანაზოგი

ყველა ის თანხა, რაც დაზარალებულმა დაზოგა ზიანის მომტანი ქმედებიდან გამომდინარე, უნდა **გამოიქვითოს** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნიდან როგორც **სარგებელი** (იხ. მუხ. 408 მე-5 ველი). ეს ეხება განსაკუთრებით იმ გადასახადებს, რისი გადახდაც დაეკისრებოდა დაზარალებულს ჰიპოთეტურ მოგებასთან დაკავშირებით.⁴⁵ გაბატონებული მოსაზრების⁴⁶ თანახმად, იგივე წესი ვრცელდება საშემოსავლო გადასახადზეც.

VII. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების გამორიცხვა

მიუღებელი შემოსავლის, როგორც ზიანის, ანაზღაურება შეიძლება გამოირიცხოს (შეიზღუდოს) კანონისმიერი ან სახელშეკრულებო დანაწესით (408-ე და შემდგომი მუხლების დისპოზიციურობასთან დაკავშირებით შდრ. მუხ. 408 მე-7 ველი, ასევე 410-ე მუხლის კომენტარი). გარდა ამისა, დაკარგული მოგება არ ანაზღაურდება, თუ მისი მიღება მხოლოდ **კანონისმიერი აკრძალვის** დარღვევით იყო შესაძლებელი,⁴⁷ თუმცა ეს დათქმა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც ხელშეკრულება სამშენებლო, ან სამეწარმეო სამართლის ნორმებს არღვევდა,⁴⁸ რომლებიც არ ინვევენ გარიგების არანამდვილობას.⁴⁹ ანაზღაურებადი არ არის ასევე

41 იქვე, Rn. 25.

42 იქვე, Rn. 26.

43 BGH NJW 1997, 942; OLG Saarbrücken OLGR 1999, 196.

44 BGH NJW 1997, 2943.

45 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 19.

46 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 252, Rn. 14.

47 BGH NJW 1980, 775; BGH NJW 1976, 1883.

48 BGH NJW 1980, 775.

49 მაგ. გარევაჭრობის ამკრძალავი ნორმის დარღვევა. შდრ. BGH NJW 1994, 852, ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სოციალური სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შეტყობის ვალდებულების დარღვევით დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც არ ინვესს გარიგების არანამდვილობას.

სამომავლო **ამორალური**, ან სხვა დაუშვებელი გარიგებით (54) მისაღები შემოსავალი.⁵⁰

- 19 გარდა აღნიშნულისა, დაზარალებულის **თანაბრალეულობამ** (იხ. 415-ე მუხლის კომენტარი) შეიძლება შეამციროს ან სრულად გამორიცხოს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება.⁵¹

VIII. მტკიცების ტვირთი

- 20 მართალია, 411 2 მუხლი არ წარმოადგენს მხოლოდ მტკიცების ტვირთის შემამსუბუქებელ დანაწესს, თუმცა მას უდავოდ აქვს პროცესუალურ-სამართლებრივი ფუნქცია. ადეკვატურობის თეორიის მოდიფიცირება (იხ. ზემოთ, მე-6 ველი) პროცესუალურ დონეზე განაპირობებს **პრეზუმფციას**, რომ დაზარალებული, მართლაც, მიიღებდა იმ შემოსავალს, რომელზეც ის აპელირებს რეტროსპექტიული პერსპექტივიდან.⁵²

50 BGH NJW 1981, 920.

51 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 252, Rn. 3.

52 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის №2ბ/736-15 განჩინება (4. 8.); *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 2007, § 31 Rn. 18: თუ ავტოსაგზაო შემთხვევისას დაზიანებული პირი დამზიანებლისაგან შრომით განაცდურს მოითხოვს, საკმარისია, თუ ის სასამართლოზე წინა წლის ამავე პერიოდში მიღებულ შემოსავალზე მიუთითებს, ყველა სხვა, ამ შემოსავლის მიღების შესაძლებლობის გამაქარწყლებელი გარემოება, დამზიანებლის სამტკიცებელია; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის № 2ბ/2584-13 განჩინება (4.5.); თუმცა შდრ. ამის საპირისპიროდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის № ას-999-943-2015 განჩინება (26).

მუხლი 412. ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

- I. ზოგადი.....733
- II. ფაქტობრივი მიზეზშედეგობრიობა.....734
 - 1. conditio sine qua non-ფორმულა734
 - 2. conditio sine qua non-ფორმულის სუსტი მხარე734
- III. შერაცხვის დამატებითი კრიტერიუმები735
 - 1. ადეკვატურობის თეორია735
 - ა. სავარაუდოობა ოპტიმალური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან ..736
 - ბ. ადეკვატურობის თეორიის კრიტიკა.....736
 - 2. ნორმის დაცვითი მიზანი738
 - ა. სახელშეკრულებო ვალდებულების მიზანი738
 - ბ) ნორმის მიზანი დელიქტურ სამართალში740
- IV. ჰიპოთეტური მიზეზშედეგობრიობა742
- V. შერაცხვის პრობლემა გაშუალებული მიზეზშედეგობრიობისას742

I. ზოგადი

408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებადია მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიზეზშედეგობრივად (კაუზალურად) გამომდინარეობს დამზიანებლის პასუხისმგებლობის წარმომშობი ქმედებიდან. ეს პრინციპი, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელმა მამებმა თავისთავად ცხადად და ცალსახად მიიჩნიეს და ამის გამო დამატებით აღარ მოანესრიგეს სამოქალაქო კოდექსში, დღესდღეობით მთელ რიგ განმარტებასა და დაკონკრეტებას საჭიროებს. კაუზალობა, ფაქტობრივი (ანუ ბუნებრივი) კაუზალობის გაგებით, წარმოადგენს მხოლოდ ამოსავალ წერტილს პასუხისმგებლობის განმაპირობებელი მიზეზშედეგობრიობის განსაზღვრისას. ეს ფაქტობრივი კაუზალობა ემყარება მხოლოდ ემპირიულ მოცემულობას – თუ რამ განაპირობა რეალურად კონკრეტული შედეგის დადგომა. თუმცა მხოლოდ ეს ფაქტობრივი ბმა ქმედებასა და ზიანს შორის არ იძლევა მისი პირდაპირი გადატანის შესაძლებლობას სამართლის ნორმატიულ სიბრტყეში. დამზიანებლის წინასწარ განუსაზღვრელი და ყოვლად გაუმართლებელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ფაქტობრივი მიზეზშედეგობრიობის შემოსაზღვრა ნორმატიული შერაცხვის კრიტერიუმების საფუძველზე.¹ ქართულმა კანონმდებელმა ამ კრიტერიუმების კანონში მოწესრიგების მეშვეობით მნიშვნელოვნად გაუადვილა საქმე სამართლის შემფარდებელს.

1

1 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 305.

II. ფაქტობრივი მიზეზშედეგობრიობა

2 ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენისას ამოსავალ წერტილს, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ფაქტობრივი კაუზალობა წარმოადგენს.² ამ ეტაპზე ყოველგვარი ნორმატიული შეფასების გარეშე უნდა დადგინდეს, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია (ფაქტობრივად) მოცემული შედეგის დადგომა.

1. *conditio sine qua non*-ფორმულა

3 აუცილებელი (მინიმალური) კაუზალური კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის სამოქალაქო სამართალშიც, ისევე როგორც სისხლის სამართალში, განისაზღვრება **ეკვივალენტურობის თეორიის** საფუძველზე.³ ის გულისხმობს *conditio sine qua non*-პრინციპის მეშვეობით ქმედებასა და ხელყოფას შორის კავშირის გაბმას. ქმედების გარეშე გამორიცხული უნდა იყოს ზიანის დადგომა.⁴ მოქმედება მიზეზობრივია შედეგის დადგომისათვის, თუ მისი გამორიცხვისას გამორიცხულია ასევე შედეგიც, ხოლო რაც შეეხება უმოქმედობას, აქ აუცილებელია, რომ მოქმედების განხორციელების შემთხვევაში შედეგი არ დგებოდეს. ეკვივალენტურობის თეორია **412-ე** მუხლში გამყარებულია „**გამონვევის**“ ხსენებით – ზიანი გამონვეული უნდა იყოს დამზიანებლის ქმედებით.

2. *conditio sine qua non*-ფორმულის სუსტი მხარე

4 *conditio sine qua non*-ფორმულის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ის მხოლოდ ამოსავალ სახელმძღვანელო წესს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის დამაკმაყოფილებელ შედეგს არ იძლევა. მხოლოდ *conditio sine qua non*-პრინციპის საფუძველზე შეუძლებელია **კონკურირებადი კაუზალობის** (ორმაგი კაუზალობის) შემთხვევების გადაწყვეტა.⁵ მაგალითად,⁶ სოფლის მუნიციპალიტეტმა წყაროში, რომელიც თევზსაშენს კვებავდა, ჩაღვარა გაურკვეველი ნარჩენები, რაც თევზების დახოცვის მიზეზი გახდა. თუმცა იმავდროულად თევზების დახოცვის მიზეზს წარმოადგენდა დროის იმავე მონაკვეთში მიწოდებული უხარისხო საკვები. ამ შემთხვევაში, როგორც ნარჩენების ჩაღვრა, ისე უხარისხო საკვების მიწოდება, ორივე, ცალ-ცალკე აღებული, საკმარისი იყო ზიანის დადგომისათვის, თუმცა ეკვივალენტურობის თეორიის გამოყენების შემთხვევაში, არც მუნიციპალიტეტმა და არც საკვების მიწოდებელმა არ უნდა აგოს პასუხი, რადგან თითოეულის ქმედების გამორიცხვისას მაინც იგივე შედეგი დგება. გერმანული დოქტრინა⁷ ამ შემთხვევაში იყენებს ე. წ. **მოდულიციურებულ *conditio sine qua non*-ფორმულას**. თუ

2 გერმანულად მას *Naturwissenschaftlicher Verursachungsbegriff* უწოდებენ.

3 BGHZ 2, 140; BGHZ 96, 172.

4 *რუსიაშვილი/ვენატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 203.

5 *Larenz, Schuldrecht I*, 1976, § 27 IIIa.

6 BGH VersR 1983, 731.

7 BGH VersR 1983, 732.

ზიანის გამომწვევი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წინაპირობა შეიძლება გამოირიცხოს მხოლოდ ალტერნატიულად, მაგრამ არა კუმულაციურად ისე, რომ ზიანი მაინც იყოს სახეზე, თითოეული მათგანი უნდა ჩაითვალოს კაუზალურად ზიანისათვის.⁸

ეკვივალენტურობის თეორია არ არის საკმარისად დახვეწილი ასევე ე. წ. **5 ალტერნატიული მართლზომიერი შემთხვევების** გადანყვევებისათვის. მაგალითად, მენარდემ სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას დააზიანა ტრანსპორტის გადამზიდველის ლიფტი, რის შემდეგაც მისი მხოლოდ თავდაპირველად დასაშვები წონის ნახევრით დატვირთვა იყო შესაძლებელი. გადამზიდველმა ის გამოიყენა შემკვეთის (დასაშვებ წონაზე) ორჯერ მეტი წონის მანქანის ტრანსპორტირებისათვის, რის შემდეგაც ლიფტი მოწყდა და მანქანა განადგურდა. ხსენებული თეორიის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ გადამზიდველის ქმედება იქნებოდა კაუზალური, რადგან მენარდის მიერ ლიფტის არდაზიანების შემთხვევაშიც ის მოწყდებოდა გათვალისწინებულზე მეტი წონით დატვირთვის გამო. ამგვარი გადანყვევთა პრობლემურია, რადგან გადამზიდველის ალტერნატიული მართლზომიერი ქმედების შემთხვევაშიც – დაშვებული წონით დატვირთვისას – ლიფტი მაინც მოწყდებოდა და გამოიწვევდა ზიანს. დასაშვები წონის გადაჭარბება აქ საერთოდ არ გამხდარა კონკრეტული ზიანის გამომწვევი მიზეზი, რის გამოც გადამზიდველის პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში საეჭვო ჩანს.⁹ თუმცა დაუშვებელია ამგვარი დილემის გამო, რაც ეკვივალენტურობის თეორიის არასრულყოფილებით არის გამოწვეული, როგორც გადამზიდველი, ისე მენარდე გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან.¹⁰ გარდა აღწერილი პრობლემებისა, მიზეზშედეგობრიობის მხოლოდ ეკვივალენტურობის თეორიის მიხედვით განსაზღვრას კაუზალობის **დაუსრულებელ ჯაჭვამდე** მიყვავართ, რადგან პირის მიერ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის მიზეზშედეგობრივია ასევე მისი მშობლების ქმედება, რომლებმაც ის ამქვეყნად მოავლინეს.¹¹ რის გამოც გერმანული დოქტრინის დარად ქართულშიც აუცილებელია ფაქტობრივი კაუზალობის ცნების შეზღუდვა ნორმატიული კრიტერიუმების საფუძველზე.

III. შერაცხვის დამატებითი კრიტერიუმები

1. ადეკვატურობის თეორია

ობიექტური შერაცხადობის ნორმატიული შემოსაზღვრის ინსტრუმენტს ადეკვატურობის თეორია წარმოადგენს.¹² ამ თეორიის მიხედვით, ქმედების შედეგად სიკეთის ხელყოფა არ უნდა იყოს სრულებით არასავა-

8 შდრ. კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 8.

9 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 307.

10 იხ. კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 8.

11 რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაუზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 203.

12 RGZ 133, 127; BGH NJW 2002, 2233.

რაუდო ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე,¹³ წინააღმდეგ შემთხვევაში მიზეზშედეგობრიობა არ არის სახეზე. ერთი მოსაზრების¹⁴ თანახმად, ადეკვატურობის თეორია წარმოადგენს არა ვინრო გაგებით კაუზალობის შესახებ მოძღვრებას, არამედ ზიანის შერაცხვის კრიტერიუმს შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე. ეკვივალენტურობის თეორიის დარად ასევე ადეკვატურობის კრიტერიუმიც **412-ე** მუხლშია გამყარებული, რომელიც ზიანის ანაზღაურების წინაპირობად მის „წინასწარ სავარაუდოობას“ მიიჩნევს.¹⁵

ა. სავარაუდოობა ოპტიმალური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან

7 ადეკვატურობის თეორიის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ კონკრეტული კაუზალური ჯაჭვის სავარაუდოობა (წინასწარგანჭვრეტადობა) არ განისაზღვრება არც დამზიანებლის სუბიექტური თვალსაწიერიდან და არც კონკრეტული სავაჭრო წრის კონკრეტული წარმომადგენლის სუბიექტური აღქმის მიხედვით. ეს უკანასკნელი დამზიანებლის ბრალის (395) შემონმებისას განსახილველი საკითხია. ამის საპირისპიროდ ადეკვატურობის თეორიის ფარგლებში შერაცხადობა განისაზღვრება **ოპტიმალური დამკვირვებლის** პროგნოზის მიხედვით.¹⁶

ბ. ადეკვატურობის თეორიის კრიტიკა

8 ოპტიმალური დამკვირვებლის თვალსაწიერის გადამწყვეტად მიჩნევის გამო, რომლის ზუსტად განსაზღვრა ცალკეულ შემთხვევებში რთულად თუ შეიძლება, ადეკვატურობის თეორია **კრიტიკას** იმსახურებს.¹⁷ მიჩნეულია, რომ ამ დროს სავარაუდოობის ცალკეული კრიტერიუმების თვითნებურად შერჩევა ფართო ასპარეზს უტოვებს სამართლის შემფარდებელს სპეკულაციისათვის და მთელ რიგ შემთხვევებში გადამწყვეტი კრიტერიუმი ყურადღების მიღმა რჩება. მაგალითად, ავტობუსიდან ჩამოსულ მგზავრს მოხვდა პოლიციელის ტყვია, რომელსაც ის გაქცეულ დამნაშავეს უმიზნებდა. მგზავრი საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ

13 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადაწყვეტილება (8.13); 2004 წლის 18 იანვრის № 3კ/1184-01 გადაწყვეტილება; კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 6 და შემდგომი; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 113 და შემდგომი; რუსიაშვილი/ევგენატაშვილი, კაუზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 204.

14 Brox/Walker, Schuldrecht AT, 35. Aufl., 2007, § 30 Rn. 7.

15 თუმცა შდრ. კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ. 7, რომელიც ადეკვატურობის თეორიის დასაყრდენად კანონში გამყარებულ „უშუალობის“ კრიტერიუმს მიიჩნევს, იხ. ამასთან დაკავშირებით მე-10 ველი.

16 Deutsch, Allgemeines Haftungsrecht, 2. Aufl., 1996, Rn. 126; საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (25); 2015 წლის 7 ოქტომბრის № 459-438-2015 გადაწყვეტილება (8.13).

17 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 309.

გრიპით გარდაიცვალა.¹⁸ ერთი მოსაზრების თანახმად,¹⁹ ოპტიმალურ დამკვირვებელს უნდა გაეთვალა საავადმყოფოში გრიპით გარდაცვალების შესაძლებლობა. ამის საპირისპიროდ, თუ პაციენტი გრიპით ინფიცირების მაგივრად საავადმყოფოში გაქურდეს, ეს უკვე აღარ წარმოადგენს მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარს დამზიანებლის თვალსაზრისით; მეორე და უფრო დამაჯერებელი მოსაზრება²⁰ ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავებისას აქცენტს აკეთებს არა სავარაუდოობაზე, არამედ დარღვეული სამართლის **ნორმის დაცვით მიზანზე** (იხ. ქვემოთ, მე-10 და მომდევნო ველები). საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ ერთი-ორად იზრდება პაციენტის გრიპით ინფიცირების რისკი, რისგან დაცვაცაა სხვისი სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების აკრძალვის ერთ-ერთი მიზანი. ამისაგან განსხვავებით გაქურდვის რისკი საავადმყოფოში მოთავსების შედეგად მხოლოდ უმნიშვნელოდ მატულობს და ეს ნორმის დაცვითი მიზნით მოცული არ არის. ასევე სხვა შემთხვევაშიც, პირველი ნასყიდობის ფარგლებში გამყიდველისათვის ფასის გადაუხდელობის გამო, თუ ამ უკანასკნელმა ვერ შეასრულა სხვა პირთან დადებული გარიგება და დაკარგა ბე, ასევე მოუწია ამ ბე-ს დაფინანსება პროცენტის სესხით²¹ – ვალდებულების დარღვევასა და ამ ზიანს შორის კაუზალობის დადგენა მხოლოდ ვალდებულების (დაცვითი) მიზნის საფუძველზე შეიძლება,²² რადგან აქ ადეკვატურობა ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა.

სხენებული მოსაზრება,²³ საბოლოო ჯამში, მართებულად აკნინებს ადეკვატურობის თეორიის მნიშვნელობას და მას მხოლოდ არათავისთავადი კრიტერიუმის როლს ანიჭებს ნორმის მიზნის განსაზღვრისას. მართალია, ნორმის მიზნით, ჩვეულებრივ, მხოლოდ სავარაუდო ზიანი ხოლმე მოცული, თუმცა არა ყოველთვის. მაგალითად, **საფრთხის გამონწვევისათვის პასუხისმგებლობისას (Gefährdungshaftung)** კანონის შესაბამისი დანაწესი იცავს დაზარალებულს ამ საფრთხის რეალიზების ყველა სპეციფიკური შედეგისაგან, დამოუკიდებლად ადეკვატურობისა, როგორც არის, მაგალითად, საბრძოლო ვერტმფრენით დაუშვებელ სიმაღლეზე გადაფრენა, რამაც უკვე წინასწარ დაზიანებული სახლის სახურავი ჩამოაქცია,²⁴ მიუხედავად იმისა, რომ ეს დამზიანებლისათვის არასავარაუდო იყო. ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობისასაც მთელ რიგ შემთხვევებში ნორმის მიზნით წინასწარ განუჭვრეტელი ზიანიც მოცულია ხოლმე. ჰემოფილიით დაავადებული პირისათვის ცხვირის გატეხისას ანაზღაურებადია

9

18 RGZ 105, 264, 266.

19 Brox/Walker, Schuldrecht AT, 35. Aufl., 2011, § 30 Rn. 11.

20 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 309.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება.

22 რასაც სწორად შენიშნავს თბილისის სააპელაციო და მოგვიანებით ასევე უზენაესი სასამართლო (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (25, 28, 57); შდრ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით ქვევით მე-11 ველი.

23 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 113; Deutsch, Allgemeines Haftungsrecht, 2. Aufl., 1996, Rn. 145.

24 BGHZ 79, 262.

თუ არა ამ პირის წინასწარგანწყობით გამონვეული მკურნალობის გაზრდილი ხარჯები, უნდა გადაწყდეს დარღვეული ნორმის მიზნიდან გამომდინარე – იცავს თუ არა ის უკვე ჯანმრთელობაშერყეულ და ამგვარად ზიანისაკენ მიდრეკილ პირებს და არა იმის მიხედვით, იყო თუ არა დამზიანებლისათვის ამგვარი ზიანი წინასწარგანჭვრეტადი.²⁵

- 10 აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამართალში 412-ე მუხლში სავარაუდოობის კრიტერიუმის გათვალისწინებით ადეკვატურობის თეორია კანონშია გამყარებული, მას მხოლოდ დაქვემდებარებული და დამხმარე მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ნორმის დაცვითი მიზნის განსაზღვრისას, რომელიც თითქმის ყოველთვის გადაფარავს მას. არასავარაუდო ზიანიც შეიძლება მოცული იყოს ნორმის მიზნით და ამგვარად ანაზღაურებადი, ხოლო სავარაუდო ზიანი კი თითქმის ყოველთვის იქნება მისით მოცული.

2. ნორმის დაცვითი მიზანი

- 11 ეკვივალენტურობის თეორიით განპირობებული ყოვლისმომცველი კაუზალობის შემოსაზღვრის მთავარ კრიტერიუმს ე. წ. ნორმის დაცვითი მიზანი წარმოადგენს,²⁶ რომლის ამოსავალი წერტილია, იცავს თუ არა დარღვეული (კანონისმიერი ან სახელმეკრულებო) ვალდებულება დაზარალებულს ამ ტიპის ზიანისაგან. დაცვითი მიზანი აქვს როგორც დარღვეულ ამკრძალავ ნორმას, ასევე სახელმეკრულებო ვალდებულებას. ის, როგორც შერაცხვის კრიტერიუმი, ქართულ კანონში განსხვავებულია 412-ე მუხლში „უშუალო ზიანის“ ხსენებით – ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც არა მხოლოდ სავარაუდო იყო, არამედ წარმოადგენდა დამზიანებლის მოქმედების უშუალო შედეგს. „უშუალო შედეგი“ გულისხმობს არა ყოფითი, არამედ ნორმატიული გაგებით უშუალოს.²⁷ მისი შეფასება უნდა მოხდეს ნორმატიული პერსპექტივიდან – იცავს თუ არა კანონისმიერი ან სახელმეკრულებო ვალდებულება დაზარალებულს ამ ზიანისაგან.

ა. სახელმეკრულებო ვალდებულების მიზანი

- 12 სახელმეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამომწყვეტია მხარეთა შეთანხმება, რომელიც დამატებით ხელმეკრულების მიზნითა და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპით კონკრეტდე-

25 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 35; იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად მე-13 ველი.

26 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 115; *Larenz*, Schuldrecht I, 1976, § 27 IIIb (2).

27 ამგვარად ავითარებს მსჯელობას ასევე ბათლიძე, ბრალეული ქმედებით გამონვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 4/2015, გვ. 37, თუმცა ნორმის დაცვითი მიზნის ნორმატიულ კონსტანტაციად ის არა „უშუალობის“ კრიტერიუმს, არამედ ზიანის „სავარაუდოობას“ მიიჩნევს: შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (57) და *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 114.

ბა.²⁸ მაგალითად,²⁹ თუ საქორწინო დარბაზის გამქირავებელი შეკვეთის მიღების შემდეგ უარს ეტყვის დამქირავებელს თავდაპირველად გათვალისწინებული 200 სტუმრის გამასპინძლებაზე, ის ვალდებული არ არის, აუნაზღაუროს მას ამ სტუმრების საჩუქრებიდან შემოსული სავარაუდო თანხა (8 000 ევრო). გერმანული სასამართლოს მიხედვით, გამქირავებლის მიერ ნაკისრი და დარღვეული (სტუმრების დაგეგმილი რაოდენობის მიღების) ვალდებულების მიზანს არ წარმოადგენდა დამქირავებლისათვის საჩუქრების მიღების შანსის უზრუნველყოფა.³⁰ თუმცა ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებით დაცულ ინტერესთა და წინა სახელშეკრულებო გულისხმიერების ვალდებულებათა წრე დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტად ფართოვდება.³¹ ამ კონტექსტში არასწორი ჩანს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,³² როდესაც ის გამყიდველისათვის კუთვნილი ფასის არგადახდას არ მიიჩნევს 412-ე მუხლის მიხედვით კაუზალურად იმ ზიანისათვის, რაც მიადგა გამყიდველს მის მიერ ამ ფასის მიღების იმედით დადებული სხვა ნასყიდობის ფარგლებში გაცემული ბე-ს დაკარგვით და ბე-ს დასაფინანსებლად აღებული სესხისათვის პროცენტების გადახდით. სინამდვილეში ფასის დროულად გადახდის მიზანი გამყიდველის ქონების შევსება და მისთვის მისი შემდგომი თავისუფალი განკარგვის შანსის უზრუნველყოფა იყო. თუკი გამართლებულია, რომ ნასყიდობის საგნის მიუწოდებლობის შემთხვევაში მყიდველის მიერ ამ საგნის სარფიანად გადაყიდვის შეუძლებლობით გამოწვეული მოგების დაკარგვა ჩაითვალოს მიუღებელ შემოსავლად 411-ე მუხლის გაგებით,³³ მაშინ იგივე წესი უნდა გავრცელდეს ფასის მიუღებლობის გამო გამყიდველის მიერ ხელიდან გაშვებულ მოგებაზეც.³⁴ იცოდა თუ არა მყიდველ-

28 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 310; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (25, 28, 57); 2015 წლის 18 დეკემბრის № ას-999-943-2015 განჩინება; 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება (8.13); 2015 წლის 10 სექტემბრის № ას-546-518-2015 განჩინება (7.1.8.); 2012 წლის 11 ივნისის № ას-630-593-2012 განჩინება; 2012 წლის 11 ივნისის № ას-630-593-2012 განჩინება; 2004 წლის 30 აპრილის № ას-857-1483-03 გადაწყვეტილება; 2002 წლის 18 იანვრის № 3/1184-01 გადაწყვეტილება), „ხელშეკრულების შესრულებასთან კანონზომიერად დაკავშირებულ რისკზე“ და „ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებზე“ მითითება სხვა არააფერია, თუ არა ვალდებულების დაცვით მიზანზე აპელირება, ისევე როგორც სხვა განჩინებაში ნახსენები „კონკრეტული ვალდებულების ფარგლები“ (2010 წლის 2 დეკემბრის № ას-520-488-2010 განჩინება); შდრ. ასევე *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 652, თუმცა არასწორია 412-ე მუხლის მხოლოდ პოზიტიური ზიანის (იხ. მუხ. 411 მე-5 ველი) კონტექსტში ხსენება.

29 OLG Frankfurt BeckRS 2011, 14474.

30 ასევე უძრავი ქონების ნასყიდობისას გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მყიდველი ვერ მოითხოვს ნასყიდობის ფასის საბანკო ანაბარზე განთავსებიდან მიღებული პროცენტების, როგორც მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რადგან ნივთზე საკუთრების გადაცემის ვალდებულებით ამ ფასის სხვაგვარად დაბანდების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოცული არ არის (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება (8.14)).

31 *Larenz, Schuldrecht I*, 1976, § 27 IIIb.

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (58).

33 *Oetker*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 128.

34 ასევე თუ ნასყიდობიდან ვასვლის შემდეგ რესტიტუციის მოვალეს უნდა დაეკისროს ამ ნასყიდობის ფასის დროულად დაუბრუნებლობისათვის ზიანის ანაზღაურების სახით ამ თანხიდან მისაღები პროცენტების დაბრუნება (411) (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის

მა გამყიდველის მიერ დადებული კონკრეტული სხვა გარიგების შესახებ, ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელო უნდა იყოს. ამასთან, თუ დაზარალებული მთელ რიგ შემთხვევებში ვალდებულია, მონახოს მოვალის (დელიქტის ან ვალდებულების დარღვევის გამო) დაკარგული ავტომანქანის შემცვლელი, რათა ამგვარად თავიდან აიცილოს ზიანი, ან შეამციროს მისი ოდენობა (415 II), იგივე წესი უნდა გავრცელდეს სხვა ნასყიდობის დასაფინანსებელი სესხის აღებაზეც, ორივე შემთხვევაში შემცვლელი ქონების მოპოვების ხარჯები დამზიანებლის ასანაზღაურებელი უნდა იყოს.³⁵ ამის საპირისპიროდ მხოლოდ ზოგადი მითითება იმაზე, რომ გამსესხებელს მოვალის მიერ სესხის დროულად დაუბრუნებლობის გამო თავად მოუწია სესხის აღება და მისი პროცენტების გადახდა, საკმარისი არ არის ვალდებულების დარღვევისა და ამ ტიპის ზიანის ერთმანეთთან დასაკავშირებლად.³⁶

ბ) ნორმის მიზანი დელიქტურ სამართალში

- 13 დელიქტურ სამართალში ზიანის მიზეზშედეგობრიობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დარღვეული ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულების³⁷ მიზანი, ან დაზიანებული სიკეთის დაცული სფერო. სამართლის ნორმა არ და ვერ უზრუნველყოფს გენერალურ დაცვას ზოგადად ზიანის მომტანი ქმედებისაგან, არამედ იცავს მხოლოდ განსაზღვრული სიკეთეების განსაზღვრული ფორმით დაზიანებისაგან, რაც ყოველი ცალკეული ნორმის განმარტებით უნდა დადგინდეს.³⁸ საეჭვოობისას უნდა მოხდეს დაზარალებულის დაცულ ინტერესსა და დამზიანებლის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის აუცილებლობას შორის ანონ-დანონა. მაგალითად, თუ თაღლითი ატყუებს მყიდველს და ადებინებს ცალსახად წაგებიან გარიგებას (992-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლები), ამ ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ კი მყიდველი ვარდება ღრმა დეპრესიაში და ხდება დროებით შრომისუუნარო, შრომისუუნარობით გამონვეული ზიანი თაღლითმა არ უნდა აანაზღაუროს, რადგან დეპრესია არ ექცევა თაღლითობის ამკრძალავი ნორმის დაცვით სფეროში – ის მოტყუებულის მხოლოდ უშუალო ქონებრივი ზიანისაგან დაცვას ისახავს მიზნად.

25 მარტის № ას-374-355-2015 განჩინება (76-77)) გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა მოქმედებდეს იგივე წესი უშუალოდ ფასის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; ასევე არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა (2014 წლის 27 მარტის № 2/15685-13 გადაწყვეტილება (6.7.)), როდესაც ის ბინის დროულად ჩაბარების ვალდებულება-სა და მისი გაქირავებით მიღებულ შემოსავალს შორის არარსებულ კავშირზე აპელირებს. ამ ლოგიკის მიხედვით 411-ე მუხლი სრულებით ზედმეტი ხდება.

35 ერთადერთი, რაშიც შესაძლებელია სასამართლოს მსჯელობის გაზიარება, ეს სესხის იმ პროცენტების ანაზღაურების დაუშვებლობაა, რომელიც დაზარალებულს გადასახდელი ჰქონდა დამზიანებლის მიერ ფასის გადახდის ვადის დადგომამდე, რადგან ამ დანაკარგს მყიდველის მიერ ნასყიდობის ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც კი ვერ აიცილებდა თავიდან (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის № ას-167-163-2016 გადაწყვეტილება (57)).

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის № ას-999-943-2015 განჩინება (29).

37 იხ. ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებასთან დაკავშირებით რუსიაშვილი/ენგატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 203.

38 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 310.*

განსაკუთრებით პრობლემურია იმ ზიანის ანაზღაურების საკითხი, რომელიც დაზარალებულის ამ ტიპის **ზიანისადმი მიდრეკილებით** (წინასწარგანწყობით) არის გამოწვეული. ზოგადი წესის თანახმად, დამზიანებელი თავს ვერ გაიმართლებს დაზარალებულის წინასწარგანწყობაზე მითითებით,³⁹ რადგან სამართლის შესაბამისი დანაწესებით დაცულნი არიან არა მხოლოდ ჯანმრთელი, არამედ ასევე სნეული პირებიც (შდრ. ზემოთ, მე-9 ველი). თუმცა აუცილებელია, რომ დამზიანებელმა გამოიწვიოს გაკიცხვადი რისკი, რომელიც მოცემული ზიანის ფორმით რეალიზდა – ჰემოფილით დაავადებული პირისათვის ცხვირის გატეხა.⁴⁰ სხვაგვარად უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც დამზარალებლის ქმედება მხოლოდ ბიძგის მიმცემი იყო ზოგადი ცხოვრებისეული რისკის რეალიზებისათვის. მაგალითად,⁴¹ მალაზიაში პირისათვის ფეხზე დაბიჯებისას, რის შემდეგაც ამ უკანასკნელისათვის, არტერიული თრომბოზის გამო, ფეხის ამპუტაცია გახდა აუცილებელი, გერმანულმა სასამართლომ ზიანის შერაცხადობა უარყო მისი არაადეკვატურობის გამო, თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად,⁴² ეს შემთხვევა ნორმის მიზნის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამგვარ უმნიშვნელო დაზიანებას არ გამოუწვევია ფეხის ამპუტაციის სპეციფიკური რისკის გაზრდა. იმავე შემთხვევას ნებისმიერ სხვა უწყინარ სიტუაციაში შეიძლება ჰქონოდა ადგილი და ამიტომაც მხოლოდ ზოგად ცხოვრებისეულ რისკს წარმოადგენდა.

ნორმის დამცავი მიზნით არგუმენტირებისას აუცილებელია, ზუსტად გამოიკვეთოს, თუ რაში მდგომარეობს ნორმის (ვალდებულების) დარღვევა. თუ დამზიანებელს **რამდენიმე** ვალდებულების დარღვევა შეეცხება, თითოეულის მიზანი ზუსტად უნდა შემოწმდეს ზიანის გამოწვევის კონტექსტში. გერმანული სასამართლოს⁴³ მსჯელობის საგანი გახდა შემთხვევა, როდესაც დამზიანებელმა ავტოსაგზაო შემთხვევისას ბრალეულად დააზიანა მალალი არტერიული ნნევის მქონე პირის ავტომანქანა, პოლიციის მოსვლის შემდეგ კი ამტკიცებდა, რომ სწორედ დაზარალებულის გამოწვეული იყო ავარია ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ სიჩქარის გადაჭარბების გამო, რაც დაზარალებულის ინსულტითა და ამით გამოწვეული შრომისუუნარობით დასრულდა. აქ მიზეზშედეგობრივი კავშირი ქმედებათა ერთობლიობასა და ზიანს შორის, საბოლოო ჯამში, არ არის სახეზე, რადგან მოძრაობის დარღვეული წესი არ იცავს ნერვიულობით გამოწვეული ინსულტისგან, ხოლო ავარიის სხვისათვის გადაბრალება კი კონკრეტულ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო არ ყოფილა.

39 RGZ 169, 120; BGHZ 20, 139; BGHZ 107, 363; BGH NJW 1993, 2234.

40 ცალსახად არასწორია ამ კონტექსტში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება, როდესაც ის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დაზარალებული (დაზიანებამდე არსებულ) სნეულებაზე და ასაკზე მითითებით უარყოფს. ამგვარი მსჯელობის თანახმად ზიანი სრულად მხოლოდ ახალგაზრდა და ჯანმრთელ პირებს უნდა აუნაზღაურდეთ, რაც არყვეს სამოქალაქო მართლწესრიგის საფუძველებს. იხ. ამ გადაწყვეტილების კრიტიკისათვის დამატებით 50-ე სქოლიო, ასევე მუხ. 413 მე-12 სქოლიო.

41 OLK Karlsruhe VersR 1966, 741.

42 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 311.

43 BGHZ 107, 359.

IV. ჰიპოთეტური მიზეზშედევობრიობა

- 16 თუ დამზიანებლის ქმედება ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების საფუძველზე კაუზალურია ზიანისათვის, მისი შერაცხვა შეიძლება მაინც პრობლემური იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ ზიანი მომავალში მაინც დადგებოდა სხვა მიზეზით (ე. წ. **სარეზერვო მიზეზი**). რადგან ეს მიზეზი სინამდვილეში არ რეალიზებულა, აქ მხოლოდ ჰიპოთეტურ კაუზალობაზე შეიძლება საუბარი.⁴⁴
- 17 თუ ნივთის დაღუპვა ან პირის მიერ შემოსავლის დაკარგვა გარდაუვალი იყო და დამზიანებელმა მხოლოდ გადმოსწია ეს მომენტი, მაშინ **დიფერენციის ჰიპოთეზის** გამოყენებით ის მხოლოდ დროის ამ მონაკვეთისათვის ანაზღაურებს ზიანს.⁴⁵ ჰიპოთეტური კაუზალობა შეიძლება გამოიხატებოდეს, დამზიანებლის გარდა, დამატებით **მესამე პირის** მიერ ისეთი ზიანის გამოწვევაში, რომელმაც, ფაქტობრივად, შთანთქა თავდაპირველი ზიანის მომტანი ქმედება – მაგალითად, ა-მ ჩამტვრია საქარე მინა ბ-ს მანქანისა, რომელსაც მოგვიანებით გ მოიპარავს და ხრამში გადაჩეხს. მართალია, ამ შემთხვევაში ბ-ს მანქანა თავისი საქარე მინითურთ, საბოლოოდ, მაინც განადგურდებოდა დამოუკიდებლად ა-ს ქმედებისა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გ მხოლოდ უკვე მინაჩამტვრეული და, ამგვარად, შემცირებული ღირებულების მანქანის განადგურებისათვის აგებს პასუხს, შესაბამისად, ამ მინის ჩამტვრევისათვის ისევე ა-მ უნდა აგოს პასუხი. მანქანის ღირებულების ანაზღაურებისაგან უნდა გავიმიჯნოთ მისი გამოყენების შეუძლებლობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხი – პირი ავარიში გაანადგურებს მანქანას, რომელიც მოგვიანებით მაინც დაინგებოდა გარაჟში გაჩენილი ხანძრის შედეგად,⁴⁶ მიუღებელი შემოსავლის, როგორც ზიანის, რეალიზების პროცესი მხოლოდ ნივთის განადგურებით არ არის დამთავრებული, ამიტომაც აქ მოვლენათა შემდგომი ჯაჭვიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რის გამოც ავარიის გამომწვევი მხოლოდ მანქანის ღირებულებასა და ორი დღის დაკარგულ შემოსავალს ანაზღაურებს.

V. შერაცხვის პრობლემა გაშუალებული მიზეზშედევობრიობისას

- 18 პრობლემურია დამზიანებლისათვის ზიანის შერაცხვა იმ შემთხვევაში, როდესაც სიკეთის დაზიანება მისი ქმედების გარდა დამატებით კიდევ სხვა დამოუკიდებელი ფაქტორით იყო განპირობებული (**გაშუალებული კაუზალობა**).
- 19 ამ კონტექსტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ე. წ. **შოკით მიყენებული ზიანი**, რომლის ანაზღაურების საკითხიც, ჩვეულებრივ, 992-ე მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობისას დგება. მაგალითად, დაზარალებული

⁴⁴ Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 312.

⁴⁵ Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 203.

⁴⁶ Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 312; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 60.

შეესწრება ახლობელი პირის გარდაცვალებას, რის შედეგადაც მიიღებს მძიმე ფსიქიკურ შოკს.⁴⁷ დამზიანებელი ამ შემთხვევაში გარდაცვლილი პირის სიცოცხლეს უშუალოდ ხელყოფს, თუმცა მისი ახლობლის ფსიქიკური ჯანმრთელობა მხოლოდ გაშუალებულიად შეიძლება ჩაითვალოს დაზიანებულად. შოკი (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევა) მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით დადგენადი თანმდევი შედეგები,⁴⁸ მაგრამ ამ შემთხვევაშიც პრობლემურია დამზიანებლისათვის ამ შოკის ზიანის შერაცხვა. საკითხავია, მოცულია თუ არა **ნორმის მიზნით** (მაგ., საგზაო მოძრაობის წესი) გარდაცვლილის ან დაშავებულის ახლობელი პირის დაცვა შოკისაგან. გერმანული სასამართლო პრაქტიკა⁴⁹ ამ ტიპის შემთხვევებში საკმაოდ რესტრიქციულად განმარტავს ნორმის დაცვით მიზანს. დაცულია მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულის ახლო ნათესავი (მათ შორის საქმრო, საცოლე და ა.შ.)⁵⁰ გაშუალებულიად მიღებული შოკისაგან, ავტოავარიის შემსწრე გამვლელისათვის კი ეს ზიანი ყოველდღიურ რისკს წარმოადგენს, რომელიც არ ანაზღაურდება.

გაშუალებული კაუზალობის შემთხვევებს განეკუთვნება ასევე „**თვით-დაზიანების**“ ან ე. წ. „**გამონვევის შედეგები**“, როდესაც დამზიანებელი თავისი ქცევით აიძულებს (ინვესს) დაზარალებულს, თავად მიიყენოს ზიანი – სახლისათვის ცეცხლის წაკიდება, რის შემდეგაც დაზარალებული ფანჯრიდან ხტება. გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან⁵¹ პარადიგმულია შემთხვევა, როდესაც პოლიციელი გაქცეული ეჭვმიტანილის კვალდაკვალ გადახტება ფანჯრიდან და ტერფს მოიტეხს. ზიანის შერაცხვის კრიტერიუმებს ამ ტიპის შემთხვევაში წარმოადგენს „**გამონვევის**“ **ინტენსიობა** და მოცემულ რისკზე წასვლის **გონივრულობა**.⁵² დადგენებული პოლიციელის შემთხვევაში, როგორც პირველი, ისე მეორე წინაპირობის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა ის გარემოება, რომ გაქცეული მხოლოდ წერილმან დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი და ცნობილი იყო რა მისი პი-

47 BGHZ 56, 163.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის № ას-1426-1535-04 განჩინება; *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 217; არასწორია ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2/2006, გვ. 101.

49 BGHZ 172, 265.

50 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება. აქ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა წარმოადგენდეს დამზიანებლის ბრალით გამოწვეული დუხჭირი მდგომარეობის გამო ქალიშვილის გარდაცვალება (ამ მოვლენებს შორის კაუზალური კავშირის არსებობას სასამართლო საკმაოდ არადაამაჯერებლად და ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებით უარყოფდა) საკმარის საფუძველს პირის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შერყევისათვის, რითიც განპირობებული ზიანი შესაბამისი ნორმის მიზნით უნდა ყოფილიყო მოცული, თუმცა სასამართლოს მსჯელობა სწორია იმ ნაწილში, როდესაც უარყოფს ნივთის განადგურებით (ბინის დანვა) და ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებით (ვალდების აღება) გამოწვეული ფსიქიკური ზიანის შერაცხვის შესაძლებლობას (*Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 155*). იხ. ამ გადანევეტილებასთან დაკავშირებით ზემოთ მე-40 სქოლიო და მუხ. 413 მე-12 სქოლიო.

51 BGHZ 63, 189.

52 BGHZ 101, 220; *Larenz, Schuldrecht I, 1976, § 27 IIIb (5)*.

რადი მონაცემები, უპრობლემო იქნებოდა მოგვიანებით მისი დაკავება, სამართალდამცავის ამ თავგანწირული ქმედების გარეშე.⁵³ თვითდამზიანების **პროფესიულ რისკზე** მითითებით დამზიანებელი მხოლოდ მაშინ მოახერხებს თავის გამართლებას (პოლიციელის შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო), თუ დაზიანება არ იყო განპირობებული მის მიერ გამოწვეული სპეციფიკური საფრთხით, რაც აღმატებოდა დაზიანებულის ყოველდღიურ პროფესიულ რისკს, მაგალითად, ხანძრის გაჩაღებას, რომლის ჩაქრობის შემდეგაც მეხანძრე შლანგის დახვევისას კოჭს ამოიბრუნებს.⁵⁴

- 21 როდესაც ზიანი ემყარება არა დაზარალებულის, არამედ **მესამე პირის** თავისუფალ გადაწყვეტილებას, რომლის პროვოცირებაც მოახდინა დამზიანებელმა, აქ გადამწყვეტი საკითხია, თუ სადამდე ვრცელდება დაზარალებულის დამცავი ნორმის მოქმედება. მაგალითად, ერთი პირის მიერ ბრალეულად გამოწვეული ავარიის შედეგად გზის ჩახერგვის შემდეგ მიმყოფი ავტომობილები გადავიდნენ საფეხმავლო გზაზე და მნიშვნელოვნად დააზიანეს მისი საფარი.⁵⁵ ამ შემთხვევაში ავარიის გამომწვევი არ იყო ვალდებული, აენაზღაურებინა გზის მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი, რადგან ავარია მესამე პირებს მხოლოდ მოძრაობის წესების უგულებელყოფის და არა სხვა პირის ამ ფორმით დაზიანების უფლებას ანიჭებდა.⁵⁶

53 თუმცა საბოლოოდ სასამართლომ პოლიციელის მკურნალობისა და მისი სახელფასო განაცდურის ანაზღაურების ხარჯები მაინც დააკისრა ეჭვმიტანილს (რასაც მას დამსაქმებელი – პოლიციის განყოფილება – სთხოვდა), მიიჩნია რა, რომ ადგილის არმცოდნე მდევარი საკმარისად ვერ შეაფასებდა დევნის რისკს.

54 BGH NJW 1993, 2234.

55 BGHZ 58, 162.

56 თუმცა სხვა მოსაზრების თანახმად (*Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 49) ეს ზიანიც ავარიის გამომწვევის ასანაზღაურებელი იყო, რადგან ექცეოდა საგზაო მოძრაობის დარღვეული დანაწესის მოქმედების სფეროში.

მუხლი 413. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

- I. ზოგადი745
- II. მორალური ზიანის ანაზღაურება 413 I მუხლის მიხედვით.....746
- III. 413 II მუხლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები746
 - 1. პასუხისმგებლობის საფუძველი.....746
 - 2. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.....747
- IV. მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა749
 - 1. კომპენსაციის მიზანი749
 - 2. არამატერიალური ზიანი აღქმა-გაცნობიერების სრულად დაკარგვისას750
 - 3. ცხოვრების ხარისხის ობიექტური გაუარესება, როგორც საორიენტაციო მასშტაბი751
- V. ფულადი კომპენსაცია პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შემთხვევაში751

I. ზოგადი

413 I მუხლის ფორმულირება, რომელიც ზიანის ცნებაში, ქონებრივი ზიანის გარდა, ასევე **არაქონებრივისაც** (არამატერიალური ან **მორალური** ზიანი¹) აერთიანებს, ამავდროულად ნათელყოფს, რომ მისი ანაზღაურება მხოლოდ **გამონაკლისის** სახითაა დასაშვები, კერძოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში.² 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი გარკვეულწილად აფართოებს 1-ლი ნაწილის მოქმედების სფეროს – თუ საქმე ეხება პირის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებას, მოთხოვნის საფუძვლისაგან დამოუკიდებლად დამზიანებელი ყოველთვის ვალდებულია გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია მიყენებული სულიერი ტანჯვისათვის.³

1 არასწორია ცერცვაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 658, როდესაც ის არამატერიალურ ზიანს თავის მხრივ ყოფს ქონებრივი და არაქონებრივ ხასიათის ზიანად.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება; იხ. შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვისათვის ცერცვაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 662 და შემდგომში; ბიჭია, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, „სამართალი და მსოფლიო“, 4/2016, გვ. 53.

3 შდრ. ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 32.

II. მორალური ზიანის ანაზღაურება 413 | მუხლის მიხედვით

- 2 413 | მუხლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურებას ორი წინაპირობა აქვს: ეს არის (იხ. ქონებრივის არაქონებრივის გამიჯვნასთან დაკავშირებით მუხ. 408 მე-10 და მომდევნო ველები) პირისათვის მორალური ზიანის მიყენება და შესაბამისი კანონისმიერი დანაწესი, რომელიც ამ ტიპის ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. ამგვარი სპეციალური კანონისმიერი დანაწესის **მაგალითია** დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონის 10 I, პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მე-10, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის 12 IV და 17 III, სამედიცინო დაზღვევის შესახებ კანონის 10 ვ) და რეკლამის შესახებ კანონის 21 III მუხლები, ასევე **18 VI 2** მუხლი (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, მე-13 და მომდევნო ველები, ასევე მუხ. 18 99-ე და მომდევნო ველები).⁴

413 | მუხლის **ანალოგიით** გამოყენება გამორიცხულია, რაც თავად დანაწესიდან გამომდინარეობს.

კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის იხ. ქვემოთ, მე-8 და მომდევნო ველები.

III. 413 II მუხლის მიხედვით მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

1. პასუხისმგებლობის საფუძველი

- 3 413 II მუხლის სისტემური ადგილიდან გამომდინარე (იხ. მუხ. 408, 1-ლი ველი), ის არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს. ამ დანაწესის წინაპირობაა, რომ დამზიანებელი სხვა, **პასუხისმგებლობის წარმომშობი**, საფუძველიდან გამომდინარე, ვალდებული იყოს, აანაზღაუროს ზიანი სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. 413 II მუხლი მხოლოდ ავრცელებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მორალურ ზიანზე. ბრალეული დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების გარდა, 413 II მუხლის გამოყენების სფეროს წარმოადგენს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა საფრთხის გამონვევისათვის.⁵ თუმცა დანაწესი თავის ფუნქციას ინარჩუნებს ასევე, მაგალითად, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას (969-ე და მომდევნო მუხლები) წარმომშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შემთხვევაში.

4 შდრ. მორალური ზიანის დეფინიციისათვის ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 32 და შემდგომი; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 110.

5 BGH NJW 2009, 3026; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 413, გვ. 471; ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 33; ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 110.

2. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება

მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა არა ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შემთხვევაში, არამედ მხოლოდ 413 II მუხლში მოხსენიებული სიკეთეების – სხეულის ან ჯანმრთელობის – დაზიანებისას. **ხელშეკრულების შეუსრულებლობა** მაშინაც კი არ განაპირობებს მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, როდესაც თავად ხელშეკრულება არამატერიალურ ინტერესს ემსახურებოდა.⁶

სხეული და ჯანმრთელობა 413 II მუხლში იმავე მნიშვნელობით არის გამოყენებული, როგორც სამოქალაქო კოდექსის ყველა სხვა ნორმაში, რომელიც ითვალისწინებს ამ სიკეთეების დაზიანების გამო პასუხისმგებლობას (მაგ., მე-1000 მუხლი).⁷ როგორც დელიქტური, ასევე სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებამ შეიძლება განაპირობოს მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში დეტალურად უნდა შემონმდეს, იცავდა თუ არა დარღვეული სახელშეკრულებო ვალდებულება კონტრაქტის ამ სიკეთეებს. გულისხმიერების ვალდებულებების შემთხვევაში (316 II) ეს, ჩვეულებრივ, სახეზეა, განსხვავებით შესრულების ვალდებულებისგან, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ ქონებრივი ინტერესის განხორციელებისაკენ არის მიმართული და არა სხეულისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ.⁸

413 II მუხლში ადამიანის **სიცოცხლე** არ არის მოხსენიებული დაცულ სიკეთედ, რის გამოც გარდაცვალებულის ახლობლებს არ აქვთ უფლება, მოითხოვონ ამით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის ფულადი კომპენსაცია.⁹ ამიტომაც, საბოლოო ჯამში, 413-ე მუხლის ფარგლებს სცდება

6 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 333*: ქორნილში დასაკრეულად მონვეული მუსიკალური ბენდის უარი ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე, რის გამოც საღამო მუსიკალური აკომპანემენტის გარეშე ჩაივლის, არ ანიჭებს მემკვეთს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

7 *Wagner, in MüKo BGB, 6. Aufl., 2013, § 823, Rn. 113*, მართალია, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების ერთმანეთისაგან ზუსტი გამიჯვნა საკმაოდ პრობლემურია, რადგან ზოგადი კრიტერიუმი, რომელიც გარეგან სიმრთელესა და შინაგან სასიცოცხლო პროცესებზე აკეთებს აქცენტს, საბოლოო ჯამში არაფრისმომცემია და მხოლოდ მარტივი შემთხვევების ცალსახა სუბსუმფიციის საშუალებას იძლევა (ალიყური, ცემა ან საკბეჩი კბილის დაკარგვა, როგორც სხეული დაზიანება), თუმცა ცალსახა მიჯნის გავლების აუცილებლობა არც არსებობს, რადგან ორივე დაზიანებაზე ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის №ას-1156-1176-2011 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 2ბ/5775-15 გადაწყვეტილება (4.2.), სადაც ორივე სიკეთე ერთიანი დეფინიციით არის მოცული, რაც საბოლოო ჯამში გაუმართლებელია.

8 *BGH NJW 2009, 3025*: კლიენტს შეუძლია ადვოკატისაგან, რომლის არასწორმა რჩევამ მისი გადატაკება და პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა გამოიწვია, მოითხოვოს მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ჯანმრთელობის შერყევით გამოწვეული ზიანის ჩათვლით, თუმცა ვერ მოითხოვს კომპენსაციას სულიერი ტანჯვისათვის, რადგან რჩევის ვალდებულების დაცვით მიზანი (იხ. მუხ. 412 მე-10 და მომდევნო ველები) მხოლოდ ქონებრივი ინტერესის დაცვით შემოიფარგლებოდა.

9 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 334*, თუმცა შდრ. განსხვავებული მოსაზრებისათვის ჩიკაშვილი, პასუსნიმგებლობა მორალური ზიანისთვის, 2003, გვ. 131, თუმცა გაუგებარია, თუ რა მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს ემყარება ის; უფრო გამართულია ცერცვა-

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (ამას სასამართლო თავადვე აღიარებს დასკვნით ნაწილში),¹⁰ როდესაც ის ავიაკომპანიის მიერ გარდაცვლილი პირის ცხედრის სხვაგან გაგზავნისა და ამით გამოწვეულ განცდებს მიიჩნევს გარდაცვლილის ნათესავებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად.¹¹ რისგანაც განსხვავდება შოკით (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევით) მიყენებული ზიანის შემთხვევები (იხ. მუხ. 412 მე-18 ველი), რადგან აქ საქმე ეხება უშუალოდ ახლობელი პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.¹²

- 7 როგორც ეს 413 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარეობს, ანაზღაურებას არ ექვემდებარება ე. წ. **სამოყვარულო (აფექციონის) ინტერესი**.¹³ სამოყვარულო ინტერესის დაზიანება სახეზე გვაქვს იმ

ძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 659 და შემდგომი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის № ას-1015-1287-09 გადაწყვეტილება - ნაჭყებია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 161; 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება; ბიჭია, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, „სამართალი და მსოფლიო“, 4/2016, გვ. 52.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 9 სექტემბრის № ას-979-940-2014 განჩინება; არასწორია ამ საკითხთან დაკავშირებით ბიჭია, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, „სამართალი და მსოფლიო“ 4/2016, გვ. 53.

11 ზემოთ მოყვანილი, ცხედრის სხვაგან გადაგზავნის შემთხვევისაგან განსხვავებით უფრო გართულებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა თავის გადაწყვეტილებაში (2011 წლის 17 ნოემბრის № 2ბ/2774-11 გადაწყვეტილება (4.2.3.)), ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება), როდესაც სასამართლო ახლობელი პირის გარდაცვალების გამო უშუალოდ დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანებაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა ამ ორ მოვლენას შორის კავშირის პრეზუმციის რანგში აყვანა უკვე არასწორია, შდრ. ამასთან დაკავშირებით მუხ. 412 მე-18 ველი; შდრ. ასევე 2012 წლის 12 მარტის № ას-100-96-2012 გადაწყვეტილება, სადაც ბუნდოვანია, თუ რა წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, შვილის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილი, თუ ამით განპირობებული ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც ამ სულიერი ტკივილის მიზეზი. სასამართლოს მსჯელობის გაზიარება მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაშია შესაძლებელი. შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №58240/08). საეარაუდოდ, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სამართალწარმოების ხარვეზი – „მიდასამართლებრივი სისტემა არ იძლეოდა საშუალებას, სამედიცინო დაუდევრობით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში, გარდაცვლილი მსხვერპლის ახლო ნათესავებს მოეთხოვათ მორალური ზიანი“ – აღმოფხვრილად ჩაითვლება, თუ ქართული სასამართლო თანმიმდევრულად გამოიყენებს და განავითარებს „შოკით მიყენებული ზიანის“ პრინციპებს ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში. იხ. საპირისპირო გადაწყვეტის კრიტიკისათვის მომდევნო სქოლიო.

12 არასწორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება, სასამართლოს ყურადღების მიღმა რჩება ის გარემოება, რომ დაზარალებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდა არა უბინაობით, გაუთვალისწინებელი ვალებითა და ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით, არამედ აღნიშნული გარემოებების გამო საკუთარი (ფიზიკური და ფსიქიკური) ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეულ სულიერ ტანჯვაზე, რაც საკმარისი საფუძველია 413 II მუხლის მიხედვით ამ ზიანის ანაზღაურებისათვის. პრობლემურ საკითხს ამ შემთხვევაში მხოლოდ მიზეზ-შედეგობრიობა წარმოადგენდა (412), რასაც სასამართლო გაკვრით და არადამაჯერებლად შეეხო (იხ. მუხ. 412 მე-40 და 50-ე სქოლიო) და არა მოცემული ზიანის 413 II მუხლის ქვეშ უზუსტმცია.

13 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 303*; შდრ. *ცერცვაძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 661 და იქ ხსენებული „სუბიექტური ინტერესი“, თუმცა იქვე მოყვანილი მაგალითი უკვე მატერიალური ზიანის სფეროს განეკუთვნება.

შემთხვევაში, როდესაც დაზიანებულ ან განადგურებულ ნივთს დაზარალებულისათვის განსაკუთრებული არამატერიალური ღირებულება ჰქონდა (შინაური ცხოველი, სამახსოვრო საჩუქარი). თუმცა მათი განადგურების შემთხვევაშიც ანაზღაურებადია ამ ცხოველის ან ნივთის მხოლოდ ობიექტური ღირებულება.¹⁴

IV. მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა

როგორც ეს 413 I მუხლშია ნახსენები (რაც ამ მუხლის მეორე ნაწილის შემთხვევაშიც რჩება ძალაში), მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობა უნდა იყოს **გონივრული** და **სამართლიანი**, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კომპენსაციის მიზნის გათვალისწინებას. 8

1. კომპენსაციის მიზანი

დამზიანებლის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებულ სულიერ ტკივილს პირდაპირი ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, ამიტომაც გადაწყვეტია ამ კომპენსაციის მიზანი, რაც, თავის მხრივ, კამათის საგანს წარმოადგენს. თავდაპირველად მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციად, მატერიალური ზიანის კომპენსაციის დარად, არამატერიალური ზიანის **გამოსწორება** იყო მიჩნეული.¹⁵ მოგვიანებით გაბატონებული შეხედულების¹⁶ თანახმად, მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა მიჩნეულ იქნა თავისებური ტიპის მოთხოვნად, რომელიც აუცილებელი არ არის, ყველა მნიშვნელოვან პუნქტში გადაიკვეთოს მატერიალური ზიანის მოთხოვნის უფლებასთან. ის არსებითად განსხვავება „ნამდვილი“ ზიანის მოთხოვნის უფლებასაგან იმით, რომ მას გამოსწორების ფუნქციის გარდა, ასევე **მორალური დაკმაყოფილების** ფუნქციაც („სულიერი ტკივილის დადებითი ემოციით შეცვლა“¹⁷) ენიჭება (მორალური ზიანის ანაზღაურების ორმაგი ფუნქცია).¹⁸ აქედან გამომდინარე, სულიერი ტკივილისათვის 9

14 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 303; შდრ. *ცერცვაძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 672 და შემდგომი.

15 BGHZ 7, 226; შდრ. გერმანიის ფედერალური სასამართლოების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილებების რეზიუმეთა ერთობლიობა, იხ. ბმულზე: <http://library.court.ge/index.php?id=2669> (ბოლოს ნანახია; 04.06.2018).

16 BGH NJW 1955, 1675.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 19 მაისის № ას-998-956-2013 განჩინება; 2013 წლის 8 ნოემბრის № ას-370-352-2013 განჩინება; 2009 წლის 9 ნოემბრის № ას-823-1109-09 განჩინება; 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ზ-614 განჩინება (4.25.); *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 33.

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის № ას-1477-1489-2011 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის №2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.3.); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 2ბ/5775-15 გადაწყვეტილება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ზ-614 განჩინება (4.24.); *ცერცვაძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 672 და შემდგომი; *ბიჭია*, არაქონებრივი ზიანის

ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია კონკრეტული შემთხვევის ყველა თავისებურება, მათ შორის დამზიანებლის ბრალის ხარისხი¹⁹ და მხარეთა ქონებრივი²⁰ თუ ოჯახური²¹ მდგომარეობა (შდრ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით **მუხ. 18 102-ე და მომდევნო ველები**).²²

10 თუმცა დღესდღეობით გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მორალური დაკმაყოფილების ფუნქციას მხოლოდ დამზიანებლის **განზრახვის** ან **უხეში გაუფრთხილებლობის** შემთხვევაში ენიჭება დამოუკიდებელი მნიშვნელობა.²³ ასევე გასათვალისწინებელია თავად **პასუხისმგებლობის საფუძველიც**. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის ან საფრთხის გამომწვევი დელიქტების შემთხვევაში დამზიანებლის ბრალი არანაირ როლს არ ასრულებს, განსხვავებით სხეულის განზრახ დაზიანების ან სქესობრივი დანაშაულის შემთხვევებისგან.²⁴

2. არამატერიალური ზიანი აღქმა-გაცნობიერების სრულად დაკარგვისას

11 ხსენებული კრიტერიუმების თანახმად, განსაკუთრებით პრობლემურია მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული სრულად კარგავს აღქმა-გაცნობიერების უნარს. მაგალითად, დამზიანებელი ცემისას დაზარალებულს იმგვარად დაუზი-

ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2016, გვ. 104; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 33; *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 111.

19 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.24.); შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება.

20 BGHZ 18, 157; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.24.); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის № 2ბ/2774-11 გადაწყვეტილება (4.2.3.); 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება № ას-100-96-2012; *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 159 და შემდგომი; *ბიჭია*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2016, გვ. 106.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის № ას-894-1514-04 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის № 2ბ/679-12 გადაწყვეტილება (4.2.); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (2.23.); შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 აპრილის № 3კ/1483-02.

22 ამასთან სულიერი ტანჯვის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლებელია დაზიანების შედეგად მთელი პროფესიული განათლებისა და მომზადების „წყალში ჩაყრაც“ აღმოჩნდეს, იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.11.); იხ. შეჯამებისათვის *მესხიშვილი*, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 102; ასევე *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 111 და შემდგომი.

23 შდრ. *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 334 f.

24 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 335.

ანებს თავის ტვინს, რომ ამის შემდეგ ეს უკანასკნელი სრულებით კარგავს რაიმეს აღქმის უნარს და ლოგინს არის მიჯაჭვული. ერთი მოსაზრების²⁵ თანახმად, დაზარალებულს ამ შემთხვევაში მხოლოდ **სიმბოლური კომპენსაციის** მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს, რადგან დაზარალებული არც ტკივილს განიცდის და არც მისი მორალური დაკმაყოფილება შესაძლებელი ამ ტკივილისათვის კომპენსაციის გადახდის მეშვეობით. ეს მოსაზრება, საბოლოო ჯამში, უკუსაგდება. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი „**პიროვნულობის ხელშეუვალობის**“ გათვალისწინებით, დაუშვებელია, რომ დამზიანებლის აღქმის უნარის დაკარგვამ დაზარალებული თითქმის სრულად გაათავისუფლოს მორალური კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისაგან.²⁶

3. ცხოვრების ხარისხის ობიექტური გაუარესება, როგორც საორიენტაციო მასშტაბი

პრობლემურია ზემოთ მოყვანილის მსგავს შემთხვევებში მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას დაზარალებულის **სუბიექტური განცდები**²⁷ თუ, პირველ რიგში, **ცხოვრების ხარისხის ობიექტური გაუარესება** უნდა დაედოს საფუძვლად.²⁸ ამ უკანასკნელი კრიტერიუმის გაზიარების შემთხვევაში, რომელიც ზემოთ მოყვანილი (მე-11 ველი) მაგალითის გათვალისწინებით უფრო დამაჯერებელია, დაზარალებულის სუბიექტური განცდების მნიშვნელობა უკანა პლანზე იხევს.²⁹ თუმცა, საბოლოო ჯამში, პირის სულიერმა ტკივილმა შეიძლება გაამართლოს თავდაპირველად ობიექტური გარემოებების საფუძველზე განსაზღვრული კომპენსაციის გაზრდა.

V. ფულადი კომპენსაცია პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შემთხვევაში

განსხვავებული წესი უნდა გავრცელდეს პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსა-

25 BGH NJW 1976, 1147.

26 BGHZ 120, 5; BGH NJW 1993, 1532.

27 Brox/Walker, Schuldrecht BT, 35. Aufl., 2011, § 52 Rn. 9; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 2ბ/5775-15 გადაწყვეტილება (4.2.), თუმცა სასამართლო ამავდროულად მთელ რიგ ობიექტურ გარემოებებზე აკეთებს აქცენტს.

28 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 335.

29 სავარაუდოდ ამასვე გულისხმობს უზენაესი სასამართლო (2014 წლის 19 მაისის № ას-998-956-2013 განჩინება; 2005 წლის 30 ივნისის № ას-1433-1531-04 გადაწყვეტილება; 2003 წლის 24 აპრილის № 3კ-1240-02 გადაწყვეტილება; 2003 წლის 30 მაისის № 3კ-433-03 გადაწყვეტილება; 2003 წლის 30 ივლისის № კ-423-03 გადაწყვეტილება; შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება) როდესაც ამბობს – „როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი“ – თუმცა სასამართლო ამ თავის განმარტებაში არ უსვამს რა ხაზს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულის სულიერ განცდებს არა ზოგადად, არამედ მხოლოდ ცხოვრების ხარისხის ობიექტურ გაუარესებასთან შედარებით ენიჭება მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, არსებობს იმის საფრთხე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქცია მხოლოდ სიმბოლურ კომპენსაციამდე იქნება დაყვანილი, რაც არასწორია.

ზღვრაზე. ამ შემთხვევაში კომპენსაციის საფუძველია არა 413 II, არამედ 18 VI 2 მუხლი (იხ. მუხ. 18, 107-ე და მომდევნო ველები). მორალური კომპენსაციის მოთხოვნისათვის აუცილებელია, რომ პირმა არა მხოლოდ ხელყოს სხვისი პირადი არაქონებრივი უფლება, არამედ გააკეთოს ეს განსაკუთრებით **ძვირფასად**.³⁰

14 პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას სასამართლო პრაქტიკა³¹ დაზარალებულს საკმაოდ **დიდი ოდენობის** მორალურ კომპენსაციას ანიჭებს ხოლმე. ეს ეხება განსაკუთრებით მასმედიის საშუალებების მიერ ამ უფლებების დარღვევას, რაც მათი მხრიდან, ჩვეულებრივ, მოგების მიღების მიზნით ხდება. ამ შემთხვევებში გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ფულად კომპენსაციას, გამოსწორებისა და მორალური დაკმაყოფილების ფუნქციის გარდა, ასევე **პრევენციის** ფუნქცია ენიჭება.³² მხოლოდ საგრძნობმა ქონებრივმა სანქციამ შეიძლება აიძულოს პირი, ხელი აიღოს სხვისი პირადი სფეროს ხელყოფაზე.³³

15 ფულადი კომპენსაციის ოდენობის ამგვარი განსხვავება 413 II მუხლისა და 18 VI 2 მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობისას, საკმაოდ საკამათოა. კომპენსაციამ მასმედიის მეშვეობით პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევისათვის შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ძვირფას ფიზიკური თუ ფსიქიკური ტრავმისათვის გადასახდელ კომპენსაციას.³⁴ თუმცა აქ მაინც არ არის სახეზე თანასწორობის პრინციპის დარღვევა (კონსტიტუციის მე-14 მუხლი), რადგან ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. ზემოთ ხსენებული პრევენციის ფუნქცია, რაც პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას წინა პლანზე დგას, 413 II მუხლის შემთხვევაში არანაირ როლს არ ასრულებს.³⁵

30 BGHZ 128, 12.

31 BGHZ 128, 15; BGH NJW 1996, 987.

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აპრილის № ას-1477-1489-2011 განჩინება; აქიდან გამომდინარე 18 VI 2 მუხლი მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს და არ ტოვებს ადგილს 413 II მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფარგლებში განვითარებული პრინციპების გამოყენებისათვის (იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით მე-18 მუხლის კომენტარი).

33 წინააღმდეგ შემთხვევაში მოგება დიდი ალბათობით ყოველთვის გადაწონის ფულადი კომპენსაციის სახით გადახდილ დანაკარგს და იქნება სტიმული პირადი უფლებების დარღვევისათვის სხვა შემთხვევებშიც (შდრ. BGHZ 128, 1).

34 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 337.*

35 BVerfG NJW 2000, 2187; თუმცა შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის № ას-868-817-2010 განჩინება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.24.); *ბიჭია*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2016, გვ. 104; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 33.

მუხლი 414. ზიანის ოდენობის განსაზღვრა

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.

- I. ზოგადი.....753
- II. დაზარალებულის ინტერესი, როგორც სუბიექტური ღირებულება.....754
- III. დაზარალებულის ინტერესი, როგორც ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი755
 - 1. ნივთის გამოყენების შეუძლებლობა755
 - ა. პირადი მიზნებისათვის გამოყენებული ნივთი.....755
 - ბ. ცენტრალური მნიშვნელობის სიკეთის ხელყოფა756
 - გ. გარკვეული ქონებრივი მნიშვნელობის მქონე სარგებლის დაკარგვა757
 - დ. მოთხოვნის მოცულობა.....757
 - 2. ზიანის შემცირების, აღმოფხვრის, გამოთვლისა და „წინდახედულობის“ დანახარჯები758
 - 3. ამაო დანახარჯები759
 - 4. შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა760
 - 5. შევებულება და თავისუფალი დრო761
 - ა. კომერციალიზების პრინციპი762
 - ბ. 662 II მუხლი.....762
 - გ. (უსარგებლოდ) დაკარგული დრო.....763
 - დ. ბავშვის რჩენა, როგორც ზიანი763
- IV. სარგებლის გამოქვითვა764

I. ზოგადი

მრავალ შემთხვევაში 408-ე მუხლის მიხედვით ზიანის ოდენობის განსაზღვრისას პრობლემურია ქონებრივი ზიანის (408 I, III, 409) არაქონებრივისაგან (413) განსხვავება, ისევე როგორც ცალკეული ტიპის ზიანის რესტიტუციის საკითხი სხვა გარემოებების გათვალისწინებით. ამ უკანასკნელი შემთხვევებისათვის 414-ე მუხლი განსაზღვრავს გარკვეულ **კრიტერიუმებს** ანაზღაურებადი ზიანის არაანაზღაურებადისაგან **გამიჯვნისათვის**. ამ გაგებით ის წარმოადგენს 411-ე და 412-ე მუხლების შემავსებელ დანაწესს და იდენტურ მიზანს ემსახურება – დააკონკრეტოს ზიანის ანაზღაურების ფარგლები. მთავარ ორიენტირად კანონმდებელი, პირველ რიგში, მიიჩნევს დაზარალებულის ინტერესს (414 1), ხოლო თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ეხება საქმე, დამატებით კიდევ ხელშეკრულების შესრულების ადგილსა და დროს (414 2). თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს კრიტერიუმები ერთმანეთისაგან ზუსტად გამიჯვნადი არ არის – კრედიტორის ინტერესი მოვალის ჯეროვანი შესრულების მიმართ, ხშირად, დაუდგენელია ხელშეკრულების შესრულების

1

ადგილისა და დროის გათვალისწინების გარეშე და, პირიქით, ამ ადგილსა და დროს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ კრედიტორს მის მიმართ ინტერესი არ ჰქონია. გამომდინარე აქედან, უფრო გამართლებულია 414-ე მუხლის 1-ლი და მე-2 წინადადებების არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პრინციპებად აღქმა, არამედ 414-ე მუხლის ორივე წინადადებიდან ერთიანი პრინციპის გამოყვანა, რომლის მიხედვითაც ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დაზარალებულის ინტერესი კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით. 414 2 მუხლისათვის დამოუკიდებელი მნიშვნელობის არმინიჭება და მისი მხოლოდ განმარტებითი ხასიათის ჩანანერად აღქმა გამართლებული ჩანს ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 414-ე მუხლი თანაბრად გამოიყენება, როგორც ხელშეკრულების დარღვევით, ასევე დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას.¹ ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი 414 2 მუხლში წამოყენებული კრიტერიუმები უკვე არანაირ როლს არ ასრულებენ.

II. დაზარალებულის ინტერესი, როგორც სუბიექტური ღირებულება

- 2 როგორც ზემოთ ვახსენეთ, 414 1 მუხლში ნახსენები ინტერესის ცნება არ უნდა გავიგოთ ვინრო გაგებით, ინტერესად, რომელიც კრედიტორს აქვს ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ის მოიცავს ასევე დელიქტური ზიანის შემთხვევაშიც იმ ინტერესს, რაც დაზარალებულს ჰქონდა საკუთარი სიკეთეების არდაზიანების მიმართ. ქონებრივ და არა-ქონებრივ ზიანს შორის მიჯნის გავლება ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით ხდება. ქონებრივ ზიანს წარმოადგენს იმ სიკეთის ხელყოფა, რომელსაც საბაზრო ან, ზოგადად, (სამოქალაქო ბრუნვაში) რაიმე ღირებულების მქონეა (იხ. მუხ. 408 მე-10 ველი). თუმცა თავად დაზიანებული ქონებრივი სიკეთის განსაზღვრაც შესაძლებელია სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რა ღირებულება აქვს მას კონკრეტული დაზარალებულისათვის ან საყოველთაოდ აღიარებული ღირებულების შესაბამისად. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში ყოველთვის სუბიექტური ღირებულებაა გადამწყვეტი – თუ რა ფასი ჰქონდა ქონებას კონკრეტული მეპატრონისათვის.² სწორედ ამას გულისხმობს ზიანის ოდენობის დაზარალებულის ინტერესის მიხედვით განსაზღვრა.³ ჩვეულებრივ, ის აღემატება ნივთის ობიექტურ ღირებულებას. მაგალითად, მანქანის განადგურებისას, რომელსაც დაზარალებული საწარმოო მიზნებისათვის იყენებდა, დამზიანებელმა უნდა აანაზღაუროს არა მხოლოდ მანქანის ღირებულება, არამედ ასევე საწარმოსათვის მიყენებული ზიანიც. საბოლოო ჯამში, ამ შემთხვევაში საქმე ეხება თანმდევი ზიანის გათვალისწინებას, რომელიც

1 დაზარალებულის ინტერესი, გამოყენებინა მისი კუთვნილი ავტომანქანა საკუთარი საწარმოს ფარგლებში, თანაბრად მნიშვნელოვანია ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის, როგორც მეზობლის მიერ ცხელ გულზე მისთვის საბურავების დაჭრის, ასევე ხელსის მიერ გაუფრთხილებლობით საბურავის გახეთქვის შემთხვევაში.

2 *Enneccerus/Lehmann*, *Recht der Schuldverhältnisse*, 1958, § 14 I 2.

3 *Larenz*, *Schuldrecht I*, 1976, § 29 Ib.

დაზარალებულის საერთო ქონებრივ ბალანსში სხვა ადგილას იჩენს თავს.⁴ რაც შეეხება საპირისპირო შემთხვევას, როდესაც დაზარალებულის რეალური ინტერესი ჩამოუვარდება ქონების ობიექტურ ღირებულებას, მაგალითად, იმის გამო, რომ მესაკუთრემ ნივთის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და არც მის გაყიდვას აპირებდა, ამ დროს, გაბატონებული მოსაზრების თანახმად,⁵ ობიექტური ღირებულება წარმოადგენს ზიანის იმ მინიმალურ ოდენობას, რომელიც დამზიანებელმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აანაზღაუროს. ამ ფარგლებში მისი ქონება ნებისმიერ შემთხვევაში შემცირებულია, მაშინაც კი, როდესაც მისი გასხვისების სურვილი არ ჰქონია. სუბიექტური ღირებულება, ამგვარად, მხოლოდ მაშინ არის გადამწყვეტი, როდესაც ის ობიექტურს აჭარბებს.

როგორც ამას ზემოთ მოყვანილი შემთხვევები ნათელყოფს, სუბიექტური ღირებულება, ანუ ინტერესი, სრულებით განსხვავდება დაზარალებულის სუბიექტური განცდებისაგან, რაც **სამოყვარულო ინტერესის** ცნებაში ერთიანდება. სამოყვარულო ინტერესი 409-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით არ ანაზღაურდება (იხ. მუხ. 413 მე-7 ველი). მისგან განსხვავებით, ინტერესი 414-ე მუხლის გაგებით ქონებრივი კატეგორიაა და გულისხმობს ფულადი ეკვივალენტის მქონე მატერიალური ინტერესის ხელყოფას.

III. დაზარალებულის ინტერესი, როგორც ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი

საბოლოო ჯამში, დაზარალებულის ინტერესის საფუძველზე დამზიანებლისათვის თანმდები ქონებრივი ზიანის შერაცხვა საკმაოდ პრობლემურია და მოითხოვს მასთან დაკავშირებული კონკრეტული **კაზუისტიკის** გასიგრძეგანებას, რომელიც ქვევით იქნება მოყვანილი და აკონკრეტებს 414-ე მუხლში მოცემულ ზოგად პრინციპს.

1. ნივთის გამოყენების შეუძლებლობა

ნივთის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, დაზარალებული მის შეკეთებამდე ან შემცვლელი ნივთის შოვნამდე მოკლებულია ნივთის გამოყენების შესაძლებლობას. თუ საქმე **საწარმოო მიზნებისათვის** გამოყენებულ ნივთს ეხებოდა, აქ, ჩვეულებრივ, ყოველთვის სახეზეა მიუღებელი შემოსავალი, რომელიც 411-ე მუხლის მიხედვით უნდა ანაზღაურდეს.⁶

ა. პირადი მიზნებისათვის გამოყენებული ნივთი

ამისგან განსხვავებით პრობლემურია **პირადი (არასაწარმოო) მიზნებისათვის** გამოყენებული ნივთის დაზიანება, მაგალითად, **პირადი ავტომანქანის**. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ შემთხვევაშიც დაზარალებულს აქვს (ნივთით სარგებლობის) ნატურით რესტიტუციის

4 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 Ib; შდრ. ასევე ცერცვაძე, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 660 და შემდგომი.

5 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 Ib.

6 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის № 2ბ/736-15 განჩინება (4. 8.).

მოთხოვნის უფლება. მას შეუძლია, მანქანის შეკეთებამდე იქირაოს იმავე მონაცემების სხვა მანქანა, ხოლო ქირავნობის ხარჯების ანაზღაურება 408 I, III მუხლების ანალოგიით (იხ. მუხ. 408 მე-13 ველი) დამზიანებელს მოსთხოვოს,⁷ თუმცა იგივე წესი არ ვრცელდება პირადი სიამოვნებისათვის გამოყენებულ სკუტერზე.⁸ ასევე საკამათოა იმ შემთხვევის გადანყვება, როდესაც დაზარალებული უარს ამბობს შემცველი ნივთის დაქირავებაზე და სხვა გზას მიმართავს, მაგალითად, ველოსიპედით დადის სამსახურში. გერმანული სასამართლო პრაქტიკის⁹ მიხედვით, ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს კონკრეტული ქონებრივი მსხვერპლის გაღება არ უნევს, დამზიანებელი მაინც ვალდებულია, გადაუხადოს მას ნივთით სარგებლობის დაკარგული შესაძლებლობისათვის ფულადი კომპენსაცია. იხ. სარგებლის ღირებულების **გამოთვლის მე-თოდთან** დაკავშირებით ქვემოთ, მე-5 და მომდევნო ველი.

- 7 მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების საკითხი დგება არა მხოლოდ პირადი ავტომანქანის, არამედ ყველა სხვა (არასანარმოო მიზნებისათვის) გამოყენებული ნივთების შემთხვევაშიც. პრობლემურია შემთხვევა,¹⁰ როდესაც მეზობელ მიწის ნაკვეთზე არასწორად წარმოებული სამშენებლო სამუშაოების გამო, პირის კერძო სახლი დროებით გამოუყენებელი ხდება და მესაკუთრე, მას შემდეგ, რაც ამ პერიოდს საცხოვრებელ ვაგონში გაატარებს, დამზიანებლისაგან ითხოვს ანაზღაურებას კერძო სახლით სარგებლობის დაკარგული შესაძლებლობისათვის. ამ სარგებლობის შეუძლებლობისათვის ფულადი ანაზღაურების გადახდის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის არგუმენტი, რომ აქ მესაკუთრის მიერ განცდილი დანაკლისი, საბოლოო ჯამში, კომფორტულის მაგივრად არაკომფორტულ პირობებში ცხოვრებაა. ეს კი მხოლოდ **არაქონებრივ ზიანს** წარმოადგენს, რომელიც 413 I მუხლის მიხედვით, ჩვეულებრივ, არ ანაზღაურდება.¹¹ თუმცა, მეორე მხრივ, დაზარალებულს ამ შემთხვევაში უფლება ჰქონდა, ექირავა შესაბამისი ბინა და დამზიანებლისაგან მოეთხოვა ქირის დაფარვა. იმ ფაქტმა, რომ მან სხვაგვარი გადანყვეტილება მიიღო, ეს უკანასკნელი პასუხისმგებლობისაგან არ უნდა გაათავისუფლოს. პირიქით, ამ შემთხვევაში დაზარალებულის „მომჭირნობის“ დაჯილდოებაა გამართლებული.¹²

ბ. ცენტრალური მნიშვნელობის სიკეთის ხელყოფა

- 8 გერმანული სასამართლო პრაქტიკა ზემოთ ხსენებულ ინტერესთა კონფლიქტს შემდეგნაირად წყვეტს: დაკარგული სარგებელი ანაზღაურდება იმ პირადი მოხმარების ნივთების შემთხვევაში, რომლებსაც **ცენტრალური** (პირველადი) საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა აქვთ,¹³ აუცილებელია

7 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 428 ff.

8 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის № 23/1882-1 გადანყვეტილება (2.9.).

9 BGH NJW 2005, 277.

10 BGHZ 98, 212; 117, 260.

11 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 IIc.

12 იხ. Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 339 და იქ მითითებული ლიტერატურა.

13 BGHZ 98, 222: ნივთები, „რომელთა ყოველდღიურ გამოყენებაზეც არის დამოკიდებული

გარკვეული ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის. ამ ნივთებს განეკუთვნება, პირადი ავტომანქანის გარდა: საცხოვრებელი სახლი, სამზარეულო ავეჯი და მოწყობილობები, ტელევიზორი, ინტერნეტი, გარაჟი.¹⁴ ამის საპირისპიროდ, ფუფუნების საგნების შემთხვევაში, როგორებიცაა: აუზი, ბენვის შუბა, საჯირითო ცხენი (თუ პროფესიონალ ჟოკეის არ ეხება საქმე) თუ სკუტერი, მიუღებელი სარგებელი, არ ანაზღაურდება.¹⁵ ეს გადაწყვეტილებაც, საბოლოო ჯამში, არ არის საყოველთაოდ აღიარებული, არა მხოლოდ აუცილებელ და არააუცილებელ სიკეთეებს შორის გამიჯვნის არამყარი კრიტერიუმებისა გამო, არამედ ასევე იმ არგუმენტით, რომ დაზარალებულის ატიპური ცხოვრების წესიც დაცვას იმსახურებს.¹⁶

გ. გარკვეული ქონებრივი მნიშვნელობის მქონე სარგებლის დაკარგვა

ნივთის დაზიანების გამო ხელიდან გაშვებულ სარგებელს უნდა ჰქონდეს გარკვეული (არაუმნიშვნელო) ქონებრივი ღირებულება იმგვარად, რომ მისი დაკარგვა **საგრძნობი** იყოს დაზარალებულისათვის. აუცილებელია ნივთით **სარგებლობის სურვილი** და მისი **ჰიპოთეტური შესაძლებლობა**.¹⁷ თუ ავტომანქანის მესაკუთრე მაინც ვერ მოახერხებდა მის გამოყენებას იმის გამო, რომ მანქანის შეკეთებამდე თავადაც საავადმყოფოში იწვა,¹⁸ ან სათადარიგო მანქანა ჰყავდა განკარგულებაში,¹⁹ სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა გამოირიცხოს. სხვაგვარად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის ახლობელ პირს შეეძლო მანქანით სარგებლობა.²⁰

დ. მოთხოვნის მოცულობა

სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება შემცველი საგნის ქირავნობის **საშუალო ტარიფის** მიხედვით.²¹ ქირა, რომელიც მსგავსი საგნის ქირავნობის ტარიფს აღემატება, ჩვეულებრივ, არ ანაზღაურდება.²² ასევე, თუ, მაგალითად, შემცველი მანქანა უფრო

თვითკმარი საყოფაცხოვრებო მეურნეობის გაძლოა“.

14 BGHZ 98, 223; LG Kiel NJW-RR 1996, 559; AG Frankfurt a. M. NJW 1993, 137; BGHZ 196, 101; BGHZ 96, 124.

15 BGHZ 76, 179; BGHZ 63, 393; LG Karlsruhe NJW-RR 1997, 468; იგივე წესი მოქმედებს ტერასისა და ბაღის შემთხვევაში, რომლებიც ასევე არ განეკუთვნებიან დაცულ ქონებრივ სიკეთეებს (BGH NJW 1993, 1794); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის № 2ბ/1882-1 გადაწყვეტილება (2.9.).

16 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 339 და იქ მითითებული დამატებითი ლიტერატურა.

17 BGHZ 45, 219.

18 BGH NJW 1968, 1778.

19 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, Vorbem. § 249, Rn. 42.

20 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 428.

21 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 432; ასევე ამის საპირისპირო შემთხვევაში (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის № 2ბ/736-15 განჩინება (4. 8.)), როდესაც ზიანის (411) მიყენება იჯარის საგნის დროულად დაუბრუნებლობით ხდება, მისი მოცულობა შეთანხმებული ქირის მიხედვით განისაზღვრება.

22 *Oetker*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 433 f. მხოლოდ მაშინ არის ანაზღაურებადი, თუ განპირობებულია სანაცვლოდ შეთავაზებული დამატებითი მომსახურებით (რომლის აუცილებლობაც თავდაპირველი ნივთის დაზიანებით იყო გამოწვეული), ან შემცველი ნივთის ჩვეული ტარიფით ზონის შეუძლებლობით.

ახალია, ვიდრე დაზიანებული, ამ „ზედმეტი“ სარგებლის ღირებულება უნდა გამოიქვითოს.

2. ზიანის შემცირების, აღმოფხვრის, გამოთვლისა და „წინდახედულობის“ დანახარჯები

- 11 დანახარჯები, რომელთა განევაც დაზარალებულს უნევს ზიანის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის და შეუძლია მიიჩნიოს ამისათვის აუცილებლად, ანაზღაურებადია როგორც ზიანი, დამოუკიდებლად იმისა, ნივთის თუ პირის დაზიანებას ეხება საქმე.²³ მაგალითად, დაზიანებული თვალის ბადურის შემდგომი ჩამოშლის შეჩერების ხარჯები ან თვალის ოპერაციამდე სათვალის შექმნა, რათა დაზარალებულს ჰქონდეს მუშაობის შესაძლებლობა და დამზიანებელს არ მოუწიოს მისთვის დამატებით განაცდურის ანაზღაურება. ზიანს წარმოადგენს ასევე თავდაპირველი სიკეთის ხელყოფით მიყენებული დანაკლისის მოცულობის გამოთვლის დანახარჯები, მაგალითად, სამედიცინო დიაგნოსტიკის ხარჯები.²⁴ ხარჯები, რომელთა განევის ვალდებულებაც დაზარალებულს ანევს 415-ე მუხლის ფარგლებში (იხ. მუხ. 415, მე-19 ველი), ყოველთვის ანაზღაურებადია.
- 12 **წინდახედულობის ზომებისათვისათვის** განეულ დანახარჯებში მოიაზრება ის ხარჯები, რომლებსაც დაზარალებული წინასწარ ნევს ზიანის თავიდან აცილების ან მისი ოდენობის შემცირების მიზნით („წინდახედულობის დანახარჯების“). ზოგადი პრინციპების თანახმად, ამ ხარჯების ანაზღაურება გამორიცხულია იმის გამო, რომ ისინი არ შეერაცხება დამზიანებელს 412-ე მუხლის მიხედვით, განხორციელებულია რა ზიანის გამომწვევი მოვლენის დადგომამდე და ამგვარად არ შეიძლება ჩაითვალოს დამზიანებლის მიერ გამონეულად.²⁵ ამგვარად, წინდახედულობის დანახარჯები, როგორცაა ქურდობისაგან თავის დაზღვევის მიზნით სასიგნალიზაციო მოწყობილების დამონტაჟება ან დაცვის სამსახურის დაქირავება, არ წარმოადგენს ანაზღაურებად ზიანს.²⁶ გამონაკლისი ხსენებული ნესიდან არის შემთხვევა, როდესაც დაზარალებული ავარიის შემდეგ დაზიანებულ მანქანას (ტრამვაის,²⁷ ავტობუსს²⁸) ამ მიზნისათვის წინასწარ მომზადებული სათადარიგო მანქანით ანაცვლებს. ამ შემთხვევაში დამზიანებელი ვალდებული უნდა იყოს, ნაწილობრივ მაინც აუნაზღაუროს სათადარიგო ნივთის შენახვის ხარჯები, კერძოდ, მისი შენახვის ხარჯები იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც სათადარიგო ნივთი გამო-

23 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 II f.

24 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის № 28/679-12 გადაწყვეტილება (4.1.); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/8-614 განჩინება (4.19, 4.21.): გამოთვლის ხარჯებს განეკუთვნება დაზარალებულის, მისი თანმხლები პირისა და თარჯიმნის გერმანიაში გამგზავრებისა და ცხოვრების ხარჯები იქაური კლინიკის მოსანახულებლად (იხ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მუხ. 408 მე-40 სქოლიო).

25 Looschelders, Schuldrecht Allgemeiner Teil, 9. Aufl., 2011, S. 341.

26 BGHZ 75, 230.

27 BGHZ 32, 284.

28 BGHZ 70, 201.

სადეგი და აუცილებელი იყო ზიანის თავიდან ასაცილებლად.²⁹ თუმცა ეს დანახარჯები ანაზღაურებადია მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც დაზარალებულს მიადგებოდა ზიანი სათადარიგო ნივთის მომარაგების გარეშე.³⁰ საბოლოო ჯამში, ასეთი გადაწყვეტა გამართლებულია იმითაც, რომ ის უზრუნველყოფს ასევე დამზიანებლის დამატებითი პასუხისმგებლობისაგან დაცვასაც, რადგან სათადარიგო ნივთის მომარაგების გარეშე ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა გაცილებით დიდი იქნებოდა.³¹

3. ამაო დანახარჯები

დაზარალებულმა დამზიანებლის ქმედების გამო შეიძლება დაკარგოს არა მხოლოდ კუთვნილი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობა, არამედ ასევე **ნებაყოფლობით განეული ხარჯები**, რომლებიც ზიანის გამომწვევი მოვლენის შემდეგ **ამაო** აღმოჩნდა. ამ დანახარჯების ანაზღაურების ბედიც, 414-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულისა და დამზიანებლის ინტერესთა ანონ-დანონის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. მაგალითად,³² მონადირე ავტოსაგზაო შემთხვევაში მიღებული დაზიანებების გამო ერთი წლის განმავლობაში მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს მანამდე იჯარით აღებული ნადირობის უფლება. ამ დროს ქონებით სარგებლობის შესაძლებლობის დაკარგვა გამომწვეულია არა თავად ამ ქონების, არამედ მოსარგებლის **სხეულის ან ჯანმრთელობის** დაზიანების გამო ზოგადად სარგებლობის უნარის მოსპობით. ამ დანახარჯებისათვის ანაზღაურების უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოშობილიყო, თუ ისინი ქონებრივ ზიანად ჩაითვლებოდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, გაბატონებული მოსაზრების თანახმად,³³ „**ამაო დანახარჯების**“ კომპენსირების შესაძლებლობა სრულებით უკუგდებულება, რადგან ეს ანაზღაურების ვალდებულების არაპროგნოზირებად გაფართოებას გამოიწვევდა. მოცემული წესი მოქმედებს დამოუკიდებლად იმისა, ფუფუნების საგნებს ეხება საქმე (მაგ., ნადირობის უფლების იჯარა) თუ პირველადი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის საგნებს (მაგ., ავტომანქანა). მაშინაც კი, თუ ეს დანახარჯები ქონებრივ ზიანად დაკვალიფიცირდებოდა, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხული უნდა ყოფილიყო, გამომდინარე იქიდან, რომ მომარაგებული სიკეთეებით სარგებლობის უფლება სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში არ არის მოცული ნორმის დაცვის მიზნით (იხ. მუხ. 412, მე-10 ველები).³⁴

იგივე წესი უნდა გავრცელდეს **ნივთის დაზიანებამდე მასზე განეულ დანახარჯებზეც**, თუ ისინი უშუალოდ ნივთის ღირებულებას არ ზრდიან. მაგალითად, შინაური ცხოველის მოკვლის შემთხვევაში მეპატრონე ვერ

29 *Flume*, in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 249, Rn. 358.

30 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 249, Rn. 62. რა თქმა უნდა, დაუშვებელია, რომ სათადარიგო ნივთის შენახვის ხარჯებმა გადააჭარბოს ამ შემცველი ნივთის სხვისაგან ქირავნობის ხარჯებს.

31 *Brox/Walker*, Schuldrecht AT, 35. Aufl., 2011, § 31 Rn. 34.

32 BGHZ 55, 146.

33 BGHZ 55, 151; *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 340.

34 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 340.

მოითხოვს ამ ცხოველისათვის 6 თვის წინასწარ მომარაგებული საკვების, როგორც ამო დანახარჯების, ღირებულების ანაზღაურებას. კონკრეტული სიკეთის ქონებრივი ღირებულების გამოთვლისას ასევე უმნიშვნელოა მისი მოპოვების ხერხი.³⁵ განადგურებული ავტომანქანის ღირებულება არ განისაზღვრება იმის მიხედვით, ორმაგ ფასად იყიდა ის მეპატრონემ, თუ ლატარიაში მოიგო.

- 15 ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც განეული დანახარჯების ანაზღაურება შეიძლება დასაშვები იყო, არის **ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ფარგლებში ე. წ. მომგებიანობის (ანუ ინვესტიციის გამართლების) ვარაუდი.**³⁶ მაგალითად, თუ მყიდველი ყიდულობს მანქანას მისი შემდგომი გაქირავების მიზნით და ამასთან იქირავებს გარაჟს მის მოსათავსებლად, თუმცა გამყიდველი მანქანის გადაცემამდე მას ბრალეულად განადგურებს, მყიდველი შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის (იხ. მუხ. 408, მე-15 ველი) ფარგლებში, დიფერენციის ჰიპოთეზის საფუძველზე გარაჟის ქირას ვერ მოითხოვს, რადგან მას ამ დანახარჯების განევა ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც მოუწევდა. ამიტომაც ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია დაზარალებულის სასარგებლოდ ე. წ. (განეული ხარჯების) მოგებიანობის ვარაუდის დაშვება,³⁷ ანუ სანინალმდეგოს დამტკიცებამდე დადგენილად მიჩნევა იმ ფაქტისა, რომ ინვესტიცია საკუთარ თავს გამოისყიდდა. მოგებიანობის ვარაუდი არ მოიცავს მიუღებელ შემოსავალს (200 ლარად ნაქირავები გარაჟი 400 ლარის მოგებას მოიტანდა) და, ჩვეულებრივ, მასზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ სამენარმეო საქმიანობისას.³⁸

4. შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა

- 16 ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს შრომისუნარიანობის შეზღუდვით ან დაკარგვით ადგება კონკრეტული ქონებრივი ზიანი (გასამრჯელოს დაკარგვა, მიუღებელი შემოსავალი და ა.შ.), ეს ზიანი ანაზღაურებადია 409-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, თუმცა პრობლემურია შემთხვევა, როდესაც დაზარალებული დაკავებულია უსასყიდლო საქმიანობით ან ამ საქმიანობას საზოგადოებრივ სანყისებზე ეწევა. მაგალითად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, უნდა აუნაზღაურდეს თუ არა მონასტერში მცხოვრებ ბერს, რომელიც მხოლოდ მონასტრის შიდა საქმეებით იყო დაკავებული, შრომის უნარის შეზღუდვა.³⁹ ამ ტიპის შემთხვევებში, საკითხავია, არის თუ არა **შრომის უნარი, როგორც ასეთი**, ქონებრივი ღირებულების ქონე სიკეთე. გაბატონებული მოსაზრება უარყოფს ამას,

35 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 47.

36 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 49.

37 შდრ. Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 49 და იქ მითითებული დამატებითი ლიტერატურა. გერმანულს სამართალში მოცემული გადაწყვეტა უკვე ნაკლებად აქტუალურია, რადგან ამო დანახარჯების ანაზღაურება შესაძლებელია ვალდებულებითი სამართლის რეფორმის ფარგლებში გსკ-ში ჩამატებული 284-ე პარაგრაფის მიხედვით.

38 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 341.

39 იხ. მსგავსი შემთხვევა OLG Celle NJW 1988, 2618.

შრომისუნარიანობა არის პირის თვისება, რომელსაც ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია.⁴⁰ ბერს მკურნალობის ხარჯებისა (408 I, III) და არამატერიალური ზიანის გარდა (413) შრომის უნარის დაკარგვით გამოწვეული სხვა (ქონებრივი) ზიანი არ უნდა აუნაზღაურდეს.⁴¹ თუმცა ეს მოსაზრება არასწორია, საბოლოო ჯამში უსასყიდლო და საქველმოქმედო საქმიანობის უნარის დაკარგვაც წარმოადგენს ქონებრივ ზიანს, თუ ის სხვა სასყიდლიანი საქმიანობის ტოლფასია და **საბაზრო ღირებულება** აქვს.⁴² (შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე) ბერს, რომელიც მონასტერში სტომატოლოგის ფუნქციებს ასრულებდა, შრომისუნარობით გამოწვეული ზიანი პროფესიონალი სტომატოლოგის დარად უნდა აუნაზღაურდეს. სანინალმდეგო გადაწყვეტა ამ ტიპის საქმიანობების დისკრიმინაცია იქნებოდა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ასევე **17 კონკრეტული საქმიანობის ჩაშლა**. თუ დაზარალებული არ აპირებდა ამ საქმიანობის განხორციელებას, მაშინ მას არც ფიქტიური განაცდურის მოთხოვნის უფლება აქვს.⁴³ სხვაგვარად არის საქმე ისეთი საქმიანობის შემთხვევაში, რომლის საბაზრო ფასის დადგენა შეუძლებელია (მაგ., მისიონერული მოღვაწეობა). ამ დროს შრომისუნარობით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია.⁴⁴

უსასყიდლო საქმიანობას წარმოადგენს ასევე დიასახლისის საქმეც **18** (შდრ. მუხ. 408, 30-ე ველი), თუმცა გერმანული პრაქტიკის კვალდაკვალ დიასახლისის შრომისუნარიანობის ხელყოფის შემთხვევაშიც ქონებრივი ზიანი ანაზღაურებადი უნდა იყოს, რადგან მეუღლე საოჯახო საქმიანობის გაძლოლით **1182 1** მუხლიდან გამომდინარე ურთიერთრჩენის ვალდებულებას ასრულებს, რასაც ქონებრივი ღირებულება აქვს, დამოუკიდებლად იმისა, დაზიანების შემდეგ უწევს თუ არა შემცველი პირის დაქირავება.⁴⁵

5. შვებულება და თავისუფალი დრო

საკამათოა ჩაშლილი შვებულებისა და გაცდენილი თავისუფალი დროის **19** ანაზღაურების საკითხი. კერძოდ ის ფაქტი, დასაშვებია თუ არა ამ შემთხვევაში ხელყოფილი ინტერესის 414-ე მუხლის მიხედვით ფულადი კვანტიფიცირება. მაგალითად,⁴⁶ პირს საბაჟო მოხელის ბრალეული ქმედების გამო დაგვიანებით ჩაუვა ბარგი დანიშნულების ადგილზე და ამის გამო მნიშვნელოვნად „ჩაუშხამდება“ დაგეგმილი შვებულება.

40 BGHZ 54, 45.

41 OLG Celle NJW 1988, 2618.

42 OLG Karlsruhe NJW-RR 1996, 1241.

43 BGHZ 90, 336.

44 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 342.

45 BGHZ 50, 306.

46 BGH NJW 1956, 1234.

ა. კომერციალიზების პრინციპი

- 20 ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მოხელის პასუხისმგებლობის ფარგლებში (1005) ჩაშლილი შვებულება მიჩნეულ იქნა ქონებრივი ღირებულების მქონე და ამგვარად ანაზღაურებად ზიანად.⁴⁷ დასასვენებელ კურორტზე დროის გატარების შესაძლებლობის მოპოვებას, ჩვეულებრივ, ქონებრივი დანახარჯების გაღება სჭირდება და ამგვარად წარმოადგენს **კომერციალიზებულ** დროს. საწინააღმდეგო მოსაზრება⁴⁸ უთითებს იმ ფაქტზე, რომ დასვენებიდან მიღებული სიამოვნება არამატერიალურ ხასიათს ატარებს, განპირობებულია კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალური თვისებებით და, შესაბამისად, მისი ჩაშლის შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ 413-ე მუხლის მიხედვით არის შესაძლებელი.

ბ. 662 II მუხლი

- 21 **ტურისტული მომსახურების** ხელშეკრულების ფარგლებში ჩაშლილი შვებულებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის სპეციალურ წესს ანესრიგებს 662 II მუხლი, რომლის ადგილიც ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკის ფარგლებში საკმაოდ საკამათოა. ერთი მოსაზრების თანახმად,⁴⁹ ის წარმოადგენდა სწორედ ხსენებული კომერციალიზაციის პრინციპის ნორმატიულ კონსტანტაციას, თუმცა დღესდღეობით გაბატონებულია საწინააღმდეგო მოსაზრება,⁵⁰ რომლის მიხედვითაც ეს დანაწესი არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ემსახურება და არღვევს ამგვარად 413 I მუხლში გამყარებულ პრინციპს. ეს ნორმა არ მოქმედებს **დელიქტურ სამართალში**, რის გამოც ავტოავარიაში დაზიანებული პირი ვერ მოითხოვს დამზიანებლისაგან შეუმდგარი შვებულებისათვის ზიანის ანაზღაურებას.⁵¹ ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლება მხოლოდ 413 II მუხლის მიხედვით არამატერიალური ზიანის გამოთვლისას იქნეს გათვალისწინებული.
- 22 დელიქტური პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით დასაშვებია 662 II **ანალოგიით** გამოყენება სხვა ხელშეკრულებების ფარგლებშიც, რის წინაპირობაც არის ის გარემოება, რომ შვებულებით ტკბობის შესაძლებლობა სახელშეკრულებო შეთანხმების (არამთავარ) ნაწილს წარმოადგენდეს,⁵² როგორც არის, მაგალითად, დასასვენებელი სახლის ქირაობა, მაგრამ არა სამედიცინო დანესებულებაში მოთავსება, რადგან აქ დასვენების ელემენტი უკანა პლანზე იხევს მკურნალობის მიზნის წინაშე.⁵³

47 BGH NJW 1956, 1234.

48 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 Ild.

49 BGHZ 76, 185; BGHZ 77, 120.

50 BGH NJW 2005, 1050.

51 BGHZ 86, 212.

52 BGHZ 86, 212.

53 BGHZ 80, 368.

გ. (უსარგებლოდ) დაკარგული დრო

ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ უსარგებლოდ გაცდენილი **თავისუფალი დრო** დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში ვერ ჩაითვლება ანაზღაურებად ზიანად.⁵⁴ თუმცა პრობლემურია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების საგანს სწორედ რომ უფლებამოსილი პირის მიერ დროის სასიამოვნოდ გატარება წარმოადგენდა. მაგალითად, გერმანულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,⁵⁵ ორგანიზატორის ბრალით გაცდენილი კონცერტის შემთხვევაში,⁵⁶ ბილეთის ღირებულების დაბრუნების გარდა, ანაზღაურებადად მიიჩნია ასევე დაკარგული დრო. მოუწია რა დაზარალებულს ამ ღონისძიებაზე დასწრებისათვის დანახარჯების განწვევა, ის ვერ ჩაითვლებოდა მხოლოდ არამატერიალური ღირებულების მქონედ. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც **კომერციალიზაციის** პრინციპით იხელმძღვანელა (იხ. ზემოთ, მე-20 ველი). ეს გადაწყვეტა, საბოლოო ჯამში, სამართლიანად არის უკუგდებული.⁵⁷ კომერციალიზაციის პრინციპი არასაკმარისია იმისათვის, რათა განსაზღვრული არამატერიალური სიამოვნების მიღება ქონებრივ სიკეთედ დაკვალიფიცირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თითქმის ყველა ცხოვრებისეული სიამოვნება ასეთად უნდა ჩაგვეთვალა, რაც ზედმეტად აქცევდა 413 I მუხლის დანაწესს. ამგვარად, დაკარგული დრო არ უნდა ჩაითვალოს არამატერიალურ ზიანად, რომელიც არაანაზღაურებადი.⁵⁸ განსხვავდება რა დაკარგული თავისუფალი დრო საშვებულებო მოგზაურობისაგან, 662 II მუხლის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.⁵⁹

დ. ბავშვის რჩენა, როგორც ზიანი

ანაზღაურებადი ქონებრივი ზიანის არაანაზღაურებადისაგან გამიჯვნის პრობლემა, რასაც ქართველმა კანონმდებელმა 414-ე მუხლის ფარგლებში მიუჩინა ადგილი „ინტერესის“ კრიტერიუმის წამოყენებით, უცხოურ მართლწესრიგებში დგება **ბავშვის რჩენის ხარჯების** დროსაც. საქმე ეხება შემთხვევას, როდესაც ექიმის მიერ განეული არასწორი მომსახურების (არასწორად ჩატარებული სტერილიზაცია)⁶⁰ ან არასწორი ინფორმაციის (ნაყოფის ნაკლოვანება, რის შესახებაც დროულად შეტყობის შემთხვევაში პაციენტი ნაყოფს მოიშორებდა)⁶¹ მიწოდება არასასურველი შვილის ამქვეყნად მოვლინებას განაპირობებს. ბავშვის ან მისი რჩენის ხარჯების ზიანად დაკვალიფიცირება **წინააღმდეგობაში** მოდის ადამიანის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ (17 I) **პატივთან და ღირსებასთან**.

54 Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 249, Rn. 95.

55 AG Herne-Wanne, NJW 1998, 3651.

56 კონცერტის გაცდენა გამონეული იყო იმით, რომ ორგანიზატორმა ბილეთის მფლობელს (კუთვნილი) დასაჯდომი ადგილის მაგივრად ფეხზე დადგომა შესთავაზა.

57 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 344.

58 Larenz, Schuldrecht I, 1976, § 29 Ild.

59 AG Herne-Wanne, NJW 1998, 3652.

60 BVerfGE 88, 203; BVerfGE 96, 375; BGHZ 124, 129; BGHZ 129, 178; BGH NJW 2000, 1782.

61 შდრ. დეტალურად რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 220 და შემდგომნი.

მიუხედავად ამისა, გერმანული დოქტრინა⁶² მაინც ამ უკანასკნელ გზას ირჩევს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის მხრიდან ვალდებულების დარღვევა დაუსჯელი დარჩებოდა, ხოლო ზიანის ანაზღაურება უფრო შეუმსუბუქებს ოჯახის წევრებს თანაცხოვრების ტვირთს.

- 25 ეს გადაწყვეტა, საერთო ჯამში, **არათანმიმდევრულია** და მიუხედავად ბავშვის ფორმალურად ზიანად არჩათვლისა, ის არსობრივად მაინც ამ დაშვებისაკენ იხრება. უკეთესი იქნება, თუ ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევების საკუთარ გადაწყვეტას შეიმუშავებს, როდესაც მოცემული პრობლემის წინაშე დადგება. გერმანული გადაწყვეტის მექანიკური კოპირება აქ გამართლებული არ ჩანს, რადგან ამ საკითხის გადაჭრა სამართლის მხოლოდ ერთი დარგის დოგმატიკაზე დაყრდნობით შეუძლებელია, მჭიდროდ არის რა გადაჯაჭვული კონსტიტუციით დაცულ ფასეულობებსა და კონკრეტულ საზოგადოებაში მოქმედ მორალთან.

IV. სარგებლის გამოქვითვა

- 26 ზიანის მომტანი მოქმედება დაზარალებულისათვის შესაძლებელია, ამავდროულად, გარკვეული **სარგებელთანაც** იყოს დაკავშირებული. მისი ანაზღაურებადი ზიანიდან გამოქვითვის პრობლემასაც 414-ე მუხლის ფარგლებში უნდა მოეძებნოს ადგილი, რადგან ეს სარგებელი ამცირებს დაზარალებულის რეალურ ზიანს და, საბოლოო ჯამში, მის ინტერესს ამ სიკეთის არდაზიანების მიმართ, რის გამოც შესაძლებელია, დამზიანებელი ამ მუხლში დაფიქსირებული ინტერესის კრიტერიუმზე მითითებით გათავისუფლდეს (სრულად ან ნაწილობრივ) ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. მაგალითად, თუ პირის ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ მას მიყენებულ ზიანს სრულად უნაზღაურებს მზღვეველი, აქ, ერთი მხრივ, დაზარალებულის **გამდიდრების აკრძალვიდან** (იხ. მუხ. 408 მე-5 ველი) გამომდინარე, დაუშვებელია, რომ მან ორი წყაროდან მიიღოს ზიანის ანაზღაურება და ამგვარად გამდიდრდეს. თუმცა, მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია, რომ დამზიანებლის მიერ ასანაზღაურებელი ზიანიდან გამოიქვითოს ნებისმიერი სარგებელი, რასაც დაზარალებული ზიანთან დაკავშირებით იღებს და რაშიც დამზიანებელს არანაირი წვლილი არ შეუტანია.⁶³ აქედან გამომდინარე, გერმანული სამართლის დოქტრინამ გამოკვეთა ასანაზღაურებელი ზიანისათვის მიღებული სარგებლის გამოკლების ორი კრიტერიუმი: პირველ რიგში, მხოლოდ იმ სარგებლის გამოქვითვაა შესაძლებელი, რომელიც **კაუზალურად** გამომდინარეობს ზიანის მომტანი ქმედებიდან, რის დადგენისას გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო⁶⁴ **ადეკვატურობის** კრიტერიუმით (იხ. მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველები) ხელმძღვანელობს. სარგებელი, რომელიც

62 შდრ. შეჯამებისათვის *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 344-ე* და მომდევნო გვერდებზე.

63 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 318.*

64 BGHZ 49, 61; ენიჭება თუ არა ადეკვატურობას ნორმის მიზნისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამ კონტექსტშიც პრობლემურია (*Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 318*). იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით მე-9 ველი.

მხოლოდ შემთხვევითად უკავშირდება ზიანს, ამ კონტექსტში არ გაითვალისწინება – პირისათვის არასწორად შეხორცებული ფეხის მოტეხა, რამაც საბოლოოდ ძვლის სწორად შეხორცება გამოიწვია, ვერ ჩაითვლება სარგებლად. გარდა ამისა, სარგებლის გათვალისწინება და გამოქვითვა უნდა შეესაბამებოდეს ზიანის ანაზღაურების მიზანს.⁶⁵ სარგებელი არ უნდა გამოიქვითოს ზიანიდან, თუ კანონის დანაწესებიდან გამომდინარეობს, რომ დამზიანებელი არ იმსახურებს პრივილეგირებულად (ნაკლები მოცულობით) პასუხისგებას ან მისგან საერთოდ გათავისუფლებას. ამგვარ ნორმად ჩაითვლება, მაგალითად, 832-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მზღვეველზე გადადის, მას შემდეგ, რაც ის დაზღვეულს ზიანს აუნაზღაურებს. აქ ცალსახაა, რომ კანონის მიზანს დამზიანებლის სრული მოცულობით პასუხისგება წარმოადგენს.

პირს, რომელსაც დამზიანებელმა სხეული ან ჯანმრთელობა დაუზიანა, მაშინაც კი შეუძლია დამზიანებლისაგან **სარჩოს მოთხოვნა** (408 II), როდესაც ამ სარჩოს მოთხოვნის უფლება ასევე სხვა პირისაგანაც აქვს.⁶⁶ თუ დაზიანებული ზიანის ფაქტთან დაკავშირებით იღებს მესამე პირის ნებაყოფლობით შესრულებას, გადამწყვეტია, ამ მესამე პირის ნების მიხედვით უნდა მოხდეს თუ არა ამ შესრულებით დამზიანებლის გათავისუფლება (371).⁶⁷ 27

დაზიანებულმა შეიძლება **თავად** შეუშალოს ხელი ზიანის დადგომას, რომელიც სხვა შემთხვევაში კაუზალურად იქნებოდა განპირობებული დამზიანებლის ქმედებით. ამ დროს გადამწყვეტია, დაზარალებულს ზიანის თავიდან არაცილება (ან არშემცირება) შეერაცხებოდა თუ არა თანაბრალეულობად 415 II მუხლის მიხედვით და შეამცირებდა თუ არა ანაზღაურებადი ზიანის მოცულობას. სარგებელი მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიქვითება ზიანის ოდენობიდან.⁶⁸ თუ მანქანის მართვის მასწავლებელი მისი ავტომობილის დაზიანებით განპირობებულ განაცდურს აინაზღაურებს დამატებითი გაკვეთილების ჩატარებით, ეს დამზიანებელს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს.⁶⁹ ამ უკანასკნელმა დაზარალებულის დამატებითი გარჯის გამო, რა თქმა უნდა, არანაირი სარგებელი არ უნდა ნახოს. 28

65 BGHZ 91, 206.

66 ეს გადაწყვეტა, რომელიც გსკ-ის 843 IV მუხლშია გამყარებული, ეფუძნება მოსაზრებას, რომ სარგებელი, რომელიც თავისი არსით არ არის მიმართული დამზიანებლისათვის ვალდებულების შემსუბუქებისაკენ, არ უნდა გამოიქვითოს ზიანიდან (*Sprau*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 843, Rn. 20).

67 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 319.

68 BGHZ 4, 177.

69 BGHZ 55, 329.

მუხლი 415. დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.

2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აეცილებინა ან შეემციებინა ზიანი.

- I. ზოგადი766
 - 1. 415-ე მუხლში დაფიქსირებული ორი სახელმძღვანელო პრინციპი766
 - ა. დაზარალებულის თანაბრალებულობა767
 - ბ. ბრალთა თანაფარდობა.....767
 - 2. თანაბრალებულობის გათვალისწინების ამოსავალი პრინციპი767
 - 3. ბრალის შერაცხვის საფუძველი.....768
 - 4. გამოყენების სფერო769
- II. თანაპასუხისმგებლობის წინაპირობები770
 - 1. თანაპასუხისმგებლობა ზიანის წარმოშობისას.....770
 - ა. ზიანის წარმოშობისათვის ხელის შეწყობა770
 - ბ. „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევა ...771
 - გ. თანაბრალებულობა771
 - დ. დაზარალებულის პასუხისმგებლობა საფრთხის გამომწვევისთვის.772
 - 2. ზიანის თავიდან არიდების ან შემცირების ვალდებულება.....773
 - 3. მოსალოდნელ ზიანთან დაკავშირებით გაფრთხილება774
 - 4. დაზარალებულის პასუხისმგებლობა გარეშე პირთა ქმედებისათვის..775
- III. სამართლებრივი შედეგები775
- IV. საკუთარი რისკით მოქმედება.....776
 - 1. საფრთხის შემცველი მგზავრობა777
 - 2. საფრთხის შემცველი სპორტი777
 - 3. საკუთარი რისკით მოქმედება საფრთხის გამომწვევისათვის
პასუხისგებისას778

I. ზოგადი

1. 415-ე მუხლში დაფიქსირებული ორი სახელმძღვანელო პრინციპი

1 მთელ რიგ შემთხვევებში კონკრეტული ზიანის დადგომაში არა მხოლოდ დამზიანებელს, არამედ ასევე დაზარალებულსაც შეაქვს თავისი „წვლილი“. 415-ე მუხლი აწესრიგებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დაზარალებულის ამ „წვლილის“ გათვალისწინება, და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს. ეს დანაწესი შეიცავს ორ სახელმძღვანელო პრინციპს ამ ტიპის შემთხვევების გადანაწევტისათვის.

ა. დაზარალებულის თანაბრალეულობა

415-ე მუხლი, პირველ რიგში, ცხადყოფს, რომ ასევე დაზარალებულს უნდა მიუძღოდეს **ბრალი (თანაბრალეულობა)** ზიანის დადგომაში. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზიანის გამონვევას დაზარალებულის ქმედებამაც შეუწყო ხელი, საკმარისი არ არის.¹ კანონმდებელი ამ შემთხვევაში დამზიანებელსა და დაზარალებულს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს (**თანასწორი მოპყრობის პრინციპი**), რადგან სამოქალაქო კოდექსის ამოსავალი პრინციპის თანახმად, პირი მხოლოდ ბრალეულად მიყენებული ზიანისათვის აგებს პასუხს.²

პრობლემურია დაზარალებულის თანაბრალეულობის გათვალისწინება იმ შემთხვევებში, როდესაც დამზიანებელი მიყენებული ზიანისათვის ბრალისაგან დამოუკიდებლად აგებს პასუხს. ამ ტიპის (**საფრთხის გამონვევისათვის**, იხ. მუხ. 412, მე-9 ველი) პასუხისგების მაგალითს წარმოადგენს 999 I მუხლი. ამ შემთხვევაში აუცილებელია საფრთხის წყაროსათვის პასუხისგების პრინციპების ანალოგიით გამოყენება, რის საფუძველზეც დაზარალებულსაც (თუ ზიანი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიადგა სხვა ექსპლუატატორის მხრიდან), გამონაკლისის სახით, თანაბრალეულობისაგან დამოუკიდებლად უნდა შეეცადოს მისთვის მიყენებული ზიანი (იხ. დეტალურად მე-16 ველი).³

ბ. ბრალთა თანაფარდობა

415-ე მუხლიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ ის გადაწყვეტა, რომ დამზიანებელი და დაზარალებული თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩაეყენოთ, – ორივეს მხოლოდ ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი შეეცადება, – არამედ ისიც, მათი ბრალი ზიანის დადგომაში თანაბრად უნდა იქნეს გათვალისწინებული. რეალური ზიანიდან მისი ანაზღაურებადი ნაწილის გამოყოფა **ბრალთა თანაფარდობის** მიხედვით ხდება (იხ. ქვევით, 22-ე ველი).⁴

2. თანაბრალეულობის გათვალისწინების ამოსავალი პრინციპი

საკამათოა დაზარალებულის თანაბრალეულობის გათვალისწინების საფუძველი. ერთი მოსაზრების⁵ თანახმად, ის ემყარება **ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს**. თუმცა ამგვარი დასაბუთება საფრთხის შემცველია, რადგან სამართლის შემფარდებელს უბიძგებს, ანაზღაურებადი ზიანის ოდენობის შემცირებისას იხელმძღვანელოს სამართლიანო-

1 Brox/Walker, Schuldrecht AT, 35. Aufl., 2011, § 31 37 ff.

2 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 348.

3 BGH NJW 2007, 3122.

4 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 415, გვ. 481; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 38; *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 113, 116.

5 Brox/Walker, Schuldrecht AT, 35. Aufl., 2011, § 31, Rn. 36; BGHZ 76, 217.

ბის პრინციპებით, რაც, საბოლოო ჯამში, არასწორია.⁶ ზემოთ ხსენებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპი (მე-2 ველი) გულისხმობს არა მხოლოდ სამართლიან მოპყრობას, არამედ დაზარალებულის თანაპასუხისმგებლობის ისეთივე ზუსტი კრიტერიუმებით განსაზღვრას, როგორც და-მზიანებლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება.

- 6 სინამდვილეში 415-ე მუხლი ემყარება იმავე პრინციპს, რასაც დამზიანებლის პასუხისმგებლობა, კერძოდ იმას, რომ თითოეულმა პირმა **პასუხი უნდა აგოს** საკუთარი ქმედებისათვის.⁷ ისევე როგორც სხვისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აქაც საქმე ეხება ამ **ზიანის შერაცხვის** პრობლემას, ოღონდ ამჯერად საკუთარი თავის დაზარალებაში ბრალეული წვლილის შეტანისას. ის გარემოება, რომ პირი ამგვარი ქმედებით მხოლოდ „საკუთარ თავს ვნებს“, არ გამორიცხავს მისი შედეგების სამართლებრივი გაგებით ზიანად დაკვალიფიცირებას და ამ ზიანისათვის თავად დაზარალებულისათვის თანა(პასუხისმგებლობის) დაკისრებას.

3. ბრალის შერაცხვის საფუძველი

- 7 დამზიანებლის ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობისას (394 I, 992) ბრალით მოცული უნდა იყოს ასევე **მართლწინააღმდეგობა**.⁸ პრობლემაურია ამ წინაპირობის თანაბრალეულობაზე გავრცელება, რადგან მართლწესრიგი, ზოგადად, არ კრძალავს თვითდაზიანებას და, შესაბამისად, ის ვერც იქნება მართლწინააღმდეგობა.⁹ თუმცა ობიექტური გაგებით მართლწინააღმდეგობის, რომელსაც უნდა უკავშირდებოდეს თანაბრალეულობა, უგულებელყოფის შედეგი იქნებოდა ის, რომ დაზარალებულს შეერაცხებოდა ნებისმიერი ზიანი, რომლის გამონწვევაშიც მას რაიმენაირი წვლილი მიუძღვის. გაბატონებული მოსაზრება¹⁰ ამ გადაწყვეტისაკენ იხრება, მოიხსენიებს რა თანაბრალეულობას **„საკუთარი თავის წინაშე უპასუხისმგებლობად“** და განმარტავს მას, როგორც იმ წინდახედულობის ზომების უგულებელყოფას, რომელსაც „ნებისმიერი საღად მოაზროვნე და გონიერი პირი მიიღებდა ზიანის თავიდან ასაცილებლად.“ თანაბრალეულობის ამგვარი განმარტება ძალზე ფართოა და მოიცავს იმ შემთხვევებსაც, როდესაც ცალსახაა, რომ დაზარალებულმა არ უნდა აგოს პასუხი საკუთარი სიკეთეების დაზიანებაში შეტანილი წვლილისათვის. მაგალითად, მანქანის არჩაკეტვა წინდახედულობის წესების დარღვევით არ გულისხმობს იმას, რომ ქურდმა სრულად არ უნდა აუნაზღაუროს მესაკუთრეს მანქანის მოპარვით გამონწვეული ზიანი; თუმცა, მეორე მხრივ, თუ დაზარალებული ოპერაციის შემდეგ, ექიმის მოთხოვნის მიუხედავად, არ ატარებს კორსეტს, რის გამოც ავარიის შე-

6 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 349.*

7 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 349.*

8 შდრ. *რუსიაშვილი*, კაზუსების სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ. 205 და შემდგომი.

9 *Oetker*, in *MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 254, Rn. 29*; შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის № 2ბ/1977-11 გადაწყვეტილება (2.4.).

10 იხ. *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 254, Rn. 1*, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით.

დეგად უფრო მძიმე დაზიანებას მიიღებს, ვიდრე ამ კორსეტის გაკეთების შემთხვევაში მიიღებდა, აქ ცალსახაა, რომ მისი წინდაუხედაობა ანაზღაურებადი ზიანის ოდენობაზეც უნდა აისახოს.¹¹ ამ ორ შემთხვევას შორის მიჯნის გავლება აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული ორივე შემთხვევაში (სავარაუდოდ, თანაბრად) წინდაუხედავად იქცევა. აქედან გამომდინარე (ნორმატიული გაგებით), თანაბრალეულობის განსასაზღვრად უმჯობესია არა წინდახედულობის ზომების დაცვაზე, არამედ **პასუხისმგებლობის სფეროებზე** აქცენტის გაკეთება.¹² მეორე მაგალითში ნაოპერაციევმა პირმა თავად უნდა მიიღოს ზომები სავარაუდო რისკების პრევენციისათვის, მაშინაც კი, როდესაც ეს რისკი სხვა პირის ბრალეული ქმედების შედეგად რეალიზდება. ამისგან განსხვავებით, მანქანის მოპარვა მხოლოდ ქურდის პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გერმანული დოქტრინა¹³ 415-ე მუხლის მიხედვით თანაბრალეულობის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა არა წინდაუხედაობას, არამედ „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულები“¹⁴ (და არა ზოგადად პასუხისმგებლობის) დარღვევას. მხოლოდ დაზარალებულის საქმეა, მიიღებს თუ არა ის ზომებს საკუთარი სიკეთეების დასაცავად, თუმცა, თუ ამის გაკეთებაზე უარს იტყვის, უნდა შეეგუოს ამ შემთხვევაში საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შეკვეცას ან სრულ დაკარგვას. ამგვარად, 415-ე მუხლის ფარგლებში „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულები“ დარღვევა წარმოადგენს საპირნონეს დამზიანებლის პასუხისმგებლობის განმაპირობებელი მართლწინააღმდეგობისას.

4. გამოყენების სფერო

თუ რაიმე სპეციალური კანონი განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, 415-ე მუხლი მოქმედებს ყველა **სახელშეკრულებო** და **კანონისმიერი** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ეხება საქმე.¹⁵ ამგვარად, დანაწესი გამოიყენება გამქირავებლის საგარანტიო პასუხისმგებლობისას¹⁶ (537 I 1. ვარიანტი), სასტუმროს მეპატრონის პასუხისმგებლობისას¹⁷ (778), ასე-

11 შდრ. სხვა მაგალითებისათვის *ცერცვაძე*, წიგნში: ძლიერიშვილი /ცერცვაძე /რობაქიძე /სვანაძე /ცერცვაძე /ჯანაშია, *სახელშეკრულებო სამართალი*, 2014, გვ. 682 და შემდგომი.

12 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 349.

13 *Oetker*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 254, Rn. 3.

14 „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულება“ (*Obliegenheit*) გულისხმობს შემთხვევას, როდესაც საქმე ეხება არა ვალდებულებას, რომელსაც მეორე მხარის მოთხოვნის უფლება უპირისპირდება, არამედ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც მხოლოდ ვალდებულის ინტერესებშია და რომლის შესრულებლობაც მას გარკვეულ სამართლებრივ პოზიციებს აკარგვინებს. ასეთი ვალდებულების მაგალითს წარმოადგენს 495 I მუხლი, რომლის მიხედვითაც მყიდველი მენარმე კარგავს ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილ მეორად მოთხოვნებს, თუ ნივთს მიღებისას დაუყოვნებლივ არ შეამოწმებს.

15 *Oetker*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 254, Rn 7 ff.

16 BGHZ 68, 288.

17 BGHZ 32, 150.

ვე საფრთხის გამონვევისათვის პასუხისგებისას¹⁸ (მაგ., 1003, იხ. ამასთან დაკავშირებით მე-16 ველი). **უფლების დარღვევის აღმოფხვრისა და მოქმედებისაგან თავის შეკავების** მოთხოვნებზე (მაგ., 172 II) 415-ე მუხლი ანალოგიით გამოიყენება,¹⁹ თუ დარღვევაში ნაწილობრივ მესაკუთრესაც მიუძღვის ბრალი, მაშინ აღმოფხვრის ან უმოქმედობის ხარჯები მასა და დამრღვევს შორის ნაწილდება.

II. თანაპასუხისმგებლობის წინაპირობები

- 10 415-ე მუხლზე მითითებისათვის **ფაქტობრივი წინაპირობების** დონეზე აუცილებელია, რომ დაზარალებულმაც თავისი ბრალეული მოქმედებით ხელი შეუწყოს ზიანის დადგომას. **415 II** მუხლი კი ავრცელებს პირველი ნაწილის მოქმედებას იმ შემთხვევაზეც, როდესაც დაზარალებული ბრალეული უმოქმედობით არ იღებს ზომებს ზიანის თავიდან ასაცილებლად ან მისი მოცულობის შემცირებისათვის. სისტემური თვალსაზრისით, **415 II** მუხლს პირველი ნაწილის დაკონკრეტების ფუნქცია აკისრია, ის მხოლოდ ცალკე გამოყოფს და ამგვარად ნათელყოფს **415 I** მუხლის გამოყენების ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევას (იხ. დეტალურად მე-17 და მომდევნო ველები).²⁰

1. თანაპასუხისმგებლობა ზიანის წარმოშობისას

- 11 როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული (მე-8 ველი), **415 I** მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების საპირისპიროდ, აუცილებელია, რომ დაზარალებულის „წვლილი“ ზიანის დადგომაში გამოიხატოს არა მხოლოდ მის ბრალეულ ქმედებაში, არამედ ასევე „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევაში. **415 I** მუხლს ამგვარად შემდეგი წინაპირობები აქვს:

ა. ზიანის წარმოშობისათვის ხელის შეწყობა

- 12 დაზარალებულს უნდა მიადგეს **ზიანი**, რომელიც გამონვეულია დამზიანებლის მიერ და რისთვისაც ეს უკანასკნელი პასუხს აგებს (394, 992-ე და მომდევნო მუხლები). თუმცა, ამავდროულად, დამზიანებლის ქმედების გარდა, ზიანის განმაპირობებელი უნდა იყოს თავად დაზარალებულის მოქმედება ან უმოქმედობა. გარდა ამისა, ზიანი ობიექტურად უნდა **შეე-რაცხებოდეს**²¹ დაზარალებულს 411-ე, 413-ე და 414-ე მუხლების შესაბამისად (იხ. ამ მუხლების კომენტარი). **მიზეზშედეგობრიობა** ამ შემთხვევაშიც 412-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

18 RGZ 51, 277.

19 BGH NJW 1997, 269.

20 BGH NJW-RR 2009, 177.

21 *Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 351.*

ბ. „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულების“ დარღვევა

დაზარალებულმა ზიანის წარმოშობისათვის ხელშეწყობისას, ამავდროულად, უნდა დაარღვიოს „საკუთარი თავის წინაშე არსებული ვალდებულება“ (იხ. ზემოთ, მე-8 ველი). ის, თუ რა ვალდებულებები ეკისრება დაზარალებულს კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი თავის წინაშე, განისაზღვრება დამზიანებლისა და დაზარალებულის ინტერესთა ანონ-დანონის საფუძველზე.²² ამ დროს ერთ მხარეზე დგას დამზიანებლის ინტერესი მისი პასუხისმგებლობის მოცულობის შემოსაზღვრასთან დაკავშირებით, მეორე მხარეზე კი დაზარალებულის ინტერესი, ზედმეტად არ შეეზღუდოს მოქმედების თავისუფლება დამატებითი ვალდებულებების (თუნდაც საკუთარი თავის წინაშე) დაკისრებით. ამ ვალდებულების დაზარალებულისათვის დაკისრების საკითხი განისაზღვრება მოქმედების თავისუფლების შეზღუდვის ინტენსივობის მიხედვით – რაც უფრო მეტად უზღუდავს ის დაზარალებულს მოქმედების თავისუფლებას, მით უფრო საეჭვოა მისი დასაშვებობა. განსაკუთრებით დაუშვებელია უნარშეზღუდული ან ჯანმრთელობაშერყეული პირების თავისუფლების ზედმეტად შეზღუდვა, მათი მხოლოდ ამ თავისებურებიდან გამომდინარე.²³ მაგალითად, სასამართლომ²⁴ არ გაითვალისწინა დამზიანებლის 415 I მუხლზე დამყარებული შესაგებელი, რომ მოტოციკლეტისტის თანამგზავრ დაზარალებულს, იყო რა ჰემოფილიით დაავადებული, საერთოდ თავი უნდა შეეკავებინა ამ ტიპის ტრანსპორტით სარგებლობისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელი იყო პირს მხოლოდ მისი დაავადების გამო, რომელიც მას სატრანსპორტო საშუალების მართვაში ხელს არ უშლიდა, შეზღუდვოდა ამ საშუალებით სარგებლობის უფლება.

გ. თანაბრალეულობა

დაზარალებულს უნდა მიუძღოდეს ბრალი ზიანის დადგომაში, რაც 395-ე მუხლის ანალოგიით განისაზღვრება, მაგალითად, დაზარალებულის მხრიდან ჩხუბის ან ძალადობის პროვოცირება.²⁵ ამ შემთხვევაშიც ძალაშია ე. წ. გაუფრთხილებლობის ობიექტური მასშტაბი.²⁶ გაუფრთხილებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რას გააკეთებდა სამოქალაქო ბრუნვის მოცემული წრის საშუალო სტატისტიკური, გონიერი და პატიოსანი წარმომადგენელი მოსალოდნელი ზიანის წინასწარგანჭვრეტისა და მისი თავიდან აცილებისათვის.²⁷ ინდივიდუალური დეფიციტი (მაგ., ქარხნის მუშის შემთხვევაში წერა-კითხვის არცოდნა) არ გაითვალისწინება. მართალია, ერთი შეხედვით, უსამართლოდ ჩანს დაზარალებულისათვის იმ თვითდაზიანების შერაცხვა, რომლის განჭვრეტისა და თვიდან აცილე-

22 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 351.

23 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 352.

24 OLG Koblenz VersR 1987, 1225.

25 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის № 23/1977-11 გადაწყვეტილება (2.2.).

26 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 276, Rn. 15.

27 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 352.

ბის შესაძლებლობაც მას არ ჰქონია, თუმცა, მეორე მხრივ, გაუმართლებელია დაზარალებულისა და დამზიანებლის არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. **დამხმარე პირის** მიერ ზიანის გამონევის შემთხვევაში მოქმედებს 396-ე მუხლი (იხ. დეტალურად 21-ე ველი).

- 15 თანაბრალეულობის შერაცხვის წინაპირობას პირის **დელიქტუნარიანობა** წარმოადგენს (994, 995).²⁸ 7 წლის არასრულწლოვანს, რომელსაც წინდახედულობის ყოველგვარი ნორმის დარღვევით ქუჩაზე გადარბენისას მძღოლის მსუბუქი გაუფრთხილებლობის გამო დაეჯახება მანქანა, 994 I მუხლში დაფიქსირებული პრივილეგიის გამო არ შეერაცხება თანაბრალეულობა და სრული ოდენობით უნარჩუნდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.²⁹

დ. დაზარალებულის პასუხისმგებლობა საფრთხის გამონევისთვის

- 16 საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების³⁰ თანახმად, 415-ე მუხლი გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს, მართალია, (საკუთარი თავის წინაშე არსებული) ვალდებულების დარღვევა არ შეერაცხება, თუმცა ზიანი სხვა საფუძვლიდან გამომდინარე დაზარალებულის პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა. გაბატონებული მოძღვრების მიხედვით,³¹ ამ შემთხვევაში დაზარალებულის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მხოლოდ დამზიანებლის **საფრთხის გამონევისათვის** პასუხისმგებლობის (იხ. ზემოთ, მე-3 ველი) წესების **ანალოგიით** გამოყენებისას არის დასაშვები. საპირისპირო მოსაზრება შესაძლებლად მიიჩნევა 415-ე მუხლის გავრცელებას ყველა იმ შემთხვევაზე, როდესაც დაზარალებულმა „განსაკუთრებული საფრთხე“ შეუქმნა საკუთარ სიკეთეებს.³² ამ გაგებით მხოლოდ თხილამურებით სრიალიც კი შეიძლება იყოს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.³³ ეს მოსაზრება არასწორია. 415-ე მუხლი ემყარება დამზიანებლისა და დაზარალებულის თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების პრინციპს (მე-2 ველი), რაც გულისხმობს იმას, რომ დაზარალებული მხოლოდ მაშინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ზიანისათვის ბრალის გარეშე, როდესაც საპირისპირო შემთხვევაში – მის მიერ სხვა პირის დაზიანებისას – ის ბრალისაგან დამოუკიდებლად აგებდა პასუხს მიყენებული ზიანისათვის.³⁴ მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელსაც შეერაცხება მისი ნივთიდან მომდინარე მომეტებული საფრთხე, მაშინაც კი, როდესაც მას არ მიუძღვის კონკრეტული ბრალი ავარიაში, რადგან მის მიერ სხვა პირის დაზიანებისას ის 999 I მუხლის მიხედვით ბრალის გარეშე აგებდა პასუხს.³⁵

28 BGHZ 24, 327.

29 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 352.

30 იქვე, S. 353.

31 BGH NJW 1995, 1150; *Larenz*, Schuldrecht I, 1976, § 31 Ib.

32 *Deutscher*, Allgemeines Haftungsrecht, 2. Aufl., 1996, Rn. 581.

33 OLG Karlsruhe NJW 1959, 1589; OLG Köln NJW 1962, 1111.

34 *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 353.

35 BGH NJW 2007, 3122; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის № ას-

2. ზიანის თავიდან არიდების ან შემცირების ვალდებულება

415 II მუხლის (იხ. ზემოთ, მე-10 ველი) მიხედვით, დაზარალებულს ეკისრება ვალდებულება (საკუთარი თავის წინაშე), **შესაძლებლობის ფარგლებში**, თავიდან აიცილოს ზიანის დადგომა, ან შეამციროს მისი ოდენობა. აქ საქმე ეხება თანაბრალებლობას არა უშუალოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მომენტში, არამედ ამ სიკეთის ხელყოფიდან წარმომდგარი ზიანის პრევენციის ვალდებულების დარღვევას. მაგალითად, ფარიკაობისას მიყენებულ დაზიანებაში (სიკეთის ხელყოფა) ბრალი მიუძღვის თავად დაზარალებულსაც, რომელმაც პირველმა გამოიწვია მონინალმდეგე და ეს 415 I მუხლის გამოყენების სფეროა. თუმცა ამ ჭრილობის დაუმუშავებლობა, რამაც ოპერაციის აუცილებლობა (თანმდევი ზიანი) განაპირობა, უკვე 415 II მუხლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

პრობლემურია იმ ფარგლების განსაზღვრა, **რა ფარგლებშიც** ანეკს დაზარალებულს ეს ვალდებულება. ამ შემთხვევაშიც დაპირისპირებულ ინტერესთა ანონ-დანონაა აუცილებელი (შდრ. მე-13 ველი). აქაც ერთ მხარეზე დგას დაზარალებულის მოქმედების თავისუფლების, მეორე მხარეზე კი იმის უზრუნველყოფა, რომ დამზიანებელმა მხოლოდ ის დანახარჯები აანაზღაუროს, რაც აუცილებლობის ძალით გამომდინარეობს დაზიანებიდან.³⁶ თუ ავარიაში მსუბუქად დაზიანებული პირი ექიმის რჩევით მკურნალობის კურსს ძვირადღირებულ კურორტებზე ჩაიტარებს, რისი აუცილებლობაც არ არსებობდა და რასაც არანაირი ხელშესახები რეზულტატი არ მოუტანია ჩვეულებრივ მკურნალობასთან შედარებით, დამზიანებელი 415 II მუხლის საფუძველზე არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ეს დამატებითი დანახარჯები.³⁷ დაზარალებულმა ამ შემთხვევაში დაარღვია ზიანის (მკურნალობის ხარჯების) შემცირების ვალდებულება.

ამ კონტექსტში პრობლემურია წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაზარალებული 415 II მუხლის საფუძველზე უნდა დასთანხმდეს **ოპერაციის** გაკეთებას ან **გადაკვალიფიცირებას**, რაც გაზრდის მისი შრომისუნარიანობის აღდგენის ან სხვა სამუშაოზე დასაქმების პერსპექტივას და ამგვარად შეამცირებს მის შრომით განაცდურს. მაგალითად, მოთხილამურის დამზიანებელი პირი უთითებს დაზარალებულს სარისკო ოპერაციის გაკეთებაზე, რის შემდეგაც არსებობს პროფესიული კარიერის გაგრძელების შანსი ან ინსტრუქტორად გადაკვალიფიცირების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ზიანის შემცირების ეს ზომები იკვეთება დაზარალებულის **პირად არაქონებრივ** სფეროსთან, რის გამოც დაუშვებელია აბსტრაქტული საზომით ხელმძღვანელობა და აუცილებელია თითოეული კონკრეტული შემთხვევის

494-463-2010 განჩინება; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ 39, 40 და შემდგომი; *ძლიერიშვილი*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 118 და შემდგომი.

36 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 353.

37 *OLG Düsseldorf VerR* 1966, 95; საპირისპირო მაგალითისათვის იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 აგვისტოს № 2/ბ-614 განჩინება (4.17.).

თავისებურებების, განსაკუთრებით კი დაზარალებულის მატერიალური თუ მორალური მდგომარეობის გათვალისწინება.³⁸ აქედან გამომდინარე, დაზარალებულს მხოლოდ მაშინ **შეიძლება მოეთხოვოს** ოპერაციის გაკეთება, როდესაც ეს ოპერაცია, მედიცინის განვითარების დონიდან გამომდინარე, მარტივი, უსაფრთხო, უმტკივნეულო და გარანტირებულად შედეგის მომტანია, თუმცა დაზარალებულს ამ შემთხვევაშიც კი აქვს უფლება, უარი თქვას მის ჩატარებაზე პირადი მიზეზების (მაგ., რელიგიური წარმოდგენების) გამო.³⁹ ამის საპირისპიროდ დაზარალებულს **გადაკვალიფიცირება** შეიძლება მოეთხოვოს ყოველთვის, როდესაც არსებობს მისი ამ პროფესიით დასაქმების კარგი პერსპექტივა,⁴⁰ მითუმეტეს, რომ კანონი ამ გადამზადების ხარჯებს დამზიანებელს წინასწარ აკისრებს (408 III 1 2. ვარიანტი), რითაც აქეზებს დაზარალებულს ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ და ცხადყოფს მის ვალდებულებას, მზად იყოს მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებისათვის.

3. მოსალოდნელ ზიანთან დაკავშირებით გაფრთხილება

20 გერმანულ სამართალში 415 II მუხლის შესაბამისი დანაწესი (გსკ-ის 254 II 1 პარაგრაფი) ითვალისწინებს დაზარალებულის ვალდებულებას, კონკრეტულ შემთხვევაში დამზიანებელს მიუთითოს **უჩვეულოდ დიდი ზიანის** დადგომის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ამ უკანასკნელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა. ეს ე. წ. **გაფრთხილების ვალდებულება** გერმანიაში წარმოადგენს ზიანის თავიდან აცილების ზოგადი ვალდებულების ერთ-ერთ გამოვლინებას.⁴¹ ქართველმა კანონმდებელმა სხვა გზა აირჩია, გაითვალისწინა რა ზიანის (ოდენობის) არასავარაუდოება მიზეზმედეგობრიობის (412) გამომრიცხავ გარემოებად (და ამგვარად დამზიანებლის პასუხისმგებლობისაგან სრულებით გათავისუფლების საფუძვლად) და არა დამზიანებლისათვის სრულად შერაცხული ზიანის 415 II მუხლის მიხედვით დაზარალებულზე გადანაწილების საფუძვლად. მაგალითად, თუ ექსპედიტორს შემკვეთი არ მიუთითებს ტვირთის განსაკუთრებული ღირებულების შესახებ, მაშინ მისი დაკარგვით გამონვეული განსაკუთრებული ზიანი, უბრალოდ, არ შეერაცხება დამზიანებელს ადეკვატურობის არარსებობის გამო (იხ. მუხ. 412 მე-6 და მომდევნო ველები). ეს უფრო გამართლებული ჩანს, ვიდრე გერმანული გადანყვეტა, რომლის მიხედვითაც დამზიანებელს კაუზალობის დონეზე მთლიანი ზიანი შეერაცხება და მხოლოდ 415-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს მისი ანაზღაურებადი ოდენობა. ასეთი გადანყვეტა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ გართულებული გზით მიდის მისალეებ შედეგამდე. ამ ტიპის შემთხვევებში საქმე ეხება ზიანის სავარაუდოებას და არა თანაბრალეულობის საფუძვლით საერთო ზიანიდან ანაზღაურებადი წილის გამოყოფას. ლოგიკურად უფრო გამართლებულია საუბარი იმაზე,

³⁸ Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 354.

³⁹ BGH VersR 1987, 409.

⁴⁰ BGHZ 10, 20.

⁴¹ Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 254, Rn. 37.

რომ არაადეკვატური ზიანი არ შეერაცხება დამზიანებელს 412-ე მუხლის მიხედვით, ვიდრე დაზარალებულის თანაბრალეულობაზე, რომ მას თავად მიუძღვის ბრალი ამგვარი ზიანის დადგომაში.⁴²

4. დაზარალებულის პასუხისმგებლობა გარეშე პირთა ქმედებისათვის

საკმაოდ პრობლემურია დაზარალებულისათვის **სხვა გარეშე პირთა ბრალის** შერაცხვის საკითხი 396-ე მუხლის მიხედვით. განსაკუთრებით მწვავე კამათის საგანია, თუ რამდენად უნდა აგონ პასუხი შვილებმა მშობლების ბრალისათვის. ამცირებს თუ არა დედის უყურადღებობით განპირობებული თანაბრალეულობა, რომელიც ველოსიპედით უკან მიჰყვებოდა თავის ასევე ველოსიპედით მოსეირნე შვილს, რა დროსაც მას შემხვედრი მანქანა დაეჯახა, ამ უკანასკნელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას 415-ე მუხლის მიხედვით.⁴³ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, დაზარალებულსა და დამზიანებელს შორის ამ შემთხვევაში არ არსებობდა რა რაიმე სპეციალური ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ რომლის ფარგლებშიც არის დასაშვები 396-ე მუხლის გამოყენება და რის გამოც მას არ შეერაცხება დედის ბრალი ამ დანაწესის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე. გარდა ამისა, ეს ბრალი დაზარალებულ შვილს არ შეერაცხება არც 997-ე მუხლის მიხედვით, არ წარმოადგენდა რა დედა მის მუშაკს. ამგვარად, ამ გადაწყვეტის განზოგადების შედეგად აღიარებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაზარალებულისათვის 396-ე მუხლის მიხედვით თანაბრალეულობის შერაცხვისათვის აუცილებელია მასა და დამზიანებელს შორის **ვალდებულებით-სამართლებრივი** ან მისი დარი რაიმე **სპეციალური ურთიერთობის** არსებობა.⁴⁴ სხვა შემთხვევაში მხოლოდ 997-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებაა შესაძლებელი.⁴⁵

III. სამართლებრივი შედეგები

415-ე მუხლიდან სამართლებრივი შედეგის სახით გამომდინარეობს, რომ ზიანი დაზარალებულისა და დამზიანებლის **პასუხისმგებლობის თანაფარდობის** საფუძველზე უნდა გადანაწილდეს მათ შორის. წინა პლანზე წამოწეულია თითოეული მათგანის მიერ ზიანის დადგომაში შეტანილი

42 მაშინაც კი, როდესაც შემკვეთმა არ გააფრთხილა ექსპედიტორი ჩემოდანში ტანსაცმელთან ერთად გახვეული ძვირფასი ჩინური ვაზის შესახებ, მის გატყუებაში მაინც მხოლოდ დამზიანებელს მიუძღვის ბრალი. განსხვავებით უჩაფხუტო მოტოციკლეტისტი დაზიანებისაგან, როდესაც ეს გარემოება დამზიანებლისათვის მაინც სავარაუდოა და მისი პასუხისმგებლობისაგან (ნაწილობრივ) გათავისუფლება მხოლოდ 415-ე მუხლის მიხედვით შეიძლება, ჩემოდანში შეუმჩნეველად ჩადებული ვაზის შემთხვევაში სწორედ არასავარაუდო ზიანს ეხება საქმე, რაც 412-ე მუხლში დაფიქსირებული კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს. ამ განსხვავებას განსაკუთრებით ნათელყოფს იმ გარემოებაზე მითითება, რომ მაშინაც კი, თუ შემკვეთის ანტიკვარი შემთხვევითობის წყალობით აღმოჩნდა (ოჯახის წევრის დაუდევრობის წყალობით) ექსპედიტორისათვის ჩაბარებულ ჩემოდანში, ეს მაინც ათავისუფლებს დამზიანებელს მიყენებული (არაადეკვატური) ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუმცა 415-ე მუხლზე მითითება აქ უკვე შეუძლებელია.

43 OLG Hamm NJW 1993, 542.

44 Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 355.

45 BGHZ 3, 49; BGHZ 9, 318.

ობიექტური „წვლილი“ (იხ. საფრთხის გამომწვევისათვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მე-16 ველი), ხოლო თუ ბრალზე დამოკიდებულ პასუხისმგებლობას ეხება საქმე – მათი ბრალის ხარისხი.⁴⁶ თითოეული მხარის პასუხისმგებლობის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შეპირისპირების შედეგს წარმოადგენს მათ შორის ზიანის **წილობრივი** განაწილება. ამ ფაქტორების ანონ-დანონისას შეიძლება ერთი მხარის „წვლილმა“ ზიანის დადგომაში სრულებით გადაწონოს მეორის „წვლილი“. მაგალითად, თუ დაზარალებული მხოლოდ გაუფრთხილებლობით მოქმედებს, დამზიანებელი კი პირდაპირი განზრახვით, ზიანი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ამ უკანასკნელის ასანაზღაურებელია სრული ოდენობით.⁴⁷

- 23 განსაკუთრებული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული 415 II მუხლის სანინააღმდეგოდ არ ჰკიდებს ხელს **მოგების მომტან საქმიანობას**. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს არა ზიანის წილობრივი განაწილება, არამედ დაზარალებულის მოთხოვნისათვის კონკრეტული ფიქტიური შემოსავლის გამოკლება.⁴⁸

IV. საკუთარი რისკით მოქმედება

- 24 მთელ რიგ შემთხვევებში, დაზარალებულის „წვლილი“ ზიანის დადგომაში გამოიხატება იმაში, რომ მან ხელი მოჰკიდა საფრთხის შემცველ საქმიანობას, რომელიც დამზიანებლის მიერ იყო განპირობებული და რომელსაც ის აკონტროლებდა. ამ ტიპის შემთხვევებს აერთიანებენ **„საკუთარი რისკით მოქმედების“** ცნებაში,⁴⁹ რაც, საბოლოო ჯამში, მათი მხოლოდ ფაქტობრივი და არა სამართლებრივი კვალიფიკაციაა.⁵⁰ საკუთარი რისკით მოქმედების ყველაზე გავრცელებული მაგალითია ექსტრემალური სპორტით დაკავება, თუმცა ის მოიცავს ასევე ყველა იმ შემთხვევას, როდესაც დაზარალებულს ჰქონდა მოსალოდნელი საფრთხის წინასწარ გაცნობიერების შესაძლებლობა და მან მაინც ნებაყოფლობით გამოთქვა მასზე თანხმობა.

46 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 356; შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ივლისის № 28/1977-11 გადაწყვეტილება (2.4.); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის № ას-494-463-2010 განჩინება; *ძლიერიშვილი*, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ. 40.

47 *Larenz, Schuldrecht I*, 1976, § 31 Ie; BGH, NJW 1992, 311; ორმხრივი განზრახვის შემთხვევაში მხარეთა ბრალი ერთმანეთს ანეიტრალდება და ზიანის ანაზღაურების ბედი სხვა, 415-ე მუხლის ფარგლებში მნიშვნელოვანი, კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განწყდეს (*Oetker*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 254, Rn. 112); ხოლო ორმხრივი გაუფრთხილებლობისას, ჩვეულებრივ, ზიანი მხარეთა შორის უნდა გადანაწილდეს, თუმცა, თუ ერთი მხარის გაუფრთხილებლობის ხარისხი მრავალჯერ გადაწონის მეორისას, მთლიანი ზიანი მას შეერაცხება (BGH, NJW-RR 1991, 1240).

48 BGH NJW 2007, 64.

49 BGHZ 34, 358.

50 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 357.

1. საფრთხის შემცველი მგზავრობა

საკუთარი რისკით მოქმედება სახეზეა ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დაემგზავრება პირს, რომლის შესახებაც იცის, რომ ის ამ მომენტში მოკლებულია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვის უნარს. მაგალითად,⁵¹ თუ პირი თანახმაა, რომ ის გვარიანად ნასვამმა მეგობარმა წაიყვანოს სახლში თავისი ავტომანქანით, მოგვიანებით ავარიისას მიღებულ დაზიანებაში მასაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. წარსულში გაბატონებული მოსაზრება⁵² მიიჩნეოდა, რომ ამ დროს სახეზე იყო დაზარალებულის თანხმობა, რომელიც გამორიცხავდა ზიანის მომტანი ქმედების მართლწინააღმდეგობას, რაც დღესდღეობით სამართლიანად უკუგდება. ის გარემოება, რომ დაზარალებული აცნობიერებს იმ საფრთხეს, რასაც ამგვარი წამოწყება შეიცავს, არ გულისხმობს მის თანხმობას ამ საფრთხის რეალიზებიდან წარმოშობილ ზიანთან დაკავშირებით, ამიტომაც უფრო გამართლებულია ამგვარი შემთხვევების გადაწყვეტა 415-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა თანაბრალეულობის საფუძველზე.⁵³

2. საფრთხის შემცველი სპორტი

საკუთარი რისკით მოქმედების შესახებ მოძღვრების გამოყენების მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს გარკვეული საფრთხის შემცველი სპორტის სახეობებით დაკავება (მაგ.: რაგბი, ჭიდაობა, ბოქსი). სასამართლო პრაქტიკა⁵⁴ ამ შემთხვევებს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის (8 III) საფუძველზე წყვეტს, რადგან სპორტსმენი ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობისას მზად უნდა იყოს სპორტის მოცემული სახეობისათვის (რომელსაც მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მყარად დადგენილი წესები აქვს⁵⁵) დამახასიათებელი ტრავმებისათვის, თუმცა ეს არ ეხება შესაბამისი წესების დარღვევით მიყენებულ დაზიანებას. თუ ის მაინც შეეცდება, დამზიანებელს პასუხი აგებინოს წესების დაცვით მიყენებული ტრავმისათვის (რინგზე გატეხილი ცხვირი), ეს წარმოადგენს წინააღმდეგობრივ ქმედებას (*venire contra factum proprium*), რაც უკვე ფაქტობრივი შემადგენლობის დონეზე გამორიცხავს 992-ე მუხლის მიხედვით პასუხისგებას და არ ტოვებს ადგილს 415-ე მუხლზე მითითებისათვის.⁵⁶

51 იქვე.

52 RGZ 141, 266; BGHZ 2, 162; BGH VersR 1953, 85.

53 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl., 2014, § 254, Rn. 34.

54 BGHZ 63, 145; BGHZ 154, 323.

55 BGHZ NJW-RR 2006, 674.

56 BGH VersR 2009, 1677.

3. საკუთარი რისკით მოქმედება საფრთხის გამონწვევისათვის პასუხისმგებლისა

27

საკუთარი რისკით მოქმედება აქტუალურია ასევე საფრთხის გამონწვევისათვის პასუხისმგებლის შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის მიერ საფრთხის შემცველი საქმიანობის წამოწყებამ შესაძლებელია, უკვე ფაქტობრივი შემადგენლობის დონეზე გამორიცხოს დამზიანებლის პასუხისმგებლობა. მაგალითად, ერთი მოსაზრების თანახმად,⁵⁷ ცხენის მფლობელის პასუხისმგებლობა 1003 1 მუხლის მიხედვით გამორიცხულია, თუ მოჯირითემ უსასყიდლოდ და მხოლოდ საკუთარ ინტერესებში მოიპოვა ცხენით ჯირითის შესაძლებლობა. ამის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკა⁵⁸ ამ შემთხვევაშიც დასაშვებად მიიჩნევს 1003 1 მუხლის გამოყენებას და მას მხოლოდ დაზარალებულის მიერ განსაკუთრებით საშიში ჯირითის ტექნიკის გამოყენებისას გამორიცხავს. დამზიანებლის 1003 1 მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლის შემთხვევაში დაზარალებულის თანაბრალეულობამ (415) შეიძლება სრულებით გაათავისუფლოს ის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ან შეამციროს ანაზღაურებადი ზიანის ოდენობა,⁵⁹ თუმცა მხოლოდ სხვისი ცხენით ჯირითი, როგორც ასეთი, არ განაპირობებს დაზარალებულის ბრალს. აუცილებელია, ჯირითისას მას შეცდომა მოუვიდეს, ან გაუმართლებლად გარისკოს.

57 *Deutsch, Allgemeines haftungsrecht*, 2. Aufl., 1995, Rn. 58 f.

58 BGH NJW 1992, 2474; BGH NJW 1993, 2611.

59 *Looschelders, Schuldrecht AT*, 9. Aufl., 2011, S. 358.

პარი მისუთი

**მოთხოვნის უზრუნველყოფის
დამატებითი საშუალებანი**

**მუხლი 416. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის
დამატებით საშუალებათა სახეები**

მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.

**I. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით
საშუალებათა არსი**

განსხვავებით არაერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამართლებრივი მონესრიგებისგან, ქართული სამართლის სისტემის მიხედვით, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებების განშტოებას არ წარმოადგენენ.¹ ისინი ვალდებულების შესრულების მიზნით, მხარისთვის დამატებითი მოქმედების განხორციელების (მაგალითად, სანქციის) მოთხოვნის შესაძლებლობას განსაზღვრვენ. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების გამოყენება დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობაზე (შესაბამისად, თითოეული მათგანის ამოქმედებაც ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებული²).

1

**II. განსხვავება პირგასამტეხლოს, ბესა და მოვალის
გარანტიას შორის**

პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია.^{3/4} მაგალითად, პირგასამტეხლოსა და მოვალის გარანტიისგან განსხვავებით, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბეს გამოყენება არ ხდება.⁵ ამასთან, მოვალის გარანტიის არსი კრედიტორისთვის ისეთი უფლების მინიჭებას ითვალისწინებს, რომელიც ამ უკანასკნელს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ გააჩნია,⁶ რაც მას ბესა და პირგასამტეხლოსგან განსხვავებს. თავის მხრივ, პირგასამტეხლოს არსი, დარღვეული ვალდებულების შემთხვევაში შესაბამისი სანქციის დაკისრებით გამოიხატება. განსხვავებით ბესა და მოვალის გარანტიისგან, სასამართლოს პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში შეუძლია, ჩაერთოს მხარეთა სახელშეკრულებო ავტონომიაში (420)⁷.

2

1 იხ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 234; ასევე, Chanturia, in Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus un in Zentralasien, 2010, S. 359 ff.
2 იხ. მაგალითად, თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 19.
3 დეტალური ნიშან-თვისებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შესაბამის კომენტარში.
4 მაგალითად, ფორმის თავისუფლების შეზღუდვის ჭრილში. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის №ას-379-352-2010 განჩინება.
5 მესხიშვილი, პირგასამტეხლო, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III, 2014, გვ. 21.
6 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 617.
7 შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით. იხ. 420-ე მუხლის კომენტარი.

თავი პირველი
პირგასამტეხლო

მუხლი 417. ცნება

პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

I. პირგასამტეხლოს არსი.....	781
1. პირგასამტეხლოს ფუნქცია	781
2. აქცესორული ბუნება.....	782
3. სარგებლის მიღების დაუშვებლობა	783
II. პირგასამტეხლოს გამოხატულება ფულადი ფორმით.....	784
III. პირგასამტეხლოს სახეები.....	784
1. კუმულაციური (საჯარიმო) პირგასამტეხლო.....	785
2. ჩასათვლელი პირგასამტეხლო	786
3. ალტერნატიული პირგასამტეხლო.....	786
4. ექსკლუზიური პირგასამტეხლო	786
IV. კანონისმიერი პირგასამტეხლო.....	786
V. პირგასამტეხლო ადმინისტრაციულ საქმეებზე	787
VI. პირგასამტეხლოს მოთხოვნის წინაპირობა	788
1. ვალდებულების დარღვევა.....	789
2. მოვალის ბრალეულობა	789
VII. პირგასამტეხლოს განსხვავება სხვა ინსტიტუტებისგან	789
1. ზიანი.....	790
2. საჯარიმო თანხა.....	790
3. კომპენსაცია.....	791
VIII. ხანდაზმულობა.....	791

I. პირგასამტეხლოს არსი

პირგასამტეხლოზე შეთანხმება ნების არანაკლებ ორმხრივი გამოვლენის შედეგია.¹ სკ-ის 417-ე-420-ე მუხლები სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმებია.² აღნიშნულის გათვალისწინებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა,³ კანონისმიერ პირგასამტეხლოსთან მიმართებით ამ ნორმების გამოყენება დაუშვებელია.⁴

პირგასამტეხლოს არსი მის საჯარიმო (სანქციონებით) ხასიათში ვლინდება.⁵ მისი გამოყენება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.⁶ შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების შესრულების დარღვევისას.⁷

პირგასამტეხლოს ბუნება არ არის შეუზღუდავი.⁸ მის განსაზღვრაში (მხარეთა სახელშეკრულებო ნებაში) ჩარევის უფლებამოსილება სასამართლოს აქვს (420). ასეთ დროს სასამართლო აფასებს იმ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებებს (კრიტერიუმებს), რაც უფლების განხორციელებას ძირითად კერძოსამართლებრივ პრინციპებთან მოიყვანს შესაბამისობაში.⁹

1. პირგასამტეხლოს ფუნქცია

პირგასამტეხლოს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს. იგი, ერთი მხრივ, მოვალის (კონტრაჰენტის) ნახალისების საშუალებაა,¹⁰ რათა მან ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად,¹¹ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობე-

1 პირგასამტეხლო სახელშეკრულებო შეთანხმების ფარგლებში წესრიგდება – იხ. *Looschelders, Schuldrecht AT, 15. Aufl., S. 288-289*; ასევე, *რობაქიძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 589-592.

2 დასახელებული მუხლები ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო უზრუნველყოფის წინაპირობებად უნდა მივიჩნიოთ, და არა სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად, რომელიც ცალკეულ სამართლებრივ ნორმებშია განერილი. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, *Rieble, in Staudinger BGB, Buch 2, 2015, Vorbem zu §§ 339 ff. Rn. 5*.

3 უპირატესად, პრინციპის (პირგასამტეხლოს ფუნქციის) დონეზე.

4 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

5 ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო უზრუნველყოფის საშუალებაზე მეტად, შესაძლოა, რომ საჯარიმო სანქციად იქნეს მიჩნეული. იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 235.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის №ას-848-814-2016 განჩინება.

7 *ვაშაქიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 232.

8 იხ. ვაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 55.

9 იქვე.

10 კონტრაჰენტი შეიძლება იყოს სპეციალური ურთიერთობის მონაწილე პირი. ამ მხრივ სკ სპეციალური ურთიერთობის მონაწილე მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, პირგასამტეხლოს ფუნქციის გამოყენებით შეჯერდნენ შესაბამის პირობებზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობა. იხ. *Klump, in Clemenz/Kreft/Krause (Hrsg.), AGB-Arbeitsrecht Kommentar, §307, Rn. 259*.

11 იხ. მაგალითად, სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ჭრილში: *Looschelders, Schuldrecht AT, 15. Aufl., S. 288*.

ბის შესაბამისად,¹² (პრევენციული ფუნქცია¹³) შესარულოს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ფუნქცია, კონტრაჰენტის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციის დაკისრებაში გამოიხატება, რათა ამით მიყენებული ზიანი სწრაფად ანაზღაურდეს¹⁴ (რესტიტუციული ფუნქცია,¹⁵ რომელიც არ უნდა ატარებდეს სიმბოლურ ხასიათს¹⁶).

- 5 მიუხედავად იმისა, რომ პირგასამტეხლოს გადახდა შესრულების ადგილს ვერ დაიკავებს,¹⁷ იგი შესაძლოა, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ნახალისების ერთგვარ ინსტრუმენტად იქნეს მიჩნეული.¹⁸ კერძოდ, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალეს წინასწარ ექმნება წარმოდგენა,¹⁹ შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე²⁰ (პასუხისმგებლობის ფარგლების წინასწარ შემოსაზღვრა²¹), რაც ამ უკანასკნელისთვის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტის მატარებელი გახდება.²²
- 6 ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა პირგასამტეხლოს გათვალისწინება უფრო მეტად უზრუნველყოფდეს კრედიტორის ინტერესებს. მაგალითად, უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, სადაც უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნის აღსრულება რთულდება,²³ პირგასამტეხლოს დაკისრებამ, შესაძლოა, უფრო მარტივად მიიყვანოს კრედიტორი სასურველ შედეგამდე.²⁴

2. აქცესორული ბუნება

- 7 პირგასამტეხლო, თავისი არსით, მთლიანად დამოკიდებულია ძირითად ხელშეკრულებაზე²⁵ (და, შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდი-

12 *Fikentscher/Heinemann, Schuldrecht, AT und BT, 11. Aufl., S. 101.*

13 თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის №ას-1560-1463-2012 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

15 *Köhler, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, 1994, S. 261.*

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 მაისის №ას-1031-992-2016 გადაწყვეტილება.

17 *Schuhmann, Termisicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadenersatz? ZfBR 2009, S. 311.*

18 თავის მხრივ, ეს ინსტრუმენტი კრედიტორის ხელშიც პოვებს ანალოგიურ გამოყენებას. იხ. მაგალითად, *Tamm*, in *Tonner/Willingmann/Tamm (Hrsg.), Vertragsrecht Kommentar, § 339, Rn. 2.*

19 იხ. *Greiner*, Die „Auftragssumme“ bei Vereinbarung einer Vertragsstrafe, *ZfBR 1999, S. 63.*

20 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, გვ. 488.

21 *Cloppenburg/Mahnken, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, NZBau 2014, S. 750.*

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის №ას-684-655-2016 გადაწყვეტილება.

23 *ჯორბენაძე*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 267-269.

24 შემთხვევა, როდესაც კრედიტორმა ხელშეკრულების დადების ინტერესი დაკარგა. ასეთ დროს, პირგასამტეხლო იდეალური გზაა, დააკისროს პასუხისმგებლობა მოვალეს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისთვის (შეუსრულებლობისთვის). იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის №ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

25 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 236.

ნარე ვალდებულებებზე²⁶). მხოლოდ ძირითადი უფლების ნამდვილობის შემთხვევაშია შესაძლებელი პირგასამტეხლოს მოთხოვნა.²⁷

ძირითადი ხელშეკრულების პირობებს ენიჭება უპირატესობა ზოგადი სადავო საკითხის გადაჭრისას, მაგალითად, შესრულების ადგილის განსაზღვრისას.²⁸ ანალოგიურად შეიძლება მოთხოვნის უფლების გადაცემის შემთხვევის მაგალითის მოყვანა,²⁹ როდესაც ძირითადი მოთხოვნის დათმობისას იგი ავტომატურად შეეხება პირგასამტეხლოსაც (201 I).³⁰

პირგასამტეხლოს აქცესორული ხასიათიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება, ასევე, ფორმის დაუცველი გარიგება³¹) პირგასამტეხლოს ბათილობასაც იწვევს.³² თუმცა, პირიქით, როდესაც პირგასამტეხლო ეწინააღმდეგება დადგენილ წესებს (პრინციპებს),³³ ან პირგასამტეხლოს თაობაზე ცალკე შეთანხმება ბათილადაა ცნობილი, ეს ავტომატურად მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას არ გამოიწვევს.³⁴

3. სარგებლის მიღების დაუშვებლობა

პირგასამტეხლოს დაკისრება არ წარმოადგენს კრედიტორისთვის რაიმე სარგებლის მიღების საფუძველს.³⁵ შესაბამისად, პირგასამტეხლოს გათვალისწინების შემთხვევაში, მისი მოვალეზე დაკისრებით სარგებელი არ უნდა ნახოს კრედიტორმა.³⁶

26 იხ. *Schulze*, in *BGB-HK.*, 9. Auflage, § 339, Rn. 11.

27 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 იანვრის № ბს-1611-1585(კ-11) გადაწყვეტილება.

28 *Janoschek*, Beck OK BGB, § 339, Rn. 3.

29 ისევე, როგორც ვალის გადაკისრების შემთხვევაში. თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ იქნა შეთანხმებით განსაზღვრული – *Schaub*, in *Erman BGB*, 15. Aufl., § 339, Rn. 4.

30 იხ. *რობაქიძე*, წიგნში: დღიურიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 592.

31 იხ. მაგალითად, *Prasse/Steinbach-Martens*, in *Schulze/Grizwotz/Lauda* (Hrsg.), *BGB Kommentiertes Vertrags- und Prozessformularbuch*, 3. Auflage, §339, Rn. 8.

32 იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 418, გვ. 492.

33 იხ. *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 10.

34 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, გვ. 389.

35 ამ მხრივ შესაძლებელია განსხვავების დანახვა პროცენტთან (სარგებელთან), რომლის გადახდაც ვალდებულების შესრულებას წარმოადგენს და რომელიც პირგასამტეხლოს მსგავსად, ჯარიმად არ გამოიყენება. იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის № ას-561-529-2012 გადაწყვეტილება. შესაბამისად, სარგებლის შემთხვევაში, სასამართლო არ ხელმძღვანელობს 420-ე მუხლით. ასეთ დროს იგი, უპირატესად, 54-ე მუხლზე აკეთებს აქცენტს. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის № ას-231-218-2015 განჩინება; ასევე, გაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 56-57.

36 ანალოგიურად, მოვალესაც არ უნდა დაეკისროს იმგვარი ოდენობით პირგასამტეხლო, რაც მას არათანაბარ და უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს კრედიტორთან მიმართებით (იხ. 420-ე მუხლის კომენტარი). სხვა სიტყვებით, პირგასამტეხლო არ უნდა იქცეს ერთგვარ დასჯის მექანიზმად. ამ საკითხზე იხილეთ, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის , № 2ბ/4683-13 განჩინება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 2010, № ბს-1469-1403(კ-09) განჩინება.

II. პირგასამტეხლოს გამოხატულება ფულადი ფორმით

- 11 პირგასამტეხლო ყოველთვის ფულადი ფორმით უნდა განისაზღვროს.³⁷ შესაბამისად, ფულადი ფორმითვე მოხდება მისი ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაყენება.³⁸ პირგასამტეხლოს შეთანხმება შესაძლებელია ნებისმიერ ვალუტაში.³⁹ მხარეებს აქვთ ასეთი თავისუფლება. აღნიშნული უმეტესად დამოკიდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალუტაზე: თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ლარში ანგარიშსწორებას, მაშინ პირგასამტეხლოს შემთხვევაშიც ლარი იქნება ნაგულისხმევი, თუ მხარეთა შორის პირობა სხვაგვარად არ დაკონკრეტდება. ფულადი ერთეულის ჩანაცვლება „სხვა სახის შესრულებით“⁴⁰ და მასზე ამ მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება დაუშვებელია.⁴¹

III. პირგასამტეხლოს სახეები

- 12 პირგასამტეხლო შეიძლება განისაზღვროს როგორც ჯარიმის (განსაზღვრული ფულადი თანხის⁴²), ისე საურავის სახით (ვადაგადაცდენილი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა⁴³).⁴⁴ ჯარიმა, როგორც წესი, გამოიხატება კონკრეტულ თანხაში,⁴⁵ ხოლო, საურავი – პროცენტში,⁴⁶ რომელიც დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც განაგრძობს.⁴⁷ პირგასამტეხლოს (საურავის მაგალითზე დაყრდნობით) ანაზღაურების უზრუნველყოფა მხარეს ეკისრება იმ დროიდან, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო.⁴⁸ მისი დარიცხვა გრძელდება ამ

37 სხვა ქვეყნების კანონმდებლობა სხვა სიკეთის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. იხ. მაგალითად, *იოსელიანი*, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 142.

38 *კვინიკაძე*, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2016, გვ. 87.

39 გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც კანონი წინდანიწვე კრძალავს ასეთ ქმედებას. ამასთან, ანგარიშსწორების კუთხით, ასევე დაცული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორების პირობები.

40 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 235.

41 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III 2014, გვ. 18.

42 იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 237.

43 იხ. *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 78-79.

44 პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც ჯარიმა და საურავი ერთი ხელშეკრულებითაა მოწესრიგებული. ასეთ დროს, შესაძლებელია, სასამართლო ჩაერიოს მხარეთა ნების ავტონომიაში. მითუმეტეს, თუ სასამართლოს ამგვარი საფუძველი კანონით აქვს მინიჭებული (გარდა 420-ე მუხლისა, სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე). იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის № ბს-690-684(2-კ-11) განჩინება.

45 აღნიშნულ საკითხზე იხ. მაგალითად, *რობაქიძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ.596.

46 საურავის დაკისრებაში გამოიხატება პირგასამტეხლოს ფუნქცია, სადაც უფრო ნათლად ჩანს, რაც უფრო გვიან შესრულებს პირი ვალდებულებას, მით უფრო მძიმე იქნება ფინანსური ტვირთი – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

47 მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის № ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 № ას-1488-1408-2017 გადაწყვეტილება.

ვალდებულების შესრულებამდე.⁴⁹ შესაბამისად, საურავი იზრდება შესრულების ვადის გადაცილების პროპორციულად,⁵⁰ რომლითაც იგი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ აქვს.⁵¹

პირგასამტეხლოს დიფერენცირება შესაძლებელია რამდენიმე სახედ.⁵² წინამდებარე კომენტარში მოცემული კლასიფიკაცია ეფუძნება პრაქტიკაში დამკვიდრებულ მაგალითებსა და დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

1. კუმულაციური (საჯარიმო) პირგასამტეხლო

კუმულაციური (რომელიც ასევე მოიხსენიება, როგორც საჯარიმო) პირგასამტეხლო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული სახეა.⁵³ ამ დროს კრედიტორს მის მიერ დაყენებული მოთხოვნის პარალელურად აქვს უფლება, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება (419 I მუხლის პირობების დაცვით) ან/და პირგასამტეხლოს გადახდა.⁵⁴ შესაბამისად, პირგასამტეხლოს სახით გადახდილი თანხა არ ჩაითვლება შესრულების ანგარიშში.⁵⁵

კუმულაციური პირგასამტეხლოს შემთხვევაში მხარეს შეუძლია, რომ პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა (თუ იგი ვადაგადაცილების ფარგლებში ვალდებულების დარღვევას ეხება) ვალდებულების შესრულების შემდეგ დააყენოს.⁵⁶ კერძოდ, მხედველობაშია მისაღები კეთილსინდისიერების ფარგლები – რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებს კრედიტორი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მხარეებს ხელშეკრულებით დეტალურად და განსხვავებულად აქვთ მონესრიგებული პირგასამტეხლოს დარიცხვისა და მოთხოვნის წესი, მაგალითად, რა პერიოდში აქვს პირს მოთხოვნის დაყენების უფლება. ანალოგიური გამონაკლისი მოქმედებს კრედიტორის მიერ შესაბამისი გაქვითვისას.⁵⁷ ასეთ დროს მას მოთხოვნის

49 გაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 46.

50 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 237-238.

51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის № ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.

52 საკითხი ეხება სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს სახეებს. კანონისმიერი პირგასამტეხლოს არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში გააჩნია კრედიტორს მოთხოვნის უფლება, თუნდაც, ხელშეკრულებაში სხვა რამ იყოს გაწერილი (თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 28). იმის გათვალისწინებით, რომ კანონისმიერ პირგასამტეხლოს მხარეთა შეთანხმებაზე მეტი იურიდიული ძალა გააჩნია, პირგასამტეხლოს ცალკეული სახეები ასეთი ურთიერთობისას, თავის პრაქტიკულ დანიშნულებას კარგავს.

53 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 განჩინება.

54 კუმულაციური პირგასამტეხლოს შემთხვევაში, საურავის გამოყენებით, შესაძლებელია ორთავე მოთხოვნის ერთობლივი დაყენება. აღნიშნულის თაობაზე იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის № ას-862-828-2016 განჩინება.

55 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 238.

56 *Luft*, Die Vertragsstrafe im VOB/B-Bauvertrag, NJW 2016, S. 2471.

57 BGH, Urteil vom 5.11.2015 – VII ZR 43/15.

უფლება აღარ წარმოემოხება.⁵⁸

2. ჩასათვლელი პირგასამტეხლო

- 16 ჩასათვლელი პირგასამტეხლოს შემთხვევაში პირგასამტეხლოს თანხა ასანაზღაურებელი თანხის ანგარიშში ჩაითვლება.⁵⁹ კერძოდ, დარჩენილი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოანგარიშება მოხდება გადახდილი პირგასამტეხლოს გამოკლებით.

3. ალტერნატიული პირგასამტეხლო

- 17 ალტერნატიული პირგასამტეხლოს შემთხვევაში კრედიტორს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, მაგალითად, პირგასამტეხლოს გადახდისა თუ ვალდებულების შესრულების მოთხოვნებს შორის.⁶⁰ ალტერნატიული პირგასამტეხლო მას არ უტოვებს მოქმედების ფართო არეალს. შესაბამისად, იგი ქართულ რეალობაში ხშირად არ გამოიყენება.⁶¹

4. ექსკლუზიური პირგასამტეხლო

- 18 ექსკლუზიური პირგასამტეხლოს შემთხვევაში მოთხოვნის დაყენება ხდება მხოლოდ ჯარიმის ანაზღაურების კუთხით. ეს სახე ყველაზე ხშირად სატრანსპორტო ურთიერთობებში გამოიყენება,⁶² თუმცა არც ის არის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაში.⁶³

IV. კანონისმიერი პირგასამტეხლო

- 19 კანონისმიერი (იგივე, ნორმატიული) პირგასამტეხლო კანონმდებლის მიერაა დადგენილი.⁶⁴ მისი მიზანი (სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს მსგავსად) ვალდებულების დარღვევის პრევენციაში გამოიხატება.⁶⁵ კანონისმიერი პირგასამტეხლო სკ-ში არ გვხვდება. იგი წესრიგდება ნორმით, რომელიც სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება (მაგალითად, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, სშკ-ის 31 III მუხლით გათვალისწინებული 0,07 პროცენტი⁶⁶). კანონისმიერი პი-

58 იხ. *Weyer, Kein Vorbehalt der Vertragsstrafe bei Aufrechnung vor Abnahme*, NJW 2016, გვ. 609 და შემდგომი.

59 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 238.

60 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 417, გვ. 487.

61 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 238.

62 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 29.

63 იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 239.

64 წარმოშობის ნების გათვალისწინებით ხდება კანონისმიერი პირგასამტეხლოს განსხვავება სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსგან, სადაც, მთლიანად მხარეთა დისპოზიციურობას ეფუძნება პირგასამტეხლოს განსაზღვრის საკითხი. იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის № ას-862-828-2016 განჩინება.

65 კანონისმიერი პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და მიზანზე იხილეთ, მაგალითად, *თუშანიშვილი/მასისურაძე*, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0,07% გადახდის ვალდებულების შესახებ, 2/2018, გვ. 85.

66 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

რგასამტეხლო, შესაძლოა, კონკრეტული, უფლებამოსილი ორგანოს⁶⁷ (ორგანიზაცია და სხვ.) მიერ დადგინდეს⁶⁸ (მაგალითად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ №177 დადგენილება, რომლის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, მიმწოდებლისა და აფთიაქისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ამ წესით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლისა და აფთიაქის სასარგებლოდ გადაიხადოს 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე⁶⁹). თითოეულ შემთხვევაში კანონშივეა გათვალისწინებული მისი დარიცხვის წესი⁷⁰ და ოდენობა,⁷¹ რომელიც მხარეს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების (შეუსრულებლობის) შემთხვევაში დაეკისრება.⁷² შესაბამისად, მხარეები მოკლებული არიან შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ კანონიერი პირგასამტეხლოს ოდენობა, დარიცხვის წესი და დამატებითი პირობები.⁷³

V. პირგასამტეხლო ადმინისტრაციულ საქმეებზე

ცალკეულ შემთხვევებში პირგასამტეხლოს გამოყენება ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, კერძოდ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში პირგასამტეხლოს მითითების სახით. ასეთ დროს დავა ადმინისტრაციულ კატეგორიაში ექცევა.⁷⁴ მაგალითად, პრივატიზება (სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა⁷⁵).⁷⁶

პირგასამტეხლოსთან მიმართებით განსჯადობის საკითხი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რას ეხება დავა. მაგალითად, თუ ადმინისტრაციული აქტია გამოცემული, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტასა და პირგასამტეხლოს დაკისრებას ეხება (სადაც საჯარიმო მიზანი იკვეთება⁷⁷), მაშინ დავა ადმინისტრაციული წესით განსჯადია.⁷⁸ მაგრამ, თუ დავა სცდება ვერტიკალურ, სუბორდინაციულ ურთიერთობას, მაშინ ად-

67 უმეტეს შემთხვევაში – სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი ორგანო.

68 იხ. *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 6.

69 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

70 აღნიშნული შეიძლება იყოს პერიოდულობა – იხ. მაგალითად, *Hartmann in Energierecht, Danner/Theobald*, 96. EL Januar 2018, *StromGVV* §10, Rn. 3-5.

71 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის № ას-862-828-2016 განჩინება.

72 *რობაქიძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელმწიფო სასამართლო, 2014, გვ. 595.

73 სხვა შემთხვევაში, ჯერ მხარეთა შეთანხმებას და მხოლოდ ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, კანონის მიერ პირგასამტეხლოს ენიჭება მნიშვნელობა. იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის № ას-392-365-2017 განჩინება

74 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის № ბს-90-89(გ-16) განჩინება.

75 *ჯორბენაძე*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 267-269.

76 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 იანვრის № ბს-718-714(გ17) განჩინება.

77 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის № ბს-230-228(კ-17) განჩინება.

78 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის № ბს-90-89(გ-16) განჩინება.

მინისტრაციული ორგანო კრედიტორად მოგვევლინება და საქმეც სამოქალაქო კატეგორიაში მოექცევა.⁷⁹ მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სატრანსპორტო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულება (და მისგან გამომდინარე, პირგასამტეხლოზე მოთხოვნა) სამოქალაქოსამართლებრივი დავების კატეგორიას მიეკუთვნება.⁸⁰

- 22 ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო პირგასამტეხლოს საკითხთან დაკავშირებით ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს, არ გულისხმობს ავტომატურად მის პრივილეგიურულ კონტრაქტებად ქცევას. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისევე უნდა შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება (დაცული უნდა იქნეს ძირითადი პრინციპები), როგორც ეს კერძოსამართლებრივი სუბიექტის შემთხვევაში იქნებოდა სავალდებულოდ შესასრულებელი. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის გარეშე სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა და პირგასამტეხლოს დაკისრება არ მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოში.⁸¹

VI. პირგასამტეხლოს მოთხოვნის წინაპირობა

- 23 პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარაა განსაზღვრული.⁸² კერძოდ, ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება,⁸³ ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი,⁸⁴ ხოლო, ასეთი მოთხოვნის დაყენება (ისევე, როგორც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამობაში მოქმედ კანონმდებლობასთან / პრინციპებთან.⁸⁵
- 24 კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა მას ავტომატურად უკარგავს პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის დაყენების უფლებას.⁸⁶ გამონაკლისი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მხარეები სხვა წესზე შეთანხმდნენ.⁸⁷ პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუთხით ყურადსაღებია ვალდებულების დარღვევის, ასევე, მოვალის ბრალეულობის საკითხი.

79 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის № ბს-73-72(კ-17) განჩინება.

80 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის № ბს-923-915(გ-16) განჩინება – მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, საკითხი მაინც სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე.

81 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 თებერვლის № ბს-641-637(კ-17) განჩინება.

82 *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 10.

83 პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებაში პირგასამტეხლო დასახელებულია, როგორც ჯარიმა, საურავი და სხვ. თითოეული ასეთი შემთხვევა პირგასამტეხლოს სინონიმად მიიჩნევა (*მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ზიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 19). ასეთ დროს, პირგასამტეხლოს ამგვარ სახედ დაკვალიფიცირება, კონკრეტული შესწავლის შედეგად უნდა მოხდეს.

84 იხ. BAG, Urteil vom 14.8.2017 – 8 AZR 973/06 (LAG Köln).

85 *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 14.

86 შდრ. BGH, Urteil vom 24.11.1989 – V ZR 16/88.

87 *Janoschek*, Beck OK BGB, § 339, Rn. 3.

1. ვალდებულების დარღვევა

ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაში, ისე მის შეუსრულებლობაში.⁸⁸ ის, თუ რომელი მათგანი ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად ან შეუსრულებლობად, მთლიანად მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული.⁸⁹ 25

2. მოვალის ბრალეულობა

პირგასამტეხლოს დაკისრებისთვის ვალდებულების შეუსრულებლობა, ისევე, როგორც არაჯეროვანი შესრულება აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იყოს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნასაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი.⁹⁰ მოვალის ბრალეულობის ფარგლებში ანალოგიურად მოიაზრება მოვალის კანონიერი წარმომადგენელი ან პირი, რომელიც უფლებამოსილი იყო, კონკრეტული ქმედება განეხორციელებინა.⁹¹ ამ უკანასკნელში იგულისხმება 396-ე მუხლის ფარგლებში მოქმედი პირი, რომელიც მოვალის ინტერესებისთვის მოქმედებს.⁹² მართალია, ამ შემთხვევაში ბრალეული ქმედება პირდაპირი სახით არ იკვეთება, მაგრამ პირგასამტეხლოს დაკისრებისთვის აღნიშნული გარემოება საკმარის წინაპირობას განსაზღვრავს.⁹³ 26

VII. პირგასამტეხლოს განსხვავება სხვა ინსტიტუტებისგან

მოვალისთვის თანხის დაკისრება ყოველთვის პირგასამტეხლოს საშუალებით არ ხდება. შესაბამისად, ის უნდა გაიმიჯნოს სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზიანის ანაზღაურებას, საჯარიმო თანხასა და კომპენსაციას. თითოეული მათგანი განსხვავდება პირგასამტეხლოსგან.⁹⁴ შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება პირგასამტეხლოსთვის გათვალისწინებული ნორმები.⁹⁵ მაგალითად, 420-ე მუხლის ფარგლებში დაუშვებელია საჯარიმო თანხის ან კომპენსაციის შემცირების მოთხოვნა.⁹⁶ 27

88 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 გადაწყვეტილება.

89 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 244.

90 მაგალითად, შესრულების შეუძლებლობის არსებობისას. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის №ას-286-608-09 გადაწყვეტილება.

91 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 20.

92 ნების გადამტანის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა (სამართლებრივი შედეგი) დგება ნების გამომვლენის მიმართ. იხ. მაგალითად, *Bähr*, Grundzüge des Bürgerlichen Rechts, 12. Aufl., S. 86.

93 იხ. *რობაქიძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელ-შეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 591-592.

94 მაგალითად, მისი ფუნქციის გათვალისწინებით. არცერთი მათგანის შემთხვევაში გვხვდება მოვალის ნახალისების წინაპირობა. იხ. *Sorge*, Softwareagenten, 2006, S. 71.

95 აღნიშნულში იგულისხმება უშუალოდ პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები და არა კერძო სამართლის ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი (უცილოდ ბათილობის, საცილო გარიგების და ა.შ. ნორმები). იხ. *Schwab*, AGB-Recht, 2. Auflage, 2014, S. 244.

96 იხ. მაგალითად, *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., § 353, Rn. 1.

1. ზიანი

28 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და პირგასამტეხლო ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოთხოვნებს წარმოადგენენ.⁹⁷ შედეგად, **ზიანის არსებობა არ არის პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივი წინაპირობა** (თუნდაც ორივე მათგანზე მოთხოვნა ერთი და იმავე დარღვევის (მიზეზის) შედეგად წარმოეშვას კრედიტორს).⁹⁸ პირგასამტეხლოს მოთხოვნისას მთავარია, რომ ვალდებულება დაირღვეს,⁹⁹ მაშინ, როდესაც ზიანის მოთხოვნის საფუძველი არ შეიძლება მხოლოდ ვალდებულების დარღვევა გახდეს. მხარემ ასეთ დროს უნდა ამტკიცოს უშუალოდ ზიანის არსებობის და არა მარტო ვალდებულების დარღვევის ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ზიანი (მთლიანი ან ნაწილობრივი სახით) არ ჩაითვლება გადახდილ პირგასამტეხლოში**.¹⁰⁰ ზიანის არსებობის მიმართება პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის მიზნით (420) არ გულისხმობს ამ ორი ცნების გაერთიანებას.

2. საჯარიმო თანხა¹⁰¹

29 სკ საჯარიმო თანხის განმარტებას არ იცნობს, თუმცა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, მხარეებს ასეთი დათქმის გაკეთების უფლებამოსილება აქვთ. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ, გაითვალისწინონ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევა, და ასეთ დროს კონკრეტული თანხის გადახდის წესი. ასეთ შემთხვევაში დასახელებული თანხა პირგასამტეხლოდ არ ჩაითვლება.¹⁰² კერძოდ, მისი გადახდა ვალდებულების შესრულებად იქნება მიჩნეული, ხოლო მოთხოვნაც სწორედ ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე წარმოიშობა.¹⁰³ სხვა სიტყვებით, საჯარიმო თანხის გადახდით მხარე იძენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.¹⁰⁴

30 საჯარიმო თანხა სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულებისკენა მიმართული,¹⁰⁵ მაშინ, როდესაც პირგასამტეხლოს მიზანი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა.¹⁰⁶ საჯარიმო თანხის გადაუხდელობა შესაძლოა, პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლების წარმომშობი გახდეს (მხარეთა შეთანხმებისას).

97 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 236.

98 მეტიც, შესაძლოა, რომ კრედიტორს, არც მიადგეს ზიანი, ისე დააყენოს მოთხოვნა პირგასამტეხლოს თაობაზე.

99 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

100 შეად. *იოსელიანი*, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 139.

101 იგი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ჯარიმა. იხ. *გაბრიჩიძე/კალანდაძე/მანჯგალაძე/მივრიაული/ვაპუაშვილი/ფხაკაძე/ჩაჩანიძე/ხუჭუა*, იურიდიული ლექსიკონი: გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, 2012, გვ. 210.

102 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 21.

103 იქვე.

104 *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Aufl., S. 796.

105 იხ. *Schmidt*, Beck OK BGB, § 353, Rn. 2.

106 იხ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., § 339, Rn. 5.

3. კომპენსაცია

კომპენსაცია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალეზე (ვალდებულების დამრღვევზე) შესაბამისი თანხის დაკისრებაში გამოიხატება. იგი არ წარმოადგენს არც საჯარიმო თანხას და არც ზიანის ანაზღაურებას. კომპენსაცია მიმართულია ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურებისკენ,¹⁰⁷ რომლის ფარგლებში მხარეს მიეკუთვნება მოთხოვნილი თანხის სავარაუდო ოდენობა.¹⁰⁸ თავის მხრივ, ეს ოდენობა გამოითვლება კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით,¹⁰⁹ რაც ობიექტურ (მაგალითად, საბაზრო) გარემოებებთან შესაბამისობაში მოვა.¹¹⁰

VIII. ხანდაზმულობა

მოთხოვნის ვადა გადის ძირითადი მოთხოვნის (ვალდებულების) ხანდაზმულობასთან ერთად (145).¹¹¹ თუნდაც პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის ვადა დამდგარი იყოს შედარებით გვიან, ვიდრე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ვადა, ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების პერიოდი მიიჩნევა უპირატესი მნიშვნელობის მქონედ. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მხარეთა მიერ პირგასამტეხლოზე მოთხოვნის ვადად სხვა (უფრო მცირე, ვიდრე საერთო ხანდაზმულობის ვადა) პერიოდი განსაზღვრული¹¹² და როდესაც ეს ვადა გასულია.¹¹³

107 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ივლისის № 2ბ/805-13 განჩინება.

108 მაგალითად, შრომითსამართლებრივი ურთიერთობისას, აღნიშნული ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ დაიფაროს დასაქმებულის მატერიალური დანაკარგი, მორალური ზიანი და სხვ. თითოეულ შემთხვევაში, სასამართლომ სხვადასხვა ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. იხ. *მესხიშვილი*, წიგნში: *ბაქაქუჩი/თოდრია/შველიძე (რედ.)*, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, გვ. 272.

109 იხ. *ბრუსტალი*, *ჭანტურია (რედ.)*, „სავაჭრო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, 2003, მუხ. 59, გვ. 282.

110 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის № ას-1334-1174-10 განჩინება.

111 *Stadler*, in: *Jauerling OK BGB*, 17. Aufl., § 339, Rn. 23.

112 ასევე, თუ გარკვეული პირობაა გათვალისწინებული და თუ ეს პირობა არ დადგა ან დადგა და არ განახორციელა ქმედება კრედიტორმა.

113 *Schaub*, in *Erman BGB*, 15. Aufl., § 339, Rn. 3.

მუხლი 418. პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა

1. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

I. მხარეთა თავისუფლება პირგასამტეხლოს განსაზღვრისას.....	792
II. 418 I – მხარეთა თავისუფლების ფარგლები.....	793
1. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა	793
2. მიყენებულ ზიანზე მეტი ოდენობა.....	793
3. კავშირი 625-ე მუხლთან.....	794
III. 418 II – ფორმის თავისუფლების შეზღუდვა.....	794
IV. კავშირი 59-ე მუხლთან	795

I. მხარეთა თავისუფლება პირგასამტეხლოს განსაზღვრისას

- 1 პირგასამტეხლოს განსაზღვრისას მხარეთა თავისუფლება ფართო ფარგლებს მოიცავს. აღნიშნულში შეიძლება გათვალისწინებული იყოს შესაძლო ზიანი, რა ოდენობითაც მოხდება პირგასამტეხლოზე შეჯერება.¹ თავის მხრივ, თავისუფლების არსებობა მის აბსოლუტურობას არ გულისხმობს. მაგალითად, სამართლის (მათ შორის, კერძო სამართლის) პრინციპებთან შეუსაბამობაში მყოფი დათქმის დაუშვებლობა² და სხვ.
- 2 პირგასამტეხლოს საკითხი (ოდენობა, დარიცხვის წესი და სხვ.) ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს³ (ცალკეულ შემთხვევებში, პირგასამტეხლოს მოთხოვნისთვის პირდაპირი შეთანხმების არსებობაა საჭირო⁴). კერძოდ, იგი მარტივად აღქმადი უნდა იყოს მხარისთვის.⁵ განსაკუთრებით, თუ პირგასამტეხლოს განსაზღვრა სტანდარტული პირობებით დადებულ ხელშეკრულებაში გვხვდება.⁶

1 იხ. მაგალითად, *Fikentscher/Heinemann*, Schuldrecht, AT und BT, 11. Aufl., S. 101.

2 თავისუფლების ფარგლებში, მხარეებს უფლება აქვთ, ე.წ. ატიპური ან შერეული ტიპის ხელშეკრულებებში, შერეული ტიპის პირგასამტეხლოზეც (მასთან ერთად, პასუხისმგებლობის სხვა წინაპირობებზეც) შეჯერდნენ. იხ. *Rieble*, in *Staudinger BGB*, Buch 2, 2015, Vorbem zu §§ 339 ff. Rn. 51.

3 ცალკეულ შემთხვევებში, საჭიროა, რომ შეთანხმება დეტალურად იყოს განწერილი. მაგალითად, 898 II „ა“ მუხლის ფარგლებში და სხვ.

4 იხ. მაგალითად, *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 232.

5 იხ. OLG Karlsruhe, Urteil vom 22.3.2016 – 8 U 138/14.

6 მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით – *Westphalen*, AGB-Recht im Jahr 2016, NJW, 2017, S. 2442.

II. 418 I – მხარეთა თავისუფლების ფარგლები

1. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა

პირგასამტეხლოს ოდენობის თავისუფლად განსაზღვრა გულისხმობს ნებისმიერი (კანონით დადგენილ ფარგლებში) ოდენობითა და პერიოდულობით მის განსაზღვრას,⁷ რაც მთლიანად მხარეთა დისკრეციას წარმოადგენს.⁸ მაგალითად, საურავის მაქსიმალური ზღვრის დადგენით⁹ ან ჯარიმის დაწესებით, რომელიც კონკრეტული საქმის ბუნებიდან გამომდინარეობს, ასევე, პირგასამტეხლოს დაკისრებით როგორც ცალკეული,¹⁰ ისე მრავალჯერადი დარღვევისთვის¹¹ და სხვ. მიუხედავად თავისუფლებისა, ამ მხრივ კონტრაჰენტის ფანტაზია სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეზღუდულია,¹² რაც მხარეთა თავისუფლების გონივრულ ფარგლებამდე დაყვანას გულისხმობს.¹³ ეს კი, უპირატესად, 420-ე მუხლით განისაზღვრება.¹⁴ შესაბამისად, ასეთი სახით გაზრდილი პირგასამტეხლო შეიძლება ან შემცირდეს სასამართლოს მიერ, ან სხვა სამართლებრივი შედეგი დადგეს მის მიმართ.¹⁵

2. მიყენებულ ზიანზე მეტი ოდენობა

პირგასამტეხლოს ოდენობა შესაძლებელია აღემატებოდეს მიყენებულ ზიანს. მიუხედავად კანონის ამგვარი დანაწესისა, 420-ე მუხლი ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს აქტუალურობას და, თუნდაც მხარეთა შორის განსხვავებულ საკითხზე მოხდეს შეჯერება, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების უფლებამოსილება სასამართლოს მაინც რჩება,¹⁶ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებებიდან.¹⁷

7 პერიოდულობის განსაზღვრა (განსაკუთრებით, თუ სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას ეხება), აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს იმ დანაწესს, რასაც კანონი ცალკეულ შემთხვევაში ადგენს. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის № ას-1488-1408-2017 გადაწყვეტილება.

8 კანონში არ არის მოცემული მინიმალური ან/და მაქსიმალური ზღვარი დადგენილი. იხ. გაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 45.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის № ას-848-814-2016 განჩინება.

11 ასეთ დროს ერთმანეთისგან უნდა იყოს გამოყოფილი, მრავალჯერადი დარღვევისას, თითოეულ შემთხვევაზე ცალკე ეკისრება პირს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, თუ ერთობლივად. იხ. *Stürner*, in *Prütting/Wegen/Weinrich* (Hrsg.), *BGB Kommentar*, 13. Aufl., § 339, Rn. 7.

12 იხ. *Schmitt/Ulmer*, *AGB und Verträge für Unternehmen*, 2010, S. 131.

13 *ჯორბენაძე*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017, გვ. 281.

14 სახელშეკრულებო პირგასამტეხლოზე საგამონაკლისო წესი ამ მხრივ (420-ე მუხლის გავრცელების დაუშვებლობის კუთხით) კანონით არ წესრიგდება. მაგალითად, მენარმეთა შორის არსებული ურთიერთობისას, როდესაც მხარეთა ნების ავტონომიამ ჩარევა იქნება შეზღუდული და სხვ.

15 იგულისხმება ბათილობის შემთხვევა, თუმცა ასეთ დროს სახზე უნდა იყოს კონკრეტული წინაპირობა, რომელზეც მხარე დააყენებს მოთხოვნას.

16 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის № ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 განჩინება.

3. კავშირი 625-ე მუხლთან

- 5 625-ე მუხლთან კავშირი სასესხო ურთიერთობების ფარგლებში მსესხებელთა (მომხმარებელთა) უფლებების დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს.¹⁸ დასახელებულ ნორმაში შეიზღუდა გამსესხებლის მხრიდან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის წესი.¹⁹ კერძოდ, კანონმდებელი 625 VIII მუხლში ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ზედა ზღვარს და ამდენად ბოჭავს მხარეთა თავისუფლებას მისი ოდენობის განსაზღვრის კუთხით (კერძოდ, სასესხო ურთიერთობაში სესხის ძირითადი ნარჩენის თანხის ორ პროცენტს ეხება. იხ. 625 VIII მუხლის კომენტარი). საინტერესოა, რომ კანონმდებელი საგამონაკლისო დათქმას ისევე კანონზე მითითებით აკეთებს, სადაც წინდანივე განსაზღვრავს შემთხვევას, როდესაც კანონითაა გათვალისწინებული სხვა ფარგლების თაობაზე დათქმა; მეორე შემთხვევა 625 V მუხლით წესრიგდება, რომლის მიხედვითაც, ფინანსური სანქციის ოდენობის მაქსიმალური ზღვრის დაანგარიშების წესია განერილი (მათ შორის, პირგასამტეხლოს კუთხითაც). მხარეთა (უპირატესად, ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ბანკებს) დისპოზიციურობა ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი ძალის მქონედ არ მიიჩნევა.

III. 418 II – ფორმის თავისუფლების შეზღუდვა

- 6 პირგასამტეხლოზე შეთანხმება მოითხოვს წერილობით ფორმას. იგი შეიძლება დაიდოს მარტივი წერილობითი ფორმითაც. ფორმის სავალდებულობა სახეზეა იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ძირითადი ხელშეკრულებისთვის კანონმდებლობა წერილობით ფორმას არ ითვალისწინებდეს.²⁰ პირგასამტეხლოს ნამდვილობისთვის საჭიროა, რომ ხელშეკრულებას (შეთანხმებას) არანაკლებ ორი კონტრაჰენტი აწერდეს ხელს. ამ მხრივ, მაგალითად, ცალმხრივად პირგასამტეხლოს შეპირება და სხვ. დაუშვებელია.²¹
- 7 პირგასამტეხლოზე შეთანხმება შესაძლებელია როგორც ხელშეკრულებაში (იგულისხმება, ძირითადი ხელშეკრულება), ისე ცალკე შეთანხმების მიღწევის გზით (ცალკე დოკუმენტის სახით). თითოეულ შემთხვევაში პირგასამტეხლო, თავისი აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, მაინც ძირითად ვალდებულებაზე (ხელშეკრულებაზე) იქნება დამოკიდებული.

18 იხ. <https://info.parliament.ge/#law-drafting/13256> (ბოლოს ნანახია: 20.08.2018).

19 აღნიშნულმა ნორმამ ასახვა პოვა 868 VII მუხლშიც, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთთან მიმართებით.

20 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 79.

21 *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 4.

IV. კავშირი 59-ე მუხლთან

ხელშეკრულების არსებითი პირობების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ბათილია პირგასამტეხლოზე დათქმაც.²² ასეთ დროს არ გამოიყენება პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები (მაგალითად, შემცირების თაობაზე²³ და სხვ.).²⁴ ამასთან, თუნდაც პირგასამტეხლოზე შეთანხმება ცალკე დოკუმენტის საშუალებით იყოს მიღებული, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა (ცალკე შეთანხმებული პირობების მიუხედავად) პირგასამტეხლოზე შეთანხმების ბათილობასაც გამოიწვევს.²⁵ 8

22 იხ. იქვე, Rn. 14.

23 *Looschelders, Schuldrecht AT*, 15. Auflage, S. 293.

24 ანალოგიური შედეგი დგება უზრუნველყოფილი ვალდებულების გაქარწყლების შემთხვევაშიც. იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 233.

25 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 19.

მუხლი 419. პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნის დაუშვებლობა

1. კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

2. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

I. ნორმის არსი.....	796
II. 419 I – მოთხოვნის სწორად დაყენება	797
III. დამოუკიდებელი მოთხოვნა.....	798
IV. 419 II – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაშვებობა.....	798
V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან	798
1. მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება	798
2. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა.....	799
3. საალსრულებო წარმოების დანყება	799
4. მტკიცების ტვირთი	799

I. ნორმის არსი

1 პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებამოსილება კრედიტორს წარმოეშობა სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების შემდეგ, როდესაც მოვალე დაარღვევს (არაფეროვნად შეასრულებს) ან საერთოდ არ შეასრულებს ვალდებულებას.¹ კრედიტორის მიერ დაგვიანებული შესრულების მიღების შემთხვევაში,² ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ,³ ისევე როგორც ხელშეკრულებამდე არსებულ ურთიერთობებზე (317 II) პირგასამტეხლოს მოთხოვნა დაუშვებელია.⁴ აღნიშნული გამომდინარეობს პირგასამტეხლოს ბუნებიდან, რომელსაც აუცილებლად ორმხრივი ნების გამოვლენა ესაჭიროება (418).⁵

2 იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განსხვავდება პირგასამტეხლოს მოთხოვნისგან,⁶ 419-ე მუხლი ერთმანეთისგან მიჯნავს სამი ტიპის მოთხოვნას: ა) მოთხოვნა ვალდებულების შეს-

1 სწორედ აღნიშნულის შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლოს მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის, მისი დაკისრების, ასევე, გონივრულობამდე შემცირების საკითხი და სხვ. იხ. მაგალითად, *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Aufl., S. 798.

2 *Rieble*, in *Staudinger* BGB Kommentar, Buch 2, 2015, § 339, Rn. 342.

3 როდესაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულების ვადის ფარგლებშია განსაზღვრული პირგასამტეხლო – იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის № 2ბ/7207-14 გადაწყვეტილება.

4 *Stadler*, in *Jauerling* BGB, 17. Aufl., § 339, Rn. 1.

5 შეად. BGH, Urteil vom 14.10.2009 – VIII ZR 272/08.

6 განმასხვავებელი ნიშანი შესაძლებელია როგორც პროცესუალურ-, ისე მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით იყოს გამოვლენილი. იხ. 417-ე მუხლის კომენტარი, ასევე, *Schulze*, in *in* BGB-HK, 9. Aufl., § 339, Rn. 1 და სხვ.

რულების თაობაზე; ბ) მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე; და გ) მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.⁷ ვალდებულების შესრულების მოთხოვნისა და პირგასამტეხლოს დაკისრების დასაშვებობის საკითხი მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებას ეფუძნება: სახელშეკრულებო დათქმის მიხედვით განისაზღვრება, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა ვადაგადაცილებას ეხება, თუ დარღვევის სხვა გარემოება იკვეთება (მაგალითად, კუმულაციური პირგასამტეხლო, რომლის ასეთად მიჩნევისთვის, მხარეთა შეთანხმების განმარტებაა საჭირო).

II. 419 I – მოთხოვნის სწორად დაყენება

გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, 419 I მუხლის განმარტება ერთდროულად ორი მოთხოვნის დაყენებას გამორიცხავს (გარდა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისთვის განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემთხვევისა). კერძოდ, კრედიტორის მოთხოვნა ვალდებულების შესრულების თაობაზე ავტომატურად გულისხმობს პირგასამტეხლოზე მოთხოვნის გაქარწყლებას.⁸ ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან, კრედიტორის სარგებელი ამ შემთხვევაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება იქნება.⁹ მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების დროს, როდესაც მენარდე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ პირგასამტეხლოს მოთხოვნა (თუ გარემოებებიდან გამომდინარეობს, მაშინ პირგასამტეხლოს დაკისრება მენარდეზე. ის, თუ რომელ გზას აირჩევს კრედიტორი, მისი გადასაწყვეტია¹⁰ – ეს შეიძლება, კონკრეტულ ფაქტორებს ეფუძნებოდეს. კრედიტორს არ ეკისრება მოვალისთვის მისი განზრახულობის შეტყობინების ვალდებულება¹¹), ასევე, ნასყიდობის შემთხვევაში, როდესაც მყიდველი იღებს ნივთს.¹² საგამონაკლისო შემთხვევა დასახელებული მაგალითის ფარგლებში იქნებოდა ისეთი გარემოება, როდესაც პირგასამტეხლო გათვალისწინებულია კონკრეტული ვადის გადაცილებისთვის და სახეზეა ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა.¹³ ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლო აღარ იკავებს შესრულების ადგილს. ამდენად, ვინაიდან ვალდებულების შესრულების და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს მოთხოვნა ერთმანეთს გამორიცხავენ,¹⁴ მოთხოვნის დაყენებაც ასეთის არსებობისას

3

7 შდრ. *Schulze*, in *BGB-HK*, § 340, Rn. 1.

8 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის № 2ბ/3112-14 გადაწყვეტილება.

9 ვალდებულების შესრულების ან არასათანადოდ შესრულებულის გამოსწორების მოთხოვნა ყოველთვის არ უკარგავს კრედიტორს პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაყენებაზე უფლებას. იხ. მაგალითად, *ვაშაიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 234.

10 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ზიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 22.

11 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 419, გვ. 493.

12 იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ვადაგადაცილებასთან ერთად შესრულებაზე მოთხოვნა და პირგასამტეხლო ერთად არაა ხელშეკრულებით მოწესრიგებული. იხ. *Brox/Walker*, *Allgemeines Schuldrecht*, 4. Aufl., 2017, S. 110.

13 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ზიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 22.

14 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 244.

სამართლებრივ ჩარჩოში არ იქნებოდა მოქცეული. თავის მხრივ, ვადაგადაცილებული შესრულება პირგასამტეხლოს დაკისრების კუთხით აღარ ჩაითვლება არსებითი მნიშვნელობის მატარებლად. ასეთ დროს, თუნდაც სრულად შესრულდეს ვალდებულება, ვადაგადაცილების ფაქტორის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს მოთხოვნა მაინც დასაშვები იქნება.¹⁵

III. დამოუკიდებელი მოთხოვნა

- 4 პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია სხვა მოთხოვნისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ დაყენებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და მიმდინარეობს შესაბამისი საქმის წარმოება სასამართლოში, პირგასამტეხლოს თაობაზე სარჩელის შეტანა დასაშვებია ამ წარმოების მიუხედავად (ხანდაზმულობის ვადის დაცვით). ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმისწარმოების დასრულების შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ წინაპირობებს პირგასამტეხლოს თაობაზე დავისთვის პრეიუდიციული სამართლებრივი ძალა მიეცემა.¹⁶

IV. 419 II – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაშვებობა

- 5 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, გამოიყენება სკ-ით მონესრიგებული ცალკეული ნორმები (394 და შემდგომი). პირგასამტეხლოს გადახდით ზიანის ანაზღაურებისგან მოვალის გათავისუფლება დაუშვებელია. ეს კი ნიშნავს, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ასეთი მოთხოვნის დაყენება.

V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

1. მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

- 6 ვალდებულების შეუსრულებლობისას მოვალის მიმართ გამოიყენება მე-400 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. ამასთან, გასათვალისწინებელია მოვალის ბრალეულობის საკითხი (401), რაც ვალდებულების შეუსრულებლობაზე (არაჯეროვან შესრულებაზე) ახდენს გავლენას. კრედიტორის მიმართ ვადის გადაცილებად ჩაითვლება 390-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობის არსებობა. მხარეებს უფლება აქვთ, ხელშეკრულებაში არა მხოლოდ მოვალის, არამედ, კრედიტორის მიმართ გაითვალისწინონ პირგასამტეხლოს დარიცხვის საკითხი მაშინ, როდესაც იგი არ იღებს შესრულებას (390 I), ან არ ასრულებს შესაბამის მოქმედებას (390 II), ან, თუ კრედიტორის მიზეზით არ ხერხდება ვალდებულების ჯეროვანი შესრულება და ეს თავიდანვე ცხადია.¹⁷

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

16 ასეთ დროს სახეზე არ იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, ასევე, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის (ასევე, მსგავსი შედეგების მქონე ნორმების) გამოყენების წინაპირობა.

17 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 მაისის № ას-294-294-2018 განჩინება.

2. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის შემთხვევაში პირგასამტეხლოს მოთხოვნა (როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება) დაუშვებელია.¹⁸ აღნიშნული გამომდინარეობს პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნებიდან (იგი დამოკიდებულია ძირითადი ვალდებულების არსებობაზე¹⁹). მხარეთა შეთანხმებით, შესაძლოა, განსხვავებულად წესრიგდებოდეს საკითხი.²⁰

7

3. სააღსრულებო წარმოების დაწყება

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, თუ საქმე ეხება ძირითად თანხაზე საურავის დარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებათა აღსრულებას, სააღსრულებო წარმოების დაწყების დღიდან მისი დარიცხვა შეჩერებული იქნება.²¹ ამავე კანონის 1-ლი პუნქტით კი აღსრულება იწყება კრედიტორის განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ პირგასამტეხლოს სახით საურავის დაკისრების თაობაზე სააღსრულებო წარმოების დაწყების დღემდე იქნება შესაძლებელი.²² ასეთი სამართლებრივი დათქმა მხარეთა შეთანხმებაზე უპირატესი ძალის მატარებელია.²³ ამასთან, განგრძობითი პირგასამტეხლოს პერიოდში არ მოიაზრება დროის ის მონაკვეთი, როდესაც წარმოების განხორციელება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდება.²⁴

8

4. მტკიცების ტვირთი

პირგასამტეხლოს არსიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხზე ვრცელდება, რომელიც აკისრია კრედიტორს.²⁵ ამ ვალდებულებას არა აქვს კავშირი ზიანსა და მიყენებული ზიანის მტკიცების ტვირთთან.²⁶

9

18 თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2014 წლის 21 ოქტომბრის № 2ბ/62-14 გადაწყვეტილება.

19 იგივე გადაწყვეტილება.

20 საჯარიმო თანხის განსაზღვრის თავისუფლების ფარგლების გათვალისწინებით. იხ. 417-ე მუხლის კომენტარი.

21 საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნები.

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის № ას-1488-1408-2017 გადაწყვეტილება.

23 იხ. იგივე გადაწყვეტილება.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის № ას-399-372-2017 განჩინება.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის № ას-988-1021-2011 გადაწყვეტილება.

26 თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2015 წლის 24 თებერვლის №2ბ/3112-14 გადაწყვეტილება.

მუხლი 420. პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

I. სასამართლოს ჩარევა მხარეთა ხელშეკრულების თავისუფლებაში.....	800
1. მომხმარებლის მიერ დადებული ხელშეკრულებისას.....	802
2. მენარმეთა შორის არსებული ურთიერთობისას.....	802
3. მხარეთა შეთანხმების დაუშვებლობა შემცირების უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე	803
4. გადახდილი პირგასამტეხლო.....	803
II. შემცირების წინაპირობა.....	804
1. მოთხოვნის დაყენება მოპასუხის მიერ.....	804
2. სასამართლოს ინიციატივით	805
III. „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ ცნობა კონკრეტული აქტორების გათვალისწინებით.....	805
1. კავშირი ვალდებულების დარღვევასთან.....	806
2. კავშირი ზიანთან.....	807
3. კავშირი ვალდებულების შესრულებასთან.....	808
4. კავშირი ვალდებულების დაგვიანებით შესრულებასთან.....	808
5. უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევა.....	809
6. „გონივრულობის“ განმარტება ცალკეული შემთხვევის არსებობისას..	809
IV. ნორმის გამოყენების დაუშვებლობა კანონისმიერი პირგასამტეხლოს შემთხვევაში.....	810
V. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში.....	810
1. მოთხოვნა რამდენიმე პირგასამტეხლოს დაკისრებაზე ერთად.....	810
2. ზემდგომ ინსტანციაში პირგასამტეხლოს ოდენობის უცვლელად დატოვება	810
3. მტკიცების ტვირთი	811
4. დაუსრულებელი გადაწყვეტილება.....	811
5. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება	812

**I. სასამართლოს ჩარევა მხარეთა ხელშეკრულების
თავისუფლებაში**

1 პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება არის ის იშვიათი გამონაკლისი, როდესაც სასამართლოს უფლება აქვს,¹ ჩაერიოს მხარეთა ხელშეკრულების თავისუფლებაში² და მიღწეული შეთანხმების მი-

1 უფლება გულისხმობს შესაძლებლობას, თავად შეაფასოს სასამართლომ საკითხი. აღნიშნული გამოიყენება სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობების კუთხითაც. იხ. მაგალითად, ადმინისტრაციულ საქმეებზე არსებული პრაქტიკა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის № ბს-690-684(2კ-11) განჩინება, ასევე, 2012 წლის 26 იანვრის № ბს-1663-1635(კ-11) გადაწყვეტილება.

2 მხოლოდ ნების ავტონომიის ფარგლებში შეჯერებულ ოდენობასთან მიმართებით. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

უხედავად, შეამციროს იგი. 420-ე მუხლი სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების განმსაზღვრელია.³ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას.⁴ შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კონტრაჰენტი (კრედიტორი) პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს,⁵ ხოლო, მეორე მხრივ, პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული.⁶ აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება,⁷ რომელშიც, მოვალესთან ერთად,⁸ კრედიტორის ინტერესიც უნდა იყოს გათვალისწინებული.^{9,10}

„გონივრული ოდენობის“ განსაზღვრა თითოეულ შემთხვევაში გამოკვლეულ უნდა იქნეს საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით.¹¹ მხოლოდ სასამართლოს შეხედულება (საქმის გარემოებების გათვალისწინების გარეშე) ვერ მოექცევა პირგასამტეხლოს შემცირების სამართლებრივ ჩარჩოში.¹² ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს მტკიცებულებებსა¹³ და საქმეში არსებულ მდგომარეობაზე.¹⁴ მაგალითად, შრომითი ურთიერთობისას ოდენობა შესასრულებელი სამუშაოს შესრულების მი-

2

3 Rieble, in Staudinger BGB Kommentar, Buch 2, 2015, § 343, Rn. 112.

4 იოსელიანი, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, 1/2016, გვ. 66.

5 თავის მხრივ, მეორე მხარეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა და, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2017 წლის 24 თებერვლის № ას-862-828-2016 განჩინება, ასევე, მსჯელობა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან მიმართებით – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 ივლისის № ბს-363-363(კ-18) განჩინება.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის № ას-988-1021-2011 გადაწყვეტილება.

7 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის № ბს-1522-1501(კ-11) გადაწყვეტილება.

8 მოვალის ინტერესის გათვალისწინება, უპირატესად, მისთვის სანქციის იმ ოდენობით განსაზღვრას გულისხმობს, რაც ამ უკანასკნელს გადახდისუუნარობის პირას არ მიიყვანს. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის № 2ბ/7137-14 გადაწყვეტილება.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის, № ას-684-655-2016 გადაწყვეტილება.

10 კონტრაჰენტთა ინტერესის გარდა, მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს დანიშნულება და ფუნქცია – იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის №ას-654-620-2015 გადაწყვეტილება.

11 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 სექტემბრის, №2ბ/1305-16 გადაწყვეტილება – განსაკუთრებით, თუ სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობას ეხება იგი, შეიძლება კანონი თავადვე ადგენდეს იმ დანაწესს, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება პირგასამტეხლოს დაკისრებისას (ოდენობის განსაზღვრისას. არ იგულისხმება კანონისმიერი პირგასამტეხლო, როდესაც 420-ე მუხლის გამოყენება შეზღუდულია). იხ. მაგალითად, Ditescheid/Rudloff, in Beck OK TKG, 4. Aufl., § 44, Rn. 31.

12 გაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 45.

13 გონივრულობა უნდა დამტკიცდეს ნებისმიერი სახის პირგასამტეხლოს დაკისრებისას. მაგალითად, ჯარიმისა და საურავის არსებობის შემთხვევაში. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის № ბს-690-684(2კ-11) განჩინება.

14 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 განჩინება.

ხედვით უნდა გამოითვალოს.¹⁵

- 3 შემცირებული პირგასამტეხლოს თაობაზე ზუსტი მათემატიკური ფორმულა (გამოანგარიშება) შეუძლებელია. მაგალითად, კრედიტორმა სარჩელში უფრო ნაკლები ოდენობითაც რომ მოითხოვოს პირგასამტეხლო, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, სასამართლოს მაინც აქვს უფლება, შეამციროს იგი,¹⁶ რაც სასამართლოს მოსაზრებითვე გონივრულ ჩარჩოში მოექცევა. ამ მხრივ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში პირგასამტეხლოს შემცირება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნულს მოწმობს სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, საქმეების დაახლოებით 70%-ის შემთხვევაში სასამართლო ამცირებს მას გონივრულ ოდენობამდე.¹⁷

1. მომხმარებლის მიერ დადებული ხელშეკრულებისას

- 4 პრაქტიკაში პირგასამტეხლოს შემცირების შემთხვევებს ყველაზე ხშირად მომხმარებელთან დადებული სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულების შემთხვევაში ვხვდებით.¹⁸ ასეთ დროს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთავაზებლის კონტროლი აქტიურ ფაზაში გვევლინება,¹⁹ რა დროსაც მომხმარებელი დაცული უნდა იყოს, რათა მის მიერ გაუცნობიერებელი თანხმობა არ იქნეს ხელშეკრულებაზე გაცხადებული.²⁰

2. მენარმეთა შორის არსებული ურთიერთობისას

- 5 მენარმის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობისა და რისკის ფარგლები მომხმარებელთან შედარებით უფრო დიდია.²¹ სწორედ ამიტომ შე-

15 იხ. მაგალითად, *Klump*, in *Clemenz/Kreft/Krause* (Hrsg.), *AGB-Arbeitsrecht Kommentar*, § 307, Rn. 265.

16 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის № 2ბ/2103-11 გადაწყვეტილება.

17 იხ. *სეხნიაშვილი*, პირგასამტეხლოს ანაზღაურების ფარგლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 57 და შემდგომი, სადაც დანართის სახითაა მოცემული ინფორმაცია 2013, 2014, 2015 და 2016 წლების შესახებ, თუ რა პროცენტული მაჩვენებელია პირგასამტეხლოს შემცირების კუთხით. 2013 წელს შემცირების მაჩვენებელმა შეადგინა 66%, 2014 წელს – 80%, 2015 წელს – 62%, ხოლო, 2016 წელს – 87%.

18 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *კვინიკაძე*, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებით თავისუფლების პრინციპში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2016, გვ. 90-91.

19 იხ. მაგალითად, *Schwab*, *AGB-Recht*, 2. Aufl., S. 244-245.

20 ინფორმირების ვალდებულების ჩრილში და სხვ. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, *ლაკერბაია*, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“ 1/2014, გვ. 104 და შემდგომი.

21 სამენარმეო ურთიერთობებში მენარმე გამოცდილ სუბიექტს წარმოადგენს. იგი სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ მას გააზრებული აქვს შედეგები – თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 9 ივნისი 2017, №2ბ/597-17. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც შეუსაბამოდ მაღალი, შეესაბამება მხარეთა ნამდვილ ნებას და შემცირებას არ ექვემდებარება. იხ. აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის № 2ბ/4400-14 განჩინება.

საძლოა, რომ 420-ე მუხლის გამოყენება მენარმეთა მონაწილეობით არსებულ ურთიერთობებში განსხვავებულად განიმარტოს.²² თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ მენარმეებს საერთოდ არა აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან თავიანთი უფლებები (იგივე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გათვალისწინებით²³). ამისთვის ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს: მენარმის კონკრეტული საქმიანობა გამომდინარეობდა მისი საწარმო საქმიანობიდან, თუ იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენდა მხარეს, „გათანაბრებულს“ მომხმარებელთან.²⁴ მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას იურიდიული პირი შეიძლება იყოს შემკვეთი, მაგრამ ამ ფარგლებში იგი უნდა მოექცეს დაცვის საჭიროების მქონე კონტრაჰენტში,²⁵ ვინაიდან იგი მეორე კონტრაჰენტის სტანდარტული პირობების ფარგლებში მოქმედებს.

3. მხარეთა შეთანხმების დაუშვებლობა შემცირების უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე

420-ე მუხლის ჩანაწერი იმპერატიულია. შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, შეთანხმებით გამორიცხონ იგი.²⁶ მხარეებს მხოლოდ უფლება აქვთ, დააკონკრეტონ ხელშეკრულებაში პირგასამტეხლოს ოდენობის არსი. კერძოდ, განმარტონ მისი მნიშვნელობა იმ სახელშეკრულებო რისკის დაზღვევასთან მიმართებით, რომლის გამოც პასუხისმგებლობის ამგვარ ზომაზე თანხმდებიან ხელშეკრულებით. განმარტება (დაკონკრეტება) არ გულისხმობს სასამართლოს მხრიდან შემცირების შესაძლებლობის გამორიცხვას.

6

4. გადახდილი პირგასამტეხლო

პირის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა შესაძლოა, მოვალის მიერ პირგასამტეხლოს ოდენობაზე თანხმობის გაცხადებას გულისხმობდეს.²⁷ ასეთი თანხმობა კი ნებაყოფილობით ქმედებად უნდა იქნეს მიჩნეული.²⁸ შედეგად, 420-ე მუხლის გამოყენება ამგვარი შემთხვევისას დაუშვებელია²⁹ და მოვალის პრეტენზიაც (მოთხოვნაც) შეიძლება სასურველი შე-

7

22 სასამართლოს მსჯელობით, მენარმე სუბიექტს ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოთხოვება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის კომპენსაცია – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 მაისი № ას-1031-992-2016 გადაწყვეტილება – ამ დათქმის კვალად შესაძლოა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ეს საკითხი სახელმძღვანელო პრინციპად იქნეს გამოყენებული.

23 იხ. მაგალითად, *Schaub*, in *Erman BGB*, 15. Aufl., § 343, Rn. 8.

24 *Gottwald*, in *MiKo BGB*, 7. Aufl., 2016, § 343, Rn. 3.

25 იქვე, Rn. 4.

26 *რობაქიძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 603.

27 შდრ. გსკ-ის 343-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის მესამე წინადადება, სადაც საკანონმდებლო დათქმა აღნიშნული პოზიციის არსებობიდან გამომდინარეობს. სკ ასეთი შინაარსის მქონე მონესრიგებას არ იცნობს, ამდენად, საკითხი სასამართლო პრაქტიკის მონესრიგების საგანია. იხ. მაგალითად, *Brox/Walker*, *Allgemeines Schuldrecht*, 4. Aufl., 2017, S. 111.

28 იხ. *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 23.

29 *კაპანაძე*, პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016, გვ. 119.

დეგის მიღებით არ დასრულდეს.³⁰ თუმცა ცალკეული შემთხვევის არსებობისას (განსაკუთრებით, თუ ბრალეულობა არ დგინდება), შესაძლოა, სასამართლომ უკვე დარიცხული პირგასამტეხლო შეამციროს.³¹

- 8 განსხვავებული შემთხვევაა, როდესაც მოვალეს გადახდილი აქვს პირგასამტეხლოს მთლიანი ოდენობის მხოლოდ ნაწილი. ასეთ შემთხვევაში დარჩენილ (გადაუხდელ) ნაწილთან მიმართებით მოპასუხის (მოვალის) მოთხოვნა 420-ე მუხლის ფარგლებში დასაშვებად მიიჩნევა.³²

II. შემცირების წინაპირობა

1. მოთხოვნის დაყენება მოპასუხის მიერ

- 9 დადგენილი პრაქტიკაა,³³ რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს.³⁴ ასეთი მოთხოვნა შეიძლება როგორც შესაგებელში,³⁵ ისე უშუალოდ პროცესზე (პროცესუალური უფლებამოსილების ფარგლებში) დაფიქსირდეს.³⁶ ცალკეული გარემოების გათვალისწინებით, ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი.³⁷ მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების) შეტანის თაობაზე.³⁸
- 10 პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოპასუხის (მოვალის) მოთხოვნა პირველ ინსტანციაში (შესაბამისი უფლებამოსილების გათვალისწინებით) უნდა იქნეს დაყენებული. თუ მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ დააყენა ამგვარი მოთხოვნა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, იმსჯელოს პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე.³⁹ შემცირების თაობაზე

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის № ას-1015-1287-09 განჩინება.

31 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის № ას-144-140-2016 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი.

32 *Schaub*, in *Erman BGB*, 15. Aufl., § 343, Rn. 6a.

33 პრაქტიკა ეყრდნობა პროცესუალურ პრიციპებს. მაგალითად, მხარეთა შეჯიბრებითობის საკითხს. უშუალოდ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რამდენად სავალდებულოა, მოპასუხის მიერ მოთხოვნის დაყენება (ან, რამდენად დასაშვებია, სასამართლოს ინიციატივა) პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით. იხ. *კვინიკაძე*, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2016, გვ. 89.

34 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ივნისის № 2ბ/597-17 განჩინება – იხ. ასევე, ადმინისტრაციულ საქმეზე განვითარებული მსჯელობა – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 ივნისის № ბს-880-876(კ-17) განჩინება.

35 *Prasse/Steinbach-Martens*, in *Schulze/Grziwotz/Lauda (Hrsg.)*, *BGB Kommentiertes Vertrags und Prozessformularbuch*, 3. Auflage, § 343, Rn. 3.

36 *Gottwald*, in *MüKo BGB*, 7. Auflage, 2016, § 343, Rn. 12.

37 მხარის მიერ სასამართლოსადმი სარჩელის აღძვრამდე სასამართლოში პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებაზე პოზიციის დაყენება არ იქნება სამართლებრივი საფუძვლის მქონე. იგი შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების მიზანს ემსახურებოდეს – *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 77. Aufl., § 343, Rn. 5.

38 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის № 2ბ/3730-12 განჩინება.

39 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით. შესაბამისად, თანმიმდევრული იქნება საკასაციო ინსტანციის მსჯელობაც – იხ. საქართვე-

მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, თუ რაზე აფუძნებს იგი ამგვარ მოთხოვნას.⁴⁰

2. სასამართლოს ინიციატივით

მიუხედავად მოპასუხის მიერ ასეთი მოთხოვნის დაყენებისა, სასამართლოს ინიციატივით პირგასამტეხლოს შემცირების არაერთი შემთხვევაა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.⁴¹ აღნიშნული, ძირითადად, სარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების ეტაპზე ხდება,⁴² რა დროსაც შესაძლოა, პირგასამტეხლოს ოდენობა სასამართლოს მიერ ნებისმიერ გონივრულ ოდენობამდე იყოს დაყვანილი.⁴³ მაგალითად, შემცირდეს იგი ათჯერ^{44,45} და სხვ. ამგვარი მსჯელობა კი შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობებისა და საჯარო წესრიგის⁴⁶ პრინციპებიდან გამომდინარეობს.⁴⁷

III. „შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ“ ცნობა კონკრეტული აქტორების გათვალისწინებით

შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის განმარტება ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება. თუმცა სიტყვასიტყვითი განმარტებით შეიძლება ითქვას, რომ „შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“ ყოველთვის არ გულისხმობს „მაღალ პირგასამტეხლოს“.⁴⁸ ამდენად, იგი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს როგორც მაღალი (თუმცა გონივრული), ისე შედარებით მცირე ოდენობის. თავის მხრივ, შესაძლოა, რომ პირგასამტეხლო „შეუსაბამოდ მაღალი“ ურთიერთობის დანყების შემდეგ გახდეს⁴⁹ (ვალდებულების შესრულების პროცესშიც⁵⁰). თითოეულ შემთხვევაში ამ საკითხის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა.

ლოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 სექტემბრის № ას-819-771-2012 გადაწყვეტილება.
40 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ივნისის № 2ბ/597-17 განჩინება.
41 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის № 2/11440-12 გადაწყვეტილება. ანალოგიური შემთხვევებია პირველი ინსტანციის სხვა სასამართლოებშიც. ამ კუთხით, იხილეთ, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის №2/340-17 გადაწყვეტილება; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის № 2/982-17 გადაწყვეტილება. თითოეული, მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.
42 თუ მხარე არ დაყენებს პოზიციას კონკრეტული ოდენობის თაობაზე (და, ზოგადად მოითხოვს შემცირებას), სასამართლოს მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირება (თუ იგი სამართლებრივად გამართულ წინაპირობებს ეფუძნება და თუნდაც, მხარის სურვილის საპირობისპირო შედეგს განსაზღვრავდეს) მხარის მოთხოვნის შედეგად შემცირებად მიიჩნევა – იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის № 2ბ/227-11 განჩინება.
43 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის № 2ბ/2051-18 გადაწყვეტილება.
44 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის № 2ბ/5510-16 განჩინება.
45 მათ შორის, შესაძლებელია, შემცირება შეეხოს დასარიცხ პროცენტულ ოდენობას (საურავს). იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის № 2ბ/2599-18 განჩინება.
46 სასამართლოს მსჯელობით, სწორედ საჯარო წესრიგის არსზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება ცნობა-აღსრულებისას. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის, № 2ბ/5045-15 განჩინება.
47 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 30 ივნისი 2011, №2ბ/2220-11.
48 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 22.
49 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 21 ოქტომბრის № 2ბ/62-14 გადაწყვეტილება.
50 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივნისის № 3კ/467-01 განჩინება.

- 13 პირობა, რომლის გამოც სასამართლომ პირგასამტეხლო „შეუსაბამოდ მალალ ოდენობად“ უნდა მიიჩნიოს, შესაძლოა როგორც ერთ, ისე რამდენიმე ფაქტორს ერთად ეფუძნებოდეს.⁵¹ ამ მხრივ სასამართლო ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ მსჯელობას ავითარებს⁵² და მას რაიმე წინასწარ დადგენილი ფორმულა არ გააჩნია.⁵³ კერძოდ, იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქმედებას (უმოქმედობას), რომლითაც დარღვევა დაფიქსირდა, არამედ მის შედეგებსაც.⁵⁴

1. კავშირი ვალდებულების დარღვევასთან

- 14 ვალდებულების დარღვევის ხარისხის განსაზღვრა პირგასამტეხლოს გონივრულობის დადგენის უმთავრესი წინაპირობაა,⁵⁵ და, შესაბამისად, იგი შემცირებისას ერთ-ერთი მთავარი გასათვალისწინებელი ასპექტია⁵⁶ (ასეთ დროს დარღვევის ფაქტის დაკვალიფიცირება „მნიშვნელოვან“ ან „უმნიშვნელო“ დარღვევად შესაძლოა, სწორედ პირგასამტეხლოს შემცირების წინაპირობის განმსაზღვრელი გახდეს.⁵⁷ შესაბამისად, გამოირიცხება პირგასამტეხლოს დაკისრებისგან გათავისუფლების საკითხი⁵⁸). ცალკეულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაანგარიშება სწორედ შეუსრულებელი ვალდებულების ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან გამოიანგარიშება.⁵⁹

- 15 ვალდებულების დარღვევის საკითხის განხილვისას განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი ფაქტორი: ა) დარღვევის სიმძიმე,⁶⁰ პერიოდულობა,⁶¹ მოცულობა⁶² და ბ) კრედიტორისთვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხი.⁶³

51 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება; ასევე, 2016 წლის 13 აპრილის № ას-1199-1127-2015 განჩინება; 2016 წლის 22 ივნისის № ას-214-204-2016 გადაწყვეტილება; 2018 წლის 5 ივნისი № ბს-880-876(კ-17) განჩინება.

52 ფაქტობრივი გარემოებების გაუთვალისწინებლობა სასამართლოს სამართლიან გადაწყვეტილებას ვერ მიაღებინებს. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის № ბს-446-425(კ-09) განჩინება.

53 Tamm, in Tonner/Willingmann/Tamm (Hrsg.), Vertragsrecht Kommentar, § 343, Rn. 4.

54 Walchner, in BGB Nomoskommentar Schuldrecht, 3. Aufl., Band 2/1, §343, Rn. 8.

55 გაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 47.

56 იხ. მაგალითად, დოქტრინაში განვითარებული მსჯელობა, რომელიც 420-ე მუხლის დისპოზიციის ჩამოყალიბებას ეხება. აღნიშნული პოზიცია სწორედ, უპირატესად, ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხს ეფუძნება: კაპანაძე, პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016, გვ. 120.

57 ამ მხრივ დაუშვებელია ანალოგია: პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტთან – სასამართლო ასეთ დროს ვერ გამოიყენებს იმავე მექანიზმს, რაც მას შეიძლება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაზე ჰქონდეს გათვალისწინებული. იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1326-1346-2011 გადაწყვეტილება.

58 იხ. მესხიშვილი, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 19.

59 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის № ას-164-160-2016 გადაწყვეტილება.

60 შედარებისთვის იხილეთ, მაგალითად, Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Aufl., S. 798.

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

62 მათ შორის, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა – იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის № ას-536-512-2016 გადაწყვეტილება.

63 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015

მაგალითად, თუ ხელშეკრულება კონკრეტულ საქონელს ეხება, საქონელს ნაკლი არ გააჩნია, მაგრამ დარღვეულია მისი შეფუთვა (უვარგისად იქნა შეფუთული და სხვ.),⁶⁴ მხედველობაში მიიღება დარღვევის ეს გარემოება; ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, ვადაგადაცილების (ვალდებულების შეუსრულებლობის) პერიოდულობა, თუ რა ვადით გადააცილა მოვალემ დათქმულ (შეთანხმებულ) პირობას.⁶⁵

დარღვევისას მხედველობაშია მისაღები კრედიტორის ინტერესი, რომელიც მოპასუხის მიმართ პასუხისმგებლობის განსაზღვრის პირდაპირპროპორციულია. ამან შესაძლოა, პირგასამტეხლოს ოდენობა შედარებით ნაკლებ ფარგლებში შეამციროს (მაგალითად, სამჯერ,⁶⁶ ათჯერ⁶⁷ ან ცამეტჯერ⁶⁸ ნაკლები ოდენობით დააკისროს მხარეს იგი). ეს დამოკიდებული არ არის კონკრეტულ რიცხვზე (ფორმალური კუთხით, 0,2% იქნება თუ სხვ.), არამედ, უშუალოდ საქმის არსზე.⁶⁹

დარღვევა აუცილებლად მოვალის (მისი წარმომადგენლის, უფლებამოსილი პირის) ბრალით უნდა იყოს გამოწვეული.⁷⁰ აღნიშნულში შესაძლოა, მოაზრებულ იქნეს შემთხვევა, როდესაც მოვალეს ნაწილობრივ მიუძღვის ბრალი. პირგასამტეხლოს დაკისრებისთვის ამგვარი გარემოების არსებობა საკმარისი წინაპირობაა.⁷¹

2. კავშირი ზიანთან

დარღვევის კვალად, მნიშვნელოვანია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას მისი განხილვა მიყენებულ (ფაქტობრივ ან ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ შესაძლო) ზიანთან მიმართებით მოხდეს.^{72,73} ზიანის არსებობა-არარსებობის საკითხი პირგასამტეხლოს

გადაწყვეტილება.

64 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის № ას-95-91-2016 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი.

65 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის № ას-164-160-2016 გადაწყვეტილება.

66 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის № ას-848-814-2016 განჩინება.

67 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის № 2ბ/7137-14 გადაწყვეტილება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის № ას-684-655-2016 გადაწყვეტილება – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის შემცირება 0,03%-მდე.

68 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის № ას-1488-1408-2017 გადაწყვეტილება.

69 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 აპრილი № 2ბ/278-12 გადაწყვეტილება.

70 *მესხიშვილი*, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 17.

71 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 თებერვლის № 2ბ/3112-14 გადაწყვეტილება.

72 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის № ას-459-438-2015 გადაწყვეტილება.

73 აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია უცხოელი მეცნიერის მიერ, რომელიც აშშ-ის სასამართლოების მიერ, ცალკეულ შემთხვევებში, ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით საკითხის გადაწყვეტას ემხრობა. იხ. *ბოიაკი*, სახელშეკრულებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებით

დაკისრების კუთხით არ არის აუცილებელი წინაპირობა,⁷⁴ მაგრამ მან შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაზე.⁷⁵ უპირატესად, აღნიშნული მიყენებული ზიანის პირგასამტეხლოსთან თანაფარდობის დადგენით გამოიხატება.⁷⁶ მაგალითად, რამდენად მნიშვნელოვნად აჭარბებს პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანს და სხვ.⁷⁷

3. კავშირი ვალდებულების შესრულებასთან

- 19 განსაკუთრებით განგრძობადი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობის გამოთვლისას, სასამართლო ითვალისწინებს იმასაც, თუ რამდენად გაართულებს (შესაძლებელს გახდის) პირგასამტეხლოს გადახდა მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობას.⁷⁸

4. კავშირი ვალდებულების დაგვიანებით შესრულებასთან

- 20 „შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის“ განსაზღვრა სპეციფიკურ ხასიათს იძენს მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებულია და მხარის მიერ მხოლოდ პირგასამტეხლოა მოთხოვნილი. ასეთ დროს სასამართლო, სხვა ფაქტორებთან ერთად, ვალდებულების შესრულების ეტაპობრიობას (მიღებულ შედეგს) ითვალისწინებს.⁷⁹ ამ მხრივ შესაძლოა, რომ სასამართლოს მიერ პირგასამტეხლო, როგორც „მინიმალური ზიანი“, ⁸⁰ ანაზღაურდეს.⁸¹

ანალიზი საქართველოსა და შერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ. 14.

74 ზიანის არარსებობა არ გამორიცხავს პირგასამტეხლოზე მოთხოვნის უფლებას. იხ. *Janoschek, Beck OK BGB, § 343, Rn. 8.*

75 *Rieble, in Staudinger BGB, Buch 2, 2015, § 343, Rn. 126* – გონივრულობის ფარგლების შემონიშნვის თვალსაზრისით, მხედველობაში იქნება მიღებული მოსამართლის მიერ. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება როგორც მონაწილე მხარეთა ვინაობას, ისე სხვა ობიექტურ გარემოებებს.

76 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის № ას-489-489-2018 განჩინება.

77 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 განჩინება.

78 იხ. *Gottwald, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 343, Rn. 18.*

79 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის № ას-708-678-2016 გადაწყვეტილება.

80 პრაქტიკაში გამოყენებულია ასევე ტერმინი – „პრეზუმირებული მინიმალური ზიანი“ – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის № ას-862-828-2016 გადაწყვეტილება.

81 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის № ას-914-864-2015 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დეტალური ანალიზისთვის იხილეთ, გაგუა, ბიზნესდაგვები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 48-49.

5. უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევა

პირგასამტეხლოს მოთხოვნით კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება და ამით სარგებლის მიღება დაუშვებელია.⁸² მაგალითად, შემთხვევა, როდესაც პირი დავების განმხილველ ორგანოს შეგნებულად არასწორად მიმართავს, რათა გააჭიანუროს პირგასამტეხლოს მოვალეზე დარიცხვის საკითხი.⁸³ ეს შეიძლება განხორციელდეს უმოქმედობითაც.⁸⁴ მიზანი, როგორც წესი, მოვალისთვის მეტი ოდენობის პირგასამტეხლოს დაკისრებაა.⁸⁵ ასეთ დროს შესაძლოა, დაირღვეს კეთილსინდისიერების პრინციპი.⁸⁶

6. „გონივრულობის“ განმარტება ცალკეული შემთხვევის არსებობისას

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს შეუძლია ყველა სხვა პატივისადები მიზეზის არსებობისას.⁸⁷ სასამართლოს მხრიდან პირგასამტეხლოს ოდენობის „გონივრულად“ შემცირება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა შემთხვევიდანაც. მაგალითად, პირგასამტეხლოს დაკისრება კალენდარულ დღეებზე მაშინ, როდესაც რეალურად პირს ვალდებულება სამუშაო დღეებში უნდა შეესრულებინა.⁸⁸ ასეთის არსებობისას შესაძლოა, რომ სასამართლომ პირგასამტეხლო გონივრულ ოდენობამდე შეამციროს.⁸⁹

პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლომ შესაძლოა, ყურადღება გაამახვილოს მისი დარიცხვის წესზეც. ეს შეიძლება იყოს პირგასამტეხლოს დაკისრება ერთობლიობაში აღებულ ოდენობით (კონკრეტული წლის გათვალისწინებით⁹⁰),⁹¹ ან შესაბამისი თვის განმავლობაში⁹² და სხვ.

82 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბერი № 2ბ/2103-11 გადაწყვეტილება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის № ას-921-960-2011 გადაწყვეტილება.

83 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 242.

84 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის № 2ბ/873-12 გადაწყვეტილება.

85 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივნისის № 3კ/467-01 განჩინება.

86 იხ. ჩანტლაძე, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-1, გვ. 172.

87 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 27 ივნისის № 3კ/467-01 განჩინება.

88 Luft, Die Vertragsstrafe im VOB/B-Bauvertrag, NJW 2016, S. 2471.

89 BGH Urteil vom 18.1.2001 – VII ZR 238/00.

90 წლიური ოდენობის განსაზღვრის შედეგად. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 9 ივლისის № ბს-578-558(კ-13) განჩინება.

91 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის № ას-988-1021-2011 გადაწყვეტილება.

92 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის № ას-1560-1463-2012 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი.

IV. ნორმის გამოყენების დაუშვებლობა კანონისმიერი პირგასამტეხლოს შემთხვევაში

- 24 განსხვავებით მხარეთა ნების გამოვლენის ფარგლებში შეთანხმებული პირგასამტეხლოსგან, კანონიერი პირგასამტეხლოს შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მისი შემცირება დაუშვებელია.⁹³ აღნიშნული გამომდინარეობს პირგასამტეხლოს ბუნებიდან, რომელიც ნორმატიულ დონეზე კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებაზეა ორიენტირებული.⁹⁴ გარდა ამისა, მხარეთათვის (განსაკუთრებით, თუ მოვალე წარმოადგენს მენარმეს) ეს სფერო სპეციფიკური ხასიათისაა⁹⁵ და იმთავითვე ცნობილია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მოწესრიგება.⁹⁶

V. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

1. მოთხოვნა რამდენიმე პირგასამტეხლოს დაკისრებაზე ერთად

- 25 იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პირგასამტეხლოზეა მოთხოვნა დაყენებული, სამართალწარმოებაც თითოეულზე ცალ-ცალკე უნდა წარიმართოს.⁹⁷ საპროცესოსამართლებრივი წინაპირობების არსებობისას სასამართლოს უფლება აქვს, გაავრცელოს მასზე სხვადასხვა პროცესუალური მოქმედება.

2. ზემდგომ ინსტანციაში პირგასამტეხლოს ოდენობის უცვლელად დატოვება

- 26 ის, თუ რამდენად დატოვებს ზემდგომი ინსტანცია უკვე დაკისრებულ პირგასამტეხლოს ოდენობას ძალაში, მთლიანად დამოკიდებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებაზე.⁹⁸ კერძოდ, ის ფაქტი იქნება დასადგენი, თუ რამდენად შესაბამისად დაიყვანა ქვედა ინსტანციამ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით პირგასამტეხლო გონივრულ ოდენობამდე⁹⁹ (ან პირიქით, არ გამოიკვლია არსებითი გარემოებები^{100,101}). ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვე-

93 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

94 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის № ას-1171-1116-2014 განჩინება; ასევე, 2014 წლის 24 მარტის №ას-1284-1226-2013 განჩინება.

95 მაგალითად, დამსაქმებლისთვის, რომელიც ადგენს სტანდარტული პირობების მქონე შრომით ხელშეკრულებას.

96 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის № ას-1171-1116-2014 განჩინება.

97 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., § 343, Rn. 7.

98 თუნდაც, საკასაციო ინსტანციაში საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთებისას, ეს არგუმენტი გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 მაისის № ას-197-197-2018 განჩინება.

99 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის, №ას-684-655-2016 გადაწყვეტილება.

100 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის № ას-1432-1351-2012 განჩინება.

101 უნდა არსებობდეს აღნიშნულის სამართლებრივი წინაპირობა, როგორც პროცესუალურ-

ვეები, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოში განვითარებულ მსჯელობას,¹⁰² რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, შემცირებული (და ქვედა ინსტანციით დაკისრებული) პირგასამტეხლოს ოდენობის გაზრდაშიც გამოიხატოს.^{103,104} მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკაში არსებული მაგალითების გათვალისწინებით, ზედა ინსტანციის სასამართლოში დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა უცვლელად რჩება.¹⁰⁵

3. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე აკისრია მოვალეს.¹⁰⁶ მან უნდა დაასაბუთოს გარემოება,¹⁰⁷ რომელზე (რა ფაქტებზე¹⁰⁸) დაყრდნობითაც არის პირგასამტეხლო არაგონივრული,¹⁰⁹ და, შესაბამისად, რა ოდენობამდე უნდა შემცირდეს იგი.¹¹⁰ 27

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

სასამართლო არ ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას.¹¹¹ ასეთ დროს მოსარჩელე მხარის მოთხოვნა (პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით) სრულად კმაყოფილდება.¹¹² 28

-
- იხილეთ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით. იხ. მაგალითად, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 სექტემბრის №ას-819-771-2012 გადაწყვეტილება.
- 102 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის № ას-214-204-2016 გადაწყვეტილება.
- 103 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 მაისის № ას-1031-992-2016 გადაწყვეტილება.
- 104 აღნიშნულის შემთხვევაში, სასამართლო ქვედა ინსტანციის მსჯელობას არსებითად ეთანხმება, თუმცა კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის კუთხით აფიქსირებს განსხვავებულ პოზიციას. იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის № 2ბ/3027-12 გადაწყვეტილება.
- 105 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის № ას-1200-1145-2013 განჩინება— აღწერილობითი ნაწილი; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის № ას-489-489-2018 განჩინება.
- 106 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 77. Aufl., §343, Rn. 7.
- 107 იგულისხმება ფაქტობრივი გარემოებების მითითება ან/და მტკიცებულებების წარდგენა. იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 თებერვლის № 2ბ/4400-14 განჩინება.
- 108 იხ. საინტერესო მსჯელობა, ვაგუა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ. 46.
- 109 მაგალითად, სასესიო ურთიერთობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის ფარგლებში, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, კონკრეტული დასაბუთება ეხება ძირითად თანხას, სარგებელს თუ პირგასამტეხლოს. იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 ივლისის № ას-703-657-2017 განჩინება.
- 110 *Janoschek*, Beck OK BGB, § 343, Rn. 9.
- 111 *სენიაშვილი*, პირგასამტეხლოს ანაზღაურების ფარგლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 38.
- 112 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის № ას-956-2018 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება

- 29 „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამციროს პირგასამტეხლოს ოდენობა 420-ე მუხლის საფუძვლით.¹¹³ კერძოდ, იგი არ არის უფლებამოსილი, გადაამოწმოს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარე.¹¹⁴ ცნობა-აღსრულებისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ამომწებს გადაწყვეტილების შესაბამისობას იმ წინაპირობებთან მიმართებით, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ეს უკანასკნელი საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულდეს.¹¹⁵ შედეგად, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, მაგალითად, საჯარო წესრიგის პრინციპს ეწინააღმდეგება, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი არ მოახდენს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას. შესაბამისად, 420-ე მუხლის გამოყენება ასეთის არსებობისას არ იქნება მიზანშეწონილი.

113 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 ივლისის № ა-2129-შ-52-2018 განჩინება.

114 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის № ა-2135-შ-46-2015 განჩინება.

115 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის № ა-2443-შ-83-09 განჩინება; ასევე, 2010 წლის 4 ივნისის № ა-403-შ-9-2010 განჩინება.

თავი მეორე

ბე

მუხლი 421. ცნება

ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

- I. ზოგადი დებულებანი813
- II. ბეს სამართლებრივი ბუნება.....814
- III. ბეს ფუნქციები814
 - 1. შესრულების (ვალდებულების) უზრუნველყოფის ფუნქცია815
 - 2. ხელშეკრულების დადების დადასტურების (მტკიცების) ფუნქცია815
 - 3. საგადამხდელო ფუნქცია.....816
 - 4. სერიოზულობის ინდიკატორის ფუნქცია.....816
- IV. ბეს განსხვავება სხვა ინსტიტუტებისგან816
 - 1. ბეს განსხვავება ავანსისგან.....816
 - 2. ბეს განსხვავება წინარე ხელშეკრულებისგან.....817

I. ზოგადი დებულებანი

421-ე მუხლის თანახმად, ბე არის განსაზღვრული ფულადი თანხა,¹ რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე გადასცემს მეორე მხარეს და ამ მოქმედებით დასტურდება მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, არა მხოლოდ ფულადი თანხა, არამედ, ზოგ შემთხვევაში, გვაროვნულად განსაზღვრულ ნივთებს ასევე შეუძლიათ ბეს ფუნქციის შესრულება, თუმცა, კანონის იმპერატიული დათქმის გამო, ფულადი თანხის გარდა სხვა სიკეთის ბედ მიჩნევა გამორიცხულია.² 1

ბე არის მოთხოვნის უზრუნველყოფის (დამატებითი) საშუალება, რომელსაც მოვალე კრედიტორს წინსწრებით გადასცემს.³ უზრუნველყოფის ეს საშუალება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალეს ჯერ არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.⁴ ამდენად, ბე გადაეცემა მხარეს არა სამომავლოდ ხელშეკრულების დადების მიზნებისათვის, არამედ უკვე შემდგარი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად.⁵ 2

1 რობაქიძე, ნიგნვი: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელმეკრულებლო სამართალი, 2014, გვ. 607.
 2 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 250.
 3 ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 236. იხ. ასევე, თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 27.
 4 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 250.
 5 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 421, გვ. 499.

- 3 ბეს მიმცემს აქვს მოთხოვნა ბეს მიმღების მიმართ, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეასრულებს იმ ვალდებულებას, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა ბე.⁶

II. ბეს სამართლებრივი ბუნება

- 4 ბე ვალდებულების უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა და, შესაბამისად, მის ნამდვილობას უზრუნველსაყოფი ხელშეკრულების ნამდვილობა უდევს საფუძვლად.⁷ რამდენადაც აქცესორული ვალდებულება შესაძლოა, ძირითად ვალდებულებაზე ადრეც წარმოიშვას, ბე გამოიყენება არა მხოლოდ არსებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, არამედ მომავალი ხელშეკრულების დადებისა და შესრულების უზრუნველყოფის მიზნითაც.⁸ ბეს ბედი ასევე დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარეთა ჯეროვან ქცევაზე.⁹
- 5 ბეს ოდენობა დგინდება ხელშეკრულების მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.¹⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბეს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელი თანხის ოდენობას და იმ შემთხვევაში, თუ მაინც დაიდო ამგვარი შეთანხმება, სასამართლოს შეუძლია, შეამციროს იგი (სკ-ის 420 მუხლის ანალოგია).¹¹
- 6 ბე გამოიყენება ნებისმიერი სასყიდლიანი გარიგების დადების შემთხვევაში.¹² მისი გამოიყენება ასევე შესაძლებელია წინარე ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად, ან მისი უზრუნველყოფის საშუალებად.¹³
- 7 სკ ბესთვის სავალდებულო ფორმას არ განსაზღვრავს.¹⁴

III. ბეს ფუნქციები

- 8 სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბე ასრულებს რამდენიმე ფუნქციას.¹⁵ კერძოდ: ა) შესრულების (ვალდებულების) უზრუნველყოფის ფუნქციას, ბ) ხელშეკრულების დადების დადასტურების (მტკიცების) ფუნქციას, გ) საგადამხდელო ფუნქციას, დ) სერიოზულობის ინდიკატორის ფუნქციას.

6 *რობაქიძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 607.

7 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 421, გვ. 499.

8 *რობაქიძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 609.

9 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 27.

10 იქვე. იხ. ასევე, *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 79.

11 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 27.

12 იქვე.

13 იხ. 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27.

14 იქვე.

15 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 248.

1. შესრულების (ვალდებულების) უზრუნველყოფის ფუნქცია

ბეს ძირითადი ფუნქცია სწორედ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა,¹⁶ რაც მისი ტელეოლოგიური, ასევე სისტემური განმარტებიდან გამომდინარეობს.¹⁷ 9

ბე უზრუნველყოფის ფუნქციას შესაძლოა ასრულებდეს ხელშეკრულების ყველა მონაწილისთვის.¹⁸ როგორც ბეს მიმღები, ისე ბეს მიმცემი, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქონებრივი დანაკლისის დადგომის რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან. კერძოდ, თუ ბეს მიმცემი დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ბე დარჩება მიმღებს (423 I მუხლი), ხოლო, თუ ბეს მიმღები ბრალეულად არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას, მან ბე ორმაგად უნდა დააბრუნოს (423 II მუხლი).¹⁹ 10

2. ხელშეკრულების დადების დადასტურების (მტკიცების) ფუნქცია

ბე მტკიცებითი ფუნქციის მატარებელია – იგი ადასტურებს ხელშეკრულების დადებას.²⁰ ამდენად, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ბეს გადახდით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.²¹ ამასთან, ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურება არ ეხება ამ ხელშეკრულების შინაარსს.²² 11

ბე შეიძლება დაიდოს ზეპირად.²³ მტკიცების ფუნქცია ბეს მხოლოდ ფორმათავისუფალ ხელშეკრულებებთან მიმართებით აქვს.²⁴ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის კანონით დადგენილი სპეციალური ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ხსენებული ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება და, შესაბამისად, არც ბეს ექნება მბოჭავი ხასიათი.²⁵ ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში გადახდილი ბე ექვემდებარება უკან დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად (976).²⁶ 12

16 იქვე, გვ. 249.

17 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27.

18 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 249.

19 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 79-80.

20 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 26.

21 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 248.

22 *რობაქიძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 607. აღსანიშნავია ავტორის მოსაზრება, რომ ბეს გადაცემით არა ხელშეკრულების დადების უტყუარი დადასტურება ხორციელდება, არამედ წარმოშობს ვარაუდს, რომ ხელშეკრულება დადებულია.

23 *თოდუა/ვილემსი*, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 25.

24 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 248.

25 იქვე, გვ. 249.

26 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27.

3. საგადამხდლო ფუნქცია

- 13 ბეს საგადამხდლო ფუნქცია იმით გამოიხატება, რომ იგი ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში ჩაითვლება (422).²⁷ ამდენად, ბე ხელშეკრულების მხარის მიერ ასანაზღაურებელი საფასურის ნაწილს (ერთგვარ ავანსს²⁸) წარმოადგენს.²⁹ მხარეებს შეუძლიათ, შეცვალონ ბეს ავანსის ფუნქცია³⁰ და ხელშეკრულებითვე განსაზღვრონ მისი უკან დაბრუნების პირობა. ამასთან, ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე, ბე შესაძლოა, თავისთავად დაექვემდებაროს უკან დაბრუნებას (მაგ., ვალდებულების ნატურით შესრულებისას).³¹
- 14 გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბე შესაძლოა არ ატარებდეს საგადამხდლო ფუნქციას და, შესაბამისად, არ იქნეს ჩათვლილი შესრულებაში (422), რის გამოც მისი ნამდვილობა არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.³²

4. სერიოზულობის ინდიკატორის ფუნქცია

- 15 სერიოზულობის ინდიკატორის ფუნქცია გულისხმობს ხელშეკრულების მხარეთა განზრახვის სერიოზულობის წინა პლანზე წამოწევა.³³ მაგალითის სახით განიხილება შემთხვევა, როდესაც მხარეები ბეს წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემენ ერთმანეთს, რა შემთხვევაშიც ბე სერიოზულობის ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს და მასზე ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმა, თუმცა ეს ფაქტი ხელშეკრულების დადების დასტურს არ წარმოადგენს.³⁴

IV. ბეს განსხვავება სხვა ინსტიტუტებისგან

1. ბეს განსხვავება ავანსისგან

- 16 სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბეს ავანსად წარმოჩენის მცდელობა საკმაოდ ხშირია.³⁵ ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია ის ხელშეკრულებები, რომელთა ნამდვილობისთვის კანონი სპეციალურ ფორმას არ აწესებს და, შესაბამისად, გადახდილი თანხის სამართლებრივი სტატუსის დადგენა რთულდება.³⁶

27 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 80.

28 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 236.

29 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 250

30 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 236.

31 იქვე.

32 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27.

33 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 251.

34 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 236.

35 რობაქიძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 610.

36 იქვე.

ბესგან განსხვავებით, ავანსი არის ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შესრულების მიზნით გადაცემული ფულადი თანხა.³⁷ ამდენად, ავანსი არის ფულადი თანხა, რომელიც გადაიხდება წინასწარ, იმ დრომდე, სანამ მეორე მხარე შეასრულებს შემხვედრ ვალდებულებას.³⁸ ამდენად, ბესაჭიროებს მხარეთა შორის სპეციალურ შეთანხმებას.³⁹ 17

რამდენადაც ფორმასავალდებულო ხელშეკრულების დადების ფაქტი მხოლოდ ფულის გადახდით არ შეიძლება დადასტურდეს, თუ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც იქნა გადაცემული ბეს, დადგენილია სპეციალური ფორმა, გადახდილი თანხა ჩაითვლება არა ბედ, არამედ ავანსად.⁴⁰ ამ მხრივ ყურადსაღებია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებას დადებენ კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმის დაცვით, ხოლო ბეს (როგორც ამ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალებას) შეათანხმებენ ზეპირად, ბეს ფორმის დაუცველობამ, რომელსაც კანონი ძირითადი ხელშეკრულებისთვის ითვალისწინებს, არ უნდა იმოქმედოს მის (ბეს) ნამდვილობაზე.⁴¹ 18

2. ბეს განსხვავება წინარე ხელშეკრულებისგან

ბესა და წინარე ხელშეკრულების გამიჯვნის საკითხი მეტად აქტუალური გახდა სასამართლო პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ. დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ ბეს წინარე ხელშეკრულებას (327 III) წარმოადგენდა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც მხარეებმა შეათანხმეს ბეს გადახდა, არ იყო კანონით დადგენილი ფორმის დაცვით შედგენილი, შეთანხმება ბეს თაობაზე, როგორც ფორმაუდაუცველი გარიგება, ავტომატურად მიიჩნეოდა ბათილად.⁴² ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ბეს თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება წინარე ხელშეკრულებისგან, იგი შესაძლოა გამოეყენებულ იქნეს წინარე ხელშეკრულების დადების დასადასტურებლად ან მისი უზრუნველყოფის საშუალებად.⁴³ 19

37 თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ. 26.

38 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27.

39 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 მარტის № ას- 875-817-2017 გადაწყვეტილება.

40 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 249

41 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის № ას-1172-1038-2010 განჩინება.

42 იხ. რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 610. აღნიშნული მსჯელობა დაფუძნებულია სასამართლო პრაქტიკაზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის № 3კ/729-02 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის № ას-633-1283-03; 2007 წლის 5 თებერვლის № ას-610-991-06 განჩინება.

43 316-ე მუხლის კომენტ., ველი 27; აღნიშნული მსჯელობა დაფუძნებულია შემდეგ განჩინებაზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 3012 წლის 30 მარტის № ას-255-247-2012 განჩინება.

- 20 აღნიშნული საკითხი ბოლო პერიოდში სასამართლო პრაქტიკამ განსხვავებულად მოაწესრიგა. სასამართლოს განმარტებით, განსხვავებით ბესგან, რომელიც ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს, წინარე ხელშეკრულება (327 III) ხელშეკრულების მომავალში დადების ვალდებულებას ითვალისწინებს და არ ადასტურებს გარიგების დადების ფაქტს.⁴⁴ წინარე ხელშეკრულება, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება, ადგენს მომავალში დასადები ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების შესაძლებლობას, ხოლო, ბე, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათაგან ერთ-ერთი, ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს. ამდენად, სწორედ ის ფაქტი, რომ ბე ხელშეკრულების ნაწილია და არა დამოუკიდებელი ხელშეკრულება, განასხვავებს მას წინარე ხელშეკრულებიდან.⁴⁵

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 21 მარტის № ას- 875-817-2017 გადაწყვეტილება.

45 იგივე გადაწყვეტილება.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

I. ზოგადი დებულებანი819
 II. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში.....819
 III. ბეს უკან დაბრუნება.....819

I. ზოგადი დებულებანი

422-ე მუხლი ბეს ანიჭებს საგადასახადო ფუნქციას,¹ რაც გულისხმობს, 1
 რომ იგი ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში
 ჩაითვლება.² ამრიგად, ბე ძირითადი ვალდებულების მთლიანი ან ნაწილო-
 ბრივი შესრულების საშუალებაა.³

II. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

სკ ბეს გადასახადის ანგარიშში ჩასათვლელად ანებსებს გარკვეულ წი- 2
 ნაპირობებს. კერძოდ, ბე ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახ-
 დელის ანგარიშში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი
 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება იქნება სახეზე.⁴ ამა-
 ვდროულად, ბესა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების
 საგანი უნდა იყოს იდენტური.⁵

რამდენადაც ბე არ წარმოადგენს თანხას, რომლის გადახდაც ხელშე- 3
 კრულების ფასისგან განყენებულად ხორციელდება, მისი გადასახადის
 ანგარიშში ჩათვლა გულისხმობს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინე-
 ბულ ჯამურ თანხას დააკლდება ბეს ოდენობა და გადახდას დაექვემდებარ-
 ება მხოლოდ თანხის დარჩენილი ნაწილი (სხვაობა).⁶

III. ბეს უკან დაბრუნება

სკ იძლევა შესაძლებლობას, რომ ცალკეულ შემთხვევაში ბე არ ჩაით- 4
 ვალოს გადასახდელის ანგარიშში.⁷ საამისოდ, ხელშეკრულების მხარეები
 უნდა შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ბე უკან
 დაბრუნდეს.⁸ ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს

1 იხ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80.
 2 იხ. 421-ე მუხლის კომენტარი.
 3 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80.
 4 რობაქიძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკ-
 რულებო სამართალი, 2014, გვ. 614; იხ. ასევე, ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, მუხ. 422, გვ.
 501.
 5 იქვე.
 6 იხ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 251.
 7 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80.
 8 იქვე.

ბესა და ავანსის სამართლებრივი ბუნება. ვინაიდან ავანსი არის თანხა, რომელიც გადაიხდება უკვე დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად,⁹ ბესგან განსხვავებით ის უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ბე ავანსის ფუნქციას ნაწილობრივ მაინც ასრულებს.¹⁰

9 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 252.

10 იქვე. იხ. ასევე, 421-ე მუხლის კომენტარი.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

- I. ზოგადი დებულებანი821
- II. ბეს მიმცემის პასუხისმგებლობა821
- III. ბეს მიმღების პასუხისმგებლობა822

I. ზოგადი დებულებანი

ბეს სამართლებრივი ბუნება ხელშეკრულების ორივე მხარეზე ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა.¹ ამდენად, ბეს მნიშვნელობა ვლინდება მის ორმაგ უზრუნველყოფ სასიათში.² 423-ე მუხლი აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების საკითხსაც. კერძოდ, ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება იმ გარემოებაზე, თუ ვინ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – ბეს მიმცემმა, თუ ბეს მიმღებმა.³

იმისათვის, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო ბეს მიმღებს გაუჩნდეს უფლება ბეს სახით ანაზღაურებული თანხის დატოვებაზე, ხოლო ბეს მიმცემს გაუჩნდეს უფლება ბეს ორმაგად გადახდის მოთხოვნაზე, აუცილებელია, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება საერთოდ არ იქნეს შესრულებული.⁴ კერძოდ, ეს ნესი არ ვრცელდება ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაზე.⁵

ხელშეკრულების პირობებზე მხარეთა შეთანხმების დადასტურების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბედან გამომდინარე მოთხოვნას იურიდიული საფუძველი არ გააჩნია.⁶

II. ბეს მიმცემის პასუხისმგებლობა

423 I მუხლის პირველი წინადადება ადგენს, რომ, თუ ბეს მიმცემის მხრიდან ბრალეულად არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მის მიერ გადახდილი ბე რჩება მიმღებს.⁷ ამასთან, კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევაში ბეს მიმცემის ბრალი უპირობოდ უნდა ფიგურირებდეს.⁸

1 რობაქიძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიფო სამართალი, 2014, გვ. 611.

2 იქვე.

3 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის № ას-1201-1130-2012 განჩინება (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 31 მაისი 2012).

5 იგივე განჩინება.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის № ას-661-628-2014 გადაწყვეტილება.

7 იხ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 252.

8 რობაქიძე, ნიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიფო

- 5 განხილული დანანესის თანახმად, ბეს მიმცემის პასუხისმგებლობა ძირითადი ვალდებულების დარღვევისათვის ბეს დაკარგვით შემოიფარგლება.⁹ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ბეს მიმღებს აქვს უფლება, საერთო საფუძვლებით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დარჩენილი ნაწილისთვის, რომელიც ბეს თანხით არ დაიფარა.¹⁰ ამდენად, ბე ასრულებს მინიმალური ზიანის ფუნქციას.¹¹
- 6 როგორც უკვე აღინიშნა, ბრალის არსებობა ბეს მიმცემის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი წინაპირობაა. თუ ბეს მიმცემის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია ბრალის გარეშე, მას აქვს გადაცემული ბეს უკან მოთხოვნის უფლება.¹²

III. ბეს მიმღების პასუხისმგებლობა

- 7 თუ ბეს მიმღები ბრალეულად დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მან ბე ორმაგად უნდა დააბრუნოს (423 II). ბეს დაბრუნება ორმაგად არ ართმევს ბეს მიმცემს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.¹³ ისევე როგორც ბეს მიმცემის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის აუცილებელია ბრალის არსებობა, ბეს მიმღებს ბეს ორმაგად დაბრუნების მოვალეობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ბრალეულად მოქმედებს.¹⁴
- 8 423 II მუხლი არ ანესრიგებს საკითხს, შესაძლებელია თუ არა, რომ ბე ზიანის ანაზღაურების ანგარიშში ჩაითვალოს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს საკითხი 423 I მუხლის ანალოგიურად უნდა მოწესრიგდეს და, შესაბამისად, ბე უნდა ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, ხოლო, ზიანი, რომელიც აღემატება ბეს ოდენობას, ანაზღაურდეს საერთო საფუძვლით.¹⁵ ამ მხრივ გასათვალისწინებელია სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმად, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბეს მიმცემს უფლება აქვს, მოითხოვოს როგორც ბეს ორმაგი ოდენობით ანაზღაურება, ისე ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იგი აღემატება ბეს ერთჯერად თანხას.¹⁶ ამ შემთხვევაში, ძირითადი ვალდებულება წყდება.¹⁷

რულებო სამართალი, 2014, გვ. 611.

9 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80.

10 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიფო სამართალი, 2014, გვ. 612; იხ. ასევე, ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 423, გვ. 503- 504.

11 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 423, გვ. 504.

12 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიფო სამართალი, 2014, გვ. 612; იხ. ასევე, ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 423, გვ. 503; ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 253.

13 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 253.

14 იხ. რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიფო სამართალი, 2014, გვ. 613.

15 იქვე, გვ. 614.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 25 დეკემბრის № ას-1201-1130-2012 განჩინება (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 31 მაისი 2012).

17 იგივე განჩინება.

თავი მასამი
მოვალის გარანტია

მუხლი 424. ცნება

მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.

- I. ზოგადი დებულებანი823
- II. მოვალის გარანტიის ფუნქცია, მიზანი და მასზე შეთანხმების წინაპირობები..... 824
 - 1. მოვალის გარანტიის ფუნქცია და მიზანი.....824
 - 2. მოვალის გარანტიის შესახებ შეთანხმების წინაპირობები825
- III. მოქმედების პირადად შესრულების ვალდებულება825
- IV. მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს826
 - 1. უპირობო მოქმედების შესრულების ვალდებულება826
 - 2. მოქმედების შესრულების ვალდებულება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს827
- V. ზიანის ანაზღაურება827

I. ზოგადი დებულებანი

მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა, რომელიც ეფუძნება მოვალისადმი (გარანტიის წარმომდგენისადმი) არსებულ ინდივიდუალურ ნდობასა და კრედიტუნარიანობას.¹ იგი მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებების მსგავსად, ვალდებულების შესრულებას ემსახურება.² **მოვალის გარანტია წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას**, რომლის ფარგლებშიც, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნვესაყოფად მოვალე ჰპირდება მოთხოვნის უფლების მფლობელს, რომ შეასრულებს კანონით გათვალისწინებულ ამა თუ იმ მოქმედებას.³

მოვალის გარანტია ხელშეკრულებით ან დამოუკიდებელი შეთანხმებით განსაზღვრული, ძირითადი ვალდებულებისგან დამოუკიდებელი, ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც მხოლოდ მოვალეა ვალდებული, შეასრულოს მხარეთა შორის შეთანხმებული შესაბამისი მოქმედება.⁴

1 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 231.
 2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის № ას-379-352-2010 განჩინება.
 3 იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 131.
 4 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 617.

- 3 რამდენადაც მოვალის გარანტია ძირითადი ვალდებულების გარეშე არ არსებობს,⁵ იგი მიეკუთვნება **აქცესორულ ვალდებულებათა კატეგორიას**⁶ და, შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობა, რის უზრუნველსაყოფადაც იქნა გათვალისწინებული მოვალის გარანტია, გამოიწვევს ამ გარანტიის ბათილობასაც.⁷ იგივე წესი ვრცელდება მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც. კერძოდ, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად, გასულად მიიჩნევა მოვალის გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც.⁸
- 4 მოვალის გარანტიით შესაძლოა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა.⁹ ამასთან, მოვალის გარანტიის ფარგლებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, ვალდებულების უზრუნველყოფის სახით კანონმდებლობის ფარგლებში შეათანხმონ მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი მოქმედების შესრულება.¹⁰

II. მოვალის გარანტიის ფუნქცია, მიზანი და მასზე შეთანხმების წინაპირობები

- 5 მოვალის გარანტია მოთხოვნის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას, მართოს მოვალის საქციელი.¹¹ მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის მიზნით, გამოსაყოფია ორი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ: ა) თუ რა მიზანი აქვს მოვალის გარანტიას, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას; ბ) თუ რა მოთხოვნის ფარგლებში და რა წინაპირობების დაცვით არიან გარიგების მხარეები უფლებამოსილი, შეთანხმდნენ მოვალის მიერ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი მოქმედების შესრულების თაობაზე.

1. მოვალის გარანტიის ფუნქცია და მიზანი

- 6 მოვალის გარანტიის ფუნქციაა, კრედიტორის მიერ განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების უზრუნველყოფა.¹² შესაბამისად, მოვალის გარანტია ატარებს როგორც პრევენციულ, ისე რესტიტუციულ ფუნქციას.¹³

5 იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 131.

6 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 254.

7 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 233. იხ., ასევე, ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 424, გვ. 506.

8 იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 132.

9 იქვე, გვ. 135.

10 იქვე, გვ. 143.

11 რობაკიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაკიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 616.

12 იხ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 232.

13 იქვე.

მოვალის გარანტია ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.¹⁴ ამიტომ ის ემსახურება მოვალის „იძულებას“, დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალესვე დაეკისრება გარანტიით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება. სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული მოვალის გარანტიის, როგორც უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების ერთ-ერთ სახედ განსაზღვრა.¹⁵ 7

2. მოვალის გარანტიის შესახებ შეთანხმების წინაპირობები

მოვალის გარანტია შესაძლოა, მხარეთა შორის შეთანხმდეს როგორც ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის, ისე ამ ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის.¹⁶ მსგავსი შეთანხმება დასაშვებია აგრეთვე კანონისმიერი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნითაც.¹⁷ მოვალის გარანტია შესაძლოა, შეთანხმდეს ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. 8

III. მოქმედების პირადად შესრულების ვალდებულება

424-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება დამატებით, რაიმე უპირობო ან ხელშეკრულების საგანს მიღმა არსებული ვალდებულების შესრულება.¹⁸ ამ დანაწესის შინაარსი ცხადყოფს, რომ მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მხოლოდ მოვალის და არა სხვა (მესამე) პირის მიერ ნაკისრი დამატებითი ვალდებულების ფარგლებში შესასრულებელი მოქმედება მიიჩნევა მოვალის გარანტიად. ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოვალე კისრულობს – დამატებით, კონკრეტულად განსაზღვრულ და მხარეთა შეთანხმებული მოქმედების შესრულებას.¹⁹ ამდენად, ხელშეკრულებაში ზედმინევენით უნდა განისაზღვროს, თუ რას გულისხმობს მოვალის გარანტია.²⁰ 9

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის № ას-379-352-2010 განჩინება.

15 იგივე განჩინება.

16 ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 233. იხ. ასევე, იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 136 -137.

17 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 617.

18 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 616.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის № ას-379-352-2010 განჩინება.

20 რობაქიძე, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 617.

IV. მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს

10 ნორმის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მოვალემ უნდა შეასრულოს: ა) რაიმე უპირობო მოქმედება; ან ბ) ისეთი მოქმედება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. ამდენად, დასახელებული ნორმა ადგენს მოვალის მიერ **ორი ალტერნატიული სახის** მოქმედების შესრულების ვალდებულებას: **უპირობო მოქმედების, ან მოქმედების, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.**

1. უპირობო მოქმედების შესრულების ვალდებულება

11 სიტყვა „უპირობო“ სკ-ში მითითებულია მხოლოდ 424-ე მუხლში. მოვალის მოქმედებისთვის კი „უპირობო“ მნიშვნელობის მინიჭება უკავშირდება ამ მოქმედების განსაკუთრებულ ხასიათს, მოვალის მიერ ამ მოქმედების შესრულების ვალდებულების აღებით საკუთარი **პასუხისმგებლობის გამძაფრების პირობასა** და მოთხოვნის უფლების მქონე პირის მიმართ გარანტიით განსაზღვრული მოქმედების **შესაგებლის უფლების გამოყენების გარეშე** შესრულების ვალდებულებას.

12 გარანტიის ფარგლებში მოვალე პასუხისმგებელია იმ შედეგებზე, რაც მესამე პირთან ურთიერთობაში შესაძლოა წარმოიშვას, მაგალითად, პროდუქციის დამამზადებელი მოვაჭრის წინაშე იძლევა გარანტიას, რომ თვითონ აგებს პასუხს მომხმარებლის წინაშე საქონლის ხარისხისთვის.²¹ შესაბამისად, სწორედ მოვალეა პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც მესამე პირებთან ურთიერთობაში შესაძლოა წარმოიშვას.²² ამდენად, განხილული დანაწესი ადგენს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას, მისი ბრალის არარსებობის შემთხვევაშიც.²³

13 მაგალითის სახით შესაძლოა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მოვალე იღებს ვალდებულებას, ყოველგვარი საპირისპირო არგუმენტის მოხმობის გარეშე აანაზღაუროს საქონლის ღირებულება, თუკი მომხმარებელი გამოთქვამს პრეტენზიას საქონლის ხარისხთან დაკავშირებით. თუმცა აქაც გასათვალისწინებელია 425-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები.

21 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 80-81.

22 *იოსელიანი*, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 137.

23 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 424, გვ. 506; იხ. ასევე, *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 255.

2. მოქმედების შესრულების ვალდებულება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მოვალის გარანტიის საგანი ასევე არის მოვალის მიერ სხვა იმგვარი მოქმედების შესრულება, რაც არ არის ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების საგანი.²⁴ 14

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოვალის გარანტიად შეფასდა მოვალის მიერ მისი ბინის გაყიდვის უფლებამოსილებით კრედიტორისთვის მიცემული მინდობილობა, იმ შემთხვევისთვის, თუ მოვალე ვალს ვერ დააბრუნებდა.²⁵ 15

V. ზიანის ანაზღაურება

სკ ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს საკითხს, აქვს თუ არა კრედიტორს უფლება, მოვალის გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან ერთად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. სამართლებრივ ლიტერატურაში არსებული შეხედულებით, რამდენადაც მოვალის გარანტია როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, არ წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების სრულ ალტერნატივას, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კრედიტორს არ უნდა შეეზღუდოს.²⁶ 16

მოვალის გარანტიით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება არ ჩაითვლება კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.²⁷ 17

24 იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 132.

25 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 255.

26 იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 138; იხ. ასევე, ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 234.

27 შდრ. იოსელიანი, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 139.

მუხლი 425. გარანტიის ნამდვილობა

გარანტია ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს, ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს.

I. ზოგადი დებულებანი	828
II. კანონით გათვალისწინებული წესები	828
1. საჯარო წესრიგი	829
2. კერძო სამართლის პრინციპები	829
III. მოვალის ზედმეტად დავალდებულება	829

I. ზოგადი დებულებანი

- 1 განსახილველი ნორმა ადგენს მოვალის გარანტიის ნამდვილობისთვის განსაზღვრულ წინაპირობებს.
- 2 მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა დაფუძნებულია მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის პრინციპზე (ნების ავტონომია), მოვალის გარანტიით გათვალისწინებული პირობის (შეთანხმებული მოქმედების შეპირების) ნამდვილობა შესაძლოა გახდეს სადავო, თუკი ეს შეთანხმება შეეწინააღმდეგება კანონით განსაზღვრულ წესებს, ან ზედმეტად დავალდებულებს მოვალეს.¹

II. კანონით გათვალისწინებული წესები

- 3 მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლება იმოქმედებს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის **შესაბამისობაშია კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან** და, ამავდროულად, არ ეწინააღმდეგება **საჯარო წესრიგსა და კერძო სამართლით განმტკიცებულ პრინციპებს.**² კანონი, თავის მხრივ, უნდა მივიჩნიოთ ამკრძალავად, თუკი მისი ნორმა გარიგების შინაარსს დაუშვებლად მიიჩნევს, ან კრძალავს ასეთი გარიგების დადებას.³ ამდენად, ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით შეპირებული მოქმედება ნებადართული უნდა იყოს კანონით.⁴
- 4 მოვალის გარანტიით განსაზღვრული მოქმედების შესრულების თაობაზე შეთანხმება მიიჩნევა კანონშეუსაბამოდ, თუ იგი არ ექცევა ამ მოქმედების განხორციელებისთვის კანონით დანესებულ ფარგლებში და გარანტია ითვალისწინებს ამ მოქმედების სხვაგვარად შესრულებას.⁵

1 *რობაქიძე*, წიგნში: ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელმწიქროლებო სამართალი, 2014, გვ. 618.

2 იქვე.

3 54-ე მუხლის კომენტ., ველი. 18.

4 *იოსელიანი*, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 139.

5 იქვე, გვ. 140.

1. საჯარო წესრიგი

სკ-ი საჯარო წესრიგის ლეგალურ დეფინიციას არ განსაზღვრავს.⁶ 5
დოქტრინული ცნების თანახმად, საჯარო წესრიგში ნაგულისხმებია **სა-
მოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები**, რომელთა ხელყოფა
ლახავს როგორც შესაბამისი ურთიერთობის მონაწილის უფლებებს, ისე
ენინააღმდეგება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.⁷

ვინაიდან რთულია საკითხის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა, ენინა- 6
აღმდეგება თუ არა შესაბამისი გარიგება საჯარო წესრიგს,⁸ გარანტიით
შესასრულებელი მოქმედების თაობაზე შეთანხმების საჯარო წესრიგთან
შესაბამისობის შეფასება ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზის სა-
ფუძველზე უნდა განხორციელდეს.

2. კერძო სამართლის პრინციპები

კერძო სამართლის ძირეულ პრინციპებს განეკუთვნება სამოქალაქო 7
ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებისა (8 III) და გულისხმი-
ერების (316 II) ვალდებულებები.⁹ ნდობისა და კეთილსინდისიერების ვა-
ლდებულების დარღვევა არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის და
ინვესტ დამრღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობას.¹⁰

აღნიშნული პრინციპებით განმტკიცებული ვალდებულებების დარ- 8
ღვევამ შესაძლოა მოვალის გარანტიის ნამდვილობა სადავო გახადოს.

III. მოვალის ზედმეტად დავალდებულება

425-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულების უზრუნველყოფის მიზ- 9
ნით, გარანტიით განსაზღვრული მოქმედების შესრულებით მოვალის
ზედმეტად დავალდებულების აკრძალვას.

მხარეთა შეთანხმება არ უნდა ცვლიდეს მხარეთა სუბსტანციას.¹¹ სა- 10
მოქალაქო წესრიგი ზღუდავს მხარეთა თავისუფალი ნების გამოხატვის
შესაძლებლობას იმ შემთხვევებში, როცა გამოვლენილი ნება სამოქალაქო
ურთიერთობის მონაწილეებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.¹² გა-
რანტიით შესასრულებელი მოქმედების ზედმეტად დავალდებულებელ ხა-
სიათში მოიაზრება მოვალის მიერ იმგვარი ვალდებულების აღება, რომე-
ლიც მის მდგომარეობასთან შეუსაბამოდ დიდი სამართლებრივი ტვირთის
შეფასების შესაძლებლობას იძლევა.¹³ მოვალის გარანტიით გათვალისწი-

6 54-ე მუხლის კომენტ., ველი 26.

7 იქვე, ველი 27.

8 იქვე, ველი 29.

9 მე-8 მუხლის კომენტ., ველი 11.

10 იხ. იქვე, ველი 10.

11 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 425, გვ. 507.

12 *იოსელიანი*, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ. 140.

13 იქვე.

ნებული მოქმედების „ზედმეტად მავალდებულებლად“ შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა.¹⁴

- 11 იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მოვალის ზედმეტად დავალდებულების“ აკრძალვის საფუძვლით, ძირითადი ვალდებულების შესრულების პარალელურად, მოვალის მიერ გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა გამორიცხულია.¹⁵

14 იქვე; იხ. ასევე, *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 256.

15 *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 233,

მუხლი 426. გარანტიის ფორმა**გარანტია უნდა გაფორმდეს წერილობით.****I. ზოგადი დებულებები**

კანონი ადგენს მოვალის გარანტიის ნამდვილობისთვის დამატებით წინაპირობას. კერძოდ, იმისათვის, რომ მოვალის გარანტიაზე შეთანხმებას სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი მიეცეს, იგი უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. 1

კანონი არ განსაზღვრავს, აღნიშნული შეთანხმება ძირითადი ვალდებულებების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, თუ მისი ნამდვილობისთვის მხარეთა შორის დამოუკიდებელი შეთანხმება უნდა შედგეს.¹ ივარაუდება, რომ ორივეა შესაძლებელი.² 2

II. ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები

426-ე მუხლით განსაზღვრული გარიგების ფორმის ამავე გარიგების ნამდვილობის ფუნქცია აკისრია.³ 3

მოვალის გარანტიის წერილობითი ფორმის დაუცველობა წარმოშობს სკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შედეგებს. კერძოდ, გარიგება, რომელიც დადებულია ფორმის დაუცველად, ბათილია. 4

რამდენადაც კანონი პირდაპირ დათქმას არ აკეთებს, მოვალის გარანტია შესაძლოა, მხარეთა შორის შეთანხმდეს როგორც მარტივი წერილობითი, ისე რთული საწარმოო ფორმის დაცვით.⁴ 5

ფორმის დაუცველობით გამოწვეული გარანტიის ბათილობა გავლენას არ ახდენს ძირითადი ვალდებულების არსებობაზე.⁵ 6

1 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 255.

2 იქვე.

3 იხ. 59-ე მუხლის კომენტ., ველი 10.

4 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 424, გვ. 507.

5 იქვე; იხ. ასევე, *რობაქიძე*, წიგნში: *ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე*, სახელმეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 617.

კარი მუხლი
ვალდებულების შეწყვეტა
თავი პირველი
ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

მუხლი 427. ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

I. ზოგადი დებულებები	832
1. ცნებები	832
ა. ვალდებულებითი ურთიერთობა	832
ბ. ვალდებულების შეწყვეტა	834
2. ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები	834
II. შესრულება	835
1. შესრულების ცნება და მისი წინაპირობები	835
2. შესრულების მიმღები პირი	837
ა. შესრულება კრედიტორის წინაშე	837
ბ. შესრულება უფლებამოსილი პირის (რწმუნებულის) ან მესამე პირის წინაშე	838
გ. შესრულების მიზნობრიობა	838
III. შესრულების ცალკეული სახეები	839
1. წინასწარი გადახდა	839
2. ნაღდი ფულით გადახდა	839
3. საბანკო გადარიცხვა	839
IV. ვალდებულების შესრულებით შეწყვეტის წინაპირობები	840
V. ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში: მტკიცების ტვირთი და იძულებითი აღსრულება	841

I. ზოგადი დებულებები

1. ცნებები

ა. ვალდებულებითი ურთიერთობა

- 1 ყოველი ვალდებულებითი ურთიერთობის ლოგიკური მიზანი კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა. 427-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებითი ურთიერთობა მოიცავს ვალდებულებით ურთიერთობას, როგორც ვინრო, ისე ფართო გაგებით.¹
- 2 ვალდებულებით ურთიერთობაში ვინრო გაგებით იგულისხმება ყველა ის ცალკეული მოთხოვნა (მოთხოვნითი ხასიათის ურთიერთობა),

¹ შდრ. Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 1; Fetzer, in MüKo § 362, Rn. 1; ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 510; განსხვავებული აზრი იხ. მარიამიძე, ვალდებულებითი სამართალი, 2013, გვ. 53.

რომელთა ერთობლიობაც საერთო ჯამში ქმნის ვალდებულებით ურთიერთობას.² კერძოდ, თუ ათსართულიანი სახლის მშენებლობის თაობაზე გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებით (629) გათვალისწინებული არის თითოეული სართულის მშენებლობასთან დაკავშირებული სპეციალური პირობები, მაშინ ყოველი სართული ხელშეკრულების მიზნებისთვის ჩაითვლება აშენებულად, თუ ხელშეკრულების მხარეები დააკმაყოფილებენ ყოველი კონკრეტული სართულის მშენებლობისთვის გათვალისწინებულ სპეციალურ წინაპირობებს, რაც, საბოლოოდ, დადასტურდება მათ შორის გაფორმებული წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტით. აღნიშნული ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება ყოველი სართულის მშენებლობისთვის ითვალისწინებდეს შესაბამის საფასურს, რაც, თავის მხრივ, შეადგენს ნარდობის ხელშეკრულების საერთო საფასურის შემადგენელ ნაწილს. ყოველი სართულის მშენებლობისთვის განსაზღვრული საფასურის გადახდის ვალდებულება კი **შემკვეთს** წარმოეშობა **მენარდის** წინაშე მას შემდეგ, როდესაც მათ შორის, შესაბამისი ფორმის დაცვით, გაფორმდება ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მხარეებს შორის სახეზე არის 10 სპეციალური ხასიათის მოთხოვნა/ვალდებულება (მოთხოვნითი ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობა), ანუ ყოველი სართულის მშენებლობასთან მიმართებით ერთი მოთხოვნითი ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობა. შესაბამისად, ყოველი სართულის აშენებასთან დაკავშირებით ნაკისრი სპეციალური პირობების სრულად შესრულება იწვევს ამ კონკრეტულ სართულთან მიმართებით არსებული მოთხოვნითი ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობის ანუ მოთხოვნის/ვალდებულების შეწყვეტას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე (მაგალითად IX სართული) ან რამდენიმე სართული (V, VI სართულები) ამ 10 სართულიდან ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ აშენდება მენარდის მხრიდან, მაშინ შესაბამისი სართულების აშენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი მოთხოვნები/ვალდებულებები არ ჩაითვლება შესრულებულად და ეს კონკრეტული მოთხოვნები/ვალდებულებები არ ჩაითვლება შეწყვეტილად, შემკვეთს კი უფლება ექნება, არ გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი და მოითხოვოს ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

ვალდებულებით ურთიერთობაში ფართო გაგებით კი იგულისხმება ყველა ის ცალკეული მოთხოვნის/ვალდებულების (მოთხოვნითი ხასიათის ურთიერთობის) ერთობლიობა, რაც, საერთო ჯამში, წარმოადგენს ერთი მთლიანი ვალდებულებითი ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს. ზემოთ მოყვანილ ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მაგალითზე ვალდებულებითი ურთიერთობა ფართო გაგებით არის 10-სართულიანი სახლის აშენებასთან დაკავშირებული, მასთან მიმართებით და მისგან გამომდინარე მენარდესა და შემკვეთს შორის წარმოშობილი ყველა სახის ურთიერთობა. კერძოდ, ერთი სართულის ნარდობის ხელშეკრულების პი-

3

2 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 1; *Fetzer*, in MüKo § 362, Rn. 2.

რობების შესაბამისად აშენებით შეწყდება ეს კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობა შესაბამის ერთ სართულთან დაკავშირებით წარმოშობილ მოთხოვნასთან/ვალდებულებასთან დაკავშირებით; ხოლო ათივე სართულის აშენებასთან მიმართებით წარმოშობილი ყველა მოთხოვნის/ვალდებულების დაკმაყოფილებით/შესრულებით მოხდება მთლიანი ვალდებულებითი ურთიერთობის (ყველა ვალდებულების ჩათვლით) შეწყვეტა, ანუ, ფართო გაგებით, ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტა.

- 4 ვალდებულებითი ურთიერთობის ფართო და ვიწრო გაგებით დაყოფას და 427-ე მუხლის ამ ფორმით განმარტებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რამდენადაც ასეთი დაყოფა 427-ე მუხლის გამოყენებით ვალდებულებითი ურთიერთობის ყოველ კონკრეტულ ეტაპზე წარმოშობილი მოთხოვნების/ვალდებულებების ცალ-ცალკე კვალიფიცირებისა და მათი შესრულების სამართლებრივი შედეგების გამიჯნულად შეფასების საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით გრძელვადიანი ვალდებულებითი სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობისას.³ მაგალითად, ზემოთ განხილულ წარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, ათივე სართულის აშენების შემდეგ, შემკვეთმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ I, III და IX სართულები უხარისხოდ ნაშენები არის. შესაბამისად, 427-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სართულების ნაწილში შესაბამისი კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობები ამ სართულებთან მიმართებით შეწყვეტილად ვერ შეფასდება, რაც შემკვეთს საშუალებას მისცემს, რათა კრედიტორს დამატებითი მოთხოვნებით (**მეორადი მოთხოვნების** ჩათვლით) მიმართოს.

ბ. ვალდებულების შეწყვეტა

- 5 427-ე მუხლის მიზნებისათვის **ვალდებულების შეწყვეტაში** იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვიწრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და იგი აღარ არსებობს.⁴

2. ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები

- 6 427-ე-454-ე მუხლები განსაზღვრავს ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს. ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ვალდებულების **შესრულებით** (427-433), **დეპონირებით** (434-441), **ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით** (442-447), **ვალის პატივით** (448-451), ვალდებულების შეწყვეტის სხვა ისეთი საფუძვლებით, როგორებიცაა: **შემთხვევა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება** (452), **მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალებით** (453) და **იურიდიული პირის ლიკვიდაციით** (454). ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება ასევე იყოს **ხელშეკრულების ვადის გასვლა ან ხელშეკრულების მოშლა/შეწყვეტა** (მაგ.: 559, 555, 557, 558).

³ Fetzer, in MüKo BGB, § 362, Rn. 27.

⁴ Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 1.

II. შესრულება⁵

1. შესრულების ცნება და მისი წინაპირობები

შესრულების ერთიანი ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრული არ არის.⁶ შესრულება დაკავშირებულია შესაბამისი ქმედების განხორციელებასთან. კერძოდ, გარკვეული ქმედებით ვალდებულების შესრულებასთან. 427-ე მუხლის მიზნებისთვის, ქმედებაში საგულისხმოა არა უბრალოდ რაიმე ქმედების ხასიათი და სახე, არამედ ქმედების შედეგი.⁷ იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, მოვალის ქმედებას შედეგად არ მოჰყვება საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად რეგისტრაცია, მაშინ ეს ქმედება ვერ ჩაითვლება შესრულებად და, შესაბამისად, ვალდებულება შეწყვეტილად; ასეთ შემთხვევაში, მოვალემ განმეორებით უნდა განხორციელოს ქმედება იმ ფორმით, რაც საჯარო რეესტრში შესაბამისი უფლების რეგისტრაციას განაპირობებს.⁸

მოვალის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგზე ეკონომიკური წვდომა უნდა ჰქონდეს კრედიტორს. კერძოდ, კრედიტორმა უნდა შეძლოს ქმედების შედეგით შეუზღუდავად სარგებლობა.⁹ ქმედება ვერ ჩაითვლება შესრულებად და, შესაბამისად, აღნიშნული ქმედებით ვალდებულება ვერ დაკვალიფიცირდება შეწყვეტილად, თუ კრედიტორს ქმედების შედეგით შეუზღუდავად ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა არ წარმოეშობა. მასასადამე, იმისათვის, რომ ვალდებულება შესრულებით შეწყდეს, აუცილებელია, კრედიტორმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საგნის მიმართ მოიპოვოს მისთვის სასარგებლო განსაკუთრებული უფლება. უფრო კონკრეტულად, შესრულების ხასიათიდან გამომდინარე მიიღოს სრულ განკარგულებაში სასურველი ნივთი, მისთვის ხელსაყრელი მომსახურება და ა. შ. სასურველი შედეგის დადგომა ყოველი კონკრეტული შემთხვევისას გამოიხატება კრედიტორის მხრიდან. მაგალითად, შესრულების საგანია მოძრავი ნივთის გადაცემა. კრედიტორმა მიიღო ნივთი და შეუდგა დანიშნულებისამებრ მის გამოყენებას, რომლის ხანგრძლივობამაც გადააჭარბა გონივრულ ვადას. იგულისხმება, რომ ვალდებულების შესრულება მოწონებულია კრედიტორის მიერ. შესაბამისად, ვალდებულება შეწყვეტილია.

ქმედება უნდა იყოს ვალდებულების შესაბამისი, ანუ ქმედება სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ვალდებულების შინაარსსა და მის პირობებთან, იქნება ეს კანონით თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობე-

5 ვალდებულების შესრულების არსთან მიმართებით უფრო ფართოდ იხ. 361-389-ე მუხლების კომენტ., წინამდებარე თავი კი ვალდებულების შესრულების არსს განიხილავს უშუალოდ ვალდებულების შეწყვეტის კონტექსტში.

6 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 509.

7 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo § 362, Rn. 2.

8 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo § 362, Rn. 2.

9 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo BGB, § 362, Rn. 2.

ბი, რამდენადაც ქმედების შინაარსი და მოცულობა სწორედაც რომ სახელშეკრულებო ან/და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს; სწორედაც რომ ეს ურთიერთობები განსაზღვრავენ ქმედებას, როგორც შესასრულებლად სავალდებულო ქმედებას.¹⁰ ქმედება, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს როგორც უმოქმედობაში, ასევე ფაქტობრივ მოქმედებაში (316). მაგალითად, მოვალის მხრიდან ვალდებულების შემწყვეტ ქმედებად და, შესაბამისად, შესრულებად შეიძლება ვერ ჩაითვალოს ბანკის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, თუ ამ საბანკო ანგარიშზე წვდომა კრედიტორთან ერთად ასევე მოვალესაც აქვს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.¹¹ ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების სპეციალურ ფორმაზე, ადგილზე, დროსა და სხვა განსაკუთრებულ პირობებზე. მსგავსი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შეწყვეტა კი უნდა მოხდეს ზუსტად ისეთი ქმედებით, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმასთან, ადგილთან, დროსა და სხვა განსაკუთრებულ პირობებთან. აღნიშნული ქმედება კი ჩაითვალოს შესრულებად.

- 10 როგორც წესი, ვალდებულების უშუალოდ, პირადად მოვალის მხრიდან შესრულება სავალდებულოა მაშინ, როდესაც ამის საჭიროება კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარეობს (371 I, იხ. 371 მუხლის კომენტ.). თუ ეს შემთხვევა არ არის სახეზე, მაშინ ვალდებულება, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, შეიძლება მესამე პირმაც შეასრულოს (371 II, იხ. 371-ე-372-ე მუხლების კომენტ.). შესაბამისად, ქვემოთ განხილული მაგალითების მსგავსად (იხ. 427-ე მუხლის კომენტ., ველი 16, 17, 18.), სავსებით შესაძლებელია, რომ კრედიტორის სასარგებლოდ მოვალის ნაცვლად ვალდებულება მოვალის წარმომადგენელმა ან მესამე პირმა შეასრულოს. თუმცა აღსანიშნავია, რომ, თუ მესამე პირი მოვალის ნების საწინააღმდეგოდ ასრულებს კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს, რომ არ მიიღოს აღნიშნული შესრულება (371 II, იხ. 371-372-ე მუხლების კომენტ.).
- 11 ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ შესრულება კრედიტორის წინაშე ზუსტად ისე განახორციელოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც კრედიტორს ჰქონდა, კერძოდ, **დათქმულ დროს** (363-367, იხ. 363-367-ე მუხლების კომენტ.), **დათქმულ ადგილას** (362, იხ. 362-ე მუხლის კომენტ.), **სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად**¹² (361 II, იხ. 361-ე მუხლის კომენტ.).
- 12 საქართველოს უზენაესი სასამართლო საინტერესოდ განმარტავს ჯეროვანი შესრულების წინაპირობებს: „**ჯეროვანი შესრულება შეიცავს**

10 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo BGB, § 362, Rn. 2.

11 შდრ. BGH NJW 1999, 210; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo BGB, § 362, Rn. 2.

12 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 509.

რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ, ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი. ბრუნვის მონაწილის ვალდებულება, ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ევალება. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც.¹³

427-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით შეწყვეტის წინაპირობები თანაბრად მოქმედებს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო – კანონისმიერი – ვალდებულებითი ურთიერთობის მიმართ.¹⁴ 13

2. შესრულების მიმღები პირი

ა შესრულება კრედიტორის წინაშე

როგორც წესი, ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის წინაშე. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორს შესრულების მიღებაზე სათანადო უფლებამოსილება ჰქონდეს.¹⁵ თუ კრედიტორს შესრულების მიღებაზე უფლებამოსილება შეზღუდული ან შეწყვეტილი (ჩამორთმეული) აქვს, მაშინ კრედიტორი შესრულებას ვერ მიიღებს, ხოლო ვალდებულების შესრულების მიზნით მოვალის მიერ განხორციელებული ქმედება ვერ ჩაითვლება შესრულებად. 14

427-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს უშუალოდ კრედიტორის სასარგებლოდ, თუმცა ეს ყოველთვის არ გულისხმობს, რომ ვალდებულების ფაქტობრივი შესრულება უშუალოდ კრედიტორის წინაშე უნდა განხორციელდეს. ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებულ შესრულებად მაშინაც ჩაითვლება, თუ კრედიტორისავე თანხმობით ვალდებულება ფაქტობრივად ან მისი წარმომადგენლის, ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის წინაშე შესრულება მოვალის მიერ (373 I). 373-ე (უფრო დეტალურად იხ. 373-ე მუხლის კომენტ.) მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად მიუთითებს, რომ მოვალე ვალდებულია, შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია, მიიღოს შესრულება. მართალია, აღნიშნულ ჩამონათვალში საუბარია კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილ პირზე, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ კრედიტორმა ცალკე გარეგნობით განსაზღვროს მესამე პირი, რომლის წინაშე ვალდებულების შეს- 15

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის № 3კ/1133-02 გადაწყვეტილება.

14 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 512.

15 *Larenz, Schuldrecht I*, 1982, § 18 I.

რულებაც შეიძლება ჩაითვალოს 427-ე მუხლის მიზნებისათვის განხორციელებულ შესრულებად, რომელსაც შედეგად ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვება.

ბ. შესრულება უფლებამოსილი პირის (რწმუნებულის) ან მესამე პირის წინაშე

16 როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა (იხ. ველი 15), ვალდებულების შემწყვეტი ქმედების შესრულება შეიძლება არ განხორციელდეს უშუალოდ კრედიტორის მიმართ, მაგრამ შესაბამისი ვალდებულება შესაძლებელია, რომ მაინც ჩაითვალოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყვეტილად (427). კერძოდ, კრედიტორმა შეიძლება მინდობილობის საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვოს შესაბამისი პირი, რომელსაც კრედიტორის მიერ მიეცემა უფლება, რათა მოვალის მხრიდან კრედიტორის სახელით მიიღოს ვალდებულების შესრულება (103-114; 709-723, იხ. 103-114-ე და 709-723-ე მუხლების კომენტ.).

17 ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყვეტილად ჩაითვლება მაშინაც, როდესაც მოვალე შესრულებას კრედიტორის მითითებით უშუალოდ იმ მესამე პირის წინაშე განახორციელებს, რომელიც კრედიტორთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა და რომლის მიმართაც კრედიტორს, თავის მხრივ, დავალიანება ჰქონდა.

18 ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყვეტილად მაშინაც კი შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც შესრულება უშუალოდ კრედიტორის წინაშე არ მომხდარა და ისეთი მესამე პირის წინაშე მოხდა, რომელიც შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი არ იყო, მაგრამ კრედიტორმა შესრულების შემდეგ მოიწონა აღნიშნული შესრულება ან კრედიტორმა შესრულებისაგან მიიღო სარგებელი (373 II, დეტალურად იხ. 373-ე მუხლის კომენტ.).

გ. შესრულების მიზნობრიობა

19 დიდი მნიშვნელობა აქვს შესრულების მიზნობრიობის/დანიშნულების განსაზღვრას. მხარეებს შორის შეიძლება რამდენიმე სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდეს, რომელთა საფუძველზეც მოვალეს რამდენიმე ფულადი ვალდებულება წარმოეშვას. შესაბამისად, თუ შესრულებისას მოვალის მიერ მითითებული არ არის ან გარემოებებიდან არ ირკვევა, რომ მოვალე აღნიშნულ ქმედებას კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიზნებისათვის ასრულებს, მაშინ მოვალეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ რომელი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმომოხილი რომელი ფულადი ვალდებულების შესრულებით მოხდა შესაბამისი ვალდებულების შეწყვეტა. ამიტომ შესრულების იდენტიფიცირების მიზნით საჭიროა, რომ მოვალემ გადახდის დანიშნულება/მიზნობრიობა მკაფიოდ მიუთითოს ან კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით ადვილად და არაორაზროვნად აღქმადი გახადოს. ასეთი შემთხვევა დაკვალიფიცირდება 387-ე მუხლის დანაწესების შესაბამისად, რაც, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება არ ემთხვეოდეს მოვალის განზრახვას, რა მიზნითაც იგი ასრულებდა ვალდებულებას (დეტალურად იხ. 388-ე მუხლის კომენტ.).

III. შესრულების ცალკეული სახეები

1. წინასწარი გადახდა

სესხისა და ვალდებულების უზრუნველყოფისაგან განსხვავდება შემთხვევა, როდესაც გადახდა ხორციელდება იმ ვალდებულებასთან მიმართებით, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოშობილა, მაგრამ მომავალში წარმოიშობა, მაგალითად ავანსის გადახდა (**წინასწარი გადახდა**).¹⁶ გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც წესი, მოთხოვნა შესრულების თაობაზე მისი შესრულების ვადის დადგომის საფუძველზე წარმოიშობა (365, 366), წინასწარი გადახდა საჭიროებს კრედიტორის თანხმობას.¹⁷ 20

2. ნაღდი ფულით გადახდა

ფულადი ვალდებულების შესრულებისას ყველაზე გავრცელებული და მარტივი ფორმა არის ნაღდი ფულის გადახდა, რომლის დროსაც მოვალე კრედიტორს გადასცემს ფულის ბანკნოტებსა და/ან ხურდებს.¹⁸ გერმანიის სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ, თუ მხარეები სპეციალურად არ შეთანხმდებიან, მაშინ ნაღდი ფულის მოვალის მიერ კრედიტორის საფოსტო ყუთში ჩაგდება ფულადი ვალდებულების შესრულებას არ უტოლდება და, შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება მსგავსი შესრულებით არ წყდება.¹⁹ 21

3. საბანკო გადარიცხვა

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით მენარმე სუბიექტებს შორის, გავრცელებულია ვალდებულებათა უნაღდო ანგარიშსწორების, კერძოდ, საბანკო გადარიცხვის გზით, შესრულება. თუ მხარეებს შორის შეთანხმებულია უნაღდო ანგარიშსწორება როგორც გადახდის ფორმა, მაშინ მოვალემ კრედიტორის მიერ მითითებულ ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით უნდა შეასრულოს ვალდებულება. თუ ერთხელ მითითებული საბანკო ანგარიშიდან განსხვავებულ საბანკო ანგარიშს წარუდგენს კრედიტორი მოვალეს, მაშინ იგულისხმება, რომ მოვალემ ახალ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით უნდა მოახდინოს ვალდებულების შესრულება.²⁰ ისეთ შემთხვევაში, როდესაც, მართალია, კრედიტორს მოვალისთვის საბანკო ანგარიში არ მიუცია, მაგრამ წარსულში საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით შესრულებული ვალდებულება მიიღო, მაშინ ხელმეორედ იმავე საბანკო ანგარიშზე თანხის გადახდა ჩაითვლება ვალდებულების შესრულებად; ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ასეთი კრედიტორისთვის სხვა საბანკო ანგარიშზე თანხის 22

16 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 515; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 15.
 17 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 515; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 15.
 18 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 516; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 16; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 8.
 19 AG Köln NJW, 2006, 1600; *Wiese* NJW, 2006, 1569 ff; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 8.
 20 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 516; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 19; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 9.

გადახდაც შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულების შესრულებად, თუ ასეთი შესრულება რაიმე სახით კრედიტორის ინტერესების საზიანო არ არის; მაგალითად, თუ გადარიცხვა იმ საბანკო ანგარიშზე განხორციელდა, რომელ ბანკშიც კრედიტორი დებეტშია და შეიძლება ეს თანხა ბანკმა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე უაქცივტო წესით გაფრთხილების გარეშე ჩამოაჭრას.²¹ თუ კრედიტორი ერთმნიშვნელოვნად უთითებს მოვალეს კონკრეტულ საბანკო ანგარიშს გადახდის განსახორციელებლად და გარემოებებიდან გონივრული განსჯის მქონე პირისთვის მარტივად აღსაქმელია, რომ კრედიტორის სურვილია, შესრულებები მიიღოს მხოლოდ მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მაშინ ამავე კრედიტორის სხვა საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ვერ ჩაითვლება ვალდებულების შესრულებად და შესაბამისად ვალდებულების შემწყვეტ ქმედებად.²²

23 საბანკო გადარიცხვისას შესრულება ხორციელდება კრედიტორის სასარგებლოდ და, შესაბამისად, შესრულების მიმღები არის კრედიტორი და არა ბანკი; ბანკი ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს მესამე პირს, რომლის წინაშეც კრედიტორის სასარგებლოდ ხორციელდება ვალდებულების შესრულება; ბანკი ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ, კრედიტორისათვის ვალდებულების გადახდის ადგილია (შესრულების ადგილი).²³

24 პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმის განსაზღვრა, თუ რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბანკო გადარიცხვის გზით ვალდებულება შესრულებული არის. როგორ წესი, საბანკო ანგარიშზე თანხის უნაღლო ანგარიშსწორების გზით გადარიცხვისას ვალდებულება შეწყვეტილად მიიჩნევა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ფული კრედიტორის საბანკო ანგარიშზე იმ ფორმით განთავსდება, რაც კრედიტორისთვის უზრუნველყოფს ჩარიცხული თანხის სრულად და შეუზღუდავად განკარგვის შესაძლებლობას.²⁴ შესაბამისად, თანხის უბრალოდ გადარიცხვა არ კმარა ვალდებულების შესაწყვეტად, საჭირო არის, რომ გადარიცხულ თანხაზე კრედიტორს წარმოეშვას შეუზღუდავი წვდომა.

IV. ვალდებულების შესრულებით შეწყვეტის წინაპირობები

25 იმისათვის, რომ ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შეწყდეს 427-ე მუხლის საფუძველზე, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებული არის: ა) ჯეროვნად, ბ) დათქმულ დროს, გ) დათქმულ ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ, ე) ვალდებულებული და უფლებამოსილი პირის მიერ, ვ) ვალდებულების შესრულების საგნით და ზ) კეთილსინდისიერად. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულაციურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულება ვალდებულების შეწყვეტას

21 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 516; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 19; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 9.

22 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 516.

23 შდრ. *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 19; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 9.

24 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 516; *Fetzer*, in *MüKo BGB*, § 362, Rn. 19; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 362, Rn. 9.

ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში კი კრედიტორს უფლება არა აქვს, ხელმოკრედ მოითხოვოს შესრულება.²⁵

**V. ნორმის მნიშვნელობა საპროცესო სამართალში:
მტკიცების ტვირთი და იძულებითი აღსრულება**

როგორც წესი, მოვალეს აკისრია მტკიცების ტვირთი:²⁶ მან უნდა ამტკიცოს, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება უტოლდება შესრულებას, რომლითაც წყდება ვალდებულება.²⁷ თუმცა, თუ კრედიტორი მოვალის ქმედებას მიიღებს როგორც შესრულებას, მაშინ ასეთი მიღების შემდეგ მტკიცების ტვირთი უკვე გადადის კრედიტორზე.²⁸ შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში უკვე კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, რომ ვალდებულება არასრულად, არაჯეროვნად არის შესრულებული ან შეთანხმებული ვალდებულების ნაცვლად სხვა სახის ვალდებულება არის შესრულებული მოვალის მხრიდან.²⁹ კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ შესრულება თავიდანვე უხარისხო იყო, რასთან მიმართებითაც მოქმედებს საერთო ხანდაზმულობის ვადები.³⁰ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „[...] მხოლოდ მონმის ჩვენების საფუძველზე შეუძლებელია ვალდებულების შესრულების ფაქტის დადასტურება [...],“ თუმცა, ამავე დროს, მიუთითა, რომ აღნიშნული „[...] დასკვნა გამომდინარეობს არა 624-ე მუხლის შინაარსიდან, არამედ [...]“ 429, 430, 431-ე მუხლების შინაარსიდან (დეტალურად იხ. 429-431-ე მუხლების კომენტ.). საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტება უნივერსალურად ყველა სხვა შემთხვევაზე გამოსაყენებელ ერთგვაროვან მიდგომად არ უნდა იქნეს აღქმული, რამდენადაც სავსებით შესაძლებელი არის, რომ მხარეებს შორის წარმოიშვას სხვა სახის ვალდებულებითი ურთიერთობები, რომელთა დროსაც ვალდებულების შესრულების ფაქტი როგორც მონმეთა ჩვენებით, ასევე საბანკო გადარიცხვების ამონაწერებითა და სხვა სახის მტკიცებულებებითაც შეიძლება დადასტურდეს.³¹ შესაბამისად, კრედიტორის მიერ გაცემული შესრულების მიღების დადასტურებელი დოკუმენტი ვალდებულების შესრულების დადასტურების ერთადერთ საშუალებას არ წარმოადგენს (429).

ვალდებულების შესრულების მოთხოვნის იძულებითი აღსრულების გზით დაკმაყოფილებისას ვალდებულება ითვლება შესრულებულად და შეწყვეტილად.³² ასეთ შემთხვევაზე ასევე გავრცელდება 372-ე მუხლი (იხ. 372-ე მუხლის კომენტ.).

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის № ას-1541-1547-2011 გადაწყვეტილება.
 26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 დეკემბრის № 3კ/1133-02 გადაწყვეტილება; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 522.
 27 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 16.
 28 *Fetzer*, in MüKo BGB, § 363, Rn. 2.
 29 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 363, Rn. 1, 2, 3.
 30 *Medicus/Lorenz*, Schuldrecht I, 19. Aufl., 2010, Rn. 278.
 31 შეად: *Medicus/Lorenz*, Schuldrecht I, 19. Aufl., 2010, Rn. 279.
 32 შეად: *Fetzer*, in MüKo BGB, § 362, Rn. 19; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 362, Rn. 9.

მუხლი 428. ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას.

საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი №1902 – სსმ I, №4, 22.01.2003 წ., მუხ.20

I. შესრულების სანაცვლო შესრულება	842
1. ზოგადი დებულებები	842
2. სამართლებრივი ბუნება	842
3. შესრულების სანაცვლო შესრულების საგანი	843
4. ხანდაზმულობა	843
II. ნორმის ისტორია	844
III. ნორმის გამოყენების წინაპირობები	845

I. შესრულების სანაცვლო შესრულება

1. ზოგადი დებულებები

1 მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, რომ მოვალეს მიეცეს უფლება, ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება შეთანხმებული შესრულებისაგან განსხვავებული ფორმით შეასრულოს.¹ მაგალითად, თუ მოვალეს კრედიტორისთვის უნდა მიენოდებინა მობილური ტელეფონები და მიანოდა პერსონალური კომპიუტერები, ხოლო აღნიშნული შესრულება კრედიტორმა მიიღო და ამაზე მხარეები შეთანხმდნენ, მაშინ გამოდის, რომ კრედიტორმა ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად სხვა შესრულება მიიღო. აღნიშნული კი ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.²

2. სამართლებრივი ბუნება

2 შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ. ასეთი სახის შეთანხმებას დამხმარე ხასიათის გარიგებას უწოდებენ.³ შესრულების სანაცვლო შესრულებაზე შესაძლებელია, მხარეები კონკლუდენტური მოქმედებითაც შეთანხმდნენ. ამისათვის საჭიროა, კრედიტორის მიერ სხვა შესრულების მიღებისას გარემოებებიდან არაორაზროვნად იკვეთებოდეს მისი (კრედიტორის) ნება, რომ იგი თანახმაა, ვალდებულებით თავდაპირველად შეთანხმებული შესრულების სანაცვლოდ მიიღოს სხვა შესრულება და ამით შეწყდეს შესაბამისი ვალდებულება.⁴ შესრულების სანაცვლო შესრულების სამართლებრივი საფუძველია თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთო-

1 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 364, Rn. 1; *Fetzer*, in MüKo BGB, § 364, Rn. 1.

2 შდრ. სკ-ის მუხლი 379.

3 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar 69. Aufl., § 364, Rn. 2; *Fetzer*, in MüKo BGB, § 364, Rn. 1.

4 იქვე.

ბა, რომელიც ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. შესაბამისად, 428-ე მუხლის საფუძველზე მხარეები ახალ პირობებზე თანხმდებიან მხოლოდ ვალდებულების შესრულების ნაწილში და ამით განისაზღვრება ვალდებულების შეწყვეტის ახალი ფორმა.⁵

3. შესრულების სანაცვლო შესრულების საგანი

შესრულების სანაცვლო შესრულების საგანი ნებისმიერი სახის ნივთი, მესამე პირების წინაშე მოთხოვნა, ასევე მომსახურება ან შრომა შეიძლება იყოს.⁶ შესაბამისად, თუ სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მოვალე ვალდებულია, კრედიტორს დაუბრუნოს ნასესხები 5000 აშშ-ის დოლარი, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მოვალე, რომელიც პროფესიით არის არქიტექტორი, კრედიტორს 5000 აშშ-ის დოლარის ნაცვლად გაუკეთებს მისი (კრედიტორის) ახალი სახლის დიზაინის ნახაზს. შესაბამისად, სახეზე იქნება ფულადი ვალდებულების სანაცვლოდ მომსახურების განვითარებული ვალდებულების შესრულება და სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტა.

ზემოთ განხილულ შემთხვევასთან დაკავშირებით მხარეებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება, რომ წერილობით დეტალურად შეთანხმდნენ ვალდებულების თავდაპირველი შესრულების სანაცვლო შესრულების პირობებზე, რათა სამომავლოდ თავიდან იქნეს არიდებული უთანხმოებები, რამდენადაც სავსებით შესაძლებელია, რომ, მაგალითად, კრედიტორმა სადავო გახადოს ვალდებულების შეწყვეტა. კრედიტორის არგუმენტაცია შესაძლოა დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ არქიტექტორის მიერ შესრულებული არქიტექტურული დიზაინი 5000 აშშ-ის დოლარზე ბევრად უფრო იაფიანი მომსახურება არის. შესაბამისად, კრედიტორს თეორიულად ექნება საშუალება, იდავოს, რომ ვალდებულება არასრულად და არაფეროვნად შესრულდა და, შესაბამისად, მოვალემ დამატებით უნდა შეასრულოს ვალდებულება. თუმცა, მეორე მხრივ, მოვალემაც შეიძლება იგივე წარმატებით იდავოს, რომ მის მიერ მომზადებული არქიტექტურული ნამუშევარი 5000 აშშ-ის დოლარზე ბევრად უფრო ძვირადღირებული მომსახურების შედეგია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში უკვე არქიტექტორს შეიძლება დაუდგინდეს საპასუხო მოთხოვნები გამსესხებლის წინაშე.

4. ხანდაზმულობა

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის შეფასებას, თუ როგორ განისაზღვრება შესრულების სანაცვლო შესრულების ხანდაზმულობა. კერძოდ, აითვლება იგი თავიდან, თუ თავდაპირველი შესრულების ხანდაზმულობა იმოქმედებს შესრულების სანაცვლო შესრულებაზეც. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა მიერ თავდაპირველი ვალდებულების შესრულების სანაცვლო შესრულებაზე შეთანხმებით ახალი ხელშეკრუ-

5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 427, გვ. 509.

6 *Grüneberg*, იქვე.

ლება არ იდება და მხოლოდ შესრულების ნაწილში ხდება მხარეთა შორის შესრულების პირობებზე განსხვავებულად შეთანხმება, ხოლო თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობა კი არ წყდება და ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას, მაშინ ლოგიკურია, გაკეთდეს შეფასება, რომ თავდაპირველი შესრულების სანაცვლო შესრულებაზე იმოქმედებს იგივე ხანდაზმულობის წესი, რომელიც თავდაპირველი ვალდებულების შესრულებაზე ვრცელდებოდა. თუმცა საფიქრალია, აღნიშნული დასკვნა მხოლოდ ერთგვაროვანი შესრულებების ჩანაცვლებისას იქნება მართებული, თუ ასევე არაერთგვაროვანი შესრულებების ჩანაცვლების დროსაც.

- 6 ზემოთ განხილულ სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, ფულადი ვალდებულების შესრულების ნაცვლად მხარეები არქიტექტურული მომსახურებით ვალდებულების შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, რაც არაერთგვაროვანი ხასიათის ვალდებულებები არის, თუმცა მათ მიმართ, ზოგადად, სამწლიანი ხანდაზმულობა მოქმედებს (129) და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ოდენობა მაინც ერთგვაროვანი იქნება. ფულადი ვალდებულების ნაცვლად მხარეები რომ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით ვალდებულების შესრულებაზე შეთანხმებულიყვნენ, მაშინ უძრავ ქონებასთან მიმართებით არსებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადები ამოქმედდებოდა (129).
- 7 თუმცა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, შესრულების სანაცვლო შესრულებაზე შეთანხმებისას როდიდან აითვლება ახალი შესრულების ხანდაზმულობის ვადა – თავდაპირველი ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის ვადა განაგრძობს დენას, თუ სანაცვლო შესრულების ხანდაზმულობის ვადა აითვლება ახლიდან? ამ საკითხთან მიმართებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ, მართალია, თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობა ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას, თუმცა მხარეთა შეთანხმებით წარმოიშობა ვალდებულების შესრულების ახალი პირობა. შესაბამისად, ახალი და სანაცვლო შესრულების მიმართ იმოქმედებს ახალი ხანდაზმულობის ვადები, რომელთა ათვლა უნდა დაინყოს თავიდან.⁷

II. ნორმის ისტორია

- 8 428-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია ოდნავ განსხვავებული იყო დღეს მოქმედი რედაქციისაგან. კერძოდ, 428-ე მუხლის მაშინდელი სათაური და ფორმულირება შემდეგი სახის იყო:

მუხლი 428. „ვალდებულების შეწყვეტა ნოვაციით“

- 9 **„ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა ვალდებულების შესრულებას (ნოვაცია).“**

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 20 თებერვლის № 3კ/1204-01 გადაწყვეტილება.

აღნიშნული პირველადი რედაქცია დღევანდელი ფორმულირებით შეიცვალა 2002 წელს.⁸ 10

ერთი შეხედვით, არსებითი განსხვავება ძველ და ახალ ფორმულირებებს შორის არ არის. ნორმის როგორც ძველი, ასევე შეცვლილი რედაქციის განმარტებისას ერთგვაროვანი სამართლებრივი შედეგის მიღწევა არის შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ ახალმა ფორმულირებამ უფრო ნათელი გახადა ძველი ფორმულირების შინაარსი, რადგან „ნოვაციის“ შინაარსი არ შეესაბამება 428-ე მუხლის დისპოზიციას. 11

III. ნორმის გამოყენების წინაპირობები

იმისათვის, რომ 428-ე მუხლის საფუძველზე მოხდეს ვალდებულების შეწყვეტა, მხარეები აშკარად გამოკვეთილი ფორმით (წერილობითი ან ზეპირი) უნდა შეთანხმდნენ ვალდებულების თავდაპირველი შესრულების სანაცვლო შესრულებაზე და წინასწარ დაადასტურონ, რომ სანაცვლო შესრულება თავდაპირველი შესრულების სრული ეკვივალენტია და რომ სანაცვლო შესრულებით სრულად წყდება ვალდებულება ისე, როგორც ეს თავდაპირველი შესრულებით იყო გამიზნული. ასეთი ცალსახა დათქმის პირობებში ვალდებულება ჩაითვლება შეწყვეტილად სანაცვლო შესრულების კრედიტორის მიერ მიღებისთანავე და ნაკლებად სავარაუდო იქნება რაიმე სახის დავა იმაზე, თუ რამდენად არასრული ან არაჯეროვანი იყო სანაცვლო შესრულება ნაკისრ ვალდებულებასთან მიმართებით. 12

⁸ საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი № 1902 - სსმ I, №4, 22.01.2003 წ.

მუხლი 429. ვალდებულების შესრულების მიღება

1. კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ვალის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია.

3. როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულა, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.

- I. ზოგადი დებულებები846
 - 1. მუხლის მიზანი846
 - 2. ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სახეები846
 - 3. ფორმა.....847
- II. დოკუმენტის გაცემის მოთხოვნის წინაპირობები.....847
- III. ვალდებულების მთლიანად შეწყვეტის პრეზუმფცია (429 II)848
- IV. ვალის გადახდის დოკუმენტი ნაწილ-ნაწილ გადახდისას (429 III)848
- V. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში, მტკიცების ტვირთი.....849

I. ზოგადი დებულებები

1. მუხლის მიზანი

1 გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულების შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, მოვალეს აკისრია (იხ. 427-ე მუხლის კომენტ., ველი 27), მას სჭირდება მტკიცებულება იმისთვის, რომ მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს. ამ საჭიროებას კი ითვალისწინებს კანონმდებლობა და მოვალეს აძლევს უფლებას, რომ კრედიტორისაგან მოითხოვოს შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა (429 I).¹ კრედიტორი მსგავსი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია.² ეს წესი ყველა ტიპის შესრულებისას გამოყენებადი.

2. ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სახეები

2 პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის მრავალი სახე არსებობს. ეს შეიძლება იყოს ქვითა-

1 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar 69. Aufl., § 368, Rn. 1; *MüKo/Fetzer*, § 368, Rn. 1.
 2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 429, გვ. 523.

რი,³ მიღება-ჩაბარების აქტი, საბანკო გადარიცხვის ამონაწერი, და სხვ. თავად 429-ე მუხლში აღნიშნული დოკუმენტი რამდენიმე ფორმით არის ფორმულირებული და ერთგვაროვან ტერმინს 429-ე მუხლი არ აყალიბებს. კერძოდ, შესაბამის ადგილას მუხლი მას **მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს** უწოდებს (429 I), მეორე შემთხვევაში იგი **ვალის მიღების შესახებ შედგენილ დოკუმენტად** არის განსაზღვრული (429 II), მესამე შემთხვევაში განსაზღვრულია როგორც **დოკუმენტი ვალის გადახდის შესახებ** (429 III), მეოთხე შემთხვევაში მას კანონმდებელი უწოდებს **შესრულების მიღების დოკუმენტს** (430), ხოლო მეხუთე შემთხვევაში განსაზღვრულია როგორც **დოკუმენტი შესრულების თაობაზე/შესახებ** (430, 431). პრაქტიკული მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ, აღნიშნული ტერმინების სხვადასხვაობის მიუხედავად, ისინი ერთსა და იმავე სამართლებრივი ბუნების მქონე დოკუმენტს აღნიშნავენ. კერძოდ, ყველა მათგანი ადასტურებს კრედიტორის მხრიდან ვალდებულების შესრულების მიღებას, შესაბამისად ვალდებულების შესრულებისა და მისი შეწყვეტის ფაქტს.

3. ფორმა

როგორც წესი, ქვითარიც, მიღება-ჩაბარების აქტიც, საბანკო ანგარიშის ამონაწერიცა და სხვა სახის მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა იგი გამოყენებულ იქნეს როგორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულ ფორმაზეც, რომელიც გაუტოლდება წერილობით ფორმას. ამ შემთხვევაშიც მთავარი არის, რომ 430-ე მუხლით განსაზღვრულ რეკვიზიტებს შეიცავდეს შესრულების მიღების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით, სასურველია, შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ხელმოწერილი იყოს კრედიტორის მიერ, ხოლო ელექტრონული ფორმის გამოყენების შემთხვევაში კი, შესაძლებელია, რომ ელექტრონული ხელმოწერა იქნეს გამოყენებული.⁴ ეს გაამარტივებდა მოვალისთვის მტკიცების პროცესს, კრედიტორისთვის კი მიღების დადასტურებას.

ასეთი დოკუმენტი აუცილებელია, რომ შეიცავდეს მონაცემებს: ა) ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, ბ) მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, გ) შესრულების დროსა და ადგილს (430).

II. დოკუმენტის გაცემის მოთხოვნის წინაპირობები

მოვალეს უფლება აქვს, მის მიერ ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულებისთანავე ან შესრულების შემდეგ კრედიტორისაგან

³ იქვე.

⁴ განსხვავებული აზრი იხ.: *ქანტორია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 429, გვ. 525.

მოითხოვოს შესაბამისი შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა; კრედიტორი კი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია, შეასრულოს მოვალის მოთხოვნა და გასცეს შესაბამისი დოკუმენტი (429 I). მოვალეს მაშინაც შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის კრედიტორის მხრიდან გაცემა, როდესაც კრედიტორმა ეს შესრულება მესამე პირისაგან მოვალის ნების თანახმად მიიღო. კრედიტორი მაშინაც ვალდებულია, გასცეს შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, როდესაც მოვალე ფლობს საბანკო გადარიცხვის დოკუმენტს, ქვითარს ან რაიმე სხვა სახის დოკუმენტს, რომლითაც უკვე უდასტურდება შესრულების კრედიტორის მიერ მიღება. ასეთ შემთხვევაში მოვალეს მაინც აქვს ლეგიტიმური უფლება, დამატებით იქონიოს უშუალოდ კრედიტორის მიერ გაცემული დოკუმენტიც.⁵

III. ვალდებულების მთლიანად შეწყვეტის პრეზუმფცია (429 II)

- 6 როგორც წესი, თუ მოვალეს ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან ერთად ვალდებულების თანმხლები ხარჯებისა და დაგროვილი პროცენტების გადახდაც ევალება, მაშინ ამ ვალდებულებების რიგითობა შემდეგია: ჯერ იფარება ხარჯები, შემდეგ ძირითადი ვალდებულება და საბოლოოდ პროცენტები (388). თუმცა აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში დამკვიდრებულია სხვა რიგითობა და, როგორც წესი, პროცენტის დაფარვა წინ უსწრებს ძირითადი ვალდებულების დაფარვას, განსაკუთრებით ბანკთან ურთიერთობებში. თუ ვალის მიღების შესახებ შედგენილ დოკუმენტში პროცენტის თაობაზე ან ძირითადი ვალდებულების თანმხლები სხვა სახის დამატებითი გადასახდელის თაობაზე არაფერი არ არის მითითებული, მაშინ ივარაუდება, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. ეს ნორმა იცავს მოვალის ინტერესს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტის გამართულად შედგენის რისკს მთლიანად კრედიტორის მხარეზე ტოვებს. შესაბამისად, კრედიტორმა მსგავსი დოკუმენტის შედგენისას წინდახედულობის ზომებს უნდა მიმართოს და ზუსტად ასახოს ის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მან მიიღო, ხოლო გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით, სასურველი იქნება, თუ აღნიშნავს იმასაც, რომელი დარჩენილი ვალდებულებების შესრულებები არ მიუღია მას და მომავალში რომელი ვალდებულებების შესრულება უნდა მიიღოს მოვალისაგან.

IV. ვალის გადახდის დოკუმენტი ნაწილ-ნაწილ გადახდისას (429 III)

- 7 429-ე მუხლის მეორე ნაწილის მსგავსად, მისი მესამე ნაწილიც ვალის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სრულფასოვნად შედგენის ვალდებულებას და არასრულყოფილად შედგენის შემთხვევაში უარყოფითი შედეგების რისკს კრედიტორის მხარეზე ტოვებს. კერძოდ, თუ ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ კრედიტორმა ვალდე-

⁵ *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 368, Rn. 6.

ბულების ყოველი ნაწილის შესრულების თაობაზე უნდა გასცეს დამადასტურებელი დოკუმენტი. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კრედიტორისათვის პრაქტიკული იქნებოდა, თუ ასეთი დოკუმენტის გაცემის ყოველ ჯერზე დეტალურად მიუთითებს არა მხოლოდ მიღებული შესრულების ნაწილზე, არამედ ასევე მომავალში მისაღები და წარსულში მიუღებელი ნაწილების თაობაზეც, რათა თავიდან აირიდოს 429-ე მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრული პრეზუმფციის მასზე გავრცელება, რომლის თანახმადაც, თუ ბოლო ნაწილის გადახდის თაობაზე მიუთითებს დოკუმენტი, ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ წინა ნაწილებიც გადახდილი არის, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურდება. ასეთი მიდგომით კრედიტორი თავიდან აირიდებს დამატებით სხვა ნაწილების შეუსრულებლობის თაობაზე მტკიცების ვალდებულებას.

V. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში, მტკიცების ტვირთი

მოვალემ მის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურება მოწმეთა ჩვენებითა და სხვა სახის მტკიცებულებების წარდგენითაც შეიძლება შეიძლოს (იხ. 427-ე მუხლების კომენტ., ველი 27),⁶ თუმცა კანონმდებელი მოვალეს 429-ე მუხლის სახით სთავაზობს ყველაზე მოქნილ და მარტივ საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს განაცხადებს შესაბამისი დოკუმენტის გაცემაზე, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, რომ იმოქმედოს 433-ე მუხლის მიხედვით, ან სასამართლოს მიმართოს და სხვა სახის მტკიცებულებების წარდგენის გზით მოითხოვოს მის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურება, მაგალითად აღიარებითი სარჩელის გზით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი).

8

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის № ას-1541-1547-2011 გადაწყვეტილება.

მუხლი 430. შესრულების მიღების დოკუმენტების რეკვიზიტები

კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.

I. ზოგადად

- ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება მხარეთა შეთანხმებით გაიცეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით (იხ. 429-ე მუხლის კომენტ., ველი 3). ასეთი დოკუმენტი აუცილებელია, შეიცავდეს მონაცემებს: ა) ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, ბ) მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, გ) შესრულების დროსა და ადგილს.

II. სამართლებრივი შედეგები

- 430-ე მუხლით განსაზღვრული რეკვიზიტები შეიძლება განიმარტოს როგორც იმპერატიულად დადგენილი მინიმალური ჩამონათვალი იმ რეკვიზიტებისა, რომელთა არსებობაც საჭირო არის, რათა შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ჩაითვალოს ნამდვილად.
- თუ შესაბამისი დოკუმენტი არ შეიცავს 430-ე მუხლით განსაზღვრულ რეკვიზიტებს, მაშინ მასზე ვერ გავრცელდება 429-ე და 430-ე მუხლების დანაწესები. თუმცა არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კრედიტორის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელსაც ერთი ან რამდენიმე რეკვიზიტი აკლია, საერთოდ არანაირ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ 430-ე მუხლით დადგენილი რომელიმე რეკვიზიტის მითითებას შესრულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში შესრულების მიღების დადასტურების მიზნებისთვის საერთოდ არ ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა. მაგალითად, თუ ონლაინვაჭრობისას ერთი მხარე ინტერნეტის მეშვეობით შეიძენს რაიმე მოძრავ ნივთს და საბანკო გადარიცხვის გზით გადაიხდის თანხას, მას მაინც აქვს უფლება, რომ კრედიტორისაგან მოითხოვოს ვალდებულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, თუ კრედიტორი, რომელიც ორგანიზებას უწევს ონლაინვაჭრობას, მოვალის სახელზე გასცემს ვალდებულების (შეძენილი ნივთის საფასურის) მიღების შესახებ დოკუმენტს და მასში არ მიუთითებს შესრულების ადგილს, მაგრამ 430-ე მუხლით განსაზღვრულ სხვა დანარჩენ ყველა რეკვიზიტს მიუთითებს, შესრულების ადგილის მიუთითებლობა ინტერნეტით ონლაინში შეძენილი ნივთის თაობაზე არ უნდა ჩაითვალოს ისეთ გარემოებად, რომლის გამოც მოვალეს არ შეეძლება მიღებული დოკუმენტის, როგორც 429-430-ე მუხლების საფუძველზე შედგენილი შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის, გამოყენება. პირიქით,

მოვალეს ასეთ შემთხვევაშიც უნდა მიეცეს საშუალება, რათა გამოიყენოს მსგავსი დოკუმენტი, როგორც კრედიტორის მიერ ვალდებულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი არ შეიცავს 430-ე მუხლით დადგენილ ყველა რეკვიზიტს.

430-ე მუხლით განსაზღვრული რომელიმე რეკვიზიტის მიუთითებლობის ვალდებულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტზე 429-ე მუხლის სამართლებრივი შედეგების გავრცელება-გაუვრცელებლობის საფუძვლად გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საგანი უნდა იყოს. შესაბამისად, რომელიმე რეკვიზიტის მიუთითებლობა ვალდებულების შესრულების მიღების დადასტურებას ცალსახად არ უნდა აყენებდეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

4

მუხლი 431. სავალო საბუთის მოთხოვნის უფლება

თუ მოთხოვნის შესახებ გაცემულია სავალო საბუთი, მაშინ მოვალეს, შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად, შეუძლია მოითხოვოს ამ საბუთის დაბრუნება ან მისი გაუქმება. თუ კრედიტორს არ შეუძლია ამ საბუთის დაბრუნება, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამონმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.

- I. ზოგადი დებულებები852
 - 1. სავალო საბუთი852
 - 2. მტკიცებულების ძალა.....852
 - 3. ნორმის მიზანი853
- II. სავალო საბუთის დაბრუნების მოთხოვნის წინაპირობები853
- III. ოფიციალურად დამონმებული ცნობა853

I. ზოგადი დებულებები

1. სავალო საბუთი

- 1 სავალო საბუთს წარმოადგენს ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მოვალის მიერ იმის დასტურად და მტკიცებულებად, რომ მას კრედიტორის წინაშე ევალება გარკვეული ვალდებულების შესრულება.¹
- 2 სავალო საბუთზე საკუთრების უფლება იმ კრედიტორს ეკუთვნის, რომლის სასარგებლოდაც არის იგი გაცემული.² კრედიტორს უფლება აქვს, რომ მოთხოვნის უფლების დათმობის (199) მსგავსად სავალო საბუთზე საკუთრების უფლება გადასცეს და დაუთმოს სხვა მესამე პირს, რომელიც დაიკავებს კრედიტორის ადგილს და მასზე გადავა მოვალის მიმართ სავალო საბუთით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მოთხოვნის უფლება.³

2. მტკიცებულების ძალა

- 3 სავალო საბუთი, ვალდებულების შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის მსგავსად, მტკიცებულების ძალის მქონე დოკუმენტია. ვის ხელშიც არის სავალო საბუთი, მისთვის ასრულებს იგი სასარგებლო მტკიცებულების ფუნქციას. კერძოდ, თუ სავალო საბუთი კრედიტორთან იმყოფება, მაშინ ივარაუდება, რომ კრედიტორს სავალო საბუთის გამცემი მოვალის მიმართ აქვს სავალო საბუთით დადგენილი ვალის გადახდის მოთხოვნის უფლება; ხოლო, თუ სავალო საბუთი უკვე მოვალის ხელში

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 526; *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 83; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 1.
 2 შდრ. *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 1.
 3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 526; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 1.

არის, მაშინ ის უკვე მოვალის მტკიცებულებას წარმოადგენს იმის დასადასტურებლად, რომ მას სავალო საბუთით განსაზღვრული ვალის გადახდის ვალდებულება აღარ გააჩნია, რამდენადაც სავალო საბუთი უკვე მას დაუბრუნდა და ვალდებულება შეწყვეტილად მიიჩნევა.⁴

3. ნორმის მიზანი

431-ე მუხლის მიზანია, ერთი მხრივ, კრედიტორისთვის გარანტიების შექმნა, რომ მას მართლა აქვს კონკრეტული მოთხოვნის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, მოვალის დაცვა, რათა აღკვეთილ იქნეს სავალო საბუთის შესაძლო ბოროტად გამოყენება მას შემდეგ, როდესაც ნაკისრი ვალდებულება უკვე მოვალის მიერ შესრულებული არის.⁵ მოვალეს სავალო საბუთის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება აქვს შესრულების შესახებ დოკუმენტთან ერთად.

II. სავალო საბუთის დაბრუნების მოთხოვნის წინაპირობები

სავალო საბუთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება მოვალეს კრედიტორის წინაშე წარმოეშობა იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეასრულებს შესაბამის ვალდებულებას.⁶ ეს უფლება ვრცელდება ვალდებულების შეწყვეტის ყველა საფუძვლის არსებობისას (დეპონირება, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ვალის პატიება და ა. შ.) და არა მხოლოდ ვალდებულების შესრულებით შეწყვეტისას.⁷

გარდა სავალო საბუთის დაბრუნებისა, მოვალეს უფლება აქვს, რომ ალტერნატივის სახით კრედიტორისაგან მოითხოვოს სავალო საბუთის გაუქმება. გაუქმება სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით უტოლდება სავალო საბუთის მოვალისათვის უკან დაბრუნებას, რამდენადაც ვალდებულების შესრულების მიღების შემდეგ ნორმის მთავარი მიზანი სწორედაც რომ სავალო საბუთის შემდგომში (ბოროტად) გამოყენების აღკვეთაა (იხ. 431-ე მუხლების კომენტ., ველი 3).

III. ოფიციალურად დამონმებული ცნობა

თუ კრედიტორს არ შეუძლია სავალო საბუთის დაბრუნება, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, მოითხოვოს ოფიციალურად დამონმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია. ტერმინი „ოფიციალურად დამონმებული ცნობა“ ძალიან ფართოა და ნებისმიერი სახის დოკუმენტს შეიძლება გულისხმობდეს, რომელიც ნოტარიულად ან რომელიმე

4 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 2.

5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 526, 527; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 3.

6 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 527; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 4.

7 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 527; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 4; გერმანულ სამართალში აღნიშნული პრინციპი სასამართლო პრაქტიკით არის დადგენილი, მაგალითად: BGH NJW-RR 08, 1512: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვასთან მიმართებით.

სახელმწიფო ორგანოს მიერ არის დამონმებული, ან რომელიმე სამეწარმეო, ან არასამეწარმეო სუბიექტის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერითაა შესრულებული, ან სხვა მსგავსი ფორმით.⁸ მართალია, 431-ე მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ ვინ უნდა გასცეს ოფიციალურად დამონმებული ცნობა, მაგრამ ყველაზე ლოგიკურია, რომ ამ ცნობის გაცემაზე ვალდებულ პირად განისაზღვროს თავად კრედიტორი, რამდენადაც სწორედაც რომ კრედიტორის მიერ სავალო საბუთის გაცემის შეუძლებლობის შემთხვევაში დამხმარე ფუნქცია აკისრია 431-ე მუხლის შესაბამის ნაწილს. შესაბამისად, სწორედაც რომ კრედიტორმა უნდა განიოს ასეთი ოფიციალურად დამონმებული ცნობის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯებიც, რამდენადაც კრედიტორის შეუძლებლობის გამო – დააბრუნოს სავალო საბუთი – ხდება მსგავსი ცნობის გაცემა.⁹

- 8 *მოვალეს შეუძლია, სარჩელი აღძრას კრედიტორის წინააღმდეგ სავალო საბუთის მისთვის დაბრუნების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, რომ მას არ შეუძლია საბუთის დაბრუნება.*¹⁰

8 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 431, გვ. 527.

9 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 371, Rn. 5.

10 იქვე.

მუხლი 432. შესრულების შესახებ დოკუმენტების გაცემის ხარჯების ანაზღაურება

1. მოვალეს ეკისრება შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემის ხარჯები, თუ მასა და კრედიტორს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. თუ კრედიტორი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას, მაშინ შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები ეკისრებათ კრედიტორს ან მის მემკვიდრეებს.

გამომდინარე იქიდან, რომ შესრულების შესახებ დოკუმენტების გაცე- 1
მა უპირატესად მოვალის ინტერესების დაცვას ემსახურება, ლოგიკურია, რომ ასეთი დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების განევა თავად მოვალეს ეკისრება. კრედიტორს უფლება არა აქვს, მოითხოვოს რაიმე დამატებითი გასამრჯელო დოკუმენტების მომზადების გამო; მას მხოლოდ დოკუმენტის გაგზავნის, მომზადების, დაბეჭდვის და მსგავსი თანმხლები ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მოვალის წინაშე.¹

ზემოაღნიშნული წესისაგან გამონაკლისს ადგენს 432-ე მუხლის მეორე ნაწილი. მოვალის ნაცვლად დოკუმენტის გაცემის ხარჯების გაღება ეკისრება კრედიტორს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას.² 2

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 432, გვ. 528; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 369, Rn. 1.

2 *ჭანტურია*, იქვე.

მუხლი 433. უარი შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავის მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო

თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.

- 1 კრედიტორი ვალდებულია, რომ მოვალის მოთხოვნისთანავე გადასცეს მას როგორც ვალდებულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (429 I), ასევე გააუქმოს ან დაუბრუნოს მას სავალო საბუთი (431, იხ. 431-ე მუხლების კომენტ., ველი 8).¹ თუკი კრედიტორი მოვალის მოთხოვნის მიუხედავად უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე, ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე, ხოლო ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.
- 2 გამოდის, ვალდებულების შესრულების მიღების არაპირდაპირი ფორმით დამადასტურებელი ერთ-ერთი საშუალება არის, როდესაც შესრულების შესახებ დოკუმენტში კრედიტორი მიუთითებს, რომ მას სავალო საბუთის დაბრუნება არ შეუძლია, ან ამავე დოკუმენტში ცალსახად აღნიშნავს, რომ ვალი გაქარწყლებულია. შესაბამისად, თუ ამ ორი ფაქტორიდან ერთ-ერთი მაინც მითითებულია შესრულების დოკუმენტში, მაშინ ასეთი მითითება უტოლდება სავალო საბუთის დაბრუნებას და იგივე სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, რაც სავალო საბუთის დაბრუნებას (431, იხ. 431-ე მუხლების კომენტ.).
- 3 თუ კრედიტორი უარს აცხადებს ვალდებულების შესრულების მიღების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე ან/და სავალო საბუთის დაბრუნებაზე, მაშინ მოვალეს შეუძლია, რომ სარჩელი აღძრას კრედიტორის წინააღმდეგ სავალო საბუთის მისთვის დაბრუნების მოთხოვნით; ასეთ შემთხვევაში კრედიტორის ვალდებულება არის, ამტკიცოს, რომ მას არ შეუძლია საბუთის დაბრუნება.²
- 4 433-ე მუხლის მეორე წინადადება განსაზღვრავს იმ სამართლებრივ შედეგს, რომელიც კრედიტორის მიერ თავისი ვალდებულების წინააღმდეგ მოქმედებას (433 1) უნდა მოჰყვეს. კერძოდ, 433-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, თუ კრედიტორი არღვევს თავის ვალდებულებებს, მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე. ეს ნორმა ცალსახად ვერ იძლევა მითითებას იმაზე, თუ რომელ შესრულებაზე უნდა თქვას მო-

¹ იქვე.

² *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl. § 371, Rn. 5.

ვალემ უარი: უკვე მის მიერ შესრულებულ ვალდებულებაზე, რომლის დადასტურებასაც იგი ითხოვდა კრედიტორის მხრიდან სავალო საბუთისა და შესრულების მიღების დადასტურების დოკუმენტის გაცემით, თუ კრედიტორის წინაშე კიდევ დარჩენილ, მომავალში შესასრულებელ ვალდებულების შესრულებაზე? ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მოვალეს 433-ე მუხლზე დაყრდნობით შეუძლია, მანამდე აღარ შეასრულოს დარჩენილი ვალდებულებები კრედიტორის წინაშე (დაკავების უფლება), სანამ კრედიტორი უკვე შესრულებული ვალდებულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტსა და სავალო საბუთს არ გადასცემს მოვალეს. რაც შეეხება მოვალის მიერ უკვე შესრულებული ვალდებულების სამართლებრივ ბედს, მოვალეს შეუძლია, რომ 391-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლოს გზით, სავალო საბუთისა და შესრულების დოკუმენტის მისთვის გადაცემის მოთხოვნასთან ერთად, ასევე მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც მოვალეს მიადგება მის მიერ შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო, ანუ სავალო საბუთისა და შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაუცემლობის ან გაცემის დაყოვნების გამო. ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს იმაზე დაყრდნობით, რომ სწორედ 433-ე მუხლის მეორე წინადადება პირდაპირ მიუთითებს, რომ კრედიტორის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის გამო კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად და, შესაბამისად, ამ შემთხვევაზე გავრცელდება 390-393-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.³

3 *ქანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 433, გვ. 530.

თავი მეორე

ვალდებულების შეწყვეტა დეკონირებით

მუხლი 434. ცნება

1. თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

2. დეკონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

I. ზოგადი დებულებები858

 1. დეკონირების ცნება და მნიშვნელობა858

 2. დეკონირების წინაპირობები.....859

II. დეკონირების სამართლებრივი შედეგი.....861

I. ზოგადი დებულებები

1. დეკონირების ცნება და მნიშვნელობა

1 მოვალე შეიძლება დაინტერესებული იყოს ნაკისრი ვალდებულების შესრულებით, მაგრამ კრედიტორი აყოვნებდეს შესრულების მიღებას ან მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყოს მოვალისთვის. შეიძლება მოვალისთვის უცნობი გახდეს ისიც, თუ ვინ არის კრედიტორი და ვის მიმართ უნდა შეასრულოს მან ნაკისრი ვალდებულება.¹

2 თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამ შემთხვევაში ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად და შეწყვეტილად (434). ამდენად, **დეკონირება ენაცვლება** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ამიტომაც ეწოდება მას შესრულების **სუროგატი**.²

3 დეკონირება არის მოვალის უფლება და არა ვალდებულება.³ მოვალეს თავად შეუძლია, აირჩიოს ნაკისრი ვალდებულების შესრულების დეკონირების გზით შეწყვეტა, თუ შესაბამისი წინაპირობები მოცემული არის (434). არსებობს მოსაზრება, რომ მესამე პირს არ შეუძლია, დეკონირების გზით მოახდინოს ვალდებულების შესრულება,⁴ თუმცა აღნიშნულის

1 Kötz, Vertragsrecht, 2009, S. 362; Musielak, Grundkurs BGB, 12. Aufl., S. 92; Medicus/Lorenz, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 19 Aufl., 2010, 130.

2 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., Einf. v. § 372, Rn. 1; *ჭანტურია*, სკ-ის კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 434, გვ. 532.

3 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 372, Rn. 1; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 434, გვ. 535.

4 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl. § 372, Rn. 1; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III,

თაობაზე პირდაპირ 434-ე-441-ე მუხლებით განსაზღვრული არაფერი არ არის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით მესამე პირის მხრიდან დეპონირებით ვალდებულების შესრულების საკითხი ინდივიდუალური შეფასების საგანი შეიძლება გახდეს სასამართლოს წინაშე; მით უმეტეს, რომ ნოტარიუსთან დეპონირების შემთხვევაში ნოტარიუსი იღებს რა დეპოზიტში ვალდებულების საგანს (ფული, ფასიანი ქაღალდები), იგი არ ამონმებს ვალდებულების წარმოქმნის საფუძველს, თუმცა მოვალეს ევალება იმის მითითება, თუ უშუალოდ რატომ არ შეასრულა ვალდებულება.⁵ შესაბამისად, იმავე წარმატებით შეიძლება ნოტარიუსმა არც ის არ შეამონმოს, მის წინაშე დეპონირებას უშუალოდ მოვალე ახდენს თუ მესამე პირი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, გასათვალისწინებელი არის ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დეპონირებისას მოვალემ ნოტარიუსს ის საბუთები უნდა წარუდგინოს, რომლებიც ადასტურებენ მისი ვალდებულების არსებობას, შესრულების ვადის დადგომას, ასევე ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი.

იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს უფლება აქვს, ვალდებულება ნაწილ-ნაწილ შეასრულოს ან ნაწილობრივ შეასრულოს, მაშინ სავსებით შესაძლებელი უნდა იყოს, რომ მას შესრულების ნაწილის დეპონირების უფლება მიეცეს შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.⁶ 4

დეპონირება ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი სამართლებრივი საშუალება არის. შესაბამისად, მას დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რამდენადაც იგი ასეთი ურთიერთობების შეწყვეტას იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით. 5

2. დეპონირების წინაპირობები

დეპონირებაუნარიანი საგნები: შესრულების საგანი უნდა იყოს შესაძლებელი ვარგისი და არა მალფუჭებადი (435). დეპონირებაუნარიანი შეიძლება იყოს შესრულების შემდეგი საგნები: **ფული, თამასუქები, ჩეკები, სახელმწიფო ობლიგაციები და სხვა საკრედიტო და/ან ფასიანი ქაღალდები და ფასეულობები.**⁷ 6

2001, მუხ. 434, გვ. 535.

5 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 95 III.

6 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl. § 372, Rn. 1; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 434, გვ. 535.

7 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 95 II.

- 7 დეპონირების საფუძვლები: ა) **შესრულების მიღების დაყოვნება ან ბ) კრედიტორის ადგილსამყოფელის არცოდნა.**
- 8 გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში განმტკიცებულია პრინციპი, რომ კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება რეალურად სახეზე უნდა იყოს.⁸ ასეთ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს 390-ე-393-ე მუხლების დანაწესები. რეალური იქნება შესრულების მიღების დაყოვნება, თუ კრედიტორის მიერ შესრულების მიღება თავად კრედიტორის მხრიდან ბრალეული გაჭიანურებით ფერხდება.⁹
- 9 თუკი მოვალისთვის უცნობია კრედიტორის ადგილსამყოფელი, მაშინ მას უფლება აქვს, დეპონირების გზით მოახდინოს ვალდებულების შესრულება. კრედიტორის ადგილსამყოფელი შეიძლება ვალდებულებითი ურთიერთობის დაწყების შემდეგაც გახდეს უცნობი, მაგალითად, თუ მოვალე შეიცვლის თავის მუდმივ ადგილსამყოფელს და ამის შესახებ იგი არ შეატყობინებს მოვალეს. მართალია, კრედიტორს ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აკისრია (318), თუმცა ამ ვალდებულების კრედიტორის მხრიდან შეუსრულებლობა არ იწვევს მოვალის გათავისუფლებას ვალდებულების შესრულებისაგან.¹⁰
- 10 იურიდიულ ლიტერატურაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დეპონირების საფუძველი შეიძლება ზემოთ განხილულ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებთან ერთად ასევე იყოს **ინფორმაციის არარსებობა კრედიტორის პიროვნების თაობაზე** (მაგალითად, კრედიტორის გარდაცვალების შემდეგ მოვალისთვის უცნობია, თუ ვინ არის გარდაცვლილის უფლებამონაცვლე, ან, როდესაც კრედიტორის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ნიღზე არსებობს დავა, რაც მოვალისთვის შეუძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ რომელი მოვალის წინაშე უნდა შეასრულოს ვალდებულება), **ან**, თუ სახეზე რამდენიმე კრედიტორია, მაშინ დეპონირების საფუძველი შეიძლება ისიც გახდეს, **თუ კრედიტორებს შორის არსებობს დავა მოვალის მიერ შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით** და ამის გამო მოვალისთვის შეუძლებელია იმის დადგენა, ვის მიმართ უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.¹¹
- 11 შესაბამისად, გამოდის, რომ დეპონირების გზით ვალდებულების შესრულებისა და შეწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა: **შესრულების საგანი უნდა იყოს დეპონირებაუნარიანი და სახეზე უნდა არსებობდეს დეპონირების ერთ-ერთი საფუძველი მაინც.**

8 BGH NJW, 53, 19, Düss ZIP 94, 960; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III 2001, მუხ. 434, გვ. 533.

9 *ჭანტურია*, იქვე.

10 იქვე.

11 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 372, Rn. 4, 5; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 434, გვ. 534.

II. დეპონირების სამართლებრივი შედეგი

დეპონირების გზით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან (434 II). როგორც აღინიშნა, დეპონირება იკავებს შესრულების ადგილს და ამით ვალდებულება წყდება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი მიიღებს დეპონირების გზით შესრულებას, ან, თუ გავა 441-ე მუხლით განსაზღვრული ვადა, ან თუ კრედიტორი უარს ამბობს ვალდებულების შესრულების დეპონირების სახით მიღებაზე (441 II, იხ. 440-441 მუხლების კომენტ.). 12

მუხლი 435. დეპონირებული ქონების გადაცემა კრედიტორისათვის

დეპონირებული ქონება მოსამართლემ ან ნოტარიუსმა უნდა გადასცეს კრედიტორს. სასამართლო ან ნოტარიუსი შეარჩევს შემნახველს, დოკუმენტები კი მათთან რჩება.

- 1 მოსამართლის ან ნოტარიუსისთვის შესანახად გადაცემული შესრულების საგნის ბუნებიდან გამომდინარე, ნოტარიუსი ან მოსამართლე განსაზღვრავს, თუ რა სახის დაწესებულებას გადასცეს ასეთი ნივთი შესანახად. რაც შეეხება შენახვის დოკუმენტებს, ის რჩება მოსამართლესთან ან ნოტარიუსთან. ნოტარიუსი ან მოსამართლე კი თავის მხრივ უზრუნველყოფს შესრულების საგნის მოვალისთვის გადაცემას.¹
- 2 ნოტარიუსის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების დეპოზიტში მიღების წესი განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით:² ნოტარიუსი ვალდებულია, შეადგინოს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების დეპოზიტში მიღების ოქმი; ოქმში უნდა აღინიშნოს: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი, გადამცემის სრული რეკვიზიტები, ფულის რაოდენობა, ფასიანი ქაღალდების სრული რეკვიზიტები, გადაცემის მიზეზები, გადამცემის მითითებები ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების მესამე პირისათვის (კრედიტორისათვის) გადაცემის შესახებ, აგრეთვე, მოვალის მიერ გაცხადებული მიზეზი, თუ რატომ უშუალოდ არ შეასრულა ვალდებულება. ნოტარიუსი იღებს რა დეპოზიტში ვალდებულების საგანს (ფული, ფასიანი ქაღალდები), არ ამონიშნებს ვალდებულების წარმოქმნის საფუძველს. ოქმს ხელი უნდა მოანეროს ნოტარიუსმა და გადამცემმა. ნოტარიუსმა ოქმი უნდა შეინახოს თავის არქივში, ხოლო ასლი უნდა გადასცეს გადამცემს.³
- 3 ნოტარიუსი ვალდებულია: ა) მიღებული ფული, ფასიანი ქაღალდები და/ან სხვა ფასეულობები გაატაროს რეესტრში, სადაც აღინიშნება მიღებული ქონების დასახელება და ოდენობა, გადამცემის რეკვიზიტები, გადაცემის თარიღი და მიზანი, მიმღები სუბიექტის რეკვიზიტები; დავალების შესრულების შემდეგ ნოტარიუსი ვალდებულია, შესაბამისი აღნიშვნა გააკეთოს რეესტრში; ბ) მიღებული ფული, ფასიანი ქაღალდები და/ან სხვა ფასეულობები შეინახოს თავისი ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობებისგან განცალკევებით. ნოტარიუსი ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების დეპოზიტში მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორს და ამ უკანასკნელის მოთხოვნით გადასცემს მას ვალდებულების საგანს.⁴

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 435, გვ. 537.

2 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლები 95, 96.

3 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 95, 96.

4 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 96.

მუხლი 436. დეპონირებაუნარიანი საგნები

საგანი უნდა იყოს შესანახად ვარგისი. მალფუჭებადი საგნები შესანახად არ მიიღება.

434-ე მუხლიდან არაპირდაპირ დგინდება, რომ დეპონირების საგანი შეიძლება იყოს მოძრავი ნივთები.¹ 1

დეპონირებაუნარიანი საგნებია შესანახად ვარგისი და არა მალფუჭებადი ნივთები (435). დეპონირებაუნარიანი შეიძლება იყოს შესრულების შემდეგი საგნები: **ფული, თამასუქები, ჩეკები, სახელმწიფო ობლიგაციები და სხვა საკრედიტო და/ან ფასიანი ქაღალდები და ძვირფასეულობა.**² 2

იმ შემთხვევაში, თუ შესრულების საგანი მალფუჭებადი ნივთი არის, მაშინ, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შესაძლებელია, მოვალემ აღნიშნული ნივთი აუქციონის წესით ან სხვა გზით გაასხვისოს და ასეთი გასხვისების შედეგად მიღებული თანხის დეპონირება მოახდინოს სადეპოზიტო ანგარიშზე.³ 3

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 437, გვ. 539.

2 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 95 II.

3 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl. § 372, Rn. 3; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 436, გვ. 538-539.

მუხლი 437. შენახვის ადგილი**შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით.**

- 1 თუ ხელშეკრულებით მხარეთა შორის განსაზღვრული იყო ვალდებულების შესრულების ადგილი, მაშინ ბუნებრივია, რომ შენახვაც უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით იქ, სადაც თავად შესრულება იყო განსახორციელებელი. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ 362-ე მუხლით (იხ. 362-ე მუხლის კომენტ.) დადგენილი წესებით შეიძლება განისაზღვროს შენახვის ადგილი¹ შემდეგნაირად:
 - 2 ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;
 - 3 ბ) გვარობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის სანარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.
 - 4 იმ შემთხვევაში, თუ მოვალე შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილას განახორციელებს შენახვას, როგორც წესი, დეპონირება ასეთ შემთხვევაში იურიდიული ძალის მქონედ უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, ვალდებულებაც შეწყვეტილად. თუ დეპონირება კრედიტორის მიერ მიღებული იქნება, თუმცა შესრულების ადგილისაგან განსხვავებულ ადგილზე, შენახვით გამონვეული კრედიტორის ზიანისა და დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მოვალეს ეკისრება.² აღნიშნული შემთხვევის მსგავსი გადაწყვეტის გზა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, თუმცა 363-ე მუხლში განმტკიცებული პრინციპის ანალოგიით შეიძლება მსგავსი დასკვნის გაკეთება.

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 437, გვ. 539.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 437, გვ. 539; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 374, Rn. 1.

მუხლი 438. კრედიტორისაგან საგნის მიღების მოთხოვნა

შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ სასამართლო ან ნოტარიუსი აცყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას.

მას შემდეგ, რაც მოვალე ნოტარიუსს ან სასამართლოს გადასცემს შესრულების საგანს შენახვის მიზნით, ნოტარიუსი ან სასამართლო უკვე ვალდებულია, უზრუნველყოს კრედიტორის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლის ან ნოტარიუსისთვისაც შეუძლებელი ხდება კრედიტორის ვინაობის ან ადგილსამყოფელის დადგენა, მაშინ დასაშვებად უნდა ჩაითვალოს, რომ ნოტარიუსმა ინსტრუქციის¹ 87-ე მუხლის, ხოლო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის ანალოგიით საჯარო შეტყობინება გააკეთოს და, თუ აღნიშნულითაც ვერ მიიღწევა შედეგი, მხოლოდ მას შემდეგ იმოქმედოს 440-ე და 441-ე მუხლების შესაბამისად.

ასევე საგულისხმოა იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნოტარიუსმა ან სასამართლომ ყველა იმ პირს უნდა შეატყობინოს, ვინც კი შეიძლება კრედიტორთან იყოს დაკავშირებული, ან რაიმე სახის შემხებლობა ჰქონდეს შესაბამის მოთხოვნასთან, რათა უზრუნველყოს კრედიტორისთვის ინფორმაციის მიწოდება.²

1 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სა-ნოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 95 II.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 438, გვ. 540.

მუხლი 439. შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება**შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს.**

- 1 439-ე მუხლი არეგულირებს შიდა ურთიერთობას მხოლოდ მოვალესა და კრედიტორს შორის.¹ სასამართლოს ან ნოტარიუსის წინაშე შენახვა/დეპონირებასთან დაკავშირებული ხარჯების უშუალოდ გადახდა შეიძლება მოვალეს მოუხდეს, რამდენადაც მან უშუალოდ უნდა განახორციელოს შენახვა. თუმცა 439-ე მუხლის საფუძველზე მოვალის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება უკვე მოვალისათვის კრედიტორს მოუწევს. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მოვალე შესანახად გადაცემულ საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები მასვე ეკისრება (440 III).
- 2 შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება იყოს სასამართლოს ან ნოტარიუსისთვის გადასახდელი მოსაკრებელი/საფასური, საგნის შესანახად მიბარების საფასური, საფოსტო ხარჯები, საგნის ტრანსპორტირების ხარჯები და ა. შ.²

1 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 381, Rn. 1.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 439, გვ. 541.

მუხლი 440. შენახული საგნის უკან გამოთხოვა მოვალის მიერ

1. მოვალეს უფლება აქვს შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკანვე მოითხოვოს, თუ მან თავიდანვე უარი არ თქვა უკან დაბრუნებაზე. თუ მოვალე უკან ითხოვს საგანს, მაშინ ითვლება, რომ შენახვა არ შემდგარა.

2. მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე, ან თუ გავიდა 441-ე მუხლით განსაზღვრული ვადა.

3. თუ მოვალე საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება.

I. შენახული საგნის უკან გამოთხოვა.....	867
II უკან დაბრუნებაზე უარი.....	868
III. კრედიტორის უარი შენახული საგნის მიღებაზე.....	868
IV. შენახული საგნის მიღების ვადის გასვლა.....	869
V. შენახვის ხარჯები.....	869

I. შენახული საგნის უკან გამოთხოვა

მოვალეს შეუძლია, შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკან დაიბრუნოს. ამ ქმედების სამართლებრივი შედეგი კი ის არის, რომ შენახვა ვერ ჩაითვლება შემდგარად, ხოლო ვალდებულება შესრულებულად და შეწყვეტილად (440 I). მოვალის უფლება, უკან გამოითხოვოს შენახული საგანი, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ შეფასებულია როგორც გამოსმობის უფლება და არა სამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც უნდა განხორციელდეს სათანადო ორგანოს წინაშე (საქართველოს შემთხვევაში: სასამართლო ან ნოტარიუსი).¹ გამოდის, რომ, თუ მოვალე უკან გამოიხმობს შენახულ საგანს მანამდე, სანამ კრედიტორი გამოხატავს თავის პოზიციას შენახული საგნის მიღება-არმიღების თაობაზე, მაშინ ვალდებულება ვერ ჩაითვლება შესრულებულად.

440-ე მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს იმაზე, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოსდევს უკან გამოთხოვის უფლებით განხორციელებულ შენახვას მანამდე, სანამ კრედიტორი მას მიიღებს. შეიძლება ითქვას, რომ შენახვის განხორციელების მომენტიდან, თუ იგი უკან გამოიხმობადია, კრედიტორს აქვს უფლება, მიიღოს შენახვის საგანი. სანამ არ მიიღებს აღნიშნულ საგანს, ვალდებულება შესრულებულად არ ითვლება. ხოლო თუ კრედიტორი უარს განაცხადებს შენახვის მიღებაზე მოვალის მიერ შენახვისთვის მითითებულ ვადაში, მაშინ შენახვა უნდა ჩაითვალოს შესრულებულად და, შესაბამისად, ვალდებულება შეწყვეტილად, რის შედეგადაც მოვალეს შეეძლება, უკან მიიღოს შენახვის საგანი.

1 RG HRR 40, 419; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 376, Rn. 1.

II უკან დაბრუნებაზე უარი

- 3 440-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს, წინასწარ გააკეთოს დათქმა იმის თაობაზე, რომ იგი უარს ამბობს შენახული საგნის უკან დაბრუნებაზე. უკან დაბრუნებაზე მოვალის ამგვარი უარი წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, რომელიც უნდა განხორციელდეს სასამართლოს ან ნოტარიუსის წინაშე.²
- 4 იმის გათვალისწინებით, რომ მოვალე თავიდანვე უარს აცხადებს შესრულების საგნის დაბრუნებაზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვალის მიერ ვალდებულება იმ მომენტიდან ითვლება შესრულებულად და შეწყვეტილად, როდესაც მან სასამართლოს ან ნოტარიუსის წინაშე განახორციელა შესრულების საგნის მსგავსი პირობებით შენახვა. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ასეთი მიდგომა გაზიარებული და დამკვიდრებულია და მოვალის უარს შესრულების საგნის დაბრუნებაზე ვალდებულების მომავალში შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ფუნქცია ენიჭება.³ შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ აღნიშნული ლოგიკური პრინციპი საქართველოს სასამართლოების მიერაც იქნეს გაზიარებული, რამდენადაც ეს მიდგომა შეესაბამება, ზოგადად, დეპონირებით ვალდებულების შეწყვეტის, როგორც მოვალის უფლებების დაცვითი ხასიათის, მექანიზმის მიზანს.

III. კრედიტორის უარი შენახული საგნის მიღებაზე

- 5 იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს განაცხადებს შენახული საგნის მიღებაზე, მაშინ მოვალეს უფლება ეძლევა, რომ უკან დაიბრუნოს ჩაბარებული საგანი. საგნის ამგვარი უკან დაბრუნება უნდა განვასხვავოთ მოვალის მიერ საგნის იმ დროს უკან დაბრუნებისაგან, როდესაც კრედიტორს ჯერ კიდევ არ გამოუხატავს თავისი პოზიცია შენახული საგნის მიღება-მიუღებლობის თაობაზე (440 I, იხ. 440-ე მუხლის კომენტ., ველი 1). როდესაც კრედიტორი უკვე უარს განაცხადებს შესრულების მიღებაზე, ეს უარი მოვალეს ანიჭებს უფლებას, დაიბრუნოს შესრულების საგანი. ასეთ შემთხვევაში კი ვალდებულება შესრულებულად და შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც კრედიტორმა თავისი ნებით უარი განაცხადა შესრულების საგნის მიღებაზე. თუმცა, თუ კრედიტორი შეეცდება თავისი უარის სასამართლოსთვის მიმართვის გზით დასაბუთებას, მაშინ უკვე სასამართლოს გადანყევტილებაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა შედეგი უნდა დადგეს. სანამ სასამართლოს გადანყევტილებით საპირისპირო არ დამტკიცდება, უნდა ივარაუდებოდეს, რომ ვალდებულება შესრულების საგნის შენახვის გზით შესრულებულია, რამდენადაც კრედიტორის მიერ მის მიღებაზე უარის სამართლებრივი შედეგები უკვე კრედიტორის რისკია, რადგან მას ჰქონდა საშუალება, რომ მიეღო შესრულება, მაგრამ თავისი ნებით არ იღებს.⁴

2 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl. § 376, Rn. 2; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 440, გვ. 540.

3 BGH NJW-RR 08, 1075; NJW-RR 07, 989/91; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 378, Rn. 1.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 თებერვლის № ას-1751-1732-2011 გადაწყვეტილება; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 440, გვ. 542.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სპეციალური რეგულაცია არის შემოთავაზებული ინსტრუქციის⁵ 97-ე მუხლში. კერძოდ, თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. კრედიტორის უარი შენატანის მიღებაზე უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დეპოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი წლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ მიცემული ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს, ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა.

IV. შენახული საგნის მიღების ვადის გასვლა

440-ე მუხლის მესამე ნაწილი უთითებს 441-ე მუხლით განსაზღვრულ შესრულების საგნის შენახვის მაქსიმალურ სამწლიან ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა უშედეგოდ გავა და კრედიტორი ამ ვადაში არ მიიღებს შესრულების საგანს, მაშინ დგება იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც კრედიტორის მიერ შენახვის საგნის მიღებაზე უარს მოჰყვება (ველი 4). კერძოდ, ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს შესრულებულად და შეწყვეტილად, ხოლო მეორე მხრივ მოვალეს ეძლევა საშუალება, რომ შესრულების საგანი უკან მიიღოს. ხოლო თუ მოვალე შესრულების საგანს უკან არ მიიღებს, მაშინ იგი გადაეცემა სახელმწიფოს და ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად (441).

V. შენახვის ხარჯები

440-ე მუხლის მესამე ნაწილი, ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე, ზოგადად უთითებს, რომ, თუ მოვალე შენახვის საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება. ეს წესი უნდა ივარაუდებოდეს, რომ მოქმედებს ყველა შემთხვევაზე, განურჩევლად იმისა, თუ რა დროს და რა ფორმით ხდება მოვალის მხრიდან შესრულების საგნის დაბრუნება. კერძოდ, მნიშვნელობა არ აქვს, მოვალე შენახვის საგანს შენახვისთვის მის მიერ განსაზღვრულ ვადაში იბრუნებს, ამ ვადამდე იბრუნებს, კრედიტორის პასუხამდე იბრუნებს, 441-ე მუხლით განსაზღვრული სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იბრუნებს, თუ კრედიტორის მიერ შესრულების საგნის მიღებაზე უარის თქმის შემდეგ იბრუნებს.⁶ საკითხის ამგვარი გადამწყვეტა ლოგიკურია, რამდენადაც, თუ დაბრუნება იმ დროს ხდება, როდესაც ვალდებულება ითვლება შეწყვეტილად, მაშინ მოვალე სასარგებლო

5 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
6 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 440, გვ. 542, 543.

მდგომარეობაში დგება, რამდენადაც მას შესრულების საგანიც უბრუნდება და ვალდებულება შესრულებულად ეთვლება. ამიტომ მის მიერ ხარჯების გალება სამართლიანია. ხოლო თუ კრედიტორი შენახვის საგანს იღებს და ამით ვალდებულება არ სრულდება და კრედიტორსაც აღარ ეძლევა საშუალება, თავისი პოზიცია დააფიქსიროს შესრულების საგნის მიღების მიმართ, მაშინ ცხადია, რომ ამგვარი ქმედებისას მოვალემ უნდა გაიღოს ხარჯები, რადგანაც ქმედებას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ურთიერთობასთან მიმართებით.

მუხლი 441. შესრულების საგნის შენახვის ვადა

სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად.

441-ე მუხლი შესრულების საგნის შენახვისთვის განსაზღვრავს მაქსიმალურ სამწლიან ვადას. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა უშედეგოდ გავა და კრედიტორი ამ ვადაში არ მიიღებს შესრულების საგანს, მაშინ დგება იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც კრედიტორის მიერ შენახვის საგნის მიღებაზე უარს მოჰყვება (იხ. 440-ე მუხლის კომენტ., ველი 4.). კერძოდ, ვალდებულება ითვლება შესრულებულად და, შესაბამისად, შეწყვეტილად, მოვალეს კი ეძლევა საშუალება, რომ შესრულების საგანი უკან მიიღოს. თუ მოვალე შესრულების საგანს უკან არ იღებს, მაშინ იგი გადაეცემა სახელმწიფოს და ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად (441).

ამ საკითხთან მიმართებით სპეციალურ რეგულაციას ადგენს ინსტრუქციის¹ 97-ე მუხლი (იხ. 440-ე მუხლის კომენტ., ველი 4.). კერძოდ, თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის, ფასიანი ქალაქებისა და/ან სხვა ფასეულობების მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. კრედიტორის უარი შენატანის მიღებაზე უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დეპოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი წლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ ამ ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს, ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა.

1 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №71, 2010 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

თავი მასამე

**ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა
გაქვითვით**

მუხლი 442. ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობა

1. ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა.

2. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

I. ნორმის მიზანი.....	872
II. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები.....	873
1. საპასუხო მოთხოვნების არსებობა.....	873
2. მსგავსი მოთხოვნების არსებობა.....	874
3. საპასუხო/აქტიური მოთხოვნის ნამდვილობა და მისი განხორციელებადობა	875
4. პასიური/ძირითადი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა	875
III. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ფორმა.....	875
IV. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მომენტი.....	876
V. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის სამართლებრივი შედეგები.....	878
VI. გამონაკლისი.....	878
VII. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ხელშეკრულება.....	878
VIII. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა პროცესში.....	879
1. მტკიცების ტვირთი	879
2. შეგებებულ სარჩელი	879
IX. საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ასპექტები	880
1. საერთაშორისო კერძო სამართალი.....	880
2. საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი.....	880

I. ნორმის მიზანი

1 442-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია, რომ ვალდებულება შეწყდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით. კერძოდ, მოვალის უფლება, თავისი კონკრეტული მოთხოვნა (**აქტიური მოთხოვნა ან საპასუხო მოთხოვნა**) მისი კრედიტორის მოთხოვნის (**პასიური მოთხოვნა ან ძირითადი მოთხოვნა**) მიმართ გაქვითოს, იმით არის, როგორც წესი, გამართლებული, რომ იმის მოთხოვნა, რაც უკან დასაბრუნებელია, ჩვეულებრივ, არაგონივრულია.¹

1 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 1; Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 1.

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ასრულებს **ორმაგ ფუნქციას**. ერთი მხრივ, იგი ემსახურება პასიური მოთხოვნის შესრულებას მოვალის საკუთარი – აქტიური მოთხოვნის გადაცემის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მოვალეს შესაძლებლობას აძლევს, თავისი მოთხოვნა ყოველგვარი რისკისა და აქტიური პროცესის წარმართვის გარეშე უმარტივესი გზით დაიკმაყოფილოს.² რამდენადაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ნყდება ძირითადი მოთხოვნა, ურთიერთმოთხოვნა არის არა შესრულება, არამედ შესრულების სუროგატი.³

II. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები

1. საპასუხო მოთხოვნების არსებობა

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის განხორციელების პირველი წინაპირობა ის გარემოებაა, რომ ორი პირი ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ ვალდებულნი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებაზე, ანუ ორივე ერთდროულად ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ როგორც მოვალეები, ასევე კრედიტორები, რის საფუძველზეც სახეზე უნდა იყოს ურთიერთმოთხოვნები საპასუხო შესრულებებზე.⁴ 442-ე მუხლის პირველი ნაწილი დამატებით წინაპირობად ადგენს, რომ დამდგარი უნდა იყოს ვალდებულებათა შესრულების ვადა, თუმცა ამ წინაპირობასთან მიმართებით 442-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს საგამონაკლისო წესს (იხ. ველი 18-19). ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ დავაზე არ ვრცელდება 442-ე მუხლის მეორე ნაწილის საგამონაკლისო დანაწესი, რადგან მოპასუხე მხარს არ უჭერს გაქვითვას, ე.ი. არ არსებობს მისი ნება შესრულების ვადის დადგომამდე ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ, რაც აუცილებელი პირობაა ამ ნორმით ურთიერთობის მონესრიგებისათვის.⁵

ლიტერატურაში განიხილება ორი ძირითადი კომპონენტი, რომელთა არსებობაც საჭირო არის საპასუხო მოთხოვნათა არსებობის დასადგენად. კერძოდ, (ა) საპასუხო/აქტიური მოთხოვნა მოვალის საკუთარი მოთხოვნა უნდა იყოს და (ბ) იგი უშუალოდ კრედიტორის მიმართ უნდა არსებობდეს.⁶ სასამართლოებმა ყოველი კონკრეტული შემთხვევისას უნდა დაადგინონ, თუ რამდენად საგულისხმოა ეს ორი კომპონენტი ყველა შემთხვევაში და, შესაბამისად, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ამ ორი კომპონენტის არსებობის მოთხოვნისაგან საგამონაკლისო წესები განავითარონ ცალკეული კატეგორიის საქმეებისთვის.⁷

² იქვე.

³ Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 2; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 3; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 546.

⁴ Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 6; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 547.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის № ას-286-608-09 გადაწყვეტილება.

⁶ Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 6; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 4, 5, 6; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 547.

⁷ შდრ. Kötz, Vertragsrecht, 2009, Rn. 864: მაგალითად, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მი-

2. მსგავსი მოთხოვნების არსებობა

- 5 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია პოზიცია, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ერთ-ერთი წინაპირობაა ერთმანეთის მსგავსი მოთხოვნების არსებობა (გასაქვითი მოთხოვნების ბუნების ერთგვაროვნება⁸).⁹ თუმცა უნდა ითქვას, რომ 442-ე მუხლი აღნიშნულის თაობაზე, განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 387-ისა,¹⁰ არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ ამაზე არ მიუთითებს. გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ კი განავითარა შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა მოთხოვნები ერთგვაროვნად, რამდენადაც, როგორც უკვე აღნიშნა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §387 პირდაპირ მიუთითებს ამ წინაპირობაზე.¹¹
- 6 საფიქრალია, თუ რამდენად და რა ფარგლებში შეიძლება აუცილებელ წინაპირობად მიჩნეულ იქნეს მსგავსი მოთხოვნების არსებობა ქართულ სამართლებრივ რეალობაში და რამდენად უნდა იხელმძღვანელონ ქართულმა სასამართლოებმა გერმანულ სამართალში საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებული და მხოლოდ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაყდრებული წინაპირობით, მაშინ, როდესაც აღნიშნულის თაობაზე ქართველი კანონმდებელი პირდაპირ არაფერს არ მიუთითებს. განსახილველი საკითხი სამოსამართლეო სამართლით უნდა გადაწყდეს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს მოთხოვნათა ბუნება და, შესაბამის გარემოებათა მიხედვით, უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა.¹²

ხედვით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საგამონაკლისო წესით დასაშვებია არის, როდესაც ძირითადი მოთხოვნის კრედიტორი აღნიშნულ მოთხოვნას მესამე პირს დაუთმობს, ხოლო შესაბამისი მოვალე კი, როდესაც მისგან მესამე პირი შესაბამისი თანხის გადახდას მოითხოვს, ამ მესამე პირის წინაშე აღნიშნული მოთხოვნის მისი საპასუხო მოთხოვნით შეეცდება; მოვალის საპასუხო მოთხოვნა, ბუნებრივია, რომ უშუალოდ მესამე პირზე არ არის მიმართული და იგი იმ კრედიტორის მიმართ არის, რომელიც, მართალია, უკვე არა სამართლებრივი, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მოთხოვნის მესაკუთრე არის (იხ. BGHZ 25, 367; BGHZ 110, 81).

8 შდრ. Art. 8.1. Unidroit Principles, 2010.

9 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 547; *მარიამიძე*, ვალდებულებითი სამართალი, 2013, გვ. 71.

10 *Schlüter*, in MüKo BGB, § 387, Rn. 29; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 8.

11 გერმანული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ერთგვაროვნაა მოთხოვნები მაშინ, როდესაც ორივე მათგანი ფულის გადახდაზე არის მიმართული ან როდესაც ერთი და იმავე სახის გვაროვნული ნივთების გადაცემა ხდება, რაც ძალიან იშვიათია პრაქტიკაში; ასევე დადგენილია, რომ ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება ფულის გადახდის მოთხოვნასთან მიმართებით იყოს გაქვითული, თუმცა გამყიდველს ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდის მოთხოვნის გაქვითვა მყიდველის მოთხოვნაში იმის თაობაზე, რომ მოხდეს ნასყიდობის საგნის ნაკლის გამოსწორება, შეუძლებლად არის მიჩნეული (იხ. BGH NJW-RR 1989, 173, 174 = MDR 1989, 238 m. Anm. *Schmitz* 582; NJW 1989, 1343; 2000, 948; RG JW 1912, 635, 635 f.; AA OLG Köln LZ 1923, 232, 233; BGHZ 27, 123; RGZ 136, 152, 161; RGRK/Weber Rn. 36; *Kötz*, Vertragsrecht, 2009, Rn. 865; *Schlüter*, in MüKo BGB, § 387, Rn. 34; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 8.

12 გერმანულ სამართალში დამკვიდრებული არის მიდგომა, რომ ერთგვაროვნა უნდა იყოს მოთხოვნის საგნები და არა სამართლებრივი საფუძველი. ერთგვაროვნება არ გულისხმობს მოთხოვნათა თანაბარ სიდიდეს, ასევე არ არის აუცილებელი, რომ სახეზე იყოს გასაქვით

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას ხელს არ უშლის ის ფაქტი, თუ გა- 7
საქვით მოთხოვნათა შესრულების ადგილები სხვადასხვაა (446).

3. საპასუხო/აქტიური მოთხოვნის ნამდვილობა და მისი განხორციელებადობა

საპასუხო/აქტიური მოთხოვნის პასიურ/ძირითად ვალდებულებაში 8
გაქვითვით ხდება ვალდებულებათა შესრულება და შეწყვეტა. შესაბამისად, ის საშუალება, რომელიც ვალდებულების შესრულების სუროგატიტ შეწყვეტის მიზნით გამოიყენება, უნდა იყოს ნამდვილი და განხორციელებადი. კერძოდ:

(ა) საპასუხო/აქტიური მოთხოვნა ნარმოშობილი უნდა იყოს;

(ბ) არ უნდა არსებობდეს მის წინააღმდეგ არანაირი შეცილების საშუა-
ლება (უნდა იყოს უდავო);

(გ) მისი შესრულების ვადა დამდგარი უნდა იყოს (თუმცა აღნიშნულ
ნაწილთან მიმართებით გამონაკლისის სახით მოქმედებს 442 II) და

(დ) ყოველმხრივ დასაბუთებული უნდა იყოს.¹³

4. პასიური/ძირითადი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა

პასიური/ძირითადი ვალდებულება შესრულებადი უნდა იყოს. კერძოდ, 9
ეს პირობა გულისხმობს, რომ მოვალეს ვალდებულების შესრულება უნდა შეეძლოს, როგორც ეს 365-ე და 366-ე მუხლებით არის განსაზღვრული (იხ. 365-ე-366-ე მუხლების კომენტ.). მისი განხორციელებადობის სახეზე ყოფ-
ნა საპასუხო/აქტიური მოთხოვნის მსგავსად არ არის საჭირო (იხ. ველი 7), რამდენადაც მოთხოვნის გამქვითავი მხარე მოვალის პოზიციაში იმყოფება, მოვალე კი თავისუფალია ვალდებულების შესრულებაში, თუნდაც შესაბამისი ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ არ იყოს ვადამოსული ან მის მიმართ შეცილების საფუძვლები არსებობდეს.¹⁴ მთავარია, რომ ვალდებულება შესრულებადი იყოს 365-366 მუხლების შესაბამისად.

III. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ფორმა

442 II 2 ცალსახად ადგენს, რომ „ვალდებულებათა გაქვითვა ხორცი- 10
ელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.“ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე მოვალის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ცალმხრივ

მოთხოვნათა სამართლებრივი კავშირი და არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთმოთხოვნათა შესრულებისათვის ერთი და იგივე ადგილი იყოს გათვალისწინებული (იხ. *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 387, Rn. 29-35). ამასთან, საგულისხმოა, რომ გაქვითვა ემსახურება საპირისპირო მოთხოვნების სწრაფ გაქარწყლებას, ეს კი შეუძლებელია, თუ ისინი არაერთგვაროვანია და ჯერ მათი ღირებულების დაანგარიშება უნდა მოხდეს.

13 *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 387, Rn. 36; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 387, Rn. 11; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 548; *Kötz, Vertragsrecht*, 2009, Rn. 867.

14 *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 387, Rn. 38; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 387, Rn. 12; *Kötz, Vertragsrecht*, 2009, Rn. 871; *Medicus/Lorenz, Schuldrecht I*, 19. Aufl., 2010, Rn. 310.

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა.¹⁵ შესაბამისად, იმისათვის, რომ ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვა განხორციელდეს, საჭიროა, მოვალემ აღნიშნულის თაობაზე მოახდინოს შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა კრედიტორის მიმართ.

- 11 მართალია, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები არ განსაზღვრავს, თუ რა შინაარსის უნდა იყოს შეტყობინება, თუმცა საფიქრალია, რომ შეტყობინებაში მითითებული იყოს:
- 12 (ა) ორივე მხარის ურთიერთმომთხოვნები, რომელთა გაქვითვაც არის გამიზნული (387 I);
- 13 (ბ) გაქვითვის საფუძველი;
- 14 (გ) გასაქვით მოთხოვნათა ოდენობა.¹⁶

IV. ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის მომენტი

- 15 ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის შესახებ შეტყობინებას შედეგად მოსდევს ურთიერთსაპასუხო აქტიური და პასიური მოთხოვნების შეწყვეტა.¹⁷ ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვისას მნიშვნელოვანია იმ მომენტის დადგენა, თუ როდიდან შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთმომთხოვნები გაქვითულად და, შესაბამისად, შეწყვეტილად.
- 16 442-ე-447-ე მუხლები პირდაპირ მითითებას არ აკეთებს იმაზე, თუ რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთმომთხოვნები გაქვითულად და შეწყვეტილად. ამ საკითხს ერთმანეთისაგან განსხვავებულად არეგულირებს გერმანიის კანონმდებლობა და კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (უნიდროას პრინციპები) საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები.¹⁸
- 17 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 389-ეს მიხედვით, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვას უკუძალა აქვს და იგი იმ მომენტიდან ჩაითვლება განხორციელებულად, როდიდანაც ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნები უკვე ურთიერთგაქვითვადი იყო. მაგალითად, თუ ორივე საპირისპირო მოთხოვნა 2014 წლის 9 მარტს გაქვითვადი იყო უკვე, მაგრამ მოვალემ 2014 წლის 10 აპრილს გაუგზავნა კრედიტორს შეტყობინება ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის თაობაზე, ამ შეტყობინების კრედიტორის მიერ მიღებისთანავე ითვლება, რომ ურთიერთმომთხოვნები გაქვითულია 2014 წლის 9 მარტიდან.
- 18 უნიდროას პრინციპების თანახმად კი, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითა ძალაში შედის და, მაშასადამე, ეს მოთხოვნები წყდება ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის თაობაზე შეტყობინების კრედიტორის მიერ მიღების მო-

15 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 442, გვ. 549; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 387, Rn. 1; *Medicus/Lorenz*, Schuldrecht I, 19. Aufl., 2010, Rn. 318.

16 შდრ. Art. 8.4. Unidroit Principles, 2010.

17 *Schlüter*, in MüKo BGB, § 389, Rn. 3; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 389, Rn. 1.

18 Art. 8.5. Unidroit Principles, 2010.

მენტიდან, ხოლო მანამდე წარმოშობილი დამატებითი ვალდებულებები და პროცენტები (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ემატება გასაქვით ვალდებულებას.¹⁹

მიუხედავად იმისა, რომ 442-ე მუხლის მეორე ნაწილი ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის ერთ-ერთ პირობად მიუთითებს, რომ დამდგარი უნდა იყოს „[...] ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა,“ 443-ე მუხლი კი ცალსახად ადგენს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა ვერ ჩაითვლება ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობის გამომრიცხავ ფაქტორად „[...] თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა,“ აღნიშნული რეგულირებები მაინც ვერ იძლევა იმის საშუალებას, რომ ცალსახად განიმარტოს, თუ როდიდან შეიძლება ჩაითვალოს ვალდებულება ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის გზით შესრულებულად და, შესაბამისად, შეწყვეტილად. 442-ე მუხლის მეორე ნაწილი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ „[...] ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.“ ამ ფაქტორების ფონზე რთულია იმის ცალსახად მტკიცება, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვას უკუძალა აქვს და ვალდებულება შეწყვეტილად იმ მომენტიდან ითვლება, როდიდანაც ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვა შესაძლებელი იყო, ანუ ამ მოთხოვნათა შესრულების ვადის მოსვლის მომენტიდან. უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვით ვალდებულება შეწყვეტილად იმ მომენტიდან ჩაითვალოს, როდესაც მოვალე აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს კრედიტორს (442 II). ასეთ შემთხვევაში ამ შეტყობინების კრედიტორის მიერ მიღების მომენტიდან ჩაითვლებოდა ვალდებულებები ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის გზით შესრულებულად და, შესაბამისად, შეწყვეტილად.

საფიქრალია, ერთი მხრივ, სასამართლო პრაქტიკა ისეც განვითარდეს, რომ, თუ ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის მხარეები მენარმე სუბიექტები იქნებიან, მაშინ ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვით ვალდებულებათა შეწყვეტის მომენტად ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც მოვალე კრედიტორს აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს; მეორე მხრივ კი, თუ მხარეები მენარმე სუბიექტი და მომხმარებელი არიან და მომხმარებელი ახდენს თავისი ვალდებულებების თავისივე საპასუხო მოთხოვნებით გაქვითვას, შესაძლებელია, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვის შესახებ შეტყობინებას უკუძალა მიენიჭოს და ვალდებულება შეწყვეტილად იმ მომენტიდან ჩაითვალოს, როდიდანაც ურთიერთმომთხოვნები გაქვითვადი გახდა; შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, გაქვითვის შესაძლებლობის დადგომის მომენტიდან მოვალეზე დარიცხული პროცენტებისა და შესრულების დაგვიანებით გამონვეული ზიანის ანაზღაურების დაგროვილი ვალდებულებები ძირითადი ვალდებულების შეწყვეტასთან ერთად გაუქმდება. თუმცა ამ საკითხის გადაჭრა სამოსამართლეო სამართლის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს საკითხთა ინდივიდუალური შე-

19 Art. 8.5. Unidroit Principles, 2010.

ფასება-გადაწყვეტა. თუ განხილულ საქმეთა ფაქტობრივი გარემოებები ამის შესაძლებლობას დროთა განმავლობაში მისცემს ქართულ სასამართლოებს, უკვე შესაძლებელი იქნება ცალკეული კატეგორიის საქმეების ჩამოყალიბება, რომლებთან მიმართებითაც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების გზით ცალკეული მიდგომები დადგინდება.

V. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის სამართლებრივი შედეგები

- 21 როგორც უკვე აღინიშნა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით წყდება შესასრულებელი ვალდებულებები (იხ. ველი 1, 2). 444-ე მუხლის თანახმად, „თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.“ გამოდის, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის აუცილებელი წინაპირობა არ არის ის, რომ ურთიერთმოთხოვნები სრულად და მთლიანად ფარავდნენ ერთმანეთს. შესაძლებელია, მოვალის 500-ლარიანი მოთხოვნით გაიქვითოს კრედიტორის 300-ლარიანი მოთხოვნა ისე, რომ 300-ლარიანი მოთხოვნა სრულად შესრულებულად და შეწყვეტილად ჩაითვალოს, ხოლო 500-ლარიანი მოთხოვნა ნაწილობრივ შესრულებულად და 200 ლარის ნაწილში შეუსრულებლად.²⁰

VI. გამონაკლისი

- 22 442-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს ამავე მუხლის პირველი ნაწილისაგან საგამონაკლისო რეგულაციას. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ურთიერთმოთხოვნათა შესრულებების ვადა არ არის დამდგარი (442 I), ვალდებულებათა გაქვითვის გზით შეწყვეტა მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც „[...] ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას.“ ეს დანაწესი სიტყვასიტყვით მიუთითებს მხარეთა შესაძლებლობაზე, რომ, მიუხედავად იმისა, თუ კრედიტორის მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ კიდევ არ დამდგარა, მაგრამ მისი თანხმობა სახეზეა, მაშინ შესაძლებელია ამ სამომავლო მოთხოვნის გაქვითვა მოვალის ვადამოსულ მოთხოვნაში. ეს პოზიცია გაზიარებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკითაც.²¹
- 23 442-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის საერთო წესიდან დამატებით საგამონაკლისო რეგულაციებს განსაზღვრავს 443-ე და 447-ე მუხლებიც (იხ. 443-447 მუხლის კომენტ.).

VII. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ხელშეკრულება

- 24 სავსებით შესაძლებელია, რომ მხარეთა ურთიერთმოთხოვნები არა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, არამედ ორმხრივი ხელშეკრულებით გაიქვითოს.²² მართალია, აღნიშნულის თაობაზე სპეცი-

20 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 444, გვ. 551.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის № ას-1173-1193-2011 გადაწყვეტილება.

22 *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 387, Rn. 51; *Grüneberg*, in *Palandt BGB Kommentar*, 69. Aufl., § 389, Rn. 19.

აღურ დეტალურ რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და მხარეთა ნების კერძო ავტონომიის პრინციპებზე დაყრდნობით, ეს სავსებით დასაშვებად იქნეს მიჩნეული.²³

აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო რეგულირებისთვის ძალიან უცხო არ არის. კერძოდ, 442-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული დანაწესი შეიძლება ხელშეკრულებით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ერთ-ერთ ნაირსახეობად განიხილებოდეს, რამდენადაც, მოთხოვნის შესრულების ვადის დაუდგომლობის მიუხედავად, მხარის თანხმობის შემთხვევაში, ურთიერთმოთხოვნები მაინც გაქვითვადია. გამოდის, რომ ეს ნორმა სწორედაც რომ ორივე მხარის თანხმობაზე დამოკიდებული და არა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის გზით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე გაგზავნილ შეტყობინებაზე.

ურთიერთმოთხოვნათა ხელშეკრულების საფუძველზე გაქვითვისას საჭირო არ არის ურთიერთმოთხოვნათა საერთო წინაპირობების აუცილებლად სახეზე ყოფნა. საკმარისია, ორივე მოთხოვნა იყოს იურიდიული ძალის მქონე, სათანადო ფორმით წარმომოხილი და განხორციელებადი, რომელთა განკარგვის უფლებაც აქვთ ხელშეკრულების მხარეებს.²⁴ მხარეები კი უკვე თავისუფალნი არიან, ხელშეკრულებით დეტალურად განწერონ ის კონკრეტული პირობები, რომელთა შესაბამისადაც მოხდება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა.

ხელშეკრულებითვე შეიძლება, რომ მხარეებმა გამორიცხონ ვალდებულების ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით შეწყვეტა (447 (ა)).

VIII. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა პროცესში

1. მტკიცების ტვირთი

როგორც წესი, მოვალემ, რომელიც ვალდებულებათა ურთიერთმოთხოვნის გზით გაქვითვის ინიციატორია, უნდა ამტკიცოს, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები სახეზეა და შესაბამისი ვალდებულება ამ გზით შეწყვეტას ექვემდებარება. თავის მხრივ, კრედიტორს ეკისრება იმ ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გამორიცხვა.²⁵

2. შეგებებულ სარჩელი

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გაზიარებულია მიდგომა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების გაქვითვა სადავო გახდება, მაშინ ვალდ-

²³ იქვე.

²⁴ გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი განმტკიცებული არის: BGH WM 1983, 500, 501 f.; Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 51; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 389, Rn. 20.

²⁵ Schlüter, in MüKo BGB, § 387, Rn. 67.

ბულების არსებობის ფაქტი სასამართლოს წესით უნდა დადასტურდეს; კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს სასამართლომ განმარტა, რომ „[...] მოთხოვნათა სადავობის შემთხვევაში გაქვითვა შესაძლებელია დავის გადაწყვეტის შემდგომ. ანუ, სასამართლოს მიერ ვალდებულების არსებობის ფაქტის დადასტურების შემდგომ. [...] [აღნიშნული უფლების] რეალიზაცია შესაძლებელი [არის] მხოლოდ სასამართლოს განხილვის შედეგად დადასტურებით. იმისათვის, რომ მოპასუხეს სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად [გასაქვითად] გამოეყენებინა თავისი უფლება, უნდა მოეთხოვა ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით შესაბამისი სარჩელის (შეგებებული სარჩელის) წარდგენის გზით“.²⁶

- 30 დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მოთხოვნათა სადავობისას შესაბამისმა მხარემ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე-190-ე მუხლებით და მოთხოვნის არსებობა-არარსებობის მტკიცება შეგებებულ სასარჩელო რეჟიმში, შესაბამისი სასამართლო დადასტურების გზით მოახდინოს.

IX. საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ასპექტები

1. საერთაშორისო კერძო სამართალი

- 31 ევროპის საერთაშორისო კერძო სამართალში დამკვიდრებული პრინციპის მიხედვით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის დასაშვებობის საკითხი უნდა გადაწყდეს პასიური მოთხოვნის სამართლის მიხედვით.²⁷
- 32 საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ არ შეიცავს უშუალოდ ამ საკითხის მომწესრიგებელ ნორმას. თუმცა ევროპის სამართლის მიერ განმტკიცებულ პრინციპზე დაყრდნობით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის განმარტებით, იგივე შედეგი შეიძლება მიღწეულ იქნეს და ურთიერთმოთხოვნის საკითხის გადასაწყვეტ სამართლად განისაზღვროს პასიური მოთხოვნის სამართალი, რომლის შეწყვეტაც ხდება აქტიური მოთხოვნის საშუალებით.

2. საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი

- 33 საქართველოს სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენცია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე წარმოშობილ დავასთან მიმართებით პირდაპირ რეგულირებული არ არის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონით. საერთაშორისო კერძო სამართლის შე-

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის № ას-857-908-2011 გადაწყვეტილება; 2011 წლის 12 დეკემბრის № ას-1173-1193-2011 გადაწყვეტილება; 2011 წლის 15 სექტემბრის № ას-1021-1052-2011 გადაწყვეტილება.

²⁷ *Thorn*, in Palandt BGB Kommentar 69. Aufl., Art. 17, Rom I-VO Rn. 2; *Hellner*, Set-off, in: Rome I Regulation, The Law Applicable to Contractual Obligations in Europe, Ferrari, Leible (Eds.), 2009, p. 251.

სახებ საქართველოს კანონის მე-8 ან/და მე-9 მუხლის (ა) პუნქტის თანახმად, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, მაშინ, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე დავისას საქართველოს სასამართლომ შეიძლება დაადგინოს თავისი საერთაშორისო კომპეტენცია. ასეთი შედეგი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის (ბ) პუნქტის თანახმად, მაშინაც შეიძლება დადგეს, თუ შესაბამისი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოში იქნება.

მართალია, ბრიუსელი-1 რეგულაციის²⁸ მე-6 მუხლის მესამე ნაწილის²⁹ მსგავსი სპეციალური დარეგულირება საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში არ არის მოცემული, თუმცა პრაქტიკულად შეგებებული სარჩელის მეშვეობით ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე-190-ე მუხლებზე დაყრდნობით იგივე შედეგი მიიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ მიუთითებს, რომ იგი ადგენს საქართველოს სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციას, ხოლო ეს საკითხი კი უფრო სპეციალური კანონით, კერძოდ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონით, არ არის მონესრულებული, საფიქრალია, რომ საქართველოს სასამართლოებმა სისტემური განმარტების ჩარჩოებში თავი არ უნდა მოიქციონ და, ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული შესაძლებლობა შეგებებული სარჩელით დავის წარმართვის თაობაზე გახადონ ხელმისაწვდომი საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთმოთხოვნითი დავების განხილვისასაც და, შესაბამისად, დაიდგინონ თავიანთი კომპეტენცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე-190-ე მუხლებზე დაყრდნობით.

28 EG-ABl. 2001 L 12, S. 1, Die Verordnung Nr. 44/2001 über die gerichtliche Zuständigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen vom 22.12.2000; *Magnus/Mankovski/Watt*, Brussels I Regulation (2nd ed. 2012) art. 6 note 41-49; *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 387, Rn. 47.

29 მუხლი 6 III: „პირის წინააღმდეგ, რომელსაც თავისი ადგილსამყოფელი აქვს ერთ წევრ სახელმწიფოში, შესაძლებელია შეგებებული სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იგივე ხელშეკრულების ან ფაქტების საფუძველზე, შეტანილ იქნას ასევე იმ სასამართლოში, სადაც მიმდინარეობს თავდაპირველი სარჩელის განხილვა.“

მუხლი 443. გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას

მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

- 1 443-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმული მოთხოვნაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოვალის მიერ კრედიტორის საპასუხო მოთხოვნის გასაქვითად, თუ მოვალის მოთხოვნა მაშინ არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.
- 2 მაგალითად, თუ მოვალის მოთხოვნა მისი კონტრაქტის მიმართ გაყიდული მოძრავი ნივთის საფასურის გადახდის თაობაზე ხანდაზმულია, ბუნებრივია, რომ კონტრაქტს უფლება აქვს, მოვალეს აღარ გადაუხადოს ნასყიდობის ფასი (144 I). თუმცა, თუ კონტრაქტს მოვალის მიმართ, თავის მხრივ, მოთხოვნის უფლება აქვს მისთვის ნასესხები თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, მაშინ 443-ე მუხლი იძლევა შესაძლებლობას, მოვალემ ხანდაზმული მოთხოვნით მოახდინოს კონტრაქტის სესხის გაქვითვა, რასაც მოვალე მხოლოდ იმ პირობით შეძლებს, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დადგინდება, რომ მაშინ, როდესაც ამ მოთხოვნათა ურთიერთმოთხოვნის გაქვითვა შესაძლებელი იყო, ანუ როდესაც ორივე მოთხოვნის შესრულების ვადა დამდგარი იყო (442 I), მოვალის მოთხოვნის უფლება ჯერ კიდევ არ იყო ხანდაზმული. კერძოდ, თუ მოვალეს თავისი მოთხოვნის უფლება მოძრავი ნივთის ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე წარმოეშვა 2010 წლის 15 იანვარს და მისი გადახდა მან 2014 წლის 17 იანვარს მოითხოვა პირველად, მაშინ ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნა ხანდაზმულია (129 I). თუმცა, თუ კონტრაქტს თავისი მოთხოვნის უფლება სესხის უკან დაბრუნების თაობაზე მოვალის მიმართ წარმოეშვა 2013 წლის 5 იანვარს, ანუ მაშინ, როდესაც მოვალის მოთხოვნა ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის თაობაზე უკვე წარმოშობილი იყო (2010 წლის 15 იანვარი) და ჯერ კიდევ არ იყო ხანდაზმული (2013 წლის 15 იანვარი), ასეთ შემთხვევაში მოვალეს უფლება აქვს, მისი ხანდაზმული მოთხოვნით გაქვითოს კონტრაქტის მოთხოვნა სესხის დაბრუნების თაობაზე (442 I, 443).
- 3 საყურადღებოა ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმადაც: „[...] სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი უფლებას აძლევს ვალდებულ პირს, არ შეასრულოს ხანდაზმული ვალდებულება, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, 144-ე და 443-ე მუხლების ერთობლივი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტება იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ხანდაზმული ვალდებულების გაქვითვა ვალდებულ პირის უფლებაა და არა მოვალეობა. ამდენად, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს ისეთი ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვას, რომელიც მხარეთა მიერ სადავოდ

გამხდარი არ არის, ან სადავოდ იყო გამხდარი, თუმცა დადასტურებულია სასამართლოს მიერ და გაქვითვა მხარეთა ნებას შეესაბამება. მოცემულ შემთხვევაში, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ტ-ი“ წინააღმდეგია იმ მოთხოვნის გაქვითვის, რომლის შესრულების ვალდებულება მას, როგორც ხანდაზმული მოთხოვნისა აღარ აკისრია, უფრო მეტიც, შპს „ტ-ი“ აღნიშნულ მოთხოვნებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს, არ აღიარებს და სარჩელი შპს „ტ-ის“ მიერ აღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებით არ იყო აღძრული იმ დროისათვის, როდესაც მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა [...]”.¹

საფიქრალია, თუ რამდენად არის გასაზიარებელი 443-ე მუხლის სასამართლოსეული განმარტება იმის თაობაზე, რომ, თუ მოთხოვნის გაქვითვის ინიციატორი მხარის მიერ შესაბამის მოთხოვნებთან მიმართებით არ იქნება აღძრული სარჩელი იმ დროისათვის, როდესაც მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლება, მაშინ მოვალე კარგავს უფლებას, რომ ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში მოახდინოს მისი საპირისპირო მოთხოვნაში გაქვითვა. სასამართლოს ამ პოზიციის ცალსახად გაზიარება რთულია შემდეგ გარემოებათა გამო: კერძოდ, 443-ე მუხლი საგამონაკლისო წესს ადგენს, სადაც მიუთითებს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ ურთიერთგასაქვითი მოთხოვნების შესრულების ვადები მაშინ დადგა, როდესაც არც ერთი მათგანის ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული. შესაბამისად, თუ ეს ასეა, მიუხედავად იმისა, თუ მოვალე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობის დადგომისთანავე არ მოახდენს სასამართლოს გზით გაქვითვადობის დადასტურებას, იგი მაინც არ უნდა კარგავდეს უფლებას, რომ მოახდინოს სასამართლოს გზით ამ მოთხოვნათა გაქვითვა მანამ, სანამ თავად ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ვადაც არ გავა, ანუ სანამ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ჯერ კიდევ შესაძლებელი იქნება.

შესაბამისად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მთავარია, შემონ- 5
მდეს გასაქვით მოთხოვნათა ხანდაზმულობის საკითხი იმ დროისთვის, როდესაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობა ობიექტურად დადგება. თუ გასაქვითი მოთხოვნა ამ დროისთვის ჯერ კიდევ განხორციელებადია, ანუ ხანდაზმული არ არის, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, ამავე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც გამოიყენოს მან ეს მოთხოვნა გასაქვით საშუალებად, თუნდაც მას სასამართლოში მოთხოვნის დადასტურების შესახებ წარდგენილი არ ჰქონოდა მოთხოვნა.

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის № ას-1021-1052-2011 გადაწყვეტილება.

მუხლი 444. გასაქვითი მოთხოვნები

თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქ-ვითება მხოლოდ ის, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.

- 1 442-ე მუხლიდან არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ გამომდინარეობს ის წინაპირობა, რომ გასაქვითმა მოთხოვნებმა აუცილებლად სრულად უნდა გადაფარონ ერთმანეთი, ან ისინი ზუსტად ერთი ოდენობის უნდა იყვნენ. უფრო მეტიც, 444-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მაშინაც შესაძლებელია, როდესაც მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში იქვითება მხოლოდ ის მოთხოვნა, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე.
- 2 444-ე მუხლი არც იმაზე არ მიუთითებს, 442-ე მუხლის მეორე ნაწილის მსგავსად, რომ ასეთი ნაწილობრივი გაქვითვისათვის საჭიროა შესაბამისი გასაქვითი მოთხოვნის უფლების მქონე პირის „მხარდაჭერა“ და თანხმობა. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ 444-ე მუხლით განმტკიცებულია მოვალის უფლება, რათა შესაძლებლობის შემთხვევაში მან ნაწილობრივი გაქვითვის საშუალებითაც ისარგებლოს. უფრო მეტიც, თუ მოვალის მოთხოვნა უფრო დიდია, ხოლო კრედიტორის საპირისპირო მოთხოვნა უფრო პატარა, მაშინ მოვალეს კიდევ უნარჩუნდება დარჩენილ გაუქვითავ ნაწილში მოთხოვნის უფლება, რომელიც მას შეუძლია სხვა მოთხოვნის საპირისპიროდ გაქვითოს, ან უშუალოდ მოითხოვოს შესაბამისი ნაწილის შესრულება თავისი მოვალისაგან (იხ. 442-ე მუხლის კომენტ., ველი 17).
- 3 ასეთ შემთხვევაში საფიქრალია, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც ხანდაზმული მოთხოვნით მოვალე ნაწილობრივ ქვითავს ურთიერთმოთხოვნას. რა სამართლებრივი შედეგის მატარებელია ასეთ შემთხვევაში ის დარჩენილი გაუქვითავი ნაწილი? კერძოდ, თუ ზემოთ განხილულ შემთხვევაში მოვალის მოთხოვნა 500 ლარის გადახდის თაობაზე უკვე ხანდაზმული იქნებოდა, მაგრამ იგი ხანდაზმული არ იყო მაშინ, როდესაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობა დადგა (443), მოვალეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შემდეგ დარჩებოდა 200 ლარის ხანდაზმული მოთხოვნის უფლება, რომელსაც იგი, როგორც დამოუკიდებელ მოთხოვნას, მისი ხანდაზმულობის გამო ვერ განახორციელებს და 200 ლარის მისთვის გადაცემას შესაბამისი მოვალისაგან ვერ მოითხოვს. თუმცა მას შესაძლებლობა ექნება, დარჩენილი 200 ლარის გაქვითვა მოახდინოს იმ სხვა ვალდებულებასთან მიმართებით, რომელთანაც ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობის დადგომის დროს 200-ლარიანი მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო (443).

მუხლი 445. რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა

1. თუ ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც ეცნობა გაქვითვის შესახებ, აქვს რამდენიმე გასაქვითი მოთხოვნა, მაშინ გამოიყენება 387-ე მუხლის წესები.

2. თუ მხარეს მეორე მხარის წინაშე, ძირითადი ვალდებულების გარდა, ეკისრება პროცენტებისა და სხვა ხარჯების გადახდაც, მაშინ გამოიყენება 388-ე მუხლის წესები.

I. 445-ე მუხლის პირველი ნაწილი.....885
 II. 445-ე მუხლის მეორე ნაწილი885
 III. მტკიცების ტვირთი886

I. 445-ე მუხლის პირველი ნაწილი

445-ე მუხლი მოიცავს იმ შემთხვევებს, როდესაც აქტიური მოთხოვნა რამდენიმე პასიური მოთხოვნის საპირისპიროდ იქვითება, ან როდესაც რამდენიმე აქტიური მოთხოვნა ერთი პასიური მოთხოვნის მიმართ იქვითება. 445-ე მუხლის პირველი ნაწილი უთითებს 387-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობას. სავარაუდოა, რომ 387-ე მუხლის ფულადი ვალდებულებების ურთიერთგაქვითვისას, ანალოგიით გამოყენების გარდა, ასევე სხვა ტიპის მოთხოვნებთან მიმართებით გამოყენებაც დასაშვებია, რათა გასაქვით მოთხოვნათა რიგითობა დადგინდეს. 387-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა იმის საშუალებას, რომ გაქვითვის ინიციატორმა მხარემ განსაზღვროს ის ვალდებულება, რომელიც უნდა გაიქვითოს (იხ. 442-ე მუხლის კომენტ., ველი 9, 10). ამავე მუხლის თანახმად კი, თუ მოვალე არ ამოირჩევს დასაფარ ვალდებულებას, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.

თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა (387 II).

თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (387 III).

II. 445-ე მუხლის მეორე ნაწილი

იმ შემთხვევაში, თუ მოვალის მიერ, ძირითადი ვალის გადახდის გარდა, გადასახდელია ასევე პროცენტები და სხვა ხარჯები, ასეთ შემთხვევაზე 445-ე მუხლის მეორე ნაწილი უთითებს 388-ე მუხლზე. 388-ე მუხლის თანახმად კი, მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს პროცენტები (იხ. 429-3 მუხლის კომენტ., ველი 6).

- 5 საფიქრალია, როგორ უნდა მოწესრიგდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მოვალეს ძირითად ვალდებულებასთან ერთად პროცენტი და სხვა ხარჯებიც გადასახდელი აქვს, მაგრამ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე გაგზავნილ შეტყობინებაში პროცენტისა და სხვა ხარჯების თაობაზე არაფერს უთითებს. შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევაში 429-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალოგიით გამოყენება და, შესაბამისად, ამ შემთხვევის ისე დაკვალიფიცირება, რომ, თუ შეტყობინებაში არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, იგულისხმება, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია?
- 6 ამ საკითხთან მიმართებით საინტერესო მიდგომაა ჩამოყალიბებული გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, დაუშვებელია, რომ შესასრულებელ ვალდებულებათა კანონისმიერი რიგითობა რაიმე ფორმის ნების გამოვლენით თუ რაიმეზე არმითითებით შეიცვალოს. შესაბამისად, შეტყობინებაში პროცენტისა და სხვა ხარჯების მიუთითებლობა მაინც არ გამორიცხავს მათი გადახდის კანონისმიერი რიგითობის მოქმედებას.¹ ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოვალე ცალსახად მიუთითებს, რომ, მაგალითად, ჯერ ძირითადი ვალდებულება უნდა დაიფაროს, მერე პროცენტი და ბოლოს ხარჯები, თუ ამას კრედიტორი არ დაეთანხმება, მაშინ ასეთი მითითება იურიდიული ძალის არმქონე და ბათილია.²
- 7 388-ე მუხლის იმპერატიული სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ზემოთ განხილულ საკითხთან მიმართებით (ველი 5) 429-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია და ვალდებულებათა დაფარვის კანონისმიერი რიგითობა იმპერატიულად, ყოველგვარი გადახვევების გარეშე, უნდა იქნეს დაცული (იხ. 387-ე-388-ე მუხლების კომენტ.).

III. მტკიცების ტვირთი

- 8 როგორც წესი, მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ მან რამდენიმე პასიური მოთხოვნიდან ერთ-ერთი ამოირჩია და მიუთითა გასაქვითად, ან ის, რომ მას არაფერი კონკრეტული არ მიუთითებია და რომ მოთხოვნათა გაქვითვის რიგითობა 388-ე-389-ე მუხლების მიხედვით უნდა წარიმართოს. აღნიშნულის საწინააღმდეგო პოზიციის მტკიცების ტვირთი კი, ბუნებრივია, კრედიტორს აკისრია.³

1 BGH NJW 81, 1729; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 396, Rn. 1; საინტერესოა ის გარემოება, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 367 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლისაგან განსხვავებულ რიგითობას ადგენს: კერძოდ, მითითებული პარაგრაფის თანახმად ჯერ უნდა დაიფაროს ხარჯები, შემდეგ პროცენტები და მხოლოდ ბოლოს ძირითადი ვალდებულება.

2 RG 132, 221.

3 *Schlüter*, in MüKo BGB, § 396, Rn. 4.

მუხლი 446. ვალდებულებათა გაქვითვა შესრულების სხვადასხვა ადგილის არსებობისას

ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როცა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი.

ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა 446-ე მუხლის თანახმად მაშინაც არის შესაძლებელი, როდესაც შესრულების ადგილები ერთი და იგივე არ არის. სავსებით შესაძლებელია, რომ სხვადასხვა ადგილი არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყოს, თუმცა ეს ფაქტორი მანამდე ვერ შეუშლის ხელს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას, სანამ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე ქართული სამართალი იქნება გამოსაყენებელი სამართალი. რამდენადაც, თუ საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმების მითითებით ან მხარეთა არჩევით იმ ქვეყნის სამართალი იქნება განსაზღვრული, რომელიც არ უშვებს ვალდებულებათა გაქვითვას მაშინ, როდესაც შესრულების სხვადასხვა ადგილია სახეზე, მაშინ ცხადია, რომ, გამოსაყენებელი სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ვერ მოხდება.¹

1

ზოგადად, ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრისას გამოიყენება 362-ე მუხლი. საფიქრალია, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ მხარეებმა ფიქციური შესრულების ადგილი განსაზღვრონ ხელშეკრულებით, რომელიც საერთოდ არ დაემთხვევა რეალურად ფაქტობრივ შესრულების ადგილს და რომლის მიზანი კოლიზიურსამართლებრივი საბაბის ხელოვნურად შექმნა იქნება. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობაში პირდაპირ არაფერი არ არის განსაზღვრული. თუმცა პრაქტიკაში ხშირია ხელშეკრულებები, როდესაც შესრულების ადგილი ფიქციურად არის განსაზღვრული და იგი შეფარვითი გზით გამოსაყენებელ სამართალსა და განსჯად სასამართლოზე შეთანხმებას ემსახურება. საკითხი იმის თაობაზე, თუ ასეთ ფიქციურ შესრულების ადგილზე შეთანხმებას რამდენად მიექცევა ყურადღება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისას, ასევე დაურეგულირებელია საქართველოს კანონმდებლობით. თუმცა, 446-ე მუხლის ზოგადი და ფართო ფორმულირებიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნა გაკეთდეს, რომ ვალდებულებათა გაქვითვა, ზოგადად, დასაშვებია ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნებისთვის გათვალისწინებულია შესრულების სხვადასხვა ადგილი, განურჩევლად ასეთი შეთანხმების სამართლებრივი ბუნებისა.

2

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, მართალია, თავად სხვადასხვა შესრულების ადგილის არსებობა ურთიერთმოთხოვნათა გაქ-

3

1 იქვე; *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 446, გვ. 554.

ვითვას ვერ აფერხებს, თუმცა ის ფაქტი, რომ კრედიტორი მოვალისაგან შესრულებას არა თავდაპირველ – სახელშეკრულებო პირობით გათვალისწინებულ, არამედ გასაქვითი მოთხოვნისთვის განკუთვნილ შესრულების ადგილზე იღებს. ეს კი წარმოშობს საკითხს იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა აანაზღაუროს ის დამატებითი ხარჯები, რაც შესრულების თავდაპირველი ადგილის ცვლილებით არის განპირობებული. ეს საკითხი შეიძლება 363-ე მუხლის ანალოგიური გამოყენების გზით გადაწყდეს.

მუხლი 447. მოთხოვნათა გაქვითვის დაუშვებლობა

მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია:

ა) თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;

ბ) თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო;

გ) თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამონვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ან სიკვდილით;

დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

- I. ზოგადად.....889
- II. მოთხოვნათა გაქვითვის ხელშეკრულებით გამორიცხვა (447 ა)889
- III. გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობა (447 ბ).....890
 - 1. ყადაღას არ ექვემდებარება:.....890
- IV. მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა ზიანისთვის (447 გ).....891
- V. მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (447 დ)892

I. ზოგადად

447-ე მუხლი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც, კანონმდებლის პო- 1
ზიციიდან, მათი განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონო-
მიკური ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ ურთიერთმოთხო-
ვნათა გაქვითვის გზით მოხდეს მსგავს ურთიერთობათა შეწყვეტა.

II. მოთხოვნათა გაქვითვის ხელშეკრულებით გამორიცხვა (447 ა)

მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არაფერს 2
ამბობს მხარეთა მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ხელშეკრულების
კონკრეტული პირობებით მორიგების თაობაზე, ხელშეკრულების მონაწი-
ლე მხარეების ის უფლება, რომ ხელშეკრულების დადებისთანავე ან მისი
მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვრონ პირობა, რომლითაც პირ-
დაპირ გამორიცხავენ მხარეთა შორის მოთხოვნების ურთიერთგაქვით-
ვის გზით შეწყვეტას, პირდაპირი რეგულირებით არის მოცემული (447 ა,
იხ. 442-ე მუხლის კომენტ., თავი V).

მხარეთა ეს უფლება გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლე- 3
ბისა და მხარეთა ნების კერძო ავტონომიის პრინციპიდან. შეიძლება ხში-
რი იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთ ან ორი-
ვე მხარეს აშკარად გამოკვეთილი იურიდიული ინტერესი ჰქონდეს, რომ,
მაგალითად, არაფულადი ვალდებულება რეალურად შესრულდეს და არ
მოხდეს მისი სხვაგვარი შესრულებით შეწყვეტა.¹

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 447, გვ. 555.

- 4 მაგალითის სახით გამოდგება ისეთი სიტუაცია, როდესაც არსებობს ურთიერთობა, სადაც კონკრეტული ტიპის მინერალური წყლის სადისტრიბუციო კომპანიასა და სამედიცინო კლინიკას შორის დაიდება 10000 ერთეული 0,8-ლიტრიანი ბოთლი მინერალური წყლის ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება (მიწოდების-ნასყიდობის ხელშეკრულება). კლინიკას მხოლოდ ხელშეკრულებით კონკრეტულად განსაზღვრული მინერალური წყალი ესაჭიროება, რომელსაც ის თავისი პაციენტების მკურნალობაში მუდმივად იყენებს. ამ მინერალურ წყალს კი მხოლოდ ერთადერთი კომპანია აწარმოებს, რომლის ექსკლუზიურ დისტრიბუტორსაც კლინიკის კონტრაქტენტი – სადისტრიბუციო კომპანია წარმოადგენს. კლინიკის პაციენტებისა და მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არის მინერალური წყლის შეთანხმებული ოდენობით შეუფერხებლად მიწოდება. ამ აუცილებლობის გათვალისწინებით, კლინიკას მიწოდება-ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეუძლია მუხლის განსაზღვრის მოთხოვნა, რომლითაც გამოირიცხული იქნება მისი მოთხოვნის – შესაბამისი მინერალური წყლის შეთანხმებული ოდენობით მისთვის მიწოდების თაობაზე – რაიმე სხვა სახის მოთხოვნით გაქვითვა. აღნიშნულმა პირობამ შეიძლება, თავის მხრივ, სადისტრიბუციო კომპანიას შეუქმნას იმის აუცილებლობა, რომ უკვე, თავის მხრივ, მან გააფორმოს იმავე შეზღუდვით თავისი ხელშეკრულება მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიასთან. სწორედ ასეთ და მსგავს სიტუაციებში შეიძლება 447-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გამოირიცხოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობა.

III. გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობა (447 ბ)

- 5 447-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია მაშინაც, როდესაც გადახდევინების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა, ან ვალდებულების საგანს სარჩო შეადგენს. ამ მუხლის მთავარი მიზანი ისაა, რომ მოვალისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ქონება საარსებო მინიმუმის სახით ხელშეუხებელი დარჩეს. ეს ნორმა იმპერატიული სამართლებრივი ბუნებისა და დაცვითი ხასიათისაა.²
- 6 საქართველოს კანონი საალსრულებო წარმოებათა შესახებ სპეციალურ დანაწესს ადგენს ამ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, დასახელებული კანონის 45-ე მუხლით განსაზღვრულია ის ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
- 7 1. ყადაღას არ ექვემდებარება:
- 8 ა) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;
- 9 ბ) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ

2 Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 394, Rn. 1; Schlüter, in MüKo BGB, § 394, Rn. 1.

- დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;
- გ) წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მე- 10
წველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით – ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;
- დ) პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურ- 11
ნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;
- ე) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური 12
თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.
- ვ) სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება; 13
- ზ) იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 14
რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.
2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება 15
იმ საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომელიც აუცილებელია პირის ყოფი-
თი საჭიროებისათვის.
3. ყადაღისაგან გათავისუფლება ზემოაღნიშნული საფუძვლით ეხება 16
საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს.
4. დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განი- 17
ხილება სასამართლო წესით.

IV. მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა ზიანისთვის (447 გ)

- 447-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოთხოვნათა გაქვითვა დაუ- 18
შვებელია, თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით ან სიკვდილით. ეს რეგულაცია შეეხება კანონსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებულ ზიანს. 447-ე მუხლის ეს დანაწესი იმპერატიული ხასიათისაა და მორალისა და ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეიძლება მი-

ჩნეულ იქნეს ისეთი შემთხვევა, თუ, მაგალითად, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიმყენებელი დაზარალებულის მიმართ თავისი სხვა მოთხოვნის გაქვითვით მოახდენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შეწყვეტას დაზარალებულის მიმართ.³ ამ მუხლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედაც რომ „უსანქციო პირადი შურისძიების“⁴ თავიდან არიდებაა. ეს მუხლი არ საუბრობს ბრალის ხარისხზე. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება, რომ ზიანის მიმყენებელი განზრახვით უნდა მოქმედებდეს. შესაბამისად, ის მხარე, რომელსაც გამიზნული აქვს, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა გამორიცხული იყოს, უნდა ამტკიცოს, რომ სახეზე იყო განზრახ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება.⁵

V. მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (447 დ)

- 19 447-ე მუხლის „დ“ პუნქტი უთითებს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გასაქვით მოთხოვნათაგან ერთ-ერთი მაინც იქნება იურიდიული ძალის არმქონე ან სხვა საფუძვლით განუხორციელებადი, მაშინ შეუძლებელი იქნება ურთიერთმოთხოვნით მისი გაქვითვა. თუმცა ამ შემთხვევასთან მიმართებით მოთხოვნის ხანდაზმულობა, მაგალითად, ყოველთვის ვერ იქნება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე უარის თქმის საფუძველი (443).
- 20 თუ, მაგალითად, მოთხოვნის მიმართ არსებობს შეცილების სამართლებრივი საფუძველი, მაშინ ამ მოთხოვნით გაქვითვის განხორციელებაც შეუძლებელი შეიძლება გახდეს.⁶

3 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 393, Rn. 1; *Schlüter*, in MüKo BGB, § 393, Rn. 1.

4 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 393, Rn. 1.

5 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 393, Rn. 5.

6 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 390, Rn. 1.

თავი მეოთხე

ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით

მუხლი 448. ცნება

ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

- I. მხარეთა შორის შეთანხმება893
 - 1. ვალის პატიების სამართლებრივი ბუნება.....893
 - 2. ვალის პატიების შეთანხმების დადება.....893
- II. ვალდებულების შეწყვეტა896
- III. საერთაშორისო ასპექტები.....897
- IV. მტკიცების ტვირთი900

I. მხარეთა შორის შეთანხმება

1. ვალის პატიების სამართლებრივი ბუნება

ვალის პატიებით, როგორც სამართლებრივი საშუალებით, კრედიტორი უარს ამბობს მის ვალდებულებითსამართლებრივ მოთხოვნაზე.¹ ამისათვის საჭიროა, რომ კრედიტორსა და მოვალეს შორის გაფორმდეს შესაბამისი შეთანხმება, რომლის საგანსაც სწორედაც რომ ვალის პატიება წარმოადგენს (448). ეს შეთანხმება კი სხვა არაფერია, თუ არა ხელშეკრულება.² შესაბამისად, ვალის პატიება ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეუძლებელია, აუცილებელია, რომ მეორე მხარე ამას დაეთანხმოს, ანუ დაიდოს შესაბამისი შეთანხმება, ხელშეკრულება.³

2. ვალის პატიების შეთანხმების დადება

კანონი ვალის პატიების ხელშეკრულების ნამდვილობისთვის არანაირ ფორმას არ განსაზღვრავს. შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ ვალის პატიების შესახებ ხელშეკრულება ფორმათავისუფალ ხელშეკრულებად შეფასდეს.⁴ ვალის პატიების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება კონკლუდენტური მოქმედებითაც დაიდოს. მაგალითად, სავალო საბუთის უკან დაბრუნებით, ან ე.წ. ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობის მხარეთა მიერ ნეგატიური აღიარებით.⁵ მთავარია, რომ ვალის პატიება არაორაზროვანი ქმედებით განხორციელდეს; კერძოდ, ვალის პატიების შესახებ შეთავაზება კრედიტორის მხრიდან აშკარად ერთაზროვნად აღქმადი

1 Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 1.
 2 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 558; Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 1; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 397, Rn. 5.
 3 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559; Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 1; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 397, Rn. 5.
 4 ჭანტურია, იქვე; Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 2; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 397, Rn. 8.
 5 ჭანტურია, იქვე; Schlüter, იქვე; Grüneberg, იქვე.

უნდა იყოს; ხოლო თუ კრედიტორის ნებაში არაორაზროვანი მომენტები იკვეთება, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, კრედიტორის ნება ძალიან ვიწროდ უნდა განიმარტოს და ვალის პატიება სავარაუდოდ არ უნდა იყოს.⁶ ასეთი მიდგომით დაცული უნდა იყოს კრედიტორის, როგორც უფლების მესაკუთრის, უფლება. არათუ ორაზროვანი ნების გამოვლენისას, არამედ ცალსახად ერთაზროვანი ნების გამოვლენით ვალის პატიებისასაც კი სასურველია, რომ აღნიშნულის დამატებით დამადასტურებელი თანმდევი გარემოებები იყოს სახეზე.⁷

- 3 ერთ-ერთ საქმეზე⁸ საკასაციო პალატამ განმარტა, „[...] რომ ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას (სკ 448-ე მუხლი), ამასთან, ეს ნება არაორაზროვნად უნდა იყოს გადმოცემული. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაში – მორიგების აქტში, სადაც საუბარია სოლიდარული მოვალის[აგან], ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისა, სხვა შესრულების მიღებასა და მორიგების ფარგლებში თავდების მის მიმართ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, არ არის დეკლარირებული კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება ვალის პატიებაზე, ამდენად, ეს გარიგება (მორიგება) არ შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის კონტექსტში.“
- 4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ განმარტების თანახმად (იხ. ველი 3) ცალსახად არის ჩამოყალიბებული პოზიცია იმის თაობაზე, რომ კრედიტორის ნებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მისი სურვილი ვალის პატიების გზით ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე.
- 5 მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, ვალის პატიების თაობაზე ხელშეკრულება მხარეთა კონკლუდენტური ქმედებითაც შეიძლება დაიდოს, თუმცა ვალის პატიების თაობაზე კრედიტორის ნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძალიან მკაცრად უნდა შემოწმდეს; კერძოდ, უნდა დადგინდეს, არსებული საქმის ვითარებიდან გამომდინარე, რამდენად ნათელია, რომ კრედიტორმა სოციალურად ტიპური ქმედებით აშკარად ვალის პატიება იგულისხმა და განიზრახა.⁹
- 6 ვალის პატიების ხელშეკრულების კონკლუდენტური ქმედებით დადება დასაშვებად ცნო 2014 წელს ერთ-ერთ საქმეზე მიღებული გადაწყვეტი-

6 Schlüter, in MüKo BGB § 397, Rn. 3; Grüneberg, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 397, Rn. 8.

7 Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 3.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის № ას-1087-1018-2012 გადაწყვეტილება.

9 Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 3.

ლებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ:¹⁰ კერძოდ, დავის საგანი იყო გადაუხდელი დაგროვილი ელექტროენერჯის საფასურის დავალიანების კონკლუდენტურად დადებული ვალის პატიების გზით შეწყვეტა. ელექტროენერჯის მიმწოდებელმა დაგროვილი დავალიანების გადაუხდელობის გამო შეუწყვიტა ელექტროენერჯის მიწოდება მოვალეს, რის შემდეგ მოვალემ მიმწოდებლისაგან მიიღო ქვითარი, რომელშიც ეს დავალიანება ჩამონერილი იყო და ამას, ამავე დროს, მოჰყვა ელექტროენერჯის მოვალისათვის მიწოდების აღდგენა. ამის ფონზე მოვალემ უარი თქვა დავალიანების თაობაზე აღძრულ თავის კერძო საჩივარზე, რამდენადაც კრედიტორის ქმედება მან ჩათვალა ვალის პატიებად. სასამართლომ კონკლუდენტურ ქმედებად მიიჩნია, ერთი მხრივ, მიმწოდებლის შემდეგი ქმედებები: მომდევნო ქვითრებში დავალიანების მიუთითებლობა/ჩამონერა და ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენა; მოვალის მხრიდან კერძო საჩივარზე უარის თქმა კი მოვალის მიერ კონკლუდენტური ქმედებით ვალის პატიების თაობაზე მიმწოდებლის შეთავაზების აქცეპტად მიიჩნია სასამართლომ. მართალია, მიმწოდებელი ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ ქვითარზე დავალიანების მიუთითებლობა ტექნიკური ხარვეზით იყო გამოწვეული, ის მის სრულ ნებას არ ასახავდა და მის განზრახვას არ შეესაბამებოდა, თუმცა ეს არგუმენტაცია უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა და დავალიანება მიმწოდებლის მიერ ვალის პატიებით შეწყვეტილად – მხარეთა შორის კონკლუდენტური ქმედებით ვალის პატიების ხელშეკრულების დადების საფუძვლით – ჩათვალა. იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ რამდენიმე სხვადასხვა დროით დათარიღებულ არცერთ ქვითარზე აღარ იყო მითითებული დავალიანება, სასამართლომ „[...] ქვითრების მონაცემების ურთიერთშეჯერების და ანალიზის საფუძველზე [...] დაასკვნა, რომ [...] ელექტროენერჯის მიმწოდებლის მხრიდან ცალსახად გამოვლინდა ნება 1329,39 ლარის ოდენობით დავალიანების გადახდისაგან აბონენტის გათავისუფლების თაობაზე, რომელიც, პალატის მოსაზრებით, არის შეუქცევადი.“¹¹

მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კრედიტორის კონკლუდენტური ქმედება ყოველთვის ვერ შეიძლება იყოს ვალის პატიების ხელშეკრულების ნამდვილობის საფუძველი, მითუმეტეს, ისეთ შემთხვევებში, როდესაც კრედიტორი თავად აცხადებს, რომ მისი განზრახვა ვალის პატიება არ იყო, როდესაც შესაბამის კონკლუდენტურ ქმედებას ახორციელებდა. შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონკლუდენტური ქმედებით ვალის პატიების ხელშეკრულება დადებულად მაშინ უნდა ჩაითვალოს, როდესაც კრედიტორის ნების განმარტებისთვის აშკარად გამოკვეთილი სერიოზული საფუძველი არსებობს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კრედიტორმა ვალის პატიება განიზრახა.¹² შესაბამისად, შეიძლება

7

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის № ას-851-809-2013 გადაწყვეტილება.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის № ას-851-809-2013 გადაწყვეტილება.

12 Schlüter, in MüKo BGB, § 397, Rn. 3.

გაკეთდეს შეფასება, რომ, თუ ქმედება, რომელიც შეიძლება კონკლუდენტურ ვალის პატიებად ჩაითვალოს არაერთგზის, განმეორებით განხორციელდება კრედიტორის მხრიდან, მაშინ საფიქრალია, აღნიშნულით შეიძლება დადასტურდეს კრედიტორის ნება, რომ მას ვალის პატიება სურდა პირველივე ქმედებისას.¹³ თუმცა, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რამდენადაც ძალიან რთული დასადგენია, თუ სად გადის ზღვარი რამდენიმე გზის განხორციელებული ქმედებისა და რამდენიმე გზის ქმედებით ჩადენილი შეცდომის სამართლებრივ შედეგებს შორის, რამდენადაც, თუ კრედიტორს შეცდომა მოუვიდა, ეს შეცდომა შეიძლება განმეორებით ხასიათს ატარებდეს.

II. ვალდებულების შეწყვეტა

- 8 ვალის პატიების გზით წყდება ვალდებულებითი ურთიერთობა ფართო ან ვიწრო გაგებით (იხ. 427-ე მუხლის კომენტ.) იმის მიხედვით, თუ რა იკვეთება მხარეთა შორის ვალის პატიების შეთანხმებიდან, შესაძლებელია, მხარეები მხოლოდ ვალის ნაწილობრივ პატიებაზე შეთანხმდნენ. მაგალითად, მხოლოდ დაგროვილი პირგასამტეხლოსა და/ან საურავის პატიება შეიძლება ისე მოხდეს, რომ ძირითადი ვალის გადახდის ვალდებულება დარჩეს ძალაში.¹⁴ ვალის პატიების გზით შეწყვეტილი ვალდებულება, როგორც სამართლებრივი შედეგი, შეუქცევადია.¹⁵ თუ მოთხოვნა შეწყვეტილია, ის მხოლოდ ახლიდან წარმოშობის გზით შეიძლება თავიდან დადგინდეს.¹⁶
- 9 ქართულ სამართალში შესაძლებელია, ვალდებულების ვალის პატიებით შეწყვეტა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეთანხმებით ვალდებულების შეწყვეტის (*contrarius consensus*) ნაირსახეობად შეფასდეს.¹⁷ ხელშეკრულების გაუქმებაზე მხარეთა შეთანხმებით თავისუფლად შეიძლება განისაზღვროს, თუ რა ნაწილში წყდება ვალდებულება, როდიდან და ასე შემდეგ. თუმცა ვალის პატიებით ვალდებულების შეწყვეტისაგან ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მხარეთა შეთანხმება სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით შემდეგი ფაქტორებით განსხვავდება: კერძოდ, ვალის პატიებისას კრედიტორის მოთხოვნა წყდება მოვალის წინაშე, თუმცა, თუ აღნიშნული შემთხვევა ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობას შეეხება, მაშინ სავსებით შესაძლებელია, მოვალეს, თავის მხრივ, ჰქონდეს კრედიტორისაგან რაიმის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, კრედიტორის მიერ ვალის პატიება არ გამოიწვევს მოვალის მოთხოვნის უფლების შეწყვეტასაც. ეს შედეგი შეიძლება მოთხოვნათა ურთიერ-

13 იქვე, Rn. 4.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 21 დეკემბრის № 3 კ/1069-01 გადაწყვეტილება.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის № ას-851-809-2013 გადაწყვეტილება.

16 *Schlüter*, in *MüKo BGB*, § 397, Rn. 10.

17 იქვე, Rn. 18.

თმოთხოვნით გაქვითვის შემთხვევაში დამდგარიყო (442). ვალის პატივების შემთხვევაში კი წყდება მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნა (448, 451). ხოლო, რაც შეეხება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეთანხმებას, როგორც წესი, მხარეთა ამგვარი შეთანხმებით წყდება მთლიანად სახელშეკრულებო ურთიერთობა მისგან წარმოშობილი ყველა სახის უფლებებისა და მოვალეობების ჩათვლით, თუ მხარეები ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეთანხმებით სხვაგვარად არ გაითვალისწინებენ რამეს.

ასევე საფიქრალია, თუ როგორ უნდა შეფასდეს პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი შეთანხმებების სამართლებრივი შედეგები, როდესაც, მაგალითად, კრედიტორი და მოვალე ე.წ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით თანხმდებიან, რომ მათ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ შესაბამის ურთიერთობასთან მიმართებით; ან ვალის პატივად უნდა შეფასდეს თუ არა, მაგალითად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის წარდგენილი ხელმოწერილი განცხადება იმის თაობაზე, რომ მას, შესაბამისი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დამსაქმებელთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, მაშინაც, როდესაც მას გამოუყენებელი აქვს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულება და არ აუღია ნამუშევარი თვის ნახევარი ხელფასი (იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მუხლები 21 IV და 37). ასეთ და მსგავს შემთხვევებზე სასამართლომ ინდივიდუალურად ზედმიწევნით უნდა შეაფასოს მხარეთა ნების არსი საქმის თანმდევი ფაქტობრივი გარემოებების ფონზე და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

III. საერთაშორისო ასპექტები

საყურადღებოა ასევე საერთაშორისო კომერციულ (ბიზნეს)ხელშეკრულებებში გავრცელებული სახელშეკრულებო დათქმის ე.წ. non-waiver clause-ის¹⁸ სამართლებრივი შედეგების ქართულ სამართლებრივ სივრცეში შეფასების საკითხი. როგორც წესი, non-waiver clause-ის ფორმულირება შემდეგია:¹⁹

„ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ მის სასარგებლოდ შესასრულებელი ვალდებულების ხელშეკრულების მეორე მხარის მხრიდან შესრულების არმოთხოვნამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს რაიმე სახის ეფექტი მხარის სრულ უფლებაზე, რომ მომავალში ნებისმიერ დროს მოითხოვოს აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე და ეს არმოთხოვნა არ უნდა განიმარტოს როგორც უარი შესრულების მიღებაზე. ასევე, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო მისთვის წარმოშობილი მოთხოვნის დაუყენებლობა არ უნდა ჩაითვალოს როგორც მისი უარი აღნიშნულ მოთხოვნაზე ან, საერთოდ, ვალდებულების დარღვევის განმსაზღვრელ მუხლზე.“

18 Bortolotti, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC), 2008, p. 189.

19 Bortolotti, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC), 2008, p. 189.

13 მსგავსი ტიპის სტანდარტული მუხლები სხვადასხვა ვარიაციით განიმარტება და გამოიყენება პრაქტიკაში, განსაკუთრებით საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს)ხელშეკრულებების დადებისას. თავად ის ფაქტი, რომ კრედიტორი მოთხოვნას არ იყენებს, ავტომატურად არ უნდა შეფასდეს როგორც კრედიტორისაგან მის სასარგებლოდ წარმოშობილი ვალის მოვალისათვის პატიება. სწორედ აღნიშნულზე ხაზის გასასმელად იწერება ხელშეკრულებებში მსგავსი მუხლი, რათა განისაზღვროს, რომ კრედიტორმა შეიძლება არ გამოიყენოს მისი მოთხოვნა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ, როცა იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს, მას შეუძლია, რომ ისარგებლოს თავისი მოთხოვნით მანამ, სანამ ამ მოთხოვნის განხორციელების ხანდაზმულობის ვადა არ გავა. თუმცა არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, მაგალითად, თუ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობისას მოვალეს ვალდებულება ჰქონდა, ყოველ მესამე თვეს კრედიტორის ინფორმირება მოეხდინა მომსახურების შესრულების მსვლელობის თაობაზე, მაგრამ მთელი 1 წელი ისე გავიდა, რომ მას ეს ვალდებულება არცერთხელ არ შეუსრულებია, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო რომ კრედიტორს უფლება აქვს, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, საკითხავია, თუ მთელი წელი ისე გავიდა, რომ კრედიტორს რეაქცია არ ჰქონდა მოვალის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ოთხჯერ დარღვევაზე, რამდენად შეიძლება რომ მან ამ დარღვევებით წარმოშობილი მოთხოვნის უფლება მეორე წელს დააყენოს? პრაქტიკულ სახელმძღვანელოებში არსებობს მოსაზრება, რომ კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის მქონე იურისდიქციის ქვეშ მსგავსი შემთხვევა ძნელად შეიძლება შეფასდეს როგორც ვალდებულების დარღვევა, რომლის საფუძველზეც კრედიტორს სახელშეკრულებო მოთხოვნის განხორციელების უფლება წარმოეშობა, რამდენადაც 1 წლის განმავლობაში მისი უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს ახალ წესებზე შეთანხმებად ან ამ დარღვევების გამო წარმოშობილი მოთხოვნების პატიებად, ან კიდევ, უფრო მეტიც, საერთოდ ამ წესის გაუქმებადაც კი.²⁰ ქართულ სამართლებრივ სივრცეში მოსამართლეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად მოუწევს საქმის გარემოებების შეფასება, რომლის დროსაც მას შესაძლებლობა ექნება, რომ კრედიტორის მსგავსი ქმედება განიხილოს, ერთი მხრივ, როგორც კონკლუდენტური ქმედების, ასევე, უბრალოდ, უფლების დროებით გამოუყენებლობის ჭრილში.

14 პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გარკვეული შედეგის დადგომას უკავშირებენ თავად ამ ურთიერთობის გაგრძელებას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანია სადისტრიბუციო ხელშეკრულების ფარგლებში უთანხმდება დისტრიბუტორს შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე, რომლის თანახმადაც:

²⁰ Bortolotti, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC) 2008, p. 189.

- 14.1. დისტრიბუტორი კისრულობს ვალდებულებას, რომ მწარმოებლისაგან ყოველწლიურად შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეიძენს 100000 ლარის ღირებულების მინერალურ წყალს (**შესაძენი მინიმუმი**). 15
- 14.2. იმ შემთხვევაში, თუ დისტრიბუტორი ვერ შეასრულებს 14.1. მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაშინ მწარმოებელს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს მისთვის მინიჭებული შემდეგი სამართლებრივი საშუალებებიდან ერთ-ერთი: 16
- 14.2.1. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება; ან 17
- 14.2.2. ცალმხრივად შეწყვიტოს დისტრიბუტორისთვის თავისი პროდუქციის ექსკლუზიური მიყიდვის უფლება (**ექსკლუზივი**); ან 18
- 14.2.3. ცალმხრივად შეუზღუდოს დისტრიბუტორს თავისი პროდუქციის რეალიზაციისათვის განსაზღვრული არეალი/ტერიტორია (**სამოქმედო არეალი**). 19
- 14.3. მწარმოებელმა 14.2. მუხლით მისთვის მინიჭებული უფლების განხორციელება უნდა მოახდინოს დისტრიბუტორისათვის მისი გადაწყვეტილების წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. 20
- 14.4. დისტრიბუტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 14.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მწარმოებლის მხრიდან მისთვის 14.2. მუხლით მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს დისტრიბუტორის მხრიდან ამ უფლებების პატიებად ან უფლებების გამოყენებაზე უარად ან მათ გაუქმებად. დისტრიბუტორს ნებისმიერ დროს უფლება აქვს, რომ ხანდაზმულობის ვადების ფარგლებში მიმართოს მისთვის 14.2. მუხლით მინიჭებულ სამართლებრივ საშუალებებს და დისტრიბუტორის მიმართ სათანადო ფორმით წარადგინოს საკუთარი მოთხოვნა. 21
- ასეთი სახის მეტ-ნაკლებად დეტალური სახელშეკრულებო რეგულირების პირობებში კი, მართალია, შეიძლება კვლავ განმარტების საგანი გახდეს მწარმოებლის მხრიდან თავისი უფლებების გამოყენების დაყოვნების ფაქტი, მაგრამ მხარეთა ნება და მოლოდინი დეტალური რეგულირების პირობებში უფრო მარტივად და ადეკვატურად განსაზღვრადია.²¹ შესაბამისად, შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში უფრო თავისუფლად გაკეთდეს დასკვნა, რომ მწარმოებლის მოთხოვნა არსებობს და განხორციელებადია მანამდე, სანამ მისი ხანდაზმულობის ვადა არ გავა. 22
- ეს შემთხვევა უნდა გაიმიჯნოს ისეთი სიტუაციისაგან, როდესაც კრედიტორი გარკვეული ტიპის ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ ხელშეკრულებით განაცხადებს უარს (410). ასეთ შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა წინასწარ 23

21 Bortolotti, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC), 2008, p. 190.

უკვე ხელშეკრულების გზით შეიძლება ჩაითვალოს ნაპატიებად და მისი სამართლებრივი შედეგები შეიძლება შეფასდეს 448-ე მუხლით, იმ პირობით, თუ თავად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დასაშვებია კონკრეტულ შემთხვევაში (395).

- 24 პრაქტიკაში ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც კრედიტორი მესამე პირის სასარგებლოდ დებს დაპირებას, რომ იგი არ გამოიყენებს თავის მოთხოვნას მოვალის მიმართ. ამ ინსტიტუტს *pactum de non petendo*-ს²² უწოდებენ. მესამე პირის უფლებები ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, 349-ე და 350-ე მუხლებით შეფასდეს, ხოლო, რაც შეეხება თავად მოვალესთან ურთიერთობას, საფიქრალია, თუ რამდენად შეიძლება მესამე პირის მიმართ გაკეთებული კრედიტორის დაპირება, თავის მხრივ, მოვალესთან მიმართებით ჩაითვალოს ვალის პატიებად.

IV. მტკიცების ტვირთი

- 25 როგორც წესი, მოვალემ უნდა ამტკიცოს, რომ ვალის პატიების თაობაზე ხელშეკრულება ნამდვილია და მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოსდევს; ამასთანავე, სასურველია, გათვალისწინება მოხდეს იმ ფაქტორისა, რომ თავად პატიების ფაქტი, როგორც ასეთი, მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს კრედიტორის ქმედების სავარაუდო შეფასების გზით (იხ. ველი 7).²³ თუ კრედიტორი სადავოს გახდის ვალის პატიებას იმ მოტივით, რომ მას რაიმე შეეშალა ან ტექნიკური მიზეზის გამო მოხდა მისი რეალური ნების გამოვლენის საპირისპირო შედეგის დადგომა, მაშინ მტკიცების ტვირთი უკვე გადადის უშუალოდ კრედიტორზე და მან უნდა ამტკიცოს, რომ ვალის პატიების შეთანხმება სახეზე არ არის.²⁴

22 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 560; *Schlüter*, in MüKo BGB, § 397, Rn. 9; *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 328, Rn. 8.

23 *Schlüter*, in MüKo BGB, § 397, Rn. 11.

24 იქვე, Rn. 17.

მუხლი 449. ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის

ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მულის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. 1

მართალია, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ (476), მაგრამ ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი ამ სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ თავის მოთხოვნას იტოვებს (449 1). გამოდის, რომ კრედიტორმა ასევე ყურადღება უნდა გამოიჩინოს სოლიდარულ მოვალეებთან ურთიერთობისას ვალის პატიების განხორციელების მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უშუალოდ არ მიუთითებს ვალის პატიების ხელშეკრულებაში, ან კრედიტორის კონკლუდენტური მოქმედებისას თუ გარემოებებიდან აშკარად არ იკვეთება, რომ კრედიტორს განზრახვა ჰქონდა, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ მას დაეტოვებინა მოთხოვნა, მაშინ ივარაუდება, რომ ვალის პატიება ვრცელდება ყველა სოლიდარულ მოვალეზე და, შესაბამისად, ყოველი მათგანის ვალდებულება წყდება. ეს ის სპეციალური შემთხვევაა, როდესაც კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს, რომ, თუ კრედიტორის მხრიდან სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნის დატოვების სურვილის თაობაზე პირდაპირ არ არის მითითებული, მაშინ ივარაუდება, რომ სხვა ვალი სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართაც ნაპატიებია (იხ. 448-ე მუხლის კომენტ., ველი 7). 2

449-ე მუხლი თავისი რეგულირების ფორმით საერთო კონტექსტს ქმნის 467-ე მუხლთან მიმართებით. კერძოდ, 449-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორმა ერთ-ერთ მოვალეს აპატია ვალი და ამ პატიებასთან მიმართებით არანაირი ფორმით არანაირი მითითება არ გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამართლებრივ მდგომარეობაში რჩებიან სხვა დარჩენილი სოლიდარული მოვალეები, მაშინ გამოდის, რომ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომლის წინაშეც განხორციელდა ვალის პატიება, ვალდებულება აღარ ეკისრება კრედიტორის წინაშე. ეს სოლიდარული მოვალე ისეთ სამა- 3

რთლებრივ სიტუაციაში დგება, თითქოს მას ვალდებულება კრედიტორის წინაშე სრულად შეესრულებინოს და, მაშასადამე, შეენწყვიტოს. 467-ე მუხლის თანახმად კი, ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება შესრულებისაგან ათავისუფლებს დანარჩენ მოვალეებსაც.

- 4 449-ე მუხლის მეორე წინადადება განსაზღვრავს, რომ „[...] ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.“ სიტყვათა წყობაში – „[...] ამ შემთხვევაში“ – უნდა იგულისხმებოდეს ის შემთხვევა, როდესაც მოვალე ვალის პატიებისას სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნას იტოვებს (449-ს პირველი წინადადება).
- 5 შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ვალის პატიებით მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან, ხოლო დანარჩენების მიმართ იტოვებს მოთხოვნის უფლებას, მაშინ სახეზე შემდეგი სამართლებრივი შედეგები დადგება. კერძოდ, როგორც წესი, ის სოლიდარული მოვალე, რომელსაც ვალი ეპატიება კრედიტორის მხრიდან, სრულად თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან და მის მიმართ ასევე წყდება დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლებაც (473).¹ დარჩენილ სოლიდარულ მოვალეებს კი, თავის მხრივ, უწყდებათ ვალდებულება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ვალის პატიებით კრედიტორმა შესაბამისი სოლიდარული მოვალე გაათავისუფლა. აქედან გამომდინარე, კრედიტორს დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ უნარჩუნდება მოთხოვნა იმ ნაწილში, რა ნაწილიც ნაპატიები ვალდებულების წილის გამოკლებით რჩება სახეზე, რომლის დაკმაყოფილების მიზნითაც მას უფლება აქვს, რომ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს.² მაგალითის სახით ეს ისეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, როდესაც სოლიდარული მოვალეების ვალი კრედიტორის წინაშე შეადგენდა 900 ლარს, საიდანაც თითოეული სოლიდარული მოვალის წილი იყო 300-300 ლარი. კრედიტორი თუ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს აპატიებს თავისი წილის ნაწილში ვალის გადახდას (900-300=600), მაშინ გამოვა, რომ კრედიტორს უფლება ექნება, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან მოითხოვოს 600 ლარის გადახდა.

1 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 423, Rn. 4.

2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 449, გვ. 560.

მუხლი 450. ძირითადი მოვალისათვის ვალის პატიების შედეგები

1. ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირებსაც.

2. თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან.

3. ერთ-ერთი თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც.

891-ე მუხლის თანახმად, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კის- 1
რულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მე-
სამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდე-
ბობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი
ვალდებულებებისათვის.

თავდებობის აქცესორული ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ, თუ ძი- 2
რითადი ვალი კრედიტორმა მოვალეს აპატია, მაშინ ამ პატიებით ვალდე-
ბულების შესრულებისაგან თავად თავდებიც თავისუფლდება (450 I).¹

იგივე შედეგი არ დგება ძირითადი მოვალისათვის, თუ ვალის პატიება 3
თავდების მიმართ ხორციელდება. კერძოდ, თუ თავდები კრედიტორმა გა-
ათავისუფლა ვალის გადახდისაგან, ეს იმავდროულად არ იწვევს ძირითა-
დი მოვალის ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებას (450 II).

450-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს, რომ ერთ-ერთი თავდების 4
განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პი-
რებსაც. ამ მუხლის დანაწესი ადგენს იმის პრეზუმფციას, რომ რამდენიმე
თავდების ურთიერთობაში ყოფნისას ერთ-ერთი მათგანის ვალის გადახ-
დისაგან გათავისუფლებაც კი საკმარისი არის, რათა სხვა დანარჩენი თა-
ვდებებიც გათავისუფლებულად ჩათვალოს. ეს მუხლი თავისი ხასიათით
449-ე მუხლის მსგავსია (იხ. 449-ე მუხლის კომენტ.).

450-ე მუხლის მესამე ნაწილთან მიმართებით საყურადღებოა 896-ე მუ- 5
ხლი, რომელიც თავდებობასთან მიმართებით გამოსაყენებელი სპეცია-
ლური ნორმაა და შემდეგი შინაარსის მატარებელია. კერძოდ, თუ ერთი
და იმავე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგე-
ბენ როგორც სოლიდარული მოვალეები, მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა
ერთობლივად არ უკისრიათ (896).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფიქრალია, თუ რამდენად შეი- 6
ძლება 449-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება ასეთ შემთხვევებზე. იმის
გათვალისწინებით, რომ თავდებები თავისი პასუხისმგებლობის მიმართ
სოლიდარულ მოვალეებად განიხილებიან კანონის მიერ, სავსებით ლო-
გიკურია, რომ 449-ე მუხლის გამოყენება მოხდეს ანალოგიურად ასეთ

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 450, გვ. 561; *Sprau*, in Palandt BGB Kommentar, 69. Aufl., § 767, Rn. 1.

თავდებებთან მიმართებითაც. შესაბამისად, გამოვა, რომ 450-ე მუხლის მესამე ნაწილს 449-ე მუხლი უდგენს საგამონაკლისო წესს. კერძოდ, თუ ერთ-ერთი თავდები გაათავისუფლა ვალის გადახდისაგან კრედიტორმა და, ამავე დროს, მან პირდაპირ მიუთითა, რომ იგი მხოლოდ ამ კონკრეტულ თავდებს ათავისუფლებს ვალის გადახდისაგან, ხოლო მეორე (ორი თავდების შემთხვევაში) ან სხვა დანარჩენ თავდებებთან მიმართებით იგი იტოვებს თავის მოთხოვნებს, მაშინ მარტივია დავასკვნათ, რომ 450-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი აღარ მოქმედებს და, შედეგად, ყველა თავდები არ თავისუფლდება ვალის გადახდისაგან.

მუხლი 451. ორმხრივ ხელშეკრულებებში მოთხოვნაზე უარის თქმის შედეგები

ორმხრივ ხელშეკრულებებში ერთ-ერთი მხარის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმა არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. იგი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობანი, ვიდრე მეორე მხარესაც არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნაზე.

ვალის პატივით კრედიტორი ათავისუფლებს მოვალეს ვალის შესრულებისაგან. შესაბამისად, წყდება მოვალის ვალდებულება, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება (იხ. 448-ე მუხლის კომენტ., ველი 9). თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ თავად კრედიტორის რაიმე ვალდებულება, რაც მას მოვალის წინაშე აკისრია იმავე ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან ასევე ავტომატურად წყდება. როგორც წესი, ორმხრივ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში, ერთი მხრივ, როგორც მოვალეს, ასევე კრედიტორსაც აქვს შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, კრედიტორის მხრიდან თავის უფლებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს მას ნაკისრი ვალდებულებისაგან. აქედან გამომდინარე, მოვალეს, რომელიც გაათავისუფლეს ვალდებულებისაგან, თავის მხრივ, როგორც კრედიტორს, ორმხრივ ურთიერთობებში უნარჩუნდება თავისი მოთხოვნა იმ მხარის (კრედიტორის) მიმართ, რომელმაც ვალი აპატია.

თუ მოვალე ასევე უარს იტყვის თავის მოთხოვნებზე, მაშინ გამოვა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების გაუქმებაზე (იხ. 448-ე მუხლის კომენტ., ველი 9). სანამ ასეთი შედეგი არ დადგება, კრედიტორის ვალდებულება, მოვალის წინაშე შეასრულოს მის წილად ნაკისრი ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ მოვალე გაათავისუფლა ვალდებულების შესრულებისაგან, მაინც ინარჩუნებს ძალას. 451-ე მუხლით არ ხდება ფართო გაგებით ვალდებულების შეწყვეტა, ანუ ვალდებულების ფართო გაგებით – მთლიანი ვალდებულებითი ურთიერთობის – შეწყვეტა (იხ. 427-ე მუხლის კომენტ., ველი 1). ამ შემთხვევაში სახეზეა მთლიანი ვალდებულებითი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილის, ერთ-ერთი ვალდებულების შეწყვეტა.

მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ მენარდეს შემკვეთისათვის უნდა დაემზადებინა 4 ერთეული საოფისე მაგიდა 800 ლარად (200 ლარი თითო მაგიდისთვის). 2 მაგიდის საფასური – 400 ლარი – შემკვეთმა გადაუხადა მენარდეს წინასწარ. როდესაც მენარდემ დაასრულა 3 მაგიდის დამზადება, შემკვეთმა უარი თქვა თავის მოთხოვნაზე მეოთხე მაგიდის დამზადების ნაწილში. შესაბამისად, მენარდე, რომელსაც ჯერ არანაირი ხარჯი არ ჰქონდა გაწეული მეოთხე მაგიდის დასამზადებლად, გათავისუფლდა ამ მაგიდის დამზადების ვალდებუ-

ლებისაგან. თუმცა მას მაინც შეუნარჩუნდა უფლება, რომ მენარდისაგან მოითხოვოს მესამე მაგიდის გადაუხდელი საფასურის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ მენარდეს გარკვეული გონივრული ხარჯები უკვე განეული ექნებოდა მეოთხე მაგიდის დასამზადებლად, მაშინ მას ასევე ექნებოდა უფლება, ედავა განეული ხარჯების, როგორც წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების, თაობაზე (394, 409, 412, 414).

თავი მესუთა

ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

მუხლი 452. ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება

ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება.

იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელსაც 452-ე მუხლი ეფუძნება, **1 კონფუზია** ეწოდება.¹ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოთხოვნის უფლება და შესრულების ვალდებულება ერთი და იმავე პირის ხელში აღმოჩნდება.² ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს, როდესაც, მაგალითად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას გამსესხებელი დაუთმობს მსესხებელს, მათ შორის არსებული სხვა ურთიერთობიდან გამომდინარე.

452-ე მუხლი საუბრობს **ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტასა** **2** და არა **ვალდებულების შეწყვეტაზე**. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება საუბარი ვალდებულებითი ურთიერთობის ფართო და ვიწრო გაგებაზე (იხ. 427-ე მუხლის კომენტ., ველი 1). შესაბამისად, კონფუზიით შეიძლება მთლიანი ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდეს ან ამ ურთიერთობის შემადგენელი კონკრეტული ვალდებულება.

კონფუზია თავისი ხასიათით შეიძლება ვალის პატიებასაც ჰგავდეს. **3** იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, მსესხებელს, თავის მხრივ, გარკვეული სახის მოთხოვნა აქვს გამსესხებლის მიმართ, მაშინ ვალდებულება შეწყდება მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მსესხებელი კონკრეტული ვალდებულების, როგორც შესრულების მოთხოვნის უფლების, ასევე ამავე ვალდებულების შესრულების ვალდებულების მესაკუთრე აღმოჩნდება. მაგალითად, თუ მსესხებელმა ბანკისაგან აიღო სამოგზაურო პაკეტის დაფინანსების მიზნით 2000 ლარის სესხი და გააფორმა 2-წლიანი სესხის ხელშეკრულება, ბანკის აქცია კი ითვალისწინებდა, რომ სამოგზაურო პაკეტის დაფინანსების მიზნით 1500 ლარზე მეტი ოდენობით სესხის აღებისას ბანკი უზრუნველყოფდა მსესხებელს ასევე სამოგზაურო დაზღვევის პოლისით. სამოგზაურო დაზღვევის პოლისის პირობები ბანკს სესხის ხელშეკრულებაში ჰქონდა გათვალისწინებული როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და იმავე იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. სამოგზაურო დაზღვევის პირობების თანახმად, მსესხებელს შეეძლო ესარგებლა სამოგზაურო დაზღვევით 3 წლის განმავლობაში 3 სხვადასხვა მოგზაურობისას. პირველი მოგზაურობის შემდეგ, როდესაც მსესხებელს სესხის

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 452, გვ. 563; *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 2000, გვ. 89.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის № ას-857-908-2011 გადაწყვეტილება; 2011 წლის 8 ივნისის № 3კ/312-01 გადაწყვეტილება.

მხოლოდ ერთი თვის პროცენტი ჰქონდა ბანკისთვის გადახდილი, ბანკმა, გარკვეული შიდაორგანიზაციულ-სტრატეგიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2500 ლარამდე სამოგზაურო პაკეტის დაფინანსების მიზნით გაცემული სესხების პორტფელები მთლიანად დაეთმოთ თავიანთი მსესხებლებისთვის. შესაბამისად, ასეთი დათმობის შემდეგ, ცხადია, მსესხებელი გახდებოდა როგორც სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების, ასევე მისი ვალდებულების მესაკუთრე. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულების ნაწილში ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება. თუმცა, რაც შეეხება სამოგზაურო დაზღვევის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილ მსესხებლის უფლებას ბანკის წინაშე, ის, როგორც წესი, შეინარჩუნებს ძალას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარ შერეულ ხელშეკრულებებში (სესხი + დაზღვევა) ცალსახად არ იქნება მითითება გაკეთებული იმ გარემოებაზე, რომ სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაუქმება ავტომატურად იწვევს სამოგზაურო დაზღვევის პირობების სრულად გაუქმებასაც.

- 4 კონფუზია შეიძლება იყოს მაშინაც, როდესაც მოვალის სამკვიდრო ქონებას იღებს კრედიტორი ისეთი პირობების არსებობისას, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის უფლება სწორედ სამკვიდრო ქონების მის საკუთრებაში გადაცემა იყო.³
- 5 იურიდიულ პირთა შერწყმის შემთხვევაშიც შეიძლება სახეზე იყოს კონფუზია.⁴ მენარმეთა შესახებ კანონის 144-ე მუხლით საწარმოს რეორგანიზაციის ფორმებს შორის განსაზღვრულია შერწყმაც, რომელსაც ორი ფორმა აქვს – გაერთიანება და მიერთება: საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე (იხ. მენარმეთა შესახებ კანონის მე-144 მუხლის მეოთხე ნაწილი). მაგალითად, თუ საწარმოს, რომელმაც მეორე საწარმო მიიერთა, მოთხოვნის უფლება ჰქონდა ამ მიერთებული საწარმოს წინაშე, მაშინ გამოდის, რომ კრედიტორი და მოვალე ერთი და იგივე პირია და, შესაბამისად, ვალდებულებაც შეწყვეტილია. თუ ეს საწარმოები, უბრალოდ, სხვა საწარმოს სოლიდარული მოვალეები არიან, მაშინ ასეთი შერწყმა ვერ გამოიწვევს ვალდებულების შეწყვეტას;⁵ საწარმო, რომელიც მიიერთებს სხვა საწარმოს ან რომელიც გაერთიანების შედეგად წარმოიქმნება, უბრალოდ, გახდება თავდაპირველი სოლიდარული მოვალეების სამართალმემკვიდრე და პასუხისმგებელი პირი კრედიტორის წინაშე.

3 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 452, გვ. 563; *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 2000, გვ. 89.

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 452, გვ. 564.

5 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 452, გვ. 564.

მუხლი 453. ვალდებულების შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო

1. მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე.

2. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.

453-ე მუხლში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მოვალის ან კრედიტორის პიროვნებაზე. კერძოდ, იმაზე, თუ რამდენად არსებითი პირობაა კრედიტორის ან მოვალის პიროვნება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის მიზნებისათვის.¹

371-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. გამოდის, თუ კანონი, ხელშეკრულება ან თავად ვალდებულების ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ, ვალდებულების ხასიათისა და მოვალის პიროვნების განსაკუთრებული თვისებების გათვალისწინებით, აუცილებელია, ვალდებულება უშუალოდ მოვალემ შეასრულოს, მაშინ მისი შესრულება მესამე პირებს არ შეუძლიათ. სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულებას განსაზღვრავს ასევე 632-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

1484-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი.²

453-ე მუხლის პირველი ნაწილი სწორედ ისეთ შემთხვევას არეგულირებს, როდესაც ის მოვალე გარდაიცვლება, რომელსაც უშუალოდ უნდა შეესრულებინა ვალდებულება და ვინაიდან იგი გარდაიცვალა, შესრულება შეუძლებელია.³ სწორედ ამიტომაც ვალდებულება წყდება, ანუ სახეზე არის ისეთი გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების იმგვარად შესრულებას, როგორც ეს ხელშეკრულებით იყო თავიდან გათვალისწინებული. მაგალითად, თუ კონცერტზე უნდა ემღერა მომღერალს, რომელიც კონცერტამდე გარდაიცვლება, მართალია, მისი ნების გამოვლენა

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ოქტომბრის № ას-1166-1186-2011 გადაწყვეტილება, 2011 წლის 28 თებერვლის № ას-1293-1138-2010 გადაწყვეტილება; 2010 წლის 6 მაისის № ას-90-85-10 გადაწყვეტილება.

2 ჭანტურია, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 453, გვ. 564.

3 შესრულების შეუძლებლობასთან და გართულებასთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 96, 99, 106.

ნამდვილი იქნება ხელშეკრულების დადების თაობაზე, ვინაიდან იგი მის გარდაცვალებამდე განხორციელდა (51 III), თუმცა მისი შესრულება ობიექტურად შეუძლებელია. შესაბამისად, გარდაცვლილი მომლერლის, როგორც მოვალის მემკვიდრეების, მიმართ შეუძლებელი იქნება კონცერტის ორგანიზატორის (კრედიტორის) მხრიდან პრეტენზიების წაყენება (1484, 394 I, 8 III). სხვაგვარად იქნებოდა საკითხი, თუ გარდაცვლილი მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე შესაძლებელი იქნებოდა ვალდებულების შესრულება.

- 5 453-ე მუხლის მეორე ნაწილი მისივე პირველი ნაწილის დანაწესის ანალოგ რეგულაციას შეიცავს, უბრალოდ, კრედიტორთან მიმართებით. როგორც წესი, კრედიტორის გარდაცვალება არ წარმოადგენს მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს. მოვალის წინაშე კრედიტორის მოთხოვნებით კრედიტორის მემკვიდრეებს შეუძლიათ, რომ ისარგებლონ.⁴ თუმცა, თუ საქმე ეხება ისეთ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც უშუალოდ, პირადად კრედიტორისათვის არის შესასრულებელი, მაშინ მოქმედებს 453-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული საგამონაკლისო წესი. კერძოდ, კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში ვალდებულება წყდება.
- 6 მაგალითად, თუ კონკრეტულმა პირმა გათამაშებაში მოიგო სამედიცინო კლინიკის უფასო სამედიცინო მომსახურების ვაუჩერი, რომლის პირობების თანახმადაც გათამაშების შემდეგ ვაუჩერით სარგებლობის წესებში დეტალურად ჩაინერა შემდეგი პირობები: „აღნიშნული ვაუჩერი განკუთვნილია მხოლოდ ვაუჩერის გათამაშებაში მოგების გზით გამხდარი ფიზიკური პირი მესაკუთრის პირადი სარგებლობისთვის“, ვაუჩერი არის მხოლოდ ამ კონკრეტული პირის საკუთრება და იგი არ ექვემდებარება მესამე პირებისთვის გადაცემას, დათმობას, რეალიზაციას, სხვა სახით განკარგვას ან ვაუჩერის სანაცვლოდ სხვა სახის კომპენსაციის მიღებას. ასეთი პირობების შემთხვევაში სავარაუდოა, რომ, თუ ვაუჩერის მესაკუთრე გარდაიცვლება, მაშინ კლინიკის ვალდებულება – ვაუჩერის მესაკუთრის სასარგებლოდ შეესრულებინა ვაუჩერით გათვალისწინებული ვალდებულებები ვაუჩერის მესაკუთრის მკურნალობასთან დაკავშირებით – შეწყვეტილად შეიძლება შეფასდეს 453-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად.

4 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 453, გვ. 565.

მუხლი 454. ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო

**იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის და-
მთავრების რეგისტრაციის მომენტიდან.**

24-ე მუხლი განსაზღვრავს იურიდიული პირის ცნებასა და მის სახე- 1
ებს ქართულ სამართლებრივ სისტემაში. კერძოდ, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (24 I). იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მენარმეობას, ან იყოს საჯარო სამართლის იურიდიული (24 II, III).

454-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ლიკვიდაცია მისი ვალდე- 2
ბულების შეწყვეტის საფუძველია. აქ იგულისხმება იურიდიული პირის, როგორც მოვალის, ვალდებულების შეწყვეტა. 454-ე მუხლი, განსხვავებით 453-ე მუხლისგან, არაფერს ამბობს, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც იმ იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხდება, რომელიც კრედიტორია. თუმცა ეს საკითხი სპეციალური კანონებით არის მოწესრიგებული.¹

სამენარმეო იურიდიული პირების ლიკვიდაციის პროცესი და მისი 3
სამართლებრივი მექანიზმები განსაზღვრულია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლში. ამ მუხლის თანახმად, კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს და იგი საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება მე-14 მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. ამ 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ხსენებული მე-14 მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის № ას-808-757-2010 გადაწყვეტილება, 2006 წლის 6 მარტის № ას-974-1247-05 გადაწყვეტილება; 2003 წლის 30 ოქტომბრის № ას-129-829-03 გადაწყვეტილება.

- 4 გამოდის, რომ ლიკვიდაციის პროცესი სწორედაც რომ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეძღვნება და ამ პროცესის დასრულების შემდეგ ხდება სამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის რეგისტრაცია. ეს რეგისტრაცია კი ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ იურიდიული პირის „[...] ლიკვიდაციის შემთხვევაში აღარ არსებობს პირი, რომლის მიმართაც შეიძლება აღსრულდეს გადაწყვეტილება, რის გამოც პალატა მიიჩნევს, რომ უნდა შეწყდეს არა მხოლოდ სააპელაციო, არამედ მთელი სასარჩელო წარმოება.“²
- 5 იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირის ქონება არ ეყო რომელიმე კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებას და ისე მოხდა მისი ლიკვიდაცია, მაშინ შესაბამისი შედეგის ორი შესაძლო ვარიანტი შეიძლება იქნეს განხილული: ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კრედიტორის რისკი იყო, დაიკმაყოფილებდა თუ არა იგი მოთხოვნას და, შესაბამისად, იურიდიული პირის ლიკვიდაციით მოხდა მისი შესაბამისი ვალდებულების შეწყვეტა, ეს ვალი კი შესაძლოა, საგადასახადო მიზნებისათვის კრედიტორმა უიმედო ვალების რეგულაციას დაუქვემდებაროს; მეორე მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირის ვალდებულება კვლავ არსებობს,³ უბრალოდ იგი განუხორციელებელია.
- 6 არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება 38-ე მუხლისა და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად.
- 7 საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება სპეციალური კანონების შესაბამისად.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის № ას-412-804-06 გადაწყვეტილება.

³ *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 454, გვ. 566.

კარი მეშვიდე

კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში

თავი პირველი

სოლიდარული კრედიტორები

მუხლი 455. სოლიდარული უფლებამოსილება

თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს – სოლიდარულ კრედიტორებს.

- I. ნორმის არსი და მიზანი913
- II. მოკლე ისტორიული ექსკურსი913
- III. სოლიდარული უფლებამოსილების მნიშვნელობა.....914
 - 1. მოვალისათვის914
 - 2. კრედიტორებისათვის915
- IV. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის წინაპირობები915
 - 1. რამდენიმე კრედიტორი915
 - 2. ერთი და იგივე მოვალე916
 - 3. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა916
 - 4. თითოეული კრედიტორის უფლებამოსილება მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე.917
 - 5. მოვალის ერთჯერადი ვალდებულება917
- V. სამართლებრივი შედეგები.....917
- VI. საპროცესოსამართლებრივი საკითხები918

I. ნორმის არსი და მიზანი

ნორმა კრედიტორთა სიმრავლის ერთ-ერთი სახის სოლიდარული უფლებამოსილების ლეგალურ დეფინიციას იძლევა. მრავალ კრედიტორთაგან თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრულების მოთხოვნა, მაშინ როცა მოვალე მხოლოდ ერთხელ არის შესრულების განხორციელებაზე ვალდებული. ამ რეგულირებით ნორმა ზუსტად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია კრედიტორების სოლიდარულ კრედიტორებად მიჩნევისათვის. ამასთან, იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის სამართლებრივი შედეგების კუთხითაც, იმ თვალსაზრისით, რომ საზს უსვამს მოვალის მიერ ვალდებულების მხოლოდ ერთჯერადი შესრულების ვალდებულებას. მართალია, აღნიშნული შესრულების სამართლებრივი შედეგები 455-ე მუხლის ტექსტიდან ნათლად

1

არ გამომდინარეობს, თუმცა ისინი ნორმატიულ განვრცობას და ასახვას სხვა მუხლებში პოულობენ.

II. მოკლე ისტორიული ექსკურსი

- 2 სოლიდარული უფლებამოსილებად ასაბამს რომის სამართლიდან იღებს.¹ რომის სამართალი წარმომადგენლობის (103) მსგავსად არც მოთხოვნის დათმობის (199) ინსტიტუტს იცნობდა.² აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სოლიდარული უფლებამოსილების მზარდი როლი რომაულ სამართალში. სწორედ სოლიდარული უფლებამოსილება იძლეოდა იმის საშუალებას, რამდენიმე პირს კონკრეტულ უფლებაზე მისი განკარგვის, მიღებისა და სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება ამომწურავად და გამოუთხოვად მინიჭებოდა.³ ევროპულ *ius commune*-ში ამ ინსტიტუტის ასახვაც რომაული სამართლის გავლენას უნდა მივანეროთ.⁴ რაც შეეხება ქართულ კერძო სამართალს, მასში აღნიშნული ინსტიტუტის რეცეფიცია სწორედ ევროპული კერძო სამართლის გავლენით აიხსნება.

III. სოლიდარული უფლებამოსილების მნიშვნელობა

1. მოვალისათვის

- 3 სოლიდარული უფლებამოსილება განსაკუთრებით მიმზიდველია მოვალისათვის.⁵ 457-ე მუხლის საფუძველზე იგი უფლებამოსილს ხდის მოვალეს, ნებისმიერი კრედიტორის წინაშე შეასრულოს ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთმა კრედიტორმა წარუდგინა შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით (იხ. 457 მუხლის კომენტ., ველი 6-9). ფაქტობრივად, ამ შემთხვევის გარდა, მოვალეს სრული თავისუფლება აქვს კრედიტორის არჩევაში (იხ. 457 მუხლის კომენტ., ველი 4). წილობრივი უფლებამოსილებისაგან განსხვავებით, მას არ ევალება იმაზე ფიქრი და იმის გარკვევა, თუ რა ოდენობით უნდა შეასრულოს მან ვალდებულება თითოეული კრედიტორის წინაშე.⁶ რეალურად მოვალეს საერთოდ არ ანაღვლებს ის, თუ თითოეული კრედიტორი საბოლოოდ შესრულების რა ოდენობის მოთხოვნაზეა უფლებამოსილი. ჩვეულებრივ, იგი მთლიანად ასრულებს ვალდებულებას ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე და კრედიტორთა შორის ამ შესრულების საბოლოო განაწილებას თვითონ კრედიტორებს მიანდობს.⁷

1 შდრ. Kaser, *Das römische Privatrecht*, 2. Aufl., 1971, § 154 S. 548 ff.; Meier, in Schmoeckel/Rückert/Zimmermann, *HKK zum BGB, BD II, Teilband II*, § 420-432 II, S. 2578, Rn. 3ff.

2 Meier, *Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes weil überflüssiges Wesen?* AcP 205, 2005, S. 861.

3 შდრ. Böttcher, in Ermann, *BGB*, 14. Aufl., § 428, Rn. 2; Schmoeckel/Rückert/Zimmermann/Meier, *HKK zum BGB, BD II, Teilband II*, § 420-432 II, S. 2578, Rn. 5.

4 Meier, *Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes weil überflüssiges Wesen?* AcP 205, 2005, S. 861.

5 Looschelders, *Schuldrecht AT*, 10. Aufl., 2012, § 55, Rn. 1183.

6 Staudinger/Looschelders, *BGB Neubearbeitung 2017*, Buch II, § 428, Rn. 9.

7 შდრ. Selb, *Mehrheiten von Gläubigern und Schuldner*, 1984, S. 244; Rütten, *Mehrheit von Gläubigern*, 1989, S. 146.

სოლიდარულ უფლებამოსილებას მოვალისათვის დადებით მხარეებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც აქვს. ეს უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე მოვალეს შეუძლია, ნებისმიერი სხვა სოლიდარული კრედიტორის მიმართ შეასრულოს ვალდებულება და ვალდებულება ამგვარად შეწყვიტოს.⁸ შესაბამისად, მოვალის ამგვარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, დიდია იმის საფრთხე, რომ დარჩენილმა სოლიდარულმა კრედიტორებმა წაუყენონ მას მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მოვალეს მოუწევს რამდენიმე სამართლებრივ დავაში რამდენიმე კრედიტორისაგან თავის დაცვა და იმის მტკიცება, რომ ვალდებულება სრულად შეასრულა.⁹

2. კრედიტორებისათვის

სოლიდარული უფლებამოსილება არ არის ხელსაყრელი კრედიტორთათვის. მართალია, უფლებამოსილ პირთა სიმრავლე, ერთი შეხედვით, ხელსაყრელის შთაბეჭდილებას ტოვებს იმ თვალსაზრისით, რომ სოლიდარულ კრედიტორს სხვა უფლებამოსილ პირთა „დახმარების“ გარეშე შეუძლია, სარჩელი წარადგინოს მოვალის წინააღმდეგ და მთლიანი დაკმაყოფილება მიიღოს,¹⁰ თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში აღნიშნული უფლებამოსილება საკმაოდ დიდი რისკების შემცველია კრედიტორთათვის. მართალია, სოლიდარული უფლებამოსილება თითოეულ კრედიტორს ანიჭებს უფლებას, მთლიანი შესრულება მოითხოვოს, თუმცა თითოეული სოლიდარული კრედიტორი ვერ იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული იმაში, რომ მოვალე მის წინაშე განახორციელებს ვალდებულების შესრულებას.¹¹ რა თქმა უნდა, მას შეუძლია, სარჩელი აღძრას სასამართლოში, მიმართოს იძულებით აღსრულებას, მაგრამ სანამ იძულებითი აღსრულება არ მომხდარა, მოვალეს შეუძლია, ნებისმიერი სხვა კრედიტორის წინაშე შეასრულოს ვალდებულება.¹² ამ შემთხვევაში იმ კრედიტორის საწუკვარი მიზანი, რომელმაც იძულებით აღსრულებას მიმართა, რათა შესრულება მას მიეღო, ვერ განხორციელდება.

ნებისმიერ სოლიდარულ კრედიტორს შეუძლია, ვალდებულების შესრულების მიღებით მოვალის ვალდებულება შეწყვიტოს ასევე სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართ. შედეგად იმ სოლიდარულ კრედიტორებს, რომელთაც შესრულება არ მიუღიათ მოვალის მხრიდან, მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებად 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნაღა რჩებათ. ეს მოთხოვნა სუსტი ვალდებულებითსამართლებ-

8 შენიშვნა: ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457 მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

9 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989. S. 146.

10 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 43. Aufl., 2019, § 37, Rn. 32.

11 Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984. S. 245.

12 შენიშვნა: ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457-ე მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

რივი მოთხოვნაა, რომლის განხორციელებაც შესრულების მიმღები კრედიტორის **გადახდისუნარიანობაზეა** დამოკიდებული.¹³ შესაბამისად, სოლიდარული უფლებამოსილების დროს თითოეული სოლიდარული კრედიტორი ცალკეულ სოლიდარულ კრედიტორთა **გადახდისუნარიანობის რისკის** მატარებლად გვევლინება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს პირველი 462-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულების სრულად მიმღები კრედიტორის მიმართ მოთხოვნაზეა უფლებამოსილი.¹⁴

IV. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის წინაპირობები

1. რამდენიმე კრედიტორი

- 7 იმისათვის, რომ სოლიდარული უფლებამოსილება იყოს სახეზე და, შესაბამისად, სოლიდარულ კრედიტორებთან გვექონდეს საქმე, აუცილებელია ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში **რამდენიმე უფლებამოსილი პირის — რამდენიმე კრედიტორის** არსებობა (455). სოლიდარული უფლებამოსილება და, შესაბამისად, სოლიდარული კრედიტორები არ იქნებიან, თუ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალე და ერთი კრედიტორი მონაწილეობს.¹⁵

2. ერთი და იგივე მოვალე

- 8 სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის გადამწყვეტია, რომ თითოეულ კრედიტორს **ერთი და იმავე მოვალის** მიმართ ჰქონდეს შესრულების მოთხოვნა (455). სოლიდარულ უფლებამოსილ პირებად ვერ ჩაითვლებიან კრედიტორები, თუ ისინი სხვადასხვა მოვალის მიმართ არიან შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილინი.

3. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა

- 9 თითოეული კრედიტორი **ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე** უნდა იყოს უფლებამოსილი (455). კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ-მცა მართებული იქნება, თუ ვიცყვით, რომ კრედიტორები **მსგავსი შესრულების მოთხოვნაზე** უნდა იყვნენ უფლებამოსილინი.¹⁶ საქმე ისაა, რომ სოლიდარული უფლებამოსილება მოვალესა და ცალკეულ კრედიტორს შორის დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობას გულისხმობს (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**).¹⁷ ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეულ სოლიდარულ კრედიტორს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნა

13 შდრ. *Medicus*, Mehrheit von Gläubigern, JuS 1980 S. 697, 698; *Barbara Völzmann-Stickelbrock*, in BGB Nomoskommentar Schuldrecht, 2. Aufl., Band 2, § 428, Rn. 1.

14 *Barbara Völzmann-Stickelbrock*, in BGB Nomoskommentar Schuldrecht, Band 2, 2. Aufl., § 428, Rn. 1.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის № ავ-951-989-2011 განჩინება.

16 შდრ. *Larenz*, Schuldrecht I, 14. Aufl., S. 626; *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984. S. 245.

17 შდრ. *Böttcher*, in Ermann BGB, 13. Aufl., §428, Rn. 1; *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1989. S. 154f, 157ff; *Looschelders*, Schuldrecht AT, 10. Aufl., 2012, §55, Rn. 1185.

აქვს,¹⁸ რომელიც მჭიდროდაა სხვა კრედიტორის მოთხოვნებთან ურთიერთდაკავშირებული და ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას კრედიტორთა სიმრავლით. **მოთხოვნათა ურთიერთკავშირი** იმით ვლინდება, რომ მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანი შესრულება ათავისუფლებს მას სხვა კრედიტორთა წინაშე შესრულების ტვირთისაგან (458).¹⁹ ნორმის ამ რეგულირებიდან გამომდინარე, ამგვარი შედეგის მიღწევა მხოლოდ ისეთ შესრულებას შეუძლია გამოიწვიოს, რომელიც ყველა კრედიტორის **შესრულების ინტერესს** დააკმაყოფილებს. შესაბამისად, სოლიდარული უფლებამოსილება უნდა გამოვრიცხოთ იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე კრედიტორი ერთი და იმავე მოვალის მიმართაა უფლებამოსილი, თუმცა სხვადასხვა შესრულებაზე. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს ამავდროულად სხვა კრედიტორის შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებას.

4. თითოეული კრედიტორის უფლებამოსილება მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე.

სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ თითოეული კრედიტორი **მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე** იყოს უფლებამოსილი (455). აღნიშნული რეგულირების საფუძვლად გვევლინება მოვალესა და ცალკეულ სოლიდარულ კრედიტორს შორის არსებული **დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა**. ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეულ კრედიტორს შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვს. სოლიდარული უფლებამოსილება არ განაპირობებს ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დამოუკიდებელ მოთხოვნათა გაქრობას, არამედ თითოეული მოთხოვნა ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.²⁰ შესაბამისად, თითოეული კრედიტორი შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის შესაკუთრედ გვევლინება.²¹ თითოეულ მათგანს შეუძლია, მთლიანი შესრულება მოითხოვოს მოვალისაგან ისე, რომ ამისათვის სხვა სოლიდარულ კრედიტორთა „დახმარება“ არ არის აუცილებელი.²²

10

5. მოვალის ერთჯერადი ვალდებულება

სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობაა მოვალის **ერთჯერადი ვალდებულება** მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე (455).²³ **ერთჯერადი ვალდებულება** მოვალის მიერ

11

18 შდრ. *Bohdg*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 455, გვ. 569.

19 შდრ. *Larenz*, *Schuldrecht I*, 14. Aufl., S. 626, 638; *Völzmann-Stickelbrock*, in *BGB Nomoskommentar Schuldrecht*, Band 2, 2. Aufl., § 428, Rn. 2; *Schulze*, in *BGB-HK*, 7. Aufl., § 428, Rn. 5.

20 *Schulze*, in *BGB-HK*, 7. Aufl., § 428, Rn. 5.

21 შდრ. *Böttcher*, in *Ermann*, *BGB Komm*, 14. Aufl. § 428, Rn. 1.; *Völzmann-Stickelbrock*, in *Dauner-Lieb/Langen*, *BGB Schuldrecht*, Band 2, 3 Aufl. § 428 Rn 3.

22 *Joussen*, *Schuldrecht I-Allgemeiner Teil*, Jena 2008, S. 455, Rn. 1365.

23 *Staudinger/Looschelders*, *BGB Neubearbeitung 2017*, Buch II, § 428, Rn. 7.

ნაკისრი ვალდებულების მხოლოდ ერთხელ შესრულებას გულისხმობს.²⁴ იგი არ ნიშნავს კრედიტორთა მხრიდან მოთხოვნის მხოლოდ ერთხელ წარდგენის შესაძლებლობას. არცერთი კრედიტორთაგანი არ არის შეზღუდული მოთხოვნის წარდგენაში და იმავდროულად არცერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე პრივილეგიით მოვალესთან მიმართებით.²⁵ სოლიდარულ კრედიტორებს იმდენჯერ შეუძლიათ, მოთხოვნა წარუდგინონ მოვალეს, სანამ ისინი მთლიან დაკმაყოფილებას არ მიღებენ. შესაბამისად, მოვალის პასუხისმგებლობა არ წყდება მანამ, სანამ იგი სრული მოცულობით არ შეასრულებს სოლიდარული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებას.

V. სამართლებრივი შედეგები

- 12 სოლიდარული უფლებამოსილების ცენტრალური სამართლებრივი შედეგი იმით გამოიხატება, რომ მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულება, მოვალის მიმართ სხვა დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორთა მოთხოვნის შეწყვეტას და მთლიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულს უნდა განაპირობებდეს.²⁶ სოლიდარული უფლებამოსილებისათვის ეს მთავარი იდეაა და არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც, მართალია, 455-ე მუხლიდან პირდაპირ ნათლად არ გამოდინარეობს, თუმცა ნათლად იგი 458-ე მუხლშია ფორმულირებული. თუ აღნიშნული წინაპირობა არაა სახეზე, მაშინ სოლიდარული უფლებამოსილების არსებობა იმთავითვე გამოირიცხება.

VI. საპროცესო სამართლებრივი საკითხები

- 13 ნებისმიერ სოლიდარულ კრედიტორს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი სასამართლოში მოვალის წინააღმდეგ და შესრულება მოითხოვოს მთლიანი ოდენობით.²⁷ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ სარჩელის შეტანა, ანდა ამ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა არ ართმევს სხვა სოლიდარულ კრედიტორს საპროცესო უფლებას, ასევე წარადგინოს სარჩელი სასამართლოში მოვალის წინააღმდეგ და მთლიანი დაკმაყოფილება მოითხოვოს.²⁸ სოლიდარული კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, ასევე ერთობლივად წარადგინონ სარჩელი და შესრულება მოითხოვონ. ამ შემთხვევაში ისინი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად საპროცესო თანამონაწილეებად გვევლინებიან და სსკ-ის 87-ე მუხლის მიხედვით ყველა იმ უფლებით სარგებლობენ, რომლებიც პროცესის მხარეს აქვს.

24 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 455, გვ. 571.

25 შდრ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 455, გვ. 571; Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989. S. 188.

26 შდრ. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., §36 I, S626, 638; Völzmann-Stickelbrock, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3 Aufl., §428, Rn. 2; Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl. 2019, § 428 Rn 3

27 Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., §428, Rn. 7.

28 ამ შემთხვევაში ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 469-ე მუხლი

მაგალითი: A-მ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება B-ს, C-ს, D-სა და E-ს წინაშე 2017 წლის ივლისამდე მიენოდებინა შემკვეთებისათვის 30 ტონა კატროფილი თბილისში. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა და შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრისა, A-მ ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება. B-მ, C-მ და D-მ ერთობლივად აღძრეს სარჩელი სასამართლოში და მოთხოვეს A-ს ვალდებულების შესრულება და შესრულების გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს მთავარ სხდომამდე C-სა და D-ს მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების გამართვის მიზნით უცხოეთში მოუხდათ მივლინებით კარგა ხნით გამგზავრება. შესაბამისად, მათ ნოტარიული დამომწებული მინდობილობით B-ს მიანდეს საქმისწარმოება სასამართლოში. ამ შემთხვევაში B, C და D სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე საპროცესო თანამონაწილეებად გვევლინებიან.²⁹ აღნიშნული მინდობილობის მიცემაც სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლში განმტკიცებული პრინციპის გამოტახულებაა, რომლის თანახმადაც, თანამონაწილეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა იმ უფლებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ მხარეებს. ეს უფლებები გულისხმობს მათ მათ შორის საქმისწარმოების ერთ-ერთი თანამონაწილისათვის მინდობის უფლებას,³⁰ რომლის გაფორმების წესსაც კანონმდებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლში ადგენს.

29 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 162-166

30 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 166-167

მუხლი 456. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლები

სოლიდარული უფლებამოსილება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით

I. ნორმის არსი და მიზანი	920
II. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება.....	920
1. პრაქტიკული მნიშვნელობა	920
2. წარმოშობის წინაპირობები.....	921
3. ცალკეული შემთხვევები.....	921
ა. ერთობლივი ანგარიში	921
ბ. უფლებამონაცვლეობა გაქირავებული ნივთის გასხვისებისას	922
გ. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება.....	923
დ. ამხანაგობის მოთხოვნა.....	924
ე. მოთხოვნის უფლების დათმობა	924
III. კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება	925
IV. ვალდებულების საგნის განუყოფლობის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება	925

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ნორმა სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძველზე არეგულირებს. კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვალდებულებაში რამდენიმე კრედიტორის მონაწილეობა თავისთავად არ ნიშნავს მათ სოლიდარულ კრედიტორებად მიჩნევას. კანონი არ უშვებს სოლიდარული უფლებამოსილების არსებობის ვარაუდს, არამედ იგი ამომწურავად ადგენს (*Numerus Clausus*) სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის საფუძვლებს: ხელშეკრულებას, კანონს, ვალდებულების საგნის განუყოფლობას და გამორიცხავს სხვა საფუძველით სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობას.

II. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება

1. პრაქტიკული მნიშვნელობა

2 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება.¹ მისი მიზეზი სოლიდარულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ რისკებშია (შდრ. 455-ე მუხლის კომენტ., ველი 5-6).² ცალკეული სოლიდარული კრედიტორი არ არის დარწმუნებული, რომ მოვალე ვალდებულებას სწორედ მის წინაშე შეასრულ-

1 შდრ. *Larenz*, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., § 36 I, S. 625; *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm., 14. Aufl., § 428, Rn. 6.

2 *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 145; *Medicus*, Mehrheit von Gläubigern, JuS 1980 S. 697, 698.

ლებს. შესაბამისად, მას არ სურს კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილება 462-ე მუხლიდან გამომდინარე **სუსტ ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის** განხორციელებასა და შესაბამისად შესრულების მიმღები კრედიტორის გადახდისუნარიანობაზე გახადოს დამოკიდებული.³ ჩვეულებრივ, ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული უფლებამოსილების შეთანხმებას მაშინ აქვს ხოლმე აზრი, როდესაც კრედიტორთა ინტერესები ერთმანეთთან ისე მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, რომ მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულება იმავდროულად სხვა სოლიდარულ კრედიტორთა ინტერესის დაკმაყოფილებას გულისხმობს.⁴ სხვა შემთხვევაში, სოლიდარული უფლებამოსილების შეთანხმება მაშინაც არის უპრიანი, როდესაც კრედიტორთა შორის განსაკუთრებული ნდობა და რწმენა არსებობს იმისა, რომ შესრულების მიმღები კრედიტორი დანარჩენ კრედიტორთა ინტერესსაც დააკმაყოფილებს.⁵

2. წარმოშობის წინაპირობები

ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობისათვის აუცილებელია **ხელშეკრულება (შეთანხმება)** სოლიდარულ კრედიტორთა და მოვალეს შორის.⁶ ამ შეთანხმების თანახმად, მოვალე რამდენიმე კრედიტორს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ერთიანად და ნათლად უნდა ჰპირდებოდეს.⁷ გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმებიდან ნათლად უნდა გამომდინარეობდეს ის, რომ თითოეული სოლიდარული კრედიტორი მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, ხოლო მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულება მას სხვა სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე შესრულების ტვირთისაგან ათავისუფლებს.⁸ მხოლოდ ის გარემოება, რომ კრედიტორთა უფლებამოსილება წარმოშობის საერთო საფუძველს – ერთიან ხელშეკრულებას ეფუძნება, კრედიტორთა სოლიდარულ კრედიტორებად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის.⁹ ის, თუ როგორ მოხდება ამ შეთანხმების გაფორმება, ეს მხარეთა შეთანხმების საგანია. რაიმე ფორმას ამგვარი შეთანხმების მიღწევისათვის კანონი არ ადგენს (456). შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმება როგორც **ზეპირი**, ასევე **წერილობითი ფორმით** გააფორმონ. ამგვარი შეთანხმების არარსებობა გამორიცხავს ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობას.

3 შდრ. Staudinger/Looschelders, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 1.

4 Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 428, Rn. 2.

5 შდრ. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., § 36 I, S. 625; Bydlinski, in MüKo BGB, 6. Aufl. 2012, § 428 Rn 8; Böttcher, in Ermann, BGB, 14. Aufl., §428, Rn. 3.

6 Schulze, in Schulze, BGB HK, 10. Aufl., § 428, Rn. 2.

7 Staudinger/Looschelders., BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 428, Rn. 19.

8 იქვე.

9 Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., §428, Rn. 2.

- 4 რა თქმა უნდა, შესაძლებელია, სოლიდარული უფლებამოსილება თავიდანვე კი არ გაფორმდეს, არამედ მოვალესა და კრედიტორს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოიშვას. ასეთ შემთხვევაში, სოლიდარული უფლებამოსილების **დამატებით შეთანხმება** მხოლოდ მოვალის თანხმობით შეიძლება განხორციელდეს.¹⁰

3. ცალკეული შემთხვევები

ა. ერთობლივი ანგარიში

- 5 სოლიდარულ უფლებამოსილ პირებად ჩაითვლებიან ერთი ანგარიშის მფლობელი პირები, რომელთაგან თითოეული, საკრედიტო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მთლიანი ანგარიშის განკარგვაზეა უფლებამოსილი.¹¹ **ერთობლივი ანგარიშის** გახსნით გამოხატული ნება, რომელიც თითოეული ანგარიშის მფლობელს მთლიანი ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილებას ანიჭებს, სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის აუცილებელ ელემენტს – თითოეული კრედიტორის მიერ **მთლიანი შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილებას** შეიცავს (455). ამავდროულად, ანგარიშის მფლობელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ხდება იმის შეთანხმებაც, რომ ბანკი ანგარიშით გათვალისწინებული თანხების გადახდაზე **მხოლოდ ერთხელაა ვალდებული**. როგორც წესი, საკრედიტო დაწესებულებასთან ანგარიშის გახსნის თაობაზე შეთანხმების გაფორმების დროს მხარეები იმაზეც თანხმდებიან, რომ საკრედიტო დაწესებულებას თავისი ნება-სურვილის შესაბამისად კი არ შეუძლია ნებისმიერი კრედიტორის წინაშე შეასრულოს ვალდებულება, არამედ იმ კრედიტორის წინაშე შეასრულებას ვალდებულება, რომელიც პირველი მოსთხოვს მას შესრულებას.¹² მოვალის მიერ კრედიტორის არჩევის უფლების ამგვარი შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება სოლიდარულ უფლებამოსილებას, ვინაიდან მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლება მხოლოდ მოვალის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომელზეც ამ უკანასკნელს თავისუფლად შეუძლია, უარი განაცხადოს.¹³ ამგვარი ერთობლივი ანგარიშის გახსნა პრაქტიკაში, ძირითადად, მეუღლეთა მიერ ხდება.¹⁴

ბ. უფლებამონაცვლეობა გაქირავებული ნივთის გასხვისებისას

- 6 ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული უფლებამოსილება იმ შემთხვევაშიც წარმოშობა, როდესაც გაქირავებული ნივთის მესაკუთ-

10 შდრ. Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Komm. 5. Aufl., §428, Rn. 2; Grüneberg, in Palandt, BGB Komm. 73. Aufl., §428, Rn. 3.

11 შდრ. Gernhuber, Oder-Konten von Ehegatten, WM 1997, S. 645ff.

12 Völzmann-Stickelbrock, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl. §428, Rn. 12; Staudinger/Looschelders, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 428, Rn. 27

13 შდრ. Böttcher, in Ermann, BGB Komm. 14. Aufl., §428, Rn. 1; Staudinger/Looschelders, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 8.

14 შდრ. Gernhuber, Oder-Konten von Ehegatten, WM 1997, S. 645 ff.

რე მას რამდენიმე პირზე გაასხვისებს.¹⁵ ამგვარი გასხვისება გავლენას ვერ მოახდენს არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაზე.¹⁶ ახალი კრედიტორები ერთიან ხელშეკრულებაში **სამართლებრივი ურთიერთობის გაყოფის** გარეშე დაიკავებენ კრედიტორის ადგილს და სამართლებრივ ურთიერთობაში სოლიდარულ კრედიტორებად მოგვევლინებიან.¹⁷ ამ მოსაზრებას ამყარებს 572 მუხლიც, რომელიც, უფლებამონაცვლეობის მიუხედავად, ქირავნობის ურთიერთობის **არსებობის პრეზუმფციიდან** ამოდის. გარდა ამისა, აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის არგუმენტიც, რომ სხვა პირზე (პირებზე) საკუთრების უფლების გადასვლამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს დამქირავებლის უფლებათა დაკნინება და დარღვევა.¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, ის მოსაზრებაც, რომ გასხვისების შემდეგ კრედიტორები სოლიდარულ კრედიტორებად გვევლინებიან, მოვალის დაცვით არის განპირობებული. კრედიტორის შეცვლის მიუხედავად, მოვალე არ არის ვალდებული არკვიოს, თუ თითოეული კრედიტორი ქირის რა ნაწილის ოდენობაზეა საბოლოოდ უფლებამოსილი.¹⁹ იგი უფლებამოსილად უნდა ჩავთვალოთ, ნებისმიერი ახალი სოლიდარული კრედიტორის წინაშე გადაიხადოს ქირა და სხვა დანარჩენ კრედიტორთა წინაშე ვალდებულება ამგვარად შეწყვიტოს.

გ. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

სოლიდარულ კრედიტორებად ჩაითვლებიან **მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მესამე პირები.²⁰ მოვალეს შეუძლია თავისუფლად ამოირჩიოს, თუ რომელი მესამე პირის სასარგებლოდ განახორციელებს იგი ვალდებულების შესრულებას.²¹ რაც შეეხება თვითონ **მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას**, იგი, ერთი შეხედვით, ძალზე წააგავს სოლიდარულ უფლებამოსილებას, თუმცა მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროს არ არსებობს სოლიდარული უფლებამოსილება.²² მაშინ, როდესაც მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მესამე პირს არ გააჩნია **შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება**, მას არ შეუძლია მოვალეს მის სასარგებლოდ მთლიანი ვალდე-

7

15 შდრ. Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989. S. 227; Staudinger/Looschelders., BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 54.

16 შდრ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, 2001, მუხ. 572, გვ. 144-145.

17 შდრ. Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 248; Häubelein, in MüKo BGB 7. Aufl., §566, Rn. 25.

18 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, 2001, მუხ. 572, გვ. 144-145.

19 შდრ. Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428. Rn. 57; Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 227f.

20 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 40.

21 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457-ე მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

22 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 41.

ბულების შესრულება მოსთხოვოს.²³ შესაბამისად არ გვაქვს სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობა — **თითოეული კრედიტორის უფლებამოსილება მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე** (455). რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მესამე პირს აქვს **შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება** მოვალის მიმართ (ამ შემთხვევაშიც თითქოს გარკვეული მსგავსება არსებობს სოლიდარულ უფლებამოსილებასთან, იმ თვალსაზრისით, რომ კრედიტორთან ერთად მესამე პირსაც გააჩნია შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნა), მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ ჩაითვლება სოლიდარულ უფლებამოსილებად. საქმე ისაა, რომ სოლიდარული უფლებამოსილება ცალკეულ სოლიდარულ კრედიტორსა და მოვალეს შორის რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულების სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას გულისმობს (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**). შესაბამისად, თითოეული ამ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალის მიმართ მოთხოვნის მფლობელად შესაბამისი კრედიტორი გვევლინება.²⁴ არც ერთი კრედიტორთაგანი არ არის სხვა სოლიდარული კრედიტორის უფლებაზე უფლებამოსილი. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში კი კრედიტორი ინარჩუნებს უფლებას, კონტრაქტის თანხმობის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი (350). გარდა ამისა, კრედიტორსა და მესამე პირს შორის არ არსებობს შიდა ურთიერთობა, რომელიც 462-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულების მიმღებ კრედიტორს სხვა კრედიტორისათვის მისი კუთვნილი წილის გადახდას დააკისრებდა. მესამე პირი არ არის ვალდებული, გადაუხადოს მიღებული შესრულებიდან რაიმე კრედიტორს. შესაბამისად, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დროს სოლიდარული უფლებამოსილება უნდა გამოვრიცხოთ.

დ. ამხანაგობის მოთხოვნა

- 8 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება არ გვაქვს სახეზე და მოთხოვნაზე სოლიდარულ უფლებამოსილ წევრებად არ ჩაითვლებიან **ამხანაგობის წევრები** ამხანაგობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა **ამხანაგობის თითოეულ წევრს** კი არა, არამედ **ამხანაგობას** ეკუთვნის. შესაბამისად, ამხანაგობის თითოეულ წევრს შესრულება მხოლოდ ამხანაგობის სასარგებლოდ შეუძლია მოითხოვოს.

ე. მოთხოვნის უფლების დათმობა

- 9 მოთხოვნის უფლების დათმობა არ იწვევს ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობას. **ცესია** სწორედ იმას

²³ შდრ Bayer, Der Vertrag zugunsten Dritter, S. 217

²⁴ Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 3; Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §428, Rn. 1.

გულისხმობს, რომ **ცედენტი** სრულად კარგავს უფლებას მოთხოვნაზე და იგი მესამე პირზე გადადის(199). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი არა მთლიან მოთხოვნას, არამედ მის ნაწილს დაუთმობს მესამე პირს, არც ამ შემთხვევაში გვექნება სოლიდარული უფლებამოსილება. ვინაიდან კრედიტორი, რომელმაც მოთხოვნის ნაწილი დაუთმო სხვას, არა მთლიან არამედ მხოლოდ დარჩენილ ნაწილზე რჩება უფლებამოსილი. მას არ შეუძლია მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება მოთხოვოს. იგივე ითქმის მესამე პირზეც, არც მას ძალუძს მთლიანი შესრულების მოთხოვნა. არაა გამორიცხული ასევე, კრედიტორმა თავისი უფლება რამდენიმე პირს დაუთმოს. მიუხედავად ამისა, სოლიდარული უფლებამოსილება მაინც არ გვექნება სახეზე. როგორც აღინიშნა, სოლიდარული უფლებამოსილების დამატებით შეთანხმებისათვის აუცილებელია მოვალის თანხმობა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ზემოთ ველი 4). მოვალის თანხმობის გარეშე ამგვარი დაშვება გამოინვევდა მოვალის მდგომარეობის გაუარესებას, ვინაიდან იგი მისი თანხმობის გარეშე ვალდებული აღმოჩნდებოდა ორი პირის მიმართ და იმ რისკის მატარებლად მოგვევლინებოდა, ორ დამოუკიდებელ პროცესში გამოსულიყო მოპასუხედ ორი კრედიტორის წინაშე.²⁵ გარდა ამისა, მოსაზრებას მოვალის თანხმობის აუცილებლობის თაობაზე ამყარებს ასევე 199-ე მუხლიც. შესაბამისად, მოთხოვნის დათმობით სოლიდარული უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, თუ მოვალე განაცხადებს აღნიშნულის თაობაზე თანხმობას.

III. კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება

სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის კანონისმიერი საფუძველები სამოქალაქო კოდექსში მცირეა. ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს 1383-ე მუხლი, რომელიც მოანდერძის მიერ მემკვიდრისათვის **საანდრძო დანაკისრის** დაკისრებას ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ. თუ ეს საანდერძო დანაკისრი რამდენიმე პირის სასარგებლოდ იქნება დაკისრებული, მაშინ ისინი სოლიდარულ უფლებამოსილ პირებად გვევლინებიან და თითოეულ მათგანს შეუძლია მემკვიდრეს მოსთხოვოს სრული ოდენობით საანდერძო დანაკისრის შესრულება. სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობის კანონისმიერ საფუძველს ითვალისწინებს ასევე 528-ე მუხლის მეორე ნაწილი. თუ **შენიშნულად** დადგინდება გარკვეული ქონება, რომლის ჩუქების ნამდვილობაც გარკვეული წინაპირობის განხორციელებაზეა დამოკიდებული, მაშინ ამ პირობის განხორციელება, მჩუქებლის გარდა, შეიძლება მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული. ამ შემთხვევაში ეს პირიც და მჩუქებელიც სოლიდარულ უფლებამოსილ პირებად გვევლინებიან.

10

25 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 52

IV. ვალდებულების საგნის განუყოფლობის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული უფლებამოსილება

- 11 ამ საფუძველთ სოლიდარული უფლებამოსილების წარმოშობა, როგორც **სანივთო** ასევე **ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში** გვხვდება.²⁶ სანივთო სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში სოლიდარული უფლებამოსილების არსებობა გამორიცხულია საკუთრების უფლებასთან მიმართებაში.²⁷ არ შეიძლება რამდენიმე პირს ნივთზე გააჩნდეს სოლიდარული საკუთრება. რამდენიმე პირის საკუთრება მხოლოდ **საერთო თანაზიარი** ან **საერთო წილადი საკუთრების** სახით შეიძლება არსებობდეს (173 I). შეზღუდული სანივთო უფლებების შემთხვევაში კი შესაძლებელია მათზე სოლიდარული უფლებამოსილების არსებობა.²⁸ შესაძლებელია მაგალითად იპოთეკა რამდენიმე სოლიდარული კრედიტორის სასარგებლოდ იქნეს დადგენილი. იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოთხოვნისა და იპოთეკის კრედიტორები ერთი და იგივე პირები იყვნენ.²⁹ იგივე შეიძლება ითქვას სხვა შეზღუდულ სანივთო უფლებებთან დაკავშირებითაც.³⁰ ყველა ამ უფლებასთან მიმართებაში აუცილებელია საჯარო რეესტრში არსებობდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც სოლიდარული უფლებამოსილების დადგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.
- 12 ვალდებულებით სამართლებრივი საფუძველები არსებობს მაშინ როდესაც მაგალითად მეუღლეები ერთობლივად შეუკვეთავენ სახლის რემონტს, ანდა მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებაში არსებულ ავტომობილს დააზიანებს მესამე პირი. ამ შემთხვევაში ნებისმიერი მეუღლეთაგანი უფლებამოსილია მთლიანი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

26 *ზოდუ*, სკის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 456, გვ. 572.

27 *Meier*, Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes weil überflüssiges Wesen? AcP 205 (2005), S. 892.

28 *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm, 14. Aufl., §428, Rn. 14.

29 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 107.

30 *Völzmann-Stickelbrock*, in *Dauner-Lieb/Langen*, BGB Schuldrecht, Band 2, 3 Aufl., §428, Rn. 15.

მუხლი 457. ვალდებულების შესრულება ნებისმიერი კრედიტორის წინაშე

მოვალეს შეუძლია თავისი სურვილისამებრ ვალდებულება შეასრულოს ნებისმიერი კრედიტორის წინაშე, თუკი ერთ-ერთ კრედიტორს მისთვის არ წაუყენებია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

- I. ნორმის არსი და მიზანი927
- II. მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლება927
 - 1. არჩევანის თავისუფლება მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე927
 - 2. არჩევანის უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ928
 - 3. არჩევანის თავისუფლების ფარგლები.....928
 - 4. არჩევანის თავისუფლებაზე უარის თქმა929
- III. შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.....929
 - 1. რეგულირების ისტორია.....929
 - 2. რეგულირების მნიშვნელობა.....930
 - 3. შესაგებლის წარდგენაზე უფლებამოსილება931
 - 4. შესაგებლის წარდგენის ვადა.....931
- IV. საპროცესო საკითხები.....931

I. ნორმის არსი და მიზანი

ნორმა ერთგვარად ურთიერთობას არეგულირებს კრედიტორთა უფლებას ვალდებულების მთლიანად შესრულების მოთხოვნაზე და მოვალის არჩევანის უფლებას შორის. ერთის მხრივ ნორმის არსი **მოვალის ინტერესების** დაცვაში მდგომარეობს. იგი განსაზღვრავს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების წესს და მას სრულ თავისუფლებას ანიჭებს კრედიტორის არჩევანში. თუმცა, ამავდროულად, ნორმა მოვალის ამ თავისუფლებას ზღუდავს მაშინ, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი მას წარუდგენს შესაგებელს 455-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნით. ამ შემთხვევაში ნორმა **კრედიტორთა ინტერესებს** იცავს და შესაგებლის წარმდგენ კრედიტორს აძლევს საშუალებას მთლიანი ვალდებულების ფიქსირება თავის თავზე მოახდინოს და, შესაბამისად, გამოორიცხოს სხვა კრედიტორთა მიერ ვალდებულების შესრულების მიღების შესაძლებლობა.

1

II. მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლება

I. არჩევანის თავისუფლება მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე

ნორმის დანაწესი, რომელიც მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევას გულისხმობს, მოვალის დაცვას ისახავს მიზნად იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომელიც რამდენიმე კრედიტორის დამოუკიდე-

2

ბელი მოთხოვნის არსებობიდან გამომდინარეობს.¹ ამ რეგულირებით ეს დაცვა უფრო მძლავრი და თვალმისაცემი ხდება. მოვალეს თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ის კრედიტორი, რომლის წინაშეც მას ყველაზე ნაკლები **შესრულების ხარჯები** და **შესრულებასთან დაკავშირებული რისკები** წარმოეშობა და მის წინაშე შეასრულოს ვალდებულება.² გარდა ამისა, არჩევანის თავისუფლება შესაძლებლობას ანიჭებს მას, ამოირჩიოს ის კრედიტორი, რომლის მიმართაც მას ამავედროულად მოთხოვნა გააჩნია და სოლიდარული უფლებამოსილება **ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით** შეწყვიტოს (442).³

2. არჩევანის უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ

- 3 მოვალე არსებითად თავისუფალია კრედიტორის არჩევაში. აღნიშნული თავისუფლება ეხება როგორც **კრედიტორის პიროვნებას**, ასევე **შესასრულებელი ვალდებულების მოცულობას**.⁴ მოვალე თვითონ, საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს, თუ რა ოდენობით და რომელი კრედიტორის წინაშე განახორციელოს შესრულება. მას შეუძლია ერთი ან რამდენიმე კრედიტორი ამოირჩიოს და ამ ერთის, ანდა ყველას მიმართ მთლიანად, ანდა ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილებად განახორციელოს ვალდებულების შესრულება (378). აღნიშნული უფლების განხორციელებისას მოვალე არ არის ვალდებული, მხედველობაში მიიღოს კრედიტორთა **შიდა ურთიერთობაში** არსებული კრედიტორის კუთვნილი წილი.⁵ მას შეუძლია იმ კრედიტორის წინაშეც შეასრულოს ვალდებულება, რომელსაც, კრედიტორთა შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, საერთოდ არ გააჩნია შესრულებული ვალდებულების მოთხოვნის უფლება (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 462-ე მუხლის კომენტ. ველი 10).

3. არჩევანის თავისუფლების ფარგლები

- 4 მოვალე კრედიტორის არჩევაში თავისუფალია მანამ, სანამ **მთლიანი ვალდებულების შესრულება** არ დამდგარა. ამ მომენტამდე ნებისმიერი ეტაპზე, იქნება ეს სასამართლო დავა თუ იძულებითი აღსრულება, მოვალე თავისუფალია კრედიტორის არჩევაში.⁶ შესრულებისთანავე წყდება მთლიანი სოლიდარული უფლებამოსილება და მასთან ერთად ყველა სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნაც. ამ მომენტიდან მოვალეს აღარ ეკისრება ვალდებულების შესრულება არც ერთი სოლიდარული კრედიტორის მიმართ. თუმცა კანონი მოვალის არჩევანს ზღუდავს მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი კრედიტორი მას წარუდგენს **შესაგებელს 455-ე** მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.⁷

1 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 8.

2 Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldnern, 1984, S. 244.

3 იქვე.

4 შდრ. Schwelldhelm, das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 79.

5 Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §428, Rn. 1.

6 Grüneberg, in Palandt., BGB Komm. 73 Aufl., §428, Rn. 1.

7 შდრ. Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §428, Rn. 1.; Medicus, Mehrheit von Gläubigern, JuS 1980, S. 698.

მაგალითი: მოვალე A-ს ემართა 10000 დოლარის გადახდის ვალდებულება სოლიდარული კრედიტორების B1, B2 და B3-ს მიმართ. B1 მიმართა A და მოთხოვა ვალდებულების შესრულება. A ნაცვლად B1 გადაწყვიტა ვალდებულება შეესრულებინა B2 მიმართ. B1 წარუდგინა A შესაგებელი 455-ე მუხლიდან გამომდინარე და მოსთხოვა მოვალეს სწორედ მის წინაშე შეესრულებინა ვალდებულება, ვინაიდან სწორედ მან მიმართა ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მანამდე, ვიდრე იგი გადაწყვიტდა B2 მიმართ ვალდებულების შესრულებას.

მოვალის არჩევანის თავისუფლება უნდა შევზღუდოთ ასევე, როდესაც მოვალის მიერ კრედიტორის ამორჩევა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით ხდება, რათა ზიანი მიადგეს სხვა კრედიტორებს (115).

4. არჩევანის თავისუფლებაზე უარის თქმა

მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლება არ არის სოლიდარული უფლებამოსილების არსებობისათვის იმანენტური წინაპირობა. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს 455-ე მუხლიდან, რომელიც სოლიდარული უფლებამოსილების დეფინიციას იძლევა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 455-ე მუხლის კომენტ. ველი 7-12). შესაბამისად, სოლიდარულ კრედიტორთა და მოვალეს შორის დადებული შეთანხმებით, მოვალეს შეუძლია საკუთარი ნებით თქვას უარი კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლებაზე.⁸ აღნიშნული რეგულირების დაშვება თავისუფლად ჯდება 457-ე მუხლის დისპოზიციურ ბუნებაში. ამგვარი უარის თქმა სშირად გვაქვს **საერთო ანგარიშის** შემთხვევაში.⁹ ბანკში **საერთო ანგარიშის** შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დროს, როგორც წესი, ხელშეკრულებაში ასევე იმის შეთანხმებაც ხდება, რომ ბანკს საკუთარი შეხედულებისამებრ კი არ შეუძლია შეასრულოს ვალდებულება ნებისმიერი ანგარიშის მფლობელის წინაშე, არამედ ვალდებულია იმ კრედიტორის წინაშე, რომელიც პირველი მოსთხოვს მას ვალდებულების შესრულებას.¹⁰ ამ შემთხვევაში მოვალის არჩევანის თავისუფლებისათვის ადგილი აღარ რჩება. მოვალე ვალდებულია სწორედ იმ სოლიდარული კრედიტორის წინაშე განახორციელოს ვალდებულების შესრულება, რომელიც მას პირველი მიმართავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

III. შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით

1. რეგულირების ისტორია

რომაული სამართალი მკაცრ **პრევენციის პრინციპს** იცნობდა:¹¹ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ მოთხოვნის ანდა სარჩელის წარდგენა მთლიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფიქ-

8 Müller, in Prütting/Wegen/Weinreich., BGB Kommentar, 5. Aufl., §428, Rn. 1.

9 Gernhuber, Oder-Konten von Ehegatten, WM 1997, S. 645 ff.

10 იქვე.

11 Meier, Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes weil überflüssiges Wesen? AcP 205 (2005) S. 868.

სირებას განაპირობებდა მოვალესა და ამ კონკრეტულ კრედიტორზე.¹² სხვა სოლიდარული კრედიტორები კარგავდნენ მოთხოვნას მოვალის მიმართ.¹³ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ სარჩელის აღძვრა მოვალესაც ართმევდა უფლებას, სხვა კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებით თავი დაეღწია ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.¹⁴ ამ პრინციპის თანახმად, ცალკეული სოლიდარული კრედიტორი შეიძლება მშვიდად ყოფილიყო და არ ჰქონოდა იმის შიში, რომ კუთვნილი მოთხოვნის განხორციელების გზაზე მას შესაძლოა სხვა კრედიტორთა მხრიდან ხელი „შეშლოდა“.¹⁵ მოვალე თავის მხრივ კი იქიდან იყო დაცული — ერთი და იგივე მოთხოვნის გამო რამდენიმეჯერ არ ყოფილიყო პასუხისგებაში მიცემული.¹⁶ ეს პრინციპი, რომელიც რომაულ საპროცესო სამართალში წარმოიშვა შესუსტებული ფორმით მრავალი ქვეყნის კანონმდებლობამ გადაიღო მატერიალურ სამართალში და, მათ შორის, საქართველომაც.

2. რეგულირების მნიშვნელობა

- 9 მოვალე კრედიტორის არჩევანის თავისუფლებით სარგებლობს მანამ, სანამ ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს არ წარუდგენია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით (457). ამ შემთხვევაში მოვალე ვალდებულია, სწორედ ამ შესაგებლის წარმდგენი კრედიტორის წინაშე განახორციელოს ვალდებულების შესრულება. მას აღარ აქვს უფლება, თვითნებურად შეცვალოს მოთხოვნის ადრესატი. აღნიშნული რეგულირებით კანონმდებელი კრედიტორთა ინტერესებს იცავს და შესაძლებლობას აძლევს შესაგებლის წარმდგენ კრედიტორს ვალდებულების შესრულების ფიქსირება თავის თავზე მოახდინოს და მთლიანი შესრულება მიიღოს. მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევის უფლების ამგვარი შეზღუდვა სოლიდარულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული კრედიტორის რისკებით არ შეიძლება იქნეს გამართლებული (იხ. 455-ე მუხლის კომენტ. ველი 5-6). გამომდინარე იქიდან რომ თითოეულ კრედიტორს 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა გააჩნია, რომელიც მისი ინტერესების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, ეს რისკები არ უნდა იქნეს გაზვიადებული. შესაბამისად, არსებითად დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, თუ რომელი კრედიტორის წინაშე განახორციელებს მოვალე ვალდებულების შესრულებას, ვინაიდან 462-ე მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნა თითოეული კრედიტორის ინტერესის დაკმაყოფილებას ისედაც უზრუნველყოფს. ამგვარი რეგულირების არსებობა დამაფიქრებელია ასევე მოვალის თავისუფლებიდან და მისი ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. რატომ უნდა იყოს მოვალე ვალდებული ასრულოს ვალდებულება შესაგებლის წარმდგენი კრედიტორის წინაშე, როდეს-

12 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 188.

13 Meier, in Schmoeckel/Rückert/Zimmermann, HKK zum BGB, BD II, Teilband II, §420-432II, S. 2582, Rn. 11.

14 იქვე.

15 Meier, Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes weil überflüssiges Wesen? AcP 205 (2005), S. 869.

16 იქვე.

საც სხვა კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულება უფრო ნაკლებ რისკებთან და ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული? ანდა რომლის წინაშეც იგი ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შედეგად შეძლება ვალდებულების შესრულებას? გარდა ამისა, ნორმის ეს დანაწესი კითხვებს ბადებს **ვალდებულებათა სიმრავლის თეორიიდან** გამომდინარე, რომლის თანახმადაც სოლიდარულ უფლებამოსილებაში თითოეულ კრედიტორსა და მოვალეს შორის დამოუკიდებელი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობები არსებობს (იხ. 455-ე მუხლის კომენტ. ველი 9). ამ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე არც ერთი კრედიტორი არ სარგებლობს მოვალესთან მიმართებაში რაიმე უპირატესობით.¹⁷ შესაბამისად, **ვალდებულებათა სიმრავლის თეორიის** დოქტრინალური გავლენიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა კანონმდებელს საერთოდ უარი ეთქვა ამგვარ რეგულირებაზე.

3. შესაგებლის წარდგენაზე უფლებამოსილება

შესაგებლის წარდგენაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სოლიდარულ კრედიტორთაგანი. თუმცა, შესაძლებელია, სოლიდარულ კრედიტორთა შორის შეთანხმებით აღნიშნული უფლებამოსილება ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მიენიჭოს.¹⁸ სოლიდარულ კრედიტორთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე ასევე დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ამ **უფლების შეზღუდვა**, ანდა საერთოდ **გამორიცხვა** ცალკეულ სოლიდარულ კრედიტორთათვის.

10

4. შესაგებლის წარდგენის ვადა

კანონმდებელი არაფერს გვამცნობს **შესაგებლის წარდგენის ვადის** თაობაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრედიტორს 457-ე მუხლიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს მოვალისათვის მანამდე, სანამ იგი მთლიანად არ შეასრულებს ვალდებულებას ერთი, ან რამდენიმე სოლიდარული კრედიტორის წინაშე. შესრულების მომენტიდან სოლიდარული უფლებამოსილება წყდება, რაც ყველა დანარჩენ კრედიტორთა მოთხოვნის უფლების შეწყვეტას განაპირობებს. გარდა ამისა, კრედიტორებს 457-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარდგენის უფლება აქვთ მანამდე, სანამ ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს არ წარუდგენია ამგვარი შესაგებელი. ერთ-ერთი კრედიტორის მიერ შესაგებლის წარდგენის მომენტიდან სხვა სოლიდარულ კრედიტორებს ერთმევათ ამგვარი შესაგებლის წარდგენის უფლება.

11

IV. საპროცესო საკითხები

ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ **სარჩელის შეტანა** სასამართლოში არ ართმევს მოვალეს უფლებას, ამოიჩიოს სხვა კრედიტორი და მის წინაშე განახორციელოს ვალდებულების შესრულება.¹⁹

12

17 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 455, გვ. 572.

18 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 457, გვ. 574.

19 *Völszmann-Stickelbrock*, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3 Aufl., §428, Rn. 6.

მუხლი 458. ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი კრედიტორისათვის

ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისათვის ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს მოვალეს დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულებისაგან.

I. ნორმის არსი და მიზანი	933
II. შესრულება	933
1. მთლიანი ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე	933
2. ვალდებულების ნაწილის შესრულება	934
3. ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება	934
4. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ	936
5. შესრულებული ვალდებულების უკან მოთხოვნა	936
III. ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით	936
IV. მოვალის მიერ ვალდებულების დეპონირებით შესრულება	937
V. სამართლებრივი შედეგები	938
VI. მტკიცების ტვირთი	938

I. ნორმის არსი და მიზანი

- 1 ნორმა სოლიდარულ კრედიტორთა ურთიერთობას არეგულირებს მოვალესთან მიმართებაში. იგი სოლიდარული უფლებამოსილების შემადგენელ ელემენტებთან ერთად უნდა იქნეს განხილული (455). სოლიდარულ უფლებამოსილებაში სოლიდარულ კრედიტორთა მოთხოვნას მოვალის მხრიდან მხოლოდ **ერთჯერადი შესრულების** ვალდებულება უპირისპირდება (455). 458-ე მუხლიც სწორედ ამ **ერთჯერადი შესრულების** საკანონმდებლო გამოხატულებას შეიცავს და მის სამართლებრივ შედეგებს განამტკიცებს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე **ვალდებულების მთლიანად შესრულება**, მას სხვა დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე **შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს**. ამ რეგულირებით ნორმა გარანტირებულს ხდის იმ გარემოებას, რომ მოვალეს ვალდებულების შესრულება კრედიტორთა წინაშე **მხოლოდ ერთხელ** მოუწევს და თავიდან გვაცილებს კრედიტორთა მოთხოვნის რამდენჯერმე დაკმაყოფილების შესაძლებლობას,¹ რომელიც შედეგად კრედიტორთა **უსაფუძვლო გამდიდრებამდე** მიგვიყვანდა.

¹ შდრ. *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 7

II. შესრულება

1. მთლიანი ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე

მოვალეს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ ამოირჩიოს სოლიდარული კრედიტორი და ვალდებულება მთლიანად მის წინაშე შეასრულოს.² ვალდებულების შესრულებისათვის ის ზოგადი წესები გამოიყენება, რომლებიც 361-ე მუხლითაა დადგენილი. ერთ-ერთი კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულების მომენტიდან მოვალე ავტომატურად თავისუფლდება ყველა სხვა კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან (458). მოვალე, რომელიც მთლიანად შეასრულებს ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულებას, უფლებამოსილია 429-ე და 431-ე მუხლების საფუძველზე მოსთხოვოს შესრულების მიმღებ კრედიტორს **ცნობა**, რომ ვალდებულება შესრულებულია. თუ შესრულების შემდეგ სხვა სოლიდარული კრედიტორი მაინც მოითხოვს მოვალისაგან ვალდებულების შესრულებას, მას შეუძლია უარი განაცხადოს და მიუთითოს ერთ-ერთი კრედიტორის წინაშე ვალდებულების სრულად შესრულებაზე.

2. ვალდებულების ნაწილის შესრულება

მოვალეს შეუძლია ვალდებულება **ნაწილ-ნაწილ** შეასრულოს, თუ კრედიტორი განაცხადებს თანხმობას აღნიშნულის შესახებ (378).³ გამომდინარე იქიდან, რომ სოლიდარულ უფლებამოსილებაში თითოეულ სოლიდარულ კრედიტორს დამოუკიდებელი კრედიტორის უფლებამოსილება აქვს (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**, იხ. 455-ე მუხლის კომენტ. ველი 9), თითოეულს შეუძლია დამოუკიდებლად, სხვა კრედიტორთა თანხმობის გარეშე გასცეს ამგვარი თანხმობა.⁴ მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების **ნაწილობრივი შესრულება** (378), გამოიწვევს ყველა დანარჩენი სოლიდარული კრედიტორის წინაშე მოვალის განთავისუფლებას მხოლოდ ამ შესრულების ოდენობით.⁵ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ **ნაწილობრივი შესრულების** მიღება არ ნიშნავს, რომ სხვა დანარჩენი კრედიტორებიც მოვალისაგან ვალდებულების მხოლოდ გარკვეული ნაწილის შესრულებას მოითხოვენ. ყველა კრედიტორი უფლებამოსილი რჩება, მოვალის მიმართ მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე, თუმცა, თავის მხრივ, **საერთო მოთხოვნა** შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოვალემ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე განახორციელა ვალდებულების

2 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457 მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ ნაუყენებია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

3 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების საგანი გაყოფადია.

4 ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება იხ. *სიმონ ჩხაიძე*, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი* 1(28), გვ. 47.

5 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 7.

შესრულება.⁶ სხვაგვარი რეგულირების დაშვება კრედიტორთა **უსაფუძვლო გამდიდრებას** გამოიწვევდა.

- 4 შესაძლებელია, მოვალემ არა ერთი, არამედ რამდენიმე სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულება სხვადასხვა ნაწილებად **ნაწილ-ნაწილ** განახორციელოს (378). იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარული კრედიტორები თანხმობას განაცხადებენ და მიიღებენ ამ ნაწილებს, მაშინ ისინი **ნაწილობრივ შესრულებებად ჩაითვლება**. თუ ამ ცალკეულ ნაწილობრივ შესრულებათა ჯამური მოცულობა **მთლიან ვალდებულებას** გაუტოლდება, მაშინ სახეზე გვექნება **მთლიანი ვალდებულების შესრულება**, რაც ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან მოვალის განთავისუფლებას გამოიწვევს ყველა სხვა სოლიდარული კრედიტორის წინაშე.

3. ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება

- 5 **ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება** ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა სოლიდარულად უფლებამოსილი პირი თანხმობას განაცხადებს აღნიშნული შესრულების მიღებაზე.⁷ პრობლემატურია ის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი იღებს ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულებას, თუმცა სხვა სოლიდარული კრედიტორები არ არიან თანახმა აღნიშნული შესრულების მიღებაზე. საკითხავია, იწვევს თუ არა ამგვარი შესრულება 458-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს? იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების მიღება **მთლიანი ვალდებულების შინაარსის ცვლილებას** განაპირობებს და იგი მხოლოდ ყველა კრედიტორის თანხმობით შეიძლება განხორციელდეს.⁸ ლიტერატურაში გავრცელებული სხვა მოსაზრება მიიჩნევს, რომ, ამ შემთხვევაში, სოლიდარულ უფლებამოსილ პირს სხვა კრედიტორთა თანხმობის გარეშე გააჩნია ამ შესრულების მიღების უფლებამოსილება და იგი თვითონ სოლიდარული უფლებამოსილების არსიდან გამომდინარეობს.⁹ მთავარი არგუმენტი ამ მოსაზრებისა იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან სოლიდარულ უფლებამოსილებაში თითოეულ სოლიდარულ კრედიტორს **დამოუკიდებელი უფლებამოსილება გააჩნია მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე**, თითოეულ მათგანს ასევე ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების მიღების დამოუკიდებელი უფლე-

⁶ იქვე.

⁷ შდრ. *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 256; *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 192.

⁸ *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 256.

⁹ შდრ. *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 10; *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 192 ff.

ბაც უნდა გააჩნდეს.¹⁰ მართალია, მეორე შემთხვევის დაშვება გარკვეული საფრთხის შემცველია კრედიტორთათვის, ვინაიდან **ვალდებულებით გათვალისწინებული ნაცვლად სხვა შესრულებისათვის** შესრულების ძალის მინიჭების შემთხვევაში კრედიტორები კარგავენ მოვალის მიმართ მოთხოვნას (458) და 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ხდებიან დამოკიდებულნი. რეალურად, შესაძლოა, მიღებული **სხვა შესრულება** უფრო ნაკლები ღირებულების მქონეც აღმოჩნდეს, ვიდრე ვალდებულებით გათვალისწინებული და მაშინ 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება მთლიანად **შესრულების მიმღები კრედიტორის გადახდისუნარიანობაზე** ხდება დამოკიდებული (იხ. 462-ე მუხლის კომენტ. ველი 6). თუმცა აღნიშნული არგუმენტი პირველი მოსაზრების გასამართლებლად არ გამოდგება. ის საფრთხე, რომ მოვალე სხვა კრედიტორის წინაშე განახორციელებს ვალდებულების შესრულებას და 462-ე მუხლიდან გამომდინარე კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება **შესრულების მიმღები კრედიტორის გადახდისუნარიანობაზე** იქნება დამოკიდებული, ზოგადად სოლიდარული უფლებამოსილების დროსაც არსებობს (იხ. 455-ე მუხლის კომენტ. ველი 5-6). ვინაიდან თითოეულ კრედიტორს სოლიდარულ უფლებამოსილებაში მთლიან მოთხოვნასთან მიმართებაში **დამოუკიდებელი კრედიტორის უფლებამოსილება** გააჩნია, მართებული იქნება ამ გარემოებისა და კოდექსის 455-ე მუხლის მხედველობაში მიღებით მეორე მოსაზრებას დავეთანხმოდ და თითოეული სოლიდარული კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად მივიჩნიოთ.

4. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

მოვალის ვალდებულების შესრულება სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე შესაძლებელია **მესამე პირმაც** განახორციელოს (371). ამ შემთხვევაში აუცილებელია ეს მესამე პირი **სოლიდარული კრედიტორებისა და მოვალისაგან** განსხვავებული პიროვნება იყოს.¹¹ მიზეზი, რის გამოც მესამე პირი ახორციელებს მოვალის ვალდებულების შესრულებას, შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს. თუ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი მიიღებს მესამე პირის მიერ შემოთავაზებულ შესრულებას, ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება ასევე ყველა სხვა სოლიდარული კრედიტორის მიმართაც. რაც შეეხება სოლიდარულ კრედიტორთა მოთხოვნებს მოვალის მიმართ, ისინი ამ შესრულებით კი არ შეწყდება, არამედ უცვლელად გადავა ამ მესამე პირზე და სწორედ იგი დაიკავებს სოლიდარულ კრედიტორთა ადგილს მოვალესთან მიმართებაში.

5. შესრულებული ვალდებულების უკან მოთხოვნა

შესაძლებელია, რომ მოვალემ, მას შემდეგ, რაც იგი მთლიანად შეასრულებს ვალდებულებას ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე, სხვა სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნაც დააკმაყოფილოს. ანდა სუ-

10 *Looschelders*, in *Staudinger*,, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 10.

11 *ზოდოე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001. გვ. 303.

ლაც, შესაძლებელია, სხვადასხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართ განხორციელებულმა **ნაწილობრივმა შესრულებებმა** გადააჭარბოს მთლიან ვალდებულების მოცულობას. ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება **უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის** უკან დაბრუნების საკითხი (976). მოვალე უფლებამოსილია, იმ კრედიტორს, რომლის წინაშეც უკვე მთლიანი ვალდებულების შესრულების შემდეგ განახორციელა შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად, უკან მოთხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება (976).

III. ვალდებულების შეწყვეტა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით

- 8 შესრულების მსგავს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს მოვალისა და ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის **მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა** (442). მართალია, 458-ე მუხლი 467-ე მუხლის მეორე წინადადების მსგავს დანაწესს არ შეიცავს, თუმცა საკითხი, 467-ე მუხლზე დაყრდნობით, ანალოგიურად უნდა იქნეს გადანყვეტილი. სხვაგვარი რეგულირების დაშვება აშკარა უსამართლო შედეგებამდე — იმ კრედიტორის **უსაფუძვლო გამდიდრებამდე** მიგვიყვანდა, რომლის მიმართაც განხორციელდა მოთხოვნის გაქვითვა.
- 9 ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა შესაძლებელია როგორც კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის წარდგენის დროს, ასევე მოვალის მხრიდან კრედიტორის ამორჩევის შემთხვევაში განხორციელდეს. კოდექსი 457-ე მუხლის საფუძველზე, მოვალეს თავისუფლებად შეუძლია ამორჩიოს ის კრედიტორი, რომლის მიმართაც მას მოთხოვნა გააჩნია და ვალდებულება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის საფუძველზე შეწყვიტოს.¹² ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის აუცილებელია 442-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა. ვინაიდან თითოეული სოლიდარული კრედიტორი მთლიანი შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის აუცილებელი წინაპირობები იმ შემთხვევაშიც არის სახეზე, როდესაც მოვალეს მხოლოდ ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე აქვს მოთხოვნა.¹³ თუ კრედიტორის მიმართ არსებული მოვალის მოთხოვნა სოლიდარული უფლებამოსილებით განსაზღვრული **მთლიანი ვალდებულების** ტოლია, მაშინ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით მთლიანი სოლიდარული უფლებამოსილება შეწყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოვალეს გააჩნდა მოთხოვნა ერთ-ერთ სოლიდარული კრედიტორის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სოლიდარულ კრედიტორთაგანი უფლებამოსილი რჩება შემცირებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე მთლიანი ოდენობით.

12 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457-ე მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

13 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 194.

IV. მოვალის მიერ ვალდებულების დეპონირებით შესრულება

სოლიდარული უფლებამოსილების დროს ვალდებულების დეპონირებით შესრულების შესაძლებლობა საკმაოდ თეორიულ ხასიათს ატარებს. მოვალე დეპონირებას მაშინ მიმართავს ხოლმე, როდესაც კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას ანდა მისი ადგილსამყოფელი უცნობია (424 I). სოლიდარული უფლებამოსილების შემთხვევაში, მოვალეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ამოირჩიოს სოლიდარული კრედიტორი და მის წინაშე განახორციელოს შესრულება.¹⁴ ამდენად მცირეა იმის ალბათობა, რომ მოვალის შესრულების მიღება ყველა კრედიტორმა დააყოვნოს, ანდა ყველა მათგანის ადგილსამყოფელი უცნობი აღმოჩნდეს მოვალისათვის. თუმცა ამგვარი შესაძლებლობა თეორიულად მაინც არ უნდა გამოვრიცხოთ. სოლიდარული კრედიტორის წინაშე დეპონირების გზით ვალდებულება იმ შემთხვევაში ჩაითვლება შესრულებულად და შესრულების მსგავს შედეგს იმ შემთხვევაში გამოიწვევს, თუ მოვალე ვალდებულების საგანს ნოტარიუსში ან სასამართლოში შეინახავს, ხოლო ფულს და ფასიან ქალაქებს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანს და თავიდანვე უარს განაცხადებს ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნებაზე (440 I).¹⁵

V. სამართლებრივი შედეგები

ვალდებულების მთლიანად შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ნიშნავს, რომ მოვალესა და ამ კრედიტორს შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და მისგან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნა წყდება (427). ამ მომენტიდან წყდება ასევე ყველა დანარჩენი კრედიტორის მოთხოვნა და მოვალე ყველა სხვა სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფლდება ისე, რომ მისი მხრიდან რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელება არ არის აუცილებელი. 458-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რომელიც ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე შესრულების შემთხვევაში სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართ შესრულების ტვირთისაგან განთავისუფლებას ნიშნავს, **იმპერატიული ხასიათისაა**. არც სოლიდარულ კრედიტორსა და არც მოვალეს არ შეუძლიათ **შეთანხმებით** სხვაგვარად დაარეგულირონ შესრულების შედეგები და შესრულების მოქმედება მხოლოდ იმ სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე დაიყვანონ, რომლის მიმართაც განხორციელდა ვალდებულების შესრულება.¹⁶ სხვაგვარი დაშვება იქამდე მიგვიყვანდა, რომ მოვალეს **რამდენიმეჯერ მოუნევდა** ვალდებულების შესრულება,¹⁷

14 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457 მუხლის თანახმად, ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

15 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 191 f.

16 Looschelders, in Staudinger BGB, 2012, Buch II, § 422, Rn. 8.

17 შდრ. Böttcher, in Ermann BGB, 13. Aufl., § 422, Rn. 10; Bydliński, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 422, Rn. 2.

რაც, უდავოდ, ეწინააღმდეგება 455-ე მუხლის დანაწესს და კრედიტორთა **უსაფუძვლო გამდიდრებას** გამოიწვევდა. შესაბამისად, ყველა სხვაგვარი შეთანხმება სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით, რომელიც 458-ე მუხლით დადგენილი შედეგებისაგან განსხვავებულ რეგულირებას ადგენს, ბათილად უნდა მივიჩნიოთ.

VI. მტკიცების ტვირთი

- 12 ვალდებულების შესრულების შემდეგ წარდგენილ ყველა მოთხოვნაზე ვალდებულების შესრულების **მტკიცების ტვირთი** ეკისრება მოვალეს. **შესრულების მტკიცებულებად** საკმარისია, თუ მოვალე წარადგენს ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ გაცემულ **ქვითარს**, რომელიც მის მიერ მთლიანი შესრულების მიღებას ადასტურებს.¹⁸

¹⁸ *Grüneberg*, in Palandt., BGB Komm., 73 Aufl., §428, Rn. 1.

მუხლი 459. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის უარის თქმის შედეგები

თუ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორი უარს იცყვის მოვალის წინაშე მოთხოვნაზე, მაშინ მოვალე თავისუფლდება მხოლოდ იმ ნაწილის გადახდისაგან, რომელიც მოცემულ კრედიტორს ერგებოდა.

- I. ნორმის არსი და მიზანი939
- II. რეგულირების მნიშვნელობა.....939
- III. მოთხოვნაზე უარის თქმის სახეები.....940
 - 1. ვალის პატიება940
 - 2. ნეგატიური აღიარება941
 - 3. pactum de non petendo941
- IV. სხვაგვარი შეთანხმება942
- V. სამართლებრივი შედეგები.....942
- VI. მტკიცების ტვირთი942

I. ნორმის არსი და მიზანი

ცალკეულმა სოლიდარულ კრედიტორმა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძვლით უარი განაცხადოს კუთვნილ მოთხოვნაზე მოვალის მიმართ. ნორმა სწორედ ერთი-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმას არეგულირებს. იგი არაფერს გვამცნობს იმის თაობაზე, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნაზე უარის თქმა, თუმცა საკმაო ინფორმაციას გვანვდის სამართლებრივი შედეგების კუთხით. იგი განმარტავს, რომ ერთი-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმა მოვალეს არა მთლიანი სოლიდარული უფლებამოსილებიდან, არამედ იმ წილის გადახდისაგან ათავისუფლებს, რაც აღნიშნულ სოლიდარული კრედიტორს შიდა ურთიერთობაში ეკუთვნოდა. ამ რეგულირებით კანონმდებელი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თითოეული კრედიტორის მოთხოვნა დამოუკიდებელი მოთხოვნაა, რომლის განკარგვაც მას დამოუკიდებლად სხვა კრედიტორთა „დახმარების“ გარეშე შეუძლია განახორციელოს.

1

II. რეგულირების მნიშვნელობა

459-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირება კანონმდებლის მიერ საკმაოდ გულმოდგინე განსჯისა და ანალიზის შედეგად იქნა შემოღებული და კანონმდებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სავსებით მართებულიადაც. კანონმდებელმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ თუ სოლიდარული ვალდებულების დროს საქმე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან სოლიდარულ მოვალეთა განთავისუფლებას ეხება (449), სოლიდარული უფლებამოსილების შემთხვევაში განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე. კერძოდ, სოლიდარული უფლებამოსილების დროს იმ სოლიდარულ კრედიტორთა უფლების დაკარგვას ეხება საქმე, რომელ-

2

თაც თვითონ არ მიუღიათ მოთხოვნაზე უარის თქმის გადანყვეტილება.¹ შესაბამისად, თუ კანონმდებელი ერთ-ერთი კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვალეს გაათავისუფლებდა მთლიანი ვალდებულებისაგან, ეს, უპირველესად, დიდი რისკების შემცველი იქნებოდა სხვა სოლიდარული კრედიტორებისათვის.

- 3 სოლიდარული კრედიტორი, რომელიც მთლიან შესრულებას იღებს მოვალისაგან, მოვალეს სხვა კრედიტორების წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. თუმცა იგი ვალდებულია, 462-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადაუხადოს სხვა კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ საკუთარ მოთხოვნაზე უარის თქმისათვის მთლიან ვალდებულებაზე უარის თქმის ძალის მინიჭება მოვალეს მთლიან ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან გაათავისუფლებდა. შედეგად კი სოლიდარულ კრედიტორს რეალურად არაფერი ექნებოდა მოვალისაგან მიღებული.² აღნიშნული რეგულირების დაშვების შემთხვევაში დარჩენილი სოლიდარული კრედიტორები მოვალის მიმართაც დაკარგავდნენ მოთხოვნას და 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნასაც. შესაბამისად, ამგვარი უფლებამოსილება განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას მოითხოვს.³

III. მოთხოვნაზე უარის თქმის სახეები.

1. ვალის პატიება

- 4 ქართული სამართალი არ იცნობს კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე ცალმხრივად უარის თქმას (448). ქართულ სამართალში კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმას კანონი ვალის პატიებას უწოდებს.⁴
- 5 იმისათვის, რომ ერთ-ერთმა სოლიდარულმა კრედიტორმა მოვალის მიმართ არსებულ კუთვნილ მოთხოვნაზე უარი განაცხადოს, აუცილებელია მასსა და მოვალეს შორის **შეთანხმების** გაფორმება (448). ამ შეთანხმებიდან ნათლად უნდა გამომდინარეობდეს კრედიტორის ნება მოთხოვნაზე უარის თქმისა.⁵ ვალის პატიების ნამდვილობისათვის აუცილებელია მოვალის თანხმობაც (448). მოვალის მხრიდან ნების გამოვლენის ნამდვილობას კანონმდებელი რაიმე განსაკუთრებული წინაპირობების დაცვაზე არ ხდის დამოკიდებულს. მისი თანხმობა შესაძლებელია ასევე დუმილითაც იქნეს მიღებული.⁶ თვითონ მოვალე, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყოს თანახმა ვალის პატიების ხელშეკრულების გაფორმებაზე. ასეთ შემთხვევაში, ვალის პატიების შესახებ შეთანხმება დადებულად ვერ ჩაითვლება.

1 Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, §429, Rn. 5.

2 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 197.

3 Völmann-Stickelbrock, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 2. Aufl., §429, Rn. 5.

4 ზოდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559.

5 Schlütter, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, §397, Rn. 3.

6 ზოდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559.

ვალის პატიება მოთხოვნათა განკარგვის ხელშეკრულებას განეკუთვნება.⁷ შესაბამისად, მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ კრედიტორი იყოს იმ მოთხოვნის მესაკუთრე, რომელსაც იგი პატიობს მოვალეს. სოლიდარული უფლებამოსილების შემთხვევაში, აღნიშნული წინაპირობა სრულადაა სახეზე. თითოეულ სოლიდარულ კრედიტორს მოვალის მიმართ საკუთარ მოთხოვნასთან მიმართებაში მესაკუთრის სრული უფლებამოსილება გააჩნია.⁸ მას თავისუფლად შეუძლია, განკარგოს ეს მოთხოვნა ისე, რომ ამ განკარგვის ნამდვილობისათვის სოლიდარულ კრედიტორთა მხრიდან რაიმე თანხმობა ანდა ნების გამოვლენა არ არის საჭირო.

ვალის პატიებისათვის კანონი რაიმე ფორმას არ განსაზღვრავს. იგი **ფორმათავისუფალი გარიგებაა**, რომლის დადებაც შეიძლება როგორც წერილობით ისე ზეპირად.⁹ ვალის პატიება ნამდვილი იქნება მაშინაც, როდესაც სოლიდარულ კრედიტორსა და მოვალეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება **ფორმასავალდებულო გარიგებას** წარმოადგენს.¹⁰

2. ნეგატიური აღიარება

მოვალესა და ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს შორის მიღწეული შეთანხმებით შესაძლოა კრედიტორმა იმგვარად თქვას კუთვნილ მოთხოვნაზე უარი, რომ იგი აღიარებს მოვალის ვალის არ არსებობას (**ნეგატიური აღიარება**).¹¹ ეს იგივე სამართლებრივ შედეგებს იწვევს, რასაც ვალის პატიება.¹² მისი არსებობის ნამდვილობისათვის ასევე აუცილებელია ხელშეკრულება სოლიდარულ კრედიტორსა და მოვალეს შორის. ვალის პატიების მსგავსად ნეგატიური აღიარების დროს ნათლად უნდა გამომდინარეობდეს კრედიტორის ნება მოთხოვნაზე უარის თქმისა.¹³

ნეგატიური აღიარება ვალის აღიარების მსგავსად ფორმათავისუფალი გარიგებაა.¹⁴ მისი ნამდვილობისათვის რაიმე ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

3. pactum de non petendo

459-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირება არ მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც კრედიტორი პირდება მოვალეს, რომ იგი არ გამოიყენებს მის მიმართ არსებულ მოთხოვნას (**pactum de non petendo**).¹⁵ ამ შემთხვევაში იმ სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმა-

7 Ring, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 2. Aufl., §397, Rn. 7; Wagner, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §397, Rn. 1.

8 Schwintowski, Wirksamkeit der Übertragung von Gesamtgläubigerrechten bei Geschäftsunfähigkeit eines Gesamtgläubigers, Jus, 1988, S. 606.

9 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 560.

10 ვალის პატიების ფორმასთან დაკავშირებით იხ. მუხ. 448, ველი 2-7.

11 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559.

12 შდრ. ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559; Staudinger/Rieble,, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §397, Rn. 261.

13 Wagner, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §397, Rn. 11.

14 Ring, in Dauner-Lieb/Langen,, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., §397, Rn. 46.

15 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 559.

რთ, რომელიც პირდება მოვალეს მოთხოვნის არ განხორციელებას, კი არ ნყდება არამედ რჩება, თუმცა მოვალე იძენს უფლებას შეედავოს კრედიტორს თუ იგი შესრულებას იძულებითი წესით მოითხოვს.¹⁶ შესაბამისად, მთლიანი მოთხოვნა არ მცირდება იმ სოლიდარული კრედიტორის კუთვნილი წილის ოდენობით, რომელიც პირდება მოვალეს მოთხოვნის არ განხორციელებას. ნებისმიერი სხვა სოლიდარული კრედიტორი უფლებამოსილი რჩება მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე. მართალია, კრედიტორი, რომელიც დაპირდა მოვალეს, რომ არ განხორციელებდა მის მიმართ მოთხოვნის იძულებით დაკმაყოფილებას, კარგავს მოთხოვნის იძულებით განხორციელების უფლებას, თუმცა იგი არ კარგავს მოთხოვნას 462-ე მუხლიდან გამომდინარე. ასე რომ, ამ შემთხვევაში 459-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის შესახებ საუბარი ზედმეტია.

IV. სხვაგვარი შეთანხმება

- 11 კანონის დანაწესი არ არის **იმპერატიული ბუნების** და დასაშვებად მიიჩნევა იმ შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთი კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმა, შესაძლოა, მთლიან ვალდებულებაზე უარის თქმადაც ჩაითვალოს. კერძოდ, ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმა მაშინ ჩაითვლება ამავედროულად ყველა სოლიდარული კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმად, როდესაც ამ სოლიდარულ კრედიტორს სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური უფლებამოსილება.¹⁷

V. სამართლებრივი შედეგები

- 12 ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმა არ ჩაითვლება ყველა სოლიდარული კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმად. სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მოთხოვნაზე იგი გავლენას ვერ მოახდენს. **საერთო მოთხოვნა** შემცირდება მხოლოდ იმ წილის ოდენობით, რა ოდენობაზეც ეს სოლიდარული კრედიტორი 462-ე მუხლიდან გამომდინარე შიდა ურთიერთობაში მიღებული შესრულების მოთხოვნაზე არის უფლებამოსილი.
- 13 ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმამ სოლიდარული უფლებამოსილების შეწყვეტაც გამოიწვიოს. კერძოდ, თუ სოლიდარულ უფლებამოსილებაში ორი კრედიტორი მონაწილეობს, ერთ-ერთის მიერ კუთვნილ მოთხოვნაზე უარის თქმა სოლიდარულ უფლებამოსილების შეწყვეტამდე მიგვიყვანს. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ საკუთარ მოთხოვნაზე უარის თქმა ასევე იმ შემთხვევაში გამოიწვევს მთლიანი მოთხოვნის შეწყვეტას, თუ ის სოლიდარული კრედიტორი, რომელიც უარის აცხადებს კუთვნილ მოთხოვნაზე, შიდა ურთიერთობაში მთლიანი შესრულების მიღებაზეა უფლებამოსილი.

16 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 448, გვ. 560.

17 შდრ. *Selb*, *Mehrheiten von Gläubigern und Schuldner*, 1984, S. 257; *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, *BGB Kommentar*, 5. Aufl., §429, Rn. 4; *Gebauer*, in *Sorgel*, *BGB Kommentar*, *Schuldrecht* 3/3, 13. Aufl., §429, Rn. 4.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმა მთლიან მოთხოვნაზე უარის თქმად განიხილება, მისი სამართლებრივი შედეგები იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანი სოლიდარული უფლებამოსილება წყდება მოვალესთან მიმართებაში. არც ერთ სოლიდარულ კრედიტორს აღარ აქვს უფლება, მოვალისაგან შესრულება მოითხოვოს. იგივე ითქმის შიდა ურთიერთობაზეც. არც ერთ სოლიდარულ კრედიტორს არ წარმოეშობა 462-ე მუხლიდან გამომდინარე უფლება არც ერთი კრედიტორის მიმართ.

14

VI. მტკიცების ტვირთი

მოვალეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მასსა და ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს შორის **ვალის პატიების**, ანდა **ნეგატიური აღიარების** ხელშეკრულება გაფორმდა და მოთხოვნა შესაბამისი ოდენობით შეწყვეტილია.

15

მუხლი 460. სხვა კრედიტორთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების დაშვებლობა

მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთი კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ისეთი ფაქტები, რომლებიც სხვა კრედიტორთანაა დაკავშირებული.

I. ნორმის არსი და მიზანი	944
II. ფაქტები, რომლებიც მოვალესა და ერთ-ერთ კრედიტორს შორის ურთიერთობაში სუბიექტურ-ინდივიდუალურად მოქმედებენ.....	944
1. მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება	944
2. ბრალი	945
3. მოვალისა და ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის კონფუზია	945
4. შესაგებელი.....	946
5. ვალის გადაკისრება	946
6. ხანდაზმულობის ვადა	947
III. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება	948
IV. სხვაგვარი შეთანხმება	948
V. პროცესუალური საკითხები.....	949

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ნორმა კრძალავს მოვალის მიერ ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენებას სხვა კრედიტორთან მიმართებაში. აღნიშნული რეგულირებით კანონმდებელი ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც განსაზღვრული ფაქტები, რომლებიც ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოიქმნებიან, მხოლოდ მათ შორის ურთიერთობაში მოქმედებენ. მოვალეს არ შეუძლია ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორთან დაკავშირებული ყველა ფაქტი განაზოგადოს და სხვა კრედიტორთან მიმართებაში გამოიყენოს. კანონმდებელი მას ამგვარ უფლებას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ანიჭებს. ყველა სხვა შემთხვევაში ისინი მოვალესა და კონკრეტულ კრედიტორის შორის სუბიექტურ-ინდივიდუალურად მოქმედებენ. 458-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა რა შემთხვევაში აქვს მოვალეს ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორთან დაკავშირებული ფაქტების განზოგადებისა და სხვა კრედიტორთან მიმართებაში მათი გამოყენების უფლება, კანონმდებელი არ აკონკრეტებს.

2 ნორმის ამგვარი რეგულირების მიზანი კრედიტორთა ინტერესების დაცვიდან გამომდინარეობს. არაკეთილსინდისიერი კრედიტორის ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს სხვა კეთილსინდისიერად მოქმედი კრედიტორის დაზარალება.¹ ამასთან, ნორმა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ სოლიდარული უფლებამოსილება რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისაგან შედგება. სოლიდარულ უფლებამოსილებაში შემავალი ვალდებულებითსამართლებრივი

¹ ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 577.

ურთიერთობანი ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას და ერთმანეთისაგან განსხვავებულად შეიძლება განვითარდნენ.

II. ფაქტები, რომლებიც მოვალესა და ერთ-ერთ კრედიტორს შორის ურთიერთობაში სუბიექტურ-ინდივიდუალურად მოქმედებენ

1. მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება

მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიმართ **შესრულების ვადის გადაცილება** მოქმედებს მხოლოდ იმ სოლიდარულ კრედიტორთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც გადააცილა მოვალემ შესრულების ვადას.² სოლიდარული უფლებამოსილების მომწესრიგებელი ნომრები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვანვდიან რაიმე ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, 470-ე მუხლის მე-2 ნაწილი ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ.

იმ კრედიტორს, რომლის მიმართაც მოვალემ გადააცილა შესრულების ვადას, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (404). ვინაიდან თითოეულ სოლიდარული კრედიტორს დამოუკიდებელი კრედიტორის უფლებამოსილება გააჩნია, მართებულა, იგი სხვა სოლიდარულ კრედიტორთანხმობის გარეშე შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურებაზე მივიჩნიოთ უფლებამოსილ პირად. მის მიერ ზიანის ანაზღაურების მიღება გამოიწვევს სოლიდარული უფლებამოსილების შეწყვეტას.³ რა თქმა უნდა, მოვალეს შესრულების ვადის გადაცილების შემდეგაც შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება განახორციელოს იმ სოლიდარულ კრედიტორთან მიმართ, რომელთან მიმართაც მოვალეს შესრულების განხორციელების ვადა არ დაურღვევია.⁴ თუმცა ზიანის ანაზღაურებაზე იმ სოლიდარული კრედიტორის მიმართ, რომლის წინაშეც მან გადააცილა შესრულების ვადას, იგი კვლავინდებურად პასუხისმგებელი დარჩება.⁵

2. ბრალი

თითოეული სოლიდარული კრედიტორი მხოლოდ საკუთარი **ბრალეული ქმედებისათვის** აგებს პასუხს მოვალის წინაშე. მისი ბრალეული ქმედებით გამოწვეული შედეგები არ ვრცელდება სხვა სოლიდარულ კრედიტორთან მიმართ. შესაბამისად, ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ ბრალეული ქმედებით გამოწვეული **ზიანისათვის** პასუხისმგებლობა სხვა სოლიდარულ კრედიტორებს არ ეკისრებათ.⁶

2 შდრ. *Rütten*, *Mehrheit von Gläubigern*, 1989, S. 202; *Medicus/Lorenz*, *Schuldrecht I*, 19. Aufl., S. 397, Rn. 831; *Looschelders/Looschelders*, *Schuldrecht AT*, 16. Aufl., 2018, §54, Rn. 10; *Böttcher*, in *Ermann*, *BGB Komm.*, 14. Aufl., §429, Rn. 6.

3 *Rütten*, *Mehrheit von Gläubigern*, 1989, S. 202.

4 **შენიშვნა:** ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ იმ სოლიდარულ კრედიტორს, რომლის მიმართაც მოვალემ დააღვია შესრულების ვადა, 457 მუხლის თანახმად, არ წაუყენებია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

5 *Looschelders*, in *Staudinger*, *BGB Neubearbeitung 2017*, Buch II, §429, Rn. 50.

6 *Brox/Walker*, *Allgemeines Schuldrecht*, 43. Aufl., §37, Rn. 35.

3. მოვალისა და ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის კონფუზია

- 6 ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისა და მოვალის **კონფუზიის** სამართლებრივი შედეგები მოქმედებს მხოლოდ მოვალესა და ამ კრედიტორს შორის ურთიერთობაში. შედეგად, არა მთლიანი სოლიდარული უფლებამოსილება, არამედ მოვალესა და კონკრეტულ სოლიდარულ კრედიტორს შორის არსებული ვალდებულებებისამართლებრივი ურთიერთობა და მისგან გამომდინარე **კონკრეტული მოთხოვნა** წყდება.⁷ მოვალეს არ შეუძლია ამ საფუძვლით უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე იმ სოლიდარულ კრედიტორთა მიმართ, რომელთა მიმართებაშიც კონფუზია არ განხორციელებულა. დარჩენილი სოლიდარული კრედიტორები მოთხოვნაზე სოლიდარულად უფლებამოსილნი რჩებიან. თუმცა საერთო მოთხოვნა შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც იმ სოლიდარულ კრედიტორს, რომლის პიროვნებაშიც განხორციელდა კონფუზია, გააჩნდა წილი შიდა ურთიერთობაში.

4. შესაგებელი

- 7 მოვალე უფლებამოსილია, ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს წარუდგინოს მხოლოდ მასსა და ამ სოლიდარულ კრედიტორს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე **შესაგებელი**. მას არ შეუძლია, ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს წარუდგინოს სხვა სოლიდარულ კრედიტორებთან დაკავშირებული შესაგებელი. მართალია, 466-ე მუხლის მსგავსი ნორმა სოლიდარულ უფლებამოსილებაში არ გაგვანჩნია, თუმცა საკითხის მსგავსი წესით გადანყვევის შესაძლებლობას 460-ე მუხლი იძლევა. 466-ე მუხლზე დაყრდნობით მოვალეს ასევე იმ შესაგებელის წარდგენის უფლება უნდა მიეცეს, რომელიც **საერთოა** ყველა კრედიტორისათვის ანდა რომელიც **ვალდებულების არსიდან** გამომდინარეობს.

5. ვალის გადაკისრება

- 8 მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული, ანდა მოვალეს და მესამე პირს შორის დადებული და მოთხოვნის მფლობელის მიერ მოწონებულ **ხელშეკრულებას ვალის გადაკისრების თაობაზე** (203) ძალა აქვს მხოლოდ მოთხოვნის მფლობელ კონკრეტულ სოლიდარულ კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაში. აღნიშნული რეგულირების საფუძვლად ის გარემოება გვევლინება, რომ სოლიდარულ უფლებამოსილებაში თითოეულ სოლიდარულ კრედიტორს დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება აქვს, რომელთა მიმართებაშიც მას მესაკუთრის სრული უფლებამოსილება გააჩნია.⁸ მას თავისუფლად შეუძლია განკარგოს კუთვნილი მოთხოვნა ისე, რომ საამისოდ სხვა სოლიდარულ კრედიტორთა თანხმობა არ არის აუცილებელი.⁹ ვალის გადაკისრების

7 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 564.

8 Schwintowski, Wirksamkeit der Übertragung von Gesamtgläubigerrrechten bei Geschäftsunfähigkeit eines Gesamtgläubigers, Jus 1988, S. 606.

9 Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §429, Rn. 7.

ხელშეკრულებით ამ სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნის ადრესატი იცვლება. თავისი შინაარსით შეუცვლელი მოთხოვნა მიმართულია ახლა სხვა მოვალის წინააღმდეგ. აღნიშნული არ ვრცელდება სხვა სოლიდარულ კრედიტორთა ურთიერთობაზე მოვალის მიმართ. სხვა სოლიდარულ კრედიტორებთან მიმართებაში ძველი მოვალე ვალდებული რჩება მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე, ვინაიდან იმ სოლიდარულ კრედიტორს, რომელმაც გააფორმა ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორთა მოთხოვნის განკარგვის უფლებამოსილება არ გააჩნდა.¹⁰ სხვაგვარი რეგულირების დაშვება იქამდე მიგვიყვანდა, რომ სხვა სოლიდარული კრედიტორები ვალდებულები იქნებოდნენ მიეღოთ ის მოვალე, რომლის არჩევაზეც მათ თანხმობა არ განუცხადებიათ.¹¹ მოვალის პიროვნებაში დევს ხშირად ის მოტივები რომლებიც განაპირობებს მასთან ხელშეკრულების დადებას. ეს არის ძირითადად ნდობა მის **პიროვნების** და მისი **გადახდისუნარიანობის** მიმართ. შესაბამისად სხვაგვარი რეგულირება მნიშვნელოვნად დააზარალებდა სხვა სოლიდარულ კრედიტორთა ინტერესებს.

როგორც კი **მესამე პირი** მთლიანად შეასრულებს ვალდებულებას კრედიტორის მიმართ, ეს გამოიწვევს მოვალის განთავისუფლებას ყველა სხვა სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე შესრულების ვალდებულების ტვირთისაგან.¹² იგივე უნდა ითქვას იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ასრულებს ვალდებულებას სხვა სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე. ის მესამე პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო მოვალის ვალდებულება კონკრეტული კრედიტორის წინაშე ამ შესრულებისთანავე განთავისუფდება ვალდებულებისაგან.¹³

თუმცა შესაძლებელია ასევე ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ გაფორმებული ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას საერთო ძალა მიენიჭოს და იგი ყველა სოლიდარული კრედიტორის მიმართ გავრცელდეს. აღნიშნული შემთხვევა მაშინ გვხვება სახეზე, როდესაც იმ სოლიდარულ კრედიტორს, რომელიც აფორმებს ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას, სხვა სოლიდარული კრედიტორების მხრიდან ექნება უფლებამოსილება ამგვარი შეთანხმების გაფორმებაზე.

6. ხანდაზმულობის ვადა

სოლიდარული უფლებამოსილების მარეგულირებელი ნორმები არაფერს გვამცნობს ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით. კანონი არც იმას გვეუბნება, ამ ვადის გასვლის მიუხედავად, სხვა დანარჩენებს აქვთ თუ არა მოთხოვნის უფლება და რა ოდენობით. აღნიშნული საკითხის გადანიყვეტისას ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ 476-ე მუხლი და ერთ-ერთი

10 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 28.

11 იქვე.

12 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 29.

13 იქვე.

სოლიდარული კრედიტორის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, სხვა სოლიდარულ კრედიტორებს მთლიანი მოთხოვნის უფლებამოსილება უნდა მივანიჭოთ. ვალდებულებათა სიმრავლის თეორიისა და 460-ე მუხლის გათვალისწინებით აღნიშნული რეგულირება ლოგიკურია. ვინაიდან სოლიდარული ვალდებულება რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებებისაგან შედგება, არაა გამორიცხული ისინი ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდნენ. თუ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადის დენა ერთად დაიწყო, ისინი ერთად დამთავრდებიან.¹⁴ შესაძლოა მათი დენა ცალ-ცალკე დაიწოს, ამ შემთხვევაში მოთხოვნათა დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ისინი სხვადასხვა დროს დამთავრდებიან.¹⁵ იგივე შეიძლება ითქვას ხანდაზმულობის ვადის **შეჩერებასთან (132)** და **შენწყვეტასთან (136)** დაკავშირებით. შესაბამისად იმ საფუძვლით რომ ერთ-ერთმა სოლიდარულმა კრედიტორმა ხანდაზმულობის ვადა გაუშვა, მოვალეს არ შეუძლია ასევე უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე სხვა სოლიდარული კრედიტორთა წინაშე.¹⁶

III. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება

12

460-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირებიდან გამონაკლისია ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ **შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები**. იგი ძალაშია ასევე სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართაც. მართალია, აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგულირება სოლიდარულ უფლებამოსილების მომწესრიგებელ მუხლებში არ გაგვაჩნია, თუმცა 470-ე მუხლის პირველი ნაწილი ამ შემთხვევაში ანალოგიური წესით უნდა იქნეს გამოყენებული. აღნიშნული რეგულირება წინააღმდეგობაში არ მოდის ვალდებულებათა სიმრავლის თეორიასთან.¹⁷ მოვალეს ნებისმიერი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანი შესრულებით შეუძლია თავი დააღწიოს ვალდებულებას ასევე სხვა კრედიტორთა წინაშე,¹⁸ შესაბამისად შეთავაზებული შესრულების არ მიღება ერთ-ერთი კრედიტორის მიერ დამაზარალებელი არ უნდა იყოს მოვალისათვის. საკითხის ანალოგიის წესით გადანწყვეტისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ კრედიტორის მიერ შემოთავაზებული შესრულების დროულად მიღების შემთხვევაში, იგი მოვალის განთავისუფლებას გამოიწვევდა სხვა დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.¹⁹ აქედან გამომდინარე, მართებულია შესრულების მიღების ვადის გადაცილების შედეგების გავრცელება ასევე სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართაც, რომლე-

14 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 600.

15 იქვე.

16 ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გვ 94.

17 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 201.

18 Jousen, Schuldrecht I-Allgemeiner Teil, Jena 2008, S. 456, Rn. 1367.

19 შდრ. Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 255; Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 43. Aufl. §37, Rn. 34.

ბიც, მართალია, თვითონ არ იყვნენ შესრულების მიღების ადრესატები, თუმცა შესრულების მისაღებად მზად იყვნენ.²⁰

IV. სხვაგვარი შეთანხმება

ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა. შესაბამისად იგი არ გამორიცხავს 13 კრედიტორთა და მოვალეს შორის სხვაგვარი რეგულირების შეთანხმების შესაძლებლობას. ასე მაგალითად შესაძლებელია სოლიდარული კრედიტორებისა და მოვალის შეთანხმება, რომ ცალკეული ფაქტები ყველა სოლიდარული კრედიტორის მიმართ ანდა მხოლოდ რამდენიმე მათგანის მიმართ ჰპოვებს გავრცელებას²¹.

V. პროცესუალური საკითხები

სასამართლო გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მოვალესა და 14 პროცესის მონაწილე კონკრეტულ სოლიდარულ კრედიტორს შორის ურთიერთობაში. სოლიდარული კრედიტორებისათვის მათი **მატერიალურ-სამართლებრივი კავშირის** გამო კოდექსი რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებს. სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს სხვა სოლიდარულ კრედიტორთა ურთიერთობაზე მოვალესთან მიმართებაში, ასევე მათ ურთიერთობაზე ურთიერთთან. ყველა დარჩენილ სოლიდარულ კრედიტორს შეუძლია სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და უფლების განხორციელება მოითხოვოს სასამართლო წესით.

²⁰ *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §429, Rn. 2.

²¹ **შენიშვნა:** აღნიშნული წესი არ მოქმედებს 458-ე მუხლთან მიმართებაში. იგი იმპერატული ხასიათის რეგულირებაა და მხარეებს შეთანხმებით არ შეუძლია მისი შედეგების შეზღუდვა ანდა გამორიცხვა.

მუხლი 461. სოლიდარული კრედიტორის მემკვიდრეთა უფლებები

თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება.

I. ნორმის არსი და მიზანი	950
II. გარდაცვალება არ განაპირობებს სოლიდარული უფლებამოსილების შეწყვეტას	950
III. უფლებამონაცვლეობა სოლიდარულ უფლებამოსილებაში	951
1. ერთი მემკვიდრის შემთხვევაში	951
2. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში	951
VI. მემკვიდრეთა წილი სოლიდარულ უფლებამოსილებაში	952
V. სხვაგვარი რეგულირების დასაშვებობა	952
VI. სამართლებრივი შედეგები	952
VII. საპროცესოსამართლებრივი საკითხები	953

I. ნორმის არსი და მიზანი

- 1 ნორმა მემკვიდრეთა უფლებამოსილების საკითხს არეგულირებს სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში. ნორმა განმარტავს, რომ სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში, თითოეულ მემკვიდრეზე ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი გადადის, რომელიც მის სამკვიდრო წილს შეესაბამება. ნორმა მხოლოდ ზოგად წესს ადგენს რომლის თანახმადაც განისაზღვრება თუ როგორ ნაწილდება კრედიტორის წილი მის მემკვიდრეებზე. ნორმის დანაწესი პასუხს არ გვაძლევს კითხვაზე ადგილი აქვს სოლიდარულ კრედიტორთა წრის გაფართოვებას, თუ სოლიდარული უფლებამოსილების ტრანსფორმაცია ხდება წილად უფლებამოსილებად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა მოხდეს.

II. გარდაცვალება არ განაპირობებს სოლიდარული უფლებამოსილების შეწყვეტას

- 2 გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი კრედიტორის გარდაცვალებას ვალდებულების შეწყვეტას უკავშირებს. კერძოდ კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში ვალდებულება იმ შემთხვევაში შეწყდება, როდესაც ვალდებულება პირადად გარდაცვლილი კრედიტორის წინაშე უნდა შესრულებულიყო (453). სოლიდარული უფლებამოსილების დროს ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას (461). სოლიდარული უფლებამოსილებიდან გამომდინარე მოვალეს შეუძლია, თავისუფლად ამოირჩიოს ნებისმერი კრედიტორი და ვალდებულების შესრულება მის წინაშე განახორციელოს (457). აღნიშნული უფლება მოვალეს აქვს იქამდე, ვიდრე ვალდებულების შესრულება არ დამდგარა, ანდა 457-ე მუხლის საფუძველზე ერთ-ერთ სოლიდარულ კრე-

დიტორს არ წარუდგენია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით (იხ. 457-ე მუხლის კომენტ. ველი 4). ამ არჩევანის უფლებაზე გავლენას ვერ მოახდენს კრედიტორის გარდაცვალება¹. მოვალე არ არის ვალდებული, ელოდოს გარდაცვლილი სოლიდარულ კრედიტორის უფლებამონაცვლეთა დადგენას. მას შეუძლია, დარჩენილ სოლიდარული კრედიტორთაგან საკუთარი სურვილისებრ ამოარჩიოს სოლიდარული კრედიტორი² და მის წინაშე განახორციელოს ვალდებულების შესრულება. ვალდებულების მთიანად შესრულებისთანავე მოვალე გათავისუფლდება ნებისმიერ სხვა კრედიტორთა, მათ შორის მემკვიდრეთა წინაშე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან (458).

III. უფლებამონაცვლეობა სოლიდარულ უფლებამოსილებაში

1. ერთი მემკვიდრის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ სოლიდარულ კრედიტორს ერთი მემკვიდრე ჰყავს უფლებამონაცვლეობის საკითხი ადვილად წყდება. ეს მემკვიდრე დაიკავებს სოლიდარულ უფლებამოსილებაში გარდაცვლილი სოლიდარული კრედიტორის ადგილს და ახალ სოლიდარულ კრედიტორად მოგვევლინება იმ წილის ოდენობით, რა წილიც გარდაცვლილ სოლიდარულ კრედიტორს გააჩნდა შიდა ურთიერთობაში.

2. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში

თუ გარდაცვლილ სოლიდარულ კრედიტორს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, აღნიშნული არ გამოიწვევს სოლიდარულ კრედიტორთა წრის გაზრდას. გარდაცვლილი სოლიდარული კრედიტორის მემკვიდრეები სოლიდარულ უფლებამოსილებაში მამკვიდრებლის წილის ფარგლებში განაგრძობენ ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობას. არც სოლიდარული უფლებამოსილების არსებობაზე მოახდენს კრედიტორის ამგვარი „ცვლილება“ გავლენას. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოება მეტყველებს, რომ 461-ე მუხლიდან გამომდინარე, მემკვიდრეთა წილობრივ კრედიტორებად მიჩნევა ყოველთვის შედეგის მომცემი ვერ იქნება. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ვალდებულების საგანი განუყოფადი აღმოჩნდეს (456), შედეგად სოლიდარული უფლებამოსილების ტრანსფორმაცია წილად უფლებამოსილებად შეუძლებელი აღმოჩნდება. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა გამოირიცხოს ნორმის იმგვარი განმარტება, რომელიც მემკვიდრეთა წილობრივ უფლებამოსილებამდე მიგვიყვანდა მოვალესთან მიმართებით.

1 შდრ. Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 205 f; Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §428, Rn. 23.

2 შენიშვნა: ეს წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც 457 მუხლის თანახმად ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს მოვალისათვის არ წაუყენებია შესაგებელი 455 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით.

- 5 ნორმის ამგვარი განმარტება შესაძლებლობას გვაძლევს, ყველა შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ ის პრობლემა, რაც სოლიდარული უფლებამოსილების წილად უფლებამოსილებად ტრანსფორმაციის შემთხვევაში ვალდებულების საგანთან მიმართებაში იქმნება. გარდა ამისა, ნორმის ამგვარი განმარტება გამართლებულია მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალებამ არ უნდა გამოიწვიოს მოვალის დატვირთვა იმ **უარყოფითი შედეგებით**, რაც **წილად უფლებამოსილებას** ახლავს თან. კერძოდ, მას არ უნდა დაეკისროს იმის გარკვევის ვალდებულება, თუ თითოეული კრედიტორი რა წილის ოდენობით არის შესრულებაზე უფლებამოსილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალება, სოლიდარული უფლებამოსილების არსებობასა და მასში სხვა სოლიდარული კრედიტორთა სამართლებრივ მდგომარეობაზე გავლენას ვერ მოახდენს.³ კრედიტორის გარდაცვალების მიუხედავად, მოვალე უფლებამოსილად უნდა ჩავთვალოთ სხვა სოლიდარული კრედიტორის, ანდა ერთ-ერთი მემკვიდრის მიმართ მთლიანად შეასრულოს ვალდებულება და ამგვარად დააღწიოს თავი ვალდებულების შესრულების ტვირთს.

VI. მემკვიდრეთა წილი სოლიდარულ უფლებამოსილებაში

- 6 462-ე მუხლიდან გამომდინარე თითოეულ მემკვიდრეთაგანი იმ ოდენობით იქნება განხორციელებული შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი, რაც მის **სამკვიდრო წილს** შეესაბამება (461). მუხლი სწორედ ამგვარ რეგულირებას გულისხმობს და მემკვიდრეთა წილის ოდენობას განსაზღვრავს გარდაცვლილი სოლიდარული კრედიტორის კუთვნილი წილის ფარგლებში. სამკვიდრო წილის ოდენობას განსაზღვრავს კანონი (1336), ანდა შესაძლოა ცალკეული მემკვიდრისათვის მისი ოდენობა მამკვიდრებელის მიერ ანდერძით (1348) იქნეს დადგენილი. შესაძლებელია, ასევე თვითონ მემკვიდრეებმა ურთიერთშეთანხმებით სამკვიდროს ისეთ განაწილებაზე შეთანხმდნენ, რომელიც განსხვავებული იქნება კანონით ანდა ანდერძით განსაზღვრული წილისაგან.⁴

V. სხვაგვარი რეგულირების დასაშვებობა

- 7 461-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირება არ არის იმპერატიული. შესაძლებელია შეთანხმებით ამ რეგულირების შეზღუდვა ანდა საერთოდ გამორიცხვა. ასე მაგალითად, შესაძლებელია, სოლიდარულ კრედიტორთა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევაში სოლიდარული უფლებამოსილების ტრანსფორმაცია განხორციელდება წილად უფლებამოსილებად.⁵

3 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2012, Buch II, §428, Rn. 23.

4 *შენგელია*, მემკვიდრეობითი სამართალი, 2007 გვ. 167.

5 *შენიშვნა*: რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ვალდებულების საგნის გაყოფადობა.

VI. სამართლებრივი შედეგები

მემკვიდრეებისარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც მამკვიდრებელს სოლიდარული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გააჩნდა. თითოეული უფლებამოსილია მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე და შესრულების მიღების შემთხვევაში თითოეულს 462-ე მუხლიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულება ეკისრება. 8

VII. საპროცესოსამართლებრივი საკითხები

თუ სოლიდარულ კრედიტორი მოვალესთან მიმართებაში მიმდინარე სამართლებრივი დავის განმავლობაში გარდაიცვლება, მაშინ სასამართლოუფლებამონაცვლის დადგენამდე **შეაჩერებს საქმის წარმოებას** (სსკ 279 ა; 281 ა).⁶ მემკვიდრეებს შეუძლიათ უფლებამონაცვლეებად ჩაერთონ პროცესში.⁷ თუ ისინი სსკ 281-ე მუხლის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ ჩაერთვებიან **უფლებამონაცვლეებად** პროცესში, მაშინ სასამართლო **განუხილველად დატოვებს** სარჩელს (სსკ 275 ზ). სარჩელის განუხილველად დატოვება არ ართმევს თითოეულ მემკვიდრეს უფლებას, საკუთარი სახელით შეიტანოს სარჩელი მოვალის წინააღმდეგ და მთლიანი შესრულება მოითხოვოს (სსკ 278). 9

6 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 488.

7 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 493, 494.

მუხლი 462. სოლიდარული კრედიტორის მოვალეობა დანარჩენი სოლიდარული კრედიტორების წინაშე

1. სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.

2. სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილი, თუ მათ შორის სხვა რამ არ არის დადგენილი.

I. ნორმის არსი და მიზანი	954
II. 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობა	955
1. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება	955
ა. წინაპირობები	955
ბ. გამონაკლისები	956
ა.ა მოვალისაგან მთლიანი შესრულების მიღების შეუძლებლობა	956
ბ.ბ ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ	956
2. მოვალის მიერ ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება	957
3. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა	958
4. ხანდაზმულობა	958
III. 462 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის ოდენობა	958
1. წილთა თანაბრობის კანონისმიერი ვარაუდი	958
2. სოლიდარულ კრედიტორთა შეთანხმება	959
IV. სამართლებრივი შედეგები	959
V. პროცესუალურსამართლებრივი საკითხები	960

I. ნორმის არსი და მიზანი

1. სოლიდარული უფლებამოსილება ორტაქტიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაა. პირველი ტაქტი სოლიდარულ კრედიტორთა და მოვალეს შორის ურთიერთობას ეხება, ხოლო მეორე ტაქტი კი კრედიტორთა შორის **შიდა ურთიერთობას** მოიცავს და მათ შორის მიღებული შესრულების განაწილებას გულისხმობს.¹ მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ სოლიდარული უფლებამოსილება წყდება და თვითონ სოლიდარულ კრედიტორთა შორის იწყება ურთიერთობის გარკვევა.² წინა პლანზე იწვევს სოლიდარულ კრედიტორთა **შიდა ურთიერთობა**. სწორედ ამ შიდა ურთიერთობით დადგენილი **წილი** განსაზღვრავს იმას, თუ ვინ რა ოდენობით არის საბოლოოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი. 462-ე მუხლის მიზანიც სწორედ კრედიტორთა შორის არსებული **შიდა ურთიერთობის** რეგულირებაში მდგომარეობს. ნორმა კრედიტორთა ინტერესების დაცვას ემსახურება და შესრულებული ვალდებულების სამართლიან განაწილებას უზრუნველყოფს კრედიტორთა

1 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 159.

2 ზოძი, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 462, გვ. 580.

შორის.³ იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოვალის მიერ კრედიტორის თავისუფლად არჩევისა და მის წინაშე ვალდებულების შესრულების უფლება არ ნიშნავს მოვალის მხრიდან შესრულების საბოლოო ადრესატის განსაზღვრის უფლებამოსილებას.⁴ მოვალის არჩევანის მიუხედავად შესრულების მიმღები კრედიტორი ვალდებულია, გადაუხადოს სხვა კრედიტორებს მათი კუთვნილი წილის შესაბამისად. ნორმა თავიდან გვაცვილებს იმ უსამართლო შედეგებს, რომელსაც შესრულების მიმღები კრედიტორის მიერ მთლიანი შესრულების დატოვება გამოიწვევდა.

მუხლის მეორე ნაწილი სოლიდარულ კრედიტორთა წილთა ოდენობას განსაზღვრავს ერთმანეთთან ურთიერთობაში. იგი **წილთა თანაბრობის კანონისმიერ ვარაუდს** შეიცავს, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ სოლიდარულ კრედიტორებს შეთანხმებით სხვა რამ არ აქვთ გათვალისწინებული.

II. 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობა

1. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება

ა. წინაპირობები

462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა დამოუკიდებელი მოთხოვნაა.⁵ იგი ავტომატურად წარმოიშობა მოვალის მიერ ერთ-ერთი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისთანავე და ამისათვის მოვალის ან კრედიტორთა მხრიდან რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელება არ არის აუცილებელი. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც კრედიტორი კრედიტორთა შორის **შიდა ურთიერთობით** დადგენილ წილზე მეტი ოდენობით მიიღებს შესრულებას მოვალის მხრიდან.⁶ თუკი მოვალის მიერ სოლიდარული კრედიტორის წინაშე განხორციელებული შესრულება **შიდა ურთიერთობაში** დადგენილი ამ კრედიტორის კუთვნილი წილის ტოლია ანდა მასზე ნაკლებია, მაშინ ამ შესრულების მიმღებ კრედიტორს 462-ე მუხლიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულება არ უნდა დაეკისროს. საქმე ისაა, რომ შესრულების მიმღები კრედიტორი ამ შემთხვევაში იღებს მხოლოდ იმას, რის მოთხოვნაზეც თვითონ იქნებოდა უფლებამოსილი, მოვალეს შესრულება სხვა სოლიდარული კრედიტორის მიმართ რომ განხორციელებინა.⁷ შესაბამისად, ამ შემთხვევაში ლოგიკურია შესრულების მიმღებ სოლიდარულ კრედიტორს მისი დატოვების უფლება მიეცეს.

3 Völmann-Stickelbrock, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., §430, Rn. 1

4 შდრ. Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §430, Rn. 1; Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., §36 I, S. 626.

5 შდრ. Gehrlein, in Bamberger/Roth, BGB Komm. 3. Aufl. Band 1, §430, Rn. 1; Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., §430, Rn. 2.

6 შდრ. Grüneberg, in Palandt, BGB Komm., 73 Aufl., §430, Rn. 1; Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., §430, Rn. 3; Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., §430, Rn. 1.

7 Rütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 190.

- 4 მაგალითი: მაღალმთიან სოფელში მცხოვრებმა მეზობლებმა გადაწყვიტეს ერთობლივად შეეკვეთათ 30000 ლიტრი სანვავი, რათა ტრანსპორტირების ფული დაეზოგათ. მათ შ.პ.ს. „სანვავთან“ გააფორმეს ხელშეკრულება 30000 ლიტრი სანვავის შესყიდვაზე, რომლის თანახმადაც, შ.პ.ს. „სანვავმა“ იკისრა მეზობლებისათვის A, B და C- თვის 30000 ტონა სანვავის მინოდების ვალდებულება. მართალია, მეზობლებმა შეუკვეთეს 30000 ლიტრი სანვავი, თუმცა ერთმანეთთან ზეპირად შეთანხმდნენ, რომ მეზობელ A სჭირდებოდა 20000 ლიტრი ხოლო მეზობელ B და C შესაბამისად 5000-5000 ლიტრი სანვავი. დათქმულ დღეს მოვალემ შ.პ.ს. „სანვავმა“ განახორციელა მთლიანი ვალდებულების შესრულება A წინაშე და მას მიუტანა შეკვეთილი მთლიანი ოდენობის სანვავი. ამ შემთხვევაში შესრულების მთლიანად მიმღებ კრედიტორს A-ს უფლება არა აქვს 20000 ლიტრ სანვავზე მეტი ოდენობის სანვავი დაიტოვოს. იგი ვალდებულია სხვა მეზობლებთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად თითოეულს მისცეს 5000-5000 ლიტრი სანვავი შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ.

ბ. გამონაკლისები

ა.ა მოვალისაგან მთლიანი შესრულების მიღების შეუძლებლობა

- 5 ზოგიერთ შემთხვევაში შესრულების მიმღებ კრედიტორს, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესრულება **შიდა ურთიერთობით** დადგენილი მისი კუთვნილი წილის ტოლია, მაინც უნდა დაეკისროს 462-ე მუხლიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულება. კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ **მოვალის გადახდისუუნარობის** გამო მისგან მთლიანი დაკმაყოფილების მიღება შეუძლებელია, ხოლო განხორციელებული შესრულება კი შესრულების მიმღები კრედიტორის წილის ტოლია, **შიდა ურთიერთობაში**, იგი მაინც ვალდებულია უნდა ჩავთვალოთ, გადაუხადოს სხვა სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილის შესაბამისად.⁸ აღნიშნული რეგულირების საფუძვლად თვითონ სოლიდარული უფლებამოსილება გვევლინება. სოლიდარულ უფლებამოსილებაში ყველა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობა თანაბარრანგიანია. არც ერთ კრედიტორს არ აქვს უპირატესობა სხვა კრედიტორთან შედარებით.⁹ შესაბამისად, ვინაიდან თითოეული კრედიტორი მიღებულ შესრულებაზე კუთვნილი წილის ოდენობით არის უფლებამოსილი, ლოგიკურია ასევე თითოეული სოლიდარული კრედიტორი თანაბრად — კუთვნილი წილის პროპორციულად — ჩავთვალოთ **მოვალის შესაძლო გადახდისუუნარობის რიკის** მატარებლად.¹⁰ მართალია, კანონი ამგვარ რეგულირებას არ შეიცავს, რაც უდავოდ საკანონმდებლო რეგულირების ნაკლია, თუმცა სხვაგვარი რეგულირების დაშვება შესრულების მიმღებ კრედიტორს სხვა სოლიდარულ კრედიტორებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს.

8 Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., §430, Rn. 1.

9 ზიოდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 455, გვ. 572.

10 Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 261.

ბ.ბ ვალდებულების შესრულება ნაწილ-ნაწილ

შესრულების მიმღებ კრედიტორს სხვა კრედიტორების წინაშე 462-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც ვალდებულების შესრულება გარკვეული პერიოდულობით **ნაწილ-ნაწილ** არის გათვალისწინებული და მოვალის მიერ განხორციელებული პირველი ნაწილის შესრულება შიდა ურთიერთობით დადგენილი ამ კრედიტორის წილის ტოლია. შესრულების მიმღებ კრედიტორს, იმ საფუძველით რომ შესრულება მისი კუთვნილი წილის ტოლია, არ შეუძლია სხვა კრედიტორებს უარი განუცხადოს 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. **ნაწილ-ნაწილ** შესრულებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები სოლიდარულმა კრედიტორებმა შიდა ურთიერთობაში დადგენილი წილის შესაბამისად წილობრივად უნდა იკისრონ.¹¹ აღნიშნული რეგულირება უზრუნველყოფს მოვალის გადახდისუნარობის რისკის თანაბრად და სამართლიანად გადანაწილებას თითოეულ სოლიდარულ კრედიტორზე.¹² სხვაგვარი რეგულირების დაშვება იქამდე მიგვიყვანდა, რომ ვალდებულების დარჩენილ ნაწილთან/ნაწილებთან მიმართებაში მოვალის შესაძლო გადახდისუნარობის რისკის მატარებლებად ის სოლიდარული კრედიტორები მოგვევლინებოდნენ, რომელთაც შესრულება არ მიუღიათ. ეს კი მოვალის გადახდისუნარობის რისკის არათანაბარ გადანაწილებამდე და შესრულების პირველი ნაწილის მიმღები კრედიტორის უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენებამდე მიგვიყვანდა სხვა სოლიდარულ კრედიტორებთან შედარებით.

6

2. მოვალის მიერ ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება

462-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება კრედიტორს იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც **იგი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულებას** ღებულობს. ეს შესრულება ამ შემთხვევაში განაპირობებს მთლიანი ვალდებულების შეწყვეტას, თუმცა კრედიტორი, რომელმაც შესრულება მიიღო, არ თავისუფლდება სხვა დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. სხვაგვარი რეგულირება ამ კრედიტორის **უსაფუძვლო გამდიდრებამდე** მიგვიყვანდა. იმ სოლიდარულ კრედიტორს, რომელმაც ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო, 462-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც მიღებული სხვა შესრულება უფრო დაბალი ღირებულებებისაა, ვიდრე ვალდებულებით გათვალისწინებული. იგი მაინც ვალდებულია გადაუხადოს სხვა სოლიდარულ კრედიტორებს შიდა ურთიერთობით დადგენილი მათი კუთვნილი წილი. შესრულების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოვალის მიერ **ნაკისრი ვალდებულების**

7

11 შდრ. *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 261; *Heinemeyer*, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, §430, Rn. 3.

12 *Schulze*, in Schulze, BGB HK, 10. Aufl., §430, Rn. 1.

ღირებულება და არა **ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების ღირებულება**.¹³ ამ შემთხვევაში დარჩენილი სოლიდარული კრედიტორები მათი კუთვნილი წილის პროპორციული ოდენობით გვევლინებიან ამ სხვა შესრულების მიმღების კრედიტორის გადახდისუუნარიანობის რისკის მატარებლად.¹⁴

3. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა

- 8 462-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულება შესრულების მიმღები კრედიტორის მხრიდან იმ შემთხვევაშიც წარმოიშობა, როდესაც მოვალეს და ერთ-ერთ სოლიდარულ კრედიტორს შორის ვალდებულება **ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით** შეწყდა. მართალია, ამ შემთხვევაში სოლიდარულ კრედიტორს, რომლის მიმართაც განხორციელდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა შესრულების სახით არაფერი არ მიუღია, მაგრამ იგი მაინც 462-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულ პირად უნდა ჩავთვალოთ. სხვაგვარი რეგულირების დაშვება ამ კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევდა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოთხოვნის გაქვითვა მოხდა მოვალესთან. 462-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვის მიერ განხორციელდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა — მოვალის თუ კრედიტორის მიერ.

4. ხანდაზმულობა

- 9 462-ე მუხლიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულება შესრულების მიმღებ კრედიტორს იმ კრედიტორის მიმართაც აკისრია, რომელმაც გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მოვალესთან მიმართებაში. 462-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნა არ არის დამოკიდებული იმაზე, მოვალესთან გარე ურთიერთობაში კრედიტორის მოთხოვნა განხორციელებადია თუ არა.¹⁵ 462-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა დამოუკიდებელი ხასიათის მოთხოვნაა. მისი ხანდაზმულობის ვადის ათვლაც მოვალის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის წინაშე ვალდებულების **შესრულების მომენტიდან** იწყება. ვინაიდან, ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, სხვა სოლიდარული კრედიტორები მთლიანი შესრულების მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებენ, ეს არ გამოიწვევს **შიდა ურთიერთობაში** იმ სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნის უფლების დაკარგვას, რომელმაც ხანდაზმულობის ვადა გაუშვა **გარე ურთიერთობაში**. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანი შესრულების მიმღებ სოლიდარულ კრედიტორს სხვა სოლიდარულ კრედიტორთა მიმართ მათი კუთვნილი წილის გადახდა იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც მათი მოთხოვნა მოვალის მიმართ ხანდაზმული იყო.

13 შდრ. *Böttcher*, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., §429, Rn. 4.; *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 193.

14 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §430, Rn. 11.

15 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §430, Rn. 5.

III. 462 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის ოდენობა

1. წილთა თანაბრობის კანონისმიერი ვარაუდი

ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია შიდა ურთიერთობაში კრედიტორთა კუთვნილი წილის დადგენა. აღნიშნული არ განაპირობებს შესრულების მიმღები კრედიტორის უფლებამოსილებას მის მთლიან ოდენობაზე. იგი მაინც ვალდებულია გადაუხადოს სხვა კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი. თუ რა ოდენობისაა ეს წილი, ამ კითხვაზე პასუხს 462-ე მუხლის მეორე ნაწილი იძლევა. მუხლის დანაწესი ამ შემთხვევაში **წილთა თანაბრობის** და, შესაბამისად, **თანაბარი წილობრივი უფლებამოსილების** ვარაუდს აწესებს. ეს რეგულირება დისპოზიციური ხასიათისაა და მხოლოდ დამხმარე წესია, რომელიც წილთა თანაბრობის **კანონისმიერ ვარაუდს** შეიცავს. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ **სოლიდარულ კრედიტორთა შეთანხმებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სოლიდარულ კრედიტორთა წილის დადგენა, შესრულების მიმღები კრედიტორი თითოეული კრედიტორის წინაშე თანაბარი წილით აგებს პასუხს.

10

2. სოლიდარულ კრედიტორთა შეთანხმება

კრედიტორთა შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად შესაძლოა შიდა ურთიერთობაში თითოეული კრედიტორის წილი და მისგან გამომდინარე უფლებამოსილების ოდენობა სულ სხვაგვარად დარეგულირდეს, ვიდრე ამას წილთა თანაბრობის **კანონისმიერი ვარაუდი** ითვალისწინებს.¹⁶ ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას ამ საკითხთან დაკავშირებით (462 II). შესაბამისად, შესაძლოა სოლიდარულმა კრედიტორებმა ურთიერთშეთანხმებით ცალკეულ კრედიტორთა მოთხოვნა შესრულებაზე შეზღუდონ, ან საერთოდ გამორიცხონ კიდევაც (462 II). აღნიშნული შეთანხმების მიღწევა სოლიდარულ კრედიტორებს როგორც ნათლად, ასევე კონკლუდენტური მოქმედებით შეუძლიათ განახორციელონ.¹⁷ ამგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მას უპირატესი ძალა გააჩნია წილთა თანაბრობის კანონისმიერ ვარაუდთან შედარებით.

11

IV. სამართლებრივი შედეგები

შესრულების მიმღები კრედიტორი ვალდებულების მთლიანი შესრულების მიღების შემდეგ მოვალედ იქცევა დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორთა წინაშე. 462-ე მუხლიდან გამომდინარე, მოვალედ ქცეული სოლიდარული კრედიტორის მიმართ თითოეული კრედიტორის მოთხოვნა **წილადი მოთხოვნაა** და, შესაბამისად, 462-ე მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნაზე უფლებამოსილი კრედიტორები იმ მოვალედ ქცეული კრედიტორის მიმართ, რომელმაც მთლიანად მიიღო ვალდებულების შესრულება, არა სოლიდარული არამედ **წილობრივ კრედიტორებად** გვევლინე-

12

16 *Selb*, *Mehrheiten von Gläubigern und Schuldner*, 1984, S. 261ff.

17 *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, §430, Rn. 2.

ბიან.¹⁸ თითოეული კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულების მიმღებ კრედიტორს მოსთხოვოს შესრულება მხოლოდ **შიდა ურთიერთობით** დადგენილი კუთვნილი **წილის** ოდენობით (Pro Rata) (462 I).

V. პროცესუალურსამართლებრივი საკითხები

- 13 თითოეული სოლიდარული კრედიტორი არ არის შეზღუდული სარჩელის შეტანაში. თითოეულს დამოუკიდებლად შეუძლია მოითხოვოს კუთვნილი **წილი** იმ კრედიტორისაგან, რომელმაც მიიღო მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. თუმცა იმ კრედიტორმა, რომელიც სარჩელით მიმართავს სასამართლოს 462-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით, უნდა ამტკიცოს სოლიდარული უფლებამოსილების არსებობა.¹⁹ მასვე ეკისრება **სახელშეკრულებო შეთანხმების** არსებობისა და **წილთა თანაბრობის კანონისმიერი ვარაუდისაგან** განსხვავებული რეგულირების მტკიცების ტვირთიც.²⁰ გარდა ამისა, მანვე უნდა ამტკიცოს, თუ რა ოდენობით განახორციელა მოვალემ ვალდებულების შესრულება და ასევე ის, თუ რა ოდენობით გააჩნდა მას მოთხოვნა **შიდა ურთიერთობაში**.²¹

18 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 462, გვ. 580.

19 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §430, Rn. 46,

20 იქვე.

21 იქვე.

თავი მეორე
სოლიდარული მოვალეობი

მუხლი 463. სოლიდარული ვალდებულება

თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

- I. ნორმის არსი და მიზანი961
- II. სოლიდარული ვალდებულების მნიშვნელობა კრედიტორისთვის961
- III. სოლიდარული ვალდებულების მნიშვნელობა მოვალისთვის962
- IV. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები.963
 - 1. რამდენიმე მოვალე963
 - 2. ერთი და იგივე კრედიტორი963
 - 3. თითოეული მოვალის ვალდებულება ვალდებულების შესრულებაზე.963
 - ა. თითოეული მოვალის ვალდებულება მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე964
 - ბ. კრედიტორის ერთჯერადი მოთხოვნის უფლება965
 - 4. სხვა დამატებითი წინაპირობები965
- V. სამართლებრივი შედეგები966
- VI. საპროცესოსამართლებრივი საკითხები966

I. ნორმის არსი და მიზანი

ნორმა **სოლიდარულ მოვალეთა** ლეგალურ დეფინიციას იძლევა. იგი 1 ზუსტად განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში მოვალეები სოლიდარულ მოვალეებად ჩაითვლებიან. ამავდროულად იგი **სოლიდარული ვალდებულების** შემადგენელ აუცილებელ ელემენტებსაც განსაზღვრავს. ამასთან ნორმა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის **სამართლებრივი შედეგების** კუთხითაც. მართალია, აღნიშნული სამართლებრივი შედეგები 463-ე მუხლის ტექსტიდან ნათლად არ გამომდინარეობს, თუმცა ისინი ნორმატიულ განვრცობას და ასახვას სხვა მუხლებში პოულობენ (465, 467).

II. სოლიდარული ვალდებულების მნიშვნელობა კრედიტორისთვის

სოლიდარული ვალდებულება მოვალეთა სიმრავლის ყველაზე უსაფრთხო ფორმაა კრედიტორისათვის.¹ კრედიტორს თავისუფლად შეუძლია 2

1 შდრ. Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl. §421, Rn. 1; Zerres, Die Gesamtschuld, in: Jura, 2008, S. 726.

ამოირჩიოს ერთი ან რამდენიმე სოლიდარული მოვალე და მისგან ეცადოს კუთვნილი მოთხოვნის მთლიან, ანდა ნაწილობრივ დაკმაყოფილებას (465). არჩევანის ეს თავისუფლება მას ძლიერ **სამართლებრივი პოზიცი-აში** აყენებს. სოლიდარული ვალდებულება ფაქტობრივად **თავდებობის მსგავს უზრუნველყოფას** ემსგავსება,² რომელიც კრედიტორს არა მარტო კუთვნილი მოთხოვნის სწრაფი დაკმაყოფილების საშუალებას ანიჭებს, არამედ ამავდროულად კუთვნილი მოთხოვნის ძლიერ უზრუნველყოფასაც გულისხმობს.³ **წილადი ვალდებულებისაგან** განსხვავებით სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორი იმ შემთხვევაშიც შეძლებს კუთვნილი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, როდესაც მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება **გადახდისუნარიანი**.⁴ როგორც წესი, იგი ეცდება გადახდისუნარიანი მოვალის მოძიებას და მისგან შეეცდება მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.⁵ მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებამდე სხვა დანარჩენი მოვალეები კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი რჩებიან (465).

III. სოლიდარული ვალდებულების მნიშვნელობა მოვალისთვის

- 3 სოლიდარული ვალდებულება არ არის ხელსაყრელი მოვალეთათვის. თითოეული მათგანი კრედიტორის წინაშე **მთლიანი ვალდებულების** შესრულების განხორციელებაზეა ვალდებული, შესაბამისად თითოეული მათგანი ვერ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ მას არ მოუწევს კრედიტორის წინაშე მთლიანი ვალდებულების შესრულება.⁶ ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა **გადახდისუნარობის რისკი** კრედიტორიდან მოვალეებზეა გადატანილი.⁷ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვეულებრივ კრედიტორი გადახდისუნარიან მოვალეს მოძებნის ხოლმე და მისგან ცდილობს კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, სწორედ ის მოვალე გვევლინება სხვა მოვალეთა გადახდისუნარობის რისკის მატარებლად, რომელიც მთლიანად განახორციელებს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.⁸ გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეს არ შეუძლია უარი განუცხადოს კრედიტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ვალდებულების შესრულების შემდეგ იგი ვერ შეძლებს 473-ე მუხლიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნის განხორციელებას მოვალეთა გადახდისუნარობის გამო.⁹ შედეგად სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ კუთვნილი მოთხოვნის

2 *Meier*, in Schmoeckel/Rückert/Zimmermann, HKK zum BGB, BD II, Teilband II, §420-432I, S. 2396 f., Rn. 8.

3 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 2.

4 *Looschelders/Looschelders*, Schuldrecht AT, 16. Aufl. 2018, S. 460, Rn. 18.

5 *Joussen*, Schuldrecht I AT, 2008, S. 460 f., Rn. 1384.

6 შდრ. *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 463, გვ. 581.

7 შდრ. *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 26 f; *Heinemeyer*, in MüKo BGB, 8. Aufl. 2019, § 421, Rn. 2.

8 *Völzmann-Stickelbrock*, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., § 421, Rn. 1.

9 შდრ. *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, S. 166, Rn. 196.

დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებად 473-ე მუხლიდან გამომდინარე რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება რჩება. ეს მოთხოვნა **სუსტი ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნაა**, რომლის განხორციელებაც სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობაზე არის დამოკიდებული.

IV. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები.

1. რამდენიმე მოვალე

ნორმის დანაწესიდან გამომდინარე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია **რამდენიმე მოვალის** არსებობა, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე უნდა იყვნენ ვალდებულნი (463).¹⁰ კრედიტორის მოთხოვნა **სხვადასხვა მოვალეთა** მიმართ უნდა იყოს მიმართული.¹¹ სოლიდარული ვალდებულება არ გვექნება სახეზე, როდესაც ერთი მოვალე რამდენიმე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორის წინაშეა ვალდებული¹².

კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ **ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი, ანდა ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა**.¹³ სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან მოვალეები იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი, მართალია, ერთი და იგივე კრედიტორის წინაშე არიან ვალდებულნი, თუმცა ერთი-ერთი მოვალის პასუხისმგებლობა მხოლოდ დამატებითია და მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშვება, როდესაც კრედიტორი ვერ შეძლებს პირველისაგან დაკმაყოფილების მიღებას.¹⁴

2. ერთი და იგივე კრედიტორი

თითოეული მოვალე **ერთი და იმავე კრედიტორის** წინაშე უნდა იყოს შესრულებაზე ვალდებული. შესაბამისად, შესასრულებელი ვალდებულების იდენტურობის მიუხედავად, სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან მოვალეები, თუ ისინი სხვადასხვა კრედიტორთა მიმართ არიან შესრულებაზე ვალდებულნი.¹⁵

3. თითოეული მოვალის ვალდებულება ვალდებულების შესრულებაზე

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის კანონი მოითხოვს, რომ თითოეული მოვალე კრედიტორის წინაშე **ვალდებულების**

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს #as-164-158-2011 განჩინება.

11 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 463, გვ. 581.

12 *Gehrlein*, in *Bamberger/Roth*, , BGB Komm. 3. Aufl., Band 1, § 421, Rn. 2.

13 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 421, Rn. 16.

14 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 14.

15 შდრ. *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 26; *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 5. Aufl., § 421, Rn. 2.

შესრულებაზე იყოს პასუხისმგებელი. ნორმის ეს დანაწესი არ ნიშნავს აუცილებლად თითოეული მოვალის ვალდებულებას **იდენტური ვალდებულების** შესრულებაზე. სოლიდარული უფლებამოსილების მსგავსად სოლიდარული ვალდებულებაც კრედიტორსა და ცალკეულ სოლიდარულ მოვალეს შორის დამოუკიდებელ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობათა არსებობას გულისხმობს. (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**).¹⁶ კრედიტორთან მიმართებაში ეს ცალკეული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ.¹⁷ მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა ყველაზე კარგად წარმოშობის საფუძველში ვლინდება, რომელიც არ არის აუცილებელი, საერთო იყოს. ცალკეული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა წარმოშობის სხვადასხვა საფუძველს ეფუძნებოდეს.¹⁸ აღნიშნული ურთიერთიერთობებიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის **ერთი და იმავე შესრულების ინტერესის** მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული.¹⁹ ჩვეულებრივ მისი დაკმაყოფილება მოვალეთა მიერ **შინაარსობრივად მსგავსი შესრულების** განხორციელებით ხდება. თუმცა შესაძლებელია, კრედიტორის ინტერესი **შინაარსობრივად განსხვავებული შესრულებითაც** დაკმაყოფილდეს.²⁰ მაგ. კრედიტორის ინტერესი ზიანის ანაზღაურებაზე შესაძლოა ერთმა სოლიდარულმა მოვალემ ნატურით, ხოლო მეორემ ფულადი ანაზღაურებით დააკმაყოფილოს. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (**კრედიტორის ერთი და იგივე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით**) არიან ურთიერთდაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას **სოლიდარულ ვალდებულებას** ქმნიან.²¹ ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, მთლიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დასასრულს და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას ნიშნავს, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა.²²

ა. თითოეული მოვალის ვალდებულება მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე

8 **წილადი ვალდებულებისაგან** განსხვავებით თითოეული სოლიდარული მოვალე არა მხოლოდ კუთვნილ წილზე, არამედ **მთლიანი ვალდებუ-**

16 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის #as-254-239-2010 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს #as-164-158-2011 განჩინება; *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, § 421, Rn. 6; *ზოდუე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 463, გვ. 581.

17 *ზოდუე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 463, გვ. 581.

18 აღნიშნული შემთხვევის კლასიკური მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლი.

19 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 421, Rn. 18.

20 შდრ. *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 17; *Joussen*, Schuldrecht I AT, Jena 2008, S. 463, Rn. 1395.

21 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის #as-254-239-2010 განჩინება; *Larenz*, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., § 37 I, S. 574.

22 *Larenz*, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 14. Aufl., § 37 I, S. 574.

ლების შესრულებაზე უნდა იყოს კრედიტორის წინაშე ვალდებული.²³ ამასთან მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ თვითონ ნაკისრი ვალდებულებაც იძლეოდეს ერთი პირის მიერ მისი შესრულების შესაძლებლობას. რამდენიმე მოვალის სოლიდარულ მოვალეთა მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, ფაქტობრივად შეუძლია თუ არა თითოეულ მათგანს მთლიანი ვალდებულების შესრულება.²⁴

ბ. კრედიტორის ერთჯერადი მოთხოვნის უფლება

სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე კრედიტორი მხოლოდ ერთხელ უნდა იყოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უფლებამოსილი (463). კრედიტორის მიერ შესრულების ერთჯერადად მოთხოვნა არ გულისხმობს მოთხოვნის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობას, არამედ მთლიანი შესრულების მხოლოდ ერთჯერადად მიღების უფლებას. კრედიტორი არ არის შეზღუდული მოთხოვნის წარდგენაში. მას შეუძლია ყველა ან ცალკეულ სოლიდარულ მოვალეს მოთხოვნა იმდენჯერ წარუდგინოს, სანამ მისი მოთხოვნა მთლიანად არ დაკმაყოფილდება (465, 469).

4. სხვა დამატებითი წინაპირობები

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისათვის კანონით გათავლისწინებულ წინაპირობებთან ერთად დამატებით დაუნერგელ წინაპირობას - მოვალეთა თანაბარ საფეხურზე ყოფნას მიიჩნევენ აუცილებელ წინაპირობად.²⁵ სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აღნიშნული წინაპირობა გულისხმობს, რომ მოვალეები პასუხისმგებლობის თანაბარ საფეხურზე დგანან და ერთმანეთის გვერდით პარალელურად თანაბრად აგებენ პასუხს. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, მოვალეები პასუხისმგებლობის თანაბარ საფეხურზე მყოფებად არ გვევლინებიან მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოვალეთაგანი თავიდანვე როგორც შესრულებასთან "ახლოს მდგომი" უპირატესად შესრულებაზეა ვალდებული, მეორეს პასუხისმგებლობა კიდე მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ კრედიტორს ის რისკი შეუმციროს, რაც სხვა მოვალისაგან შესრულების ვერმიღებაში მდგომარეობს და კრედიტორის წინაშე შესრულების განხორციელების შემდეგ უპირატესად ვალდებული მოვალისაგან შიდა ურთიერთობაში მთლიანი რეგრესის მოთხოვნის უფლება აქვს.²⁶ კრედიტორთან მიმართებაში მართალია უპირატესად ვალდებული მოვალის შესრულება მეორე მოვალესაც ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, თუმცა ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის წინაშე არ განაპირობებს ვალდებულების შეწყვე-

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის #as-597-903-2009 განჩინება.

24 *Grüneberg*, in Palandt, BGB Komm., 73 Aufl., § 421, Rn. 4.

25 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. *MüKo/Heinemeyer*, zum BGB 8. Aufl. 2019, §421 Rn 12; 58ff; *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §421 Rn 27.

26 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §421 Rn 27; *MüKo/Heinemeyer*, zum BGB 8. Aufl. 2019, §421 Rn 58

ტას რომელიც კანონისმიერი ცესიის გზით ამ უკანასკნელზე გადადის.²⁷ სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია რომ შიდა ურთიერობაში მოვლეთა შორის ნებისმიერის მიერ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში რეგრესული ანაზღაურება იყოს შესაძლებელი.²⁸ ამგვარ ვალდებულებებს რამდენიმე მოვალეთი „არანამდვილ სოლიდარულ ვალდებულებად“ (Unechte Gesamtschuld) მოიხსენიებენ.²⁹

V. სამართლებრივი შედეგები

- 11 სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ერთი ან რამდენიმე მოვალე და მას მოსთხოვოს ვალდებულების მთლიანი, ანდა ნაწილობრივი შესრულება (465). აღნიშნული პრინციპი სწორედ 463-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომელიც თავის ნორმატიულ განმტკიცებას და ხაზგასმას სწორედ 465-ე მუხლში პოულობს.
- 12 ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე, თითოეული სოლიდარული მოვალე მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე რჩება პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე (465). ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, **სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტას**³⁰ და ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან მათ განთავისუფლებას უნდა განაპირობებდეს (465, 467). გარდა ამისა, სოლიდარული ვალდებულება ყველა იმ სამართლებრივ შედეგს იწვევს, რაც 464-476-ე მუხლებით არის გათვალისწინებული.

VI. საპროცესოსამართლებრივი საკითხები

- 13 კრედიტორს თავისუფლად შეუძლია სარჩელი წარადგინოს ერთი ან რამდენიმე სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ და შესრულება მოითხოვოს. კრედიტორს შეუძლია თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ ცალ-ცალკე სარჩელი, ანდა ერთობლივი სარჩელი წარადგინოს რამდენიმე მოვალის მიმართ. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის სარჩელის წარდგენა არ ართმევს მას უფლებას წარადგინოს სარჩელი ასევე სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ და შესრულება მოითხოვოს (469). თუ იგი რამდენიმე სოლიდარული კრედიტორის წინააღმდეგ წარადგენს სარჩელს, მაშინ ისინი სსკ 86-ე მუხლის თანახმად საპროცესო თანამონაწილეებად გვევლინებიან და ყველა იმ უფლებით სარგებლობენ, რაც საპროცესო თანამონაწილეებს გააჩნიათ (87).

27 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §421 Rn 27

28 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §421 Rn 27

29 *Völzmann-Stickelbrock*, in *Dauner-Lieb/Langen*, BGB Schuldrecht, 2. Aufl., Band 3, § 421, Rn. 18

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 ივნისის #3კ/253-01 გადაწყვეტილება.

მუხლი 464. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები
სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

- I. ნორმის არსი და მიზანი967
- II. ხელშეკრულება როგორც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი967
 - 1. სახელშეკრულებო შეთანხმება.....967
 - 2. სახელშეკრულებო შეთანხმების განმარტება969
- III. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები970
 - 1. ვალდებულებითი სამართალი.....970
 - ა. საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა970
 - ბ. სოლიდარული პასუხისმგებლობა ორმაგი დაზღვევისას970
 - გ. თავდებობიდან გამომდინარე სოლიდარული პასუხისმგებლობა....970
 - დ. ამხანაგობის წევრთა სოლიდარული პასუხისმგებლობა.....971
 - 2. დელიქტური სამართალი971
 - ა. სოლიდარული პასუხისმგებლობა რამდენიმე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის971
 - ბ. სახელმწიფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის.....972
 - გ. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა.....972
 - 3. მემკვიდრეობითი სამართალი.....972
 - 4. საკორპორაციო სამართალი972
- IV. ვალდებულების საგნის განუყოფლობა როგორც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი973

I. ნორმის არსი და მიზანი

ნორმა სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს არეგულირებს. 456-ე მუხლის მსგავსად კანონი არ შეიცავს სოლიდარული ვალდებულების არსებობის ვარაუდს, არამედ იგი ამომწურავად ადგენს (Numerus Clausus) სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს: ხელშეკრულებას, კანონს, ვალდებულების საგნის განუყოფლობას და გამორიცხავს სხვა საფუძვლით სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას. 1

II. ხელშეკრულება როგორც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი

1. სახელშეკრულებო შეთანხმება

ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია ხელშეკრულება სოლიდარულ მოვალეთა და კრედიტორს შორის. აღნიშნული ხელშეკრულება როგორც წესი მოვალე- 2

თა მიერ **ერთიანი ხელშეკრულების** სახით ფორმდება.¹ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მოვალეებმა სოლიდარული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი შედეგები (465; 467) კრედიტორთან გაფორმებული გარიგების შინაარსად აქციონ.² თუ როგორ მოახერხებენ მოვალეები ამას ეს მათი საქმეა. მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად იძლეოდეს თითოეული მოვალის სურვილის დადგენის შესაძლებლობას — კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგოს პასუხი.

- 3 სოლიდარული ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად არა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შეთანხმებულად, როდესაც მოვალეები ხელშეკრულებაში ჩანერენ, რომ „**სოლიდარულად**“ აგებენ პასუხს, არამედ მაშინაც როდესაც სიტყვათაწყობის — „**ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის**“,³ „**კორეალურად**“,⁴ გამოყენება ხდება. სოლიდარული ვალდებულების შესახებ შეთანხმება იქნება სახეზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარეები ხელშეკრულებაში მიუთითებენ, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ მთლიანად, ანდა ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან.⁵
- 4 კანონი რაიმე **ფორმას** ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების ნამდვილობისათვის არ ითვალისწინებს (465). იგი შესაძლებელია როგორც **ზეპირი**, ასევე **წერილობითი ფორმით** დაიდოს. თუ იმ გარიგების ნამდვილობა რომლის შესრულებაზეც თანხმდებიან სოლიდარული მოვალეები დამოკიდებულია ფორმის მოთხოვნების დაცვაზე, მაშინ შეთანხმებაც აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს.
- 5 წარმოშობის **საერთო საფუძველი** ერთიანი ხელშეკრულების სახით არ არის სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისათვის **აუცილებელი წინაპირობა**.⁶ სოლიდარული ვალდებულება იმ შემთხვევაშიც შეიძლება წარმოიშვას, როდესაც კრედიტორი ცალკეულ მოვალესთან არა ერთდროულად, არამედ ცალ-ცალკე სხვადასხვა დროს გააფორმებს ხელშეკრულებებს.⁷ ამ შემთხვევაში, აუცილებელია, კრედიტორთან გაფორმებული თითოეული ხელშეკრულებიდან ნათლად გამომდინარეობდეს თითოეული მოვალის ნება სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგოს პასუხი კრედიტორის წინაშე. ასევე შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულებ-

1 *Schreiber*, Die Gesamtschuld, Jura, 1989, S. 354.

2 შდრ.*Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S 44; *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §421 Rn 53.

3 *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003 S38 Rn 24

4 *MüKo/Bydlinski*, zum BGB 6. Aufl. 2012, §421 Rn 18; *Böttcher*, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 421, Rn. 20.

5 *K. Schreiber*, Die Gesamtschuld, Jura 1989 S. 354.

6 *Grüneberg*, in Palandt, BGB Komm. 73 Aufl. §421 Rn 10.

7 *Gehrlein*, in Bamberger/Roth, BGB Komm. 3. Aufl. Band 1 §421 Rn 4.

ბის შეთანხმების შემდეგ კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ.⁸

2. სახელშეკრულებო შეთანხმების განმარტება

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ხელშეკრულება ერთმნიშვნელოვნად არ იძლეოდეს იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. ამ შემთხვევაში **ხელშეკრულებისა (337-340) და ნების გამოვლენის განმარტების (52)** წესების ჩართვით, ასევე სოლიდარული ვალდებულების მარეგულირებელ ნორმათა მოხმობით უნდა დადგინდეს თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. მარტო ის ფაქტი რომ რამდენიმე პირის მიერ განუყოფადი ვალდებულების შესრულება იქნა შეთანხმებული მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის საკმარისად არ გამოდგება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა გარემოებები. სოლიდარული ვალდებულების არსებობის განმარტების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოვალეთა ნება, ვალდებულების შესრულებით სხვა მოვალეებიც გაანთავისუფლოს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.⁹

III. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები

ხელშეკრულების გარდა კანონმდებელი სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად კანონსაც მიიჩნევს. ზოგჯერ, რამდენიმე მოვალის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებელი კანონის ტექსტში პირდაპირ უთითებს რომ ისინი „**სოლიდარულად**“ აგებენ პასუხს, ანდა „**სოლიდარულ მოვალეებად**“ გვევლინებიან. ყველა ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები და სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება.

1. ვალდებულებითი სამართალი

ა. საკრედიტო დანესებულების ხელმძღვანელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

საკრედიტო დანესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას ბანკის **ლიკვიდურობისა და ბონიტეტის** შესახებ, საკრედიტო დანესებულების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად ამგვარი არასწორი ცნობების გავრცელებით გამოწვეული ზიანისათვის (874 VI)

8 Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar Schuldrech 3/3 13. Aufl. §421 Rn 6.

9 Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 421, Rn. 20.

ბ. სოლიდარული პასუხისმგებლობა ორმაგი დაზღვევისას

- 9 **დამზღვევს** თავისუფლად შეუძლია ერთი და იგივე რისკი რამდენიმე **მზღვევლთან** დააზღვიოს. იმ შემთხვევაში, თუ იგი გააფორმებს ხელშეკრულებას რამდენიმე მზღვევლთან და სადაზღვევო თანხები ჯამში აჭარბებენ სადაზღვევო ღირებულებას, ან თუ სხვა მიზეზთა გამო საზღაურთა ჯამი რომელიც თითოეული მზღვევლის მიერ სხვა ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა, აჭარბებს მთელ ზიანს, მზღვევლები დამზღვევის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხების ფარგლებში, რაც მათ დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს არა აქვს უფლება, მიიღოს ჯამში რეალურად განცდილ ზიანზე მეტი თანხა (ორმაგი დაზღვევა) (827III).

გ. თავდებობიდან გამომდინარე სოლიდარული პასუხისმგებლობა.

- 10 თუ ერთი და იგივე ვალდებულებისათვის **თავდებობას** იკისრებს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ კრედიტორის წინაშე როგორც სოლიდარული მოვალეები (896). კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ამოირჩიოს თავდები და მისგან სრულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. აღნიშნული წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც თავდებებს თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ (896). ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია უზრუნველყოფილი ვალდებულების იდენტიურობა.¹⁰ აქედან გამომდინარე, თავდებმა შეიძლება საერთოდ არ იცოდეს სხვა თავდების არსებობის შესახებ და მას ისე დააკისროს სოლიდარული პასუხისმგებლობა.¹¹
- 11 სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან და სოლიდარულ ვალდებულებასთან არ გვექნება საქმე **ძირითად მოვალესა** და **თავდებს** შორის ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში, თავდებს პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებაზე არა სოლიდარული არამედ დამატებითია და თავდებს ეკისრება მხოლოდ მაშინ, როდესაც კრედიტორი უშუალოდ ეცდება **ძირითადი მოვალისაგან** დაკმაყოფილების მიღებას. ძირითადი მოვალის ვალი არ განიხილება ამ შემთხვევაში თავდების ვალად. თუმცა შესაძლებელია თავდებმა ხელშეკრულების საფუძველზე იკისროს სოლიდარული პასუხისმგებლობა მოვალესთან ერთად (895). ამ შემთხვევაში, ძირითადი მოვალეცა და თავდებიც სოლიდარულ მოვალეებად ჩაითვლებიან (895).

დ. ამხანაგობის ნევრთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

- 12 ამხანაგობის მიზნის მისაღწევად განხორციელებული საქმიანობა საარგებელთან ერთად ასევე გარკვეულ გასავალსაც და ზიანსაც წარმოშობს.¹² მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოშობილი ამხანაგობის

10 Habersack, in MüKo BGB 7. Aufl., 2017, § 769, Rn. 2 ff.

11 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 70.

12 ჩიტოშვილი, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხ. 937, გვ. 293.

ვალდებულებებისათვის **ამხანაგობის წევრები** პასუხს აგებენ სოლიდარულად (937 I). ამხანაგობის კრედიტორები უფლებამოსილნი არიან, მოთხოვნა წარუდგინონ ამხანაგობის ყველა წევს ან ერთ-ერთ მათგანს და მისგან მთლიანად მოითხოვონ ვალდებულების შესრულება. ის ამხანაგობის წევრი, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, უფლებამოსილია, დანარჩენ ამხანაგობის წევრებს 473-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვოს ვალდებულების შესრულება მათი წილის შესაბამისად, თუ ამხანაგობის წევრთა შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. დელიქტური სამართალი

ა. სოლიდარული პასუხისმგებლობა რამდენიმე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის

შესაძლებელია, ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობდეს. 13 ამ შემთხვევაში, მათ მიერ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედებანი განუყოფელია¹³ და, შესაბამისად, ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (998 I). მიყენებული ზიანისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობა ენიჭება ყველა იმ პირს, ვინც მის მიყენებაში მონაწილეობდა. **ზიანის უშუალო მიმყენებელთან** ერთად, სოლიდარული პასუხისმგებლობა ასევე იმ პირებსაც ეკისრებათ, რომელმაც **ზიანის უშუალო მიმყენებელი დაიყოლია**, ან **ხელი შეუწყო** მას, ასევე იმ **პირსაც რომელმაც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით** (998 II). ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ზიანის მიმყენებლებს სოლიდარული პასუხისმგებლობა მათი ბრალის არარსებობის მიუხედავადაც დაეკისროთ.¹⁴ დაზარალებულს თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს მოვალე და მისგან მოითხოვოს მთლიანი ზიანის ანაზღაურება.

ბ. სახელმწიფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის

სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სხვა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან მიმართ სამსახურებრივ მოვალეობის **განზრახ** ან **უხეში გაუფრთხილებლობით** გამოწვეული დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისათვის, სახელმწიფო ამ მოსამსახურესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს (1005 I). სახელმწიფოს სახელმწიფო მუშაკთან ერთად ასევე ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოთა მუშაკთა განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულმა ქმედებამ, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების დაკისრებამ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემამ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებამ, ადმინისტრაც-

13 ჩიკვაშვილი, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხ. 998, გვ. 404.

14 იქვე.

ციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრებამ გამოიწვია (1005 III).

გ. უხარისხო პროდუქტის მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა

- 15 თუ ერთი და იგივე ზიანისათვის ანაზღაურების ვალდებულება რამდენიმე მწარმოებელს ეკისრება, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (1013). თითოეული მწარმოებელი პასუხისმგებელია ერთი და იმავე ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ არა ერთი და იმავე შეცდომაზე.¹⁵

3. მემკვიდრეობითი სამართალი

- 16 თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალეებით სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეებიც სოლიდარულ მოვალეებად მოგვევლინებიან და კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს (1484 II).

4. საკორპორაციო სამართალი

- 17 სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერი საფუძვლები მრავლადაა საკორპორაციო სამართალშიც. საქართველოს კანონი მწარმეთა შესახებ ადგენს საწარმოს სახელით მოქმედ პირთა და საწარმოს დამფუძნებელთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას იმ ქმედებიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის, რაც მათ საწარმოს დაფუძნებამდე საწარმოს სახელით განახორციელეს (2 II). სოლიდარულ მოვალეებად გვევლინებიან და კრედიტორის წინაშე ასევე სოლიდარულად აგებენ პასუხს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (3 III; 20 I; 34 II). სოლიდარულად ეკისრებათ პასუხისმგებლობა და სოლიდარულ მოვალეებად გვევლინებიან ასევე საზოგადოების ხელმძღვანელობაზე ვალდებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, თუ ისინი დაარღვევენ საზოგადოების საქმეების კეთილსინდისიერად გაძღოლის ვალდებულებას (9 IV). სოლიდარულად აგებენ პასუხს საწარმოს გაყოფის შედეგად წარმოშობილი საზოგადოებებიც, თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის (14⁴ V).

IV. ვალდებულების საგნის განუყოფლობა როგორც სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი

- 18 ამ საფუძვლით სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას ადგილი აქვს როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში.¹⁶ იმისათვის, რომ სოლიდარული ვალდებულება ვალდებულების საგნის განუყოფლობის საფუძველზე წარმოშვას, აუცილებელია

15 Wagner, in MüKo BGB, 7 Aufl., 2017, ProdHaftG § 5 Rn. 2.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 იანვრის #3კ-991-02 გადაწყვეტილება.

ვალდებულების საგნის განუყოფადობა. ვალდებულების საგნის გაყოფადობა იმთავითვე გამორიცხავს წილადი ვალდებულების არსებობას.¹⁷ თუმცა თავის თავად ის გარემოება რომ რამდენიმე პირი განუყოფადი ვალდებულების შესრულებაზეა ვალდებული არ განაპირობებს ამ პირების ავტომატურად სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევას.¹⁸ შესაძლებელია განუყოფადი ვალდებულების შესრულებაზე რამდენიმე პირი იყოს ვალდებული ასევე **საერთო ვალდებულების** შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში, მარტო ერთი მოვალე ვერ განახორციელებს მთლიანი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში რამდენიმე მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალეებად, როდესაც თითოეულ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება მარტომ შეუძლია განახორციელოს.¹⁹ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვალდებულების საგნის განუყოფლობის მიუხედავად, სოლიდარული ვალდებულების არსებობა უნდა გამოვრიცხოთ, თუ მოვალეებს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების განხორციელება მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით შეუძლიათ განახორციელონ.²⁰

17 *Gehrlein*, in *Bamberger/Roth*, , BGB Komm. 3. Aufl., Band 1, § 431, Rn. 1.

18 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 431, Rn. 2.

19 შდრ. *Schreiber*, *Die Gesamtschuld*, Jura, 1989, S. 354; *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm, 14. Aufl., § 431, Rn. 3.

20 *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, § 431. Rn. 3;

მუხლი 465. კრედიტორის უფლება მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისაგან

კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

I. ნორმის არსი და მიზანი	974
II. კრედიტორის არჩევანის თავისუფლება	974
1. მოთხოვნის წარმოშობა	974
2. მოთხოვნის ოდენობა	974
3. მოთხოვნის უფლების შინაარსი	975
4. კრედიტორს არ ეკისრება მოვალეთა ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულება	975
5. მოვალეს არა აქვს უფლება, უარი თქვას შესრულებაზე	976
III. მოთხოვნის უფლების შეზღუდვა	977
IV. სამართლებრივი შედეგები	977

I. ნორმის არსი და მიზანი

- 1 ნორმის არსი სოლიდარული ვალდებულების უმთავრესი სამართლებრივი შედეგის დადგენაში მდგომარეობს. იგი უფლებამოსილს ხდის კრედიტორს, თავისუფლად აირჩიოს მოვალე და საკუთარი შეხედულებისამებრ მოსთხოვოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი შესრულება. სწორედ აქ ვლინდება საკანონმდებლო დონეზე სოლიდარული ვალდებულების უსაფრთხოება და მისი მნიშვნელობა კრედიტორისათვის. ვინაიდან ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე თითოეული სოლიდარული მოვალე მთლიან ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი რჩება, ნორმა ფაქტობრივად გარანტირებულს ხდის, რომ კრედიტორი იმ შემთხვევაშიც განახორციელებს კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როდესაც თუნდაც ერთი სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება გადახდისუნარიანი.

II. კრედიტორის არჩევანის თავისუფლება

1. მოთხოვნის წარმოშობა

- 2 სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან კრედიტორი უფლებამოსილია თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ მთლიან შესრულების მოთხოვნაზე. თუ სოლიდარული ვალდებულება წარმოშობის საერთო საფუძველს ეფუძნება, კრედიტორის უფლებაც თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ ერთდროულად წარმოიშვება. იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული სოლიდარული მოვალე სხვადასხვა დროს იკისრებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას კრედიტორის წინაშე,

მის მიმართ მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას კრედიტორი შესაბამისი შეთანხმების გაფორმების მომენტიდან შეიძენს.

2. მოთხოვნის ოდენობა

კრედიტორი უფლებამოსილია თითოეულ მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც არსებობს სოლიდარული ვალდებულება. მას ამ შესრულების მოთხოვნის უფლება **მხოლოდ ერთხელ** აქვს (463). ერთხელ მოთხოვნის უფლება გულისხმობს, რომ ყველა სოლიდარულ მოვალეთაგან მოთხოვნილი და კრედიტორის მიერ მიღებულ შესრულებათა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სოლიდარული ვალდებულების მოცულობას. შესაბამისად, თუ ცალკეულმა შესრულებამ გადააჭარბა სოლიდარულ ვალდებულების მოცულობას, კრედიტორი ვალდებულია უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა.

3. მოთხოვნის უფლების შინაარსი

სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისთანავე კრედიტორი თავისუფალია მოვალის არჩევაში. აღნიშნული ეხება როგორც **მოვალის პიროვნებას**, ასევე **შესასრულებელი ვალდებულების მოცულობას** (465). ის საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს თავდაპირველად რომელ მოვალეს მოსთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება და, შესაბამისად, რომელს დააკისროს სხვა სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობის რისკი.¹ მას შეუძლია, ერთ, რამდენიმე, ან ყველა მოვალეს ერთდროულად მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. იგივე ითქმის ვალდებულების შესრულების მოცულობაზედაც (463). კრედიტორს ეს უფლება ყველა შემთხვევაში აქვს იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეუძლია მოთხოვნაწარდგენილ მოვალეს რეალურად ვალდებულების შესრულება.²

კრედიტორი არ არის ვალდებული ყველა სოლიდარულ მოვალეს მიმართოს.³ მას შეუძლია ერთი სოლიდარული მოვალე ამოირჩიოს და მისგან ეცადოს მთლიანი დაკმაყოფილების მიღებას. კრედიტორის არჩევანის უფლება შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებებით: მაგ. მოვალის გადახდისუნარიანობით,⁴ მისი მხრიდან კრედიტორის მიმართ მოთხოვნის არარსებობით, რაც გამორიცხავს ვალდებულების შეწყვეტას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით და ა. შ. არჩევანის თავისუფლება იზღუდება მხოლოდ იქ, როდესაც კრედიტორის მხრიდან ადგილი აქვს **უფლების ბოროტად გამოყენებას** (იხ. ქვემოთ ველი 11). ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის მიმართვა და მისთვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ ართმევს მას უფლებას, მიმართოს ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც და მათგან მოითხოვოს შესრულება.⁵

1 შდრ. Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, § 421. Rn. 74; Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 27.

2 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 465, გვ. 585.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს #as-164-158-2011 განჩინება.

4 ზოიძე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 465, გვ. 586.

5 Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984. S. 27.

- 6 კრედიტორს შეუძლია თითოეულ სოლიდარულ მოვალეს არა **მთლიან ვალდებულებას**, არამედ მხოლოდ **ნაწილის** შესრულება მოსთხოვოს. აღნიშნული უფლებით კრედიტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ ისარგებლებს, როდესაც ვალდებულების საგანი **განუყოფადია** (464). ამ შემთხვევაში, კრედიტორს მხოლოდ მთლიანი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეული სოლიდარული მოვალისაგან. მოთხოვნის წილობრივი დაყოფისა და თითოეული მოვალის კუთვნილი წილის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენის ვალდებულება კრედიტორს არ ეკისრება.⁶

4. კრედიტორს არ ეკისრება მოვალეთა ინტერესების მხედველობაში მიღების ვალდებულება

- 7 კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისას კრედიტორს არ ეკისრება სხვა **მოვალეთა ინტერესების**, განსაკუთრებით მათი უკუმოთხოვნის უფლების (473) მხედველობაში მიღების ვალდებულება.⁷ კრედიტორი არ არის ვალდებული, მხედველობაში მიიღოს მოვალეთა შიდა ურთიერთობაც.⁸ კრედიტორის არჩევანის უფლებისათვის მოვალეთა შორის არსებულ შიდა ურთიერთობას მნიშვნელობა არ ენიჭება.⁹ შესაბამისად, კრედიტორს თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ის სოლიდარული მოვალე, რომელიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე განთავისუფლებულია ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან და მას მოსთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება.¹⁰ კრედიტორი ასევე არ არის ვალდებული, მოთხოვნის წარდგენისას განუმარტოს სოლიდარულ მოვალეს, რომ სხვა სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულების შესრულება ჯერ ჯერობით არ განუხორციელებიათ.¹¹

5. მოვალეს არა აქვს უფლება, უარი თქვას შესრულებაზე

- 8 მოვალეს არ შეუძლია უარი განუცხადოს კრედიტორს ვალდებულების შესრულებაზე და მიუთითოს სხვა გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეზე. მას ასევე არ შეუძლია **ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა** იმ საფუძვლით, რომ კრედიტორი მისთვის მოთხოვნის წარდგენამდე ჯერ სხვა მოვალეთაგან არ ეცადა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. აღნიშნული უფლება მას იმ შემთხვევაშიც არა გააჩნია, როდესაც კრედიტორმა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელი წარადგინა სასამართლოში, ანდა სასამართლომ ერთ-ერთი მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.¹²

6 შდრ. *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 122.

7 *Gebauer*, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 421, Rn. 49.

8 შდრ. *Böttcher*, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 421, Rn. 27; *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 125

9 *Gehrlein*, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1., § 421, Rn. 11.

10 *Völmann-Stickelbrock*, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., § 421, Rn. 11; *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 125; BGH NJW 1991, 1289ff

11 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 125.

12 *Gehrlein*, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 421, Rn. 11.

მოვალეს არ შეუძლია უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე იმ საფუძვლითაც, რომ სხვა სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუუნარობის გამო, კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს 473-ე მუხლიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნის განხორციელებას.¹³ თუ კრედიტორი ერთ-ერთ მოვალეს დაინდობს და არ მოთხოვს ვალდებულების შესრულებას, არც აღნიშნული გარემოება ანიჭებს სხვა მოვალეებს ამ საფუძვლით ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.¹⁴

სოლიდარულ მოვალეს, რომელმაც კრედიტორის წარუდგინა მოთხოვნა ასევე არ შეუძლია, უარი განაცხადოს ამ მოთხოვნის შესრულებაზე იმ საფუძვლით, რომ კრედიტორს საკუთარი მოთხოვნა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ **მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვით** შეეძლო დაეკმაყოფილებინა.¹⁵ ამგვარი უფლება მოვალეს იმ შემთხვევაშიც არ აქვს, როდესაც კრედიტორი სხვა მოვალესთან მოთხოვნის ურთიერთგაქვითვის შემთხვევაში უპრობლემოდ შეძლებდა დაკმაყოფილების მიღებას. კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია ამოირჩიოს მოვალე და მისგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება (465). იგი არ არის ვალდებული ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზა აირჩიოს და მოთხოვნა ამგვარად დაიკმაყოფილოს.¹⁶

III. მოთხოვნის უფლების შეზღუდვა

კრედიტორი არ არის აბსოლუტურად თავისუფალი მოვალის არჩევაში. მისი თავისუფლებას საზღვარს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული **კეთილსინდისიერების პრინციპი** წარმოადგენს (8 III). კრედიტორის არჩევანის თავისუფლება იზღუდება იქ, როდესაც მის მიერ მოვალის არჩევა მხოლოდ იმ მიზნით ხდება, რათა ზიანი მიადგეს ამ უკანასკნელს (115). **უფლების ბოროტად გამოყენება** გვექნება სახეზე მაშინ, როდესაც კრედიტორი ბოროტი განზრახვით იმ სოლიდარულ მოვალეს ირჩევს და იმ მოვალეს სურს უკუმოთხოვნის და, შესაბამისად, სხვა მოვალეთა გადახდისუუნარობის რისკი დააკისროს, რომელიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე განთავისუფლებულია ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.¹⁷ სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადანყვევებისას უნდა შეაფასოს აქვს თუ არა კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში კრედიტორის სურვილია, ზიანი მიაყენოს იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც მან მოთხოვნა წარუდგინა.

13 Bydlinski, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 421, Rn. 75.

14 Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 421, Rn. 48.

15 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 27.

16 იქვე.

17 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, S. 79, Rn. 80.

IV. სამართლებრივი შედეგები

12

კრედიტორის არჩევანის უფლება არსებობს მანამ, სანამ მთლიანად არ განხორციელდება ვალდებულების შესრულება. ამ მომენტამდე კრედიტორს თავისუფლად შეუძლია რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ ერთდროულად აღძრას სარჩელი და ერთდროულად ეცადოს დაკმაყოფილების მიღებას.¹⁸ სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ არ ართმევს მას უფლებას, შეიტანოს სარჩელი სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც (469). იძულებითი აღსრულების სტადიაზეც კი, შესრულების დადგომამდე კრედიტორს აქვს ამგვარი არჩევანის თავისუფლება.¹⁹ შესრულების მომენტიდან წყდება სოლიდარული ვალდებულება²⁰ და, შესაბამისად, სოლიდარულ მოვალეთა არჩევის უფლებაც. სოლიდარული მოვალეები თავისუფლდებიან კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან (467). კრედიტორს აღარ შეუძლია მოთხოვნის იძულებითი დაკმაყოფილება განახორციელოს სხვა მოვალეების წინააღმდეგ, ვინაიდან მან მიიღო ის, რის მოთხოვნაზედაც სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე იყო უფლებამოსილი.²¹ თუ ამის მიუხედავად კრედიტორის მიერ წარდგენილ იქნება მოთხოვნა, მოვალეს შეუძლია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე და მიუთითოს ვალდებულების შესრულებაზე. თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების მიუხედავად კრედიტორი მაინც განხორციელებს **იძულებითი აღსრულებას** სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ, მაშინ იგი უკვე არარსებული ვალდებულების შესრულებას იღებს. აღნიშნული შესრულება **უსაფუძვლო გამდიდრების წესების** შესაბამისად უკან უნდა იქნეს გამოთხოვილი.

18 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 421, Rn. 48.

19 იქვე.

20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 15 ივნისის #3კ/253-01 გადაწყვეტილება.

21 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 5.

მუხლი 466. სოლიდარული მოვალის შესაგებელი კრედიტორის მიმართ

სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომლებიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ, ან რომლის უფლებაც მარტო მას აქვს, ან იგი საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის.

- I. ნორმის არსი და მიზანი979
- II. შესაგებლის წარდგენა979
 - 1. პირადი შესაგებელი979
 - 2. საერთო უფლებიდან გამომდინარე შესაგებელი980
 - 3. ვალდებულების არსიდან გამომდინარე შესაგებელი981
- III. სხვაგვარი რეგულირება981
- IV. შესაგებლის წარდგენის სამართლებრივი შედეგები981
- V. პროცესუალურსამართლებრივი საკითხები981

I. ნორმის არსი და მიზანი

სოლიდარული ვალდებულება კრედიტორის წინაშე თითოეული სოლიდარული მოვალის ვალდებულებას გულისხმობს მთლიან შესრულებაზე. თუმცა აღნიშნული რეგულირება არ ნიშნავს, რომ სოლიდარული მოვალე რომელსაც კრედიტორი წარუდგენს მოთხოვნას უპირობოდ ვალდებულია მის შესრულებაზე. კანონი სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის მოთხოვნისაგან თავდაცვის საშუალებებსაც ანიჭებს. ამგვარი თავდაცვის საშუალებად **შესაგებლის** წარდგენის უფლება გვევლინება. მუხლის მიზანიც სწორედ შესაგებლის რეგულირებაში მდგომარეობს. იგი უფლებამოსილს ხდის მოვალეს, უარი განაცხადოს კრედიტორის მოთხოვნის შესრულებაზე და წარუდგინოს მას **ვალდებულების არსიდან გამომდინარე, საერთო ან პირადი შესაგებელი**. 1

II. შესაგებლის წარდგენა

შესაგებელი მოვალის მატერიალური თავდაცვის საშუალებაა, რომელიც მოვალის უფლებას გულისხმობს, უარი განუცხადოს კრედიტორს მოთხოვნის შესრულებაზე.¹ ამგვარი შესაგებელი შესაძლებელია მოვალეს დროებით ანდა ხანგრძლივად აძლევდეს კრედიტორის მოთხოვნის შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.² 2

1. პირადი შესაგებელი

პირადია ნებისმიერი ის შესაგებელი, რომელიც კონკრეტულ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.³ მოვალეს მხოლოდ კუთვნილი მოთხოვნიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს. მას არ შეუძლია სხვა მოვალის 3

1 შდრ. Huber, Die Leistungsstörungen, Band I, 1999, S. 300; Brox/Walker, Schuldrecht AT, 37. Aufl. S. 660.
 2 Staudinger/Peters/Jacoby, BGB Neubearbeitung 2012, Buch II, § 194, Rn. 20.
 3 ზოდუე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 466, გვ. 587.

მოთხოვნიდან გამომდინარე შესაგებელი წარადგინოს და მოთხოვნა ისე გაქვითოს.⁴ აღნიშნულს განეკუთვნება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვიდან გამომდინარე შესაგებელი. თუ კრედიტორმა აპატია ამ სოლიდარულ მოვალეს ვალი, მაშინ უნდა დადგინდეს, თუ რა იგულისხმა კრედიტორმა ვალის პატიებაში. მხოლოდ ამ სოლიდარული მოვლისათვის ნაპატიები ვალი მხოლოდ ამ უკანასკნელს ანიჭებს მოთხოვნაზე უარის თქმისა და პირადი შესაგებელის წარდგენის უფლებამოსილებას (449). იმ შემთხვევაში, თუ ვალის პატიება ყველა სოლიდარული მოვალისათვის განხორციელდა, მაშინ თითოეულ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც კრედიტორი წარუდგენს ამის შემდეგ მოთხოვნას, შეუძლია უარი განაცხადოს და წარუდგინოს შესაგებელი ვალის პატიების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.⁵ ამ შემთხვევაში სახეზე საერთო შესაგებელი გვექნება. თუ ვალის გადაკისრების გზით სოლიდარული მოვალის ადგილს დაიკავებს მესამე პირი, მაშინ იგი ინარჩუნებს ასევე ყველა იმ პირად შესაგებელს, რომელიც წინა სოლიდარულ მოვალეს გააჩნდა (205). პირადია ასევე შესაგებელი, რომელსაც სოლიდარულ მოვალე მასსა და კრედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობიდან გამომდინარე წარუდგენს კრედიტორს. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაში, როდესაც შესაგებელი კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლების განხორციელებისას უფლების ბოროტად გამოყენებას ეფუძნება. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული სოლიდარული მოვალის ვალდებულება დამოუკიდებელია, მათ მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება. შესაბამისად ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს შეუძლია კრედიტორს წარუდგინოს შესაგებელი ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან გამომდინარე და უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე (476). იმ შემთხვევაში, თუ თავდები მოვალესთან ერთად იკისრებს სოლიდარულ თავდებობას (895), მაშინ თავდებს შეუძლია, კრედიტორს წარუდგინოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც მას კრედიტორის მიმართ გააჩნია.

2. საერთო უფლებიდან გამომდინარე შესაგებელი

4

ამ შემთხვევაში საუბარია შესაგებელზე, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა სოლიდარულ მოვალის კუთვნილებაა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის გარემოება, ცალკეული იურიდიულ ფაქტები კონკრეტულ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობაში დგებიან თუ არა. თუ კრედიტორსა და ერთ-ერთ მოვალეს შორის წარმოშობილი ფაქტები ასევე სხვა სოლიდარული მოვალის მიმართაც მოქმედებენ, ბუნებრივია, ამ ფაქტებიდან გამომდინარე შესაგებელის წარდგენაზე უფლებამოსილი ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეებიც იქნებიან. ამგვარი შესაგებელია 467-ე მუხლიდან გამომდინარე შესაგებელი, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ათავისუფლებს ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. შესაბამისად, ნებისმიერი სოლიდარული მოვალე, რომელსაც შეიძლება

4 Gehrlein, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 422, Rn. 10.

5 Joussem, Schuldrecht I AT, Jena, 2008, S. 469, Rn. 1414.

თვითონ არ შეუსრულებია ვალდებულება, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი უფლებამოსილია ამგვარი შესაგებელის წარდგენაზე. იგივე ითქმის შესრულების ე. წ. სუროგატებთან დაკავშირებითაც. ამგვარ შესაგებელს განეკუთვნება ასევე კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების გამო გამომდინარე შესაგებელი. ამ შემთხვევაში ნებისმიერი მოვალეთაგანი უფლებამოსილი ხდება, უარი განაცხადოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. იმისდა მიუხედავად, თუ რომელი სოლიდარული მოვალის მიმართ გადააცილა კრედიტორმა შესრულების მიღების ვადას, შედეგი დგება ყველა სოლიდარული მოვალისათვის (იხ. 476-ე მუხლის კომენტ. ველი 1, 3-5).

3. ვალდებულების არსიდან გამომდინარე შესაგებელი

ვალდებულების არსიდან გამომდინარე შესაგებელი, საერთო უფლებიდან გამომდინარე შესაგებელის მსგავსად, ყველა სოლიდარული მოვალისათვის საერთო შესაგებელია.⁶ მის წარდგენაზე უფლებამოსილად გვევლინება ნებისმიერი სოლიდარული მოვალეთაგანი. ამგვარ შესაგებელს განეკუთვნება შესაგებელი რომელიც ფორმის ნაკლიდან გამომდინარეობს, ანდა შესაგებელი რომელიც ეფუძნება არაუფლებამოსილი პირის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას ანდა როდესაც ვალდებულება ატარებს უკანონო ხასიათს და ა. შ.

III. სხვაგვარი რეგულირება

ნორმა არ კრძალავს განსხვავებული რეგულირების შეთანხმების შესაძლებლობას. შესაბამისად, შესაძლებელია, სოლიდარულ მოვალეთა და კრედიტორს შორის შეთანხმებით ზოგიერთი საერთო უფლებიდან ანდა ვალდებულების არსიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება გამოირიცხოს ანდა შეიზღუდოს ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა მიმართ. ასევე, შესაძლებელია, პირიქით, ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა კუთვნილი პირადი შესაგებლის წარდგენის უფლება განივრცოს და გავრცელდეს ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეებზეც.

IV. შესაგებლის წარდგენის სამართლებრივი შედეგები

იმის მიხედვით, თუ რა შესაგებელია წარდგენილი, კრედიტორი კარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას. წარდგენილი ვადის განმავლობაში კრედიტორს არ შეუძლია, მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულებით განახორციელოს.

V. პროცესუალურსამართლებრივი საკითხები

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არ განაპირობებს სხვა სოლიდარული მოვალისათვის იმ შესაგებლების ჩამორთმევის უფლებას, რომელიც პირველ პროცესში ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ წარადგინა ანდა შეეძლო წარედგინა.⁷

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 466, გვ. 587.

7 *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, S. 114, Rn. 126.

მუხლი 467. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შედეგები

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ.

I. ნორმის არსი და მიზანი.....	982
II. შესრულება.....	983
1. ერთ-ერთი მოვალის მიერ მთლიანი ვალდებულების შესრულება.....	983
2. ვალდებულების შესრულება რამდენიმე მოვალის მიერ.....	983
3. ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება.....	983
4. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ.....	984
5. შესრულებული ვალდებულების უკან მოთხოვნა.....	984
III. ვალდებულების შესრულება დეპონირებით.....	985
IV. ვალდებულების შესრულება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით.....	985
V. სამართლებრივი შედეგები.....	985
VI. მტკიცების ტვირთი.....	986

I. ნორმის არსი და მიზანი.

1

ნორმა სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობას არეგულირებს კრედიტორთან მიმართებაში. ნორმის არსის უკეთ გასაგებად იგი **სოლიდარული ვალდებულების შემადგენელ ელემენტებთან** ერთად უნდა იქნეს განხილული (463). სოლიდარულ ვალდებულებაში რამდენიმე სოლიდარული მოვალის ვალდებულებას კრედიტორის მხრიდან მხოლოდ **შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება** უპირისპირდება (463). 467-ე მუხლიც საკანონმდებლო დონეზე სწორედ ამ ერთჯერად შესრულების მოთხოვნას განამტკიცებს და მის სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულება სხვა დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთაც ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. ამ რეგულირებით ნორმა გარანტირებულს ხდის კრედიტორის წინაშე სოლიდარულ მოვალეთა მიერ სოლიდარული ვალდებულების მხოლოდ **ერთხელ შესრულებას** და თავიდან გვაცხილებს კრედიტორის მოთხოვნის რამდენჯერმე დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რომელიც შედეგად ამ უკანასკნელის **უსაფუძვლო გამდიდრებამდე** მიგვიყვანდა.

II. შესრულება

1. ერთ-ერთი მოვალის მიერ მთლიანი ვალდებულების შესრულება.

ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს თავისუფლად შეუძლია მთლიანი ვალდებულება შეასრულოს კრედიტორის წინაშე. შესრულებისათვის ვალდებულების შესრულების საერთო წესები გამოიყენება (361 II). მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების მომენტიდან სხვა მოვალეებიც ავტომატურად თავისუფლდებიან კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან ისე, რომ მათი მხრიდან რაიმე დამატებითი მოქმედების განხორციელება არ არის აუცილებელი. თუ ამის შემდეგ კრედიტორი სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგენს მოთხოვნას და მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, მოვალეს შეუძლია, უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე და მიუთითოს ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების სრულად შესრულებაზე.

2. ვალდებულების შესრულება რამდენიმე მოვალის მიერ

ვალდებულების შესრულება შესაძლებელია რამდენიმე სოლიდარულ-მა მოვალემ **ნაწილ-ნაწილ** განახორციელოს (378). ამ შემთხვევაში ამგვარი შესრულების აუცილებელი წინაპირობა ვალდებულების საგნის **გაყოფადობაა**. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი მიღებს მოვალეთაგან ამგვარ **ნაწილობრივ შესრულებებს** და მათი ჯამი ნაკისრი ვალდებულების მოცულობას გაუტოლდება, სახეზე მთლიანი ვალდებულების შესრულება გვექნება.¹

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება, შესრულების ტვირთისაგან სხვა დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა განთავისუფლებას გამოიწვევს ამ შესრულების ოდენობით. კრედიტორი უფლებამოსილი დარჩება ყველა სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე, თუმცა თავის მხრივ **საერთო მოთხოვნა** შემცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ამ უკანასკნელმა ნაწილობრივი შესრულების სახით მიიღო დაკმაყოფილება სოლიდარული მოვალისაგან.

3. ვალდებულებით გათვალისწინებული ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება

ვალდებულების შესრულების მსგავს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს ერთ-ერთი მოვალის მიერ **ვალდებულებით გათვალისწინებული ნაცვლად სხვა შესრულების** განხორციელება (428). აღნიშნულისათვის საკმარისია ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულებით გათვალისწინებული ნაცვლად სხვა შესრულების **შეთავაზება** და კრედიტორის მიერ მისი **მიღება**. სხვა სოლიდარულ მოვალეთა მხრიდან აღნიშ-

1 შდრ. Gehrlein, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 422, Rn. 2; Grüneberg, in Palandt,, BGB Komm., 73 Aufl., § 422, Rn. 1.

ნულის ცოდნა, ანდა აღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობის გაცემა არ არის აუცილებელი.² ყველა სხვა მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულებით სოლიდარული ვალდებულებით შეთანხმებული შესრულების განხორციელებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე კრედიტორის წინაშე თითოეული მოვალე პასუხისმგებელი რჩება (465, 467), კრედიტორს ვალდებულებით გათვალისწინებული ნაცვლად სხვა შესრულების მიღებამდე შეუძლია შეცვალოს მოთხოვნის ადრესატი და სხვა სოლიდარულ მოვალისაგან სოლიდარული ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულება მოითხოვოს.

4. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

- 6 სოლიდარულ მოვალეთა ნაკისრი ვალდებულების შესრულება კრედიტორის წინაშე **მესამე პირმაც** შეიძლება განახორციელოს (371).³ ამ შემთხვევაში ეს მესამე პირი კრედიტორისა და მოვალეთაგან განსხვავებული პიროვნება უნდა იყოს.⁴ მიზეზი, თუ რატომ ასრულებს მესამე პირი კრედიტორის წინაშე სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებას, შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. თუ მოვალეები არ განაცხადებენ პრეტენზიას და კრედიტორი მიიღებს მესამე პირის მიერ შემოთავაზებულ შესრულებას, ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება ასევე ყველა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართაც. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა მესამე პირი ერთი სოლიდარული მოვალისათვის ასრულებს ვალდებულებას, თუ ყველა-სათვის.⁵ 467-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისთანავე ავტომატურად დადგება. ეს შედეგი იმ შემთხვევაშიც დადგება, როდესაც მესამე პირმა არაფერი იცოდა სხვა მოვალეთა არსებობის შესახებ.⁶

5. შესრულებული ვალდებულების უკან მოთხოვნა

- 7 შესაძლებელია ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ სხვა სოლიდარულ მოვალეთაგან განახორციელოს ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი უკვე არარსებულ ვალდებულებას ასრულებს.⁷ ასევე შესაძლოა რამდენიმე სოლიდარულ მოვალეთა მიერ სხვადასხვა ნაწილებად განხორციელებულმა შესრულებებმა გადააჭარბოს საერთო შესრულების მოცულობას. ორივე შემთხვევაში კრედიტორს ამგვარი შესრულების დატოვების უფლება არა აქვს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება **სოლიდარული ვალდებულების არსს**, რომელიც კრედიტორის მხრიდან შესრულების მხოლოდ ერთხელ მოთხოვნის უფლებას გულისხმობს (463). გარდა ამისა, იგი კრედიტორის **უსაფუძვლო გამდიდრებასაც** იწვევს. შესაბამისად იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელმაც ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ კრე-

² Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 422, Rn. 6.

³ Gehrlein, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 422, Rn. 5.

⁴ Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 30.

⁵ Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 90, Rn. 94.

⁶ იქვე.

⁷ Looschelders, in Staudinger , BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 12.

დიტორის წინაშე შესრულება განახორციელა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს კრედიტორისაგან გადახდილის უკან დაბრუნება (385, 976 I).

III. ვალდებულების შესრულება დეპონირებით

8
 თუ კრედიტორის ადგილსამყოფელი უცნობი აღმოჩნდა მოვალეთათვის, ანდა თუ იგი აყოვნებს შესრულების მიღებას, მაშინ თითოეული სოლიდარული მოვალე უფლებამოსილად უნდა ჩავთვალოთ, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ანდა ნოტარიუსთან, ხოლო ფული ან ფასიანი ქალაქები შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და ვალდებულება ამგვარად შეასრულოს (434). ამგვარი წესით ვალდებულების შესრულება მაშინ გამოიწვევს შესრულების მსგავს შედეგებს, როდესაც მოვალე თავიდანვე უარს განაცხადებს სასამართლოში ანდა ნოტარიუსის წინაშე შესანახად ჩაბარებული ქონების დაბრუნებაზე (440 I). ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ამგვარი გზით განხორციელებული შესრულება, ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან ყველა სოლიდარული მოვალის განთავისუფლებას გამოიწვევს კანონის ძალით (*Ipsa lure*). **დეპონირება** მთლიანი ვალდებულების შესრულებას გამოიწვევს იმისდა მიუხედავად ინფორმირებულნი იყვნენ თუ არა სხვა სოლიდარული მოვალეების მიხედვით.⁸

IV. ვალდებულების შესრულება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით

9
 ვალდებულების შესრულების მსგავს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს კრედიტორისა და ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის **მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა** (467). ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისათვის აუცილებელი წინაპირობები აუცილებელია კრედიტორსა და იმ სოლიდარულ მოვალეს შორის იყოს წარმოშობილი, რომელსაც კრედიტორი წარუდგენს მოთხოვნას (442). შესაბამისად ეს წესი მოქმედებს მაშინ, თუ იმ მოვალეს რომელსაც კრედიტორმა წარუდგინა მოთხოვნა ამავდროულად კრედიტორის მიმართ გააჩნია მოთხოვნა (442). სოლიდარული მოვალე, რომელსაც კრედიტორი წარუდგენს მოთხოვნას, უფლებამოსილია, მხოლოდ კუთვნილი მოთხოვნა გაქვითოს, მას არა აქვს სხვა სოლიდარულ მოვალეთა კუთვნილი მოთხოვნის გაქვითვისა და ვალდებულების ამგვარად შეწყვეტის უფლება.⁹

V. სამართლებრივი შედეგები

10
 ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება განაპირობებს ყველა დანარჩენი მოვალის ავტომატურ განთავისუფლებას ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. იგივე წესი გამოიყენება შესრულების ე. წ. **სუროგატების** მიმართაც.

8 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 21; *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 87, Rn. 90.

9 *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm., 14. Aufl., § 422, Rn. 8.

- 11 სოლიდარულ მოვალეს, რომელიც კრედიტორის წინაშე ვალდებულებას მთლიანად ასრულებს, კრედიტორთან შეთანხმებით არ შეუძლია გამორიცხოს ან შეზღუდოს შესრულების შედეგი სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ.¹⁰ ამგვარი რეგულირება გამორიცხავს კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის რამდენჯერმე დაკმაყოფილების შესაძლებლობას და მის გამდიდრებას მოვალეთა ხარჯზე.¹¹
- 12 კანონი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით იგი საკუთარ და ამავედროულად სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებასაც ასრულებს თუ მხოლოდ კუთვნილს. იგი მხოლოდ იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შედეგები ავტომატურად დგება ასევე ყველა სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც (467). როგორც აღინიშნა, სოლიდარული ვალდებულება რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისაგან შედგება (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**). ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა დროს შეიძლება წარმოიშვან (იხ. 464-ე მუხლის კომენტ. ველი 5, 10). რეალურად, სოლიდარულმა მოვალემ, რომელიც მთლიანად ასრულებს ვალდებულებას, შეიძლება საერთოდ არც არაფერი იცოდეს სხვა სოლიდარული მოვალისა და, შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულების არსებობის შესახებ (896). შესაბამისად ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება არ უნდა ნიშნავდეს საკუთარი და ამავედროულად სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულების შესრულებასაც.¹² ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ კრედიტორს არ შეუძლია სხვა სოლიდარულ მოვალეთაგან შესრულება მოითხოვოს, იმ გარემოებას ეფუძნება, რომ კრედიტორმა მიიღო ის, რის მოთხოვნაზედაც იგი სოლიდარული უფლებამოსილებიდან გამომდინარე არის უფლებამოსილი.¹³

VI. მტკიცების ტვირთი

- 13 ვალდებულების შესრულების შემდეგ წარდგენილ ყველა მოთხოვნაზე ვალდებულების შესრულების **მტკიცების ტვირთი** ეკისრება მოვალეს. **შესრულების მტკიცებულებად** საკმარისია, თუ მოვალე წარადგენს კრედიტორის მიერ გაცემულ **ქვითარს**, რომელიც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებას ადასტურებს.

10 Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, § 422, Rn. 2; BGH NJW 1984, 1463ff

11 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 2.

12 ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 473, გვ. 597.

13 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 5.

მუხლი 468. სხვა სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტების

გამოყენების დაუშვებლობა

ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

- I. ნორმის არსი და მიზანი987
- II. ნორმის გამოყენების წინაპირობები.....988
- III. ცალკეული ფაქტები988
 - 1. ბრალი988
 - 2. მოთხოვნის უფლების დათმობა989
 - 3. ვალის გადაკისრება990
- IV. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი.....990
 - 1. ხელშეკრულებაზე უარის თქმა990
 - 2. ხელშეკრულების მოშლა991
- V. განსხვავებული რეგულირების შეთანხმება991
- VI. საპროცესო საკითხები.....992

I. ნორმის არსი და მიზანი

მუხლი სოლიდარული ვალდებულების ფარგლებში ერთ-ერთ სოლიდარული მოვალესთან დაკავშირებულ ფაქტებს ეხება. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **ვალდებულების შესრულებისა (467)** და კრედიტორის მიერ **შესრულების მიღების ვადის გადაცილების გარდა (470 I)** ყველა სხვა დანარჩენი ფაქტები, რომლებიც კრედიტორსა და ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შორის ურთიერთობაში წარმოშობიან, მხოლოდ ამ პიროვნებებს შორის ურთიერთობაში მოქმედებენ. ამ რეგულირებით კანონი ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის წარმოშობილი ფაქტები სუბიექტურ-ინდივიდუალურად მოქმედებენ.¹ აღნიშნული ზოგადი წესი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რამე არ გამომდინარეობს (468). ნორმა კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ სოლიდარული ვალდებულება რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისგან შედგება (ე. წ. **ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**).² ეს ცალკეული ვალდებულებანი დამოუკიდებელ ვალდებულებებად რჩებიან და ერთმანეთისაგან განსხვავებულად შეიძლება განვითარდნენ.³

1

1 Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., § 425, Rn. 1.
 2 Gehrlein, in Bamberger/Roth, , BGB Komm. 3. Aufl., Band 1, § 425, Rn. 1.
 3 შდრ. Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, § 425, Rn. 1; Bydlinski, in MüKo BGB 6. Aufl., 2012, § 425, Rn. 1.

- 2 ნორმის რეგულირების მთავარი არსი და მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იმ **მოვალის ინტერესების დაცვაში** მდგომარეობს, რომელიც არ არის ვალდებული სხვა მოვალეთა ქცევებზე იზრუნოს და იდარდოს.⁴ კეთილსინდისიერად მოქმედი მოვალე არ უნდა დაზარალდეს სხვა არაკეთილსინდისიერად მოქმედი მოვალის საქციელის გამო და მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომელიც არაკეთილსინდისიერად მოქმედმა მოვალემ ჩაიდინა.⁵

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

- 3 ნორმის გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ეს ცალკეული ფაქტები ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის **სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის შემდეგ** უნდა იქნეს წარმოშობილი.⁶ იმ ფაქტებზე, რომლებიც კრედიტორსა და ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შორის **სოლიდარული ვალდებულების წარმოშობამდე** წარმოიშვნენ, ნორმის რეგულირება არ ვრცელდება. ფაქტებში, რომლებზეც კანონმდებელი მუხლის დანაწესში საუბრობს, იგულისხმება **სამართლებრივი ფაქტები, სამართლებრივი ქმედებები**, რომლებიც ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის წარმოიშობიან.⁷

III. ცალკეული ფაქტები

1. ბრალი

- 4 ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ განხორციელებული **ბრალეული ქმედებისათვის** პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მხოლოდ ამ უკანასკნელს ეკისრება.⁸ შესაბამისად ვალდებულების დარღვევით გამოწვეული **ზიანის ანაზღაურების ვალდებულება**ც სწორედ ამ სოლიდარულ მოვალეს დაეკისრება.⁹ თუმცა შესაძლებელია თვითონ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რამე გამომდინარეობდეს. ასევე შესაძლებელია სოლიდარულ მოვალეთა და კრედიტორთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, რომ თითოეული სოლიდარული მოვალის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული შედეგები ავტომატურად ვრცელდება ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც.¹⁰ ასევე შესაძლებელია, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ბრალეული ქმედების გავრცელება სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის პორაქტიკუ-

4 შდრ *Völmann-Stickelbrock*, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., § 425, Rn. 1.

5 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 460, 468, გვ. 577, 589.

6 შდრ. *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 468, გვ. 590; *Böttcher*, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 425, Rn. 3; *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 3.

7 შდრ. *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 3.

8 შდრ. *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 109, Rn. 122; *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 468, გვ. 590.

9 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 468, გვ. 590.

10 *Müller*, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., § 425, Rn. 4.

ლი არსიდან გამომდინარეობდეს.¹¹ აღნიშნული იმ შემთხვევაში გვაქვს ხოლმე სახეზე, როდესაც სოლიდარულ მოვალეთა უფლება-მოვალეობანი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული.¹² ასე მაგალითად, თუ განუყოფადი შესრულების განხორციელებისათვის აუცილებელია ორ სოლიდარულ მოვალეთა ერთობლივი მოქმედება ისე, რომ შეუძლებელია რაიმე კონკრეტული სამუშაოს შესრულების გამოყოფა (მაგ. რამდენიმე სანარმო კისრულობს ერთიანი ნივთის დამზადების ვალდებულებას), მაშინ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ბრალეული ქმედებით გამოწვეული შედეგები ასევე უნდა დაეკისროს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც.¹³ ბრალის ამგვარი მატერიალურ-სამართლებრივი მიკუთვნება კრედიტორის ინტერესების დაცვას ემსახურება, რომელსაც არ ეკისრება იმის გარკვევა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი მოვალე იყო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებელი.¹⁴

2. მოთხოვნის უფლების დათმობა

კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ დაუთმოს მესამე პირს.¹⁵ გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ კრედიტორსა და თითოეულ სოლიდარულ მოვალეს შორის დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არსებობს, თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნასთან მიმართებაში კრედიტორს მესაკუთრის სრული უფლებამოსილება გააჩნია. მოთხოვნის გადაცემა არ საჭიროებს სხვა სოლიდარულ მოვალეთა თანხმობას.¹⁶ ჩვეულებრივ, კრედიტორი მთლიანად გადასცემს ხოლმე მოთხოვნას ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ. თუ კრედიტორი მხოლოდ ერთ-ერთი მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნას გადასცემს მესამე პირს, მაშინ ამგვარი გადაცემა სხვა სოლიდარულ მოვალეებთან არსებული ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენს.¹⁷ ისინი უცვლელად რჩებიან პასუხისმგებელი ძველი კრედიტორის წინაშე. კრედიტორს შეუძლია, დარჩენილი სოლიდარული მოვალეებისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. თავის მხრივ, **ცესიონერს** რომელსაც კრედიტორმა გადასცა მოთხოვნა შეუძლია გადაცემული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სოლიდარულ მოვალეს შესრულება მოსთხოვოს. თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე შეასრულებს ვალდებულებას **ცედენტის** ანდა **ცესიონერის** მიმართ, მაშინ სოლიდარული ვალდებულება შეწყდება.¹⁸

11 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 37.

12 *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 110, Rn. 122.

13 შდრ. *Reinicke/Tiedtke*, Gesamtschuld und Schuldsicherung, 2. Aufl., S. 55; *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 425, Rn. 11.

14 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 37.

15 შდრ. *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 5. Aufl., § 425, Rn. 10; *Reinicke/Tiedtke*, Gesamtschuld und Schuldsicherung, 2. Aufl., S. 55 f.

16 შდრ. *Grüneberg*, in *Palandt*, BGB Komm., 73 Aufl., § 425, Rn. 9; *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, § 425, Rn. 25.

17 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 99.

18 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 425, Rn. 25.

- 6 მოთხოვნის უფლების გადაცემა არ წარმოშობს **სოლიდარულ უფლება-მოსილებას**.¹⁹ ცესიონერი არ ხდება იმ სოლიდარულ მოვალეთა კრედიტორი, რომელთა მიმართაც მოთხოვნა არ გადაუცია ცედენტს. თავის მხრივ ცედენტი აღარ გვევლინება გადაცემული მოთხოვნის კრედიტორად.²⁰ სოლიდარულ მოვალეთა და კრედიტორს შორის შეთანხმებით შესაძლებელია მოთხოვნის იზოლირებულად გადაცემა საერთოდ გამოირიცხოს.

3. ვალის გადაკისრება

- 7 კრედიტორსა და მესამე პირს შორის გაფორმებულ **ხელშეკრულებას ვალის გადაკისრების თაობაზე**, როგორც წესი, ძალა აქვს არა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ (203). იგივე ითქმის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და მესამე პირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ვალის გადაკისრების თაობაზე (204). კრედიტორი, როგორც წესი, ერთ-ერთი მოვალის ვალს აკისრებს მესამე პირს. თუმცა შეთანხმებით შესაძლებელია ასევე ყველა სოლიდარული მოვალის ვალის გადაკისრება მესამე პირზე. აღნიშნულისათვის აუცილებელია, რომ ხელშეკრულებიდან ნათლად გამომდინარეობდეს კრედიტორის სურვილი ყველა სოლიდარული მოვალის ვალი გადააკისროს მესამე პირს.²¹ თუ კრედიტორმა მხოლოდ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალი გადააკისრა მესამე პირს, მაშინ იგი დაიკავებს სოლიდარულ ვალდებულებაში სოლიდარული მოვალის ადგილს. სოლიდარული ვალდებულების არსებობასა და სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებაზე იგი გავლენას ვერ მოახდენს. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი ყველა სოლიდარული მოვალის ვალდებულებას გადააკისრებს მესამე პირს, მაშინ სოლიდარული ვალდებულება შეწყდება.

IV. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმა

- 8 **ხელშეკრულებაზე გასვლისთვის** მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად იგი ერთობლივად ყველა სოლიდარული მოვალის მიერ, ანდა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ შეიძლება განხორციელდეს (357). აღნიშნული რეგულირება თვითონ კანონიდან გამომდინარეობს და მისი მიზანიც **ვალდებულების ერთიანობის** შენარჩუნებაა იმ შემთხვევაში, როდესაც მასში რამდენიმე პირი მონაწილეობს.²² ნორმა ყველა იმ პირის უფლებების დაცვას ემსახურება, რომლებიც ხელშეკრულებაში მონაწილეობენ და რომელთა უფლებებიც ხელშეკრულებიდან ერთ-ერთი მონაწილის გასვლით შეიძლება შეიღახოს.²³ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის პიროვნებაში არსებული ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აუცილებელი

19 შდრ. *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 100.

20 იქვე.

21 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 102.

22 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 357, გვ. 258; *Gaier*, in MüKo BGB 6. Aufl., 2012, § 351, Rn. 1.

23 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 357, გვ. 259.

წინაპირობის არსებობა საკმარისია, რომ იგი ყველას მიმართ განხორციელდეს.²⁴ შესაბამისად, ამ შემთხვევაში 468-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესი არ მოქმედებს. თუმცა კანონის ეს დანაწესი დისპოზიციური ხასიათისაა და სხვაგვარი შედეგების შეთანხმების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, მხარეები შესაძლოა 357-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულირებისაგან განსხვავებულ წესზეც შეთანხმდნენ.²⁵

2. ხელშეკრულების მოშლა

ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით სკ რაიმე სპეციალურ რეგულირებას არ შეიცავს, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც 357-ე მუხლი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული. აღნიშნული რეგულირების საფუძვლად ის გარემოება გვევლინება, რომ ხელშეკრულების მოშლა მთლიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ცვლილებას განაპირობებს და იგი მხოლოდ ყველა მოვალის მიერ ერთობლივად ანდა ყველა მოვალის მიმართ შეიძლება განხორციელდეს.²⁶ მაგ. სესხის ხელშეკრულება, რომლის გადახდაზედაც მეუღლეები სოლიდარულად აგებენ პასუხს, არ შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მიმართ მოიშალოს და მეორის მიმართ განხორციელდეს.²⁷ როგორც წესი, მოშლისათვის აუცილებელი წინაპირობები საკმარისია ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობაში წარმოშვას.²⁸ აღნიშნული წესი უნდა იქნეს გამოყენებული ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.²⁹

V. განსხვავებული რეგულირების შეთანხმება

ნორმა არ არის იმპერატიული ხასიათის და არ გამორიცხავს **განსხვავებული შეთანხმების** შესაძლებლობას. კანონის დანაწესიდან გამომდინარე, მუხლით გათვალისწინებული რეგულირება **ზოგადი წესია**, რომელიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. შესაძლებელია, მხარეები რომელიმე კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ მისი შედეგები არა რომელიმე კონკრეტულ სოლიდარულ მოვალის, არამედ ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ გავრცელდება.³⁰ აღნიშნული შეთანხმება, შესაძლებელია, როგორც გაცხადებულად, ასევე კონკლუდენტურად იქნეს მიღებული.³¹

24 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 425, Rn. 9.

25 *ხელშეკრულებიდან გასვლის რეგულირების დისპოზიციურობასთან დაკავშირებით იხ. მუხ. 457, ველი 9; ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 357, გვ. 259.

26 შდრ. *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 425, Rn. 3; *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, § 425, Rn. 6.

27 *Schwedhelm*, *Das Gesamtschuldverhältnis*, 2003, S. 105 f. Rn. 117.

28 *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 5. Aufl., § 425, Rn. 2.

29 *Edenfeld*, *JZ* 1997, S1040.

30 *Schwedhelm*, *Das Gesamtschuldverhältnis*, S. 104, Rn. 116.

31 იქვე

VI. საპროცესო საკითხები

- 11 ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის მიმდინარე დავაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობაში. სოლიდარული ვალდებულების არსებობა თავის თავად არ განაპირობებს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედების გავრცელებას იმ სოლიდარულ მოვალეებზე, რომლებიც არ იყვნენ პროცესის მონაწილენი.³²

32 შდრ. *Selb*, *Mehrheiten von Gläubigern und Schuldnern*, 1984. S. 86; *Schwedhelm*, *Das Gesamtschuldverhältnis*, S. 114, Rn. 126.

მუხლი 469. სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ

სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

- I. ნორმის არსი და მიზანი993
- II. სარჩელის შეტანა993
 - 1. ერთ-ერთი მოვალის მიმართ993
 - 2. რამდენიმე მოვალის მიმართ.....994
- III. სოლიდარული მოვალის ჩართვა საქმეში მესამე პირად995
- IV. განსჯადობა996
- V. სოლიდარულ მოვალეთა სარჩელი996
- VI. სასამართლო გადანყევტილება.....996

I. ნორმის არსი და მიზანი

სოლიდარული ვალდებულების დახასიათებისას არაერთხელ აღინიშნა, რომ იგი რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისაგან შედეგება (**ვალდებულებათა სიმრავლის თეორია**). აღნიშნული დამოუკიდებლობა კრედიტორსა და ცალკეულ სოლიდარულ მოვალეს შორის არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობებშიც ვლინდება. სწორედ ამ მოსაზრებას განამტკიცებს 469-ე მუხლი. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის შეტანა არ ართმევს კრედიტორს უფლებას შეიტანოს სარჩელი ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც.

II. სარჩელის შეტანა

1. ერთ-ერთი მოვალის მიმართ

კრედიტორს თავისუფლად შეუძლია პირადად ანდა წარმომადგენლის მეშვეობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178 IV) წარადგინოს სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ და მას მთლიანად ანდა ნაწილობრივ მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ **სარჩელის წარდგენა** არ ნიშნავს, რომ სხვა სოლიდარული მოვალეები თავისუფლდებიან ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან მათ მხოლოდ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ **ვალდებულების მთლიანად შესრულება** ათავისუფლებს (467). შესაბამისად, კრედიტორი არ არის სხვა სარჩელის წარდგენაში შეზღუდული. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის შეტანა, სხვა სოლიდარულ მოვალეებს კრედიტორისაგან თავდაცვის არც რაიმე პროცესუალურ უფლებას ანიჭებს.¹

1 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 421, Rn. 134.

- 3 კრედიტორი ასევე არ არის შეზღუდული სარჩელის შეტანის რაოდენობაში. მას შეუძლია ერთდროულად რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ რამდენიმე **სარჩელი** წარადგინოს და რამდენიმე პარალელურად მიმდინარე პროცესში ეცადოს დაკმაყოფილების მიღება.² სარჩელის წარდგენა რამდენიმე სასამართლოში რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ არ გვევლინება ამ **სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველად** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275). სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით **ერთ წარმოებად გააერთიანოს** რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ შეტანილი სარჩელები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182 IV). აღნიშნულის შესახებ, სასამართლოს გამოაქვს **მოტივირებული განჩინება**.
- 4 ერთ-ერთ სოლიდარული მოვალის მიმართ შეტანილი **სარჩელის მიღებაზე უარის თქმა** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186) არ ართმევს მას უფლებას, სარჩელი შეიტანოს ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ და დაკმაყოფილება მოითხოვოს.³ იგივე ითქმის იმ შემთხვევის თაობაზედაც, როდესაც კრედიტორმა წააგო ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ პარალელურად მიმდინარე პროცესი.⁴ ვერც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ **სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის** გასვლა მოახდენს გავლენას იმ სოლიდარული მოვალის მიმართ სარჩელის შეტანის უფლებაზე, რომლის მიმართაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ გასულა (476).
- 5 თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელი **არ იქნა მიღებული წარმოებაში**, ანდა კრედიტორმა წააგო პარალელურად მიმდინარე პროცესი, მაშინ სხვა სოლიდარულ მოვალეს აღნიშნული გადაწყვეტილება არ აძლევს უფლებას, 473-ე მუხლიდან გამომდინარე უარი განაცხადოს იმ სოლიდარული მოვალის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე, რომელსაც კრედიტორმა მოუგო პროცესი და მთლიანად დააკისრა ვალდებულების შესრულება.⁵
- 6 ის სოლიდარული მოვალე, რომლის წინაშეც კრედიტორმა შეიტანა სარჩელი და შესრულება მოსთხოვა, დამოუკიდებლად აგებს პასუხს ამ პროცესიდან გამომდინარე **სასამართლო ხარჯებისათვის**.⁶ მას არ შეუძლია 473-ე მუხლიდან გამომდინარე იმ სოლიდარულ მოვალეებს მოსთხოვოს პროცესის ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც არ წარმოადგენდნენ პროცესის მხარეებს.⁷

2. რამდენიმე მოვალის მიმართ

- 7 კრედიტორი უფლებამოსილია სარჩელი წარადგინოს რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ და დაკმაყოფილება მოითხოვოს. ამ შემ-

2 *Selb*, *Mehrheiten von Gläubigern und Schuldner*, 1984, S. 27.

3 *Reinicke/Tiedtke*, *Gesamtschuld und Schuldsicherung*, 2. Aufl., S. 44

4 *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, *BGB Kommentar*, 5. Aufl., § 421, Rn. 12.

5 იქვე.

6 *Gebauer*, in *Sorgel*, *BGB Kommentar*, *Schuldrecht 3/3*, 13. Aufl., § 421, Rn. 48.

7 *Böttcher*, in *Ermann*, *BGB Komm*, 14. Aufl., § 421, Rn. 31.

თხვევაში სახეზე არასავალდებულო (ფაკულტატიური) საპროცესო თანამონაწილეობა გვექნება (86 I გ).⁸ ასეთი არასავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის დროს თითოეული მოსარჩელე ანდა მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში დამოუკიდებლად გამოდის (86 II). შესაბამისად, იმდენი სარჩელია, რამდენი თანამონაწილეც არის.⁹ არასავალდებულო თანამონაწილეობა არ განაპირობებს საპროცესო თანამონაწილეთა ერთ მოსარჩელედ ანდა მოპასუხედ ქცევას. საპროცესო თანამონაწილეობის დროს თითოეული **სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთებულობა** ცალ-ცალკე მოწმდება.¹⁰ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელი შეიძლება **დაუშვებელი**, მეორე **უსაფუძვლო**, ხოლო მესამე **დასაშვები** იყოს.¹¹ ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ **სარჩელის ცნობა** არ ნიშნავს სხვა თანამონაწილეთა მიერ სარჩელის ცნობას.¹² სასამართლო **დააკმაყოფილებს სარჩელს** იმ მოპასუხის მიმართ, რომელმაც ცნო სარჩელი და სხვების მიმართ გააგრძელებს საქმის განხილვას.¹³

თანამონაწილეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც პროცესის მხარეს აქვს (87 I). მათ შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს მიანდონ (87 II). აღნიშნული მინდობა აუცილებლად უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (87 III). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა არც ერთი თანამონაწილე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს **დაუსრულებელი გადაწყვეტილება** ყველა გამოუცხადებელ მხარეთა საწინააღმდეგოდ.¹⁴ მაგრამ თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთი ან რამდენიმე თანამონაწილე, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს გამოცხადებულ მხარეთა მიმართ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, ხოლო გამოუცხადებელ თანამონაწილეთა მიმართ დაუსრულებელი გადაწყვეტილება.¹⁵ ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთ თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას.

III. სოლიდარული მოვალის ჩართვა საქმეში მესამე პირად

სოლიდარულ მოვალეს, რომლის წინააღმდეგაც კრედიტორმა წარადგინა სარჩელი, შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით ანდა ზეპირად მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს ერთ-ერთი ან ყველა სოლიდარულ მოვალეთა ჩართვა პროცესში **დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის არმქონე მესამე პირებად** (90 I). აღნიშნული განცხადება, მიუხედავად იმისა, იგი წერილო-

8 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, 2007, გვ. 164.

9 *Wieser*, Prozeßrechts Kommentar zum BGB, 1999, § 421, Rn. 7.

10 იქვე.

11 იქვე.

12 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007, გვ. 166.

13 იქვე.

14 იქვე.

15 იქვე.

ბითია თუ ზეპირად წარდგენილი, უნდა იყოს მოტივირებული ანუ უნდა შეიცავდეს საფუძველს თუ რის გამო ითხოვს პირი მესამე პირად ჩართვას.¹⁶ სასამართლოს მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში ჩართვის ანდა ასეთ ჩართვაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს მოტივირებული განჩინება (90 I).

IV. განსჯადობა

- 10 თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ შეტანილი **სარჩელის განსჯადობა** ცალ-ცალკე დგინდება. შესაბამისად შესაძლებელია, რომ ცალკეულ სოლიდარულ მოვალესთან არსებულ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ შეტანილი სარჩელი ერთი და იგივე, ანდა სხვადასხვა სასამართლოს განსჯადი იყოს. შესაძლებელია, ასევე ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ არსებული დავა **არბიტრაჟის**, ხოლო სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ არსებული დავა კი **სასამართლოს განსჯადი** იყოს. აღნიშნული განსხვავებული განსჯადობა სირთულეებს არ წარმოშობს იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს თითოეულ სოლიდარული მოვალის მიმართ ცალ-ცალკე შეაქვს სარჩელი და ცალ-ცალკე პროცესებში დავობს. თუ კრედიტორს სარჩელი შეაქვს რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ (საპროცესო თანამონაწილეების მიმართ), მაშინ სოლიდარული მოვალეებს შეუძლიათ **ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრონ განსჯადი სასამართლო** (21 I). აღნიშნული შეთანხმება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იქნეს გაფორმებული (21 I). თუ არ არსებობს ერთიანი განსჯადობა, მაშინ სასამართლოში სარჩელი შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (16 I).

V. სოლიდარულ მოვალეთა სარჩელი

- 11 თითოეული სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია, სარჩელი შეიტანოს სასამართლოში და მოითხოვოს აღიარება იმისა, რომ მასა და კრედიტორს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს (180). ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ სარჩელის შეტანა არ ართმევს სხვა სოლიდარულ მოვალეს უფლებას, ასევე შეიტანოს სარჩელი კრედიტორის წინააღმდეგ. თუ რამდენიმე სოლიდარული მოვალე წარადგენს სარჩელს კრედიტორის წინაშე, მაშინ ისინი საპროცესო თანამონაწილეებად გვევლინებიან.

VI. სასამართლო გადაწყვეტილება

- 12 სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, **გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში** მიუთითოს, თუ თითოეულმა თანამოპასუხემ რა ოდენობით უნდა განახორციელოს ვალდებულების შესრულება.¹⁷ თუ გა-

16 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, 2007, გვ. 173.

17 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-

დანყვეტილება გამოტანილია რამდენიმე სოლიდარული მოვალის, როგორც საპროცესო თანამონაწილეების წინააღმდეგ, სასამართლო არ არის ვალდებული გადაწყვეტილებაში მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ რა წილით უნდა შეასრულოს ვალდებულება. ამ შემთხვევაში საკმარისია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში იმაზე მითითება, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია.¹⁸

ორე გამოცემა, 2007, გვ. 450.

18 იქვე.

მუხლი 470. შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები

1. კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისაგან შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები ძალაშია დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.

2. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.

I. ნორმის არსი და მიზანი	998
II. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება.....	999
1. წინაპირობები	999
2. შესრულების ვადის გადაცილების დამთავრება.....	1000
III. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნება.....	1001
IV. სამართლებრივი შედეგები.....	1002
1. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შემთხვევაში	1002
2. ერთ-ერთი მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შემთხვევაში	1003

I. ნორმის არსი და მიზანი

- 1 ნორმის პირველი ნაწილი **კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნების** სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მხრიდან შემოთავაზებული შესრულების დაყოვნების შედეგები ვრცელდება ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორმა მხოლოდ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულების მიღება დააყოვნა, შედეგი ყველა მოვალისათვის ავტომატურად დადგება.¹ თუ კრედიტორი არ იღებს ერთ-ერთი მოვალის მიერ დროულად შემოთავაზებულ შესრულებას (390 I) ანდა არ ახორციელებს შესრულების მიღებისათვის აუცილებელ მოქმედებას (390 II), მაშინ სხვა მოვალეებსაც აღარ ეკისრებათ ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელება.² აღნიშნული რეგულირების საფუძვლად 467-ე მუხლი გვევლინება,³ რომლის თანახმადაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც ათავისუფლებს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. ვინაიდან კრედიტორს რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულება მიეღო, იგი ავტომატურად გამოიწვევდა ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან სხვა სოლიდარულ მოვალეთა განთავისუფლებასაც.⁴

1 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 101, Rn. 112.

2 Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 424, Rn. 1.

3 შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 424, Rn. 1.

4 შდრ. Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, § 424, Rn. 1; Selb, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 76; Meier, in Schmoedel/Rückert/Zimmermann, HKK zum BGB, BD II, Teilband II,

მუხლის მეორე ნაწილი ერთ-ერთი **მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების** შედეგებს არეგულირებს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები არ ვრცელდება სხვა მოვალეთა მიმართ. ამ რეგულირებით კანონმდებელი კიდევ ერთხელ ნათელს ფენს იმ გარემოებას, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში შემავალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ერთ-ერთი სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები ავტომატურად არ ვრცელდება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართაც (468). შესაბამისად, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ბრალეულმა დაყოვნებამ არ უნდა გამოიწვიოს სხვა კეთილსინდისიერად მოქმედი მოვალის დაზარალება.

II. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება

1. წინაპირობები.

იმისათვის, რომ კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღების ვადის გადაცილებას ჰქონდეს ადგილი, აუცილებელია მოვალის მხრიდან კრედიტორისათვის ნაკისრი ვალდებულების **შესრულების შეთავაზება**.⁵ ე. ი. სახეზე უნდა იყოს ვალდებულების ჯეროვანი, კეთილსინდისიერი, დათქმული დროისა და ადგილის შესატყვისი შესრულების შეთავაზება.⁶ ამასთან მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, რომელი სოლიდარული მოვალე შესთავაზებს კრედიტორს ვალდებულების შესრულებას. 470-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგი დგება ასევე იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს ის სოლიდარული მოვალე შესთავაზებს შესრულებას, რომელიც მოვალეთა შორის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე განთავისუფლებულია ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.⁷

კრედიტორის მხარეს აუცილებელია მოვალის მიერ შეთავაზებული შესრულების **არ მიღება** (390 I) ანდა იმ მოქმედების **არ განხორციელება**, რომელიც შესრულების მიღებისთვის არის აუცილებელი (390 II).

შესრულების მიღების ვადის გადაცილების წინაპირობები აუცილებელია, რომ კრედიტორსა და ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შორის წარმოიშვას.⁸ არ არის საკმარისი, თუ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისათვის აუცილებელი წინაპირობა ერთ სოლიდარულ მოვალის პიროვნებაში, ხოლო მეორე აუცილებელი წინაპირობა კიდევ მეორე მოვალის პიროვნებაში წარმოიშვება.⁹

§ 420-432 I, S. 2442, Rn. 60.

5 ზოდერ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 354.

6 იქვე.

7 Rüssman, Die Abgrenzung der Gesamtschuld von anderen Schuldnermehrheiten, Jus 1974, 296.

8 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 101, Rn. 113.

9 შდრ. Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 424, Rn. 2; Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 424, Rn. 3.

- 6 მაგალითი. A, B და C ხელშეკრულება დადეს შპს „მშენებელთან“ 100 ტონა ცემენტის მიწოდების თაობაზე. ამასთან A გადაწყვიტა მიეწოდებინა 100 ტონა 2018 წლის 1 იანვრისათვის როდესაც კრედიტორსა და მას შორის დადებული ხელშეკრულებით მას მხოლოდ 2018 წლის 1 თებერვალს უნევდა ვალდებულების შესრულება. ამავდროულად B მაც განახორციელა 100 ტონა ცემენტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში თუმცა მან ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა იმაზე დაბალი ხარისხის ცემენტი მიანოდა შ.პ.ს. „მშენებელს.“ შპს „მშენებელმა“ ორივე შემთხვევაში უარი განაცხადა შესრულების მიღებაზე და C-ს მოსთხოვა მთლიანი ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღების ვადის მიღების გადაცილებასთან არ გვაქვს საქმევიანიდან შესრულების ჯეროვანი შეთავაზება ცალ ცალკე არაა არცერთი მოვალის შეთავაზებაში სახეზე.
- 7 შესრულების მიღების ვადის გადაცილებასთან მიმართებაში კანონმდებელი სოლიდარულ მოვალეებს ერთ მთლიანობად არ განიხილავს. იგი მხოლოდ კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულების მიღების დაყოვნების შედეგებს განავრცობს ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართაც (470 I). შესაბამისად, შესრულების მიღების ვადის გადაცილებისათვის აუცილებელი წინაპირობები არ შეიძლება სხვადასხვა სოლიდარული მოვალის პიროვნებაში წარმოიშვას.¹⁰

2. შესრულების ვადის გადაცილების დამთავრება

- 8 შესრულების მიღების ვადის გადაცილება მთავრდება იმ მომენტიდან (ex nunc), როდესაც მისი არსებობის წინაპირობები აღარ არსებობს.¹¹ შესრულების მიღების ვადის გადაცილება დამთავრდება, როდესაც კრედიტორი მიიღებს ვადაგადაცილებულ შესრულებას, ანდა განახორციელებს მისი მიღებისათვის აუცილებელ მოქმედებას.¹² შესრულების მიღების ვადის გადაცილების დამთავრებისათვის აუცილებელი ქმედება არ არის აუცილებელი, ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ განხორციელდეს.¹³ თუ შესრულების მიღების ვადის გადაცილება დამთავრდება იმ მოვალის მიმართ, რომლის წინაშეც გადააცილა კრედიტორმა შესრულების მიღების ვადას, მაშინ მისი მოქმედება ავტომატურად გავრცელდება ასევე სხვა მოვალეთა მიმართაც.¹⁴ აღნიშნული რეგულირების საფუძვლად ისევ 470-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება გვევლინება, რომელიც კრედიტორის მიერ ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ შესრულების მიღების ვადის გადაცილებაზე კი არ საუბრობს, არამედ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ შესრულების მიღების

10 Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2019, § 424, Rn. 2.

11 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, 2003, S. 103, Rn. 115.

12 ზონდე, სკის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 390, გვ. 355.

13 Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 424, Rn. 3.

14 შდრ. Heinemeyer, in MüKo BGB, 8. Aufl., 2012, § 424, Rn. 6; Staudinger/Looschelders, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 424, Rn. 12.

ვადის გადაცილების სამართლებრივ შედეგებს განავრცობს ყველა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართაც.¹⁵

თუ კრედიტორი განახორციელებს შესრულების მიღების ვადის გადაცილების დამთავრებისათვის აუცილებელ მოქმედებას არა იმ მოვალის მიმართ რომლის მიმართაც მან განახორციელება შესრულების მიღების ვადის გადაცილება არამედ სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ, მაშინ ამგვარ ქმედებას მხოლოდ ამ მოვალესა და კრედიტორს შორის ექნება ძალა.¹⁶ აღნიშნული ნიშნავს რომ შესრულების მიღების ვადის გადაცილებით გამოწვეული შედეგები გაქრება მხოლოდ ამ სოლიდარული მოვალის მიმართ რომლის მიმართაც კრედიტორმა განახორციელა შესრულების მიღების ვადის გადაცილების დამთავრებისათვის აუცილებელ მოქმედება, სხვა დანარჩენ მოვალეთა მიმართებაში შესრულების მიღების ვადის გადაცილებით გამოწვეული შედეგები ძალაში დარჩება.¹⁷

მაგალითი: თუ კრედიტორმა განუცხადა სოლიდარულ მოვალე A რომ იგი შესრულებას არ მიიღებს, მაშინ A მიერ სიტვით გაცხადებული შესრულების შეთავაზების შემთხვევაში კრედიტორი შესრულების მიღების ვადას გადააცილებს A მიმართ. აღნიშნული შესრულების მიღების დაყოვნების შედეგი ვცელდება ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა B და C მიმართაც. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი გამოთქვამს B შესრულების მიღების მზადყოფნას, მაშინ შესრულების მიღების ვადის გადაცილება B მიმართ აღარ გვექნება სახეზე ხოლო A და C მიმართ ისევ ისევ სახეზე იქნება. თუ C მთლიანად შეასრულებს ვალდებულებას მაშინ შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები ყველას მიმართ გაქრება.

თუ ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შედეგები გამოიყენა და ვალდებულება დეპონირებით შეასრულა (434).

III. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნება

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები არაფერს ნიშნავს სხვა სოლიდარული მოვალისათვის (470 II). მას ძალა აქვს მხოლოდ კრედიტორსა და ამ კონკრეტულ მოვალეს შორის ურთიერთობაში. კრედიტორმა, თუ მას სურს შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები ასევე ყველა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ გამოიყენოს, მაშინ მან თავდაპირველად თითოეულ მოვალეს უნდა წარუდგინოს მოთხოვნა და მათი მხრიდან შესრულების ვადის გადაცილების შემდეგ უკვე შეეძლება თითოეულის მიმართ მოთხოვნის განხორციელება.¹⁸ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები იმ შემთხვევაში გავრცელდება ასევე ყველა დანარჩენი

15 შდრ. *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 424, Rn. 12.

16 *Looschelders*, in *Staudinger*, Neubearbeitung 2017 §424 Rn 13

17 *Looschelders*, in *Staudinger*, Neubearbeitung 2017 §424 Rn 13

18 *Schwedhelm*, *Das Gesamtschuldverhältnis*, 2003, S. 108, Rn. 121.

სოლიდარული მოვალის მიმართაც, როდესაც სოლიდარულ მოვალეთა შორის ორმხრივი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არსებობს.¹⁹ ამ შემთხვევაში საკმარისია ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნება, რომ მისი შედეგები ასევე ყველა სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართებაში გავრცელდეს.²⁰

IV. სამართლებრივი შედეგები

1. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შემთხვევაში

- 13 მოვალეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო მიადგა (391). კრედიტორის პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის შესრულების მიღების ვადის გადაცილებაში.²¹
- 14 კრედიტორმა რომელმაც გადააცილა შესრულების მიღების ვადას, უნდა აუნაზღაუროს იმ სოლიდარულ მოვალეს, რომლის მიმართაც მან გადააცილა ამ ვადას **ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები** (393 ა). ზედმეტი ხარჯია ყველა ის ხარჯი, რომელსაც მოვალე ნივთის შესანახად განეევს შესრულების მიღების გადაცილების მომენტიდან.²² ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ სოლიდარულ მოვალეს აქვს, რომელმაც განახორციელა მათი განევა.²³ გარდა ამისა, კრედიტორზე გადადის **ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკი** (393 ბ). ნივთის შემთხვევითი განადგურების, ანდა დაღუპვის შემთხვევაში სოლიდარული მოვალეები თავისუფლდებიან ვალდებულების შესრულებისაგან.²⁴ თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მათი განთავისუფლების საფუძველს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ქონების დაკარგვა წარმოადგენს.²⁵ თუ ეს სოლიდარული მოვალე შიდა ურთიერთობაში უკუ-მოთხოვნაზე იყო უფლებამოსილი, მაშინ ეს უარყოფითი შედეგები მარტო მან არ უნდა იტვირთოს. შესაბამისად, მოვალე უფლებამოსილია, სხვა სოლიდარულ მოვალეებს მოთხოვოს 473-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.²⁶
- 15 თუ სოლიდარული ვალდებულება **ფულად ვალდებულებაში** მდგომარეობდა, კრედიტორს არცერთი სოლიდარული მოვალის მიმართ აღარ აქვს ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე, პროცენტების მიღების უფლება (393).

19 იქვე.

20 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 425, Rn. 6.

21 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 391, გვ. 356.

22 *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 393, გვ. 359.

23 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 424, Rn. 15.

24 *Gehrlein*, in *Bamberger/Roth*, . BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 424, Rn. 1.

25 შდრ. *Bydlinski*, in *MüKo BGB*, 6. Aufl., 2012, § 424, Rn. 2.

26 *Völzmann-Stickelbrock*, in *Dauner-Lieb/Langen*, BGB Schuldrecht, Band 2, 3 Aufl., § 424, Rn. 3.

თითოეულ მოვალეთაგანი უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული და ფასიანი ქაღალდები შეიტანოს ნოტარიუსის ანგარიშზე და ვალდებულება ამგვარად შეასრულოს (434). თუ სოლიდარული მოვალე თავიდანვე უარს განაცხადებს დეპონირებული ქონების უკან დაბრუნებაზე, მაშინ სოლიდარული ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება (440 I). შესრულების შედეგი კანონის ძალით (*Ipso iure*) დადგება ასევე ყველა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართაც (467). თუ ამის შემდეგ კრედიტორის წარადგენს მოთხოვნას რომელიმე სოლიდარული მოვალის მიმართ რომელსაც არ განუხორციელებია ვალდებულების დეპონირებით შესრულება, მაშინ მას შეუძლია უარი განაცხადოს და მიუთითოს ვალდებულების შესრულებაზე.

16

2. ერთ-ერთი მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შემთხვევაში

ის სოლიდარული მოვალე, რომელმაც დაარღვია შესრულების განხორციელების ვადა, პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე აქედან წარმოშობილი ზიანისათვის (404). სხვა სოლიდარულ მოვალეებს პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის არ ეკისრებათ (468). იმ შემთხვევაში თუ შესრულების განხორციელების ვადას ყველა სოლიდარულმა მოვალემ გადააცილა, მაშინ თითოეული მათგანი სოლიდარულად აგებს პასუხს შესრულების ვადის გადაცილების გამო გამონვეული ერთი და იგივე ზიანისათვის.²⁷ თუ სოლიდარული ვალდებულება ფულადი თანხის გადახდაში მდგომარეობდა, მაშინ სოლიდარული მოვალე რომელიც შესრულების ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი (403 I). სხვა სოლიდარულ მოვალეებს ამგვარი პროცენტის გადახდის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებათ თუ ისინიც გადააცილებენ შესრულების ვადას.²⁸

17

27 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 425, Rn. 28; BGH NJW 2001, 365, 366.

28 *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, 2003 S108 Rn 121.

მუხლი 471. სოლიდარული მოვალის მემკვიდრეთა უფლებები

თუ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეული მათგანი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა თავთავისი სამკვიდრო წილის შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოთხოვნა განუყოფადია.

- I. ნორმის არსი და მიზანი1004
- II. გარდაცვალება არ განაპირობებს სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტას1004
- III. უფლებამონაცვლეობა სოლიდარულ ვალდებულებაში1005
- IV. მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა1005
 - 1. ერთი მემკვიდრის შემთხვევაში1005
 - 2. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში.....1005
- V. მემკვიდრეთა წილი სოლიდარულ ვალდებულებაში.....1007
- VI. სამართლებრივი შედეგები.....1007
- VII. საპროცესო საკითხები.....1008

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ნორმა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოლიდარული ვალდებულება მემკვიდრეობით გადაცემადია. იგი მემკვიდრეთა პასუხისმგებლობის საკითხს არეგულირებს სოლიდარული მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში. ნორმა განმარტავს, რომ თუ სოლიდარული მოვალეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეული მათგანი ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება თავისი სამკვიდრო წილის შესაბამისად. ამავდროულად ნორმის მეორე ნაწილის დანაწესი გამორიცხავს ამ წესის მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა განუყოფადია. ნორმა ბუნდოვნად არის ფორმულირებული. იგი არ იძლევა ნათელ პასუხს იმასთან დაკავშირებით, გარდაცვლილი სოლიდარული მოვალის მემკვიდრეები სოლიდარულ მოვალეებად გვევლინებიან და შესაბამისად ადგილი აქვს **სოლიდარულ მოვალეთა წრის გაფართოვებას**, თუ **სოლიდარული ვალდებულების ტრანსფორმაცია** ხდება **წილად ვალდებულება**დ.

II. გარდაცვალება არ განაპირობებს სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტას

2 გარკვეულ შემთხვევებში კანონმდებელი **მოვალის გარდაცვალებას** ვალდებულების შეწყვეტას უკავშირებს. კერძოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება გარდაცვლილი მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე (453 I). სოლიდარული ვალდებულების დროს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გარდაცვალება არ იწვევს სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტას (471). ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გარდაცვალების მიუხედავად, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი არ ხდება. სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე კრედიტორს შეუძლია თავისუფლად ამოირჩიოს ნებისმიერი მოვალე და

მას მოსთხოვოს მთლიანად ვალდებულების შესრულება (465). აღნიშნული უფლება კრედიტორს აქვს იმ მომენტამდე, ვიდრე მთლიანი ვალდებულების შესრულება არ დამდგარა (467). ამ არჩევანის უფლებაზე გავლენას ვერც ერთ-ერთი მოვალის გარდაცვალება მოახდენს.¹ კრედიტორი არ არის ვალდებული, ელოდოს გარდაცვლილი სოლიდარულ მოვალის უფლებამონაცვლეთა დადგენას. მას შეუძლია, დარჩენილ სოლიდარულ მოვალეთაგან საკუთარი სურვილისამებრ ამოარჩიოს მოვალე და მას მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება.

III. უფლებამონაცვლეობა სოლიდარულ ვალდებულებაში

იმისათვის, რომ გარდაცვლილი სოლიდარული მოვალის მემკვიდრეებს მამკვიდრებლის ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ, აუცილებელია, მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღება (1421). სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება, როდესაც მემკვიდრე სანოტარო ორგანოში შეიტანს განაცხადს სამკვიდროს მიღების თაობაზე ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს მართვასა და ფლობას (1421 II).

IV. მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა

1. ერთი მემკვიდრის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ სოლიდარულ მოვალეს ერთი მემკვიდრე ჰყავს, უფლებამონაცვლეობის საკითხი ადვილად გადაწყდება. ეს მემკვიდრე დაიკავებს სოლიდარულ ვალდებულებაში გარდაცვლილი სოლიდარული მოვალის ადგილს და ახალ სოლიდარულ მოვალედ მოგვევლინება იმ წილის ოდენობით, რა წილიც გარდაცვლილ სოლიდარულ მოვალეს გააჩნდა შიდა ურთიერთობაში.² მისი სოლიდარული პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მიღებული სამკვიდროს ფარგლებში.³ შესაძლებელია, მამკვიდრებლის საერთო ვალები აღემატებოდეს სამკვიდროს. ამ შემთხვევაში ბუნებრივია მემკვიდრეს ვერ დაეკისრება იმაზე მეტის გადახდა, რაც მას არ მიუღია. მემკვიდრემ უნდა ამტკიცოს, რომ მამკვიდრებლის ვალები აღემატება სამკვიდროს (1485).

2. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილი სოლიდარულ მოვალეს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, მაშინ ისინი დაიკავებენ სოლიდარულ ვალდებულებაში მამკვიდრებლის ადგილს და სოლიდარულ მოვალეებად მოგვევლინებიან. ნორმის რეგულირება, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მემკვიდრეები წილობრივად აგებდნენ პასუხს,⁴ თუმცა მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა სოლიდარულია. იმისთვის რომ

1 შდრRütten, Mehrheit von Gläubigern, 1989, S. 205 f.; Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 428, Rn. 23.

2 შდრ. ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 461, გვ. 578; ახვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი V, 2000, მუხ. 1484, გვ. 514;

3 ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, 1998. გვ. 91.

4 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 471, გვ. 594;

გაუგებრობები ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით თავიდან იქნეს აცილებული, ნორმის დანაწესი 1484-ე მუხლის შინაარსთან ერთად უნდა აიხსნას.⁵ ნორმის დანაწესის თანახმად, გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორის მოთხოვნა **მიღებული აქტივის ფარგლებში თავისი წილის პროცენტულად (1484 I).**⁶ იმ შემთხვევაში კი, როდესაც მამკვიდრებელი გადასული ვალდებით სოლიდარული მოვალე იყო, მაშინ თითოეულ მემკვიდრე პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე სოლიდარულად, ოღონდ იმ კუთვნილი სამკვიდრო წილის ფარგლებში, რაც ამ მემკვიდრეს ერგებოდა.⁷

6 მაგალითი: A, B და C სოლიდარულად იკისრეს D წინაშე 10000 ლარის გადახდის ვალდებულება. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ვადის დადგომამდე A გარდაიცვალა, რომელსაც დარჩა შვილები A1 და A2. A სამკვიდრო ქონება შეადგენდა 20000 ლარს. მემკვიდრეთა წილი საკვიდროში განისაზღვრა თანაბრად. შესაბამისად ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია როგორც A1 მოთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება ასევე A2 ოღონდ მათი კუთვნილი წილის 10000 ლარის ფარგლებში.

7 აღნიშნული რეგულირება კითხვებს ბადებს კრედიტორის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. ამოსავალ წერტილს ამ შემთხვევაში კრედიტორის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, რომლის თანახმადაც კრედიტორი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გარდაცვალების შედეგად იმაზე უარეს მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს, ვიდრე ის სოლიდარული მოვალის სიცოცხლის შემთხვევაში იქნებოდა.⁸ ნორმის ამგვარი დანაწესს კი სწორედ კრედიტორის ინტერესების საწინააღმდეგო შედეგამდე მივყავართ. თუ ზემოთ მოხმობილ მაგალითს დავუბრუნდებით, იმ შემთხვევაში A რომ ანდერძით განესაზღვრა A1 წილი მთლიანად მაშინ A2 პასუხისმგებლობა სავალდებულო წილის ოდენობის ფარგლებში სოლიდარულ პასუხისმგებლობამდე იქნებოდა დაყვანილი. იმის დაშვება, რომ სოლიდარული მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ტრანსფორმაცია ხდება წილად ვალდებულებად, გამოიწვევდა კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას, ვინაიდან მას დაეკისრებოდა თითოეული სოლიდარული მოვალის, მათ შორის მემკვიდრეთა შესაძლო გადახდისუუნარობის რისკი. ნორმის ამგვარი გაგებით კი ფაქტობრივად მსგავსი შედეგი მიიღწევა, ვინაიდან კრედიტორს არ შეუძლია ნებისმიერ მემკვიდრეს მოთხოვოს ვალდებულების შესრულება სამკვიდრო აქტივის ფარგლებში. მიმართა რომ ამ შემთხვევაში ნომის პირველი ნაწილის დანაწესი ტელეოლოგიურად უნდა განიმარტოს და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვალდებულების საგნის განუყოფლობის მსგავსად თითოეულ მემკვიდრეს მთლიანი სამკვიდროს ფარგლებში უნდა დაეკისროს. სხვაგვარი დაშვება კრედიტორს ჩააყენებს

5 იქვე.

6 ახვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი V, 2000, მუხ. 1484, გვ. 514.

7 ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, გვ. 96; ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, 1998, გვ. 90; შდრ. Bayer, in Ermann, BGB Komm 14. Aufl. §2058 Rn2ff

8 Ann, in MüKo BGB, 6. Aufl., § 2058, Rn. 5.

იმაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში ვიდრე იგი მოვალის გარდაცვალება-
მდე იმყოფებოდა.

3. მოთხოვნის განუყოფლობის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარულ ვალდებულებიდან გამომდინარე მე- 8
მკვიდრეებზე გადასული კრედიტორის მოთხოვნა მამკვიდრებლის მიმართ
განუყოფადია, მაშინ მემკვიდრეები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ
სოლიდარულად, მაგრამ არა მათი სამკვიდრო წილის ოდენობით, არამედ
თითოეულს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სამკვიდრო აქტივის ფა-
რგლებში. კრედიტორს შეუძლია ნებისმიერი მემკვიდრეთაგანი ამოირჩი-
ოს და მას მოთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება. თუ კრედი-
ტორი ერთ-ერთს მთლიანი ვალდებულების შესრულებას მოთხოვს, მაშინ
ამ უკანასკნელს არ შეუძლია, უარი განაცხადოს ვალდებულების შესრუ-
ლებაზე იმ მოტივით, რომ მას მთლიანი სამკვიდროდან მხოლოდ $\frac{1}{4}$ ეკუთ-
ვნოდა. სხვაგვარი რეგულირების დაშვება კრედიტორის მდგომარეობის
გაუარესებას გამოიწვევდა.

V. მემკვიდრეთა წილი სოლიდარულ ვალდებულებაში.

თითოეული მემკვიდრის წილი მოვალეთა შორის შიდა ურთიერთობაში 9
განისაზღვრება მემკვიდრეთა სამკვიდრო წილის შესაბამისად გარდაც-
ვლილი სოლიდარული მოვალის კუთვნილი წილის ფარგლებში. სამკვი-
დრო წილის ოდენობას განსაზღვრავს კანონი (1336), ანდა შესაძლოა ცალ-
კეული მემკვიდრისათვის მისი ოდენობა მამკვიდრებლის მიერ ანდერძით
(1348) იქნეს დადგენილი. შესაძლებელია ასევე თვითონ მემკვიდრეები
ურთიერთშეთანხმებით სამკვიდროს ისეთ განაწილებაზე შეთანხმდნენ,
რომელიც განსხვავებული იქნება კანონით ანდა ანდერძით განსაზღვრუ-
ლი წილისაგან.⁹

VI. სამართლებრივი შედეგები

ახალი მოვალეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელიც მამ- 10
კვიდრებელს სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე გააჩნდა.
თითოეული მემკვიდრეთაგანი უფლებამოსილია, კრედიტორს წარუდგი-
ნოს როგორც კუთვნილი ასევე ყველა სოლიდარული მოვალისათვის საე-
რთო შესაგებელი. თითოეული მათგანი უფლებამოსილია ასევე, იმ შესა-
გებელის წარდგენაზე, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა კრედიტორთან
მიმართებაში. ნებისმიერი მემკვიდრე რომელიც მიღებული აქტივის ფა-
რგლებში მთლიანად განახორციელებს კრედიტორის დაკმაყოფილებას,
უფლებამოსილია სხვა მემკვიდრეებს მოთხოვოს დაკმაყოფილება მათი
სამკვიდრო წილის შესაბამისად, თუ მემკვიდრეთა შორის შეთანხმებით
სხვა რამ არ არის დადგენილი.¹⁰

9 *შენგელია/შენგელია*, მემკვიდრეობითი სამართალი, 2007, გვ. 167.

10 *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, გვ. 96.

VII. საპროცესო საკითხები

- 11 თუ კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეს შორის მიმდინარე სამართლებრივი დავის განმავლობაში გარდაიცვლება მოვალე, მაშინ სასამართლო უფლებამონაცვლის დადგენამდე **შეაჩერებს საქმის წარმოებას** (სსკ 279 ა; 281 ა).¹¹ მემკვიდრეები, როგორც მოპასუხის უფლებამონაცვლები, მოსარჩელის ანდა მისი უფლებამონაცვლის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან ჩაერთონ პროცესში.¹²

11 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 488.

12 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა 2007 გვ. 493, 494.

მუხლი 472. კრედიტორის მოთხოვნის გაერთიანება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან

თუ კრედიტორის მოთხოვნა ერთიანდება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან, მაშინ დანარჩენ მოვალეთა მიმართ ვალდებულება წყდება იმ ოდენობით, რაც ამ მოვალის წილზე მოდიოდა.

- I. ნორმის არსი და მიზანი1009
- II. მოკლე ისტორიული ექსკურსი1009
- III. კონფუზია1010
 - 1. სახეები1010
 - 2. კრედიტორის მოთხოვნის ოდენობა1010
 - 3. მოვალეთა პასუხისმგებლობა.....1011
- IV. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გაერთიანება სხვა მოვალის ვალთან1011
- V. სამართლებრივი შედეგები.....1012
- VI. საპროცესოსამართლებრივი საკითხები1012

I. ნორმის არსი და მიზანი

კრედიტორისა და მოვალის პიროვნების გაერთიანება, ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია (452). მუხლი სპეციალურ რეგულირებას ადგენს იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისა და კრედიტორის **კონფუზია** დგება. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა ერთიანდება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან, დანარჩენ მოვალეთა მიმართ ვალდებულება წყდება იმ ოდენობით, რაც ამ სოლიდარულ მოვალეს ეკუთვნოდა შიდა ურთიერთობაში. ნორმა არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, კრედიტორი მოვალეთა მიმართ მოთხოვნაზე სოლიდარულად რჩება უფლებამოსილი, თუ თითოეულს მხოლოდ კუთვნილი წილის შესაბამისად შეუძლია შესრულება მოთხოვნის. 1

II. მოკლე ისტორიული ექსკურსი

კონფუზია სოლიდარულ მოვალეთა და კრედიტორს შორის ჯერ კიდევ **რომის სამართლის** წყაროებიდან იყო ცნობილი. ჯერ კიდევ რომის სამართლის წყაროებში არაერთხელ მოხსენიებულია, რომ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის ნარმოშობილი კონფუზია მხოლოდ ამ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობაში მოქმედებდა.¹ თუ კრედიტორი ერთ-ერთ მოვალეს დაუტოვებდა ქონებას ანდა პირიქით, მაშინ ამას სხვა სოლიდარულ მოვალეთა მდგომარეობაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა და ისინი არ უნდა გათავისუფლებულიყვნენ კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.² ეს 2

1 Meier, in Schmoeckel/Rückert/Zimmermann,, HKK zum BGB, BD II, Teilband II, § 420-432I, S. 2447 f., Rn. 67.
 2 იქვე

რეგულირება იმითი აიხსნებოდა, რომ სხვა ალტერნატივის დაშვება, ანუ კონფუზიის შემთხვევაში სხვა ყველა სოლიდარულ მოვალეთა განთავისუფლება ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან, კრედიტორს წაართმევდა უფლებას, ამოერჩია სოლიდარული მოვალე და მისგან მოეთხოვა ვალდებულების შესრულება.³ ერთმნიშვნელოვნად არსებობდა თანხმობა ასევე იმის შესახებაც, რომ იმ სოლიდარულ მოვალეს რომელმაც დაიკავა კრედიტორის ადგილი, არ შეეძლო მთლიანი ვალდებულების მოთხოვნა, არამედ უნდა გამოეკლო ის წილი, რომელიც მას გააჩნდა.⁴

III. კონფუზია

1. სახეები

- 3 სოლიდარულ ვალდებულებაში კონფუზია დგება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა ამ მოვალეზე, ანდა მისი ვალი კრედიტორზე გადადის.⁵ კრედიტორისა და მოვალის **პიროვნებათა გაერთიანება** შესაძლებელია მემკვიდრეობით განხორციელდეს. მაგ. თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე მემკვიდრედ დაასახელებს კრედიტორს ანდა პირიქით.⁶ ასევე შესაძლებელია ერთ-ერთი მოვალის ვალი თავის თავზე აიღოს კრედიტორმა, ანდა თავისი მოთხოვნა გადასცეს მოვალეს.⁷ თუ სოლიდარულ მოვალეებად და კრედიტორებად იურიდიული პირები გვევლინებიან, მაშინ კონფუზია იმ შემთხვევაში გვექნება სახეზე, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე და კრედიტორი შეერწყმებიან ერთმანეთს.⁸ კონფუზიისათვის არ არის საკმარისი, თუ მონაწილე იურიდიული პირები ერთი და იგივე საზოგადოების შვილობილ საზოგადოებებს წარმოადგენენ.⁹

2. კრედიტორის მოთხოვნის ოდენობა

- 4 იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც კრედიტორი გახდა, თუ სურს სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ მოთხოვნის განხორციელება, მაშინ მან საერთო მოთხოვნას უნდა გამოაკლოს კუთვნილი წილი და ისე განახორციელოს მოთხოვნა. მას არა აქვს მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება (472). აღნიშნული რეგულირება ლოგიკურია, ვინაიდან სხვაგვარი რეგულირების დაშვების შემთხვევაში ეს კრედიტორად ქცეული სოლიდარული მოვალე **უსაფუძვლოდ გამდიდრდებოდა** იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მას გააჩნდა წილი შიდა ურთიერთობაში.
- 5 ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, კრედიტორად ქცეული სოლიდარული მოვალე კონფუზიის მიუხედავად მთლიანი შესრულების მოთხო-

3 იქვე

4 იქვე

5 Staudinger/Olzen., BGB Neubearbeitung 2011, Buch II, Einleitung zu § 362 ff, Rn. 26.

6 Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 425, Rn. 13.

7 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 563.

8 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 564.

9 Staudinger/Olzen., BGB Neubearbeitung 2011, Buch II, Einleitung zu § 362 ff, Rn. 26.

ვნაზე დარჩეს უფლებამოსილი. აღნიშნული იმ შემთხვევაში გვექნება სახეზე, როდესაც კონფუზია იმ სოლიდარული მოვალის პიროვნებაში განხორციელდება, რომლის წილიც შიდა ურთიერთობაში ნულის ტოლია.

3. მოვალეთა პასუხისმგებლობა

დარჩენილ მოვალეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამგვარი კონფუზიის შემთხვევაში დარჩენილი სოლიდარული მოვალეები კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ არა **სოლიდარულად**, არამედ მათი **კუთვნილი წილის შესაბამისად (Pro Rata)**.¹⁰ აღნიშნული მოსაზრების მომხრეებს მთავარ არგუმენტად სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუუნარობის რისკის თანაბარი გადანაწილება მოჰყავთ, რომელიც ახალ კრედიტორსაც უნდა დაეკისროს.¹¹ ამ მოსაზრების მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ უკუმოთხოვნაზე ვალდებული ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გადახდისუუნარობის რისკი კონფუზიის შედეგად კრედიტორად ქცეულ სოლიდარულ მოვალესაც უნდა დაეკისროს.¹² აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ ლიტერატურაში გავრცელებული სხვა მოსაზრება მიიჩნევს, რომ კრედიტორად ქცეული სოლიდარული მოვალე სხვა სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუუნარობის რისკს იმ შემთხვევაშიც ატარებს, როდესაც იგი კონფუზიის მიუხედავად შესრულებაზე **სოლიდარულად უფლებამოსილი** რჩება.¹³ პირველი მოსაზრება უფრო სარწმუნოა, შესაბამისად ნორმის განმარტებისას იმ გარემოებიდან უნდა ამოვიდეთ, რომ კონფუზიის მიუხედავად კრედიტორად ქცეული სოლიდარული მოვალე მხოლოდ წილობრივი შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი.¹⁴ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გადახდისუუნარობის რისკი კრედიტორად ქცეულმა „მოვალემაც“ უნდა ატაროს და იგი მხოლოდ დარჩენილ სოლიდარულ მოვალეებს არ უნდა დააწვეთ კისერზე.¹⁵

IV. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გაერთიანება სხვა მოვალის ვალთან

მუხლის რეგულირება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სხვადასხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებანი კრედიტორის წინაშე ერთი სოლიდარული მოვალის პიროვნებაში ერთიანდება. აღნიშნული გაერთიანება სოლიდარულ ვალდებულებაში მხოლოდ მონაწილე

10 შდრ. *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm, 14. Aufl., § 425, Rn. 13; *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, § 425, Rn. 22; *Müller*, in *Prütting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 5. Aufl., § 425, Rn. 8.

11 *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, § 425, Rn. 22.

12 *Looschelders*, in *Staudinger*, Neubearbeitung 2017 §425 Rn 67ff

13 *Rüßmann*, Rechtskraft, Konfusion und Gesamtschuldausgleich, Jus 1988, S. 187.

14 *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm, 14. Aufl., §425, Rn. 13, *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017 §425 Rn 69

15 შდრ. *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl., 2019, § 425, Rn. 22. *Rüßmann*, Rechtskraft, Konfusion und Gesamtschuldausgleich, Jus 1988, S. 187; *Reinicke/Tiedtke*, Gesamtschuld und Schuldsicherung, 2. Aufl., S. 48.

სოლიდარულ მოვალეთა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს.¹⁶ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ამგვარმა შემცირებამ **სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტაც** გამოიწვიოს. კერძოდ აღნიშნული სახეზე გვექნება მაშინ, როდესაც სოლიდარულ ვალდებულებაში მხოლოდ ორი მოვალე მონაწილეობს. ვინაიდან სოლიდარული ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ ორი მოვალის არსებობა (იხ. 463-ე მუხლის კომენტ. ველი 4), მოვალეთა ამგვარი „კონფუზია“ ავტომატურად გამოიწვევს სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტას. თუ ამგვარი სოლიდარული მოვალე, რომელმაც შეიძინა სხვა სოლიდარული მოვალის წილი შეასრულებს ვალდებულებას, იგი იძენს სხვა სოლიდარული მოვალისაგან უკუმოთხოვნის უფლებას, თუმცა იგი ვალდებულია, საერთო მოთხოვნას კუთვნილ წილთან ერთად გამოაკლოს ასევე ის წილი, რაც მან დამატებით შეიძინა.¹⁷ კონფუზიისაგან განსხვავებით კრედიტორის მოთხოვნის უფლებაზე მოვალეთა ამგვარი გაერთიანება გავლენას ვერ მოახდენს. კრედიტორი უფლებამოსილი დარჩება მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე.

V. სამართლებრივი შედეგები

- 8 ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისა და კრედიტორის ვალის გაერთიანების შედეგად წყდება მათ შორის არსებული კონკრეტული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, ვინაიდან არავინ არ შეიძლება ერთდროულად საკუთარი თავის მოვალეცა და კრედიტორიც იყოს.¹⁸ გამომდინარე იქიდან, რომ სოლიდარული ვალდებულება რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისაგან შედგება სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებაზე იგი გავლენას ვერ მოახდენს. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, კონფუზიამ **მთლიანი ვალდებულების შეწყვეტაც** გამოიწვიოს. კერძოდ აღნიშნული მაშინ გვექნება სახეზე, როდესაც ის სოლიდარული მოვალე, რომელთა მიმართებაშიც განხორციელდება კონფუზია, შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე მთლიანი ვალდებულების შესრულებაზეა ვალდებული. აღნიშნულის შედეგად სხვა სოლიდარული მოვალეები როგორც შიდა, ასევე გარე ურთიერთობაში ავტომატურად განთავისუფლებიან ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.

VI. საპროცესოსამართლებრივი საკითხები

- 9 იმ შემთხვევაში, თუ ერთი-ერთი სოლიდარული მოვალისა და კრედიტორის კონფუზია მათ შორის მიმდინარე სასამართლო პროცესის განმავლობაში მოხდება, მაშინ აღნიშნული გამოიწვევს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტას.¹⁹

16 Staudinger/Olzen., BGB Neubearbeitung 2011, Buch II, Einleitung zu § 362 ff, Rn. 26.

17 შდრ. Staudinger/Olzen., BGB Neubearbeitung 2011, Buch II, Einleitung zu § 362 ff, Rn. 26; Rüßmann, Rechtskraft, Konfusion und Gesamtschuldausgleich, Jus 1988, S. 182.

18 Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl., § 425, Rn. 13.

19 *ლილუაშვილი/ზრუსტალი*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, 2007, გვ. 481.

მუხლი 473. უკუმოთხოვნის უფლება ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებისას

1. მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით.

- I. ნორმის არსი და მიზანი1013
- II. უკუმოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობები.....1014
 - 1. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება1014
 - 2. მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება.....1015
 - 3. მოვალის მიერ სხვა შესრულების განხორციელება1015
- III. უკუმოთხოვნის უფლების შინაარსი.....1016
- IV. უკუმოთხოვნის უფლების მოცულობა1016
 - 1. წილთა თანაბრობის ვარაუდი.....1016
 - 2. სხვაგვარი რეგულირება1017
 - ა. სახელშეკრულებო შეთანხმება.....1017
 - ბ. კანონი.....1017
- V. მოთხოვნის უფლების გადასვლა1017
- VI. სამართლებრივი შედეგები.....1019
- VII. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და შეზღუდვა.....1020
- VIII. საპროცესოსამართლებრივი საკითხები1021

I. ნორმის არსი და მიზანი

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შემდეგ სოლიდარული ვალდებულება წყდება და თვითონ მოვალეთა შორის იწყება ურთიერთობის გარკვევა. ნორმა სწორედ სოლიდარულ მოვალეთა შიდა ურთიერთობას არეგულირებს და მათ შორის ვალდებულების შესრულების ტვირთის სამართლიან განაწილებას უზრუნველყოფს.¹ მოვალის არჩევისას კრედიტორს არ ეკისრება შიდა ურთიერთობაში არსებული მოვალის კუთვნილი წილის მხედველობაში მიღება (იხ. 465-ე მუხლის კომენტ. ველი 7). შიდა ურთიერთობაში დადგენილი წილის მიუხედავად კრედიტორი თითოეული სოლიდარული მოვალისაგან მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი.² მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება კრედიტორის სწორედ იმ ძლიერი სამართლებრივი პოზიციის დაბალანსებას ემსახურება, რომელიც მას მოთხოვნის ადრესატად ნების-

1

1 Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., § 426, Rn. 1.
 2 Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., § 426, Rn. 1.

მიერი მოვალის არჩევის უფლებას გულისხმობს (463, 465).³ აღნიშნული რეგულირებით კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კრედიტორის მხრიდან მოვალის თავისუფლად არჩევის უფლებამოსილება არ ნიშნავს კრედიტორის მხრიდან **შესრულებაზე საბოლოოდ ვალდებული პირის** განსაზღვრის უფლებამოსილებას. მოვალე რომელიც შეასრულებს სოლიდარულ ვალდებულებას იძენს უკუმოთხოვნის უფლებას სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუ კანონით ან მოვალეთა შეთანხმებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული რეგულირებით ნორმა თავიდან გვაცილებს იმ უსამართლო შედეგებს, რომელსაც შესრულების მთლიანი ტვირთის საბოლოოდ იმ სოლიდარული მოვალისათვის დაკისრება გამოიწვევდა, რომელსაც კრედიტორმა მთლიანად მოთხოვა ვალდებულების შესრულება.⁴ კრედიტორის მიერ მოვალის არჩევა, გავლენას ვერ მოახდენს შიდა ურთიერთობით დადგენილი შესრულების ტვირთის განაწილებაზე. კრედიტორი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, ამ უკანასკნელს მხოლოდ 473-ე მუხლიდან გამომდინარე **რეგრესული ანაზღაურების რისკს** დააკისრებს. ნორმა უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების ტვირთის საბოლოოდ სწორედ იმ სოლიდარული მოვალის/მოვალეთათვის დაკისრებას, რომელიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე მის შესრულებაზეა ვალდებული.⁵

- 2 მუხლის მეორე ნაწილი შიდა ურთიერთობაში თანაბარი **წილობრივი პასუხისმგებლობის კანონისმიერ ვარაუდს** შეიცავს, რომელიც მხოლოდ დამატებითი წესია და იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის დადგენა შეუძლებელია.

II. უკუმოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობები

1. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება

- 3 უკუმოთხოვნის უფლება დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებაა.⁶ სანამ კრედიტორი რომელიმე სოლიდარული მოვალისაგან არ მიიღებს შესრულებას, მანამდე არც უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების საფუძველი არსებობს.⁷ უკუმოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია იმ მომენტიდან, როდესაც ერთ-ერთი მოვალე მთლიანად ანდა ნაწილობრივ დააკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას. 473-ე მუხლიდან გამომდინარე უკუმოთხოვნის უფლებას მოვალე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ შეიძენს მხოლოდ მაშინ, როცა იგი შიდა ურთიერთობით დადგენილ კუთვნილ წილზე მეტი ოდენობით განახორციელებს ვალდებულების შეს-

3 Gehrlein, in Bamberger/Roth, , BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 426, Rn. 1.

4 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 1.

5 Völmann-Stickelbrock, in Dauner-Lieb/Langen, BGB Schuldrecht, Band 2, 3. Aufl., § 426, Rn. 1.

6 Schulze, in Schulze, BGB HK, 10. Aufl., § 426, Rn. 3.

7 Böttcher, in Ermann, BGB Komm, 14. Aufl., § 426, Rn. 12.

რულებას.⁸ იგივე შეიძლება ითქვას შესრულების **ე. ნ. სუროგატზეც**, იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ კუთვნილ წილზე ნაკლები ოდენობით განახორციელა ვალდებულების შესრულება, იგი უკუმოთხოვნის უფლებას ვერ შეიძენს.⁹

2. მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება

473-ე მუხლიდან გამომდინარე უკუმოთხოვნის უფლებას სოლიდარული მოვალე შეიძენს მაშინაც, როდესაც იგი ვალდებულებას **ნაწილობრივ ასრულებს** და კრედიტორიც იღებს ამ შესრულებას. თუკი კრედიტორი უარს არ განაცხადებს ამგვარ შესრულებაზე, ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდება (378). თუ ნაწილობრივი შესრულება სოლიდარული მოვალის კუთვნილ წილს აღემატება, უკუმოთხოვნის უფლება წარმოშობილად უნდა ჩაითვალოს ნაწილობრივი შესრულების დროსაც.¹⁰ უკუმოთხოვნის უფლების წარმოშობა კრედიტორის მთლიან დაკმაყოფილებამდე სხვა სოლიდარული მოვალეების ინტერესების დარღვევას არ გულისხმობს, ვინაიდან თითოეული სოლიდარული მოვალე ისედაც მთლიანი ვალდებულების შესრულებაზეა პასუხისმგებელი.¹¹

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, გამონაკლისის სახით უკუმოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაშიც წარმოიშვას, როდესაც მოვალე შიდა ურთიერთობით დადგენილ წილზე ნაკლები ოდენობით ასრულებს ვალდებულებას. აღნიშნული შემთხვევა მაშინ გვექნება სახეზე, თუკი მხარეები თავიდანვე შეთანხმდებიან, რომ ვალდებულების შესრულება გარკვეული პერიოდულობით — რამდენიმე ნაწილად განხორციელდება.¹² საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ **ნაწილ-ნაწილ შესრულებით** გამონვეული უპირატესობით ყველა სოლიდარული მოვალე თანაბრად სარგებლობს. ამდენად სოლიდარული მოვალე ვალდებულების ნაწილის მთლიანად შესრულების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესრულება შიდა ურთიერთობაში არსებული მისი კუთვნილი წილის ტოლია, უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილად უნდა მივიჩნიოთ.¹³

3. მოვალის მიერ სხვა შესრულების განხორციელება

თუ ერთ-ერთი მოვალე **ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულებას** განახორციელებს და კრედიტორიც მიიღებს ამ შესრულებას, მაშინ ვალდებულება შეწყვეტილად ჩაითვლება. ის სოლიდარული მოვალე, რომელმაც განახორციელა ვალდებულებით გათვა-

8 შდრ. *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, S. 127, Rn. 141; *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 37.

9 შდრ. *Grüneberg*, in *Palandt*, BGB Komm., 73 Aufl., § 426, Rn. 6; *Larenz*, Lehrbuch des Schuldrechts, Band I Allgemeiner Teil, 14. Aufl., § 37 I, S. 647.

10 *Gehrlein*, in *Bamberger/Roth*, BGB Komm., 3. Aufl., Band 1, § 426, Rn. 4.

11 *Looschelders*, in *Staudinger*, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 34.

12 *Bydlinski*, in *MüKo BGB* 6. Aufl., § 426, Rn. 23.

13 *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 37.

ლისწინებულის ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება, იძენს სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ უკუმოთხოვნის უფლებას მაგრამ არა ნაკისრი, არამედ ფაქტობრივად განხორციელებული ვალდებულების მოცულობით.¹⁴ ამასთან, უკუმოთხოვნაზე ვალდებულ პირს არ შეიძლება იმაზე მეტი დაეკისროს გადასახდელად, რაც მას ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების განხორციელების შემთხვევაში დაეკისრებოდა.¹⁵

III. უკუმოთხოვნის უფლების შინაარსი

- 7 უკუმოთხოვნის უფლება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ განხორციელებული შესრულების ღირებულების ანაზღაურებას გულისხმობს, იმ სოლიდარულ მოვალეთა მიერ, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ კრედიტორის დაკმაყოფილებაში.¹⁶ თუ სოლიდარული ვალდებულება ფულადი სახით არსებობდა მაშინ, უკუმოთხოვნის უფლების განხორციელება პრობლემას არ წარმოიქმნის.¹⁷ 473-ე მუხლიდან გამომდინარე შესრულებაზე ვალდებული თითოეული სოლიდარული მოვალე ვალდებულია, შიდა ურთიერთობაში არსებული კუთვნილი წილის შესაბამისი თანხის გადახდა განახორციელოს. თუ ვალდებულების საგანი განუყოფადია მაშინ უკუმოთხოვნის უფლება მისი ღირებულების ანაზღაურებას გულისხმობს ფულადი სახით.¹⁸ ზოგიერთ შემთხვევაში უკუმოთხოვნის უფლების განხორციელება შესაძლებელია ასევე ნატურით ანაზღაურებითაც მოხდეს.¹⁹

IV. უკუმოთხოვნის უფლების მოცულობა

1. წილთა თანაბრობის ვარაუდი

- 8 უკუმოთხოვნის უფლება შესაძლოა, შესრულების კონკრეტული ნაწილის, ანდა მისი მთლიანი ოდენობის ანაზღაურებაზე იყოს მიმართული.²⁰ ორივე შემთხვევაში მოვალეები კონკრეტული ოდენობით არიან მის შესრულებაზე ვალდებულნი. ეს ოდენობა თითოეული მოვალისათვის შიდა ურთიერთობაში მიღწეული შეთანხმებიდან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს. ზოგიერთ შემთხვევაში, არც მოვალეთა შეთანხმება და არც კანონი არ იძლევა შიდა ურთიერთობაში წილის ოდენობის ზუსტად დადგენის შესაძლებლობას. 473-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ამ შემთხვევაში წილთა თანაბრობისა და, შესაბამისად, თანაბარი წილობრივი პასუხისმგებლობის ვარაუდს აწესებენ. ეს რეგულირებანი დისპოზიციური ხასიათისაა და მხოლოდ დამხმარე წესებია, რომელნიც წილთა თანაბრობის კანონისმიერ ვარაუდს შეიცავენ. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებიან, თუ „ხელშეკ-

14 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 47.

15 იქვე.

16 *Gebauer*, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 16.

17 *Schwedhelm*, Das Gesamtschuldverhältnis, S. 129, Rn. 145.

18 *Gebauer*, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 16.

19 *Looschelders*, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 41.

20 *Grüneberg*, in Palandt BGB Kommentar, 73 Aufl., § 426, Rn. 8.

რულებით ანდა კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.“ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სოლიდარულ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის დადგენა, ისინი პასუხს აგებენ თანაბარი წილით.

2. სხვაგვარი რეგულირება

ა. სახელშეკრულებო შეთანხმება

მოვალეთა შორის სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად შესაძლებელია, მხარეებმა ერთმანეთში პასუხისმგებლობის მოცულობა სულ სხვანაირი ოდენობით გადაანაწილონ, ვიდრე ამას წილთა თანაბრობის კანონისმიერი ვარაუდი ითვალისწინებს. ამგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მას უპირატესობა ენიჭება წილთა თანაბრობის კანონისმიერი ვარაუდთან შედარებით. აღნიშნული შეთანხმებით შესაძლოა როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული წილებისა და პასუხისმგებლობის მოცულობა დადგინდეს, ასევე ცალკეული სოლიდარული მოვალენი სრულად განთავისუფლდნენ შიდა ურთიერთობაში ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან.²¹ აღნიშნული გადაწესებების შესახებ სოლიდარულ მოვალეებს შეუძლიათ როგორც ნათლად ასევე კონკლუდენტურად შეთანხმდნენ.²² სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობა სწორედ მას ენიჭება.

ბ. კანონი

წილთა თანაბრობის კანონით დადგენილ ვარაუდისაგან განსხვავებული რეგულირება შესაძლებელია ასევე კანონიდანაც გამომდინარეობდეს. ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი კანონის საფუძველზე პირდაპირ ადგენს შიდა ურთიერთობაში წილთა განაწილებას. ამის ნათელ მაგალითად 905-ე მუხლი გამოდგება, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული თავდებობის შემთხვევაშიც გამოიყენება (895). ამ შემთხვევაში ორივე, მოვალეცა და თავდებიც, სოლიდარულ მოვალეებად გვევლინებიან. კანონის რეგულირების საფუძველზე ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წილი ვალდებულების შესრულებაში შიდა ურთიერთობით 100% ტოლია, ხოლო რაც შეეხება მეორე სოლიდარულ მოვალეს, მისი წილი კი ნულს უდრის. კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ 905-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების გადასვლა თავდებზე უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების მიზნით ხდება.

V. მოთხოვნის უფლების გადასვლა

კანონი არაფერს ამბობს იმის შესახებ, განაპირობებს თუ არა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ კრედიტორის **მოთხოვნის შეწყვეტას**. იგი მხოლოდ ამ შესრულების სამართლებრივ შედეგებს განავრცობს

21 Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., § 426, Rn. 6.

22 Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 6.

ასევე სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ და მათაც ათავისუფლებს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან (467). კრედიტორს აღარ აქვს სხვა მოვალეთა მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლება. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს ამავდროულად სხვა სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულების შესრულებასაც.²³ სოლიდარული მოვალე, რომელიც ვალდებულებას ასრულებს კრედიტორის წინაშე, მხოლოდ საკუთარ ვალდებულებას ასრულებს. მან შეიძლება საერთოდ არც კი იცოდეს სხვა სოლიდარული მოვალის არსებობის შესახებ.²⁴ შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება არ იწვევს სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ არსებული კრედიტორის მოთხოვნის შეწყვეტას.

- 12 გერმანული სამართლის მსგავსად ქართულ სამართალშიც გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იმ სოლიდარულ მოვალეზე, რომელმაც განახორციელა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, გადადის სხვა მოვალეთა მიმართ არსებული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი.²⁵ გამომდინარე იქიდან, რომ უზრუნველყოფის საშუალებათა უმეტესობა აქცესორული ხასიათისაა, გამორიცხულია მოთხოვნის უფლების გადასვლის გარეშე მათი დამოუკიდებლად გადასვლა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება არ იწვევს სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ არსებული კრედიტორის მოთხოვნის შეწყვეტას. აღნიშნული მოთხოვნები უკუმოთხოვნის განხორციელების მიზნით გადავლენ იმ სოლიდარულ მოვალეზე რომელმაც განახორციელა კრედიტორის დაკმაყოფილება.²⁶ შესაბამისად, ის სოლიდარული მოვალე, რომელმაც მთლიანად განახორციელა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება 473-ე მუხლთან ერთად ასევე გადასული მოთხოვნის საფუძველზე უფლებამოსილად უნდა მივიჩნიოთ, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.²⁷ ამგვარი მეორე მოთხოვნის დაშვებას მოთხოვნათა არასაჭირო გაორმაგებამდე არ მივყავართ. მოთხოვნის უფლების გადასვლა უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება.²⁸ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა უზრუნველყოფის იმ აქცესორულ საშუალებათა გადასვლაში მდგომარეობს, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა მიმართ.²⁹ ამგვარი რეგულირება ლოგიკური და სამართლიანია, 474-ე მუხლთან ერთად ზრდის უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების შანსებს და მინიმუმამდე დაჰყავს ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გადახდისუვნა-

23 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 422, Rn. 5.

24 აღნიშნულის ნათელი მაგალითია 896-ე მუხლი.

25 ზომიკ, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 473, გვ. 598

26 Looschelders/Looschelders, Schuldrecht AT 16. Aufl. 2018 §54 Rn28.

27 Reinicke/Tiedtke, Gesamtschuld und Schuldsicherung, 2. Aufl., S. 74.

28 შდრ. Grüneberg, in Palandt, BGB Komm., 73. Aufl., § 426, Rn. 16; Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, § 426, Rn. 48.

29 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 136; Müller, in Prütting/Wegen/Weinreich BGB Kommentar, 5. Aufl., § 426, Rn. 21.

რობის შემთხვევაში შესაძლებელია უკუმოთხოვნის უფლების განხორციელებას დაემუქროს.

მოთხოვნის უფლების გადასვლისათვის მთავარია, მოვალემ კუთვნილ ნილზე მეტი ოდენობით განახორციელოს ვალდებულების შესრულება. მოთხოვნის გადასვლას გამოიწვევს ასევე შესრულების **ე. ნ. სუროგატიზმი**. მოთხოვნის უფლების გადასვლა აქცესორულადაა დამოკიდებული უკუმოთხოვნის უფლების არსებობაზე.³⁰ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ მისი მოთხოვნები სხვა სოლიდარული მოვალეთა მიმართ შემსრულებელ მოვალეზე გადადის იმ მოცულობით რა ოდენობითაც შემსრულებელ მოვალეს 473-ე მუხლიდან გამომდინარე გააჩნია უკუმოთხოვნის უფლება.³¹ ამასთან მოთხოვნის უფლების გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სოლიდარულ მოვალეს რომელმაც შეასრულა ვალდებულება უკუმოთხოვნის უფლების განხორციელება შეუძლია, რომ მოითხოვოს.³² თუ რამდენიმე სოლიდარული მოვალეა უკუმოთხოვნაზე ვალდებული, მაშინ გადასული მოთხოვნა რამდენიმე წილად მოთხოვნად დაიყოფა.³³ აღნიშნული სირთულეებს წარმოშობს იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების საგანი განუყოფადია. თუ ამ შემთხვევაში მოთხოვნის უფლების გადასვლას გამოვრიცხავდით, მაშინ იგი გამორიცხავდა ვალდებულების საგნის განუყოფლობის დროს იმ უპირატესობებით სარგებლობას, რასაც აქცესორულ საშუალებათა გადასვლა გულისხმობს.³⁴ ამ შემთხვევაში მოთხოვნის შინაარსი იცვლება და იგი მხოლოდ ფულად თანხაში უნდა განხორციელდეს.³⁵ არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებათა შემთხვევაში, რომლებიც ავტომატურად არ გადავლენ შემსრულებელ სოლიდარულ მოვალეზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრედიტორს წარმოეშობა ვალდებულება ამგვარი საშუალებათა გადაცემის თაობაზე.

13

VI. სამართლებრივი შედეგები

სოლიდარული მოვალეები 473-ე მუხლიდან გამომდინარე უკუმოთხოვნის უფლებაზე პასუხს აგებენ არა როგორც სოლიდარული მოვალეები, არამედ მხოლოდ შიდა ურთიერთობით დადგენილი კუთვნილი წილის ფარგლებში (**Pro Rata**).³⁶ კრედიტორის პრივილიგირებული მდგომარეობა არ გადადის იმ სოლიდარულ მოვალეზე, რომელმაც მთლიანად დააკმაყოფილა კრედიტორის მოთხოვნა. უკუმოთხოვნის ადრესატი მოვალეები **წილობრივ მოვალეებს** წარმოადგენენ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელმაც მთლიანად შეასრულა ვალდებულება კრედიტორის წინაშე. შესაბამისად უკუმოთხოვნის უფლება არა სოლიდარული არამედ **წილადი მოთხოვნაა**, რომელიც უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილ სოლიდარულ

14

30 *Heinemeyer*, in *MüKo BGB*, 8. Aufl. 2019 §426 Rn 14.

31 *Schwedhelm*, *Das Gesamtschuldverhältnis*, S. 168 f., Rn. 198.

32 *Looschelders*, in *Staudinger*, *BGB Neubearbeitung 2017*, Buch II, § 426, Rn. 136.

33 შდრ. *Gebauer*, in *Sorgel*, *BGB Kommentar, Schuldrecht 3/3*, 13. Aufl., § 426, Rn. 50; *Böttcher*, in *Ermann*, *BGB Komm.*, 14. Aufl., § 426, Rn. 47.

34 *Looschelders*, in *Staudinger*, *BGB Neubearbeitung 2017*, Buch II, § 426, Rn. 137.

35 *Böttcher*, in *Ermann*, *BGB Komm.*, 14. Aufl., § 426, Rn. 27.

36 *Gehrlein*, in *Bamberger/Roth/Rohe*, *BGB Komm.*, 2. Aufl., § 426, Rn. 4.

მოვალეს თითოეული მოვალის მიმართ კუთვნილი წილის ოდენობით გააჩნია. ერთ-ერთი მოვალის მიერ კუთვნილი წილის ფარგლებში ვალდებულების შესრულება, ათავისუფლებს მას შესრულების ტვირთისაგან იმისდა მიუხედავად, სხვა მოვალეებმა შეასრულეს თუ არა ვალდებულება.

VII. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და შეზღუდვა

- 15 სოლიდარულ ვალდებულებაში შესაძლებელია ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც ერთ-ერთ სოლიდარული მოვალე კანონის ანდა სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პრივილეგიით სარგებლობდეს, მაშინ როდესაც სხვა სოლიდარულ მოვალეებს აღნიშნულის უფლება არა აქვთ (*Gestörte Gesamtschuld*).³⁷
- 16 მაგალითი: კოლეგები A და B სამსახურში ერთად სიარულის მიზნით შეამხანაგდნენ და გააფორმეს ხელშეკრულება რომლის თანამხადაც A ყოველ დღე B უნდა წაეყვანა სახლიდან სამსახურში. A და B ხელშეკრულებით შეთანხმდნენ რომ შესაძლო ავარიის შემთხვევაში A თავისუფლდებოდა B წინაშე პასუხისმგებლობისაგან. ერთ დღესაც A და C დაუდევრობის შედეგად მოხდა ავარია რომელშიც B მიმედ დაშავდა.
- 17 თუ როგორ უნდა იქნეს ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტილი, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ძალიან სადავოა.³⁸
- 18 ერთი შესაძლო ვარიანტი ამ შემთხვევაში იმის დაშვებაა, რომ B მთლიანად შეუძლია პასუხისმგებლობის დაკისრება C მოთხოვოს. თუმცა C არა აქვს ამ შემთხვევაში 473 მუხლიდან გამომდინარე უკუმოთხოვნის უფლება A მიმართ. ვინაიდან ამ შემთხვევაში პრივილეგიის გამო A პასუხს არ აგებს B წინაშე სახეზე არ არის დელიქტური სამართლიდან გამომდინარე რამდენიმე ზიანის მიმყენებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა. შესაბამისად ამ მოსაზრების თანახმად A პრივილეგირება C ხარჯზე ხდება (ვარიანტი 1).³⁹ დარჩენილ მოვალეს ანუ ამ შემთხვევაში C არა მხოლოდ გარე ურთიერთობაში ეკისრება მთლიანი პასუხისმგებლობა, არამედ ასევე შიდა ურთიერთობაში არა აქვს უფლება უკუმოთხოვნისა A მიმართ. აღნიშნული ვარიანტი ნაწილობრივ არასამართლიანად იქნა მიჩნეული და შესაბამისად სხვა წინადადება იქნა შემოთავაზებული რომლის არსიც იმაში მდგომარეობს რომ მართალია C გარე ურთიერთობაში პასუხისმგებელია მარტო B მიმართ თუმცა შიდა ურთიერთობაში უკუმოთხოვნის უფლება მიენიჭოს A მიმართ. (ვარიანტი 2).⁴⁰ თუმცა ამ ვარიანტის ნაკლი იმაში მდგომარეობს რომ შეთანხმებას A და C შორის ძალა ეკარგება.⁴¹ შესაბამისად ვარიანტი პრობლემის გადაჭრისა იმაში მდგომარეობს რომ B მოთხოვნა C

37 Looschelders/Looschelders, *Schuldrecht AT*, 16. Aufl. 2015, § 54, Rn. 1291

38 შდრ. *Larenz SchuldR I* §37 III

39 *Gebauer*, in *Sorgel*, *BGB Kommentar*, *Schuldrech 3/3*, 13. Aufl., §428, Rn. 41

40 *Gebauer*, in *Sorgel*, *BGB Kommentar*, *Schuldrech 3/3*, 13. Aufl., §428, Rn. 41

41 Looschelders/Looschelders, *Schuldrecht AT*, 16. Aufl. 2018, § 54, Rn. 35

მიმართ პასუხისმგებლობაში A წილის ოდენობით შემცირდეს.⁴² რომელი მიდგომაა სწორი ამაზე იურდიულ ლიტერატურაში ერთიანი პასუხი არ არსებობს. არამედ განსხვავება ხდება კანონისმიერ და სახელშეკრულებლო პასუხისმგებლობის პრივილეგიას შორის.⁴³ იმ შემთხვევაში როდესაც საქმე სახელშეკრულებო შეთანხმებით წინასწარ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ეხება, ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება გამოდის იმ მოსაზრებიდან რომ ამ შემთხვევაში B მოთხოვნა C მიმართ პასუხისმგებლობაში A წილის ოდენობით უნდა შემცირდეს.⁴⁴ აქედან გამომდინარე კრედიტორის ინტერესების დაზიანება მართებულად მიიჩნევა ვინაიდან ამ უკანასკნელმა შეთანხმების გაფორმებით თავისი სამართლებრივი პოზიცია თაიდანვე ჩაიგდო ამ დღემი.⁴⁵ რაც შეეხება პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების კანონისმიერ შემთხვევებს, აქ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ნორმების განმარტების შედეგად უნდა მოხდეს საკითხის გადანყვეტა, თუ რომელი ვარიანტს უნდა მიენიჭოს კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა.⁴⁶ ჩვეულებრივ კანონისმიერი საფუძვლების შემთხვევაშიც მსგავს შედეგამდე მივდივართ, რა დროსაც კრედიტორის მოთხოვნის შემცირება ხდება კანონის საფუძველზე პასუხისმგებლობაში პრივილეგირებული მოვალის წილის ოდენობით.⁴⁷ ქართული სამართალი აღნიშნულ რეგულირებას არ იცნობს თუმცა აღნიშნული რეგულირებით ფაქტობრივად ის სამართლებრივი შედეგი მიიღწევა რასაც კრედიტორის მხრიდან ერთ-ერთი სოლდარული მოვალისათვის ვალის პატიება ხოლო სხვათა მიმართ მოთხოვნის დატოვება განაპირობებს.⁴⁸

VIII. საპროცესოსამართლებრივი საკითხები

უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილ მოვალეს შეუძლია სარჩელი როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად წარადგინოს უკუმოთხოვნაზე ვალდებული ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ. თუ კრედიტორი ერთობლივად შეიტანს სარჩელს ყველა დანარჩენი სოლიდარული მოვალის მიმართ, მაშინ საპროცესო თანამონაწილეობა გვექნება სახეზე (86). ამ შემთხვევაში, თითოეული წილობრივი მოვალე პროცესში მოსარჩელე მხარის მიმართ გამოვა დამოუკიდებლად (86). წილობრივ მოვალეებს როგორც საპროცესო თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ წილობრივ მოვალეს მიანდონ (87 II). ამ შემთხვევაში სწორედ ეს მოვალე გამოვა პროცესზე სხვა დანარჩენ წილობრივ მოვალეთა სახელით.

19

42 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §426, Rn. 158.

43 Looschelders/Looschelders, Schuldrecht AT, 16. Aufl. 2018, § 54, Rn. 36

44 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 37. Aufl., §37, Rn. 24f; Larenz SchuldR I §37 III; Medicus/Petersen, BürgerlR 26. Aufl. Rn933; Schulze, in Schulze, BGB HK, 10. Aufl., §426, Rn. 14.

45 Looschelders/Looschelders, Schuldrecht AT, 16. Aufl. 2018, § 54, Rn. 37.

46 Looschelders/Looschelders Schuldrecht AT, 16 Aufl. 2018, § 54, Rn. 38.

47 Looschelders/Looschelders, Schuldrecht AT, 16. Aufl. 2018, § 54, Rn. 38

48 იხ. რობაქიძე, ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი გვ. 729

მუხლი 474. სოლიდარული მოვალის ვალაუვალობის შედეგები

თუ ერთ-ერთი მოვალეთაგანი ვალაუვალი აღმოჩნდება, მაშინ მისთვის განსაზღვრული წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის.

I. ნორმის არსი და მიზანი.....	1022
II. 474-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა	1023
1. წინაპირობები.....	1023
2. წარმოშობა.....	1023
ა. უკუმოთხოვნის უფლების განხორციელებამდე.....	1023
ბ. უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების შემდეგ.....	1023
3. შესრულებაზე ვალდებული მოვალეები	1024
4. გადახდისუნარო სოლიდარული მოვალის წილის თანაზომიერი გადანაწილება.....	1024
III. შესრულებაზე მთლიანად ვალდებული მოვალის ვალაუვალობის შედეგები.....	1025
IV. სამართლებრივი შედეგები.....	1025

I. ნორმის არსი და მიზანი.

- 1 სოლიდარულ ვალდებულებაში ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა **გადახდისუნარობის რისკი** კრედიტორიდან მოვალეებზეა გადატანილი.¹ იგი სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან წარმოიშვება და მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს როგორც მოვალის, ასევე შესასრულებელი ვალდებულების მოცულობის არჩევაში სრული თავისუფლება აქვს (465). როგორც წესი, იგი ეცდება **გადახდისუნარიანი სოლიდარული მოვალის** მოძიებას და მისგან შეეცდება მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.² გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეს არ შეუძლია, უარი განაცხადოს შესრულებაზე იმ საფუძვლით, რომ მოვალეთა გადახდისუნარობის გამო 473-ე მუხლიდან გამომდინარე მისი მოთხოვნის განხორციელებას საფრთხე დაემუქრება.³ შესაბამისად, სწორედ ეს მოვალე გვევლინება იმის რისკის მატარებლად, რომ შესაძლოა, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე გადახდისუნარო აღმოჩნდეს და მან მთლიანად ვერ შეძლოს კუთვნილი უკუმოთხოვნის უფლების განხორციელება.⁴ 474-ე მუხლის მიზანი ერთ-ერთ სოლიდარული მოვალის **ვალაუვალობის** შემთხვევაში მისი კუთვნილი წილის სხვა გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეებზე **თანაზომიერ გადანაწილებაში** მდგომარეობს. მუხლის ეს დანაწესი ნათლად სამართლიანობის შინაარსის შემცველია, რომლის თანახმადაც მხოლოდ იმ სოლიდარულ მოვალეს არ უნდა დაეკისროს ვალდებულების შესრულების ტვირთი, რომელსაც „შემთხვევით“ მოუწია

1 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, S. 166, Rn. 196.

2 Jousen, Schuldrecht I AT, Jena, 2008, S. 460 f., Rn. 1384.

3 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 463-ე მუხლის კომენტარი, ველი 3.

4 იქვე.

კრედიტორის წინაშე მთლიანი ვალდებულების შესრულება.⁵ აღნიშნული რეგულირებით კანონმდებელს მინიმუმამდე დაჰყავს ის რისკი, რომელიც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალაუვალობის შემთხვევაში უკუ-მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილებას შეიძლება დაემუქროს.

II. 474-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა

1. წინაპირობები

მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთ-ერთი სოლიდარული მო- 2
ვალე ვალაუვალი აღმოჩნდება. ვალაუვალი მოვალე გადახდისუუნარო მოვალეა.⁶ გადახდისუუნარობა დგება მაშინ, როდესაც სახეზეა მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა.⁷ 474-ე მუხლის თანახმად, იგი სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც სოლიდარული მოვალის მიმართ უშედეგო იძულებითი აღსრულების მცდელობა იქნა განხორციელებული.⁸

2. წარმოშობა

ა. უკუმოთხოვნის უფლების განხორციელებამდე

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალაუვალობა შესაძლებელია სო- 3
ლიდარული ვალდებულების შესრულებამდე დადგეს. ეს არ ათავისუფლებს სხვა გადახდისუუნარიან სოლიდარულ მოვალეებს 474-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მოვალის გადახდისუუნარობა უკუმოთხოვნის უფლების განხორციელებამდე დადგება, მაშინ 474-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა დამოუკიდებელი სახით არ წარმოიშვება.⁹ ამ შემთხვევაში ვალაუვალი მოვალის კუთვნილი წილი გადანაწილდება დანარჩენ გადახდისუუნარიან სოლიდარულ მოვალეებზე და უკუმოთხოვნაზე მათი ვალდებულება, შიდა ურთიერთობაში არსებული მათი კუთვნილი წილის პროპორციულად გაიზრდება.¹⁰

ბ. უკუმოთხოვნის უფლების განხორციელების შემდეგ

თუ უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილმა სოლიდარულმა მოვალემ 4
ერთის გარდა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ განახორციელა უკუმოთხოვნის უფლება და მხოლოდ ეს ერთი აღმოჩნდება გადახდისუუნარო, ამ შემთხვევაში 474-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა დამოუკიდებელი სახით წარმოიშვება. უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილი სოლიდარული მოვალე 473-ე მუხლთან ერთად დამატებით იძენს მოთხოვნას

5 Bydlinski, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 426, Rn. 35

6 ზოდუ, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 474, გვ. 598.

7 შდრ. საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მუხლი 3 პუნქტი ა).

8 შდრ. Müller, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, 5. Aufl., § 426, Rn. 20; Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 128.

9 Schwedhelm, Das Gesamtschuldverhältnis, S. 167, Rn. 197.

10 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, § 426, Rn. 129.

474-ე მუხლიდან გამომდინარე. შესაბამისად, თითოეული სოლიდარული მოვალე, რომელმაც განახორციელა უკუმოთხოვნის ვალდებულების შესრულება, 474-ე მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულია, თავისი წილის შესაბამისად დამატებით განახორციელოს შესრულება.

3. შესრულებაზე ვალდებული მოვალეები

- 5 ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის გადახდისუუნარობის რისკი თანაბარზომიერად ნაწილდება ყველა **გადახდისუნარიან მოვალეზე (474)**. ნორმა არ საუბრობს იმაზე, რომ ვალაუვალი მოვალის წილი სხვა უკუმოთხოვნაზე ვალდებულ პირთა შორის ნაწილდება, არამედ იგი განმარტავს, რომ მუხლიდან გამომდინარე ვალაუვალი მოვალის წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა გადახდისუნარიან მოვალეზე.¹¹ რეგულირება არ გულისხმობს იმ სოლიდარული მოვალის განთავისუფლებას 474-ე მუხლიდან გამომდინარე გადახდის ვალდებულებისაგან, რომელმაც მთლიანად განახორციელა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.¹² შესაბამისად, მართებულია ვალაუვალი მოვალის კუთვნილი წილი უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილ სოლიდარულ მოვალეზედაც გადანაწილდეს და მასაც დაეკისროს 474-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. სხვაგვარი რეგულირების დაშვება უკუმოთხოვნაზე უფლებამოსილ სოლიდარულ მოვალეს სხვა სოლიდარულ მოვალეებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებდა.

4. გადახდისუუნარო სოლიდარული მოვალის წილის თანაბარზომიერი გადანაწილება

- 6 თანაბარზომიერი გადანაწილება არ ნიშნავს თითოეული სოლიდარული მოვალის მიერ ვალაუვალი სოლიდარული მოვალის წილის დაფარვაში თანაბარ მონაწილეობას. თანაბარზომიერი გადანაწილება ვალაუვალი სოლიდარული მოვალის წილის გადანაწილებას ნიშნავს გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეებზე თითოეულის წილის პროპორციულად. იმ შემთხვევაში, როდესაც სოლიდარულ მოვალეთა კუთვნილი წილი შეთანხმებითაა განსაზღვრული, მაშინ ვალაუვალი მოვალის წილი თითოეულზე მათი წილის შესაბამის პროპორციული ოდენობით გადანაწილდება. თუ შესაბამისი შეთანხმება სოლიდარულ მოვალეთა შორის შიდა ურთიერთობაზე არ არსებობს, მაშინ თითოეული სოლიდარული მოვალე უკუმოთხოვნაზე თანაბარი წილით არის პასუხისმგებელი (473 II) და, შესაბამისად, მათზე გადახდისუუნარო სოლიდარული მოვალის წილიც თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

¹¹ იქვე.

¹² Meier, Gesamtschulden: Entsehung und Regress in historischen und vergleichender Perspektive, 2010, S. 291.

III. შესრულებაზე მთლიანად ვალდებული მოვალის ვალაუფალობის შედეგები

კანონმდებელი არაფერს გვამცნობს იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც სოლიდარული ვალდებულება მთლიანად იმ მოვალემ შეასრულა რომელიც შიდა ურთიერთობაში განთავისუფლებული იყო შესრულების ტვირთისაგან, ხოლო გადახდისუუნარო ის სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება, რომელიც შიდა ურთიერთობაში მთლიანად არის ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი. აღნიშნული საკანონმდებლო ნაკლის გადაწყვეტისას უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოვალეთა შეთანხმება. თუ მოვალეთა შორის არსებული შეთანხმება ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე რეგულირებას არ შეიცავს, მაშინ იურიდულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, იმ სოლიდარულმა მოვალეებმა, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ შიდა ურთიერთობაში გადახდის ვალდებულებისაგან გადახდისუუნარო სოლიდარული მოვალის ვალდებულების შესრულება თანაბარწილად უნდა იკისრონ.¹³ აღნიშნული რეგულირება სწორია, ვინაიდან სხვაგვარი რეგულირების დაშვება აშკარა უსამართლო შედეგებამდე მიგვიყვანდა. სხვაგვარი რეგულირების დაშვების შემთხვევაში ფაქტობრივად იმ მოვალეს რომელიც შიდა ურთიერთობაში განთავისუფლებული იყო ვალდებულების შესრულებისაგან, მარტო მოუწევდა მთლიანი ვალდებულების შესრულება.

IV. სამართლებრივი შედეგები

ერთ-ერთი მოვალის ვალაუფალობა არ ნიშნავს, რომ 474-ე მუხლის საფუძველზე იგი თავისუფლდება კუთვნილი წილის გადახდის ვალდებულებისაგან. იგი პასუხისმგებელი რჩება, კუთვნილი წილის ოდენობით იმ სოლიდარული მოვალეების მიმართ, რომლებმაც მთლიანად განახორციელეს მის ნაცვლად მისი კუთვნილი წილის გადახდა. ვალაუფალი მოვალე იმ მოვალეთა მიმართ რომლებმაც განახორციელეს მისი კუთვნილი წილის გადახდა, **წილობრივ მოვალეს** წარმოადგენს. ვალაუფალი მოვალის მიმართ **წილობრივ კრედიტორთა** ამ მოთხოვნაზე ვრცელდება **ხანდაზმულობის საერთო ვადა** (128 III). თუ ამ ვადის განმავლობაში მოვალე ისევ გადახდისუუნარიანი აღმოჩნდა, მაშინ გადახდისუუნარიან სოლიდარულ მოვალეებს შეუძლიათ მიმართონ და დაკმაყოფილება მოითხოვონ.

13 Selb, Schadensbegriff und Regressmethoden, 1963, S. 29.

მუხლი 475. სოლიდარული მოვალის კომპენსაცია

თუ სოლიდარულმა მოვალემ მიიღო სარგებელი სოლიდარული ვალდებულებიდან, მაშინ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ასეთი სარგებელი არ მიუღია, შეუძლია მოსთხოვოს მას დაკმაყოფილება თავისი ვალდებულების შესასრულებლად.

I. ნორმის არსი და მიზანი	1026
II. ნორმის გამოყენების წინაპირობები.....	1026
1. ერთ-ერთი მოვალის მიერ სარგებლის მიღება	1026
2. სხვა სოლიდარულ მოვალეებს სარგებელი არ მიუღიათ	1026
3. სოლიდარული ვალდებულების შესასრულებლად.....	1027
III. სარგებლის სახეები.....	1027
1. მატერიალური სარგებელი	1027
2. არამატერიალური სარგებელი	1027
IV. ანაზღაურება	1027
3. ფულადი სახით	1027
4. არაფულადი სახით.....	1028
V. უფლებამოსილება სარგებლის მოთხოვნაზე	1028
VI. სარგებლის აღმატება სოლიდარულ ვალდებულებაზე.....	1028
VII. განსხვავებული შეთანხმების შესაძლებლობა	1028
VIII. ხანდაზმულობის ვადა.....	1029
IX. საპროცესო საკითხები.....	1029

I. ნორმის არსი და მიზანი

- 1 სოლიდარული ვალდებულება არა მარტო ვალდებულებას აკისრებს სოლიდარულ მოვალეებს, არამედ შესაძლოა ამ ვალდებულებიდან ერთმა ან რამდენიმე სოლიდარულმა მოვალემ **სარგებელი** მიიღოს. ნორმის არსიც სოლიდარულ მოვალეთა შორის ამ სარგებლის განაწილებაში მდგომარეობს. კანონმდებელი არ ანიჭებს ამ სარგებლით სარგებლობის უფლებას მხოლოდ იმ სოლიდარულ მოვალეს რომელმაც მიიღო იგი, არამედ ვალდებულს ხდის მას, მოთხოვნის შემთხვევაში, გადაუხადოს იმ სოლიდარულ მოვალეებს, რომელთაც სოლიდარული ვალდებულებისაგან ამგვარი სარგებელი არ მიუღიათ.
- 2 რეგულირება იმ სოლიდარული მოვალეთა ინტერესების დაცვას ემსახურება, რომელთაც სოლიდარული ვალდებულებისაგან ამგვარი სარგებელი არ მიუღიათ. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოლიდარული მოვალე, რომელსაც ამგვარი სარგებელი არ მიუღია, არ არის ვალდებული მთლიანად საკუთარი სახსრებით შეასრულოს სოლიდარული ვალდებულება და შედეგად კუთვნილი უკუმოთხოვნის უფლების განხორციელება სხვა სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობაზე გახადოს დამოკიდებული. კანონი მას უფლებას ანიჭებს, სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე მიღებული სარგებლიდან მოითხოვოს დაკმაყოფილება და,

უპირველეს ყოვლისა, ამ სარგებლიდან მიღებული სახსრებით განახორციელოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

II. ნორმის გამოყენების წინაპირობები

1. ერთ-ერთი მოვალის მიერ სარგებლის მიღება

იმისათვის, რომ მუხლის გამოყენების წინაპირობები იყოს სახეზე, აუცილებელია ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ სარგებლის მიღება. ამასთან აუცილებელია, ეს სარგებელი მიღებული იყოს სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე. სხვა რაიმე საფუძველით მიღებული სარგებელი 475-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს.¹⁴ 3

2. სხვა სოლიდარულ მოვალეებს სარგებელი არ მიუღიათ

აუცილებელია, რომ სხვა სოლიდარულ მოვალეებს არ ჰქონდეთ სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე ამგვარი სარგებელი მიღებული. თუ სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე სარგებელი ყველა სოლიდარულმა მოვალემ მიიღო, მაშინ 475-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არ წარმოიშვება. 4

3. სოლიდარული ვალდებულების შესასრულებლად

სარგებლის მოთხოვნის აუცილებელი წინაპირობაა, რომ სოლიდარულ მოვალეს იგი კრედიტორის წინაშე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად სჭირდებოდეს (475). საკუთარი ვალდებულების შესრულებაში კანონმდებელი სწორედ სოლიდარული ვალდებულების შესრულებას გულისხმობს. სხვა შემთხვევაში კანონი არ იძლევა ამგვარი სარგებლის მოთხოვნის უფლებამოსილებას. 5

III. სარგებლის სახეები

1. მატერიალური სარგებელი

სარგებელი შეიძლება იყოს **მატერიალური და არამატერიალური სახის**. მატერიალური სახის სარგებელი ძირითადად ფულადი სახისაა. თუმცა იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა მატერიალური ქონებაში გამოხატული. მაგ. სოლიდარულმა მოვალეებმა აიღეს სესხი, რომელიც შეთანხმებით ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ანგარიშზე ჩაირიცხა. ჩარიცხულ თანხას დაერიცხა პროცენტები. ეს პროცენტი წარმოადგენს სწორედ სოლიდარული მოვალის მიერ სოლიდარული ვალდებულებიდან მიღებულ სარგებელს. 6

¹⁴ შდრ. ჩხაიძე, მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში, „მართლმსაჯულება და კანონი, 1/2011, გვ. 53.

2. არამატერიალური სარგებელი

- 7 სარგებელი არა მხოლოდ მატერიალური, არამედ შესაძლებელია ასევე არამატერიალური სახითაც მიიღოს ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ. მაგ. რამდენიმე სოლიდარულმა მოვალემ იქირავა ავტომობილი მაგრამ მხოლოდ ერთმა ისარგებლა ამ ნაქირავები ავტომობილით.¹⁵ სწორედ ავტომობილით სარგებლობა წარმოადგენს არამატერიალურ სარგებელს, რომელიც სოლიდარული ვალდებულებიდან ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ მიიღო.

IV. ანაზღაურება

3. ფულადი სახით

- 8 იმ შემთხვევაში, როდესაც სარგებელი **ფულად სახით** იქნა მიღებული, მაშინ მისი ანაზღაურება პრობლემას არ წარმოშობს. იმ სოლიდარული მოვალის დაკმაყოფილება, რომელსაც სარგებელი არ მიუღია, ფულში განხორციელდება.¹⁶ რაც შეეხება არამატერიალური სახით მიღებულ სარგებელს, ამ შემთხვევაში, მისი ანაზღაურება ასევე ფულადი სახით უნდა მოხდეს.

4. არაფულადი სახით

- 9 შესაძლებელია სოლიდარულმა მოვალემ სარგებელი ასევე **არაფულადი სახითაც** მიიღოს. თუ მიღებული სარგებელი **გაყოფადი გვაროვნული ნივთია**, შესაძლებელია დაკმაყოფილება ასევე არაფულადი სახით ნატურით განხორციელდეს. თუ მიღებული საგანი **განუყოფადი ნივთია**, მაშინ დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილი სოლიდარული მოვალის მოთხოვნა აუცილებლად ფულადი ანაზღაურებით უნდა დაკმაყოფილდეს.

V. უფლებამოსილება სარგებლის მოთხოვნაზე

- 10 ამ მოთხოვნაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სოლიდარული მოვალეთაგანი, რომელსაც სოლიდარული ვალდებულებისაგან სარგებელი არ მიუღია. მათ შორის ის სოლიდარული მოვალეც, რომელიც შიდა ურთიერთობაში განთავისუფლებულია ვალდებულების შესრულების ტვირთისგან. სარგებლის მოთხოვნაზე შიდა ურთიერთობა ამ შემთხვევაში გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან სარგებლის მოთხოვნა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ხდება, რომლის შესრულებაზედაც, შიდა ურთიერთობაში არსებული წილის მიუხედავად, ყველა სოლიდარული მოვალე მთლიანად არის პასუხისმგებელი (იხ. 465-ე მუხლის კომენტ. ველი 7). გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მთლიანი შესრულების განხორციელებაზეა ვალდებული, თითოეულს უფლება უნდა მიეცეს, დაკმაყოფილება მოითხოვოს იმ ოდენობით, რაც სოლიდარული ვალდებულების შესრულებისთვისაა აუცილებელი.

15 ზოიდე, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 475, გვ. 600.

16 შდრ. *Gebauer*, in *Sorgel*, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., § 426, Rn. 16.

VI. სარგებლის აღმატება სოლიდარულ ვალდებულებაზე

შესაძლებელია, სოლიდარული ვალდებულებისაგან მიღებული სარგებელი სოლიდარულ ვალდებულების მოცულობასაც აღემატებოდეს. სარგებლის მიმღები სოლიდარული მოვალე 475-ე მუხლიდან გამომდინარე მხოლოდ იმ ოდენობით არის ვალდებული მიღებული სარგებლის გადახდაზე, რაც სოლიდარული ვალდებულების შესრულებისათვის არის აუცილებელი. შესაბამისად, შესაძლებელია, 475-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისა და, შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულების შეწყვეტის შემდეგ მას გარკვეული სარგებელი დარჩეს. ამ შეთხვევაში სარგებლის მიმღებ სოლიდარულ მოვალეს არა აქვს ამ სარგებლის დატოვების უფლება. იგი ვალდებულია გადაუხადოს სხვა სოლიდარულ მოვალეებს შიდა ურთიერთობაში არსებული მათი კუთვნილი წილის შესაბამისად. სხვაგვარი რეგულირების დაშვება სარგებლის მიმღებს სოლიდარული მოვალეს სხვა სოლიდარულ მოვალეებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებდა.

VII. განსხვავებული შეთანხმების შესაძლებლობა

ნორმა არ არის იმპერატიული ხასიათის და, შესაბამისად, არ კრძალავს განსხვავებული შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას. სავსებით დასაშვებია, მოვალეებმა ურთიერთშეთანხმებით ცალკეული სოლიდარული მოვალისათვის სარგებლის მოთხოვნის უფლება შეზღუდონ, ანდა საერთოდ გამორიცხონ.

VIII. ხანდაზმულობის ვადა

475-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა სარგებლის მიღების მომენტიდან წარმოიშვება (130). შესაბამისად, მისი ხანდაზმულობის ვადის დენაც ამ მომენტიდან დაიწყება. კანონი რაიმე დანაწესს ამ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არ შეიცავს, შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო ვადა (128 III).

IX. საპროცესო საკითხები

ნებისმიერი სოლიდარული მოვალეთაგანი უფლებამოსილია, სარჩელი წარადგინოს სასამართლოში საკუთარი სახელით და სხვა სოლიდარული მოვალისაგან შესრულება მოითხოვოს იმ ოდენობით, რაც აუცილებელია კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 476. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.

I. ნორმის არსი და მიზანი.....	1030
II. ხანდაზმულობის ვადის გასვლა	1030
1. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ.....	1030
2. ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ	1031
III. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება და შეწყვეტა.....	1031
IV. მოთხოვნის უფლების ოდენობა	1032
V. ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების დროს	1033
VI. ხანდაზმულობის ვადის გავლენა უკუმოთხოვნის უფლებაზე.....	1033
VII. განსხვავებული რეგულირების შეთანხმების შესაძლებლობა.....	1034

I. ნორმის არსი და მიზანი.

- 1 ნორმა ცალკეულ სოლიდარულ მოვალეთა მიმართ **ხანდაზმულობის ვადის** გამოთვლის წესს განსაზღვრავს. იგი ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ **ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ანდა შეწყვეტას** ძალა არა აქვს სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ. იგივე ითქმის **ხანდაზმულობის ვადის გასვლის** შესახებაც. ნორმა კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ სოლიდარული ვალდებულება რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება წარმოიშვიან და განვითარდნენ. ამავდროულად ნორმის არსი კრედიტორის ინტერესების დაცვაში მდგომარეობს.

II. ხანდაზმულობის ვადის გასვლა**1. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ**

- 2 თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ არსებული კრედიტორის **მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა** იწყება იმ დღიდან, როდესაც კრედიტორს წარმოეშვება მოთხოვნა ამ სოლიდარული მოვალის მიმართ (130). ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, იგი ემთხვევა ხელშეკრულების გაფორმების თარიღს. თუ თითოეული სოლიდარული მოვალე გა სხვაგვარულ დროს გააფორმებს ხელშეკრულებას კრედიტორთან, ბუნებრივია მათი ხანდაზმულობის ვადის დენაც ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებულად სხვადასხვა დროს დაიწყება და დასრულდება.¹ შესაძლებელია ასევე ხანდაზმულობის ვადის დენა ხელშეკრულების გაფორმების თარიღის არ

1 შდრ. *ზოდე*, სკ-ის კომენტარი, ნიგნი III, 2001, მუხ. 476, გვ. 600; *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 84.

დაემთხვეს. კერძოდ მაშინ, როდესაც სოლიდარული ვალდებულების ნამდვილობა რაიმე პირობის დადგომაზეა დამოკიდებული (90). ამ შემთხვევაში კრედიტორი სოლიდარულ მოვალეთა მიმართ მოთხოვნის უფლებას ამ პირობის დადგომისთანავე იძენს და, შესაბამისად, მისი მოთხოვნის ხანდაზმულობის დენაც ამ მომენტიდან დაიწყება (130). თუ სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნის წარმოშობა კრედიტორის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებაზეა დამოკიდებული, მაშინ ხანდაზმულობის ვადის ათვლა იმ მომენტიდან დაიწყება, როდესაც კრედიტორს შეეძლო ამგვარი მოქმედების განხორციელება (131). ერთ-ერთ სოლიდარული მოვალის მიმართ **ხანდაზმულობის ვადის გასვლა** არ აძლევს სხვა სოლიდარულ მოვალეებს, რომელთა მიმართაც ხანდაზმულობის ვადა არ გასულა, უფლებას უარი განაცხადონ კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე.²

2. ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ

იმ შემთხვევაში, როდესაც სოლიდარული ვალდებულება წარმოშობის **საერთო საფუძველს** (მაგ. ერთიან ხელშეკრულებას) ეფუძნება, კრედიტორის მოთხოვნა თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ ერთდროულად წარმოიშვება და, შესაბამისად, თითოეული მათგანისათვის **ხანდაზმულობის ვადის დენაც** ერთდროულად დაიწყება და, შესაბამისად, ერთდროულად დამთავრდება (130). 3

III. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება და შეწყვეტა

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება (132-136) და შეწყვეტა (137-139) 4
თითოეული სოლიდარული მოვალისათვის ინდივიდუალურად უნდა იქნეს გამოთვლილი.³ თუ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდა ანდა შეწყდა, აღნიშნული არ აძლევს კრედიტორს უფლებას, ამ შეჩერებისა და შეწყვეტის შედეგებს დაეყრდნოს იმ სოლიდარულ მოვალეთა შორის ურთიერთობაში, რომელთა მიმართაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ანდა შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია.⁴

იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს უფლებამოსილი პირი, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება როგორც ამხანაგობის (138), ასევე ამხანაგობის წევრების მიმართაც (937 I).⁵ ამხანაგობის წევრებს არ შეუძლიათ, უარი განაცხადონ სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე ამხანაგობის ვალდებულებისათვის იმ საფუძველით, რომ ხანდაზმულობის ვადა მათ წინააღმდეგ გავიდა.⁶ თუ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება ერთ-ერთი ამხანაგობის წევრის მიმართ სარჩელის შეტა- 5

2 *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldern, 1984, S. 85.

3 *Böttcher*, in *Ermann*, BGB Komm, 13. Aufl., § 425, Rn. 7.

4 *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldern, 1984, S. 85.

5 *Wertenbruch*, Die Parteifähigkeit der GbR – die Änderung für die Gerichts- und Vollstreckungspraxis, NJW 2002, S 324, 325.

6 იქვე.

ნით, მაშინ იგი ვერ გამოიწვევს ამხანაგობის მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას.⁷

IV. მოთხოვნის უფლების ოდენობა

- 6 კანონი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად კრედიტორი მთლიან შესრულებაზე რჩება უფლებამოსილი, თუ ვალდებულება მცირდება იმ სოლიდარული მოვალის კუთვნილი წილი ოდენობით, რომლის მიმართაც კრედიტორმა გაუშვა ხანდაზმულობის ვადა. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გავრცელებული მოსაზრება მიიჩნევს რომ ეს საკითხი უკუ-მოთხოვნაზე ვალდებულ პირთა ხარჯზე არ უნდა გადაწყდეს და სწორედ სოლიდარულ კრედიტორს, რომელმაც გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, უნდა დაეკისროს ეს რისკი.⁸
- 7 სხვა მოსაზრება მიიჩნევს, რომ კრედიტორს მთლიანი შესრულების მოთხოვნის უფლება უნდა მიენიჭოს იმის მიუხედავად, გაუშვა თუ არა მან ხანდაზმულობის ვადა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ.⁹ ამ მოსაზრების მთავარ არგუმენტად ის გარემოება გვევლინება, რომ სხვაგვარი რეგულირების დაშვება კრედიტორის იმ ძლიერი სამართლებრივი პოზიციის დაზარალებას გამოიწვევდა, რომელსაც მას სოლიდარული ვალდებულება ანიჭებს.¹⁰ კერძოდ, მას თავისუფლად შეუძლია, ამოიჩიოს სოლიდარული მოვალე და შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა (465). აღნიშნული უფლება მას მთლიანი ვალდებულების შესრულებამდე გააჩნია (467). შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გასვლა შეზღუდავდა კრედიტორის უფლებას მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე, მაშინ კრედიტორი დაინახავდა აუცილებლობას, ისეთი ზომები გაეტარებინა, რათა ამ ხანდაზმულობის ვადის გასვლა შეეჩერებინა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ და მოთხოვნის შემცირება არ დაეშვა.¹¹ ამგვარი ზრუნვის ვალდებულებასა და ტვირთს კი მას 476-ე მუხლი საერთოდ არ აკისრებს. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ კანონმდებელი სწორედ მეორე მოსაზრებით გათვალისწინებულ რეგულირებას გულისხმობდა.
- 8 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სოლიდარულ მოვალეებს არ შეუძლიათ უარი განაცხადონ მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე იმ საფუძველით, რომ კრედიტორმა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ გაუშვა ვადა. მოვალეებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიზეზით მოთხოვნაზე უარის თქმის უფლება არა აქვთ ასევე იმ შემთხვევაშიც, რო-

7 Schmidt, in MüKo HGB, 3. Auflage, 2011, § 129, Rn. 9.

8 Keuk, Anmerkung zu BGH, Urteil v. 9.3.1972(VII 178/79), JZ 1972, S528, 529, Esser Schmidt AT/2 8. Aufl. 2000 §39 III 2a).

9 Cziupka, Das Vestreichenlassen der Verjährungsfrist gegenüber einem der Gesamtschuldner-Anspruchsreduktion oder "Durchschlag" der Verjährungseinrede? ZGS 2010 S. 66.

10 იქვე.

11 Looschelders, in Staudinger, BGB Neubearbeitung 2017, Buch II, §426 Rn 19.

დესაც ის სოლიდარული მოვალე, რომლის მიმართაც კრედიტორმა გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, შიდა ურთიერთობაში მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე იყო ვალდებული.

V. ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების დროს

თუ მესამე პირი კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თავის თავზე აიღებს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალდებულებას კრედიტორის წინაშე (203), მაშინ იგი ამ ვალდებულებაში შევა იმ შინაარსით, რომელიც ვალდებულებაში შესვლის მომენტში ამ ვალდებულებას ჰქონდა.¹² შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა, რომლის დენაც დაიწყო ძველი სოლიდარული მოვალის მიმართ, ჩვეულებრივ გრძელდება ახალი სოლიდარული მოვალის მიმართაც.¹³ მესამე პირის მიერ ვალდებულების თავის თავზე აღება არ გამოიწვევს **ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას** ანდა **შეჩერებას**.¹⁴ ახალ სოლიდარულ მოვალეს შეუძლია, კრედიტორს წარუდგინოს ყველა ის **შესაგებელი**, რომელიც გამომდინარეობს **მოთხოვნის მფლობელსა და თავდაპირველ მოვალეს** შორის არსებული ურთიერთობიდან (205). **ვალის გადაკისრებამდე** სარჩელის შეტანის შედეგად შეწყვეტილი ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად დარჩება ასევე ახალი სოლიდარული მოვალის მიმართაც.¹⁵ იგივე შეიძლება ითქვას ასევე **მოთხოვნის უფლების დათმობის** შემთხვევაზეც (199).

9

VI. ხანდაზმულობის ვადის გავლენა უკუმოთხოვნის უფლებაზე

კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გავლა, გავლენას ვერ მოახდენს უკუმოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისად ის სოლიდარული მოვალე, რომლის მიმართაც კრედიტორმა გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, 473 მუხლიდან გამომდინარე ვალდებული რჩება იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელმაც მთლიანად განახორციელა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

10

უკუმოთხოვნის უფლება დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლებაა (იხ. 473-ე მუხლის კომენტ. ველი 3), რომელიც ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ წარმოიშვება. შესაბამისად, მისი ხანდაზმულობის ვადის დენაც ამ მომენტიდან იწყება. უკუმოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის მიმართ გამოიყენება **ხანდაზმულობის საერთო ვადები** (128 III).

12 *Looschelders*, Schuldrecht AT, 10. Aufl., 2012, S. 404, Rn. 1162.

13 *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S. 85.

14 იქვე.

15 *Bydlinski*, in MüKo BGB, 6. Aufl., 2012, § 425, Rn. 23.

VII. განსხვავებული რეგულირების შეთანხმების შესაძლებლობა

- 11 კანონი კრძალავს მხარეთა შეთანხმებით **ხანდაზმულობის ვადებისა** და მათი **გამოთვლის წესის** შეცვლას (146). შესაბამისად, კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ ხანდაზმულობის ვადების მოქმედება ანდა შეცვალონ ისინი.¹⁶

¹⁶ აზვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 146, გვ. 339.

ბიბლიოგრაფია

ადეიშვილი, ზურაბ/ვარდიაშვილი, ქეთევან/იზორია, ლევან/კალანდაძე, ნინო/კოპალეიშვილი, მაია/სხირტლაძე, ნუგზარ/ტურავა, პაატა/ქიტოშვილი, დიმიტრი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005.

ციტ.: ავტორი, წიგნში: ადეიშვილი/ვარდიაშვილი და სხვ, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, გვ.

ამირანაშვილი, გიორგი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2014, გვ. 91-100.

ციტ.: ამირანაშვილი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, „მართლმსაჯულება და კანონი“, 1/2014, გვ.

ახვლედიანი, ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, 1999.

ციტ.: ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ.

ახვლედიანი, ზურაბ, მემკვიდრეობითი სამართალი, 1998.

ციტ.: ახვლედიანი, მემკვიდრეობითი სამართალი, 1998, გვ.

ბათლიძე, გიორგი, ბრალეული ქმედებით გამონვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, IV გამოცემა, 2015, გვ. 15-37.

ციტ.: ბათლიძე, ბრალეული ქმედებით გამონვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, IV, 2015, გვ.

ბარაბაძე, ნინო, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, № 2, 2006, გვ. 101 და შემდგომი.

ციტ.: ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2/2006, გვ.

ბაქაქური, ნინო/თოდრია, თეიმურაზ/შველიძე, ზაქარია (რედ.), საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017.

ციტ.: ავტორი, წიგნში: ბაქაქური/თოდრია/შველიძე (რედ.), საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, გვ.

ბალიშვილი, ეკატერინე, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 72-120.

ციტ.: ბალიშვილი, ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ.

ბაჩიაშვილი, ვახტანგ, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2013, გვ. 5-22.

ციტ.: ბაჩიაშვილი, ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2013, გვ.

ბეგიაშვილი, ნინო, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი, № 1(2), 2011, გვ. 9-23.

ციტ.: ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი, 1(2)/ 2011, გვ.

ბიოლინგი, ჰაინს/ლუტრინგჰაუსი, პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009.

ციტ.: ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ.

ბიჭია, მიხეილ, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2016, გვ. 98-111.

ციტ.: ბიჭია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2016, გვ.

ბიჭია, მიხეილ, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, „სამართალი და მსოფლიო“, №4, 2016, გვ. 46-58.

ციტ.: ბიჭია, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, „სამართალი და მსოფლიო“, 4/2016, გვ.

ბოიაკი, ანდრეა ჯ., სახელმწიფოებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 2-15.

ციტ.: ბოიაკი, სახელმწიფოებო ზიანისა და პირგასამტეხლოს შედარებითი ანალიზი საქართველოსა და შეერთებული შტატების მაგალითზე, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ.

გაბრიჩიძე, გავა/კალანდაძე, ლაშა/მანჯგალაძე, მანანა/მიგრიაული, როინ/პაპუაშვილი, შალვა/ფხაკაძე, ქეთევან/ჩაჩანიძე, ეთერ/ხუჭუა, ნინა, იურიდიული ლექსიკონი: გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, 2012.

ციტ.: გაბრიჩიძე/კალანდაძე/მანჯგალაძე/მიგრიაული/პაპუაშვილი/ფხაკაძე/ჩაჩანიძე/ხუჭუა, იურიდიული ლექსიკონი: გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული, 2012, გვ.

გაგუა, ილონა, ბიზნესდაგეები და სასამართლო პრაქტიკა, 2017.

ციტ.: გაგუა, ბიზნესდაგეები და სასამართლო პრაქტიკა, 2017, გვ.

გეგენავა, ავთანდილ, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, 2015.

ციტ.: გეგენავა, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, 2015, გვ.

დანელია, ეკატერინე, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 31-68.

ციტ.: დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ.

დარჯანია, თორნიკე, უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 67-79.

ციტ.: დარჯანია, უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ.

ვაშაკიძე, გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010.

ციტ.: ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ.

ვაშაკიძე, გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით — აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 10, 2007-1, გვ. 14-58.

ციტ.: ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით — აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ.

ზარანდია, თამარ, სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 5, 2015, გვ. 20-38.

ციტ.: ზარანდია, სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების არსი, ელემენტები და პრინციპები, „მართლმსაჯულება და კანონი“, 5/2015, გვ.

ზარანდია, თამარ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005.

ციტ.: ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, გვ.

ზარანდია, თამარ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დისერტაცია, 2002.

ციტ.: ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, დის., 2002, გვ.

ზაქარაიშვილი, ქეთევან, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, „სამართალი და მსოფლიო“ № 9, 2018, გვ. 126-136.

ციტ.: ზაქარაიშვილი, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფა-

რგლები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დროს, „სამართალი და მსოფლიო“, 9/2018, გვ.

ზაქარეიშვილი, ქეთევან, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა, „სამართალი და მსოფლიო“ № 5, 2016, გვ. 112-123.

ციტ.: **ზაქარეიშვილი**, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა, „სამართალი და მსოფლიო“, 5/2016, გვ.

ზოიძე, ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005.

ციტ.: **ზოიძე**, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ.

თოდუა, მზია/ვილემსი, ჰუბ, ვალდებულებითი სამართალი, 2006.

ციტ.: **თოდუა/ვილემსი**, ვალდებულებითი სამართალი, 2006, გვ.

თუმანიშვილი, გიორგი გ./მაისურაძე, ანა, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0,07% გადახდის ვალდებულების შესახებ, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2018, გვ. 78-87.

ციტ.: **თუმანიშვილი/მაისურაძე**, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0,07% გადახდის ვალდებულების შესახებ, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2018, გვ.

იოსელიანი, ნინო, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების და დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016, გვ. 62-74.

ციტ.: **იოსელიანი**, შეუსაბამოდ მაღალი სახელშეკრულებო პირგასამტეხლო და სასამართლოს როლი სამოქალაქო ინტერესების და დაცვის სფეროში, „სამართლის ჟურნალი“, 1/2016, გვ.

იოსელიანი, ნინო, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, გვ. 130-143.

ციტ.: **იოსელიანი**, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“, 1/2015, გვ.

კაპანაძე, სულხან, პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016, გვ. 112-120.

ციტ.: **კაპანაძე**, პირგასამტეხლოს შემცირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2016, გვ.

კერესელიძე, დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

ციტ.: *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ.

კერესელიძე, დავით, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 7, 2004-1, გვ. 4-38.

ციტ.: *კერესელიძე*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1, გვ.

კერესელიძე, თათია, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, კრებულში: ზოიძე (რედ.), შრომის სამართალი II, 2013, გვ. 45-74.

ციტ.: *კერესელიძე*, შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი, კრებულში: შრომის სამართალი II, 2013, გვ.

კვანტალიანი, ნუნუ, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2014.

ციტ.: *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2014, გვ.

კვანტალიანი, ნუნუ, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2012, გვ. 5-16.

ციტ.: *კვანტალიანი*, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2012, გვ.

კვინიკაძე, ქეთევან, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2016, გვ. 85-94.

ციტ.: *კვინიკაძე*, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2016, გვ.

კროპჭოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თორნიკე დარჯანიას და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014.

ციტ.: *კროპჭოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, §, ველი.

ლაკერბაია, თამარ, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, გვ. 94-121.

ციტ.: *ლაკერბაია*, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების

უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების და-
ცვის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“ 1/2014, გვ.

ლილუაშვილი, თენგიზ/ხრუსტალი, ვალერი, საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-2 გამოცემა, 2007.

ციტ.: **ლილუაშვილი/ხრუსტალი**, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის კომენტარი, 2007. მუხ. გვ.

მაისურაძე, ანა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და
ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №
2(37), 2013, გვ. 41-61.

ციტ.: **მაისურაძე**, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერ-
მანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, „მართლმსაჯულება და
კანონი“, 2/2013, გვ.

მაისურაძე, დავით/სულხანიშვილი, ელენე/ვაშაკიძე, გიორგი, ევროკავში-
რის კერძო სამართალი: გადანყვეტილებები და მასალები, ნაწილი I, 2018.

ციტ.: **მაისურაძე/სულხანიშვილი/ვაშაკიძე**, ევროკავშირის კერძო სამა-
რთალი I, 2018, გვ.

მარიამიძე, გიორგი, ვალდებულებითი სამართალი: სახელშეკრულებო სამა-
რთალი, ზოგადი ნაწილი, 2013.

ციტ.: **მარიამიძე**, ვალდებულებითი სამართალი, 2013, გვ.

მაჩალაძე, სოფიო, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქა-
რთველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), „ქა-
რთული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 72-101.

ციტ.: **მაჩალაძე**, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას,
„ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ.

მაჭარაძე, მირანდა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა
— განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამართლის მი-
მოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 125-158.

ციტ.: **მაჭარაძე**, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშ-
ლა — განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, „ქართული სამა-
რთლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ.

მესხიშვილი, ქეთევან, ვალის აღიარება: თეორია და სასამართლო პრაქტიკა,
„ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, V, 2016, გვ. 51-66.

ციტ.: **მესხიშვილი**, ვალის აღიარება, „ქართული ბიზნეს სამართლის მი-
მოხილვა“, V, 2016, გვ.

მესხიშვილი, ქეთევან, ვალის აღიარება (თეორია და სასამართლო პრაქტიკა),
2015.

ციტ.: **მესხიშვილი**, ვალის აღიარება, 2015, გვ.

მესხიშვილი, ქეთევან, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III გამოცემა, 2014, გვ. 16-24.

ციტ.: მესხიშვილი, პირგასამტეხლო, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, III, 2014, გვ.

მესხიშვილი, ქეთევან, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 94-103.

ციტ.: მესხიშვილი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ.

ნაჭყეაია, ალექო, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014.

ციტ.: ნაჭყეაია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ.

რუსიაშვილი, გიორგი/ევნატაშვილი, დემეტრე, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016.

ციტ.: რუსიაშვილი/ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016. გვ.

რუსიაშვილი, გიორგი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში: შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა, 2015.

ციტ.: რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2015, გვ.

სტურუა, ნატა, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ. 233-281.

ციტ.: სტურუა, ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში, კრებულში: შრომის სამართალი, 2011, გვ.

სუხიტაშვილი, თეა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2011, გვ. 88-99.

ციტ.: სუხიტაშვილი, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2/2011, გვ.

ტაბატაძე, დავით, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, II გამოცემა, 2013, გვ. 30-41.

ციტ.: ტაბატაძე, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, II, 2013, გვ.

ფიფია, ანა, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეგროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 69-124.

ციტ.: ფიფია, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეგროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა 2008, გვ.

ქარდავა, ეკატერინე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ. 122-167.

ციტ.: ქარდავა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2007, გვ.

ქოჩაშვილი, ქეთევან, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2009, გვ. 78-115.

ციტ.: ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ.

შენგელია, რომან, მემკვიდრეობითი სამართალი: თეორია და პრაქტიკა, 2007.

ციტ.: შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, 2007, გვ.

შოთაძე, თამარ, სანივთო სამართალი: სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, 2014.

ციტ.: შოთაძე, სანივთო სამართალი, 2014, გვ.

ჩანტლაძე, მადი, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №5, 2002-1, გვ. 168-174.

ციტ.: ჩანტლაძე, ნების გამოვლენის განმარტება, პირგასამტეხლოს შემცირება, ნომინალიზმის პრინციპი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-1, გვ.

ჩაჩავა, სოფიო, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დისერტაცია, 2010.

ციტ.: ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., 2010, გვ.

ჩაჩანიძე, თინათინ, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3, 2010, გვ. 22-35.

ციტ.: ჩაჩანიძე, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 3/2010, გვ.

- ჩიკვაშვილი, შალვა**, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, 2003.
ციტ.: ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, 2003, გვ.
- ჩიტაშვილი, ნათია**, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014.
ციტ.: ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, „სამართლის ჟურნალი“, 1/2014, გვ. 204-243.
- ჩიტაშვილი, ნათია**, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, გვ. 143-218.
ციტ.: ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, „სამართლის ჟურნალი“, 1/2009, გვ.
- ჩხაიძე, სიმონ**, მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, 2011, გვ. 41-55.
ციტ.: ჩხაიძე, მოვალეთა და კრედიტორთა სიმრავლე ვალდებულებაში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 1/2011, გვ.
- ძლიერიშვილი, ზურაბ/ცერცვაძე, გიორგი/რობაქიძე, ირაკლი/სვანაძე, გიორგი/ცერცვაძე, ლაშა/ჯანაშია, ლევან**, სახელშეკრულებლო სამართალი, თბილისი, 2014.
ციტ.: ავტორი, წიგნი: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ.
- ძლიერიშვილი, ზურაბ**, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, №2, 2013, გვ. 30 და შემდგომნი.
ციტ.: ძლიერიშვილი, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, 2/2013, გვ.
- ძლიერიშვილი, ზურაბ**, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება: სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ. 104-119.
ციტ.: ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, გვ.
- ძლიერიშვილი, ზურაბ**, ვალდებულების შესრულება, 2006.
ციტ.: ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, გვ.
- ნკეპლაძე, ნათია**, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №6, 2003-1, გვ. 184-194.

ციტ.: *ნკებლაძე*, ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6/2003-1, გვ.

ჭანტურია, ლადო, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012.

ციტ.: *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ.

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011.

ციტ.: *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.

ჭანტურია, ლადო (რედ.), „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, 2003.

ციტ.: *ავტორი*, *ჭანტურია* (რედ.), „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, 2003, მუხ., გვ.

ჭანტურია, ლადო (მთ. რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I-IV, 1999-2002.

ციტ.: *ავტორი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი, წელი, მუხ., გვ.

ჭანტურია, ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997.

ციტ.: *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ.

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი: შედარებით-სამართლებრივი კვლევა, 2008.

ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, გვ.

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი: შედარებით-სამართლებრივი კვლევა, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2010.

ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2010, გვ.

ხაყოშია, თამარ, შრომის ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები, კრებულში: ჩაჩავა, სოფიო (რედ.), შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, 2014.

ციტ.: *ხაყოშია*, შრომის ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები, შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, 2014, გვ.

ხუბუა, გიორგი, სამართლის თეორია, 2004.

ციტ.: *ხუბუა*, სამართლის თეორია, 2004, გვ.

ხუნაშვილი, ნინო, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2013, გვ. 270-294.

ციტ.: *ხუნაშვილი*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, „სამართლის ჟურნალი“, 1/2013, გვ.

ჯორბენაძე, სერგი, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, 2017.

ციტ.: *ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში*, 2017, გვ.

ჯორბენაძე, სერგი, სახელშეკრულებო სამართლის ტერმინოლოგიის პრობლემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში: რამდენიმე ასპექტი, უპირატესად სამოქალაქო საქმეთა პალატის მაგალითზე, „ადვოკატი“, № 1, 2016, გვ. 89-94.

ციტ.: *ჯორბენაძე, სახელშეკრულებო სამართლის ტერმინოლოგიის პრობლემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში*, „ადვოკატი“, 1/2016, გვ.

ჯორბენაძე, სერგო, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, წიგნში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, 1994.

ციტ.: *ჯორბენაძე, საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები*, 1994, გვ.

Arnold, Arnd, Das neue Recht der Rücktrittsfolgen, in: *Juristische Ausbildung*, 2002, S. 154-160.

ციტ.: *Arnold, Das neue Recht der Rücktrittsfolgen*, *Jura* 2002, S.

Bähr, Peter, Grundzüge des Bürgerlichen Rechts, 12. Auflage, 2013.

ციტ.: *Bähr, Grundzüge des Bürgerlichen Rechts*, 12. Aufl., 2013, S.

Bamberger, Georg/Roth, Herbert (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.

ციტ.: *ავტორი*, in: *Beck OK BGB, Edition (Auflage), Jahr, §, Rn.*

Bar, Cristian von/Clive, Eric (editors), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Vol. I, 2009.

ციტ.: *Bar/Clive (ed.)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, DCFR, Vol. I, 2009, p.

Bartels, Florian, Einwendungs- und Rückforderungsdurchgriff beim Verbraucherfinanzierungsleasing nach § 506 BGB n.F., *Zeitschrift für das gesamte Schuldrecht*, 2009, S. 544-548.

ციტ.: *Bartels, Einwendungs- und Rückforderungsdurchgriff beim Verbraucherfinanzierungsleasing nach § 506 BGB n.F.*, *ZGS* 2009, S.

Baumbach, Adolf (Begr.)/**Hopt, Klaus J.**, Handelsgesetzbuch, mit GmbH & Co., Handelsklauseln, Bank- und Börsenrecht, Transportrecht (ohne Seerecht).

ციტ.: *ავტორი*, in: *Baumbach/Hopt, HGB, Aufl., §, Rn.*

Bayer, Walter, Vertraglicher Drittschutz, *Juristische Schulung*, 1996, S. 473-478.

ციტ.: *Bayer, Vertraglicher Drittschutz*, *JuS* 1996, S.

Beatson, Jack, Anson's law of contract, 28th edition, 2002.

ციტ.: *Beatson*, Anson's law of contract, 28th edition, 2002, p.

Becker, Roman A./Dreyer, Lisa, AGB-rechtliche Zulässigkeit von Gebührenklauseln in Konsortialkreditverträgen, Zeitschrift für Wirtschaftsrecht, 2014, S. 2057-2066.

ციტ.: *Becker/Dreyer*, AGB-rechtliche Zulässigkeit von Gebührenklauseln in Konsortialkreditverträgen, ZIP 2014, S.

Bianca, C. Massimo/Bonell, Michael Joachim (editors), Commentary on the international sales law: the 1980 Vienna sales convention, 1987.

ციტ.: *ავტორი*, in: *Bianca /Bonell* (ed.), Commentary on the international sales law: the 1980 Vienna sales convention, 1987, p.

Binder, Christina, Die Grenzen der Vertragstreue im Völkerrecht: am Beispiel der nachträglichen Änderung der Umstände, 2013.

ციტ.: *Binder*, Die Grenzen der Vertragstreue im Völkerrecht, 2013, S.

Bortolotti, Fabio, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC), 2008.

ციტ.: *Bortolotti*, Drafting and Negotiating International Commercial Contracts, A practical Guide, International Chamber of Commerce (ICC), 2008, p.

Breetzke, Ernst, Der Vergleich bei verständigem Zweifel, Neue Juristische Wochenschrift, 1969, S. 1408-1412.

ციტ.: *Breetzke*, Der Vergleich bei verständigem Zweifel, NJW 1969, S.

Brox, Hans/Walker, Wolf-Dietrich, Allgemeines Schuldrecht, 34. Auflage, 2010.

ციტ.: *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 34. Aufl., 2010, S.

Canaris, Claus-Wilhelm/Grigoleit, Hans Christoph, Interpretations of Contracts, in: Harthkamp/Hesselink/Hodnius/Joustra/du Perron/Veldman (eds.), Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004, pp. 445 et seq.

ციტ.: *Canaris/Grigoleit*, Interpretations of Contracts, in: Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004, p.

Canaris, Claus-Wilhelm, Schuldrechtsmodernisierung, 2002.

ციტ.: *Canaris*, Schuldrechtsmodernisierung, 2002, S.

Canaris, Claus-Wilhelm, Gesamtunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, in: Festschrift für Steindorff, 1990, S. 519-571.

ციტ.: *Canaris*, Gesamtunwirksamkeit und Teilgültigkeit rechtsgeschäftlicher Regelungen, FS Steindorff, 1990, S.

Canaris, Claus-Wilhelm, Ansprüche wegen „positiver Vertragsverletzung“ und „Schutzwirkung für Dritte“ bei nichtigen Verträgen: Zugleich ein Beitrag zur Vereinheitlichung der Regeln über die Schutzpflichtverletzungen, in: Juristen Zeitung, № 15/16, 1965, S. 475-482.

ციტ.: *Canaris*, Ansprüche wegen „positiver Vertragsverletzung“ und „Schutzwirkung für Dritte“ bei nichtigen Verträgen, JZ 1965, S.

Chanturia, Lado, Das neue Zivilgesetzbuch Georgiens:Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch. In Aufbruch nach Europa. 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht. (Hrsg.) Basedow, Jürgen/ Drobniig, Ulrich/ Ellger, Reinhard/ Hopt, Klaus J/ Kötz, Hein / Kulms, Rainer/ Mestmäcker, Ernst-Joachim. Mohr Siebeck. 2001. S. 893-904.

ციტ.: *Chanturia*, Das neue Zivilgesetzbuch Georgiens, Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 2001, S.

Clemenz, Susanne/Kreft, Burghard/Krause, Rüdiger (Hrsg.), AGB-Arbeitsrecht, Kommentar, 2013.

ციტ.: ავტორი, in Clemenz/Kreft/Krause (Hrsg.), AGB-Arbeitsrecht Kommentar, §, Rn.

Cloppenburg, Jürgen/Mahnken, Volker, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, Neue Zeitschrift für Baurecht und Vergaberecht, 2014, S. 743-750.

ციტ.: *Cloppenburg/Mahnken*, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, NZBau 2014, S.

Dam, Cees van, European Tort Law, 2013.

ციტ.: *Dam*, European Tort Law, 2013, p.

Dauner-Lieb, Barbara/Langen, Werner, BGB Schuldrecht, Nomoskommentar.

ციტ.: ავტორი, in BGB Nomoskommentar Schuldrecht, Aufl., Band, §, Rn.

Derleder, Peter, Der Kauf aus privater Hand nach neuem Schuldrecht, Neue Juristische Wochenschrift, 2005, S. 2481-2486.

ციტ.: *Derleder*, Der Kauf aus privater Hand nach neuem Schuldrecht, NJW 2005, S.

Deutsch, Erwin, Allgemeines Haftungsrecht, 2. Auflage, 1996.

ციტ.: *Deutsch*, Allgemeines Haftungsrecht, 2. Aufl., 1996, S.

Diederichsen, Uwe, Der Schuldnerverzug („mora debitoris“), Juristische Schulung, 1985, S. 825 ff.

ციტ.: *Diederichsen*, Der Schuldnerverzug („mora debitoris“), JuS 1985, S.

Dietrich, Gerhard, Der Kauf im Selbstbedienungsladen, in: Der Betrieb, 1972, S. 957–959.

ციტ.: *Dietrich*, Der Kauf im Selbstbedienungsladen, DB 1972, S.

Drettmann, Fritz, Schönheitsreparatur- und Quotenhaftungsklauseln in Wohn- und Geschäftsraummietverträgen, Neue Juristische Wochenschrift, 2015, S. 3694-3696.

ციტ.: *Drettmann*, Schönheitsreparatur- und Quotenhaftungsklauseln in Wohn- und Geschäftsraummietverträgen, NJW 2015, S.

Edenfeld, Stefan, Offene Fragen des Beitritts zur Dauerschuld, in Juristen Zeitung, 1997, S. 1034-1042.

ციტ.: *Edenfeld*, Offene Fragen des Beitritts zur Dauerschuld, JZ 1997, S.

Enneccerus, Ludwig/Lehmann, Heinrich, Lehrbuch des bürgerlichen Rechts 2, Recht der Schuldverhältnisse, 1958.

ციტ.: *Enneccerus/Lehmann*, Recht der Schuldverhältnisse, 1958, S.

Erman, Walter (Begr.), Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar.

ციტ.: *ავტორი*, in *Erman BGB*, Aufl., §, Rn.

Esser, Josef, Schuldrecht, Band I, Allgemeiner Teil, 4. Aufl., 1970.

ციტ.: *Esser*, Schuldrecht I, 4. Aufl., 1970, S.

Farnsworth, E. Allan, Precontractual Liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations, in: *Columbia Law Review*, Vol. 87, No. 2, 1987, pp. 217-294.

ციტ.: *Farnsworth*, Allan Farnsworth, Precontractual Liability and Preliminary Agreements, *Columbia Law Review*, Vol. 87, No. 2, 1987, p.

Ferrari, Franco/Leible, Stefan, (Eds.), Rome I Regulation, The Law Applicable to Contractual Obligations in Europe, 2009

ციტ.: *ავტორი*, in: Rome I Regulation, The Law Applicable to Contractual Obligations in Europe, Ferrari, Leible (Eds.), 2009, p.

Ferrari, Franco, Trade Usage and Practices Established between the Parties under the CISG, 2003.

ციტ.: *Ferrari*, Trade Usage and Practices Established between the Parties under the CISG, 2003, p.

Fikentscher, Wolfgang/Heinemann, Andreas, Schuldrecht: Allgemeiner und Besonderer Teil, 11. Auflage, 2017.

ციტ.: *Fikentscher/Heinemann*, Schuldrecht, AT und BT, 11. Aufl., S.

Flume, Johannes W., Der monetäre Wert des (Kauf-)Vertrags. Zur Bedeutung von Wert und Zeit für die Bestimmung des Nichterfüllungsschadens, *Archiv für die civilistische Praxis* 215, 2015, S. 282-350.

ციტ.: *Flume*, Der monetäre Wert des (Kauf-)Vertrags, *AcP* 215, 2015, S.

Flume, Werner, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Band II, 4. Aufl., 1992.

ციტ.: *Flume*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, S.

Fontaine, Marcel, Content and Performace, *The American Journal of Comarative Law*, 1992, p. 645 et seq.

Zit.: *Fontaine*, Content and Performace, *The American Journal of Comarative Law*, 1992, p.

Fritzsche, Jörg, Unterlassungsanspruch und Unterlassungsklage, 2000.

ციტ.: *Fritzsche*, Unterlassungsanspruch und Unterlassungsklage, 2000, S.

Gaier, Reinhard, Das Rücktritts(folgen)recht nach dem Schuldrechtsmodernisierungsgesetz, in: *Zeitschrift für Wirtschafts- und Bankrecht*, 2002, S. 1-14.

ციტ.: *Gaier*, Das Rücktritts(folgen)recht nach dem Schuldrechtsmodernisierungsgesetz, *WM* 2002, S.

- Gernhuber, Joachim**, Oder-Konten von Ehegatten, in: Zeitschrift für Wirtschafts- und Bankrecht, 1997, S. 645-656.
 ციტირებული: *Gernhuber*, Oder-Konten von Ehegatten, WM 1997, S.
- Gernhuber, Joachim**, Das Schuldverhältnis, 1989.
 ციტირებული: *Gernhuber*, Das Schuldverhältnis, 1989, S.
- Gounalakis, Georgias**, Formularmäßige ärztliche Aufklärung im Lichte des AGB-Gesetzes, Neue Juristische Wochenschrift, 1990, S. 752-752.
 ციტირებული: *Gounalakis*, Formularmäßige ärztliche Aufklärung im Lichte des AGB-Gesetzes, NJW 1990, S.
- Greiner, David**, Die „Auftragssumme“ bei Vereinbarung einer Vertragsstrafe, Zeitschrift für deutsches und internationales Bau- und Vergaberecht, 1999, S. 62-63.
 ციტირებული: *Greiner*, Die „Auftragssumme“ bei Vereinbarung einer Vertragsstrafe, ZfBR 1999, S.
- Gursky, Karl-Heinz**, Schuldnerverzug trotz fehlender Annahmefähigkeit des Gläubigers, in: Archiv für civilistische Praxis 173, 1973, S. 450 ff.
 ციტირებული: *Gursky*, Schuldnerverzug trotz fehlender Annahmefähigkeit des Gläubigers, AcP 173, 1973, S.
- Gutzeit, Martin**, Handelsbeschränkungen für Eintrittskarten, Betriebs-Berater, 2007, S. 113-119.
 ციტირებული: *Gutzeit*, Handelsbeschränkungen für Eintrittskarten, BB 2007, S.
- Graffi, Leonardo**, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, in: Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011, pp. 273-295.
 ციტირებული: *Graffi*, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011, p.
- Hanau, Hans**, Der Schuldner in der Hand des Gläubigers? – Beendigung der Schwebelage nach Ablauf einer gemäß § 323 BGB gesetzten Frist, Neue Juristische Wochenschrift, 2007, S. 2806 ff.
 ციტირებული: *Hanau*, Der Schuldner in der Hand des Gläubigers? — Beendigung der Schwebelage nach Ablauf einer gem. § 323 BGB gesetzten Frist, NJW 2007, S.
- Harder, Manfred**, Die Leistung an Erfüllungs Statt (datio in solutum), 1976.
 ციტირებული: *Harder*, Die Leistung an Erfüllungs Statt, 1976, S.
- Heidel, Thomas/Ring, Gerhard/Dauner-Lieb, Barbara** (Hrsg.), Anwaltkommentar BGB.
 ციტირებული: ავტორი, Anwaltkommentar zum BGB, Aufl., §, Rn.
- Heinrichs, Helmut**, Das Gesetz zur Änderung des AGB-Gesetzes — Umsetzung der EG-Richtlinie über mißbräuchliche Klauseln in Verbraucherverträgen durch den Bundesgesetzgeber, Neue Juristische Wochenschrift, 1996, S. 2190-2197.
 ციტირებული: *Heinrichs*, Das Gesetz zur Änderung des AGB-Gesetzes Umsetzung der EG-Richtlinie über mißbräuchliche Klauseln in Verbraucherverträgen durch den Bundesgesetzgeber, NJW 1996, S.

- Hellwege, Phillip**, Allgemeine Geschäftsbedingungen, einseitig gestellte Vertragsbedingungen und die allgemeine Rechtsgeschäftslehre, 2010.
ციტ.: *Hellwege*, Allgemeine Geschäftsbedingungen, einseitig gestellte Vertragsbedingungen und die allgemeine Rechtsgeschäftslehre, 2010, S.
- Herberger, Maximilian/Martinek, Michael/Rüßmann, Helmut/Weth, Stephan/Würdinger, Markus** (Hsgb.), Juris PraxisKommentar BGB.
ციტ.: ავტორი, in jurisPK BGB, Aufl., §, Rn.
- Herrler, Sebastian**, Formularmäßige Bindungsfristen beim Immobilienkaufvertrag, Deutsche Notar-Zeitschrift, 2013, S. 887-927.
ციტ.: *Herrler*, Formularmäßige Bindungsfristen beim Immobilienkaufvertrag, DNotZ 2013, S.
- Hilber, Marc**, Preisanpassungsklauseln im unternehmerischen Verkehr — Rechtliche Grenzen und Möglichkeiten, Betriebs-Berater, 2011, S. 2691–2699.
ციტ.: *Hilber*, Preisanpassungsklauseln im unternehmerischen Verkehr — Rechtliche Grenzen und Möglichkeiten, BB 2011, S.
- Honnold, John O.**, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., 1991.
ციტ. *Honnold*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., 1991, p.
- Houh, Emily**, The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel? Utah Law Review, Vol. 2005, p. 1-56.
ციტ.: *Houh*, The Doctrine of Good Faith in Contract Law: A (Nearly) Empty Vessel?, p.
- Huber, Ulrich**, Leistungsstörungen, Band I, Die allgemeinen Grundlagen – Der Tatbestand des Schuldnerverzugs – Die vom Schuldner zu vertretenden Umstände, 1999.
ციტ.: *Huber*, Leistungsstörungen I, 1999, S.
- Isola, Lisa**, Venire contra factum proprium: Herkunft und Grundlagen eines sprichwörtlichen Rechtsprinzips, 2017.
ციტ.: *Isola*, Venire contra factum proprium, 2017, S.
- Jauernig, Othmar**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 14. Auflage, 2011.
ციტ.: ავტორი, in: Jauernig BGB, პარაგრაფი, ველი.
- Jauernig, Othmar**, Online-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch
ციტ.: ავტორი, in: Jauernig OK BGB, პარაგრაფი, ველი.
- Joussen, Jacob**, Schuldrecht I – Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2015.
ციტ.: *Joussen*, Schuldrecht I AT, 3. Aufl., 2015, S.
- Kaduk, Hubert**, Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, in: Festschrift für Karl Larenz zum 80. Geburtstag, 1983, S. 303-317.

- ციტ.: *Kaduk*, Fragen zur Zulässigkeit von Verfügungen zugunsten eines Dritten, in: FS Larenz 80, 1983, S.
- Kaiser, Dagmar**, Die Rechtsfolgen des Rücktritts in der Schuldrechtsreform, in: Juristen Zeitung, 2001, S. 1057-1070.
 ციტ.: *Kaiser*, Die Rechtsfolgen des Rücktritts in der Schuldrechtsreform, JZ 2001, S.
- Kannowski, Bernd/Zeller, Christian**, Sekundäransprüche beim Vertrag zugunsten Dritter, Juristische Schulung, 2006, S. 983-988.
 ციტ.: *Kannowski/Zeller*, Sekundäransprüche beim Vertrag zugunsten Dritter, JuS 2006, S.
- Kaser, Max**, Das römische Privatrecht, 2. Auflage, 1971.
 ციტ.: *Kaser*, Das römische Privatrecht, 2. Aufl., 1971, S.
- Knieper, Rolf/ Chanturia, Lado/ Schramm, Hans-Joachim**, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV, , 2010.
 ციტ.: ავტორი, in Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, 2010, S.
- Knops, Kai-Oliver**, Die „weite“ Sicherungszweckerklärung des persönlich schuldenden Eigentümers in der AGB-Kontrolle, Zeitschrift für Wirtschaftsrecht, 2006, S. 1965-1970.
 ციტ.: *Knops*, Die „weite“ Sicherungszweckerklärung des persönlich schuldenden Eigentümers in der AGB-Kontrolle, ZIP 2006, S.
- Knütel, Rolf**, Zum „Zufall“ in § 287 S. 2 BGB, Neue Juristische Wochenschrift, 1993, S. 900-901.
 ციტ.: *Knütel*, Zum „Zufall“ in § 287 S. 2 BGB, NJW 1993, S.
- Köhler, Helmut**, Vertragsstrafe und Schadenersatz, Gewerblicher Rechtsschutz und Urheberrecht, Heft 4, 1994, S. 260ff.
 ციტ.: *Köhler*, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, 1994, S.
- Kötz, Hein**, Vertragsrecht, 2009.
 ციტ.: *Kötz*, Vertragsrecht, 2009, S.
- Kropholler, Jan**, Studienkommentar BGB, 12. Auflage, 2010.
 ციტ.: *Kropholler*, Studienkommentar BGB, 12. Aufl, 2010, S.
- Kullmann, Miriam**, The Principle of Effet Utile and Its Impact on National Methods for Enforcing the Rights of Posted Workers, in: International Journal of Comparative Labour Law and Industrial Relations, Issue 3, Volume 29, 2013, pp. 283–303.
 ციტ.: *Kullmann*, The Principle of Effet Utile and Its Impact on National Methods for Enforcing the Rights of Posted Workers, 3, 29/2013, p.

Larenz, Karl (Begr.)/Wolf, Manfred (Fortgef.), Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004.

ციტ.: *Larenz/Wolf*, AT des bürg. Rechts, 9. Aufl., 2004, §, Rn.

Larenz, Karl, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil, 8. Auflage, 1976.

ციტ.: *Larenz*, Schuldrecht I, 8. Aufl., S.

Lando, Ole/Beale, Hugh (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), prepared by the Commission of European Contract Law, Kluwer Law International, 2000.

ციტ.: *Lando/Beale* (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), 2000, p.

Lange, Hermann/Schiemann, Gottfried, Schadensersatz, 3. Aufl., 2003.

ციტ.: *Lange/Schiemann*, Schadensersatz, 3. Aufl., 2003, S.

Linderfalk, Ulf, On The Interpretation of Treaties: The Modern International Law as Expressed in the 1969 Vienna Convention on the Law of Treaties, 2007.

ციტ.: *Linderfalk*, On The Interpretation of Treaties, 2007, p.

Looschelders, Dirk, Schuldrecht: Allgemeiner Teil, 9. Auflage, 2011.

ციტ.: *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S.

Lorenz, Bernd, Verfall- und Auszahlungsgebührenklauseln in Prepaid-Mobilfunkverträgen, Verbraucher und Recht, 2009, S. 330-335.

ციტ.: *Lorenz*, Verfall- und Auszahlungsgebührenklauseln in Prepaid-Mobilfunkverträgen, VuR 2009, S.

Luft, Manuela, Die Vertragsstrafe im VOB/B-Bauvertrag, Neue Juristische Wochenschrift, 2016, S. 2470-2472.

ციტ.: *Luft*, Die Vertragsstrafe im VOB/B-Bauvertrag, NJW 2016, S.

Madaus, Stephan, Die Abgrenzung der leistungsbezogenen von den nicht leistungsbezogenen Nebenpflichten im neuen Schuldrecht, in: Juristische Ausbildung, 2004, S. 289-292.

ციტ.: *Madaus*, Die Abgrenzung der leistungsbezogenen von den nicht leistungsbezogenen Nebenpflichten im neuen Schuldrecht, Jura 2004, S.

Markesinis, Basil S./Lorenz, Werner/Dannemann, Gerhard, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution: A Comparative Introduction, 1997.

ციტ.: *Markesinis/Lorenz/Dannemann*, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution, 1997, p.

Markesinis, Basil S./Unberath, Hannes/Johnston, Angus, The German Law of Contract: A Comparative Treatise, Second edition, 2006.

ციტ.: *Markesinis/Unberath/Johnston*, The German Law of Contract, Second edition, 2006, p.

- Medicus, Dieter/Petersen, Jens**, Bürgerliches Recht, 26. Auflage, 2017.
ციტ.: *Medicus/Petersen*, Bürgerliches Recht, 26. Aufl., 2017, S.
- Medicus, Dieter/Lorenz, Stephan**, Schuldrecht I: Allgemeiner Teil, 19. Auflage, 2010.
ციტ.: *Medicus/Lorenz*, Schuldrecht I, 19. Aufl., 2010, S.
- Medicus, Dieter**, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im Privatrecht, in: Archiv für civilistische Praxis 192, 1992, S. 35-70.
ციტ.: *Medicus*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit im Privatrecht, AcP 192, 1992, S.
- Medicus, Dieter**, Mehrheit von Gläubigern, Juristische Schulung, 1980, S. 697-704.
ციტ.: *Medicus*, Mehrheit von Gläubigern, JuS 1980, S.
- Meier, Sonja**, Gesamtschulden: Entstehung und Regress in historischer und vergleichender Perspektive, 2010.
ციტ.: *Meier*, Gesamtschulden, 2010, S.
- Meier, Sonja**, Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes, weil überflüssiges Wesen?, in: Archiv für die civilistische Praxis, 205, 2005, 858–904.
ციტ.: *Meier*, Die Gesamtgläubigerschaft – ein unbekanntes, weil überflüssiges Wesen?, AcP 205, 2005, S.
- Meyer, André**, Schadensersatz im Rückgewährschuldverhältnis § 346 Abs. 4 BGB, in: Juristische Ausbildung, 2011, S. 244-252.
ციტ.: *Meyer*, Schadensersatz im Rückgewährschuldverhältnis § 346 Abs. 4 BGB, Jura 2011, S.
- Mossler, Patrick**, Rücktrittsrecht vor Fälligkeit bei solvenzbedingten Zweifeln an der Leistungsfähigkeit des Schuldners (§ 323 Abs. 4 BGB), Zeitschrift für Wirtschaftsrecht, 2002, S. 1831-1838.
ციტ.: *Mossler*, Rücktrittsrecht vor Fälligkeit bei solvenzbedingten Zweifeln an der Leistungsfähigkeit des Schuldners (§ 323 Abs. 4 BGB), ZIP 2002, S.
- Musielak, Hans-Joachim**, Grundkurs BGB, 12. Auflage, 2011.
ციტ.: *Musielak*, Grundkurs BGB, 12. Aufl., 2011, S.
- Nussbaum, Arthur**, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law Review, Vol. 36, 1936, pp. 920-929.
ციტ.: *Nussbaum*, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law Review, Vol. 36, p.
- Oettingen, Anna von**, Effet utile und individuelle Rechte im Recht der Europäischen Union, 2010.

ციტ.: *Oettingen*, Effet utile und individuelle Rechte im Recht der Europäischen Union, 2010, S.

Palandt, Otto (Begr.)/**Bassenge, Peter**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: mit Nebengesetzen, München, Beck.

ციტ.: ავტორი, in Palandt BGB Kommentar, Aufl., §, Rn.

Pallmann, Hans-Dietrich, Rechtsfolgen aus Gefälligkeitsverhältnissen, Diss., 1971.

ციტ.: *Pallmann*, Rechtsfolgen aus Gefälligkeitsverhältnissen, Diss., 1971, S.

Pamboukis, Ch., The Concept and Function of Usages in the United Nations Convention on the International Sale of Goods, *Journal of Law and Commerce*, Vol. 25:107, 2005–06, pp. 107-131.

ციტ.: *Pamboukis*, The Concept and Function of Usages in the United Nations Convention on the International Sale of Goods, *Journal of Law and Commerce*, Vol. 25:107, 2005–06, p.

Picker, Eduard, Schuldrechtsreform und Privatautonomie: Zur Neuregelung der Schuldnerpflichten bei zufallsbedingter Leistungsstörung nach § 275 Abs. 2 und § 313 BGB, in: *Juristen Zeitung*, 2003, S. 1035-1048.

ციტ.: *Picker*, Schuldrechtsreform und Privatautonomie, JZ 2003, S.

Prütting, Hanns/Wegen, Gerhard/Weinreich, Gerd (Hrsg.), BGB Kommentar.

ციტ.: ავტორი, in Prütting/Wegen/Weinreich (Hrsg.), BGB Kommentar, Aufl., §, Rn.

Reiner, Günter, Der Verbraucherschützende Widerruf im Recht der Willenserklärungen, in: *Archiv für die civilistische Praxis*, 203, 2003, S. 1-45.

ციტ.: *Reiner*, Der Verbraucherschützende Widerruf im Recht der Willenserklärungen, AcP 203, 2003, S.

Reinicke, Dietrich/Tiedtke, Klaus, Gesamtschuld und Schuldsicherung durch Bürgschaft, Hypothek, Grundschuld, Pfandrecht an beweglichen Sachen und Rechten, 2. Aufl., 1988.

ციტ.: *Reinicke/Tiedtke*, Gesamtschuld und Schuldsicherung, 2. Aufl., S.

Renner, Moritz, Die „Natur des Vertrags“ nach § 307 Abs. 2 Nr. 2 BGB: soziologische Maßstabsbildung bei der AGB Inhaltskontrolle, *Archiv für die civilistische Praxis* 213, 2013, S. 677-717.

ციტ.: *Renner*, Die „Natur des Vertrags“ nach § 307 Abs. 2 Nr. 2 BGB, AcP 213, 2013, S.

Reuss, Karl Friedrich, Die Intensitätsstufen der Abreden und die Gentlemen-Agreements, in: *Archiv für die civilistische Praxis*, 154, 1955, S. 485 ff.

ციტ.: *Reuss*, Die Intensitätsstufen der Abreden und die Gentlemen-Agreements, AcP 154, 1955, S.

Rüßmann, Helmut, Rechtskraft, Konfusion und Gesamtschuldausgleich, *Juristische Schulung*, 1988, 182-187.

- ციტ.: *Rüßmann*, Rechtskraft, Konfusion und Gesamtschuldausgleich, Jus 1988, S.
- Rüßmann, Helmut**, Die Abgrenzung der Gesamtschuld von anderen Schuldnermehrheiten, Juristische Schulung, 1974, S. 292-298.
ციტ.: *Rüßmann*, Die Abgrenzung der Gesamtschuld von anderen Schuldnermehrheiten, JuS 1974, S.
- Rütten, Wilhelm**, Mehrheit von Gläubigern, Mohr Siebeck, 1990.
ციტ.: *Rütten*, Mehrheit von Gläubigern, 1990, S.
- Sacco, Rodolfo**, Formation of Contracts, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Perron, Towards a European Civil Code, 2nd edition, 1998.
ციტ.: *Sacco*, Formation of Contracts, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Perron, Towards a European Civil Code, 2nd edition, 1998, p.
- Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland/Oetker, Hartmut/Limberg, Bettina** (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.
ციტ.: ავტორი, in MüKo BGB, Aufl., Jahr, §, Rn.
- Šadl, Urška**, The role of effet utile in preserving the continuity and authority of European Union law: evidence from the citation web of the pre-accession case law of the court of justice of the EU, in: European journal of legal studies, 2015, Vol. 8, № 1, pp. 18-45.
ციტ.: *Šadl*, The role of effet utile in preserving the continuity and authority of European Union law, 2015, p.
- Savigny, Friedrich Carl von**, System des heutigen Römischen Rechts, Band 3, Berlin, 1840.
ციტ.: *Savigny*, System des heutigen Römischen Rechts, Band 3, 1840, S.
- Schellhammer, Kurt**, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen: samt BGB Allgemeiner Teil (Recht in der Praxis), 9. Auflage, 2014.
ციტ.: *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 2014, S.
- Schellhammer, Kurt**, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen: BGB AT und gesamtes Schuldrecht mit Nebengesetzen, 1994.
ციტ.: *Schellhammer*, Zivilrecht nach Anspruchsgrundlagen, 1994, S.
- Schlechtriem, Peter/Schwenzer, Ingeborg**, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., Oxford, 2010.
ციტ.: *Schlechtriem/Schwenzer*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., p.
- Schlechtriem, Peter**, Uniform Sales Law — The Experience with Uniform Sales Laws in the Federal Republic of Germany, Juridisk Tidskrift, 1991/92, pp. 1-28.
ციტ.: *Schlechtriem*, Uniform Sales Law - The Experience with Uniform Sales Laws in the Federal Republic of Germany, Juridisk Tidskrift, 1991/92, p.
- Schmid, Ronald/Sonnen, Bernhard**, Rechtsprobleme bei der Luftbeförderung im Rahmen von Flugpauschalreisen, Neue Juristische Wochenschrift, 1992, S. 464-472.
ციტ.: *Schmid/Sonnen*, Rechtsprobleme bei der Luftbeförderung im Rahmen von

Flugpauschalreisen, NJW 1992, S.

Schmidt, Karsten (Hrsg.), Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch.

ციტ.: ავტორი, in: MüKo HGB, Aufl., Jahr, §, Rn.

Schmitt, Christoph/Ulmer, Detlef, Allgemeine Geschäftsbedingungen und Verträge für Unternehmen, 2010.

ციტ.: *Schmitt/Ulmer*, AGB und Verträge für Unternehmen, 2010, S.

Schmoeckel, Mathias/Rückert, Joachim/Zimmermann, Reinhard (Hrsg.), Historisch-kritischer Kommentar zum BGB, Band II, 2. Teilband, 2007.

ციტ.: ავტორი, in Schmoeckel/Rückert/Zimmermann, HKK zum BGB, BD II, Teilband II, §, S. Rn.

Schreiber, Klaus, Unvollkommene Verbindlichkeiten, in: Juristische Ausbildung, 1998, S. 270-273.

ციტ.: *Schreiber*, Unvollkommene Verbindlichkeiten, Jura 1998, S.

Schreiber, Klaus, Die Gesamtschuld, in: Juristische Ausbildung, 1989, S. 353-359.

ციტ.: *Schreiber*, Die Gesamtschuld, Jura 1989, S.

Schuhmann, Ralph, Terminsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadensersatz? Zeitschrift für deutsches und internationales Bau- und Vergaberecht, 2009, S. 307-311

ციტ.: *Schuhmann*, Terminsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadensersatz? ZfBR 2009, S.

Schulze, Reiner/Dörner, Heinrich/Ebert, Ina/Hoeren, Thomas/Kemper, Rainer/Saenger, Ingo/Schulte-Nölke, Hans/Staudinger, Ansgar, BGB, Handkommentar.

ციტ.: ავტორი, in BGB-HK, Aufl., §, Rn.

Schulze, Reiner/Grziwotz, Herbert/Lauda, Rudolf (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch: Kommentiertes Vertrags- und Prozessformularbuch.

ციტ.: ავტორი, in Schulze/Grziwotz/Lauda (Hrsg.), BGB Kommentiertes Vertrags und Prozessformularbuch, Aufl., §, Rn.

Schwab, Martin, AGB-Recht: Recht in der Praxis, 2. Auflage, 2014.

ციტ.: *Schwab*, AGB-Recht, 2. Aufl., 2014, S./Rn.

Schwarze, Roland, Das Recht der Leistungsstörungen, 2008.

ციტ.: *Schwarze*, Das Recht der Leistungsstörungen, 2008, S.

Schwedhelm, Ulrike, Das Gesamtschuldverhältnis: Entstehung - Wirkung – Ausgleich, 2003.

ციტ.: *Schwedhelm*, Gesamtschuldverhältnis, 2003, S.

Schwintowski, Hans-Peter, Wirksamkeit der Übertragung von Gesamtgläubigerrechten bei Geschäftsunfähigkeit eines Gesamtgläubigers - BGH, NJW-RR 1987, 1260, Juristische Schulung, 1988, 605-607.

- ციტ.: *Schwintowski*, Wirksamkeit der Übertragung von Gesamtgläubigerrechten bei Geschäftsunfähigkeit eines Gesamtgläubigers, JuS, 1988, S.
- Selb, Walter**, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984.
 ციტ.: *Selb*, Mehrheiten von Gläubigern und Schuldner, 1984, S.
- Selb, Walter**, Schadensbegriff und Regressmethoden, 1963.
 ციტ.: *Selb*, Schadensbegriff und Regressmethoden, 1963, S.
- Seyr, Sibylle**, Der effet utile in der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs, 2008.
 ციტ.: *Seyr*, Der effet utile in der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs, 2008, S.
- Soergel, Hans Theodor**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen.
 ციტ.: ავტორი, in Soergel BGB, Aufl., Jahr, §, Rn.
- Sorge, Christoph**, Softwareagenten: Vertragsschluss, Vertragsstrafe, Reugeld, 2006.
 ციტ.: *Sorge*, Softwareagenten, 2006, S.
- Staudinger, Julius von (Begr.)**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.
 ციტ.: ავტორი, in Staudinger BGB, Aufl., Jahr, §, Rn.
- Steindorff, Ernst**, Abstrakte und konkrete Schadensberechnung, Archiv für civilistische Praxis 158, 1959, S. 431-469.
 ციტ.: *Steindorff*, Abstrakte und konkrete Schadensberechnung, AcP 158, 1959, S.
- Stoffels, Markus**, AGB-Recht, 2. Auflage, 2009.
 ციტ.: *Stoffels*, AGB-Recht, 2. Aufl., 2009, S./Rn.
- Tonner, Klaus/Willingmann, Armin/Tamm, Marina (Hrsg.)**, Vertragsrecht: Kommentar.
 ციტ.: ავტორი, in Tonner/Willingmann/Tamm (Hrsg.), Vertragsrecht Kommentar, Aufl., §, Rn.
- Vardi, Noah**, Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 2007, 18 European Business Law Review, Issue 3.
 ციტ.: *Vardi*, Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 2007, 18 European Business Law Review, Issue 3, p.
- Vogenauer, Stefan/Kleinheisterkamp, Jan (editors)**, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC), 2009.
 ციტ.: ავტორი, in: Vogenauer/Kleinheisterkamp (ed.), Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 2009, Art., p.
- Wertenbruch, Johannes**, Die Parteifähigkeit der GbR – die Änderung für die Gerichts- und Vollstreckungspraxis, Neue Juristische Wochenschrift, 2002, S. 324-329.

ციტ.: *Wertenbruch*, Die Parteifähigkeit der GbR – die Änderung für die Gerichts- und Vollstreckungspraxis, NJW 2002, S.

Westphalen, Friedrich Graf von, AGB-Recht im Jahr 2016, Neue Juristische Wochenschrift, 2017, S. 2237 ff.

ციტ.: *Westphalen*, AGB-Recht im Jahr 2016, NJW 2017, S.

Westphalen, Friedrich Graf von, AGB-Recht im Jahr 2008, Neue Juristische Wochenschrift, 2009, S. 2355-2362.

ციტ.: *Westphalen*, AGB-Recht im Jahr 2008, NJW 2009, S.

Westphalen, Friedrich Graf von, Die Entwicklung des AGB-Rechts im Jahr 2001, Neue Juristische Wochenschrift, 2002, S. 1688-1698.

ციტ.: *Westphalen*, Die Entwicklung des AGB-Rechts im Jahr 2001, NJW 2002, S.

Weyer, Friedhelm, Kein Vorbehalt der Vertragsstrafe bei Aufrechnung vor Abnahme, Neue Juristische Wochenschrift, 2016, S. 609-611.

ციტ.: *Weyer*, Kein Vorbehalt der Vertragsstrafe bei Aufrechnung vor Abnahme, NJW 2016, S.

Wieser, Eberhard, Prozeßrechts Kommentar zum BGB, 1999.

ციტ.: *Wieser*, Prozeßrechts Kommentar zum BGB, 1999, §, Rn.

Wolf, Manfred/Lindacher, Walter F./Pfeiffer, Thomas (Hrsg.), AGB Recht: Kommentar, 6. Auflage, 2013.

ციტ.: ავტორი, in *Wolf/Lindacher/Pfeiffer*, AGB-Recht, 6. Aufl., 2013, §, Rn.

Zahorka, Hans-Jürgen, European Fundamental Standards – a Challenge for Georgian Lawyers from the View of the European Union, „სამართალი და მსოფლიო“, № 3, 2015, გვ. 7-10.

ციტ.: *Zahorka*, Hans-Jürgen, European Fundamental Standards – a Challenge for Georgian Lawyers from the View of the European Union, „სამართალი და მსოფლიო“, 3/2015, გვ.

Zerres, Thomas, Die Gesamtschuld, in: Juristische Ausbildung 2008, S. 726-733.

ციტ.: *Zerres*, Die Gesamtschuld, Jura 2008, S.

Zoidze, Besarion, The System and Principles of the Law of Obligations of Georgia, 2001.

ციტ.: *Zoidze*, The System and Principles of the Law of Obligations of Georgia, 2001, p.

Zugehör, Horst, Berufliche „Dritthaftung“ — insbesondere der Rechtsanwälte, Steuerberater, Wirtschaftsprüfer und Notare — in der deutschen Rechtsprechung, Neue Juristische Wochenschrift, 2000, S. 1601-1609.

ციტ.: *Zugehör*, Berufliche „Dritthaftung“, NJW 2000, S.

Zweigert, Konrad/Kötz, Hein, An Introduction to Comparative Law, Third Edition, Translated by Tony Weir, Clarendon Press, 1998.

ციტ.: *Zweigert/Kötz, An Introduction to Comparative Law, Third Edition, 1998, p.*

Zweigert, Konrad, Seriositätsindizien, in: *Juristen Zeitung*, 1964, S. 349 ff.

ციტ.: *Zweigert, Seriositätsindizien, JZ 1964, S.*

Брагинский, М. И./Витрянский В. В., Договорное Право, Книга первая: Общие положения. Изд 2-е. М. 1999.

ციტ.: *Брагинский/Витрянский, Договорное Право, Книга первая, Изд 2-е, М. 1999, С.*

Цвайгерт, Конрад/Кетц, Хайн, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 1998.

ციტ.: *Цвайгерт/Кетц, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, Том 2, 1998, С.*

Садиков, О.Н., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части первой, Постатейный, 3-е издание, исправленное, переработанное и дополненное. М. 2005.

ციტ.: *Садиков, Комментарий к ГК РФ. части первой, Статья, 2005, С*

